სსრკ მეცნიერებათა აკადემია — საქართველოს ფილიალი
ენის, ისტორიისა და მატერ. კულტურის ინსტიტუტი აკად. მარის სახ.

ივ. ჯავახიშვილი

ქართველი ერის ისტორიის შესავალი

წიგნი მეორე

ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა
ტფილისი 1937

დაიბეჭდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის განკარგულებით.

თავმჯდომარე პროფ. ნ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი

შინაარსი

წინასიტყვაობა XI

ქარაგმიანი და შემოკლებული სიტყვა-სათაურების განმარტება XVIII

კარი პირველი. ქართულ-ქართველურისა და ე. წ. კავკასიის ენების შესახები მწერლობის მოკლე მიმოხილვა 1—91.

კარი მეორე. დასახული მიზანი და მეთოდოლოგია 93—131.

თავი პირველი. ამ გამოკვლევისათვის დასახული მიზანი და საზღვრები 95—97.

თავი მეორე. ენათა თავდაპირველი აგებულებისა და ნათესაობის კვლევა-ძიების მეთოდოლოგია 97—104.

თავი მესამე. ქართველური და ე. წ. კავკასიური ენების ბგერითი შედგენილობა და ტრანსკრიფცია 104—131.

კარი მესამე. ე. წ. კავკასიური ენებისა და ქართულ-ქართველურის მორფოლოგიის ძირითადი საკითხები 133—257.

ნაწილი პირველი. გრამატიკული სქეს-კატეგორიების საკითხი კავკასიურ ენებსა და ქართულში 135—257.

თავი პირველი. გრამატიკული სქეს-კატეგორიები თანამედროვე კავკასიურ ენებში 135—147.

§ 1. სქეს-კატეგორიები სინდურ ენებში 135—138. § 2. გრამატ. სქეს-კატეგორიები ღილღურში 138—140. § 3. გრამატიკული სქეს-კატეგორიები ლეგურ თანამედროვე ენებში 140—147: I. ენათა დასავლური ჯგუფი 140—141, II. დაღისტნის შუაგულისა და ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ენათა ჯგუფი 141—145, III. დაღისტნის ენათა სამხრეთ-აღმოსავლური ჯგუფი 145—147.

თავი მეორე. კავკასიური ენების გრამატ. სქეს-კატეგორიების ვითარების ზოგადი დახასიათება 147—154.

§ 1. ჩრდილოეთ კავკასიის ენათა სინდური ჯგუფი 147—148. § 2. ჩრდილოეთ კავკასიის ენათა ღილღური ჯგუფი 148—149. § 3. ჩრდილო კავკასიის ენათა ლეგური ჯგუფი 149—150: I. გრამატ. სქესის მქონებელი და არმქონე ლეგური ენები 149, II. დაღისტნის ენები სქეს-კატეგორიის რიცხვისდა მიხედვით 149—150. § 4. დაღისტნის ენების ჯგუფები სქეს-კატეგორიათა რიცხვისდა მიხედვით 150. § 5. ლეგურ ენათა ჯგუფები სქეს-კატეგორიების ბგერითი ნიშნებისდა მიხედვით 151—153. § 6. ლეგურ ენათა ჯგუფები სქეს-კატეგორიათა ნიშნების ადგილმდებარეობისდა მიხედვით 153—154. § 7. შედეგების ზოგადი შეჯამება 154.

თავი მესამე. სქეს-კატეგორიების საკითხის სირთულე და დამაფიქრებელი გარემოებანი ე. წ. კავკასიურს ენებში 154—162.

თავი მეოთხე. გრამატიკული სქეს-კატეგორიები ღილღურ-ლეგური ენების დასაწყისითგანი თვისება იყო, თუ არა? 162—165.

თავი მეხუთე. გრამატიკული სქესის საკითხი ძველი ქართ. მთარგმნელებისა და მეცნიერთა ნაშრომებისდა მიხედვით 165—169.

თავი მეექვსე. გრამატ. სქესის ქართულში არსებობის საკითხი თანამედროვე სამეცნიერო მწერლობაში 169—172.

თავი მეშვიდე. გრამ. სქეს-კატეგორიების ქართულში ოდინდელი არსებობის ძიების მნიშვნელობისა და მეთოდისათვის 172.

თავი მერვე. სქესისა და ცნებათა კატეგორიების აღნიშვნის ხხვადასხვა წესი ქართულში 173—175.

§ 1. ქარჟულში ცნებათა კატეგორიების ოდინდელი არსებობის კვალი 173—174. § 2. სქესის აღნიშვნის ორგვარი წესი 174—175.

თავი მეცხრე. ადამიანთა და ცხოველთა მამრ. სქესის აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფი 175—180.

თავი მეათე. ადამიანთა და ცხოველთა მდედრობითი სქესის აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფი 181—184.

თავი მეთერთმეტე. უჭასაკოთა და ცხოველთა სახელების ჯგუფი 184—190.

§ 1. ადამიანის მცირეწლოვან და უჭასაკო შვილთა სახელები 184—186. § 2. სხეილფეხა პირუტყვის შვილების სახელების ჯგუფი 186. § 3. წვრილფეხა პირუტყვის შვილის სახელების ჯგუფი 186—187. § 4. გარეულ ცხოველთა შვილის სახელების ჯგუფი 187—188. § 5. მფრინველთა შვილის აღმნიშვნელი სახელების ჯგუფი 188—189. § 6. ცხოველთა ზოგადი სახელების ჯგუფი 189. § 7. მცირეწლოვან, უჭასაკოთა და პირუტყვთა სახელების საერთო თვისება 189—190.

თავი მეთორმეტე. სქესისა და ნათესაობის გამომხატველი სიტყვების აგებულების ანალიზი და თავდაპირველი მნიშვნელობა 190—215.

§ 1. სიტყვების აგებულების სხვადასხვანაირად დაცულობის გათვალისწინების აუცილებლობა 190. § 2. ვაციკისა და ვაცის, ბატკისა და ბატკანის, აგებულებისა და პირველადი მნიშვნელობის ანალიზი 190—192. § 3. ნეზვისა და ჭანური ბოზოს აგებულების ანალიზი და ნე-ს და ბო-ს ბუნება 193—195. § 4. ბოკუერისა, ფუკვარის, ფეკვნას, ნუკრისა და ბურვაკის აგებულება და მათი თავკიდური მარცვლების ბუნება 195—197. § 5. ბაშვისა და ბუშის ეტიმოლოგია და ბა და ბუ მარცვლების ბუნება 198—199. § 6. ვერძისა და ნერჩის ეტიმოლოგია, პირ-ველადი მნიშვნელობა და ვე და ნ ბგერების ბუნება 199—205. § 7. ურასი, ურის, ვირისა, ვერანის, ბარას, ბერეს და ბელის პირველადი მნიშვნელობა და ეტიმოლოგია 205—210. § 8. ვაჩინას, ვაჩეს, ვაეისა, ბუჩინას, ფუჩინას და ბ[illegible]ჟინას აგებულება და პირველადი მნიშვნელობა 210—211. § 9. ბაღანის ეტომოლოგია და ბა-ს თავსართობა 211—212. § 10. ბიჭიკას, ბიჭისა, ბაჭიასი და ბოჩიკის ეჭიმოლოგია და პირველადი მნიშვნელობა 212—214. § 11. სქესისა და ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვების აგებულების ანალიზის შედეგი და ზოგადი შეფასება 214—215.

თავი მეცამეტე. თავისი სქეს-კატეგორიისათვის შეუფერებელ თავსართიან სიტყვათა ჯგუფი და ამ შეუფერებლობის მიზეზი 216—220.

§ 1. შეუფერებელი სქეს-კატეგორიის თავსართი, ვითარცა მერმინდელი აღმნიშვნელობისა და ბგერათა შენაცვლების შედეგი 216—217. § 2. სქეს-კატეგორიის თავსართის შეუფერებლობა, ვითარცა ეკონომიური და სოციალური ფაქტორების ანარეკლი 218—220.

თავი მეთოთხმეტე. **სქეს-კატეგორიის ნიშნების არა-მქონი, მაგრამ სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელი სიტყვების სამი ჯგუფი 220—221.**

თავი მეთხუთმეტე. **სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელი სიტყვები, რომელთაც სქეს-კატეგორიის ნიშანი ფონეტიკურად შესცვლიათ, ან დაჰკარგვიათ 221—223.**

§ 1. ერკემალის, ერცქემის და ერსკანის ეტიმოლოგია და თავდაპირველი მნიშვნელობა 221—223.

თავი მეთექვსმეტე. **სქესის აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფი, რომელთაც სქეს-კატეგორიის სათანადო თავსართი არა აქვთ, მაგრამ რომელთა უკვე შინაარსიც გარკვეული სქესის გამომხატველია 224—234.**

§ 1. მამისა და ქმრის ეტიმოლოგია და პირველადი მნიშვნელობა 224—228. § 2. დედაჲ და დედაკაცი, მათი ეტიმოლოგია და პირველადი მნიშვნელობა 228—233. § 3. მკდალი-ს თავდაპირველი და მეორადი მნიშვნელობა 233—234.

თავი მეჩვიდმეტე. **სქეს-კატეგორიების ნიშნების არ მქონე, სქესის აღმნიშვნელი სიტყვები სინდურ-ღილღურ-ლეგურს ენებში და მათი განმარტება 235—242.**

თავი მეთვრამეტე. **სქეს-კატეგორიების ოდინდელი არსებობის საკითხი სინდურ-ლეგურს ამჟამად უსქეს-კატეგორიო ენებში 242—251.**

თავი მეცხრამეტე. **სქეს-კატეგორიებთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები 251—257.**

§ 1. სქეს-კატეგორიების თავდაპირველი რიცხვი 252—254. § 2. გრამატ. სქეს-კატეგორიებისათვის განკუთვნილი თავდაპირველი ბგერითი ნიშნების საკითხი 254—256. § 3. გრამატიკული სქეს-კატეგორიების გაქრობის მიზეზი 256—257.

კარი მეოთხე. **რიცხვითი სახელები, მათი წინანდელი და თავდაპირველი სახე, აგებულება და სხვადასხვა სისტემა 259—424.**

თავი პირველი. **რიცხვითი სახელების შესწავლის დროს დასახული ამოცანები და ამისათვის ვამოსადეგი მეთოდები 261—263.**

თავი მეორე. **კავკასიურ ენათა სინდური ჯგუფის რიცხვითი სახელები 263—295.**

§ 1. აბხაზური რიგობითი რიცხვითი სახელები 263—275. § 2. უბიხური რიცხვითი სახელები 275—280. § 3. ადიღეური (ჩერქეზული) და ყაბარდოული რიცხვითი სახელები 281—290. § 4. ჩრდილო-დასავლური ენების რიცხვითი სახელების ზოგადი თვისებები 290—295.

თავი მესამე. **ჩრდილო კავკასიური ენების ღილღურ ენათა ჯგუფი 295—303.**

§ 1. ღილღური რიცხვითი სახელები 295—301. § 2. ღილღური რიცხვითი სახელების ზოგადი დახასიათება 301—303.

თავი მეოთხე. **დაღისტნის ლეგური ენების რიცხვითი სახელები 303—376.**

§ 1. ღუმუქური რიცხვითი სახელები 304—308. § 2. აკუშური და ჰკრკანული (ჰკრკილური) რიცხვითი სახელები 309—318. § 3. წახურული რიცხვითი სახელები 315—319. § 4. თაბასარანული რიცხვითი სახელები 320—323. § 5. რუთულური, ანუ მჷხადური ენის რიცხვითი სახელები 323—325. § 6. ჯეკური და ბუდუხური რიცხვითი სახელები 326—328. § 7. ალულური და კვრული რიცხვითი სახელები 328—331. § 8. ხინალუღური და ყუბაჩური რიცხვითი

სახელები 332—335 § 9. ყუანადური, ანუ ბაგულაზური, ბუიხალური, ანუ ბოთლიხური, კარატული და ახვახური რიცხვითი სახელები 335—338. § 10. ლუნძური, ანწუხური და კარული რიცხვითი სახელები 338—345. § 11. არჩული რიცხვითი სახელები 345—348. § 12. დიდოური რიცხვითი სახელები 349—351. § 13. ანდიური რიცხვითი სახელები 352—357. § 14. ჭამალალური, ანუ ჰიჰატლური და ტინდალური, ანუ იდარასული რიცხვითი სახელები 357—358. § 15. ყაფუჩური და ხვარშულ-ინხოყარული რიცხვითი სახელები 358—360. § 16. უდური რიცხვითი სახელები 360—362. § 17. ლეგური და ალბანური ენების რიცხვითი სახელების ზოგადი თვისებები 363—376.

თავი მეხუთე. ზოგადი ქართული და ქართველური (მეგრული, ჭანური და სვანური) რიცხვითი სახელები 376—424.

§ 1. საკვლევი მასალის თავისებურება 376—377. § 2. ამ საკითხის შესახები ნაშრომების შეფასება 377—382. § 3. ზოგადი ქართული და ქართველური რიცხვითი სახელები 382—385: მეგრული რიცხვითი სახელები 383, ჭანური რიცხვითი სახელები 383, სვანური რიცხვითი სახელები 384—395. § 4. ერთეულების სახელების ანალიზი 385—415.

ქართულ-სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანური რიცხვითი სახელების ზოგადი თვისებები და ძირების ნათესაობა 415—424.

კარი მეხუთე. ქართველურ-სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანური ნაცვალსახელები 425—581.

თავი პირველი. ქართულ-ქართველური ნაცვალსახელები 428—454.

§ 1. ქართული, მეგრული, ჭანური და სვანური ნაცვალსახელები 429—431. § 2. მკვლევართა მოსაზრებანი ნაცვალსახელების აგებულებასა და ძირებზე 431—439. § 3. ქართველური ნაცვალსახელების ანალიზის ამოცანები და ნაცვალსახელების ბოლოკიდური ნაწილი 439—443. § 4. ნაცვალსახელების ძირების საკითხი 443—454: A. 1 პ. მხ. რ. ნაცვალსახელი 443—446, B. მხ. რ. 2 პ. ნაცვალსახელის ძირის საკითხი 446—449, C. მხ. რ. 3 პირის ნაცვალსახელის საკითხი 449—450. D. მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელების ძირების საკითხი 450—452. E. კუთვნილებითი ნაცვალსახელები 452—454. დასკვნა 454.

II. სინდური ენების ნაცვალსახელები 454—459.

თავი პირველი. აბხაზური ნაცვალსახელები 454—471.

§ 1. აბხაზური ნაცვალსახელები მე-XVIII ს. და ეხლა 455—458. § 2. მე-XVIII ს. ფორმების ანალიზი და განმარტება 459—463. § 3. აბხაზური ნაცვალსახელების აგებულება და ძირები 463—471.

თავი მეორე. უბიხური ნაცვალსახელები 471—476.

§ 1. პირთა ნაცვალსახელები 472. § 2. კუთვნილებითი ნაცვალსახელები 472. § 3. უკუქცევითი ნაცვალსახელები 472. § 4. უბიხური ნაცვალსახელების აგებულება და შემადგენელი ელემენტები 473—476.

თავი მესამე. ადიღეური, ანუ ჩერქეზული ნაცვალსახელები 477—481.

§ 1. მკვლევართა ცნობები ადიღეურ ნაცვალსახელებზე 477—479: A. ადიღეური (ჩერქეზული) პირთა ნაცვალსახელები 477, B. კუთვნილებითი ნაცვალსახელები 477, C. უკუქცევითი ნაცვალსახელები 478, D. ადიღეური კითხვითი ნაცვალსახელები 478—479. § 2. ადიღეური ნაცვალსახელების ანალიზი 479—481.

თავი მეოთხე. ყაბარდოული ნაცვალსახელები 481—487.

§ 1. ძველი და ახალი ცნობები ყაბარდოული ნაცვალსახელების შესახებ 481—483: ყაბარდოული ნაცვალსახელები მე-XVIII ს. 481—482; თანამედროვე ყაბარდოული ნაცვალსახელები 482—483: A. პირთა ნაცვალსახელები 482, B. ჩვენებითი ნაცვალსახელები 482, C. კუთვნილებითი ნაცვალსახელები 482, D. კითხვითი ნაცვალსახელები 483, E. უკუქცევითი ნაცვალსახელები 483. § 2. ყაბარდოული ნაცვალსახელების ძველი ჩანაწერის ანალიზი და განმარტება 483—486. § 3. ყაბარდოული ნაცვალსახელების აგებულება 486—487.

თავი მეხუთე. ხინდური ენების ნაცვალსახელების ანალიზის შედეგი 488—489.

III. ლილღური ენების ნაცვალსახელები 489—499.

თავი პირველი. ცნობები ლილღურ ნაცვალსახელებზე 489—495.

§ 1. ლილღური ნაცვალსახელები მე-XVIII ს. § 2. ჩაჩნური თანამედროვე პირთა ნაცვალსახელები 490—491. ჩაჩნური კუთვნილებითი ნაცვალსახელები 491. უკუქცევითი ნაცვალსახელები 491. ჩაჩნური ჩვენებითი ნაცვალსახელი 493—495.

თავი მეორე. ლილღური ნაცვალსახელების ანალიზი 495—499.

IV. ლეგურ-ალბანური ენების ნაცვალსახელები 499—569.

თავი პირველი. ლუნძური, ანწუხური და ჭარული ნაცვალსახელები 500—509.

§ 1. ლუნძური, ანწუხური და ჭარული ნაცვალსახელები მე-XVIII ს. 500—501. § 2. ლუნძური თანამედროვე ნაცვალსახელები 501—503: პირთა ნაცვალსახელები 501, კუთვნილებითი ნაცვალსახელები 502, უკუქცევითი ნაცვალსახელები 502, ჩვენებითი ნაცვალსახელები 503. § 3. ლუნძური, ანწუხური და ჭარული ნაცვალსახელების ანალიზი 503—509.

თავი მეორე. ანდიური და მონათესავე ტინდალური, ბოთლიხური, ღოდობერული, კარატული, ახვახური, ბაგულალური და ჭამალალური ნაცვალსახელები 509—519.

§ 1. ძველი და ახალი ანდიური ნაცვალსახელები 509—510: A. ძველი (მე-XVIII ს.) ანდიური ნაცვალსახელები 509, B. თანამედროვე ანდიური ნაცვალსახელები 510. § 2. ანდიური ნაცვალსახელების ანალიზი 510—513. § 3. ტინდალური ნაცვალსახელები 513. § 4. ბოთლიხური, ანუ ბუძხატხლური ნაცვალსახელები 513—514. § 5. კარატული ნაცვალსახელები 514—515. § 6. ბაგულალური, ანუ ყუანადური ნაცვალსახელები 515. § 7. ღოდობერული ნაცვალსახელები 515—516. § 8. ახვახური ნაცვალსახელები 516. § 9. ჭამალალური ანუ ჰიჰატლური ნაცვალსახელები 516—517. § 10. ტინდალური, ბოთლიხური, კარატული, ბაგულალური, ღოდობერული, ახვახური და ჭამალალური ნაცვალსახელების შედარებითი დახასიათება 517—519.

თავი მესამე. დიდოური, ხვარშული, ინხოკარული და ყაფუჩური ნაცვალსახელები 519—525.

§ 1. დიდოური, ხვარშული, ინხოკარული და ყაფუჩური ნაცვალსახელები 519—521: A. ნაცვალსახელები დიდოურად მე-XVIII ს. 519, B. თანამედროვე დიდოური პირთა ნაცვალსახელები 519—520, C. დიდოური კუთვნილებითი ნაცვალსახელები 520, D. დიდოური ჩვენებითი ნაცვალსახელები 521. § 2. დიდოურ-ხვარშულ-ინხოკარულ-ყაფუჩური ნაცვალსახელების ანალიზი 521—525.

თავი მეოთხე. ლუმუქური ნაცვალსახელები 525—530.

§ 1. ლუმუქური ნაცვალსახელები მე-XVIII ს. და ეხლა 525—526: A. ნაცვალსახელები ლუმუქურად მე-XVIII ს. 525—526, B. ლუმუქური ნაცვალსახელები. პირთა ნაცვალსახელები 526. § 2. ლუმუქური ნაცვალსახელების ანალიზი 526—530.

თავი მეხუთე. არჭული ნაცვალსახელები 530—535.

§ 1. არჭული პირთა ნაცვალსახელები 530—532. § 2. კუთვნილებითი ნაცვალსახელები 532—533. § 3. არჭული უკუქცევითი ნაცვალსახელები 533—534. § 4. არჭული უკუქცევითი-კუთვნილებითი ნაცვალსახელები 534—535. § 5. კითხვითი ნაცვალსახელები 535.

თავი მეექვსე. ალულური ნაცვალსახელები 536—538.

§ 1. პირთა ნაცვალსახელები 536. § 2. კუთვნილებითი ნაცვალსახელები 536. § 3. ჩვენებითი ნაცვალსახელები 536—537. § 4. უკუქცევითი ნაცვალსახელი 537. § 5. კითხვითი ნაცვალსახელი 537—538. § 6. ალულური ნაცვალსახელების ანალიზი 538.

თავი მეშვიდე. წახურული ნაცვალსახელები 538—542.

§ 1. წახურული პირთა ნაცვალსახელები 538—539. § 2. კუთვნილებითი ნაცვალსახელები 539—540. § 3. უკუქცევითი ნაცვალსახელები 540—541. § 4. კითხვითი ნაცვალსახელები 541—542.

თავი მერვე. რუთულური ნაცვალსახელები 542—545.

§ 1. პირთა ნაცვალსახელები 543. § 2. რუთულური კუთვნილებითი სახელები 543. § 3. რუთულური ჩვენებითი ნაცვალსახელები 544. § 4. უკუქცევითი ნაცვალსახელები 544. § 5. კითხვითი ნაცვალსახელები 545.

თავი მეცხრე. კურული ნაცვალსახელები 545—547.

§ 1. პირთა ნაცვალსახელები 545—546. § 2. ჩვენებითი ნაცვალსახელები 546—547. § 3. უკუქცევითი ნაცვალსახელები 547. § 4. კითხვითი ნაცვალსახელები 547.

თავი მეათე. თაბასარანული ნაცვალსახელები 547—550.

§ 1. თაბასარანული პირთა ნაცვალსახელები 547—549. § 2. კუთვნილებითი ნაცვალსახელები 549. § 3. თაბასარანული ჩვენებითი ნაცვალსახელები 549. § 4. თაბასარანული უკუქცევითი ნაცვალსახელები 550. § 5. თაბასარანული კითხვითი ნაცვალსახელები 550.

თავი მეთერთმეტე. უდური ნაცვალსახელები 550—553.

§ 1. უდური პირთა ნაცვალსახელები 550—552. § 2. უდური კუთვნილებითი ნაცვალსახელები 552. § 3. უკუქცევითი ნაცვალსახელები 552. § 4. უდური ჩვენებითი ნაცვალსახელები 552—553. § 5. უდური კითხვითი ნაცვალსახელები 553.

თავი მეთორმეტე. აკუშური და ჰურკილური ნაცვალსახელები 553—556.

§ 1. მე-XVIII ს. აკუშური ნაცვალსახელები 553—554. § 2. ჰურკილური თანამედროვე პირთა ნაცვალსახელები 554. § 3. აკუშურ-ჰურკილური ნაცვალსახელების ანალიზი 554—556.

თავი მეცამეტე. ლეგურ-ალბანური ნაცვალსახელების ზოგადი მიმოხილვა 556—569.

§ 1. უკუქცევითი ნაცვალსახელები 557—560. § 2. ჩვენებითი ნაცვალსახელების სხვადასხვაობანი, აღნაგობა და სადაურობა 560—561. § 3. პირთა ზოგადად, მეტადრე-კი მხოლოობითი რიცხვის ნაცვალსახელების აგებულება 561—562. § 4. მრავლობითი რიცხვის პირთა ნაცვალსახელების აგებულება და ნაწილები 562—567. § 5. პირთა ნაცვალსახელების გრამ. სქეს-კატეგორიების საკითხი 567-569.

V ქართულ-ღილღურ-სინდურ-ლეგურ-ალბანურ ნაცვალსახელების ნათესაობა 569—581.

კარი მეექვსე. ზმნა. სიტყვათა ძირების ნათესაობა. დასკვნა 583—625.

ზმნა. დასახული ამოცანა და ფარგლები 585—611.

1. ქართულ-ქართველური ზმნა 586—588. 2, სინდური ენების ზმნა 588—591. 3. ღილღურ-ლეგურ-ალბანური ზმნა 591—611.

ქართველურ-სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანური ენების სიტყვათა ძირების ნათესაობა 611—621.

დასკვნა 621—625

საძიებლები 627

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

წინამდებარე გამოკვლევა მეორე წიგნია იმ წიგნთა სამეულად განზრახულისა და დაწერილისაგან, რომელშიც ქართველთა უუძველესი ხანის ენისა და კულტურის მთავარი საკითხები უნდა იყოს განხილულ-გაშუქებული. ამ სამეულის პირველი წიგნი საქართველოს, იმიერ-ამიერ-კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიურ პრობლემებს ეხება. მეორე, წინამდებარე, წიგნის ამოცანას ქართულ-ქართველური და ე. წ. კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნების, აგებულებისა და ნათესაობის საკითხის გამორკვევა შეადგენს. აქ, მაშასადამე, პრობლემის ენათმეცნიერული თვალსაზრისით განხილვისა და გადაჭრის ცდაა. მესამე წიგნში ქართველთა და კავკასიელთა უუძველესი ხანის კულტურული ვითარებისა და ისტორიის ზოგადი მონახაზი იქმნება წარმოდგენილი ენისა, ზნეჩვეულებათა ანალიზისა და ნივთიერი კულტურის არქეოლოგიური ძეგლების მარაგის მიხედვით.

თუმცა უკეთესი იყო, რომ ამ სამეულითგან ჯერ პირველი წიგნი გამოქვეყნებულიყო, ხოლო შემდეგ მეორე და მესამე, მაგრამ, რაკი ამ ენათა თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის პრობლემა ყველაზე რთულსა და თანაც ძირითადს ამოცანას წარმოადგენს, სწორედ ამიტომ პირველად მეორე წიგნის დაბეჭდვა ვამჯობინე.

ამ სამი წიგნისათვის დასახული მიზანი „ქართველი ერის ისტორიის“ მესამეს, შევსებულ, გამოცემაზე მუშაობამ წარმოშვა, რათგან ჩემთვის ცხადი შეიქმნა, რომ მარტო არსებული ეთნოლოგიური და ენათმეცნიერული წყაროების გამოყენებითა და მხოლოდ ქართულ-ქართველური ენოვანი მასალის ანალიზით ქართველთა სადაურობისა და უძველესი კულტურის საკითხების გამორკვევა და გადაჭრა შეუძლებელია. ამისთვის ე წ. კავკასიური ერებისა და ენების ეთნოგრაფიული და ლინგვისტიკური მასალების გამოყენება მაინც აუცილებლად საჭიროა. ესოდენ ფართოდ შემოფარგლულ არეზე დამყარებული და ამდენად რთული ამოცანების დამსახველი გამოკვლევა, ცხადია, „ქართველი ერის ისტორიის“ I წიგნში ეღარ დაეტეოდა და ამიტომ ცალკეულ წიგნად, ანდა წიგნებადაც-კი უნდა გამოყოფილიყო.

როდესაც „ქართველი ერის ისტორიის“ I წიგნს ვწერდი, ქართულ ქართველურს ლინგვისტიკურ საკითხებზე მსჯელობის დროს, პროფ. ნ. მ ა რ რ ი ს ნაშრომებს და თეორიას ვემყარებოდი, რომელიც მაშინ შეუმცდარად მეჩვენებოდა. I წიგნის მეორე, გაფართოებულს გამოცემაზე მუშაობამ უკვე დამარწმუნა, რომ ქართულის სემურობის თეორიის დასაბუთება არც ისე მტკიცე იყო, როგორც წინათ მეგონა, და არა ერთი ფრიად დამაფიქრებელი გარემოება და მოსაზრება მას მეტად სათუოდა ხდიდა. მაგრამ, რაკი მაშინ არავითარი სხვა თეორია არ არსებობდა, რომ სემურ-იაფეტურობის მაგიერობა გაეწია, ამიტომ, რამდენადაც მეორე გამოცემაშიც იმ დროს გაბატონებული დებულების

-ანარეკლი მაინც უნდა ყოფილიყო, იმდენად ნ. მარის თეორიის მაშინდელი ვითარება იქ ალბეჭდილია. ჩახედული მკითხველი შეამჩნევს, რომ ზოგიერთი დამაეჭვებელი გარემოება იქაც უკვე არის აღნიშნული.

პირველი წიგნის მესამე გამოცემის შესავსებად მუშაობა უკვე იმ დროს მომიხდა, როდესაც წინანდელი დებულებების გამეორება უკვე სრულებით შეუძლებელი იყო.

ბუნებრივია, რომ ვითარცა ისტორიკოსი, ჩემს საისტორიო ნაშრომში ენათმეცნიერული საკითხების განხილვის დროს ამ სამეცნიერო დარგის მკვლევართ დავმყარებოდი, მაგრამ ქართული ენათმეცნიერება ქართული ენის თავდაპირველი ბუნების საკითხს მაშინ არ ეხებოდა,— იქნებ იმიტომ, რომ მისი ბუნება უუძველესი დროითგანვე მოყოლებული არსებითად უცვლელად დაცულად მიაჩნდა,— არც მის სხვა ენებთან მონათესავეობაზე აწვდიდა ისტორიკოსს რაიმე დასკვნას. ასეთ პირობებში, ან ქართველი ერის ისტორიის დასაწყისი ხანის განხილვის დროს ზემოაღნიშნული პრობლემების შესახებ მსჯელობაზე უნდა უარი მეთქვა, ან და ამ საკითხების შესწავლას თვით შევდგომოდი. მოფიქრების შემდეგ გადავწყვიტე, რომ სრული დუმილი მართებული არ იქმნებოდა და არსებული წყაროების გამოყენებით უნდა როგორმე ზემოაღნიშნული პრობლემების ცოტაოდნად გაშუქება მაინც მეცადნა. ამ გარემოების გამო და ასეთ პირობებში მომიხდა სამეცნიერო კვლევა-ძიების იმ სფეროში ჩაბმა, რომელშიც შეჭრას, რაკი იგი ჩემს სპეციალობას არ შეადგენს, ვერიდებოდი.

თავდაპირველად ვფიქრობდი მარტო არსებული წყაროების კრიტიკული განხილვით, მოპოვებული შედეგის ზოგადი შეფასებითა და სამომავლო ამოცანების გამორკვევით დავკმაყოფილებულიყავი, მაგრამ უკვე ქართულისა და ქართველური, ისევე როგორც ე. წ. კავკასიის ენებზე დაწერილი გამოკვლევების გულდასმითმა შესწავლამ ბევრი რამის გათვალისწინების საშუალება მომცა: მათი ღირსება-ნაკლიც დამანახვა და ისიც გამაგებინა, თუ რატომ გამოდგა უნაყოფო ყოველივე ცდა ქართულ-ქართველური და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის გამოსარკვევად. ცხადი შეიქმნა, რომ ამ უნაყოფოების ერთ მიზეზთაგანს იმ მეთოდოლოგიური პრინციპების გაუთვალისწინებლობაც შეადგენდა, რომელთა გამოყენებით ეს უაღრესად რთული აგებულების ენები უნდა გამოკვლეული ყოფილიყო. იმ საკითხზეც-კი, თუ რა ენოვანი მასალის შესწავლა უფრო იყო მიზანშეწონილი და საჭირო, არავის არც უმსჯელია და, როგორიც ჩანს, არც უფიქრია.

ამ საკითხების ჯერ განხილვამ, ხოლო შემდეგ ასეთი ენოვანი მასალის შესწავლამ ქართული ენის აგებულების ისეთი ოდინდელი თვისება დამანახა, რომლის ქართულში ოდესმე არსებობა აზრადაც-კი არ მოგვსვლია. ამ მიმართულებით მუშაობის თანდათანმა გაღრმავებამა და გაფართოებამ დამარწმუნა, რომ თურმე ხშირად სიტყვების ძირები იქ არ გვეგულებოდა, სადაც ნამდვილად ყოფილა, სიტყვათა და ფორმათა მაწარმოებლებადაც, ფორმანტებად, ზოგჯერ ძირის უცილობელი ნაწილი გვქონია მიჩნეული და ვერ ვხედავდით მაწარმოებელს, ფორმანტს, იქ, სადაც იგი თურმე ნამდვილად საძებნელია. ასეთივე გარემოება გამოირკვა ჩრდილო-კავკასიის იმ ენებშიც, რომელთაც, ქართულისა და

ქართველურის მსგავსად, გრამატიკული სქესი არა აქვთ. ცხადი ხდებოდა, რომ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ქართულისაცა და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება ძალზე შეცვლილა.

მუშაობის ასეთმა მოულოდნელმა შედეგმა იმედი მომცა, რომ ამ სფეროში და ამ მეთოდოლოგიური საშუალებით კვლევა-ძიება ამაო ცდა არ უნდა ყოფილიყო. გადავწყვიტე, რომ ამის შემდეგ დაწყებული საქმის მიტოვება უკვე აღარ შეიძლებოდა, არამედ პირიქით მისი წინანდელზე უფრო ენერგიულად გაგრძელება და უფრო მეტად გაღრმავება-გაფართოვება იყო საჭირო. მართლაც, მუშაობის გაგრძელებისთანავე, რაც უფრო წინ მიდიოდა კვლევა-ძიება და ახალ-ახალი გარემოება მჟღავნდებოდა, დასაწყისში მოპოებულ დაკვირვებათა და დასკვნების სისწორე სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა და ქართული და კავკასიური ენების ოდინდელი თვისების არსებობა მეტყველების სხვა ნაწილების შესწავლა-ანალიზის გზითაც დადასტურდა. ამის შემდეგ რიცხვითი სახელებისა და ნაცვალსახელების აღნაგობაც, შემადგენელი ნაწილების რაობაცა და თავდაპირველი მნიშვნელობაც სულ სხვანაირად წარმოგვიდგა, ვიდრე წინათ იყო მიღებული.

კვლევა-ძიების დაწინაურებასთან ერთად თანდათან ირკვეოდა, რომ თავდაპირველად ქართველური და ე. წ. კავკასიური ენები ერთიდაიმავე ბუნებისა დაუმჭიდროესად მონათესავე ენები ყოფილა და რომ მხოლოდ შემდეგში, სხვადასხვა მიზეზის გამო დროთა განმავლობაში დაჰშორებიან ერთმანერთს და სამხუთ დიდ მთავარ ენათა ჯგუფად ქცეულან.

რასაკვირველია, ყველა ამის შემდგომ ცხადი უნდა გამხდარიყო, რომ ყველა საკითხები და წინანდელი ჩვენი დებულებები უნდა ხელახლად გადაშინჯული და ამ ახალი მიმართულებითა და მეთოდებით გულდასმით კვლავ შესწავლილი ყოფილიყო.

ძველი და საშუალო საუკუნეების ბერძნული, რომაული, ქართული, სომხური, არაბული და სხვ. წყაროების მიხედვით პარალელურად წარმოებულმა ისტორიულ-გეოგრაფიულისა და ეთნოლოგიური პრობლემების კრიტიკულმა განხილვამაც საშუალება მოგვცა ენათმეცნიერული გზით მოპოებული დასკვნების სისწორე შეგვემოწმებინა. ამ მუშაობის დროსაც ბევრი ახალი საგულისხმო გარემოება გამომჟღავნდა.

დასასრულ, ქართველური და შარომატული (სარმატული), ანუ ჩრდილოკავკასიური ენების თავდაპირველი აგებულების მთავარი დამახასიათებელი თვისებების გამორკვევის შემდგომ, მათი ლექსიკური საგანძურის ამავე მეთოდებით წარმოებულმა ცალ-ცალკეულმა და შედარებითმა შესწავლამაც დამარწმუნა, რომ ამ გზით შესაძლებელია მეცნიერებას ამ ტომებისა და ერების უძველესი ხანის ნივთიერი კულტურისა და მსოფლმხედველობის სხვადასხვა მხარე გადაეშალოს თვალ წინ და არა ერთხელ სრულებით ახალი და ფრიად საგულისხმო ფაქტებიც შეეძინოს. ფართო და მიმზიდველი პერსპექტივები ისახებოდა.

ამის შემდგომ დაწყებული კვლევა-ძიების მთავარი პრობლემების არსებითი ნაწილი შესაძლებელი იყო უკვე თითქოს დამთავრებულად მიმეჩნია, მაგრამ, მოპოვებული ახალი მოულოდნელი დასკვნების სისწორის შესამოწმებლად, გადა-

ვწყვიტე ყველა ძირითადი საკითხები საჯარო მოხსენების საშუალებით სამეცნიერო კამათის საგნად მექცია. ამ მიზნით 1925 წ. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ჩვეულებრივს ორ საზოგადო კრებაზე 27 და 28 ივნისს სამ-სამ საათიანი მოხსენება წავიკითხე. მსჯელობა დამაიმედებელი გამოდგა და შესაძლებელი იყო ჩემი ნაშრომის გამოქვეყნებას შევდგომოდი, მაგრამ მაინც კვლევა-ძიების გაღრმავება-გაფართოების მიზნით მუშაობის გაგრძელება ვამჯობინე უკანასკნელ წლამდე, სანამ ბეჭდვა არ დაიწყო, ამ ნაშრომის შეძლებისდაგვარად შევსებაზე მუშაობა არ შემიწყვეტია. ამნაირად 1923 წ. დაწყებული საქმე მხოლოდ 1937 წ. შემეძლო, ავად, თუ კარგად, დამთავრებულად მიმეჩნია.

ასეთი ხანგრძლივი კვლევა-ძიების შემდგომაც, კარგად მესმის, რომ ამნაირი რთული და პასუხსაგები პრობლემების სრულებით ახალი თვალსაზრისით განხილვისა და დებულებათა წამოყენების დროს, შეცდომებისაგან თავის დაღწევა ძალიან ძნელია. მეცნიერებამ მრავალი მაგალითი იცის, როდესაც არამც თუ თვით ავტორის მიერ შეუმცდარად აღიარებული, არამედ ფართოდ განმტკიცებული მოძღვრებაც-კი მცდარი გამომდგარა და წინათ ურყევ ჭეშმარიტებად მიჩნეული სრულებით უკუგდებული ყოფილა. მით უმეტეს შეცდომებისაგან თავის დაცვა ძნელია ე. წ. კავკასიურ ენათა კვლევა-ძიების სფეროში, სადაც ბაბილონის ენათა აღრევის მსგავსს მოვლენას ზედ უაღრესად გამართულებელ გარემოებად ტრანსკრიფციათა, ტერმინოლოგიისა და თეორიების აღრევაც ერთვის. რა თქმა უნდა, არაერთი აქ წამოყენებული ეტიმოლოგიის მაგიერ სხვა განმარტების წამოყენებაც შეიძლება, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, რომ მოპოებული შედეგის მთავარი ნაწილი, ძირითადი დებულებანი, არ უნდა იყოს მცდარი. მაგრამ, თუნდაც ბედმა მიმტყუნოს და ჩემი ეს მოლოდინი მომავალში არ გამართლდეს, მაინც ვფიქრობ, რომ მხოლოდ ამ მეთოდოლოგიური გზითა და ამნაირი ენოვანი მასალის ანალიზით არის იმ მრავალ საუკუნოვანი ამოცანის გადაჭრა შესაძლებელი, რომელსაც ე. წ. კავკასიური ენების ბუნებისა და ნათესაობის საკითხი წარმოადგენს: იმედია, მომავალში მაინც, სხვები ამ პირველი ცდის ავტორზე უფრო უკეთესად და დამაჯერებლად შესძლებენ ამ პრობლემების გაშუქებას. თუ ჩემი ნამუშავარი, რომელსაც ამოდენა დრო და ძალა შევალიე, ამ მხრივ მაინც მეცნიერებას სამსახურს გაუწევს, ესეც გაწეული შრომისათვის ზნეობრივი ჯილდო იქმნებოდა.

წინამდებარე წიგნი, ვითარცა ახალი თვალსაზრისითა და მეთოდების მიხედვით დაწერილი, თანაც ფრიად პასუხსაგები დასკვნების შემცველი, რასაკვირველია, უნდა ისე ყოფილიყო შედგენილი, რომ თითოეული ცალკეული დაკვირვებაცა და ზოგადი დასკვნებიც, რაც შეიძლება მეტად, ყოფილიყო დასაბუთებული. ამიტომ, ყველა მთავარი პრობლემების განხილვის დროს, ჯერ ცალკეული ენოვანი ერთეულის მასალის ანალიზია ხოლმე მოყვანილი, შემდეგ ენათა ჯგუფების საერთო დახასიათებაა, სულ ბოლოს-კი შედარებითს შესწავლაზე დამყარებული ზოგადი დასკვნაა ხოლმე დართული. სხვანაირად დასახული ამოცანის არც გადაჭრა შეიძლებოდა და, უეჭველია, არც მოპოებული შედეგის მოთხრობას ექმნებოდა სათანადო დამაჯერებელი ძალა. ასეთი გეგმითა და წესით

დაწერილი წიგნი, რასაკვირველია, მეტად სპეციალურ გამოკვლევად და არასპეციალისტებისათვის ძნელ წასაკითხ ნაშრომად უნდა ქცეულიყო, მაგრამ ახალი პრობლემების გადაჭრის პირველი ცდის დროს სხვა გზა მიზანშეწონილი არ იქმნებოდა.

მაინც ისევე, როგორც ამ წიგნში ენათმეცნიერული პრობლემების განხილვა ისტორიული ამოცანების გადასაჭრელად მათი გამორკვევის აუცილებლობით იყო ნაკარნახევი, საფიქრებელია, რომ ამ წიგნის შინაარსი საქართველოს ისტორიის სხვა მკვლევართათვის და განათლებულ მკითხველებისათვისაც უნდა საინტერესო იყოს. ცხადია, რომ არასპეციალისტს იმდენად სპეციალური ხასიათის კვლევა-ძიება არ მიიზიდავს, რამდენადაც საერთო დასკვნებისა და ზოგადი პრობლემების განხილვა. ასეთ მკითხველს შეეძლო სურვილისამებრ პირველი და მეორე კარის მთლიანად გაცნობის შემდეგ, მესამე კარითგან მოყოლებული უკვე მხოლოდ ქართულის შესახები მსჯელობა გადაეკითხა, ე. წ. კავკასიური ენების შესახებ-კი მათი აღნაგობის ზოგადი დახასიათებისა და ქართველურ-კავკასიური ენების შედარებითი შესწავლის შემცველი თავების გაცნობით დაკმაყოფილებულიყო. თუმცა-კი, ჩემი ღრმა რწმენით, რაკი გამოირკვა, რომ ე. წ. კავკასიური ენები ჩვენი წინაპრების მოძმე ტომთა ენები ყოფილა, ყოველი განათლებული ქართველი ვალდებულია ამ ენების და ტომების ისტორია ისევე იცოდეს, როგორც თავის ერისა და ქვეყნის, მაშასადამე, იმდენი მოთმინება და გულმოდგინეობაც უნდა აღმოაჩნდეს, რომ სიძნელეს არ შეუშინდეს და საკითხი საფუძვლიანად შეისწავლოს.

ცხადია, რომ ენათმეცნიერული ამოცანები უწინარესად ამ დარგის მკვლევართათვის დამაჯერებელი საბუთიანობით უნდა იყოს წარმოდგენილი. რამდენადაც წინამდებარე ნაშრომს სწორედ ასეთი მიზანი აქვს დასახული, იგიც ამავე მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს. ამ წიგნის ავტორისათვის, ვითარცა ისტორიკოსისათვის, ეს ძნელად დასაძლევ ამოცანას წარმოადგენდა. ენათმეცნიერული თვალსაზრისით დაწერილს ასეთ გამოკვლევას, რასაკვირველია, უნდა წინ ქართველური და კავკასიური ენების ფონეტიკა ჰქონოდა წაძღოლილი. თავდაპირველად ასეც მქონდა განზრახული და ამისთვის მასალებიც დამზადებული მაქვს, მაგრამ დასაბეჭდავად წიგნის საბოლოოდ დამუშავების წინ, გადავწყვიტე, რომ მხოლოდ ცალკეული დებულებისათვის აუცილებლად საჭირო ფონეტიკური მაგალითების მოყვანით დავკმაყოფილებულიყავი.

ორმა მოსაზრებამ მაიძულა ამ გადაწყვეტილებას დავდგომოდი: მეტად მძიმე ტვირთად აწვებოდა ისედაც უაღრესად ძნელ წასაკითხ წიგნს, რომ კიდევ ისეთი „მშრალი" მასალა დართოდა ცალკეულ კარად! მაგრამ მაინც უმთავრესად კვლევა-ძიების პროცესში ახლად გამორკვეულმა მნიშვნელოვანმა პრინციპულმა გარემოებამ გადამადგმევინა ეს ნაბიჯი. რაც უფრო წინ მიდიოდა სიტყვათა ანალიზი და მათი თავდაპირველი აღნაგობის მიგნება ხერხდებოდა, სულ უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, რომ წინათ წმინდა ფონეტიკურ მოვლენად მისაჩნევი, ბევრ შემთხვევაში ნამდვილად მორფოლოგიური მოვლენის ანარეკლი ყოფილა. თუმცა ეს ერთი შეხედვით თითქოს პარადოქსულს შთაბეჭდილებას ახდენდა, მაგრამ თანდათან დავრწმუნდი, რომ ისევე, როგორც მორფოლოგიის

გასაკვლევად ფონეტიკაა საჭირო, შეუმცდარი ფონეტიკის შექმნაც მორფოლოგიის გაუთვალისწინებლივ შეუძლებელი ყოფილა. ქართველურ-კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნების საკითხის გადასაჭრელად-კი უმთავრესი მნიშვნელობა მორფოლოგიური აღნაგობის გამორკვევას აქვს, რომლის მიგნების შემდეგაც ფონეტიკური მოვლენებიც ბევრჯელ სულ სხვანაირად წარმოგვიდგება.

ე. წ. კავკას. ენებზე მუშაობის დროს ყველა წყაროების შოვნა ტფილისში ვერ შევძელი, ამიტომ წყაროების მიმოხილვა სრული არ არის. მხოლოდ სხვა მკვლევართა დახმარებამ მომცა საშუალება უმთავრესი მაინც ხელთ მქონოდა. ამას გარდა, ვითარცა ისტორიკოსს და არა ენათმეცნიერს, რომელსაც კავკას. ენებზე სპეციალურად არ უმუშავნია, ამ ენებზე მომუშავე ჩვენ მკვლევართა შეწუხებაც არაერთხელ მიხდებოდა. მათი კონსულტაცია საშუალებას მაძლევდა წყაროების მცდარი ცნობებიც თავითგან ამეცილებინა და ზოგი ახლითაც მესარგებლა. თითოეული მათგანის დახმარება სათანადო ადგილასაც მადლობით მაქვს მოხსენებული და აქაც ყველას დიდ მადლობას მოვახსენებ. მეტადრე სამი მკვლევარის, პროფ. ვ. თოფურიას (ლეკურისათვის), პროფ. არნ. ჩიქობავას (ლუნძურისათვის) და პროფ. ს. ჯანაშიას (აბხაზურისა და სინდური ენებისთვის) დახმარებით ვარ დავალებული, რომელთაგან ორ პირველს ჩემთან ერთად კორექტურული ფურცლების თავითგან ბოლომდის გადაკითხვის მძიმე ტვირთიც გაზიარებული აქვს. სამივეს გულწრფელ მხურვალე მადლობას მოვახსენებ. დასასრულ უნდა აღვნიშნო, რომ მეცნ. აკადემიის საქ. ფილიალისა და ენისა, ისტორიის და მატერ. კულტურის აკად. ნ. მარრის სახელობის ინსტიტუტის პრეზიდიუმებმაც არაფერი დაზოგეს, რომ ამ მეტად ძნელი დასაბეჭდი წიგნის გამოცემა დაეწინაურებინათ, და მათაც, პროფ. ნ. მუსხელიშვილს და ვ. იმედაძეს, პროფ. სვ. ჯანაშიასა და ვ. მაჭავარიანს, რასაკვირველია, გულითად მადლობას მოვახსენებ. განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნით ჩემ მხრით ამ წიგნის კორექტორებს: შ. ჭუმბურიძეს (1—20 თაბახამდე), საქ. მუზ. ისტ. განყოფილების უფროს მეცნ. მუშ. სტ. მენთეშაშვილს (თავითგან ბოლომდე), დოც. ვლ. ფუთურიძეს (მე-20 თაბახ. ბოლომდე) და თ. ანდღულაძეს (მე-40-თგან უკანასკნელ თაბახამდე), რომელთაგან სტ. მენთეშაშვილს ამ წიგნის ვრცელი საძიებელიც აქვს შედგენილი, ვლ. ფუთურიძეს-კი სარჩევი. ყველა მათ, მეტადრე სტ. მენთეშაშვილს და ვ. ფუთურიძეს მხურვალე მადლობას მოვახსენებ. ვერ დავივიწყებ სტამბისა და ასოთამწყობთა ღვაწლსაც, რათგან მათ ასეთი მეტად ძნელი ასაწყობ-დასაბეჭდ მრავალ-შრიფტიანი და ახალი ტრანსკრიფციიანი წიგნის გამოცემას თავიანთი მხრით ხელი შეუწყეს, ამიტომ გამომშვებს გ. იამანიძეს, საამწყობრო ცეხის უფროსს გ. ოგანეზოვს, სტამბის მეტრანპაჟს ბ. მატინიანსა და ასოთამწყობებს: ვ. ესაიაშვილს, დ. ბერიძეს, ა. შიუკაშვილსა და მ. აბუთიძესაც მადლობას ვუძლვნი.

ტფილისს 1937. 25. XI. **ივ. ჯავახიშვილი**

კარი პირველი

ქართულ-ქართველურისა და ე. წ. კავკასიის ენების შესახები მწერლობის მოკლე მიმოხილვა

ქართულ-ქართველურისა და ე. წ. კავკასიის ენების შესახები მწერლობის მოკლე მიმოხილვა.

კავკასიის მრავალენიანობა უკვე ბერძენ და რომაელ ისტორიკოსებს, გეოგრაფებსა და მეცნიერებს აინტერესებდათ. ზოგიერთ მათგანს, როგორც დავრწმუნდით (იხ. ამ გამოკვლევის I წიგნი), ამ ენებისა და ერების წარმოშობილება-ნათესაობაზე თავიანთი, თუ თავის-დროინდელი თეორიებიც-კი აქვთ მოყვანილი. მაგრამ არც ერთი ამ თეორიათაგანი კავკასიელთა ენის შესწავლის შედეგს არ წარმოადგენს.

„ძველი ქართული საისტორიო მწერლობის მიმოხილვა"-ში აღნიშნული მაქვს, რომ კავკასიის მოსახლეობისა და ენათა ნათესაობის საკითხი ძველ ქართ. ისტორიკოსებსა და გეოგრაფ ვ ა ხ უ შ ტ ს ა ც არ გამოჰპარვიათ: თავ-თავიანთი აზრი და თეორიები მათაც ჰქონდათ გამოთქმული, მაგრამ არც მათი მოსაზრებანია ენის თვისების დაკვირვებაზე დამყარებული. კავკასიელთა შესახებ არაბ გეოგრაფებსაც მოეპოებათ ცნობები. მათთვისაც ისევე, როგორც ძველად ბერძნებისა და რომაელებისათვის, კავკასია **„ენათა მთას"** წარმოადგენდა და ეს ქვეყანა თავისი მრავალფეროვანობით მათზეც თავბრუდამსხმელ შთაბეჭდილებას ახდენდა. თუნდაც ამის გამო არც მოსალოდნელია, რომ არაბი გეოგრაფების ცნობები კავკასიაში მცხოვრები ერების შესახებ მათ ენათა მსგავსება-განსხვავებაზე ყოფილიყო დამყარებული. როგორც ამ გამოკვლევის I წიგნში აღნიშნული მაქვს, არაბი გეოგრაფების ცნობები მხოლოდ პოლიტიკურად მნიშვნელოვან ერთეულებს ეხება და სხვა არავითარი თვალსაზრისით მათ არ უხელმძღვანელნიათ.

ამ ნაშრომის თავ-თავის ადგილას დავრწმუნდებით, რომ არა ერთი საგულისხმო ენოვანი დაკვირვება თავის ლექსიკონის სხვადასხვა სიტყვის განმარტებაში ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს ა ც მოეპოება, მაგრამ მაშინდელი მთლიანი მოძღვრება ქართული ენის აგებულებაზე მაინც არსადა ჩანს. ცხადია, რომ სხვებზე უწინარეს ქართული ენის ბუნებასა და აგებულებაზე უნდა ძველ ქართ. გამოჩენილ მთარგმნელებსა და მეცნიერ ფილოლოგოსებსა ჰქონოდათ და, როგორც ე ფ რ ე მ მ ც ი რ ი ს წერილითგან ჩანს, მათ სცოდნიათ კიდევაც „ზედმიწევნით რაბამობაჲ ბერძენთა და ქართველთა ენებისაჲ" (იხ. ჩემი: ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები, წიგნი I[1], 94 და I[2], 148). შესაძლებელია ქართ. ენის რაბამობის ეს თავიანთი ცოდნა ე ფ თ ჳ მ ე მ თ ა წ მ ი დ ე ლ ს, გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ს, ე ფ რ ე მ მ ც ი რ ე ს, ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ს, ან რომელსამე მათგანს წერილობითაც ჰქონდათ აღბეჭდილი. ა ნ ტ ო ნ კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ს

ვნებითი სახელზმნის ფორმის არსებობისა და მისი ნიშნის აღმომჩენელად სწორედ იოანე პეტრიწი ჰყავს დასახელებული (იხ. ალ. ცაგარელის О грам. литературе грузинскаго языка გვ. 11—12).

ანტონ კათალიკოზს სახელდობრ ნათქვამი აქვს: სახელზმნა „თავით თჳსით ვერ შეგჳქმს იდეასა გაუსაზღურებელი ვითარებისა მიმართ თჳსისა, გარნა რომელსაცა შინა სიტყუასა მდებარებს ბუნება მისი, განარჩევს მას, არსებითი არს, ანუ უმეშჵჲობითი, შემოქმედებითი, ანუ ვნებითი. ხოლო, თუ სადმე მარტოებს, მაშინ ვნებითი ჯერ-არს განრჩევად უკმოდსა ამის მიერ, რომელა ვ. რამეთუ ესე იოანე ფილოსოფოსისაგან ქმნული კანონი არს, მაგალითებრ: „ჭამვად, წერვად, შეწირვად“-ო (ქართ. ღრამატ. § 257, რ. ერისთავის გამ. გვ. 168—169).

პროფ. ალ. ცაგარელს აღნიშნული აქვს, რომ ასეთი წარმოება ხელოვნურადაა შეთხზული, ამიტომ ეს „კანონი“ ქართ. ენის აგებულებას არ შეეფერება. მაგრამ ანტონი კათალიკოზის ზემომოყვანილი ცნობა ცხადჰყოფს, რომ ქართ. ენის აგებულების ზოგიერთი მოვლენის შესახებ მაინც იოანე ფილოსოფოსს რაღაც ნაშრომი ჰქონია, რომელიც, როგორც ჩანს, ანტონის დროსაც ჯერ კიდევ არსებობდა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მომავალში ხელთნაწერების შესწავლამ შესაძლებელია ძველ ქართველ გრამატიკოსთა და მთარგმნელების დაკვირვება აღმოაჩინოს კიდევაც და მაშინ ამ საკითხზე მსჯელობა გაადვილდეს, მაგრამ ჯერჯერობით ზურაბ შანშოვანის 1737 წლისა და ანტონი კათალიკოზის 1753 და 1767 წ.წ.-ზე უწინარესი არც ერთი ქართ. გრამატიკული ნაშრომი აღმოჩენილი არ არის. თვით ის ცალკეული გრამატიკული დაკვირვებანი, რომელნიც ეფთჳმე და გიორგი მთაწმიდელებს, ეფრემ მცირეს, არსენი იყალთოელს და სხვებსაც სქოლიოებისა, თუ კიდურწერილობის სახით მოეპოვებათ, ჯერ არავის ამოუკრეფია და გამოუქვეყნებია. ამიტომ იმ საგულისხმო საკითხის გასათვალისწინებლად, თუ რა თვისებისა და ღირებულებისა იყო ძველ ქართველ მეცნიერთა ქართული და ბერძნული ენების რაბამობის ცოდნა, ჯერ თითქმის არავითარი მასალები არ მოგვეპოვება.

ზ. შანშოვანსაც, მეტადრე-კი ანტონ კათალიკოზს არა ერთი საგულისხმო ცალკეული ცნობა და დაკვირვება აქვთ, მაგრამ მათი გრამატიკები მხოლოდ პრაქტიკული მიზნით იყო დაწერილი და ამიტომ ვერც ერთს მათგანს დასახულ მიზანზე მეტს ადამიანი ვერც მოსთხოვს. ანტონს ნათქვამი აქვს: „ღრამატიკად ...არს შემძლებლობა მართლ-უბნობად და წესიერ-წერად და არარად მოყუარება სიბრძნისა იქმნების თჳნიერ მართლ-უბნობისა და წესიერწერისა“-ო (ღრამატ. 1 და 115, § 153).

ასე ვიწროდ შემოფარგლული მიზნისდა მიუხედავად, ანტონი კათალიკოზის ნიჭმა და მეცნიერული დაკვირვების უნარმა ქართ. ენის აგებულების არა ერთი იმ თავისებურების შემჩნევა და პირველად აღნიშვნა შეაძლებინა რომელიც თანამედროვე საენათმეცნიერო მწერლობაშიაც ცნობილია.

ანტონი კათალიკოზის ხელოვნური, სქოლასტიკური ენა და მეტადრე მისი გრამატიკული ტერმინოლოგიის თანამედროვე ტერმინოლოგიისაგან

განსხვავებულობა, მისი ნაშრომის გაგებასა და ჯეროვან შეფასებას მეტად აძნელებს. ანტონი კათალიკოზის ტერმინოლოგიის თანამედროვე შესატყვისობანი რომ გამორკვეული იყოს, მაშინ მისი ნაშრომის შინაარსიც ადვილი გასაგები გახდებოდა და ის ღვაწლიც, რომელიც ქართ. ენის შესწავლაში მას მიუძღვის, უფრო ცხადი შეიქმნებოდა.

ქართული ენის ბუნების შესწავლის ცდას თუმცა ევროპაში პირველად უკვე მე-XVII ს. მიჰყვეს ხელი და ჯერ მარია მაჯიის მიერ ლათინურად შედგენილი, შეცდომებით სავსე, ქართული გრამატიკა 1643-სა და 1670 წ. წ. დაიბეჭდა, ხოლო შემდეგ გამოჩენილმა მეცნიერმა და ფილოსოფოსმა ლაიბნიცმა რომში 1629 წ. გამოცემული შეცდომებითვე სავსე ქართ. ლექსიკონზე დაყრდნობით, 1695 წ., ქართული ენის ბერძნულთან მონათესაობის აზრი გამოსთქვა, მაგრამ ქართ. ენის ბუნების გამორკვევას უფრო ინტენსიურად მხოლოდ მე-XIX ს. შეუდგნენ.

1873 წ. გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში **„გრამატიკულ მწერლობაზე ქართული ენის შესახებ"** („О грамматической литературе грузинскаго языка" СПБ) ალ. ცაგარელს გამორკვეული აქვს, რომ თვალსაჩინო ნაყოფი არც ამ ცდას გამოუღია. ამის მთავარი მიზეზი ის გარემოება გახლავთ, რომ, თუმცა ამ საგანზე არა ერთი გამოჩენილი და სახელოვანი მეცნიერი მსჯელობდა, მაგრამ საუბედუროდ არც ერთს მათგანს, მარი ბროსსე-ს გარდა, არც ქართული სცოდნია და არც რაიმე წყაროები მოეპოვებოდა ხელთ, რომ ქართული შეესწავლა. ამიტომ მათი მსჯელობა შემთხვევითსა და უვარგის მასალაზე იყო დამყარებული.

რაკი ქართული ენის შესწავლის ამ ხანის საკმაოდ ვრცელი მიმოხილვა პროფ. ალ. ცაგარლის ზემოდ დასახელებულ ნაშრომში მოიპოება, ამიტომ აქ საკმარისია მხოლოდ მოკლედ აღინიშნოს, რომ ბროსსე და ბოპპ-ი **ქართულს ინდოევროპულ ენად სთვლიდენ**, მაქს მჳლლერ-ი **თურანულ ენათა ჯგუფის შორეულ, გადაგვარებულ ნათესავად**, ხოლო კლაპროთი, პოტტ-ი, ლეფსიუს-ი, ფრ. მჳლლერ-ი, ბენფეი და შპიგელი **ქართულს განმარტოებულ ენად აღიარებდენ.**

უკვე XVIII ს. დამლევს აკად. იოჰ. ანტონ გჳლდენშტედტ-მა საქართველოში 1772-3 წ. ყოფნისა და მოგზაურობის დროს, ქართული, მეგრული, სვანური და ჭანური სიტყვების პატარა შედარებითი ლექსიკონი შეადგინა და თავისი მოგზაურობის აღწერილობას დაურთო (R, II). ამით პირველი ნაბიჯი იქმნა გადადგმული ქართულ-მეგრულ-ჭანურ-სვანურის შედარებითი შესწავლისათვის მასალების შესაგროვებლად. ამაზე უფრო მეტი ასეთივე ენობრივი მასალები კლაპროთ-მა კავკასიასა და საქართველოში 1807-1808 წ. მოგზაურობის დროს შეაგროვა და მომცრო შედარებითი ლექსიკონის სახითვე თავის მოგზაურობის აღწერილობის დამატებაში გამოაქვეყნა გერმანულადაც (Anhang zur Reise in Kaukasus und nach Georgien 1812-14) და ფრანგულადაც (V. II). მაგრამ ორივე ეს ნაშრომი, სიტყვების უბრალო ჩანაწერს გარდა, არაფერს შეიცავს.

მხოლოდ 1884 წ. გამოქვეყნდა Dr. G. Rosen-ის შრომა ლაზური, ანუ ჭანური ენის შესახებ „Ueber die Sprache der Lazen", ორი წლის შემდგომ-კი იმავე ავტორის მეგრული, სვანური და აბხაზურის შესახები ნაშრომიც დაიბეჭდა „Ueber das Mingrelische, Suanische und Abchasische". თუმცა ამ გერმანელი მეცნიერის ზემოაღნიშნულ პატარა ორ ნაშრომში ავტორის დაკვირვების ალღო და უნარი ცხადად მოჩანს, მაგრამ, როგორც ალ. ცაგარელსაც აქვს აღნიშნული, მისი მასალები მეტად მცირე იყო, რომ მკითხველს როზენის დებულებათა დაჯერება შესძლებოდა (О грам. лит. გვ. 79—82).

სამწუხაროდ, ზემოჩამოთვლილი მეცნიერების თაოსნობას არავინ, არც ევროპაში, არც საქართველოსა და რუსეთში არ წაუხალისებია და მათ შემდგომ ამავე საკითხებისა და ქართულ-მეგრულ-ჭანურ-სვანურის უფრო გულდასმით შესწავლას არავინ შესდგომია.

საქართველოს მეთოდური მეცნიერული შესწავლის მეთაურად უცილობლად უნდა ფრანგი მარი ბროსსე იქმნეს ცნობილი, რომელმაც ჯერ კიდევ საფრანგეთში ყოფნის დროს ქართულის შეთვისება მოახერხა და ქართული ენის გრამატიკისა და საისტორიო ნაშრომის დაწერაცა და გამოქვეყნებაც შესძლო. რუს. სამეც. აკადემიისაგან 1836 წ. აკადემიკოსად არჩეულმა ბროსსემ 1837 წ-ითგან თავის მოღვაწეობა პეტერბურგში განაგრძო. აქ მან თავის გარშემო ადგილობრივი ქართველებიც შემოიკრიბა და მეტად ინტენსიური სამეცნიერო მუშაობაც გააჩაღა. მისი მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო: შესაძლებელია გადაუჭარბებლივ ითქვას, რომ ქართული კულტურის ისტორიის თითქმის არც ერთი სფერო არ დარჩენილა, რომლითაც ის ცოტად-თუ-ბევრად დაინტერესებული არ ყოფილიყო, მაგრამ მისი მოღვაწეობის მთავარ საზრუნავს მაინც ქართ. საისტორიო და სალიტერატურო წერილობითი ძეგლებისა და ნივთიერი კულტურის შესახები ცნობების შეგროვება-გამოქვეყნება შეადგენდა. ამ მხრივ მისი დამსახურება უდიდესია იმიტომაც, რომ, ამ ძეგლების ქართ. დედნებისა და მათი ფრანგული თარგმანების გამოქვეყნებისა და შესწავლის წყალობით, ერთსა-დაიმავე დროს დას. ევროპის მეცნიერებს სრული საშუალება მიეცათ ქართული წყაროები გამოეყენებინათ, ქართველებს-კი თავისი ქვეყნის წარსულის ევროპული სამეცნიერო მეთოდებით შესწავლის საუკეთესო მისაბაძი მაგალითი ენახათ. 1847-8 წ. საქართველოსა და კავკასიაში მოგზაურობამ ბროსსეს, უხვი ეპიგრაფიკული და არქეოლოგიური მასალის შეგროვებას გარდა, ადგილობრივ ქართველ მოღვაწეთა შორის არა ერთი გულმოდგინე შეგნებული თანამშრომელიც შესძინა, რომელთაც მისი მოღვაწეობის დიადი მიზნების განხორციელებას ხელი შეუწყეს.

მეცნიერული ქართველთა-მცოდნეობის დარგში მარი ბროსსეს დამსახურება განუზომელია. მისი სახელი, ვითარცა ევროპული მეცნიერების საქართველოში ჩამნერგველის, სამარადისოდ უკვდავი დარჩება, მაგრამ მაინც ბროსსე, თავის ქართ. გრამატიკისდა მიუხედავად, ბუნებითაცა და ცოდნისმოყვარეობის ინტერესითაც, **ენათმეცნიერი არ ყოფილა**. მას უმთავრესად ისტორია და მწერლობა ისევე, როგორც ნივთიერი კულტურის ნაშთები აინტერესებდა. ენის კვლევა-ძიებისათვის ამის გამო ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია.

საშწუხარო გარემოებაა, რომ, აკად. ბ რ ო ს ს ე ს ინტენსიური, გატაცებული მუშაობისდა მიუხედავად, ქართველთამცოდნეობამ ისევე, როგორც სომეხთამცოდნეობამ რუს ინტელიგენციაში არავითარი ინტერესი არ გამოიწვია, არც ერთი ამ ენათაგანი არც ერთ რუს მკვლევარს თავისი სამეცნ. მუშაობის საგნად არ გაუხდია. უკვე პროფ. ვ. ბ ა რ ტ ჰ ო ლ დ-მა აღნიშნა, რომ ეს სამეცნიერო დარგები უნივერსიტეტში მხოლოდ ქართველ და სომეხ მეცნიერთა ხელში იყო (История изучения Востока в Европе и России, გვ. 255).

ქართველთამცოდნეობის ისტორიულ-მწერლობითი მიმართულება ბ რ ო ს ს ე ს თაოსნობითვე XIX ს. 40-იან წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტში დაარსებულ ქართულისა და სომხურის კათედრაზეც გაბატონდა: პროფ. დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს მოღვაწეობაც ამავე დარგებს დასტრიალებდა. ენის შესწავლა, თუ წმინდა პრაქტიკული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად დაწერილ მოკლე ქართ. გრამატიკას არ ჩავთვლით, არც მისი მუშაობის საგანს შეადგენდა.

თვით საქართველოშიც, ბ რ ო ს ს ე ს გავლენითვე,' XIX ს-ში თითქმის განსაკუთრებით ისტორიისა, მხატვრული მწერლობისა და ნაშთების შესწავლით იყვნენ გატაცებული. ენის კვლევა-ძიებას არავინ დაუინტერესებია და, სასწავლო გრამატიკებს გარდა, ამ დარგში ჩვენშიც არაფერი გაკეთებულა.

ქართველთამცოდნეობის წმინდა საენათმეცნიერო დარგის თაოსნობა პროფ. ა ლ. ც ა გ ა რ ლ ი ს ღვაწლს შეადგენს. უკვე 1872 წ. მან პეტერბურგში ლითოგრაფიულად რუსულად? დაბეჭლილი, თუმცა პატარა, მაგრამ საინტერესოდ განზრახული ერთი შედარებითი გამოკვლევა გამოაქვეყნა, რომელსაც „კავკასიის ენათა იბერიული ჯგუფის შედარებითი მიმოხილვა“ ეწოდება, („Сравнительный обзор морфологии иберийской группы Кавказских языков“).

ერთი წლის შემდეგ, 1873 წ., გამოვიდა მისი დაბეჭდილი ნაშრომი, რომელიც ქართული ენის შესწავლის ვრცელს ისტორიულ-კრიტიკულ მიმოხილვას წარმოადგენს, „О грамматической литературе грузинскаго языка“ (СПБ) და რომელსაც დღევანდლამდე თავისი მნიშვნელობა შენარჩუნებული აქვს.

1876 — 1878 წ. მეგრული, ლაზური და სვანური მასალების შეგროვებისა და შესწავლის შემდგომ, 1880 წ. პროფ. ა ლ. ც ა გ ა რ ე ლ მ ა დაბეჭდა ორი წიგნი, რომელიც მეგრული ფონეტიკის შესწავლის პირველ მეცნიერულ ცდას წარმოადგენდა. ერთი წიგნი თვით ფონეტიკას შეიცავდა, ერთში კიდევ ადგილობრივ ჩაწერილი მეგრული ტექსტები იყო გამოქვეყნებული („Мингрельские этюды: I Мингрельские тексты,—II Опыт фонетики Мингрельскаго языка“).

იმ დროისათვის ორივე ეს წიგნი ქართველთამცოდნეობისათვის კარგ წვლილს წარმოადგენდა, რომელსაც მეგრულის მორფოლოგიაცა და ლაზურისა და სვანურის ენათმეცნიერული დახასიათებაც უნდა მოჰყოლოდა (Мингрельские этюды II, გვ. II-III, IV და VIII) და უეჭველია სხვების წახალისებაც შეეძლო, რომ ამ გზით ქართულისა და ქართველურის ენათმეცნიერული შესწავლა გაჩაღებულიყო, მაგრამ მოულოდნელად მთელი ეს ასე კარგად დაწყებული საქმე სრულებით უკუღმა დატრიალდა. ქართველთა მოძულე რუსიფიკატორმა მოხელეებმა ა ლ. ც ა გ ა რ ლ ი ს ნაშრომი, სრულებით მოულოდნელად, ისედაც დევნილი და დაბეჩავებული ქართული კულტურის საბოლოო განადგურებისათვის გა-

მოიყვნეს. ამ ფრიად საგულისხმო ამბის მოთხრობა წინამდებარე ზოგად მიმოხილვაში, რასაკვირველია, შეუძლებელია, მაგრამ მისი გახსენება იმდენად არის აუცილებელი, რამდენადაც ალ. ცაგარლისაგან დაწყებული კვლევა-ძიების სრული შეჩერების მიზეზს გვიხსნის. სასწავლო ოლქის მზრუნველის იანოვსკისა და სხვა რუს მოხელეთა წყალობით სამწერლობო ქართულის ენისა და კულტურის დევნა გაჩაღდა. იმავე დროს მეგრულისათვის ქართული დამწერლობის მაგიერ რუსული ანბანის ასოები იქმნა შემოღებული, ვითომცდა მეგრული კულტურის შესაქმნელად. რუსული ანბანის მეგრულისათვის დაკანონების გარემოება იანოვსკისა და მის თანამოაზრეთა ნამდვილ ზრახვასაცა და მიზანსაც საკმაოდ ააშკარავებდა, რომ ამით ვინმე საქართველოში მოტყუებულიყო. საბედნიეროდ მთელი სამეგრელოს საღმა მოქალაქობრივმა შეგნებამ და შორსგამჭვრეტელობამ მეფის მოხელეების მთელი ეს გეგმა ჩაშალა: მოსახლეობის ერთსულოვანი წინააღმდეგობის წყალობით, ეს საქმე სრულებით უნიადაგო გამოდგა. მაგრამ ამ უსიამოვნო ამბით გამოწვეულმა სულიერმა განწყობილებამ ალ. ცაგარლისაგან დაწყებული კვლევა-ძიება ხანგრძლივ შეაჩერა. სამწუხაროდ ამის შემდგომ თავისი საენათმეცნიერო მუშაობა თვით პროფ. ალ. ცაგარელმაც შესწყვიტა და იმ დროითგან მოყოლებული მეტი ამ დარგში აღარაფერი დაუწერია.

15 წლის განმავლობაში ამ საკითხზე აღარც ერთი ნაშრომი არ გამოქვეყნებულა და შეწყვეტილი მუშაობა მხოლოდ 1895 წ. განახლდა პეტრე ჭარაიას წყალობით. მან ალ. ცაგარლის ფონეტიკის პირველი ცდის შემავსებელ-შემასწორებელი საყურადღებო გამოკვლევა გამოაქვეყნა, რომელსაც სათაურად უწოდა **„მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან“** (ჟურნ. „მოამბე“-ში 1895 წ. X და XII №-ში და 1896 წ. I და II №-ში დაიბეჭდა).

1895 წ. ქართულის ენათმეცნიერული კვლევაძიების ასპარეზზე მოულოდნელად გამოჩენილი გრაცელი ენათმეცნიერი Hugo Schuchardt ჰუგო შუხარდტ-იც გამოდის. ამ წელს მან ვენაში გამოაქვეყნა თავისი გამოკვლევა „Über das Georgische“, **„ქართულის შესახებ“** და „Über den passiven Charakter des transitivs in den Kaukasischen Sprachen“, რომელიც ვენის მეცნიერებათა აკადემიის უწყებებში იყო მოთავსებული (133, I, 1—91). ხოლო 1896 წ. „Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes“-ში დაიბეჭდა მისივე **„ქართული ენათმეცნიერება“** „Karthwelische Sprachwissenschaft“ (იხ. № 10, გვ. 115—129 და 309—322). ამავე წელს შუხარდტმა გამოაქვეყნა ნაკვლევი **„ქართული ყე“** „Georgisches—qe“ (იხ. Mélanges Charles de Harlez, 1896 წ., გვ. 278—280) და **„ტორრო დელ გრეკოს ქართული ხელთნაწერები“** „Georgische Handschriften in Torro del Greco“ (იხ. Beilage zur Allgemeinen Zeitung, Augsburg, München, 1896 წ., 101, 5 და შემდ.). ერთი წლის შემდგომ, 1897 წ., მან გამოქვეყნება მოასწრო თავისი **„ქართული ენათმეცნიერების“** „Karthwelische Sprachwissenschaft“-ის გაგრძელებისაცა (იხ. Wiener Zeitschr. f. d. Kunde d. Morgenlandes 1897 წ., № 11, გვ. 167—180) და **„ქართველური ენების გეოგრაფიისა და სტატისტიკისათვის“**-აც „Zur Geographie und Statistik der Karthwelischen (Südkaukasischen) Sprachen“ რუკითურთ (იხ. Petermanns Geogr. Mitt. 1897 წ.

გვ. 49—59, 80—86, 119—127), რომლის დამახინჯებული რუს. თარგმანი კავკასიის ოლქის მზრუნველის კრებულში იყო დაბეჭდილი (იხ. СМОМПК вып. 26).

ვითარცა ერთი საუკეთესო ენათმეცნიერთაგანის და მრავალი ენების, მათ შორის ესპანური იბერულისა და ბასკურის, მცოდნეს, შუხარდტის ქართულ ენათმეცნიერებაში მონაწილეობა ფრიად სასიხარულო და მნიშვნელოვანი იყო. ყოველ მის ნაშრომში საყურადღებო დაკვირვებაა. მისი მახვილი გონების დამამტკიცებელია ხანმეტი ხელთნაწერის ის აღწერილობაც, რომელიც სამწუხაროდ მას თავის დროზე არ გამოუქვეყნებია და დაუმთავრებელი დაჰრჩა და მხოლოდ ამ სახით ტფილისის უნივერსიტეტის მოამბეში 1927-28 წ. დაიბეჭდა (VIII წიგნი, გვ. 347—376) „Mitteilungen aus georgischen Handschriften“-ის სათაურით. ესოდენი ინტენსიური მუშაობა ქართული ენათმეცნიერების დარგშიც იმედს აძლევდა ყველას, რომ შუხარდტის მონაწილეობა ქართველთამცოდნეობას ბევრს მნიშვნელოვანს მონაპოვარს შესძენდა და ღრმა კვალს დააჩნევდა, მაგრამ სამწუხაროდ ეს იმედი არ გამართლდა. 1898 წ. შემდგომ შუხარდტის ამ დარგით გატაცებულობა თანდათან სუსტდება: ჯერ იგი სხვათა ნაშრომების რეცენზიებით კმაყოფილდება, 1906 წ. შემდგომ-კი ამასაც აღარ მისდევს. ენათმეცნიერების სფეროში მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა და მრავალი ენის კვლევაძიება, როგორც ჩანს, ქართულ-ქართველურზე გაღრმავებული მუშაობის საშუალებას არ აძლევდა. უამისოდ-კი პირველხარისხოვანი ნაშრომის შექმნა და ახალ-ახალი პრობლემების წყურვილის აღძრა შეუძლებელია. ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ შუხარდტი ქართულისა და კავკასიის მცოდნეობის კვლევაძიების დარგს ჩამოჰშორდა და მისმა მონაწილეობამ მოსალოდნელი კვალიც ვერ დასტოვა.

ქართ. ენათმეცნიერების მეორე ხანა პროფ. მარრის მოღვაწეობით იწყება. ამ დარგში მუშაობის ნამდვილი განმაახლებელი სწორედ ის გახლავთ. მაგრამ მისი მოღვაწეობის დასაწყისი უფრო მწერლობის ისტორიისა და ფილოლოგიის სფეროს ეხება. თუმცა მის სამეცნიერო მოღვაწეობას სწორედ ქართული ენის ბუნების შესახები განცხადება მიუძღვის წინ, რომელიც უკვე 1888 წელს იყო გაზეთ „ივერია“-ში გამოქვეყნებული (№ 86) და რომელსაც ეწოდება **„ბუნება და თვისება ქართულის ენისა“**, მაგრამ თავისი წმინდა საენათმეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნებას იგი მხოლოდ 20 წლის შემდგომ, 1908 წელს შეუდგა. სწორედ ამ დროს დაბეჭდა პროფ. ნ. მარრმა თავისი **„ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ტაბულები ქართული და სემური ენების მონათესაობის შესახები წინასწარი უწყებულებითური“** (Основныя Таблицы к грамматике древнегрузинскаго языка с предварительным сообщением о родстве грузинскаго языка с семитическими“. Изд. Фак. Восточ. языков вне серии).

პროფ. ნ. მარრის მოღვაწეობის ის ხანა, რომელიც „ძირითადი ტაბულების“ გამოქვეყნებას უძღვის წინ, თითქმის განსაკუთრებით ფილოლოგიას ეხება. ქართული ისტორიული და მხატვრული მწერლობის ძეგლების გამოცემა აკად. მ. ბროსსესა და პროფ. დ. ჩუბინიშვილის დროს ძირითადად მიჩნეული ხელთნაწერის გადმონაბეჭდს წარმოადგენდა ხოლმე: არც ხელთნაწერების ურთიერთშორისი დამოკიდებულება და არც გამოსაცემი ტექსტის ენის დაცულო-

ბის სისწორე, გადამწერთაგან წარყვნილობა და მით უმეტეს არც თვით ძეგლის ენის ფილოლოგიურ-ლინგვისტიკური ანალიზი მაშინ არ სწარმოებდა. ბროსსესა და ჩუბინიშვილის გამოცემათა წესი დაკანონდა ქართული და სომხური ტექსტების შემდეგდროინდელ გამომცემლობაშიც. პროფ. ნ. მარრის **დიდ ღვაწლს სწორედ ის შეადგენს, რომ, ქართული და სომხური ტექსტების გამოცემის დროს, პირველად მან შემოიღო გამოსაცემი ძეგლების, როგორც ხელთნაწერების, ისევე თვით ტექსტის ის წინასწარი კრიტიკული ფილოლოგიურ-ლინგვისტიკური მეთოდი, რომელიც ბერძნული და ლათინური ძეგლების გამოცემის დროს დას. ევროპის ფილოლოგიურმა მეცნიერებამ შეჰქმნა და დააკანონა.** თავის სამაგალითო ენერგიით, დაუღალავი შრომის უნარითა და აღფრთოვანებული მუშაობის სიფაქიზით, პროფ. ნ. მარრმა **ქართული და სომხური ფილოლოგიის დონე ერთბაშად იმ სიმაღლემდე აიყვანა, რომელზედაც დას. ევროპის თანამედროვე ფილოლოგიაა.**

თერთმეტი წლის განმავლობაში პროფ. ნ. მარრმა .ბევრ სხვა წვრილ სამუშაოსთან ერთად, შემდეგი დიდი და სამაგალითოდ შესრულებული ნაშრომების გამოქვეყნება შესძლო: 1. იოსებ არიმათიელის **„თხრობაჲ აღშჱნებისათჳს ეკლესიისა, რომელი იგი არს ლუდიას შინა ქალაქსა წ̃დისა, დ̃ჳლისა ჩ̃ნისა მარიამ ღ̃თის მშობლისაჲ“** (Iосиф Аримаѳейский—сказание о построении первой церкви в городе Лидде: Тексты и Разыскания по Армяно-грузинской филологии, книга II, СПБ. 1900 წ.) X-XI ს. ს. ხელთნაწერებისდა მიხედვით გამოცემული ქართ. ტექსტი რუს. თარგმანითა და გამოკვლევითურთ.

2. იპოლიტეჲს **„თარგმანებაჲ ქებაჲ ქებათაჲ“** (Ипполит. Толкование песни песней: ТР. წ. III. 1901 წ.) X ს. ხელთნაწერის მიხედვით გამოცემული ქართ. ტექსტი რუს. თარგმანითა და ვრცელი გამოკვლევითურთ.

3. **ორი ძველი ქართველი მეხოტბე** აბდულ-მესია და თამარიანი (Древнегрузинские одописцы (XII в.) I. Певец Давида Строителя. II. Певец Тамары: ТР. წიგ. IV, 1902 წ.) ქართული ტექსტი ვრცელი ფილოლოგიური კომენტარიებითა და დიდი გამოკვლევითურთ.

4. **მჳეცთათჳს სახისა სიტყუაჲ წიგნთაგან თქუმული** წ̃დისა ბასილი ებისკოპოსისა კესარელისაჲ (Физиолог. Армяно-грузинский извод. Грузинский и Армянский тексты изследовал, издал и перевел Н. Марр: ТР. წიგ. VI, СПБ. 1904 წ.) ქართული და სომხ. ტექსტი ვრცელი გამოკვლევითურთ.

5. **„ღუაწლნი წმიდათა სამთა მარჩბივთა მოწამეთანი სპევსიპჱსი, ელასიპჱსი და მელასიპჱსი“** ქართული დედანი ორთა კელნაწერთაგან მეათე საუკუნისათა გამოიკვლია, გამოსცა და რუსულად სთარგმნა ნიკო მარრ-მან (Acta Iberica sanctorum tergeminorum martyrum Speusippi Eleusippi Meleusippi explicuit, edidit et rossice vertit N. Marr: Отдельный оттиск из Запис. Восточ. Отд. Рус. Арх. общ. том XVII, СПБ, 1906 წ.).

6. **„წარტყუევნაჲ იერუსალჱმისაჲ,** თქუმული ნეტარისა სტრატიკი მონაზონისაჲ, რომელი მკჳდრ იყო ლავრასა მამისა ჩუენისა საბაჲსსა“ (Ан-

Тиох Стратиг. Пленение Іерусалима персама в 614 г. ТР., წიგ. IX, 1909 წ., СПБ), ქართ. ტექსტი გამოკვლევით, რუს. თარგმანითა და არაბული ტექსტითურთ.

7. გიორგი მერჩულის **„შრომაჲ და მოღვაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებელისაჲ და მის თანა მრავალთა მამათა ნეტართაჲ“** (Георгий Мерчул. Житие св. Григория Хандзтийскаго. Грузинский текст, введение, издание, перевод Н. Марра с дневником поездки в Шавшию и Кларджию: ТР. წიგ. VII, СПБ. 1911 წ.), რომელიც ძველი ქართ. საისტორიო მწერლობის ერთი უძვირფასეს ძეგლთაგანის გამოცემას, გამოკვლევას, რუს. თარგმანსა და ამ ძეგლის შინაარსის გასაგებად მოწყობილი შავშეთსა და კლარჯეთში ნ. მარრისავე მოგზაურობის ფრიად საინტერესო აღწერილობას შეიცავს.

8. დასასრულ უნდა დასახელებული იყოს პროფ. ნ. მარრის საუცხოვო გამოკვლევა **„შოთა რუსთაველის ვეფხის-ტყაოსნის შესავალისა და დასასრულის ტაეპები. ქართული ტექსტით, რუს. თარგმანით, კომენტარიებითა და გამოკვლევითურთ «ქალის თაყვანისცემა და რაინდობა პოემაში»** (Н. Марр. Вступительныя и заключительныя строфы Витязя в барсовой коже Шоты из Рустава. Груз. текст, рус. перевод и пояснения с этюдом „Культ-женщины и рыцарство в поэме“. ТР., წიგ. XII, СПБ. 1910 წ.). ნ. მარრის ეს მშვენიერი გამოკვლევა გადაუჭარბებლივ უნდა „ვეფხის ტყაოსნის“ უკვდავი მგოსნის სულისკვეთებისა და მსოფლმხედველობის საუკეთესო გამომჟღავნებლად იქმნეს მიჩნეული.

ყველა ზემოდ დასახელებულ თავის ნაშრომებში პროფ. ნ. მარრს მრავალი საგულისხმო დაკვირვება აქვს ძველი ქართული ენის ისტორიისათვის აღნიშნულ-განმარტებული, როგორც ბგერათა შენაცვლებისა და ამა-თუ-იმ მორფოლოგიური მოვლენისა, ისევე ძეგლების ენის სიტყვათა საუნჯის გამოსარკვევად. სწორედ ასეთი მონოგრაფიული შესწავლა უნდა უძღოდეს წინ ყოველი ენის ისტორიულ გრამატიკას და მოსალოდნელი იყო, რომ პროფ. ნ. მარრი თავის წმინდა საენათმეცნიერო მუშაობას შეუდგებოდა კიდევაც და მრავალჯერ დაპირებულ ქართ. გრამატიკას გამოაქვეყნებდა.

მაგრამ მისი შემდეგ-დროინდელი მუშაობის გეზი შეიცვალა. სამწერლობო ქართულის გრამატიკის დამუშავება-გამოქვეყნების მაგიერ, მას უკვე ჭანურის, მეგრულის და სვანურის შესწავლის გეგმა ჰხიბლავს. ამ მიზნით ის ჯერ 1910 წ. ჭანეთში მიემგზავრება, ხოლო შემდეგ 1911 და 1912 წ. სვანეთშიც. უკვე 1910 წ. ის **ჭანური ენის გრამატიკის** ტექსტებისა და **ლექსიკონის** გამოქვეყნებას ახერხებს. (Грамматика чанскаго (лазскаго) языка с хрестоматіею и словарем, СПБ, 1910 წ.). საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ლექსიკური მასალისა და ტექსტების შეგროვებისა და ჭანურის მარჯვე გრამატიკული ანალიზის წყალობით, ეს წიგნი ნ. მარრის საენათმეცნიერო ნაშრომთაგან ერთი საუკეთესოთაგანია.

დროგამოშვებით ნ. მარრი მუშაობდა აგრეთვე ძველ სომხურში შერთულ-შეთვისებულ ქართულ-ჭანურ-მეგრული ელემენტების გამოსამჟღავნებლა-

დაც. ამ საკითხის გასაშუქებლად 1909—1913 წ. განმავლობაში მას 12 ცალკეული პატარა ნაკვლევი აქვს გამოქვეყნებული უმთავრესად ასეთი სათაურით „Яфетические элементы в языках Армении“.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ, საკუთარი კვლევა-ძიების ინტენსივობასთან ერთად, აკად. ნ. მარრმა თავის თავისა და დასახული სამეცნიერო მიზნის გარშემო ახალგაზრდა და ზოგ უკვე ხანში-შესულ მკვლევართა და მომუშავეთა შემოკრებაც შესძლო. ამის წყალობით უკვე 1914 წ. დოც. იოსებ ყიფშიძის მშვენიერი ნაშრომი „მეგრული გრამატიკა ქრესტომატიითა და ლექსიკონითურთ“ გამოქვეყნდა. (I. Кипшидзе, Грамматика мингрельскаго (иверскаго) языка, хрестоматия и мингрельско-русский словарь). ამ დიდ ნაშრომს წინ უძღოდა იოს. ყიფშიძის მოგზაურობა ბათუმის ოლქში მყოფ ჭანებს შორის ჭანურის შესახებ დამატებითი ცნობების შეხაკრებად, რის შედეგსაც წარმოადგენს მისი „Дополнительныя сведения о чанском языке“ (Матер. по яфет. языкозн. III, 1911 წ. СПБ.) და „ბიჭი დო ბოზო“. Чанское стихотворение (Изд. Акад. Наук 1911, გვ. 1123—1124). 1913 წ. კიდევ აკ. შანიძე ფშავ-ხევსურეთსა და ხევში იქმნა წარვლენილი მოხევური, ფშავური და ხევსურული კილოების შესასწავლად.

ამავე დროს ქართული ენის სიტყვათა საუნჯის სრული ლექსიკონის შეხადგენადაც მიმდინარეობდა მუშაობა: 1910 წ. დაიბეჭდა ილია ჭყონიას „სიტყვის კონა“ საბა-სულხან ორბელიანისა და დავით ჩუბინიშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები (Мат. яфет. языкоз. I, СПБ). 1912 წ. გამოვიდა ვუკ. ბერიძის სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა (იმავე გამომც. VI წიგნი).

1913 წ. სანიმუშოდ იქმნა გამოცემული „Древнегрузинско-русский словарь к 1-2 главам Евангелия Марка.

1917 წ. დაიბეჭდა არსენა ჴონიანის ორი ნაშრომი: 1. „მეგმარეშ ი ბალახარე ჟახელე ხორაჴ“ (ხეებისა და ბალახების სახელების კრებული), 2. „ლუშნუ ამბჟარ ლგლაშხუ შუმი ნინშჴ. გიმ ი ზნეჲარ, არკალ ი ციგინარ, შაჲრალ ი ლიღრალ, ლიმგრალ, ნახჴრიელ არსენაჲ ჴონიან მესსაშიშ (სვანური ამბები ლაშხურ კილოკავზე: ქვეყანა და ზნეჩვეულებანი, არაკები და ზღაპრები, შაირები და სიმღერები, შელოცვები, შეგროვებული არსენა ჴონიანის მესასაშელის მიერ: Мат. яф. языкоз. VIII და IX წიგნი).

1911 წლითგან მოყოლებული აკად. ნ. მარრს თავისი კვლევა-ძიების ხარბიელის ზემოაღნიშნული საზღვრებიც უკვე აღარ აკმაყოფილებს. მის მეცნიერულ ცოდნისმოყვარეობას ე. წ. კავკასიის ენების თავ-სებურობა იპყრობს. მათ შესასწავლად ის ჯერ აბხაზეთში მიემგზავრება. უკვე 1911 წ. ნიკო მარრი ბეჭდავს პატარა ნაკვლევს „ნათესაობის აბხაზური ტერმინების იაფეტური წარმოშობილობა“ (Яфетическое происхождение абхазских терминов родства: Изв. Акад. Наук 1911 წ. გვ. 423—432). 1912 წ. მანვე გამოაქვეყნა თავისი მოძღვრებისადა მიხედვით შეცვლილი პეტრე ჭარაიას პატარა გამოკვლევა, რომელსაც უწოდა „აბხაზური ენის დამოკიდებულება იაფეტურ ენებისადმი“ (Об отношении абхазскаго языка к яфетическим: Мат. яф.

языкознания, IV), რომელსაც მოჰყვა თვით ნ. მარრის ნაშრომი **„აბხაზური ენის ურთიერთობის საკითხისათვის იაფეტურ ენათა შორის“** (К вопросу о положении абхазского языка среди яфетических. იქვე, V). 1913 წ. მან გამოაქვეყნა აგრეთვე **„აფხაზეთში ლინგვისტიკური მოგზაურობითგან“**, რომელშიც ზოგიერთი ეთნოგრაფიული საკითხები იყო გაშუქებული (Из лингвистической поездки в Абхазию (К этнографическим вопросам): Известия Акад. Наук 1913 წ. გვ. 303—334) და რომელსაც აბხაზური ბგერების იაფეტოდოლოგიური და ქართული შესატყვისობის (I ტაბულაზე) და იაფეტურ ენათა შთამომავლობითი შტოს შემცველი (მე-II ტაბულაზე) დანართიც აქვს.

1914 წ-ითგან აკად. ნ. მარრი **დაღესტნის ენების შესწავლასაც იწყებს და ამით მისი კვლევა-ძიების ასპარეზი უკვე მთელ კავკასიას იპყრობს.** ცხადია, რომ, მუშაობის სფეროს ესოდენი გაფართოებისა და გართულების გამო, მისი წინანდელი გეგმა უნდა შეცვლილიყო და ძველი ქართულის გრამატიკის დამთავრებისათვისაც მოცალეობა აღარ ექნებოდა.

რა თქმა უნდა, შესასწავლ და გამოსაკვლევ ენათა სიმრავლეს, თვით საგნის მეტისმეტ სირთულესა და ახალ-ახალი დაკვირვების ნაირნაირობასაც შეუძლებელია გავლენა არ მოეხდინა აკად. მარრის, როგორც კვლევა-ძიების მეთოდზე, ისევე მის კონცეფციებზე და ძირითად თეორიაზეც. მაგრამ, რაკი მისი ამ ხანის მოღვაწეობის სრული სისწორით შესაფასებლად ე. წ. კავკასიელთა-მცოდნეობის მაშინდელი დონესი და მონაპოვარის გათვალისწინებაა აუცილებელი, ამიტომაცა და ჩვენი მიმოხილვისათვისაც ამ საკითხის თავის-თავადი მნიშვნელობის გამო, აკად. მარრის მოღვაწეობის დახასიათება დროებით უნდა შევწყვიტოთ და კავკასიის ენების შესწავლის ზოგადს ისტორიულ მიმოხილვას უნდა შევუდგეთ.

ე. წ. კავკასიის უმწერლობო ენების შესწავლის პირველ ნაბიჯად უნდა აკად. გჰლდენშტედტ-ის მიერ საქართველოსა და კავკასიაში 1771-2 წ. მოგზაურობის დროს შეგროვებული ცნობები და პატარ-პატარა ლექსიკური მასალები იქმნეს მიჩნეული, რომელიც ამ მეცნიერის მოგზაურობის აღწერილობაში იყო მოქცეული: D. Johann Anton Güldenstädt-ის Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge-ს პირველსა და მეორე ნაწილში. სამწუხაროდ ეს ფრიად საყურადღებო ნაშრომი ავტორის სიკვდილის შემდგომ დაიბეჭდა და ნაწილობრივ უფრო ამით უნდა აიხსნებოდეს ის შეცდომები, რომელიც სიტყვებისა და სახელების ჩანაწერებშია შეპარული. გჰლდენშტედტ-ის ცნობები პირველ ნაწილშია მოთავსებული, ლინგვისტიკური მასალები-კი, სიტყვების პატარ-პატარა კრებულების სახით, მეორე ნაწილის ბოლოშია დართული (გვ. 496—552).

ამ დანართისათვის გჰლდენშტედტ-ს სათაურად უწოდებია: Wörtersammlung zur Vergleichung der im Caucasus gangbaren Sprachen“ **„კავკასიაში გავრცელებული ენების სიტყვათა შენაკრები შესადარებლად“**. ამ სათაურის ქვეშ მოქცეულია 10 დიდი ენოვანი ერთეულის სიტყვათა კონა. პირველი ადგილი **ქართველურ დიალექტებს** აქვთ დათმობილი, რომელშიც ქართული, მეგრული და სვანური სიტყვებია მოყვანილი. „I. Georgianische Mundarten: Kartuelisch. Mingrelisch. Suanisch“. გვ. 496—504). სულ 290-მდე სიტყვაა აქ მო-

თავსებული, მაგრამ ზოგიერთი სიტყვის მეგრული და ბევრის სვანური შესატყვისობა გამოტოვებულია. ამასთანავე არა ერთი სვანური სიტყვა თავის ადგილას, სათანადო სტრიქონს გასწვრივ არ არის დაბეჭდილი.

მეორე შენაკრები **ჩაჩნური** ანუ, როგორც გ კ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი უწოდებდა **მიჯეგურის, ჩაჩნური, ღლიღური** და **წოვური დიალექტების** სიტყვათა კონას წარმოადგენს (2. Mizdschegische Mundarten: Tschetschengisch, Inguschich, Tuschetisch). ამ შენაკრებს გვ. 504—511 უკავია და 264 სიტყვას შეიცავს.

მესამე ადგილი **ლეკურისა** და **მის მონათესავე დიალექტების, ანწუხურისა, ჰარულის, ღუნძურისა** და **დიდოურის** სიტყვათაკონას აქვს დათმობილი, 512—519 გვერდზეა მოთავსებული და 275 სიტყვას შეიცავს (3. Lesgische und damit verwandte Mundarten: 1. Von Anzuug. 2. Dshar, 3. Chunsag. 4. Dido).

მე-4, მე-5 და მე-6-დ **კაზიკუმუხური, ანდური** და **აკუშური ენების სიტყვათაკონაა მოყვანილი** (4. 5. 6. Sprachen der Kasikumüken, Andi und Akuscha), რომელსაც 520—527 გვ. აქვს დათმობილი და რომელშიც მხოლოდ 267 სიტყვა მოიპოვება.

მე-7 და მე-8-დ **ყაბარდოული** და **აბხაზური**, ანუ, როგორც იქ ნათქვამია, **აბაზური ენების სიტყვათაკონაა.** მას 527—535 გვ. უკავია და სულ 280 სიტყვას შეიცავს.

ყველა ზემოთჩამოთვლილი სიტყვათაკონები ერთი-და-იმავე გეგმით არის შედგენილი და უკვე ეს გარემოება ამ მასალის ღირსებად უნდა იქმნეს მიჩნეული, რათგან მკვლევარს დაკვირვებისა და ანალიზისათვის, შესადარებლადაც ერთგვარ მასალას აწვდის. პირველ ორ სიტყვად ყველგან ღმერთი და ბატონია (Gott, Herr), შემდეგ ნაცვალსახელები მისდევს, მერმე მდებარეობის და დროის, კითხვის და უარყოფის სიტყვებია, შემდეგ რიცხვითი სახელებია 1—1000-მდინ, მერმე ადამიანთა ნათესაობისა და სქესის აღმნიშვნელი სიტყვებია, შემდეგ სხეულის 21 ნაწილისა და ანატომიის 9-მდე სიტყვაა აღნიშნული, მერმე შინაური სხვილფეხა და წვრილფეხა, მამალი და დედალი ცხოველების და ფრინველების სახელებია ჩამოთვლილი, შემდეგ მემინდვრეობის მცენარეულობის და სასოფლო მეურნეობის ნაწარმოების სახელებია, მერმე ქსოვილების, ტანისამოსისა და ფეხსაცმელების სახელები მისდევს, სამეურნეო და საომარი იარაღის სახელებია, შემდეგ ლითონებისა და ნიადაგის სახელებია ჩამოთვლილი, მერმე მეტეოროლოგიური და დროის სახელებია, ადამიანის მდგომარეობისა და გრძნობელობის აღმნიშვნელი, ფერებისა, თვისებისა და გემოს გამომხატველი სიტყვები და სულ ბოლოს 15 ზმნაა ხოლმე მოთავსებული.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ გ კ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ამ სიტყვათაკონებში არაერთი შეცდომაა შეპარული, რომელთაგან ზოგიერთი გამომცემლის ბრალიც უნდა იყოს, მაგრამ ასეთი შეცდომების შესწორება შეიძლება და ამის შემდგომ შესწორებული ცნობების გამოყენებაც, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი სიტყვებისათვის დღევანდლამდე, გ კ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერს გარდა, არაფერი მოგვეპოვება.

ამ დაუღალავ მეცნიერს ცნობები ამ ერების ბინადრობის საზღვრებისა და ტომობრივ-ენობრივი დანაწილების შესახებაც შეუკრებია ისევე, როგორც

გამოთქმული აქვს თავისი ზოგადი დასკვნა ამ ენების ურთიერთშორისი დამოკიდებულების შესახებაც.

აკად. გჳლდენშტედტის ცნობით, ქართველები აბხაზთ და მათ ქვეყანას აბხაზებსა და აფხაზეთს უწოდებდენ, თვით მკვიდრნი მცხოვრებნიც თავიანთი თავისა და ქვეყნისათვის ამავე სახელებს ხმარობენო. ჩერქეზები-კი თურმე „**აბაზა**“-ს ეძახდენ.

იმავე მეცნიერის სიტყვით, მაშინდელი **აბხაზეთის მიწაწყალი კავკასიის ულელტეხილსა** და **მის კალთებზე იყო** გადაჭიმული, **დასავლეთით შავი ზღვის სანაპიროზე მისი საზღვარი კაპოეტის ანუ კაპეტის**[1] **წყლის შესართავამდე** და **ხვანეთამდე** აღწევსო.

მთელი აბხაზეთის მიწაწყალი სამ ნაწილად იყოფება: 1. **სამხრეთ-დასავლეთის აბხაზეთი**, რომელიც **მდ. ყუბანსა** და **ენგურს შუა იყო** მოქცეული **დაოთხს თემს,—ჩირპიტ-ს, ჩაჯს, საძს** და **აიპგა-ს** (Chirpit, Tschadsch, Sads und Aipga) შეიცავდა. ეს ჩერქეზულად უდრის **ჩირპს-უუაჯ-ს** და **ზამგალ-ს,**— წებელდელებს, რომელნიც მდ. კოდორის ხეობაში ბინადრობდენ, დალის ველზე (ლულაე Черкессия 9),—**საძენ-ს**, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა მდ. ხამგ'შ-ითგან მოყოლებული გაგრამდე და **ჯიქეთად** იწოდებოდა (ლულაე Черкессия გვ. 9) და **აიბგა-ს** უბიხთა აღმოსავლეთით მობინადრე **მედოზვა-ს** ტომის მესამე შტოს (იქვე გვ. 9). **ჩერქეზები აბხაზეთის ამ ნაწილს ქუშჰასიპ-ს ე. ი. მთასიმერს უწოდებენო.**

2. აბხაზეთის ჩრდილო-დასავლეთის ნაწილი, რომელიც **ტუბი-სა, უბუხ-ისა შაფსიხ-ისა** ანუ **შაფსო-ს** ახე-სა და **კოკუე-ის** (ანუ **ქვემო და ზემო შაფსო-ს**) **თემებს შეიცავდა, ხუაჯისა, ზახისა** და **ყუბანის მდინარეების ტერიტორიაზე,** სადაც მოსაზღვრედ უკვე ჩერქეზთა სამფლობელოს ქვეყანა **ბჟანა** და **ხატუკაი** იყო.

ტუბი-ს თემის სახელისდა მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ გჳლდენშტედტს აქ უნდა უმთავრესად აბაზეხების ტომი ჰყავდეს ნაგულისხმევი, მაგრამ **შაფსო-ს** სახელი ვგონებ შაფსუღების ტერიტორიაზეც მიგვითითებს (შეად. ლულაეს Черк. გვ. 6).

3. **აბხაზეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი,** რომელიც, ყაბარდოელ მთავრების XVII ს-ში მდ. თერგზე გადასახლების შემდგომ, **აბხაზთა მიერ იქმნა დაკავებული-დასახლებული** და **ყაბარდოსა** და **ბესლენს შუა ყუბანის შემდინარეების ინჯიკ-ისა, უასპ-ისა,** ანუ **არგა-სა** და **ზემო კუმაზე მდებარეობდა.** აბხაზეთის **ჩრდილო-დასავლეთის ნაწილის შემადგენელ თემად** ყოფილა **ყიზილბეკ** (=ლულაეს Казильбек), **ტამ, შეგრაი, ბაროყაა** (=ლულაეს **ბარაყაა-ს**), ანუ **ბაღ**[2]) (=ლულ. Баг-სა), რომელშიაც 300 ოჯახი მცხოვრები იყო, **ბაშილბაა**, სადაც 1000 მეკომური ითვლებოდა, და **საბარ-ი**[3]. ამ ნაწილს

---

[1] თუმცა გჳლდენშტედტი ამბობს კაბეტი ანუ კაბუტი (და არა კაპეტი), მაგრამ ქართულად კაპოეტის, ან კაპეტის წყალი ერქვა.

[2] ლულაეს ბარაკაა და „Баг“ ორ განსხვავებულ ტომად აქვს აღნიშნული (Черкессия Мат. для истории Черкесского народа, вып. 4. Краснодар 1927 წ. გვ. 9).

[3] ალბათ ლულაეს Басьхог-ს უნდა უდრიდეს, თემთა რიცხვის მიხედვით მაინც (იქვე გვ. 9).

ალთეკესეკ Altekesek ე. ი. **ექვსი ნაჭერი** ეწოდებოდა, რადგან სულ ექვსი საგვარეულო იყო აქ გადმოსახლებულიო (Reisen. I, 465—468).

აკად. გ ჰ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს აღნიშნული აქვს, რომ **ჩერქეზნი** თავიანთ თავს **ადიღე**-ს (Adigi) უწოდებდენ, **თურქები** და **თათრები**-კი მათ **ჩერქას**-ს ეძახოდენ, ხოლო ქართველებს მათთვის სახელად **ჩერქეზიანი** ჰქონიათ, დასასრულ **ოსები** თურმე **ყაზახ**-ს უწოდებდენ, რომელიც კონსტანტინე კეისარის დროს (იგულისხმება ალბათ პორფიროგენეტი) ვგონებ ჩვეულებრივი სახელი იყოო[1].

აკად. გ ჰ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს **ჩერქეზთა მიწაწყალად ჩრდილოეთი კავკასია** აქვს დასახელებული, მეტადრე **კავკასიონის მთის ძირას მდებარე ხეობანი ვაკეებითურთ, შავი ზღვისა და ყუბანითგან მოყოლებული აღმოსავლეთისაკენ სუნჯის** (**მდ. თერგში**) **შესართავამდეო.**

ამგვარად **ჩერქეზთ ყუბანისა, კუმას** და **თერგის მიწაწყალი ეკავათ. ამიტომ ჩრდილოეთით** (?) მათ **მოსაზღვრედ აბხაზნი** და **ოსები** ჰყავდათ, **დასავლეთით** (?) **ქისტებიო** (Reisen I 467).

ჩერქეზეთი **ორ მთავარ ნაწილად** იყოფოდა, **დიდ** და **მცირე ყაბარდოდ**, რომელთაც **ერთი მეორესაგან თერგის შემდინარე არგუდან** Argudan **ჰყოფდა.** თერგის ამ შემდინარის სახელი ისე გასაოცრად მიაგავს **არღუნს** (მეტადრე თუ წარმოვიდგენთ, რომ **არგუდან** დამახინჯებული არგუნ + დონ-ისაგან არის წარმომდგარი, რომელიც არღუნის წყალსა ჰნიშნავს), მაგრამ ნამდვილად ლ უ ლ ჲ ე ს მიერ დიდი და მცირე ყაბარდოს გამსაზღვრელს, **თერგის შემდინარეს მალკა-ს** (Черк. გვ. 8) **უნდა უდრიდეს. დიდი ყაბარდო ამ მდინარის დასავლეთით** მდებარეობდა, **მცირე-კი აღმოსავლეთით სუნჯის შესართავამდე.**

ჩერქეზეთის უფრო წვრილ ერთეულებს მე-XVIII ს-ში შემდეგი სახელები ჰრქმევია:

1. **ბესლენ** ყუბანის შემდინარე ულუ ლაბაზე, ანუ დიდ ლაბაზე მდებარე.
2. **ტემირგოჲ** (Temirgoi) ყუბანისავე შემდინარე Schagwascha **სხაგუაშა**-ს მიწაწყალზე მყოფი. **ჩ ე რ ქ ე ზ ე ბ ი ტემირგოჲს თურმე ქემგუჲ**-ს **უწოდებდენ** (ლულ. Черк. 8).
3. **მამშახ Mamschach** იმავე შემდინარეზე გადაჭიმული. ეს სახელი ან **მახოშ**-ის ან **მამხელ**-ის თემს უდრის, რომელიც, ლ უ ლ ჲ ე ს ცნობით, **ჩეხურაჯ**-ისა, **ბელოგიაკ**-ისა და **შედე**-ს ხეობებს შეიცავდა (Черк. 8).
4. **აბაზეხ** ყუბანის შემდინარე პშასიას (Pschasia) მიწაწყლის შემცველი.
5. **ბჟედუღ** Bscheduch ყუბანის შემდინარე ყიზლარკატკენ-ზე.
6. **ჰატუკეჲ** Hatukei და Bschaner **ბშანერ** ყუბანისვე შემდინარეებზე **ყარაყუბანსა** ანუ შავ-ყუბანსა და **აპახის** (Apachi) წყალზე მდებარე (Reisen I, 469). პირველი უდრის **ჰათუყვაჲ**-სა, რომელიც, ლ უ ლ ჲ ე ს ცნობით, **სხაგუაშა**-სა და **ფშიშ**-ის მდინარეებს შუა ყოფილა მოთავსებული, მეორე-კი **ჟან**-ს (Черк. 8).

---

[1] Die Einwohner nennen sich und Land A d i g i, die Türken und Tataren T s c h e r k a s, die Georgianer T s c h e r k e s s i a n i, die Osseten aber Kasach und welches villeicht zu Kaysers Konstantins Zeit die gemeine Bennenung war. (J. A. G ü l d e n s t ä d t Reisen I, 466).

გკლდენშტედტის სიტყვით, როდესაც ჩერქეზებს თავიანთი მოსახლეობის ადგილი ნიადაგისა, საძოვრისა, წყლის, შეშისა, თუ მეზობლობის რაიმე ნაკლის გამო აღარ მოსწონდათ, თავიანთ სამკვიდრებელს სტოვებდენ ხოლმე და ახალს, უკეთესს ადგილზე გადადიოდენ (Reisen I, 469). ეს გარემოება მათი ტომობრივი მოსახლეობის საზღვრების განხილვის დროს უნდა გათვალისწინებული გვქონდეს.

გერმანელ მეცნიერს **აბხაზური და ჩერქეზული ენების შესახებაც აქვს თავისი ზოგადი აზრი გამოთქმული**[1].

მისი დასკვნით, **აბხაზური** და **ჩერქეზული ერთი დედაენისაგან არიან წარმომდგარი, მაგრამ ისეთ განსხვავებულ დიალექტებად იქცენ, რომ მათ შორის ნათესაობას ადამიანი ყველაფერში ველარ იპოვისო.** იმავე ავტორს **ჩერქეზულის სამი განსხვავებული დიალექტი** აქვს დასახელებული: **სამხრეთ-დასავლური, ჩრდილოთ-დასავლური** და **ჩრდილო-აღმოსავლური.**

ეროვნულად ჩერქეზები გკლდენშტედტს **განსხვავებულ ხალხად მიაჩნია** და **ფიქრობს, რომ, აბხაზებს გარდა, არც ერთ სხვა ერთან მათ არავითარი ნათესაობა არ ჰქონდათ**[2]. თუმცა აბხაზები და ჩერქეზები ძირითადად ერთსადაიმავე ენას ლაპარაკობენ, მაგრამ ორივეს **იმდენად განსხვავებული დიალექტები აქვთ, რომ, თუ არ ხაგანგებო ვარჯიშობით, ერთმანეთის გაგება არ შეუძლიანთო.**

ჩაჩნების ზოგად სახელად გკლდენშტედტი, მაშინდელი ქართველების მსგავსად, **ქისტსა** ჰხმარობს და მათ ქვეყანასაც **ქისტეთს** უწოდებს (Kisti, Kistetien). მაგრამ აღნიშნული აქვს, რომ ანდიელები მათ Mizdschegis Baturul-ს ეძახდენ, რაც **მიჯეგის ხალხსა** ჰნიშნავსო. ამავე სახელს ხმარობენ ქისტებისათვის თათრებიც და მომეტებულად ჩერქეზებიცაო (Reisen I, 477 და 478).

ქისტეთის, ანუ საჩაჩნოს თემების სახელების დაწერილებით გაგება გერმ. მეცნიერს ვერ მოუხერხებია. მაგრამ ამ ქვეყნის მაშინდელი საზღვრები ზოგადად მაინც აღნიშნული აქვს. მისი ცნობით[3], **საჩაჩნოს ჩრდილოეთით კავკასიის ის მიწა-წყალი ეკუთვნოდა, რომელიც სუნჯახთან მთავარი ქედისა და წინამდე-**

[1] „Die Abchasetische oder Abasaische und Tscherkessische Sprache haben eine Mutter sind aber so verschiedene Mundarten derselben, dass man die Verwandschaft nicht überall findet, sondern theils mühsam suchen muss. Meine Sprachproben zeigen dieses. Die Mundarten der südwestlichen, nordwestlichen und nordöstlichen Distrikte sind unter sich auch etwas verschieden" (J. A. Güldenstädt, Reisen I, 464).

[2] „Die Tscherkessen sind ein besonderes Volk, welches, so viel man durch Sprache und alle übrigen Umstände findet, ausser seinen Nachbaren den ‚Abchasen mit keinem andern verwand ist. Beyde Völker reden eine Grundsprache, aber in so verschiedenen Dialekten, dass sie sich ohne Übung nicht verstehen" (J. A. Güldenstädt, Reisen I, 467).

[3] Die Provinz... Kistetien... am nordlichen Kaukasus, der um die Sundscha einen beträchtlichen Theil des Hauptgebürges, des Thales zwischen demselben und dem Vörgebürge und des Vorgebürges selbst einnimt und in Westen die kleine Kabardey, in N. den Terek, in O. tatarische und lesgische and in S. lesgische und Georgische Distrikte hat (J. A. Güldenstädt. Reisen I, 477).

ბარე შტოების შუა მოქცეულს საკმაოდ დიდ ნაწილს შეიცავდა. დასავლეთით მას ყაბარდო, ჩრდილოეთით თერგი, აღმოსავლეთით თათრებისა და ლეკების მიწა-წყალი, ხოლო სამხრეთით საქართველო ჰსაზღვრავდა.

იმისდა მიუხედავად, რომ გჳლდენშტედტს ზედმიწევნითი ცნობები საჩაჩნოს თემების შესახებ ვერ შეუკრებია, მაინც მის აღწერილობაში ბევრი რამეა საგულისხმო. მას ამ **ქვეყნის** სულ 18 **სანახები** აქვს დასახელებული.

1. **ინგუშეთი**, მცირე ყაბარდოს მოსაზღვრე, **მაღალ მთებში** მდებარე, მოზდოყზე დაახლოვებით 80 ვერ. სიშორეზე **სამხრეთით მყოფი თემი იყო**, რომლის მოსახლეობაც უმთავრესად **თერგის პატარა შემდინარის კუნბელაჲ-ს** (Kunbelei) **ხეობაში** ბინადრობდა. წინათ ისინი თურმე ყაბარდოელ და აქსაელ მთავრებს ემორჩილებოდენ, 1770 წ.-კი რუსეთის მფარველობა მიუღიათ (Reisen I, 480). მდ. **კუნბელაჲ** უნდა რუს. რუკების **კამბილეევკა-ს** უდრიდეს, ხოლო შესაძლებელია **ენდრე** Endre რუს. რუკების **ჲანდგრკა-ს** Яндырка-ს, რომელიც სუნჯის შემდინარეა.

2. **მიჯეგეთი**, რომელიც **კაჩილიკ**-ისა, ანუ **ენდრე**-სა და **ჲაქსაჲ-ს** ([Katschilik] Endre und Iachsai) სანახებებისაგან შესდგებოდა. აქაური მოსახლეობა, რომელიც თავის თავს სწორედ მიჯეგის უწოდებდა, **სუნჯისა** და **აპაჲ-ს**, ანუ **ჲაქსაჲ-ს** (Apai oder Iachsai) **წყლებს შუა მდებარე თემში** ბინადრობდა. გერმ. მეცნიერის სიტყვით, იქ სულ 21 სოფელი ყოფილა (Reisen I, 481)[1].

3. **ახკინგურტ-ი** (Achkingurt), რომელსაც თერგის შემდინარეების **სუნჯასა და კუნბელაჲ-ს სულ ზემო ნაწილი** ეკავა (R I, 481).

4. **არდახლი-ს** სანახები, რომელიც **სუნჯის ხეობის ზემო ნაწილში** (oben am Roshen des Sundscha) მდებარეობდა (იქვე, 481).

5. **ვაპი**-სა, **ოსეთ**-ისა და **მაყარლ**-ისა (Wapi, Osset, Makarl) თემები, რომელნიც თერგის ხეობაში **თერგსა და კუნბელაჲ-ს შუა** იყო თერგის შენაკად-

---

[1] დოც. გ. მარტიროსიან-ს აღნიშნული აქვს, რომ ინგუშეთის გეოგრაფიული სახელების მართლწერა ჯერ დადგენილი არ არის და ამის გამო სხვადასხვა წყაროებსა და რუკებში ერთიდაიგივე სოფლები სხვადასხვანაირად არის აღნიშნულიო (Нагорная Ингушетия: Изв. Ингуш. Научно-исслед. Института Краеведения I. Владикавказ, 1928 წ. გ. 17). იგივე ითქმის საჩაჩნოს დანარჩენი თემების გეოგრაფიულ სახელებზეც. ამ გარემოების გამო გჳლდენშტედტისგან ჩაწერილი სოფლების სახელების თანამედროვე შესატყვისობის გამორკვევის მომაველისათვის გადადება სჯობია. მაგრამ, რაკი გჳლდენშტედტის ნაშრომი ძალიან ძნელი საშოვნელია, მაინც მისი გეოგრაფიული ცნობები აქვე მომყავს ისე, როგორც მის წიგნშია დაბეჭდილი. ენდრესა და ჲაქსაჲ-ს სოფლებზე მას ნათქვამი აქვს: „Die hieher gehörige Dörfer sind: 1. Benedar, 2. Belegular, 3. Zutnagol, 4. Gurdaseral, 5 Elerira, 6. Angetiral, 7. Gendugiral, 8. Dadagiral, 9. Ginasiral, 10. Sandokol, 11. Elmakiral, 12. Tiliwol, 13. Akkuaral, 14. Bililot, 15. Kaschgelde, 16. Kurtschilor, 17. Naurusol, 18. Aliraant, 19. Nuiwe, 20. Ossungur und, 21. Issesu, welches die Russen Goretschi nennen".

გერმ. მეცნიერია განმარტებით ორივე სახელი, ე. ი. ადგილობრივიცა და რუსულიც იქაური ცხელი წყლებისაგან არის წარმომდგარი ეს სოფელი სუნჯის სანაპიროზე მდებარეობს, ბარაგუნ-ის პეტრეს აბანოს (Peterbad) 20 ვერს. ზ მოთ, 500 მეკომურს შეიცავს, რომელნიც განთქმული მეკობრეები და ამიტომ მეტად სახიფათონი არიანო (R. I, 481).

თან მდებარე ოსურ **სოფელ ჭიმ-თან** (Tschim: იქვე, I, 481). **მაყარლ**, თუ **მაკარლ-ი** უნდა რუს. რუკების მდ. **მაკალდონ-ს** (Макалдон) უდრიდეს.

6. **ანგუშტ-ის** (Anguscht) სანახები, **კუნბელაჲს ხეობის ზემო ნაწილში** დიდ ველზე მდებარე (იქვე, I, 481).

7. **შალხა-ს** (Schalcha) სანახები, რომელსაც რუსები **მცირე ანგუშტსაც** (Maloi Anguscht) უწოდებდენ. იქ 24 სოფელი ყოფილა (იქვე, I, 481)[1].

8. **საჩაჩნო, „ჩეჩენთ“** (Tschetschen) სანახები, რომელიც **არღუნის ხეობის ქვემო ნაწილსა და სუნჯის ხეობაში** მდებარეობდა. ამ თემის და მოსახლეობის დიდი მნიშვნელობისა და გავლენის გამო ხშირად მთელ ამ ხალხს **ჩეჩენგ-ებს** (Tschetschengen), ე. ი. **ჩაჩნებს** უწოდებენო. ამ სანახების მთავარ ადგილსა და სოფელს, რომელიც არღუნის სანაპიროზე 20 ვერ. შესართავს ზემოთ ყოფილა გაშენებული, **ჩეჩენ-ი** ჰრქმევია. იმის პირდაპირ მდებარეობდა ასეთივე მოზრდილი სოფელი **ჰაჯიაულ** (Hadschiaoul). ამას გარდა გერმ. მეცნიერს შემდეგი სოფლები აქვს დასახელებული: **ჲანგეგერტ** (Iangegert) სუნჯაზე, **ხაჯი-აულ** (Gadschi-Aul) არღუნზე, **შაკტერი, შარეჲნ, ტაგან, დოგან** და **ატაგა** და სხვაცაო (Schakterl, Scharein, Taga, Dokan, Ataga. R. I, 482).

9. **ატახი-ს** (Atachi) სანახები **არღუნის ხეობის ზემო ნაწილში** იყო და მცირე მოსახლეობას შეიცავდა (იქვე).

10. **კულგა-ს** ანუ **დგანტი-ს** სანახები (Kulga oder Dganti) **მთებში მდებარე თუშეთის მოსაზღვრე თემი** იყო (იქვე).

11. **ლალღაჲ-ს** სანახები, რომელსაც ქართველები **ლალღა-ს** უწოდებენო და **სუნჯას შემდინარის ასაჲ-ს ხეობის სათავე** უკავიაო (იქვე).

აქ, ამ თემში, **ხაგლაჲს-ის** სოფელში (Dorf Saglais) ყოფილა ძველად განთქმული ეკლესია (იქვე).

12. **ჯანტი-სა, ჭაბრილლო-ს** და **შაბეტ-ის** (Dschanti, Tschabrillo und Schabet) სანახებები **სუნჯის ხეობაში** მდებარეობდა (იქვე).

13. **ჭიშრიკაკერ-ის** სანახები (Der Distrikt Tschischrikaker), რომელიც **სუნჯის გვერდობზე მდებარეობდა** (იქვე).

14. **ყარაბულახ-ი**, რომელიც თურქული სახელია და შავწყაროს ჰნიშნავს, **ხუნჯისა** და **ფორტან-ის ხეობაში** იდო. **ფორტან-ი**, რომელსაც რუსები უკვე იმ დროს **მარტან-ს** უწოდებდენ, **სუნჯის შემდინარეა** და სუნჯის მარჯვენა მხრითგან ერთვის **შემილგორ-ის** (Schemilgor) **წყაროს ქვემოთაო**.

ინგუშები და თვით **ყარაბულახელნი** ამ ყარაბულახის თემს თურმე **არშტე-ს** (Arschte) უწოდებდენ, **ჩაჩნები — არიშ ტოჲალ-ს** (Arisch Tojal), ხოლო **ჩერქეზები** ამ სანახების სახელად თათრულს **ბალსუ-ს** (Balsu Honigwasser), ე. ი. **თაფლის წყალს** უწოდებენო. ამავე ყარაბულახის, ანუ არშტეს სანახებს **ხუნჯის მარცხენა მხარეზე, ფარტან-ის ქვემოთ, აშღან-ის** (Aschgan) შენაკადთან

---

[1] ამ სოფლების სახელები: 1. Galga, 2. Tirol, 3. Aka, 4. Bezi, 5. Wuschu, 6. Kircheretseli, 7. Golai, 8. Jalghor, 9. Zorai, 10. Noi, 11. Hoi, 12. Kachkoi, 13. Mestoi, 14. Naschach, 15. Zulai, 16. Meler, 17. Korbi, 18. Machschi, 19. Achsai, 20. Schadgia, 21. Asdar, 22. Chetsechi, 23. Zisdi, 24. Palang (R. I, 481).

მდებარეობდა საძოვრები **ვალარეკ** და **ქალაშ** (იქვე, I, 482—483). **ფარტან-ს** ინგუშები, როგორც ეტყობა, **ფორტანგ-ს** ეძახიან (იხ. გ. მარტიროსიან-ის Нагорная Ингушия: Изв. ингуш. инст. Краевед. I, 15).

ყარაბულახელნი, ანუ არშტელები **წინათ თურმე აქსაელი მთავრების მებეგრენი** (zinsbar) **ყოფილან,** მაგრამ 1772 წ. რუსებს გადაუბირებიათ და მათთვის მძევალნი ჩამოურთმევიათ (R I, 483).

15. **მეესტი-ს** სანახები, რომელიც **სუნჯის შემდინარის ასსაჲ-ს ხეობაში** იყო (იქვე, I, 483).

16. **მერეჯი-ს** (Meredschi) სანახები, რომელიც **მეესტის ქვემოთ** მდებარეობდა (იქვე).

17. **გალაშკა-ს** (Galaschka) სანახები, **ზემოდასახელებული სანახების ქვემოთ** მდებარე.

18. **დუბან** (Duban), რომელიც **გალაშკას თემის ქვემოთ** იყო (იქვე, I, 483).

შემდეგ გჰლდენშტედტს 25 **ადგილისა, თუ სოფლის სახელი** აქვს მოყვანილი, რომელთა ამა თუ იმ თემისადმი მიკუთვნილობა ვერ გამოურკვევია (იქვე, I, 483)[1].

გჰლდენშტედტს თავისი წესისათვის არც ამ შემთხვევაში უღალატია და **ზოგადი დაკვირვება ჩაჩნურ-ქისტური ენის თვისებასა და თავისებურებაზეც** აქვს გამოთქმული. გერმ. მეცნიერი ამბობს, რომ, თუმცა **ქისტეთ-საჩაჩნეთის**[2] **სხვადასხვა თემში ძალზე განსხვავებულ კილოკავს ლაპარაკობდენ, მაგრამ არამც თუ ყველა მათ საერთო ენისაგან წარმოშობილობა ეტყობათ,** არამედ **სხვადასხვა თემის მცხოვრებთაც ერთიერთმანეთის გაგება შეუძლიანთ.** მაინც **ქისტური, მიჯეგური,** თუ **ჩაჩნური ენა, როგორც ეს ამ ენის ჩემი ნიმუშებითგანაც ჩანს,** არც ერთს **კავკასიურსა და საერთოდ არც ერთ ჩემთვის ცნობილ ენას არ ენათესავება, მაშასადამე, სრულებით თავისებურია** (R I, 478).

გჰლდენშტედტის სიტყვით **დაღისტანს** ანუ **ლეკეთს**[3] ქართველები კავკასიონის მთავარი ქედის აღმოსავლეთს მესამედს ნაწილს უწოდებენ, რო-

---

[1] აი ეს სახელებიც: „Machki, Chamcha, Targem, Agi, Kartni, Zului, Beschtusi, Asik, Timgai, Lalach, Chani, Tasch, Arzchoi, Salgai, Falchal, Gerek, Malar, Dschairak, Arape, Berech, Kuschgi, Kala, Narast, Barchan, Tori (R I, 483).

[2] „Sprache... wird zwar in verschiedenen, theils stark abweichenden Mundarten geredet, doch kann man bey allen eine gemeinschaftliche Grundsprache nicht verkennen, sondern die Einwohner der verschiedenen Distrikte verstehen sich auch unter einander. Die Kistische, Mizdschegische oder, wie sie auch von einem der vornehmsten Distrikte sehr gewönlich heisst, die tschetschengische Sprache ist übrigens, wie meine Sprachproben zeigen, mit keiner Kaukasischen und überhaupt mit keiner mir bekannten Sprache verwandt, also eine ganz eigene" (I. A. Güldenstädt. Reisen I, 478).

[3] „Die Georgianer nennen diese Provinz, die das ostliche Drittel des kaukasischen Hauptgebürges, an der Nordseite, um den Alasan und dessen Flüssen und an der Südseite an dem Samura und dessen Flüssen einnimmt, Dagistan, auch Lesgistan und deren Bewohner

შელსაც ჩრდილოეთით ალაზნისა და მის შემდინარეების სათავე, სამხრეთით სამური და მისი შემდინარეების აუზი ჰქონდა. ამ ქვეყნის მკვიდრთ-კი ლეკებს უწოდებდენო. **სამხრეთით** ლეკეთს **საქართველო და სპარსეთის „თავისუფალი სამფლობელოები“**, ე. ი. სახანოები, **ჰსაზღვრავდენ, დასავლეთით ოსები და ქისტები**, ხოლო **აღმოსავლეთით კასპიის ზღვა და მის სანაპიროზე მდებარე სპარსეთის ყმადნაფიცი სახანოები** (R I, 484).

გერმ. მეცნიერის სიტყვით, ლეკეთში მას ცნობებისა და ენოვანი მასალების შეკრება გასძნელებია, რათგან, რუსებთან მტრული განწყობილების გამო, ტარკუს შამხალს არა ჰსურდა მასთან რაიმე საერთო ჰქონოდა. თუმცა დიდი გაჭირვებით, მაგრამ გჳლდენშტედტს მაინც საჭირო ამბის გაგება მოუხერხებია.

გერმ. მეცნიერი ამბობს[1], რომ ლეკურ ენას ქართველები **მაცტალარო-ს** უწოდებდენ. მისი დაკვირვებით, თუმცა **დაღისტნის სხვადასხვა თემებში ძალიან განსხვავებულ დიალექტს ლაპარაკობდენ, მაგრამ, მათი ერთსახეობისა, ნათესაობისა და მსგავსი შთამომავლობისდა მიხედვით, მაინც იქ საერთოდ 8 ეროვნული ერთეული ვპოვეო** (R I, 485).

აკად. გჳლდენშტედტს 1773 წ. დაღისტანში, სახელდობრ, შემდეგი 8 ლეკური დიალექტი აქვს დასახელებული: 1. **ღუნძები. დაღისტნის**, ანუ ლეკეთის **პირველი და თითქმის მომეტებულ ნაწილში გავრცელებული კილოკავი ღუნძურია**, რომელსაც **ქართულად ხუნზახი** ჰქვიანო (Avar lesgisch, Chunsag georgisch). იგი გავრცელებული ყოფილა, **კოისუსა და აქსაი-ს შუა ერთის მხრით და მეორეს მხრით ჩრდილოეთის ხიპისა** (Schiefer) **და ცარცის მთას შუა** მოქცეულ ტერიტორიაზე. აქ **ანწუხში** (Anzug) მიღებულს დიალექტს (Mundart) ლაპარაკობენ და ავარული სრულებით ცალკე ენა არ არის, როგორც ეს გერბერს (Gerber) ჰგონიაო (R I, 485).

ღუნძური გავრცელებული ყოფილა საკუთრივ **ხუნზახის თემში**, სადაც თურმე სულ 43 სოფელი ითვლებოდა: 1. **ხუნზახი**, რომელსაც **თათრები ავარს, ანდიურად-კი ჰაიბულ-ხ ეძახიანო**, 2. **ჭირგუტ** (Tschirgut), 3. **მინატლუ**, 4. **იხა**, 5. **ცობოლ** (Zobol), 6. **ინხო**, 7. **ჭიკარი** (Tschikari,) 8. **აშილა**, 9. **ჭირკატა** (Tschirkata), 10. **ჭირხა**, 11. **ტანინხო**, 12. **ჭელადატ**, 13. **ურთაკოლ**, 14. **მინალ ინხილარ**, 15. **ტასადა ინხილარ**, 16. **კვანხიტლარ**, 17. **ბოტლიკლარ**, 18. **ხალტა**, 19. **ჭოროტა**, 20. **ღოდობერ**, 21. **თლისერალ**, 22. **ჰინერალ**,

---

Lesgi. Das Land gränzt seiner Lage nach südlich mit Georgien und persischen Freystaaten, westlich mit Osseten und Kisten, nordlich mit Kisten und Tartaren und reicht ostlich theils an die Kaspische See, theils an die Küste liegenden, nach Persien gehörigen Freystaaten“ (R I, 483 — 484).

[1] „Die lesgische Sprache, die Georgier Maztalaro nennen... wird aber in verschiedenen Distrikten in gar sehr verschiedener* Mundart geredet, deren ich 8 gefunden und nach der Verwandschaft oder vielmehr einförmig ein und derselben Mundart die Verwandschaft und den gleichen Ursprung der Völkerhaufen, die sie reden, beweise, will ich die verschiedenen Lesgischen Distrikte und was ich von ihnen weis anführen (I. A. Güldenstädt Reisen I, 485).

23. **ხილილარ**, რომელნიც **კოისუზე მდებარეობენო ქვემოთგან ზევითკენ**, 24. **აბშიხ**, 25. **უნჭელი**, 26. **ამეკინ**, 27. **კოლოტვიო**, 28. **არაკუნე**, 29. **მულიუ**, 30. **ტოროდა**, 31. **გოგელტ**, 32. **გოლოლტ**, 33. **კუდალი**, 34. **ჰუგ**, 35. **ნიკიჰარ**, 36. **ბოდუხ**, 37. **ბოროხოალ**, 38. **აკაძიკი** (Akadziki), 39. **ცატანიხ**, 40. **ჰობოდა**, 41. **კაბუდა**, 42. **გენო**, 43. **ამუზა**. ამ თემში თურმე სულ 1500 ოჯახამდე ითვლებოდა (R I, 485 — 486).

ხუნზახურად კიდევ შემდეგ თემებში ლაპარაკობენო: **კეზერუკ**-ის **თემში**, სადაც 15 სოფელი ყოფილა, — **ჰიდატლე**-ს **თემში**, რომელშიაც 7 სოფელი ითვლებოდა, — **მუკრატლე**-ს თემში, სადაც 7 სოფელივე ყოფილა, რომელშიაც 200 ოჯახი ითვლებოდა, — **ონსეკულ**-ის, ან **ანსოკულ**-ის 15 სოფლიან თემში, — **კარახლე**-ს თემში, სადაც 23 სოფელი და 1100 კომლი ითვლებოდა, — **გუმბელ**-ის ანუ **ანდიურად მეხტელარ**-ის თემში, **არაკან**-ის თემში, **ბურტუმა**-ს თემში, რომელშიც კოისუს შემდინარის ტაკარა-ს ხეობაში მდებარე 15 სოფელი ყოფილა, — **ანწუხ**-ის თემში (Anzug), რომელშიაც ბევრი სოფელი იყო თურმე (მაგრამ მათგან მხოლოდ 6-ია დასახელებული) და 1500 კომლამდე ბინადრობდა, — **ტებელ**-ის 8 სოფლიან თემში, **ტუმურგი**-ს ანუ **ტუმურგა**-ს თემში, სადაც 4 მთავარი სოფელი იყო, — **ახტი**-ს თემში, **რუთულ**-ში და **ჭარ**-ში, სადაც 17 სოფელი და 1500 კომლამდე ითვლებოდა (R I, 486 — 489).

მეორე ლეკურ კილოკავად გულდენშტედტს **დიდოხა და უნზოში** გავრცელებული მიაჩნდა, რომელშიაც 1000 კომლამდე ითვლებოდა. **ეს ორი თემი ხამურის სათავესთან მდებარეობდა** და **აღმოსავლეთით თუშეთი საზღვრავდა**, **სამხრეთით კახეთი** და **ჩრდილოეთით** ქისტეთის თემი ჭარიო.

დიდოურ — უნზური კილოკავის საერთო ლეკურის თვისებები თუმცა ცხადია, მაგრამ **სხვა თემთა მცხოვრებლებისათვის გაუგებარიაო** (R I, 490).

მესამე ლეკურ კილოკავს ყაბუჩ-ში მიღებული შეადგენსო, რომლის მიწა-წყალს **სამხრეთით კახეთი ეკვრის** და **დასავლეთით დიდოეთიო**. იქ 1000-ამდე კომლი ცხოვრობს და **მათი კილოკავი დიდოურისაგან ისე განსხვავდება**, **რომ ცალკე ენად შეიძლება მიგვეჩნია**, მაგრამ, **კვლევა-ძიების შემდგომ**, **ცხადი ხდება**, **რომ** აქაც **ლეკურ კილოკავთან გვაქვს საქმეო** (R I, 491).

მეოთხე ლეკური კილოკავი „ანდი"-ს ანუ **ყუანალ**-ის (Andi oder Kuanal) თემშია გავრცელებული. მცხოვრები სულ 800 კომლამდე იქნება და **ეს კილოკავი სრულებით განსაკუთრებული** ლეკური **კილოკავიაო**. ამ თემში სულ 12 სოფელი ყოფილა (R I, 492).

მეხუთე ლეკურს კილოკავს **აკუშა**-ში ლაპარაკობენ, სადაც 1000-მდე კომლი ითვლებოდა და 29 სოფელი, — **კუბეშა**-ში, რომელშიაც ამდენივე კომლი მცხოვრები იყო, — **ცუდაკარა**-ში, რომელსაც აგრეთვე **ცადოხ**-იც ეწოდებოდა და 2000 კომლი მოსახლე ჰყავდა. **ეს კილოკავი დანარჩენ ლეკურისაგან ძალიან განირჩევაო** (იქვე, I, 492 — 493).

მეექვსე კილოკავი ღაზიღუმუქშია გავრცელებული, რომელიც დიდ თემად ითვლებოდა და ერთგან 12 და 102 კიდევ სხვა სოფელს შეიცავდა. **ეს კილოკავი საერთო ლეკურისაგან ცოტათი განირჩევაო** (იქვე, I, 493 — 494).

მეშვიდე ლეკური კილოკავი ხაიდაკ-ისა და თაბასარან-ის, ანუ ყარა ხაიდაკ-ის თემშია გავრცელებულიო (იქვე, I, 495).

მერვე ლეკური კილოკავი კურელე-ს თემში არის მიღებულიო (იქვე, I, 494 — 495).

გჳლდენშტედტს დაღისტნის **ლეკური ენების შესახებ** თავისი **ზოგადი მოსაზრებაც** აქვს გამოთქმული. ის ამბობს: **თუმცა ლეკეთის სხვადასხვა სანახებში ხშირად უაღრესად განსხვავებული დიალექტებია, მაგრამ, ამ საენათმეცნიერო ნაკვლევთა მიხედვით** (იგულისხმება ნიმუშები), **ყველა მათ მაინც ერთი დედაენის ასულებად ვთვლიო**[1] (R I, 484 — 485).

იმავე მეცნიერის დასკვნით **დაღისტნის ლეკური ენა თავისდათავად, არამცთუ კავკასიის ყველა დანარჩენი ენებისაგან, არამედ ყველა ცნობილი ენებისაგანაც-კი ხრულებით განსხვავებულია** (R I, 485)[2].

გჳლდენშტედტის ზემომოყვანილი ცნობებითგანაცა და მეტადრე-კი მისი მსჯელობითგან ჩანს, რომ მას

1. **აბხაზური და ჩერქეზული ენების ნათესაობა და ერთი დედაენისაგან წარმომდინარეობა შეუგნია.**

2. **ქისტურისა, ღლიღურისა და ჩაჩნურის უმჭიდროესი ნათესაობა შეუმჩნევია** და სამივე სხვა **დიალექტებითურთ ერთ ენად მიუჩნევია.**

3. **დაღისტნის ენათა აღრევისდა მიუხედავად, არამც თუ ყველა ლეკური ენების ნათესაობის გარემოება არ გამოჰპარვია, არამედ, ზოგადი მსგავსებისდა მიხედვით, მთელი სავსებობა 8 ტომობრივ-ენოვან ერთეულად დაუყვია და თვითოეული მათგანი ერთი ძირითადი ლეკური ენის დიალექტად უცვნია.**

4. გერმ. მეცნიერის **ჩაჩნური და ლეკური ენების ბუნების მთელი თავისებურება ხაზგასმით აქვს აღნიშნული, მაგრამ მათი ურთიერთობის გამორკვევა აზრად არც-კი მოსვლია, მათი ნათესაობაზე აზრიც-კი არ გაჰელვებია.** ამის **გამო ჩაჩნურიცა და ლეკურიც ერთმანეთისაგანაცა და კავკასიის დანარჩენი და სხვა ყველა** მისთვის ცნობილი **ენებისაგანაც ხრულებით განსხვავებულ და განმარტოებულ ენებად აქვს აღიარებული.**

თუ იმ დებულებას გავიხსენებთ, რომლითაც კავკასია მრავალი საუკუნეების განმავლობაში 70-ზე მეტ ენათა ქვეყნად იყო მიჩნეული, **იმ დიდ წარმატებას, რომელსაც იმ დროისათვის** გჳლდენშტედტის **ზემომოყვანილი დაკვირვება და დასკვნა წარმოადგენდა, ადვილად შევამჩნევთ.** იმისდა მიუხედავად, რომ ეს გერმ. მეცნიერი განათლებითაცა და სპეციალობითაც ექიმი და ბუნებისმეტყველი იყო, მას, იმდენად სალი დაკვირვების ნიჭი ჰქონდა, რომ მისი მსჯელობა, ჩაჩნურ-ლეკური ენების განმარტოებულობას გარდა, არსებითად საკმაოდ სწორეა. თუ ამასთანავე მისი ლექსიკური მასალების გონივრულად, შინა-

[1] „Nach diesen Schprachforschungen besonders habe ich zu Lisgistan alle die bey einander liegende Distrikte, in welchen zwar oft aüsserst verschiedene Dialekt, aber doch Töchter einer Mutter geredet werden gezählt" (R I, 484 — 485).

[2] „Die lesgische Sprache... ist von allen Kaukasischen nicht nur, sondern von allen nur ekannten völlig verschieden" (R I, 485).

არსისადა მიხედვით, შერჩეულობასა და საკმაო მრავალფეროვანობას, ამას გარდა დიალექტების იმდროინდელი გავრცელების საზღვრების შესახები მისი ცნობების მნიშვნელობასაც გავითვალისწინებთ, მაშინ ცხადი გახდება, რომ **მისი თანამედროვენიცა და შთამომავლობაც** აკად. გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს **მადლიერი უნდა ყოფილიყვნენ.**

მაგრამ, როგორც შემდეგში თავთავის ადგილას დავრწმუნდებით, მერმინდელი მკვლევარნი გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს ასე არ მოჰპყრობიან. მას უმთავრესად იმ წუნსა სდებდენ, რომ ლექსიკურ ჩანაწერებში შეცდომები აქვს. თვით გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ყოველნაირად ცდილა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, სწორე ცნობები ჰქონოდა. ერთგან ის ამბობს: სიძნელისდა მიუხედავად, **მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ცნობები ქვეყნისა და მოსახლეობის შესახებ, ისევე, როგორც ესოდენი გაჭირვებით შეგროვებული ენის ნიმუშები, შემიძლიან სანდოდ ვცნოთ** (R I, 484)[1].

ვინც ე. წ. კავკასიურ ენების ბგერათა დაჯგუფების თავისებურება და სირთულე იცის, ის **ადვილად დაუჯერებს** ამ **გერმ. მეცნიერს**, რომ მას და მის თანამშრომელს თავისი ჩანაწერებისათვის მართლაც **ბევრი მუშაობაც დასჭირდებოდა** და ეს საქმეც **ძალიან უნდა გასძნელებოდა, მეტადრე მაშინდელ პირობებში.** გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს სიტყვათა-კონების გულდასმითი განხილვა დაარწმუნებს ადამიანს, რომ კავკასიის ენების ბგერების ჩასაწერად მას ერთგვარი სისტემაც ჰქონია, რომლის ცოდნაც მკვლევარს ჩანაწერის ყოველი სიტყვის თანამედროვე შესატყვისობის მოძებნას გაუადვილებს.

აკად. გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ყოველგვარი ცდისდა მიუხედავად, მის ლექსიკურ მასალებში შეცდომები მართლაც შეპარულია. მაგ. შესაძლებელია თუნდაც **მამის ა ბ ხ ა ზ უ რ ი** სახელი იქმნეს მოყვანილი. მისი ჩანაწერით **მამავ!** აბხაზურად იყო **ხაბა** (Saba R II, 529). თანამედროვე აბხაზურში **ბაბა**-ს ეძახიან (პროფ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს ჩანაწერით), მამას ჰქვიან **ააბ**, სადაც პირველი ა ჩვეულებრივი ართრონია. **ხაბა**-ს ამგვარად თავში ზედმეტი **ხ** აქვს, რომელიც, უეჭველია, **ამ სახელს არ ეკუთვნის, არამედ I პირის ნაცვალსახელის აბხაზური თავსართია.** ამიტომ **ხაბა** აბხაზურად **მამა ჩემო**-სა, ანუ აბხაზურში არსებული ადგილმდებარეობა რომ დავიცვათ, **ჩემო მამა**-ს ჰნიშნავს. მერმე იმის გამო, რომ გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩაწერილი **ხაბა** მამის აბხაზური წოდებითი ბრუნვის წმინდა ფორმა-კი არ არის, არამედ **მამა ჩემო**-ს ჰნიშნავს, მის ამ ჩანაწერს ყოველგვარი მნიშვნელობა ეკარგება და გამოსადეგი აღარ არის? სრულებითაც არა, პირიქით! გერმ. მეცნიერს რომ უკითხავს, თუ როგორ ითქმის აბხაზურად **„მამავ!“**, ცხადია, მისთვის უპასუხნიათ **ხაბა**. ის გარემოება, რომ **„მამა ჩემო“**-ს აღმნიშვნელი ფორმა ყოფილა დასახელებული, **ცხადჰყოფს, რომ აბხაზურში ჩვეულებრივი მოსაუბრისათვის მამა ცალკეულად და განყენებულად-კი არ არსებობდა, არამედ იყო, ან ჩემი მამა, ან შენი მამა, ან მისი მამა** და სხვ.

[1] ...„glaube ich doch, dass ich meine Nachrichten von Land und Leuten und die so mühsam gesammleten Sprachproben für zuverlässig ausgeben kann“ (R I, 484).

ამგვარად, **კუთვნილებითი ნაცვალსახელების ასეთი თავსართები სიტყვასთან იმდენად შეზრდილი ყოფილა, რომ საგანგებოდ განუსწავლელ ადამიანს, როგორც ჩანს, მათი ჩამოცილება ფიქრადაც არ მოსდიოდა.** ამ და **ამის მსგავს გარემოებას კავკასიის ენების სიტყვათა ეტიმოლოგიის ძიების დროს უაღრესი ყურადღება უნდა მიექცეს და ყოველთვის მისი შესაძლებლობა გათვალისწინებული უნდა იყოს.**

თუ გჳლდენშტედტის ჩანაწერი მკვლევარს ასეთი დაკვირვებისათვის მასალას აწვდის, ვგონებ, ეს უმნიშვნელო წვრილმანი არ უნდა იყოს და ასეთი „შეცდომების“ გამოუყენებლობაც არ შეიძლება. **ამ გერმ. მეცნიერის ნაშრომში დაბეჭდილია კავკასიის ენების ლექსიკური მასალა იმ სახით, როგორც 1772-3 წ. შეეძლო ადამიანს ჩაეწერა, ამ მასალის ანალიზი და სათანადოდ გამოყენება-კი მომავალი თაობის მოვალეობას შეადგენდა და, თუ ის ჯეროვანად არ გამოუყენებიათ, ეს იმდენად ჩამწერისა არა, რამდენადაც მერმინდელ მკვლევართა ბრალია.**

გჳლდენშტედტს რუსეთში ამ დარგში გამგრძელებელი არავინ გამოსჩენია და კავკასიასა და საქართველოში სამეცნიერო მიზნით რუს. სამეც. აკადემიის მიერ ისევ გერმანელი მეცნიერივე ადჲუნქტი ჰაჲნრიხ ჲულ. კლაპროთ-ი იყო 1807-8 წ. წარმოვლენილი. 1812—14 წ. გერმანიაში გამოვიდა კიდევაც მის მოგზაურობის დროს შეკრებილი ცნობებისა, ლინგვისტ. მასალების და მისი საკუთარი გამოკვლევის შემცველი ორტომიანი ნაშრომი „Reise in den Kaucasus und nach Georgien“. პარიზის სამეცნიერო აკადემიის წევრად არჩევისა და საფრანგეთში გადასახლების შემდგომ, მან ამ თავისი 2 წიგნის ფრანგული შევსებული გამოცემაც „Voyage au mont Caucase et en Géorgie“ 1823 წ. დაბეჭდა.

ვითარცა ფილოლოგოსი განათლებით და, დასავლურის გარდა, აღმოსავლური ენების მცოდნე, კლაპროთი ამ მუშაობისათვის, რა თქმა უნდა, გჳლდენშტედტზე უფრო შესაფერისი იყო. ამის წყალობით მას კავკასიის შესახებ არსებული ძველი და საშუალო საუკუნეების ყველა ცნობილი წყაროები უხვად აქვს გამოყენებული და არა ერთი საგულისხმო მოსაზრებაც აქვს გამოთქმული. თავის **მიზნად მას გჳლდენშტედტისაგან დაწყებული კვლევა-ძიების დამთავრება და კავკასიელთა სადაურობის საკითხის გამორკვევა ჰქონდა დასახული.**

რასაკვირველია, კლაპროთს აქაური ენის შესასწავლად მასალების შეგროვებისათვისაც უფრო მეტი ყურადღება ჰქონდა მიქცეული. სახელდობრ, ფრანგ. გამოცემის II ტომის გვ. 291—577-ზე, ანუ მთელი 286 გვერდი, ენებს აქვს დათმობილი.

ძველი და მერმინდელი ისტორიული და გეოგრაფიული ცნობების მიხედვით კლაპროთს აბხაზთა და ჩერქეზთა მოსახლეობის მდებარეობა და დროთა განმავლობაში მომხდარი ცვლილება აქვს გამორკვეული.

საერთოდ **ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა-ძიება მას უფრო ემარჯვებოდა.**

კ ლ ა პ რ ო თ ი, მისგან მოყვანილი ცნობების თანახმად, **აბხაზთა და ჩერქეზთა შესახებ ფიქრობდა, რომ ისინი კავკასიის ძველისძველი მკვიდრნი არიან** (Voyage II, 380 და 411).

აბხაზური ენის შესახებ-კი მას აღნიშნული აქვს მხოლოდ: პ ა ლ ლ ა ს-ი გჳლდენშტედტის დებულებას, რომ აბხაზური და ჩერქეზული ენები დებად არის მისაჩნევი, გადაჭარბებულად სთვლიდა, რათგან **მისი აზრით ნამდვილად აბხაზურს მხოლოდ ჩერქეზული სიტყვები აქვს შეთვისებული, ძირეულად-კი აბხაზური ჩერქეზულისაგან განსხვავდებაო** (V. II, 417). თავისი საკუთარი აზრი კ ლ ა პ რ ო თ ს აქ თუმცა დართული არა აქვს, მაგრამ,. **როგორც შემდეგითგან ირკვევა, ისიც პ ა ლ ლ ა ს ი ს მსჯელობას იზიარებდა.**

კ ლ ა პ რ ო თ ი ს სიტყვით, **ჩერქეზთა ენა გამოხათქმელად დედამიწის ერთი უძნელეს ენათაგანია** და არც ერთ ანბანს მისი ბგერების სრულად გადმოცემა არ ძალუძსო. მას ზოგი ბგერა გააჩნია, რომელნიც ენის ისეთი ხმაურობით (claquemen) გამოითქმიან, რომ მიბაძვა შეუძლებელია, თანაც ხმოვანთა და დიფთონგების მრავალგვარი მოდიფიკაციაც იცის (une modification excessivement multipliée des voyelles et des diphthongues). ზოგი თანხმოვანი ხორხის ისეთი სიძლიერით გამოითქმება, რომ არც ერთ ევროპელს ასეთი ბგერის გამოღება არ ძალუძს. **მე ვეცადე, ეს ბგერები ჩვენი ანბანით, რამდენადაც შემეძლო, კარგად გამომეხატა და ვფიქრობ, რომ სინამდვილის გადმოცემა გჳლდენშტედტზე და რაჲნეგგს-ზე უკეთესად მოვახერხეო.** **ამის მიღწევა საჭიროდ მიმაჩნდა მით უმეტეს, რომ ერთი მარცვლის უსწორო გამოთქმა, ან მახვილიც-კი სიტყვას სრულებით სხვა მნიშვნელობას ანიჭებსო** (V. II, 381—382).

კ ლ ა პ რ ო თ ი ამტკიცებს, რომ **ჩერქეზთა ენა სხვა კავკასიელთა ენებისაგან ძალიან განსხვავდება, როგორც ლექსიკით, ისევე თავისი სინტაქსისითაც.** თანაც **იგი ფინური მოდგმის ენებს უახლოვდება, მეტადრე ციმბირის ოსტიაკებისა და ვოგულების ენებსაო. ეს მსგავსება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ჩერქეზები იმგვარადვე, როგორც ვოგულები და ოსტიაკები, ერთსა და იმავე შტოს ეკუთვნიან,** რომელიც მეტად შორეულ დროს რამდენიმე ტოტად დაიყო, რომელთა ერთ-ერთ ტოტს, როგორც ეტყობა, ჰუნებიც შეადგენდნო (V. II, 380—381).

ჩერქეზულისათვის მას **რამდენიმე გრამატ. შენიშვნა მოეპოება,** რომელშიც ნათქვამია, რომ ბოლოსართი **რ** ჩერქეზულში ართრონის მაგიერია, რომ ჩერქეზულს გრამატ. სქესი არ გააჩნია, განმარტებულია მრ. რ. ბოლოსართოვანი **ხე** ფორმანტით წარმოება, მოყვანილია სიტყვა **მამა**-ს ჩერქეზული კანკლედობის მხ. და მრ. რიცხვის ყველა ფორმები, შედარებითი და აღმატებულებითი ხარისხების წარმოების წესი, დასასრულ, ერთი ზმნის ჩერქეზული მოქმედებითი და ვნებითი გვარის უღვლილების ყველა ფორმები. ბოლოში 18 ჩერქეზული მოკლე წინადადებაც მოეპოება სიტყვა-სიტყვითი თარგმანითურთ (V. II, 383—388). კ ლ ა პ რ ო თ ს ჩერქეზული სიტყვათა-კონაც აქვს (იქვე, II, 390 — 410), რომელიც ფრანგ. ანბანის რიგზე დალაგებული 450-მდე სიტყვას შეიცავს.

აბხაზურისათვის-კი მას არავითარი გრამ. შენიშვნები არ დაურთავს და, 20 აბხაზურ წინადადებას გარდა, რომელსაც სიტყვა-სიტყვითი თარგმანი აქვს ყოველი წინადადების ქვეშ მოყვანილი, სხვა არაფერი მოეპოვება (V. II, 418—419). აბხაზური სიტყვათა-კონა იმავე წესრიგით არის შედგენილი, როგორც ჩერქეზული (V. II, 420—436) და 300-ზე მეტ სიტყვას შეიცავს.

ლეკების ჩრდილოეთითა და ჩრდილო-დასავლეთით ბინადრობენ ტომები, რომელნიც ერთი და იმავე ეროვნების არიან და ერთი და იმავე ენის დიალექტით ლაპარაკობენ, მაგრამ თვით მათ თავიანთთვის საერთო სახელი არ აბადიათ, მეზობლები-კი სხვადასხვა სახელს უწოდებენ. კლაპროთის სიტყვით **„თათრები“, ჩერქეზები** და ანდიელნი მათ **„მიზჯეგი“**-ს ეძახდენ[1]. ამიტომაც კლაპროთს არ მოსწონდა ჩაჩნების ზოგად სახელად გჳლდენშტედტისაგან შემოღებული **„ქისტები“** და მათი ქვეყნის **„ქისტეთის“** სახელი, მით უმეტეს, რომ ქისტებს **ქართველები** ჩაჩნების მხოლოდ იმ პატარა ტომს უწოდებენ, რომელიც დურძუკეთის ნაწილს შეადგენდა და რომელსაც კუმბალაჲს ხეობის ზემო ნაწილი უკავია. ამნაირადვე ამ მეცნიერს **რუსთაგან** მიღებული **„ჩაჩნების“** სახელის ხმარებაც ამ მიზნისათვის შეუფერებლად მიაჩნდა, რათგან ისიც მხოლოდ ერთი ტომის სახელიაო. ქისტისა და ჩაჩნის მაგიერ კლაპროთი საუკეთესოდ სწორედ **„მიზჯეგი“**-სა სთვლიდა (V. II, 351—352).

მიზჯეგ-ები, კლაპროთის სიტყვით, **სამ დიდ ტომად განიყოფებოდენ. პირველი,** დასავლეთით მობინადრე, **ტომი ლალღაჲ,** ან **ჰალჰა, ინგუშებისაგან შესდგება,** რომელნიც თავიანთ თავს **„ლამურ“**-ს, ე. ი. მთიულებს უწოდებენო. მათ **კუმბალაჲ-სა, ხუნძისა და შალგირის,** ანუ **ახსაჲ-ს აუზის შემადგენელი თემი** უკავიათო.

მეორე ტომს ყარაბულახთა ტომი ჰქვიან, მაგრამ **მათი საკუთარი სახელია „არშტე“,** რომელსაც მათ აღსანიშნავად **ინგუშებიც** ხმარობენო. **ჩაჩნები** მათ **„არიშტოჲაჲ“**-ს უძახიან. მათ **უკავიათ მდინარე მარტანის** (რომელსაც თითონ „ჶართან“-ს უწოდებენ) **დიდი ველი და სამთვრები „აშგანის“, „ჶალარეკ“**-ისა და **„ჩალაშ“**-ის **ხეობაში,** რომელთაგან უკანასკნელი სუნჯის შემდინარეა.

მესამე ტომს ჩაჩნები შეადგენენ, რომელნიც **ყარაბულახითგან მოყოლებული** დაქსაჲ-ამდე **ბინადრობენო** (Voyage II, 353—354). გჳლდენშტედტთან შედარებით ახალი აქ არაფერია.

სამწუხაროდ, კლაპროთის ნაშრომში **ჩაჩნურის არც გრამ. აგებულების შესახებ მოიპოება რაიმე ცნობები და არც სიტყვიერების ნიმუშებია მოყვანილი.** ჩაჩნურ **სიტყვათა-კონას** გარდა, რომელიც 20 ნაბეჭდ გვერდზეა მოთავსებული (V. II, 356—376), კლაპროთს არაფერი გამოუმეტნია. ამისდა მიუხედავად, **ჩაჩნების ვინაობაზე** მასაც აქვს თავისი საკუთარი **აზრი** გამოთქმული.

[1] უსლარის ცნობით-კი ამ სახელს ჩაჩნებისათვის უმთავრესად ყუმიყები ხმარობენ. (Ч. Я. გვ. 1 შენ.).

კლაპროთის აზრით, ჩაჩნები, ანუ მიზჯეგნი კავკასიის უუძველესი მცხოვრებნი უნდა იყვნენ. ამის საბუთად მას დამოწმებული აქვს „ზოგიერთი გარემოება“, რომელიც ნიშანდობლივ დასახელებული არა აქვს, მეტადრე-კი ის, რომ ეს ერი საქართველოს ისტორიის მეტად შორეულ ხანაში ჩნდება. იგი აგრეთვე გრაფი პოტოცკისა და პალლასის აზრსაც, თითქოს ჩაჩნები ალანთა ნაშთი ყოფილიყვნენ, სრულებით უარყოფს (V. II, 352 – 53).

კლაპროთს, როგორც დაერწმუნდით, ჩაჩნური, ანუ მიზჯეგური ენის არავითარი გრამატ. ანალიზი, გინდ მეტყველების ნიმუშები მოყვანილი არა აქვს, მაგრამ მაინც აღნიშნული აქვს, რომ, თუმცა მიზჯეგთა ენა დანარჩენ კავკასიელთა ენისაგან განსხვავდება, მაგრამ მას მაინც ლეკურთან და მეტადრე ლუმუქურ-ლეკურთან (ლაზი-ლუმუქურთან) და ლუნძურთან (ავარულთან) ემჩნევა მსგავსება. ამას გარდა ჩაჩნურში ისეთი სიტყვებიც მოიპოება, რომელნიც სამოიედურს, ვოგულურსა და ციმბირის სხვა ენებსა და სლავურსაც-კი ენათესავებაო (V. II, 354).

დაღისტნისა და ლეკების შესახებაც გამოყენებული აქვს ძველსა და მერმინდელ წყაროებში გაფანტული ცნობები, მაგრამ მის-დროინდელი დაღისტნისა და ლეკურის შესახებ, თავის წინამორბედთან შედარებით, ახალი მეტად ცოტა აქვს. დამახასიათებელია, რომ არც გრამ. შენიშვნები და დაკვირვება და არც მეტყველების ნიმუშები მას მოყვანილი არა აქვს. დართულია მხოლოდ ლეკური ენების (7-ის) სიტყვათა-კონა, რომელიც 44 დაბეჭდილ გვერდს შეიცავს (V. II, 306 — 350).

კლაპროთს მაინც ლეკური ენების შესახებ ახალი და ორიგინალური აზრი აქვს გამოთქმული.

თუ აკად. გულდენშტედტს დაღისტანში რვა ენოვანი ერთეული ეგულებოდა, კლაპროთის აზრით, იქ ნამდვილად მხოლოდ 4 მთავარი ენოვანი ერთეული იყო (V. II, 294—295), რომელნიც საერთო სათავითგან უნდა მომდინარეობდენ, მაგრამ დროთა განმავლობაში ერთი ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავებულანო. მისი აზრით, დაღისტანში გავრცელებულ 4 ენათაგან: ერთი იყო ლუნძური (ავარული), მეორე „ლაზილუმუქური“, მესამე აკუშური და მეოთხე სამხრეთ დაღისტნისა (V. II, 295).

ლუნძური (ავარული) ენის გავრცელებულობის ასპარეზი, კლაპროთის სიტყვით, ანდიელთა და ყაზუჩელთა შორის იყო მოქცეული და სხვადასხვა ძალზე განსხვავებულ დიალექტებად იყო დაყოფილი. ამ ენის ასპარეზის საზღვარს დასავლეთით აქსაი შეადგენს, ჩრდილოეთით აქსაისა, ენდერიასა, ანუ ანდერიასა და ტილბაკის სამხრეთით წარზიდული მთები, აღმოსავლეთით კოისუ და სამხრეთით სამურის სათავემდე შადის, ანუ შადალის მთამდე (V. II, 295 — 296).

სამურის სათავეზე დიდოსა და უნზოს (Ounso) ენათა ასპარეზი „ავარულის“ მოსაზღვრეაო. კლაპროთს იგიც, ზოგ ნარევი სიტყვებისდა მიუხედავად, მაინც „ავარულად“ მიაჩნია (V. II, 296).

დაღისტნის მეორე ენა, „ლაზილუმუქური“, რომელსაც სხვადასხვა დიალექტები აქვს, გავრცელებული იყო, კლაპროთის ცნობით, ყარა-ყაიტაყსა

და თაბასარანში (Thabasseran). დასავლეთით მას კოისუ ჰსაზღვრავდა, სამხრეთით გურიენი, აღმოსავლეთით თაბასარანი და ჩრდილო დაღისტანი, ჩრდილოეთით-კი ოცენის (Ozen) სათავეები. კასპიის ზღვის სანაპიროს ყაიტაღელნი-კი უკვე თურქულს ლაპარაკობენო (V. II, 296).

დაღისტნის მესამე, აკუშური, ენა, კლაპროთის სიტყვით, გავრცელებული იყო კოისუსა, მანასის და ბუამის სათავეებს შორის მდებარე მთებში და გაბატონებულია წუდახარსა და ყუბიჩში. თუმცა მას ლაზი-ღუმუქურთან ბევრი საერთო სიტყვები აქვს, მაგრამ სხვაფრივ განსხვავდებაო (V. II, 296).

სამხრეთ დაღისტნის, მტკვრის მიდამოების დაღისტნის გავრცელებული მეოთხე ენის შესახებ ყველაზე ნაკლები ვიცი, ამბობს კლაპროთი, და ამიტომ მისი გავრცელების ასპარეზის შემოსაზღვრაც არ შემიძლიანო (V. II, 296—297).

როგორც დავრწმუნდით, კლაპროთს, ჩაჩნურზე მსჯელობის დროს, გამოთქმული ჰქონდა აზრი, რომ ჩაჩნურს ლეკურ ენებთან, მეტადრე ღუნძურთან და ღუმუქურთან, ნათესაობა აქვს; მაგრამ იმასაც ამბობს, რომ ლეკურ სიტყვებს კავკასიის სხვა ენების სიტყვებთან და ჩრდილო აზიის ენებთან, მეტადრე ციმბირის სამოედურ და ფინურ დიალექტებთან, ბევრი დამოკიდებულება ემჩნევაო. ამ დებულების დასამტკიცებლად მას 90-ზე მეტი სიტყვის შემცველი პატარა შედარებითი ლექსიკონი აქვს მოყვანილი (იხ. V. II, 297 — 304).

კლაპროთის ნაშრომის ზოგადი შეფასების დროს უნდა აღინიშნოს, რომ მისი ძალა ძველი ისტორიულ-გეოგრაფიულ ცნობების მარჯვე გამოყენებაში მოჩანს, კარგი და შინაარსიანი ცნობები აქვს მას მაშინდელი საქართველოს აღწერილობაშიც ისევე, როგორც იმ ქვეყნებისაშიც, რომელიც უნახავს. გაცილებით უფრო სუსტია მისი წიგნის ლინგვისტიკური ნაწილი.

სწორედ უცნაურია, რომ გჳლდენშტედტის საქმის დასამთავრებლად და კავკასიელთა ენების სადაურობის გამოსარკვევად წამოსულ კლაპროთს აბხაზურისა, ჩაჩნურისა და დაღისტნის ენების გრამატიკული შესწავლით თავი სრულებით არ შეუწუხებია. ჩაჩნურისათვის მას ორ ათეულამდე ისეთი წინადადების ჩაწერაც-კი დაჰზარებია, რომელიც აბხაზურისა და ჩერქეზულისათვის მოეპოვება. მით უფროა ეს გასაოცარი, რომ ის თავისი წინამორბედი გერმ. მეცნიერის აზრს აბხაზურისა და ჩერქეზულის ნათესაობის შესახებ უარჰყოფდა და უკანასკნელის ფინურ და ციმბირის ენებთან, მათ შორის ჰუნურთანაც-კი, ნათესაობას ამტკიცებდა. ნუ თუ ამისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენის მორფოლოგიას არ უნდა ჰქონოდა? ამის მაგიერ-კი, მთელი მისი საბუთიანობა სიტყვების მსგავსებაზეა მხოლოდ დამყარებული.

კლაპროთის სიტყვათა-კონები გჳლდენშტედტისაზე საგრძნობლად უფრო მოზრდილებია და ამისათვის იგი, რა თქმა უნდა, მადლობის ღირსი იყო მაშინაც და ეხლაც მის ცნობებს მთლად მნიშვნელობა არ დაუკარგავს, მაგრამ, ვითარცა ენათა ნათესაობის გამომრკვევს და ფილოლოგს, მას სწორედ ენის მორფოლოგიის შესწავლა მოეთხოვებოდა, ამ მხრივ-კი კლაპროთს თითქმის არაფერი გაუკეთებია.

ალსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ ბუნებისმეტყველს გ ჰ ლ დ ე ნ-შ ტ ე დ ტ ს, აბხაზური და ჩერქეზული ენების ბუნებაზე მსჯელობის დროს, ფილოლოგოს კ ლ ა პ რ ო თ ზ ე უფრო მეტი დაკვირვების ალლო აღმოაჩნდა: პირველის დებულება აბხაზურ-ჩერქეზულის ნათესაობაზე არსებითად სწორეა, იმ დროს როდესაც მეორის მსჯელობა მცდარია და, საკითხის გამორკვევის მაგიერ, უცილობლად, უფრო მის გზის-აბნეულობასა და დახლართვას უდრიდა. მაგრამ სამაგიეროდ კ ლ ა პ რ ო თ ი ს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჩაჩნური და ლეკური ენების დახასიათებით მან თავის წინამორბედს აჯობა, რათგან კ ლ ა პ რ ო თ ი ს ღვაწლად უნდა ჩაითვალოს, რომ ჩაჩნური და ლუნძურ—ლუმუქურ—ლეკური ენების მსგავსების გარემოება პირველად მან შეამჩნია და აღნიშნა.

უცნაურია, რომ ვერც კლაპროთის ნაშრომმა ჩაუნერგა ვინმეს კავკასიის ენების უფრო საფუძვლიანი შესწავლის წადილი. არაფერი გაკეთებულა ამ დარგში რუსეთშიც, რომელიც, ვითარცა ჩრდილო-კავკასიის მბრძანებელი, ამ ერების ენითა და ზნე-ჩვეულებებით მაინც დაინტერესებული უნდა ყოფილიყო. მხოლოდ 1846 წ. დაიბეჭდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელის, შთამომავლობით ფრანგის, ლ ე ო ნ ტ ი ლ უ ლ ჲ ე-ს რუსულ-ჩერქეზული ლექსიკონი, რომელსაც წინ პატარა, 26 დაბეჭდილ გვერდზე მოთავსებული, გრამატიკა უძღვის. თვით ლექსიკონი 244 გვერდს შეიცავს. რუსულ მნიშვნელობას გარდა, ყოველ ჩერქეზულ სიტყვას ფრანგული სიტყვა და განმარტებაც ახლავს.

ჩერქეზთა შორის რამდენიმე წლის განმავლობაში სამსახურში ყოფნის დროს, ლ უ ლ ჲ ე მ ეს ქვეყანა, მოსახლეობა, მისი ზნე-ჩვეულებანი და ენაც შეისწავლა. პოლიტიკურმა ცვლილებამ მას ჩერქეზეთში ყოფნა შეაწყვეტინა და ამ გარემოებამ, თვით ლულჲესავე სიტყვით, საშუალება არ მისცა, რომ ჩერქეზული სასურველი საფუძვლიანობით შეეთვისებინა. მაგრამ შემდეგშიც ის ყოველნაირად ცდილობდა დანაკლისი შეევსო. აკად. შ ო გ რ ე ნ-ის რჩევით, მან ჩერქეზულ-რუსული ლექსიკონის შედგენას მიჰყო ხელი და რამდენიმე წლის განმავლობაში დაამთავრა კიდევაც.

ჩერქეზული ლექსიკური მასალების ჩასაწერად ლ უ ლ ჲ ე მ რუსული ანბანი გამოიყენა იმ მიზნით, რომ ჩერქეზებისათვის რუსულის, ხოლო რუსებისათვის ჩერქეზულის შესწავლა გაეადვილებინა. მაგრამ მისივე სიტყვებითგან ნათელი ხდება, თუ რამდენად ძნელი უნდა იყოს ჩერქეზული ენის რთული და თავისებური ბგერების რუსული დამწერლობით გამოხატვა. უნდა აღინიშნოს კიდევაც, რომ ეს გარემოება მისი ნაშრომის ღირსებისათვის ფრიად საზიანო გამოდგა.

ზოგადად შესაძლებელია ითქვას, რომ მისი მოკლე გრამატიკული დახასიათება ლ უ ლ ჲ ე ს სრულ მოუმზადებლობასა და უმწეობას ამჟღავნებს: საენათმეცნიერო მუშაობისათვის გამოსადეგი დაკვირვების ალლო მას ნაკლებ ემჩნევა. ამიტომ გასაკვირველიც არაფერია, რომ მისი მსჯელობა აბხაზურისა, ჩერქეზულისა და უბიხურის ურთიერთობის შესახებ მცდარია.

ლ უ ლ ჲ ე ს სიტყვით, ჩერქეზული, ანუ ადიღეური ენა სამ დიალექტად იყოფებოდა: ერთი ყაბარდოული იყო, მეორე ბესლენური და მესამე ზოგადი

ჩერქეზული. მისი ლექსიკონი სწორედ ამ უკანასკნელისათვის ყოფილა შედგენილი (რ.-ჩ. ლექ. გვ. VII).

ამავე ავტორის აზრით, ჩერქეზულს, აბხაზურსა და უბიხურს ერთმანეთთან ვითომც საერთო არაფერი ჰქონდეთ: სულ სხვადასხვა წარმოშობილობისანი არიანო. ლ უ ლ ე ს მტკიცებით, ჩერქეზულსაც კავკასიის არც ერთ ენასთან ვითომც საერთო არაფერი აქვს (იხ. რ.-ჩერქ. ლექ. გვ. V შენ. და VIII, — Черкессия, გვ. 11, 14 და 15)[1].

ამგვარად ლ. ლ უ ლ ე მ, არამცთუ პალლასისა, კლაპროთისა და პოტოცკის მცდარი დებულება არ უარჰყო და გულდენშტედტის დაკვირვების სისწორე არ დაადასტურა, არამედ აბხაზური, ჩერქეზული და უბიხური სრულებით სხვადასხვა წარმოშობილობისა და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ენებად აღიარა. გულდენშტედტთან შედარებით, ცხადია, ეს დიდ რეგრესად უნდა იქმნეს მიჩნეული.

რა თქმა უნდა, არც მისი ლექსიკონია უზადო, მაგრამ, ყოველგვარი ნაკლისდა მიუხედავად, იქ მაინც შედარებით დიდი და საგულისხმო ლექსიკური მასალაა შეგროვილი და ამ მხრივ თანამედროვე მკვლევარისათვისაც ჯერ მნიშვნელობა არ დაუკარგავს.

ფრიად საინტერესოა ლ. ლ უ ლ ე ს ეთნოგრაფიული წერილები: 1. „Общий взгляд на страны занимаемые черкессами (Адыга), Абхазцами (Азега) и другими смежными с ними горскими народами".

2. „О Натухажцах, Шапсугах и Абадзехах", რომელნიც რუს. გეოგრ. საზ. კავკას. განყოფილების IV წიგნში 1857 წ. იყო დაბეჭდილი.

3. „Верование, религиозные обряды и предрассудки у черкессов" (იქვე, წიგნი V, 1862 წ.).

4. „Учреждения и народные обычаи Шапсугов и Натухажцев" (იქვე, VII წიგნი, 1866 წ.).

ადიღეური ავტონ. ოლქის შემსწავლელმა საზოგადოებამ 1927 წ. ლ. ლულიეს ეს ოთხივე წერილი ცალკე კრებულად გადმობეჭდა და შემდეგი სათაუ-

---

[1] ...„Черкесский (Адыгский) язык совершенно отличающийся и имеющий отдельный корень от языка Абхазскаго, ...передал ему... много своих слов" (რ.-ჩერქ. ლ. VIII)... отдельный народ Убыхи*)"; შენ.: „Сей последний народ имеет свой особенный язык, несходный ни с языком Адыге, ни с Абхазским" (იქვე, გვ. V).

„Черкессы, т. е. Адыге и Кабардинцы, говорят языком адыгским; Абхазцы-же — абхазским, и оба эти языка не имеют между собою ни малейшего сходства. Дюбуа мог заметить (как он пишет) в абхазском языке несколько производных слов языка черкесского, т. е. адыгейского, но коренных не мог в нем найти" (Черкессия გვ. 11). ... „Племя Убыхов... не принадлежит ни к адыгскому, ни к абхазскому корню. По ученым исследованиям графа Потоцкого и по топографическому положению Убыхов, не будет ли это остатки древних Алан (Ass ou Iass) средних веков"? (იქვე 14).

„Язык черкесский не имеет никакого сходства с прочими наречиями Кавказа, ни даже с татарским"... „Абхазским языком (Азега) неимеющим сходства с черкесским, говорят все абхазские племена"... „Убыхи говорят особым языком, не имеющим сходства ни с черкесским, ни с абхазским" (იქვე, 15).

რით გამოსცა: Л. Я. Лулье. Черкессия, историко-этнографические статьи (Материалы для истории Черкесского Народа, вып. 4. Краснодар, 1927 г.).

აკად. ბროსსემ საქართველოთგან პეტერბურგში, სამეცნიერო აკადემიაში, **ჩაიტანა** მღვდელი იობ ცისკარიშვილისაგან **შედგენილი წოვური ენის მასალები.** 1853 წ. აკად. A. Schiefner ა. შიფნერ-ი ამ მასალების შესწავლას შეუდგა პეტერბურგშივე ჩასული იობ ცისკარიშვილის ძმის, სასულიერო აკადემიის სტუდ. გ. ცისკარიშვილის, დახმარებით, რომელთანაც აკადემიკოსს მუშაობა მხოლოდ 1854 წ. ენკენისთვემდე შეეძლო, რათგან, ავათმყოფობის გამო, მის მასწავლებელს საქართველოში გამგზავრება მოუხდა, მაგრამ გზაში, ვორონეჟში გარდაიცვალა.

1854 წელს 2 ივნისს შიფნერმა სამეცნიერო აკადემიას თავისი გერმანულად დაწერილი მოხსენება წარუდგინა **„თუშური ენის მოკლე დახასიათება“** „Kurze Charakteristik der Thusch—Sprache“, რომელიც იმავე დაწესებულების ორგანოში Bulletin historico-philologique t. XII, № 8 (=Mélanges asiatiques t. II, გვ. 402—429) დაიბეჭდა. მისი რუს. თარგმანი მოთავსებული იყო „Ученыя Записки“-ს III წიგნში (გვ. 71—93).

თავის მოხსენებაში შიფნერს წოვურის, ანუ, როგორც ის უწოდებდა, თუშურის **დამახასიათებელი თვისებები და თავისებურება** აქვს **მოკლედ აღნიშნული** ისევე, როგორც თავისი წყაროებიც აქვს ჩამოთვლილი. ზოგიერთი დამატებითი ცნობები და მასალები ამის შემდგომ შიფნერმა თვით იობ ცისკარიშვილისაგან მიიღო თიანეთიდგან და ა. ბერჟე-მაც შეუკრიბა.

25 იანვარს 1856 წ. აკად. შიფნერ-მა თავის უკვე დამთავრებული მონოგრაფია წარადგინა გამოსაცემად „Versuch über Thusch — Sprache oder die Khistinische Mundart in Thuschetien“ **„ცდა თუშური ენისა ანუ თუშეთის ქისტური დიალექტის შესახებ“**, რომელიც სამეც. აკადემიის „მემუარების“ მე-IX წიგნში“ დაიბეჭდა კიდევაც (Mém. VI Série politiques etc. T. IX) და 160 გვერდიან დიდი ტანის წიგნს წარმოადგენს.

თავის მონოგრაფიაში შიფნერს წოვურის **საკმაოდ ვრცელი** (გვ. 7—89) **გრამატიკული ანალიზი** აქვს **ფონეტიკითურთ** მოთავსებული, **წოვური ენის ნიმუშებიც მოეპოვება ლათინური ანბანითა და გერმ. თარგმანითურთ** (გვ. 90—104) და ბოლოში **ლექსიკონიც** აქვს დართული (გვ. 105—158).

შიფნერი ჩივის, რომ გ. ცისკარიშვილი, რომელიც წოვურის შესწავლის დროს ეხმარებოდა, თავის დედაენას გადაჩვეული იყო და, რაკი 8 წლის განმავლობაში წოვურად აღარ ელაპარაკნა, ძმისაგან შედგენილი მასალების განმარტებაც, სიტყვებისა და ფორმების მოგონებაც უძნელდებოდა. იობ ცისკარიშვილის ნაშრომშიც ზოგი რამე, რაც წოვურის ბუნებისა და გრამატიკის შესადგენად იყო საჭირო, არ მოიპოვებოდა. ასეთ პირობებში და ასეთი მასალებით შედგენილ მონოგრაფიას, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ნაკლი არ ჰქონოდა და შიფნერის ამ პირველ ცდაში არაერთი შეცდომაა შეპარული. მაგრამ მაინც ამ გამოკვლევას იმ მხრივ ჰქონდა მნიშვნელობა, რომ აქ შიფნერს **წოვური ენის გრამ. სქეს-კატეგორიების ის თავისებური პრინციპი, რომლითაც ეს და მისი მონათესავე კავკასიის სხვა ენები თავიანთი თავსართოვანი**

და ბოლოსართოვანი ნიშნებით სხვა ენებისაგან მკაფიოდ განირჩევიან, საკმაოდ კარგად აქვს შემჩნეული, როგორც არსებითსა და ზედსართავ სახელებში, ისევე ზმნის ფორმებშიც (იხ. მისი მონოგრაფიის გვ. 31 — 34 და 54).

1862 წ. 2 სექტემბერს აკად. შიფნერმა აკადემიას თავისი მეორე მონოგრაფიაც წარუდგინა „Versuch über das Awarische“ („ცდა ავარულის შესახებ“), რომელიც იმავე წელიწადს დაიბეჭდა კიდევაც (იხ. Mémoires de l'Akadémie Impériale des sciences de St. — Pétersbourg, VII-e série, Tome V, № 8).

შიფნერის ეს ნაშრომი ბროსსე-გან ჩამოტანილი მასალებისა, ადოლფ ბერჟე-საგან შეგროვებული, შამილის მასწავლებლის ლაჩინილაუ-საგან შედგენილი ლუნძურის მოკლე გრამატიკულ-ლექსიკური მასალებისა და პეტერბურგში რუსეთის ხელმწიფის ამალაში მყოფი ლუნძებისაგან თვით შიფნერის ჩანაწერის შესწავლის ნაყოფს წარმოადგენს. ეს მონოგრაფია უფრო მოკლეა. სულ 54 გვერდისაგან შესდგება, აქეთგან გრამატიკას 25 გვერდი უკავია, ენის ნიმუშებს გერმან. თარგმანითურთ მხოლოდ 9 გვერდი და $17^1/_2$ გვერდი ლექსიკონს.

ასეთი პატარა მასალითა და გამოკვლევით ლუნძური ენის თავისებურების ჯეროვანი სისრულით გამორკვევა, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო და ამ ნაშრომის ნაკლი უკვე შემდეგ გამოსულმა უსლარის წიგნმაც ცხადჰყო, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მას მაინც, ვითარცა პირველ ცდას, თავის დროზე მნიშვნელობა ჰქონდა.

ვისაც შიფნერის ღვაწლის შეფასება ჰსურს, მან უნდა ამ დარგში მანამდე არსებული ვითარება გაიხსენოს. როგორც გჲულდენშტედტისა და კლაპროთის მოღვაწეობის განხილვის დროს აღნიშნული გვქონდა, მათი ნამუშევარი, ეთნოგრაფიულ ცნობებს გარდა, კავკასიის ენების სიტყვათა კონების შეგროვება-გამოქვეყნებას არ გასცილებია. მათი მსჯელობაც ამ ენების ბუნებისა და წარმოშობილობა-ნათესაობის შესახებ თითქმის მხოლოდ ამ ლექსიკურ მასალებზე იყო დამყარებული. ამ ენების აღნაგობის გამოხარკვევად მათ ნაშრომებში არაფერი მოიპოვებოდა. ცხადია, რომ მარტო სიტყვათა შედარებით იმ უაღრესად მნიშვნელოვანი მიზნის განხორციელება, რომელიც მათ დასახული ჰქონდათ, არას გზით არ შეიძლებოდა. ამიტომ მათი მსჯელობა და დასკვნაც შეუძლებელია დამაჯერებელი ყოფილიყო. არსებითად ლ. ლულიეს ნაშრომსაც, ლექსიკონს გარდა, რომელიც მხოლოდ თავისი სივრცითა და მრავალფეროვანობით განსხვავდებოდა, თითქმის ისეთივე თვისება და ნაკლი ჰქონდა, რათგან ჩერქეზული ენის მისი გრამატიკული დახასიათება იმდენად მოკლე და უმწეო იყო, რომ ჩერქეზულის რთული ბგერითი შედგენილობისა და აგებულების გაგება ძალიან ძნელი იყო.

შიფნერის ღვაწლს ხწორედ ის შეადგენს, რომ კავკასიის ენების ნამდვილი ენათმეცნიერული შესწავლა, ფონეტიკით, მორფოლოგიითა და ლექსიკით, პირველად მან დაიწყო. შეგრენი, ვითარცა ინდოევროპული ენათა ოჯახის წევრის, ოსურის, შემსწავლელი, ამ დარგში შიფნერის წინამორბედად ვერ ჩაითვლება, რათგან წოვურისა და ლუნძურის ისევე, როგორც ე. წ.

კავკასიის სხვა ენების აგებულება ინდოევროპულ და მანამდე შესწავლილ სხვა ოჯახების ენათა აღნაგობისაგან სრულებით განსხვავდებოდა.

თვით შიფნერი ორსავე თავის მონოგრაფიაში **უფრო ხალისიანად ამ ენების ფონეტიკას** ეხებოდა და, რა თქმა უნდა, **ესეც ხხვებისათვის წასაბაძავი მაგალითი** უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც უმთავრესი **მორფოლოგიაა** და, თუმცა შიფნერს არსად ნათქვამი არა აქვს, თუ რა უნდა იქმნეს ამ ენების აგებულების განმასხვავებელ თავისებურებად მიჩნეული, მაინც შიფნერის **მთავარ ღვაწლად**, ზოგადად ზემოთ აღნიშნულს გარდა, **ამ ენების გრამატ. ხქესკატეგორიების თავისებური სისტემის შეგნება და გამომჟღავნება უნდა იქმნეს ცნობილი** (ღუნძურის სქესკატეგორიებზე მისი ნაშრომის გვ. 11—12 § 42, გვ. 20 § 97 და გვ. 21 § 103).

შიფნერის მუშაობის **შედეგის ზედმიწევნილობისათვის საზიანო** უმთავრესად ის გარემოება იყო, **რომ ამ ენებს იგი ადგილობრივ-კი არ იკვლევდა, არამედ პეტერბურგში**. მაგრამ მალე გამოჩნდა კიდევაც ნიჭიერი და ფართო მიზნებით აღფრთოვანებული მკვლევარი, რომელმაც ამ ნაკლსაც სძლია და კავკასიის ენების საფუძვლიან შესწავლას სწორედ ადგილობრივ მიჰყო ხელი. ეს მკვლევარი ბარონი პეტრე კარლოსძე უსლარი გახლდათ. შიფნერი აღტაცებით შეჰხვდა მის ნაყოფიერ მოღვაწეობას, სცნო მისი ნიჭიცა და საენათმეცნიერო კვლევა-ძიების განსაკუთრებული უნარიც ისევე, როგორც დაუღალავი შრომისმოყვარეობა და ენერგია. ამ დროითგან მოყოლებული აკად. შიფნერი ასპარეზს უკვე უსლარს უთმობს და თითონ მხოლოდ მისი რუსულად გამოქვეყნებული შრომების გერმანულად გადათარგმნილ-გადამუშავებული სახით დას. ევროპის მეცნიერებისათვის გამაცნობელის მოვალეობით კმაყოფილდება. ესეც შიფნერის კეთილშობილობას და მეცნიერულ უანგარობას ამტკიცებს.

პ. უსლარის **მოღვაწეობით კავკასიურ ენების შესწავლის ახალი ხანა იწყება**. მართალია, ამ შესანიშნავი მკვლევარის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ლ. ზაგურსკის მიერ დაწერილი საკმაოდ ვრცელი და დიდი გრძნობით შედგენილი წერილი არსებობს, რომელიც უსლარის ნაშრომს უძღვის წინ **„უძველესი თქმულებები კავკასიის შესახებ"** („Древнейшия сказания о Кавказе, сочинение барона П. К. Услара. С биографиею автора, написанною Л. П. Загурским"... Изд. Кавк. Военно-Народн. Управ. ტფილისი, 1881 წ.), მაგრამ ამ დიდი მოღვაწის ნაამაგარის სრული და ყოველმხრივი შეფასება, ყველა მასალებისა და მისი ნაშრომების მიხედვით, ჯერ არავის უცდია, იმისდა მიუხედავად, რომ ამის ღირსია.

1816 წ. დაბადებული პეტრე უსლარი პეტერბ. გიმნაზიაში ლათინურში კარგად განსწავლული, საინჟენერო სასწავლებელში სწავლა-დამთავრებული, 1837 წ. კავკასიაში იყო სამსახურში განწესებული. დაღისტნის წინააღმდეგ 1839 წ. მოწყობილ ლაშქრობისა და ს. ახტის აღების მონაწილეც ყოფილა, მაგრამ 1840 წ. კავკასიაში სამსახურისათვის თავი დაუნებებია. მერმე უსლარს კვლავ შეუტანია თხოვნა, რომ ისევ კავკასიაში გადმოეყვანათ, და ათი წლის შემდგომ, 1850 წ. ისევ კავკასიაში დაბრუნებულა. მაგრამ პირველ წლებში ის მხოლოდ ვითარცა სამხედრო მწერალი და გენერალ. შტაბის მეცნიერი სპეციალისტი მუშაობდა.

კავკასიაში ყოფნის დროს უ ს ლ ა რ ს მალე ფართო გეგმა დაებადა კავკასიის ისტორიის დაწერის შესახებ უუძველესი დროითგან მოყოლებული. **დასაწყისი ხანისათვის სანდო ცნობების მოპოვება-შეკრება მას ამ ქვეყანაში მცხოვრებ ერთა ენის შესწავლით ჰსურდა.** ამან შეაგნებინა უ ს ლ ა რ ს, რომ **უპირველეს მოვალეობად უნდა კავკასიის ენების შესწავლა-გამოკვლევა ყოფილიყო მიჩნეული.**

ტფილისში 1851 წ. დაარსებული გეოგრ. საზოგადოების გავლენიანი და თანამგრძნობი წევრების დახმარებით (ამ საზოგადოების აქტიური წევრი თვით უსლარიც გახლდათ) და კავკასიის ჯარის მთავარსარდლის შუამდგომლობით, 1858 წ., რუს. ხელმწიფის ბრძანებით, პ. უ ს ლ ა რ ს კავკასიის ისტორიის შედგენა დაევალა. რა თქმა უნდა, **იმ დროს ისეთი ფართო მიზნისა და გეგმის განხორციელება, როგორიც უსლარს ჰქონდა დასახული, მხოლოდ გატაცებული ადამიანის გულუბრყვილო ოცნება იყო, მაგრამ ამ გატაცებამა და ალრფთოვანებულმა მუშაობამ** უ ს ლ ა რ ს **ის შეაძლებინა, რაც ერთ ადამიანს კავკასიის შესასწავლად, არც მანამდე და არც მას შემდგომ, მის გარდა, არავის გაუკეთებია.**

დას. საქართველოში 50-იან წლების დამლევსა და 60-იან წლების დამდევს **სამსახურის დროს,** უ ს ლ ა რ ი **ქართულით, მეგრულითა და სვანურით დაინტერესდა.** ჯერ ბარონ რ ო ზ ე ნ-ის მოხსენება მეგრულისა, სვანურის და აფხაზურის შესახებ გადმოთარგმნა გერმანულითგან, ტფილისში ჩამოსვლისას-კი, პ ე ტ რ ე უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს დახმარებით, დ. ყ ი ფ ი ა ნ ი ს მიერ შედგენილი ქართ. ზმნების ცხრილებისდა მიხედვით, **ქართ. ზმნების აგებულების შესწავლას შეუდგა.** 1861 წ. ქ. სოხუმში წარვლენილმა **სვანურის გრამატიკულად შესწავლისათვის** გ უ ლ ბ ა ნ ი ს ა გ ა ნ **ცნობები და ტექსტები შეაგროვა.** ამავე წელს შემოდგომას იმიერ-ყუბანის ოლქში ლაშქრობაში ყოფნით ისარგებლა და, **უბიხი** ბ ე რ ზ ე კ-ის **დახმარებით, უბიხური ენის პატარა მასალებიც შეკრიბა.** სამწუხაროდ, ის უბიხი მალე გაიპარა და ამის გამო უსლარს მუშაობის შეწყვეტა მოუხდა.

უკვე 1861 წ. 13 მაისს უ ს ლ ა რ მ ა გეოგრ. საზოგადოებას ტფილისში **მოხსენება წარუდგინა კავკასიის უმწერლობო ენებისათვის ანბანის შედგენის აუცილებლობის შესახებ.** ამავე წელიწადს ტფილისის გიმნაზიის მე-VII კლასში ერთი **ლუნძი მოწაფე** გეტტინკაუ აღმოჩნდა. მისი და პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს დახმარებით, უ ს ლ ა რ მ ა ლუნძური ენის ბგერების ჩასაწერად **შედგენილი** თავისი **ანბანის ვარგობის საკითხი გამოარკვია.** პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი უსლარის ანბანით გ ე ტ ტ ი ნ კ ა უ ს ნაკარნახევი ლუნძური სიტყვების ჩაწერას შეუდგა. **აღმოჩნდა, რომ ლუნძური ენისათვის ეს ანბანი საკმარისი არ იყო.** ამის გამო მას **რამდენიმე ახალი ასოს დამატება დასჭირდა.**

ზემოაღნიშნულთაგან ცხადი გახდება, რომ უ ს ლ ა რ ი **წინასწარი ცოდნით უკვე საკმაოდ აღჭურვილი იყო,** როდესაც მან 1862 წ. **აბხაზური ენის ხამი კარგი მცოდნე აბხაზის** ტფილისში ყოფნით ისარგებლა და **აბხაზური ენის საფუძვლიან შესწავლას შეუდგა.** ამას გარდა, მე მგონია, რომ **კავკასიის ენების აგებულების თავისებურებათა გამორკვევა ნაწილობრივ მაინც** უ ს ლ ა რ ი ს ა-

თვის შიფნერის ზემოდასახელებულ მონოგრაფიასაც უნდა გაეადვილებინა, რათგან თავსართოვანი და ბოლოსართოვანი ხქესკატეგორიების არსებობა წოვურსა და ლუნძურში პირველად სწორედ აკად. შიფნერმა აღნიშნა. გრამ. სქესკატეგორიების ამ სისტემას-კი, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, თვით უსლარიც კავკასიის ენების ყველაზე უფრო თავისებურ მოვლენად სთვლიდა.

1862 წელს პეტრე უსლარმა რომ აფხაზური ენის შესწავლას მიჰყოხელი, 6 კვირის განმავლობაში განუწყვეტლივ სამ აბხაზთან მუშაობამ საშუალება მისცა აბხაზური ენის გრამატიკული აგებულება თავისი განსხვავებული თვისებებითურთ გამოერკვია და ამ ენის შესასწავლად განსაკუთრებული სახელმძღვანელო გრამატიკით, პატარა ქრესტომათიითა და ლექსიკონითურთ დაეწერა.

პეტრე უსლარს უკვე 1862 წ. ზაფხულში საშუალება მიეცა გროზნოში ჩაჩნური ენის შესწავლას შეხდგომოდა. მოლა დანგუბაევსა და კედიდოსოვის დახმარებით, მას ჩაჩნური გრამატიკა 1862 წ-ვე ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ ეს ნაშრომი მხოლოდ 1888 წ. დაიბეჭდა.

ლუნძური (ავარული) გრამატიკაც თუმცა უკვე 1863 წ. ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ მხოლოდ 1866 წ. დაიბეჭდა ლითოგრაფიულად. აქეთგან ამოკრეფილი ცნობები 1872 წ. აკად. აკ. შიფნერმა გამოაქვეყნა თავის მოხსენებაში „Ausführlicher Bericht über Baron P. v. Uslar's Awarische Studien". სრულად მისი ნაშრომი მხოლოდ 1889 წ. კავკასიის სასწავლო ოლქის სამმართველომ დაბეჭდა ტფილისში, უსლარის ნაწარმოების ლითოგრაფიული გამოცემის ლ. მელიქიშვილის მიერ დათმობილი ცალის მიხედვით.

1863 წ. დამლევს უსლარი ლუმუქურ-ლეკურის შესწავლას შეუდგა და 1864 წ. მაისში ის თავის შრომას უკვე დამთავრებულად სთვლიდა. 1865 წ. ზაფხულში ეს ლეკური გრამატიკა გამოსცა ლითოგრაფიულად. 1866 წ. აკად. შიფნერმა ამ შრომის შესახებ ჯერ წაიკითხა და შემდეგ დაბეჭდა კიდეც უსლარის თხზულების შინაარსის ვრცლად შემცველი მოხსენება „Ausführlicher Bericht über Baron P. von Uslar's Kasikumükische Studien." მაგრამ თვით უსლარის ნაშრომს სტამბური წესით დაბეჭდვა მხოლოდ 1890 წ. ეღირსა, ისიც კავკასიის სასწავლო ოლქის სამმართველოს წყალობით.

აკუშურ-ხაჲდაკური, ანუ ჰურკანული გრამატიკა 1867 წ. ენკენისთვეში უსლარს უკვე მზადა ჰქონია და ლითოგრაფიულად გამოცემას აპირებდა. მალე ეს განზრახვა განახორციელა კიდევაც თავისი 670 ავტოგრაფიული გვერდის შემცველი გამოცემა ჩვეულებისამებრ შიფნერს გაუგზავნა. მოუცლელობის გამო აკადემიკოსმა მხოლოდ 1870 წ. შესძლო ამ ნაშრომის შესახები „Ausführlicher Bericht über Baron P. v. Uslar's Hürkanische Studien"-ის წარდგენა, რომელიც 1871 წ. დაბეჭდა (Mém., de l'Acad. des sciences, VII série, t. XVII, № 8).

კურულ-ლეკური გრამატიკა 1871 წ. უსლარს თავის ერთს შიფნერისადმი წარგზავნილ წერილში უკვე დამთავრებულად აქვს მოხსენებული, მაგრამ მხო-

ლოდ 1872 წ. დამდეგს დამთავრდა მისი ლითოგრაფიული გამოცემის ბეჭდვა, ხოლო სრული დაბეჭდვა სტამბაში მასაც მარტო 1896 წ. ტფილისში ეღირსა.

ამ ნაშრომის შესახებაც შიფნერმა ვრცელი მოხსენება გამოაქვეყნა: „Ausführlicher Bericht über Baron P. v. Uslar's Kürinische Studien von A. Schiefner (Mém. de l'Acad. des sciences, VII-me série, XX, № 2).

შემდეგ უკვე ცალკე იმ უსიამოვნების გამო, რომელიც მას ამ თავის მოღვაწეობის დროს შეჰხვედრია, მეტადრე-კი მოჭარბებული გონებრივი და კვლევითი მუშაობით ჯანმრთელობის მეტისმეტი შერყევის შედეგად, უსლარის ნაყოფიერებაცა და მხნეობაც შესუსტდა. ის მაინც თაბასარანული ენის შესწავლა-გამოკვლევაზე მუშაობდა, მაგრამ მისი ლითოგრაფიულად გამოცემა ვეღარ მოასწრო, რათგან 8 ივნისს 1875 წ. გარდაიცვალა. თაბასარანულის გარდა, უბიხურისა და ჩერქეზულის შესახებაც დარჩა ჩანაწერები და შენიშვნები.

უსლარის ზემოდასახელებული ნაშრომები ყველა ერთი და იმავე გეგმით არის დაწერილი: ჯერ ენის გავრცელების გეოგრაფიული საზღვრებია ხოლმე აღნიშნული (მხოლოდ აბხაზური ენის გრამატიკას არ მოეპოვება ასეთი ცნობები), შემდეგ ბგერების დახასიათება და ფონეტიკა მისდევს, მერმე ვრცლად არის ხოლმე ენის გრამ. აგებულება, მორფოლოგია, განხილული, ბოლოში მოთავსებულია ამ ენის სიტყვიერების ნიმუშები მოთხრობებისა, ზღაპრებისა, თუ არაკების და ანდაზების სახით რუს. თარგმანითა და გრამ. კომენტარიებით და უკანასკნელი ადგილი ჩვეულებრივ პატარა ლექსიკონს უკავია ხოლმე, რომელშიც შეძლებისამებრ სიტყვების ძირებიც არის გამორკვეული და მათგან ნაწარმოები სიტყვებიც არის ხოლმე დასახელებული. როგორც თავის დროზე უკვე აკად. შიფნერს არა-ერთხელ აღუნიშნავს, უსლარის გრამატ. ანალიზი მკვეთრია და მოპოვებული შედეგიც ნიჭიერად და მკაფიოდ არის დაწერილი. ყოველი ენის მისგან შედგენილი გრამატიკა დინჯს მონოგრაფიულ გამოკვლევას წარმოადგენს, რომელშიც არაფერი არსებითი უყურადღებოდ არაა დატოვებული და ყველაფერი იშვიათი სვინდისიერებით არის დაწერილი. რა თქმა უნდა, შეცდომები შეუძლებელია უსლარის ნაშრომშიც არ იყოს შეპარული, მაგრამ ენის პირველ შემსწავლელს, რაც უნდა ეცადოს, შეცდომის თავითგან აცილება არასგზით არ შეუძლიან. მით უმეტეს ასეთი რამე მოსალოდნელია იმ პირობებში, რომელშიც უსლარს უხდებოდა მუშაობა.

ვითარცა ენისა და ქვეყნის ადგილობრივ შემსწავლელისაგან ჩაწერილი, უსლარის ცნობები ამ ენების გეოგრაფიული გავრცელების საზღვრებზეც მეტად საყურადღებოა, ამიტომაც მათი აქ მოკლედ გახსენებაა საჭირო.

უსლარის სიტყვით, უბიხთა მიწა-წყალი შავი ზღვის იმ სანაპირო ზოლით განისაზღვრებოდა, რომელიც მდ. ხამიშისა და ბუს შესართავებს შუა იყო მოქცეული. მისი სიგრძე 35 რუს. ვერსს არ აღემატებოდა. მათი მოსახლეობა აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით კავკასიონის ქედამდის აღწევდა, რომელიც უბიხებს მდ. სხაგუაშა-ს (= თეთრ წყალს, Бѣлая-ს) აუზისაგან და აბაძეხთა მიწა-წყლისაგან ჰყოფდა.

უბიხთა ჩრდილო-დასავლეთის მეზობლებად ზღვის სანაპიროზე მდ. ბუს იმიერ შაფსუღები და ნატხოყოაჯები იყვნენ. რათგან უბიხურად „ყოაჯე“

თემხა ნიშნავს, ამიტომ ნატხოყოაჯი ნატუხო-თემელს აღნიშნავდა. უბგხთა სამხრეთ-აღმოსავლეთის მეზობლად გამიშის აქეთ აბხაზთა ტომი „საძჸ"-ები იყვნენ, რომელნიც ჩვეულებრივ ჯიქების სახელით იყვნენ ცნობილნი.

თვით უბიხთა მიწა-წყალი ორ ყოაჯედ ანუ თემად იყოფოდა: ვორდანედ და ხასჷოდ (საშედ), რომელიც სოჭადაც იწოდებოდა და ასევე უწოდებდენ ამ მეორე თემს თ უ რ ქ ე ბ ი და რ უ ს ე ბ ი ც.

თვით ეს ხალხი თავის თავს აპჷოკ-ს უწოდებდა, ანუ პჲოკს, უბიხებს მათ ჩ ე რ ქ ე ზ ე ბ ი ეძახდენ.

ჩაჩნური ენის გავრცელების საზღვრად პ. უ ს ლ ა რ ს მდ. ალტაში და შემდეგ კოისუსა და ერგის აუზების წყალთგამყოფელი ქედი აქვს დასახელებული. სალატაუ-ში უკვე ლუნძურია გავრცელებულიო. თვით დაღისტანში მხოლოდ ორ სოფელში — ბუტში, ტეხნუცალში და ჩადირ — ჰამალალში ისმის ჩაჩნურიო (ჩაჩნ. გრ. გვ. 2 და ლეკ. გრ. წერილები, გვ. 24).

მდ. მაკალდონზე მცხოვრები ჩაჩნების ქისტთა ტომი ჩ ა ჩ ნ უ რ ა დ „ვეპპიე"-ს სახელით არიან ცნობილნი, ჯ ა რ ი ე ხ ე ლ ნ ი - კი ფეპპიჲ-ს ეძახიანო (უ ს ლ ა რ ი, Чеч. гр. 164).

ცნობილია, რომ გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ მ ა ჩაჩნებისათვის ზოგად სახელად ქისტი შემოიღო, კ ლ ა პ რ ო თ მ ა — კი მიზჯეგი. უ ს ლ ა რ მ ა ორივე სახელი, ქისტიცა და მიზჯეგი-ც, დაიწუნა და საერთო სახელად ნახჩუო სცნო (რომლის მრ. რ. ნახჩუჲ, ან ნახჩიჲ იქნება), ე. ი. ის სახელი, რომელსაც ეს ხალხი თავისთვის ხმარობსო (Ч. я. გვ. 1).

მდ. სულაკი დაღისტნის კასპიის ზღვის სანაპიროს ჩრდილოეთის საზღვარია, ხოლო მდ. სამური ამავე სანაპიროს სამხრეთის საზღვარიაო (კვრ. გრ. გვ. 1).

1864 წ. 6 იანვარს აკად. შიფნერისადმი მიწერილს წერილში უ ს ლ ა რ ს აღნიშნული აქვს, რომ დაღისტანში ადგილობრივი მკვიდრნი თვითოეული სოფლის ენის განსხვავებულობას ყოველთვის სრულებით განცალკევებულ ენად ახადებენო, მაგრამ კვლევა-ძიება ცხადჰყოფს, რომ ცნობები დაღისტნის ენების მრავალრიცხოვანობის შესახებ ძალზე გაზვიადებულია. თვით დაღისტანში უ ს ლ ა რ ს მხოლოდ შემდეგი 8 ენა აქვს დასახელებული: 1. ყუმიყური, 2. ჩაჩნური ორ სოფელში, 3. ლუნძური („ავარული"), 4. ანდიური, 5. დიდოურ-ბეჟიტლური, 6. აკუშური, 7. ღუმუქ-ლეკური (ლაზილუმუქური) და 8. არჩული (ლაკ. გრ.. წერილი შიფნერისადმი გვ. 18 — 19).

თუ ყუმიყური, ვითარცა თურქული, და ჩაჩნური, ვითარცა შემოხიზნული, გამოვყავით, საკუთრივ დაღესტნის ენათა რიცხვი მარტო ექვსი გამოდის. მაგრამ აქ უ ს ლ ა რ ს კვრული დაჰვიწყებია და ამიტომ სულ შვიდი ენა უნდა ვიანგარიშოთ.

ლუნძურ ენას, ანუ, როგორც რუსებმა უწოდეს, ავარულს დაღისტნის შუა გული უჭირავს და ჩრდილოეთით ჩირიურტითგან იწყება. ხოლო სამხრეთით ამ ენის გავრცელების ასპარეზი ახალ ზაქათალამდის აღწევს ისე, რომ პირდაპირი ხაზით 160 ვერსზეა გადაჭიმულიო. მაგრამ ამ ხაზის აღმოსავლეთითა და დასავლეთით ასპარეზის სიღრმე საგრძნობლად მცირდება. დასავლეთით ლუნძურის მოსაზღვრედ ჩაჩნური, ანდიური და დიდოურია, ხოლო აღმოსა-

ვლეთით -- ყუმიყური, აკუშური, ღუმუქური, არჩული და წახურულია, რომელიც კრულ-ლეკური ენის მონათესავეა (ავარ. გრ. გვ. 1—3).

ღუმუქურში. უ ს ლ ა რ ი ორ კილოკავს არჩევს: ხუნზახურსა და ანწუხურს (იქვე გვ. 6).

ღუმუქურ-ლეკური ენა ლაზიღუმუქის ოლქსა და ნაწილობრივ აგრეთვე დარგოს ოლქშიაც არის გავრცელებული, რომლის 5 სოფელში ღუმუქ-ლეკურად ლაპარაკობდენო. 1864 წ. უსლარი ღუმუქ-ლეკურად მოსაუბრედ სულ ორთავე სქესის 30000 სულსა სთვლიდა (ლეკ. გრ. გვ. 3). ამ ენას ხხვადახხვა კილოები აქვს, მაგრამ ერთიერთმანეთისა კარგად ესმით, ხოლო საუკეთესო გამოთქმად ღუმუქური ითვლებაო (იქვე).

კრული ენის გავრცელების ასპარეზი მდ. სამურის ხეობით განისაზღვრება. ამ მდინარის ორსავე ნაპირას მცხოვრებნი კრულს ლაპარაკობენ. რუტულის 20 ვერსით ქვემოთ ს. ყკლიტარი კრულად მოუბარი პირველი სოფელია. უ ს ლ ა რ ს კრულად მოლაპარაკე მკვიდრთა რიცხვი 5796 კომლად აქვს განსაზღვრული. ამავე ენას ლაპარაკობენ ნუხის თემის შემდეგ სამ სოფელში: შინარ-ში, დაშალულარ-ში და ფილიფარ-ში. ამგვარად კრული ენა კავკასიონის ქედს აქეთაც გადმოდის. რაკი ს. ფილიფარი ს. ვართაშენზე ახლოა, ხოლო ვართაშენში უკვე უდური ენა ბატონობს, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ კრული და უდური ერთი მეორის მოსაზღვრენი არიან. საუკეთესო კრულად ს. ახცაჰარ-ისა არის მიჩნეული, რომელსაც თურქები და რუსები ახტი-ს ეძახიან და რომელიც 1000 კომლზე მეტ მცხოვრებს შეიცავს. მცხოვრებნი თავიანთ თავს და ენას კრელებსა და კრულსაც უწოდებენ და ჸხცეჰგუ-ს (მრ. რ. ჸხცეჰგუძარ), ე. ი. ახტელს. ეს სახელი სამურის ხეობის შუანაწილის მცხოვრებთა კუთვნილებაა და მეზობლებიც მათ ასევე ეძახიანო (კვრ. გრ. გვ. 1—4). მხოლოდ თაბასარანის თემითგან მოყოლებული სამურამდის ხეობას კვრე ეწოდება და მცხოვრებნიც თავიანთ თავს კრეგკ-ს და თავიანთ ენას ქკრეღ ზალ-ს უწოდებენ. მეზობლებიც მათ აღსანიშნავად ამავე სახელსა ხმარობენ.

კრელნი თავიანთ თავისათვის საერთო სახელად ლეზღი-სა ხმარობენ (მრ. რ. ლეზღიძარ) და თავიანთ ენასაც საერთოდ ლეზღი ზალ-ს უწოდებენ. ამ სახელს ისინი თავიანთ განსაკუთრებულ კუთვნილებად სთვლიან, მაგრამ უ ს ლ ა რ ს ეს შემთხვევით მოვლენად მიაჩნია და მათთვის კრულს უფრო შესაფერისად სთვლიდა.

ამგვარად, კრული კრის ოლქის მიწა-წყალზეა გავრცელებული. აღმოსავლეთით კრულის გავრცელების საზღვრად ს. ფარჰატა ხკრ, ანუ ფარჰატ-ი ითვლება, რომელიც სწორედ სამურის კასპიის ზღვაში შესართავთან მდებარეობს. აქ უკვე თურქული ენა იწყება. ყუბის თემშიც თითქმის თვით ქ. ყუბამდე კრულია გავრცელებული. ზ ა ძ ღ ლ ი რ ი ს აზრით, ყუბის ოლქში კრულად მოუბართა რიცხვი 28641 სული უნდა გვევარაუდნაო (კვრ. გრ. გვ. 3—7), საერთოდ კი კრულად მოლაპარაკეთა რიცხვი მთელ დაღისტანსა და ნაწილობრივ აგრეთვე ქედს აქეთაც უ ს ლ ა რ ს 80.000 სულამდე ჰქონდა ნაანგარიშევი. ამგვარად, დაღისტნის ენათა შორის კრულს სიმრავლით მესამე ადგილი უკავია.

კვრულ-ლეკური ორ კილოკავად იყოფა: კვრულად და ახტურადო (იქვე, გვ. 7—8). კვრელთა შორის თურქული ძალიან არის გავრცელებული და კვრულ-ლეკურს ამ ენის ძლიერი გავლენა ემჩნევა კიდეც.

აკად. ა. შიფნერისადმი 1864 წ. 6 იანვარს მიწერილ წერილში უსლარს აღნიშნული აქვს, რომ კავკასიის ენათმეცნიერების მიზანი მასალების შეგროვება უნდა იყვეს, დალაგებული გრამატიკული აღნუსხვა-კი უკვე სპეციალისტების საქმეაო (იხ. მისი Лакскій яз.-ის გვ 13). მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მას თავისი ზოგადი დასკვნა კავკასიის ენების შესახებ მაინც გამოთქმული აქვს.

უკვე 1864 წ. 10 თებერვლის წერილში უსლარი ამბობდა: ეხლა უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ძველი მსოფლიოს ენათა დიდ ოჯახებს, ინდოევროპულს, ხემურსა, ქუშიტურს (კოპტურ-ეთიოპურს) და ურალ-ალტაურს, კიდევ ერთი, სრულებით დამოუკიდებელი, კავკასიის ენათა ოჯახი უნდა მიემატოს, რათგან, გასაოცარ მრავალსახეობისდა მიუხედავად, ყველა ამ ენებს ნათესაობის ღრმა თვისებები ემჩნევაო. სომხური ინდოევროპული ენაა, ქართული-კი, როგორც ჩანს, კავკასიური ენაა და თანაც მთელი ამ ოჯახის ენათაგან ყველაზე უფრო შესანიშნავიაო. ამიტომ უსლარს უნდოდა კავკასიის ენების თავისი გრამატიკული კვლევა-ძიება ქართული ენის ლინგვისტიკური შესწავლით დაემთავრებინა: უამისოდ ჩემ მიერ განზრახული Caucase polyglotte სრული არ იქნებოდაო (იხ. მისი Чеченскій яз.-ის წინ მოთავსებული წერილების გვ. 35).

უსლარი გატაცებული იყო კავკასიის ენების შედარებითი შესწავლის გეგმით და ყოველთვის, როცა-კი გარემოება და კვლევის საგანი ხელს უწყობდა, ამაზე მსჯელობასაც შეუდგებოდა ხოლმე. მაგ. კვრულ-ლეკური გრამატიკის შესავალში მას ნათქვამი აქვს: კვრულ ენას თავისი ლექსიკითაცა და გრამატიკულადაც ჩანჩურისა და უკვე შესწავლილ დაღისტნის ენების მსგავსი თვისებები აქვს. ამიტომ შეუძლებელია იგი აღმოსავლეთ-კავკასიის ვრცელ ენათა ოჯახს არ მივაკუთნოთ. მაგრამ მეორე მხრით პირველივე შეხედვით მას ისეთი თავისებურებაც ემჩნევა, რომელიც კვრულს ენას ამ ოჯახს აშორებს. კვრულის ასეთ განმასხვავებელ თავისებურებად უსლარს სქესკატეგორიების სრული უქონლობა მიაჩნდა იმ დროს, როდესაც სქესკატეგორიებს აღმოსავლეთ კავკასიის ენებში ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვსო. ამის გამო, უსლარის აზრით, ეს გარემოება ამ ენათა, სამხრეთ-აღმოსავლეთის განსაკუთრებული, უსქესო ენათა შტოის არსებობას აშკარავებს. შიფნერმა ერთი ამგვარი უსქესო ენათაგანი, უდური, უკვე შეისწავლა. ცნობილია აგრეთვე, რომ ივერიულ ოჯახის ყველა ენებსაც (ე. ი. ქართულსა და ქართველურს) სქესი არ აზადიათო. მაგრამ უსლარს აქვე აღნიშნული აქვს, რომ ამგვარი შედარება ჯერ ნაადრევია (იხ. კვრ. ენა 21).

საკვლევო ასპარეზის სივრცე და შესასწავლი ენებისა და დიალექტების სიმრავლე უსლარს საშუალებას არ აძლევდა თავისი, იმ დროისათვის ნაადრევი, განზრახვის შედარებითი კვლევა-ძიების შესახებ განხორციელებას შესდგომოდა. საამისოდ მას არც მოცალეობა ჰქონდა, რათგან ერთი ენის შესწავლას

რომ მორჩებოდა და სხვა ახალ კავკასიის ენის შესწავლას შეუდგებოდა, წინანდელი კვლევა-ძიების არამც თუ გაღრმავება არ შეეძლო, არამედ, მოუცლელობის გამო, წინათ შესწავლილ-გამოკვლეულ ენასაც-კი ივიწყებდა ხოლმე. 1864 წ. შიფნერისაგან შედგენილი ჩაჩნური გრამატიკის შესახებ მის ავტორსა სწერდა: უდიდესი ცნობისმოყვარეობითა და ყურადღებით წავიკითხე. **წელიწადზე მეტია, რაც ჩანჩურზე აღარ ვმუშაობ, და ამიტომ დამავიწყდაო** (იხ. ლეკ. გრ. 22). 1871 წ. რომ აკად. შიფნერ-მა უსლარს ღუნძური („ავარული“) ზოგი სიტყვების განმარტება სთხოვა, მან გულახდილად უპასუხა, **სხვა დაღისტნის ენებზე მუშაობის გამო, ავარულს სრულებით გადავეჩვიე და დამავიწყდაო** (იქვე გვ. 37).

უსლარის ამოდენი ღირსების აღნუსხვის შემდგომ, უნდა მისი და შიფნერის **ერთი მცდარი აზრიც აღინიშნოს:** თუმცა პ. უსლარს აბხაზური გრამატიკის თავის შესავალში გჼლდენშტედტისა და კლაპროთის ჩანაწერები მოხსენებული აქვს, მაგრამ იქვე ამბობს, მათმა ჩანაწერებმა არაფერი არ განმარტა, რათგან მათ შემდგენელებმა აბხაზური და სხვა სიტყვები ყურით მოსმენილი და უგრამატიკულ-ანალიზოდ ჩასწერესო. გეორგ როზენის 1847 წ. ბერლინის სამეცნიერო აკადემიის უწყებებში მოთავსებულ პატარა წერილის შესახებ მსჯელობის დროსაც, მას ნათქვამი აქვს: ეტყობა მკვლევარს თავისი აბხაზური მასალები აბხაზებისაგან მათთვის ნაკლებად გასაგები ოსმალური ენის დახმარებით უნდა ჰქონდეს შეგროვებული და ამიტომვე უნდა იყოს, რომ მისთვის აბხაზური ენის ზოგიერთი ძირითადი თვისებები გაუგებარი შეიქმნა, ან სწორედ ვერ გაუგია. **აბხაზურ ენაში სქესის არსებობაც-კი ვერ შეამჩნია როზენმაო** (უსლარის აბხაზ. გრ. ლით. გამ. შესავალი).

აკად. A. Schiefner-იც (ა. შიფნერ-იც) თავის ერთს მოხსენებაში Ausführlicher Bericht über des generals Baron Peter von Uslar Abchasische Studien (Mémoires de l'Académie impér. des sciences de St.-Pétersbourg, VII-e série, t. VI, № 12, გვ. III) ასევე მსჯელობდა[1].

უსლარისა და შიფნერის მსჯელობამ მათაც პირადად გჼლდენშტედტისა და კლაპროთის ჩანაწერში შეგროვებული მასალების მნიშვნელობა დაუჩრდილა და სხვებსაც ალბათ გული აუცრუა. ამ ენების მერმინდელი მცირერიცხოვანი მკვლევარნი გჼლდენშტედტისა და კლაპროთის ჩანაწერებს მართლაც მოხსენების ღირსადაც არ სთვლიდენ, თუ ამ მასალების არსებობა გამოეპარათ, აღარც ეხებიან და არც სარგებლობენ.

უსლარისა და შიფნერის მსჯავრი, რასაკვირველია, მცდარია: არც გჼლდენშტედტსა და არც კლაპროთს, მეტადრე პირველს მათგანს, **ჩაწერილი მასალები ნამდვილად გრამატიკულ ანალიზისათვის არ ჰქონდათ**

---

[1] „Was bisher durch Güldenstädt und Klaproth an Wörterverzeichnissen und Sprachproben von dieser Sprache bekannt war, konnte durchaus keinen Anspruch darauf machen, eine irgend genügende Anschauung von dem Wesen derselben zu geben. Namentlich ist der bei Klaproth „Reise in den Kaukasus B. II S. 246—261“ befindliche Abschnitt über „die abchasische Sprache“ weit davon entfernt, uns eine Einsicht in den Bau der merkwürdigen Sprache zu gewähren“.

განკუთვნილი. მათ მხოლოდ ლექსიკური მასალის ნიმუშების შეგროვება სურდათ, რომ სხვებს ამ ენების ურთიერთშორისი და სხვა ენებთან დამოკიდებულების წინასწარი გათვალისწინება შესძლებოდათ.

მართალია, მათ მაგალითებში ზოგჯერ სიტყვის ფუძეები თავსართოვანსა, თუ სხვაგვარ ნაწილაკებთან ერთად არიან წარმოდგენილნი, მაგრამ მარტო ეს ამ მასალებით სარგებლობის დამაბრკოლებელ გარემოებად მაინც ვერ ჩაითვლება. ჩვენ რომ საქმე დამწერლობის მქონებელი ენების ნიმუშების ჩანაწერთან გვქონოდა, ამგვარი მედიდურობა და უყურადღებობა ადვილი გასაგები იქმნებოდა, მაგრამ, როცა ჩვენ აბხაზური, ყაბარდოული, ჩაჩნური, ღუნძურისა და დაღისტნის სხვა ენების ნიმუში უ ს ლ ა რ ი ს 1862—1871 წ-ში დაწერილ შრომებამდე არ მოგვეპოვება, რა უფლება გვაქვს იმ ლექსიკურ მასალას, რომელიც გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს 1772—3 წ-ბისა და კ ლ ა პ რ ო თ ი ს 1808—9 წ. ჩანაწერებშია, ყურადღება არ მივაქციოთ და არ გამოვიყენოთ? განა, როდესაც ჩვენ ლურსმული წარწერების სახით შენახული ენის მასალები გვაქვს ხელთ, იქ ეს მასალები მათთვის შესაფერისი ანბანითა და გრამატიკული ანალიზით განწმენდილი წმინდა ფუძეების სახით გვევლინება? გრამატიკული ანალიზი მეცნიერ-მკვლევარის საქმესა და მოვალეობას შეადგენს. როგორც თანამედროვე მეცნიერება წარწერებში დაცული მასალებით სარგებლობს და თავისი მიზნებისათვის იყენებს, ისევე ჩვენ ვალდებული ვართ გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ა და კ ლ ა პ რ ო თ ი ს ჩანაწერებით ვისარგებლოთ. იმას გარდა, რომ ამ მასალებითაც-კი თვით მორფოლოგიის ზოგიერთი საკითხების გამორკვევა მაინც შეიძლება, ცხადია, რომ იმ ძირითადი საკითხის შესასწავლად, თუ რამდენად ეცვლებოდა სახე დროთა განმავლობაში ამ უმწერლობო ენებს, უამჩანაწერებოდ მაინც-და-მაინც სრულებით შეუძლებელია: ჯერჯერობით ამის გარდა ჩვენ სხვა არავითარი წყარო და საშუალება არ გვაბადია.

ამნაირად, ახალ-ახალ ენების შესწავლის გამო, მეტისმეტმა დატვირთულობამ და მოუცლელობამ უსლარს არც მის ფართო მიზნებისა და გეგმების და არც მისი აპრიორული დებულებისა და რწმენის დამტკიცების საშუალება მისცა. ზოგადი საკითხი წინანდებურად გამოურკვეველი დარჩა, სამაგიეროდ მეცნიერებას 7 კარგი მონოგრაფია შეეძინა მანამდე უცნობი ენების შესახებ და ამით კავკასიის იმ დროს ჯერ უმწერლობო ენების შესწავლას მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა.

დამახასიათებელია, რომ ვერც პ. უ ს ლ ა რ ი ს აღფრთოვანებულმა მოღვაწეობამ და მისმა მრავალრიცხოვანმა დინჯმა და საინტერესო ნაშრომებმა, რომლებშიც კავკასიის ენების მთელი თავისებურება, ვითარცა ახლად-აღმოჩენილი სულიერ-გონებრივი სამყარო, მისი მადლიანი კალმის წყალობით ასე ნიჭიერად და ცოცხლად იყო წარმოდგენილი, შესძლო სხვების წახალისება. მართალია, უ ს ლ ა რ ს პატივისმცემელთა და თანამგრძნობთა პატარა წრე ჰყავდა, უმთავრესად გეოგრ. საზოგადოების წევრთა შორის ტფილისში, მაგრამ მისი თავგამოდებული მუშაობის მიმბაძველი და მისგან დაწყებული დიადი საქმის, კავკასიის ენების მონოგრაფიული შესწავლის, გამგრძელებელი არავინ გამოჩენილა. გასაოცარია, რომ იმ საკმაოდ მდიდარი და საფუძვლიანი ენოვანი

მასალის გაღრმავებული და შედარებითი შესწავლისა და გამოკვლევას წადილიც-კი არავის აღძვრია.

ნაწილობრივ ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ნაშრომები ლითოგრაფიულად და მცირე რაოდენობით იბეჭდებოდა, ამიტომ ნაკლებადაც იყო გავრცელებული და ძნელი საშოვარიც იყო. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ უსლარის ნაშრომების გამოსვლის უკვე ოციოდე წლის შემდგომ, წარსული საუკუნის ოთხმოციან წლებში, კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველომ განსვენებული მეცნიერის ზოგიერთი ნაშრომი, მაგ. აბხაზური ენის ლითოგრ. გრამატიკის ერთი ცალი, გადასაბეჭდად ძლივს იშოვა. მაგრამ მარტო ზემოდასახელებული გარემოებით გულგრილობის ახსნა არ შეიძლება: უსლარის თანამგრძნობთა წრეს ხომ ჰქონდა მაინც მისი ნაშრომები, შორეულ და უცხოქვეყნელ მეცნიერებსაც ხომ აკად. შიფნერი ყოველნაირად უადვილებდა უსლარის მონაპოვარის გაცნობა-შეთვისებას. თუ ამისდა მიუხედავად უ ს ლ ა რ ს კავკასიის ენების შესწავლის სფეროში გამგრძელებელი არავინ აღმოუჩნდა, ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ამ საგანს გულშემატკივარი არ ჰყავდა, ამ პრობლემისადმი განყენებული, წმინდა მეცნიერული ინტერესი-კი არავის აღმოაჩნდა იმდენად მხურვალე, რომ ამ რთული და ძნელი ენების კვლევა-ძიებით თავი შეეწუხებინა.

ასეა თუ ისე, უ ს ლ ა რ ი ს უკანასკნელი ნაშრომის დაბეჭდვის შემდგომ თითქმის სრული ორი ათეული წლის განმავლობაში კავკასიის ენების შესწავლა შეჩერებული და მიტოვებული იყო. მხოლოდ 1891 წ. დაიბეჭდა ლ ე ვ ლ ო პ ა ტ ი ნ ს კ ი-ს **ყაბარდოული 6 თქმულების ტექსტი რუს. თარგმნითა და განმარტებითურთ და 20 თქმულების მხოლოდ რუს. თარგმანი.** ამას გარდა, გამოქვეყნდა **ამავე ავტორის „მოკლე ყაბარდოული გრამატიკა“** („Краткая кабардинскя грамматика“), რომელიც სულ 46 ნაბეჭდ გვერდს შეიცავს, და **„რუსულ-ყაბარდოული ლექსიკონი“** (Русско-кабардинский словарь с указателем“), რომელიც საკმაოდ დიდია, 299 გვერდიანია. ლ ო პ ა ტ ი ნ ს კ ი ს ყველა ზემოდასახელებული ნაშრომები დაბეჭდილი იყო კრებულში „Сборн. мат. для опис. местн. и племен Кавказа“ (вып. 12-тый, ტფილისში).

ადღეველთა და ყაბარდოელთა შესახები მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვის შემდგომ, რომელიც სულ 10 გვერდს შეიცავს, მას ყაბარდოული ხალხური სიტყვიერების ფრიად საინტერესო ნიმუშები აქვს დაბეჭდილი. მისი ნაშრომის ეს ნაწილი კარგ წვლილად უნდა იქმნეს მიჩნეული. რა თქმა უნდა, უფრო ემჯობინებოდა, რომ 20 თქმულებისა და ზღაპრის რუს. თარგმანთან ერთად ყაბარდოული ტექსტიც ყოფილიყო გამოქვეყნებული, რათგან ყაბარდოულად დაბეჭდილ ტექსტებს შედარებით მცირედი ადგილი აქვს დათმობილი: რუს. თარგმანითურთ სულ 79 გვერდზეა მოთავსებული. ყაბარდ. **ტექსტებს გრამ. განმარტება** აქვს დართული (გვ. 82 — 106). მისი **ყაბარდოული გრამატიკა-კი მართლაც ძალიან მოკლეა,** მისი ნაწილებიც თანასწორად არ არის დამუშავებული: ფონეტიკას 10 გვერდი აქვს დათმობილი, ხოლო მორფოლოგიას სინტაქ. ცნობებითურთ 36 გვერდზე მეტი არ უკავია. სისუსტე მეტადრე ყველაზე უფრო რთული ნაწილის, ზმნის, ანალიზს ემჩნევა და, სივრცესთან

ერთად, მას სიღრმეც აკლია. **რუსულ-ყაბარდოული ლექსიკონი** დიდი და საკმაოდ **მრავალმხრივი შინაარსისაა**, მხოლოდ შიგ თანამედროვე ტერმინებისათვის არა ერთი ხელოვნურად შეთხზული სიტყვებია შეტანილი და ამის გამო სიტყვათა საგანძურის ღირებულებაც ყველგან ერთნაირი არ არის.

ლ. ლოპატინსკის ნაშრომები ღირსებით, რასაკვირველია, უსლარისას ჩამოუვარდება, მაგრამ მაინც, ვითარცა ყაბარდოული ენის შესწავლის პირველი ცდა, ყურადღების ღირსი იყო.

თუ ფონ-ერკერტ-ის 1895 წ. ვენაში დაბეჭდილ დიდტანიან ნაშრომს **„კავკასიური მოდგმის ენები“** „Die Sprachen des Kaukasischen Stammes“, მისი ცხადი სისუსტისა და მასალის უვარგისობის გამო, გვერდს ავუხვევთ, შესაძლებელია ითქვას რომ, ლოპატინსკის ნაშრომის გამოქვეყნების შემდგომაც, ათ წელიწადზე მეტხანს, კავკასიის ენების შესწავლა კვლავ შეჩერებული იყო. ამ დარგში მუშაობა და მანამდე შეუსწავლელი ენების კვლევა-ძიება გერმანელმა მეცნიერმა ადოლფ დირრ-მა განაახლა.

1904 წ. მოყოლებული 1913 წლამდე დირრ-მა **8 ნაშრომი** გამოაქვეყნა:

1. 1904 წ. **უდური გრამატიკა** (Удинская грамматика: СМОМПК, в. XXXIII).

2. 1906 წ. **თაბასარანული ენის გრამატიკა** (Грам. очерк табассаранского языка: იქვე, в. XXXV).

3. 1906 წ. **ანდიური ენის მოკლე გრამატიკა** (Краткий грам. очерк андийского языка с текстами, сборником андийских слов и рус. к нему указателем: იქვე, в. XXXVII).

4. 1907 წ. **აღულური ენა** (Агульский язык: იქვე в. XXXVII).

5. 1908 წ. **არჩული ენა** (Арчинский яз. Грам. очерк და სხვა: იქვე, XXXIX).

6. 1909. წ. **მასალები ანდი-დიდოური ჯგუფის ენებისა და დიალექტების შესასწავლად** (Материалы для изуч. языков и наречий Андо-дидоиской группы: იქვე, в. XLI).

7. 1911 წ. **რუთულური ენა** (Рутульский язык: იქვე, в. XLII და ცალკე წიგნადაც) და

8. 1913 წ. **წახურული ენა** (Цахурский язык: იქვე, в. XLIII და ცალკე წიგნადაც).

მისი მე-9 **ნაშრომი უბვხთა ენა**-ს ეხება, 1913 წ. ჰქონდა ოსმალეთში გადასახლებულთა შორის შესწავლილი, მაგრამ მსოფლიო ომის გამო მხოლოდ 1927 და 1928 წ. გამოქვეყნდა გერმანულად: Adolf Dirr, Die Sprache der Ubichen: ჟურნ. Caucasica-ს მე-4 (გვ. 65—144) და მე-5 (გვ. 1—54) ნაკვეთებში.

ამ წმინდა საენათმეცნიერო კვლევა ძიებას გარდა, დირრ-ს სხვა არაერთი ნაშრომიც აქვს გამოქვეყნებული, მაგრამ მათ აქ არ შევეხებით.

დირრ-ის თვითოეული **ნაშრომი ენის მონოგრაფიულ გამოკვლევას** წარმოადგენს. ყოველ მათგანში **მოიპოვება წყაროების მოკლე აღნუსხვა-დახასიათება**, ცნობა **ენის გავრცელების საზღვრების** შესახებ, მოკლე **ფონეტიკური დახასიათება, მორფოლოგია** და ხან პატარა, ხან უფრო მოზრდილი **ლექსიკონი**, ბევრგან **ენის ნიმუშებიც** არის მოყვანილი.

ა. დ ი რ რ-ის სიტყვით, **დაღესტნის ენები ორ ჯგუფად იყოფა: ჩრდილოეთისა და სამხრეთის ჯგუფად. ჩრდილოეთის ჯგუფს** ანდიური და მისი მახლობელნი ბოთლიხური, ღოდობერული, კარატული, ახვახური, ბაგულალური, ჭამალალური და ტინდალური კილოკავები ეკუთვნის. **სამხრეთის ჯგუფს** ხვარაშნული, დიდოური, და ქაფუჩ-ხუნზახური კილოკავები ეკუთვნისო (დ ი რ რ-ის ანდიური გრ. გვ. I).

ასე ფიქრობდა ა. დ ი რ რ ი 1906 წ., ხოლო 1909 წ. თავის ახალ შრომაში „Материалы для изучения языков и наречий андо-дидойской группы“ უკვე **ერთ ანდი-დიდოურ ჯგუფზე** ლაპარაკობს, **რომელიც ორ შტოდ** იყოფა (იხ. გვ. I და II). ამნაირად, სათაურში, ორი ჯგუფის მაგიერ, ერთი ჯგუფია ნახსენები, მაგრამ ამ ნაშრომის შესავალში ის ისევ ორ, ანდიურსა და დიდოურ ჯგუფზე ლაპარაკობს (გვ. II). ხოლო მოკლე შედარებითი მორფოლოგიური ანალიზის შემდგომ იგი ფიქრობს, რომ ორივე ჯგუფისათვის საერთო სახელად უნდა, მათი გეოგრაფიული მდებარეობისდა მიხედვით, ანდისა და ბოლოზის ქედებს შორის განფენილობის გამო, **„ანდი-ბოლოზური“ ჯგუფი** ეწოდოს. ამ საერთო ჯგუფის ანდიური კილოკავების ზოგად სახელად მას **„გუმბეთური“** მიაჩნდა უფრო შესაფერისად, რათგან ამ ქვეყანას **გუმბეთი** ჰქვიანო. ხვარშიდიდო-ქაფუჩ-ხუნზახურისათვის-კი სახელად **„დიდოური“** ვიხმაროთო (Матер. для... андо-дид. группы. გვ. VI).

ანდიურად ლაპარაკობენ **ანდიში**, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი **„ყუანნალ“**-ს უწოდებენ, **ლალუდირალ**-ში (რუსულად **გაგატლ**-ს ეძახიან), **ღუნნალ**-ში, **რიყუნადირალ**-ში (რუს. რიკუანი), **აშოლალ**-ში (რუს. აშალი), **ზილუდირალ**-ში (რუს. ზილო), **ჩოკუდირალ**-ში (რუს. ჩანკო), **კონხიდატლ**-ში (კუანახ-ში) და **მუნი**-ში. სულ ამ სოფლებში 8117 კომლი მცხოვრები ითვლებოდა.

ანდიური თავისი ბგერითი შედგენილობითაც, მორფოლოგიურადაცა და ლექსიკურადაც **ღუნძურის ახლო-მონათესავეა. ღუნძური** ამასთანავე **ანდიელთა შორის ძალიან არის გავრცელებული.** მაგრამ **ჩაჩნურიც იციან,** ხოლო **დიდოელთა და ყაფუჩელთაგან ბევრნი ქართულად ლაპარაკობენო.**

ანდიელნი თავიანთ თავს ყუანნაჲ-ს უწოდებენ (მრ. რ. ყუანნალ), **ხოლო ენას ყუანნაბ მიცი ქვიან** (დ ი რ რ-ის ანდიური გრ. გვ. I—II).

თაბახარანული ენა გავრცელებულია **დარუბანდის დასავლეთით მდებარე მდ. რუბასჩაის ხეობაში,** რომელიც **ყაიტაყ-თაბასარანულსა და კურულ ოლქებში შედის** და სულ 27000 სულ მცხოვრებს შეიცავს. იგი ა. დ ი რ რ ი ს სიტყვით, **კურულ ჯგუფს ეკუთვნის, რომელშიც,** მისივე აზრით, თვით **კურელთ გარდა, აღულელნი, არჩელნი, რუთულელნი, წახურელნი, ჯეკელნი, კრიზელნი, ხინალუღელნი, უდები და თაბასარანელნი შედიან.** ასე ფიქრობდა დირრი 1905 წ. (იხ. თაბასარ. გრ. გვ. I და V), მაგრამ **1911 წ.** მას უკვე **აზრი შეცვლილი აქვს** იმ მხრივ, რომ **წახურული, არჩული, ხინალუღური და უდური კურული ჯგუფის კუთვნილებად აღარ მიაჩნია** (Рутульский яз. გვ. IV). ეს თავისივე განცხადება ა. დ ი რ რ ს, როგორც ეტყობა, 1913 წ., როდესაც ის თავისს ტფილისში დაბეჭდილ ნაშრომში „Цахурский язык“ გერმანელ მკვლე-

ვარ G. Hüsing გ. ჰუსინგს ეკამათებოდა, უნდა დავიწყებული ჰქონოდა და ამ უკანასკნელის წინადადებას, რომ წახურული კვრულ-ლეკურ ენათა ჯგუფითგან გამოყოფილი ყოფილიყო (Die elamische Sprachforschung. Memnon 1910 წ. B. IV და ცალკე ამონაბეჭდი), მკაცრად წინააღუდგა, თანაც გაცხარებული ამტკიცებდა, რომ წახურული კვრულ ჯგუფს ეკუთვნის და ამ ჯგუფითგან მისი გამოყოფა არ შეიძლებაო (იხ. Цахур. яз.' III—VI). ჰუსინგს რომ რუსული სცოდნოდა, მას დირრის წინააღმდეგ თვით დირრისავე სიტყვების მოყვანა შეეძლო. რა თქმა უნდა, დირრის მსჯელობის ასეთი ცვალებადობა და აზრთა წინააღმდეგობა მისი ნაშრომების სათანადოდ დაუმუშავებლობის შედეგი უნდა იყოს.

არჩულად მხოლოდ ლაზილუმუქის ოლქის პატარა სოფლის არჩის მცხოვრებნი ლაპარაკობენ. ეს სოფელი ღუმუქზე 50 ვერსით არის დაშორებული. 1908 წ. იქ 800 სულამდე მცხოვრები ითვლებოდა. **გარდმოცემის თანახმად, იხინი წინათ ქრისტიანები და მრავალრიცხოვანი ყოფილან. დასავლეთით** მათ **მეზობლებად ლუნძნი** არიან, **აღმოსავლეთით**-კი **ლუმუქ-ლეკები**. ამის წყალობით **არჩელებმა ლუნძურიც იციან და ლუმუქ-ლეკურიც** (იხ. ა. დირრის Арчинский яз.: СМОМПК წ. XXXIX. გვ. II).

პირველი ცნობა არჩული ენის თავისებურების შასახებ პ. უსლარს მოეპოვება აკად. შიფნერისადმი მიმართულ ერთს წერილში, რომელიც მის შრომის „Лакскій языкъ"-ის შესავალშია მოთავსებული (გვ. 8—12) და ნიმუშებთან ერთად ამ ენის მოკლე წინასწარ დახასიათებას შეიცავს. ფონ-ერკერტსაც ჰქონდა ამ ენის შესახებ ცნობები და არჩულს კვრულ-ლეკურსა და ლუმუქ-ლეკურს შუა მდგომად სთვლიდა (Die Sprachen des Kaukasischen Stammes II, 57).

1908 წ. ა. დირრმა რომ არჩული ენის („Арчинскій языкъ") თავისი 227 გვერდიანი გამოკვლევა გამოაქვეყნა გრამატიკით, ტექსტებითა და ლექსიკონითურთ (იხ. СМОМПК წიგნი XXXIX), ამ ნაშრომში არჩული უაღრესად ნარევ ენად აქვს მიჩნეული, მაგრამ ვერ გადაუწყვეტია, თუ რა წვლილი ეკუთვნის იქ კვრულ-ლეკურს, ლუნძურსა და ლუმუქ-ლეკურს. მისი დაკვირვებით, არჩული თავის ნაცვალსახელებით კვრულ-ლეკურ ჯგუფს უახლოვდება, რიცხვითი სახელებით-კი უფრო ლუნძურ-ანდიურ ჯგუფს, ვიდრე კვრულ-ლეკურს (იქვე გვ. I—III). მაგრამ ამაზე მეტის თქმას ვერ ბედავს.

უდებსა და უდურ ენას უკვე მე-XIX ს. მეორე ნახევარში **მეტად მცირე ასპარეზი-ღა ეკავა: ორ სოფლის გარდა, უდური უკვე ძლარსად ისმოდა. განჯის უ. გუბერნიის ნუხის მაზრის ს. ვართაშენსა**, ანუ ორთაშენსა, და **ს. ნიჟში-ღა იყო უდური შერჩენილი**. აქაც, უდელთ გარდა, თურქ-თათრები, სომხები, სპარსეთის ებრაელები და ლეკებიც ცხოვრობენ. ამის გამო **უდები თურქულად და სომხურადაც ლაპარაკობენ** და თანამედროვე **უდური** ენაც **თურქული, სომხური და სპარსული სიტყვებითაა სავსე**. ამ ჟამად **უდების** ერთი **ნაწილი გადმოსახლებულია საქართველოში და** კახეთში, **ს. ზინობიანშია** დაბინავებული.

უდური სიტყვები და რამდენიმე წინადადების ნიმუში პირველად კლაპროთმა გამოაქვეყნა თავის 1814 წ. გამოსულს თხზულებაში „Beschreibung der Russischen Provinzen zwischen dem Kaspischen und Schwarzen Meere". შემდეგ აღსანიშნავია აკად. შიფნერის „Versuch über die Sprache der Uden",

რომელიც რუსეთის სამეცნიერო აკადემიის მემუარების მე-VII სერიის, მე-VI ტომის №8-ში 1863 წ. იყო დაბეჭდილი. ამ შრომით სარგებლობდა ფ რ. მ ჯ ლ ლ ე რ ი უდური ენის მოკლე დახასიათების დროს თავის 1895 წ. ვენაში გამოქვეყნებულ „Grundriss der Sprachwissenschaft"-ში (III. B., II. Abtheil. S. 139 და შემდ.). ფ ო ნ-ე რ კ ე რ ტ ს იმავე წელსა და იმავე ქალაქში გამოცემულ ნაშრომში „die Sprachen des Kaukasischen Stammes" სხვათა შორის უდური სიტყვები და 200-მდე წინადადებაც აქვს მოყვანილი. ა. დ ი რ რ ი ს სიტყვით შიფნერსაცა და ერკერტსაც ბევრი შეცდომები შეჰპარვიათ.

ა. დ ი რ რ მ ა ჯერ 1903 წ. გამოაქვეყნა თავისი ნაწარმოები, „Грамматика удинского языка" (**უდური ენის გრამატიკა**), რომელიც СМОМПК-ს XXXIII წიგნში იყო დაბეჭდილი და ცალკე წიგნადაც გამოვიდა, 1928 წელს-კი ჟურნ. Caucasica-ში (იხ. fasc. 5, გვ. 60—72) მოთავსდა მისივე **„უდური ტექსტები"** Udische Texte გერმანული თარგმანითა და განმარტებითურთ.

ა. დ ი რ რ ი ს სიტყვით, არავითარი ეჭვი არ არსებობს, რომ **უდური დაღისტნის ენათა სამხრეთ-აღმოსავლეთის ჯგუფს ეკუთვნის** (უდური გრ. გვ. IX).

თუმცა დ ი რ რ ი ს **ყველა კვლევითი ნაშრომები ერთი და იმავე გეგმით** არის დაწერილი, **მაგრამ**, სამწუხაროდ, **ყველა ენები ერთნაირი სისრულითა და სიღრმით არა აქვს გამოკვლეული**. უსლარისეულთან შედარებით, მისი ნამუშავარი არც შინაარსითა და არც სივრცე-სიღრმით **იმდენად საფუძვლიანი და საინტერესოდ დაწერილი არ არის, როგორც მრავალი სხვადასხვა ენის ამ იშვიათი მცოდნე პირისაგან მოსალოდნელი იყო.** რაკი ზოგი მის ნაშრომთაგანი კარგად არის დაწერილი, ამიტომ **საფიქრებელია, რომ სხვა მისი წიგნების ზემოაღნიშნული ნაკლი, ერთი მხრით ნაშრომის გამოქვეყნების მეტის მეტი აჩქარებითაც უნდა აიხსნებოდეს**: 9 წელიწადში 8 ენის შესწავლისა და შედეგის გამოქვეყნების დროს, რა თქმა უნდა, ნაკვლევი შეუძლებელია დინჯი და საფუძვლიანი კვლევა-ძიების ნაყოფი ყოფილიყო.

მეორე მხრით აღსანიშნავია და მისი ნაწერებით სარგებლობისას ის გარემოებაცაა გასათვალისწინებელი, რომ დ ი რ რ ი ამ **ახალი ენების შესწავლის დროს ხშირად თითო-ოროლა კაცის ცნობებს ემყარებოდა. უდური** ენისათვის მას ს ო ლ ო მ ო ნ ი ა ნ ც ი და მ ნ ა ც ა კ ა ნ ი ა ნ ც ი ჰყოლია ხელმძღვანელად და მასწავლებლად,—**არჩული, ადულური, ანდი-დიდოური 10 ენისა და დიალექტებისათვის**—მ ო ჰ ა მ მ ე დ მ ო ჰ ა მ მ ე დ ლ ი ნ ლ ო, **ანუ მაჰომედხანოვ-ი,—წახურული** დამყარებულია წახრელ მ ო ლ ა ა ლ ი რ ა მ ა ზ ა ნ-ო ღ ლ ი ს ცნობებზე,—ხოლო **რუთულური** რუტ. ფერშლის ტ უ ა ჲ გ უ დ ა ე ვ ი ს ერთი დღის ნაამბობსა და თემირ-ხან-შურის რეალური სასწავლებლის **პატარა მოწაფის** ა ბ ა ს-ბ ე გ ყ ა ზ ი ზ ბ ე გ ო ვ ი ს პასუხებზე. თვით დ ი რ რ ს ვ ე სვინდისიერად **აღნიშნული აქვს ამ ყმაწვილის უკიდურესი გონებადაბნეულობა და იმ დროს მალარიით მძიმე დაავადება** (გვ. IV).

ადვილად წარმოსადგენელია, თუ რამდენად სამწუხაროა მთელი ეს გარემოება. **ახალი ენის შესწავლა-გამოკვლევის დროს ერთი ადამიანის ცნობებზე დამყარება, სხვებთან შეუდარებლივ და შეუმოწმებლივ**, არ შეიძლება, მაინცა-და-მაინც **ფრიად სახიფათოა.** მით უფრო სახიფათოა, როდესაც ახალი

ენის შესახებ ცნობების მიმწოდებელი ისეთი ადგილობრივი „პოლიგლოტი“-ა, როგორიც დირრის დახასიათებით მუჰამედლინ ლო ყოფილა, ბევრ ენაზე მოსაუბრე ადამიანი, რომლის ცოდნის საფუძვლიანობისა და მით უმეტეს ცნობათა სისწორის შემოწმება და შეფასება დირრს არ შეეძლო. რაც უნდა „პოლიგლოტი“ იყოს ადამიანი, 15 ენის ისეთ შეუმცდარად ცოდნას, როგორიც ახალი ენების აგებულება-თავისებურების გამოსარკვევად არის საჭირო, ვერც მოსთხოვს და ვერც იგულისხმებს. ამით დირრის დამსახურების გაქარწყლება სრულებითაც არ მსურს, ჩვენ მაინც მისი მადლიერნი უნდა ვიყვნეთ, რომ ამ ენების შესახებ ეხლა ცოტა რამე მაინც შეიძლება ვიცოდეთ, მაგრამ სიმართლის თქმა და საქმის ნამდვილი ვითარების გათვალისწინება მაინც საჭიროა. ზემოაღნიშნული გარემოების შემდგომ, მგონია, ყველა დამეთანხმება, რომ დირრის ასეთ ნაშრომებს ჯერ კიდევ საფუძვლიანი შემოწმება სჭირდება და მანამდე მათ მხოლოდ იმდენად აქვთ მნიშვნელობა, რამდენადაც შესაძლებელია წინასწარ მოხსენებას ჰქონდეს.

ად. დირრის დახასიათებაში „ადოლფ დირრი და კავკასიის ენათმეცნიერება“ („Адольф Дирр и кавказская лингвистика“ Adolf Dirr und die kaukasische Sprachwissenschaft: Научное общ. Этнографии, Языка и Литературы при Горском Педагогическом Институте, Владикавказ, 1930 წ. გვ. 11 და 15) პროფ. მ. ნემიროვსკი-ს აქვს აღნიშნული ის სიფრთხილე, რომელსაც დირრი მხჯელობის დროს იჩენდა: ზოგადს, ფართო შედარებასა და დასკვნას ის ერიდებოდა, ფილოსოფიური და შედარებითი პერსპექტივების გადაშლა მისი ბუნების თვისებას არ შეადგენდაო. საამისოდ მას ვგონებ ძალაც არ შესწევდა. მისი ნამდვილი მოწოდება ცოცხალი, სასაუბრო, უმწერლობო ენის შესწავლა გახლდათ. სწორედ ამ დარგში კავკასიაში მუშაობამ დირრს კავკასიელთ-ამცოდნეობის ისტორიაში საპატიო, უსლარის შემდგომ მეორე, ადგილი მოუპოვა.

1903 წ. ა. დირრი-სათვისაც, რომელიც უსლარის საქმის გამგრძელებელი აღმოჩნდა, ჯერ კიდევ გამოსარკვევი იყო, კავკასიური ენები მართლაც ერთ ენოვან ჯგუფს შეადგენენ, თუ არა? ამ საკითხის გამორკვევისათვის მას განზრახული ჰქონდა ჯერ ამ ენების მარტო აღწერილობითი შესწავლა ეწარმოებინა და მხოლოდ შემდეგ შედარებითს კვლევა-ძიებასაც შესდგომოდა. კავკასიის ენათა ნათესაობა რომ დამტკიცდებოდა, მარტო ამის შემდგომ სთვლიდა შესაძლებელად და მიზანშეწონილად, რომ კავკასიის ენებისა და სხვა ცნობილ დიდ ენათა ოჯახებს შორის არსებული დამოკიდებულებისა და ნათესაობის საკითხის გამორკვევაზე მუშაობაც ეწარმოებინა (უდური გრ. გვ. X).

მხოლოდ 1928 წ. გამოაქვეყნა ად. დირრმა კავკასიური ენების ზოგადი მიმოხილვის შემცველი თავისი გამოკვლევა „Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen (Verlag der Asia Major, Leipzig). საყურადღებოა, რომ ახეთი ხანგრძლივი შესწავლის შემდგომაც, ე. წ. კავკასიური ენების ნათესაობის აზრი მხოლოდ სამუშაო ჰიპოთეზის სახით აქვს გამოთქმული. ის ფიქრობდა კიდევაც, რომ მომავალ კვლევა-ძიებას შესაძლებელია გამოერკვია, რომ ნათესაობისა და ერთობის მაგიერ კავკასიაში ენათა სამი ჯგუფია, რო-

მელნიც ურთიერთზე გავლენის წყალობით დროთა განმავლობაში ერთმანეთს დაემსგავსენ (გვ. III)[1].

კავკასიისმცოდნეობის ენათმეცნიერული დარგის ისტორიული განვითარებისა და მონაპოვარის განხილვის შემდგომ, შესაძლებელია ისევ აკად. ნ. მ ა რ რ ი ს მოღვაწეობის დახასიათებას დავუბრუნდეთ. მაგრამ, სანამ აკად. მ ა რ რ ი კავკასიის ენებს თავის საენათმეცნიერო მუშაობის საგნად გაიხდიდა, მას, როგორც დავრწმუნდით, ქართულისა და ქართველური ენების შესახებ უკვე გამოთქმული ჰქონდა თავისი ზოგადი მოძღვრება, რომელსაც იგი, ვითარცა ურყევ ჭეშმარიტებას, ყველა თავის ნაწერებში ემყარებოდა და რომლის ცოდნასა და ცნობასაც თვითოეული თავისი მკითხველის მხრით ის ჰგულისხმობდა ხოლმე. ამიტომ, სანამ მისი მოღვაწეობის მიმოხილვას განვაგრძობდეთ, უნდა წინასწარ აკად. ნ. მ ა რ რ ი ს ამ ზოგად თეორიას შევეხოთ.

1908 წ-მდე აკად. მ ა რ რ ს თავისი შეხედულება ვრცლად არსად გამოუთქვამს. შემდეგაც დამთავრებულ და ყოველმხრივ დასაბუთებულ გამოკვლევის მაგიერ, მას გამოქვეყნებული ჰქონდა მხოლოდ **წინასწარი ცნობა,** რომელიც ქართ. გრამატიკის **„ძირითად ტაბულებს“** (Основныя Таблицы) **უძღვის წინ.** საფიქრებელი იყო, რომ 1908 წელს გამოსულს ამ შრომას მისი გამოკვლევის თვით არსებითი ნაწილი მოჰყვებოდა, რომელშიც მკითხველს თეორია მთელი თავისი სიღრმე-სივრცითა და სრული საბუთიანობით წარმოუდგებოდა, მაგრამ პროფ. მ ა რ რ ს ამგვარი თხზულება არ გამოუქვეყნებია.

სამაგიეროდ ათი წლის განმავლობაში მრავალი პატარა წერილი, ნაწყვეტ-ნაწყვეტად აქვს დაბეჭდილი, რომლებშიც არა-ერთი და ორი ძირითადი საკითხი წამოყენებულია და საბოლოოდ გადაწყვეტილადაც არის გამოცხადებული. ავტორის განსაკუთრებული ნაყოფიერება და მის პატარ-პატარა გაფანტულ ნაკვლევთა სიმრავლე მკითხველს საქმეს უძნელებდა, რათგან პროფ. ნ. მარრის მთლიან ჩამოყალიბებულ თეორიასთან-კი არა ჰქონდა საქმე, არამედ იგი იძულებული იყო ყველა მისი ნაწერები გადაეკითხა და ამ გზით ნ. მ ა რ რ ი ს ზოგადი თვალსაზრისი და შეხედულება თვითვე გამოერკვია. ეს გარემოება ამ სტრიქონების დამწერისთვისაც მეტადრე მას შემდეგ გახდა საგრძნობი, როდესაც იგი **„ქართველ ერის ისტორიის“** ახალ გამოცემისათვის პროფ. ნ. მ ა რ რ ი ს ყველა ნაწერების გულდასმითს შესწავლას შეუდგა, რომ ამ თეორიის მკაფიო დახასიათება და შეფასება თავის ზემოდასახელებულ თხზულებაში შეეტანა.

პროფ. ნ. მ ა რ რ ი იმ ხანაში, როდესაც ქართულის სემურობას ურყევ ჭეშმარიტებად სთვლიდა, მრავალ საკითხს შეჰხებია, ზოგადი ხასიათისაც და

---

[1] „die (kaukasische Sprachfamilie) sich in ihrem Lautmaterial und in ihrem inneren Aufbau so deutlich unterscheidet von ihren Nachbarinnen indogermanischer, semitischer und uralo-altaischer Prägung, dass wir sie trotz des auffälligen Auseinanderstrebens ihrer einzelnen Glieder als eine sprachliche Einheit auffassen dürfen. Vorlaüfig wenigstens und als Arbeitshypothese. Wenn es sich später herausstellen sollte, dass keine Einheit, sondern eine Dreiheit ist, die durch gegenseitige Beeinflussung und Konvergenzerscheinungen anderer Art eine solche Einheitlichkeit nur vortäuscht, so werden wir uns mit dieser Tatsache eben abzufinden haben“ (გვ. III).

კერძოსაც, ამასთანავე ხშირად, ამა-თუ-იმ კერძო ხასიათის საკითხის განხილვის დროს, ავტორს გაკვრით ფრიად მნიშვნელოვანი საკითხებიც აქვს ხოლმე გადაკრილი.

ქვემომოყვანილ მიმოხილვაში შესწავლილია პროფ. ნ. მ ა რ რ ი ს **მხოლოდ ზოგადი შეხედულებანი.** დასახული მიზნის გასაადვილებლად, ქვემომოყვანილ მიმოხილვაში **შემდეგი საკითხებია გამოყოფილი და გამორკვეული:** როგორ ეხატებოდა აკად. ნ. მ ა რ რ ს 1) **ნათესავობრივი დამოკიდებულება ქართულ-ხემურს შორის,** 2) **ნათესავობრივი დამოკიდებულება ქართულსა, მეგრულსა, ჭანურსა და სვანურს შორის და რა აზრისა იყო ქართულ სამწერლობო ენაზე.** 3) **ვანურ-ელამურ ლურსმული წარწერების ენები და მათი თანამედროვე წარმომადგენლები.**

პირველი საკითხის შესახებ პროფ. ნ. მ ა რ რ მ ა თავისი აზრი 1908 წელს დაბეჭდილს ნაშრომში, „**ძირითად ტაბულებ**“-ში, გამოაქვეყნა. თავისი თეორიის ძირითადი დებულება მას ასე აქვს გამოთქმული: „ქართული ენა ყველაზე უფრო დამახასიათებელ წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს განსაკუთრებულ **ენათა შტოისა,** რომელიც თავის მხრივ შთამომავლობით **სემიან ენათა შტოის** მონათესავეა. ამ **განსაკუთრებულს ენათა შტოს,** ქართულისა და ქართულთან ძმურად დაკავშირებულ ცოცხალ **კ ი ლ ო კ ა ვ ე ბ ს** (наречий) გარდა, ე. ი. ეგრეთ-წოდებულ ქართულ, ან ივერული ჯგუფის გარდა (უფრო სწორედ რომ ვსთქვათ ქართების, ივერულ და სვანურ ჯგუფების გარდა), მკვდარი ენებიც ეკუთვნიან“-ო (O. T. 1)[1].

მაშასადამე, **ნ. მარრს ქართულსა და მის დიალექტებს და სემურ ენათა ჯგუფს შორის ნათესაობრივი დამოკიდებულება იმდენად მჭიდროდა ჰქონდა წარმოდგენილი, როგორადაც ერთი საგვარეულო ხის ორი მახლობელი შტო შეიძლება ურთიერთზე იყოს დაკავშირებული.** ამავე აზრისა იყო იგი 1910 წ-საც და ამ დროს გამოქვეყნებულს **ლაზური ენის გრამატიკაში** იგი წინანდებურად ამბობდა, რომ „ქართულის მონათესავე ენები, რომელნიც ქართულთან ერთად ე რ თ **იაფეტურ შტოს** შეადგენენ... შთამომავლობითი ნათესავობით დაკავშირებულნი არიან მეორე, **სემურ შტოსთან**“ (Грам. лаз. яз. IX). ამ თავის აზრის სიცხადით წარმოსადგენად ავტორმა ენათა შთამომავლობითი ხეც-კი შეადგინა, შტოებად დაანაწილა და თავის ზემოაღნიშნულს წიგნს დაურთო.

ამგვარად, **მარრისათვის იაფეტიანთა ენები (ქართული და მისი მონათესავენი) მხოლოდ შტოს შეადგენდენ, იმგვარსავე შტოს, როგორიც სემურ-ქამური ენებია.** ამაზე უმჭიდროესი კავშირის წარმოდგენა, მაშასადამე, შეუძლებელია.

---

[1] „Груз. яз. является характернейшим представителем особой лингвистической ветви, которая в свою очередь находится в генетическом родстве с семитическою ветвью языков. В эту особую ветвь... входят кроме грузинского и братски связанных с ними живых наречій, т. е. кроме так называемой картвельской или иверской группы (точнее картской, иверской и сванской групп) еще и мертвые языки". Н. Марр. Основ. Таб. 1908 г. стр. 1).

1916 წ-ს პროფ. ნ. მ ა რ რ ი ჯერ საჯაროდ კითხულობს, ხოლო შემდეგ ბეჭდავს კიდეც **„კავკასიისმცოდნეობა და აბხაზური ენა“** „Кавказоведение и абхазский язык“, სადაც **ამ საგანზე სრულებით ახალი აზრია გამოთქმული**: „კავკასიის ენების შესწავლამ საშუალება მოგვცა **გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი, მ ე-ო თ ხ ე ე ნ ა თ ა ო ჯ ა ხ ი გ ა მ ო გ ვ ე ყ ო, — ი ა ფ ე ტ უ რ ი,** — რომელსაც არც არიულ-ევროპულ და არც თურქულ ენათა ოჯახთან ნათესაობა არა აქვს, ხოლო რომელიც სისხლმონათესავე არის სემიან ენათა ოჯახისა („находится в кровном родстве с семитической семьею языков“). ეს ნათესაობა იმდენად მჭიდროა, რომ ამ თეორიის დამაარსებელი („основатель этой теории“), ამ სტრიქონების ავტორიო, ამბობს ნ. მ ა რ რ ი, თავდაპირველად და მას შემდგომ კარგა ხანს, თითქმის 1910 წლამდე, ფიქრობდა კიდეც, რომ სემური ენები იაფეტიანთა და ქამიანთა ენებთან ერთად ენათა მხოლოდ ერთს, საზოგადო ოჯახს შეადგენდენო. იქნებ შემდეგში ასეც აღმოჩნდეს, მაგრამ ამჟამად **იაფეტური ენების შემადგენლობა იმოდენად რიცხვმრავალი შეიქმნა, რომ იძულებული ვართ ეს ენები ორ დიდ შტოდ გავყოთ** და ერთ დამოუკიდებელ იაფეტურ **ენათა ოჯახად** შევაერთოთ“-ო (ЖМНПр. 11 — 12)[1].

მაშასადამე, თვით **თეორიის დამაარსებელმა თავისი ძირითადი შეხედულება პირველი და ამასთანავე არსებითი საკითხის შესახებ თვალსაჩინოდ შესცვალა**: თუ წინათ მისი აზრით ქართული და ქართველური ენები, სემურ ენათა ჯგუფებთან შედარებით, ენათა საერთო შთამომავლობითი ხის მხოლოდ ერთ-ერთ შტოს შეადგენდენ, ეხლა ქართული და მისი მონათესავენი მისთვის უკვე **„ენათა განსაკუთრებული ოჯახი“** არის, იმგვარადვე განსაკუთრებული, როგორც არიულ-ევროპული, თურქული და სემური ენათა ოჯახებია. ამიტომაც არის, რომ ნ. მ ა რ რ ი ეხლა ამბობს, რომ „კავკასიის ენების შესწავლამ“ მას საშუალება მისცა „განსაკუთრებული, **მეოთხე ენათა ოჯახი**“ გამოეყო. მსოფლიოს ენათა შორის მეცნიერებაში კარგად ცნობილია ინდოევროპული, ან როგორც ნ. მ ა რ რ ს ნათქვამი აქვს, არიოევროპული, სემური და თურქული ენათა ოჯახები და ამგვარად, ცხადია, თეორიის ავტორისათვის უნდა გამოაშკარავებულიყო, რომ ქართულისა და მის მონათესავე ენათა იმ ოჯახის წევ-

---

[1] „Изучение языков Кавказа... дало возможность выделить особую четвертую семью языков, яфетическую, которая не имеет родства ни с ариоевропейской семьею, ни с турецкой семьею, но находится в кровном родстве с семитической семьею языков. Родство это настолько тесно, что основатель этой теории, автор настоящих строк первоначально и долго еще, почти до 1910 года, предполагал, что семитические языки с яфетическими и хамитическими составляют лишь три ветви одной общей семьи языков.

Может быть это так и окажется со временем, но в настоящее время так разросся состав яфетических языков, что приходится их делить на две большие ветви и об'единять их в одну самостоятельную семью — яфетическую“.

(Н. Марр. Кавказоведение и абх. яз. 1916 г. ЖМНПр. 11 — 12).

რებს, რომელსაც ნ. მარრი იაფეტურ ენათა ოჯახს უწოდებს, ურთიერთშორის იმოდენი საერთო თვისებები აქვთ, ხოლო სხვა ენათა ოჯახებთან შედარებით იმდენად თვალსაჩინო და დამახასიათებელი განმასხვავებელი თვისებები აბადიათ, რომ ამ ენათა ჯგუფის ნათესაობრივი დამოკიდებულება სხვა ენებთან ერთი-ერთმანეთზე გადაბმული შტოების სახით-კი არ უნდა გვეხატებოდეს, არამედ დამოუკიდებელ, „განსაკუთრებულ“ ენათა ოჯახად.

მაგრამ პროფ. ნ. მარრს თავისი აზრის შეცვლა ასე-კი არა აქვს დასაბუთებული, არამედ სულ სხვანაირად. მისი ზემომოყვანილი მსჯელობის კათეგორიული ხასიათისდა მიუხედავად, **ეს საბუთიანობა არც უცილობელი იყო, არც დამაჯერებელი.** იგი ამბობდა: „ამ ჟამად იაფეტური ენების შემადგენლობა იმოდენად რიცხვმრავალი შეიქმნა, რომ იძულებული ვართ ეს ენები ორ დიდ შტოდ გავყოთ და ორივე შტო ერთ დამოუკიდებელ, იაფეტურ ენათა ოჯახად შევაერთოთ“-ო. **ავტორის შეხედულების შეცვლის ერთად-ერთი საფუძველი**, მაშასადამე, **იაფეტურ ენათა რიცხვმრავლობა ყოფილა.** ამგვარი საბუთიანობა, სხვა არა იყოს რა, დაუჯერებელია. განა ოჯახის შექმნა რიცხვზეა დამოკიდებული და სამ ძმას რომ კიდევ ძმები მიემატნენ, განა ამით სხვა ნათესავებთან მათი ნათესაური დამოკიდებულების თვისება შეიცვლება? იგივე უნდა ითქვას ზემომოყვანილი მსჯელობის შესახებაც. **თუ იაფეტურ ენათა თვისებები** ნ. მარრი-ს **აზრით იგივე რჩებოდა, როგორადაც მას წინათ ეგონა, და იაფეტურ ენათა სემურ და სხვა ენებთან დამოკიდებულება იგივე იყო, რანაირიც წინათ იყო, როგორ შეეძლო მარტო იმ გარემოებას, რომ იაფეტურ ენათა შემადგენლობას რამდენიმე ახალი ენა მიემატა, იაფეტური ენები შტოს მაგიერ ოჯახად ექცია?** განა ენათა რომანული და გერმანული შტოები განსაკუთრებულ ენათა ოჯახებად გახდებოდენ, ერთერთს მათგანს რომ რამოდენიმე ახალი მოძმე ენა შესძენოდა? ამიტომეე პროფ. ნ. მარრის მიერ თავისი თეორიის ძირითადი ცვლილების გასამართლებლად მოყვანილი ეს საბუთიანობა საფუძვლიანი არ არის. ორში ერთი შეიძლება იყოს: ან პროფ. მარრი უნდა დარწმუნებული ყოფილიყო, რომ მისი წინანდელი შეხედულება ქართულისა, იაფეტურ-სემურის მახლობელ ნათესაობისა და ამ ჯგუფების ენათა თვისებების შესახებ უნდა უეჭველად შეცვლილი ყოფილიყო, ანდა, თუ მას თავისი აზრი შეცვლილი არ ჰქონდა, მისი მსჯელობა იაფეტური ენების განსაკუთრებულ მეოთხე ენათა ოჯახად ქცევის შესახებ, ვითარცა დაუსაბუთებელი, არ შეიძლება დამაჯერებელი ყოფილიყო.

საფიქრებელია, რომ. პროფ. მარრმა წინანდელი დებულება იმიტომ შესცვალა, რომ ქართული და ქართველური ენების გაღრმავებულმა შესწავლამ აგრძნობინა, რომ „იაფეტურ“ და სემურ ენათა იმგვარად მახლობელი ნათესაობა, როგორც მას თავდაპირველად ეგონა, საქმის ნამდვილს ვითარებას არ შეესაბამებოდა, რომ პირიქით „იაფეტურ“ ენებს ურთიერთს შორის ისეთი საერთო დამახასიათებელი თვისებები აქვსთ, რომელნიც მათ სხვა ენათა ოჯახებს თვალსაჩინოდ აშორებენ და ცალკეულ, განსაკუთრებულ ენათა ოჯახად ხდიან. მაგრამ რაკი ასეთი დასკვნა თითქმის მთელი თეორიის გაქარწყლებას მოასწავებდა და ამის მკაფიოდ გათვალისწინება ავტორისათვის, რასაკვირველია

-ადეილი არ იყო, ამიტომ პროფ. მ ა რ რ ი ცდილობდა თავისი თავიცა და მკითხველიც დაერწმუნებინა, რომ მისი თეორიის ცვლილება არსებითი-კი არა, არამედ სრულებით უმნიშვნელო და მეორეხარისხოვანი იყო.

აზრთა დიდი სხვადასხვაობა და ცვალებადობა ემჩნევა პროფ. ნ. მ ა რ რ ს **ქართულისა, მეგრულ-ჭანურისა, სვანურისა და აბხაზურის თავისებურებათა და ურთიერთისადმი დამოკიდებულების დახასიათების დროსაც.**

1908 წელს მაგ. იგი ამბობდა, რომ იაფეტურ ენათა შტოის საუკეთესო და დამახასიათებელ წარმომადგენლად **„ქართულსა და მასთან ძმურად დაკავშირებულ ცოცხალ კილოკავებს** (наречий) გარდა, ესე იგი ეგრეთ-წოდებულ ქართებისა და იბერთა ჯგუფის (უკეთ რომ ითქვას ქართებისა, იბერთა [იგულისხმე მეგრულ-ჭანური] და სვანთა ჯგუფებს) გარდა, მკვდარი ენებიც შედიან"-ო (Основ. Т. გვ. 1). **მაშასადამე, იმ დროს, როდესაც თავისი თეორიის ძირითადი დებულებანი პირველად გამოაქვეყნა, ნ. მარრისთვის მეგრული, ჭანური და სვანური ქართული ენის „ძმურად დაკავშირებული ცოცხალი კილოკავები", დიალექტები იყო მხოლოდ.**

ქართულის შესახებ 1910 წელს პროფ. ნ. მ ა რ რ ი ამტკიცებდა: „ქართულში... როგორც ცნობილია, **ორი ურთიერთის ახლო მონათესავე ენაა შედუღებული ქართებისა და მესხთა"**-ო (Грам. чан. яз. XXI). 1912 წ-ს-კი მას ნათქვამი აქვს, რომ **„ქართულს, ვითარცა სამწერლობო ენას და საზოგადოდ კულტურულ წრეების ენას, შეთვისებული აქვს, ქართების ენასთან ერთად, აგრეთვე თუბალ-კაინური (ე. ი. მეგრულ-ჭანური), ამასთანავე სვანური და სხვა** ელემენტებიც"-ო (К вопросу о положении абхазскаго языка среди яфетических. 1912 წ. II, შენ. 2)[1].

პროფ. ნ. მ ა რ რ ი ს **ზემომოყვანილი დებულებების შემდგომ, მკითხველი სამართლიანად გაოცებული იქმნება, როდესაც მისსავე 1912 წ.** საჯაროდ წარმოთქმულსა და დაბეჭდილ სიტყვაში **„კავკასია და სულიერი კულტურის ძეგლები"** („Кавказ и памятники духовной культуры") **იმავე ავტორის ამგვარ მსჯელობას შეჰხვდება: „ქართველთამცოდნენი, ქართულ ნაციონალურ შეხედულებაზე დამყრნობელნი, უგულებელს ჰყოფდენ მთელ რიგს ქართულის, თუმცა მონათესავე, მაგრამ დამოუკიდებელ ენებს, როგორც მაგ. სვანურს, მეგრულს, ჭანურს და მათ ქართულის** «დამახინჯებულ» თქმად, ანუ **დიალექტებად სთვლიდენ"**-ო (ИАН. 1912 წ. გვ. 78)[2].

---

[1] „Все картское есть грузинское, но не все грузинское — картское. Картский язык — частый представитель картской группы, а грузинский, как литературный язык и вообще язык культурных классов, содержит и тубал-каинские, равно сванские и иные элементы" (Н. Марр. К вопросу о положении абхазскаго языка среди яфетических. СПБ. 1912 г. II. შენ. 2).

[2] „Одни, грузиноведы, исходя из представлений, основанных на грузинских националистических взглядах, игнорировали ряд явно родственных с грузинским, но самостоятельных языков, как-то сванский, мингрельский, чанский, считал их „искаженными" говорами или наречиями грузинского".

(Н. Марр. Кавказ и памятники духовной культуры. Речь 1911 г. И. А. Н. 1912 г. გვ. 78).

ავტორს, როგორც ჩანს, დაჰვიწყებია, რომ ამგვარივე „ნაციონალისტური“ შეხედულება მასაც ჰქონდა და 1905 და 1908 წ.-ში მეგრული, ჭანური და სვანური მასაც ქართულის ცოცხალ კილოკავებად მიაჩნდა. აი რას ამბობდა იგი სახელდობრ 1905 წ.: „თუმცა მეგრული ენა ლინგვისტიკურად თავისებური ენა არის, ქართულის ძმა ენა... და მისი შესწავლა გვიქადის ქართველთა ეროვნული სულის ჰორიზონის (ასეა დაბეჭდილი) გაფართოებას, ჩვენი დედაენის შეგნებას და განვითარებას,... მაგრამ ადგილობრივი კულტურული ისტორიის გათვალისწინებით იგი გახლავს დიალექტი, ან უკეთ, როგორც ფრანგები იტყვიან, «პატუა» (patois). არც საფრანგეთში, არც გერმანეთში, არც ინგლისში და არც რუსეთის სახელმწიფოში, გარდა სამეგრელოსა, არავის ხელუყვია იმდენი მწერლობის შექმნა, რამდენი დიალექტი და «პატუა» მოიპოვება ხსენებულ ქვეყანაში, თუმცა მათი თვისებურ-ენობა ლინგვისტიკურად დამტკიცებულიც იყოს“-ო (ნიკო მარრი გაზ. „ცნობის ფურცელი“ 1905 წ. № 2773).

მაშასადამე, ავტორისავე მსჯელობით მეგრული სამწერლობო, ზოგადი ქართულის დიალექტია, მარტო ნაციონალისტური აკვიატებული აზრისა და დაჟინების გამო-კი არა, როგორც ის ზემომოყვანილ წერილში ვილაცას უსაყვედურებდა, არამედ თვით პროფ. მარრის-ვე ავტორიტეტული დასკვნით, კულტურის ისტორიის თვალთსაზრისითაც ეს დებულება მასაც უცილობელ ჭეშმარიტებად მიაჩნდა.

შემდეგ, 1915 წ. ქართული ენისა და ბუნებრივი კოლექტივის საზოგადო დახასიათება პროფ. ნ. მარრმა კვლავ შესცვალა. ქართულ-მეგრულ-სვანურის ურთიერთშორისი დამოკიდებულება ეხლა უკვე ამგვარად აქვს წარმოდგენილი. ქართული შემკრებელობითი ერთეული „არსებითად შესდგება ხალხების სამი ისეთი ჯგუფისაგან, რომელნიც სამს სხვადასხვა, მაგრამ მონათესავე ენას ლაპარაკობენ, სახელდობრ, ქართველებისა, იბერთა (აწ მეგრელებისა და ლაზებისაო) და სვანებისაგან. ამ სამ ხალხს ერთი-ერთმანეთს შორის ტომობრივადაც და ენის მხრივაც დაახლოვებით იმგვარივე დამოკიდებულება აქვთ, როგორც რუსებს, პოლონელებსა და ჩეხებს, მხოლოდ ერთი ეროვნული კულტურით არიან შეკავშირებულნი-ო (Кавказский культурный мир и Армения, 1915 წ. გვ. 22—23)[1]. მაშასადამე აქ უკვე ქართველები, მეგრელები და ჭანები ტომობრივადაც და ენის მხრითაც სამს დაახლოვებით იმგვარსავე განცალკევებულ ხალხს შეადგენენ, როგორც რუსები, პოლონელები და ჩეხები.

აკად. ნ. მარრის დებულებათა ესოდენი ცხადი წინაალმდეგობა, ახალი ნაშრომის გამოქვეყნების დროს თავისივე წინანდელი ნაწერების შინაარსის მივიწყებისა და ზოგადი ენათმეცნიერების ამ საკითხის შესახები მოძღვრების სრული

---

[1] „Грузинский природный коллектив“... (стр. 22) представляет собою в основном ядре группу трех народов, говорящих на трех равных, но родственных языках, именно грузин, или картвелов, (в основе картов), иверов (ныне мингрельцев и лазов) и сванов. Эти три народа этнически и лингвистически находятся приблизительно в отношениях русских, поляков, и чехов, но об'единены одной национальной культурою“.

(Н. Марр. Кавказский культурный мир и Армения 1915 г. стр. 23).

გაუთვალისწინებლობის შედეგია. ეს საკითხი, როგორც ცნობილია, ზოგად ენათმეცნიერებაში ვრცლად არის გაშუქებული და ამიტომ ამაზე სიტყვის გაგრძელება არ ღირს.

ზოგადი ენათმეცნიერების მოძღვრებას რომ თავის დროზე თვით აკად. ნ. მ ა რ რ ი ც მისდევდა, ჩვენ უკვე საკმაოდ დავრწმუნდით. ეხლა-კი **საშუალება გვაქვს გამოვარკვიოთ, რომ წინანდელი რწმენისა, თუ შეხედულების შეცვლის შემდგომაც, მას კვლავ უმჯობესად იმავე დებულების გაზიარება მიურჩევია, რომელიც ზოგადს ენათმეცნიერებაში უცილობელ ჭეშმარიტებად ითვლება.**

1922 წ. ლენინგრადში, აღმოსავლეთის ცოცხალი ენების ინსტიტუტი რომ დაარსდა და ქართულსა და სომხურს იქაც ჰქონდა ადგილი დათმობილი, ქართული ენის პრაქტიკული კურსის შესავალ ლექციაში ამავე წელს 18 იანვარს თავისი ახალი მსმენელებისათვის აკად. ნ. მ ა რ რ ს შემდეგი საგულისხმო დებულება წაუყენებია: „უაღრესად აღსანიშნავია, რომ კავკასიის მრავალრიცხოვან ენათა შორის, მათი საზოგადოებრივი მნიშვნელობის თვალსაზრისით, ზოგი ენები ტომობრივია, ზოგი-კი ეროვნული ენებია“ (Н. Марр. К изучению современнаго груз. языка. Петроград. 1922 г., Петроградский Институт живых восточных языков, გვ. 13—14)[1]. **„ქართული დღევანდლამდე ტომობრივი-კი არა, არამედ ეროვნული ენაა...: ქართული საზოგადოდ კავკასიის საზოგადოებრიობის ენაა**, კავკასიის ტერიტორიის მნიშვნელოვან ფართობზე გავრცელებული, ისეთ ტომებსა და ერებს შორისაც-კი, რომელნიც ტომობრივ წარმოშობილობით, ან და თავიანთი პრაქტიკული ყოფა-ცხოვრებით მათზე სრულებით შორსა დგანან, ამასთანავე სარწმუნოებისდა მიუხედავადაც. ქართულად ლაპარაკობს კავკასიის მთიანეთის სამხრეთი ფერდობების ოსთა მოსახლეობის დიდი ნაწილი, აბხაზთა ერის გარკვეული ფენები ისევე, როგორც საქართველოს საზღვრებში მობინადრე სომხებიც... აგრეთვე ლეკების ერთი ნაწილი, სახელდობრ

[1] „важно отметить, что в многочисленных языках Кавказа есть языки племенные и языки национальные с точки зрения их общественного значения... (გვ. 11). Груз. язык и поныне не племенной, а национальный язык... Груз. язык это вообще язык кавказской общественности на значительной территории Кавказа, не исключая и тех племен и народов, которые далеки от какого-либо или от заметного в практической жизни племенного родства и независимо от религии. По грузински говорят и добрая часть осов (осетин) на южном склоне Кавказ. гор, известные слои абхазскаго народа, равно все оседлые в пределах Грузии армяне... а также некоторая часть лезгин. именно дидо и также турок... Сравнительно с прошлым груз. язык конечно потерял ряд позиций кавказского международного языка; тем не менее у него, у груз. национального языка, и сейчас все данные одного из немногих международных языков Кавказа... Груз. национальный язык обладает, вместе с международностью в масштабе кавказской общественности, исключительной демократичностью. Оба эти качества... результат громадной культурной работы... В этой работе принимали участие не один груз. народ, не одно груз. племя, не один слой груз. народа. Груз. язык в известной мере синтез кавказской культурной жизни, стремившейся создать себе единый общественный язык и в древности“... (Н. Марр. К изучению современного груз. языка. Петроград. 1922. Петроградск. Инст. восточных языков, გვ. 13 — 14).

დიდოელნი, და თურქებიც-კი... წარსულთან შედარებით ქართულს, ვითარცა კავკასიის საერთაშორისო ენას, ზოგიერთი ადგილები (პოზიციები), რასაკვირველია, დაკარგული აქვს, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, **ქართული ეროვნული ენა ამჟამადაც კავკასიის მცირერიცხოვან საერთაშორისო ენათაგანის ყველა თვისებების მქონებელია... კავკასიის საზომიან საერთაშორისობასთან ერთად, ქართულ ეროვნულ ენას განსაკუთრებული დემოკრატიულობაც გააჩნია. ორივე ეს თვისება... უზარმაზარი კულტურული მუშაობის ნაყოფია... ამ შემოქმედებაში მონაწილეობას ქართველი ერის მარტო ერთი ფენა, მარტო ერთი ქართველი ტომი, მხოლოდ ქართველი ერი არ იღებდა.** ქართული ენა ნაწილობრივ კავკასიის კულტურული ცხოვრების, რომელიც ძველადაც ერთი საზოგადოებრივი ენის შექმნას ცდილობდა, სინთეზიც არის“-ო (იქვე გვ. 13—14).

აქ ყველაფერი ნ. მარრისათვის **ისეთი ჩვეულებრივი ნიჭითა და მჭერმეტყველებით არის ნათქვამი, რომ არაფრის დამატება საჭირო არ არის, მაგრამ ამის შემდგომ ქართული ენის ნამდვილი რაობის შესახებ მსჯელობის გაგრძელებაც, ვგონებ, სრულებით ზედმეტი იქმნებოდა.**

გარკვეული დროითგან აკად. ნ. მარრის მუდამ ახალის ძიებისადმი მისწრაფებას, როგორც დავრწმუნდით, მარტო ქართულისა და ქართველურის შესწავლა აღარ აკმაყოფილებდა. მის დაუღალავ ცოდნისმოყვარეობას უკვე ლურსმული წარწერების გამოუცნობელი ენების შესწავლის პერსპექტივები ჰხიბლავდა. მართალია, წინათაც, სხვა მეცნიერებსაც, გამოუთქვამთ მოსაზრება, რომ ამ წარწერების ენა კავკასიის ენებთან უნდა იყოს დაკავშირებული, მაგრამ შათ არც ქართული და არც კავკასიის ენები არ იცოდენ და ამის გამო მათი მსჯელობა შეუძლებელია სათანადოდ ნაყოფიერი ყოფილიყო და სხვებისათვის დამაჯერებელი გამომდგარიყო. აკად. ნ. მარრის ამ დარგში დიდი ცოდნა და ნიჭი საშუალებას მისცემდა მას ეს მნიშვნელოვანი საკითხი გამოერკვია.

მართლაც, ელამური წარწერების შესწავლის შემდგომ, პროფ. ნ. მარრს არც ის საკითხი დაუტოვებია განუხილველი, თუ **რა ნათესაობრივი დამოკიდებულება არსებობს ლურსმულ წარწერების ენათა და „იაფეტურ“ ენათა შორის.** 29 დეკემბერს 1912 წელს დაიბეჭდა მისი 1911 წელს წარმოთქმული საზეიმო სიტყვა, რომელშიც სრული უეჭველობით გადაწყვეტილია, რომ **„ალმოხავლეთის იმ იაფეტიანებთან, (რომელნიც) მიდიისა და ელამის ხამზღვრებში (ბინადრობდენ), თავიანთი ენის ფონეტიკური და მორფოლოგიური ბუნებით განუყრელად დაკავშირებულნი არიან... მეგრელები და ლაზები,** ძველ დროს იბერებად და ჭანებად, უფრო ძველად ტიბარენებად და კაინელებად“ წოდებულნიო (И. А. Н. 1912 წ. გვ. 80). მაშასადამე, ავტორის აზრით, **ელამურ—მიდური ენების თანამედროვე წარმომადგენელი მეგრულ-ჭანური ყოფილა.**

ორი წლის შემდგომ-კი თვით პროფ. ნ. მარრს თავისივე ზემომოყვანილი აზრი ეტყობა ისე საფუძვლიანად დაჭვიწყებია, რომ 1914 წ. უკვე ამბობდა: **„ლურსმული წარწერების გამოუცნობ ენებში ჩვენ სრულებით არც გვიძებნია** და არც ვეძებთ არც ქართულს, **არც მეგრულს, არც ჭანურს,** არც სვანურს,- არც აბხაზურს, არც წოვა-თუშურს, ან ჩაჩნურს (ქისტურს), არამედ პირიქით იმ დამოუკიდებელ და მხოლოდ მონათესავე ენებს, რომელნიც ჩვენ ლინგვის-

ტიკურ ცნობებისდა მიხედვით გვაკლია“-ო (Опред. языка второй категорiи: И. Р. А. О. 1914 წ. გვ. 40). ავტორის ზემომოყვანილივე სიტყვები ცხად-ყოფენ, რომ, თუ პროფ. ნ. მ ა რ რ ი მართლაც „არ ეძებდა“, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი აზრით მაშინ საძებნელი არაფერი ჰქონდა და იგი თითონაც სრულებით დარწმუნებული იყო და საზეიმოდ შეკრებილ თავის მსმენელებსაცა და მკითხველებსაც არწმუნებდა, რომ ელამურ-მიდურის თანამედროვე წარმომადგენელი სწორედ მეგრულ-ჭანურია.

იყო დრო, როდესაც აკად. ნ. მ ა რ რ ი **იაფეტურ ენათა უძველესი განსახიერების ნაშთს**, ხან მეგრულში, ხან ჭანურში, ხან სვანურში, ხან აბხაზურში პოულობდა და ამისდა მიხედვით ხან ერთში, ხან მეორეში სემურ ენებთან უმახლობელესად დაკავშირებულ თვისებებს ეძებდა ხოლმე და ამჩნევდა კიდეც. მაგრამ შემდეგში თითქმის თითოეული მათგანი ცოტად თუ ბევრად ნარევ ენად ეჩვენა და ამის გამო არც ერთი მათგანი იაფეტურ-სემიანთა ენების განსაკუთრებითს მახლობლობას ერთიერთმანეთთან საგანგებოდ არ ცხად-ჰყოფდა, პირიქით ყოველი ახალი ნაკადული, რომელიც ქართულთან არის დაკავშირებული, ანუ იაფეტურ ენათა ჯგუფს ეკუთვნის, სემურთან შემაკავშირებელ თვისებებს-კი არ ამრავლებდა, არამედ სემურისაგან დამაშორებელ და განმასხვავებელ თვისებებს სულ უფრო და უფრო ამჟღავნებდა.

პროფ. ნ. მ ა რ რ ი ს სემურ-იაფეტურ თეორიისათვის ამაზე უფრო ძლიერ და ცხად გამომცდელ გარემოებად უნდა ვანურ-ელამურ ლურსმულ წარწერათა ენის შესწავლის შედეგი ყოფილიყო. მართლაც-და, თუ ქართულ სამწერლებო ენის უძველესი ძეგლი ჯერ-ჯერობით მე-V-ე ს.-ზე (ქ. შ.) უწინარესი აღმოჩენილი არ არის, ხოლო მეგრულ-ჭანურ-სვანურ-აბხაზური მხოლოდ ეხლანდელი სახით შეგვიძლიან შევისწავლოთ, ზემოაღნიშნული ლურსმული წარწერების ენის შესწავლა ხომ მეცნიერს VIII — VII ს. ს.-ის (ქ. წ.) ენის ძეგლის შეძენას უქადდა. ამიტომ სრულებით ბუნებრივი და კანონიერი იყო პროფ. ნ. მ ა რ რ ი ს მისწრაფება, ეს ლურსმული წარწერებიც წაეკითხა და მათი ენაც თავის თეორიის თვალთსაზრისით შეესწავლა. ცხადია, რომ ეს ცდა ამავე დროს ამ თეორიის თითქმის უკანასკნელ, ბედიღბლის გადამჭრელ, გამოცდად უნდა ქცეულიყო იმიტომ, რომ, თუ პროფ. ნ. მ ა რ რ ი ს თეორია სამეცნიერო ჭეშმარიტების უტყუარი გამოხატულება იყო, მაშინ უეჭველია ქართულ და ქართველურ ენათა რაც უფრო უუძველესი ძეგლი გვექნება ხელთ, ამ ძეგლების ენა თავის ყველა თვისებებით სულ უფრო და უფრო სემურ ენებს უნდა მიმსგავსებოდა.

ნამდვილად-კი ლურსმული წარწერების ენის შესწავლამ სრული სიცხადით გამოარკვია, რომ, დაახლოვების მაგიერ, მსჯელობა მხოლოდ სემურ-იაფეტურ ენათა დაშორებაზე და განკერძოებითს თვისებებზე შეიძლება იყოს.

იმის მაგიერ, რომ ზემოაღნიშნული გარემოებითგან ლოგიკური დასკვნა გამოეყვანა, მან თავისი თეორიის გადასარჩენად შემდეგი დებულება წამოაყენა: „**იაფეტური ენები უუძველეს ხანაშივე განვითარების ისეთ საფეხურზე იდგენ, რა საფეხურსაც მიაღწიეს ყველაზე გაცვეთილმა ინდოევროპულმა ენებმა**“-ო (Кавказ и памятники духовной культуры: ИАН 1912 წ. გვ. 80 — 81). ავტორი არ უხსნიდა მკითხველს ამ უცნაურობას: თუ იაფეტური ენები

უძველეს დროსვე მორფოლოგიურად ისე გაცვეთილები იყვნენ, როგორც ზოგიერთი თანამედროვე ინდოევროპული ენაა, მაგ. ინგლისურია, როგორ-და მოხდა, რომ ქართულ სამწერლობო ენას და მეგრულ-სვანურს თავიანთი აგებულება, მისივე განცხადებით, ასე საუცხოვოდ აქვთ შენახული?

უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ იმ დროსვე უკვე, როდესაც „იაფეტური ენები", რიცხვმრავლობის მოსაბუთებით, შტოს მაგიერ, ენათა ოჯახად გამოცხადდა, აშკარა იყო, რომ მ ა რ რ ი ს სემურობის თეორიას ნიადაგი ეცლებოდა, მაგრამ ამ გარემოების დანახვა და შედეგის გათვალისწინება მას არ ჰსურდა. პირიქით, ის ცდილობდა სხვადასხვა დებულების წამოყენებით თავისი თეორია გადაერჩინა. მაგრამ ბოლოს კატასტროფის აცილება მაინც შეუძლებელი შეიქმნა და 1920 წ. **აკად. ნ. მარრი იძულებული იყო თითონვე აღეარებინა**[1]**, რომ იაფეტური ენათმეცნიერების თეორია ისე, როგორც ის მანამდე ჰქადაგებდა, შეუწყნარებელი გამოდგა და თვითვე უნდა უარეყო.**

აი რა აქვს ნათქვამი აკად. ნ. მ ა რ რ ს ნივთიერი კულტურის ისტორიის რუსეთის აკადემიის სხდომაზე წარმოთქმულ და შემდეგ დაბეჭდილ სიტყვაში, რომელსაც სათაურად ეწოდება **„იაფეტური კავკასია და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროების კულტურის შემოქმედების მესამე ეთნიკური ელემენტი"** „Яфетический Кавказ и третий этнический элемент в созидании средиземноморской культуры" (Материалы по яфетическому языкознанию, XI, Лейпциг. 1920).

„ალბად იფიქრებთ, რომ იაფეტური ენათმეცნიერების დებულებათა თვალთსაზრისით, ამავე დიდი პრობლემისადმი მიდგომის დროს, მე უკვე გამოქვეყნებულ იაფეტიდოლოგიურ მიღწეულებებს ვუყრი თავს. დანარჩენ რასებს შორის იაფეტიან ტომთათვის მიკუთვნილი ადგილის შესახები ჩემ წინანდელ ზოგად დებულებათა მიხედვით, მოსალოდნელი იყო, რომ შევეცდებოდი ისინი ხმელთა-

[1] „При подходе к той-же большой проблеме со стороны... данных яфетического языкознания, естественно, предполагается, и суммирую существующие в печати яфетидологические достижения. В освещении их, можно ожидать, опираясь на прежние мои общие положения о месте яфетического племени среди других расс, я буду искать его признания в качестве третьего элемента в составе творческого племенного населения по побережьям Средиземного моря. Для ученого в моем возрасте и положении, ведь в порядке вещей, сугубо надлежит твердо отстаивать то и неизменно держаться того, что он защищал и укреплял десятки лет. В этом смысле мой сегодняшний доклад может вызвать разочарование. Если-бы я разделял точку зрения незыблемости раз установленных когда-то совершенно правильных научных достижений, то это было-бы убийственным ударом по всему моему научному прошлому. Я вынужден сам изменить всю основу, если не выбросить, то перевернуть и переместить тот фундамет, на котором, заложенном усилиями моих слабых рук..., эволюционно возводились ряд за рядом кладки, слой за слоем стены нового здания— яфетического языкознания. В этом смысле сегодня, если я не вынимаю из всей моей тридцатилетн научной работы душу, то разрушаю все ею одухотворенное, архитектурно сотворенное, опрокидываю все построение, как оказавшееся несостоятельным, неадекватным полноте знания ставших впоследствии известными яфетидологических материалов (Н. Марр. Яфет. Кавказ 8).

შუაზღვის სანაპიროების შემოქმედ ტომობრივ მოსახლეობაში მესამე ელემენტად ყოფილიყვენ ცნობილი. **ჩემ ხანში და მდგომარეობაში მყოფი მეცნიერისათვის ხომ ბუნებრივიცაა და განსაკუთრებით სავალდებულოა მტკიცედ დავიცვა და შეუცვლელად მივდევდე იმას, რასაც ათეული წლების განმავლობაში ვიცავდი და ვამტკიცებდი. ამ მხრივ შასაძლებელია დღევანდელმა ჩემმა მოხსენებამ მსმენელს გული გაუტეხოს.** მე რომ ერთხელ განმტკიცებულ, ოდესღაც სრულებით სწორ, სამეცნიერო მიღწეულობათა შეურყეველობის თვალთსაზრისს ვიზიარებდე, მაშინ ეს მთელი ჩემი წარსული სამეცნიერო მოღვაწეობის გამანადგურებელი იქმნებოდა. **იძულებული ვარ თითონ მევე შევცვალო მთელი საფუძველი და თუ (მთლად) არ გადავყარო, გადავაბრუნო და გადავდგგადმოვდგა ჩემი სუსტი ხელების ძალღონით ჩაყრილი ის საძირკველი, რომელზედაც** ევოლუციურად, რიგ-რიგად, ფენის-ფენისად **ამოყვანილი იყო ახალი შენობის, იაფეტური ენათმეცნიერების, კედლების ნაშენობა. ამ მხრივ, თუ დღეს მე მთელს ჩემს ოცდაათი წლის სამეცნიერო მუშაობას ხულს არ გართმევ, მაინც ვანგრევ ყველაფერს, რაც მისით სულჩადგმულია და ხუროთმოძღვრულად შექმნილი, ვამსხვრევ მთელ შენებულებას, ვითარცა შეუწყნარებელად გამომდგარს და შემდეგ აღმოჩენილი იაფეტიდოლოგიური მასალების მოპოებული სრული ცნობებისათვის შეუფერებელს“.**

ამგვარად, 1920 **წ. იაფეტური ენათმეცნიერების ოცდაათი წლის ნაგებოშენებულება თვით მისი ხუროთმოძღვრისა და ამგებელის** აკად. ნ. მ ა რ ი ს ა გ ა ნ **იქმნა დამსხვრეული. თვით იაფეტურივე თანამედროვე მეცნიერების ფაქტებისათვის შეუფერებელი და შეუწყნარებელი აღმოჩენილა. მას აღარც საძირკველი ჰქონია, აღარც კედლები.**

რასაკვირველია, **მეცნიერი** არც ვალდებულია და არც ამის ზნეობრივი უფლება აქვს, იცავდეს თავის წინანდელ დებულებებს, თუ ისინი შეუწყნარებელი და სრულიად მცდარი აღმოჩნდენ, მაგრამ **მეცნიერებისა და თავის მკითხველის წინაშე** ის მაინც **მოვალეა თავის თხზულებებში ყოველნაირად აიცდინოს თავითგან შეცდომები და ურყევ ჭეშმარიტებად არ გამოაცხადოს ის, რაც შესაძლებელია მხოლოდ ჰიპოთეზად იქმნეს მიჩნეული.** შეუმცდარი, უეჭველია, არავინ არის. რა თქმა უნდა შესაძლებელია მეცნიერი, ყველა გარემოებათა გაუთვალისწინებლობის გამო, შესცდეს, მაგრამ, თუ მკვლევარი თავის დებულებებს მუდამ სცვლის და ბოლოს ოცდაათი წლის შემდგომ იძულებული ხდება მთელი თავისი მთავარი მოძღვრებაც თვითვე შეუწყნარებლად და შეუფერებლად აღიაროს, სრულებით ბუნებრივია, რომ ამან მკითხველთა წინაშე მის ნაწერებს ნდობა დაუკარგოს, რათგან არავითარი გარანტია არ არის, რომ იგივე პირი შემდეგში იძულებული არ იქნება, თავისი მერმინდელი, ახალი დებულებებიც წინანდელებივით უარჰყოს.

ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ მართლაც, იშვიათად თუ მოიპოვება სიტყვა, რომლის ეტიმოლოგიაც აკად. მ ა რ ს ორჯერ-სამჯერაც თვითვე შეცვლილი არ ჰქონდეს, იშვიათია თვით მორფოლოგიური საკითხებიც-კი, ენის აგებულების ისეთი მოვლენის შესახებაც, როგორიც მაგ. გრამ. სქესისა, ბრუნვების ნიშნებისა და მრავლობითი რიცხვის ფორმანტების საკითხებია, რომ თავისი დებუ-

ლებანი მას რამდენჯერმე ძირიანად არ შეეცვალოს. ამის დამამტკიცებელი საბუთების მოყვანა აკად. მარრის ნაშრომებითგან მრავლად შეიძლება და ამოკრებილიც მაქვს, მაგრამ, უადგილობის გამო, უნდა გამოვტოვო. მოვიყვან სანიმუშოდ აქ მხოლოდ მის **დებულებებს ქართულისა და ქართველური ენების ჯგუფებად დაყოფის შესახებ.**

აკად. ნ. მარრმა **ჯერ ქართების, ტუბალ-კაინურ, ანუ იბერულ და სონ-მესხურ ჯგუფებად დაყოფა შემოიღო და თითოეულ მათგანს თავისი საკუთარი დამახასიათებელი ნიშნები გამოუძებნა.** შემდეგ გამოირკვა, რომ ერთი ჯგუფის დამახასიათებელი ნიშნები მეორეში და ზოგჯერ სხვებშიც ჩანდა. ამიტომ ნ. მარრმა **ტომობრივი სახელების გამოყენება ჯგუფთათვის მიზანშეწონილად არ სცნო და ყველა იაფეტური ენები სისინა, შიშინა, სპირანტ და სხვა ჯგუფებად დაჰყო.** ეს დაყოფა ამ ენების თანამედროვე თვისებების მიხედვით მოეწყო და თითოეული მათგანი ერთ-ერთ ჯგუფთაგანს მიეკუთნა, მაგ. ქართული სისინა ჯგუფის წარმომადგენლად, მეგრულ-ჭანური შიშინასი და სვანური სპირანტის ჯგუფისად სცნო. ქართულ-მეგრულ-ჭანურ-სვანურ-აბხაზურის თანამედროვე თვისებათა მიხედვით სისინა, შიშინა, სპირანტ და სხვ. ჯგუფებად გაყოფამაც ვერ დააკმაყოფილა, რათგან ამ ხელოვნურად შეთხზული დანაწილების პრინციპებს ენათა სინამდვილე ბევრგვარ დაბრკოლებას უქმნიდა. **1920 წელს გამოქვეყნებულს შრომაში** Яфетический Кавказ-ში[1] („**იაფეტურ კავკასია**“-ში) ნ. მარრი **იძულებული იყო გულახდილად აღეარებინა, რომ ამ ჟამად არაფრის თქმა არ შეიძლება, თუ რანაირი თვისებისა უნდა ყოფილიყო უძველეს დროს და თავდაპირველად მეგრულ-ჭანური, ქართული და სხვები, შიშინა, სისინა, თუ პირიქით სპირანტული. ამას ჯერ კიდევ გამორკვევა უნდაო.**

რაკი აკად. ნ. მარრი ყოველი თავის ახალი დებულების ჭეშმარიტების საბუთად ქართული და იაფეტური ფონეტიკისა და შედარებითი გრამატიკის

---

[1] В Передней Азии иберы или иверы один из древнейших народов яфетической семьи. На Кавказе они под тем же названием иберов или иверов, сначала это народ с яфетическим языком шипящей группы, а потом так называются грузины — картвелы, народ с яфетическим языком свистящей группы. Но какова была их доисторическая этническая сущность, их первоначальная природная речь, шипящая, свистящая или вовсе не сибилянтная, а спирантная? Это надо еще установить. Племенные их названия известны в многочисленных разновидностях не только по сибилянтному типу—Sumer (Humer) → Θobel || Θubal → Tibar-en, но и по спирантному типу — Ber, собственно Hiber, а как теперь выясняется материалами баскской речи, первоначально — Humer → Kuper. Названия их яфетически, как то разъясняется сочетанием баскских данных с грузинскими, означает «сын» или «дети», обычное слово, используемое у яфетидов для образования племенных названий. Для нас важно отметить, что это племя имеет тотемом, судя по племенному его названию, в светилах повидимому «солнце», а не «луну», если не разлучать с ним Θobel || Θubar (Θubal), по кажущейся связи с созвучными яфетич. словами, означающими «луну», «месяц», а в металлах «медь», по скрещении-же с другим родственным племенем — «бронзу» (გვ. 36).

კანონებს ასახელებდა ხოლმე, ამ სამეცნიერო დარგების შემცველი წიგნები-კი აკად. მ ა რ რ ს გამოქვეყნებული არ ჰქონდა, ამიტომ მისი ჰიპოთეზების სისწორის შემოწმება არა სპეციალისტებს არ შეეძლოთ. ამის გამო ბუნებრივია, რომ ყველანი ქართული ენის გრამატიკისა და შედარებითი იაფეტურ-სემური მისი გრამატიკის გამოქვეყნებას მოუთმენლად მოელოდდენ.

ბოლოს, 1925 წ. გამოვიდა აკად. ნ. მ ა რ რ ი ს **„ძველი ქართული სამწერლობო ენის გრამატიკა“**-ც „Грамматика древне-литературного грузинского языка (Материалы по яфетическому языкознанию XII, Ленинград). წიგნი უწინასიტყვაობოდ სულ 244 გვერდს შეიცავს, რომელთაგან 29 გვერდი ფონეტიკას აქვს დათმობილი, ხოლო 215 გვერდზე მორფოლოგია, ენის აგებულებაა განხილული. ამ ნაწილშიც მხოლოდ კანკლედობასა, ზედსართავსა, რიცხვითსა და ნაცვალსახელებზე და ზმნაზეა საუბარი. არც მეტყველების სხვა ნაწილები, არც სინტაქსი სრულებით განხილული არ არის. ამნაირად მას ბევრი რამე, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი ნაწილიც-კი, როგორიც სიტყვათა-წარმოებაა, აკლია.

ნ. მ ა რ რ ი ს გრამატიკას არც წინასიტყვაობა აქვს. ამას, რა თქმა უნდა, ისეთი მნიშვნელობა არ ექმნებოდა, რომ წიგნს შესავალიც არ აკლდეს, რომელშიც ქართული ენის წარმოშობილობისა და იაფეტურ ენათა შორის მისთვის მიკუთვნილი ადგილის შესახებ უნდა ყოფილიყო მსჯელობა. წინასიტყვაობისა და შესავლის დაწერაზე უარს ვამბობო (იხ. გვ. V—VI).

ამას გარდა ავტორს აღნიშნული აქვს: **გრამატიკაში დაბეჭდილი პალეონტოლოგიური განმარტებანი უნდა შემოწმებულ და შეთანხმებულ იქმნეს ჩემ უახლოეს დაბეჭდილ ნაშრომებთანაო** (იქვე, გვ. VI)[1]. ეს გაფრთხილება მკითხველს დაარწმუნებს, რომ აკად. ნ. მ ა რ რ ი ს გრამატიკის შინაარსი თვით ავტორსაც არ აკმაყოფილებდა. ეს თავისი გრძნობა ავტორს პირდაპირ გულახდილად გამოთქმულიც აქვს: სანამ ეს წიგნი გამოქვეყნდებოდა, **„ჩაკვდა თვით ის იდეოლოგია, რომელიც იმ ხანის ჩვენ გრამატიკულ ნაშრომებს საფუძვლად ედო“**-ო (იქვე, IV)[2].

როდესაც ავტორი თვითვე თავისი თხზულების უკმაყოფილოა, რა უნდა იგრძნოს მისმა წამკითხველმა, ან როგორ უნდა გამოარკვიოს, ავტორის რომელი დებულება უნდა იყოს შემოწმებულ-შეთანხმებული, ე. ი. შესწორებული და, სახელდობრ, რომელ მის უახლეს ნაშრომებთან? თუ ამ საქმისათვის თვით

---

[1] Я отказываюсь не только от сообщения сведений о происхождении грузинского языка и его месте среди яфетических, долженствовавшего составить введение или часть предисловия, но и от составления вовсе предисловия, как я предполагал то сделать, ограничиваясь общим указанием, что все раз'яснения палеонтологического характера, в большинстве набранные мелкими шрифтами, корпусом и петитом, должны быть сверены и согласованы с новейшими моими печатными работами по тем-же или сродным вопросам“ (Грам. древн.—лит. груз. яз. 1925. გვ. V—VI).

[2] „Скончалась идеология, лежавшая в основе наших грамматических работ той эпохи“ (იქვე IV).

ავტორსაც ვერ მოუცლია, ან თუ ეს მასაც გასძნელებია, როგორ უნდა მოსთხოვოს ასეთი რამე თავის მკითხველს? მართლაც ავტორის მსოფლმხედველობის შეცვლისა და წინანდელი შეხედულება-განმარტების უკმაყოფილებისა და შეუთანხმებლობის კვალი თვით გრამატიკის შინაარსსაც არაერთგან ემჩნევა. ამის გამო წიგნის ტექსტი აჭრელებულია.

ყველა ზემოაღნიშნული დაარწმუნებს ადამიანს, რომ აკად. ნ. მარრის უკმაყოფილება თავისი გრამატიკით უსაფუძვლო არ არის. ამიტომ შესაძლებელია ითქვას, რომ ამ წიგნმა, რომელსაც სპეციალისტები დიდი ხანია მოუთმენლად ელოდდენ, არც მოლოდინი და არც იმედი არ გაამართლა, მით უმეტეს, რომ იქ ისეთ ძირითად და მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც ქართული ენის გენეზისია, ავტორს არაფერი აქვს ნათქვამი [1].

ქართულ-მეგრულ-ჭანურ-სვანურის შემდგომ, აბხაზურის შესწავლის დაწყებას მისი მოღვაწეობის მიმართულებისათვის უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ არც ძველი ქართულისა და არც სვანური გრამატიკის კვლევა-ძიება დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ახალი, აბხაზური ენის რთული აგებულების საიდუმლოების გამორკვევა დაერთო ზედ. ცხადია, რომ შეუძლებელია ამას აკად. ნ. მარრის მთელი წინანდელი სამუშაო არ შეეფერხებინა. ასეც მოხდა: 1925 წ.-დე, როგორც აღნიშნული გვქონდა, ძველი ქართ. ენის მისი გრამატიკა არ გამოქვეყნებულა, სვანური ენის გრამატიკა ხომ დღევანდლამდეც არ დაბეჭდილა, იმისდა მიუხედავად, რომ მის შესწავლას საკმაოდ დიდი დროცა და ენერგიაც შეალია. აღარას ვიტყვი ძველი ქართული მწერლობის იმ ძვირფასს, დიდძალ, პირველხარისხოვან ძეგლებზე, რომლებიც ათონში, სინას მთაზე და პალესტინაში ყოფნის დროს გადმოწერილი და გამოსაცემად განზრახული ჰქონდა. მიმდინარე, ახალი გეგმების განხორციელების საზრუნავმა და დაუცხრომელმა მუშაობამ აიძულა აკად. ნ. მარრი მთელი თავისი ფილოლოგიური კვლევა-ძიება და გამომცემლობა, რომელმაც მას ღირსეულად დიდი სახელი მოუხვეჭა, შეეჩერებინა. არამცთუ გამომცემლობისათვის, მათი შესწავლისთვისაც-კი მას დრო აღარ ჰქონდა.

ზემოაღნიშნულ ყველა გარემოებას აკად. მარრის სამოქმედო ასპარეზის საზღვრების შემდეგშიც შეუჩერებელი გაფართოებაც დაერთო. აბხაზურის შესწავლამ კავკასიის სხვა ენების ბუნებისა და ნათესაობის საკითხი აღუძრა და ამნაირად თავისი ცოდნისმოყვარეობის საგნად უნდა მრავალრიცხოვანი ნაირნაირი ენები გაეხადა.

კავკასიელთამცოდნეობის ჩვენი ზემომოყვანილი მიმოხილვა ადამიანს დაარწმუნებდა, რომ, როდესაც აკად. ნ. მარრი კავკასიის ენების შესწავლას შეუდგა, იმ დროისათვის აბხაზური, ჩერქეზული, ყაბარდოული, ჩაჩნური, წოვური, ღუნძური, ღუმუქ-ლეკური, კვრ-ლეკური, ჭვრკანული, ანდი-დიდოური,

[1] ნ. მარრის ამ ნაშრომის ვრცელი რეცენზია აკად. ნ. ჩიქობავას აქვს დაბეჭდილი (იხ. „მიმომხილველი" I, ტფილისი, 1926 წ., გვ. 285—330), ხოლო ეს გრამატიკა რომ გამოქვეყნებისთანავე უკვე მოძველებული იყო და მოლოდინი არ გაამართლა, აღნიშნული აქვს ქართულის მცოდნე ნორვეგიელ ენათმეცნიერს ჰანს ფოქტსაც (Bull. crit. CC XXIII, გვ. 143).

ალულური, წახურული, რუთულური, არჩული, თაბასარანული და უდური ენები, სულ 18, ზოგიერთ მათ დიალექტებს გარდა, მონოგრაფიულად ცოტად-თუ-ბევრად უკვე შესწავლილი იყო. ასეთ პირობებში ახალი მომუშავისათვის მოღვაწეობის მხოლოდ **სამი გზა** არსებობდა: ან 1. **დაგროვილი მასალისა და მონოგრაფიების კრიტიკული და შედარებითი შესწავლით ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მოპოვებული განძის მოხმარება და ზოგადი დასკვნისა და პრობლემების წამოყენებისა და გამორკვევის ცდა**, ან 2. **გამოქვეყნებული წყაროების ცნობებისა და დებულებათა სისწორის გამორკვევა და იმავე ენების ისევე მონოგრაფიულად, მაგრამ უკვე საფუძვლიანად, მთელი შესაძლებელი სიღრმე-სივრცით, შესწავლა**, ანდა დასასრულ, 3. **მუშაობის ისევ წინანდელი გეზის გაგრძელება და ჯერ კიდევ შეუსწავლელი ენოვანი ერთეულების აღწერა და ბუნების გამოკვლევა.**

არც ერთი ამ გზათაგანი აკად. ნ. მ ა რ რ ს **არ აურჩევია:** არც ერთი ახალი, მანამდე უცნობი კავკასიის ენა მას არ შეუსწავლია, მაინც-და-მაინც არაფერი ამის მსგავსი მას არ გამოუქვეყნებია, — არც ერთი წინათ შესწავლილი ენის გაღრმავებული, მონოგრაფიული შესწავლა, ისევე მაგ. როგორც მან თავის დროზე ჭანური გრამატიკის გამოქვეყნებით თავი ისახელა, არ უცდია, ყოველ შემთხვევაში არავითარი ამის გამომჟღავნებელი კვალი არ ჩანს. დასასრულ, არც თავისი ისეთი ნაშრომი გამოუქვეყნებია, რომელშიც კავკასიური ენათმეცნიერების წინანდელი მონაპოვარის კრიტიკული განხილვა - შეფასებისა და იქ დაგროვილი მასალისდა მიხედვით ურთიერთშორისი დამოკიდებულებისა და წარმოშობილობის პრობლემის გამორკვევის, გინდა მხოლოდ გაშუქების ცდა იყოს. ამ ზოგადი საკითხების გადაწყვეტა მას სხვათა ნაშრომებისაგან დამოუკიდებლივ ჰსურდა, რათგან მანამდე შეგროვებული მასალა მას არც აკმაყოფილებდა და არც საკმაოდ მიაჩნდა.

ასეთ პირობებში აკად. ნ. მ ა რ რ ი უნდა კავკასიის ენების დინჯს შესწავლას თვითვე შესდგომოდა, მაგრამ დაღისტანში და ჩაჩნებთან ხანმოკლე ყოფნა და დაკვირვება აკად. ნ. მ ა რ რ ს, რასაკვირველია, იმდენს ვერ შესძენდა, რომ ამ საყურადღებო საკითხის არსებითად განხილვა შესძლებოდა. ამიტომაც არის, რომ 1915 და 1916 წ. ის მხოლოდ იმასვე იმეორებდა, რაც უ ს ლ ა რ ს ა ც ჰქონდა ნათქვამი, რომ ამ ენებს იაფეტურ ენებთან ერთგვარი ნათესაობა აქვთ[1].

მაგრამ, თუ 1914 და 1915 წ.წ.-ში, ზაფხულში დაღისტანში მუშაობის შემდგომ აკად. ნ. მ ა რ რ ი ასე ფრთხილად მსჯელობდა, მესამეჯერ იგი ამ ქვეყანას 1916 წ. 24 დეკემბერს რომ ეწვია და იქ 1917 წ. 12 იანვრამდე დაჰყო, ამ მესამე მოგზაურობის შემდგომ იმავე წლის 25 დეკემბერს რუსეთის

[1] „Горских языков Кавказа, оказавшихся яфетидоидными" (Н. Марр. Яфетич. названия деревьев и растений. И. А. Н. 1915. გვ. 944).

„Общее впечатление от непосредственной работы над всеми этими (ე. ი. დაღისტნის) языками наметило выводы в двух направлениях. Во-первых, между всеми этими языками и яфетическими есть известное родство" (Н. Марр. К истории передвижения яфетич. народов с юга на север Кавказа. ИАН 1916. გვ. 1388).

სამეცნიერო აკადემიისადმი წარდგენილ მოხსენებაში „Непочатый источник истории кавказскаго мира“ (ИАН. 1917 წ. გვ. 307 — 338) მას უკვე სრულებით გარკვეული პასუხი ჰქონდა.

ერთის მხრით ის ამტკიცებდა, რომ ლუნძურ (ავარულ) ენას უფრო მახლობელი ნათესაობა აბხაზურთანა აქვს, მეორეს მხრით, რომ დაღისტნის, ანუ ლეკური ენები, მათ შორის „ავარულიც“, აბხაზურივით, იაფეტურ ენათა, როგორც სისინა შტოს, ქართულს, ისევე შიშინა ჯგუფსაც, — მეგრულ-ჭანურს ენათესავებიან[1]. ამგვარად, დაღისტნის ენების იაფეტურთან ერთგვარი ნათესაობა პირდაპირ იაფეტურ ენებად მიჩნევით დამთავრდა.

ენათა ნათესაობა აგებულობის, მორფოლოგიის, მსგავსებაზე უნდა იყოს დამყარებული. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ავტორი მკითხველს დაღისტნის ენების აგებულობას წარმოუდგენდა, რომ მათი იაფეტურობა ცხადი გამხდარიყო, მაგრამ, ამის მაგიერ ნ. მარრი თავისი დებულების დასამტკიცებლად ორიოდე სიტყვისა და მოვლენის დახასიათებით კმაყოფილდებოდა. ამა თუ იმ ენის იაფეტურ ენად ასე ადვილად გამოცხადების საფუძველი მკითხველისათვის გაუგებარი რჩებოდა, რათგან აკად. ნ. მარრის არც ერთ თხზულებაში აღნიშნული არ იყო, თუ რა თვისებები უნდა ჰქონდეს და რა ბუნებისა უნდა იყოს ენა, რომ იაფეტურ ენად იქმნეს მიჩნეული. ამისათვის ხომ ორიოდე სიტყვისა და ორიოდე მსგავსი მოვლენის დასახელება არა კმარა? აკად. ნ. მარრი-კი ლუნძური (ავარული) და ლეკური ენების გრამატიკასა და მორფოლოგიას არ შეჰხებია[2]: მასალა ვრცელია და მაინც ჯერ ამოწურული არ არისო. თვით ლეკურ — „ავარულ“ ენათა ურთიერთშორისი დამოკიდებულებაც და თითოეული მათგანისათვის შესაფერისი ადგილიც ლეკურ ენათა ჯგუფში ჯერ კიდევ გამოსარკვევია იმგვარადვე, როგორც გამოსაყოფია ამ ენების პირვანდელი არაიაფეტური ფენაო[3], და, ამისდა მიუხედავად, მაინც საკითხი მათი იაფეტურობის შესახებ საბოლოოდ გადაწყვეტილი იყო.

1917 წ. ნ. მარრმა ლუნძური („ავარული“) უკვე ალბანურისა და „ავარელნი“ ალბანელთა ნაშთადაც სცნო. მათგან ქართველებსა და სომხებს, ქართულსა და სომხურს, არა ერთი და ორი კულტურული მნიშვნელობის ტერმი-

---

[1] „аварский язык находится в более близком родстве с абхазским... дагестанские, точнее лезгинские языки, в числе их аварский находится в родстве, как и абхазский, с языками другой, именно свистящей ветви яфет. языков, в частности с грузинским, равно с языками шипящей группы—мегрельским и чанским (лазским) (Н. Марр. Непочатый источник. 308 — 309).

[2] „На морфологических и вообще грамматических явлениях не останавливаюсь, так как материал обширный и всетаки еще не исчерпанный (Непочатый источник. 309).

[3] „предварительно необходимо установить соотношения между различными языковыми подгруппами и определить место каждаго из языков в среде самой лезгинской группы. Только этим путем можно выяснить и первичный не-яфетический слой в лезгинских языках, если он действительно имеется“ (Н. Марр. Непочатый источник. 334).

ნებიც-კი აქეთ ნასესხებ-შეთვისებულიო (Непочатый источник, 315, 316—320). ამასთანავე „ავარული“ სწორედ იმ ენის ნაშთი უნდა იყოს, რომელსაც იაფეტურ-არიულ-ევროპულად გადაქმნილი სომხურის ჩამონაქვთილობის დროს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდაო (იქვე 322, 330—331).

ამნაირად, აკად. ნ. მ ა რ რ ს კავკასიური ენების არც მონოგრაფიული შესწავლისათვის, არც მანამდე უცნობი ენის გამოკვლევითა და არც წინათ-არსებული მასალებისდა მიხედვით მათი ურთიერთშორისი დამოკიდებულების, ნათესაობისა და სადაურობის პრობლემის გასაშუქებლად ახალი არაფერი შეუძენია. ეს ენები მას გამოყენებული ჰქონდა მხოლოდ თავისი იაფეტურ-სემურობის თეორიის გასაძლიერებლად. რაკი აკად. ნ. მარრის მთელი მსჯელობა კავკასიური ენების მორფოლოგიურ აღნაგობაზე არ იყო დამყარებული, ამიტომ **არსებითად კავკასიის ენების ყველა ზემოაღნიშნული საკითხები წინანდებურად ისევ-ისევე გადაუწყვეტელი დარჩა.**

აკად. ნ. მ ა რ რ ი ს კვლევა-ძიება იაფეტიანთა ოდინდელი შემადგენლობის გამოსარკვევად კავკასიელთა იაფეტიანებად მიჩნევით არ დამთავრებულა. დიდი ხანია, რაც მეცნიერებაში აღნიშნული იყო, რომ ევროპის უძველესი მოსახლეობა, იქ ბერძნებისა, რომაელებისა და კელტების ისევე, როგორც გერმანელების დამკვიდრებამდე, სხვა, არა-ინდოევროპული მოდგმის ერებს უნდა ჰკუთნებოდათ. ასეთი შთამომავლობისად პელასგები, ეტრუსკები, ესპანიელი იბერები, ბასკები და სხვებიც იყვნენ მიჩნეულნი. ზოგიერთნი მათ კავკასიელების, ქართველების, მონათესავედ სთვლიდენ. საქართველოს ისტორიის მცოდნეს გაახსენდება, რომ ესპანიელი იბერები ათონის ქართველთა დამაარსებელს, იოანე მთაწმიდელსაც, ქართველები ეგონა (იხ. ქართ. ერის ისტორია, II). ევროპისა და აზიის ამ უძველესი მოსახლეობის ქართველებთან ნათესაობის მოსაზრების დასამტკიცებლად გეოგრაფიული სახელების ანალიზსაც იშველიებდენ და, ან მათ საქართველოს გეოგრაფიულ სახელებს ამსგავსებდენ, ანდა ქართული სიტყვებით მათ გააზრიანებას ცდილობდენ.

ამ თეორიის ავტორთა ქართული ენის უცოდინარობის გამო, მათ ჰიპოთეზების დამაჯერებლობა სათუო იყო.

ამ პრობლემის გადაჭრა აკად. ნ. მ ა რ რ მ ა იკისრა. ამ საკითხისათვის მასალების ადგილობრივ შესაგროვებლად, საამისოდ დას. ევროპასა და სხვა ნაწილებშიც გაემგზავრა, რათგან აქა-იქ შერჩენილი იყო უძველეს მკვიდრთა ნაშთად მიჩნეული პატარ-პატარა მოსახლეობა. უკვე კ ლ ა პ რ ო თ მ ა, როგორც დავრწმუნდით, აღნიშნა კავკასიის ენებისა და ფინურ-ესტონურ-ზირიანული ზოგიერთი სიტყვების მსგავსება. ამ საგულისხმო საკითხების გადასაჭრელად აკად. ნ. მ ა რ რ ი ბასკებსაც ეწვია ესპანიაში, საფრანგეთშიც იყო, ფინების, ზირიანთა და მორდველთა მოსახლეობაც ნახა.

რამდენადაც ძველი მოსახლეობის ნაშთი გადარჩენილი იყო, იმდენად მათი იაფეტიანებთან ნათესაობა უნდა მათი ენის მორფოლოგიით, აგებულების ნიშანდობლივი თვისებით, დამტკიცებულიყო. მაგრამ საქმეს ის გარემოება ართულებდა, რომ ნ. მ ა რ რ ს იაფეტური ენების აღნაგობის დამახასიათებელი თვისებები არსად აღუნიშნავს, თვით უცილობლად იაფეტიანებად მიჩნეულ ქარ-

თველთა და კავკასიის ჩაჩნურ-ლეკურ ტომთა ენების აგებულებაც-კი ძირითადად განსხვავდება და იქაურ გრამ. სქესკატეგორიებსა და ზმნასა და ქართულ-ქართველურ შესატყვის ნაწილებს შორის უფსკრულია. ისევე, როგორც თავის დროზე აკად. ნ. მ ა რ რ ს ამ უფსკრულის გადალახვა არც-კი უცდია, იმნაირადვე ეხლაც ბასკებისა და სხვების იაფეტიანებად გამოცხადებისათვის საბუთად მათი ენის აგებულება არ გამოუყენებია, არამედ აქაც მხოლოდ ცალკეული სიტყვებისა და სახელების ანალიზით კმაყოფილდებოდა. ამის დამადასტურებელი მაგალითების მოყვანა აკად. ნ. მ ა რ რ ი ს ნაწერებითგან მრავლად შეიძლება, მაგრამ რამოდენიმეც საქმის ვითარებას ადამიანს ადვილად გაუთვალისწინებს.

ფრანგულში ლიგურული ელემენტების გამორკვევის აუცილებლობაზე საუბრის დროს, აკად. ნ. მ ა რ რ ი ბრძანებს: **„სახელი ლიგურ წინსართით ლი-, მაშასადამე, ფუძით გურ-, ჩვენი გურიის... ფუძისბარა, მასვე ნიშნავს, რასაც ი-ბერ** (|| გვერ→გურ), მაგრამ **სახრავად რას წარმოადგენდა დასავლეთ ევროპაში, მას მხოლოდ დინჯი კვლევა დაგვანახებს“-ო** (რით ცხოვრობს იაფეტური ენათმეცნიერება, 1923 წ., 26 შენ. 1). ეს დებულება ნ. მ ა რ რ მ ა 1924 წ. უფრო გააფართოვა და უკვე ამტკიცებდა, რომ **„ლიბის“**, ლიბია აფრიკაში **„ლი-ბის“** ანუ იგივე **„ი-ბერ“**-ია, იმგვარადვე, როგორც „ლი-გურ“-იო, რათგან ორივეს სვანური თავსართი „ლი“ აქვს, და ეს ლიბიელებისა და ლიგურების იაფეტიანებთან ნათესაობის გამომააშკარავებლად მიაჩნდა [1].

1922 წ. რომ ნ. მ ა რ რ მ ა უარჰყო „ლაზ“-ის ეტიმოლოგიის თავისი დებულება ფრანგულად დაბეჭდილ შრომაში La Seine, la Saône, Lutèce et les premiers habitants de la Gaule Étrusques et Pélasges (Pétrograd, გვ. 13—16), პელასგების სახელის ასახსნელადაც გამოყენებული აქვს ლეკთა სახელი. ხოლო 1923 წ. გამოცემულს მოხსენებაში **„რით ცხოვრობს იაფეტური ენათმეცნიერება“** ნათქვამი აქვს, რომ **პელასგური** ერთი მხრით **„თვისტომად უჩნდება ეტრუსკულს, მეორე მხრით, აღმოსავლეთით, ზოგთან, მაგალითად ლაზურს ან ლეკურთან** და **სომხეთის ძველ ურარტულთან აგრეთვე თვისტომად გამოდის“-ო** (გვ. 38). აქვე შენიშვნაში წვრილი ასოებით შემდეგი საგულისხმო განცხადება აქვს მოთავსებული: **„უკანასკნელ ხანში გამოირკვა ისიც, რომ, ერთი, ტერმინს «ლაზ» შეცდომით ვხსნიდი «ლა» წინსართით ვითომ «ზან»-იდან წარმოებულს** (თითქო უმალ ლა-ზნ ყოფილიყოს); **«ლაზ»** (← ლ ა̄ ზ || ლ ა̄ შ),

[1] …„наши исследования вскрывают, во первых, что в Африке термин li-bys, разновидность племенного названия l-ber, как на другой стороне, в Европе li-gur, если хотите и li-gus, есть разновидность племенного названия i-ber, африканский libys ливиец не только по префиксу, но и по основе тождественен с европейским li-gur, и в этом отношении свидетельство даже словаря Стефана Византийского (S. v, стр. 263) „ибо ливийцы—соседящий с колхами народ“ (Λιβυστῖνοι γὰρ ἔθνος παρακείμενον Κόλχοις), конечно, важнее, чем мировоззрение ученейшего до-историка этнолога XIX века Rubainville'я, который присутствие лигуров в Колхиде отрицал за одно с родством населения Западной Европы с Кавказом“ (Н. Марр. Термины из абх.-рус. этн. связей, 1924 წ. 5).

«ლაზ-გა»-ის და «პე-ლახ-გა»-ის ფუძის ერთ თავისებურ სახედ ამოჩნდა; მეორე, «პლებ'ე'»-იც ადრე «პ-ლეს-ბე» აგრეთვე იმავე ნათესავის ხახელათ აიხსნა"-ო, თანაც მკითხველისათვის, რომელიც ამ ახალი ეტიმოლოგიის დასაბუთებას მოსთხოვდა ავტორს, თავის ზემოაღნიშნულს ფრანგულად ნათარგმნ წერილზე აქვს მითითებული.

მაგრამ, რა საფუძველი ჰქონდა იმას, ვინც-კი აკად ნ. მ ა რ რ ი ს ზემომოყვანილ შენიშვნას წაიკითხავდა, ამ ახალ-ახალ წინანდებურად ისევე უცილობელ ჭეშმარიტებად გამოცხადებული ეტიმოლოგიისათვის დაეჯერებინა, რა საბუთი ჰქონდა ერწმუნა, რომ ლიგურ-ის თავკიდური ლი სწორედ სვანური თავსართი არის, ანდა ვინ იკისრებდა თავდებობას, რომ ამ ეტიმოლოგიასაც იგივე ბედი არ ეწევა და ისვე არ დაემართება, რაც ლაზ-სა და არა-ერთს სხვა ეტიმოლოგიებს დაემართათ, რომ ამ ლიგურ-ისა და ყველა ასეთი სიტყვების ეტიმოლოგიებს ახლო მომავალში, თვით მათივე ავტორი არ უარჰყოფდა? პირიქით, რწმენის მაგიერ, ასეთ პირობებში სრული სკეპტიციზმი იყო მოსალოდნელი, რათგან, ასეთი შემთხვევების სიხშირის გამო და სემურობის მოძღვრების 30 წლის განმავლობაში დაჟინებით უცილობელ ჭეშმარიტებად ქადაგების შემდგომ, თვით ავტორის მიერაც მცდარად აღიარების მერმე, მის მკითხველებს, შესაძლებელია დაესკვნათ, რომ ბევრი რამე, რაც აკად. ნ. მ ა რ რ ს მეცნიერების ურყევ დებულებად და შეუმცდარ ეტიმოლოგიად აქვს გამოცხადებული, ნამდვილად მხოლოდ ჯეროვნად დაუმუშავებელსა და აჩქარებით გამოქვეყნებულ ჰიპოთეზებს წარმოადგენს. ასეთი აზრი რომ მართლაც შეიძლება აკად. ნ. მ ა რ რ ი ს მკითხველს მოსვლოდა, ეს თვით მისივე მიმდევრის, პროფ. ი. მ ე შ ჩ ა ნ ი ნ ო ვ ი ს, თავის ადგილას მოყვანილი სიტყვებითაც მტკიცდება.

მაგრამ აკად. ნ. მ ა რ რ ს მაინც ევროპისა, აზიისა და აფრიკის მნიშვნელოვანი გეოგრაფიული და ტომობრივი სახელების განმარტება თავის მოვალეობად მიაჩნდა. მაგ. საითგან წარმოსდგა აფრიკის სახელი? თუ F e l i x S o l m s e n-ი თავის ნაშრომში Indogermanische Eigennamen als Spiegel der Kulturgeschichte (herausg. von Ernst. Heidelberg, 1922 წ., გვ. 28) ფიქრობდა, რომ აფრიკის სახელი, რომელიც წინათ მხოლოდ რომაელთა პროვინციას კართაგენს ეწოდებოდა, იქ მცხოვრები ტომის Afarika ან Awrigha-საგან უნდა ყოფილიყო წარმომდგარი, ხოლო ბერძნული გეოგრაფიული ტერმინი λιβυη ლიბვე, Libu ან Rbu ხალხის სახელისაგან წარმომდგარად მიაჩნდა,—აკად. ნ. მ ა რ რ ი ამ საკითხს სრულებით სხვანაირად სწყვეტს და ამბობს[1]: სოლმსენს ვერ უგრძვნია, რომ „ლი-ბვ-ე“ და „რბუ“ (*ბრუ, resp. Bur) და „ა-ფრი-კა“-ც ერთისა და იმავე ტომის სახესხვაობაა მხოლოდაო.

ნ. მ ა რ რ ს სრულებით ურყევ ჭეშმარიტებად აქვს აღიარებული, რომ აფრიკის, აზიისა და ევროპის სახელები იაფეტურ ტომთა სახელების წანალეკია

---

[1] „Solmsen не чует, что Λι-βυ-η (← Li-bur-e) и Rbu (~* Bru, resp. *Bur), равно A-fri-ka разновидности одного и того-же племенного названия“ (Н. Марр. Термины из абх. рус. этн. связей, 6, შენ. 1).

მხოლოდ[1]: აფრიკა თურმე—იბერებისა, ევროპა და აზია-კი ეტრუსკების ორი ტომის სახელის „როშ“-ებისა და „რასენ“-ების გამოხატულება ყოფილა, ამასთანავე იაფეტურად ჩამონაკვთული. ამგვარადვე, მდ. ვოლგის ძველი სახელი „რჰა“ და მასთან დაკავშირებული „ოარ“, „ლაგ“-იც იაფეტიან ტომთა „რას“-ების, „რუს“-ების ნაშთი ყოფილა[2] და თურმე ჩვენი „რაჭველები“-ც ამ ტომის წარმომადგენელნი არიან. მდინარე რახსი, ანდა არარატის მთის სახელებიც ხომ ამ ტომისაგან ყოფილა დანათლული. მართალია, მთა „ურალ“-ის სახელის მნიშვნელობას ჩვეულებრივ ამ მთის მახლობლად მცხოვრები ერის ენითა ხსნიან, მაგრამ აკად. ნ. მ ა რ რ ს არც ეს აკმაყოფილებს, რათგან ამ შემთხვევაში ანგარიშს არ უწევენ ისეთ გარემოებას, რომ სიტყვა „ურალ“-ი „ურარატუ“ და „არარ-ატ“ ტერმინების ფუძის „ურარ“, ანუ „არარ“-ის წუნ-დაუდებელი კანონთანაზომიერი შესატყვისობაა.

ამნაირი საბუთიანობით კმაყოფილდება ნ. მ ა რ რ ი ზემომოყვანილი საგეოგრაფიო სახელების იაფეტურობის გამოცხადების დროს. ამის წყალობით იაფეტიანთა ოჯახი ასე ადვილად და სწრაფად გამრავლდა, რომ მისი სამფლობელოს საზღვრები სამ ხმელეთს ძლივს შეუძლიან დაიტიოს.

„ამრიგად ირკვევა“, ბრძანებდა აკად. ნ. მ ა რ რ ი, რომ „იაფეტელთ ნათესაურ თბეს გადაუთელავს შვახმელეთის საზღვრები, იგი აერთიანებს სივრცეს პირენეულ ნახევარკუნძულისგან შვამდინარეთის ნიადაგამდი, მეტი თუ არა ვთქვათ ჯერჯერობით, და თავის წრეში იყოლიებს ამ სივრცის ჩრდილოით მოყოლებულ ნათესავთა სარტყელს, სკუთების გამოუკლებლათ. აგრე შემოსაზღვრულ სივრცეზე ერთი იაფეტელი ოჯახი ბინადრობდა პირველ“-ად (ნ. მ ა რ რ ი, რით ცხოვრობს იაფეტური ენათმეცნიერება, გვ. 38 - 40).

იაფეტიანთა ერების ამ სწრაფ გამრავლებას, მეტადრე მათ მრავალრიცხოვანებას, არ შეიძლება, რასაკვირველია, თეორიის ავტორის შეხედულებაზე გავ-

---

[1] ...„во вторых, названия Африки (по баскски A-piri-ka, A-pir-ka), Асии (Азии) и Европы это также отложение названий определенных яфетич. племен, Африка-иберов, а Европа и Азия—отложения названий двух разновидностей этрусков рошов и расенов, каждое из названий соответственно оформленное яфетически“. («Европе»-ზე იხ. Н. М а р р, Об яфетич. теории, Н. Восток, № 5, стр. 320 და Н. М а р р. Термины из абх.-рус. этн. связей, 1924 წ., გვ. 5—6).

[2] „Что древнее на восточном юге России, чем название реки Волги Rha и неразрывно связанное с ним Oar (←*Ohar/O-rar) и даже Lag, и то и другое—свидетели пребывания в этом крае русского племени, как части сохранившегося в лезгинском ответвлении северных кавказских яфетидов, в каспийском бассейне, и в отторгнутых от них rask'ах или рачинцах, в Понтийском бассейне. Но этого мало... наименования реки или рек Rha и Oar в России приходится освещать в связи с рекой Rah в Армении и с долиной Расской или Рарской, т. е. Араратом и Урарту там-же, и в связи с этнографически всплывающим в средние века названием реки Saône (Saucon) во Франции, названии, звучавшем Arar... представляется сомнительным... когда... название горы Урала... раз'ясняется как слово, нарицательно понятное на языке, ныне живущего по-близости народа, без всякого учета того, что в нем безукоризненно закономерный эквивалент той-же основы Urar или Arar — терминов Urar-tu и Arar-at“ (Н. Марр. Книжная легенда, 263—264).

ლენა არ მოეხდინა, რათგან წინათაც, როგორც დავრწმუნდით, იაფეტურ ენების რიცხვის გამრავლებამ იაფეტიანნი სემურ ენათა შტოობითგან იაფეტურ ოჯახად აქცევინა. სწორედ ასეც მოხდა, მაგრამ ეხლა ბედის ჩარხი უკუღმა უკვე სემიანთ დაუტრიალდათ და უბრალო ჯგუფად იქცნენ. აი რას ამბობდა 1923 წ. აკად. ნ. მ ა რ რ ი ამ საკითხის შესახებ: „ამ მაშინდელ მკვიდრთა ენები, რასაკვირველია, **იმ დროსაც სხვადასხვა იყო, იმ დროსაც თითო მათგანი რთული, უკვე შეჯვარედინებული ბუნების მქონი, მაგრამ ყველანი მჭიდრო ნათესაობით შეკავშირებულნი,** ერთმანერთზე «მიჯრით მიწყობილნი», **ეკუთვნოდენ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ენათა ერთ ᲝᲯᲐხს, ᲘᲐᲤᲔᲢᲔᲚ ᲝᲯᲐხს, სამხრეთით ქამიტური და ᲡᲔᲛᲘᲢᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ გახლდათ.** მათ თავდაპირველი ნათესაობა აქვს **ᲘᲐᲤᲔᲢᲔᲚ ᲝᲯᲐხᲗᲐᲜ,** სემურს უფრო დაახლოვებული“-ო (რით ცხოვრობს იაფეტური ენათმეცნიერება, გვ. 38—40).

ევროპისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი არა-ინდო-ევროპული და არა-სემური მოსახლეობის ქართველებთან და კავკასიელებთან ნათესაობის შესაძლებლობის აზრი, როგორც ნათქვამი გვქონდა, მეცნიერებაში დიდი ხანია ტრიალებს, მაგრამ საეჭვოა, რომ იმ საშუალებით, რომლითაც აკად. ნ. მარრი ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრას ფიქრობდა, თავისი დასაბუთების წესით ვინმე დააჯეროს. ბასკების ეთრუსკებისა და სხვათა „იაფეტიანობა“ მარტო ორიოდე სახელით-კი არა, არამედ მხოლოდ ენის აგებულებითა და სიტყვათა ძირების იგივეობითა და მსგავსებით შეიძლება დამტკიცდეს. სანამ ასეთი საბუთი წარმოდგენილი არ არის, საკითხი წინანდებურად გადაუწყვეტელად იქმნება მიჩნეული.

ტომობრივი და გეოგრაფიული სახელების ზემოაღნიშნულის მაგვარმა ეტიმოლოგიებმა იაფეტური მრავლობითი რიცხვებისა მისმავე მწკრივმა მკვლევარს უცნაური სურათი გადაუშალა: ერთსა-და-იმავე მიწაწყალზე, ერთსა-და-იმავე დროს ძველადვე მრავალი სხვადასხვა სახელის მატარებელი ხალხი აღმოჩნდა მოსახლედ. გასაოცარი ის იყო, რომ მარტო ერთგან სადმე-კი არა, არამედ ყველგან მოსახლეობის ასეთი მდგომარეობა ყოფილა. იმის მაგიერ, რომ ამ საოცრებას ამ ეტიმოლოგიების შეუმცდარობისა და სისწორის ეჭვი აღეძრა, აკად. ნ. მ ა რ რ მ ა ეს უცნაურობა კანონად აღიარა და იაფეტური ენათმეცნიერების უდავო ჭეშმარიტებად გამოაცხადა. საქმე ის არისო, ამბობს ნ. მ ა რ რ ი თავის 1924 წ. გამოსულ ერთს შრომაში[1], რომ **ეხლა უკვე უცი-**

---

[1] Н. Марр. Книжная легенда об основании Киева. 263.

„Дело в том,—и теперь это уже бесспорный факт,—что предшествовавшее образованию новых народов и новых для того мира языков, яфетическое население Средиземноморья распределено было непрерывно тянувшимися узлами. Узлы эти повторяют одни и теже группы племен в различных, самых отдаленных друг от друга районах. Что об'единяло эти повторяющиеся группы? Повидимому, перерождавшаяся в племенное побратимство тотемная связь, что внушает мысль о бесконечно древней оседлости, повидимому, об исконности яфетического племени в составе населения Средиземноморья.“

ლობელი ფაქტია, რომ სანამ ახალი ხალხები და ენები (ე. ი. სემიანნი და ინდოევროპელნი) **შეიქმნებოდენ, ხმელთაშუაზღვის სანაპიროების იაფეტური მოსახლეობა განუწყვეტლივ მიმდევნო კვანძ კვანძებად იყო მოფენილი. მოსახლეობის ეს კვანძები სხვადასხვა ერთი მეორესაგან სრულიად დაშორებულ ადგილებშიც-კი ერთი-და-იმავე ტომობრივი ჯგუფების გამეორებას წარმოადგენდენ. რა აერთებდათ ამ მუდამ ერთიდაიმავე შემადგენლობის ჯგუფებს? როგორც ჩანს, ტოტემური კავშირი, ტომობრივ ძმადნაფიცობად ქცეული ტოტემური კავშირიო, რაც იაფეტიან ტომებს ხმელთაშუაზღვის სანაპიროების უუძველეს, დასაწყისითგან მოსახლედ გვაფიქრებინებსო,** ბრძანებს ავტორი.

აკად. ნ. მარრი არ უხსნის თავის მკითხველს, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ის ჯადოსანი, რომელმაც „იაფეტიანთა" სხვადასხვა ტომები ხმელთაშუაზღვის სანაპიროებს ერთი-და-იმავე ტომობრივი შენარევობით მოსახლეობის განუწყვეტელ კვანძებად მოჰფინა, ან ვინ ბრძანდებოდა ის დალოცვილი, ჩვენ ცოდვილ ქვეყანაზე მშვიდობიანობის დამნერგველი, რომელმაც იაფეტიანთა ყველა ტომები ისეთ უმანკო კრავებად გაჰხადა, რომ ურთმანერთოდ ცხოვრება არ ჰსურდათ და ბრძოლა-ქიშპობის მაგიერ მხოლოდ ტოტემურ ძმადნაფიცობას შეჰხაროდენ? არა მგონია, ასეთი მისტიკური სურათისა და იდილიის დაჯერება ვისმე შეეძლოს!..

მაგრამ ზემომოყვანილ პირველ ზოგად დებულებას მეორე და მესამეც მოჰყვა. მეორე დებულება ჯერ ფრთხილად იყო გამოთქმული, რომ დასახელებულ ადგილებს, დაბა-სოფლებსა და თემებს იმგვარადვე, როგორც მთებსა და მდინარეებს, საკუთარ სახელად **ხშირად** ტომობრივი სახელები აქვთ ხოლმე [1].

ეს დებულება დიდი ხანია მეცნიერებაში ცნობილია და ამისდა მიხედვით არაერთი გამოკვლევაც დაწერილა ტომობრივი მოსახლეობის ისტორიის აღსადგენად, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთი გეოგრაფიული სახელებია ამნაირი წარმოშობილობისა.

თუ 1922 წ. ნ. მარრს ამგვარი მოვლენა მხოლოდ ხშირ შემთხვევად ჰქონდა მიჩნეული, 1924 წ. მან ეს უკვე თავის მოძღვრების ურყევ დებულებად აღიარა და განაცხადა [2]:

„... მყარდება ურყევი საფუძველი მოძღვრებისათვის სახელების შესახებ, მათ შორის დებულება, რომლის მიხედვითაც მთებისა და მდინარეების სახელები ქვეყნის პირვანდელი მოსახლეობის უუძველეს ფენათა ტომობრივი სახე-

---

[1] Населенные пункты, селения, местечки, области, равно горы и реки часто также носят этнические названия (Н. Марр. Кавк. плем. назв. 1922. გვ. 21.)

[2] „... Устанавливаются незыблемые основы учения о названиях мест, в числе их положение, по которому названия гор и рек вскрывают племенные наименования древнейших слоев первоначального населения. Естественно, что тождественные географические названия, насколько они отложения племенной жизни, нас заставляют с Россиею рассматривать в об'единении ту или иную страну с населением тождественного, доисторического племенного состава, в каком бы отдалении ни находилась эта страна территориально от России" (Н. Марр. Книжная легенда об основании Киева etc. ИРАНМК т. III. № 11—12, გვ. 263).

ლების შემცველიაო". ერთნაირი გეოგრაფიული სახელები, რამდენადაც ტომობრივი ცხოვრების დანალექს წარმოგვიდგენენ, ბუნებრივად გვაიძულებენ რუსეთთან ერთად განვიხილოთ ის ქვეყნებიც, რომელთაც მასთან ერთგვარი შემადგენლობის ისტორიის უწინარესი ტომობრივი მოსახლეობა ჰყავდა, რამდენადაც ეს ქვეყნები რუსეთს დაშორებული არ იყვნენ ტერიტორიულადაო.

ტომობრივი ტერმინებიც ამგვარი თვისებისანი არიან, მაგრამ აქ უკვე ერთი ტომის სახელი კი არ გვხვდება, არამედ ერთ სიტყვაში ორი ტომის სახელია შედუღებულიო[1]. **ამგვარი მოვლენა მარტო ისტორიულ იაფეტურ ტომთა სახელებში-კი არა, თანამედროვე, მხოლოდ თემურ-კულტურული ცხოვრების მიმდევარ ტომთა სახელებშიც არისო.**

ამისდა მიხედვით, ნ. მ ა რ რ ი **ეხლა ყველა თავის წინანდელ ეტიმოლოგიებს იწუნებდა და სცვლიდა. წინათ თუ ამ ტერმინებში ერთი ტომის სახელი ეგულებოდა და მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ნიშნიანად იყო ხოლმე მიჩნეული, ეხლა თითქმის ყოველთვის ორი ტომობრივი სახელისაგან შემტკიცებულადა სთვლის.** მაგრამ ამას გარდა თურმე **ყოველი ტომობრივი სახელი** იმავე **დროს უეჭველად მისი ტოტემის სახელიცაა.** ბოლოს-და-ბოლოს, აკად. ნ. მ ა რ რ ი ს უკანასკნელი დებულებით, **ყველა სახელები თითქოს ოთხი ტომობრივი—ტოტემური სახელის კომბინაციისაგან შესდგებოდეს სალ, ბერ, ჲონ, როშ,** Sal, Ber, Ion, Roch. ეს დებულება იმდენად ურყევ ჭეშმარიტებად არის აღიარებული, რომ პროფ. ი. მ ე შ ჩ ა ნ ი ნ ო ვ ი ს სახელმძღვანელოს მსგავსად შედგენილს ნაშრომშიც-კია შეტანილი: **„იაფეტიდოლოგიის ძირითადი საწყისები"** (Основные начала Яфетидологии: Изд. Общ. Обслед. и Изуч. Азербайджана, № 1, ბაქო 1926 წ., გვ. 65,—ცალკე წიგნაკადაც არის გამოცემული).

აკად. ნ. მ ა რ რ ი ერთ თავის ნაშრომში[2] გაიძახის, რომ **იაფეტიანებმა ღმერთების მსგავსად აფრიკასაც. ევროპასაც და აზიასაც სახელები დაარქვეს და ძველ მსოფლიოსაც ქვეყნების სახელების გარდა, ღვთაებათა, ხალხების, ნივთიერი კულტურისა და ყოფაცხოვრების საგნების სახელებიც სწორედ იაფეტიანებმა შესძინესო.**

---

[1] „В морфологическом отношении этнич. термины яфетидов обращают на себя внимание еще гибридностью образования самых основ, слиянием в одном слове двух этнических терминов. В номенклатуре исторических народов яфетич. племен таких названий не мало, но встречаемся с ними и в номенклатуре современных народов и племен, живущих, по крайней мере ныне, лишь этно-культурно, напр. q̇ev-sur ←q̇eb—tora (||—ora) хевсур, in=guш←hin (←hen) guш (←кош)... ложное толкование получил бы термин хевсур, если бы мы приняли отожествление его с «хебур»-ами арм. географа VII в., как то делал К. П. Патканов". „О составности этого термина см. Н. Марр. К истории передвижения яфетических народов с юга на север Кавказа ИАН. 1916, стр. 1398 сл., где и история второй части; к первой части q̇ev←q̇eb ср. q̇eb-ur || qeb-ar (Арм. Геогр., изд. Патканова, стр. 37). (Н. Марр. Кавк. племен. названия 16—17).

[2] „Старый мир, когда смело оглянется на себя в лингвистическое зеркало прошлого, увидит, что жизнь им начата с яфетического осознания мира, и яфетиды точно боги, дали имена Африке, Европе и Азии. Или будут спорить, что это егип

იაფეტური თეორიის მოძღვრების უკანასკნელი ევოლუციის[1] თანახმად, ინდოევროპული და სემური ენები იაფეტური ენების ტრანსფორმაციას წარმოადგენენ. მაშასადამე, ინდოევროპული ენები იაფეტური ენების ტრანსფორმაციისა და გადაქმნის პროცესის უკანასკნელი საფეხური ყოფილა. იმის გარდა, რომ ეს მოძღვრება ძირიანად ეწინააღმდეგება თვით აკად. ნ. მ ა რ რ ი-სავე წინანდელ დებულებას, რომლის თანახმადაც იაფეტური ენები უკვე უუძველეს ხანაშივე მორფოლოგიურად თითქოს ისევე გაცვეთილები ყოფილიყვნენ, როგორც ყველაზე განვითარებულ-გაცვეთილი თანამედროვე ინდოევროპული ენები არიან, **მისი დაჯერება თუნდაც იმიტომაც არ შეიძლება, რომ თვით ე. წ. იაფეტური ენებიც-კი თავისი აგებულებით სრულებით ერთსა და იმავე საფეხურზე არ დგანან.** ამის დასადასტურებლად საკმარისია ქართულისა და ჩაჩნურ-ლეკური ენების აგებულების ძირითადი განსხვავება გავიხსენოთ, რომელიც მკვლევარს არავითარ უფლებას არ აძლევს ისინი ენის განვითარების ერთსა და იმავე საფეხურზე მდგომად აღიაროს.

აკად. ნ. მ ა რ რ ი თავის ნაწერებში ხშირად ჩიოდა, რომ მის იაფეტიდოლოგიურ მოძღვრებას მიმდევარი თითქმის არავინა ჰყავს, არც უცხოეთში, არც საბჭოთა კავშირში. იშვიათია მისი ნაშრომი, რომელშიც ამის გამო გოდება არ ისმოდეს. მაგ. შესაძლებელია მოყვანილი იყოს აკად. ნ. მ ა რ რ ი ს შემდეგი განცხადება: „**ევროპაში მის უცნობლობას და მიუღებლობას არ ვეხები**". იქ ჯერჯერობით ქართული ენის კათედრაც არ არსებობს, „**ვინლა ეძებს იაფეტურ თეორიის რთულ მოთხოვნილებებს და კავკასიის და არა კავკასიის მრავალხაჰირო ენათ შესწავლის საიაფეტმეტყველო ჯეროვან გამართვას**"-ო („რით ცხოვრობს იაფეტური ენათმეცნიერება, 72).

тяне или греки, или кто из других индо-европейцев первые восприемники—нарекатели, первые осознатели Средиземноморья? Ну, тогда скажем..., за каждым яфетич. названием стран идут яфет. названия народов и богов.. яфетич. названия не только предметов культа, но и вообще предметов быта, и когда за дедкой тянет пока лишь бабка и показывается репа, то это громадная яфетическая репа, сказочно громадная: на Пиренеях не один её кончик—усик, вся она лежит и в Африке и в Европе и в Азии, да так, что африканский её кусочек иногда составляет существенную приправу эллинского изысканного блюда, так на эллин. Парнасе играет важнейшую роль тотем иберского племени, казалось-бы афрік. оформления: ни в эпосе, ни в искусстве, в частности зодчестве, нельзя спастись вообще от иберизмов, не говоря о других яфетидизмах" (Н. Марр. Термины из абх.-рус. этн. связей, 6—7).

[1] „Таким образом, все это разбросанное по белу свету этрусское наследие имеет корни в доисторической расселенности не одного сложившегося уже какого либо народа, а многочисленных племен различных этнических образований, независимо от возникших в последствии в каждом из этих разобщенных территориальных гнезд исторических народов и культур. Корнями оно уходит в этнический фонд, существовавший раньше не только их возникновения, но и образования семитической семьи языков и, конечно, раньше завершения особенно мощного процесса индоевропеизации, т. е. процесса трансформации яфетических языков в индоевропейские. Словом, и здесь дело имеем с проблемой о роли яфетических языков по Средиземноморью" (Н. Марр. Термины из абх.-рус. этническ. связей, 56).

იაფეტიდოლოგიის ბუდეც ლენინგრადში (ყ. პეტერბურგში), მისივე სიტყვით, „დანგრეულია და გაუერანებაზე მიწევნილი“ ყოფილა (იქვე, 76). თვით „იაფეტურ კავკასია“-შიც, აკად. მარრი-სავე განცხადებით, იაფეტიდოლოგიას მომხრენი არა ჰყოლია (იხ. მისი Книжная легенда об основании Киева на Руси и Куара в Армении: Изв. Рос. Акад. Ист. Мат. Культуры, 1924 წ. т. III, № 11—12, გვ. 287).

თავის მოძღვრებისადმი ასეთი უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზად აკად. ნ. მარრი „კავკასიელ იაფეტიანების“, მაგ., კერძოდ ქართველ და სომეხ მეცნიერთა ნაციონალისტური მიდგომა, უცხოეთისა და რუსეთის ენათმეცნიერთა მხრით-კი დამყაყებული კონსერვატიზმი და იაფეტური ენების უცოდინარობა მიაჩნდა. ამნაირად, ყველა დამნაშავე იყო იაფეტურ თეორიას გარდა.

უკვე იაფეტიდოლოგიისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ასეთი არაჩვეულებრივი ერთსულოვნების გარემოება ამ განმარტებასა და ნუგეშს საეჭვოდა ჰხდის. ქართველსა და სომეხ ენათმეცნიერებს რომ ამ შემთხვევაში მართლაც „ნაციონალისტური“ თვალსაზრისით ეხელმძღვანელათ, მაშინ ისინი პირიქით აკად. ნ. მარრის დებულებებს ორივე ხელით ჩაებღაუჭებოდენ. თუ მისი მტკიცება მართალია, რომ ევროპასა, აზიასა და აფრიკაში ყველაფერი, რაც ძირითადი და უძველესია, იაფეტიანების შექმნილია, რომელნიც თურმე „ღმერთებივით“ ყველაფრის შემოქმედნი და სახელმდებელნი ყოფილან, მაშინ ყოველივე კულტურული ღირებულება მათი შორეული წინაპრების შექმნილი ყოფილა, ამაზე მეტად სასიამოვნო მათი „ნაციონალისტური“ სულისკვეთებისა და ცრუ თავმოყვარეობისათვის, რა უნდა ყოფილიყო. თუ ამისდა მიუხედავად, „კავკასიელი იაფეტიანნი“ მაინც იაფეტიდოლოგიას არ იზიარებენ, ცხადია, რომ პატივცემულ აკადემიკოსს „ნაციონალიზმი“ ტყუილად შეუწუხებია.

ხოლო, რაც შეეხება უცხოეთისა და რუსეთის ენათმეცნიერთა კონსერვატიზმს, არა-ერთი გამბედავი მკვლევარი, ვგონებ, მათ წრეშიც მოიპოვება, მაგრამ მათ გამბედაობას მეცნიერებაში სავალდებულოდ აღიარებული მსჯელობისა და მტკიცების საბუთიანობა ჰსაზღვრავს. თუ წინათ, ამ საუკუნის დასაწყისში, უცხოეთში ქართულისა და კავკასიის ენების მცოდნე მეცნიერნი თითქმის არ იყვნენ, ეხლა უკვე ამის თქმა აღარ შეიძლება. ამისდა მიუხედავად, ქართულისა და კავკასიის ენების მცოდნეთა რიცხვის გამრავლებას იაფეტიდოლოგიისათვის მიმდევარნი არ შეუძენია. ამასაც რომ თავი დავანებოთ, „კავკასიელ იაფეტიანთა“ წრითგან გამოსულმა აკად. ნ. მარრი-სგან გაწვრთნილ ენათმეცნიერებმა ხომ ეს ენები კარგად იციან. ცხადია, რომ იაფეტიდოლოგიისადმი უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზად და ასახსნელად ვერც „იაფეტური“ ენების უცოდინარობა გამოდგება.

ყველა ზემოაღნიშნული ადამიანს დაარწმუნებს, რომ უარყოფითი დამოკიდებულების საფუძველი სულ სხვა უნდა იყოს და იაფეტიდოლოგიის მოძღვრების ხანგრძლივი მიმდინარეობის ზემომოყვანილი განხილვა დაანახვებდა ადამიანს, რომ აქ ობიექტური ხასიათის მიზეზებთან გვაქვს საქმე. ამ გარემოებას **ის შეფასებაც ცხადჰყოფს, რომელიც იაფეტიდოლოგიის შესახებ მის თანამგრძნობთა და მომხრეთა ნაწერებში მოიპოვება.**

ამ თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ თვით ისეთ თანამგრძნობსაც-კი, როგორადაც პროფ. მ. ნემიროვსკი მისს ნაწერებში მოჩანს, არ შეეძლო არ აღენიშნა, რომ აკად. ნ. მარრს **თავისი თეორია ბევრჯერ აქვს შეცვლილი, რომ ზოგადი ენათმეცნიერება იმავე საკითხებს, რომლის გადაჭრასაც იაფეტიდოლოგია ლამობს, უფრო ნელი ნაბიჯით, მაგრამ მტკიცე რწმენით მიღწევას ჰრჩეობს.** (Кавказская Лингвистика в XX веке: Изв. Ингуш. Научн.-Исслед. Инст. Краевед. I, 318—321)[1].

აკად. ნ. მარრის მეორე თანამგრძნობს პროფ. ლ. ჟირკოვ-საც აქვს აღნიშნული იაფეტიდოლოგიის თეორიის გაურკვევლობა და დაუსრულებელი ცვალებადობა: ის ჩივის: **ყველა ენათმეცნიერთათვის უაღრესად სამწუხაროა, რომ ნ. მარრს თავისი თეორიის განვითარების არც-ერთ საფეხურზე თავისი მოძღვრების დამთავრებული, გაბმული მონათხრობი არსად არ გამოუქვეყნებიაო** (Проф. Л. И. Жирков, Языки Дагестана и их изучение: Изв. Общ. Обслед. и изуч. Азербайджана № 1, გვ. 46, 1926 წ.)[2].

მერმე, მარრის თეორიის სხვადასხვა ცვლილების მოკლედ აღნუსხვის შემდგომ, ჟირკოვს ნათქვამი აქვს: **იაფეტური თეორია კავკასიის თეორია აღარ არის, იგი ენათმეცნიერების ყველაზე პრინციპულ საკითხებს შეეხო. ამ საკითხებზე იგი** წინასწარ არსებული მასალებისდა მიხედვით შეძლებისდაგვარს **პასუხს გვაძლევს. შემდეგში შესაძლებელია ეს პასუხები მცდარი აღმოჩნდეს,** ახალი ფაქტები მას ახალ დასკვნებს უკარნახებენ. **ამიტომ უკეთესია** ნ. მარრის **თეორია ჯერჯერობით ჰიპოთეზად, ანდა ჰიპოთეზათა სისტემად ჩავთვალოთო. ამგვარადო,** დასკვნილი აქვს ბოლოში ჟირკოვს, **იაფეტური თეორია შესაძლებელია მთლიანად შერჩეს, შესაძლებელია გაქრეს, შესაძლებელია კვლავაც გადაიქმნესო** (იქვე, 47)[3].

---

[1] „При расширении первоначального круга исследования, и эта классификация и первоначальная формулировка яфетической теории были Н. Я. Марром изменяемы неоднократно" (Проф. Немировский – Кавказская Лингвистика в XX веке: Изв. Ингуш. Научн. Исслед. Инст. Краевед. I, 319). სპირანტულ და სიბილანტურ ჯგუფად დაყოფის ნ. მარრის დებულების შესახებაც ნათქვამია: „И эта формулировка оказалась недолговечной и потребовала коррективов" (იქვე, 321).

დასასრულ აკად. ნ. მარრის თეორიის უკანასკნელი საფეხური პროფ. ნემიროვსკის ასე აქვს შეფასებული: „Н. Я. Марр,... расширив свою яфетическую теорию в глоттогоническую, вопрос о родстве языков пытается решить при помощи своего учения о типологических трансформациях речи. «Классическая» лингвистика иначе подходит к решению всех этих проблем, предпочитая медленно, но уверенно подвигаться к намеченной цели (იქვე, გვ. 347).

[2] „Н. Я. Марр, к глубокому сожалению всех языковедов, не дал нигде законченного, связного изложения своей теории ни на одном из этапов ее развития".

[3] „Яфетическая теория перестала быть кавказской теорией, она затронула самые принципиальные вопросы науки о языке. На эти вопросы она дает предварительные, посильные, сообразные с имеющимся материалом ответы. Эти ответы могут оказаться со временем неверными, новые данные подскажут новые выводы. Теорию Н. Я. Марра поэтому лучше считать пока за гипотезу или за систему гипотез. Проверка этих

ამჟამად ყირკოვის იმ განმარტებაზე შეჩერება, თითქოს იაფეტიდოლოგია ენათმეცნიერების ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მხოლოდ წინასწარს პასუხს იძლეოდეს, არ ღირს, იმისდა მიუხედავად, რომ ეს აზრი თვით აკად. ნ მარრის დებულებას სრულებით ამახინჯებს, რათგან იაფეტიდოლოგია მას ერთად-ერთ შეუმცდარ და ყველაფრის უცილობლად ამხსნელ ენათმეცნიერებად მიაჩნდა, რომელსაც ყველა უნდა იზიარებდეს და უყოყმანოდ მისდევდეს. აქ შესაძლებელია იმითაც დავკმაყოფილდეთ, რომ იაფეტურ თეორიას მისი თანამგრძნობი პროფ. ყირკოვიც-კი **მხოლოდ ჰიპოთეზად, ჰიპოთეზათა სისტემადაც-კი სთვლის. ის დარწმუნებული არ არის, გადურჩება, თუ არა, იგი მომავალ პირუთვნელს, კრიტიკულ განსჯას ახლად აღმოჩენილი ფაქტების წინაშე.**

დასასრულ უნდა აკად. ნ. მარრის იაფეტიდოლოგიის მიმდევართაგან ყველაზე უფრო დაახლოვებულ პირსა და ამ მოძღვრების ავტორიტეტულ კომენტატორს პროფ. ი. მეშჩანინოვსაც მოვუსმინოთ. **ისიც-კი ვერ უარჰყოფს, რომ იაფეტიდოლოგია ადამიანს ერთიერთმანეთის საწინააღმდეგო დებულებებისა და დასკვნების გროვად ეჩვენება.** მაგრამ ამისთვის მას შემდეგი თავისებური განმარტება მოუძებნია. **მისი განცხადებით ეს თურმე მოჩვენებითი შთაბეჭდილება ყოფილა, თანაც თურმე სწორედ ეს გარემოება იაფეტიდოლოგიურ მუშაობას საინტერესოდ ჰხდის. ნამდვილად აქ წინააღმდეგობანი-კი არ არის, არამედ გამოურკვეველი და ჯერედ საკამათო საკითხების მთელი, ეგების გრძელიც-კი, რიგი ყოფილა ისევე, როგორც** ნ. იაკ. მარრის მიერ **გამოთქმულ იმ დებულებათა მწკრივიც, რომელნიც იძულებული გახდა მუშაობის პროცესში უარეყო** (Основные начала яфетидологии: Изв. Общ. обсл. и изуч. Азербайджана №1, გვ. 67)[1].

სამწუხაროდ, მეშჩანინოვის ეს განმარტებაც სწორე არ არის. მეშჩანინოვის სიტყვები მართალი იქმნებოდა, იაფეტიდოლოგიის ავტორს რომ არამც თუ „მთელი გრძელი მწკრივი“, არამედ თავის მოძღვრების დებულებებში რაიმე, ან გამოურკვევლად, ანდა მით უმეტეს საკამათოდ მიეჩნიოს, ან ვისთვისმე ასეთი ეჭვის გამოთქმის უფლება ეცნოს. ხოლო, **როდესაც მოძღვრებაში, თუ სხვადასხვა დროს გამოთქმულ მსჯელობაში საკითხებისა და დე-**

гипотеза будет дана их соответствием с новыми, пока ещё неизвестными фактами. Вот почему мы больше всего сейчас заинтересованы в накоплении фактов из области в первую очередь Кавказских языков — языков, на которых родилась яфетическая теория и которые, как мы сказали, изучены еще так мало и неполно.

Итак, яфетическая теория может устоять в целом виде, может пасть. Может, наконец, подвергнуться превращениям. Мы заинтересованы в том, чтобы работать над ее проверкой“ (Языки Дагестана и их изучение: Изв. Общ. Обсл. и изуч. Азербайджана N 1, 47).

[1] „В этом кажущемся нагромождении противоречивых данных и заключается интерес яфетидологической работы, но здесь нет противоречия, а есть целый, и быть может длинный, ряд невыясненных и пока спорных вопросов, есть и ряд высказанных Н. Я. Марром положений, от которых он, в процессе работы вынужден был отказаться“ (Проф. И. Мещанинов, Основн. начала яфетидологии, გვ. 67).

ბულებათა „მთელი გრძელი მწკრივი“ აღმოჩნდება ხოლმე, რომელთა შინაარსიც ერთმანეთს არ ეთანხმება, ამას ყველგან და ყოველთვის წინააღმდეგობას უწოდებდენ და უწოდებენ ხოლმე.

მაშასადამე, იაფეტიდოლოგიის თანამგრძნობ-მომხრეთა შეფასებაც ამ მოძღვრების შესახებ არსებითად თითქმის ისევე უარყოფითია, როგორიც ამ თეორიის მოწინააღმდეგეთა.

ამით შეიძლება დავამთავროთ იაფეტიდოლოგიის მოძღვრების მიმოხილვა და მისი ღირებულების გამორკვევა.

აკად. ნ. მ ა რ რ ი ს მოღვაწეობის ზოგადი შეფასების დროს, უნდა გულახდილად აღინიშნოს, რომ ქართულის, ქართველურისა და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნების, აგებულებისა და მონათესაობისა, იმგვარადვე, როგორც მათი წარმოშობილობისა და სადაურობის პრობლემა ისევე გადაუწყვეტელია, როგორც წინათ იყო. აკად. ნ. მ ა რ რ მ ა მას დიდი ენერგიაც შეალია და თავისი არაჩვეულებრივი ნიჭიც, ისევე, როგორც ამისთვის თავისი იშვიათი გონებამახვილობაც არ დაუზოგია. თუ ამისდა მიუხედავად მიზანი, სამწუხაროდ, მაინც მიუღწეველი დარჩა. ამის მიზეზი მ ა რ რ ი ს ა გ ა ნ არჩეული გზა გახლავთ: ენათა ნათესაობის საკითხი უპირველესად ენათა აგებულების იგივეობის, ანდა მსგავსების მიხედვით სწყდება, სიტყვათა საგანძურს-კი უფრო მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. აკად. ნ. მ ა რ რ ი-კი თავის მსჯელობის დროს ამ გარემოებას ანგარიშს არ უწევდა და მის გადაწყვეტას სწორედ ლექსიკურ მასალაზე დაყრდნობით ლამობდა. ამ სფეროში მისი დაუცხრომელი ცდის უნაყოფოება მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ სამეცნიერო მეთოდოლოგიის უგულებელყოფით დასახული მიზნის მიღწევა არ შეუძლიან ისეთი არაჩვეულებრივი ნიჭისა და დაუშრეტელი ენერგიის პატრონს და მრავალ ენათა მცოდნესაც-კი, როგორიც უცილობლად აკად. ნ. მ ა რ რ ი ა.

ვინც-კი აკად. ნ. მ ა რ რ ი ს ნაშრომების თუნდაც მარტო სიას გადაშინჯავს, შეუძლებელია მისი შემოქმედების ნაყოფიერებით მისდამი განცვიფრებისა და პატივისცემის გრძნობა არ აღეძრას. ხოლო, ვისაც ეს ნაშრომები წაკითხული აქვს, მას ისიც ეცოდინება, რომ მის ენათმეცნიერულ ცოდნისმოყვარეობას საზღვარი არ უჩანს: მისი კვლევაძიების თემათა მრავალფეროვანება სწორედ რომ გასაკვირველია. იმ ნაშრომებშიც-კი, რომელთა ზოგად შინაარსსა და დასკვნას ადამიანი ვერასგზით ვერ დაეთანხმება, არაერთი გონებამახვილი შედარებაა გაფანტული და არაერთი საინტერესო პარალელებია წამოყენებული, რომელთა სისწორის დამტკიცება სულ სხვა გზითა და სხვა საბუთიანობით შეიძლება. გონებამახვილობა და ენამახვილობა დაუშრეტელი წყაროს მსგავსად სჩქეფს ყოველ მის ნაწერში და ამიტომაც არის, რომ ის „განწირული სულისკვეთება“, რომლითაც გამსჭვალულია პროფ. და აკად. ნ. მ ა რ რ ი ს უამრავი ნაწერები, უეჭველია, ცუდად არ ჩაივლის და მომავალი მკვლევარი იმ ნაშრომებშიც, სადაც ძირითადი დებულება დამაჯერებელი არ არის, არაერთს „პატიოსან თვალს“ აღმოაჩენს.

მხოლოდ იმ პირებმა, რომელნიც მასთან დაახლოვებული იყვნენ, იციან, რომ ნ. მ ა რ რ ი ს ნაშრომების მარაგი არამც თუ უკვე გამოქვეყნებულით არ

ამოიწურება, არამედ, რომ მას ერთიორად და სამად ამაზე მეტიც გამოუცემელი უწყვია, მათ შორის არაერთი პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ძეგლიც. გადაუჭარბებლივ შესაძლებელია ითქვას, რომ მისი სამწერლობო საგანძური ამ მხრივ რამდენ-მე მეცნიერისათვისაც-კი სამყოფი იქნებოდა.

აკად. ნ. მარრის უმთავრეს ღვაწლს ქართული და სომხური ფილოლოგიის შექმნა შეადგენს ისევე, როგორც იგივეა ქართული და ქართველური ენათმეცნიერების დაუცხრომელი, გატაცებული კვლევაძიების ნამდვილი სულის ჩამდგმელიც. ვინც გაითვალისწინებს, რასაც ეს ორი დარგი ნ. მარრამდე წარმოადგენდა, მისთვის ცხადი შეიქმნება, რომ ქართველთა და სომეხთა მცოდნეობის ისტორიაში ნ. მარრის სახელი სამარადისოდ აღიბეჭდება, ხოლო თვით აკად. ნ. მარრსაც რომ დამშვიდებულს გარეშემო მიმოეხედა და საქმის ნამდვილ ვითარებას ჩაჰკვირვებოდა, ისიც, მე მგონია, დარწმუნდებოდა, რომ შემოქმედების დაუშრეტელი წყურვილი და დაუცხრომელი კვლევაძიების სულისკვეთება, რომელიც მთელ მის მოღვაწეობას ყოველთვის მომხიბლველად ჰხდიდა, ყველაზე მეტად მაინც სწორედ იქ იყო, სადაც მას იმ დროს ყველაზე ნაკლებ ეგულებოდა.

რევოლუციის შემდგომ ქართულისა და ე. წ. კავკასიური ენების მეცნიერული შესწავლა საგრძნობლად გაძლიერდა. მართალია აკად. ნ. მარრი 1923 წ. ჩიოდა: მარი ბროსსეს სამშობლოში, „საფრანგეთში, თვით პარიზში, მას შემდეგ ასი წელი გადის, ერთი ნაბიჯიც არ წაუდგამთ წინ“ იმ საგნის შესასწავლად, რომელსაც მისი სახელოვანი შვილი ემსახურებოდა, „პირიქით უკან წასრულა (sic) საქმე“-ო, „პეტერბურგში-კი მარი ბროსსეს დაარსებული ბუდე დღეს, ლამის, იერემიის საგოდებელ უდაბნოთ გახდეს. იქ გაწვრთნილი, მაგრამ იქიდან გაფრენილი შავარდნების ნამოქმედარი თბილისში, კერძოთ ქართულ უნივერსიტეტში, ხომ მერმისში დასაფასებელი საქმეა, ჩვენ-კი ამ წუთზე ვამბობთ“-ო (იხ. „რით ცხოვრობს იაფეტ. ენათმეცნიერება, გვ. 72 — 74).

რუსეთში არსებული სამეცნიერო კერის დაცალიერებით გამოწვეულ მწუხარებას აკად. ნ. მარრის-ათვის იმედი მაინც არ დაუხშავს და მას ნათქვამი აქვს: „მრწამს აგრეთვე ქართველთ თბილისის უნივერსიტეტის ბრწყინვალე მომავალი ჩვენ საინტერესო დარგში, თუ, მეცნიერების მსოფლიობას შეიგნებს რა, განახორციელებს თავის მდიდარ შეძლებულებას, მთელი, ერთობილათ მთელი, კავკასიის უნივერსიტეტათ გახდეს. ეჭვს გარეშეა, რომ ხან იქ, ხან აქ ჩვენი პრობლემის მოსარჩლე გამოცხადდება, როგორც ადრე დასავლეთ ევროპაშიც“-აო (იქვე, გვ. 76).

ამგვარად მომავლისათვის აკად. მარრი იმედიანად იყო, მაგრამ თანამედროვე მდგომარეობა გულს მწარე ბოღმით უვსებდა. ის ამბობდა: „იმედია, რომ მომავალში იაფეტურ ენათმეცნიერების მზე — სიმართლე სავსებით ამობრწყინდება მსოფლიო მეცნიერების კამარაზე, მაგრამ დღეის-დღეს ამ ნორჩი დარგის გამომმუშავებელი ობოლი ბუდეც დანგრეულია და გავერანებაზე მიწევნილი, იგი ბუდე, სადაც ასი წლის განმავლობაში, როგორც შეუწყვეტელი კვლევა-ძიების შედეგი, აღორძინდა და ვითარდებოდა დედამიწის ზურგზე ერთათ ერთი კავკასიურ დედა-ენათა სამკვლევრო შკოლა თავის დამოუკიდებელი მიმართულე-

ბით"-ო (იქვე, გვ. 76). თავის წიგნს აკად. ნ. მ ა რ რ ი შემდეგი ზოგადი განცხადებით ამთავრებდა: „დამეთანხმებით, საფუძველი მაქვს, ვთქვა, რომ ეს საქმე, იაფეტური თეორია, ენათმეცნიერების ახალჩენილი მთელი ერთი დარგი, დღეისდღეობით უკიდურეს განსაცდელშია"-ო (იქვე, გვ. 76).

რომელიმე თეორიის განსაცდელი, რა თქმა უნდა, სამეცნიერო კერის განსაცდელი არ არის: თეორიების ცვალებადობა და არსებობის ხანმოკლეობა კარგად არის ცნობილი, რომ ამაზე სიტყვის გაგრძელება საჭირო იყოს. სამეცნიერო ბუდის დაცალიერებაც არაფერს სახიფათოს არ წარმოადგენს, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ბუდეში აღზრდილ-გაწვრთნილი „შავარდნები" თავიანთ სამეცნიერო მოღვაწეობას-კი არ სპობენ, არამედ მხოლოდ „გაფრენილი" არიან და მოქმედების ადგილს იცვლიან ხოლმე. სამეცნიერო ბუდის დროგამოშვებითი დაცალიერება ბუნების კანონია და იმ უზარმაზარ ქვეყანასა და მრავალრიცხოვან ნიჭიერ ერს, რომლის დედაქალაქშიც ეს ბუდე იმყოფება, თუ მეცნიერების ამ დარგისადმი სიყვარული და ცოდნის მოყვარეობა აღმოჩნდება, დაცალიერებული ბუდის გავსება ადვილად შეუძლიან.

ვითარცა ეროვნული კულტურისა და ენების გატაცებულ მკვლევარსა და ბუდითგან გაფრენილი „შავარდნების" გამწვრთნელს, აკად. ნ. მ ა რ რ ს საქართველოში, ტფილისში, ისევე როგორც სომხეთში, ერევანში, და აზერბაიჯანში, ბაქოში, სამეცნიერო კერის შექმნა უნდა გაეხარებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ ამ „შავარდენ" — ენათმეცნიერთა გაწვრთნა მისი ღვაწლია. მაგრამ ამას ხომ სამეცნიერო კერათა გამრავლების გარემოებაც ერთვის ზედ: ერთის მაგიერ, კიდევ სამი ახალი კერა გაჩნდა და ნუ თუ ეს სანუგეშო მოვლენა არ არის და გამამხნევებელ გარემოებად არ უნდა იყოს მიჩნეული?

ტფილისის უნივერსიტეტის, რომლის ბრწყინვალე მომავალიც აკად. ნ. მ ა რ რ ს სწამდა, „მეცნიერების მსოფლიობის" სრული შეგნებისდა მიუხედავად, არავითარი არც პრეტენზიები და არც წადილი არა ჰქონია, „ერთობილათ მთელი კავკასიის უნივერსიტეტათ" იქცეს, მაგრამ მაინც უკვე 1918 წ., **დაარსების პირველ დღითგანვე; თავის მიზნადა და მოვალეობად ქართულისა და ქართველურის გარდა, კავკასიური ენებისა და კულტურის, ისევე, როგორც მახლობელი აღმოსავლეთის, მეცნიერული შესწავლა ჰქონდა დასახული.**

თუ ყ. პეტერბურგის უნივერსიტეტის სამეცნიერო ბუდითგან „გაფრენილი შავარდნების ნამოქმედარი ტფილისში, კერძოდ ქართულ უნივერსიტეტში", როგორც აკად. ნ. მ ა რ რ ი ბრძანებს, მხოლოდ „მერმისში დასაფასებელი საქმეა", იმის გახსენება ხომ მაინც შეიძლება, რაც მათ დღევანდლამდე გამოუქვეყნებიათ. სულ ერთია აქ ჩვენი მიმოხილვის შეჩერება მაინც-და მაინც არ შეგვეძლო, რათგან რევოლუციის შემდგომ გაჩენილი სამეცნიერო მწერლობის გინდაც მოკლედ აღნუსხვა, სხვაც რომ არა იყოს რა, ხომ სწორედ ჩვენს მოვალეობას შეადგენს. მაგრამ დე ყველა ეს თუნდაც შეუფასებლივ იყოს აღნიშნული: საქმის ნამდვილი ვითარების გათვალისწინების ერთგვარ საშუალებას უკვე დაწერილ ნაშრომთა ჩამოთვლაც მისცემს ადამიანს.

ტფილისის სახ. უნივერსიტეტში ენათმეცნიერების დარგის შექმნა სამი პირის: პროფ. იოს. ყ ი ფ შ ი ძ ი ს ა, პროფ. აკ. შ ა ნ ი ძ ი ს ა და პროფ. გ. ა ხ-

ვ ლ ე დ ი ა ნ ი ს ღვაწლს შეადგენს. პირველი მათგანის, სამწუხაროდ, უდროვო გარდაცვალების გამო, უდიდესი ტვირთი ორს უკანასკნელს დააწვა. მოკლე ხანში მათ გვერდში ამავე უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის საენათმეცნიერო დარგზე გაწვრთნილი მკვლევარნი ამოუდგნენ: პროფესორები ა რ ნ ო ლ დ ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ვ ა რ ლ ა მ თ ო ფ უ რ ი ა და ს ი მ ო ნ ჯ ა ნ ა შ ი ა. ამავე დროს **ტფილისში ქართული საენათმეცნიერო საზოგადოებაც** დაარსდა, სადაც მხურვალე მონაწილეობას სხვა ახალგაზრდა ენათმეცნიერებიც იღებენ. საენათმეცნიერო კვლევა-ძიება, როგორც საერთო ენას, ისევე დიალექტოლოგიას, როგორც ფონეტიკას, ისევე მორფოლოგიასა და სინტაქსისსაც ეხება. ამათგან შესაძლებელია დასახელებული იქმნეს:

1. პროფ. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ს **„ყრუ mediae ქართულში, ჰაე და ხანი ქართულ ზმნებში"**, ტფილისი, 1920 წ. (მასალები სამწ. ქართულის ყრილობისათვის № 1).

2. მ ი ს ი ვ ე **„მკვეთრი ხშულნი ქართულში"** (1920 წ. ტფილ. უნივ. მოამბე № 2, გვ. 113—128).

3. მ ი ს ი ვ ე **„შენიშვნები ქართულ თანხმოვანთა განდასებისათვის"** (1920 წ. „მიმომხილველი" I).

4. ბ ე ნ. (ა რ ნ.) ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა **„გრძელი ხმოვნები მთიულეთში"** (1924 წ. ტფილ. უნივ. მოამბე IV).

5. პ რ ო ფ. ა კ. შ ა ნ ი ძ ე **„უმლაუტი სვანურში"** (1925 წ. „არილი", გვ. 171—231).

6. ვ ა რ. თ ო ფ უ რ ი ა **„სახელების დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში"** (1927 წ. ტფილ. უნივ. მოამბე VII, 285—315).

7. ვ ა რ. თ ო ფ უ რ ი ა **„კვლავ უმლაუტისათვის სვანურში"** (1928 წ. ტფილ. უნივ. მოამბე VIII, 337—346).

8. ვ ა რ. თ ო ფ უ რ ი ა **„ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში"** (1929 წ. ტფილ. უნივ. მოამბე X, 292—304).

9. ბ ე ნ. (ა რ ნ.) ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა **„ყე ნაწილაკი ფერეჲდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოღიკის ურთიერთობის თვალსაზრისით"** (1924 წ., ქართ. საენათმეცნ. საზ. წელიწდეული I, 32—68).

10. ა რ ნ ო ლ დ ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა **„გარე-კახური დიალექტოლოგიურად"** (1925 წ. „არილი" გვ. 57—88).

11. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა **„ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი"** (1927 წ. ტფილ. უნივ. მოამბე VII, 196—247).

12. პროფ. ა კ. შ ა ნ ი ძ ე **„ნასახელარი ზმნები ქართულში"** (1919 წ. ტფილ. უნივ. მოამბე I, 87—96).

13. პროფ. ა კ. შ ა ნ ი ძ ე **„სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში"** (ტფილისი, 1920 წ. ტფ. სახ. უნივ. გამ.).

14. მ ი ს ი ვ ე **„ქართული ზმნის საქცევი"** (1926 წ. ტფ. უნივ. მოამბე VI, 312—338).

15. არნ. ჩიქობავა „ულვლილების ერთი თავისებურება ქართულ ზმნაში: პირის აღნიშვნა“ (1926 წ. „საქ. განათლ. მუშაკი“ № 14, გვ. 15—18).

16. მისივე „რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში?“ (1928 წ. ტფ. უნივ. მოამბე IX, 107 — 119).

17. აკ. შანიძე ქართული გრამატიკა I, მორფოლოგია (1930 წ. ტფ. უნივ. გამ.).

18. არნ. ჩიქობავა „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, ქვემდებარე—დამატების საკითხი ძველს ქართულში“ (1928 წ. ტფ. უნივ. გამოცემა).

19. არნ. ჩიქობავა „ონ სუფიქსი მეგრულში“ (1926 წ. ტფ. უნივ. მოამბე VI, 305—311).

20. არნ. ჩიქობავა „ჭანური ტექსტები, ნაკვეთი პირველი, ხოფური კილოკავი“ (1929 წ. ტფ. უნივ. გამ.).

21. არნ. ჩიქობავა. ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ (მეცნ. აკად. საქ. ფილ. გამ. 1936 წ.)

22. ვ. თოფურია „სვანური ენა I, ზმნა“ (1931 წ. საქ. სახ. პედაგ. ინსტ. გამ.).

23. აკ. შანიძე „პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში“ (ტფილ. სახ. უნივ. შრომები, 1936 წ. I, გვ. 333 — 340).

ზემოდასახელებული გარემოებისდა თანახმად რომ ყველა ამ ნაშრომების ცალკეული შეფასება მერმისის მოვალეობად მივიჩნიოთ, ზოგადად მაინც შესაძლებელია ითქვას, რომ თვითეული მათგანი ახალსა და დინჯს საფუძვლიან გამოკვლევას წარმოადგენს, რომელსაც ვერავინ გვერდს ვერ აუქცევს.

ქართული დამწერლობისა და მწერლობის უძველესი, ხანმეტად სახელდებული, ხანის 1923 წ. და შემდეგშიც აღმოჩენილმა ძეგლებმა, ისევე, როგორც „ჰაემეტმა“ ძეგლებმაც მეცნიერებას ქართული ენის ისტორიისათვისაც საყრდნობი შესძინა[1]. ხოლო პავლე ინგოროყვას უაღრესად საინტერესო გზის-გამკვლევი მონოგრაფია „ძველ-ქართული წარმართული კალენდარი მე-5-8 საუკუნის ძეგლებში“ („საქ. მუზეუმის მოამბე“ ტომი VI, 1929 — 1930 წ., გვ. 373 — 446, ტომი VII) საშუალებას გვაძლევს დაუთარიღებელ მერმინდელ ხელთნაწერებში დაცულ ძეგლთა შორის ქართული მწერლობის უძველესი ხანის ნაწარმოები გამოვყოთ ხოლმე. ცნობილია, რომ წინათ მე-X ს-ზე უწინარესი ხანის ქართული ენის ნიშანდობლივი თვისებების გამოსარკვევად და-

---

[1] იხ. ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი ქართული ხელთნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის (1923 წ. ტფ უნივ. მოამბე II, 313 — 391) აკ. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი (1926 წ. ტფ. უნივ. მოამბე VII, 98 — 159). აკ. შანიძე ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მეთორმეტე საუკუნის მწერლობაში (1923 წ. ტფ. უნივ. მოამბე II, 398 — 416) ს. ჯანაშია კიდევ ერთი ნაშთი ხანმეტობისა თანამედროვე ქართულში (1924 წ. ქართ. საენათმეცნ. საზ. წელიწდეული I 117 — 118), აკ. შანიძე ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის (1923 წ. ტფ. უნივ. მოამბე III, 354 — 388).

საყრდნობი ცოტა გვქონდა და მტკიცე საფუძველიც გვაკლდა, ეხლა ხანმეტი პალიმპსესტების წაკითხვა და უძველესი ძეგლების შეუმცდარად გამოყოფის სრული შესაძლებლობა **ქართული სამწერლობო ენის ისტორიული გრამატიკის შედგენასაც საგრძნობლად აადვილებს.**

თავითგანვე დასახული მიზნისდა თანახმად, ტფილ. სახ. უნივერსიტეტში კავკასიის ენების შესწავლასაც სათანადო ყურადღება ჰქონდა მიქცეული და ერთი მხრით **აბხაზურისა,** მეორე მხრით-კი **ოსურის** კურსი არსებობდა. შემდეგ ამას **ჩერქეზულისა და ყაბარდოულის, ჩაჩნურისა, წოვურისა, ლუნძურისა და** ლუმუქ-ლეკურის შესწავლაც დაერთო ზედ. ამჟამად ტფ. სახ. უნივერსიტეტში **კავკასიის ენების ცალკეული კათედრაც-კი** არსებობს. უნივერსიტეტში მიღებული მეთოდისდა თანახმად, **ამ ენების მონოგრაფიული საფუძვლიანი გამოკვლევაა** მიზნად დასახული და რამოდენიმეჯერ ადგილობრივ ყოფნა და ხალხური სიტყვიერების ნიმუშების ბლომად შეკრებაცაა საჭირო ამ ამოცანის განსახორციელებლად. ამიტომ მუშაობა ჯერ მიმდინარეობს, მაგრამ ზოგი რამე მაინც უკვე გამოქვეყნებულია და უფრო მეტი გამოსაცემად არის დამზადებული, ან მზადდება.

ჯერ-ჯერობით გამოქვეყნებულია პროფ. გ. ახვლედიანის: 1. **„Dativus praedicativus ოსურ ენაში“** (1923 წ. ტფ. უნივ. მოამბე III),— 2. მისივე **„პროთეტიული ხმოვნის საკითხისათვის ოსურში“** (1923 წ. კრებ. „ჩვენი მეცნიერება“ № 4),— 3. მისივე **„სამი «t» ოსურში და მათი მიმართება ძველი ერანულის შესაფერ ბგერებთან“** (1924 წ. ქართ. საენათმეცნ. საზოგ. წელიწდეული I,)— 4. C. Achwlediani **„Zur Geschichte des Ossetischen“** (1926 წ. ტფ. უნივ. მოამბე VI),— 5. მისივე **„1802 წლის ოსური A ხელნაწერი“** (1926 წ. ტფ. უნივ. მოამბე VII),— 6. მისივე **„მასალები აფხაზურ ბგერათა ფიზიოლოგიისათვის“** (1926 წ. „მიმომხილველი“, საქ. საისტ. და საეთნ. საზოგ. ორგანო I),— 7. პროფ. სვ. ჯანაშიას დამზადებული აქვს **„აბხაზური ხალხური სიტყვიერების ძეგლები“** I, ლექსიკონითურთ,— 8. პროფ. აკ. შანიძეს **წოვურ ენის გრამატიკა, ტექსტებითა და ლექსიკონითურთ,**— 9. პროფ. არნ. ჩიქობავას,—**ლუნძური ხალხური სიტყვიერების ძეგლები** და ამას გარდა იგი ამზადებს **გამოკვლევასაც ლუნძური ენის შესახებ,**— 10. პროფ. ვ. თოფურია **ლუმუქკურ ენას იკვლევს.**

რევოლუციის შემდგომ, ავტონომიური ოლქების შექმნის წყალობით, ჩრდილო-კავკასიის ენებს ადგილობრივაც ალორძინება დაეტყოთ. მართალია, დაწესებულებათა გაეროვნულებას იმოდენა ძალა და ენერგია დასჭირდა, რომ იქაურ მცირერიცხოვან ინტელიგენციას, სასწავლებლებისათვის სახელმძღვანელოებისა და დაწესებულებათათვის სატერმინოლოგიო ლექსიკონების შედგენის გარდა, სხვა სამუშაოსთვის არ სცალოდათ: თუნდაც რომ შესაფერისად მომზადებული პირებიც ჰყოლოდათ, რაც სამწუხაროდ იშვიათი მოვლენა იყო, ენის კვლევა-ძიებისათვის ვერ მოიცლიდნენ, მაგრამ ზოგი რამე, უმთავრესად ლექსიკონების სახით, მაინც გაკეთდა. ხოლო იქ, სადაც თავიანთი მკვლევარნი არ ჰყავდათ, რუს. დედა-, თუ კავშირის, ანდა სხვა მთავარ ქალაქებითგან ჰპატიჟობდნენ მუდმივი, ან დროებითი სამუშაოსთვის და მათ ნაშრომებს ბეჭდავდნენ.

აფხაზეთში დაარსდა **„აფხაზური ენისა და მწერლობის აკადემია“**, რომელსაც აგრეთვე პრაქტიკული ყოველდღიური მოთხოვნილების დაკმაყოფილება უხდებოდა და ამის გამოც მის თავმჯდომარეს და ერთად-ერთ მომუშავე წევრს დიმ. გულიასაც ენის კვლევისათვის მოცლა არ შეეძლო. მას 1927 წ. დაბეჭდილი აქვს პატარა, 40 გვერდიანი, **„მასალები აფხაზური გრამატიკისათვის“**, რომელიც პ. უსლარის აფხ. ენის გრამატიკაში შეპარული შეცდომების შესწორებას და ზოგიერთ მოვლენათა განმარტება-დამატებას შეიცავს (Д. Гулия, **Материалы по абхазской грамматике.** Дополнения и раз'яснения к книге П. К. Услара „Абхазский язык“, აყუა—სოხუმი, 1927 წ.). მასვე 1930 წ. იქვე გამოცემული აქვს **„ტერმინოლოგია მწერლობისა და ენათმეცნიერებისათვის“**, რუს.-აფხაზური და აფხ.-რუსული, რომელიც უმეტესად ახალ, ხელოვნურად ნათარგმნ და შეთხზულ ტერმინებს შეიცავს. აფხაზეთის ხსენ. აკადემიის საფასურით იყო 1926 წ. ნ. მარრის **„აფხაზურ-რუსული ლექსიკონი“**-ც ლენინგრადში დაბეჭდილი (Н. Марр. **Абхазско-русский словарь. Пособие к лекциям и в исследовательской работе.** Ленинград. 1926). სამწუხაროდ, ამ წიგნში იმდენა კორექტ. შეცდომაა შეპარული, რომ მათ შესწორებას 20 გვერდი უკავია. ამავე წიგნის მიხედვით შედგენილი „რუსულ-აფხაზური ლექსიკონი“ 1928 წ. იქვე გამოვიდა კარპ. დონდუას რედაქციით (21. Труды яфетического семинария III. „Русско-абхазский обратный словарь“ Н. Марра, с указателем к нему под редак. К. Дондуа. Ленинград. Вост. инст.).

ჩერქეზებს თავიანთი კულტურული მუშაობის ცენტრად აქვთ **„ადღეური ავტონომიური ოლქის შესწავლის საზოგადოება“** (Общество изучения Адыгейской автономной области), რომელიც ქ. **კრასნოდარშია**, აგრეთვე ადღეური, ანუ ჩერქეზული **საოლქო მუზეუმი** და **საოლქო სტატისტიკური ბიურო**. ამ დაწესებულებათა ანგარიშებითგან ირკვევა, რომ, რაკი ჩერქეზული ენის მომზადებული შემსწავლელი ადგილობრივ არ ყოფილა, ჩერქეზ. გრამატიკისა და ლექსიკონის შედგენა მოსკოველ პროფ. ნ. იაკოვლევისა-თვის მიუნდვიათ, რომლისთვისაც ქონებრივ დახმარების გარდა, თავიანთი საზოგადოების საგამომცემლო-სარედაქციო კომისიის წევრი დ. აშხამაფი-ც მიუშველებიათ. განზრახული საქმის განსახორციელებლად რამდენჯერმე ექსპედიციაც ყოფილა მოწყობილი. დასახული მიზანი, როგორც იყო, 1930 წ. მიღწეულიც არის. შემდეგ კრასნოდარში პროფ. გრენ-იც მიუწვევიათ, რომელსაც მოხსენება წაუკითხავს **„ზოგადი შეხედულება ჩერქეზული ენის შესახებ ლინგვისტიკური თვალსაზრისით“**, რომელიც, როგორც ეტყობა, აქამდის გამოქვეყნებული არ უნდა იყოს.

აღსანიშნავია ადღეურ-ჩერქეზული საოლქო სტატისტიკური ბიუროს ბულეტენში (№ 2) მოთავსებული **ჩერქეზთა ავტ. ოლქის ყველა დასახლებული ადგილების სახელები სტატისტ. ცნობებითურთ** (იხ. 1924 წ. გამ., გვ. 10—18). გამოქვეყნებულია აგრეთვე **ადღეური ავტ. ოლქის ისტორიულ-ეკონომიური მიმოხილვა** (Историко-экономический обзор Адыгейской авто-

номной области“, კრასნოდარში 1923 წ. და **„საბჭოთა ადღეე“** (Советская Адыгея, კრასნოდარი 1925 წ.), რომელშიც გ. კრიჟანოვსკის წერილიც არის მოთავსებული ადღეური დამწერლობის პროექტის შესახებ (გვ. 68—79).

ჩერქეზთა ტომის **„უბიხების ენაზე“** ა. გენკოს აქვს დაბეჭდილი წერილი (იხ. О языке убыхов, изд. Акад. Наук VII серия, Отд. Гуман. Наук, 1928 წ. № 1, გვ. 227—242).

იმისდა მიუხედავად, რომ წინათ **ყაბარდოელები** ჩრდილო-კავკასიელთა შორის კულტურულად ყველაზე უფრო დაწინაურებულნი იყვნენ, ამჟამად მათი საქმიანობა თავიანთი დედაენის შესწავლის მხრივ არა ჩანს. **ყაბარდოულ-ბალკარული ავტონომიური ოლქიც** თავის იმედს პროფ. ნ. იაკოვლევზე ამყარებდა: გრამატიკისა და ლექსიკონის შედგენაც მასვე ჰქონია დავალებული. ამ ოლქის ქონებრივი სახსრით მას რამდენჯერმე ექსპედიცია მოუწყვია, მუშაობის დროს ყაბარდოელ ასპირანტის ბეტალ ჩემაზოკოვის თანამშრომელობაც გამოუყენებია, მაგრამ ჯერ-ჯერობით, როგორც ეტყობა, არც ყაბარდოული გრამატიკა უნდა იყოს გამოქვეყნებული. მოსკოვში, 1923 წ. დაიბეჭდა მხოლოდ ნ. იაკოვლევის **„ყაბარდოული ენის ფონეტიკის ტაბულები“** და ამ **„ცხრილების მაგალითების სიტყვათა კონა“** („Таблицы фонетики кабардинского языка“. „Словарь примеров к таблицам“ მოსკოვი, 1923 წ.) და 1927 წ. **„მასალები ყაბარდოული ლექსიკონისათვის“** ნაწილი I, რომელიც **ერთმარცვლოვან ძირებსა და სიტყვებს ეხება** (Материалы для кабардинского словаря, выпуск I, Словарь односложных коренных слов и корней типа открытого слога: Центр. издат. народов СССР. მოსკოვი, 1927 წ.). თუმცა ეს წიგნი **ურიგოდ განზრახული არ არის და არაერთს ცალკეულ სწორე დაკვირვებას შეიცავს, მაგრამ არსებითად მცდარ საფუძველზეა აგებული.**

უფრო მეტი ინტენსივობით მუშაობენ **ჩაჩნები**, რომელთაც **ქ. კავკავში „ინგუშური მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი“** აქვთ, **ხოლო ქ. გროზნოში-კი ჩაჩნების კულტურული ცენტრია.** პირველს, ვითარცა უმაღლ. სასწავლებლის მქონებელს, მეტი აქვს გაკეთებული.

შინაარსიანია ინგუშური ინსტიტუტის უწყებების ჯერეთ გამოსული დიდტანიანი წიგნები (Известия Ингушского научно-исследовательского института краеведения I, Владикавказ, 1928 წ. II—III, იქვე, 1930 წ. და შემდეგი), რომლებშიც არა ერთი საგულისხმო ნაშრომია დაბეჭდილი, როგორც ზნეჩვეულებებსა და ნივთიერი კულტურის ნაშთებზე, ისევე ხალხური სიტყვიერებისა და ენის შესახებაც. საინტერესოა მაგ. ლეონიდ სემენოვის Ингушская и чеченская народная словесность, библиографический очерк (იქვე I, გვ. 232—260).

სამეცნიერო მუშაობა **„მთიელთა პედაგოგიურ ინსტიტუტ“**-თან არსებულ **„საეთნოგრაფიო, ენისა და მწერლობის სამეცნიერო საზოგადოება“**-ში და **ინგუშურ სამეცნიერო მუზეუმშიც** წარმოებს.

ენათმეცნიერება აქ პროფ. მ. ნემიროვსკის ხელშია, რომელსაც **კავკასიელთამცოდნეობის საენათმეცნიერო დარგის წარსულისა და თანამედროვე**

მდგომარეობის მოკლე, მაგრამ მარჯვე **მიმოხილვაც** აქვს დაწერილი და **საკუთარი ნაკვლევებიც** მოეპოვება. სახელდობრ:

1. **„კავკასიის ენათმეცნიერების აწმყოსა და წარსულითგან“** (Из прошлого и настоящего Кавказской лингвистики. Изв. Инг. Инст. Краев. I, გვ. 299 — 348).

2. **„კავკასიის ენათმეცნიერების თანამედროვე მდგომარეობისათვის“** — (К современному состоянию Кавказской лингвистики: Науч. общ. этногр., языка и литературы при Горск. Педаг. Инст., კავკავი 1930 წ.).

3. **„ჩრდილო-კავკასიის ენების ჩაჩნური ჯგუფის გამოკვლევის მეცნიერულად დაყენებისათვის“** (К научной постановке исследования чеченской группы северо-кавказских языков (იქვე, II—III, გვ. 448 — 465).

4. **„ჩაჩნურ-დაღესტნური ენების ზოგიერთი მოვლენები ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით“** (Некоторые явления Чеченско-Дагестанских языков в свете общей лингвистики: Горский Педаг. Инст., იქვე 1930 წ.).

5. **ხეთური ნაცვალსახელოვანი ფორმები ლ-ზე და იაფეტური ენები კავკასიისა და ხმელთაშუაზღვის სანაპიროებისა“** (Хеттские местоименные формы на l и яфетические языки Кавказа и Средиземноморья: Науч. Общ. Этногр., языка и литер. при Горск. Педаг. Инст., იქვე 1930 წ.).

პროფ. ნ ე მ ი რ ო ვ ს კ ი ს ყველა ნაწერებს **დაკვირვების უნარი** და **მეცნიერული ხიდინჯე ეტყობა**. ამ დარგის ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნა და მუდმივი თვალყურის დევნება, საღი კრიტიკული დამოკიდებულება მას მარჯვე მიმომხილველად ჰხდის, მაგრამ, როგორც მისი ერთი შენიშვნითგან ჩანს, მას ამ ს გარდა მოზრდილი საკუთარი ორიგინალური ნაშრომის გამოქვეყნებაც ჰქონია განზრახული კავკასიის ენების შესახებ.

ჩაჩანთაგან თავის დედაენის კვლევას ზ. მ ა ლ ს ა გ ა მისდევდა. საგულისხმოა ერთი მისი პატარა, შენიშვნის სახელდებით გამოქვეყნებული, წერილი **„სქესკატეგორიების ნ-წილაკების საკითხისათვის ნახჩოურ ენაში“** (К вопросу о классных элементах в нахчком языке. Заметка: Изв. Ингуш. Инст. Краев., II — III, გვ. 466 — 469). ამ პატარა ნაკვლევში ავტორი გაკვრით ეხება ფრიად მნიშვნელოვან საკითხს ჩაჩნური ზოგიერთი არსებითი სახელების ამჟამად სიტყვის განუყოფელ ნაწილად მიჩნეული თავკიდური ბგერების ნამდვილი ბუნების შესახებ, სახელდობრ, რომ ისინი სქესკატეგორიის ოდინდელი თავსართებია. ეს საკითხი, როგორც მკითხველი დარწმუნდება, ჩვენი ნაშრომის ერთ მთავარ საკითხთაგანია და ვრცლად არის განხილული. თავის ადგილას აღნიშნული გვაქვს, რომ ამ პრობლემის გამორკვევას ყველა კავკასიის ენებისათვის, ოდინდელი აგებულების გათვალისწინების მიზნით, ძირითადი მნიშვნელობა აქვს. მ ა ლ ს ა გ ა ჩაჩნური ენის რამდენიმე სიტყვის ეტიმოლოგიით კმაყოფილდება და ამ ენის ფარგლებს არ სცილდება, მაგრამ ეს პატარა შენიშვნა ავტორის დაკვირვების უნარს ამჟღავნებს. საგულისხმოა ამავე წერილში გამოთქმული მისივე მოსაზრება, რომ ზოგიერთი ჩაჩნური ზმნების თავკიდური ლ ბგერაც ამავე თვისებისა უნდა იყოს, იმისდა მიუხედავად, რომ ჩაჩნურს სქესკატეგორიის ასეთი თავსართი არ გააჩნია. სამაგიეროდ თავისი აზრის სიმართლის-

დასამტკიცებლად მას დაღისტნის ენათაგან ანდი-დიდოური ჯგუფის დიალექტები აქვს დამოწმებული, რომელთაც სქესკატეგორიის ნიშნად ლ ბგერა მოეპოვებათ.

საგულისხმოა აგრეთვე ხ. ჲ ა ნ დ ა რ ო ვ ი ს პატარა ნაკვლევი „**რ ინფიქსზე ვეჲნახურ (ჩაჩნურ-ინგუშურ) ენაში**". (Х. Яндаров „Об инфиксе «r» в вейнахском языке": Изв. Инг. Инст. Краев. II, 470—472), რომელშიც ის ამტკიცებს, რომ რ წინათ ბოლოსართი იყო და ადგილმონაცვლეობით არის ინფიქსად ქცეული, და ამავე ავტორისა, ა. მ ა ც ი ე ვ ი ს ა და ა. ა ვ ო რ ხ ა ნ ო ვ ი ს 1933 წ. დაბეჭდილი „ნოხჩიჲნ მეტტინ გრამატტიკ", რომელიც ჩაჩნურად დაწერილი და გროზნოში გამოქვეყნებული ჩაჩნური ენის გრამატიკაა.

დასასრულ, უნდა ჩაჩნური ენის გამოცემული ლექსიკონებიც დავასახელოთ. იმავე მ ა ლ ს ა გ ა-ს შედგენილი აქვს **რუსულ-ღალღაური** (ინგუშური) ლექსიკონი, რომელიც 1929 წ. დაიბეჭდა კავკავში (Malsaga n. I. Ersiji Ghalghaji Dešaj Lughat, Русско-ингушский словарь) და მ. გ. უ ჟ ა კ-ს, პირიქით, **ღალღაურ-რუსული სიტყვათა კონა** აქვს 1927 წ. იქვე გამოცემული (M. G. Užax Ghalgh-Ghazaeqi Lughat, Ингушско-русский словарик М. Г. У ж а х о в а).

არსებობს **ჩაჩნურ-რუსული ლექსიკონი**-ც, რომელიც ა. გ. მ ა ც ი ე ვ ი ს შედგენილია და 1927 წ. ქ. გროზნოში დაიბეჭდა (A. G. Maciev, Noxčin-Ŏrsin Dešnin Zajna. Чеченско-русский словарь).

დაღისტანში 8 ენოვანი ერთეულის არსებობის გამო, რომელთაგან ყველაზე მრავალრიცხოვანნი, ღუნძები და ანდიელნი, ორთავე სქესის 260000 სულზე მეტს არ შეადგენენ, სხვები-კი ამაზე გაცილებით უფრო მცირედნი არიან (დარგოელნი 180000-მდე, კურ-ლეკები 140000-მდე, ლუმუქ-ლეკები 60000-მდე, დანარჩენნი-კი წვრილ-წვრილ ერთეულებად არიან დანაწილებულნი), რევოლუციისა და დაღისტნის ს. რესპუბლიკის შექმნის შემდგომაც ეროვნული კულტურის აღორძინება გაძნელებულია: არც ერთი ამ მოძმე ლეგურ ენათაგანი არც იმდენად დიდ ფართობზეა გავრცელებული და არც იმდენად არის დანარჩენთა შორის სასაუბროდ მიღებული, რომ ამ რესპუბლიკის თუმცა მოძმე, მაგრამ მრავალფეროვანი მოსახლეობისათვის საერთო ენა იყოს, ანდა სახელმწიფო ენად იქცეს.

რევოლუციამდე ოფიციალურ ენად იქ რუსული იყო, ადგილობრივ მკვიდრთათვის-კი საერთო ენად არაბულსა ჰხმარობდენ. რევოლუციის შემდგომ სახელმწიფო ენად რუსული და თურქული ენებია მიღებული, მაგრამ თვითოეულ ტომს თავისი სატომო დედაენის ხმარებაც შეუძლიან. საერთო დედაენის უქონლობა, რა თქმა უნდა, ადგილობრივი ეროვნული მწერლობისა და კულტურის შექმნასაც აფერხებს: ინტელიგენტთა სიმცირე და ენების სიმრავლე გაეროვნულების საერთო საფუძვლის მოძებნას აძნელებს. ამით აიხსნება, რომ, თუმცა დაღისტანში ადგილობრივ ენაზე რამდენიმე გაზეთი გამოდის, მაგ.: „**მთიელი**" (ღუნძურად), „**დარგოელი**" (დარგოულად), „**შახმატჩი**" (ე. ი. მშრომელი, ლუმუქ-ლეკურად) და „**ახალი ქვეყანა**" (კურ-ლეკურად), მაგრამ განათლების ხელ-

მძლევანელი ორგანო **„მაგარიფ-ჟელგ“** (განათლების გზა) თურქულად იბეჭდება, იმ ენაზე, რომელიც დაღისტნელებისათვის უცხოა.

ამავე მიზეზით უნდა აიხსნებოდეს, რომ ქ. **მახაჩ-ყალა**-ში (ყ. პეტროვსკში) საკმაოდ კარგი **„დაღისტნის მუზეუმისა“**, **საჯარო წიგნთსაცავისა** და **„დაღისტნის კულტურის ინსტიტუტის“** არსებობისდა მიუხედავად, დაღისტნის ენების მეცნიერული ადგილობრივი შესწავლის არავითარი კვალი არა ჩანს. პრაქტიკული ლექსიკონების გამომცემლობის შესახებაც-კი ცნობები არ მოიპოვება.

საკუთარი, ჯეროვანად მომზადებული ძალის უქონლობის გამო, დაღისტანშიც სხვაგნებურ მეცნიერთა მუშაობაზე უხდებათ იმედის დამყარება და ამ მხრივ ზოგი რამე მართლაც გაკეთდა. უპირველესად უნდა მოსკოველი პროფ. ლ. ჟ ი რ კ ო ვ ი იქმნეს დასახელებული, რომელსაც ორი გრამატიკა აქვს გამოქვეყნებული: 1924 წ. მოსკოვში გამოცემული **„ავარული** (ღუნძური) **ენის გრამატიკა“** (Л. Жирков, Грамматика аварского языка: Труды подразряда исследования северно-кавказских языков при Институте Востоковедения в Москве, вып. 3) და 1926 წ. იქვე დაბეჭდილი **„დარგოული ენის გრამატიკა“** (Грамматика даргинского языка: Центр. издат. народов СССР, მოსკოვს). ორივე ნაშრომი უ ს ლ ა რ ი ს თხზულებებზეა დამყარებული, მაგრამ ამ ენების აგებულება უფრო მარტივად და სწორედ არის განმარტებული.

პროფ. ჟ ი რ კ ო ვ ს დაბეჭდილი აქვს მიმოხილვა **„დაღისტნის ენები და მათი შესწავლა“**, რომელიც 1926 წ. იყო ბაქოში დაბეჭდილი (Языки Дагестана и их изучение. Изв. Общ. Обследования и Изучения Азербайджана № 1, გვ. 41 — 48). იგი მეტად მოკლეა, ახალსაც თითქმის არაფერს შეიცავს.

სამაგიეროდ ახალი მასალებია ჟ ი რ კ ო ვ ი ს 1930 წ. მოსკოვში გამოქვეყნებულ ნაშრომში **„დაბა ყუბაჩის ენა“** (Язык аула Кубачи: Учен. Зап. Инст. Этнич. и Национ. Культур Народов Востока, Ранион, т. 1, 255—281), რომელშიც მოკლე გრამ. აღნუსხვა, ენის ნიმუშები და ცნობებია გეოგრაფიულისა და ტომობრივი სახელების შესახებ.

პროფ. ლ. ჟ ი რ კ ო ვ ს 1930 წ. გამოქვეყნებული აქვს აგრეთვე ზოგადი ხასიათის პატარა ნაკვლევი **„დაღისტნის იაფეტური ენების ზმნის აგებულებაზე“** (О строе глагола в яфетических языках Дагестана: Доклады Акад. Наук. 1930 წ., № 5, გვ. 79 — 84), რომელშიც დაღისტ. ენების ზმნის ფორმანტებია განხილული.

ა. გ ე ნ კ ო-მ 1929 წ. გამოაქვეყნა კვრულ-ლეკური ენის, წინათ ცნობილს კვრულსა და ახტურს დიალექტებს გარდა, მისგან აღმოჩენილი **მესამე ყუბური დიალექტის** შესახები მასალები: **„ლეკური დიალექტოლოგიის მასალები. ყუბური კილოკავი“** (Материалы по лезгинской диалектологии. Кубинское наречие: Изв. Акад. Наук СССР, VII серия. Отд. Гуман. Наук, 1929 წ. № 4, გვ. 317 — 342).

დასასრულ, რ. შ ო რ-ს დაბეჭდილი აქვს ორი ნაკვლევი: **იაფეტური ენების თანხმოვნობის შესახებ.** ერთი ჩრდილო-კავკასიის ენებს ეხება, მეორე — სამხრეთ კავკასიისას („К вопросу о консонантизме яфетических языков

Сев. Кавказа“: Культура и письменность Кавказа № 5. — „К вопросу о консонантизме яфетических языков южного Кавказа“: Учен. Зап. Инст. Этнич. и Национ. Культур Народов Востока, Москва, 1930 წ. т. I, 174—198. Ранион).

1927 წ. ი. ზარუბინმა **ჰინდუყუშის სანახებში მობინადრე ტომის კანჯუტური ენის ვერშიკული კილოკავის** შესახებ მონოგრაფია გამოაქვეყნა, რომელშიც ამ ტომის გეოგრ. მდებარეობისა და ენის გრამატიკულ დახასიათებას გარდა, პატარა ტექსტები და ლექსიკონიც არის დართული (იხ. Записки Коллегии Востоковедов II, вып. 2, გვ. 275 364, ლენინგრადი). აკად. ნ. მარრის **ლვაწლია, რომ ამ ენის ნამდვილი ბუნება და ჩრდ. კავკასიის ენებთან მახლობელი ნათესაობა აღნიშნა.** ასეთ დაშორებულ ადგილას კავკასიის ენების მონათესავე ერთეულის აღმოჩენა უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი ამოცანის გამორკვევას ავალებს მეცნიერებას, ეს ტომი ძველი მოსახლეობის ნაშთია, თუ შემთხვევით შეხიზნულის, სახელდობრ, რომელისა და სადაურის. მაგრამ ამის გადასაწყვეტად ჯერ კიდევ ბევრი ახალი ცნობების შეკრებაა საჭირო.

მსოფლიო ომის შემდგომ ქართულისა და კავკასიური ენებისადმი მეცნიერული ინტერესი საზღვარგარეთაც საგრძნობლად გაძლიერდა, ამ ენების მცოდნე პირთა და შემსწავლელ მეცნიერთა რიცხვმაც დას. ევროპაში თვალსაჩინოდ იმატა. წინათ თუ მთელ დას. ევროპაში ქართულის მცოდნე მეცნიერი მხოლოდ ორი იყო, ცნობილი ენათმეცნიერი პროფ. ჰუგო შუხარდტი (გრაც-ში) და გამოჩენილი ბოლანდისტი და ჰაგიოლოგოსი პოლ პეეტერსი (ბრჯსელ-ში), ომის შემდგომ 7 მიემატა: **გერმანიაში** ორი მკვლევარი, **ავსტრიაში** ერთი, **საფრანგეთში** ორი და **ამერიკაშიც** ერთი. თვით **ნორვეგიაშიც** არის ამ ჟამად ქართულის კარგი მცოდნე მეცნიერი.

ბერლინში მოღვაწეობს პროფ. რიჰარდ მეკელაინ-ი Richard Meckelein, რომელმაც 1928 წ. ბერლინში 656 გვერდიანი **„ქართულ-გერმანული სიტყვარი** Georgisch—Deutsches Wörterbuch“ გამოსცა. ამ წიგნს მიზნად წმინდა პრაქტიკული დანიშნულება აქვს მიკუთვნებული.

ვენაში რობერტ ბლაიხშტაინერ-ია Robert Bleichsteiner, რომელიც ქართულის მცოდნე და ჩვენს სამეცნიერო დარგებში მომუშავე მკვლევარია. 1918 წ. მან გამოაქვეყნა თავისი **„კავკასიის ხალხებისა და ენების მიმოხილვა“** (Überblick über Kaukasische Völker und Sprachen: Berichte des Forschungs-Institutes für Osten und Orient, II, B., გვ. 66 - 85, Wien).

1930 წ. რომში ფრანც ცორელლ-მა გამოაქვეყნა „დაბადების ძველი ქართული თარგმანის გრამატიკა“ პატარა ტექსტების ნიმუშებითა და ლექსიკონითურთ (Franz Zorell S. I. Grammatik zur altgeorgischen Bibelübersetzung mit Textproben und Wörter-verzeichniss. Roma: Scriptura Pontifici Instituti Biblici). წიგნის ავტორი დაკვირვებული მკვლევარი ჩანს და იმისდა მიუხედავად, რომ მას ზოგიერთი წყაროები გამოჰპარვია, ევროპელთათვის დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიან.

პროფ. Gerhard Deeters გერჰარდ დეეტერს-ს ლაიფციგში 1927 წ. გამოქვეყნებული აქვს გამოკვლევა **„სომხური და სამხრეთ-კავკასიური**

(Armenisch und Süd-Kaukasisch, ein Beitrag zur Frage der Sprachmischung: Caucasica. Fasc. 3 და 4), რომელშიც სომხურისა და ქართულ-ქართველური, როგორც ბგერითი შესატყვისობანია განხილული, ისევე მორფოლოგიური და სინტაქსური საკითხებიც არის გაშუქებული.

ამავე ავტორის მეორე დიდი ნაშრომი ქართულისა და ქართველური ზმნის მონოგრაფიულ გამოკვლევას წარმოადგენს (Das Kharthwelische Verbum, vergleichende Darstellung des verbalbaus der Süd-Kaukasischen Sprachen, Leipzig 1930)[1].

ორივე თხზულება დეეტერსის საფუძვლიან ცოდნასა და დაკვირვების უნარს ამჟღავნებს, თანაც დინჯი გამოკვლევები გახლავთ.

ფრანგ ენათმეცნიერს René Lafon რენე ლაფონ-ს გამოქვეყნებული აქვს ერთი გამოკვლევა ქართულის შესახებ, რომელსაც ეწოდება „1 და 2 პირის ნაცვალსახელების შესახებ ქართველურ ენებში" (Sur les pronoms personnels de 1 et 2 personnes dans les langues Kartvèles: Bullet. de la soc. de ling. de Paris, 1930 წ., XXX, Fasc. 2, § 90, გვ. 153—169).

ამავე ავტორის მეორე გამოკვლევა-კი შედარებითი ხასიათისაა და სათაურად ეწოდება: **„ზოგიერთი მსგავსება ჩრდილო-კავკასიის ენებსა და ქართველურ ენებს შორის"** (Quelques raprochements entre les langues caucasiques septentrionales et les langues Kartvèles: იმავე ორგანოს XXIX, Fasc. 3, №87, გვ. 138 — 152).

1931 წ. პარიზში ნ. მარრისა და მისი მოწაფის მ. ბრიერ-ის ნაშრომი გამოქვეყნდა, რომელსაც **„ქართული ენა"** ეწოდება (N. Marr et M. Brière. La langue géorgienne, Librairie de Paris Firmin—Didot et C ie) და ქართულ გრამატიკას, ქრესტომათიასა და ლექსიკონს შეიცავს. გრამატიკა ნ. მარრის რუსულად გამოქვეყნებული ძვ. ქართული გრამატიკის ფრანგ. გარდანაკეთებს წარმოადგენს, ქრესტომათია-კი იოს. ყიფშიძის ქრესტომათიის გამეორებაა. ნორვეგელ ენათმეცნიერს თავის რეცენზიაში სამართლიანად აქვს აღნიშნული, რომ ეს ნაშრომი 15 წლით არის თანამედროვე ქართ. სამეც. მწერლობას ჩამორჩენილი, ამის გამო მოძველებულია და არაერთ მცდარსა და სათუო დებულებას შეიცავს, ამიტომ მისი გამოყენება მხოლოდ სიფრთხილით შეიძლება. სამაგიეროდ ქრესტომათია და ლექსიკონი დასავ. ევროპელ შემსწავლელთ დიდ სამსახურს გაუწევს (იხ. Hans Vogt-ის რეცენზია: Bull. crit. CCXXIII, გვ. 142—145).

1935 წ. ნორვეგიის დედაქალაქს ოსლოში გამოვიდა ერნსტ. უ. ზელმერ-ის ექსპერიმენტული გამოკვლევა ქართული მახვილისა და ბგერების შესახებ, რომელსაც ჰანს ფოქტ-ის ბოლოსიტყვაობა აქვს დართული (Ernst W. Selmer. Georgische Experimentalstudien: Det Fonetiske Institutt opuscula phonetica, Fasc. № XI, Oslo). ფრიად საგულისხმო გამოკვლევაა, მაგრამ რომელსაც გაგრძელება, გაღრმავება და გამრავალმხრივება სჭირდება.

[1] იხ. ამ ნაშრომის საფუძვლიანი რეცენზია Hans Vogt-ის მიერ დაწერილი Indogermanische Forschungen, B. III, გვ. 245—250.

ჩრ. კავკასიური ენებისადმი დამოკიდებულებაც შეიცვალა და ეხლა უკვე არაერთი მკვლევარია, რომელიც მათი აგებულების გამოცნობით არის დაინტერესებული, აკვირდებიან ბგერების თავისებურებასაცა და მორფოლოგიურ თვისებებსაც, ცდილობენ მათ გამოყენებას არა-ასირიული ლურსმული წარწერების ენის განსამარტავადაც.

ჩრდილო კავკასიის ენებზე მომუშავეთა შორის აღსანიშნავია პროფ. ნ. ტრუბეცკოის გამოკვლევები, რომელიც დასაწყისში ფონეტიკური საკითხებით იყო უმთავრესად დაინტერესებული. ამ დარგში მას გამოქვეყნებული აქვს:

1. **„ჩრდილო-კავკასიის ენების ლატერალური თანხმოვნები“** „Les consonnes latérales des langues caucasiques septentrionales“ (Bulletin de la Société de Linguistique de Paris, XXIII, № 70, 1922 წ., გვ. 184—204).

2. **„ნაკვლევები ჩრდილო-კავკასიის ენების შედარებითი ფონეტიკის სფეროში. I. ავარულ-ანდიური ენების «მოკლე» და «მარჩბი», გემინანტი თანხმოვნები** (Studien auf dem Gebiete der vergleichenden Lautlehre der Nordkaukasischen Sprachen. I. Die „kurzen“ und „geminierten“ Konsonanten der Awaro-andischen Spachen (Caucasica, Fasc. III, 1926 წ., გვ. 7—36, Leipzig).

მისვე კალამს ეკუთვნის 1924 წ. გამოსულ ფრანგულ კრებულში „Les langues du Monde“ (მსოფლიოს ენები) ჩრდილო-კავკასიის ენების შესახები ზოგადი ხასიათის წერილიც **„ჩრდილო-კავკასიური ენები“** („Les langues Caucasiques Septentrionales“).

ტრუბეცკოის 1929 წ. გამოქვეყნებული გამოკვლევა უკვე მორფოლოგიურ საკითხს ეხება: **„შენიშვნები ჩაჩნურ-ლეკური ენების ზმნის დაბოლოებათა შესახებ“** (Notes sur les desinences du verbe dans les langues tschetschenoesghiennes: Bulletin de la Société de Ling. de Paris, t. XXIX, fasc. 3, 1929 წ. № 88, გვ. 154—171). ამავე მეცნიერს შედარებითი ხასიათის გამოკვლევაც მოეპოვება **„ჩრდილო-კავკასიურ სიტყვათა შედარებანი“** (Nordkaukasische Wortgleichungen), რომელიც ვენის აღმოსავლეთის-მცოდნეობის ორგანოში იყო გამოქვეყნებული (Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes XXXVII, 1/2 Heft, გვ. 76—92). ამ ნაშრომში ნაწილაკები, კავშირები, ნაცვალსახელოვანი და სქეს-კატეგორიების ნიშნები, რიცხვითი, ზედსართავი და არსებითი სახელები და ზმნები აქვს შედარებული ამ ენების ნათესაობის საკითხის გამოსარკვევად. პროფ. ტრუბეცკოის ყველა ნაშრომში დინჯი მკვლევარი მოჩანს.

G. Duméz el-მა 1932 წ. პარიზში თავისი ორი საყურადღებო ნაშრომი გამოაქვეყნა, რომელთაგან ერთში უბიხთა ენაა მონოგრაფიულად შესწავლილი და ეწოდება La langue des Ubykhs, მეორე-კი შედარებითს გამოკვლევას წარმოადგენს. იგი კავკასიური ენების ჩრდილო-დასავლური ენების შედარებითს გრამატიკას შეიცავს და ჰქვიან Études comparatives sur les langues caucasiennes du Nord-ouest, Morphologie.

1928 წ. მოყოლებული კავკასიის-მცოდნეობის დარგის მკვლევართა ჯგუფს პროფ. იოსებ კარსტ-იც ემატება. მანამდე ის ჯერ სომხურ ენათმეცნიერე-

ბაში, შემდეგ სომხ. სამართლის ისტორიაში მუშაობდა. ავტორის სიტყვით, ამ მიმართულებითაც მას კარგა ხანია კვლევა-ძიება უწარმოებია და მასალა უგროვებია, რომლის შედეგის გამოქვეყნებას ის მხოლოდ 1928 წელს შეუდგა, მაგრამ სამაგიეროდ ამ ერთს წელიწადში მან ორი წიგნის დაბეჭდვა მოახერხა: ვენაში ფრანგულად „Alarodiens et Proto—Basques“ და ლაიფციგში გერმანულად „Grundsteine zu einer Mittelländisch — Asianischen Urgeschichts“. ორი წლის შემდგომაც, 1930 წ., ასევე მისი წყვილი წიგნი გამოვიდა: სტრასბურგში „Les Ligures (Prolegomena Pelasgica), ხოლო ჰაიდელბერგში „Armeno-Pelasgica“. 1931 წ. კარსტ-მა გამოაქვეყნა: „Origines Mediterraneae“, 1932 წ.-კი „Grundzüge einer vergleichenden Grammatik des Ibero-Kaukasischen“ **„იბერულ-კავკასიურის შედარებითი გრამატიკის ძირითადი მონახაზი“**. ჩვენი მიზნისთვის უკანასკნელი ნაშრომია უმთავრესად საყურადღებო და ამიტომაც აქ მხოლოდ მას უნდა შევეხოთ. ფონეტიკურ შესატყვისობათა მოკლე მიმოხილვის შემდგომ, კანკლედობა, უღვლილება, სახელზმნა, კაუზატივი და რიცხვითი სახელებია განხილული, ბოლოში მოკლედ ნაცვალსახელებსა და გრამ. სქესზეც აქვს საუბარი.

იბერულად კარსტს ესპანიის იბერებისა და ბასკების ენები აქვს ერთი მხრით ნაგულისხმევი, კავკასიურად-კი ქართულ-ქართველური და ჩრდილო-კავკასიის ენები. უკვე ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ ყველა ამ კავკასიური ენების ნათესაობას კარსტი უცილობელ ჭეშმარიტებად სთვლის, ნამდვილად-კი ამას ჯერ კიდევ საფუძვლიანი განხილვა და დამტკიცება სჭირდება. შედარებისათვის სხვადასხვა ენებითგან ცალკეული სიტყვებია აღებული მათი წარმოშობილობის გაუთვალისწინებლივ. მხოლოდ ძველი და თანამედროვე ქართულის ცხადი უცოდინარობის ნაყოფი უნდა იყოს ის გარემოება, რომ ძველად სხვადასხვა წარმოშობილობის, მაგრამ დროთა განმავლობაში დამსგავსებული სიტყვები კარსტს მონათესავე სიტყვებად მოსჩვენებია. რა თქმა უნდა, რომ ასეთი ცოდნით აღჭურვილს მკვლევარს შეცდომები მრავლად უნდა ჰქონდეს და ასეთ პირობებში ყოველი შედარების ღირებულებაც სათუო ხდება. ამიტომაც არის, რომ იქ, სადაც კარსტი სომხურის ცოდნას ემყარება, მისი ზოგიერთი პარალელი და შედარება საინტერესო და ზოგჯერ საყურადღებოც არის, მაგრამ როდესაც ის ქართულსა და ქართველურზე გადადის, აქ მრავლად არის მცდარი მაგალითები დაგროვილი. კარსტს თავისი ნაშრომი შედარებითი გრამატიკის წინამორბედ ნამუშავრად აქვს დასახელებული (გვ. XIX), მაგრამ არა მგონია ამისთვისაც გამოსადეგი იყოს. სომეხთამცოდნეობაში მისი ნიჭითა და საფუძვლიანი ცოდნით გამოქვეყნებული ნაშრომების შემდგომ, მისი უკანასკნელი დროის ნაშრომების გადაკითხვა სწორედ რომ უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს.

ქართველური და კავკასიური ენების შესახებმა ზემომოყვანილმა მიმოხილვამ დაგვანახა, რომ ენოვანი მასალებიც საკმაოდ ბევრია დაგროვილი და მკვლევართა რიცხვიც თანდათანობით მატულობს, არა ერთი კარგი ნაშრომიც უკვე მოგვეპოება.

მეტადრე სასიხარულოა, რომ უკანასკნელ წლებში, ჩვენმა ენათმეცნიერებმაც მიჰყვეს კავკასიური ენების გაღრმავებულს კვლევა-ძიებას ხელი, წინათ შეკრებილი მასალის ბგერითი და ლექსიკური მხრით მკაცრი შემოწმებით, ახალი უფრო ვრცელი მასალის შეგროვებითა და მთელი ამ შენაძენის მონოგრაფიული, გულდასმითი შესწავლითურთ. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი სრულებით სანდო უხვი ენოვანი მასალის შეკრებაც და მტკიცე შედეგის მოპოვებაც. მომავალში, ასეთ მონოგრაფიულ კვლევა-ძიებაზე დაყრდნობით, ფართო, ზოგადი და შედარებითი საკითხების განხილვაც გაადვილდება, ამჟამად-კი ეს ასპარეზი, მეტადრე ამ ენათა ნათესაობის ამოცანა, უაღრესად რთულსა და სახიფათო ამოცანას წარმოადგენს.

ენათა ნათესაობის საკითხი შესაძლებელია მხოლოდ აგებულებისა და ლექსიკური საგანძურის ძირთა ერთდაიგივეობის მიხედვით იქმნეს გადაწყვეტილი. არც ერთ ამ თვალსაზრისითგან-კი ეს ენები აქამომდე არავის შეუსწავლია. ა დ ო ლ ფ დ ი რ რ ი ს უკანასკნელ ნაშრომებსაც-კი, როგორც თვით მასაც ხაზგასმით აქვს აღნიშნული, მიზნად ჰქონდა მხოლოდ მანამდე გამოქვეყნებული მასალებისთვის მოეყარა თავი და ყველასთვის მისაწვდომი გაეხადა. არავითარი ფართო შედარებითი პერსპექტივის გადაშლა მას არ ჰსურდა. ამგვარად, საკითხი ქართული და ე. წ. კავკასიური ენების ნათესაობის შესახებ წინანდებურად ისევ ისევე გამოურკვეველია.

ამისდა მიუხედავად, ამ „სამუშაო ჰიპოთეზითა", თუ ლიტონი რწმენით ყველა სარგებლობს ისე, რომ ხშირად ურყევ დებულებადაც-კი არის ხოლმე მიჩნეული. მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ გრამ. სქეს-კატეგორიები ქართულს არ გააჩნია, ენათა ჩრდილო-დასავ. ჯგუფითგანაც ჩერქეზულსა და ყაბარდოულსაც არა აქვს, აბხაზურსაც მხოლოდ ნაწილობრივ მოეპოვება, რომ დაღისტნის ენებითგან თაბასარანულს, აღულურსა და კურულ-ლეკურს, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლურის ერთად-ერთ გადარჩენილს უდიურსაც არ გააჩნია, რომ ქართულსა და კავკასიურ ენებში ნაცვალსახელები და რიცხვითი სახელები ერთმანერთისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდება, რომ ქართულსა და ჩრდილო-დასავ. ენათა ჯგუფს, თუმცა სხვა ნაცვალსახელოვანი თავსართებიანი, მაგრამ მაინც ზმნის ორგანული წარმოება აქვს, ჩაჩნურ-დაღისტნის ენებს-კი არაფერი ამის მსგავსი არ მოეპოვებათ, რომ ყველა ამ ენათა ლექსიკის ძირების იგივეობის, გინდ ნათესაობის გამორკვევა აქამდის არავის არც-კი უცდია (ტ რ უ ბ ე ც კ ო ჲ მ მხოლოდ ჩრდ. კავკასიის ენების ნათესაობის გამორკვევა სცადა), მაშინ ცხადი გახდება, რომ **ე. წ. კავკასიური ენების კვლევის თანამედროვე საფეხურზე ამ ენათა იგივეობის აზრი სამუშაო ჰიპოთეზის სახითაც არ შეიძლება წამოყენებულ იქმნეს.**

შესაძლებელია ამაზე მეტიც ითქვას: არც ერთ მეცნიერს, რომელსაც-კი მეცნიერების წინაშე თავისი თავის პასუხისმგებლობა ესმის, უფლება არა აქვს სთქვას, რომ კავკასიური ენების ნათესაობის ჰიპოთეზისათვის ჯერ-ჯერობით ოდნავად მაინც დამაჯერებელი არამც თუ საფუძველი, არამედ დებულებაც-კი არსებობდეს. ამიტომ ეს აზრი უფრო რწმენას მიაგავს, ვიდრე სამეცნიერო, თუნდაც სამუშაო, ჰიპოთეზს.

კარი მეორე

დასახული მიზანი და მეთოდოლოგია

თავი პირველი

ამ გამოკვლევისათვის დასახული მიზანი და საზღვრები.

წინამდებარე წიგნის მიზანს სწორედ ქართულისა და ე. წ. კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნებისა და მონათესაეობის საკითხის გამორკვევა შეადგენს. რაკი ენის ბუნება მის აგებულებაში მოჩანს, ამიტომ უნდა გავიგოთ, წინათ და თავდაპირველადაც ამ ენებს ისეთივე აგებულება ჰქონდათ, როგორიც ეხლა აქვთ, თუ მათი ბუნება საუკუნეთა განმაველობაში შეცვლილა? იმ შემთხვევაში, თუ გამოირკვა, რომ ამ ენათა აგებულება შეცვლილა, რა თვისებისაა ეს ცვლილება, რამდენად არსებითია ეს პროცესი და რა გარემოებას და მიზეზებს უნდა გამოეწვია ამ ენების ბუნების შეცვლა. დასასრულ, ამ ენების მორფოლოგიის ასეთი შეცვლილობა დაახლოვებით როდის შეიძლება რომ მომხდარიყო.

თავისდათავად ცხადია, რომ ამ ენათა აგებულების პრობლემის შესწავლამ საშუალება უნდა მოგვცეს ძირითადი საკითხი გადავწყვიტოთ: უფლება გვაქვს, თუ არა, ქართულისა და ე. წ. კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნების გამორკვევის შემდგომ, დავასკვნათ, რომ ეს ენები იმთავითვე მონათესავენი ყოფილან, რომ მათი საერთო წარმოშობილობის უტყუარი და უცილობელი საბუთი არსებობს? თუ კავკასიური ენებისა და ქართულის თავდაპირველი ნათესაობა უეჭველი ჭეშმარიტება აღმოჩნდა, მოეძებნებათ ამ ენებს კიდევ მონათესავენი, თუ არა, და, თუ თვისტომნი ჰყოლიათ, ვინ და სად სახელდობრ?

ცნობილია, რომ ენათა მონათესაეობა მარტო აგებულების იგივეობისა და მსგავსებით კი არა მტკიცდება, არამედ სიტყვათა საუნჯის ძირთა იგივეობითაც. რა თქმა უნდა, ყოველი ენის ლექსიკური საგანძური მის ბუნებაზე გაცილებით უფრო ცვალებადია: ცალკეულ სიტყვებს მეზობელთაგან, ანდა პოლიტიკურად, თუ კულტურულად გაბატონებული არამონათესავე და უცხო შთამომაველობის ამა-თუ იმ ერისაგან ყველა ერები ითვისებენ ხოლმე. ამიტომაც არის, რომ დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება არც ერთი ხალხი, რომლის ლექსიკაშიც უცხო სიტყვები ცოტად თუ ბევრად შესული და შეთვისებული არ იყოს. ეს გარემოება მონათესავე ენების სიტყვათა საგანძურს ხშირად ერთმანეთისაგან საგრძნობლად ასხვავებს და აშორებს ხოლმე, მაგრამ შეუძლებელია, რომ მონათესავე ენებს სიტყვათა საუნჯეშიც საერთო ძირების გარკვეული მარაგი არ გააჩნდეთ. ამიტომაც ქართულისა და ე. წ. კავკასიური

ენების მორფოლოგიის ნათესაობის საკითხის გამორკვევის შემდგომ, მათი ლექსიკის მონათესავეობის თვისება და ოდენობაც უნდა იყოს განხილულ-გაშუქებული.

მარტო ის გარემოებაც, რომ ამ წიგნში 35-ზე მეტი ენოვანი ერთეულის მორფოლოგიური და ლექსიკური ნათესაობის საკითხია გამოსარკვევი, ადვილად მიახვედრებს ადამიანს, რომ ამ გამოკვლევას უეჭველად განსაზღვრული არე უნდა ჰქონდეს შემოფარგლული. ყველა საკითხებზე საუბარი შეუძლებელია. ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ წიგნში, რომელიც ამ პრობლემის გადაჭრის პირველ ცდას წარმოადგენს, ქართულისა და ე. წ. კავკასიური ენების აგებულებისა და ლექსიკის მხოლოდ უუმთავრეს საკითხებზე იყოს მსჯელობა. სხვანაირად ამ დიდი პრობლემისა და ენოვანი მასალის დაძლევა სრულებით შეუძლებელი იქმნებოდა.

ზემოაღნიშნულისდა მიხედვით, ჩვენი გამოკვლევის ამ წიგნში მორფოლოგიითგან მხოლოდ გრამატიკული სქეს-კატეგორიებისა, რიცხვითი სახელებისა, ნაცვალსახელებისა და ზმნის აგებულების ზოგად პრინციპზე გვექმნება საუბარი. ხოლო სიტყვათა საგანძურითგან მეტყველების მარტო იმ სფეროების ლექსიკის ძიროვანი ნათესაობის საკითხი იქმნება გაშუქებული, რომელნიც, ქვემომოყვანილი მეთოდოლოგიური წესებისდა თანახმად, უუძველესი ხანის შემოქმედების ნაყოფად უნდა იქმნენ მიჩნეულნი.

აკად. ნ. მ ა რ რ ი ს მოღვაწეობის განხილვის დროს აღნიშნული მქონდა ის სამი გზა, რომელიც კავკასიის ენების შესასწავლად ახლად ჩამბმელისათვის არსებობს (იხ. აქვე, გვ. 63). როდესაც ამ დარგში მუშაობა ჩემთვისაც აუცილებლად მივიჩნიე, მეც უნდა ერთ-ერთი ამ გზათაგანი ამერჩია. ვითარცა უპირველესად ისტორიკოსს, არ შემეძლო არც აქამდე დაგროვილი მასალის ადგილობრივ შემოწმება და შესწორება, არც მით უმეტეს ჯერეთ შეუსწავლელი ენების კვლევა-ძიება დამესახა მიზნად. ამიტომ მხოლოდ ერთი გზა-ღა მრჩებოდა: ქართულ-ქართველური და ე. წ. კავკასიური ენების შესახებ გამოქვეყნებული მთელი ლინგვისტიკური მწერლობა შემესწავლა, გამომერკვია მისი ავკარგიანობა, მიმდინარეობის ტენდენცია, არჩეული გზის სისწორე, თუ მცდარობა, დაგროვილი ენოვანი მასალისა და მონოგრაფიების კრიტიკული შეფასების შემდეგ, საკითხების მონოგრაფიული და მერმე შედარებითი შესწავლის გზით, ქართულ-ქართველური და კავკასიური ენების აგებულების ძირითადი თვისებებისა და ნათესაობის გამორკვევა მეცადნა.

ამიერ-კავკასიის ენები სამ მთავარ ენოვან ჯგუფად შესაძლებელია გაიყოს. არც ერთს მათგანს ცხადი ნათესაობისდა მიუხედავად ზოგადი სახელი არ გააჩნია, ასეთი ზოგადი სახელები აუცილებლად საჭიროა-კი-ია, ჩვენც შემდეგში ხშირად დაგვჭირდება. ამიტომ ზოგადი სახელები უნდა უეჭველად შემოვიღოთ. ხელოვნურად შეთხზული სახელების მაგიერ, ძველად არსებული სახელების განახლება სჯობია.

კავკასიურ ენათა ერთს ჯგუფს ჩრდილო-დასავლური ენები: აფხაზური, უბიხური, ადიღეური, ანუ ჩერქეზული და ყაბარდოული ენები შეადგენენ. ბერძენთა გეოგრაფები და ისტორიკოსების, როგორც ამ ჩემი ნაშრომის I წიგნში

მაქვს აღნიშნული, ჩრდილო-დასავლური ტომების ზოგად სახელად **სინდებს** ხმარობდენ და მეც ამ ჩემს ნაშრომში მათ სწორედ ამ სახელს ვუწოდებ ხოლმე. **მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ სინდურ ენებად აბხაზური, უბიხური, ჩერქეზული, ანუ ადიღეური და ყაბარდოული იგულისხმება.**

ჩაჩნური, ანუ ნახჩოური, ინგუშური, ანუ ქისტური ჩრდილოეთს კავკასიაში და წოვური, ანუ ბაცბური საქართველოში, თუშეთის თემში, ენათა **მეორე ცალკეულ ჯგუფს** შეადგენენ, რომელსაც ამჟამად აგრეთვე თავისი ცალკეული ზოგადი სახელი არ მოეპოება. ძველად, ბერძენთა და რომაელთა გეოგრაფები იმიერკავკასიის შუა და აღმოსავლეთის ნაწილის მიწა-წყალზე მობინადრედ **გელ-ებსა** და **ლეგ-ებს** ასახელებდენ. **გელ**-ების სახელი უდრის იქაურსა და თუშურს თანამედროვე **ღალღას**, **ლეგ**-ებისა-კი ქართულს **ლეკებს**. პირველი სახელის ქართ. შესატყვისობა **ღილღვი** (მხ. რ.) და **ღილღვები-ა** (მრ. რ.), რომელიც ძველს თუშურ ხალხურ ლექსებში ხშირად გვხვდება. სხვაგან და ჩვეულებრივ საქართველოში-კი მათ აღსანიშნავად **ღლიღვი-ა** მიღებული.

რაკი ზემოაღნიშნული სამი ენის ზოგადი სახელი არ არსებობს, ასეთი სახელი-კი საჭიროა, ამიტომ, ხელოვნურად შეთხზულის მაგიერ, აქაც ისევ ძველად არსებული ასეთი სახელის გამოყენება სჯობია. სწორედ ამ მოსაზრებით ვხელმძღვანელობ, რომ **ენათა მეორე ჯგუფის,—ჩაჩნურისა, ქისტურისა და წოვური ენების,—ზოგად სახელად ისევ ღილღურის შემოღებას ვრჩეობ, ხოლო ენათა მესამე ჯგუფის, დაღისტნის ენებისთვის ლეგების სახელი უნდა ვიხმაროთ.** ხალხური გამონათქვამი **ლეგა ბიჭი**, შესაძლებელია, თავდაპირველად სწორედ ტომობრივ სახელთან იყო დაკავშირებული და **ლეკის** სახელის მეორე სახესხვაობაა.

თავი მეორე

ენათა თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის კვლევა-ძიების მეთოდოლოგია

ენათა მსგავსება შესაძლებელია მხოლოდ, ან საერთო წარმოშობილობის, ანდა შეთვისების შედეგს წარმოადგენდეს. პირველ შემთხვევაში დასაწყისითგანს თანდაყოლილ მოვლენასთან გვაქვს ხოლმე საქმე, მეორე შემთხვევაში მხოლოდ მეორადი მოვლენაა. ამ საკითხების გამორკვევა მარტო ენის ისტორიის საშუალებით შეიძლება, ამიტომ ე. წ. კავკასიური ენების ურთიერთშორის ნათესაობისა და ქართულის მათთან დამოკიდებულების პრობლემის გადაწყვეტაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ ისტორიული გრამატიკის წყალობით არის შესაძლებელი.

უკვე აღნიშნული გვქონდა და ყველასათვის ცნობილია, რომ ისტორიული გრამატიკა ჯერ არამცთუ ე. წ. კავკასიური ენებისთვის, არამედ სამწუხაროდ ქართულისთვისაც არ მოგვეპოვება. მაგრამ ქართულს მრავალსაუკუნოვანი, წე-

რილობით ძეგლებში აღბეჭდილი, წარსული აქვს. ეს გარემოება ყოველ ჩვენგანს საშუალებას აძლევს მისი წარსულის ესა-თუ-ის საკითხები მონოგრაფიულად შეისწავლოს. ამ დარგში, მეტადრე ზმნის აგებულების გარშემო, არა ერთი ფრიად საყურადღებო და მნიშვნელოვანი საკითხი გამორკვეულია კიდევაც ე. წ. კავკასიურ ენებს-კი მწერლობა არ ჰქონიათ და გამოკვლევისათვის მსგავსი მასალის იქ მოლოდინიც-კი შეუძლებელია, ამ ჟამად მაინც. მაშ რა ეშველება ამ საქმეს?

როგორც ეტყობა, უ ს ლ ა რ ს ამ საკითხის გამორკვევა შედარებითი მეთოდით უნდოდა. უ ს ლ ა რ ი ჩაჩნურს იმდენადვე ძველ ენად სთვლიდა, როგორც თანამედროვე ევროპული ენებია. ამის საბუთად მას ჩაჩნური ენის აგებულების სირთულე და დახლართულობა მიაჩნდა. ჩაჩნურთან შედარებით აბხაზური ენის სიმარტივე, ეტიმოლოგიისა და აგებულების ხელუხლებლად დაცულობის გამო, მას, განმაცვიფრებლად ეჩვენებოდა. უ ს ლ ა რ ი ფიქრობდა, რომ ჩაჩნური ლექსიკური მასალის აგებულების შესწავლას შედარებითი კვლევა-ძიება შეუწყობს ხელს და იმედი ჰქონდა, რომ დაღისტნის ენები ამ მხრივ ჩაჩნურის აგებულების გასაგებად მკვლევარს ბევრს რამეს შესძენდა (ჩაჩ. ე 151).

მაგრამ, ისტორიული ცნობებისდა მიხედვით, ჩაჩნები სამოქმედო ასპარეზზე აბხაზებზე ადრე არ გამოდიან. მაშასადამე, ჩაჩნური ენის აგებულების დახლართულობასაც თავისი სხვა მიზეზი უნდა ჰქონდეს.

უ ს ლ ა რ ი ს მჭრელ თვალს არ გამოჰპარვია ის გარემოება, რომ, ცოცხალი ევროპული ენების მსგავსად, ჩაჩნურ ენასაც საუკუნეთა განმავლობაში განვლილი ღრმა ცვლილებების კვალი ემჩნევა. ის ამბობდა: ეხლა შესაძლებელია მხოლოდ მიუხვდეთ იმ ძველ თავდაპირველ ფორმებს, რომელთა შეკვეცილი სახეებილაა თანამედროვე ენაში შერჩენილი. ბევრი უკანონო ფორმების გაგება შეუძლებელი იქნება, სანამ კავკასიაში ეხლანდელი ჩაჩნურის მონათესავე რომელიმე ენა არ აღმოჩნდება, რომელსაც ესა-თუ-ის ფორმები უფრო პირვანდელი სახით ექმნება დაცული. შედარებითი კვლევა-ძიებისათვის ძვირფას დახმარებას თუშური გაგვიწევსო,—ამბობდა ეს დაუშრეტელი სამეცნიერო წყურვილის პატრონი, ადამიანი (ჩაჩ. ე., 23).

მაგრამ, **რა საზომი შეიძლება ჰქონდეს მკვლევარს შედარებითი შესწავლის დროს ამა-თუ-იმ ფორმის პირვანდელობის გამოსარკვევად და დასამტკიცებლად**, ან, **რა მასალას უნდა დაემყაროს ადამიანი ასეთი მუშაობის დროს?** ამაზე არც უ ს ლ ა რ ს ა და არც ერთ მერმინდელ მეცნიერს არაფერი აქვს ნათქვამი.

რა გზითა და რა ღონეობით შეიძლება ამ საკითხის გამორკვევა უმწერლობო ენებში, რომელთა შესწავლისათვის, მე-XIX ს. დამლევისა და მე-XX ს. დამდეგის მოკლე გრამატიკებსა და პატარ-პატარა ლექსიკონებს გარდა, მხოლოდ ზოგიერთი მათგანისათვის მოგვეპოვება მე-XVIII ს. დამლევისა და მე-XIX ს. დამდეგის რამდენიმე ათეული სიტყვის შემცველი ჩანაწერები?

თანამედროვე მკვლევარს, რომელიც ამ ენათა თავდაპირველი აგებულების გამორკვევას მოისურვებდა, საქმეს ის გარემოებაც უძნელებს, რომ კავკასიის ენების შემსწავლელნი მხოლოდ მათი თანამედროვე აგებულების გამორკვევითა და პატარა ლექსიკური მასალის შეგროვებით იყვნენ დაინტერესებულნი. ამ

ენათა აგებულების თავისებურობისა და სხვა ცნობილი ენებისაგან სრული განსხვავებულობის გამო, ამ მკვლევართ, რომელთა უანგარო ღვაწლი ღრმა პატივისცემის ღირსია, იმოდენი სიძნელის გადალახვა უხდებოდათ, რომ ისეთი რთული საკითხებისათვის, როგორიც ამა-თუ-იმ ენის აგებულების ისტორიაა, არ სცალოდათ.

მაგრამ უეჭველია, **შეგროვილ-ჩაწერილი მასალის ცალმხრივობა მარტო მოუცლელობით არ აიხსნება, არამედ იმ გარემოებითაც, რომ ენების მკვლევარნი მეთოდოლოგიურ საკითხს არ ჩაჰფიქრებიან და მუშაობის დაწყებამდის გამორკვეული არ ჰქონდათ, თუ, სახელდობრ, რომელი ლექსიკური მასალის მიხედვით სჯობს და უნდა კიდევაც აწარმოვოს მეცნიერმა გამოუკვლევი ენის შესწავლა.**

რაკი ენის აგებულების გამოსარკვევად შეუძლებელია ყოველ ლექსიკურ მასალას ერთნაირი მნიშვნელობა ჰქონდეს და რომელიმე ახალი ენის შესწავლის დროს მეცნიერს ამ ენის ლექსიკური მასალა არ შეუძლიან იმთავითვე გარკვეული ფარგლებით არ შემოზღუდოს, ამიტომ კვლევა-ძიების ნაყოფიერებისა და მომავალი უფრო გაღრმავებული მუშაობისათვის მკვიდრი საფუძვლის დასადებად, ასეთ შემთხვევებში **მკვლევარს უნდა უეჭველად მკაფიოდ გათვალისწინებული და მტკიცედ გადაწყვეტილი ჰქონდეს ის საკითხი, თუ უპირველესად რა ლექსიკური მასალა უნდა შეაგროვოს და თავისი დაკვირვების საგნად გაიხადოს.**

ჩვეულებრივ ეს საკითხი იმ პრინციპის თანახმად წყდება ხოლმე, რომ დაკვირვების საგნად მკვლევარს უნდა ცოცხალი ენა ჰქონდეს. მაგრამ ცხადია, რომ ყოველი სიტყვა, რომელსაც ხალხი ხმარობს, ცოცხალია. მთელ სიტყვათა საუნჯეს-კი ვერც ერთი ცალკეული შემსწავლელი ვერ მოერევა, ამიტომ ახალი ენის შემსწავლელნი ჩვეულებრივი, საყოველდღიურო, ან და ქართული ხალხური გამონათქვამი რომ ვიხმაროთ, „საყველპურო“ სასაუბრო ენით კმაყოფილდებიან ხოლმე.

რა თქმა უნდა, ასეთი ლექსიკური მასალაც არის საჭირო, მაგრამ მისი სიღარიბე და ერთფეროვანობა, შესასწავლი ენის თანამედროვე აგებულების გარდა, ვერაფერს, რაც-კი წინანდელ მდგომარეობასა და გენეზისს ეხება, ვერ გააგებინებს. უამისოდ-კი ენის ნამდვილ ბუნებაზე მსჯელობა ძნელია, ასეთ მასალაზე **დამყარე**ბული კვლევა-ძიების შედეგიც შესაძლებელია სრულებით მცდარი გამოდგეს.

რაკი შესასწავლი ენის სიტყვათა საგანძურის მთლიანად გამოკვლევა შეუძლებელია და მკვლევარი უნებლიეთ გარკვეული ფარგლებით შემოზღუდული ლექსიკური მასალით უნდა დაკმაყოფილდეს, ამიტომაც **შემსწავლელმა უნდა იცოდეს ადამიანის მეტყველების ის სფეროები, სადაც მოსალოდნელია და შესაძლებელი, რომ ამა-თუ-იმ ენის თავდაპირველი აგებულება და მისი მერმინდელი თავგადასავალიც, მისი უმწერლობო ისტორია იყოს ალბეჭდილი.**

აპრიორულად საფიქრებელია, რომ **ენის ძველი აგებულება მისი მეტყველების საგანძურის იმ სფეროში უნდა ვეძიოთ, რომელიც ადამიანის უძველესი ყოფა-ცხოვრების გამომხატველია, სახელდობრ, სქესთა-შორისი და ნა-**

თესაური დამოკიდებულებისა და ურთიერთობის, თავდაპირველი მეურნეობისა და დასასრულ, პირველყოფილი რწმენისა და მსოფლმხედველობის აღმნიშვნელია. ადამიანის უპირველეს და უძველეს სამეურნეო დარგად-კი მონადირეობა და მესაქონლეობა იყო, ისევე როგორც ტყისა და ველურ მცენარეულ საკვებსა და სასმელზე მზრუნველობაც. მიწისმოქმედების სხვა დაწინაურებული დარგები კულტურის უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენს.

ამიტომაც მკვლევარმა ამა-თუ-იმ ენის თავდაპირველი აგებულების გამოსარკვევად გამოსადეგი მასალა ნათესაური ურთიერთობის, ცხოველთა სამეფოს და მესაქონლეობის ისევე, როგორც ველურ ხილ-ხმილ-მსალისა და პირველყოფილ მიწისმოქმედების სფეროებთან და აზროვნებასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიაში და მის გამომხატველ სიტყვა-გამონათქვამებში უნდა ეძიოს.

ამ ლექსიკურ საგანძურს, სხვა სფეროების სიტყვებთან შედარებით, ზემოაღნიშნულს გარდა, კიდევ შემდეგი უპირატესობაც აქვს. ცნობილია, რომ ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაშიც უცვლელი არაფერი რჩება: ძველს, დროთა განმავლობაში თანდათან ახალ-ახალი, ან ადგილობრივი მონაპოვარი, ანდა სხვაგნებურიც, ემატება ხოლმე. ამის წყალობით ზოგი რამე ძველთაგანი ქრება, ზოგი ნაწილობრივ იცვლება, ზოგი კიდევ სრულებით ახლად ჩნდება. მთელი ეს პროცესი ენის სიტყვათა საუნჯეზეც აღიბეჭდება ხოლმე: ძველი ტერმინების გვერდით ახლები ჩნდება, ანდა ზოგის მაგიერ ახალი სიტყვა შემოდის, რომელიც ძველსა სპობს, ზოგჯერ ძველი სიტყვის თავდაპირველი ბგერითი შედგენილობა. დროთა განმავლობაში, ან მექანიკურად, კიდურების ჩამოცილებით, ანდა შეგნებულად, ენის აგებულებაში იმ დროისათვის მომხდარი ცვლილების მიხედვით, საგრძნობლად იცვლება ხოლმე. ამის წყალობით, ადამიანის ურთიერთობის, მეურნეობისა და მსოფლმხედველობის ზემოაღნიშნული სფეროების ტერმინოლოგიასა და სიტყვათა საგანძურს ენის მთელი თავგადასავალის დამახასიათებელი ლექსიკური მასალა აქვს დაცული: ძველის-ძველთან ერთად მკვლევარი იქ მერმინდელსაცა და სრულებით ახალ სიტყვებსაც იპოვის. ამ დარგის ლექსიკური მასალის კვლევა-ძიების საგნად არჩევა ამ მხრივაც გაცილებით სჯობია.

მაგრამ ენის ოდინდელი აგებულებისა და ამა-თუ-იმ ერის უძველესი აზროვნებისა და მსოფლმხედველობის გამოსარკვევად საჭირო მასალის მოპოვება მკვლევარს მარტო ზემოდასახელებული სფეროების სიტყვათა საგანძურში-კი არ შეუძლიან. პირველყოფილი ადამიანი გარეშე საგნების დახასიათებისა, შეფასებისა და სახელდების დროს თავისი გრძნობითი ორგანოების შთაბეჭდილებებით ხელმძღვანელობს. საკვებსა და სასმელს, მცენარეულთა და ცხოველთა სამეფოს, ან გემოს მხრივ, ანდა ფერით, ან კიდევ გარეგნული თვისებით, თუ მოყვანილობით, სიდიდითაც არჩევდა და ერთ-ერთ, ანდა ორ მათგანს თითოეულისათვის დამახასიათებელ თვისებად მიიჩნევდა ხოლმე. როგორც წინამდებარე გამოკვლევის სათანადო ადგილას დავრწმუნდებით, ასეთ შთაბეჭდილება-შეფასების გამომხატველია კიდევაც ის სიტყვათა საგანძური, რომელიც პირველყოფილი ადამიანის აზროვნების ნაყოფს წარმოადგენს. ამიტომ მკვლევარმა ჯეროვანი ყურადღება გემოს, ფერებისა და სიდიდის აღმნიშვნელი-

სიტყვების შეგროვებასა და შესწავლასაც უნდა მიაქციოს. ამ დარგის ტერმინოლოგიის ცოდნა მას ბევრი ცხოველის, მცენარეულისა და საგნის სახელების შინაარსსაც გააგებინებს და ერის უძველესი ხანის მსოფლმხედველობასაც გადაუშლის.

რასაკვირველია, **სწორედ ამავე დარგების სიტყვათა საუნჯე უნდა გამოიყენოს მკვლევარმა იმ შემთხვევაშიც, როდესაც სამწერლობო ენის თავდაპირველი აგებულების გამორკვევა ჰსურს.** მაგრამ, რათგან ძველი ხანის წერილობითი ძეგლების შინაარსი იმ დარგებს, რომელზედაც საუბარი გვქონდა, საჭირო მოცულობითა და სისრულით იშვიათად თუ ეხება ხოლმე, ამიტომ შესაძლებელია იქითგან ამოკრეფილი ლექსიკური მასალა დასახული მიზნისათვის საკმარისი არ აღმოჩნდეს. ამის გამოცა და თავისდა-თავადაც, **რა თქმა უნდა, მერმინდელი და ხალხში შერჩენილი ზეპირი, თუ ჩაწერილი ლექსიკურ-დიალექტოლოგიური მასალაც უნდა იქმნეს გამოყენებული.**

მაგრამ კავკასიის ენებს მე-XIX ს. მდე დამწერლობა არ ჰქონიათ, ქართული ენის საუნჯე-კი მე-V ს. თგან დაცულ ძეგლებშიცაა აღბეჭდილი და დიალექტურ საგანძურშიც უხვი მასალა მოგვეპოვება. ყველას, ვისაც უმწერლობო ენის შესწავლითა და ხალხური მეტყველების დაკვირვებით თავი შეუწუხებია. კარგად მოეხსენება, თუ რა სისწრაფით იცვლება იქ სიტყვათა, როგორც ბგერითი შედგენილობა და ღალაგებულობა, ისევე ბგერათა შენაცვლების წყალობით თვით გარეგნული სახეც-კი სხვაფერდება. ზოგჯერ წერილობითი ძეგლების გამოყენების გარეშე პირვანდელი ფორმის მიგნებაც-კი შეუძლებელი ხდება. მაგალითად შესაძლებელია დასახელებული იყოს ძველი ქართული **დაღაცათუ** და ახალი ქართული თუმცაღა (და-ღა-ცა-თუ⟶თუ-მცა-ღა), ძველი **რა გვარად** და ახალი **რაშა** (იმერ.), **რეშე** (გურ.). ახალი ქართული **წა** და **მო**, რომელნიც მხოლოდ მიმართულების გამომხატველი პრევერბებია და რომელთაც ვეფხისტყაოსანში ზმნის მთელი შედგენილობაც-კი აქვთ დაკარგული. ანდა ფიცი **ღმერთმანი**, რომელშიც ბოლოკიდური **ი** წინამავალ სიტყვასთან არის შეერთებული და რომელიც ზმნის ფორმის **იცის** ერთადერთ გადარჩენილ ბგერას წარმოადგენს. ჩვენ რომ ძველ ძეგლებში გამონათქვამი **„ღმერთმან იცის"** არ გვქონდეს, თანამედროვე **ღმერთმანი**-ს ბოლოკიდური **ი**-ს ბუნების მიხვედრა ძნელი იქნებოდა და შესაძლებელია მას სულ სხვა თვისება მიჰკუთვნებოდა. ამისთანა მაგალითების მოყვანა ბლომად შეიძლება, მაგრამ ესეც კმარა.

ზემოაღნიშნული გარემოება ნაწილობრივ მაინც გაუთვალისწინებს ადამიანს იმ სიძნელეს, რომელიც უმწერლობო ენის ოდინდელი აგებულებისა და სიტყვათა პირველადი სახის ძიების დროს ეღობება.

ცნობილია, რომ **უმწერლობო, თუ დამწერლობიანი ენების ლექსიკურ მასალას, სიტყვებს, დროთა განმავლობაში და სწრაფი საუბრის დროს თავკიდური და ბოლოკიდური მარცვლები უზიანდება, ან ეცვლება, ანდა სრულებით ეკარგება. ხოლო ფორმანტები, თავსართებისა, თუ ბოლოსართების, ანდა ორივე სახით ჩვეულებრივ სწორედ ამ ადგილას არის ხოლმე მოთავსებული.** ამიტომ მათი დიდი შეცვლილობა, ანდა სრულიადი დაკარგვა მკვლევარს საშუალებას უსპობს სიტყვის თავდაპირველი აგებულება და ბგერითი შედგე-

ნილობა მთლიანად აღადგინოს. უმწერლობო ენის სიტყვათა შეკვეცილობა და ბგერითი შედგენილობის შეცვლილობა ყველაზე საგრძნობი დაბრკოლებაა, რომლის გადაულახავადაც ამა-თუ-იმ ენის თავდაპირველი აგებულების გამორკვევა შეუძლებელია.

ამ დაბრკოლების დასაძლევად მკვლევარმა უნდა სხვადასხვა საშუალება და ღონეობა გამოიყენოს. ერთი მხრით ყოველი სიტყვის წინანდელი შედგენილობის გამოსარკვევად ადამიანმა უნდა უპირველესად ყოველი სიტყვის მხ. რ. სახელობითის გარდა, სხვა ბრუნვებისა და მეტადრე მრ. რ. სახელობითი ბრუნვის ფორმაც გაითვალისწინოს. ეს მკვლევარს სიტყვის ფუძისა, თუ ძირის უფრო სრულად გამორკვევის საშუალებას მისცემს. მაგრამ ხშირად ეს საკმარისი არ არის.

პირველყოფილ მდგომარეობაში ადამიანს ცნებათა და საგნების აღსანიშნავად სიტყვები ცოტა გააჩნდა. ბევრ რამეს, რასაც განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მყოფი ადამიანი არჩევდა, დაბალ საფეხურზე მდგომი ადამიანი არამც თუ ვერ არჩევდა, განსხვავებასაც-კი ვერ ამჩნევდა, ამიტომ ამ ცნებათა და არსებათა, თუ საგნებისათვის საერთო სახელები ჰქონდა. ცნებათა დიფერენციაციასა და შეგნების გამახვილებასთან ერთად, ადამიანს ახალ-ახალი სიტყვები სჭირდებოდა. ამ ახალ სახელებს იგი ხშირად წინანდელისაგანვე ჰქმნიდა, მხოლოდ ფონეტიკური, თუ სხვანაირი დიფერენციაციის გზით. ამის გამო ამა-თუ-იმ სიტყვის თავდაპირველი ბგერითი შედგენილობისა და აგებულების გასათვალისწინებლად მკვლევარმა მონათესავე ცნებათა გამომხატველ სიტყვებსაც (ე. ი. ნაწარმოებ სიტყვებსაც) უნდა მიაქციოს ყურადღება და შესადარებლად გამოიყენოს. ხშირად ამ გზით ამათუიმ სიტყვის უფრო ადრინდელი, ანდა უძველესი ფორმის პოვნა შეგვიძლიან.

მაინც უნდა ითქვას, რომ არაერთხელ მარტო ზემოდასახელებული ლექსიკური მასალითაც დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებელია ხოლმე, რათგან ამისთვის უფრო ფართო და მრავალფეროვანი მასალის თავმოყრა და სხვა სამეცნიერო ღონეობის მოშველიება საჭირო. ცნობილია, რომ, ერის წარმატებასთან ერთად, მისი გონებრივ კულტურული შემოქმედების გამომხატველი ენა და ლექსიკური საგანძურიც იცვლება. მაგრამ წარმატების ეს პროცესი ამათუიმ ერის ყოველ თემსა და ყოველ ტომს, თუ ფენას ერთდროულად და თანასწორად არ ემჩნევა ხოლმე. კულტურული ცენტრისა და სავაჭრო, თუ შარაგზების მახლობლად მდებარე თემის მოსახლეობა ახალს, თავისას, თუ უცხოს, დაშორებულებზე უფრო ადრე ითვისებდა, ცენტრს მოწყვეტილი ტომების ცხოვრება-კი ახალ-ახალ შენართსა, თუ მონაპოვარს არ ეტანებოდა და ძველი კულტურული საგანძურის დამცველი იყო. ასევეა ენის სფეროშიც.

სხვადასხვა თემის ენასაც ამნაირადვე ამის კვალი ეტყობა: ძველი ჩვეულების, რწმენისა, იარაღის, თუ კულტურის ძველი ავლადიდების შენარჩუნებასთან ერთად, ამა-თუ-იმ თემს, ტომსა, თუ მოსახლეობის ფენას მათი ძველი სახელებიც, სხვებთან შედარებით, უკეთესად აქვთ ხოლმე დაცული. ამის წყალობით ერთი და-იმავე ცნების, არსებისა, თუ საგნის სახელი ქვეყნის სხვადასხვა თემში, ერის ამა თუ-იმ ტომსა, თუ ფენაში სხვადასხვა სახითა

და სხვადასხვანაირად გვაქვს ხოლმე წარმოდგენილი: ზოგან ძველი და სრული ფორმითაა, ზოგან კი თავ, ან ბოლომოკვეცილია, ხშირად ძალზე შეცვლილია, ანდა ახალი და უცხოც-კია.

ზემოაღნიშნული დებულების დასამტკიცებლად რამდენიმე მაგალითის დასახელებაც საკმარისი იქნება. თანამედროვე ქართულში დღის დასასრულის აღსანიშნავად **სალამო**-სა ვხმარობთ, რომელიც საქართველოს ყველა თემშია გავრცელებული. ძველ ქართულში ამ ცნების გამოსახატავად **მწუხრი** იხმარებოდა. ეს სიტყვა, **წუხრი**-ს სახით, თანამედროვე ქართულში, როგორც ბ. გაბუურის ხევსურული მასალებითგან ჩანს, ხევსურულს-ღა ჰქონია დაცული (ქართ. საენათმეცნიერო საზ. წელიწდეული I-II, გვ. 199$_{3c}$ და ა. კ. შანიძის ლექსიკონი იქვე, 320).

მდინარე თერგს ქართველები ძველად **არაგვს** უწოდებდენ. ეს გარემოება ლეონტი მროველის საისტორიო თხზულების წყალობით ირკვევა (იხ. ჩემი ქართ. ერის ისტ. II, 279). შემდეგში ზემოდასახელებული მდინარის სახელად **თერგი** შემოდის, რომელიც თანამედროვე ქართულში მის ერთად-ერთ სახელად ითვლება. მაგრამ ხევსურულსა და მოხევურში თერგს ძველებურად **არაგვს** უწოდებენ (იხ. ხევსურული მასალები და ა. კ. შანიძის ლექსიკ. იქვე, 275).

ამნაირადვე ძველს ქართულში საღამოს პურის ჭამას **ხერი** და **ხერობაჲ** ერქვა. უკვე საშუალო საუკუნეებსა და თანამედროვე ქართულში ეს ტერმინი აღარ გვხვდება. აღმ. საქართველოში ამ სიტყვის კვალი ტერმინ **ხერის-კუდ**-ში-ღა მოჩანს, რომელიც სამხარის მოგვიანებული გაგრძელების აღსანიშნავად იხმარება. თანამედროვე მეგრულს-ღა აქვს **ხეჭი**-ს ძველისძველი მნიშვნელობა დაცული და **ღამეს** ჰნიშნავს, ხოლო ვახშამს **ოსერიშე**, ე. ი. **სახერე** ეწოდება (მ. გ. 317).

ოთხთავის თარგმანში თხის ჩვილი შვილის სახელად **თიკანი**-ა ნახმარი. საშუალო საუკუნეებისა და თანამედროვე ქართულში ამ სიტყვის მეორე ფონეტიკური სახესხვაობა **ციკანი** გაბატონდა, მაგრამ გურიაში დღევანდლამდის ძველებურად **თიკანს** ხმარობენ.

ცაბადების თარგმანსა და სხვა უძველესი ხანის ძეგლებში მხოლოდ **ნანდჳლი**, **ნანდვილი** გვხვდება. შემდეგ ეს სიტყვა **ნამდვილი**-ს სახით იხმარებოდა და ასევეა თანამედროვე ქართულშიც. მაგრამ მეგრულს წინანდებურად ძველი **ნანდული** აქვს დაცული (მ. გ. 286).

ძველ ქართულში **მჯილი** იყო მიღებული **მუჭისა** და **მუშტის** მნიშვნელობით. ვეფხისტყაოსანშიც სწორედ ეს სიტყვა გვხვდება. შემდეგში მის მაგიერ სპარსულითგან შეთვისებული სიტყვა **მუშტი** გავრცელდა, რომელმაც **მჯილი** მთლად მოსპო ისე, რომ თანამედროვე ქართულში აღარავინ ხმარობს, მხოლოდ ხევსურულს აქვს წინანდებურად ძველი **მჯილი** დაცული (ბ. გაბუურის ხევსმას. და ა. კ. შანიძის ლექსიკ. 290).

ამისთანა და ამაზე უფრო საგულისხმო მაგალითების დასახელება კიდევაც ბლომად შეიძლება, მაგრამ შემდეგში ამ დებულების სისწორის დამამტკიცებელი საბუთები მრავლად გვექმნება მოყვანილი, ამიტომ აქ ზემონათქვამიც კმარა.

მოვიყვან კიდევ მხოლოდ ერთ მაგალითს, რომელიც ენის ოდინდელი აგებულების ამა-თუ-იმ დიალექტებისა და კილოკავებში დაცულობას ცხად-ჰყოფს. ცნობილია, რომ უძველეს ქართულში მეორე პირის სუბიექტ. ნაცვალსახელოვან თავსართად და მესამე პირის ობიექტ. თავსართად ხ ბგერა იყო, რომელსაც მე-VII ს. მოყოლებული ქ. შ. ჰ თანხმოვანი სპობს და სცვლის. ხ თავსართის გაქრობის ასეთი ხნიერებისდა მიუხედავად, ეს თავსართი თანამედროვე სვანურს წინანდებურად აქვს დაცული. ამის მსგავსი არაერთი სხვა მაგალითის მოყვანა მორფოლოგიითგან კიდევაც შეიძლებოდა, მაგრამ სიტყვის მოკლედ მოჭრა სჯობია.

ზემოაღნიშნული გარემოება და დასაბუთებული დებულება მკვლევარმა უნდა საუკეთესოდ გამოიყენოს: ენის აგებულებისა და სიტყვათა პირველადი შედგენილობის გამოსარკვევად მას დიალექტური და მონათესავედ საგულვებელი ენების ლექსიკური მასალაც შეუძლიან და უნდა კიდევაც სრულად გამოიყენოს. იმავე და მონათესავე ცნებათა გამომხატველ შესატყვისობასაც უნდა უაღრესი ყურადღება მიაქციოს. **ხშირად მონათესავე ერს ამათუიმ სიტყვის უფრო ძველი, ანდა პირვანდელი სახე აქვს ხოლმე დაცული.**

ამგვარი მრავალმხრივი ლექსიკური მასალითა და ფართო, შედარებითი ანალიზით სიტყვების, დროთა და გარემოებათა წყალობით დაკარგული, თავკიდური და ბოლოკიდური ნაწილების გამორკვევაც და პირვანდელი სახის აღდგენაც შეიძლება. ამით მკვლევარს საშუალება აქვს ის დიდი დანაკლისი, რომელიც ასე საგრძნობია, უმწერლობო ენის შესწავლის დროს წერილობითი ძეგლების უქონლობისა და ძველი ფორმების აღუნუსხველობის გამო ნაწილობრივ მაინც შეავსოს ხოლმე.

თავი მესამე

ქართველური და ჩ. კ. კავკასიური ენების ბგერითი შედგენილობა და ტრანსკრიფცია

კავკასიურ ენათა ჩრდილოეთის ჯგუფს თავისი დამწერლობა არ ჰქონია მე-XIX ს-მდე მაინც. ამ ენების პირველი დამკვირვებელი და ლექსიკური მასალების შემგროვებელი აკად. გ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი იქ ჩაწერილი სიტყვების გამოსახატავად, რასაკვირველია, გერმანულ ანბანს ხმარობდა, რადგან მთელი მისი ნაშრომი გერმანულად იყო დაწერილი. მაგრამ, რაკი გერმანულს კავკ. ენების ყველა ბგერების აღსანიშნავად საჭირო ასოები არ აბადია, ამიტომ გ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს უნდა მათთვის რაიმე შეექმნა. ამ მიზნით მას რამდენიმე გერმანული ასო შეუერთებია და სტრიქონს ზევით დაწერილი მძიმე, აპოსტროფიც, გამოუყენებია. რა თქმა უნდა, ამნაირად კავკ. ენების მთელი თავისებურების გამოხატვა ძალიან ძნელი იყო და გკლდენშტედტის ჩანაწერი მხოლოდ მიახლოვებითი

ტრანსკრიფცია არის. ამას ზედ ის უსიამოვნო გარემოებაც ერთვის, რომ ჩამწერის ყურთა-სმენას, როგორც ქართული სიტყვების ტრანსკრიფციითგან ჩანს, ზოგჯერ მონათესავე ბგერები ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევია და ერთის მაგიერ სხვა თანხმოვანი მოსჩვენებია. ამიტომ არაერთგან შეცდომაა შეპარული და ერთი და იგივე ასო. ან ასოთა კომპლექსი რამდენიმე მონათესავე ბგერის გამომხატველი გამოდის.

ზემოაღნიშნული ორი ნაკლის გამო, შესაძლებელია გჳლდენშტედტისა და კლაპროთის ჩანაწერები სრულებით უვარგისად მიეჩნია ადამიანს და. როგორც ეტყობა, სწორედ ასეც უმსჯელიათ ყველა წინანდელ მკვლევართ, რომელთაც ამ მეცნიერთა მასალით არ უსარგებლიათ. მაგრამ ამ წიგნის პირველ კარში უკვე გვქონდა აღნიშნული. რომ ამ ჩანაწერების გამოუყენებლობა საქმისათვის საზიანოა. ხოლო, რაკი ჩვენს გამოკვლევაში ამ პირველი ჩანაწერების გამოყენება ხშირად მოგვიხდება, ამიტომ შეცდომების შეძლებისამებრ თავითგან ასაცილებლად, უნდა წინასწარ გამორკვეული გვქონდეს, თუ გჳლდენშტედტისა და კლაპროთის ჩანაწერების რომელი ასო, ანდა ასოთა კომპლექსი, რომელი ბგერების გამომხატველად შესაძლებელია იყოს. ქართული ანბანის საპატიო სიძველისა და ზედმიწევნილობის გამო, ამ ბგერით შესატყვისობათა გამოსარკვევად და ცხადსაყოფელად უმთავრესად ქართული სიტყვების ტრანსკრიფციით ვსარგებლობ, ჩრდილო კავკასიის ენათათვის დამახასიათებელი თანხმოვნებისათვის-კი იქაურს ჩანაწერებს ვემყარები.

გჳლდენშტედტის სისტემა:

A = ა: Däda დედა. batoni ბატონი.
ä = ე: Däda დედა, dädakazi დედაკაცი.
b = ბ: Batoni ბატონი, Beberi ბებერი, Schubli შუბლი.
ch = ხ: Didichania დიდიხანია, Achlau ახლაჳ, chuti ხუთი, chalchi ხალხი.
ch = ყ: Tzchali წყალი.
d = დ: Däda დედა, da და, didichania დიდიხანია.
d = ტ: Tzchramedi ცხრამეტი (თუ აქ კორექტ. შეცდომა არ არის).
ds = ძ: Dsili ძილი, g(w)idsili ღვიძილი.
dsh = (დჟ)ჯ: Dshori ჯორი.
dsch = ჯ: Gordschila გვარჯილა. Lurdschi ლურჯი.
dz = ც: Ormodzi ორმოცი, kadzi კაცი.
e = ე: Ena ენა, Iremi ირემი, Beberi ბებერი.
g = გ: Guli გული, Megobari მეგობარი. Schamodgoma შამოდგომა.
g = ღ: Gomi ღომი, gwino ღვინო, dge დღე.
gh = ღ: Ghori ღორი.
gh = კ: Pheghi ფეხი.
h = ჰ: Ho ჰო.
k = კ: Masukan მასუკან, Kadzi კაცი. Berikadzi ბერიკაცი.
k = ქ: Tkueni თქუენი, Ak აქ, Ekusi ექუსი, Kali ქალი, Kmari ქმარი.

k=ყ: Kmazili ყმაწვილი, Kuri ყური. Kweli ყველი.
kh=ყ: Tkhawi ტყავი.
kh=კ: Mukhli მუკლი, khorzi კორძი, khbo კბო.
l=ლ: Chalchi ხალხი, Ludi ლუდი. Schubli შუბლი.
m=მ: Mamma მამა, Sami სამი.
n=ნ: Didichania დიდიხანია, win ვინ.
o=ო: Ori ორი, otchi ოთხი, otzi ოცი.
p=პ: Papa პაპა, piri პირი, puri პური.
p=ფ: Upali უფალი, Tapli თაფლი, Nipchawi ნიფხავი.
ph=ფ: Pheghi ფეხი, phuri ფური.
r=რ: Ra რა, Iremi ირემი, piri პირი.
s=ს: Is ის, wisi ვისი, sami სამი, ekusi ექუსი.
s=ზ: Gsa გზა, Mse მზე, Lamasi ლამაზი.
ss=ს: (უმთავრესად ხმოვანთა შუა): Assi ასი, Orassi ორასი, Atassi ათასი, Kisseri კისერი.
sch=შ: Schen შენ, Schors შორს, Schubli შუბლი.
sch=ჟ: Mschawe მჟავე.
sh=ჟ: Shiri ჟირი (მეგრ. 2).
t=ტ: Kata კატა, Batoni ბატონი, Twini ტვინი, Tkawi ტყავი.
t=თ: Erti ერთი, otchi ოთხი, atl ათი, Gmerti ღმერთი, Tkuen თქუენ.
th=თ: Thbili თბილი, Thatsuebi თეძუები.
ts=ძ: Tsma ძმა, Tsagli ძაღლი, Tsutsu ძუძუ.
ts=ც: Mamets მამეც.
tsch=ჩ: Tschemi ჩემი, Tschuen ჩუენ, Tschekma ჩექმა.
tsch=ჭ: Satschmeli საჭმელი
tz=ც: Tzchrameti ცხრამეტი, Otzi ოცი, Samotzi სამოცი.
tz=წ: Tzelitzadi წელიწადი, Tzkaro წყარო, Tzchali წყალი.
u=უ: Upali უფალი, Schubli შუბლი, Tschuen ჩუენ.
ü=ვ: Schüdi შვდი, Schüli შვლი, Schrüwa შრვუა.
y=ვ: Gamowarty გამოვართვ..
Qh=კ: Qheli კელი.
w=უ,ვ: Gwino ღვინო, win ვინ, wisi ვისი.
z=ც: Zotachania ცოტახანია, Zchra ცხრა, Kazi კაცი, Zoli ცოლი.
z=წ: Uzin უწინ, Mlza მიწა, Zamali წამალი, Zueri წუერი.
z=ს: Zikwaruli სიყუარული, Zizotschle სიცოცხლე, Zizili სიცილი.
'= სიმკვეთრეს ქართული სიტყვების ჩანაწერში, მაგ. K'lde კლდე, T'awisi თავისი, Rtse' რძე (=რძეჲ?). ასეთი დანიშნულების გარდა, ' ჩრდილო კავკ. ენების ჩანაწერებში გ ბვერის გამომხატველიც არის (მაგ. Schwefel გოგირდი აბხაზ. T'h'egusch=თანამედრ. ა-ტჷგუშა-ს) და ლატერალური თანხმოვნების აღსანიშნავადაც არის ნახმარი, მაგ. ყაბარდოულად: მოხუცი, მხცოვანი Tl'isch=თანამედრ. ტლიჷზ-ს, — მამაკაცი, ქმარი T'le=ტლიჷ-ს, — წელიწადი It'les=ჲიტლიჲს-ს.

კლაპროთის ტრანსკრიპცია:

A=ა: Artziwi არწივი, Abedi აბედი.
B=ბ: Abedi აბედი, bneli ბნელი.
Ch=შ: Chrywa შრვჳა, Chpoti შფოთი, Garchemo გარშემო.
D=დ: Abedi აბედი, Dg'es დღეს, Tzelitzadi წელიწადი.
Dj=ჯ: Lourdji ლურჯი, Gledja გლეჯა, Ladjwardi ლაჯვარდი (=ლაჟვარდს).
Ds=ძ: Dsma ძმა, rdsé რძე.
Dz=ძ: Dzag'li ძაღლი, spilendzi სპილენძი, wadzlew ვაძლევ.
E=ე: Abedi აბედი, Ganieri განიერი, Dg'es დღეს.
G=გ: Ganieri განიერი, Gouli გული.
G=ღ: Magla მაღლა.
G'=ღ: G'ili ღილი, Dg'es დღეს, G'ia ღია, Dzag'li ძაღლი, G'ori ღორი.
Gh ე და ი ხმოვნის წინ=გ: Adghili ადგილი, Mgheli მგელი.
H=ჰ: Hawa ჰავა.
I=ი: Ganieri განიერი, Abedi აბედი.
J=ჟ: Waj-Katsi ვაჟკაცი, Jeg' ჟეღ (სვან. ძაღლი).
K=კ: Tsikani ციკანი.
K=ქ: Kwewit' ქჳეჳით, Kwemo ქჳემო, Kerki ქერქი, Kori ქორი.
K=ყ: Kwiteli ყვითელი.
K=ხ: Ikwi იხვი.
K'=კ: K'argi კარგი, K'ata კატა, Mak'rateli მაკრატელი.
Kh',Kh =კ'ხ: Kh'eli კელი, Tikha თიკა, Khari კარი, Khé ხე, Wertskhli ვერცხლი.
L=ლ: G'ili ღილი, Lourdji ლურჯი.
M=მ: Mak'rateli მაკრატელი და სხვ.
N=ნ: Ganieri განიერი, Nemsi ნემსი და სხვ.
O=ო: Tchaobi ჭაობი.
Ou=უ: Lourdji ლურჯი, Pouri პური.
P=პ: Pouri პური, Patara პატარა, Piri პირი.
P'=ფ: Ip'kli იფქლი, G'ia-p'eri ღიაფერი, P'ourtseli ფურცელი.
Q=ყ: Qeli ყელი, qwirili ყვირილი, Miqwars მიყჳარს, Baqaqi ბაყაყი.
R=რ: Ganieri განიერი, Chrywa შრვჳა, K'argi კარგი.
S, ss (ხმოვანთა შუა)=ს: Nemsi ნე'სი, Nisli ნისლი, Issari ისარი.
T=ტ: K'eti კეტი, Setqwa სეტყჳა.
T=თ: Tikha თიკა.
T'=თ: T'et'ri თეთრი, T'bili თბილი, Kwewit' ქვევით, T'ma თმა.
Tch=ჩ: Artchwi არჩვი, Tchwen ჩჳენ, Tchkhoubi ჩხუბი.
Tch=ჭ: Tchalaki ჭალაკი, Tchaobi ჭაობი, Motchirwebouli მოჭირვებული.
Ts=ც: Tsema ცემა, Tsikani ციკანი, Wertskli ვერცხლი.
Ts=წ: Tsirwa წირვა.
Tz=წ: Artziwi არწივი, Mtzaré მწარე, Tzelitzadi წელიწადი.
V=ვ: Navi ნავი

W=ჵ, ვ: Miqwars მიყჵარს, Hawa ჰავა, Wiri ვირი.
Y, y=ჳ: Chrywa შრჳჵა (შვრია).
Z=ზ: Lamazi ლამაზი, Gza გზა, Zourgi ზურგი, Zet'i ზეთი, Zewit' ზევით.
Z=ს: Zaat'i საათი, Zwili სჵილი (seigle).

ლ. ლ ჰ ლ ჲ ე-თგან მოყოლებული ჩრდილო-კავკასიის ენებისათვის უკვე რუსული ანბანი იყო გამოყენებული. მაგრამ ეს ავტორი მხოლოდ რუსულ ანბანში არსებული ასოებით დაკმაყოფილდა და ამიტომაც ჩერქეზულ ბგერათა სიმრავლისა და თავისებურების სწორე ანარეკლი მის ნაშრომში არ მოგვეპოვება.

როდესაც 1856 წ. აკად. შ ი ფ ნ ე რ-ი თავისი პირველი გამოკვლევის გამოქვეყნებას შეუდგა წოვური ენის შესახებ („Versuch über die Thusch-Sprache"), მას აღნიშნული ჰქონდა, რომ თვით ამ ხალხის წასაკითხავად განკუთვნილი ნაშრომებისათვის ყველაზე შესაფერისი წოვურისათვის ქართული ანბანის გამოყენება იქმნებოდა. განათლებული მეცნიერი მკითხველისათვის განზრახული თხზულება-კი სჯობდა ყველასთვის გასაგები ანბანით ყოფილიყო გამოქვეყნებული[1]. რაკი თვით შ ი ფ ნ ე რ-ს მთელი თავისი ნაშრომი გერმანულად ჰქონდა დაწერილი და იგი უმთავრესად დას. ევროპის ენათმეცნიერთათვის იყო განკუთვნილი, ამიტომაც წოვურის, ისევე როგორც შემდეგ ჩაჩნური და დაღისტნის ენების შესახები ყველა გამოკვლევა-მოხსენებანი ლათინური ტრანსკრიფციით გამოაქვეყნა. საფუძვლად მან კ ა ს ტ რ ე ნ-ის მიერ სამოჲედური გრამატიკისათვის შედგენილი ანბანი მიიღო, წოვურისათვის საჭირო ბგერათა გამოსახატავად-კი დამატებითი ასოები დაურთო.

პ ე ტ რ ე უ ს ლ ა რ ი ს კავკასიის ენათა კვლევა-ძიების ასპარეზზე გამოჩენით, როგორც ვიცით, ახალი ხანა იწყება. მისი მოღვაწეობის დასაწყისშივე უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილი საკითხი ამ ენების სიტყვიერებისა და ლექსიკის ჩასაწერად სახელდობრ რომელი ანბანი იყო ყველაზე უფრო გამოსადეგი. მის მახვილს გონებასა და დაკვირვებისა დიდ ნიჭს მანამდე არსებული ტრანსკრიფციის უვარგისობა არ გამოჰპარვია. ამ ამოცანის განხილვის დროს უსლარს ორი მიზანი ჰქონდა: ერთი მხრით მას უნდოდა კავკასიის ენების ბგერათა მთელი თავისებურობის მეცნიერულად ზედმიწევნით გამომხატველი ყოფილიყო, მეორე მხრით, ამ კავკასიელ ტომთათვის, თვით ხალხისათვის, სახმარებლად, სწავლა-განათლების გასავრცელებლადაც მარჯვე აღმოჩენილიყო.

კავკასიის ენების ჩასაწერად გამოსადეგ ანბანზე მსჯელობის დროს, პ. უ ს ლ ა რ ს თავის პატარა წერილში „О составлении азбук Кавказских языков"[2].

---

[1] „Zu ihrer jetzigen Gestalt bietet diese Sprache (ე. ი. წოვა-თუშური) ungefähr dieselben Laute dar, als das Georgische und hat wenige der letzeren Sprache fremde. So angemessen die Georgische Schrift für Werke ist, die zum Gebrauch des Volkes bestimmt sind, so sehr ist es dem gelehrten Publicum gegenüber räthlich ein allgemein verständliches Alphabet anzuwenden" (Versuch über Thusch-Sprache: Mém. de l'acad. des sciences de St. Petérsbourg, VI série, Sc. politiques, t. IX, გვ. 7).

[2] ხელმეორედ დაბეჭდილია 1887 წ. „აბხაზური ენის" წიგნში.

„კავკასიის ენებისათვის ანბანის შედგენაზე“ აღნიშნული აქვს, რომ ქართული ანბანი ქართულისათვისაც ხომ საუკეთესოდა და არსებულ ანბანთა შორისაც თითქმის უუსრულეს ანბანად უნდა იქმნეს მიჩნეული, რათგან ყოველ ბგერას თავისი განსაკუთრებული ნიშანი აქვს და ყოველი ასო ყოველთვის ერთსა და იმავე ბგერას გამოჰხატავსო. მეორე მხრით მას გამოჩენილი გერმანელი ფილოლოგოსის გ ე ო რ გ რ ო ზ ე ნ - ის აზრიცა აქვს მოყვანილი, რომ ზოგიერთი დანამატი ასოებითურთ ქართული ანბანი ისეთი ენებისათვისაც-კი სრულებით გამოსადეგია, როგორიც აბხაზური და ოსურიაო.

ამგვარივე აზრი ქართული ანბანის ჩრდილო-ოსური ენისათვის გამოსადეგობაზე აკად. შ ე ო გ რ ე ნ - საც ჰქონდა გამოთქმული, ხოლო აკად. შ ი ფ ნ ე რ ს— წოვურისათვის. დასასრულ ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ს ა ც ყველა ქისტურ-ჩაჩნური კილოკავების ბგერათა საუკეთესო გამომხატველად სწორედ ქართული ასოები მიაჩნდაო. თვით უ ს ლ ა რ ი ამ მკვლევართა ასეთ დასკვნას თავის საკუთარ დაკვირვებასაც უმატებს, რომ, მთიელთა ენების ბგერათა აღბეჭდვის დროს, ქართული ანბანის ღირსება უფრო მკაფიოდ მოჩანს და განსხვავება ტ-სა და თ-ს, კ-სა და ქ-ს, პ-სა და ფ-ს შორის იქ უფრო ცხადი საგრძნობი ხდებაო. აქეთგან ჩანსო, ამბობს დასასრულ უ ს ლ ა რ ი, რომ კავკასიის აქამომდე უმწერლობო ენების საერთო ანბანის შესაქმნელად შეიძლება ქართული ანბანის სისტემა იყოს საფუძვლად მიღებულიო (იხ. აბხ. ენის დამატ. გვ. 48-49)[1]

თვით ქართული ანბანის ასოთა გამოყენება კავკასიის მთიელთა ენებისათვის უ ს ლ ა რ ს მხოლოდ იმ მოსაზრებით არ მიაჩნდა მთიელთათვის ხელსაყრელად, რომ ქართულ ანბანს ქართველებს გარდა არავინ ხმარობს და ამით მათ რუსულის შესწავლას გაუძნელებსო. ამიტომ, ამავე რუსულის შესწავლის კავკასიის მთიელთათვის გასაადვილებლად, პ. უ ს ლ ა რ მ ა თავისი შედგენილი ანბანის საფუძვლად მოხაზულობის მხრით რუსული ანბანი მიიღო, სისტემა-კი ქარ-

---

[1] „Если смотреть на грузинский алфавит в отношении к самому грузинскому языку, то нельзя не сознаться, что он удовлетворяет всем условиям: едва-ли его не есть совершеннейший из всех существующих алфавитов. Каждый звук выражается особым знаком и каждый знак постоянно выражает один и тот-же звук. Во всех европейских языках есть камень преткновения—это орфография; для грузин, благодаря совершенству их алфавита, этой трудности почти не существует... Наконец, в грузинском находим особую букву для гортаннаго звука, свойственнаго кавказским горским языкам, ყ... Сошлемся на мнение одного из известнейших в Европе филологов, Георга Розена, который исследовал языки Лазский, Мингрельский, Осетинский, Сванетский и Абхазский, утверждает, что в них система звуков одна и та-же с грузинскою и что грузинский алфавит для них совершенно удобен при помощи нескольких дополнений. Тоже самое г. Шёгрен пишет о языках северных осетин. г. Шифнер о тушском наречии кистинского языка, отец Цискаров распространяет этот отзыв на все наречия кистинския и чеченския. В некоторых горских языках, как кажется, свойство букв грузинского алфавита обнаруживается даже рельефнее, чем в самом грузинском... Отсюда видно, что система грузинской азбуки может быть принята за основание для общей азбуки всех Кавказских языков, чуждых до сих пор грамотности“.

თული ანბანისა შეითვისა და დამატებითი ასოებიც იმ ბგერათათვის, რომელნიც ქართულშიც არსებობს, ქართული ანბანითგან ამოკრიბა.

ამგვარად შეადგინა უ ს ლ ა რ მ ა კავკასიის ენებისათვის თავისი ანბანი, რომელშიც ამა თუ იმ ენის თავისებური ბგერებისათვის განსაკუთრებული ნიშნები დაუმატა (იხ. იქვე, გვ. 49—53, 54, 56—57).

ქართული ანბანის ღირსებად უ ს ლ ა რ ი, როგორც დავრწმუნდით, მისს სწორედ იმ თვისებას სთვლიდა, რომ იქ ყოველი ბგერის გამოსახატავად ცალკეული ნიშანი არსებობს. ასოებს ზევით წერტილებისა და ხაზების მოჭარბებული ხმარება, იმგვარადვე, როგორც ერთი ბგერის ორი ასოთი გამოხატვა, ანბანის ცხად ნაკლად უნდა ჩაითვალოსო, ამბობდა უ ს ლ ა რ ი. (О составлении азбук..., აბხაზ. ენა, დამატ. გვ. 50). სწორედ ამიტომაც, იმ ბგერათა გამომხატველი ასოები, რომელნიც რუსულს არ მოეპოვება, როგორც, მაგ., ჯ, წ, ჭ, მან პირდაპირ ქართული ანბანითგან ამოიღო, სხვებს-კი მონათესავე ბგერის მოხაზულობის თავისა, ანუ ბოლოს ოდნავ შეცვლით, თავისი საკუთარი ასო შეუქმნა.

განსვენებული პ. უ ს ლ ა რ ი ს გამომცემელმა, კავკასიის სამოსწავლო ოლქმა და მისმა რწმუნებულმა მ. ზ ა ვ ა დ ს კ ი მ-კი უ ს ლ ა რ ი ს ზემომოყვანილი ძირითადი დებულება კავკასიის ენათა ანბანის საჭირო თვისებების შესახებ, ან მართლაც სრულებით ვერ გაიგო, უფრო-კი მკითხველებს განზრახ ისე მოაჩვენა თავი, თითქოს ის სწორედ უ ს ლ ა რ ი ს წადილის განმახორციელებელი ყოფილიყო: აიღო და ყველა უ ს ლ ა რ ი ს მიერ თავისებურ ბგერათა გამომხატველი ასოები, რომელიც უ ს ლ ა რ მ ა ქართ. ანბანითგან ამოიღო, პროფ. ვ. მ ი ლ ლ ე რ ი ს ოსური ანბანის მიხედვით შესცვალა. მ ი ლ ლ ე რ ს-კი ამგვარი ასოები სულ სხვა წესით აქვს გამოხატული.

ოლქის მიერ გამოცემულს პირველსავე წიგნში აბხაზური ენის უ ს ლ ა რ ი ს გრამატიკაში ყველა ასეთ ბგერათა ასოები ამნაირი ნიშნებითაა აჭრელებული. ამგვარად, რაც უ ს ლ ა რ ს ანბანის ნაკლად მიაჩნდა და რის წინააღმდეგაც ის იბრძოდა, სწორედ ის მის შექმნილ საქმესაც ვერ ასცილდა.

ეს ცვლილება, რასაკვირველია, იმ სრულებით გარკვეული სულისკვეთებისა და პოლიტიკის შედეგი იყო, რომლის თავგამოდებული წარმომადგენელი და გულმოდგინე განმახორციელებელიც კავკასიის სამოსწავლო ოლქის მაშინდელი მზრუნველი კ. ი ა ნ ო ვ ს კ ი და მისი თანაშემწე ზ ა ვ ა დ ს კ ი იყვნენ. მკაცრი გამარუსებელი პოლიტიკის განმახორციელებელსა და ყოველივე ქართულის ულმობლად აღმომფხვრელს ამ მოხელეებს, როგორ უნდა მოეთმინათ რუს. ანბანში თუნდაც ის რამოდენიმე ასო, რომელიც უ ს ლ ა რ მ ა თავის ანბანში შეიტანა?! ამიტომაც მისი შრომების პირველივე წიგნის, აბხაზური ენის, გამოქვეყნებისთანავე, მათ უ ს ლ ა რ ი ს მიერ ყველა ქართულითგან ამოღებული ასოების მოხაზულობა შესცვალეს. ამ შეცვლილი ანბანით არის უ ს ლ ა რ ი ს ყველა დანარჩენი ნაშრომებიც გამოცემული.

ლ. ლ ო პ ა ტ ი ნ ს კ ი-ც თუმცა თავის ყაბარდოული ენის გრამატიკასა და ლექსიკონში ამავე სისტემას მისდევს, მაგრამ ზოგიერთი თავისებური ცვლილება მასაც აქვს ტრანსკრიფციაში შეტანილი.

ა დ. დ ი რ რ ი ს კავკ. სამოსწავლო ოლქის კრებულში რუსულად გამოქვეყნებულს ყველა ნაშრომებში, რასაკვირველია, იგივე რუსული ტრანსკრიფციაა ნახმარი. მაგრამ ამ მკვლევარს ამ სისტემაში ბევრი ცვლილება შეჰქონდა, რაც მის ტრანსკრიფციას წინათ მიღებულისაგან თვალსაჩინოდ ასხვავებს.

სულ სხვა ნიშნები და სხვა სისტემა აქვს ამავე მეცნიერს თავისს გერმანულად გამოქვეყნებულს „კავკასიის ენების შესწავლის შესავალ"-ში (Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen) მიღებული.

აკად. ნ. მ ა რ რ ი ც, როგორც ცნობილია, ყველა თავისს ნაშრომებში საკუთარს, იაფეტიდოლოგიურს, ავტორისაგან ანალიტიკურად სახელდებულს, ანბანსა ხმარობდა.

დასასრულ, დ ჳ მ ე ზ ი ლ-საც თავისი ნიშნები აქვს გამოყენებული გამოკვლევაში უბიხთა ენის შესახებ (La langue Oubykhs) და ჩრდილო დასავლურ ენათა შედარებითს გრამატიკაში.

რევოლუციის შემდგომ ჩრდილო-კავკასიის ყველა ენებისათვის დანართი ასოებით შევსებული ლათინური ანბანი იქმნა შემოღებული, რომელიც არაერთხელ შეცვლილა. იგი ჯერ კიდევ საბოლოოდ დამთავრებული არ არის, და სხვადასხვა ენათათვის შედგენილს ამ ანბანებში არც ერთგვარობა არის დაცული. ეს გარემოება მკვლევარს საგრძნობლად უძნელებს საქმეს, მით უმეტეს ძნელი უნდა იყოს მკითხველისათვის.

უეჭველია, ზემომოთხრობილი დაარწმუნებდა მკითხველს, რომ სრულებით გადაჭარბებული არ იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ კავკასიის ენებისათვის იმდენი ტრანსკრიფცია არსებობდა, რამდენიც ამ დარგში მკვლევარი იყო. ამიტომაც ისედაც ბაბილონის ენათა აღრევის მსგავსს შესასწავლ ლინგვისტიკურს მასალას ზედ უაღრესად გამართულებელ გარემოებად ანბანეპისა და ტრანსკრიფციების ნაირნაირობა და სიმრავლეც დაერთო. ამის წყალობით, ვინც აქამდე დაბეჭდილი გამოკვლევების გამოყენებას მოისურვებს, წინასწარ ტრანსკრიფციათა მთელი საძიებელი უნდა შეადგინოს, რომ ამ სხვადასხვა სისტემების გამოისობით არ დაიბნეს და არ შესცდეს. სწორედ ასეთი დამქანცველი სამუშაოს გაწევა მომიხდა, როდესაც ამ კვლევა-ძიებას შევუდექი, და, უნდა გულახდილად აღვიარო, რომ მეც მხოლოდ იმ მკვლევართა კონსულტაციით, რომელთაც ადგილობრივ შემოწმების საშუალება ჰქონდათ, სახელდობრ პროფ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს, ს ვ. ჯ ა ნ ა შ ი ა ს ა და ვ ა რ. თ ო ფ უ რ ი ა ს დახმარებით, შევძელი ძველი და თანამედროვე ტრანსკრიფციების ზოგიერთი ბუნდოვანი საკითხების გამორკვევა, რისთვისაც გულითად მადლობას მოვახსენებ.

როდესაც ჩ. წ. კავკასიური ენების შესწავლას შევუდექი და დავრწმუნდი, რომ მათი აგებულების ცოდნას ქართველურისა და ქართულის თავდაპირველი ბუნების გამოსარკვევად ისევე, როგორც წინაუკმოც, უაღრესი მნიშვნელობა აქვს, ჩემ წინაშეც თავისდა-თავად ამ ენებისათვის გამოსაყენებელი ყველაზე უფრო მარჯვე და მიზანშეწონილი ანბანის საკითხი წამოიჭრა. ვითარცა ისტორიკოსს, ყველა აქამდე შეგროვილი ენოვანი მასალების აღსაბეჭდად ნახმარი ანბანების ვარგობისა და ლექსიკური ჩანაწერის სისწორის გამორკვევის მიზნად დასახვა არ შემეძლო, არამედ ჩემ ამოცანად მხოლოდ წინათ დაუნჯებული, მაგ-

რამ ჯერეთ კრიტიკულად შეუსწავლელი და გამოუყენებელი მარაგის გამოყენებით ზოგადი საკითხების შეძლებისამებრ გამორკვევა მქონდა დასახული. ამიტომაც სხვათა ანბანებით აღბეჭდილი მასალა უნდა მქონოდა ხელთ. რაკი ჩემი კვლევა-ძიების შედეგი ქართველი მკითხველისათვის მქონდა წასაკითხავად განკუთვნილი, ამის გამო თავისდა-თავად სწყდებოდა საკითხი, თუ რა ანბანი, ანუ ტრანსკრიფცია უნდა გამომეყენებინა. ჩვენში არც უსლარისეულისა და არც ლათინურებრივი ანბანების სასტამბო ასოები არ მოიპოვება, მაგრამ მთავარი ის არის, რომ, თუნდაც ყველა ასეთი შრიფტები ტფილისში კიდევაც გვქონოდა, მაინც, რაკი ჩვენში ეს ანბანები არავინ იცის, ჩემი გამოკვლევა რომ ადვილი წასაკითხი და გასაგები ყოფილიყო, კავკასიის ენებისათვისაც უნდა უეჭველად ქართული ტრანსკრიფცია მეხმარა. ეს ტრანსკრიფცია, ენისა და სტერმინოლოგიო კომისიის წევრთა, პროფესორების: ა კ. შ ა ნ ი ძ ი ს ა, გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ს ა, ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს და ვ ა რ. თ ო ფ უ რ ი ა ს მიერ არის შემუშავებული.

ცნობილია ქართველური და მეტადრე კავკასიური ენების ბგერათა სიმრავლე და თავისებურება. ძველი ქართულის არმცოდნესთვისაც ზოგიერთი ასო და ბგერა უცნობია, მით უმეტეს აუცილებელია წინასწარი განმარტება კავკასიის ენების ბგერათა თვისებების გასაგებად. მაგრამ, ცხადია, რომ აქაც ჯერ ძველი ქართულით უნდა დავიწყოთ საუბარი.

თანამედროვე ქართულს თუ მხოლოდ 5, ა, ე, ი, ო და უ, ხმოვანი აქვს შერჩენილი, ძველში 8 ასო გვხვდება: ა, ე, ჱ, ი, ჲ, ო, ჳ და უ.

ძველ ქართველ ენათმეცნიერებს როგორ ჰქონდათ ჲ-სა და ჳ-ს ბუნება წარმოდგენილი, ჯერ არ ვიცით, ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს კი ჲ-ზე ნათქვამი აქვს მხოლოდ, რომ **„ესე ჲე ბოლოდ მრავალთათჳს მოვალს და თავად არა დია“**-ო (ლექსიკ.), ე. ი. ჲ სიტყვების თავში იშვიათად, ბოლოში ხშირად გვხვდებაო. მისი გამოთქმის განმარტება-კი ზედმეტად მიუჩნევია. ჳ-ს ბუნების შესახებაც ს ა ბ ა ს ცნობები არ მოეპოვება, არამედ ამბობს მხოლოდ **„ესე ჳე ძველად ტართან იჯდა და რიცხუშიაც მეოთხასედ ყოფილა. წერილთა შინა დია საკმარია... შემდგომად ჳე რიცხჳდამ ამოუღიათ და ოთხასად უნი დაუსვამთ“**-ო (იქვე).

ზურაბ შ ა ნ შ ო ვ ა ნ ს თავისს 1737 წ. შედგენილს ქართული ენის მოკლე „ღრამატიკა“-ში ჲ და ჳ ხმოვანთა ჯგუფში აქვს მოთავსებული: **„ჴმოვანნი არიან შვიდნი, რომელ არიან ესენი: ა, ე, ი, ო, უ, ჲ, ჳ, ხოლო ამათგან მაღალნი არიან ესენი: ა, ე, და ზომიერნი: ი, და მცირედ მდაბალ არს მათ შორის: ო, უ, და სრულიად მდაბალ და მოკლე არიან: ჲ, ჳ“**-ეო (იხ. მოკლე ღრამატიკა ქართულისა ენისა ქმნული ზ უ რ ა ბ შ ა ნ შ ო ვ ა ნ ი-საგან... გამოც. ა ლ. ც ა გ ა რ ე ლ ი-საგან, სანკტ-პეტერბურღი, 1881 წ. გვ. 4).

თანამედროვე ენათმეცნიერება ხმოვანთა მაღალ-დაბლობის საფუძვლად ენის მდებარეობასა სთვლის: თუ ენა ხმოვნის გამოთქმისას მაღლაა აწეული და სასასთანაა მიახლოვებული, ხმოვანი მაღლად იწოდება, პირიქით-კი, თუ ენა ქვემოთკენ არის დაწეული, ხმოვანს დაბალი ჰქვიან. ამასთანავე გათვალისწინე-

ბრულია ხოლმე, თუ ენის რომელი ნაწილი, წინა, საშუალო და უკანაა აწეული და ამისდა მიხედვით ზოგს მათგანს წინა, ზოგს უკანა ხმოვანი ეწოდება. ზემოაღნიშნულ გარემოებათა მიხედვით ა უკანა დაბალ ხმოვნად ითვლება, უ უკანა მაღალ ხმოვნად, ი წინა მაღალად, ე წინა საშუალოდ, ხოლო ო უკანა საშუალო ხმოვნად იწოდება (აკ. შანიძე, ქართ. გრამ. I, 4).

ანტონ კათალიკოზი „ქართულ ღრამატიკა“-ში ამტკიცებს, რომ „მაშინდელთა მოძღუართა ხუთნი ოდენ ხმოვანნი ასაჭიროვნეს ენასა სუფთა ქმნილსა ფარნავაზისაგან ქართლოსიანისა..., ხოლო დაჰრთნეს მას ზელა წიგნ-ნი (ე. ი. ნიშანნი) ფუძონი, რიცხჳთ ოცდა-ათხუთმეტნი, და ყოველნი თჳსნი რიცხჳთ ოცდა-ათცხრამეტ“-ო. მაგრამ, როდესაც ჩვენ „ღრამმატიკოსობისა კულო-ენებასა შინა გამოცდილ-ვიქმენით“, დავრწმუნდით, რომ ქართული ენისათჳს მარტო 5 ხმოვანი საკმარისი არ იყო, და ამიტომ „ვასაჭიროვეთ მიმატებაჲ ჰმოვნისა ახლისა, რომელსა ჷ, და კუალად დავრთენით ჰმოვანთა ესენი ჱ, ჲ, ჳ და ყოველნივე ცხრა ვყვენით“-ო (გვ. 116). ავტორს აქ საუბარი იმაზე აქვს, რომ მასზე უწინარესი ზოგი ქართ. გრამატიკოსი ხმოვნების ძველ ნიშნებს ჱ, ჲ და ჳ-ს აღარა ხმარობდა, მან-კი ამ ასოების კვლავ შემოღება აუცილებელ საჭიროებად მიიჩნია. რაკი ზ. შანშოვანი, როგორც დავრწმუნდით, ხუთს-კი არა, არამედ შვიდს ხმოვანს ანგარიშობს, ცხადია, რომ ანტონი ვიღაცას სხვას უნდა გულისხმობდეს.

პროფ. ნ. მარრს, მე-IX—XI ს.ს. ძეგლების გამოცემის დროს, გამორკვეული აქვს, რომ ჱ იმ ხანაში ეჲ-ს უდრიდა, მაგრამ შემდეგში მას ასე აღარ კითხულობდნენ, არამედ ჩვეულებრივი ე-ს მსგავსად. ამნაირად ჱ ზედმეტ ასოდ იქცა და თანამედროვე ქართ. ანბანში უკვე აღარ არის. მაინც უნდა ითქვას, რომ ჱ-ს თავდაპირველი აღმნიშვნელობის საკითხი ჯერ კიდევ ზედმიწევნით გამორკვეული არ არის. როგორც „ქართულს დამწერლობათა-მცოდნეობასა, ანუ პალეოგრაფია“-ში ნათქვამი მაქვს, ჱ და ჰ რიცხვნიშნად ერთს მე-XIII ს. დამდეგის ძეგლშიც და მე-XVII ს. ბევრს საბუთებშიც ერთიმეორის მაგიერაა ნახმარი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს ძველი ვითარების ანარეკლი უნდა იყოს, როდესაც ჱ ხმოვნის, დიფტონგისა-კი არა, არამედ ჰ-ს მსგავსი თანხმოვნის ნიშანი უნდა ყოფილიყო (გვ. 147 და 194—195). მაგრამ რაკი ამ ასოს თანამედროვე ქართულში მნიშვნელობა უკვე სრულებით დაკარგული აქვს, ამიტომ ამაზე აქ სათქმელი აღარაფერია.

ჲ-ზე ანტონ I-ს მარტო ის აქვს მოთხრობილი, თუ სად გვხვდება ეს ბგერა ძველ ქართულში, რომ იგი „იშჳთ-რე მოვალს თავად ლექსისა“ (ე. ი. სიტყვისა), „მცირედ-ჯერ მოვალს საშუალ ლექსისა, ნაცულად ი-სა, მავალითად ბჲსაჲ, ჩაჲნაჲ და სხუანი, ხოლო უმრავალჯერს დაიბოლოვებს ლექსსა“-ო. თვით ამ ბგერის ბუნება-კი განმარტებული არ არის (ღრამ. გვ. 118). ჲ მოკლე, უმარცვლო ი-ნია, ამიტომ ნახევარ-ხმოვანსაც უწოდებენ. ძველ ქართულში ფართოდ იყო გავრცელებული, თანამედროვეში მთის კილოებსა და სვანურსა აქვა დაცული.

თუმცა ანტონმა იცოდა, რომ ქართული ჳ უდრიდა ბერძნულს υ-ს „ჳფსილონსა ელლინებრ υ“ (ღრამ. 117), მაგრამ, როგორ გამოითქმოდა იგი ძველად

ამაზე გარკვევით არას ამბობს (გვ. 118, ჳ). ეტყობა, რომ ამ ბგერის რაობაზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონია. ძველ ქართულში ჳ-ს გამოთქმა ბერძნულითგან შეთვისებული ისეთი სიტყვების მართლწერის მიხედვით, როგორიც ჳპატოსი-ა, კარგად ირკვევა, სახელდობრ, რომ იმას შერბილებული ü-ს, ფრანგული u და გერმანული ü-ს მსგავსი ბგერის აღმნიშვნელობა ჰქონია. ასეთი ბგერა სვანურს აქვს დაცული.

ხმოვნების აღსანიშნავად ქართულში ა ნ ტ ო ნ კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი მანამდე არსებული ასოებით არ დაკმაყოფილდა, არამედ ორი ახალი ნიშანი შემოიღო. ერთს ამ ნიშანთაგანს ^-ს-ის სიბრჯგჳს ნიშანს უწოდებს, ანუ მარტივად **ბრჯგუ**-ს. მას ტერმინად **დაბრჯგუება**-ც აქვს ნახმარი (ღრამ. 116—118). ამ ნიშნის დასმა ა ნ ტ ო ნ მ ა ასოს ზევით განაწესა და მისი აღმნიშვნელობა ასე აქვს განმარტებული: ასოზე **„ნიშანი ესე სიბრჯგუჳსანი ^ დაესხმის... თავით თჳსით ვერ გამოღებისათჳს ჴმისა"**-ო (იქვე, გვ. 116—117). შემდეგ მას აქვს საგანგებოდ ნათქვამი, თუ რა შინაარსით იყო **ბრჯგუ** და **დაბრჯგუება** ნახმარი: როდესაც **„დაბრჯგუვნდების უ... და მსგავსად ვ გამოიღების"**-ო (იქვე, გვ. 118). აქეთგან ცხადი ხდება, რომ **ბრჯგუ** **ხმოვნის მოყრუებისა** და უ-სა და ვ-ს შუალედ ბგერად ქცევის გამომხატველი ყოფილა. ეს ტერმინები ს ა ბ ა ს ა ც მოეპოვება ლექსიკონში, თუმცა-კი უ ბრჯგუ მის დროს არ იყო, **დაბრჯგუებული**, მისი განმარტებით, დაჩლუნგებულს უდრის (ლექს.).

ჷ **„არს ახალ-პოვნილი ჩუენგან ასოჲ ჴმოვანი, რომელიც მრავალთა უჴმოთა ლექსთა შინა, უჴმოვნოდ ერთად მდებარეთა, მარცუალშჱყოფს"**-ო (ღრამ. გვ. 118 ზ), ე. ი. მისი ხმარება საჭიროა იქ, სადაც ერთად რამდენიმე თანხმოვანი უხმოვნოდ არის თავმოყრილი. მართალია, როგორც უკვე პროფ. ა ლ. ც ა გ ა რ ე ლ მ ა აღნიშნა (О грам. лит. груз. яз.), ასეთი ბგერა ქართულს არ მოეპოვება, მაგრამ სამაგიეროდ მეგრულსა და სვანურს აქვთ დაცული და იქ მართლაც ეს ასო აუცილებლად საჭიროა.

ბგერათა წარმოების ადგილმდებარეობასა და გარემოებაზე ზ. შ ა ნ შ ო ვ ა ნ ს არაფერი აქვს ნათქვამი. ამ საკითხს პირველად ა ნ ტ ო ნ I შეეხო თავის ქართ. გრამატიკაში, რომელშიც შემდეგი განმარტება აქვს შეტანილი. მისი დაკვირვებით, **„ბ, მ, პ, ფ... ბაგეთა ურთიერთას შეხებითა გამოიღებიან"**-ო (გვ. 117), ე. ი., თანამედროვე ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, ბაგისმიერი თანხმოვნები არიან.

ამავე ჯგუფის ბგერადვე აქვს დასახელებული ა ნ ტ ო ნ კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ს ვ თანხმოვანიც, რომელიც, მისი დახასიათებით, **„ბაგეთა შინაგან მცირედ-რე მჭირსედ ურთიერთას მახლობელ-ყოფითა გამოიღების"** (იქვე).

საგანგებოდ აღნიშნული აქვს ქართულისათვის ისეთი უცხო თანხმოვნის ბგერათწარმოებაც, როგორიც ჶ არის, რომელზედაც ნათქვამია: **„ევ-სახედ"**-ვე **„ჶ... ბაგეთა შინაგან არაფრიად შეხებითა გამოიღების"**-ო (იქვე). თანამედროვე ქართ. ენათმეცნიერებაც ყველა ამ ბგერებს ბაგისმიერს ბგერებს უწოდებს, მაგრამ ვ კბილბაგისმიერად, მ, ბ, პ და ფ-კი წყვილბაგისმიერად იწოდება (გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ს თანხმ. განდასებისათვის და ა კ. შ ა ნ ი ძ ი ს ქართ. გრამ. I, 5).

„ხოლო დ, თ, ტ... მახლობელ კბილთა სასისა მიმართ მცირედ-რე ფართოდ შეხებითა ენისა მწუწრვალისათა გამოიღებიან“-ო (გვ. 117), ე. ი. წინაენისმიერი ბგერებიაო. ამ თანხმოვნებს გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ც წინაენისმიერ ბგერებს უწოდებს (ქართ. თანხმ. განლაგ.: მიმომხილველი I, 244), ა კ. შ ა ნ ი ძ ე ს-კი ისინი კბილის მიერ, ანუ დენტალ თანხმოვნებად აქვს სახელდებული (ქართ. გრამ. I, 5). უფრო ზედმიწევნითი იქნებოდა, რომ ამ სამისათვის წინაენისა და კბილისმიერი ბგერები გვეწოდებინა.

დაახლოებით ამავე ადგილმდებარეობის თანხმოვნებად მიაჩნდა ანტონ I-ს „ზ, ს, ც, ძ, წ“, რომელნიც მისი სიტყვით, **„აწუწკალირე შეხებითა სასისა მიმართ ენისა მწუწრვალისათა გამოიღებიან“** (იქვე), მაშასადამე, სასაწინაენისმიერ ბგერათა ჯგუფსვე ეკუთვნიან.

„ხოლო ჟ, შ, ჩ, ჭ[1], ჯ... სასისა მიმართ მქისედ და ფართოდ შეხებითა ენისა მწუწრვალისათა გამოიღებიან“-ო (იქვე), ე. ი. ეს ხუთი თანხმოვანიც სასაწინაენისმიერებია.

გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ს ზ, ს, ც, ძ, წ თანხმოვნები წინაენისმიერ ბგერათა ჯგუფში აქვს მოთავსებული, ჟ, შ, ჩ, ჭ და ჯ ბგერებს-კი ალვეოლარებად სთვლის (ქართ. თანხმ. განლაგ.: მიმომხ. I, 244). ხოლო ა კ. შ ა ნ ი ძ ე ზ, ს, ც, ძ და წ-ს წინა ალვეოლარებს უწოდებს, ჟ, შ, ჩ, ჭ, და ჯ-კი უკანა ალვეოლარებად მიაჩნია (ქართ. გრამ. I, 5). ვგონებ უფრო სამართლიანი იქნებოდა, პირველი ამ ჯგუფთაგანისათვის სასა-წინაენისმიერნი გვეწოდებინა, მეორე ჯგუფისათვის-კი სასა-უკანაენისმიერნი დაგვერქვა.

ა ნ ტ ო ნ კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ს ლ და ნ ბგერათა ცალკეულ ჯგუფად აქვს გამოყოფილი, რომელთა ბგერათაწარმოებაზე ნათქვამია, რომ **„მცირედ-რე ფართოდ სასისა მიმართ ენისა მწვერვალისა შეხებითა გამოიღებიან“**-ო (იქვე, გვ. 117). ქართ. გრამატიკოსს აქ რატომღაც რ გამოჰრჩენია. ეს სამი თანხმოვანი, რ, ლ და ნ, ამჟამად **ნარნარა** ბგერებად იწოდება და მართლაც ენის წვერის წინასასაზე ანუ ნუნებზე შეხებით გამოითქმის. ნ და მ-ს გამოთქმაში რაკი ცხვირიც იღებს მონაწილეობას, ამიტომ მათ ცხვირისმიერ ბგერებსაც უწოდებენ.

დასასრულ ბგერათა უკანასკნელი ჯგუფის შესახებაც. ა ნ ტ ო ნ I-ის სიტყვით, **„გ, ყ, ღ... გამოიღების მსაჭიროები არაფრიად კორკისა კმარებისა“** (იქვე), **„ხოლო ლ, ყ, ხ, კ... კორკისა მქისედ კმარებისა მსაჭიროებნი გამოიღებიან“**-ო (იქვე). თანამედროვე შეხედულებით ნამდვილ **ხორხისმიერ** ბგერად მხოლოდ ყ და კ არის მიჩნეული (გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ს ქ. თანხმ. განლაგ. 244), ხოლო გ, კ, ქ, ხ და ღ **უკანაენისმიერ** (ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, იქვე), ანუ **უკანასასისმიერ** ე. ი. ველარ ბგერებად (ა კ. შ ა ნ ი ძ ე ქართ. გრამ. I, 4) არიან სახელდებულნი. უფრო სრულად რომ დახასიათდეს, უკანასასისმიერ-უკანაენისმიერი ბგერებია. ყ-სა და კ-ს შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ყ მკვეთრია, კ-კი ყრუ-ფშვინვიერი ბგერაა.

---

[1] რ. ე რ ი ს თ ა [illegible] ს გამოცემაში აქ კორექტურული შეცდომაა შეპარული და ც არის დაბეჭდილი ჭ-ს მაგიერ. ც ანტონს ზემოთ უკვე [illegible] ხსენებული აქვს.

დამახასიათებელია, რომ ჰ-ც, ამავე მეცნიერის აზრით, „კორკისა მპარსეყოფითა... უბრჯგუეს ითხრვის“ (იქვე, გვ. 117—118). აკ. შანიძესაც ჰ ხორხისმიერ ბგერად მიაჩნია (ქართ. გრამ. I, 6—7).

თანამედროვე ენათმეცნიერების ბგერათამცოდნეობა მარტო ბგერათა წარმოების ადგილმდებარეობას კი არ აქცევს ყურადღებას, არამედ მათი წარმოების გვარობასაც. რამდენადაც შემდეგში ამაზე არაერთხელ გვექნება მსჯელობა, ამ საკითხზე სჯობს ორიოდე სიტყვა აქვე იყოს ნათქვამი.

ბგერათა წარმოების გვარობის თვალსაზრისით განხილული ქართ. თანხმოვნები ოთხ მთავარ ჯგუფად არიან განდასებული: ბგერათა ერთ ჯგუფს ხშულნი, მეორეს სპირანტნი, მესამეს ნარნარა და მეოთხეს აფრიკატნი, ანუ რთულნი თანხმოვანნი შეადგენენ.

თითოეული ამ სამ მთავარ ჯგუფთაგანი, ბგერათა ინტენსივობა-თავისებურებისდა მიხედვით, ქვეჯგუფებად არიან განდასებული: ხშულთა და სპირანტთა ჯგუფებს მკვეთრთა, მჟღერთა და ყრუთა, ანუ ყრუ მშვინავთა ქვეჯგუფები გააჩნია, ხოლო აფრიკატები სისინა და შიშინა ქვეჯგუფებად იყოფებიან.

პროფ. ახვლედიანს („შენიშვნები ქართულ თანხმოვანთა განდასებისათვის“: მიმომხ., I, 243) ქართ. თანხმოვნები წარმოების გვარობისდა მიხედვით ასე აქვს განდასებული:

I. ხშულნი: 1. მკვეთრნი: პ, ტ, წ, ჭ, კ, ყ.
2. მჟღერნი: ბ, დ, ძ, ჯ, გ.
3. ყრუ მშვინავნი: ფ, თ, ც, ჩ, ქ, ჴ.

II. სპირანტნი ანუ ღრიალოვანი ბგერები:
1. მჟღერნი: ვ, ზ, ჟ, ღ.
2. ყრუნი: ფ, ს, შ, ხ.

III. აფრიკატნი ანუ რთული ბგერები:
1. სისინანი: წ, ძ, ც.
2. შიშინანი: ჭ, ჯ, ჩ.

IV. ნარნარა ბგერათა ჯგუფი რ-სა, ლ-სა და ნ-საგან შესდგება, რომელთაგან პირველს მაგარი, მეორეს-კი რბილი ეწოდება.

კავკასიის ენებს ყველა ის ბგერები გააჩნია, რომლებიც ქართულსა აქვს და კიდევ ზედმეტიც მოეპოვება. ამიტომაც ძველი ქართ. ანბანის ყველა ასოები, ამას გარდა, კავკასიის ენების ბგერათა გამოსახატავად მთლიანად და უცვლელად შესაძლებელია გამოყენებულ იყოს. მაგრამ ზოგიერთს ამ ენათაგანს ისეთი ბგერებიც აქვთ, რომელნიც ქართულსა და ქართველურ ენებში არ მოიპოვება. ჩვეულებრივი აღრეულობისადა შეცდომების თავითგან ასაცილებლად, ქართ. ტრანსკრიფციის ზედაღნიშნულმა ავტორებმა ამ ბგერათა ზოგად თვისებებს მიაქციეს ყურადღება და ამისდა მიხედვით შეუდგნენ ამოცანის გადაჭრას.

ქართულ ანბანზე დამყარებული ეს ტრანსკრიფცია იმ დაკვირვებასა და სისტემაზეა აგებული, რომ კავკასიურს ენებს ბგერათა ჯგუფები აბადია, რომელნიც, ქართულს ჩვეულებრივსა და მარტივ ბგერებთან შედარებით, ან:

1. გაპალატალებული, ანუ გასასისმიერებულია, ე. ი. შერბილებით გამოითქმიან. გაპალატალებულობის, ანუ გასასისმიერებულობისათვის ι ნიშანია, რომელიც მარტივი ბგერის ნიშანს მარჯვნივ მიჯრით ერთვის, —

ან **2. პირიქით ბგერა მაგრად ისმის. ბგერის სიმკვეთრის, სიმაგრის გამომხატველი ı ნიშანია, რომელიც მარტივი ბგერის ასოს მარჯვნივ მიჯრით დაესმის,**—

ან 3. გალაბიალებული, გაბაგისმიერებულია, როდესაც ასეთ ბგერას, უ ს ლ ა რ ი ს ა და დ ი რ რ ი ს დახასიათებით, ბოლოში თითქოს ჶ მისდევს და ისმის ხოლმე. პროფ. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ს თავის ნაწრომში „მასალები აფხაზურ ბგერათა ფიზიოლოგიისათვის" ორი გალაბიალებული აფხაზური თანხმოვანი ჰʷ და ჴʷ აქვს განხილული. მისი სიტყვით-კი ამ ბგერათა გამოთქმისათვის, გათავებისას „დამახასიათებელია... ბაგეთა მომრგვალება, დაახლოებით, როგორც ფართო ო-სთვის" (იხ. „მიმომხილველი", საქ. საისტ. და საეთნ. საზ. ორგანო I, 195—196, 1926 წ.). **ბგერის გალაბიალებულობის, ანუ გაბაგისმიერებულობის აღსანიშნავად ʷ არის ქართულ ტრანსკრიფციაში განკუთვნილი, რომელიც სათანადო მარტივი ბგერის ნიშანს მარჯვნივ მიჯრით ერთვის,** —

ან 4. **ზოგი გარდამავალ ბგერად გამოითქმის, როდესაც ერთი ბგერით იწყება, მაგრამ შემდეგ უკვე მეორე ბგერა მოისმის ხოლმე. ბგერის გარდამავლობის ნიშანია ᵒ, რომელიც ზემოაღნიშნული წესითვე ერთვის მარტივი ბგერის ასოს.** ად. დ ი რ რ ი ს განმარტებით, გარდამავალი ბგერის გამოთქმის თავისებურებას ის შეადგენს, რომ მეორე ბგერა პირველზე უფრო ვრძელია ხოლმე (Einführung, 33) მაგ. სᵒ ს-თი იწყება და შ-დ თავდება, ზᵒ ზ-თი იწყება, ჟ-თ-კი ბოლოვდება, ე. ი. ს-სა და შ-ს, ზ-სა და ჟ-ს გარდამავალი საშუალო ბგერაა ხოლმე, —

ან 5. **ბგერას ნაზალიზაცია სდევს თან, ცხვირში გამოითქმის. ნაზალიზაციის ქართული ნიშანი ɛ მარტივი ბგერის ასოს ამავე წესით ერთვის ხოლმე,**—

ან 6. **ბგერათა კომპლექსი ლატერალია, ანუ გვერდითია,** ე. ი. ენის წვერის გვერდზე მოქცევითა და მიტკაცუნებით გამოითქმის. ლატერალ ბგერათა ნამდვილი თვისება და შედგენილობა-წარმოშობილობის საკითხი ჯერ შესწავლილი არ არის და მკვლევართ მათ შესახებ სხვადასხვა აზრი აქვთ გამოთქმული. ლ პ ლ ა ე ს ასე აქვს ნათქვამი: რთული თანხმოვნები **პლ, ტლ, ტხ,** ისე უნდა გამოითქვას, რომ ბგერები ერთმანეთში შერწყმული იყვნენ..., ამ ბგერების გამოთქმისას ენა უნდა ბაგეებისაკენ იყოს წაწეული, ინგლისური **tl**-ს მსგავსად little სიტყვაში, ხოლო **ტხ** გამოითქმის ხორხისმიერად (ГОРТАННО), ისე-კი, რომ ორივე ბგერა ერთად იქცესო (იხ. Словарь рус.-чеч. с кратк. гр. გვ. 3).

უ ს ლ ა რ ს ლუნძურში და დაღისტნის სხვა ზოგს ენაში ოთხი ლატერალი ბგერა აქვს დასახელებული. მისი აზრით ამ ბგერათა გამოთქმის სიტყვიერად დამაკმაყოფილებლად აღწერა სრულებით შეუძლებელია. ერთის მოსმენით თი-

თქოს ლ-ც ისმის ხოლმე და ოთხივე ეს ბგერა თითქოს შესაძლებელია ხლ, ტლ, ტლლ და ტყლ ასოებით გამოიხატოს, მაგრამ ეს მხოლოდ ყურთასმენის მოჩვენებააო. პირველი ამათგანის გამოსათქმელად ყბები უნდა განაშული იყოს, ხოლო ენა გვერდზე ქვედა კბილებზე იყოს მირთხმული, ჰაერის ნაკადი-კი ლოყის გასწვრივ მიქროლდესო. მეორე, მესამე და მეოთხე ლატერალი ბგერები ერთმანეთზე უფრო მკვეთრად გამოითქმისო (ავ. ე. 13—14). სწორედ ენის გვერდზე მირთხმულობის გამო ეწოდებათ მათ ლატერალი, ანუ გვერდითი ბგერები.

ასეთი გვერდითი ბგერები, როგორც ჩრდილო-დასავლურს, ისევე ჩრდილო-აღმოსავლურ ენებში მოიპოვება. ჩრდილო დასავლურთაგან აფხაზურსა ანუ ჩერქეზულსა და ყაბარდოულსა აქვს, ჩრდილო-აღმოსავლურთაგან ლეკურს, ანდიურს, არჩულს აქვსო, ხოლო უდიურს, კიურულს, თაბასარანულს, აღულურსა და აკუშურს-კი არ მოეპოვებათ. ამნაირადვე გვერდითი ბგერები ჩაჩნურსა და ქისტურში არ არის, საქართველოში მცხოვრებს, მათ მონათესავე, წოვებს-კი ასეთი თანხმოვნები აქვთ.

საყურადღებო გარემოებაა, რომ ანწუხულებს იმ პირველი ლატერალი, ანუ გვერდითი ბგერის მაგიერ, რომლის დაახლოვებითი გამოთქმისათვის უ ს ლ ა რ ს ხლ კომპლექსი აქვს დასახელებული, ყველგან მარტივ ტ-ს ამბობენ (ავ. ე. გვ. 14). აქედგან საფიქრებელი ხდება, რომ ტ ბგერაც უნდა იყოს ამ გვერდითს ბგერაში შერწყმით მონაწილე.

ა დ. დ ი ო რ-საც გვერდითი ბგერა მხოლოდ ოთხი აქვს და გამოთქმისას, მისი დაკვირვებით, თუ ლ ან ტ, ანდა შუა სასისმიერი (Mittelgaumen) კ — ლ და ხ ბგერებთან ერთად შერწყმით გამოითქმის, გვერდითი, ანუ ლატერალი ლჾ გამოვა, ხოლო როდესაც ტ, ანდა კ ს გამოთქმისას უმალ ენის წვერის გვერდით მირთხმითი მოძრაობაა, მაშინ უკვე ლატერალი ტჾ ან კჾ ანდა ტტჾ ბგერები მოისმის (Einführung, 29—30).

ნ. ტ რ უ ბ ე ც კ ო ჲ-კი, რომელსაც ექვსი ასეთი გვერდითი თანხმოვანი ეგულება, თავისს გამოკვლევაში „Les consonnes latérales des langues caucasiques septentrionales", „ლატერალი ბგერები ჩრდილო-კავკასიის ენებში", ამტკიცებს, რომ ეს გვერდითი ბგერები მხოლოდ კ, გ, ხ-ს ლ-დ გარდამავალ ბგერებს წარმოადგენენ და ვერც ერთს ჩრდილო-კავკასიის ენაში ტ გარდამავლობით ლ-დ ვერ გარდაიქცევაო (Bulletin de la Société de Linguistique de Paris, ტ. 23, გვ. 203).

გვერდითი ბგერების ფიზიოლოგიისა და წარმოშობილობის ზედმიწევნით გამოსარკვევად ჯერ კიდევ გულდასმითი ექსპერიმენტული, შედარებითი და ისტორიული კვლევა-ძიებაა საჭირო, რაც მომავლის ამოცანას წარმოადგენს, მაგრამ ეხლაც შესაძლებელია ითქვას, რომ ნ. ტ რ უ ბ ე ც კ ო ჲ ს უკანასკნელი დებულება, ვითომც ტ-ს ლატერალ ბგერებთან არავითარი კავშირი არ ჰქონდეს, მცდარია. ეს უეჭველად მტკიცდება შედარებითი გზითაც და ისედაც ცხადია, თუნდაც იმ გარემოებითაც, რომელიც უკვე უ ს ლ ა რ ს ჰქონდა აღნიშნული, სახელდობრ, რომ ლატერალ ბგერიან ენათა მონათესავე, მაგრამ მარტივ ბგერათა მქონებელ ენებსა, ანდა დიალექტებში, ლატერალ ბგერას სწორედ მარტივი ტ ბგერა უდრის (იხ. აქვე ზევით).

ქართულ ტრანსკრიფციაში ბგერის ლატერალობის, ანუ გვერდითობის გამოსახატავად ı ნიშანია, რომელიც უკვე ცნობილი წესით ერთვის მარტივ თანხმოვანს, ანდა მათ კომპლექსს.

7. დასასრულ, კავკასიის ზოგიერთ ენას მთრთოლი, ანუ ვიბრანტი თანხმოვნებიც მოეპოვება. პროფ. გ. ახვლედიანს ასეთი სამი მთრთოლი აფხაზური ბგერის ტი, დი და თი-ს ფიზიოლოგიური თვისება შემდეგნაირად აქვს გამორკვეული: „ტი, დი და თი რთული თანხმოვნებია, რომელთაც საფუძვლად უდევსთ შესაბამისად წინა ენისმიერი ხშულები, — მკვეთრი ტ, მჟღერი დ, მფშვინავი თ, ხოლო გართულება შეაქვს ბაგეთა მოქმედებას, რომელიც სამივესთვის საერთოდ ერთგვარია, სახელდობრ: ამ ხშულთა (ტ, დ, თ) სკდომას სწრაფად მისდევს ბაგეთა განხშვა სუსტი ვიბრაციით (თრთოლით). აკუსტიკურად შევიგრძნობთ ერთ მთლიან ბგერას, რომელშიც წინაენის სკდომა აღარ ისმის. თუ, ამისდა მიუხედავად ტი, დი, თი ურთიერთისაგან განსხვავებულ აკუსტიკურ ეფექტს იძლევა, ეს დამოკიდებულია მათ პირველ კომპონენტთა (ტ, დ, თ) ჰეტეროგენობისაგან. ამიტომ ტი-ს შეგვიძლია ვუწოდოთ **მკვეთრი მთრთოლი** (ვიბრანტი), დი-ს **მჟღერი მთრთოლი** და თი-ს **მფშვინავი მთრთოლი**-ო („მასალები აფხ. ბგერათა ფიზიოლოგიისათვის". მიმომხილველი I, 197).

როგორც ზემომოყვანილი აღწერილობიდან ჩანს, მთრთოლი აფხაზური ბგერები იმ ქართულ ბგერათა კომპლექსის გამოთქმას მიაგავს, რომელსაც მეურმე თპრრ-ს წამოძახებით კამეჩების გარეკვის დროს ხმარობს ხოლმე.

ე. წ. კავკასიურ ენათა ბგერების თავისებურებათა ზოგადად დახასიათების შემდგომ, მკვლევართა მუშაობის მომავალში გასაადვილებლად და ჩვენს წიგნში მოყვანილი სიტყვების სხვათა ჩანაწერებში ხელმიწვდომი ეკვივალენტების სწრაფად გამოცნობისათვის, აქვე ტრანსკრიფციათა შესატყვისობის ტაბულები მოგვყავს. ამათგან პირველი უსლარის, ზაგურსკის, მარრის, შიფნერის, ლატინური და ზოგჯერ არაბული სისტემის ქართ. შესატყვისობას შეიცავს, მეორეში ლოპატინსკის ტრანსკრიფციის ქართ. შესატყვისობაა აღნიშნული, მესამეში კი ა. დირრ-ის რუს. ტრანსკრიფცია და მეოთხეში კიდევ გერმანული ტრანსკრიფციის შესატყვისობანია წარმოდგენილი. აი ეს ტაბულებიც.

უსლარის	ზავადსკის	მარრის	შიფნერის	ლათინური	არაბული	ქართული
α	α	α	α	α		ა
δ	δ	B, b	B, b	B, b		ბ
В, в	В, в	ʊ	ɯ	ʊ̇		ვ
ꞇ, Г	ꞇ, Г	g	g	g		გ
		g₁		g₁		გ'
ɣ	ɿ̇	ǧ	ĝ	q	غ	ღ
		ǧ₁		q₁		ღ'
∂, д	∂, д	d	d	d		დ
∂	∂	d°	∂ˢ	đ		დ°
e, ẹ	e	e	e	e		ე
φ	φ	f	f	f		ფ
Ж, ЖС	Ж, ЖС	ʝ	ℒ	ʒ		ჟ
		ʝ'		]		ჟ'
ЗЖ	ЗЖ	j°	z°	j		ჟ''
ЗӁ	ЗӁ	j°₁	ẓ°			ჟ'''

უსლარის	ზავადსკის	მარის	შიფნერის	ლათინუ-რი	არაბული	ქართული
3	3	z	z	z		ზ
		z_1				ზ,
h	h	ħ	h	h	ع، ظ، ح	ჰ
ĥ	ĥ	h_o	ȟ	x_y x_y	ڿ ڿ	ჰ,(აბ.), ხ,ხ,
ꜧ	ꜧ			ħ	ځ	ჰ, (ლუნ.), ჰა (ლუმ.)
h̆	h̆			x_y	ڿ	ხ,
İ ı	I ı	ı	i	i		
J ȷ	J ȷ	y	j			ჲ
K	ĸ	k	K	K_y	ک	კ,-ქ (ლუნ. და ლუმ.)
K_l	K'	q	K	K		ქ,-კ (ლუნ. და ლუმ.)
		q_1				ქ'
		q_o				ქ'
K X				K K		ქა
		k_1;				
K̂ (ლუმ)	K̂			K K(ლუმ)	ڬ. ڬڬ	კკ

უსლარის	ზავადსკის	მარრის	შიფნერის	ლათინურა	არაბული	ქართული
K̇ (ლ·ლუმ.)				æ	خ	კ
k K (ლუმ.)				q	[illegible]	კკ
ʟ	ʟ	l ł	l ł	l ℓ	ل	ლ
		l₁				ლˡ
M	M	m	m	m	م	მ
H	Ӈ	n	n	n	ن	ნ
o	o	o	o	o		ო
n	n	φ	p	p		პ,-ფ (ლუმ.)
ɳ	ṅ	p	p̓	p		ფ,-პ (ლუმ.)
q	q	k̇	q	q · q̵		ყ
		k̇.				
		k̇°				ყʳ
p	p	ч r		ч		რ
e	c	s	s	s ss (ლ.)		ს
ç	ç	s.	ṣ	ṣs (ლუმ.)	ش	სჲ (აბ.),-სɪ (ლუნ.),-სს ან სჾ (ლუმ.)

უსლარის	ზავადსკის	მარრის	შიფნერის	ლათინური	არაბული	ქართული
m	m	t	t	t̯	ـتـ	ტ, თ̣ (ლუნ. და ლუმ.)
m̦	m̦	ϑ	t̂	t	ـثـ	თ, ტ (ლუნ. და ლუმ.)
ţ̄	ţ̄	ϑ	t'	ț, t̤	ذ، ظ	ტტ, ტ° (ლუმ.)
ţ̆	ţ̆	ɩ	ṭ'			ტ°
y	y	u	u	u		უ
		u̯				უ̂
x	x	q̇	x	x	خ	ხ
		q̇				ხ₁
ẋ	ẋ	q̣	ẋ	x x	خ	კ (აბ.), ხ₁ (ჩაჩ), ხ° (ლუნ.), ხხ (ლუმ.)
		q̇°				ხ°
		q̱̇				კ°
x̃	x̃					ქკ, კ° (ლუმ.)
ц	ц	ϑ̇	c	c, s		ც
ц̡	ц̡	ϑ̇	c'	ʒ		ც°
ц	ц'	ϑ̇	ć	ʒ, ʒ̇		წ° (ლუნ.)

უსლარის	ზავადსკის	მარრის	შიფნერის	ლათინური	არაბული	ქართული
[illegible]	[illegible]	ṫ	ç	[illegible]	ض	წ
[illegible]	[illegible]	ṫ₁	ḉ	[illegible]	ظ	წ° (აბ.), - ცი (ლუნ.), — ცც, ც° (ლუმ.)
[illegible]	[illegible]	ṫ°	[illegible]	[illegible]		წ° (აბ.)
[illegible]	[illegible]	ϑ̣	ċ	[illegible]		ჩ
[illegible]				[illegible]		ჩა
[illegible]	[illegible]	ϑ̣̄	[illegible]	[illegible]		ჩა
[illegible]	[illegible]	ṭ	[illegible]	[illegible]		ჭ
[illegible]	ш̆	ṭ₁	[illegible]	[illegible]		ჭა
ш	ш	ш	ŝ	[illegible]	ش	შ
ш̆	ш̆	ш̄₁	ŝ	[illegible]		შ₁ (აბ., ლუნ.), -შშ (ლუმ.)
ш₁	ш₁	ш°	ŝ	[illegible]		შr (აბ.)
ш̆₁	ш̆₁	ш₁°	ŝ			შ₁r (აბ.)
ʒ	Д₃	ď	ʒ	З		ძ
		ď₁				ძ° (აბ.)
[illegible]	ʃ	ď°	ǯ	Z, Zɣ		ძr (აბ.)



უსლარის	ზავადსკის	მარრის	შიფნერის	ლათინ-რი	არაბული	ქართული
						ჯ
						ჯ'
						ჳ
						ჸ (ჩაჩ. და ლუნ.)

ლოპატინსკის ყაბარდოულს გრამატიკასა და ლექსიკონში ნახმარი რუსული ტრანსკრიფცია უდრის შემდეგ ქართულ ასოებს:

=ზიː, გამოითქმის როგორც ზ-ჟː („спирант средний между з и ж, сопровождаемый палатализацией". ყ. გ. გვ. 3).

=ყ (იქვე, გვ. 4).

=სიː, გამოითქმის ს-შː („спирант средний между с и ш, сопровождаемый палатализацией". იქვე, გვ. 3).

=ლː („звонкий спирант, более средний". იქვე, გვ. 4).

=ლ („обозначался в изданиях трудов Услара через ʟ". იქვე).

=ტხლა (იქვე, 5).

 =ცა (იქვე, გვ. 6).

 =ძ (იქვე).

=კ („заднеязычный согласный, произносимый с весьма заметным придыханием, настолько сильным, что он походит на храпение", =უსლარის ავარულ x́-სა. იქვე, გვ. 9).

=ჯ (იქვე, გვ. 6).

=ჰː (იქვე, გვ. 5).

=ხː (=ƙ Услара. იქვე).

=ც (იქვე, გვ. 1).

=ჸ (იქვე, გვ. 8).

სტრიქონსა და ასოს ქვეით მოქცეული ხაზი ამ თანხმოვნის სიმკვეთრეს, ხოლო ერთმარცვლოვან სიტყვებში მის გაორმაგებას (იქვე, გვ. 6—7), ' კი თანხმოვნის სიმაგრეს, მკვეთრ გამოთქმასა ჰნიშნავს და=ა (გვ. 7—10).

ადოლფ დირრ-ის ტრანსკრიფცია რუსულად გამოქვეყნებულს მის ნაშრომებში დაღისტნის ენების შესახებ.

а		ж	ჟ	ky	ქ (იხ. Гр. Удин. яз. გვ. 2).
ȧ	ა̇ ა-სა და ა̈-ს შუალედი ბგერაა.	ж̄	(თაბას.)-ჟʳ (ლაბიალურია, გამოითქმისო, როგორც ჟვ).	к̠	ქხ.
ä	ა̈ შუალედი ა-სა და ე-ს	џ	ჯ	к̓	
б	ბ	џ̄	ჯʳ (გამოითქმის, როგორც ჯვ).	к̔	კ
β	ბ° ბ-ვ-ს შუალედია	з	ზ	к̑	ქკ
в	ვ	ʒ	ძ	λ	ლ
ẇ	უ̂	h	ჰ	м	მ
г	გ	ḥ	ჰი	н	ნ
ҕ	ღ	ћ	ჰʻ	н̓	ნ̃ ცხვირში გამოთქმული, ჯუჯღუნა ნ
ҕ̄	ღʻ	ћ̄	ხʻ	о	ო
Д, д	დ	i		ȯ	ო̇
е	ე	j		ö	ო̈
ė	ე̇ (თაბასარანულში).	к	ქ	п	პ

ħ	ჰი	ų́	წ	ч	ჩ
h̠	ჰჰ	u̇	ჵ საშუალო უ-სა და ვ-ს შუა (უდურ. გრ. გვ. 1).	ч̄	ჩɪ (ლაბიალური, ჩვ: თაბას. გრ. გვ. 3).
ŋ	ფ*	·ų	ვ	ч̠	ჩª (გამოითქმის ჩ-სა და შ-ს შუალედად: თაბას. გრ. გვ. 3).
q	ყ	ų	ჵუ, ან ვუ (თაბას. გრ. გვ. 2).	ч̇	ჭ (უდურ. გრ. გვ. ?).
q̄	ყª (ანდ. გრ. გვ. 2).	φ	ჶ	ш	შ
p	რ	x	ხ (უდურ. გრ. გვ. 2).	ш̄	სɩɩ (ნაზი შერბილებული სშ: сшь: უდ. გრ. გვ. 2).
c	ს	x́	ხª (ძალიან ენერგიულად, თითქოს ორმაგი ხ იყოს).	ш̄	შɪ (ლაბიალური შვ-ს მსგავსი. თაბას. გრ. გვ. 3).
c̠	სს (თაბას. გრ. 3).		ხხª (ასე გამოითქმის: თაბას. გრ. გვ 2. ანდ. გრ. გვ. 1—2).	ш́	ჸ
ç	სɩ (ანდ. და ალულ. გრ. გვ. 2).	ų́	ც	c	ჯɩ (არაბული ج-ს მსგავსი, მაგრამ იმაზე რბილია).
m	ტ		ცɩ (ალ. გრ. გვ. 3).	ɣ	ტხლª
m̃	ტª (თაბას. გრ. გვ. 2).	i.	Ṽ (უდ. გრ. გვ. 2).	ɣ	ტყლª
m/	თ (უდურ. გრ. გვ. 2).		ცª (გამოითქმის როგორც ცს: თაბას. გრ. გვ. 3).	ɔ	ტლª
				ш	შª (მაგარი ორმაგი შშ-ს მსგავსად. თაბას. გრ. გვ. 3).

ად. დ ი რ რ-ის მიერ თავის გერმანულს ნაშრომებში ნახმარი ტრანსკრიფციის გასაგებად უნდა გათვალისწინებული იყოს, რომ

1. ბგერის ფშვინვარების აღსანიშნავად მას ასოს ზევით დასმული c აქვს ნახმარი (იხ. Einführung გვ. 28).

2. **სიმკვეთრის** გამოსახატავად აქვს ასოს ზევითვე დასმული მაგრამ უკუღმა მობრუნებული იგივე ʽ ნიშანი (იქვე, 29), რომელიც, მაშასადამე, ქართულს ø უდრის.

3. **ლაბიალობისათვის** ასოს ზევითა და გვერდით ᵓ ნიშანი ზის (იქვე, 33), რომელიც ქართულს ɪ ეთანასწორება.

4. **გაპალატალება** ასოს მარჯვენივ ზევით დასმული ʼ ნიშნით (იქვე, 33), ე. ი. ქართულს ɪ უდრის.

5. **გრძელი ტყუპი თანხმოვნები** (lange geminierte Konsonanten) ასოს მარცხნივ დასმული : ორწერტილით აღინიშნება (იქვე, 33), რომელიც ქართულს ᵽ ნიშანს უდრის.

6. **ბგერის ნაზალიზაცია,** ცხვირში გამოთქმულობა, ასოს ზევით დასმული ˉ ნიშნით (იქვე, 36), რაც ქართულად ɵ-თი აღინიშნება.

7. **ლატერალური ბგერის** გამოსახატავად ასოს მარჯვენივ ზემოთ დასმული წრე ° აქვს ნახმარი (იქვე, 31), რომლისთვისაც ქართულად ø ნიშანია.

ად. დირრ-ის გერმ. ტრანსკრიფციის ქართ. შესატყვისობა:

ɑ	ა
ȧ	ა̇ გამოითქმის ა-სა და ა̈-ს შუა
ä	ა̈ გამოითქმის ა̈-სა და ე-ს შუა
ā	
b̄	ბ
β	ბᵽ გამოითქმის ბ-ვ
c	ც
cʼ	ცɪ
:c	ცᵽ (=ცხ-ს: იქვე, 33).

ċ წ

č ჩ

:č ჩჲ (=ჩშ-ს: იქვე, 33)

č' ჭ

d დ

e ე

ʒ ძ

g გ

γ ღ

h ჰ

ḥ ჰა

ḫ ჰი

ẖ ხი

i

j ჲ

ǰ ჯ

k კ

kᶜ ქ

:kᶜ ქჲ (=ხქ-ს; იქვე, 33).

k' ქი

:k' ქიჲ (=ჰიქა-ს: იქვე, 33).

k̑ კ („ein hintervelarer Affrikat mit starker Aspiration, akust. Effekt etwa kx“: იქვე, 31).

K°	ტხლ° (იქვე 30).	q	ყ	t°	ტ°
l̥	ტყლ°	3	გ	u	უ
ℓ°	ტკლ°	ч	რ	v	ვ
m	მ	s	ს	w	ჳ̂
n	ნ	š	შ	x	ხ
ō	ოჾ	ṡ	სº („Zwischen-Š und S: იქვე 31) გამოითქმის ს-შ	z	ზ
o	ო	sᵓ	სᵀ	ž	ჟ
ö	ӧ	ṫ	ტ	žᵓ	ჟᵀ
p	პ	t̤ᶜ	თ	ż	ზº, ზ-ჟ (იქვე, 31
pᶜ	ფ	t'	ტº	ʒ	ჯ (იქვე, 31).
π'	პᵀ	t:	ტტ	ʃ	პᵀ (? იქვე, 32—33).

დვმეზილის ნიშანთაგან ასოს გვერდით მარჯვნივ ზევით მოთავსებული აპოსტროფი ' =ɛ-ს.

ასოს ზევითა კიდურის მარჯვნივ მოთავსებული ° პატარა წრე=ᵀ-ს. C ასო ზევით მოთავსებული v ნიშნითურთ Č=ჩ-ს და Š=შ-ს, ხოლო Ž=ჟ-ს.

ასოს ზევით დასმული წერტილი=º-ს. j გამოჰხატავს ჯ-ს და z კიდევ ზ-ს.

კ ა რ ი მ ე ს ა მ ე

ე. წ. კავკასიური ენებისა და ქართულ-ქართველურის მორფოლოგიის ძირითადი საკითხები

ნაწილი პირველი

გრამატიკული სქეს-კატეგორიების საკითხი კავკასიურ ენებსა და ქართულში

თავი პირველი

გრამატიკული სქეს-კატეგორიები თანამედროვე კავკასიურ ენებში

ე. წ. კავკასიურ ენებს შორის ზოგს, როგორც მაგალითად თუნდაც ქართულს, არავითარი გრამატიკული სქესის გარჩევა და საამისო ნიშნები არ აბადია, ზოგს-კი გრამატიკული სქესის გარჩევა ენის აგებულების ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად აქვს ქცეული. ამიტომ ამ საკითხს უაღრესი მნიშვნელობა აქვს და მთელი რიგი შემდეგი მოვლენების გასაგებად აუცილებლად საჭიროა, რომ ადამიანს გრამატიკული სქესის არსებობისა, თუ უქონლობის, ანდა მისი ბუნებისა და თავისებური თვისებების შესახებ, სრულებით მკაფიო წარმოდგენა ჰქონდეს.

ცნობილია, რომ ქართულს, არც თანამედროვესა და, რამოდენადაც მე-5 ს-ითგან მოყოლებული სამწერლობო ძეგლებითგან ჩანს, არც ძველს, გრამატიკული სქესი არ აბადია. კავკასიის იმ ენებშიც, სადაც გრამატიკული სქესი არის, არსებითს სახელებს მაინც სქეს-კატეგორია გარეგნულად არ ეტყობათ, რათგან ამისათვის მათ არავითარი, არც თავსართისა და არც ბოლოსართის სახით ნიშანი არც აქვთ და არც რამე ეცვლებათ. მათი სქეს-კატეგორია მათთან დაკავშირებულ ზედსართავსა და რიცხვითს სახელებს, ზმნას, მიმღეობასა და მიმღეობითს ზედსართს განსაკუთრებული ნიშნების საშუალებით, ან თავსართისა, ან და ბოლოსართის სახით, დაეტყობა ხოლმე. მაგრამ, როგორც აღნიშნული გვქონდა, გრამ. სქეს-კატეგორიები კავკასიურს ენებსაც ყველას არა აქვს და რომელთაც აბადიათ, მათაც ამ მხრივ ყველას ერთნაირობა არ ემჩნევა, არამედ ბევრ მათგანს განსხვავებული სახით მოეპოება. ამიტომ სქეს-კატეგორიების არსებობა და ვითარება თანამედროვე კავკასიის ენებში ზოგადად მაინც უნდა იქნეს დახასიათებული.

§ 1. სქეს-კატეგორიები სინდურ ენებში

ჩრდილო-კავკასიის ენათა დასავლური ჯგუფითგან გრამ. სქეს-კატეგორიები მხოლოდ აფხაზურს გააჩნია, ისიც ნაწილობრივ.

აბხაზურმა ერთის მხრით ზმნაში ორი სქესის, მამაკაცისა და დედაკაცის, განრჩევა იცის, მეორეს მხრით იქვე და სხვა ნაწილებშიც ყველა არს-

ნი გონიერ და არაგონიერ არსებად იყოფებიან. პირუტყვები და უსულო საგნები ამ არაგონიერ არსთა ჯგუფში არიან მოქცეულნი.

გონიერ და არაგონიერ არსებად დაყოფვა სხვა ენებში მიღებულს სქესის განრჩევას არ უდგება და ამის გამო აქ უფრო ცნებათა კატეგორიის განრჩევაზე შეიძლება იყოს საუბარი.

უკვე უ ს ლ ა რ მ ა აღნიშნა, რომ თანამედროვე აბხაზურს არც არსებითსა და არც ზედსართავ სახელებში მამრობითი და მდედრობითი გრამ. სქესის გამოსახატავად არავითარი ნიშნები არ აბადიაო (აბხ. ე. § 8 და 68). ამის მაგიერ ადამიანთა და ცხოველების მამრ. და მდედრ. სქესის აღსანიშნავად აბხაზური მამალ-დედლობის მაუწყებელ სიტყვებს ურთავს ხოლმე.

მაგ. ცხოველთა მამრ. სქესის გამოსახატავად ა—აბ იხმარება, რომელიც მამახა ჰნიშნავს, და მამრისავე გამომხატველი აბალ‹, ან ლ‹. სამივე იმ სიტყვის ბოლოს ისმის ხოლმე, რომლის მამრობითობის აღმნიშვნელიც უნდა იყოს. მაგ. თხა ჰაბ, მამალი თხა ჰაბალ‹, ცხვარი ათჷ, ვერძი, მამ. ცხვარი, ათჷლ‹, — მამ. კურდღელი აჟაბალ‹ (აბხ. ე. § 68).

ფრინველთა მამლობის აღსანიშნავად ჰარბალ‹-ია მიღებული (აბხ. ე. § 68 და დ ო ნ დ უ ა რ.-აბხ. ლ. 56).

ცხოველთა დედლობის გამოსახატავად აბხაზურში ორი სიტყვა იხმარება: ან, რომელიც დედასა ნიშნავს, და ფს, რომელიც აგრეთვე სიტყვის ბოლოს ერთვის ხოლმე. მაგ. ძაღლი ალა, ძუკნა ძაღლი ალაფს, კურდღელი აჟა, დედ. კურდღელი აჟაფს,—ვირი აჩადა, ჱაკი ვირი—აჩადაფს (აბხ. ე. § 68).

შინაური პირუტყვის ნერბობის გამოსახატავად აჩშა, ფრინველის დედლობისათვის-კი ჰარცნა-ს ხმარობენ, რომელნიც აგრეთვე ბოლოს ერთვიან ხოლმე (დონდ. რ.-აბხ. ლ. 56). მაგ. თუ ზოგადად ქათამს აბხაზურად აკუტჷ ჰქვიან, მამალს ეწოდება აკუტჰარბალ‹, დედალს-კი აკუტჰარცნა (აბხ. ე. § 68).

ზემომოყვანილითგან ჩანს, რომ აბხაზურს ამნაირ შემთხვევაში, გრამატიკული სქესის მაგიერ, მამრობისა და მდედრობის აღმნიშვნელი სიტყვები აქვს გამოყენებული.

გრამ. სქეს-კატეგორიის მსგავსი მოვლენა აბხაზურს მხოლოდ ზოგიერთი პირის ნაცვალსახელებში უჩანს. მხ. და მრ. რიცხვების პირველი პირის ნაცვალსახელი ორივე სქესისა და ორივე, გონიერ და არაგონიერ, არსებათა კატეგორიისათვის საერთოა. ასევე მხოლოდ ერთი ფორმა არსებობს მრ. რიცხვის მეორე და მესამე პირების ნაცვალსახელებისათვის.

სამაგიეროდ მხ. რიცხვის მეორე და მესამე პირის ნაცვალსახელები სხვადასხვაა სქესისა და კატეგორიისდა მიხედვით. მაგ., როდესაც შენ მამაკაცს გულისხმობს, აბხაზურად ჟარა იხმარება, ხოლო როცა დედაკაცს, მაშინ —ბარა. აქ ამ ორი სქესის განმასხვავებელი მხოლოდ თავკიდური ჟ და ბ ბგერებია, რომელთაგან პირველი მამრობითობის გამომხატველი გამოდის, ბ-კი მდედრობითობისა.

მხ. რიცხვის მესამე პირის ნაცვალსახელი ის არის ორივე სქესისა და კატეგორიისათვის: საერთოც უჲ და განსხვავებულიც. თუ ის ქალსა გულისხმობს, მაშინ ლარა-საც ხმარობენ (აბხ. ე. § 6). ამ ნაცვალსახელის მეორე პი-

რის ნაცვალსახელ ჟარá და ბარá-სთან შედარება ცხადჰყოფს, რომ ერთად-ერთი მათი განმასხვავებელი ბგერა აქაც თავკიდური ლ არის, რომელიც ამ შემთხვევაში მდედრ. სქესის აღმნიშვნელი გამოდის.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ თანამედროვე აბხაზურში ჟ, ბ და ლ ბგერებს სხვაგან არსად ასეთი, სქესის გამომხატველი, მნიშვნელობა არა აქვს.

ზემოაღნიშნულს გარდა, აბხაზური ცნებათა ორ კატეგორიასაც არჩევს: ყოველივე არსი, ან გონიერ, ანდა არაგონიერად ითვლება. ამ ორი კატეგორიის განრჩევა რიცხვითს სახელებში გარეგნულადაც გამოიხატება. როდესაც ამბობენ ერთი-ო, თუ ადამიანი იგულისხმება, მაშინ უნდა ითქვას აძრζ, ხოლო თუ პირუტყვია, ანდა საგანი, მაშინ აკζ (აბხ. ე. § 90).

ამგვარადვე ორი, თუ არაგონიერისათვისაა, ჯბა იქმნება, ორი გონიერი-კი ჭζჯა, სამიც, თუ არაგონიერს ჰგულისხმობს ხფა არის, თუ გონიერს — ხჯζ (იქვე).

დანარჩენ, არაგონიერთა აღმნიშვნელ, რიცხვითს სახელებს თერთმეტამდის ყველას ბოლოში ბა მარცვალი უზის, მაგ.: 4—ფშıბა, 5 — ხუბá, 6—ფბა, 7—ბჟıბა, 8—ააბá, 9—ჟıბა და 10—ჟıაბá.

გონიერ არსებათა აღმნიშვნელ რიცხვითს სახელებს 4—10-მდე ბოლოკიდურ მარცვლად, ბა-ს მაგიერ, ჯζ მარცვალი აქვს, მაგ.: 4—ფშıჯζ, 5—ხუჯζ, 6—ფჯζ, 7—ბჟჯζ, და სხვაც ამნაირადვე (აბხ. ე. § 90).

გონიერ არსებათა აღნიშვნა აბხაზურმა ზმნაშიც იცის, სახელდობრ მესამე პირის ფორმაში დζ ელემენტის საშუალებით, რომელიც თავსართის სახით იხმარება. მაგ. რომ კარგი ა-ბზიá ავიღოთ და ვთქვათ: „ის (მამაკაცი) კარგი არის", აფხაზურად იქმნება უá დζბზიáოუპ, ანდა „ის (დედაკაცი) კარგი არის" ლარá დζბზიáოუპ,—ხოლო როდესაც „ის (არაგონიერი არსება ან საგანი) კარგი არის", ითქმის უá ბზიáოუპ (აბხ. ე. § 10).

დζ თავსართი ორსავე ზემომოყვანილ შემთხვევაში გონიერი არსების კატეგორიის გამომსატველი ნაწილაკია. მაგრამ ზმნის არც ერთი სხვა პირისათვის, მესამის გარდა, არც ეს დζ თავსართი, არც სხვა რაიმე ნიშანი გონიერ არსებ თა გამოსახატავად არ გვხვდება (იქვე).

ზემომოყვანილი მიმოხილვა დაარწმუნებს ადამიანს, რომ აბხაზურს გრამატიკული სქესის მხოლოდ ოდნავი კვალი-ღა ემჩნევა.

უბიხურ ენას, როგორც პ. უ ს ლ ა რ ს აქვს აღნიშნული, სქეს-კატეგორიის განსხვავება და ნიშნები არ მოეპოება. ეს მის მიერ ჩაწერილი მაგალითებითგან მართლაც ნათლად ჩანს.

ჩემი ძმის ცოლი სულáე, ან სζლჟა სζჯიტლან ζგაპხáშ.
ჩემი ძმის ცხენი სულáე სζჯიტლან ζგაჩჩζ.
ჩემი ცოლის ძმა სულáე სζპხáშძუნ ζგაჯიტლა.
ჩემი დის ცხენი სულáე სζჯეპხძან ζგაჩჩζ.
შენი მამის ცხენი ვულáე ვუფძუნ ζგაჩჩζ.
მისი მამის ცხენი ინენ ζგაფძუნ ζგაჩჩζ.
მისი დედის ცხენი ინენ ζგანენ ζგაჩჩζ
ჩვენი ძმების ცხენი შილáე შიჯიტლანá აζζჩჩζ.
ჩვენი დების ქმრები შილáე შიოეჯეპხენა აζζოუკობჟა (უბიხ. ენა. გვ. 87—88).

ყველა მაგალითებში კუთვნილებითი ნაცვალსახელოვანი თავსართები ს, ვ, გ და შ სქესისდა მიუხედავად უცვლელი რჩება. მაშასადამე, სქეს-კატეგორიების უქონლობით უბიხური მის მოძმე აბხაზურისაგან, რომელსაც სქეს-კატეგორიები, ნაწილობრივ მაინც, აბადია, თვალსაჩინოდ განსხვავდება.

ადიღეურმა, ანუ ჩერქეზულმა ენამაც სქესის განრჩევა არ იცის (Л ю л ь е, Словарь русско-черкесский с краткою грамматикою. Одесса. 1846 წ. გვ. 4). სქესის აღსანიშნავად ამის მაგიერ მამლობისა და დედლობის სიტყვები ერთვის ხოლმე. სახელდობრ მამრის გამოსახატავად ხუო, ანდა ხუ არის განკუთვნილი (რ.—ჩერქ. ლ. 185), მდედრისათვის ბზე (იქვე 105 და 152—3). მაგ.: ძაღლს ჩერქეზულად ხა ეწოდება, ძუკნა ძაღლს-კი ხაბზე (იქვე, 105), — ზროხას — ტცვ ჰქვიან, მეხრეს-კი ცვახუო (იქვე. 25), ღორს კხო-ს ეძახიან (იქვე, 85), მამალ ღორს და ტახს-კი — კხოხო-ს (იქვე, 9).

ყაბარდოულსაც გრამატიკული სქესი არ აბადია და არც საამისო ნიშნები მოეპოვება. დედლისა, თუ მდედრობითი სქესის გამოსახატავად სუფიქსი აბზ და ჸბზ იხმარება, მაგ. მგელი — დუღუზ, დედალი მგელი — დუღუზჸბზ, ქურდი—დჸლ, ქურდი დედაკაცი—დჸლურაბზ (ყაბ. გრ. გვ. 40).

§ 2. გრამატ. სქეს-კატეგორიები ღილღურში

ჩაჩნურს გრამატიკული სქეს-კატეგორიები მოეპოვება, მეტად უხვადაც-კი. ეს გარემოება პირველად აქაც ჯერ შიფნერმა, ხოლო შემდეგ უკვე ვრცლად უსლარმა აღნიშნეს, ისევე როგორც ამ მოვლენის თავისებურებაც, სახელდობრ, რომ გრამ. სქესის ნიშნები თავსართის სახით აქვს.

ჩაჩნურში ვ მამრობითი სქესის თავსართია, ჲ კიდევ მდედრობითისა. მხოლოდ ეს ორი ბგერა სცვლის ხოლმე ფუძის მნიშვნელობას და სიტყვას, ან მამრობითად, ანდა მდედრობითად ჰხდის, მაგ. ვაშა ჰნიშნავს ძმას, ჲიშჾა, რომელიც უეჭველია პირველადი „ჲაშჾა“ და „ჲეშჾა“- საგან უნდა იყოს წარმომდგარი, დას ჰნიშნავს.

ეხლანდელი ჲიშჾა-ს ფორმა რომ ჲაშჾა-საგან არის მართლაც წარმომდგარი, ამას წოვურიც ამტკიცებს, სადაც გჰლდენშტედტისა და კლაპროთის თანხმობრივი მოწმობით დას ჲაშო (Iascho, Iacho) ეწოდებოდა (Reise II 506 და Voyage II, 372).

ამგვარადვე ძეს ეწოდებოდა ვუოგ, ჲუოგ-კი ასულს[1].

---

[1] გჰლდენშტედტსა და კლაპროთს ჩაჩნურ და ქისტურ სახელად ჩაწერილი აქვთ უა („Ua“ „oua“), ხოლო წოვურად უოე. ასულის ჩაჩნურ და წოვურ სახელად ამავე ავტორებს ჲოჰე („Iohe“) აქვთ აღნიშნული, რომელშიც „ჰ“ შესაძლებელია და საფიქრებელიც, რომ გ ბგერასაც გამოჰხატავდეს და ჲოგ იგულისხმებოდეს. ქისტურად-კი გჰლდენშტედტს ჲუგიკ „Iugik“, ხოლო კლაპროთს ჲუღიკ „youghik“-ი აქვთ დასახელებული. (R. II, 506 და V. II, 362). შიფნერსაც ასულის სახელად ჲოგ, Ioh აქვს მოყვანილი, რომლის ძირად ჲაგ მიაჩნია (Thusch. 152.) ამავე სახელისაგან ნაწარმოებია ქალწულება ჲაგლობ (იქვე). ხოლო ვაჟიშვილს უოგ-ს ეძახიან. მის ძირადაც იგივე მკვლევარი უაგ-ს სთვლიდა. აქედგან ნაწარმოები ყოფილა უაგლობ (იქვე, 157).

უკვე უ ს ლ ა რ მ ა შეამჩნია, რომ თავკიდური ვ და დ ბგერები ზემომოყვანილ ოთხ სიტყვაში ძირეული არ უნდა იყოს. ვაშა-ს მნიშვნელობის განმარტებაში ნათქვამი აქვს: „ამ სიტყვაში ვ მოძრავია, რაც ·დის სახელ დიშა-თიც ირკვევა“-ო (ჩაჩ. ე. 164). სხვა ადგილას-კი აზრი უფრო მკაფიოდ აქვს გამოთქმული: დის აღმნიშვნელ სიტყვა დიშა-ში „დ ალბათ მდედრობით სქესს ჰნიშნავს“-ო (იქვე, 183).

ასევე მსჯელობდა უ ს ლ ა რ ი ძისა, ვუოგ-ისა, და ასულის, დუოგ-ის, მნიშვნელობის განმარტების დროსაც (იხ. იქვე, 165 და 183).

ამაზე შორს უ ს ლ ა რ ს თავისი გონებამახვილი დაკვირვება არ წაუყვანია. პირიქით, მას თავის ჩაჩნურ გრამატიკაში გრამატიკული სქესისა და კატეგორიების გარკვევის იმედი თითქმის დაჰკარგვია. მას აღნიშნული აქვს, რომ **ჩაჩნურს ექვსი სქეს-კატეგორია გააჩნია: პირველი გონიერ არსებათა მამრობითი, ხოლო მეორე მდედრობითი სქესებია.**

1. **მამრობითი სქესის** აღსანიშნავად **მეშველ ზმნის ფორმად მხოლობითი რიცხვის სამივე პირისათვის ერთი-და-იგივე ვუ იხმარება, ხოლო 2. მდედრობითისათვის ამნაირადვე მარტო დუ.** მრავლობითს რიცხვში ორივე სქესისათვის ერთი-და-იგივე ფორმაა დუ (იქვე, 9 – 10 და 70).

მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კატეგორიის სიტყვები სულდგმულთა, უსულო საგნებისა და განყენებულ ცნებათა გამომხატველებია. ამათგან განყენებულ ცნებათა სახელებთან, რომელთაც **ლა** დაბოლოება აქვთ, იგივე მეშველ **ზმნად მიჩნეული დუ იხმარება,** რომელიც მდედრობითი სქესისათვის არის განკუთვნილი (იქვე, გვ. 11—12).

მაგ. **„მამა არის“** და **ვუ, დედა არის — ნანა დუ, მთიელი არის — ლამარუო ვუ, ქვრივი ქალი არის — ჯიერუო დუ** და სხვ (იხ. იქვე § 9—10).

სქესის განრჩევა დაცულია მხოლოდ გონიერ არსებათათვის, პირუტყვებისათვის ეს სავალდებულო არ არის (იქვე, § 12).

მე-3 და 4 კატეგორიათა ნიშნებად იხმარება „დ“ და **„ბ“** რომელთა დანიშნულების გამორკვევა ისევე, როგორც მე-5 და 6 კატეგორიებისა, ძნელიაო (იხ. § 11 — 14).

რიცხვითს სახელებს, ოთხის გარდა, სქეს-კატეგორიები ჩაჩნურში დაკარგული აქვთ (იქვე, § 44).

თავსართოვანი სქეს-კატეგორიების არსებობა პირველად, როგორც უკვე ვიცით, აკად. ა. შ ი ფ ნ ე რ-მა აღნიშნა თავის 1856 წ. ნაშრომში Versuch über die Thusch-Sprache oder die Khistinische Mundart in Thuschetien **„თუშური ენის, ანუ თუშეთის ქისტური კილოკავის (შესწავლის) ცდა“**, რომელიც რუს. სამეცნ. აკადემიის „მემუარებში“ დაბეჭდა. (Mémoires de l' Académie Impér. des sciences de St. — Pétersbourg, VI série. Sc. politiques etc. t. IX).

შ ი ფ ნ ე რ ი ს ცნობით **წოვურს,** რომელსაც ის თუშურს უწოდებს, **ოთხი სქეს-კატეგორია** აბადია: **პირველს ადამიანთა და საერთოდ მამრ. ·სქესი** შეადგენს, რომელსაც **ნიშნად ვ თავსართი აქვს, — მეორეს — მდედრობითი სქესი,** რომელსაც **დ თავსართი აქვს, — მესამე სქეს-კატეგორიას ცხოველთა და მცენარეთა სახელები** ეკუთვნიან, რომელთაც **თავსართად ბ ერთვის, — ხოლო,**

მეოთხე სქეს-კატეგორიად უმასაკოთა და უსქესოთა სახელები ითვლება, რომელთაც და თავსართი აქვთ მრავლობითს რიცხვში, ხოლო 1 სქესისათვის ბა თავსართი, მე-2-ისათვის და და ჲა, მე-3-ისათვის და, ბა და ჲა, მე-4 სქეს-კატეგორიისათვის-კი მრავლობითში იგივე და იხმარება, რომელიც მხოლობითშია (იქვე, § 81—86). დ ი რ რ ი ჩაჩნურში 8 სქეს-კატეგორიასაც-კი სთვლის. სქეს-კატეგორიის თავსართები ზედსართავსა და ზმნის ფორმებს აქვს ხოლმე, არსებითს სახელს კი რომ ჰქონდეს, მეტად იშვიათი შემთხვევაა. მაგ. „ძმა არის“ ვაშო ვა, „ქალი არის“ ბსტუინო ჲა (იქვე, § 81), „ძმები არიან“ ვაშარ ბა, „ქალები არიან“ ბსტეი და (იქვე).

„მტრედი არის“ კაუკ ბა, „მტრედები არიან“ კაკაირჴ და, „ხარი არის“ ბხტუ ბა, „ხარები არიან“ ბსტარჴ და, „გზა არის“ ნიყ ბა, „გზები არის“ ნაყიშ ბა, „ბაშვი არის“ ბადერ და, „ბაშვები არიან“ ბადრი და, „ხბო არის“ ასე და, „ხბორები არიან“ ასი და (იქვე, § 81).

§ 3. გრამატიკული სქეს-კატეგორიები ლეგურ თანამედროვე ენებში

I. ენათა დასავლური ჯგუფი

დაღისტნის ლეგურ ენათა უმეტესობას გრამ. სქეს-კატეგორიები აბადია, მაგრამ ამ სფეროში აქ დიდი სხვადასხვაობაც არსებობს.

ლუნძურს სამი სქესი აქვს: 1) მამრობითი, 2) მდედრობითი და 3) საერთო, რომელსაც არაგონიერი არსებანი, უსულო საგნები და განყენებული ცნებანი მიეკუთვნებიან. მამრობით-მდედრობითი სქესის განრჩევა პირუტყვებს არ ეხებათ.

მამრობითი სქესის გამომხატველ ნიშნად ვ ან უ არის, ხოლო მდედრობითი სქესისათვის — ჲ და საერთოსთვის ბ.

მრავლობითს რიცხვში სქეს-კატეგორიის განრჩევა ქრება და სამივეს საერთო რ ნიშანი აქვს.

მაგ. ვაც ძმა, ჲაც დბ, ხოლო ცხოველთა და-ძმაზე ამბობენ ბაც.

მშიერი (მამაკაცი) ვა̂ყარაუ, მშიერი (დედაკაცი) — ჲა̂ყარაუ, მშიერი (ცხოველი) — ბა̂ყარაბ.

ის (მამაკაცი) დოუ, ის (დედაკაცი) დოჲ, ის (საგანი და პირუტყვი) — დობ.

ზემომოყვანილი მაგალითებიდან ცხადი შეიქმნებოდა, რომ ძმისა და დის სახელს ისევე, როგორც ზედსართავს მშიერ-ს, სქესის ნიშნები ვ, ჲ და ბ თავსართის სახით აქვთ, პირიქით ჩვენებითს „ის“ ნაცვალსახელში სქესის უ, ჲ და ბ ნიშნები ბოლოსართებად გვევლინება და ამნაირადვე „ის“ (მამაკაცი) იქნება აუ, „ის“ (დედაკ.) — აჲ და „ის“ (ბაშვი) — აბ. მაგრამ ხშირად სქესი აღუნიშვნელია (იქვე § 25—28).

ანდი-დიდოურ ენათა ჯგუფს საერთოდ სამი სქეს-კატეგორია აქვს, ანდიურსა, ახვახურსა, დიდოურსა და ქაფუჩურს გარდა, რომელთაც ოთხი სქეს-კატეგორია გააჩნიათ.

სამ სქეს-კატეგორიან ენებს პირველი კატეგორიისათვის ჳ, ან ვ, ანდა უ აქვთ, მეორისათვის ჲ, მესამისათვის ბ, ხოლო მრავლობითს რიცხვში ყველა სქეს-კატეგორიისათვის საერთოდ რ იხმარება, რომელიც ზოგჯერ ლ-დ იქცევა ხოლმე.

ოთხ-სქეს კატეგორიან ენებს იგივე ნიშნები აქვთ, იმ განსხვავებით, რომ მეოთხე სქეს-კატეგორიისათვის მხ. რ-შიც და მრ. რ.-შიც ნიშნად რ, ან ლ იხმარება.

ზედსართავსა და რიცხვითს სახელებში სქეს-კატეგორიები ჩვეულებრივ ბოლოსართების სახით იხმარება, ზმნაში-კი თავსართების სახით არის წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ სქეს-კატეგორიები ზედსართავსა, რიცხვითს სახელებში და ზმნებშია მიღებული, მაგრამ ზედსართავ სახელებსა და ზმნებს ყველას კი არა აქვთ, არამედ ზოგსა აქვთ, ზოგს კი არა.

დიდოურსა, ხვარშულსა და ბეჟიტლურ-ქაფუჩურში რიცხვითს სახელებში სქეს-კატეგორიის გარჩევა არ არის და მხოლოდ ერთი ფორმა არსებობს (იხ. Мат. для изуч. языков и наречий андо-дидойской группы. გვ. IV 1, 2, 5, 6, 12, 13, 15, 16, 22, 23, 25, 26, 33, 34, 36, 37, 42, 43, 46, 47, 52, 53, 54, 56, 57, 59, 61, 63, 65, 66, 68, 70, 79, 80).

ბეჟიტლურ-ქაფუჩურში ზედსართავ სახელს სქეს-კატეგორიის ნიშნები თავსართების სახით აქვს წარმოდგენილი, მაგალითად:

მხ. რ.

დიდი: 1. სქეს-კატეგორიის—უყო.
2. ჲუყო.
3. ჲუყო.
4. „ ბუყო.

მრ. რ.

1. და 2 სქეს კატ. ბუყა.
3. და 4 „ ჲუყა (Мат. андо-дид. гр. 80).

ხოლო ანდი-დიდოურ ენათა ჯგუფის ბაგულაზურში სქეს-კატეგორიის ორმაგი ნიშანი, თავსართებისაცა და ბოლოსართების სახითაც, იხმარება, მაგ. ძველი:

1. სქეს-კატეგორიის—ვაჰარუ.
2. „ —ჲაჰარჲ.
3. „ „ —ბაჰარუბ.

მრ. რ. პირველი და მეორე სქეს-კატეგორიისა—ბაჰარუბ, მესამე სქეს-კატეგორიისა რაჰარურ (Мат. андо-дид. гр. გვ. 44).

II. დაღისტნის შუაგულისა და ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ენათა ჯგუფი

ღუმუქურში 4 სქეს-კატეგორია არსებობს.

1. პირველ სქეს-კატეგორიას მამრობითი სქესის გონიერ არსებათა სახელები ეკუთვნიან და ნიშნად მხოლოობითს რიცხვში ვ იხმარება, მრავლობითს რიცხვში-კი ბ, -ა, ი და უ-ხმოვან-თავკიდურიან სიტყვებს მამრობითი

სქესის თავსართი არ ერთვის ხოლმე. მაგ. მარტოხელ· ადამიანი აჰსხა ადამინა, ადამიანი არის — ადამინა ური, კაცები არიან — რანთალ ბური [1].

ზოგს ზედსართავ უკუქცევით ნაცვალსახელებსა და რიცხვითს სახელებს მხოლოობითი რიცხვის მამრობითი სქეს-კატეგორია ვ, ვა ბოლოსართით გამოეხატება ხოლმე, რომელიც ზედსართავ სახელებს ფუძეს შემდგომ და დაბოლოების წინ ერთვის [2]. მაგ. მე თითონ, თუ მამაკაცი ამბობს, იქმნება ნავავა, თუ მდედრ. სქესის არსება, ნარარა, თუ მესამე სქეს-კატეგორიისა ნაბაბა. ამნაირადვე გუშინდელი მამრ. სქ. იქმნება ლახცხცუვასთა, მდედ. სქ. ლახცხცურასთა, მესამე სქეს-კატ. ლახცხცუბასთა.

2. მეორე სქეს-კატეგორიას მდედრობითი სქესის გონიერ არსებათა სახელები ეკუთვნიან და მხოლოობითს რიცხვში ნიშნად დ, ან რ, ხოლო მრავლობითს რიცხვში ბ აქვთ. მაგ.: დედა არის — ნინუ დური, დედები არიან — ნინუკლუ ბური, დედაკაცი არის — შშარხთა დური [3].

აღსანიშნავია, რომ უჰასაკოთა და გაუთხოვარი ქალის და გათხოვილისაც შვილიერებამდე, აგრეთვე ცხოველთა სქესს, ლუმუქური არ არჩევს. მაგ. ქალწული — დუშ, და — სთუ, ახალ-ჯვარდაწერილი რძალი — წიქური, ბაშვი, ნორჩი — ჭრჰ არც მდედრობითსა და უკანასკნელი არც მამრობით სქესს არ ეკუთვნიან, არამედ მესამე და მეოთხე სქეს-კატეგორიებს, რომლებშიც პირუტყვები, უსულო საგნები და განყენებულ ცნებათა სახელებია მოქცეული (ლუმუქ. გრ. გვ. 10—12).

მესამე სქეს-კატეგორიას ნიშნად მხოლოობითსა და მრავლობით რიცხვში ბ აქვს, მაგ. ცხენი არის ჩუ ბური, ცხენები არის დუჩრი ბური (ლუმუქ. ე. 9).

მეოთხე სქეს-კატეგორიაში-კი ორივე რიცხვისათვის ნიშნად დ არის, მაგ: თმა არის — ჰარა დური; თმებია — ჰარჰრდუ დური (იქვე).

უ ს ლ ა რ ი ს სიტყვით ლუმუქური ენის სათანადო შეუსწავლელობა ჯერ საშუალებას არ გვაძლევს გამოვარკვიოთ, თუ რა პრინციპზეა მესამე,

[1] ნამყო სრულში და მისგან ნაწარმოებ ფორმებს მამრობითი სქეს-კატეგორიის ნიშანი უ წინდებულიან ზმნებში წინდებულის შემდგომ ზმნის ძირის წინ ისმის. უ ს ლ ა რ ი ს სიტყვით უ ზმნის ძირის ბოლოკიდური თანხმოვნის წინ ისმის. ამის დამამტკიცებელ მაგალითებად მას მოყვანილი აქვს: ადამიანი იყო — ადამინა იუკრი (იკან — ყოფნა, ძირი იკ არისო) ადამიანი გაიქცა — ადამინა ლიუკრი (← ლიკან, ← ლიკ), მაგრამ გამონაკლისიც არისო (ლეკ. ე. 12—13). ამ ფორმებსა და საკითხს მათი აგებულების გამოსარკვევად ჯერ განსაკუთრებული შესწავლა სჭირდებათ.

[2] ლ და ნ-ს შემდგომ იმგვარადვე, როგორც კანკლედობის ბრუნვათა ფორმებში, ეს ვ ქრება, მაგ. მე თვითონ — ნავა, ერთი — ცავა, გუშინდელი — ლახცხცუვასთა (← გუშინ - ლახცხცუ) ტტულვა-ს მაგიერ ტტულა, ტტუნვა-ს მაგიერ — ტტუნა და სხვა (გვ. 13).

[3] იმგვარივე, როგორც მამრობით სქეს-კატეგორიაში, ჯერ გამოურკვეველი წარმოება აქვს ნ-მყო დროსა და მისგან წარმომდგარ ფორმებს მდედრობითს სქეს-კატეგორიანებსაც. უ ს ლ ა რ ს ა აქვს აღნიშნული, რომ ნამყო სრულსა და მისგან ნაწარმოებს მდედრობითი სქესის ფორმებში, თუ ზმნა ხმოვნით იწყება, თავში დ ერთვის, ხოლო ზმნის ძირის ხმოვნის შემდგომი თანხმოვნის წინ რ დაისმის ხოლმე, მაგ. დედაკაცი იყო — შშარსთა დირკრი, — დედაკაცი გაიქცა შშარსთა ლირკრი. მაგრამ იმავე მკვლევარის სიტყვით გამონაკლისებიც ყოფილა (ლუმუქ. გრ. გვ. 14). ყველა ამ ფორმებს ჯერ კიდევ სათანადო ანალიზი სჭირდება.

ან მეოთხე სქეს-კატეგორიისათვის ამა თუ იმ სიტყვის მიკუთვნილება, და ამ ჟამად მხოლოდ პრაქტიკულ მოსაზრებათა გამოთქმა შეიძლება: ყველა პირ-უტყვთა სახელები, სქესისდა მიუხედავად, მესამე სქეს-კატეგორიას ეკუთვნის (დუმუქ. ე. გვ. 10). ხილული, ბუნებრივი საგნების სახელების მომეტებული ნაწილი მესამე სქეს-კატეგორიასვე ეკუთვნიან, მაგრამ ზოგიერთი სიტყვა მეოთხე სქეს-კატეგორიაშია მოქცეული.

ადამიანისა დი პირუტყვთა სხეულის ნაწილებისა, აგრეთვე მცენარეე-ბისა და ადამიანის ნამუშავრის სახელები ზოგი მესამეს, ზოგი-კი მეოთხე სქეს-კატეგორიას ეკუთვნიან.

მეოთხე სქეს-კატეგორიას ეკუთვნიან ყველა განყენებულ ცნებათა სახე-ლები, რომელთაც ბოლოსართად აბუ აქვთ, იმგვარადვე, როგორც დროის აღმ-ნიშვნელი ტერმინები და ნივთიერებათა სახელების დიდი უმრავლესობა (დუ-მუქ. ე. გვ. 10—12).

არჩულ ენაში 4 სქეს-კატეგორიაა.

1. პირველ სქეს-კატეგორიას ეკუთვნის მამრობითი სქესის ყველა გო-ნიერ და სქესობრივად სრულჰასაკოვან არსებათა სახელები. ნიშნად მას ჟ ან უ აქვს, მაგ. მამა არის—აბტუ ანდა უმა ჟი, ჩემი მამა ჟის აბტუ, დიდი (მდიდა-რი) კაცი—დოზუჟ ბუშორ, მოხუცებული კაცი—ხალატტუჟ ბუშორ და სხვა.

2. მეორე სქეს-კატეგორიას ეკუთვნიან მდედრობითი სქესის გონიერ, სქესობრივად სრულჰასაკოვან არსებათა სახელები და მის ნიშნად თავსართის სახით დ იხმარება, ხოლო ბოლოსართის სახით რ, მაგ. დედა არის—ეძტტურ დი, ჩემი დედა დის ეძტტურ, დიდი (მდიდარი) დედაკაცი—დოზურ ტხლიონოლ, ახალგაზრდა დედაკაცი—ჯაჰილლურ ტხლიონოლ და სხვა.

3. მესამე სქეს-კატეგორიას ყველა სრულჰასაკოვან ცხოველთა სახელე-ბი ეკუთვნიან სქესისდა მიუხედავად და ბევრი საგნების სახელებიც. ამ სქეს-კატეგორიის ნიშნად თავსართისა და ბოლოსართის სახით ბ იხმარება, მაგ. ცხენი არის—ნოშ ბი, დიდი ცხენი—დოზუბ ნოშ, ბებერი ცხენი—ხალატ-ტუბ ნოშ და სხვა.

4. მეოთხე სქეს-კატეგორიას გონიერ და არაგონიერ ყველა სქესობრი ვად სრულჰასაკიან არსებათა და ყველა იმ ნივთებისა, თუ საგნების სახე-ლები შეადგენენ, რომელნიც სხვა სქეს-კატეგორიებს არ ეკუთვნიან.

მეოთხე სქეს-კატეგორიის ნიშნად თ იხმარება, მაგრამ მხოლოდ ბოლოსარ-თის სახით, თავსართად არავითარი ნიშანი არ არსებობს, მაგ. ყმაწვილი არის—ლო ი, დიდი ხბო—დოზუთ ბიშ, პატარა კვიცი—ტიიტტუთ ური და სხვ.

ა. დირრსაც, პ. უსლარსაეით, აღნიშნული აქვს, რომ გაუგება-რია, თუ რა პრინციპზეა დამყარებული ამა-თუ-იმ სახელის მესამე, თუ მეოთხე სქეს-კატეგორიისათვის მიკუთვნება (არჩული ენა, გვ. 3—4).

მრავლობითს რიცხვში ყველა სქეს-კატეგორიისათვის ერთი ბ ნიშანი არსებობს (იქვე).

სქეს-კატეგორიების ნიშნების ხმარება არჩულში ძალიან არის გავრცელე-ბული და თითქმის ყველა სახაუბრო ნაწილებშია მიღებული, მაგ. ზედსარ-თავსა და რიცხვითს სახელებში, ნაცვალსახელებში, ზმნაში და მიმღეობაში. ეს ნიშ-

ნები ორნაირი სახით გვევლინება: ან თავსართებისა, ანდა ბოლოსართების სახით. ისეთი შემთხვევებიც არის ხოლმე, როდესაც ერთსა-და-იმავე სიტყვას, ერთსა-და-იმავე დროს სქეს-კატეგორიის ერთი-და-იგივე ნიშანი თავსართისა და ბოლოსართის სახითაც აქვს (არჩული ენა გვ. 23).

მაგ. ზოგ ზედსართავ სახელს სქეს-კატეგორიის ორმაგი ნიშნები თავსართისა და ბოლოსართის სახით, მე-4 სქეს-კატ. გარდა, რომელსაც მარტო ბოლოსართი მოეპოვება, ერთსა-და-იმავე სიტყვაში, ერთსა-და-იმავე დროს ასე აქვთ ხოლმე:

		მხ. რ.	მრ. რ.
მძიმე:	1 სქეს-კატ.	ჟილდუჟ	ბილდიბ
	2	დილდურ	
	3	ბილდუბ	ილდიბ
	4	ილდუთ	
ბევრი	1	ჟახტუჟ	ბახტიბ
მრავალი:	2	დახტურ	
	3	ბახტუბ	ახტიბ
	4	ახტუთ	
ტკბილი	1	ჟიზდუჟ	ბიზდიბ
ხასიამოვნო:	2	დიზდურ	
	3	ბიზდუბ	იზდიბ
	4 „	იზდუთ	(არჩ. ენა 23)[1].

ა. დირრს სწორედ აქვს აღნიშნული, რომ ბოლოსართიან სქეს-კატეგორიის მქონებელ ზედსართავ სახელებს მრ. რიცხვში ყველა სქეს-კატეგორიისათვის მხოლოდ ერთი ფორმა აქვთ, მაგრამ ორმაგი სქეს-კატეგორიის ნიშნე-

---

[1] ა. დირრი, რომლის ნაშრომითგანაც ეს მაგალითებია ამოღებული, ფიქრობდა, რომ არჩულ ენაში სამმაგი სქეს-კატეგორიის მქონებელი ზედსართავი სახელებიც-კი გვხვდებაო. ამ თავისი აზრის დამამტკიცებელ საბუთად ერთი მაგალითი აქვს მოყვანილი:

მარტივი, 1 სქეს-კატ.—ჟ-აჰა ჟ-უტტუ-ჟ
ხადა, ლიტონი 2 „ „ —დ-აჰა-რ-უტტუ-რ
3 „ „ —ბ-აჰა-ბ-უტტუ-ბ
4 „ „ —აჰა-თ-ატტუ-თ

(არჩული ენა, გვ. 23). ამგვარად, დირრის სიტყვით ისე გამოდის, თითქოს ასეთ ზედსართავ სახელებს სქეს-კატეგორიის ნიშნები სიტყვის თავსა, შუაში და ბოლოში ერთვოდეს. მაგრამ აქ ეგონებ გაუგებრობა უნდა იყოს. თუ არ ვცდები, ჟაჰაჟუტტუჟ რთული, ორნაწილედი სიტყვაა და უნდა იყოს შემდგარი აჰატტ-ისა, რომელიც ცარიელსა ჰნიშნავს (იხ. არჩ. ე. ლექს. გვ 131) და უტტუ-საგან (იქვე, გვ. 185), რომელიც თავისთავად-ს ჰნიშნავს. ამნაირად მისი თავდაპირველი მნიშვნელობაა „თავისთავად, თავისთვის ცარიელი“ და აქეთგან უნდა იყოს ამ სიტყვის მეორადი მნიშვნელობა, მარტივი და ლიტონი, წარმომდგარი. ვითარცა ორნაწილედ სიტყვას, მის პირველ ნაწილს სქეს-კატეგორიის ნიშნები თავსართისა და ბოლოსართის სახით აქვს, ხოლო მეორე ნაწილს მარტო ბოლოსართის სახით. აქეთგან ცხადი ხდება, რომ სქეს-კატეგორიის სიტყვის შუაში ჩართულობის დებულება არჩულში შეცდომად უნდა იქმნეს მიჩნეული.

ბის მქონებელ სიტყვებს მრ. რიცხვში ორი ფორმა აქვთ: ერთი—პირველი და მეორე სქეს-კატეგორიებისათვის, მეორე-კი—მესამე და მეოთხე სქეს-კატეგორიებისათვის, (არჩ. ე. გვ. 23—24).

III. დაღისტნის ენათა სამხრეთ-აღმოსავლური ჯგუფი

კურული ენა, ვითარცა გურგანის ზღვის სანაპირომდე მობინადრე და უცხო ტომთა სხვადასხვა გავლენის ქვეშე მყოფი ტომის კუთვნილება, სხვა ლეგური ენებისაგან ზოგიერთი თვისებებით განსხვავდება. ყველაზე მეტად თურქული ენის ბატონობის კვალი ამჩნევია და თურქული ენა ამ ტომში ძალიან გავრცელებულია (უსლარის Кюринский язык გვ. 1, 2).

კურული ენის პირველ დამახასიათებელ თავისებურებად უნდა ის გარემოება ჩაითვალოს, რომ მას გრამ. სქესი არა აქვს იმ დროს, როდესაც დაღისტნის სხვა ენებში ამ სქესებრივ განსხვავებას მთელი ენის აგებულობისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს (უსლ. კურ. გვ. 21).

კურულში გონიერ არსებათა სქესის განსხვავებისათვის, ორგანული წარმოების მაგიერ, მხოლოდ სქესის გამომაქღავნებელი სიტყვები-ღა იხმარება (იქვე, 52).

პირუტყვთა სქესის აღსანიშნავადაც კი კურული, საკუთარის მაგიერ, თურქულ სიტყვებსა ხმარობს (იქვე, 53).

მაგრამ, **იმის და მიუხედავად, რომ რუთულური და წახურული „ენები“ კურულ ჯგუფს ეკუთვნიან, მათ სქეს-კატეგორიის გამრჩევი ნიშნები აბადიათ ბოლოსართების სახით.**

რუთულურს აქვს სქეს-კატეგორიების ნიშნები ბოლოსართების სახით ზედსართავსა და რიცხვით სახელებში, ერთისა, ათეულებისა, ასისა და ათასის გარდა, უკუქც. თვით **ნაცვალსახელში** და **ზმნაში.** სულ 4 **სქეს-კატეგორიაა: 1. პირველი—მამრ.** სქესის **გონიერ არსებათა** სახელებს შეიცავს, **2. მეორე—მდედრობითი სქესის გონიერ არსებათა სახელებს, 3. მესამეს**—, მცირე გამონაკლისს გარდა, **ყველა ცხოველების სახელები** ეკუთვნის და **4. მეოთხეს—ყველა დანარჩენი საგნებისა და ცნებათა აღმნიშვნელი სიტყვები.**

პირველი სქეს-კატეგორიის ნიშანია მხ. რ.-ში რ, რომელიც ზოგჯერ ქრება, **მრ. რ-ს-კი დ** აქვს,- მეორე სქესკატეგორიაში**—მხ. რ. რ** და **მრ.**-კი **რ. დ** არის.

მესამე სქეს-კატ. **მხ. რ.—ჟ** ან **ბ, მრ. რ.—დ,** რომელიც ზოგჯერ ქრება.

მეოთხე სქეს-კატ.**—მხ.** და **მრ. რ.—დ,** რომელიც **ორსავე რიცხვში ზოგჯერ ქრება.**

რიცხვით სახელებს პირველი და მეორე სქეს-კატეგორიისათვის აქვთ რ, მესამე სქეს-კატეგორიისათვის ბ და მეოთხისათვის დ, ზმნაში-კი პირველსა და მეოთხე სქეს-კატეგორიას მხ. რ-ში არავითარი ნიშანი არა აქვს, მეორე სქეს-კატეგორიისათვის რ იხმარება, მესამესთვის-კი ჟ ან ბ. ხოლო მრ. რ-ში პირველსა და მეორე სქეს-კატეგორიას დ აქვთ, მესამე და მეოთხე სქეს-კატეგორიებს-კი ნიშანი არ მეოპოვებათ (იხ. რუთ. ე. გვ. 4—5, 29—30, 48—49, 52, 61—63).

წახურულს 4 სქეს-კატეგორიის ნიშანი აბადია ბოლოსართების სახით' რომელნიც თითქმის ყველა სასაუბრო ნაწილებში იხმარებიან.

1. პირველ სქეს-კატეგორიას—მამრობითი სქესის გონიერ არსებათა სახელები ეკუთვნის.

2. მეორე სქეს-კატეგორიას — მდედრობითი სქესის გონიერ არსებათა სახელები.

3. მესამეს —, მცირე გამონაკლისს გარდა, ყველა ცხოველთა და ბევრ უსულო საგნების სახელები.

4. მეოთხეს — ყველა დანარჩენი.

პირველი და მეორე სქეს-კატეგორიის ნიშნად რ, მესამე სქეს-კატეგორიისათვის ბ და მეოთხისათვის დ იხმარება (იხ. წახურ. ე. გვ. 5—6, 27—28)

რიცხვითს სახელებს, ერთისა, ოცდაათითგან მოყოლებული ათეულებისა, ასისა და ათასის გარდა,—ყველა სქეს-კატეგორიის ნიშნები აბადიათ (იქვე, გვ. 50—51).

ზმნის ფორმებში სქეს-კატეგორიის ნიშნები უფრო მრავალრიცხოვანიცა და განსხვავებულიც არის: 1. პირველ სქეს-კატეგორიას მხ. რ., ან რ აქვს, ან არა აქვს,, მეორეს—ჲ, ან რ. მრავლობითს რიცხვში ორსავე სქეს-კატეგორიას ჟ, ან ბ აქვს.

მესამეს — მხ. რ-ში ბ, ან ჟ, მეოთხეს-კი, ან არაფერი აქვს, ან დ. ხოლო მრ. რ-ში მესამე და მეოთხე სქეს-კატეგორიებს, ან არაფერი აქვს, ან დ (იქვე, გვ. 59, 60—61).

თაბასარანულს სქესი არა აქვს და მხოლოდ ორი კატეგორია აბადია: ყველა სახელებს გონიერ და არაგონიერ არსებათა კატეგორიებად ჰყოფს. .

მხოლობითს რიცხვში გონიერთა კატეგორიისათვის ნიშნად რ არის, ხოლო არაგონიერთა კატეგორია ბÞ-ით აღინიშნება ხოლმე ბოლოსართის სახით. მრავლობითი რიცხვი კატეგორიას არ არჩევს და ორივე კატეგორიისათვის რ იხმარება, მაგ.: ერთი მამაკაცი—სარ არმი, ერთი დედაკაცი—სარ რიშ, ერთი ბიჭი—სარ ბიწიბაჲ, ერთი მგელი—საბÞ ჯანჟვარ, ერთი ძროხა—საბÞ ხინი, ერთი სახლი—საბÞ ხალ. (თაბას. ე. გვ. 9).

ამ ორი, გონიერ და არაგონიერ არსებათა, კატეგორიის ბოლოსართები რ და ბÞ თაბასარანულ რიცხვითს სახელებსაც, პირველითგან მოყოლებული სამოცამდე აქვს, შემდეგ-კი მხოლოდ ერთეულიან ათეულებსა აქვს, თვით ათეულებს და ასეულებს-კი, იმგვარადვე, როგორც ათასეულებს, ორივე კატეგორიისათვის მხოლოდ ერთი რ ბოლოკიდურიანი ფორმა მოეპოვებათ (თაბას. ე. გვ. 42—43). მაგ.: ერთი (გონიერი არსება)—სარ, ერთი (არაგონიერი არს.)—საბÞ,- ორი (გონ. არს.)—ყÞრ, ორი (არაგონ. არს.)—ყÞბÞ, სამი (გონ. არს.)—შÞიბბÞურ, სამი (არაგონ. არს.)—შÞიბბÞუბ და სხვა.

თაბასარანულ ზმნაში კატეგორიის ნიშნები ყოველთვის და ყველა ზმნის ფორმებში არ იხმარება, მაგრამ კატეგორიის ნიშნები მაინც ხშირია. მარტივი ზმნების განუსაზღვრელსა და ზმნათა მთელ რიგს მაგ. კატეგორიის ნიშნები არ აბადია.

კატეგორიან ზმნებს მხოლოობითს რიცხვში ჩვეულებრივ რ და ბი ნიშნები აქვთ და მხოლოდ ზოგჯერ ლ იხმარება. მრავლობითს რიცხვში ორივე კატეგორიისათვის ერთი-და-იგივე რ ნიშანი არსებობს, მაგრამ მომეტებულ ნაწილად იგი ქრება ხოლმე[1].

ზმნაში კატეგორიის ხმარების ნიმუშად შეიძლება შემდეგი მაგალითები იყოს მოყვანილი: ერთი ადამიანის, ან ბევრი ადამიანის, თუ ცხოველის სირბილი—ჯარლოზ, ერთი ცხოველის სირბილი—ჯაბილოზ, ერთი ძროხის შებმა —კებიტოუზ, რამდენიმე ძროხის შებმა—კეტოუზ (← კერტოუზ), ერთი ცხოველის ცემა—ჲაბილუზ, ერთი კაცისა ანუ რამდენიმე კაცის, თუ ცხოველის ცემა—ჲარლიუზ, ჲალიუზ (თაბას. ე. გვ. 47).

უკვე აკად. შიფნერმა აღნიშნა, რომ უდური ენა უსქესო ენაა. ამ დასკვნას პ. უსლარიც ადასტურებდა (Кюр. яз. § 14), ხოლო ა. დირრის შრომით ეს გარემოება ურყევ სინამდვილედ არის ქცეული.

თავი მეორე

კავკასიური ენების გრამატ. სქეს-კატეგორიების ვითარების ზოგადი დახასიათება

ზემომოყვანილი მიმოხილვა ადამიანს იმ ნაირნაირობას დაანახვებდა, რომელიც გრამ. სქეს-კატეგორიების სფეროში სუფევს, მაგრამ, ამისდა-მიუხედავად ამ ნაირნაირობაში უეჭველია მოვლენათა მსგავსებაც არსებობს.

უპირველესად შესაძლებელია ყველა კავკასიური ენები ორ მთავარ ჯგუფად, უსქესო და სქესიან ჯგუფებად დაიყოს. გონიერ და არაგონიერ არსთა ორი კატეგორიის განრჩევა იმდენად გრამ. სქესის პრინციპის გამოხატულებას არ წარმოადგენს, რამდენადაც ცნებათა განრჩევად უნდა იქმნეს მიჩნეული.

§ 1. ჩრდილოეთ კავკასიის ენათა სინდური ჯგუფი

თუ ამ საკითხს ზემოდასახელებული თვალთსაზრისით განვიხილავთ, მაშინ ცხადი გახდება, რომ კავკ. ენათა სინდური ჯგუფი, აბხაზურის გარდა, უსქესო ენათა ერთეულად უნდა ვიცნათ, რათგან არც უბიხურს, არც ჩერქეზულსა და არც ყაბარდოულს გრამ. სქესი არ გააჩნია.

აბხაზურშიც გრამ. სქესი მხოლოდ პიროვნ. ნაცვალსახელებს, მათაც მარტო ზოგიერთს, მოეპოვება. მამრ. სქესის თავსართი ჶ მხოლოდ მეორე პირის ნაცვალსახელს აქვს და სხვაგან არსადა გვხვდება.

---

[1] ა. დირრის სიტყვით სქეს-კატეგორიის ნიშანი ზმნის უკანასკნელ თანხმოვნის წინ ისმის. მაგრამ ეს მისი მდებარეობის გარეგნული განსაზღვრაა და ამ საკითხს ზმნის ამდვილი აგებულების თვალთსაზრისით ჯერ კიდევ სათანადო შესწავლა სჭირდება.

ამნაირადვე მდედრობითი სქესის თავსართი ბ მარტო იმავე მე-2-ე პირის ნაცვალსახელს აქვს და სხვაგან ამავე დანიშნულებით და ამავე მდებარეობით, თავსართად, აბხაზურში არსად არის. მაგრამ იგივე ბ ელემენტი, ბა-სახით, აფხაზურს რიცხვითს სახელებში ბოლოსართადაც მოეპოვება, მხოლოდ მდედრ. სქესის გამოსახატავად-კი არა, არამედ უკვე სულ სხვა ცნებისათვის, სახელდობრ, არაგონიერ არსებათა კატეგორიის ნიშნად.

საგულისხმოა, რომ აბხაზურს მდედრ. სქესის კიდევ ერთი ლ თავსართიც აქვს, რომელიც აგრეთვე მხოლოდ ერთგან, სახელდობრ, მე-3-ე პირის ნაცვალსახელებში, გვხვდება და სხვაგან არსად არის.

დასასრულ დ ბგერა გონიერ არსებათა კატეგორიის თავსართოვანი ნიშანია, მაგრამ უმთავრესად ზმნაში, რიცხვითს სახელებს-კი ამავე დანიშნულებისათვის სულ სხვა ბგერითი ერთეული, ჵგ, აქვს, რომელიც აგრეთვე არსად სხვაგან არ გვხვდება.

ცხადია, რომ შეუძლებელია გრამ. სქესის ნიშანი მხოლოდ თითო ნაცვალსახელისათვის, ანდა მეტყველების ერთი ნაწილისათვის სხვადასხვა ყოფილიყო. თუ ადამიანი გაიხსენებს, რომ აბხაზურის დანარჩენ მოძმე ენებს, უბიხურს, ჩერქეზულსა და ყაბარდოულს, გრამ. სქესი არ გააჩნია, აბხაზური სქეს-კატეგორიების ნიშანთა იმ ობლობასა და აღრეულობასთან ერთად, რომელზედაც უკვე გვქონდა საუბარი, ადვილად შესაძლებელია ეჭვი შეეპაროს, გრამ. სქესი აბხაზურისათვისაც თანდაყოლილი თვისებაა, თუ უცხო ენისაგან არის შენათვისები?

§ 2. ჩრდილოეთ კავკასიის ენათა ლილღური ჯგუფი

კავკასიის ენათა ჩაჩნურ-ქისტურში 6 სქეს-კატეგორიაა, ხოლო წოვურში შიფნერი 7-ს, დირრი-კი 8 სქეს-კატეგორიას სთვლიდა. ორივე რიცხვის სქეს-კატეგორიის ნიშნები ასე წარმოგვიდგება:

	მხ. რ.	მრ. რ.
1 ადამიანთა მამრ. სქესის	ვ	ბ
2 „ მდედ.	ჲ	
3 სქეს-კატეგორიის	ჲ	ჲ
4 „	ბ	დ
5 „ „	დ	
6 „ „	ბ	ბ

ასევეა ქისტურადაც (იხ. დირრის შესავ. 131 და 143).

წოვურში მკვლევარნი სქეს-კატეგორიების რიცხვს 7—8-საც კი ანგარიშობენ და იქ სქეს-კატეგორიების შემდეგი ნიშნები არსებობს:

	მხ. რ.	მრ. რ.
1 სქეს-კატეგორ.	ვ	ბ
2 „	ჲ	დ
3	ჲ	ჲ

		მხ. რ.	მრ. რ.
4	სქეს-კატ.	გ	დ
5			გ
6			ჲ
7		დ	დ
8			ჲ

(დ ი რ რ ი ს შესავ. 149).

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ ენებში სიტყვების ამა-თუ-იმ სქეს-კატეგორიისათვის მიკუთვნილობის პრინციპი აქამდის ჯერ ოდნავად მაინც დამაჯერებელი საფუძვლიანობით გამორკვეული არ არის.

§ 3. ჩრდილო კავკასიის ენათა ლეგური ჯგუფი

დაღისტნის ენები სქეს-კატეგორიების თვალთსაზრისით, იმისდა გვარად, თუ საფუძვლად რა პრინციპი იქმნება მიღებული, შესაძლებელია რამდენიმე ნაწილად, ჯგუფად და ქვე-ჯგუფად დაიყოს.

პირველ პრინციპად შეიძლება გრამ. სქესის არსებობა, თუ უქონლობა იქმნეს მიჩნეული, — მეორე პრინციპად გრამ. სქეს-კატეგორიების რიცხვი, — მესამე პრინციპად სქეს-კატეგორიათათვის განკუთვნილი ბგერების იგივეობა და მეოთხე პრინციპად სქეს-კატეგორიათა ნიშნების ადგილმდებარეობა.

I. გრამატ სქესის მქონებელი და არმქონე ლეგური ენები

გრამ. სქესის არსებობა-უქონლობის თვალთსაზრისით დაღისტნის ენები ორ უთანასწორო ნაწილად იყოფა: ენათა ერთსა და თანაც უდიდეს ნაწილს სქეს-კატეგორიათა მქონებელი ენები შეადგენენ. ამ ნაწილს ლუნძური, ბოთლიხური, ღოდობერული, კარატული, ბაგულაზური, ჰიპატლური, ტინდალური, ახვახური, დიდოური, ხუარშული, ყაფუჩური, ჰკრკანული, ყუბაჩური, ლუმუქური, არჩული, ჯეკური, რუთულური და წახურული, სულ 18 ენოვანი ერთეული ეკუთვნის.

მეორე, უსქესო ენათა, ნაწილს თაბასარანული, აღულური და კურული, სულ 3 ენა შეადგენს.

II. დაღისტნის ენები სქეს-კატეგორიის რიცხვისდა მიხედვით

გრამატ. სქეს-კატეგორიების რიცხვისდა მიხედვით ლეგური ენები ორ-სამ ჯგუფად იყოფა: ერთ ჯგუფს ოთხ სქეს-კატეგორიანი ენები შეადგენენ, მეორე ჯგუფს სამ სქეს-კატეგორიანი ენები ეკუთვნიან.

ორ ენას, ბუდუხურსა და თაბასარანულს გრამატ. სქესი არ აბადია. იქ მარტო იმ გარემოებასა აქვს ყურადღება მიქცეული, ესა თუ ის სიტყვა გონიერი, თუ არაგონიერი არსების, ანდა უსულო საგნის სახელია?

ბუდუხურს მაგ. სამი კატეგორია გააჩნია: პირველ კატეგორიას გონიერ არსებათა სახელები ეკუთვნიან, სქესისდა განურჩევლად, — ხოლო მეორეს —

ამნაირადვე არაგონიერ არსებათა სახელები და მესამეს — საგნების აღმნიშვნელი სიტყვები

თაბასარანულს-კი ორი კატეგორია, გონიერ არსებათა და არაგონიერ არსებათა (საგნებითურთ) კატეგორიები აბადია.

რა თქმა უნდა, აქ უკვე გრამ. სქესთან-კი არა, არამედ ცნებათა კატეგორიების გარჩევასთან გვაქვს საქმე. ასეთი დანაწილება სხვა ენებშიც, რომელთაც გრამ. სქესი არ მოეპოვებათ, არსებობს.

საფიქრებელია, რომ ამის მსგავსი მოვლენა ლეგურის ისეთ სრულებით უსქეს-კატეგორიო ენებსაც, როგორიც ალეუტური და კვრულია, ამა-თუ-იმ სახით ექმნებათ. მაგრამ ბუდუხურსა და თაბასარანულს ამ განრჩევაში მაინც იმ მხრივ აქვთ გრამატ. კატეგორიის თვისება შენარჩუნებული, რომ ასეთი განრჩევისათვის მათ სამი და ორი განსაკუთრებული ბოლოსართოვანი ნიშანი გააჩნიათ. ამიტომ ბუდუხური და თაბასარანული ცალკე ორ-სამ კატეგორიან ენათა ჯგუფად უნდა იქმნეს გამოყოფილი.

§ 4. დაღისტნის ენების ჯგუფები სქეს-კატეგორიათა რიცხვისდა მიხედვით

ოთხ-სქეს-კატეგორიანი ენების ჯგუფში:

1. სქეს-კატ. გონიერ არსებათა მამრ. სქესი შეადგენს,
2. სქეს-კატ. გონიერ არსებათა მდედრ. სქესი ეკუთვნის,
3. სქეს-კატ. ყველა, სქესისდა მიუხედავად, ცხოველთა და მრავალი საგნის სახელები,
4. ამ კატეგორიას ყველა დანარჩენი სიტყვები შეადგენენ.

თუ კლასიფიკაციის საფუძვლად სქესკატეგორიების დანაწილების ეს პრინციპი მივიჩნიეთ, მაშინ ოთხ-სქეს-კატეგორიან ენათა ჯგუფი საკმაოდ მრავალრიცხოვანი აღმოჩნდება. ამ ჯგუფს ანდიური, დიდოური, ხუარშული, ანუ ინხოური, ბეჟიტლურ-ყაფუჩური, ღუმუქური, არჩული, წახურული და რუთულური, სულ 8 ენა მიეკუთვნება.

სამ-სქეს-კატეგორიან ენათა ჯგუფს გააჩნია: 1. მამრ. სქესი, 2. მდედრ. სქესი და 3. უჰასაკოთა და ცხოველების ისევე, როგორც, საგნების კატეგორია. ზოგ ენას მდედრ. სქესი, უჰასაკონი და ცხოველები მეორე სქეს-კატეგორიაში აქვთ მოთავსებული.

ენათა სამ-სქეს-კატეგორიანი ჯგუფი ოთხ-სქეს-კატეგორიანზე უფრო მრავალრიცხოვანია. ამ ჯგუფს სახელდობრ 12 ენა მიეკუთვნება: ლუნძური, ბოთლიხური, ღოდობერული, კარატული, ბაგულაზური, ჰიჰატლური, ტინდალური, ახვახური, ჰკრკანული, ყუბაჩური, ჯეკური და ბუდუხური.

დასასრულ, ორ-კატეგორიანი, არსებული ცნობებისდა მიხედვით, ერთადერთი თაბასარანული ენაა.

§ 5. ლეგურ ენათა ჯგუფები სქეს-კატეგორიების ბგერითი ნიშნებისდა მიხედვით

თუ კლასიფიკაციის საფუძვლად სქეს-კატეგორიათათვის მხ. რიცხვში განკუთვნილ ბგერებს მივიღებთ, მაშინ რვა ზემოდასახელებული **ენისაგან შემდგარი ოთხ-სქეს-კატეგორიანი ჯგუფი სამ-ოთხ ქვე-ჯგუფად დაიყოფა.**

პირველ ქვე-ჯგუფს ანდიური და ხუარშული, ნაწილობრივ დიდოურიც, შეადგენს, რომელთაც მხ. რიცხვისათვის

1 სქეს-კატეგორიის ნიშნად აქვს **ვ,** ან **ჳ**
2 „ „ **ჲ**
3 „ „ **ბ**
და 4 „ „ **რ**

(აქვე და დირრის შესავ. 183, 212 და 215).

1 სქეს-კატ. ნიშანი ხუარშულს ზოგჯერ, ხოლო დიდოურს სრულებით არა აქვს ხოლმე.

ამ ქვე-ჯგუფს **მრ. რიცხვის ნიშნები** ანდიურსა, დიდოურსა და ხუარშულს სხვადასხვანაირი აქვს, სახელდობრ:

ანდიურს მრ. რ. 1 სქეს-კატ. — **ვ**
„ 2 — **ჲ**
„ 3 — **ბ** (ცხოვ.), **ჲ** (საგნ.)
„ 4 — **რ**

(აქვე და დირრ. შესავ. 183).

ხუარშულს 1 და 2 სქეს-კატ. — **ბ**
3 და 4 „ — **რ,** ან **ლ** (იქვე).

დიდოურს-კი ოთხივე სქეს-კატ.-სათვის რ აქვს.

მეორე ქვე-ჯგუფი მხოლოდ ერთი **ყაფუჩური ენისაგან** შესდგება, რომელსაც **მხ. რ.**

1 სქეს-კატ. ნიშანი —
2 „ **ჲ**
3 „ **ჲ**
4 „ **ბ**

მრ. რ.

1 და 2 სქეს-კატ. — **ბ**
3 და 4 **ჲ**

(აქვე და დირრ. შეს. 217).

მესამე ქვე-ჯგუფიც ორი ენისაგან, **ლუმუქურისა** და **არჩულისაგან,** შესდგება, რომელთაც მხ. რ-ში თავესართად ერთნაირი ნიშნები აქვთ:

1 სქეს-კატ. — **ვ, უ**
2 „ **დ, რ**
3 სქეს-კატ. — **ბ** (ან **უ**)
და 4 „ — **დ, რ**

არჩული ლუმუქურისაგან მაინც ორნაირად განსხვავდება: ჯერ ერთი არჩულს მე-4-ე კატეგორიისათვის ნიშანი არა აქვს, მეორესა და თანაც თვალსაჩინო განსხვავებას კი ის გარემოება წარმოადგენს, რომ ლუმუქურს სქეს-კატეგორიების ნიშნები მხოლოდ თავსართად აქვს, არჩულს-კი ერთსა-დაიმავე სიტყვაში თავშიცა და ბოლოშიც უზის.

	თავში	ბოლოს
1 სქეს-კატ. —	ჟ	ჟ
2 „	დ	რ
3 „	ბ	ბ

მრ. რიცხვისათვის ლუმუქურს სქეს-კატეგორიის ნიშნები სამი პირველი სქეს-კატეგორიისათვის საერთო აქვს ბ ან უ, არჩულის მრ. რიცხვის შესახებ-კი დ ი რ რ ს არც მონოგრაფიულ გამოკვლევაში და არც შესავალში რატომღაც ცნობები არ მოეპოვება.

რუთულური და წახურულიც სქეს-კატეგორიის ნიშნებისდა მიხედვით ცალკე ქვე-ჯგუფს შეადგენენ, რომელთაც მხ. რ. აქვთ:

1 სქეს-კატ. — რ
2 „ — რ
3 „ — ბ, ან ვ (ჟ) რუთ.
და 4 „ — დ

რუთულურს 1 და მე-4-ე სქეს-კატეგორიებში ზოგჯერ ნიშნები არა უჩანს.

მრ. რ-ში რუთულურს 1 და მე-2-ე სქეს-კატეგორიისათვის დ აქვს, ხოლო მე-3 და მე-4 ისთვის, ან იგივე დ ბგერაა, ან სრულებით არაფერია. წახურულზე დ ი რ რ ს ცნობები არ მოეპოვება (აქვე და შესავ. 304 და 318).

სამ-სქეს-კატეგორიან ენათა ჯგუფსაც სქეს-კატეგორიათა ნიშნების მხრით ერთნაირობა არ ეტყობა, არამედ ეს ჯგუფიც ოთხ თანასწორ ნაწილად იყოფა.

ერთ ქვე-ჯგუფს მხ. რ. ნიშნებად შემდეგი ბგერები აქვს:

1. მამრ. სქესისათვის ვ, ჟ ანდა უ
2. მდედრ. „ ჲ
3. საერთო სქეს-კატეგორიისათვის, რომელსაც უჰასაკონი, ცხოველები და საგნები ეკუთვნიან — ბ.

ენათა ამ ქვეჯგუფს ლუნძური, ბოთლიხური, ანუ ბუჲიხატლური, ღოდობერული, ანუ ღიბდიტლური, კარატული, ყუანადური, ანუ ბაგულაზური, ჩიმატლური, ანუ ჰამალალური, ტინდალური, ანუ იდარაული, ახვახური, ანუ ატუატლური,—სულ 8 ენა ეკუთვნის (იხ. აქვე და დ ი რ რ ს შესავ. გვ. 196, 199, 202, 204, 207, 208, 210).

ენათა ამ პირველი ქვე-ჯგუფითგან მრ. რ-ისათვის განკუთვნილი სქეს-კატეგორიის ნიშნისდა მიხედვით: ნ-ს,-სახელდობრ ღოდობერულს, კარატულსა, ყუანადურ-ბაგულაზურს, ტინდალურსა და ახვახურს ორი განსხვავებული ნიშანი აქვს: 1 და 2, ე. ი. მამრ. და მდედრ. სქესებისათვის ნიშნად

ბ არის, მე-მ, ანუ საერთო სქესისათვის-კი რ. ხოლო ორს მათგანს, სახელდობრ, ლუნძურსა და ბოთლიხურს, სამივე სქეს-კატეგორიისათვის ერთი-და-იგივე რ ბგერა აქვს, რომელიც ბოთლიხურში ლ-ს სახითაც გვევლინება.

ჰიჰატლურს, ანუ ჭამალალურზე დ ი რ რ ს ცნობა არ მოეპოვება (შეს. 207)

შემდეგი სამ-სქეს-კატეგორიანი ოთხი ენითგან მხოლოდ ორსა აქვს მთლად მსგავსი ნიშნები, ორ დანარჩენს-კი სხვადასხვაობა ემჩნევა.

მაგ. ყუბაჩურს მხ. რ. აქვს:

1 სქეს-კატეგორიისათვის უ,	უ
2	ი
3 „	ბი

(დირრ. შეს. 236).

მხ. რ. ჰვრკანულს აქვს:

	თავსართ.		ბოლოსართ.
1 სქეს-კატეგორიისათვის	უ	—	უ
2	დ	—	რ
3	ბი		—

(იქვე, 219).

ჯეკური და ბუდუხური სქეს-კატეგორიათა ნიშნების მხრივ ცალკე ქვეჯგუფს შეადგენენ, რათგან მხ. რ-ში აქვთ:

1. მამრ. სქესს (ჯეკურში) და გონიერ არსებათა კატეგორიას (ბუდუხურში) — რ
2. მდედრ. სქესსა და ცხოველებს (ჯეკურში) და არაგონიერთა კატეგორიას ბუდუხურში — ბ
3. საგნების სახელებს (ორსავეში) — დ

(იხ. დირრ. შესავ. 296 და 298)

მრ. რიცხვში ჯეკურს მამრ. და მდედრ. სქესებისათვის საერთო ბ ნიშანი აქვს, ხოლო ცხოველებისა და საგნებისათვისაც საერთო დ ნიშანი (იქვე, 296).

დასასრულ, ორ-კატეგორიანს თაბასარანულ ენას გონიერ არსებათა კატეგორიის ნიშნად რ და არაგონიერთათვის ბი აქვს (აქვე და დირრ. შეს. 267).

§ 6. ლეგურ ენათა ჯგუფები სქეს-კატეგორიათა ნიშნების ადგილმდებარეობისდა მიხედვით

დაღისტნის ენები სქეს-კატეგორიების ნიშნების ადგილმდებარეობის თვალსაზრისით-ღა გვაქვს მხოლოდ განსახილველი. ზემომოყვანილი ცალკეული აღწერილობა დაანახვებდა ადამიანს, რომ სქეს-კატეგორიათა ადგილმდებარეობის სამი სახეობა არსებობს: სქეს-კატეგორიები, ან 1. თავსართის, ან 2. ერთსა-და-იმავე დროს თავსართისაც და ბოლოსართის სახითაც, ან და 3. მხოლოდ ბოლოსართად გვხვდება.

სქეს-კატეგორიან ენათა თავსართიანი ჯგუფი მრავალრიცხოვანია. ამ ჯგუფს ეკუთვნის: ლუნძური, რომელსაც ნაწილობრივ ბოლოსართადაც მოეპოვება, ანდიური, ბოთლიხური, ღოდობერული, კარატული, ჰიჰატლური, ტინდა-

ლური, ახვახური, ხვარშული, ყაფუჩური, ყუბაჩური, ლუმუქური და ჯეკური, — სულ 12—13 ენოვანი ერთეული.

სქეს-კატეგორიების თავში და ბოლოში მქონებელ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება: ნაწილობრივ ლუნძური, ბაგულალური, არჩული და ჰკრკანული, — სულ 3—4 ენა.

ბოლოსართოვანი სქეს-კატეგორიების მქონებელ ენათა ჯგუფი შესდგება: ბუდუხურისა, რუთულურისა, წახურულისა და თაბასარანულისაგან, ე. ი. სულ 4 ენისაგან.

§ 7. შედეგების ზოგადი შეჯამება

ზემომოპოებული შედეგების საბოლოო შეჯამება ცხად-ჰყოფს, რომ ლეგურ-ალბანურს ენათა (უდურიანად) სულ 30 ენოვანი ერთეულითგან 8—9-ს: უბიხურს, ჩერქეზულსა, ყაბარდოულს, — შესაძლებელია ითქვას — არსებითად აბხაზურსაც, — თაბასარანულს, აღულურს, კვრულს, ბუდუხურსა და უდურს სქეს-კატეგორიები არა აქვს. დანარჩენ 21—22-ისათვის-კი გრამ. სქესი მორფოლოგიის მნიშვნელოვან თვისებას შეადგენს. ხოლო აბხაზურს, თაბასარანულსა და ბუდუხურს მარტო გრამ. კატეგორიები მოეპოვება.

სქეს-კატეგორიების მქონებელ 21—22 ენოვანი ერთეულითგან — 10 ოთხ და მეტ (ჩაჩნურ-წოვურიანად) სქეს-კატეგორიანი ერთეულია, დანარჩენი-კი სამ-სქეს-კატეგორიანი არის.

სქეს-კატეგორიან ენებს ნიშნებად განკუთვნილი ბგერების მხრივაც, როგორც დავრწმუნდით, საკმაოდ დიდი სხვადასხვაობა ემჩნევათ ისე, რომ ადვილად შესაძლებელია, ეს ნაირნაირობა მკითხველს თავბრუ-დამსხმელიც კი ეჩვენოს.

ყველა ზემოაღნიშნული გარემოება ყველას დაანახვებს თუ, რამდენად რთულია კავკასიური ენების სქეს-კატეგორიების საკითხი. მაგრამ, სირთულეს გარდა, არაერთი მნიშვნელოვანი და დამაფიქრებელი მოვლენაც არსებობს, რომელთა გათვალისწინება და გამორკვევა აუცილებლად საჭიროა.

თავი მესამე

სქეს-კატეგორიების საკითხის სირთულე და დამაფიქრებელი გარემოებანი ე. წ. კავკასიურს ენებში

საკითხი გრამატიკული სქეს-კატეგორიების შესახებ ე. წ. კავკასიურს ენებში სრულებით ისეთი მარტივი და უდავო არ არის, როგორც შესაძლებელია ადამიანს ზემომოყვანილი ზოგადი მიმოხილვისა და საერთოდ გაბატონებული შეხედულებისდა თანახმად ეჩვენოს. ა დ. დ ი რ რ ს ა ც თავის „შესავალ“-ში, როგორც ეტყობა, სქეს-კატეგორიები ე. წ. კავკასიური ენების ძირითად თვისებად აქვს მიჩნეული, რათგან მისი სიტყვით სქეს-კატეგორიების ოდინდელ

არსებობას იმ ენებშიც, რომელთაც ამ ჟამად არ აბადიათ, სქეს-კატეგორიების გაქვავებული ნაწილები ამჟღავნებენო (Einführung 342—343). დირრი უეჭველია აქ იმიერკავკასიის ენებს გულისხმობდა, უმთავრესად ენათა მის აღმოსავლურ შტოს, რათგან ჩრდილო-დასავლური შტოის ენათა დახასიათების დროს, მას მხოლოდ ფაქტი აქვს აღნიშნული, რომ აბხაზურს სქეს-კატეგორიები გააჩნია, უბიხურსა და ჩერქეზულს-კი არ მოეპოვება. ამ ორ უკანასკნელს რომ სქეს-კატეგორიების რაიმე, გინდაც გაქვავებული, ნაშთები ემჩნეოდეს, დირრს არაფერი აქვს ნათქვამი (Einführung 39). ასეთი დაკვირვება არც სხვა მკვლევართ მოეპოვეებათ, არამედ პირიქით ლოპატინსკის ხაზგასმით აქვს აღნიშნული, რომ ყაბარდოულში გრამ. სქესის კვალიც-კი არ არისო (ყ. გ. 40)[1].

ისეთ დაკვირვებულსა და გონებამახვილ მკვლევარს, როგორიც უსლარი იყო, კავკასიურს ენებში გრამ. სქესის საკითხის სირთულე და სიძნელე არ გამოჰპარვია. თვით ისეთ ენებშიც-კი, როგორიც ჩაჩნური, ღუნძური და სხვა მათი მსგავსია, მრავალი დამაფიქრებელი გარემოება არსებობს.

უსლარს აღნიშნული აქვს, რომ ჩაჩნურში მამალ და დედალ ცხოველებს შორის განსხვავება სახელებსა და სიტყვებში გრამატიკულად არ გამოიხატება (ჩაჩნ. ე. 14).

თვით გონიერ არსებათა სახელებშიც-კი მეტად იშვიათია, რომ სქესის განსხვავება მათ სახელებსაც ემჩნეოდეს. მაგ. ძეს ეწოდება ვუოგ, ასულს, ანუ ქალიშვილს ჲუოგ, ძმას ვაშıა, დას-კი ჲიშıა. ამ სიტყვების თავკიდური მარცვლების შენაცვლება ვუ-სა და ჲუ-ს განსხვავებას უდრის. მაგრამ ეს არის და ეს, ამის მსგავსი მაგალითი ამაზე მეტი თითქმის არც არსებობსო (იქვე 38). ჩვეულებრივ-კი მამრობითი და მდედრობითი სქესის გამოსახატავად სახელს დედალის, ან მამალის აღმნიშვნელი სიტყვა ემატებაო (ჩაჩ. ე. 12). მაშასადამე აქ უკვე გრამ. სქესთან არ გვქონია საქმე.

უსლარს ის შეუთანხმებლობა და ერთნაირი აღრეულობაც-კი აქვს აღნიშნული, რომელიც ჩაჩნურს ცხოველთა სახელების გრამატიკული სქეს-კატეგორიის განსაზღვრის დროსაც ემჩნევა.

სახელდობრ, ცხოველთა ერთი ჯგუფის სახელებთან წინადადებაში ხმარების დროს არსება ზმნის მიმღეობის ჲუ ფორმა იხმარება, ე. ი. იგივე, რომელიც სულ სხვა კატეგორიის, მდედრ. სქესის სრულჰასაკოვან არსებათათვის არის მიღებული. ასე მაგ. ჲუ-ს ხმარობენ შემდეგ სიტყვებთან: მგელი—ბუორზ, ვირი—ვირ, ცხენი—გაურ, კურდღელი—ფხıაგალ, დათვი—ჩა, ჭაკი ცხენი—პელ, ბატი—ბად, ქათამი—კუოტამ, მამალი—ნგენი, გედი—ტუოდაკ, ობობა—გეზიგ და სხვ. (ჩაჩ. ე. 12).

ცხოველთა სახელების მეორე ჯგუფთან კიდევ მიმღეობად ბუ იხმარება. ასეთ ჯგუფს მაგ. ეკუთვნის: ხტუ—ხარი, ჲატ—ფური, გილა—ცხენი, კავერძი, მამალი ცხვარი, საჲ—ირემი, კოკუ—მტრედი, ჭაʾრა—თევზი, მოზუ—ბუზი, ლეხıი—გველი და სხვ. (ჩაჩ. ე. 12.).

---

[1] „признака родов в каб. языке нет".

დასასრულ, ცხოველთა სახელების მესამე ჯგუფთან დუ იხმარება. ასეთ ჯგუფს მაგ. ეკუთვნის: ჯგელი ძაღლი,— ზუდ ძუ, ძუვი, ძუკნა,— ქეზი— ლეკვი,— ლუომ ლომი,— ციციგ ციცა, კატა,— პიელარდიგ მერცხალი,— ხოზუ ბეღურა და ზინიგატ პიანწველა (ჩაჩ. ე. 12).

როდესაც ამა-თუ-იმ ცხოველის ზოგად სახელთან ბუ იხმარება, სრულებით გასაგებია, რათგან ბ თანხმოვანი პირუტყვ ცხოველთა სამეფოს, გონიერ და პირმეტყველ არსებათაგან ცალკე ჯგუფად გამომყოფელი, ნიშანი გამოდის. შესაძლებელია განმარტება იმ შემთხვევებსაც მოეძებნოს, როდესაც მამალისა, თუ დედალი ცხოველის სახელი თავისი სქესის მიმღეობასთან-კი არა, არამედ ისევ ბუ მიმღეობასთან არის ხოლმე დაკავშირებული: რა სქესისაც არ უნდა იყოს პირუტყვი, ის მაინც არაგონიერ და უსრულ-ჰასაკოვან არსებათა ჯგუფს ეკუთვნის.

მაგრამ ის სრული შეუსაბამობა, როდესაც მამალი ცხოველის სახელს, მაგ. ხვადს ვირ-ს, ანდა მამალი ქათმისას ნვენი-ს მდედრობითი სქესის მიმღეობა დუ უკავშირდება, ვერავითარი ჩვეულებრივი ლოგიკური, ანდა გრამატიკული მოსაზრებით ვერ აიხსნება.

ამნაირადვე პირუტყვთა სახელებისათვისაც, სქესისდა მიუხედავად, დუ იხმარება, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ბუ და დუ, რომელნიც უფრო ხშირად უსულდგმულო საგნებისათვის გვხვდება (ჩაჩ. ე. 12—14).

ყოველგვარი ცდისდა მიუხედავად ვერც თვითონ უ ს ლ ა რ ს, ვერც ჩაჩნებს ვერას გზით ვერ გამოურკვევიათ ის პრინციპი, რომელზედაც ჩაჩნური სიტყვების ამა-თუ-იმ სქეს-კატეგორიისათვის მიკუთვნილებაა დამყარებული (იქვე გვ. 11). არც სიტყვათა დაბოლოებას და არც ბგერითს შედგენილობას ამ შემთხვევაში არავითარი გავლენა არა აქვსო (გვ. 9).

ყველა ამ სიძნელის გამო, უ ს ლ ა რ ი ს რწმენით, ჩაჩნურში მხოლოდ გონიერ არსებათა მამრობითი და მდედრობითი სქესის გარჩევაა შესაძლებელი.

ზემოაღნიშნულზე გაცილებით უფრო საყურადღებო გარემოებაა, რომ მამრობითი სქესის არსთა ზოგიერთ სახელს არამც თუ თავისი კუთვნილი ვ თავსართი არ გააჩნია, არამედ პირიქით ბ ბგერა აქვს, რომელიც მესამე სქეს-კატეგორიის ნიშანია. მაგ. მამალ კვიცს ჩაჩნურად ბეჟი (მრ. რ. ბოჟულ) ეწოდება,— მამალ თხას, ვაცს ბუოჟ,— ხვადისა და მამლის ზოგად სახელადაც ბუორშანი-ს ხმარობენ (ჩაჩ. ე. 161, 162 და 163).

ყველა ზემონათქვამი ადამიანს დაარწმუნებდა, თუ რამდენად რთულია სქეს-კატეგორიის საკითხი ჩაჩნურში. შესაძლებელია მკითხველს ეჭვიც-კი აღეძრას, თუ რამდენად შესაძლებელია თვით ეს მოვლენა ასეთი აღრეულობის გამო ჩაჩნური ენის მორფოლოგიის ძირითად თვისებად იქმნეს მიჩნეული.

ასეთივე გარემოება წარმოუდგება მკვლევარს დაღისტნის ენების ამავე მოვლენის განხილვის დროსაც. ლუნძურსა და ლუმუქურსაც გრამატიკული სქესიცა და კატეგორიებიც მოეპოვებათ. ამ ენებს გრამ. სქეს-კატეგორიები თავსართების სახით დღევანდლამდე აქვთ დაცული სიტყვათა მხოლ. და მრავლ. რიცხვის ფორმებისათვის. ამასთანავე სქეს-კატეგორიათა რიცხვი, როგორც

ვიცით. ლუნძურს 3 აქვს, მამრ. ვ და უ, მდედრ. ჲ და საერთო ბ, ხოლო ლუმუქურს ამაზე მეტიც-კი გააჩნია: მამრობითისათვის უ და ვ, მდედრობითისათვის დ და რ, პირუტყვთა და სხეულის ნაწილებისათვის ბ და განყენებულ ცნებათა და ნივთების საგნების სახელებისათვის დ.

სქეს-კატეგორიების ესოდენი სიმტკიცისდა მიუხედავად, ლუნძურში მამრ. სქესის აღმნიშვნელ მხოლოდ **ორ სიტყვას—ვასː ვაჟიშვილი** და **ვაც ძმა** (ავარ. ე. ლექსიკ. 58) მოეპოვება ვ ფორმანტი და ამნაირადვე **მარტო ორი სიტყვაა ჲასː ქალიშვილი** და **ჲაც და** (იქვე, 107), **რომელთაც** მდედრ. **სქესის ჲ თავსართი აქვთ.**

საერთო სქეს-კატეგორიის ბ-თავსართიანი ცხოველთა აღმნიშვნელი სიტყვების რიცხვიც ორს არ აღემატება: ბეჩე (მრ. რ. **ბაჩალ**) **ხბო** და **ბის—ჯიხვი** (იქვე, 52 და 53). ამაზე მეტი, ამჟამად არსებული ცნობებით, არ მოიპოვება.

გასაოცარი ის არის, რომ პირიქით, აქაც, **მამაკაცს ჰქვიან ბიხːინაუ, მამალს, ხვადს ბიხːინაბ, მამალ ციკანს ბურუთ, სახარე ხბოს ბახːი და ხვადკვიცს ბარტი** (იქვე 49, 53 და 56), ე. ი., მამრობითი სქესის ვ თავსართის მაგიერ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ სიტყვებს სწორედ საერთო სქესის ბ თანხმოვანი აქვს[1].

ამას გარდა, ლუნძურში მამრ., თუ მდედრ. სქესის აღმნიშვნელი ისეთი სიტყვებიც საკმაოდ მოიპოვება, რომელთაც არც თავიანთი, არც სხვა სქესის თავსართოვანი ნიშანი არა აქვთ. მაგ. შესაძლებელია დასახელებული იყოს: **ქმარი როს** (ავარ. ე.),— **ვერძი კუჲ** (მრ. რ. **კუიდულ**) და **გი** (იქვე, 114 და 156),— **კერატი კამაճ** (იქვე, 120),— **მამალი გოჰი ბოტხლოჲნ** (იქვე, 55) და **მამალი ქათამი ჰელეჭო** (იქვე, 98) ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით **დედაკაცი ჰუჟუ** (იქვე, 224),— **დედალი, ჰაკი—ჰːრრაბ** და **წოთ** (გვ. 100 და 208),— **ჰაკი ცხენი გალჲ,— ნეზვი ცხვარი — ლემაგ** და **გორკიენ** (იქვე, 126, 158, 166) და **ძუკნა ძაღლი გუაჟი** (იქვე, 64).

ლუმუქურშიც უ ს ლ ა რ ი ს ჩანაწერის მიხედვით **მამრობითი სქესის აღმნიშვნელი მხოლოდ ორი სიტყვაა,— „ვირი" შუახნის კაცი** (ლაკ. ე. 255) და **უხოუ ძმა** (იქვე, 361), **რომელთაც** თავში ვ და უ აქვთ,— მარტო **ერთად-ერთი მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი სიტყვა** მოიპოვება — **ქალიშვილი დუშ** (იქვე 267), რომელსაც მდედრ. სქესის დ ნიშანი უჩანს და ō **პირუტყვის სახელი** ჩანს, რომელთაც თავში ბ თანხმოვანი აქვთ: **დეკეული ბჲარჩ** (იქვე, 253), **ორივე სქესის ციკანი ბუხხცა** (გვ. 256), **ირემი ბჲორნი** (გვ. 253), **კურდღელი ბჲორხ** (გვ. 253) და **მგელი ბარწ** (გვ. 251). ეს არის და ეს.

მაგრამ ამაზე მეტის თქმაც შეიძლება: **ლუმუქურშიც** არამც თუ ვ თავკიდურიანი მამრ. სქესის აღმნიშვნელი სიტყვები ზემოდასახელებულზე მეტი არა ჩანს, პირიქით თვით **მამლისა და ხვადის სახელად ბ თავკიდურიან სიტყვებს ხმარობენ. მამალ ცხოველს, მამაცს ლუმუქურად** მაგ. **ბურხːინხა,**

---

[1] საფიქრებელია, რომ **ბიხːინაუ**-ს, მამაკაცის ბოლოკიდური უ უნდა მამრ. სქესის ბოლოსართად იგულისხმებოდეს. ამას **მამალი, ხვადი** ცხოველის სახელის **ბიხːინაბ**-ის ბოლოკიდური ბ ამჟღავნებს, რომელიც მესამე სქეს-კატეგორიის ნიშანი ჩანს.

ტახსა და კერატს კიდევ ბურკ (ლაკ. ე. 254—255), ვერძსაც, მამალ ცხვარს ქუ-ს (მრ. რ. ქუნდალ) და ნუშაა-ს, რომელიც დედალი ბატკნის სახელიც არის, და ჩა-ს ეძახიან (იქვე 292, 332 და 397 და R. II, 523),—ვაცს ყჲაცა და დაბა, გჳლდენშტედტით-კი Käza (R. II, 523) ეწოდება (იქვე, 339 და 262). მამაკაცსა და ქმარს ჩუ-ს უწოდებენ, რომლის ნათ. ბრ. ჩუნალ, მოქმ. ჩიბარკ და მრ. რ. ჩიბარკუნდალ-ია და რომელთანაც ამასთანავე უცნაურად ცხოველთა სქეს-კატეგორიის ბ ნიშანი იხმარება (იქვე, გვ. 382). ასეთი მაგალითების ღუმუქურითგან კიდევაც შეიძლებოდა მოყვანა, მაგრამ ვგონებ ესეც საკმარისია.

დაღისტნის სხვა ენების ასეთ დამაფიქრებელ ფორმათაგან—შესაძლებელია დასახელებული იყოს მაგალითად ხარის თაბასარანული (თაბ. ე. 179) და წახურული (წახ. ე. 169) სახელი ჲაც და კვრული ჲაცჲ (კვრ. ე. 448), რომელთაც თავში ჲ ბგერა აქვთ, ე. ი. მამრ. სქესისა-კი არა, არამედ სწორედ მდედრობითის ფორმანტია.

ამ საკითხს დაღისტნის დანარჩენ ენებშიც ის გარემოება ართულებს, რომ სქესის აღმნიშვნელ სიტყვას ზოგჯერ სრულებით სხვა სქესისათვის განკუთვნილი თავსართი უჩანს.

მაგ. მამალი ცხვრის, ვერძის აღსანიშნავად თაბასარანულში იხმარება ჲაკხ (თაბას. ე. 178), რომელსაც თავკიდური ჲ აქვს და რომელიც ამის გამო უფრო ნერბის, დედალი ცხვრის სახელად არის საგულისხმებელი, ვერძისათვის-კი სრულებით შეუფერებელია.

დიდოურადაც ხარს ეწოდება ის (მრ. რ. ისუაბი ანდ.-დიდ. მას. 88), რომლის თავკიდური ხმოვანი ხარის სქესს სრულებით არ შეჰშვენის.

დაღისტნის დანარჩენ ენებშიც სიტყვების მთელი ჯგუფი შეიძლება შეადგინოს ადამიანმა, რომელთაგანაც ზოგი მამრ., ზოგი კიდევ მდედრ. სქესის არსებისა, თუ ცხოველის სახელია, მაგრამ ამისდა მიუხედავად მათ თავკიდურ ბგერად ვ, უ, უ, ან ჲ-კი არა აქვთ, არამედ ბ თანხმოვანი, რომელიც სულ სხვა სქეს-კატეგორიის ნიშანია. მაგალითად შესაძლებელია დასახელებულ იქმნეს: ვერძის, მამალი ცხვრის ყაჟიჩიდი ბოწი (ანდ.-დიდ. 87), ცინდალიდი ბოცჲარ და ყვანადიდი ბეცჲურ (იქვე),—ხუნძ. და დიდ. ბეტხლჲე და ბტხლჲ (იქვე), ანდა ცოლის აღმნიშვნელი დიდოთიდი ბარუ და მამაკაცის დიდოთირიდ ბაჰარჩი (ანდ.-დიდ. 93 და 100), ვაჟიშვილის თაბასარანული ბიწი (თაბ. ე. 157).

დასასრულ დაღისტნის არამც თუ იმ ენებითგან, რომლებშიც გრამ. სქეს-კატეგორიები არ გააჩნიათ, არამედ თვით ისეთ ენებითგანაც, რომლებშიც გრამ. სქეს-კატეგორიები ენის აგებულების მნიშვნელოვან თვისებას წარმოადგენენ, ბლომად შეიძლება მაგალითების მოყვანა, როდესაც სიტყვა ამა-თუ-იმ სქესის არსების, ანდა ცხოველის სახელია, მაგრამ ამისდა მიუხედავად სათანადო სქესის არავითარი არც თავსართი და არც გინდ ბოლოსართი მოეპოვება.

მაგალითად: კვრულად დას ხჲუ ეწოდებოდა მე-XVIII ს-შიც და ეხლაც ისევე ეძახიან (R. II, 521 და ღუმ. ე. 351). ამ სიტყვას მდედრ. სქესის ნიშანი არ გააჩნია.

ამნაირადვე ვაჟიშვილს ღუმუქურად ეხლა არს-ს ეძახიან (ლაკ. ე. 242), გჳლდენშტედტს-კი ერს-ად აქვს ჩაწერილი (R. II, 521), ხოლო ქალი-

შვილს მე-XVIII ს-შიც და ეხლაც **დუშ-ს** უწოდებენ (იქვე, 267). ვაჟიშვილის სახელს სქესის არავითარი ნიშანი არ უჩანს.

აკუშურად ვაჟიშვილს მე-XVIII ს. ჰრქმევია Durha **დურჰა**, ქალიშვილს კი Durssi **დურსსი** (R. II, 521). არც ერთ მათგანსაც სქესის გამომხატველი თავსართი არა აქვს.

თაბასარანულსა და აღულურს **დის** აღსანიშნავად **ჩი** აქვთ, რომელსაც სქესის არავითარი ნიშანი არ გააჩნია, **ხოლო დას** თაბასარანულად **ჩჷი** (თაბ. ე. 219), აღულურად-კი **ჩუ** ეწოდება (ალ. ე. 167), რომელთაც აგრეთვე არავითარი სქესის თავსართი არ უჩანთ. ამასთანავე ძმის და დის სახელად არსებითად ერთი და იგივე სიტყვა გამოდის.

ძმის აღმნიშვნელ კჳრულ სიტყვას **სიტხა**-საც (კჳრ. ე. 549) მამრობითი სქესის ფორმანტი არა აქვს.

ძმის ხვარშ. სახელს **გის**-ს (მრ. რ. **გისნაბა**), ყაფუჩ. **ისს**-სა (მრ. რ. **ისსნა**) და დიდოურს **ესსიჲუ**-საც, რომლის მრ. რ. **ესსნაბი-ა** (ანდ.-დიდ. მას. 88) **სქესის** ფორმანტი არ გააჩნია. მე-XVIII ს-ში, როგორც გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერითგან ირკვევა, ძმისათვის **გლუჩესსიო**, დისთვის **აკიესსიო** უხმარიათ (R. II,513).

ნათესაობისა და სქესის აღმნიშვნელს ასეთს, სრულებით უსქეს-კატეგორიო, უფორმანტო სიტყვათა ჯგუფს ეკუთვნის აგრეთვე **მამაკაცის სახელები**: ანდ. **ჰეკა**,—ღოდობერ.-კარატ. ბაგვალ. და ტინდალ. **ჰეკუა**[1], ხვარშ. **ჰიკუა** და ბოთლიხ. **ქუნტჲეკუა** (ანდ.-დიდ. მას. 100).

აგრეთვე **ქმრის სახელები**: ანდიური, ბოთლ. ღოდობ. და ბაგვალური **ქუნტჲა**, ახვახ. **ხჲეუე**, რომლის მრ. რ. **ხჲერა-ა**,—ხვარშ. **ხოლ** და დიდოური **ხედიჲუ** (ანდ.-დიდ. მას. 100).

სახელთა ამავე ჯგუფს მიეკუთვნება **ცოლის აღმნიშვნელი**: აღულ. **ჰჷირ**, წახურ. **ხჷუნეშშე**, ჯეკური **ხჷნჷზ**, რუთულ. **ხჷდგლდგ**, ბუდუხ. **ჰეჯ**, თაბას. **შჷივ**, კურინული—**პჷაბ**, უდური **ჩუბუხ და** არჩული **ტხლჷონოლ** (ალ. ე. 161).

ცოლს ხვარშულად **ეძახიან—ლინე, ლოდობერულად ჰარკჲი**, კარატ. **ჰარკხე**, ბაგვალ. და ტინდ. **ჰარკხუჲ**, ანდიურად **ჰორჰი**, ახვახ. **აკხი** და ყაფუჩ. **აკო** (ანდ.-დიდ. მას 93).

ფურსაც ეწოდება: ანდიურად **ზივუ**, ახვახ. **ზივუჲ**,—ბოთლ., ღოდობ., კარატ. ჭამალ. და ტინდ. **ზინ**,—ბაგვალ. **ზინი** და დიდოურად **ზია** (იქვე, 96). ბუდუხ. **ზარ**, რუთულ. და წახურ. **ზერ** და ჯეკურად **ძარ** (ალ. ე. 160).

ამავე თვისებისაა **დედისავე სახელი**: უდური **ნანა** (ალ. ე. 157), ღუმუქური **ნინუ** (R. II, 521 და ლაკ. ე. 331), რუთულ. **ნინ** (ალ. ე. 157), თანამედროვე დიდოური **ენიჲუ** (ანდ.-ლიდ. მას. 99) და მე-XVIII ს. დიდოური **ენნიუ** (გ ჳ ლ დ ე ნ. R. II, 513), აღულური **ბაჟ** (ალ. ე. 157), ყაფუჩ. **იჲო**,—ანდიური, ბოთლ., ღოდობ., კარატ., ახვახ., ბაგვალ. და ტინდალური **ილა** (R. II, 521 და ანდ.-დიდ. მას. 99), აგრეთვე **დედის** ლეზგიური სახელი **ებéლ** (მრ. რ. **ულბულ**), რომელიც უკვე მე-XVIII ს. ჩანაწერშიც არის აღბეჭდილი (R. II, 513 და უსლ. ავარ. ე. 75) და ანწუხებსა და ჭარებსაც ჰქონიათ (R. II, 513).

---

[1] ამ ḳ ბგერის გამოთქმა დირრს აღწერილი არა აქვს.

ამავე ჯგუფისაა **დედისავე სახელი** არჩულ **ეჲტტუჲ** (არჩ. ე. 143 და ალ. ე. 157) ისევე, როგორც ხინალუღ. **დედჲ**, კჳრულ **დედე**, ბუდუხ. **დიდჲ** და ჯეკურ. **დაჲ** (ალ. ე. 157).

არავითარი სქეს-კატეგორიის ნიშანი არა აქვს ახულის, ქალიშვილის სახელსაც: ბოტ. და ყაფუჩურს **ქიდ** და ხვარშ. **ქაჲდ** (ანდ.-დიდ. 93), უდურს **ხინჲრ** და არჩულს **ლო**, რომელიც ბაშვს ნიშნავს (ალ. ე. 165), შემდეგ **დედის სახელსაც** და ბუდუხ.- ჯეკურს. **შიდრ** (იქვე, 167), **დედაკაცის სახელს** თაბასარანულს **შიჲვ**, რომლის მრ. რ. არის **ხოჲარ** (თაბას. ე. 221).

გრამ. **მამრ. სქესის არავითარი ნიშანი არ გააჩნია** აგრეთვე **ხარის, კუროს სახელსაც**. მაგ. **ხარს** ჯეკურად **ჰიანი**, ბუდუხ. **ჰანი**, ხინალუღ. **ლიჰჲ** და რუთულ. **ჩაჸრა** ეწოდება (ალ. ე. 158).

ამავე თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ **ფურსა** და **ძროხასაც ჰქვიან**: აღულ. **ჰიანი**, უდურად **ხუნი**, რომელიც იმავე დროს ზოგადად დედალ ცხოველსაც ნიშნავს, და **ჩურ**, არჩულ. **ხონ** და თაბასარ. **ხინი** (ალ. ე. 160 და თაბას. ე. 215) კურულად-კი ქალ-ს უწოდებენ (იქვე და კვრ. ე. 453).

ასევე უსქეს-კატეგორიო უთავსართ-ბოლოსართო სიტყვებია **მამალი ცხვრის** სახელები: ანდიურს **ქუნ**, ჰარაცულ და ცეზურ **ქუჲ**, რომლის მრ. რ. **ქუნდი და ქუნდა** იმავე დროს ზოგადად მამალ ცხოველსაც ნიშნავს (ანდ.-დიდ. მას. 87) და ყუანად. **ქუჲჲ**, რომლის მრ. რ. **ქუჲჲაბი ხვადის** სახელადაც იხმარება (ანდ.-დიდ. მას 87),—ისევე როგორც **მამალი ცხვრის** ყაფუჩური სახელი **ხოჲ**-ც, რომლის მრ. რ. **ხოჲბო** ზოგადად მამალ ცხოველსაც ნიშნავს (ანდ.-დიდ. 87), ამავე ჯგუფის სიტყვაა.

მამალი და დედალი თხის სახელებსაც დალისტ. ბევრ ენაში სქესის არავითარი ნიშანი არ გააჩნიათ, მაგ. **მამალ თხას, ვაცს** ეწოდება: ბოთლის., ჰარაც. და ახვახ. **ტჲუქა** (მრ. რ. **ტჲუქაბატხლი**), ანდიურად მე-XVIII ს. გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერით **ტუკა** (Tuka: R. II, 523), დ ი რ რ ი თ-კი ეხლა **ცხიჲა** ეწოდება, **რომელიც დედალ თხასაც ნიშნავს** (ანდ.-დიდ. მას. 96),—ღოდობერ. **ტჲუქჲ**, ცეზურ. **ტჲუქჲა**,—ბოტ. გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერით **მიტხლჲი** (R. II, 515), ეხლა-კი დ ი რ რ ი ს ცნობით **ტჲექა** (ანდ.-დიდ. მას. 96) ჰქვიან,—ყაფუჩ. **ტჲიგა** და ყუანად. **ჯუთა** (ანდ.-დიდ. მას. 96).

ამავე ცხოველს ლეზგურად და აღულურად ეწოდება გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი თ **ტენჱ** (R. II, 515), ეხლა კი უ ს ლ ა რ ი თ ლეზგურად **დეგენ** (მოქმ. ბრ. **დაგნრცა**, მრ. რ. **დუგნულ** და **დუგბი**: ავარ. ე. 72),— ჭართლად მე-XVIII ს. **კინე** (R. II, 515) ჰრქმევია.

დედალ თხასაც ერქვა: გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს მე-XVIII ს. ჩანაწერით, ლეზგურად, აღულურად და ჭართლად **ცე** (R. II, 515), უ ს ლ ა რ ი ს ცნობით-კი ლეზგურად ეხლა **წიე** ეწოდება (ავარ. ე. 207), — ლეზგურად მე-XVIII ს. **ცუკუ** ჰრქმევია (Zuku: R. II, 523), ეხლა კი **წუკუ** იხმარება (ლაკ. ე. 377), ბოტლიხურად მე-XVIII ს-ში **ციეკი** სწოდებია (R. II, 515), ეხლა კი დ ი რ რ ი თ **ჩან**-ს უძახიან, **ცეკი**-კი უკვე **ციკანსა** ნიშნავს (ანდ.-დიდ. მას. 96),—ანდიურად გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი თ **წია** (Tzia) ჰრქმევია და ეხლაც **ცხიჲა**-ს ხმარობენ (ანდ. დიდ. მას. 96), რომელიც **მამალ თხასაც ნიშნავს**,—ბოთლის. **ცხინატხლჲუ**, ჰარაცულ.

ცსენატხლთო, ღოდობერ. **ცსინატხლთო**, ახვახ. **ცსუნუტხლთი**, ჭამალ. **ცსენეტხლთ** და ახვახურად ისევე, როგორც ყარატიულად **ცან** (ანდ.-დიდ. მას. 96).

დასასრულ, როგორც უკვე ზემოყვანილი რამდენიმე მაგალითიდანაც ჩანს, ისეთ ენებშიც, რომელთაც სქეს-კატეგორიები კარგად აქვთ დღევანდლამდე დაცული, **მამალი და დედალი ცხოველებისათვის, განსხვავებულის მაგიერ, ერთი-და-იგივე სახელებია**, მაგ.: ტინდალურად და ღოდობერულად **რიხა დედალ ცხვარს**, ხოლო ბოთლიხ. და ღოდობ. **რიხა** მამალ ცხვარს, ჭამალალურად-კი **რიჰა** მამალ ცხვარსაც ნიშნავს და დედალსაც. (ანდ.-დიდ. მას. 87 და 103). ანდა **ბიტხლით** ყარატიულად **დედალ ცხვარს** ეწოდება, ბოთლიხურად-კი **ბეტხლი მამალ ცხვარს**,— ამნაირადვე **ბიტხლილუ** ახვახურად თუ **ნეზვის** აღმნიშვნელია, ბოთლიხურად **ბეტხლი** და **ბეტხლილუ** პირიქით **ვერძს** ეწოდება და სხვაც ამგვარადვე (იქვე; 87 და 103 .

ზემომოყვანილი ფაქტები და ზემოაღნიშნული სხვადასხვა გარემოება ადამიანს დაარწმუნებდა, რომ **საკითხი გრამატიკული სქეს-კატეგორიების შესახებ მეტად რთული და გამოურკვეველია**. ისეთი არსებითი სახელების, რომელთაც თავიანთი სქეს-კატეგორიის ნიშანი ჰქონდეთ, მეტისმეტი სიმცირე და სამაგიეროდ შეუფერებელი სქეს-კატეგორიების თავსართიანი სიტყვების საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა ისევე, როგორც ზედსართავებსა და მიმღეობაში განსამარტავი სიტყვის სრულებით მოულოდნელი სქეს-კატეგორიების ხმარების სიხშირე გრამატიკული სქეს-კატეგორიების პრობლემას მეტად მწვავე და მნიშვნელოვან საკითხად ხდის. ხოლო, რაკი ამასთანავე სინდურ ენათა ჯგუფიდგან უბიხურს, ჩერქეზულსა და ყაბარდოულს გრამატიკული სქესი არ გააჩნია ისევე, როგორც დაღისტნის ენათა ჯგუფიდგანაც სქეს კატეგორიები არც კურულს და აღულურს და არც თაბასარანულს, ალბანეთის ენათაგან კი ერთად-ერთ გადარჩენილ უდიურსაც არ მოეპოვება, ბუნებრივად **იბადება საკითხი, გრამატიკული სქესი და საერთოდ სქეს-კატეგორიები ე. წ. კავკასიური ენების დასაწყისიდგანი თვისებაა, თუ იმ ენებს, რომელთაც იგი ამ ჟამად გააჩნიათ, ეს თვისება დროთა განმავლობაში აქვთ რომელიმე უცხო ენის გავლენის წყალობით შეთვისებული?**

ეს საკითხი ქართული ენის მონათესაობისა და გენეზისათვისაც უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ბევრი მკვლევარი აპრიორულად და მისი გავრცელების საზღვრების გამო კავკასიურ ენათა ჯგუფის წევრად სთვლის. ქართულს-კი, როგორც ცნობილია, მრავალსაუკუნოვანი, წერილობითი ძეგლებით აღბეჭდილი, ისტორია აქვს, რომელიც მკვლევარს გრამ. სქესის ქართულში არსებობის საკითხის სრული ზედმიწევნილობით გადაწყვეტის საშუალებას აძლევს. ქ. შ. მე-V ს-იდგან დაცული ძეგლების ენა ცხად-ჰყოფს, რომ გრამატიკული სქესი მას არ ჰქონია, ისტორიულ ხანაში მაინც. თუ ამასთანავე იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ სქესი არც ქართულ-ქართველურს დიალექტებს გააჩნიათ, მაშინ ქართულში გრამატიკული სქესის ოდესმე არსებობის აზრი, შესაძლებელია, მკვლევარს სრულებით უსაფუძვლო ფანტაზიად ეჩვენოს.

საფიქრებელი არის, რომ ამიტომაც თანამედროვე სამეც. მწერლობაში აქამდე ასეთი აზრი, არც მოსულია ვისმე, ანუ, უფრო სწორედ რომ ითქვას, ერთი მეცნიერის ჰიპოთეზის გარდა, რომელსაც, როგორც მისივე მერმინდელი ნაშრო-

მებითგან ჩანს, შემდეგში თვით იმის ავტორიც აღარ იზიარებდა[1], ფიქრად არავის მოსვლია.

მაგრამ მაინც ამ საკითხის ასე განუხილავად დატოვება არ შეიძლება, რადგან ცხადია, რომ, თუ ქართული მართლაც ე. წ. კავკასიურ ენათა მოდგმას მიეკუთვნება, მაშინ, ან უნდა დამტკიცდეს, რომ გრამატიკული სქეს-კატეგორიების არსებობა კავკასიური ენების დასაწყისითგანს თვისებას-კი არ შეადგენდა, არამედ დროთა განმავლობაში რომელიმე უცხო ენისაგან არის შეთვისებული, ანდა, თუ სქეს-კატეგორიები კავკასიურ ენათა თავდაპირველი მოვლენა გამოდგა, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ, ან ქართული კავკასიურ ენათა მოდგმას არ ეკუთვნის, ანდა უნდა დამტკიცდეს, რომ გრამატ. სქეს-კატეგორიები ოდესღაც ქართულსაც ჰქონდა, მაგრამ, დროთა განმავლობაში, თუ რაიმე მიზეზის გამო, ეს თვისება დაჰკარგვია.

ამნაირად, კავკასიაში მცხოვრებ ერთა ენობრივი ნათესაობის საკითხის გადასაწყვეტად უნდა წინასწარ გამორკვეული იყოს: 1. გრამატიკული სქეს-კატეგორიები ღილღურ-ლეგური ენების დასაწყისითგანი კუთვნილება იყო, თუ არა? 2. თუ დასაწყისითგანი თვისება იყო, სინდურ ენათა ჯგუფსა და ქართულსაც სქეს კატეგორიები ჰქონია როდისმე, თუ არა?

თავი მეოთხე

გრამატიკული სქეს-კატეგორიები ღილღურ-ლეგური ენების დასაწყისითგანი თვისება იყო, თუ არა?

ასეთი საკითხის გამორკვევა ისეთ ენებში, რომელთაც მე-XIX ს. მეორე ნახევრამდე დამწერლობა არ გააჩნდათ, მეტად ძნელია და მხოლოდ სხვადასხვა წინასწარი კვლევა-ძიების შემდგომაა მისი გადაწყვეტა შესაძლებელი.

უპირველესად უნდა გამორკვეული იყოს, თუ რამდენად ფართოდ და ღრმად არის ამ ენებში სქეს-კატეგორიები გავრცელებული, სახელდობრ, ამ საკითხის გამორკვევის დროს ყველაზე უწინარეს უნდა ზემოდასახელებული სიტყვების, ვაჟიშვილისა და ძმის, ისევე როგორც ქალიშვილისა და დის სახელების გავრცელების არის ოდენობასა და სიღრმეს მიექცეს ყურადღება. ამ გარემოების ცოდნას იმ მხრით აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა, რამდენადაც ეს საშუალებას მოგვცემს სიტყვების ფესვგადგმულობა გავიგოთ, რადგან ცხადია, რომ, თუ ასეთი სახელები ორიოდე თემისა, თუ ენის საზღვრებს არ სცილდება, სულ სხვანაირი დასკვნის გამოყვანა შეიძლება, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ ეს სიტყვები ფართო ასპარეზზე და მრავალი ენების კუთვნილება აღმოჩნდა.

[1] ამაზე იხ. ქვემოთ.

თუ საკითხის განხილვას ამ თვალსაზრისით შევეხებით, შემდეგი ვითარება წარმოგვიდგება.

ძმას ეწოდება: ლუნძურად ვაც, გჳლდენშტედტის ჩანაწერით-კი ჳაოს[1] (R. II 513),—ქარულად და ანწუხურად უაც (Uats: R. II 513),—ლუმუქურად უსიუ (ლაკ. ე. 361), — ქამალალურად ვაც, — ბოთლიხ., ღოდობერ., კარატ., ახვახ. ვაცსი,—ტინდალ. ჳაცსი,—ანდიურად ვოცსი, ყუანად. ვასს (ანდ.-დიდ. მას. 88) და უდურად ვიჩი (ალ. ე. 147).

ვაჟიშვილს ჰქვიან: ლუნძურად ეხლა ვასი (ავარ. ე. 58). გჳლდენშტედტს-კი ძმის ლუნძურ და ანწუხურ სახელად ტიმირ-ი (Timir. R. II., 513) აქვს ჩაწერილი, ქარულად ხიმირ-ს უწოდებენო (იქვე), ბოთლიხ., ღოდობ., კარატ., ახვახ. და ყუანად. ვაჟიშვილს ვაშა,—ტინდალ. ვაჰა,—ანდიურად ვოშო,—ყაფუჩ. ოჳო,—ხვარშ. უჳე და დიდ. უჳი (დირრი. ანდ.-დიდ. მას. 111).

კჳრული, რუთულ., ბუდუხ., წახურ., ჯეკური, უდური, აღულ. და არჩ. ვაჟიშვილის სახელები ზემომოყვანილ სიტყვას არ უდგება (იხ. ალ. ე. 158) და მხოლოდ ხინალუღურად ში ეწოდება (იქვე), რომელსაც, საფიქრებელია, თავკიდური მარცვალი უნდა ჰქონდეს დაკარგული.

ხარს, კუროს ეწოდება: ბოთლიხ., ღოდობ. და კარატ. უნსა,—ანდ. უნსო, ახვახ. უნჩა (ანდ.-დიდ. მას. 88),—ლუნძურად ოცი (R. II, 315 და უსლარ. ავარ. ე. 144),—ქარულად ოც (Ots: R. II, 315),—ანწუხურად ოს (იქვე) და ყაფუჩურად აგრეთვე ოს (ანდ.-დიდ. მას. 88).

მამალს, სახარე ხბოს კი აღულურად ჰქვიან ურჩ (ალ. ე. 166), ხოლო ხვად კვიცს არჩულად ური, წახურულად, უძრჲ და აღულურად იჳრა ეწოდება (იქვე, 161), რომელთაგან უკანასკნელი საფიქრებელია პირველი ორი ხმოვნის ადგილმონაცვლებით უნდა ჳირა-საგან იყოს წარმომდგარი.

თავისი სქესის თავსართიანი მდედრობითი სქესის არსებათა და ცხოველების სახელებს შორის შესაძლებელია აღნიშნული იყოს: 1. დის სახელი—ლუნძურად ჲასი (გჳლდენშტედტის R. II, 513), რომელიც იმავე დროს ქალიშვილსაც ნიშნავდა (იქვე), უსლარის ცნობით-კი ჲასი ეხლა ქალიშვილსა და ქალწულსა ნიშნავს, ხოლო დას ეწოდება ჲაც (ავარ. ე. 107).

გჳლდენშტედტის ჩანაწერით ანწუხურად და ქარულად ქალიშვილს, ასულს ერქვა ჲას (Jas: R. II 512), დას-კი ჰიაც (Hiats: R. II, 512), ხოლო ქალწულს ეწოდებოდა ჲასსე (Jasse: R. II 514), რომელსაც ამავე ცნების გამოსახატავად, იმავე მეცნიერის ჩანაწერით, ქარ-ლუნძებიც ხმარობენ (იქვე).

ასულსა და ქალიშვილს ლუმუქურად ერქვა დუშ (Dusch: R. II 521), რომელსაც ეხლაც ხმარობენ (ლაკ. ე. 267),—აკუშურად დურსსი (Durssi: R. II, 521) ჰრქმევია. ორივე ზემომოყვანილი სიტყვა იმავე დროს ქალწულის აღმნიშვნელიც ყოფილა (იქვე). დის ლუმუქურ სახელს-კი სიუ (Su: R. II, 521 და უსლ. ლაკ. ე. 351) სქესის არავითარი თავსართი არ გააჩნია.

[1] შესაძლებელია აქ კორექტ. შეცდომა იყოს.

ამავე აგებულების სქესის თავსართიანი და ძირის სიტყვებია **ახულის** სახელები: კარატული, ღოდობერ. და ახვახური—**ჲაში** (ანდ.-დიდ. მას. 93),—ყუანად.—**ჲაშ**,—ანდიური **ჲოში** (Joschi: R. II, 521 და ანდ.-დიდ. მას. 93),—ანდიური და ბოთლიხური **ჲეში** და ცინდალური **ჲაჰა** (ანდ.-დიდ. მას. 93) ისევე, როგორც წახურული **ჲიშშ**-იც (წახ. ე. 171 და ალ. ე. 165).

მდედრობითი სქესის ფორმანტიანებია აგრეთვე **რ**-თავკიდურიანი **ახულის**, **ქალიშვილის** კიურინული და აღულური **რუშ**,—ჯეკური და თაბასარანული **რიშ**,—ხინალუღური **რიში** და ბუდუხური **რიჟ** (ალ. ე. 165).

მდედრ. სქესის ფორმანტიანი დის სახელების ჯგუფიც საკმაოდ მრავალრიცხოვანია: ბოთლიხ., ღოდობერ., კარატ., ახვახ. და ცინდალურად **ჲაცხი** ეწოდება (ანდ.-დიდ. მას. 109),—ჭამალალ. **ჲაც** (იქვე),—ანდიურად **ჲოძ** და **ჲოცხი** (R. II, 521 და ანდ.-დიდ. მას. 109),—ყუანად. **ჲახხ** (ანდ-დიდ. მას. 109) და წახურულად **ჲიჩი** (ალ. ე. 177).

რ-თავკიდურიან მდედრ. სქესის თავსართიანი სახელი გააჩნია **დისათვის** აგრეთვე რუთულურს, სადაც **რიში** ეწოდება და ხინალუღურსაც, სადაც **რიცს**-სა ხმარობენ (ალ. ე. 167). არჩულად **დ**-თავკიდურიანი და **რ**-ბოლოკიდურიანი ფორმა არსებობს **დოშდურ** (იქვე, 167), ავარულად-კი მე-XVIII ს. დუცი (Dutsi) ყოფილა (R. II, 521).

დედის სახელიც ხვარშულში **ი**-თავკიდურიანია: **იშუ** (ანდ.-დიდ. მას. 99), ისევე როგორც წახურულადაც ეწოდება **ჲედ** (ალ. ე. 157). ცოლსაც ჭამალალ. **ჲაჰი** ჰქვიან (ანდ.-დიდ. მას. 93). გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერით, დედაკაცსაც ანდიურად **ჲოშიკა** ჰრქმევია (Joschika: R. II, 521), ეხლა **ჲოშკა**-სა და **ჲეშკა**-ს ეძახიან (ანდ. ე. 132 და 133).

დასასრულ, **ი**-თავკიდურიანი სიტყვაა ჰაკი **ცხენის** სახელიც: ანდიური **იჩა** და ჭამალალური **იშა** (ანდ.-დიდ. მას. 95).

ყველა ზემომოყვანილითგან ჩანს, რომ მამრ. და მდედრ. **სქესის აღმნიშვნელი ის მცირერიცხოვანი სახელები, რომელთაც თავიანთი სქესის გამომხატველი თავსართები აქვთ, ფართოდ და ინტენსიურად ყოფილა გავრცელებული. უკვე ეს გარემოება თავისდა-თავად სქეს-კატეგორიების უცხოობის ეჭვს საგრძნობლად ამცირებს.** მაგრამ, რა თქმა უნდა, რომ მარტო ამით ვერ გადაწყდება საკითხი გრამ. სქეს-კატეგორიები ე. წ. კავკასიის ენების დასაწყისითგანი თვისებაა, თუ არა. ამ პრობლემას ყოველ-მხრივ საფუძვლიანი შესწავლა სჭირდება. **უნდა დამტკიცდეს, რომ გრამ. სქეს-კატეგორიის მქონებელი ასეთი სიტყვები ამ ენებს მარტო ეხლა-კი არა, არამედ წინათაც და ძველადვე ჰქონდათ,** რათგან ახლად შეძენილი სიტყვაც შესაძლებელია ფართოდ იყოს გავრცელებული და ამა-თუ-იმ სიტყვის მარტო გავრცელების სიფართოვე სიძველის დამამტკიცებელ საბუთად ვერ გამოდგება. რაკი ე. წ. კავკასიურს ენებში, დამწერლობის უქონლობის გამო, ძველი ძეგლებისდა მიხედვით ამ საკითხის გამორკვევა შეუძლებელია, ამიტომ უკეთესი იქნება, რომ სანამ სქეს-კატეგორიების კავკასიის ენებში ყოველმხრივ შესწავლას შევუდგებოდეთ, ჯერ გრამ. სქეს-კატეგორიების საკითხი ქართულში იქმნეს შესწავლილი, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი საწერლობო ენაც აქვს და უხვი და საკმაოდ დიდ ასპა-

-რეზზე განფენილი მრავალფეროვანი დიალექტოლოგიური საგანძურიც მოეპოვე-ბა. როგორც თავის ადგილას დავრწმუნდებით, ამის შემდგომ ე. წ. კავკასიის ენებშიც ბევრი რამის გაგება და გამორკვევაც გაგვიადვილდება.

თავი მეხუთე

გრამატიკული სქესის საკითხი ძველი ქართ. მთარგმნელებისა და მეცნიერთა ნაშრომებისდა მიხედვით

უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ისტორიულ ხანაში ქართულს გრამ. სქესი არ უჩანს. მაგრამ საგულისხმოა გვცოდნოდა, აინტერესებდა, თუ არა, ეს პრობლემა ძველ ქართველ მეცნიერებს?

უკვე უძველეს ხანაში, როდესაც საღმრთო წერილის გადმოთარგმნას შეუდგნენ, მთარგმნელთა წინაშე გრამატიკული სქესის საკითხი ქართულში უეჭველია წამოიჭრებოდა. **ხანმეტი თოხთავის ჯერეთ წაკითხული ნაწყვეტებითგან ჩანს, რომ პირველ მთარგმნელებს შეუგნიათ, რომ ქართულს გრამატიკული სქესი არ გააჩნდა** და ამიტომ მისი გადმოცემა თარგმნის დროს არც უცდიათ. მაგრამ შემდეგი ხანის მთარგმნელებსა და შემსწორებლებს სხვადასხვანაირად უმსჯელიათ და იქ, სადაც დაბადების ტექსტში მდედრობითი სქესის არსებაზეა საუბარი, ზოგს შესატყვისი ქართული სიტყვისათვის მდედრობითი სქესის გამოსახატავად **ა** დაბოლოება დაურთავს და ასეთი ხელოვნური და ქართულისათვის შეუფერებელი საშუალებით გრამატიკული სქესის შექმნა უცდია. ამისი კვალი დაბადების თარგმნის ზოგს რედაქციაში ეხლაც არის შერჩენილი და თავის დროს ასეთი ადგილები ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს ა ც ა და ა ნ ტ ო ნ კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ს ა ც შეუმჩნევიათ და თავიანთი დაკვირვების ობიექტად გამოუყენებიათ.

ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს თავის ლექსიკონში ის ცალკეული სახელებიც აქვს მოყვანილი, რომელიც მამრობითი და მდედრობითი სქესისათვის იხმარებოდა, და ამას გარდა ის საერთო სიტყვებიც, რომლებიც ორივე სქესისათვის არსებობდა, მაგრამ სქესის განსარჩევად მხოლოდ დაბოლოება ეცვლებოდა. მაგ. **კაცი**-ს ქვეშე მას ნათქვამი აქვს: „კაცი ზოგად ყოელთა ეწოდების. ესე კაცი განიყოფების **მამაცად** და **დიაცად**, რომელ არს **მამაკაცი** და **დედაკაცი**". ხოლო „რა მამაცსა დიაცი მიეთხოვოს, ეწოდების მამაცსა **ქმარი** და დიაცსა **ცოლი**, ხოლო შობილთა მათთა **შვილი**. შვლსა მამალსა **ძე** და დედალსა **ასული**, რომელთა სიბერემდე ძესა **ვაჟი** და ასულსა **ქალი** ეწოდების". მაგრამ ამის შემდგომ უკვე სქესის აღმნიშვნელი ტერმინების თვისება იცვლება და ნათქვამია, რომ „ვიდრე ხუთ წლამდე ვაჟსა **ჩჩვლი** და ქალსა **ჩჩვლა** ეწოდების, ხუთისა წლით ვიდრე ათ წლამდე ვაჟსა **უსუარი** და ქალსა **უსუარა**, ათის წელითგან ათხუთმეტამდე ვაჟსა **ნინველი** და ქალსა **ნინველა**, ათხუთმეტის წელითგან ვიდრე ოცამდე ვაჟსა **ყრმა** და ქალსა **ყრმაა**, ოცის წელითგან ვიდრე ოცდა-

ათამდე ვაჲსა **ჭაბუკი** და ქალსა **ჭაბუკა** და შემდგომად სრული კაცი ვიდრე ორმეოცდაათამდე და შემდგომად ეწოდების ვაჲსა **მოხუცებული** და ქალსა **მოხუცებულა**"-ო (ლექსიკ.).

ამის მსგავსი ცნობებივე გვხვდება საბას ლექსიკონში **დედუფლის** ქვეშე მოთავსებულ განმარტებაშიც. იქ სახელდობრ სწერია: **„დედუფალი** ეწოდების ყოელთა მდიდართა სახლისუფალსა მის ცოლსა, ხოლო მეფის ცოლსა **მეფა** და უფლის ცოლსა **უფალა**, ხოლო დუკა, რომელ არს დიდი თავადი, მის ცოლსა **დიუფალი** და ერისთჳს ცოლსა **ბექა**, სხვათა მებატონეთა ცოლსა **ბატონა**. გლეხთა დიაცთა პატივისათჳს უწოდენ **უსოს**"-აო.

ზემომოყვანილი სიტყვები საბას დაბადების ქართ. თარგმანითგან აქვს ამოღებული. ამის დასამტკიცებლად თუნდაც შემდეგი მაგალითის მოყვანაც შეიძლება. ესაჲას 24_{2}-ში, ბაქარის გამოცემით, ნათქვამია: „იყოს ერი, ვითარცა მღდელი, და ყრმა, ვითარცა უფალი, და მკევალი, ვითარცა უფალა"-ო. ამნაირად აქ მართლაც უფალი-ც არის ნახმარი და უფალა-ც. პირველი ამათგანი უდრის ბერძნულს ὁ κύριος **ჰო კვრიოს**-ს, მეორე, უფალა-კი, ἡ κυρία **ჰე კვრია**-ს, ე. ი. **ქალბატონს**. მდედრ. სქესის გამომხატველად აქ ა დაბოლოებაა.

საკმარისია ადამიანმა ის ადგილები, სადაც მდედრ. სქესის ასეთი დაბოლოებიანი სიტყვებია ნახმარი, გულდასმით გადაიკითხოს და ამ თარგმანების ენის დამახასიათებელ თვისებებს ჩაუკვირდეს, რომ დარწმუნდეს, თუ რამდენად მიაგავს იგი იმ სამწერლობო მიმართულების ენას, რომლის მნიშვნელოვან წარმომადგენლადაც იოანე პეტრიწი ითვლებოდა: **მეფა**, **უფალა**, **ნინველა** და სხვაც ამის მსგავსიც სწორედ ამ მე-XI ს. დამლევის და მე-XII ს. ქართ. მეცნიერთა ნასიბრძნს და ხელოვნურ შენაქმნს წარმოადგენს. დაბადების ოშკის მე-X ს. ხელნაწერში არაფერი ამის მსგავსი არ არის. ამიტომ ასეთ სიტყვებს გრამ. სქესის ძველ ქართულში არსებობის საკითხის გამოსარკვევად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ამაზე გაცილებით უფრო საგულისხმოა ის, რაც ს. ორბელიანს თავის ლექსიკონში სიტყვა **მანა**-ს ქვეშე განმარტების ბოლო ნაწილში ნათქვამი აქვს: „უკეთუ ვსთქუათ **«მოვიდა»**, **ვიტყვით მამაკაცისასა** და **უკეთუ ვსთქუათ «მოვიდაჲ»**,—**დედაკაცისათჳს**. აგრეთვე ყოველი საზოგადო სათქმელნი განიყოფებიანო" (4_{21}. მსაჯულთა)-ო (ლექს. გვ. 168).

ამ მაგალითითგან ჩანს, რომ საბას დაკვირვებით, ბოლოკიდური ჲ მდედრობითი სქესის აღმნიშვნელია. მაგრამ თავისი დებულების სიმართლის დამამტკიცებელ საბუთად საბა ორბელიანისაგან დასახელებულ ადგილას მსაჯულთა 4_{21}-ში ნათქვამია: **„მოიღო იაილ**, **ცოლმან** ქავებისმან, **მანაჲ კარვისა** და აღიღო კუედაჲ კელთა თჳსთა და შევიდა შისა მდუმრიად და **დაასხაჲ მანაჲ** იგი ყურიმალსა მისსა და დანსჭვალა იგი ქუეყანასა". თუმცა აქ მართლაც **მანაჲ** გვხვდება და დედაკაცის შესახებ ნახმარ ზმნას **დაასხაჲ** ბოლოკიდური ჲ ახლავს, მაგრამ ზმნა **„მოვიდაჲ"** ამ წინადადებაში არ გვხვდება. ამიტომ მაგალითად მოყვანილი **„მოვიდაჲ"**, ან თვით საბას ნაწარმოები უნდა იყოს, ანდა, მისგან დასახელებულ ადგილს გარდა, სხვა ადგილებიც უნდა ჰქონოდა.

ს. ორბელიანისაგან დამოწმებული მსაჯულთა წიგნის ზემომოყვანილი წინადადებითგან მაინც არა ჩანს, ზმნის ბოლოკიდური ჲ მართლაც **დედაკაცის** სახელის გამომხატველია, თუ **მანას** სახელთან არის დაკავშირებული („დაასვაჲ მანაჲ“)? მაგრამ თავისდა-თავად სახელოვანი ლექსიკოგრაფის ეს დაკვირვება მაინც საყურადღებოა.

ძველ ქართულ ძეგლებში გვხვდება ისეთი ადგილები, სადაც ბოლოსართი ჲ ზმნაში თითქოს მართლაც მდედრ. სქესის გამომხატველი უნდა იყოს. მაგალითად შესაძლებელია წ͞ა ნინოს უძველესი ცხორების ტექსტი იქმნეს დასახელებული.

ამ ძეგლში წ͞ა ნინო ამბობს: „**გამოვინიშჱ** ნიში იგი ქრისტჱს ჯუარისაჲ და **ვილოცევდი** მუნ ექუს დღჱ (შატბერდ. წ. ნინოს ც͞ა: Опис. II, 755).

„**მიწაჲ ალიღე** ადგილისა მისგან და **შეაჭამჱ** კაცთა მაგათ (იქვე II, 757). ნინოსვე ნათქვამი აქვს: სიზმარი **ვიხილჱ** ჩუენებასა შინა მცირედსა მას მირულებასა“-ო (იქვე II, 757).

„**ვიხილჱ** ასულმან აბიათარისმან **სიდონია წ͞ჲ ნინოჲ**“ (წ͞ა ნინოს შატბერდ. ც͞ა, Опис. II, 767).

ყველა ზემომოყვანილ წინადადებებში მოსაუბრე დედაკაცია და ზმნას ჲ ბოლოსართი ახლავს, ისე რომ შესაძლებელია გვეფიქრა, რომ საბას დაკვირვება მცდარი არ არის, მაგრამ საქმე ის არის, რომ, ჯერ ერთი, ეს წესი მოყვანილ მაგალითებშიც ყველგან დაცული არ არის, ხოლო მეორე დამაფიქრებელი გარემოება ის გახლავთ, რომ ჲ ბოლოსართი შესაძლებელია სუბიექტთან, დედაკაცის სახელთან-კი არ იყოს დაკავშირებული, არამედ ობიექტის აღმნიშვნელი იყოს („გამოვინიშეჲ „**ნიში**“, „**მიწაჲ**... შეაჭამეჲ“, „ვიხილეჲ... **ნინოჲ**“). ზემომოყვანილ წინადადებებში-კი ობიექტი ყველგან მდედრ. სქესისა არ არის და, თუ ჲ ბოლოსართი მართლაც ობიექტის გამომხატველია, მაშინ ჲ სქესთან არ ყოფილა დაკავშირებული.

საქმის ნამდვილი ვითარების გამოსარკვევად, ს. ორბელიანის დაკვირვებას გულდასმითი შემოწმება სჭირდება ძველი, ნუსხა-ხუცური სახით დაცული, ძეგლების ენის მიხედვით. ამჟამად -კი შესაძლებელია ითქვას მხოლოდ, რომ ქართ. ლექსიკოგრაფის ეს დებულება მერმინდელ მკვლევართ, ან გამოჰპარვიათ, ან უარუყვიათ. ჯერჯერობით, სანამ ეს საკითხი მონოგრაფიულად შესწავლილი არ იქმნება, მასზე დაბყარება არც ეხლა შეიძლება.

ზურ. შანშოვანსა და ანტონ კათალიკოზს გრამატიკული სქესის აღმნიშვნელ ტერმინად **ნათესავი** აქვთ მიღებული. ზურაბ შანშოვანს თავისს 1737 წ. შედგენილ „**მოკლე ღრამატიკა**“-ში ნათქვამი აქვს, რომ ქართულს გააჩნია „ნათესავი ოთხი: **სამამაო, სადედაო, ზიარი** და **არავინი**“. თითოეული ამ ოთხი სქესთაგანის თითო-თითო მაგალითიც არის იქვე მოყვანილი: „**სამამაო**, ვითარცა **წული**, — **სადედაო**, ვითარცა **ასული**, — **ზიარი**, ვითარცა **შვილი**, — **არვინა**, ვითარცა **ქვა**“-ო („მოკლე ღრამატიკა ქართულისა ენისა“, გამოც. ალ. ცაგარელისა, პეტერბ. 1881 წ. გვ. 10).

ანტონ კათალიკოზის სიტყვით-კი ქართულში „**სახელი** (იგულისხმება არსებითი), ენისაებ ჩუენისა, **ანუ არს მამრობითი, ანუ მდედრობითი**,

ანუ უმეშუეობითი და ანუ საზოგადო". იქვე განმარტებულია, რომ მამრობითი ისეთი სიტყვის სქესს ეწოდება, „თუ სადამე დანიშნული იგი მის მიერ იყოსმცა მამრი, მაგალითებრ: **მამა, პაპა, მღუდელი, წული, სიმამრი, მამამთილი, ძმა, ხარი, ვაცი, ვერძი, ყრმა, უფალი, მეფე, ჭაბუკი, ხუადი და სხუანი**". ხოლო, თუ სიტყვა მდედრობითი ბუნების არსებათა სახელი იყო, „თუ სადამე იყოსმცა მდედრ, მაშინ ზედწოდებულ **მდედრობითი**, მაგალითებრ: **დედა, ჰანი, სიდედრი, სძალი, ყრმაა** (sic), **უფალა, მეფა, ჭაბუკა, ფური** (sic), **ნეზვ, ძუძ** და სხუანი"-ო.

როდესაც ამა-თუ-იმ სიტყვით „არა მამრ დაინიშენოდესმცა და არცალა მდედრ, მაშინ წოდებულ ესე—გუარი **უმეშუეობითად**, მაგალითებრ: **ქუა, სპეკალი, სახლი, პალატი** და სხუანი".

დასასრულ, როდესაც სიტყვა „დაინიშვნოდესმცა **ორ მნიშვნელობით**, ესე იგი **მამრისა მიმართცა და მდედრისა**, მაშინ ნათესავობითი ესე წოდებულ **საზოგადოდ**, მაგალითებრ: **კაცი, მშობელი, შვილი, ცხენი, ზროხა, ირემი, ფარშამანგი, ტრედი, კიცვ, მართუე, ლეკვ, მჰსწავლული, ქალწული** და სხუანი"-ო. (ქართ. ღრამატიკა რ. ერისთავის 1885 წ. გამოც. გვ. 127—128, § 185).

ცხადია, რომ **ყველა ზემომოყვანილი მაგალითების მიხედვით შესაძლებელია საუბარი მხოლოდ რეალურ სქესზე იყოს, რადგან გრამატიკული სქესი არც ერთს მათგანს არ გააჩნია**. ეს გარემოება თვით ანტონ კათალიკოზსაც არ გამოჰპარვია. მას ეს თვითონაც აქვს ხაზგასმით აღნიშნული. თავისი გრამატიკის მომდევნო, 186-ე §-ში ნათქვამი აქვს კიდევაც: „**არა რაჲმე აქუს ნიშანი ჩუენისამებრ ენისა სახელსა არსებითსა მამრობითად თქმულსა** და არცალა მდედრობითად თქმულსა"-ო და მხოლოდ „**ზედ-შესრულთა სახელთა მდედრობითად აქუს რომელთამე დამაბოლოებელი ა**, მაგალითებრ: **ჭაბუკა** (რუთ. 2_1), **უფალა** (24_3), **მეფა** (იერემ. 44, $_{17}$), **წინასწარ-მეტყუელა** (ისაი. 3), **ყრმაა** (იერემ. 34_{11}). **ძუელს დაბეჭდილს საწინასწარმეტყუელოსა შინა ა: ებრაელა** (იერემ. იგივე თავი, რიცხვ 3), **მოაბელა** (ისაია 15_1). მაშასადამე ყოველსა ზედშესრულსა სახელსა მდედრისა ქუემდებარისა მიმართ მოღებულსა უშესაბამების მდედრობითი"-ო (ქართ. ღრამ. გვ. 128).

საბას თავის ლექსიკონში **მეფა** ფორმისათვის დამოწმებული აქვს 44_{18} იერემია, **უფალა** ფორმისთვის ესაიას 24_2, **ყრმაა**-სთვის 34_{11} იერემია, **წინასწარმეტყუელა**-სთვის 4_1 მსაჯ. და **ჭაბუკა**-სთვის 2_1 რუთ. ხოლო ანტონი კათალიკოზის მიერ ძველი დაბეჭდილი საწინასწარმეტყველოთგან ამოღებული მაგალითები **ებრაელა** და **მოაბელა** სრულებით არ მოეპოვება. ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ გრამატიკული სქესის ქართულში არსებობის საკითხის გამოსარკვევად ანტონ კათალიკოზს, ს. ორბელიანისაგან დამოწმებულ წყაროებს გარდა, ძეგლებში მასალები თვითონაც უძებნია.

ამგვარად შესაძლებელია ითქვას, რომ მე-XII ს. ქართველ მეცნიერთა ერთი ჯგუფის გარდა, რომელმაც გრამ. სქესის ხელოვნურად შექმნა სცადა, ყველასთვის ცხადი იყო, რომ ქართულს გრამ. სქესი არ გააჩნდა. ს. ორბელიანს და ანტონი კათალიკოზს ეს ნასიბრძნი, ხელოვნური წარმოება შეცდომით ძველად მიუჩნევიათ და ნაწილობრივ ამ მაგალითებს დაჰმყარებიან, მაგრამ

არც ერთს მათგანს ამ მაგალითებზე დამყარებული დაკვირვება ქართული ენის ზოგად მოვლენად არ მიუჩნევია. ა ნ ტ ო ნ კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ს, როგორც დავრწმუნდით, სრულებით მკაფიოდ ჰქონდა შეგნებული, რომ ქართულს გრამ. სქესი არ გააჩნია.

თავი მეექვსე

გრამატ. სქესის ქართულში არსებობის საკითხი თანამედროვე სამეცნიერო მწერლობაში

მე-XIX—XX სს. სამეცნიერო მწერლობაშიც ქართული უსქესო ენად არის ცნობილი. მხოლოდ პროფ. ნ. მ ა რ რ მ ა გამოსთქვა მოსაზრება, რომ, თუმცა ისტორიულ ხანაში სამწერლობო ქართულს, ჭანურს, მეგრულსა და სვანურს გრამ. სქესი არ უჩანს, მაგრამ წინათ უნდა ჰქონოდაო. ეს დებულება მან თავისს 1908 წელს გამოსულს ნაშრომს „ძირითად ტაბულებ"-ში წამოაყენა. იქ სახელდობრ ნათქვამია, რომ ქართული ენის დაკვირვებული შესწავლა გრამატიკული სქესის ოდესღაც აქაც არსებობას ცხად ჰყოფს[1]. მეტადრე მდედრობითი სქესის სუფიქსია მრავალსახით გაქვავებულად შენახულიო. ამგვარ სუფიქსად მან ნაწილაკები — ატ, ეტ, ად, ედ, ალ, ელ, ათ, ეთ, აკ, ეკ, აგ, ეგ, ავ, ევ, აქ, ექ და თვით „ა" და „ე"-ც გამოაცხადა. მდედრობითი სქესის ბოლოსართებად ჭანურში ოლ > ულ > ურ და ბოლომოკვეცილი ო > უ აღიარა (იხ. მისი ჭანური გრამ. § 5).

მართალია, აქ კილოკავებიც არის ნავარაუდევი, მაგრამ თითქოს მეტისმეტი სიუხვეა. „ეთ"-ის მდედრობითი სქესის ნიშნად მიჩნევა იმაზე იყო დამყარებული, რომ სემურ ენებში ამ მარცვალს მართლაც ამგვარი მნიშვნელობა და დანიშნულება აქვს. ქართულისა და სემურ ენათა ნათესაობა-კი პროფ. ნ. მ ა რ რ ს იმ ხანაში უცილობელ და ურყევ ჭეშმარიტებად მიაჩნდა.

არავითარი საბუთი, რომელიც ზემოთმოყვანილი ბოლოსართების მდედ. სქესის ფორმანტობას ამტკიცებდეს, ნ. მ ა რ რ ს დასახელებული არ ჰქონდა, იმას გარდა, რომ შესატყვისს, თუ შესატყვისად მიჩნეულს, სემურ სიტყვებს მდედრ. სქესის დაბოლოება აქვთ.

---

[1] „По более интимном ознакомлении с реалиями груз. речи однако оказывается, что в ней сохранился в качестве мертвого уже инвентаря СУФФИКС ЖЕНСКОГО РОДА, богато представленный в целом ряде диалектических разновидностей притом как в полной форме, то сильной $\left(\frac{at}{et} > \frac{ad}{ed}\left[\frac{al}{el}\right] > \frac{a\vartheta}{e\vartheta}\text{ и т. п.}\right)$, то слабой $\left(\frac{ak}{ek} > \frac{ag}{eg}\left[\frac{aw}{ew}\right] > \frac{aq}{eq}\text{ и т. п.}\right)$, так и в усеченной $\left(\frac{a}{e}\right)$ (Н. Марр, Основные таблицы к грам. древ.-груз. языка. 1908 წ. გვ. 8 შენ. 1.).

პროფ. ნ. მ ა რ რ ი ს დებულებას-კი ა და ალ-ის ქართულში მდედრობითი სქესის ნიშნობის შესახებ ის გარემოება ეწინააღმდეგება, რომ ისეთ უდავო მამრობითი სქესის სულიერ არსებათა სახელებსაც-კი, როგორც მაგ. **მამა**, **პაპა**, **ძმა**, **მამალი** და სხვაა, ბოლოსართად იგივე ა და ალ-ი აქვს. ამგვარად, ნ. მ ა რ რ ი ს აზრი რომ სამართლიანი ყოფილიყო, ქართულში **მამა** და **მამალი** მდედრ. სქესის სიტყვებად უნდა მიგვეჩნია. იმის მაგიერ, რომ ამ გარემოებას შეეფიქრიანებინა და თვით დებულების სისწორის ეჭვი აღეძრა, ავტორს სემურ ენებითგან ერთად-ერთი მაგალითი აქვს მოყვანილი, როდესაც **მამა** ებრაულად მრავლობითად ნახმარი მდედრობითი სქესის დაბოლოების მქონებელი გამოდის (Основ. таблицы. 8. შენ. 1).

შემდეგში უკვე იმის ასახსნელად, თუ როგორ მოხდა, რომ ერთიდაიგივე ფესვი **ბბ** **ᲑᲐᲑᲣᲐ**-სა და **ᲑᲔᲑᲘᲐ**-ში **პაპისაც** და **ბებიის** აღმნიშვნელად იქცა, პროფ. ნ. მ ა რ რ მ ა ამ სიტყვებში **ᲣᲐ** მამრობითი სქესის ნიშნად, ხოლო **ᲘᲐ** მდედრობითი სქესისად აღიარა.

ამ დებულებისათვისაც დამამტკიცებელ საბუთად მე-3 პირის არაბულ ნაცვალსახელს **ჰუ** და **ჰია**-ს იმოწმებდა, რათგან პირველი მამრობითი სქესის არსებას, მეორე-კი მდედრობითისას ნიშნავს.

1917 წ. დამდეგს ამავე აზრის საბუთიანობის გასაძლიერებლად აკად. ნ. მ ა რ რ მ ა უკვე „ავარული“ ენა მოიშველია და განაცხადა, რომ „ავარული“ თავისი სქესთა აღმნიშვნელებით უ (> w)-ით მამრობითი სქესისათვის და ი (> y) მდედრობითისათვის რეალურ საფუძველს გვაძლევს ქართულ ტერმინების **ᲑᲐᲑᲣᲐ**-ს და **ᲑᲔᲑᲘᲐ**-ს აგებულების განსამარტავადო. ცხადია, **ნათესავობის აღმნიშვნელი ეს ტერმინები ავარული უნდა იყოსო**[1].

ჯერ ერთი, რატომ უნდა იყოს სიტყვები **ბაბუა** და **ბებია** სწორედ „ავარული?“ განა ეს სიტყვები ღუნძურშიც (**ავარულშიც**) არსებობს და სწორედ ამნაირადვე გამოითქმის? მაგრამ, ამასაც რომ ანგარიში არ გავუწიოთ, თუ **ქართულს ᲑᲐᲑᲣᲐ** და **ᲑᲔᲑᲘᲐ** „ავარულითგან“ აქვს ხასესხები, მაშინ რა მიზეზია, რომ **ბაბუა** სწორედ ქართულ სამწერლობო ენაში და აღმოს. საქართველოში არსად იხმარება და მარტო დასავლეთ საქართველოს კილოებშია მიღებული? „ავარულითგან“ რომ შემოსულიყო, პირველად ხომ მახლობელ ქართველ ტომებს და **აღმოს**. საქართველოს უნდა შეეთვისებინა!

---

[1]. Непочатый источник გვ. 319:

„вопрос, как появление одного и того же корня (bb) для обозначения и дедушки и бабушки: г. ბაბ-უა дедушка, г. ბებია — бабушка приходила мысль, что семасическое различение основы зависит от суффиксов, для „дедушки“ — мужского рода — ua, а для „бабушки“ — женского рода ia; нас искушала даже возможность сослаться на тождественное звуковое различение муж. и женск. рода в арабском местоимении: هو этот и هی эта. Но все это казалось черезчур проблематичным. Но вот аварский язык своими показателями родов мужского — (u > w) и женского i (→ y) дает реальную почву, на которой отложившиеся в грузинском термины родства, очевидно аварского происхождения, bab-ua дедушка и beb-ia бабушка получают окончательное раз'яснение.

ამგვარად, **ბაბუა** და **ბებიის** „ავარულობის“ ერთად-ერთ დამამტკიცებელ საბუთად ის **დებულებაა**, რომ **უა** „ავარული“ მამრობითი სქესის ნიშანიაო, **ხოლო ია** მდედრობითისა.

მაგრამ, როგორ შეიძლება ქართულში **ია** მდედრობითი სქესის ნიშანი იყოს, როდესაც მამრობითი სქესის პირთა აღმნიშვნელ **მრავალ ტერმინსა და საკუთარ** სახელებსაც სწორედ ესეთივე ბოლოსართი აქვთ: მაშინ ხომ **ძამია**-ც, **მამია**, **სესია**, **ძულია**, **ტეტია** და სხვაც მრავალი მდედრობითი სქესის არსებათა სახელები უნდა ყოფილიყო და ქალების სახელებად უნდა მიგვეჩნია!

თავი და თავი-კი ის გარემოება გახლავთ, რომ, თუ აკ. ნ. მარრს დავუჯერეთ და **ბაბუა** და **ბებია** მართლაც ღუნძურ („ავარულ“) სიტყვებად მივიჩნიეთ, მაშინ **ამ ორ მაგალითს, ვითარცა ნასესხებ მარაგს**, გრამატიკული **სქესის ქართულში** ოდესღაც **არსებობის დასამტკიცებლად** ყოველგვარი **მნიშვნელობა ეკარგება**. ყველა ზემოაღნიშნულის გამო ცხადია, რომ აკად. ნ. მარრის ეს დებულება საქმის ნამდვილ ვითარებას არ შეესაბამება.

საფიქრებელია, რომ ზემოგანხილულ დებულებებს შემდეგში არც თვით აკად. ნ. მარრი-ლა იცავდა. ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ 1925 წ. გამოქვეყნებულ ზოგადს ნაშრომში „Грамматика древне-литературного грузинского языка“ „**ქართული ძველი სამწერლობო ენის გრამატიკა**“-ში გრამ. სქესის შესახებ უკვე აღარაფერია ნათქვამი.

პროფ. ნ. მარრის ჭანური გრამატიკის მსგავსად, პროფ. იოს. ყიფშიძემაც **ალ**, **არ**, **ოლ**, **ულ**, **ურ**, **ა** და **უ** მდედრ. სქესის ნაშთად სცნო. მაგრამ მას აღნიშნული აქვს, რომ თანამედროვე მეგრულში ამ ბოლოსართებს სქესთან საერთო არა აქვს რა. სამაგიეროდ მას შემჩნეული აქვს ერთი მოვლენა, რომ მეგრულად რამოდენიმე ერთიდაიგივე სახელი არსებობს, რომელნიც მამაკაცისთვისაც და ქალისთვისაც იხმარება, იმ განსხვავებით, რომ სიტყვის შუაში, ანდა ბოლოში მამაკაცის სახელს **უ** ხმოვანი, ხოლო დედაკაცისას **ა** ხმოვანი აქვს. ამ დებულების საბუთად მოყვანილია **ძუკუ** და **ბურდღუ**, რომელნიც მამაკაცის სახელებია, და დედაკაცის სახელებია **ძაკუ** და **ბურდღა** (იხ. მეგრ. გრამ. გვ. 015 § 9. შენ, 1).

პროფ. იოს. ყიფშიძის ამ საგულისხმო დაკვირვების დამაჯერებლობა უცილობელი იქმნებოდა, მხოლოდ თითო მაგალითი რომ არ ყოფილიყო მოყვანილი. ერთ შემთხვევაზე დამყარება ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის **გადაწყვეტის** დროს, როგორიც გრამ. სქესის არსებობა-უქონლობაა, რასაკვირველია, არ შეიძლება. ამასთანავე, თუ **უ** როგორც შემდეგში **დავრწმუნდებით**, გარკვეულ **ხანასა** და პირობებში მამრ. სქესის ნიშნადაც გვხვდება, არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ **ა** ქართულში ოდესმე **მდედრ. სქესის** ნიშანი ყოფილიყო.

გრამ. სქესის ქართულში არსებობის შესახები თეორიების ზემომოყვანილი **მიმოხილვა** დაარწმუნებდა ადამიანს, რომ ეს მნიშვნელოვანი საკითხი არავის **მონოგრაფიულად** და არსებითად არ შეუსწავლია, არამედ სემურ ენებთან **ნათესაობის** დებულების დამაჯერებლობისათვის იყო ერთ-ერთ საბუთთაგანად

წამოყენებული. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ, ვითარცა შემთხვევით წამოჭრილს, ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება არ ჰქონია მიპყრობილი და ამ თეორიების ავტორები ამ საკითხს სასხვათაშორისო საკითხის მსგავსად ეპყრობოდნენ. ასეთ პირობებში ამ დებულებათა მცდარობაც, რა თქმა უნდა, სრულებით ბუნებრივია [1].

თავი მეშვიდე

გრამ. სქეს-კატეგორიების ქართულში ოდინდელი არსებობის ძიების მნიშვნელობისა და მეთოდისათვის

ზემომოყვანილი ყველა ცნობებისა და თეორიების მცდარობისდა მიუხედავად, საკითხი ქართულში გრამატიკული სქესის არსებობის შესახებ უაღრესად მნიშვნელოვანია თავისდა-თავადაც და მეტადრე ქართულისა და კავკასიური ენების ნათესაობის პრობლემის თვალსაზრისით. შესაძლებელია გადაჭრით ითქვას, რომ ჯერეთ ცნობილი ძეგლების ენის მიხედვით ქართულს ძველ ხანაშიც გრამატიკული სქესი არ ჰქონია. მაგრამ ქართ. დამწერლობის ძეგლები ქ. შ. მე-V ს-ზე უწინარესი ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება და ამის გამო ზემოაღნიშნული დასკვნა უფლებას არ გვაძლევს გადავწყვიტოთ, გრამატიკული სქესის უქონლობა ქართული ენის დასაწყისითგანი თვისება იყო, თუ, სხვა არაერთ ენასავით, ქართულსაც სქესი დროთა განმავლობაში დაუკარგავს. ხოლო, რაკი ქართულისა და სხვ. მოდგმის ენათა ოჯახთან, მათ შორის კავკასიურ ენებთან, მონათესავეობის პრობლემის საბოლოოდ გადასაწყვეტად ამას უაღრესი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ამ საკითხს უძველესი ქართულის შესახებაც კვლავ განხილვა სჭირდება. მაგრამ, დასახული მიზნის შეძლებისამებრ შეუმცდარად მისაღწევად, შემთხვევითი მაგალითების მაგიერ, ამ ამოცანის გადასაწყვეტადაც უნდა იმავე მეთოდით ვიხელმძღვანელოთ და ლექსიკური მასალების იმავე დარგებით ვისარგებლოთ, რომელთა გამოყენებითაც, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ენის თავდაპირველი აგებულების გამორკვევა ყველაზე უკეთესად შეიძლება. დაკვირვებისა და ანალიზის საგნად უნდა ქართულშიც უპირველესად ადამიანთა და ცხოველთა შორის ნათესაური დამოკიდებულებისა და სქესის აღმნიშვნელი სიტყვები გავიხადოთ.

[1] პროფ. კარპენ დონდუას 1933 წ. გამოქვეყნებულს ნაშრომში „О двух суффиксах множественности в грузинском" („Язык и мышление" I, Ленинград) წამოყენებული აქვს დებულება, რომ მრ. რ. ფორმანტები ნ და ბ ფუნქციურად განსხვავდებოდნენ. საგულისხმო ნაკვლევია, მაგრამ სქესის ამოცანის გადასაჭრელად, მრ. რ.-ის საფუძვლად მიღება ხელსაყრელი არ არის.

თავი მეორე

სქესისა და ცნებათა კატეგორიების აღნიშვნის სხვადასხვა წესი ქართულში

ჰქონდა, თუ არა, თავდაპირველად ქართულსაც გრამ. სქესი ისევე, როგორც ინდოევროპულ და სემურ ენათა ოჯახებს ჰქონდათ და ეხლაც აქვთ, ანდა გააჩნდა, თუ არა, სქეს-კატეგორიები იმნაირად, როგორც ღილღურსა და დაღისტნის ლეგურ ენათა უმრავლესობას მოეპოვება, ამ საკითხის გამოსარკვევად უპირველესად უნდა ძველი და თანამედროვე სამწერლობო ქართულში და მეგრულ-ჭანურ-სვანურში სქესისა, თუ ცნებათა კატეგორიების აღნიშვნის ყოველნაირი წესი გვქონდეს გულდასმით შესწავლილი. ეს ჩვენ საშუალებას მოგვცემს გავიგოთ, ემჩნეოდა, თუ არა, ისტორიულ ხანაში სამწერლობო ქართულსა და ქართველურ ენებს გრამ. სქესისა, ანდა ცნებათა კატეგორიების ოდინდელი არსებობის რაიმე კვალი.

§ 1. ქართულში ცნებათა კატეგორიების ოდინდელი არსებობის კვალი

თუ ადამიანი ჩაუკვირდება, ყველაზე ადვილი შესამჩნევი ქართული ენის ერთი საგულისხმო მოვლენაა, რომელიც უძველესი ხანის ძეგლებშიცა და თანამედროვე საუბარშიც გვხვდება.

ქართულს სახელდობრ ის თავისებური მოვლენა ახასიათებს, რომ ის ერთისადაიმავე მოქმედების გამოსახატავად სხვადასხვა ზმნებსა ხმარობს, მაგ. ჩვენ ვამბობთ: **ქვის, პურის, ბურთის აღება, ხოლო ბავშვის, ავადმყოფის, კურდღლის, ქათმის აყვანა.**

წიგნის, კოვზის, სურის, სალვინის, შანდლის დადება, ან დადგმა. ხოლო ბავშვის, მგზავრის, სტუმრის დასმა.

ზემომოყვანილ მაგალითებში ის გარემოებაა საგულისხმო და განსაკუთრებული ყურადღების ღირსი, რომ ასეთი თავისებურება მარტო თანამედროვე ქართულს-კი არა აქვს, არამედ უძველეს ჯერეთ ცნობილ ძეგლებშიც გვხვდება და ჩვეულებრივ ასე გამოითქმის ხოლმე. მაგ. შესაძლებელია თუნდა მე-V ს. ავტორის, ი ა კ ო ბ ხ უ ც ე ს ი ს, თხზულება იქმნეს დასახელებული, რომელშიც ნათქვამია: ვარსქენ ქართლისა პიტიახშსა „ბრძანა (შუშანიკის) სენაკსა ერთსა **შ ე ყ ვ ა ნ ე ბ ა დ**“ (თავი VI, გვ. 8_{21-22}). პიტიახშის ძმამ „თანა-**წ ა რ ი ყ ვ ა ნ ნ ა ცოლი და შვილნი და მონა-მჴევალნი** მისნი“-ო (თავი XVI, გვ. 18_{20-21}). **შუშანიკსაც** თავისი ქმრისათვის შეუთვლია: „ვერცა **ჩემდა** შემძლებელ ხარ **გ ა ნ ყ ვ ა ნ ე ბ ა დ**“-ო (თავი XIV, გვ. $16_{1\ldots}$).

ამნაირად ცოცხალი სულიერი არსების შესახებ ითქმოდა **შეყვანებად, განყვანებად**, თანა **წარყვანად**, უსულოზე და მკვდარზე ამ ზმნის ხმარება არ

შეიძლებოდა. ამიტომაც არის, რომ იაკობ ხუცესისავე სიტყვით, ქართლისა პიტიახშს ციხეში დამწყვდეული ცოლისა, შუშანიკისათვის უთქვამს: „ცოცხალი არღარა გამოსლვად ხარ, გარნა **ოთხთა გამოგიღონ**“ **მკვდარიო** (თავი IX, გვ. 12_{22-24}). შემდეგ იგივე იაკობ ხუცესი მოგვითხრობს, რომ, როდესაც შუშანიკი მართლაც გარდაიცვალა, „**აღვიხუენით ძუალნი** (იგულისხმება: გვამი) და **გამოვიხუენით** ეკლესიასა“-ო (თავი XIX, გვ. 22_{17-18}). მაშასადამე, მკვდარზე და უსულო საგანზე **გამოღებაჲ**, ანდა **გამოხუმაჲ**, გინდა **აღხუმაჲ** ითქმოდა ხოლმე. ასეთი მაგალითების მოყვანა სხვა ძეგლებითგანაც ბლომად შეიძლებოდა, მაგრამ ვგონებ ესეც სრულებით საკმარისი უნდა იყოს.

ყველა ასეთ შემთხვევებში **ქართულში სულიერ არსებათათვის ერთი ზმნა იხმარება, უსულო საგნებისა და ნივთებისათვის-კი უეჭველად სხვა ზმნაა ხოლმე გამოყენებული.** სხვა ენებში-კი ასეთ შემთხვევებში მოქმედება ერთიდა-იმავე ზმნით გამოითქმის. ქართული ზმნის ხმარების ეს წესი, მაშასადამე, მხოლოდ მოქმედების ობიექტის ბუნებაზეა დამოკიდებული, სულიერი არსებაა, თუ უსულო საგანია ობიექტად.

ცხადია, რომ **აქ ქართულში სულიერ არსებათა და უსულო საგნების კატეგორიების განრჩევა გვაქვს,** სახელდობრ, **ამ განრჩევის კვალი-ღაა მხოლოდ დაცული,** რათგან ამ კატეგორიების აღსანიშნავად, ღიღლურ-ლეგურის მსგავსად, ქართულს არავითარი ბგერითი ფორმანტები არ მოეპოვება. მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს თავისებური მოვლენა ქართულ ენაში სწორედ წინათ არსებული სულიერ-უსულო არსებათა სქეს-კატეგორიების ნიშნების დაკარგვის შემდგომ კომპენსატორული პროცესის წარმონაშობი უნდა იყოს.

§ 2. სქესის აღნიშვნის ორგვარი წესი

ადამიანთა და ცხოველების სქესის აღსანიშნავად ერთი მხრით ისეთი ცალკეული სიტყვები არსებობს, რომელნიც მამრ., თუ მდედრ. სქესს ზოგადად გამოჰხატავენ და რომელთაც ერთმანეთთან საერთო არა აქვთ რა და ამიტომ სქესის განმასხვავებელი რაიმე ფორმანტი არც მოეპოვებათ. მაგ. **მამაკაცი** და **დედაკაცი**, ანდა, როგორც ძველ ძეგლებში გვხვდება, **მამანი** და **დედანი** (იხ. იაკობ ხუცესის წ͞მჲ შშ͞ნკსი, თავი IX, გვ. 12_{17}). დედაკაცის შერწყმული ფორმაც, **დიაცი**-ც არსებობს. **მამალი** და **დედალი**, **ხუადი** და ძუ, **კურო** და **ახტა**, მამრ. სქესისა,—ხოლო **ფაკი**, ანდა **კრდალი**, თუ **მკდალი** მდედრ. სქესის ცხოველებისათვის არის.

ხუადი ძველად მარტო ცხენის, ვირისა და ლომის მამრ. სქესის აღსანიშნავად-კი არ იხმარებოდა, არამედ **კანჯრისათვისაც**, ამასთანავე კვიცის სქესის განსაზღვრის დროსაც. „სახისმეტყველ“-ში მაგ. ნათქვამია: „სახისმეტყუელმან თქუა კანჯრისათჳს... რაჟამს შვან ხუადი კიცჳ, მამამან დაუცოხნის საურვალნი და უქმ ქმნის“-ო (TP VI, გვ. 15). **ხუადი კიცჳ** სომხ. *արու մտրուկ* **არუ მტრუკ**-ს უდრის.

მეორე მხრით ადამიანთა და ცხოველთა სქესის აღსანიშნავად ძველსა და ნაწილობრივ თანამედროვე ქართულსაც მოეპოვება სიტყვათა მთელი ჯგუფეში,

რომელთაც, თუ ადამიანი ჩაუკვირდა, შესაძლებელია ერთი საგულისხმო დამახასიათებელი თვისება შეამჩნიოს.

რა თქმა უნდა, ყველაზე საყურადღებო სწორედ ეს საერთო თვისების მქონებელი სქესის სიტყვათა ჯგუფებია და ამიტომ უპირველესად მათ განხილვას უნდა შევუდგეთ.

თ ა ვ ი მ ე ც ხ რ ე

ადამიანთა და ცხოველთა მამრ. სქესის აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფი

1. ადამიანის მამრობითი სქესის აღსანიშნავად ქართველს ჰქონდა **ვაჟი**. საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს ნათქვამი აქვს: **„ვაჟი—წული, კაცთან ნახე** (1 მეფ. 30_{19})"-ო. მის მიერ დასახელებულ დაბადების ადგილას ბაქარისეულ გამოცემაში-კი „ვაჟი" არ არის, არამედ იქ სწერია: „არა დაშთა მათი მცირითგან ვიდრე დიდადმდე, ნატყუენევისაგან ვიდრე **ძედმდე** და ასულადმდე". სახელოვანი ქართველი ლექსიკოგრაფის ზემომოყვანილი ცნობისდა მიხედვით საფიქრებელია, რომ მას დაბადების ისეთი რედაქცია ჰქონია ხელთ, რომელშიც ამ ადგილას **„ვაჟადმდე** და ასულადმდე" წერებულა. მართლაც ეს სიტყვა ამ ადგილას მცხეთის საპატრიარქო წიგნთსაცავის დაბადებაში გვხვდება (იხ. საქ. მუზ. ხ. A № 51). მაშასადამე, **ვაჟი** ქართული მწერლობის უკვე ძველი ხანის სიტყვათა საგანძურის კუთვნილება ყოფილა.

ვაჟი, ვითარცა მამრ. სქესის შვილი, ქალთან დაპირისპირებული, ა ღ ბ უ ღ ა ს კანონებშიც გვხვდება. იქ სახელდობრ ნათქვამია: „თუ დიაცი... მოკუდეს, თუ **ქალი** დარჩეს", დედის მზითვის ნახევარი „მას მართებს"-ო, ხოლო „თუ **ვაჟიცა** დარჩეს, აბჯარი ვაჟისა და სასაქონლო ქალისა არის"-ო (§ 83).

ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს განმარტებით ხომ **„სიბერემდე ძესა ვაჟი... ეწოდების"** (ლექსიკ.: კაცი).

ეს ტერმინი ეხლაც ჩვეულებრივი სიტყვაა. ხევსურებს მისი ო-ხმოვნიანი ფორმა **ვოჟი** აქვთ, მოხევეებს ე-ხმოვნიანი **ვეჟი**, რომელიც, როგორც ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს „კაცია-ადამიანი"-თგან ჩანს („**ვეჟო**, მინამ თავს არ დაადგები და კარგად არ დასჭყივლებ, ხელს-კი არ გასძრავს-"ო, „ქართ. წიგნის" გამოც. II, გვ. 163), კახეთშიც ყოფილა. სვანებს აქეთ—**ღვაჷ**. საინტერესოა აგრეთვე **მამალი ჯიხვის** სვანური სახელი **ღვაშ**, რომლის არსებობა პროფ. ე. თ ო ფ უ რ ი ა ს ა გ ა ნ გადმოცემული ჩანაწერითგან ვიცი. ეგების აქაც ღ ძირეული არ იყოს? **ამ სვანურ ტერმინს** ჩვენთვის **იმ მხრივ აქვს მნიშვნელობა, რომ** იგი მამალი ცხოველის, მაშასადამე, **საერთოდ მამრობითობის გამომხატველია.**

2. ქვემოთ აღნიშნული გვექმნება, რომ **ურა** **ხვადი ცხენის** სახელია. მაგრამ ქართული ძველი გვარების ანალიზი ადამიანს დაარწმუნებს, რომ **წინათ** ეს სიტყვა **ური**-ს სახით, **კაცზეც ითქმოდა** და **ვაჟსა** და **ძეს**, **ვაჟიშვილსა ნიშნავდა**. ასეთი გვარები აღმოს. საქართველოში მთაში ეხლაც არის დაცული, მაგ. **გიგაური**, **გოგიაური**, **ქავთარაული**, **დავითური**, ანდა **დავითაური**, **საბაური**, **პავლეური**, **ონიკაური**, **ბუჩუკური**, **ჩიტაური** და მრავალი სხვაც. აღმ. საქართველოს მე-XVII—XVIII ს.ს. ხალხის აღწერის დავთრებში ამნაირად ნაწარმოები გვარის სახელები ბლომად მოგვეპოვება (იხ. ჩემი „საქ. ეკონ. ისტორიის ძეგლები: ხალხის აღწერის დავთრები). „მატიანე ქართლისაჲ“-ს კახეთ ჰერეთის ამბებშიც გვხვდება ასეთი გვარები, როგორც მაგ. **დონაური** და სხვაც არაერთი.

დას. საქართველოს შესახები ძეგლების სიმცირის გამო, ამჟამად ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად იყო იქაც ასე ნაწარმოები გვარები გავრცელებული, მაგრამ რომ ყოფილა, ეს შემდეგი ორიოდე მაგალითიდგანაც ჩანს. ქუთაისის დავთარში იხსენიება **ჯუმაური** (გვ. 52, § 357) და **მარუშული** (გვ. 57, § 402), ხოლო საცაიშლოს დავთარში **ხუხური** (გვ. 7), აფხაზ. საკათ. დავთარში **ნინიშაური** (გვ. 2). საერთოდ ასე ნაწარმოები გვარები აღმ. საქართველოშიც უკვე მე-XVIII ს. **ძე**-თი და **შვილი**-თ დაბოლოებულ წარმოებას უთმობს ასპარეზს და დასავლ. საქართველოშიც ასე ნაწარმოები გვარები ამავე პროცესის გამო უნდა იყოს გამქრალი.

ცხადია, რომ **გიგაური** უდრის **გიგას ძეს**, **გოგიაური** — **გოგიას ძეს**, **ქავთარაული** — **ქავთარას ძეს**, **დავითაური** — **დავითას შვილს**, **ონიკაური** — **ონიკას შვილს**, **საბაური** — **საბას ძეს**, **მარუშული** — **მარუშის ძეს** და სხვაც ამის მსგავსადვე. ხოლო, რაკი საგვარეულოს გამგრძელებლად და მემკვიდრედ ვაჟიშვილი ითვლებოდა, ცხადია, რომ **ზემომოყვანილ გვარებში ური სწორედ ვაჟიშვილსა ნიშნავდა**. მაშასადამე, ყველა ზემონათქვამის ძალით, უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ **ური** ძველ ხანაში ვაჟიშვილის აღმნიშვნელი ყოფილა და მთელ საქართველოში ფართოდ გავრცელებულადაც უნდა მივიჩნიოთ.

3. ამნაირადვე საგულისხმოა, რომ, როგორც ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს ა ც სამართლიანად აქვს აღნიშნული, **„თხათა მამალხა ვაცი ეწოდების“** (ლექსიკ. თხა). ხოლო 4. **„ცხოვარსა მამალსა ეწოდების ვერძი“** (იქვე: ცხოვარი). ქართველი ლექსიკოგრაფის ეს განმარტება რომ სრული ჭეშმარიტებაა, ამის დამტკიცება დაბადების თარგმანითაც შეიძლება.

შესაქმეთა 31_{10}-ში ნათქვამია: **„აჰა ვაცნი** და **ვერძნი** აღმომავალნი იყუნეს ცხოვართა მიმართ და თხათა“-ო. ამავე ძეგლის 32_{13-14}-ში სწერია: იაკობმა „მოიხუნა... ძღუენნი და წარავლინნა ესავისა ძმისა მისისა **თხანი** ორასნი, **ვაცნი** ოცნი, **ცხოვარნი** ორასნი, **ვერძნი** ოცნი“-ო. ორსავე შემთხვევაში **ვაცი** უდრის ბერძნულს ὁ τράγος **„ჰო ტრაგოს“**-ს, ლათინურს hircus-ს და სომხურ ***քաղ*** ქალ-ს, ხოლო **ვერძი** ბერძნ. ὁ κριός-ს, **ჰო კრიოს**-ს, ლათინ. aries-სა და სომხურ *խոյ*-ს. ამნაირად, **ვაცი** მართლაც **მამალი თხის**, ხოლო **ვერძი მამალი ცხვრის**, **ყოჩის**, აღმნიშვნელი ყოფილა.

ვერძი ხევსურეთში დღევანდლამდეა დაცული (მესაქონლეობის ლექსიკონი, 23). აქამ სიტყვისაგან გეოგრაფიული სახელიც-კია ნაწარმოები: **ვერძის-**

ტჟის გორა (იხ. ბეს. გაბუურის კევსურული მასალები: ქართ. საენათმეცნ. საზოგ. „წელიწდეული“ I-II, გვ. 180, 181 და 186).

ს. ორბელიანს იობის 39_1-ზე დაყრდნობით თავის ლექსიკონში განმარტებული აქვს, რომ „**ႥႠႺ-ႨႰႤႫႨ კარ-ირემი**“ არის, მაგრამ ბაქარისაგან გამოქვეყნებულ დაბადებაში ამ ადგილას ასეთი სიტყვა არ მოიპოვება.

იობის 39_1-ში ბაქარის გამოცემულ ტექსტში სახელდობრ ნათქვამია: „დაიცევდი თუ სალმობასა, შობისა თანა **ირემთასა**“. **ႨႰႤႫႨ** ბერძ. *ἢ ἔλαφος* **ჰე ელაფოს-ს**, ლათინ. cerva-სა, ე. ი. ფურ-ირემს, ხოლო სომხ. *եղն* **ეღნ-ს** უდრის, რომელიც ხარსა ნიშნავს.

ქართ. ლექსიკოგრაფს **ႨႰႤႫ-ႥႠႺႨ-ც** მოეპოვება. ამ შემთხვევაშიც საბა იობას 39_1 იმოწმებს[1].

ႨႰႤႫ-ႥႠႺႨ მცხეთის დაბადებაში ამ ადგილას მართლაც მოიპოვება (იხ. ს. მ. ხ. A № 51). ოშკის ხელნაწერში ეს ადგილი, სამწუხაროდ, არ არის.

საბა ორბელიანის განმარტებით, თხისა და ირმის მსგავსად „**აგრეთვე შველთა და ქურციკთა, ნიამორთა და არჩვთა**“ მამალს „**ႥႠႺႱႠ**“, ხოლო დედალს—„ნეზვსა“ და „წლამდის თიკანსა“ „**წალსა**“ უწოდებენ. მაგრამ მათ შვილებს თიკანს-კი არა, არამედ „**ნუკრს**“ ეძახდნენო (ლექსიკ.: თხა). მაშასადამე, **ႥႠႺႨ** მარტო მამალი თხისა-კი არა, არამედ **საერთოდ გარეული რქოსანი პირუტყვის მამლის აღმნიშვნელიც ყოფილა.**

ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილითგან ცხადი ხდება, რომ ვაცს ზემოდასახელებულზე გაცილებით უფრო ფართო და ზოგადი მნიშვნელობა ჰქონია. შოთა რუსთაველი იქ საყვარელ ქალს ათქმევინებს: „მე გლახ ვიყავ მისი ნეზვი, იგი იყო ჩემი **ვაცი**“-ო (ი. აბულაძის გამ. § 1134). ამნაირად ირკვევა, რომ **ႥႠႺႨ** მარტო ცხოველებზე-კი არა, არამედ ადამიანზედაც, სახელდობრ, **მამაკაცზეც ითქმოდა.**

4. შემდეგ საგულისხმოა აგრეთვე, რომ „**საზოტე წალს**“-აც, ანუ **მამალ ციკანს წლამდის ႥႠႺႨႩႨ** ეწოდება (საბა, ლექს.: თხა).

5. ამნაირადვე საყურადღებოა, რომ **მამალ კვიცს ჩრა** ერქვა. ს. ორბელიანს ნათქვამი აქვს, რომ „**ჩრა ახტა კიცკ**“-ს სახელიაო (ლექსიკ.) „**კიცუსა ახტასა** (ე. ი. მამალს) **ჩრა** და **კრდალსა ჭაშატი ეწოდების**“-ო (იქვე: ცხენი). ასეთი მნიშვნელობა **ჩრა**-ს **მეგრულშიც** დღევანდლამდე შენარჩუნებული აქვს, სადაც ეს სიტყვა ამას გარდა **გაუხედნავი კვიცის სახელადაც** იხმარება (მ. გ. 372). **ჩრა ႵႥႨႺႨ** გაუხედნავი კვიცის მნიშვნელობით ეგნატაშვილს ბერსაც აქვს ორგან ნახმარი (იხ. ახალი ქართლ. ცხოვრება მ. ჯანაშვილის, გვ. 43).

---

[1] მაგრამ იქვე დართული აქვს: „ფრანგულში ფურ-ირემი სწერია“-ო (ლექსიკ.). აქეთგან ჩანს, რომ სახელოვან ლექსიკოგრაფსაც ეჭვი შეჰპარვია და „ფრანგული“, ე. ი. ლათინური თარგმნისათვის მიუმართავს, — ალბათ კათოლიკე მისიონერების დახმარებით, — და გამოურკვევია, რომ აქ დედალი ირემი იგულისხმება. როგორც ზემომოყვანილ შესატყვისობათაგანაც ირკვევა, იობის 39_1-ს მხოლოდ სომხურ თარგმანშია ხარი ნახმარი, ბერძნულსა და ლათინურში კი დედალი ირმის აღმნიშვნელი სიტყვაა.

ᲣᲠᲐ-საგანვეა, ჟ ხმოვნის ჯერ ᲖᲣ-დ, ხოლო შემდეგ ᲖᲕᲘ და ᲫᲕᲘ კომპლექსად შენაცვლების გზით, კვიცის მეგრულში დაცული სახელი ᲫᲕᲘᲠᲐ. ᲫᲕᲘᲠᲐ უდრის ქიზიყში დაცულ **„ახლად გაჩენილი კვიცის“** სახელს ქურან-ს[1], ᲫᲣᲠᲐᲜᲘ-კი საბასაც მოეპოვება, მაგრამ მისი განმარტებით, თითქოს „ქურანი წაბლისფერი ცხენი“-ს, „ხზედი“-ს (ლექსიკ.) აღმნიშვნელი იყოს.

6. უეჭველია, **ცხენის გუდამაყრული სახელი** ᲕᲔᲠᲐᲜᲘ-ც იგივე სიტყვა უნდა იყოს (იხ. მესაქონლეობის ლექსიკონი), ხოლო ამისგანვეა ნაწარმოები ტერმინი ᲕᲔᲠᲝᲡᲐᲜᲘ-ც, რომელიც ეგნატაშვილს ბერს თავის „ახალს ქართლის ცხოვრება“-ში აქვს ცხენოსანთან ერთად ნახმარი.

7. საყურადღებოა აგრეთვე ᲕᲐᲩᲐ, რომელიც **იმერეთში „მამალი ცხენი“**-ს, ე. ი. ხვადი ცხენის, უფრო-კი ახალგაზრდა ხვადი კვიცის სახელია (ვ. ბერიძე სიტყვის კ.). ეს სახელი **მეგრულშიც** არის, მხოლოდ იქ, ᲕᲐᲩᲐ-ს გარდა ᲕᲐᲠᲩᲐ-საც ხმარობენ (მ. გ. 372). დასასრულ ᲕᲐᲩᲐ ჭანურშიც მოიპოვება და იქაც **ჩვადი ცხენის, მაგრამ უკვე დაკოდილის**, მნიშვნელობა მიჰნიჭებია (ჭ. გ. 143).

8. ᲕᲘᲠᲘ-ს მნიშვნელობა ს. ორბელიანს მხოლოდ ზოგადად ოთხფეხად აქვს განმარტებული (ლექსიკ.). თანამედროვე ქართულში ამ სიტყვას ორივე სქესის ზოგადი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, როგორც უძველესი ნათარგმნი ძეგლების მიხედვით ირკვევა, თავდაპირველად ასე არ ყოფილა.

ოთხთავის ქართული თარგმანითგანაც ჩანს, რომ ᲕᲘᲠᲘ **ამ ცხოველის მამრი სქესის აღმნიშვნელი იყო**. მაგ. მათეს 21_2 და $_{4-5}$-ში ნათქვამია: იესომ თავის მოწაფეებს უთხრა, თქვენ წინ მდებარე დაბაში წადით და იქ „ჰპოვოთ ᲕᲘᲠᲘ დაბმული და კიცჳ მის თანა, აღჰჴსენით და მომგვარეთ მე იგი... ესე ყოველი იქმნა, რ̃ა აღესრულოს სიტყუაჲ იგი წინაჲსწარმეტყუელისაჲ, რომელ თქუა: ... «აჰა ესერა მეუფეჲ შენი მოვალს შენდა მშჳდი და ზე-ზის იგი **ვირსა** და **კიცუსა, ნაშოზსა კარაულისასა**“-ო.

ამ წინადადებითგან ცხადი ხდება, რომ ᲙᲐᲠᲐᲣᲚᲘ **მშობელი, დედალი, ანუ ჭაკი ვირის სახელი იყო,** ᲕᲘᲠᲘ**-კი ხვადის, მამალის აღმნიშვნელი ყოფილა.** ეს გარემოება ბერძნული და სომხური ოთხთავების შესატყვისობითაც მტკიცდება. ᲕᲘᲠᲘ უდრის ბერძ. ὁ ὄνος **ჰო ონოს**-ს და სომხ. էշ ეშ-ს, ე. ი. სწორედ ხვად ვირს. მხოლოდ ლათინურ თარგმანში 21_2 და $_5$-ში ჭაკი ვირი asina სწერია.

შესაქმეთა 32_{13-16}-შიც, სადაც ჩამოთვლილია იაკობისაგან ესავისათვის გაგზავნილი საჩუქარი, სხვათა შორის დასახელებულია აგრეთვე **„ვირნი** ოცნი და **კარაულნი** ათნი“, აქაც ᲕᲘᲠᲘ ბერძნულში **ჰო ონოს**-ს და სომხურში ეშ-ს უდრის, ლათინურში კი ისევე asina, ე. ი. ჭაკი ვირია. მაგრამ შესაქმეთა 30_{43}-ში ᲕᲘᲠᲘ-ა ნახმარი და **ბერძნულ-სომხურსა** და **ლათინურშიც** asinus-ი, **ხვადი ვირი, სწერია.**

როგორც ჩანს, ჯერ კიდევ დაბადების ქართულად თარგმნის ხანაში ᲕᲘᲠᲘ ნაწილობრივ უკვე ზოგადი მნიშვნელობის ელფერს იღებდა: **ჩვეულებრივ და**

---

[1] ქურანი-ს ქიზიყში არსებობა სტ. მენთეშაშვილისაგან მაქვს მიღებული, რომლისათვის დიდად ვმადლობ.

ცალკეულად **ნახმარი ვირი ხვადს, მამალ ცხოველს ჰგულისხმობდა,** ხოლო, როდესაც ჰაკის აღნიშვნა სურდათ, მაშინ სქესის განმსაზღვრელს სიტყვას ურთავდნენ. მაგ. იობის 1_3-ში ნათქვამია, რომ იობს ჰყავდა **ვირი** **ჴდალი** მძოვარი ხუთასი"-ო (იხ. ოშკისა და მცხეთის დაბადების ხელნაწერები). ბერძნულად—ὄνοι θήλειαι **ონოი თჱლეიაი**, ლათინ. asinae, სომხ. *էշք մատակք* ეშქ **მატაკქ-ია**:

ვირს მეგრელად **ზირინი** (სენაკ.) და **გგრგნი** (სამურზაყ.) ეწოდება (მ. გ. 218), ჭანურად-კი ვიწეში **ზურუნი** ჰქვიან, ხოლო ხოფურში, მეგრულის მსგავსად, **ზირინი**-ა (ჭ. გ. 137).

გასაოცარია, რომ სვანურს ვირის სახელად აქვს **წელ**, ხოლო **ვილ** (ლენტეხ.), **ჰკლ** (თავისუფ. სვანეთში, ბალს-ზემოურში) და **ჰჟილ** (ბალს-ქვემოურში), რომელნიც, ცხადია, ვირის ფონეტიკური შესატყვისობაა, **ჯორის** აღსანიშნავად იხმარება. მაგრამ თავის ადგილას, ნათესაობისა და სქესის აღმნიშვნელი ტერმინების ანალიზისა და ეტიმოლოგიის განხილვისას, დავრწმუნდებით, რომ **ვირის** ფონეტიკურ შესატყვისობას სვანურში წინათ ზოგადი მნიშვნელობაც და ფართო ასპარეზიც ჰქონია დათმობილი.

9. კახეთში ძველადვე ცნობილი გვარის **ვაჩინაძე**-ს სახელის მიხედვით, უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ **წინათ ვაჩინა ქართულში მამაკაცის სახელი** უნდა **ყოფილიყო**, რომელიც, ტოტემურობის ნიადაგზე იყო გაჩენილი, **დათვიასა, კურდღელასა და ქურციკა**-ს მსგავსად, შესაძლებელია ცხოველის სახელი ყოფილიყო.

რათგან **ვაჩინა** არც ერთ ქართ. ლექსიკონში შეტანილი არ არის, ამიტომ ცნობების შეკრება იყო საჭირო, საქართველოს რომელსამე თემში **ვაჩინა** ხომ არ არის შერჩენილი და, თუ არის, სახელდობრ რასა ნიშნავს? ასეთი გამოკითხვის გზით გამოირკვა, რომ ეს სიტყვა ეხლაც არსებობს. ს. დილმის მცხოვრებლის, 65 წლის ი ვ ა ნ ე ს ო ნ ღ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ს, ს. არანისში ხანგრძლივ ნამყოფის, სიტყვით, **ვაჩინა** მას ფშაველებისაგან გაუგონია და იქ „**ვაჩინა ეწოდება შემოდგომის მამალ ციკანს**"[1].

ვაჩინა, საქ. მუზეუმის წიგნთსაცავის მსახურის ს ა ნ დ რ ო გ ო ლ ო შ ვ ი ლ ი ს ცნობით, **მამალი თხის** სახელია ს. გრემისხევისა და მის გარემო სოფლებშიც, როგორც ქართველთა შორის, ისევე ოსებშიც.

ამას გარდა, **ვაჩი** ვაცის მნიშვნელობით, ნიჩბისის მცხოვრები 45 წლის დ ა თ ა კ ე ნ ჩ ხ ა შ ვ ი ლ ი ს ცნობით, ეხლაც იხმარება ნატბეურის კოშკი-ყელის მთაში. ხოლო ქართლის ს. კარბის მცხოვრები ე კ ა ტ. ბ ი ძ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს სიტყვით, **ვაჩინა**-ს, ანდა **ვაჩილა**-ს ქართლში **მამალ თხას** უწოდებენ, რომელზედაც, ელიას მაგივრად, ღვთაების მსგავსად ოსები ლოცულობენო[2].

---

[1] ეს ცნობა მეტეხის მუზეუმის ძველი ნაკერების განყოფილების გამგის ი რ ო დ. ს ო ნ ღულაშვილისაგან მივიღე, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

[2] საქართველოში გადმოსახლებულ. ოსებს სიტყვა **ვაჩინა** ქართველებისაგან აქვთ შეთვისებული ისევე, როგორც **ბოტა**-ც. პირიქითელ ოსებს სიტყვა **ვაჩინა**, როგორც

ამის მსგავსი ცნობა უკვე ვახუშტს აქვს „საქ. გეოგრაფიაში“ მოთხრობილი: დვალებმა და ოვსებმა „უწყიან მგზავსი კერპისა, რომელსაც უწოდებენ ვაჩილას, რამეთუ შესწირვენ ელიას თხასა და კორცსა შესჭამენ თვითვე, ხოლო ტყავსა გასჭიმენ მაღალსა ძელსა ზედა და თაყვანის-სცემენ ტყავსა მას დღესა შინა ელიასასა, რათა არა ჴოუვლინოსთ ელიამ სეტყვანი და მოსცეს ნაყოფნი ქვეყანისანი“-ო (გ̄გრფა, 436). მაგრამ ვახუშტს აღნიშნული არა აქვს, რომ ეს სიტყვა მამალი თხის სახელი იყო.

მაშასადამე, ადამიანისა და ცხოველთა მამრობითი სქესის აღმნიშვნელი 10 სიტყვა,— ᲛᲐᲟᲘ, ᲨᲠᲘ, ᲛᲐᲪᲘ, ᲛᲐᲪᲘᲙᲘ, ᲛᲔᲠᲫᲘ, ᲛᲐᲩᲘᲜᲐ, ᲛᲐᲩᲘ, ᲨᲠᲐ, ᲛᲔᲠᲐᲜᲘ და ᲛᲘᲠᲘ,— მოგვეპოვება, რომელთაც ყველას ის საერთო თვისება აქვთ, რომ თითოეული მათგანი მ თანხმოვნით იწყება, ᲨᲠᲘ-სა და ᲨᲠᲐ-ს გარდა, რომელთაც ეს ბგერა უ-ს წინ ჩვეულებისამებრ გამქრალი უნდა ჰქონდეთ.

ამის გამო შესაძლებელია წამოყენებული იყოს საკითხი, ეს თავკიდური მ ბგერა სულიერ არსებათა მამრობითი სქესის ქართულშიც ოდესღაც არსებული ნიშნის ნაშთი ხომ არ არის?

ვს. მილლერისა და ფრეიმანის, ისევე ეპისკ. იოსებ ვლადიკავკაველის რუს.-ოსური ლექსიკონებითგან ჩანს, არ მოეპოვებათ.

ოსურად თხას მამალსაცა და დედალსაც სეღ-ი ეწოდება (იხ. Иосиф, епиcк. Владикавказский, Рус.-осет. словарь: коза, козел), მაგრამ ცხვრის თუ თხის ფარის წინამძღოლ თხის სახელად ჯავის ხეობასა და საქართველოში მცხოვრები ოსები, სანდრო გოლაშვილის სიტყვით, ᲑᲝᲢᲐ-ს, ჩრდილო კავკასიელი ოსები-კი ᲑᲝᲫ-ს ხმარობენ (იხ. Проф. Б. А. Алборов-ის „Ингушское «гальерды» и осетинское «аларды»". Известия ингушского научно-исследовательского института краеведения. Владикавказ, 1928 წ. გვ. 214). ელიასი და ᲛᲐᲪᲘᲚᲚᲐ-ს სალოცავი ჩრდ.-კავკასიელ ოსებსაც აქვთ, მაგრამ მისი მნიშვნელობა უკვე ხალხს აღარ ესმის (იხ. იქვე, 410, 412, 413), ისევე, როგორც თვით პროფ. ალბოროვსაც (იხ. იქვე 413-415 და 427).

ქისტეთში, გალიერდ-ში, სადაც სალოცავს მსხვერპლად თხებს სწირავდნენ, წარმართულ ლოცვა-ვედრების დროს მლოცველნი ᲝᲩᲩᲘ-ს წამოიძახებენ ხოლმე, რომლის მნიშვნელობა ეხლა აღარავის ესმის (იქვე, 358-360). ამ საინტერესო საკითხზე ალბოროვს ბევრი ცნობებისათვის მოუყრია თავი, მაგრამ მისი განმარტება მცდარია. რაკი არსებით ეს საკითხი წარმართულ სარწმუნოებას ეხება, ამიტომ ამაზე დაწვრილებით მსჯელობა ჩვენი გამოკვლევის მესამე წიგნში გვექნება, რომელშიც უძველესი კულტურის პრობლემაა განხილული.

თავი მეათე

ადამიანთა და ცხოველთა მდედრობითი სქესის აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფი

მამრობითი სქესის აღმნიშვნელი სახელების მსგავსად, ძველ ქართულს მდედრობითი სქესის აღმნიშვნელ სიტყვათა მთელი ჯგუფიც აბადია, რომელთაც ყველას ერთი დამახასიათებელი თვისება აქვთ. მაგ.:

1. საბა ორბელიანსაც აღნიშნული აქვს, რომ **„თხათა მამალსა** ვაცი **ეწოდების, დედალსა ნეზვი“** ჰქვიან (ლექსიკ.: თხა). სახელოვან ლექსიკოგრაფს თავისი განმარტების სისწორის დასამტკიცებლად შესაქმეთა 30_{35} აქვს დამოწმებული, მაგრამ ბაქარის გამოცემაში ამ ალაგას დედალი ცხოველის სახელად **თხა**-ა ნახმარი. ცხადია, რომ საბას ხელთ-მყოფ რედაქციაში, **თხის** მაგიერ, **ნეზვი** ყოფილა.

ნეზვი ბაქარის გამოცემაშიც და ოშკისა და მცხეთის დაბადების ხელნაწერებშიც ლევიტელთა 3_3 და$_6$-ში გვხვდება. იქ ნათქვამია: „უკეთუ შესაწირავად... იყოს მსხუერპლი... ანუ თუ **ზროხათაგან** შესწირვიდეს იგი, გინა ვერძსა, გინა თუ **ნეზუსა**, უბიწოჲ“ იყოსო (3_1). ხოლო, „უკეთუ ცხოვართაგან იყოს... ვერძი, გინა თუ **ნეზუი**, უბიწო“ მოიყვანოსო (3_6). ორსავე ადგილას **ნეზვი** უდრის ბერძ. θῆλυ-ს **თელჳ**-ს, ლათინ. femina-სა და სომხ. էգ ეგ-ს, რომელნიც სამივე დედალს ნიშნავენ.

მაგრამ **ზემომოყვანილი ორივე ამონაწერი იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ ნეზვი** დედალი თხის სახელად-კი არ არის ნახმარი, არამედ **ზროხისა და ცხვრისთვისაც**, ე. ი. ფურისა და ნერბის მაგიერ. ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ ს. ორბელიანის ზემომოყვანილი განმარტება მთლად სწორე და სრული არ არის. როგორც ეტყობა, თავისი დასკვნა, ან დაბადების ერთი ადგილის წანაკითხზე, ანდა ამ ტერმინის თავისდროინდელ მნიშვნელობაზე დაუმყარებია. ზემომოყვანილი ამონაწერები **ნეზვის** გაცილებით უფრო ფართო და ზოგადი მნიშვნელობის გარემოებას ამჟღავნებს: **ნეზვი ფურისაც, ცხვრისა და თხისაც, ე. ი. სხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი საქონლის დედალის აღმნიშვნელი ყოფილა.**

მაგრამ ამაზე მეტის თქმაც შეიძლება: შ. რუსთველის თხზულების ის ადგილი, სადაც საყვარელი ქალი ამბობს: **„მე გლახ ვიყავ მისი ნეზვი**, იგი იყო ჩემი ვაცი“-ო, ცხად-ჰყოფს, რომ **ნეზვი ქალის შესახებაც ითქმოდა.**

შემდეგში **ნეზვი**-ს ზოგადი მნიშვნელობა შემცირებულა. უკვე ს. ორბელიანს, როგორც დავრწმუნდით, ნეზვი დედალი თხის აღმნიშვნელად მიაჩნდა (იხ. ზევით), **ხოლო ნეზვი დღეს ქართლ-კახეთში იხმარება მხოლოდ წვრილფეხა დედალ საქონელზე**: «ზოგიერთსა დედაკაცსა კიდევა სჯობს **ნეზვი ლორიო-ა**» („მოგზ.“ 1901 წ. № 714: მესაქონ. ლ. 50).

ამ ხალხურ ლექსში **ნეზვი** დედალ ღორზეა ნათქვამი და საგულისხმოა, რომ **ხვანურადაც ნეზვ მხოლოდ დედალი ღორის** აღსანიშნავად იხმარება (ვ. თოფურიას ცნობით).

2. ნეზვის მსგავსად, დედალ ცხვარსაც ძველ ქართულში **ნერბი** ერქვა. ს. ორბელიანს ნათქვამი აქვს: **„ნერბი დედალი ცხვარი“** არის-ო (ლექსიკ.).

დაბადების ქართულ თარგმანში იმ ადგილებში, სადაც ეს ტერმინი მოსალოდნელი იყო, არ აღმოჩნდა. როგორც ეტყობა ამ ძეგლში ვერც ს. ორბელიანს უპოვია, რათგან თავისი ზემომოყვანილი განმარტებისათვის ჩვეულებისამებრ დაბადების რომელიმე თავისა და მუხლის დამოწმება არ დაურთავს. ამისდა მიუხედავად, უეჭველია, **ნერბი** ძველისძველი ქართული სიტყვა უნდა იყოს და იმ ხანაშიც, როდესაც დაბადება ქართულად ითარგმნებოდა, ეს ტერმინი არსებობდა.

დაბადების გადმოთარგმნის ხანაში სიტყვა **ნერბი**-ს არსებობის დასამტკიცებლად შესაძლებელია **ნერბოჳბაჲ**, იქმნეს დასახელებული, რომელიც ამ ძეგლშიც ნახმარია და რომელიც, რა თქმა უნდა, **ნერბისაგან** არის ნაწარმოები.

სიტყვა **ნერბოჳბაჲ**, რომელსაც სრული შესატყვისობა დაბადების არც ერთ თარგმანში არ მოეპოვება, ეზეკიელის 17_{10}-შია ნახმარი. ვაზზე იქ ნათქვამია: „არა მობერვასა თანა ქარისა ცხელისა განკმესა საკმილითა მასკნესა თანა აღმოსავლისა მისისასა და **ნერბობაჲ** მისი განკმეს“-ო (იხ. დაბადების მცხეთის ხელნაწერი აწ. ს. მ. ხ. A № 51). ოშკისაში არ არის. „ნერბობაჲ მისი განკმეს“ ქართულ თარგმანში, ბერძნულ და სომხურ თარგმანებთან შედარებით, მეტია. მაგრამ ლათინურ თარგმანშიც ასევე ზედმეტად ნათქვამია: „et areis germinis sui arescet“ „განხმეს თავის აღმოცენების არესა“-ო. ებრაულ დედანშიც სწორედ ასევეა ნათქვამი: „განხმეს იმ კვლებში, სადაც აღმოსცენდა“-ო. ამისდა მიხედვით ისე გამოდის, რომ ქართული თარგმანის **„ნერბოჳბაჲ“ აღმოცენების არეს და ადგილს უნდა ნიშნავდეს.**

ნერბი რომ თანამედროვე ქართულში სადმე დაცული იყოს, „მესაქონლეობის ლექსიკონ“-ში აღნიშნული არ არის. ამ სიტყვის არსებობაცა და განმარტებაც მას ს. ორბელიანის ნაშრომით აქვს დამოწმებული. „ლექსიკონში“ აღნიშნულია მხოლოდ, რომ ფშავში, ხევში, თუშეთში, ქიზიყში და კახეთში „ყოჩისა და ცხვრის... შორის სქესობრივი აქტი“-ს აღსანიშნავად **ნერბვა**-ს ხმარობენ. „თუ ამ აქტს მოჰყვა საშვილოსნოში ნაყოფის ჩასახვა, მაშინ იტყვიან: **გაინერბა**“-ო (მესაქ. ლ. 51). სტ. მენთეშაშვილის ცნობით-კი თუშეთში **განერბვა**-ს, ქიზიყში-კი **განერგვა**-ს და **„გასანერგავად გარევა“**-ს უწოდებენ. ამავე პირის სიტყვით, ტერმინი **ნერბი დედალი ცხვრის სახელად თუშეთში ეხლაც ჩვეულებრივი სიტყვა ყოფილა**[1].

3. ამავე თვალსაზრისით **ნუსა**-ცაა საყურადღებო. ს. ორბელიანს განმარტებული აქვს, რომ, ერთი მხრით **სძალი** „ძის ცოლი“-ს აღმნიშვნელი

[1] ამ ცნობის მოწოდებისათვის საქ. მუზეუმის ისტორ. განყოფილების უფროს მეცნ. თანამშრომელს სტ. მენთეშაშვილს დიდად ვმადლობ.

იყო, მეორე მხრით-კი „**ხძლადვე ითქმის მ ა ზ ლ ი ს ა გ ა ნ ძმის ცოლი**"-ც. ამავე ავტორს ერთი ფრიად საგულისხმო ცნობა აქვს დაცული: „**ბიძის ცოლსა ა რ ა ეწოდების სძალი**, არამედ **ნუსადია**-"ო (ლექსიკ.).

ნუსადია სახელოვან ლექსიკოგრაფს ცალკეულადაც მოეპოვება: „**ნუსადია ბიძის ცოლა**„-აო (იქვე).

ეს სიტყვა ვგონებ ორი ნაწილისაგან უნდა იყოს შემდგარი: პირველს **ნუსა** შეადგენს, მეორეს **დია**, რომელიც **დიასახლის**-ში, **დიოფალ**-სა და **დიაკეულ**-შიც არის დაცული და დედას, ანუ მდედრობითი სქესისას, დედალს ნიშნავს. **ნუსადია**-ს განსხვავება მხოლოდ აგებულების მხრივ ეტყობა, რადგან აქ **დია**-ს მეორე ადგილი უკავია, **დიასახლისსა**, **დიოფალსა** და **დიაკეულ**-ში კი პირველი.

ვ ა ხ უ შ ტ ს თავის ისტორიაში იმერეთის მეფის გიორგი II-ის მოღვაწეობის აღწერილობაში ნათქვამი აქვს: „ჰყვანდა მეფესა გიორგის **მუსადია** ქურივი და მისცა იგი გიორგი გურიელსა ცოლად"-ო (ქიჰ. გამ. 290—291).

უეჭველია, აქ ნახმარი **მუსადია** იგივე **ნუსადია**-ა, რომელსაც მხოლოდ პირველი თანხმოვანი აქვს შენაცვლებული.

ნუსადია-ს პირველი ნაწილი **ნუსა** ჯერ-ჯერობით ცნობილს ძველ ქართულ ძეგლებში თუმცა არა ჩანს, მაგრამ სამაგიეროდ მეგრულსა და ჭანურშია დაცული. მეგრულად **ნოსა** (სამურზაყანოში) და **ნისა** (სენაკ.) **რძალის** სახელია. მრ. რ. **ნისალეფი** და **ნოსალეფი** ცხად-ჰყოფს, რომ წინათ მხოლოობითაც **ნოსალი** და **ნისალი** ყოფილა. ეს სიტყვა ჭანურსაც კარგად აქვს დაცული. **ნუსა** ჭანურად **საცოლოს**, **ახალ გათხოვილ ქალსა და რძალსა** ნიშნავს, ხოფურში **ნისა**-ს ეძახიან. მრავლობითი რიცხვის ფორმა პირველისა **ნუსალეფე**-ა, მეორისა-კი **ნისალეფე** (ჭ. გ. 175).

მრავლობითი რიცხვის ორივე ფორმა ცხად-ჰყოფს, რომ წინათ მხოლოობითში ჭანურადაც **ნუსალი** და **ნისალი** ყოფილა. **ნუსა**, ანუ **ნისა** მნიშვნელობით, როგორც ზემომოყვანილითგან ჩანს, ძველ ქართულ **სძალს** უდრის.

ამას გარდა, ჭანურად **ნუსადა** (არქაბულად) და **ნუსავა** (ვიწურად) ისევე როგორც **ნისადა** და **ნისაჟა**-ც (ხოფურად) არსებობს. **ასე უწოდებენ ერთმანერთს ძმების ცოლები**-ო, ე. ი. **რძლის მნიშვნელობითვე იხმარება** (ჭ. გ. 174.).

4. თავისი თავკიდური ბგერით საყურადღებოა აგრეთვე სიტყვა **ნუკრი**-ც. ეს ტერმინი ქებათა-ქება-შიც გვხვდება, სადაც ნახმარია **ნუკრი ირმისაჲ**, და ქართულ ორიგინალურ თხზულებაშიც. მაგ. დავით გარეჯელის ცხორებაში მოთხრობილია: დავითთან „მოვიდეს სამნი **ირემნი**, რომელთა უკუანა სდევდეს **ნუკრნი მათნი**"-ო (საქ. სამ. 272 და საისტ. კრ. 37).

ამ ორი ადგილისდა მიხედვით შესაძლებელია გვეფიქრა, თითქოს **ნუკრი** ძველად მხოლოდ ირმის შვილის სახელი ყოფილიყოს, მაგრამ ქართ. ლექსიკოგრაფის განმარტება ასეთ დასკვნას არ ამართლებს, ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს უწერია: „**ნუკრი: ირემთა, ქურციკთა, შველთა, ნიამორთა, არნთა, არჩვთა და მისთანათა თიკანთა ნუკრი ეწოდების**"-ო (ლექსიკ.). მართლაც, ყველას ეხსომება ვ ა ჟ ა ფ შ ა ვ ე ლ ა ს მშვენიერი მოთხრობის სახელი „**შვლის ნუკრის ნაამბობი**", სადაც შვლის პატარა შვილსაც, მაშასადამე, ნუკრი ეწოდება, რა თქმა უნდა, ფშავში გავრცელებული მნიშვნელობისდა თანახმად. დაბადების ქართ. თარგმა-

ნითგან-კი ირკვევა, რომ **ნუკრი** ძველად **მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი ყოფილა.** სახელდობრ ქება-ქებათაჲს 2_9 ში სწერია: „მსგავს არს ძმისწული ჩემი ქურციკსა და **ნოკრსა ირმისასა**“. უკვე თვით ტექსტის შინაარსითგანაც ჩანს, რომ **ნუკრი** დედალი შვლის სახელი უნდა იყოს, რათგან შედარება ქალს ეხება, მაგრამ ეს გარემოება ბერძნული ტექსტითაც მტკიცდება. ბერძნულად ამ ორი სიტყვის შესატყვისად ნათქვამია: „τῇ δορκάδι καὶ νεβρῷ ἐλάφων“. ამნაირად, ბერძნულში, „**ნოკრი**“ ანუ **ნუკრი** ἡ νεβρός-ად, ჰე **ნებროს**-აჲ, ანუ **ირმის დედალ შვილად არის ნაგულისხმევი.**[1]

5. დასასრულ, სქესის აღმნიშვნელ სიტყვათა ვგონებ ამავე ჯგუფს უნდა **ნერჩი**-ც ეკუთვნოდეს, რომელიც **დედამიწის ღვთაების** სახელია და ქართლ-კახეთში ამ ჟამად მიღებულ **ადგილის დედა**-ს უდრის (იხ. ჩემი „ქართ. ერის ისტ.“ I³, 84).

ვითარცა ფუძისა და მიწის ღვთაება, მისი სახელიც დედის აღმნიშვნელი უნდა იყოს.

მაშასადამე, **მდედრობითი სქესისა და ნათესაობის აღმნიშვნელ სიტყვათაგან ხუთი,—ნეზვი, ნერბი, ნუსა, ნუკრი და ნერჩი,—ნ-** ბგერით **იწყება.** ამ გარემოების გამო, აქაც **იბადება საკითხი, ნ** ქართულში **ხომ ოდესღაც მდედრობითი სქესის** ნიშანი არ იყო?

თავი მეთერთმეტე

უჭასაკოთა და ცხოველთა სახელების ჯგუფი

ქართულში **სიტყვათა მესამე ჯგუფიც** არსებობს, **რომელიც** მცირეწლოვანთა **და უჭასაკო** არსებათა და ცხოველების **სახელებისაგან** შესდგება და **რომელთაც ყველას ერთი დამახასიათებელი თვისება, ბ-თავკიდურიანობა,** ემჩნევათ.

§ 1. ადამიანის მცირეწლოვან და უჭასაკო შვილთა სახელები

1. ცნობილია, რომ ადამიანის ორივე სქესის შვილს გარკვეულ წლოვანებამდე **ბაში** ეწოდება, რომელიც **ბავშვადაც** გამოითქმის. მეგრულად და იმერეთშიც **ბოში** ეწოდება, სვანურად **ბეშუშ**-სა და **ბობშ**-სა ხმარობენ.

2. უეჭველია, ამავე სიტყვათა ჯგუფს **ბუში**-ც ეკუთვნის, რომელსაც თავდაპირველად შვილის, ბაშვის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მართალია, ვახტანგ VI-ის კანონებში ნათქვამია, რომ „**ნაბიჭურის** წილი არ არის მამულში, თუ თავის ძმებს ეყმობა, სხვათ ხელი არა აქვს... ძმებმან ერთის ყმის ადგილს უნდა არჩინონ და, თუ არ უნდა ძმებთან ყოფნა, ამათთან არაფერი წილი არა

---

[1] შესაძლებელია **ნოკრი**-ს ფონეტიკური სახესხვაობა იყოს იმერეთში გავრცელებული **ნოგრი**-ც, რომელიც, „მესაქ. ლექს.“-ის განმარტებით, ჩამომავლობისა და ჯილაგის, ე. ი. მემკვიდრეობითი თვისების აღმნიშვნელია. თავის განმარტების სისწორისათვის ერთი გამონათქვამია დამოწმებული, რომლის სადაურობა დასახელებული არ არის და არა ჩანს, ზეპირადაა გაგონილი, თუ რომელიმე წყაროთგან არის ამოღებული: „ცუდი **ნოგრის** ცხენი გყოლია, ძამიავ“-ო (მესაქ. ლ. 51).

-აქვს", მაგრამ პირადად იგი თავისუფალი იყო და, „ვისთანაც წავიდეს, **ძმათა** პასუხი არა აქუს". **ხოლო ნაბიჭუარი „თუ ქალი არის,** უხდა გაათხოონ და გამზითონ ყმის ქალსავით". მაგრამ, „თუ ერთი ძმა ამოვარდა და **ბუშის** მეტი არა დარჩა რა, ჩვენს სამართალში ძმებთან ერთის ყმის მამულის ოდენი უნდა მისცეს, თუ უნდოდეს, იმათთან დადგეს და, თუ უნდოდეს, ბატონს ეყმოს, მაგრამ, საქონელი უნდა უწილადონ ბიძაშვილებმან. თუ ან **ბუშისთვინ** და ან **მართლისათვინ** სიცოცხლეში (იგულისხმება: მამას) მიუცემია რა, ის არ ჩაეთვლების, ვისთვინაც მიუცემია, იმისია"-ო (§ 110).

ზემომოყვანილითგან ცხადი ხდება, რომ **ნაბიჭუარი** და **ბუში სინონიმები იყო და ორივე ამ ხანაში უკანონო შვილის სახელად უხმარიათ.** ეს გარემოება კანონის მთელი შინაარსითგანაც ირკვევა და იმ დაპირისპირებითგანაც, რომელიც იქ მოიპოვება: **მართალი** კანონიერ შვილს ჰგულისხმობს, **ბუში** — უკანონოს.

ამას გარდა, ზემომოყვანილი კანონითგან სრული უეჭველობით ჩანს, რომ **ნაბიჭუარი ვაჟსაცა და ქალსაც ჰგულისხმობდა.** რამდენადაც **ბუში** და **ნაბიჭუარი სინონიმები იყო, ბუშიც,** მაშასადამე, **ორივე სქესის უკანონო შვილის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.** ს ა ბ ა ს ა ც ამ ორი ტერმინის მნიშვნელობა ასევე აქვს განმარტებული: **„ბუში ბოზის შობილი** (B: **ბოზობით შექმნილი ნაბიჭუარი**) არისო, ხოლო **„ნაბიჭუარი ბოზის შვილი, ბუში"**-აო (ლექსიკ.).

რაკი უძველეს ხანაში, გარკვეულ პერიოდამდე, კანონიერ და უკანონო შვილის ცნება არ არსებობდა და უკანონო შვილის ცნება შედარებით მერმინდელია, ამიტომ საფიქრებელია, რომ **ბუშის** უკანონო შვილის აღმნიშვნელობაც მეორადი მოვლენა უნდა იყოს, და თავდაპირველად იმავე **ბაშვის** და მეგრ. **ბოში**-ს სრული შესატყვისობა იქმნებოდა.

3. საფიქრებელია, რომ შვილთა აღმნიშვნელი სახელების ამავე ჯგუფს სიტყვა **ბიჭი**-ც უნდა მიეკუთვნოს.

ბიჭი ბ ე ქ ა - ა ღ ბ უ ღ ა ს სამართლის წიგნის ბექას დროინდელ ნაწილში გვხვდება. იქ ნათქვამია: **„ბიჭი დედისა არის, დაბადებულობა** (დბ˘ალობა) **ვერვის დაუმკვდრებს: ვისიცა დიაცია** [და] მკვდრად მართებს, **ვაჟიცა** მისია და ვერ ვინ გაზრდილობით ემართლებისო" (§ 32).

მართალია, ბ ე ქ ა ს ზემომოყვანილ კანონში **ბიჭი** ვაჟის სინონიმად არის ნახმარი, მაშასადამე, ზოგადი მნიშვნელობის მაგიერ, მამრობითი სქესის ბაშვის სახელი გამოდის. თანამედროვე ქართულშიც ამ სიტყვას სწორედ ასეთი მნიშვნელობა აქვს. ამას გარდა, ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი - თაც ხომ **„ბიჭი არა ცოლთან შობილი ბუში" არის** (ლექსიკ.), ე. ი. უკანონო შვილისა და **ნაბიჭუარი**-ს სინონიმი ყოფილა. ჭანურადაც **ბიჭი** (ათინ., ვიწ., ხოფ.) ვაჟიშვილსა და მამრსა ნიშნავს, ბიჭობა-კი მამრობითობითს ჰასაკს, მამაცობასა და ბიჭობას ეწოდება (ჭ. გ. 131), მაგრამ ორივე მნიშვნელობა მერმინდელი უნდა იყოს.

ბიჭის ვაჟობის აღმნიშვნელობა რომ მერმინდელია და თავდაპირველად ეს სიტყვა ორივე სქესის ბაშვის სახელი ყოფილა, ამ გარემოებას სრული სიცხადით სიტყვა **ნაბიჭუარი**-ც ამჟღავნებს. **ნაბიჭუარი** ხომ **ბიჭი**-საგან არის წარმომდგარი და ნაწარმოები, **ნაბიჭუარი**-კი, როგორც უკვე დავრწმუნდით

(იხ. ზევით), ვაჟსაცა და ქალსაც, ორივე სქესის ბაშვს ჰგულისხმობდა და ეწოდებოდა. აქედგან ცხადია, რომ ბიჭსაც წინათ ასეთივე ზოგადი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ბიჭის უკანონო შვილის აღმნიშვნელობის მეორადობის დასაბუთება, მას შემდგომ, რაც ბუშზე გვქონდა ნათქვამი (იხ. აქვე გვ. 184-5), ზედმეტად მიმაჩნია.

საგვარეულო სახელი ბიჭიკაშვილი (იხ. კახეთის აღწერა 1801-2 წ., გვ. 164, სტრ. 73) ცხად-ჰყოფს, რომ ბიჭი წინათ ბიჭიკა-ს ფორმითაც იხმარებოდა.

4. ჭანურად შვილს ბერე ჰქვიან, წულუ-ბერე-საც ხმარობენ. ყმაწვილობას ბეროჲბა ეწოდება (ქ. გ. 130). როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, სიტყვა ბერი უძველეს ხანაში ზოგად ქართულშიც ყოფილა და ფართოდ გავრცელებულიც ჩანს. ამავე სიტყვის ფონეტიკური სახესხვაობაა დათვის შვილის ბელი-ს სახელიც.

ბაშვის აღსანიშნავად 5. ბადანა, ბადვი (რაჭ.) და 6. ბალღი-ც არის მიღებული, რომელთაგან პირველი მეგრულშიც არსებობს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს - კი „ბადანა მცირე ტყვე“-ს სახელად მიაჩნდა, ხოლო ბალღი „მცირე საკლავი“ არისო, „მჭლესა და ცუდსა ცხოვარსა ბალღი“ ეწოდებაო (ლექსიკ.)

2. სხვილფეხა პირუტყვის შვილების სახელების ჯგუფი

ამნაირადვე ცხოველთა შვილის სახელები რომ განვიხილოთ, სხვილფეხა პირუტყვისა, ამავე ცნების გამომხატველ სიტყვებსაც საერთო თვისება აქვთ, მაგ:

7. „ბოჩიკი წლის ირემი“-ს სახელია (ს ა ბ ა, ლექს.). ეს ტერმინი ბოჩიკი რაჭაში „ზამთარ გამოვლილი ხბო“-ს აღმნიშვნელია (ვ. ბ ე რ ი ძ ე, სიტყვის კონა 6).

8. ბოიკი ეწოდება „ორი წლის კარსა“. (საბა: ზროხა).

9. ბარაკეული ჰქვიან ნახევარ წლის ხბოს (იქვე: ზროხა).

10. ბოჩოლა კიდევ „გამოზამთრული ზროხა“ არის.

11. ბუჩინა ეწოდება ქიზიყში ახალ-გაჩენილ ხბოს (სტ. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი ს ცნობაა), ქართლში ფუჩინა-ს ეძახიან (თ. ლ ო მ ო უ რ ი ს ცნობით).

12. ბიჟინა „ნუკრის ხადილი“ (ს ა ბ ა, ლექს.), ე. ი. ირმისა და მისთანათა შვილის ხმიანობის აღმნიშვნელი ყოფილა.

13. ბატკი ჰქვიან მეგრულად (სენაკ.) კამეჩის კოზაკს, შვილს. ეს სახელი ბატია-ს (სენაკ.) და ბატი-ს (სამურზაყ.) ფორმითაც იხმარება (ი ო ს. ყ ი ფ შ ი ძ ი ს მ. გ. 201).

3. წვრილფეხა პირუტყვის შვილის სახელების ჯგუფი

წვრილფეხა პირუტყვის სახელთაგან ამავე ჯგუფისაა:

14. ბატკანი, რომელიც ს ა ბ ა ს განმარტებით „ჩჩვილსა კრავსა“, ე. ი. ნორჩ ცხვრის შვილსა ნიშნავს (ლექს.: ცხოვარი). სტ. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი ს ცნობით-კი „ბატკანი ახალ-გაჩენილ ცხვარს ჰქვიან, ორივე სქესისას, მთიდან

ჩამოსვლამდე, ე. ი. მარიამობის გასვლამდე", როდესაც ბატკანს მპარსავენ და, „გაიპარსება თუ არა, უკვე თოხლი დაერქმევა". ამნაირად მთაზე წახული ბატკანი მთითგან, სადაც ჰპარსავენ, ბარად უკვე „დათოხლებული ბრუნდება-"ო.

15. ბატკანი ქართველი ლექსიკოგრაფის სიტყვით „ჩჩვლი თიკანი-"ს, ე. ი. ნორჩი ციკანის სახელია (ლექსიკ.), გურიაში-კი ამ სიტყვას თავისი პირვანდელი მნიშვნელობა კარგად აქვს დაცული და იქ ბატკი შემოდგომაზე ნაშობი შინაური საქონლის სახელად იხმარება (იხ. ჭყონია, სიტყვის-კონა, 6).

16. ბუწი საბას სიტყვით „თოხლი"-ს, ე. ი. ბატკნის სინონიმია (ლ.), მაგრამ ცხოვარის ქვეშე მას ამ სახელის უფრო ვრცელი განმარტება აქვს და იქ ნათქვამია „წლის კრავსა და მცირედ ნაკლებსა ბუწი" ერქვა.

17. ამავე თვისების სიტყვაა მამალი თხის სვანური სახელი ფიკვ, რომელიც უეჭველია წინანდელი ფიკვარი-საგან არის წარმომდგარი. ამ მოსაზრების სისწორის დასამტკიცებლად შესაძლებელია დასაყვერავი თხის უშგულური სახელი ლეფკვäრი იქნეს დასახელებული, რომელიც ლე თავსართისა და ფკვäრი-საგან შესდგება. თუმცა ეხლა ფიკვ მამალი თხის, ხოლო ლეფკვäრი დასაყვერი თხის, ე. ი. მამრობითი სქესის აღმნიშვნელად არის ქცეული, მაგრამ ეს რომ მერმინდელი მოვლენა უნდა იყოს და წინათ უსქესო მნიშვნელობა ჰქონია, ამას ამჟღავნებს სვანურივე ფიკუ, რომელიც, პროფ. ვ. თოფურიას ჩანაწერით, დაკოდილ თხასა ნიშნავს, და ფეკვნა, რომელიც გარეული ცხოველებისაცა და ძაღლის ლეკვის სახელადაც იხმარება. ამჟამად ფიკვ-ს მრ. რ. ფორმად მიჩნეულია ფუკვäრ (ვ. თოფურიას ჩანაწერითვე), რომელიც ნამდვილად წინანდელ მხ. რ. სრული ფორმა ფუკვარი-საგან უნდა იყოს წარმომდგარი. ფუკვარი, რა თქმა უნდა, იგივე ბოკვერი-ა და მის ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს.

18. დასასრულ, ბურვაკი დიდი გოჭის აღმნიშვნელიც (საბა, ლ.) სიტყვათა ამავე ჯგუფს ეკუთვნის. ზემო იმერეთში ეს სახელი ბურაკი-ს ფორმით ყოფილა გავრცელებული (მესაქ. ლ. 11).

§ 4. გარეულ ცხოველთა შვილის სახელების ჯგუფი

ამგვარადვე გარეულ ცხოველთაგან:

19. ბოკვერი „ლომ-ვეფხთა და მისთანათა დიდი ლეკვ"-ს სახელი იყო. მსაჯულთა 14_5-ში ბოკვერი ნახმარია ὁ σκύμνος λέοντος ჰო სკუ̃მნოს-ის, ლათინ. Catulus leonis-ისა და სომხ. *կորիւն արիւծուց* კორჲუნ-ის შესატყვისად. სამივე ცხოველის ლეკვს ნიშნავდა, მაგრამ ბაშვის აღსანიშნავადაც იხმარებოდა. ეს სიტყვა თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებაშიც გვხვდება, სადაც ნათქვამია: „ოდესმე შარვა[ნ]შას ლომისა ბოკუერი გამოეგზავნა" თამარ მეფისათვისაო (ისტორ̃ნი და აზმ̃ნი*665, გვ. 453—4).

20. ბელი ხომ „დათვს ბოკუერი"-ა (საბა, ლ.) და ეხლაც ჩვეულებრივი სიტყვაა. სვანურშიც დათვის შვილს სახელად მხოლოდ ბელ (ბალსზემ.) არის მიღებული (ვარ. თოფურიას ჩანაწერით).

21. ბაჭია, რომელიც „ყურდგლის მცირე შვილი"-ს, „ბაცაცი"-ს სახელია (საბა, ლ.) და

22. „ბაცაცი ყურდგლის შვილი"-ს აღმნიშვნელივე (იქვე).

გარეული ცხოველის შვილის ყველა ეს სახელებიც ამ ჯგუფს მიეკუთვნება.

§ 5. მფრინველთა შვილის აღმნიშვნელი სახელების ჯგუფი

ასეთი თვისების სახელები მფრინველთა მართვის აღმნიშვნელი სიტყვათა შორისაც გვხვდება, მაგ.:

23. ბარტყი, რომელიც „სირთა, მერცხალთა და ჩიტთა მართვის სახელია, (საბა, ლ.: მართვე).

24. ბაჰალა, რომელიც „ყვავთა, ყორანთა და მისთანათასა" მართვეს ეწოდებოდა (იქვე).

25. ბუჭულა, საბას განმარტებით, „პატარა წისქვილი"-ს აღმნიშვნელია (ლ.). რაკი მას ამ სიტყვის არავითარი სხვა მნიშვნელობა მოყვანილი არა აქვს, ამიტომ შესაძლებელია ადამიანმა იფიქროს, რომ ამის მეტი მნიშვნელობა არცა ჰქონდეს. მაგრამ საკმარისია ადამიანმა ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის 1578 წ. დავთარი გადაიკითხოს იმის დასარწმუნებლად, რომ ბუჭულა მარტო პატარა წისქვილისა-კი არა, არამედ ადამიანის სახელიც ყოფილა. იქ მოხსენებულია მაგ. ახალაძე ბუჭულა (გვ. 50, § 342). კახეთის 1801—2 წ. აღწერის დავთარშიც ს. ყვარელში შეტანილია ბუჭულა (იხ. გვ. 40, § 182).

ბუჭულა-ს, 82 წლის მექუდე ვანო ოძელაშვილის ცნობით, ხალხში ტფილისშიც ხმარობენ პატარას მნიშვნელობით, ხოლო საჩხერის სანახებში ბუჭულა-ს პატარა ბიჭს უწოდებენ, ქალზე, გოგოზე-კი არ ითქმისო.

ცნობილია და ს. ორბელიანსაც აღნიშნული აქვს, რომ „ბატთა, იხუთა და მისთანათა" მართვეს, წიწილს ჭუჭული ეწოდება (ლ.: მართვე). ბუჭული-სა და ჭუჭული-ს ერთმანერთთან შედარება ცხად-ჰყოფს, რომ მეორე სიტყვის პირველი მარცვალი ჭუ რეგრესიული ასიმილაციით უნდა იყოს ბუჭული-საგან წარმომდგარი.

26. ბუიტი, რომელიც „სავათთა, წეროთა და მისთანათა" მართვის სახელი იყო (საბა, ლ.: მართვე), სიტყვათა ამავე ჯგუფს ეკუთვნის.

27. ბიწილი ფრინველის აღმნიშვნელი სიტყვაა, რომელიც ბაშვთა ცნობილი გასართობის ლექსში გვხვდება: „იწილო ბიწილო, შროშანო, გვრიტილო, ალხო, მალხო ჩიტმა განახოს (?) შენი ფესვი, ფესმანდუკი... აჯექ, მაჯექ, ნეფევ ჩაჯექ".

საფიქრებელია, რომ ბიწილი უნდა წიწილის პირვანდელი ფორმა იყოს. ისევე, როგორც ჭუჭული წინამორბედ ბუჭულისაგან არის რეგრესიული ასიმილაციის წყალობით გაჩენილი, წიწილი-ს პირველი მარცვალიც ამნაირადვე უნდა იყოს პირველი ბი-ს მაგიერ გაჩენილი.

წინათ რომ ამ სიტყვის პირველი ორი მარცვალი მართლაც განსხვავებული იყო, ამას **წიწილის** ჭანური სახელი ᲬᲘᲞᲘᲚᲘ ამჟღავნებს. იქ ამას გარდა ᲑᲣᲑᲣᲚᲘ და ᲤᲣᲚᲘ-ც არსებობს (ჭ. გ. 219). საფიქრებელია, რომ ეხლანდელი ᲬᲘᲞᲘᲚᲘ პირველი ორი მარცვლის ადგილმონაცვლებით არის ᲞᲘᲬᲘᲚᲘ-სა და ᲑᲘᲬᲘᲚᲘ-საგან წარმომდგარი.

§ 6. ცხოველთა ზოგადი სახელის ჯგუფი

ასეთი თვისების სიტყვები **ცხოველთა ზოგად სახელებს შორისაც** რამდენიმე მოიპოვება, მაგალითად:

28. ᲑᲐᲧᲐᲧᲘ,

29. ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘ, რომლის შესატყვისადაც მეგრულში ᲤᲝᲠᲪᲮᲝᲚᲘ და ᲢᲣᲠᲐ-ᲤᲝᲠᲪᲮᲝᲚᲘ არის (მ. გ. 338) და სხვებიც, რომელთაც, როგორც დავრწმუნდებით, დროთა განმავლობაში მნიშვნელობა შესცვლიათ და რომელნიც. თავდაპირველად ცხოველთა ზოგადი სახელები ყოფილა.

§ 7. მცირეწლოვან, უჭასაკოთა და პირუტყვთა სახელების საერთო თვისება

ყველა ამ 29 სიტყვას **ორი საერთო თვისება** აქვს: 1. **შინაარსით** თითოეული მათგანი **სულდგმულის უჭასაკო, მცირეწლოვან არსების**, ანდა **ცხოველის ზოგადი სახელია** და 2. **თითოეული მათგანი ბ თანხმოვნით, ან მისი გაასპირატებული შესატყვისობით იწყება.** რათგან ძნელი წარმოსადგენელია, რომ ამდენ სიტყვას, მნიშვნელობის გარკვეულ მსგავსებასთან ერთად, თავკიდურ ბგერად ერთი-და-იგივე ბ-თანხმოვანი სრულებით შემთხვევით ჰქონდეს, ამიტომ ბუნებრივად **იბადება საკითხი, ბ-ბგერა უძველეს ქართულში უჭასაკოთა. მცირეწლოვანთა და პირუტყვთა ზოგადი სახელების სქეს-კატეგორიის ნიშანი ხომ არ იყო?**

მაგრამ ზემოაღნიშნული დაკვირვება მართალი-კია? აქ ხომ რამე მოჩვენებითი, ანდა შემთხვევითი მოვლენა არ არის? თუმცა სქესთა და ნათესაობის აღმნიშვნელი 44 სიტყვა საკმაო ოდენობაა, რომ დაკვირვება შემთხვევითობისაგან უზრუნველყოფილი იყოს, მაგრამ ეს მთლად უცილობელი საბუთი არ არის. **ზემომოყვანილი დაკვირვება რომ სრულებით დამაჯერებელი შეიქმნეს და ურყევ დებულებად იქცეს, აუცილებლად საჭიროა, რომ ახმოვანებული ვ, ნ და ბ-ს თავსართობა და მათი ამნაირი დანიშნულება თვით იმ სიტყვათა აგებულებისა და პირველადი** მნიშვნელობისაგან ჩანდეს. მაშინ სრული უეჭველობით ცხადი გახდებოდა, **რომ ამა-თუ-იმ სიტყვის ფუძეს შესაფერისს მნიშვნელობას სწორედ** ეს თავსართები **ანიჭებენ და სწორედ ისინი სცვლიან.**

მაშასადამე, ეს დებულება რომ კონკრეტულად გამოვხატოთ, უნდა უპირველესად გამოირკვეს და დამტკიცდეს, რომ ᲕᲐᲪᲘᲙ-სა და ᲕᲐᲪᲘ-სათვის მამრობითობის მნიშვნელობის მიმნიჭებელი სწორედ ვ ბგერა, ანდა ვა მარცვალია. ამნაირადვე ჯერ დასამტკიცებელია, თუ საითგან ჩანს, რომ სიტყვებს: ᲑᲐᲢᲙᲐᲜᲡ,

გინდა ბაშვს უჰასაკობის მნიშვნელობას სწორედ ზ, ანდა ბა ანიჭებს. ამის დამტკიცება-კი მხოლოდ ხქესისა და ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვების აგებულებისა და თავდაპირველი მნიშვნელობის გამორკვევით შეიძლება და სწორედ ამას უნდა შევუდგეთ კიდევაც.

ႧႠႥႨ ႫႤႧႭႰႫႤႲႤ

სქესისა და ნათესაობის გამომხატველი სიტყვების აგებულების ანალიზი და თავდაპირველი მნიშვნელობა

§ 1. სიტყვების აგებულების სხვადასხვანაირად დაცულობის გათვალისწინების აუცილებლობა

სქესის აღმნიშვნელი სიტყვების აგებულებისა და პირველადი მნიშვნელობის გამორკვევის დროს უნდა გვახსოვდეს, რომ თავისი ოდინდელი ბგერითი შედგენილობა ყველა მათგანს ერთნაირი სისრულით არა აქვთ დაცული და ამიტომ უპირველესად უნდა თითოეული მათგანის თავდაპირველი სახისა და მნიშვნელობის შეძლებისდა გვარად აღდგენასა და გაგებას ვეცადოთ.

ცხადია მაგ., რომ **მამალი თხის** სახელი **ႥႠႺႨ** და **მამალი ციკანის** სახელი **ႥႠႺႨႩႨ** ერთი-და-იგივე სიტყვები უნდა იყოს. მაგრამ უკანასკნელს ზედმეტი იკ მარცვალი აბადია. ამიტომ ვაციკი-ს ეს ზედმეტი მარცვალი, ან ფუძისეულად უნდა მივიჩნიოთ და მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ႥႠႺ-ს ეს მარცვალი დროთა განმავლობაში დაუკარგავს, ან არა და, თუ იკ ძირეული არ არის, მაშინ პირველადი სახის უკეთ დამცველად ႥႠႺႨ უნდა გვეცნა, ხოლო ႥႠႺႨႩ-ის ეს მარცვალი შემდეგ გაჩენილად გვეგულისხმა.

ასევეა ბევრს სხვა შემთხვევაშიც და სწორედ ამიტომაც, ყოველ სიტყვათა ცალკეული ჯგუფის განხილვამდე, უნდა უწინარეს მათი აგებულების სრული სახე გვექმნეს გამორკვეული.

§ 2. ვაციკისა და ვაცის, ბატკისა და ბატკანის, აგებულებისა და პირველადი მნიშვნელობის ანალიზი

თუ გავიხსენებთ, რომ თხის შვილს ზოგადად, სქესისდა მიუხედავად ႺႨ-ႩႠႬႨ ეწოდება, და ამ სიტყვას ႥႠႺ-სა და ႥႠႺႨႩ-ს შევადარებთ, ცხადი გახდება,

რომ არამც თუ ႥႠႺႨႩႨ-ს ႨႩ მარცვალი მერმინდელი ზედმეტი დანართი არ ყოფილა, არამედ მას კიდევ ერთი ႠႬ მარცვალი ჰკლებია.

შესაძლებელია ვინმემ იფიქროს, რომ, რაკი ოთხთავისა და დაბადების ქართულ თარგმანში ႺႨႩႠႬႨ ს მაგიერ ႧႨႩႠႬႨ გვაქვს, თითქოს თ-ს ც-დ შენაცვლება და ႺႨႩႠႬႨ-ს ფორმა ახალი იყოს, მაგრამ იმავე ხანაში, როდესაც ႧႨႩႠႬႨ იყო გაბატონებული, ႺႨႩႠႬႨ-ს ფორმაც რომ ყოფილა, ამას იმავე დაბადების თარგმანში დაცული ႻႳႰႺႨႩႨ-ს სახელიც ამტკიცებს.

ႻႳႰႺႨႩႨ იობის 39_1-ში გვხვდება. იქ ნათქვამია: „უკეთუ გიცნობიეს ჟამი შობისა ქურციკისა, მცხორებელთა მთათა კლდოვანთა"-ო. ႻႳႰႺႨႩႨ-ს შესატყვისად ბერძნ. ὁ τραγέλαφος ჰო ტრაგელაფოს-ი სწერია, ლათინ. ibex, ე. ი. Steinbock-სა და სომხ. *յամոյր* ჲამოჲრ-ს უდრის. ხოლო მეორე მხრით ქება ქებათაჲ-ს 2_9 ნათქვამია: „მსგავს არს ძმისწული ჩემი ქურციკსა". ბერძნულ თარგმანში „ႻႳႰႺႨႩႨ"-ს შესატყვისად ἡ δορκάς ჰე დორკას-ია, ლათინ. hinnulcus-სა და სომხ. *այծեմն* აჲწემნ-ს უდრის, რაც ირმის მაგვარ მშვენიერ ცხოველს, ჯეირანს, Antilopa dorcas-ს, Gazelle, რუს. газель-ს ნიშნავს.

ამჟამად რომ პირველ ნაწილს თავი დავანებოთ და მხოლოდ ჩვენთვის საჭირო მეორე ნაწილს მივაქციოთ ყურადღება, ბერძნული ზემომოყვანილი შესატყვისობითგანაც ჩანს და ისედაც ცხადია, რომ ႺႨႩႨ აქ ბერძ. ႲႰႠႢႭႱ-ს, ე. ი. თხას უდრის და ႺႨႩႠႬႨ-ს ისეთივე ბოლო-შეკვეცილი ფორმაა, როგორიც ႥႠႺႨႩ-შია. მაშასადამე ႺႨႩႠႬႨ-ს, ႧႨႩႠႬ-თან შედარებით, მერმინდელ შენაცვლებულ სახესხვაობად მიჩნევა არასგზით არ შეიძლება ამ ორ სახესხვაობას შორის იმდენად ქრონოლოგიური არა, რამდენადაც დიალექტური განსხვავებაა საგულისხმებელი.

ႺႨႩႠႬႨ ეხლა და ႧႨႩႠႬႨ უკვე ოთხთავის გაღმოთარგმნის ხანაში თხის შვილის, ე. ი. ჩვილი ნაშობის სახელად არის და იყო ქცეული, მაგრამ ასე არ ყოფილა თავდაპირველად. წინათ რომ ႺႨႩႠႬႨ ზოგადი სახელი იყო, თხის წლოვანებისდა მიუხედავად, და მოზრდილისა და დიდის აღსანიშნავადაც იხმარებოდა, ამ გარემოებას ႥႠႺႨ-ს სახელიც ამჟღავნებს, რომელიც ამავე ციკანისაგან არის ნაწარმოები, მაგრამ მცირე წლოვანს-კი არა, არამედ სწორედ სრულჰასაკოვან თხასა ნიშნავდა და ნიშნავს ეხლაც.

ამნაირადვე ცხადია, რომ ჩვილი თიკანის, ე. ი. ციკანის აღმნიშვნელი ႡႠႲႩႨ (ს ა ბ ა) და ცხვრის ჩვილი კრავის სახელი ႡႠႲႩႠႬႨ ერთი-და იგივე სიტყვებია, მხოლოდ პირველს ႠႬ მარცვალი აქვს ბოლოში ჩამოცილებული.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ႡႠႲႩႨ მეგრულად თხისა-კი არა, არამედ კამეჩის კოზაკის აღმნიშვნელია. იქვე ამ სიტყვის კიდევ ორი ფორმა არსებობს: ႡႠႲႨႠ და ႡႠႲႨ. ისევე როგორც ეს სიტყვები ერთისა-და-იმავე ცხოველის აღმნიშვნელია, ამნაირადვე ႡႠႲႨႠ-ც ႡႠႲႨႩႠ-სა, ანუ ႡႠႲႩႨ-საგან უნდა იყოს კ-ს გაქრობით წარმომდგარი[1].

---

[1] კ-ს გაქრობა ჩვეულებრივია ჭანურში, მაგ. ტკები — ტები (ტყავი) მტკუ — მტუ (მტკაველი), ტკოჩ — ტოჩ (ტყორცა), ოწკუ — ოწუ (წყვეტა), მაწკუნუ — მაწუნუ (მტკივა), მწკუ — წუ (წვავი) და სხვ.

როგორც თხის სახელებს შორის ერთი მხრით ႥႠႺႨႩႨ-ა; მეორე მხრით ႺႨႩႠႬႨ და ႧႨႩႠႬႨ, ამნაირადვე ერთი მხრით ႡႠႲႩႠႬႨ-ა და ႡႠႲႩႨ და უფრო ადრინდელი ႡႠႲႨႩႠ, რომლისაგანაც ႡႠႲႨႠ-ა წარმომდგარი, მეორე მხრით-კი ႲႨႩႠႬႨ გვაქვს, რომელიც იმავე ცხოველის ზოგად სახელსა და თიკანის ფონეთიკურ სახესხვაობას წარმოადგენს.

თუმცა ႲႨႩႠႬႨ ცალკეულად სამწერლობო ქართულში ჯერ არა ჩანს და თიკანსაც თხის მნიშვნელობა აქვს მიკუთვნებული, მაგრამ წინათ და თავდაპირველად ამ სიტყვას, როგორც ეტყობა, მარტო თხისა-კი არა, არამედ ცხვრის მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა, ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ჭანურში თიკანს, თხისა-კი არა, არამედ სწორედ ცხვრის მნიშვნელობით ხმარობენ. ჭანურში „ႧႨႩႠႬႨ“ ეხლაც ცოცხალი სიტყვაა და წინანდებურად ცხვრის აღმნიშვნელია, მხოლოდ პატარასი, კრავის, ბატკნისა. ამასთანავე მეტად საგულისხმოა, რომ ეს სიტყვა ათინურ კილოში „ႲႨႩႠႬႨ“-ს სახითაც არის დაცული (ჭ. გ. 147).

მაგრამ ამაზე მეტის თქმაც შეიძლება: თუ სამწერლობო ქართულსა და ჭანურში ႲႨႩႠႬႨ, ႧႨႩႠႬႨ და ႺႨႩႠႬႨ წვრილფეხა რქოსანი საქონლის ზოგად სახელად მოჩანს, კამბეჩის შვილის, კოზაკის, მეგრული სახელი ႡႠႲႩႨ ცხადჰყოფს, რომ ႲႨႩႠႬႨ ოდესლაც ხხვილფეხა საქონლისათვისაც უხმარიათ.

ყველა ზემონათქვამითგან ირკვევა, რომ ႲႨႩႠႬႨ, ႧႨႩႠႬႨ და ႺႨႩႠႬႨ ქართულად უუძველეს ხანაში ცხოველის წლოვანებისა და სქესისდა განურჩევლად აღმნიშვნელი ზოგადი სახელი ყოფილა.

საკმარისია ეხლა ეს ზოგადი ცნების გამომხატველი სიტყვა ႲႨႩႠႬႨ და კრავის აღმნიშვნელი ႡႠႲႩႠႬႨ ერთმანეთს შევადაროთ იმის დასარწმუნებლად, რომ მათ შორის არავითარი ბგერითი განსხვავება არ არის იმას გარდა, რომ მეორე სიტყვას თავში პირველთან შედარებით ზედმეტი ბა მარცვალი გააჩნია. ხოლო, რაკი ႡႠႲႩႠႬႨ თუმცა ცხვრის ორივე სქესის შვილის ზოგადი სახელია, მაგრამ, ႲႨႩႠႬႨႱ მსგავსად, წლოვანობისდა მიუხედავად-კი არა, არამედ მარტო მცირე წლოვანისა და უჰასაკოსი, ამიტომ ცხადია, რომ ფუძე ႲႨႩႠႬ-ს უჰასაკობის ცნების გამომხატველობას სწორედ თავკიდური ბა მარცვალი ანიჭებს.

თავისდა-თავად ცხადია, რომ იგივე უნდა ითქვას ქართულს სამწერლობო ენაში ჩვილი ციკანის სახელი ႡႠႲႩႨ-სა და კამბეჩის მეგრული სახელი ႡႠႲႩႨ-ს, ႡႠႲႨႠ-სა და ႡႠႲႨ-ს თავკიდური ბა-ს შესახებაც.

ტიკანის მსგავსად, ႺႨႩႠႬႨ-ც, როგორც დავრწმუნდით, ძველ ქართულში თავდაპირველად, სქეს-წლოვანობისდა მიუხედავად, ცხოველის ზოგადი სახელი ყოფილა, მათ შორის თხისაც. თუ ამ ზოგად სახელწოდებას თხის მამალი მცირეწლოვანი შვილის აღმნიშვნელი ႥႠႺႨႩႨ და მამალი სრულ-ჰასაკოვანი თხის სახელი ႥႠႺႨ შევადარეთ, დავრწმუნდებით, რომ, თუმცა მას ტიკანის მსგავსად, თხის წლოვანობისდა მიუხედავად, ზოგადი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ორივე სქესისათვის-კი არა, როგორც ციკანი იხმარება, არამედ მხოლოდ მამალი თხისა. რაკი ამ ტერმინებს ერთმანერთისაგან არსებითად მხოლოდ თავკიდური ႥႠ ასხვავებს, ამიტომ აქაც უნდა დავასკვნათ, რომ მამრობითი სქესის აღმნიშვნელობას სწორედ ეს თავკიდური ႥႠ ანიჭებს.

§ 3. ნეზვისა და ჰანური ბოზოს აგებულების ანალიზი და ნე-ს და ბო-ს ბუნება

თავის ალაგას (იხ. აქვე) უკვე გამორკვეული გვქონდა, რომ მდედრობითი სქესის ცხოველსა და არსებას უძველეს ქართულში **ნეზვი** ჰრქმევია. მსგავსი ცნების გამომხატველი სიტყვებსავით, მას თავში **ნ** თანხმოვანი აქვს. ძირეულია იგი, თუ არა, და, თუ ძირეული არ არის, რა დანიშნულება აქვს მას, ამის გამორკვევას მხოლოდ მისი ეტიმოლოგია შეაძლებინებს ადამიანს.

საქონლისაგან შვილის გაჩენის, შობვის, აღსანიშნავად ზმნა **ზუებვა**-ც იხმარებოდა. იერემიას 14₅ ქართული თარგმანის „ირემნი ველთა ზედა **იზუებვოდეს**“ ბერძნული ტექსტის ἔλαφροι ἐν ἀγρῷ ἔτεκον-ს უდრის. აქეთგანვეა ნაწარმოები ტერმინი „**მეეზვე**“, რომელიც ს ა ბ ა ს განმარტებით „**მშობელი ხვასტაგი**“-ს მნიშვნელობით იხმარებოდა (ლექსიკ.). ამ ძირითგანვეა წარმომდგარი **უზვი**, რომელიც ს ა ბ ა ს ვ ე სიტყვით „**ბერწი ცხოველი**“-ს აღმნიშვნელია (ლექსიკ.), ე. ი. **უშობელს** უდრის.

„ინგილოურ კილოში ეს ზმნა ძველი მნიშვნელობით ეხლაც იხმარება და **ზობა** შვილის მოგებას, დაყრას, შობას უდრის. ამბობენ „**ფურ დაძზო**“, ე. ი. **ძროხამ მოიგო**“-ო (მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საინგილო, იხ. ძვ. ს᾿ქლო II, 247). ხევსურულშიც იხმარება „**საზვები**“ **შვილის მშობელი საქონლის აღსანიშნავად** (მესაქონ ლ.: მეეზვე) და „**ნამზვებლავი**“, „**ნამზველი**“, ნაშობი საქონლის მომყოლის გამოსახატავად (იქვე).

ეს ზმნა სვანურსაც აქვს დაცული და ოთხფეხთა და ცხოველთა შობას იქ **ლიზჷლ, ლიზჴლ**, ანდა **ლი-ზვჷლ-ი** ეწოდება (ვ ა რ. თ ო ფ უ რ ი ა ს ჩანაწერით).

ამნაირად შობის აღმნიშვნელი ძირი **ზუე**-ს, **ზვე**-სა, ანდა **ზო**-სა და **ზნ**-ს სახით არის ძველსა და თანამედროვე ქართულ-ქართველურში დაცული.

საკმარისია **დედალი ცხოველის და არსების სახელი ნეზვი** ამ შობვის აღმნიშვნელ **ზვება** ზმნას შევადაროთ, **რომ მათი ნათესაობა ცხადი** შეიქმნეს. **ზვი**-სა და **ზვე**-ს იგივეობა უეჭველია. მაშასადამე, **ძირი ამ ორ სიტყვას საერთო ჰქონია. ხოლო, რაკი ზვ ძირი შობის ცნების გამომხატველია, ამიტომ ცხადია, რომ ნეზვი თავდაპირველად ამავე ცნების აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.** ვითარცა არსებითი სახელი, **ზვება** შობა ზმნისაგან წარმომდგარი **ნეზვი შესაძლებელია მხოლოდ ვნებითი მიმღეობის ფორმა იყოს და მშობელს უნდა ნიშნავდეს.** დედალი რომ მშობელის აღმნიშვნელი იყოს სრულებით ბუნებრივიც არის.

როგორც „**ნაშვი ნაშობი**“-ს აღმნიშვნელია (ს ა ბ ა, ლ.) და **შობა** ზმნისაგან ნაწარმოები ვნებითი მიმღეობაა, რომელსაც ძირი **შვ**-ის სახით აქვს დაცული, ისევე **ნეზვი**-ს ძირი, უეჭველია, **ზვ** უნდა იყოს. **ხოლო, რაკი ეს სიტყვა მიმღეობაა, ცხადია, რომ ნე მიმღეობის თავსართი და ფორმანტი ყოფილა.**

რა თქმა უნდა, **ნე ნეზვ**-ში, **ნაშვი**-ს **ნა**-ს მსგავსად, ვნებითი მიმღეობის ფორმანტი არ შეიძლება იყოს, არამედ **მოქმედებითი მიმღეობის ფორმანტია.** თუ გავიხსენებთ, რომ **ნეზვი** დედალსა ნიშნავს, მაშინ ბუნებრივად დაგვება-

დება აზრი, რომ ნე მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი მიმღეობის ოდესღაც ქართულში არსებული ფორმანტი ყოფილა.

ამავე ზვება ზმნის, მაგრამ ინგილოურში დაცული ზობა-ს მსგავსი ფორმისაგან იქნება გოგოს აღმნიშვნელი ჭანური სიტყვა ბოზო-ც წარმოძდგარი, რომლის ძირს ზო შეადგენს, ბო-კი თავსართია და, როგორც დავრწმუნდით, უჰასაკოთა აღმნიშვნელი ფორმანტია. ამ შემთხვევაში იგი უჰასაკოთა ზოგადი სქესის გამომხატველი მიმღეობის ფორმანტად გვევლინება. ბო თავსართისდა მიხედვით, საფიქრებელია, რომ ბოზო თავდაპირველად ბაშვის, ე. ი. ორივე სქესის ნაშობის, გამომხატველი უნდა ყოფილიყო და გოგოს მნიშვნელობა ამ სიტყვასაც, ბევრ ამის მსგავს სახელსავით, შემდეგში ექნება მიღებული.

ნეზუი-ს დროთა განმავლობაში ფორმანტ-ჩამოცილებულსა და ზ-ს ძ ბგერით მერმინდელ შენაცვლებულ ფორმას უნდა წარმოადგენდეს ძველ ქართულში დედალი ცხოველის ზოგად სახელად მიღებული ძუ და ძუვი ისევე, როგორც დედალი ძაღლის სახელად ქცეული ძუკნა-ს პირველი ნაწილი ძუ-ც. ამ სიტყვის მეორე ნაწილი კნა, როგორც თავის ადგილას დავრწმუნდებით, გარკვეული ცნების აღმნიშვნელი სიტყვაა, რომელიც არაერთს სხვა ტერმინსა და სახელშიც გვხვდება.

წ˜ა ნინოს შატბერდისეულ ცხოვრებაში ძუ-ს მაგიერ ნახმარია ძუვი. წ˜ა ნინოს აღმზრდელი თავის გაზრდილს ვითომც ეუბნებოდა: „ვხედავ, შვილო ჩემო, ძალსა შენსა, ვითარცა ძალსა ლომისა ძუვისასა (ველიშ. ძ˜ვსა), რომელი იზახებენ ყოველსავე ოთხფერკსა, გინა ვითარცა ორბი დედალი, რომელი აღვიდის სიმაღლესა ჰაერთასა უფროჲს მამლისა“-ო (Опис. II, 742).

ზუება ზმნისაგან არის ნაწარმოები სიტყვა მოზუერი, თუ მოზვერი-ც, რომელსაც გუდამაყრის ხეობაში მაზვერი უდრის (მესაქ. ლ. 43). ჭანურად მუზარი (ათინ.) და მოზარი (ხოფურ.) ეწოდება (ჭ. გ. 144). ნეზვთან შედარებით, ეს სიტყვა ახალი სიტყვაა და იმ ხანის ნაწარმოები, როდესაც ქართულსა და ქართველურს გრამატიკული სქესი უკვე დაკარგული ჰქონდა. მაგრამ, მაწოვარის მსგავსად, ვითარცა ზუება შობა ზმნისაგან ნაწარმოებ მიმღეობას, თავდაპირველად, უეჭველია, მშობელის და დედალი ცხოველის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მართლაც, ჭანურს ამ სიტყვის თავისი პირვანდელი აღმნიშვნელობა დაუცავს და მოზარი და მუზარი იქ სწორედ დედალ ხბოს და საფურეს ეწოდება (ჭ. გ. 144). ქართლ-კახეთში-კი ამ სიტყვის მნიშვნელობა შეცვლილია. უკვე ს ა ბ ა ს ა აქვს განმარტებული, რომ მოზუერი „წელიწადზე მეტსა საკარესა“ ნიშნავდა (ლ.: ზროხა). მოზვერი-სა, თუ მაზვერი-ს მსგავსი ზვება ზმნისაგან ნაწარმოები მიმღეობის უთავკიდურო მარცვლიან ფორმას უნდა წარმოადგენდეს ჭანური სიტყვა ზურა-ც.

ცხოველის დედლობის აღსანიშნავად ჭანურში სხვებზე უფრო ხშირად ეს ზურა იხმარება, მაგ.: ძუკნა ძაღლს ზურა ჯოღორი (ვიწურად), ან ზურა ლაკი (ათინ.), ანდა ზურა ლაჯი (ბულ.) ჰქვიან,—დედალ, ანუ ფურ ირემს-კი — ზურა მსქუერი ეწოდება (ჭ. გ. 145). რაკი ზურა იშობელის აღმნიშვნელია, ამიტომ მისი დედლის აღქნიშვნელობა ჭანურში სრულებით ბუნებრივია.

საფიქრებელია, რომ **ზუეზა**-საგან ნაწარმოებს მოქმედებითი გვარის მიმღეობას უნდა წარმოადგენდეს დედაკაცის აღმნიშვნელი სვანური სიტყვა **ზურალ**, რომელიც თავდაპირველად „**მაზურალ**“-ის, ან „**ნაზურალ**“-ის, სახით არის საგულისხმებელი და პირველად ალბათ მშობელსა ნიშნავდა, რათგან საცოლქმრო ცხოვრებაში დედაკაცის ეს თვისება ყოფილა ნიშანდობლივად და მამაკაცისაგან განმასხვავებლად მიჩნეული. ეს რომ მართლაც ასე უნდა ყოფილიყო, ამას ის გარემოებაც ცხად-ჰყოფს, რომ ამ სიტყვით მარტო მდედრობითი სქესის ადამიანი-კი არ აღინიშნებოდა, არამედ ცხოველებიც, რის დამამტკიცებელი აბუთი ჭანურსა აქვს დაცული, სადაც **ზურალ**-ის შეკვეცილი ფორმა **ზურა** დედაკაცს-კი არა, არამედ, როგორც დავრწმუნდით, **სწორედ დედალ ხაქონელს ნიშნავს.**

დამახასიათებელია, რომ „**დიაცი**“-სა და „**მხდალი**“-ს მსგავსად, ჭანურადაც დედლის აღმნიშვნელი **ზურა**, ი ო ს. ყ ი ფ შ ი ძ ი ს ჩანაწერის თანახმად, თურმე „მშიშარა“-საც ნიშნავს (ქ. გ. 145. იოს. ყიფშიძის ფანქრით მინაწერი).

თანამედროვე მეგრულშიც **ზურა** რომ მხდალსა, სუსტს და ავადმყოფსა ნიშნავს, უეჭველია, ესეც მეორადი მნიშვნელობაა.

§ 4. ბოკუერისა, ფუკვარის, ფეკვნას, ნუკრისა და ბურვაკის აგებულება და მათი თავკიდური მარცვლების ბუნება

ბოკუერი-ს აგებულებისა და ეტიმოლოგიის გამორკვევის დროს, უნდა გათვალისწინებული გვქონდეს, რომ ეს სიტყვა **გარეული ცხოველის შვილის ზოგადი სახელია.** ამავე დროს უნდა გავიხსენოთ, რომ ქართულს **შინაური** სხვილფეხა ცხოველის შვილის კიდევ ორი სახელი გააჩნია, რომელთაგან **დიაკეული** დედლის, **ბარაკეული**-კი, **სქესისდა განურჩევლად, აგრეთვე ზოგადი სახელია.**

ორი უკანასკნელი სიტყვის აგებულება ცხადია და თვითეული მათგანი **ორი ნაწილისაგან შესდგება: პირველი ნაწილი, დია და ბარა,** მათ განსხვავებული აქვთ, მეორე, **კეული**-კი **საერთოა.** ცხადია, რომ ეს **საერთო ნაწილი** **კეული** ამ ორი სიტყვის აღმნიშვნელობის **საერთო თვისების, შვილობის, გამომხატველი უნდა იყოს, ხოლო მათი პირველი განსხვავებული ნაწილი, ამ შვილობის განმასხვავებელია.** მართლაც **დია** დედალს, ე. ი. **შვილის მდედრობითს სქესს,** გამოჰხატავს, **ბარა**-კი მაუწყებელია, რომ **შვილის ორივე სქესია ზოგადად ნაგულისხმევი.**

რაკი **ბოკუერი**-ც **დიაკეულისა და ბარაკეულის** მსგავსად, **ცხოველის შვილობის აღმნიშვნელია,** სრულებით **ბუნებრივია, რომ იქაც შვილობის ამ ცნების გამომხატველი ნაწილი ვეძიოთ.** საფიქრებელია, რომ **ბოკუერ**-შიც **ამ ცნების აღმნიშვნელი მეორე ნაწილი კუერი იყოს.**

თუ ქართულში ბგერათა ადგილ-მონაცვლეობისა და **რ** და **ლ**-ს შენაცვლების სიხშირეს გავიხსენებთ, მაშინ ის მოსაზრება, რომ **კუერი** და **კეული** ერთი-და

იგივე, მაგრამ სწორედ ამ ფონეტიკური პროცესით ერთმანერთისაგან განსხვავებული, სიტყვებია, ძნელი დასაჯერებელი არ იქმნება.

ხოლო, რაკი ბოკუერ-ში შვილობის აღმნიშვნელი სწორედ კუერი ყოფილა, ბო, ცხადია, აქაც ძირეული არ არის და, ბარაკეულის ბარა-ს მსგავსად, ზოგადად შვილის უჰასაკობის გამომხატველი უნდა იყოს.

საყურადღებოა **დიაკეული**-ს პირველი და მეორე ნაწილის **დია**-ს და **კეული**-ს ფონეტიკური სახესხვაობანი: სამწერ. ქართულში **დეკეული**-ა, ინგილოურად-კი გვაქვს **დეკევლ** (მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს საინგილო 196), თუშურად — **დიკევლა** (მესაქ. ლ. 19), სვანურად — **დეკავილ** (ვ ა რ. თ ო ფ უ რ ი ა ს ჩანაწერი) და გურულად **დეკნა** (მესაქ. ლ. 19). დასასრულ მეგრულში ამის შესატყვისად **ჯაკელი** გვაქვს (მ. გ. 411).

კნა-ს, კეული-სა, თუ კუერი-საგან წარმომდინარეობის დებულება რომ ადამიანს საეჭვოდ, ანდა მცდარად არ ეჩვენოს, ამ სახესხვაობის უფრო გულდასმითი დასაბუთება ემჯობინება. უეჭველია, **კნა** უნდა უფრო ადრინდელი **კვნა**-საგან იყოს, ვ-ს გაქრობით, წარმომდგარი.

სვანურად გარეული ცხოველების ლეკვის ზოგად სახელად **ფეკვნა** იხმარება (ვ ა რ. თ ო ფ უ რ ი ა ს ცნობა), ე. ი. სვანური **ფეკვნა** მნიშვნელობით ძველს **ბოკვერ**-ს უდრის. საგულისხმოა, რომ **ფეკვნა** სვანურად შინაური ცხოველის, სახელდობრ ძაღლის ლეკვსაც ეწოდება. იგივე სიტყვა, ოღონდ ბოლოკიდური **ნა**-მარცვალ-ჩამოცლილი, სვანურში შინაური წვრილფეხა პირუტყვის სახელადაც გვხვდება. **დაკოდილ**, ე. ი. უკვე უსქესოდ ქცეულ თხას იქ **ფიკუ**-ს ეძახიან (ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს ცნობა), რომელიც უეჭველია **ფუკუარი**-საგან უნდა იყოს წარმომდგარი. ამას ერთი მხრით ამ სიტყვის მრ. რ. ფორმად მიჩნეული **ფუკვა̈რ**-იც ცხად-ჰყოფს და მეორე მხრით დასაყვერავი თხის აღმნიშვნელი უშგული **ლეფკვა̈რი** (ვ. თ ო ფ უ რ ი ა), რომელსაც, **ლე** ფორმანტის ჩამოცილების შემდგომ, ფუძედ **ფკვა̈რი** ჰრჩება. რა თქმა უნდა, რომ **ფკვა̈რი**-ს პირველ მარცვალს ის **უ** ხმოვანი აქვს დაკარგული, რომელიც **ფუკვარ**-ს დაცული აქვს. ამ უკანასკნელის ბოლოკიდური **არ** მარცვალი მხოლოდ შეცდომით, მრ. რ. სვანურ ამავე ფორმანტთან მსგავსების გამო, არის მრ. რ. ფორმად მიჩნეული. **არ** აქ ფუძისეულია, მრ. რ. ნიშანი არ-კი მას ჩამოსცლია.

ცხადია, რომ **ფუკვა̈რი** იგივე **ბოკუერი**-ა. ზემოაღნიშნულ გარემოებათა და შესატყვისობათა გამორკვევის შემდგომ, უფლება გვაქვს დამტკიცებულად მივიჩნიოთ, რომ **ფეკვნა**-ს **კვნა** მართლაც **კუარი**-სა, ანუ **კუერი**-საგან არის წარმომდგარი, უეჭველია **რ**-ს **ნ**-დ შენაცვლების გზით. ასეთი შენაცვლება ქართულში იშვიათი მოვლენა არ არის[1].

დეკეულის გურული სახელის **დეკნა**-ს **კნა** რომ **კვნა**-ს საშუალებით იმავე **კუერი**-საგან არის წარმომდგარი, ამას ზემომოყვანილის შემდგომ, ვგონებ, დამტკიცება აღარ უნდა სჭირდებოდეს.

[1] მაგალითად შესაძლებელია დასახელებულ იქმნეს **სამურველი** და **საზონველი** (ს ა ბ ა), **კირჩლა** და **ხინჩლა** (ხევს.), **ანკესი** და მეგრ. **არკეცი**, და **ანკეცი**—მეგრ. **ო-ნწე** და **სა-რწევი** აკვანი, — **მართვე** და **მონთა** (მეგრ.), — **კარი** და **კან** (სვან.) და სხვაც არაერთი.

ერთი მხრით ქართლში და კახეთში დედალ ძაღლს ᲫᲣᲙᲜᲐ ეწოდება (მესაქ. ლ. 90), მეორე მხრით სვანეთში ძაღლის ლეკვს ᲤᲔᲙᲕᲜᲐ ჰქვიან. ამ სვანურ სიტყვას ამაზე უფრო ფართო მნიშვნელობაც აქვს და ᲤᲔᲙᲕᲜᲐ-ს ზოგადად ყოველნაირი გარეული ცხოველის ლეკვის სახელადაც ხმარობენ (ვარ. თ ო ფ უ რ ი ა ს ჩანაწერი).

ცხადია, რომ ᲫᲣᲙᲜᲐ-სა და ᲤᲔᲙᲕᲜᲐ-ს ერთი-და-იგივე ძირი, ანუ ფუძე აქვთ: ᲙᲕᲜᲐ მათ საერთო ნაწილს შეადგენს, პირველი ნაწილი-კი თვითოეულ მათგანს განსხვავებული აქვს. ხოლო, რაკი ამ ორი სიტყვის მნიშვნელობაც იმ საერთო თვისებას შეიცავს, რომ ორივე ცხოველის სახელია, მაგრამ მაინც იმ მხრივ განსხვავდება, რომ პირველი დედალი ცხოველის, მეორე-კი უჭასაკო, პატარა, მცირეწლოვანი ცხოველის სახელი არის, ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ ამ ორი სიტყვის მნიშვნელობის საერთო თვისების, ცხოველობის, გამომხატველი სწორედ მათი საერთო ნაწილი ᲙᲕᲜᲐ უნდა იყოს, მნიშვნელობის განსხვავების გამომხატველი-კი ამ სიტყვების პირველი განსხვავებული ნაწილი იქმნება.

ზემომოყვანილი დასკვნის სისწორეს ᲫᲣᲙᲜᲐ-ც ამტკიცებს, რომლის პირველი მარცვალი ძუ ცალკეულ სიტყვადაც არსებობდა და არის ეხლაც და სწორედ დედალსა ნიშნავდა და ნიშნავს ამ ჟამადაც. ამის მსგავსად, უეჭველია, რომ გარეული ცხოველის ლეკვის სვან. სახელ ᲤᲔᲙᲕᲜᲐ-შიც ᲙᲕᲜᲐ-ს, ანუ ᲙᲜᲐ ძირსა, თუ ფუძეს, შვილობის, ანუ ლეკვობის მნიშვნელობას უცილობლად პირველი მარცვალი ᲤᲔ უნდა ანიჭებდეს. ქართულ-ქართველურში ბ ბგერის ფ-დ გაასპირატების საკმაო სიხშირის გამო, ფე უნდა პირველადი ბე-საგან იყოს, ან დროთა განმავლობაში, ან დიალექტურად წარმომდგარი. მაშასადამე, აქაც ᲑᲔ და ᲤᲔ უჭასაკოთა და მცირეწლოვანთა ზოგადი სქესის ნიშნად გვევლინება.

უეჭველია, ასეთივე აგებულების სიტყვა უნდა იყოს ᲜᲣᲙᲠᲘ-ც, რომელიც, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე), წინათ ირმის, შველისა და მისთანათა დედალი შვილის სახელი იყო. ᲜᲣ არც აქ არის ძირეული, ᲙᲠᲘ იმავე ᲙᲣᲔᲠᲘ-ს შეკუმშულ, შუახმოვნებ-გაქრობილ სახესხვაობას წარმოადგენს, რომელიც ᲑᲝᲙᲣᲔᲠᲘსა და სვან. *ᲤᲣᲙᲕᲵᲠᲘ-ს ფუძეა. მას შემდგომ, რაც ამ ᲙᲣᲔᲠᲘ-საგან ᲙᲕᲜᲐ-ს (ფეკვნა-ში) და ᲙᲜᲐ-ს (დეკნაში) სახესხვაობათა გაჩენის გარემოება გამომჟღავნდა, ᲙᲣᲔᲠᲘ-საგან ᲙᲠᲘ-ს წარმოშობილობა აღარავის გააკვირვებს. რაკი ᲙᲠᲘ ფუძე, ᲙᲣᲔᲠᲘ-ს მსგავსად, შვილობის ცნების გამომხატველია, ᲜᲣ აქაც მდედრობითობის აღმნიშვნელი თავსართი უნდა იყოს.

ᲑᲝᲙᲕᲔᲠᲘ-სა და სვ. *ᲤᲣᲙᲕᲵᲠᲘ-ს აგებულების შემდგომ, ვგონებ, ბევრი საუბარი საჭირო არ უნდა იყოს, რომ, არამც თუ ღორის შვილის სახელი ᲑᲣᲠᲕᲐᲙᲘ ასეთივე აგებულობისა, არამედ მთლად იმავე სიტყვის ფონეტიკურ სახესხვაობად მივიჩნიოთ. მართლაც, საკმარისია ქართულში ბგერათა ადგილ-მონაცვლების სიხშირე გავიხსენოთ, რომ ᲑᲣᲠᲕᲐᲙᲘ, კ და რ თანხმოვანთა ადგილმონაცვლების გზით, ᲑᲝᲙᲣᲔᲠᲘ-საგან (ბუკუარი — ბუკვარი — ბურვაკი) წარმოშობილობის აზრი დამაჯერებელი შეიქმნეს. ამნაირად, ᲑᲣᲠᲕᲐᲙᲘ იგივე ღორის ბოკვერი, ანუ შვილი ყოფილა.

§ ნ. ბაშვისა და ბუშის ეტიმოლოგია და ბა და ბუ მარცვლების ბუნება

ბაშვის, ანუ **ბავშვი**-ს ეტიმოლოგიის დროს უნდა გათვალისწინებული გვქონდეს, რომ ეს სიტყვა ადამიანის ორივე სქესის მცირეწლოვანი შვილის სახელია. მეგრულსა და ჭანურში **ბოშ**-ად არის ქცეული, სვანურად **ბეფშ**-იცა და **ბობშ**-იც არის, ე. ი. როგორც აღმოსავლურს, ისევე დასავლურს სახესხვაობას ეცხრობა. ამას გარდა, როგორც ვიცით, **ბუში**-ც არსებობდა, რომელიც თავდაპირველად ორივე სქესის შვილის, ხოლო გარკვეული ხანითგან უკანონო შვილის აღმნიშვნელი იყო.

ცნობილია, რომ ადამიანისა და ცხოველის ორივე სქესის შთამომავალს **შვლი** ანუ **შვილი** ეწოდებოდა ძველად და **შვილი** ჰქვიან ეხლაც. ეს სიტყვა **შობა** ზმნისაგან ნაწარმოები მიმღეობაა, ე. ი. შობილს და ნაშობს უდრის.

შვილი რომ, როგორც ადამიანის, ისევე ცხოველის შთამომავლობის აღმნიშვნელია, გასაოცარი არ არის, რადგან თვით იმ ზმნასაც, რომლის მიმღეობასაც ეს სიტყვა წარმოადგენს, ძველად ასეთივე ზოგადი მნიშვნელობა ჰქონდა.

შობად მარტო ადამიანის დაბადების გამომხატველი სახელზმნა-კი არ იყო, როგორც ეხლა გვესმის, არამედ დედალი პირუტყვების მიერ მოგებასაც ამავე სიტყვითაც აღნიშნავდნენ ხოლმე. შესაქმეთა 30_{39} ნათქვამია: „შობდეს ცხოვარნი მოთეთროთა და ჭრელთა და ნაცრისფერად სხურებულთა, ხოლო კრავნი განყუნა იაკობ"-ო.

ამ ზმნის ასეთი ზოგადი და ორმაგი მნიშვნელობა მის მეგრულ შესატყვისობას ეხლაც დაცული აქვს. **შიიბა** და **შიბა** შობასაც ნიშნავს და შეძენასა და მოგებასაც. მაგ. **მაშიი** ნიშნავს მებადება-ს, **ბშიბულენქ** და **ბშულე**-კი — ვიძენ-ისა და ვიგებ-ის აღმნიშვნელია, **ნაშიბუ**-ც **ნაშოვნი**-ს, **შე'აძენი**-ს, **მონაგები**-ს გამომხატველია (მ. გ. 356 — 357).

უკვე უძველეს ძეგლებში შვილი, როდესაც მას კომპოზიტუმში მეორე ადგილი უკავია, შეკვეცილი სახით არის წარმოდგენილი. შესაქმეთა 10_{15} ნათქვამია: „ქანან შუაჲ სიდონ პირმშოდ", ხოლო იქვე 22_{21} იხსენიება „ოქსა პირმშოჲ." ბერძნულ ტექსტში **პირმშოჲ**-ს შესატყვისად πρωτότοκος-ი, პროტოტოკოს-ი არის, ლათინ: primogenitus-ი და სომხურში *անդրանիկ* ანდრანიკ-ია. ბერძნული და ლათინ. ტერმინი, ისევე როგორც სომხური, პირველ-ნაშობსა, უფროს შვილსა ნიშნავს. ქართული **პირმშოჲ**-ც, ცხადია, ასევეა ნაწარმოები და პირვშო-[ბილი]საგან უნდა იყოს წარმომდგარი. ამგვარად შობილი-საგან აქ მხოლოდ პირველი მარცვალი-ღაა წარმოდგენილი და შობილის, ანუ შვილის აზრის გამომხატველი **შო** არის. ამ სახითვეა წარმოდგენილი ეს ძირი ტერმინ „საშო"-ში და შეკვეცილადვეა დაცული **შობა** ზმნა ასეთ ფორმებში, როგორიც არის მაგ. შვიხ, შობის მაგიერ. თუმცა ტერმინი „**პირმშოჲ**" და „**საშოჲ**" მე-V ს. ძეგლებშიც გვხვდება, მაგრამ ამნაირი შეკვეცილობა მე-V ს-ზე გაცილებით უფრო ადრე უნდა მომხდარიყო.

პირმშოჲ მარტო მამრობითი სქესის უფროს შვილს-კი არა, არამედ ზოგადად პირველნაშობსა და ქალიშვილსაც აღნიშნავდა. ამას დავით აღმა-

შენებლის ისტორიკოსის შემდეგი სიტყვებიც ცხად-ჰყოფენ: დავით აღმაშენებელს, **„პირმშო ასულთა თჳსთა, თამარ, გაეგზავნა დედოფლად შირვანისა"-ო** (ც̃ა მეფ̃თ მეფ̃სა დ̃თსი *532, გვ. 298).

დასასრულ, **შვილი რთულ სიტყვებში შჳ-ს ფორმითაც გვაქვს წარმოდგენილი.** ამ სახით გვეელინება იგი ისეთ ტერმინებში, როგორიც არის **უშჳ** და **ნაშჳ**, რომელთაგან პირველი, ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს განმარტებით, **უნაყოფოს ნიშნავს** (ლექს.).

ნაშჳ რთულ სიტყვაშია დაცული. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს **სახლის-ნაშჳ**, რომლის შესახებაც ნათქვამი აქვს: **„სახლის-ნაშჳ სახლის ნაშობი ვისიცა** (17₂₇ დაბად.), **მკევლის ბუში** (2₇ ეკლ.), **ორივე ერთი მგონია"-ო** (ლ.) ლექსიკოგრაფის მიერ დამოწმებულ ძეგლებში, ამავე ადგილას, თუმცა სწორედ სახლის ნაშობზეა მართლაც საუბარი, მაგრამ ბ ა ქ ა რ ი ს გამოცემულ რედაქციაში, ს ა ბ ა ს ა გ ა ნ დასახელებული **სახლის-ნაშჳ**-ს მაგიერ, **სახლის წულნი**-ა, რომელიც უდრის ბერძნულს οἰκογενεῖς **ოჲკოგენეჲს**-ს, ლათინ. vernaculus domus-სა და სომხ. *ընտանին* **გნტოწინ**-ს (სამივე Genes. 17₂₃). ეკლესიასტეს 2₇ ქართ. **სახლის-წულნი**-ც იმავე ბერძნულ სიტყვას ეთანასწორება. ცხადია, რომ ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს დაბადების ქართულ თარგმანის სხვა რედაქცია ჰქონია ხელთ, რომელშიც, **სახლის-წული**-ს მაგიერ **სახლის ნაშჳ** წერებულა. მართლაც ს ა ბ ა ს მიერ დასახელებულის შესაქმეთა 17₂₇-ში **სახლის ნაშჳ** მცხეთის დაბადებაში გვხვდება. ეკლესიასტეს 2₇-ში-კი **„სახლის ნშ̃ბნი"** სწერია (იხ. ს. მ. ხ. № A 51).

სახლის-ნაშჳ ამ ჟამად იმდენად არის ჩვენთვის საყურადღებო, რამდენადაც **ნაშობი**-საგან წარმომდგარი **ნაშჳ**-ს ძირი მხოლოდ შჳ-ს, ანუ შვ-ის სახით-ღა არის დაცული. ასევეა უნაყოფოსა და უშობელის აღმნიშვნელ სიტყვა **უშვ**-შიც. ცხადია, რომ **უშვი უშვილო**-ს ცნების გამომხატველია.

თუ, ყველა ზემოაღნიშნულის გათვალისწინების შემდგომ, ისევ **ბაშვი**-ს, ანუ **ბაჲშვი**-ს და **ბუში**-ს **ეტიმოლოგიის განხილვას** დავუბრუნდებით, შეუძლებელია არ შევამჩნიოთ, რომ **ამ სიტყვებისა და ნაშვი-სა და უშვი-ს შორის ცხადი მსგავსებაა. ბაშვი**-ცა და **ბუში**-ც ისევე, როგორც **ნაშჳ**-ც **შვილის**, **უშვი**-კი **უშვილოს** აღმნიშვნელია. ამ სიტყვის **მეორე ნაწილი შჳ, შვი, ში საერთო** აქვთ და ცხადია, რომ სწორედ ეს **საერთო ნაწილი უნდა იყოს შვილობის ცნების გამომხატველი** ძირი, **ხოლო როგორც ნაშჳ**-ში და **უშვ**-ში **თავკიდური ნა და უ ძირეული** არ არის და **ფორმანტებია**, ამნაირადვე **ბაშვი-სა, ბოში-სა, ბეფშ-ისა და ბუში-ს თავკიდური ბა, ბო, ბუ, და ბე მარცვლები** ძირეული არ უნდა იყოს, არამედ **უჰასაკობის აღმნიშვნელ ფორმანტებად არის მისაჩნევი.**

§ 6. ვერძისა და ნერჩის ეტიმოლოგია, პირველადი მნიშვნელობა და ვე და ნ ბგერების ბუნება

ვერძი-ს ეტიმოლოგიისა და ძირითადი მნიშვნელობის გამორკვევის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა იმ გარემოებას მიექცეს, რომ **მამალ ცხვარს** მეგრულად **ერჯი** ეწოდება.

მეგრული ᲔᲠᲯᲘ, რომელიც გამონათქვამში „ᲨᲮᲣᲠᲘ ᲔᲠᲯᲘ" ცხვარი მამალი, მამალი ცხოველის აღმნიშვნელ ზოგად სიტყვადა ჩანს, უეჭველია, „ᲕᲔᲠᲫᲘ"-ს კანონზომიერ შესატყვისობას წარმოადგენს. მას, მაშასადამე, თავკიდური ვ ჩამოცილებული აქვს, მაგრამ ამასთანავე ძ თანხმოვნის მაგიერ ჯ გააჩნია.

უნდა ამასთანავე გავიხსენოთ, რომ მეგრულადაც ᲝᲠᲘᲯᲘ და ᲝᲠᲘᲜᲯᲘ-ც არსებობს, რომელთაც საქონლის მნიშვნელობა აქვთ, ხოლო ბანძა-მარტვილში ᲝᲠᲯᲘ უკვე ძროხას ნიშნავს.

უეჭველია, რომ საქონლის აღმნიშვნელი ᲝᲠᲘᲯᲘ და ძროხის აღმნიშვნელი ᲝᲠᲯᲘ ერთი-და იმავე ძირისა და ერთი-და-იგივე სიტყვებია. პროფ. ი. ყ ი ფ შ იძ ე ც ასევე ფიქრობდა. ამას ის გარემოებაც ამჟღავნებს, რომ სამივე ტერმინი ორიჯი, ორინჯი და ორჯი თავის მეგრ. ლექსიკონში ერთად აქვს მოთავსებული.

უკვე 1912 წელს აკად. ნ. მ ა რ რ მ ა აღნიშნა, რომ სომხური სიტყვა *երինջ* ერინჯ, რომელიც საქონელსაცა და დეკეულსაც, ე. ი. ხაფურე ხბოს, ნიშნავს (იხ. Яфет. элем. в языках Армении: ИАН. 1912 წ., გვ. 834), მეგრულ-ჭანურითგან ნასესხები სიტყვაა [1].

სომხ. დიალექტებში ეს სიტყვა ასეა დაცული: ვალაშკერტსა, ახალციხეს, ერევანს, კარინში, მოკსა, მუშში და ნახჭავანში ᲔᲠᲘᲜᲯ, აგულისში ᲐᲠᲘᲜᲯ,—ჯულასა და შემახაში ᲲᲔᲠᲘᲜᲯ,—ვოლმიში ᲲᲔᲠᲔᲜᲯ და გორრისა და ყარაბაღში ᲰᲔᲠᲘᲜᲯ და ᲰᲔᲠᲔᲜᲯ-ი იხმარება (Հ. Ա. Բ. II, 820).

ისევე, როგორც ᲝᲠᲘᲯᲘ და ᲝᲠᲘᲜᲯᲘ-ა, არსებობს და არსებობდა, როგორც დავრწმუნდით, ᲔᲠᲯᲘ და ᲔᲠᲘᲜᲯᲘ, რომელთაგან პირველი მამალ ცხვარს, მეორე კიდევ დედალს სხვილფეხას, სახელდობრ, საფურესა ნიშნავს. ამაზე მეტის თქმაც შეიძლება: თანამედროვე მეგრულში ფურს ᲝᲠᲯᲘ ჰქვიან.

---

[1] ცხადია, რომ სომხური ერინჯი, ვითარცა საქონლის აღმნიშვნელი სიტყვა, მეგრულ ორინჯ-ს უდგება, რადგან ისიც ხომ საქონელსა ნიშნავს. მაგრამ იგივე სომხური ერინჯი, ვითარცა დეკეულის აღმნიშვნელი, უკვე ძროხის აღმნიშვნელ ორჯო-ს უდგება.

აზრი ᲔᲠᲯᲘᲡᲐ და ᲝᲠᲯᲘᲡ იგივეობის შესახებ სრულ ჭეშმარიტებად გვეჩვენება, თუ იმ მნიშვნელოვან გარემოებასაც ანგარიშს გავუწევთ, რომ ს ო მ ხ უ რ ა დ ᲔᲠᲘᲜᲯ სწორედ დედალ ხბოს, ხაფურესა ნიშნავს.

Հ. Ա. Բ.—ის ავტორს ნ. მ ა რ რ ი ს ა და იოს. ყ ი ფ შ ი ძ ი ს აზრი მცდარად მიაჩნია და ის ამტკიცებს, რომ პირიქით მეგრ. ᲝᲠᲘᲯᲘ, ᲝᲠᲘᲜᲯᲘ და ᲝᲠᲯᲘ სწორედ სომხურითგანაა ნასესხებიო. მისი აზრით, ნ. მ ა რ რ ი ს და ყ ი ფ შ ი ძ ი ს მოსაზრებანი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი მართალი ყოფილიყო, სხვა რომელსამე კავკასიის ენებშიც რომ ეს სიტყვა არსებობდესო. ᲔᲠᲘᲜᲯ-ი ნამდვილ სომხ. სიტყვად მიაჩნია. ის ემყარება შ ე ვ ტ ე ლ ო ვ ი ც-ს, რომელიც ეკლისა და ჰინჰრის სპარ. სახელს ენჰირე-ს უკავშირებს, treng-ს და ალბან. დრენზე-ს, ჭურციკის აღმნიშვნელს. Peterson-საც იმოწმებს, რომელიც ბერძნ. კრავის სახელს ერიფოს-ს, ლიტ. იმავე მნიშვნელობის eras-ს და მამალი ცხვრის ლათინ. სახელ. aries-ს ადარებს (იხ. Հ. Ա. Բ. II (բ). 819—821).

ავტორს ვერ შეუმჩნევია ის კავშირი, რომელიც მეგრ. ᲔᲠᲘᲯ-სა, ᲝᲠᲘᲯ-ს და ᲝᲠᲘᲜᲯ-სა ისევე, როგორც ᲝᲠᲘᲯ-ს შორის არსებობს. ᲔᲠᲯᲘ უეჭველია ᲕᲔᲠᲫᲘᲡ შესატყვისობას წარმოადგენს. ხოლო. რაკი ქართ. ვერძსა და მეგრ. ერჯს სომხურად ვორძ და ვერც-ი უდრის, რომლისთვისაც ავტორს სულ სხვა და სომხ. ერინჯ-ისაგან ძირითადად განსხვავებული ეტიმოლოგია აქვს მოყვანილი (იხ. აქვე გვ. 204. შენ.), უკვე ეს გარემოება მის საბუთიანობას საეჭვოდ ხდის.

ამნაირად, თანამედროვე მეგრულშიც-კი **მამალ ცხვარს** ეწოდება **ერჯი**, **დედალ ხხვილფეხას, ფურს**-კი ჰქვიან **ორჯი**. ამ ორი სიტყვის ფუძეთა იგივეობა ცხადია და ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ **აქ ცხოველის აღმნიშვნელ ფუძესთან უნდა გვქონდეს** საქმე და მამრობითობის მნიშვნელობის მიმნიჭებელი თითქოს თავკიდური ე ხმოვანი იყოს, მდედრობითობისა-კი ო ხმოვანი. **ორიჯ — ორინჯისა** და **ერჯ — *ორჯის** იგივეობის მსგავსად, **ერჯისა** და **ერინჯის** იგივეობის აზრიც მცდარი არ უნდა იყოს მით უმეტეს, რომ **პირველი მამალ ცხვარს, მეორე-კი ზოგადად** საქონელსა ნიშნავს. მაშასადამე, სქესის განსხვავებულობა აქ დამაბრკოლებელ გარემოებად არ არის დართული. აქაც საკითხი მხოლოდ ერთი მათგანის პირველადობასა, ანუ უძველესობაზე შეიძლება იყოს.

ამ შემთხვევაში მნიშვნელობის განვითარების ორგვარი შესაძლებლობაა გასათვალისწინებელი: ან ცხოველის აღმნიშვნელობა უნდა ყოფილიყო ძირითადი და პირველადი, მამრობითობის აღმნიშვნელობა-კი შემდეგში მიენიჭა, ანდა პირიქით, მამრობითობის აღმნიშვნელობას განზოგადების გზით ცხოველის აღმნიშვნელობაც დაერთო.

ამ ორ შესაძლებლობითგან ერთის ჭეშმარიტად მიჩნევასა და გამოყენებას ის გარემოება გვშველის, რომ ერთი მხრით **ერჯი მამალ ცხვარს** ნიშნავს, მეორე მხრით **ორჯი საფურეს**, ე. ი. **დედალ მსხვილ საქონელს ეწოდება. ორივე სქესის აღმნიშვნელობა ამ შემთხვევაში**, უეჭველია, **იმის მომასწავებელია, რომ ზემოგანხილული ტერმინების ძირს სწორედ ზოგადი, ცხოველის ცნების, აღმნიშვნელობა უნდა ჰქონოდა და სქესობრივი განრჩევა ამ სიტყვების დანართი მნიშვნელობა უნდა იყოს.**

ამ სიტყვების აწინდელი აღმნიშვნელობისდა მიხედვით, მოსალოდნელია, რომ აქ ცხოველობის, ანდა არსების ცნების გამომხატველ რომელიღაც წარმოების ნაშთი უნდა გვქონდეს იმგვარადვე, როგორც მაგალითად **ცხვარი**, ანუ, მისი უფრო ძველი ფორმა რომ ვიხმაროთ, **ცხოვარი**, თავდაპირველად ზოგადად **ცხოველს ნიშნავდა**. ამიტომაც არის, რომ თუ საწერლობო და თანამედროვე ქართულში **ცხოვარი** და **ცხვარი** წვრილფეხა რქოსანი საქონლის გარკვეული ჯიშის ზოგადად, სქესისდა განურჩევლად, აღმნიშვნელია, მეგრულში მისი ფონეტიკური შესატყვისობა **ჩხოუ**, ანდა **ჩხუ**, **ჩხუუ**, რომლის მრ. რ. ფორმა **ჩხოულეფი**, ანდა **ჩხულეფი**-ა, ცხვარს კი არა, არამედ **მსხვილფეხა**, **ამასთანავე მხოლოდ დედალ საქონელს, ძროხას**. ნიშნავს (იხ. პროფ. ი ო ს. ყ ი ფ შ ი ძ ი ს მ. გ. 368 — 369).

რაკი **ერჯს**, **ერინჯსა** და **ორინჯ — ორიჯ — ორჯს** ცხოვარ-ცხოველთან, ანდა მათ მეგრულ ფონეტიკურ შესატყვისობა **ჩხოუ**-სთან საერთო ძირი არას გზით არ შეიძლება ჰქონდეს, ისევე როგორც **საქონლის** აღმნიშვნელ ძირთან, ამიტომ ზემოაღნიშნული ტერმინების ეტიმოლოგიისა და თავდაპირველი მნიშვნელობის გასაგებად ამ სიტყვების მხოლოდ **არსება** ზმნის ძირთან კავშირის გამორკვევა-ღა დაგვრჩენია.

არსება ზმნას სამწერლობო ქართულში, როგორც ცნობილია, აწმყო დროის ფორმების **ვარ**, **ხარ**, **არს** და მრ. რ. სხვა ფორმებს გარდა, თითქოს აღარა-

ფერი უნდა იყოს. თვით სახელზმნის ფორმა **არს-ება** აწმყო დროის მხ. რ. მესამე პირისაგან ნაწარმოებ მერმინდელ სიტყვას წარმოადგენს.

ამავე ზმნის ფორმები ჭანურს აწმყო დროის გარდა (**ვორე, ორე, ონუ**, ან **ონ**, მრ. რ. **ვორეთ, ორეთ, ორან**), ნამყო უსრულიც მოეპოვება (**ვორტი, ორტი, ორტუ**, მრ. რ. **ვორტით, ორტით, ორტეს**), ბრძანებითიც (**ორტას**), მყოფადიც და თურმეობითიც (იხ. ჭ. გ. 67, § 109).

მაგრამ სახელზმნისა და მიმღეობის ფორმები ამ ზმნისაგან არც ჭანურს გააჩნია (იქვე გვ. 67 და 181).

ჭანურში მხოლოდ **არსება** ზმნის ძირისაგან თანდებულიანი ზმნაც **დორინუ**-ც მოგვეპოვება, **რომელსაც უკვე ჩასახვისა და შობის** (ნამდვილად **„დაარსების“**) **მნიშვნელობა** აქვს. აწმყო: **დოვორინამ**, ან **დოვორინაფ**, aor. **დოვორინი**, მყოფადი — **დოვორინარე, დოვორინამინონ**. მაგ.: **„ფუჯიძ დოვორინუ“** ნიშნავს **ძროხამ შობა**, მოიგო. აღსანიშნავია, რომ ამ წინდებულიან ზმნას **მიმღეობის** ფორმაც აბადია, **დორინერი**, რომელიც **შობილს, დაბადებულსა** ნიშნავს (ჭ. გ. 181).

მეგრულს **არსება** ზმნის სახელზმნის ფორმაც აქვს, **რინა** და აწმყოსი (**ვორე-ქ, ორე-ქ, ორე-ნ**, მრ. რ. **ვორეთ, ორეთ, ორენან**), ნამყო უსრულისაც **ვორდი** და სხვა), ნატვრითისაც, თურმეობითისა და ბრძანებითის ფორმებიც მოეპოვება (მ. გ. 0101, § 108).

ამაზე უფრო საყურადღებოა, რომ მეგრულს **რინა** ზმნისაგან მიმღეობის ფორმებიც აბადია: **მა-რენჯი მყოფი, არსი- ნა-რენჯი**, ანდა **ნა-რინჯი** და **ო-რენჯი — მყოფადი** (იქვე).

ყურადღების ღირსია, რომ **რინა** ზმნისაგან ნაწარმოები ნამყო სრულის მიმღეობის ორი ფორმა არსებობს: **ნარენჯი** და **ნარინჯი**, თუმცა აწმყო ფორმებში ამ ზმნას **რ**-ს მომდევნო ხმოვნად ჭანურსა და მეგრულშიც **ე** არის (**ვორე, ვორექ**), ამიტომ მიმღეობის **ე**-იანი ფორმა (**ნარენჯი**) მოულოდნელი არ არის, მაგრამ, რაკი სახელზმნა **რინა**-ა, ამიტომ მიმღეობის **ი**-ანი ფორმაც სრულებით კანონზომიერია.

ამავე გარემოების წყალობით **რინა** სახელზმნის **მიმღეობის აწმყო და მყოფადის ფორმები**, ნამყოს მსგავსად, **ე-იანის გარდა, შესაძლებელია ი-ანიც ყოფილიყო და, მარენჯი**-სა და **ორენჯი**-ს გვერდით, **მარინჯი**-ცა და **ორინჯი**-ც არსებულიყო. უკანასკნელი ფორმის შესაძლებლობის ერთგვარ დამადასტურებლად, ვგონებ, ტერმინი **ორინალი**-ც გამოდგება, რომელსაც ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც **ორენჯი**-ს (თავშესაფარისა, სამყოფელის), მაგრამ რომელსაც ფუძედ **რენ**-ის მაგიერ **რინ**-ი აქვს.

პროფ. იოს. ყ ი ფ შ ი ძ ე ს **მოქმედებითი გვარის მიმღეობის ფორმანტებად** დასახელებული აქვს სხვათა შორის **თავსართი მა** და **ბოლოსართი ენჯი**, მაგრამ იქვე აღნიშნულია, რომ **ზოგჯერ მხოლოდ ბოლოსართი ენჯი გვხვდება** (მ. გ. გვ. 094, § 105, 3).

სუფიქსების განხილვის დროს-კი იმავე ავტორს, იმავე § 105 a, b, c-ს დამოწმებით, **სუფიქსებად მიჩნეული** აქვს **ჯა**, resp. **და** და **ჯი** (იხ. იქვე გვ.

0128). ამგვარად, ენჯი-ს მაგიერ, **სუფიქსად მხოლოდ ᲯᲘ-ა მიჩნეული**, წინ-მყოფი ენ-ის ბუნების შესახებ-კი არაფერია ნათქვამი.

რაკი ᲠᲘᲜᲐ-ში ᲘᲜ[1] **ძირეული არ არის**, ამიტომ **ᲛᲐ-ᲠᲔᲜᲯ-შიც ნ-ხ ძირე-ულად მიჩნევა არ შეიძლება** იმგვარადვე, როგორც მიმღეობის ფორმის **ᲚᲣᲠ-ᲔᲜᲯᲘ-ს მძინარე-ს** (ნამდვილად „მლულავი"-ს), **ᲔᲜᲯᲘ-ს ნ** ძირეული არ არის. **ხოლო, თუ ეს ბგერა არც სუფიქსს ეკუთვნის, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი შემდეგშია გაჩენილი და შენაზრდი უნდა იყოს.** ამნაირად, **სუფიქსად ᲔᲯ-ი** დაგვრჩებოდა, ხოლო რათგან Ე ბგერაც ჭანურ ვორე-სა და მეგრულ **ვორ-ექ-ში ძირეული არ არის, ამის გამო მიმღეობაში ეს ხმოვანი სუფიქსის კუთვნილებად უნდა იქნეს მიჩნეული.**

ნ თანხმოვნის **ᲔᲯ** სუფიქსში მერმინდელი შენაზარდობა, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ეს მოვლენა სრულებით ახალია და თანამედროვე სასა-უბრო ენაშია გაჩენილი. როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, ამ ბგერითი პრო-ცესის მრავალი საუკუნის ხნიერების უტყუარი მოწმე არის გადარჩენილი.

სვანურად არსება-ყოფნა ზმნის **ᲚᲘ-რდე-ს მიმღეობის** ფორმა **ᲛᲔ-რდე-ა**, რომელიც **მყოფის** აღმნიშვნელია (იხ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს სვანური ენა I, ზმნა. გვ. 219). აქ მე პრეფიქსია, **რ** ძირი, ხოლო **ᲓᲔ** ბოლოსართია, რომლის თან-ხმოვანი **Დ** მეგრულ-ჭანური სუფიქსის **ᲔᲯ**-ის **Ჯ** თანხმოვანის შესატყვისობა უნდა იყოს.

ᲝᲠᲘᲜᲯ-ისა და **ᲔᲠᲘᲜᲯ**-ის, ვითარცა **„საქონლის"** **აღმნიშვნელი** სიტყვის, **ეტიმოლოგიისა და თავდაპირველი მნიშვნელობის მიგნება**, ყველა ზემონათ-ქვამის შემდგომ, ვგონებ, გაადვილებული უნდა იყოს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ აწმყოს მიმღეობა **ᲛᲐᲠᲔᲜᲯᲘ არსებულსა**, ანუ **ა რ ს ე ბ ა ს** ნიშნავს, და თანაც გავითვალისწინოთ, რომ, ნამყოს მიმღეობის ორი პარალელური ფორ-მის **ᲜᲐᲠᲔᲜᲯᲘ**-სა და **ᲜᲐᲠᲘᲜᲯᲘ**-ს მსგავსად, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა. აწმყოს მიმღეობის ორი პარალელური ფორმის, **ᲛᲐᲠᲔᲜᲯᲘ**-სა და **ᲛᲐᲠᲘᲜᲯᲘ**-ს არსებობა სრულებით კანონიერია, რომ საკითხი თავისდა-თავად გადაწყდეს.

ცხადია, რომ **საქონლის აღმნიშვნელი ᲝᲠᲘᲜᲯᲘ-სა და ᲔᲠᲘᲜᲯᲘ-ს და „არ-სების" აღმნიშვნელი მიმღეობის ᲛᲐᲠᲘᲜᲯᲘ-ს ფონეტიკური და სემასიალოგი-ური მსგავსება შეუძლებელია შემთხვევითი იყოს.**

შესაძლებელია, რომ, ან **ᲛᲐᲠᲔᲜᲯᲘ** რეგრესიული ასიმილაციის წყალობით **მერენჯ**-ად ქცეულიყო, შემდეგში თავკიდური **მ** ჩამოსცლოდა და ამ გზით **ᲔᲠᲔ-ᲜᲯᲘ** გაჩენილიყო, ანდა **მარინჯი**-საგან იმავე ფონეტიკური პროცესების ზეგავ-ლენით **ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲡ** აღმნიშვნელი აწმყო დროის მიმღეობა **ᲔᲠᲘᲜᲯ**ად ქცეულიყო.

---

[1]. რაკი § 105, a, 3-ში და c, 2-ში **მა-რენჯი** და **ო-რენჯი**-ს მაგალითად სწორედ **მა-რენ-ჯი არხი, მყოფი გი-მა-რ-ენჯი მდგომარე და ო-რ-ენჯი მყოფადი, სამყოფი, თავშესაფარი არის და-ხასიათებული** (იხ. გვ. 094 და 095), მკითხველისათვის გაუგებარი ხდება, თუ რას ფიქრობდა ავტორი **ᲔᲜ**-ის ბუნების და რაობის შესახებ, როდესაც სუფიქსად **ᲔᲜᲯᲘ**-ს მაგიერ უკვე მხო-ლოდ **ᲯᲘ**-ს აღიარებდა?

ამგვარადვე შესაძლებელია საქონლის აღმნიშვნელი თანამედროვე მეგრული სიტყვა ღრინჯი და ღრიჯი „არსების" აღმნიშვნელი მიმღეობა მარინჯისაგან იყოს მეგრულში ჩვეულებრივი ა ხმოვნის ო ხმოვნად შენაცვლების გზით მორინჯ-ად ქცეული ფორმისაგან თავკიდური მ-ს ჩამოცილებითვე წარმომდგარი.

მაგრამ, როგორ მოხდა, რომ არსის აღმნიშვნელი მარენჯი, თუ მარინჯი ერთი მხრით ერინჯი-სა და ღრჯი-ს სახით დ ე დ ა ლ ი სხვილფეხა საქონლის, საფურისა და ფურის, აღმნიშვნელ სიტყვებად იქცა, მეორე მხრით-კი ერჯი-ს სახით მ ა მ ა ლ ი წვრილფეხა საქონლის აღმნიშვნელი გახდა? როგორ უნდა განერჩიათ თავდაპირველად ცხოველის, ანდა არსის დედალ-მამლობის აღმნიშვნელობა, თუ ეს იმ პირვანდელი მიმღეობის საშუალებით ჰსურდათ გამოეხატათ, რომლისაგანაც მამალი საქონლის სახელად ქცეული ერჯი და დედალი საქონლის სახელად მიკუთვნილი ერინჯი წარმოდგნენ?

ძნელი დასაჯერებელია, რომ ცხოველის, ან არსის სქესის განრჩევა და გამოხატვა, სქესის განმასხვავებელი რაიმე ნიშნის დაუხმარებლივ, თუ რომ მაშინაც თანამედროვე ქართულის მსგავსად თანდართული დედალ-მამლობის მაუწყებელი სიტყვები არ ახლდა, შესაძლებელი ყოფილიყოს. ეს მოსაზრება გვაფიქრებინებს, რომ ჯერ კიდევ გამოსარკვევია, თავდაპირველად არსის აღმნიშვნელი მიმღეობის მარტო ერთი ფორმა იყო, თუ არა, და ამ ერთ ფორმას თავსართად მართლაც მა გაანჩდა, თუ რაიმე სხვა ნიშანი, სხვა ფორმანტი არსებობდა?

ამ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა მეგრული თანამედროვე ლექსიკური მასალით შეუძლებელია, რათგან არც ერჯ-სა და არც ერინჯ-ს ან ღრჯ-ს ისევე, როგორც ღრიჯ-ს, ან ღრინჯ-ს თავში მიმღეობის არავითარი ნიშანი დაცული არა აქვს. მაგრამ სამაგიეროდ ამ საკითხის გამორკვევის საშუალებას ზემოდასახელებული სიტყვების სამწერლობო ქართულში მე-V ს-ითგან მოყოლებული ძეგლებით დაცული ფონეტიკურ-სემასიალოგიური შესატყვისობა გვაძლევს.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა მამალი ცხვრის აღმნიშვნელი მეგრული ერჯი სამწერლობო ქართულში უძველესი დროითგანვე ძეგლებით დამოწმებული მამალი ცხვრის აღმნიშვნელი ტერმინის ვერძი-ს შესატყვისობას წარმოადგენს, მაგრამ ყველაზე საყურადღებო ის გარემოებაა, რომ აქ თავსართად მა-ს მაგიერ ვე გვაქვს. რაკი ამ თავსართიან სიტყვას მამლობის მნიშვნელობა აქვს მიკუთვნილი, უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ვე, ანუ, უფრო სწორედ რომ ითქვას, ვ აქაც მამრობითი სქესის აღმნიშვნელი ძველი ქართული ფორმანტი უნდა იყოს[1].

---

[1] ძველსა და ახალ სომხურში მამალი ცხოველისა, თუ მამრის აღსანიშნავად არსებობს ტერმინი *որձ* ვორძ, რომელსაც ჰ ჰ ბ შ მ ა ნ-ი ნამდვილ სომხურ სიტყვად სთვლიდა და ზენდურს ərəzi-ს და ბერძნულ ორჭის-ს, ალბანურს herde ('Hode') და ლიტაურს errzlas-ს ('Hengst') ადარებდა (იხ. Arm. Gram. I, 483). ამ ეტიმოლოგიას B o i s a c q-იც იმეორებს თავის ბერძნ. ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში და ემხრობა სომხ. ენის ძირეულ ლექსიკონის ავტორიც (*Հ. Ա. Բ.*, V, 583 — 585). მაგრამ ორჭის ბერძნ. მამაკაცის კვერცხსა და კაკალს ნიშნავს ისევე, როგორც

რაკი ვერძი-ს დასაწყისი ბგერა ძირეული კი არა, არამედ მამრობითი სქესის თავსართოვანი ფორმანტი აღმოჩნდა, ხოლო თვით სიტყვა თავდაპირველად მამრი არსების გამომხატველი მიმღეობა უნდა ყოფილიყო, ამიტომ ამისდა მიხედვით მდედრობითი სქესის არსის, ანუ საქონლის აღმნიშვნელ მიმღეობასა და სიტყვას თავდაპირველად თავსართად სხვა ფორმანტი უნდა ჰქონოდა.

ნეზვის მსგავსად, რომელიც, როგორც ვიცით, თავდაპირველად აგრეთვე **ზუება** ზმნისაგან ნაწარმოები მიმღეობა იყო და რომლის თავკიდური **ნე** მდედრობითი სქესის ფორმანტია, საფიქრებელია, რომ ამ მდედრობითი სქესის არსებისა და საქონლის აღმნიშვნელ მიმღეობასაც თავდაპირველად, **ვე**-ს მაგიერ, თავსართად **ნე** ფორმანტი უნდა ჰქონოდა და სამწერლობო ქართულში **ნერძი**, მეგრულ-ჭანურში კი **ნერჯი**, ანდა **ნერინჯი** ყოფილიყო. თუმცა არც ერთს მათგანს ზედმიწევნით ასეთი სიტყვა არ მოეპოვება, მაგრამ **იმავე ძირისაგან, საითგანაც ვერძის შესატყვისი მეგრული ერჯი-ა ნაწარმოები, წარმომდგარია სომხურში შეთვისებული ფურის აღმნიშვნელი** *երինջ* **ჲერინჯ, რომელსაც, ვერძის მსგავსად, თავისი სქესის ფორმანტი უნდა ჰქონოდა. თუ ნერინჯი ან ნერჯი** არ ჩანს, სამაგიეროდ **დედამიწისა** და **ადგილის დედის** ღვთაების სახელი **ნერჩი-ა** დაცული, რომელიც შესაძლებელია **ჯ**-ს ქართულში **ჩ**-დ ხშირი შენაცვლების წყალობით სწორედ **ნერჯი**-საგან იყოს წარმომდგარი.

§ 7. ურასი, ურის, ვირისა, ვერანის, ბარას, ბერეს და ბელის პირველადი მნიშვნელობა და ეტიმოლოგია

ურა-სი და **ვირი**-ს ეტიმოლოგიის გამორკვევის დროსაც, უნდა პირველად მათი უძველესი სახის აღდგენას ვეცადოთ. როგორც უკვე ვიცით, **ურა** **ხვადი ცხენის** აღმნიშვნელი იყო და არის ეხლაც და **ვირი**-ც ძველად **ამ ცხოველის ხვადისავე სახელი ყოფილა.**

სანსკრ. რჯი, რომელიც ერთ რთულ სიტყვაშია დაცული, და ალბანური ზემოდასახელებული სიტყვაც. მხოლოდ ლიტაური ერჟილას და ლეთთ. (*Լեռի*) ერზელის ნიშნავს დაუყვერავ. ხვად ცხენს.

ზემოდასახელებულ მეცნიერთ ერთი მხრით გათვალისწინებული არა აქვთ ქართული ვერძისა და მის ქართველურ შესატყვისობათა არსებობაცა და ფართოდ გავრცელებულობაც, მეორე მხრით-კი სომხური ვორძ-ის საგულისხმო დიალექტური შესატყვისობანიც ამ სიტყვის პირველადი სახის აღსადგენად სრულებით გამოყენებული არ არის. იქ-კი ბევრი რამეა მკვლევარისათვის საყურადღებო. მაგ. ძველსა და თანამედროვე ვორძ-ის მაგიერ მ ო კ უ რ შ ი, ვ ა ლ ა შ კ ე რ ტ ს ა და ა ხ ა ლ ც ი ხ უ რ შ ი ვორც-ია, ხოლო შამახაში ვერც, ვგრც, მ ა რ ა ღ ა შ ი ვგრც და ვირტ, ყარაბაღის გორისში ვგრც და ვგრც, დასასრულ აკულისში კრძ (*Կրձ*) არის (იხ. სომხ. ძირ. ლ. V, 585). ამ დიალექტიკურ შესატყვისობათაგან ცხადი ხდება, რომ ქართული ვერძისა და მეგრ.-ჭან. ორჯ-ის მსგავსად, სომხურშიც ამ სიტყვის ორი ძირითადი, ე-ხმოვანა და ო-ხმოვანა ფორმა ყოფილა, ე-ხმოვანა ჯგუფი შამახური, მარაღული და ყარაბაღული, ე. ი. აღმოსავ. დიალექტების კუთვნილებაა, ხოლო ო-ხმოვანა ჯგუფი, ძველ სომხურს გარდა, მოკური, ვალაშკერტული, მუშისა, ახალციხური და ერევნული, ე. ი. უკანასკნელს გარდა, უმთავრესად დასავლურ დიალექტებს ეკუთვნის. უკვე ეს გარემოება გასაოცრად მიაგავს იმას, რაც საქართველოში გვაქვს. ამის გამო უფრო ბუნებრივია სომხ. ვორძ და ვერც ქართულ ვერძს დავუკავშიროთ.

იმის დასამტკიცებლად, რომ თავდაპირველად **ვირი** გარკვეული ცხოველისა-კი არა, არამედ ზოგადად ცხოველისა და სულდგმული არსების მამრობითობის აღმნიშვნელი იყო, იმ მოსაზრებათა გარდა, რომლებიც უკვე მოყვანილი გვქონდა (იხ. აქვე), კიდევ არაერთი სხვა საბუთის დასახელებაც შეიძლება. ერთი ასეთ საბუთთაგანი მაინც აქ მოყვანილი უნდა იყოს.

სიტყვა **ვირი**-ს პირველადი მნიშვნელობის გამორკვევას ცხოველთა სქესობრივი კავშირის აღმნიშვნელი ტერმინების ანალიზიც გვშველის.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ცხოველთა ხურაობა, ანუ აღმავლობა ქართულად ორნაირად აღინიშნება: მოქმედება ნასახელარი ზმნით გამოიხატება, ფუძედ კი, ან დედალი ცხოველის, ან არადა მამალი ცხოველის სახელია ხოლმე აღებული. მაგ. ძველ ქართულში საბას ცნობით, ცხვრების „მამალ-დედლობითსა აღრევას“ **ნერბვა** ეწოდებოდა, რომელიც დედლის აღმნიშვნელ **ნერბი**-საგან არის ნაწარმოები. სტ. მენთეშაშვილის ცნობით, თუშები ეხლაც **ზანერბვა**-ს, ხოლო ქიზიყელები **განერბვა**-ს ეძახიან. ამნაირადვე „ძაღლთა და მკეცთა“ სქესობრივ კავშირს **ძუვნობა**, ანუ **მძუვნობა** ერქვა, რომელიც დედალი ცხოველის სახელის **ძუვი**-საგანვეა ნაწარმოები.

ცხენისა და ვირის განაყოფიერებასაც **გაჭაკნა** ეწოდება (მესაქონ. ლექსიკ. 92: ჭაკი). ქიზიყში, სტ. მენთეშაშვილის ცნობით **ჭეკვნა**-ს ეძახიან. ორივე ზმნა დედლის სახელის **ჭაკი**-საგან არის ნაწარმოები.

მაგრამ ცხოველთა ხურაობის აღმნიშვნელი ტერმინების მეორე ჯგუფი პირიქით მამალი ცხოველის სახელისაგან არის ნაწარმოები. მაგ: „ზროხათა, კამბეშთა და ყურდღელთა“ მძუნაობას **მაკინტლობა** ერქვა (საბა: მაკინტლობა და კურაობა), რომელიც **მაკინტალი**-საგან არის წარმომდგარი. ეს სიტყვა-კი მამაკაცის სასქესო ორგანოს **კუტა**-საგან არის ნაწარმობი. ამავე ძირის სიტყვა უნდა იყოს **ტულაობა**, რომელიც საბას განმარტებით „თევზთა პეპვლა“-ს ნიშნავდა, ოღონდ მას პირველი ორი მარცვალი აქვს დაკარგული.

ასეთი თვისებისაა ამავე ცნების გამომხატველი **დამამლება** და **კერშილობა**, რომელთაგან უკანასკნელიც „ნადირთ მაკინტლობა“-ს გამოჰხატავს (საბა). მეგრულად **კერში** (წინათ) და **კოში** (ახლა) კერატს, ტახს, მამალ ღორსა ნიშნავს და მამალი ღორის სწორედ ამ სახელისაგან არის ზემომოყვანილი ზმნაც ნაწარმოები.

ამავე აგებულების სიტყვაა coitus-ის მეგრული ტერმინი **ხოდუა** და ჭანური **ოხოდუ** (მ. გ 405 და ჭ. გ. 233). ივ. ყიფშიძე ფიქრობდა, რომ ქართული **ხვადი**-ც ამავე ძირის სიტყვა უნდა იყოს (მ. გ. 405), მაგრამ, ვგონებ, პირიქით თვით **ხოდუა** სწორედ მამალი ცხოველის აღმნიშვნელი **ხვადი**-საგან უნდა იყოს ნასახელარ ზმნად ქცეული.

ცხოველთა ხურაობის, ანუ მაკინტლობის აღმნიშვნელი სვანური სიტყვებიც შესაძლებელია ასევე ორ მთავარ ჯგუფად დაიყოს. ერთ ჯგუფს დედალი ცხოველის, მეორე ჯგუფს მამალი ცხოველის სახელისაგან ნაწარმოები ზმნები შეადგენენ.

დედალი ცხოველის სახელისაგან ნაწარმოებ ტერმინთა ჯგუფს ეკუთვნის ძაღლის მძუნაობის აღმნიშვნელი სვანური **ლიჯვანი**, რომელიც ძუ-ს, ძუკნა-ს

სვანური შესატყვისობა **ჯუა**-საგან არის წარმომდგარი. ეს ტერმინი **ლიჯვანი** გარეული ცხოველების **მაკინტლობის** ზოგად სვანურ სახელად არის ქცეული.

მამალი ცხოველის აღმნიშვნელი სიტყვისაგან ნაწარმოები ნასახელარი ზმნების ჯგუფი სვანურში გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანია. მაგ. **ღორთა მაკინტლობა, ანუ კერშილობა**, სამწერლ. ქართულის მსგავსად, სვანურადაც მამალი ღორის, ტახის, კერატის სახელისაგან არის ნაწარმოები: ლენტეხურად ეწოდება **ლიკერტანა̈ლ** და **ლიკეშკეშა̈ლ**, მამალ დაუკოდავ ღორს-კი **კერტან** ჰქვიან. მეორე ტერმინი ამავე ცხოველის მეგრულში დაცული სახელ **კეში**-ს გაორკეცებული ფორმისაგან არის წარმომდგარი. **ბალს-ქვემოურად** ამავე ცნებისათვის **ლიხტვა̈ნი, ლიხტვანელ** არის მიღებული, რომელიც, უეჭველია, დაუკოდავი მამალი ღორის ბალს-ქვემოურ სახელ **ხოტ**-ის წინამორბედ ფორმა **ხვატ**-თან, ე. ი. სამწერლ. ქართული **ხვადის** შესატყვისობასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ამავე ჯგუფს ეკუთვნის **თხების მაკინტლობის აღმნიშვნელი** სვანური **ლიბოტე** (ლენტეხ.), **ლიბტვინე** (ლაშხური), **ლიბტვანი** (ბალს-ზემოური), **ლიბტვი** და **ლიბტველ** (ბალს-ქვემოური), რომელნიც ყველა, დაუკოდავი მამალი თხის სახელ **ბოტა**-საგან არის ნაწარმოები. **ლიბტველ** გარეული ორ-ჩლიქოვანი ცხოველების coitus-ის ზოგადი სახელია.

ცხვრის დანერბვის სვანური სახელი **ლიდხვანი** (ლაშხ.) და **ლითხვა̈ნი** და **ლითხვანელ** (ბალს-ქვემოურად) აგრეთვე დაუკოდავი ვერძის სვანურ სახელ **დუხ**-თან არის დაკავშირებული.

თვით შინაური ფრინველების დაჰეპლვის სვანური ტერმინი **ლიმმული**, ანდა **ლიმმულა̈ლ** (ბალს-ქვემოურად) მამლის სახელისაგან არის წარმოშდგარი და ძველ ქართულ **დამამლვა**-ს უდრის.

ეგების თვით ადამიანთა სქესობრივი კავშირის გამომხატველი სვანური სიტყვა **ლიჩშვი**-ც **სიძის** აღმნიშვნელი სვანური შესატყვისობის **ჩიჟე**-საგან იყოს, ჟ-ს შ-დ შენაცვლებისა და ი ხმოვნის გაქრობით, წარმომდგარი.

დასასრულ, **შინაური საქონლის ხურაობის ზოგადი სვანური ტერმინის** **ლივრიელ**-ისა (ლაშხ. და ლენტეხ.) და **ლივ[illegible]ელ**, ანდა **ლივრენე**-ს (ბალს-ქვემ.) შესახებაც. ცხადია, რომ იგიც ნასახელარი ზმნაა და სხვებივით, ან დედალი, ანდა მამალი ცხოველის სახელისაგან უნდა იყოს ნაწარმოები. რაკი ლი აქ თავსართია, ამიტომ ის სიტყვა, რომლისაგანაც წარმომდგარია ტერმინი, ამ ზმნაში ვრ-ის სახით არის დაცული. ცხადია, რომ მას შუაში ხმოვანი უნდა ჰქონდეს დაკარგული. **არც ერთი ცხოველის დედალს არსებას ასეთი, ანდა ამის მსგავსი სახელი სვანურად არა აქვს. სამაგიეროდ მოზვერს სვანურად** ჩუბეხევურად **მავირ** და ლაშხურად **მავრანდ** ეწოდება (პროფ. ვ. თოფურიას ცნობით). ამის გამო, მგონია, უეჭველი უნდა იყოს, რომ **ლივრიელ**, **ლივრელ** და **ლივრინე** სწორედ **მამალი ცხოველის ზემომოყვანილი სახელისაგან უნდა ვიგულისხმოთ ნაწარმოებად.**

ხვადი ცხოველის აღმნიშვნელი სიტყვა სვანურში **ხვირ-ის სახით არის წარმოდგენილი, მაგრამ** უთავკიდურო **ხ**-თი, **ვირ-ი იმაზე უფრო უძვე-**

ლესია. ამნაირად ირკვევა, რომ თავდაპირველად ვირი ქართულსა და ქართველურში ეხლანდელის მსგავსად გარკვეული ცხოველის სახელი კი არა, არამედ მამრობითობის, მამალი არსების აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი ყოფილა. მხოლოდ დროთა განმავლობაში ამ სიტყვას ზოგადი მნიშვნელობა დაჰკარგვია და ჯერ კონკრეტული ცხოველის მამრი სქესისა და შემდეგ ორივე სქესის აღმნიშვნელადაც ქცეულა.

რაკი დავრწმუნდით, რომ **ვირი** თავდაპირველად ცხოველისა და არსების მამრობითობის აღმნიშვნელი ყოფილა, ბუნებრივად იბადება კითხვა, ხვადი ცხენის სახელი **ურა** სრულებით სხვა ძირისა და წარმოშობილობის სიტყვაა, თუ მათ შორის ნათესაობა საგულისხმებელია?

ურა-სა და **ვირ**-ს ერთმანერთისაგან თავი ასხვავებს: პირველს უ აქვს, მეორეს **ვი**. იმას გარდა, რომ ქართულში ასეთი ბგერითი შენაცვლება ხშირია, **ვირი**-ს მეგრულ-ჭანური შესატყვისობა ამჟღავნებს, რომ, ამ სიტყვის ი-ხმოვანა ფორმას გარდა, წინათ უ ხმოვანა ფორმაც ყოფილა. მართლაც **ვირ**-ს, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა (იხ. აქვე) მეგრულად და ჭანურად **გირინი** უდრის, მაგრამ ჭანურად **გურუნი**-ც არსებობს. **გირინი**, უეჭველია, უფრო ადრინდელი **გვირინი**-საგან არის წარმომდგარი, რომელიც ქართულში და ზოგს სხვა ენებშიც ჩვეულებრივი **ვ** ბგერის **გვ** დ შენაცვლების გზით არის გაჩენილი. სვანურში, როგორც დავრწმუნდით (აქვე), ვ-ს უდრის ჰუი და ჰუ (ჰუილ ბალსქვ. და ჰულ ბალსზ. — ჯორი) ერთი მხრით და **ხვ** (ხვირ — ხვადი ცხოველი) მეორე მხრით. ამიტომ ჭანური **გურუნი** ცხადჰყოფს, რომ წინათ **ვურუნი**, ანდა, რაკი უ ხმოვნის წინ ვ ქართულში ჩვეულებრივ ქრება ხოლმე, **ურუნი**-ც უნდა ყოფილიყო.

ხვადი ცხენის სახელი **ურა** ხვადი ცხოველის სახელ **ურუნი**-საგან არსებითად უკვე მხოლოდ ბოლოს მეტი **ნი** მარცვლით განირჩევა, რომლის ბუნება გამოსარკვევია. თუ ის ფუძისეულია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მეგრულ-ჭანურში **გირინი**-ს მსგავსად, შესაძლებელია **ვირი**-ს გარდა წინათ **ვირინი**-ც ყოფილიყო.

მაგრამ **ნი** მარცვალი მარტო ვირისა და მისი სახელის მეგრულ-ჭანურში დაცულ ფორმებს არ ჰქონია შენახული, არამედ ცხენის სახელშიც გვხვდება. **გუდამაყარში** ცხენს **ვერანი** ეწოდება (მესაქ. ლ.: მერანი), რომლის ფონეტიკურ სახესხვაობასაც უნდა ვეფხისტყაოსანში ნახმარი **მერანი** წარმოადგენდეს. იქ ნათქვამია: „**შესხდეს** მეფე და ავთანდილ მის ყმისა **მისაწევნელად... ტაიჭი მიუქს მერანსა**“-ო (აბულ. 62_1 და $_3$). ს. ორბელიანის განმარტებით, „**მერანი კეთილმოარული ცხენი**“-ს სახელი ყოფილა (ლ).

მაშასადამე, **ვირის** შესატყვისი **გურუნი**-ს მსგავსად, **ვერანსა** და **მერანსაც** ბოლოში **ნი** მარცვალი ახლავს.

უეჭველია, ცხოველის შვილის აღმნიშვნელი უნდა იყოს **ბარა**, რომელიც „**ნახევარი წლის ზროხა**“-ს აღმნიშვნელ **ბარაკეული**-ს პირველ ნაწილს აქვს დაცული. როგორც **დიაკეული**-ს პირველი ნაწილი **დია კეულის** სქესის განმაზღვრელია და დედასა და დედალსა ნიშნავს, ისევე **ბარაკეულ**-შიც **ბარა**

იმავე **ძეულის** სქესსვე, ანუ, უფრო ზედმიწევნით რომ ითქვას, მცირეწლოვანობის, შვილობის აღმნიშვნელია.

ხოლო თავის ადგილას (იხ. აქვე) უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ **შვილს ჭანურად ბერე ეწოდება.** იქვე **წულუ ბერე**-საც ხმარობენ (ქ. გ. 130), რომელიც **ქალწულის** მსგავსი სიტყვაა. **წულუ** აქ პატარას ნიშნავს, როგორც ეხლა ეს სიტყვა ჭანებს ესმით, თუ არა, ძნელი სათქმელია, რათგან ნ. მ ა რ რ ს **წულუ-ბერე**-ს მნიშვნელობა დასახელებული არა აქვს. **ბერობა**-კი ჭანურად ბაშვობას, ყმაწვილობას ნიშნავს.

ბერე არც მეგრულსა და სვანურში და არც სამწერ. ქართულში არა ჩანს, ჯერჯერობით მაინც, მაგრამ წინათ ყოფილა. **ბერი, ბერა** და **ბერო** საკუთარ სახელად და არა ერთი ძველი ქართული საკუთარი სახელის მეორე შემადგენელ ნაწილად გვევლინება. მაგ. შესაძლებელია **იაბერი, ჭიაბერი, კახაბერი, გინდაბერი, ძობერი, ხაჭუბერი, გეგებერია** და სხვა იქნეს დასახელებული. ეს სახელები ისევეა ნაწარმოები, როგორც **ზარიძე, გუბაძე,** და **იასაშვილს, ჭიაშვილს, კახასშვილს, გეგიძეს** და სხვას უდრის და ნიშნავს. ასეთი სახელები საქართველოში ძველად **ბერი**-ს, ვითარცა შვილის, ანუ ძის აღმნიშვნელი სიტყვის, არსებობას ამტკიცებს.

დასასრულ, უეჭველია, **ბარა**-ს და **ბერე**-ს ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს დათვის შვილის სახელად ქცეული სიტყვა **ბელი**-ც. როდესაც ახალი ნორჩი ტოტების გამოსატანად და ერთნაირი განახლების მიზნით ხეს ძველ ტოტებს შეაჭრიან, ამას **დაბელვა** ეწოდება (იხ. ჩემი საქ. ეკონ. ისტ. II). ეს სახელზმნა, რა თქმა უნდა, იმავე **ბელი**-საგან არის ნაწარმოები და ამ **შემთხვევაში ეს სიტყვა ხის ახალ, ნორჩ, ტოტებს გულისხმობს.** ეს გარემოება ცხადჰყოფს, რომ **ბელსაც** წინათ ზოგადი მნიშვნელობა ჰქონია და ოდესღაც იგი მარტო დათვისა კი არა, არამედ საერთოდ ნაშობის, გამონაყოფის გამომხატველი ყოფილა.

მაშასადამე, ერთი მხრით გვაქვს **სიტყვათა ჯგუფი ურა, ური, ვირი' ხვირ, ვერანი, გურუნი** და **გირინი,** **რომელთაგან** **თვითეული მამრი არსებითსა, თუ ცხოველის აღმნიშვნელია,** მეორე მხრით გვაქვს **ჯგუფი ბარა, ბერე** და **ბელი**-საგან შემდგარი, **რომელთაგან თვითეული ცხოველისა, თუ ადამიანის შვილის სახელია.**

სიტყვათა **ამ ორ ჯგუფს საერთოცა და განმასხვავებელი თვისებებიც გააჩნია.** ორივესთვის **რ ბგერაა საერთო,** ხოლო ამ ორი ჯგუფის ერთმანერთისაგან **განმასხვავებელია თავკიდური ვუ, ვი** და **ვე,** ანდა მათი ფონეტიკური შენაცვლება **გუ, გი, ჰუ** და **ხვი, რომელნიც მამრი არსების** აღმნიშვნელ **სიტყვათა ჯგუფს აქვთ,** და მეორე მხრივ თავკიდურივე **ბა** და **ბე** მარცვლები, **რომელნიც არსებისავე,** მაგრამ **სქესის განურჩევლად შვილის აღმნიშვნელ სიტყვებსა აქვთ.**

რაკი ორივე ჯგუფის ყველა სიტყვები გამოუკლებლივ ადამიანისა და ცხოველის, **არსების** აღმნიშვნელია, **ცხადი ხდება, რომ ყველა მათთვის ამ**

საერთო თვისების გამომხატველი ის საერთო რ ბგერა უნდა იყოს, რომელიც თვითეულ მათგანს გააჩნია და რომელიც ამის გამოცა და თავისი მდებარეობითაც ძირი უნდა იყოს. ხოლო თავკიდური ᲕᲣ, ᲕᲘ და ᲕᲔ თავიანთი ფონეტიკური სახესხვაობითურთ მამრობითი სქესის, ᲑᲐ და ᲑᲔ კი უსრულჰასაკობისა და მცირეწლოვანობის აღმნიშვნელობის მიმნიჭებელი თავსართები ყოფილა.

§ 8. ვაჩინას, ვაჩეს, ვაჟისა, ბუჩინას, ფუჩინას და ბიჟინას აგებულება და პირველადი მნიშვნელობა

ᲑᲣᲩᲘᲜᲐ-ს, ანუ ᲤᲣᲩᲘᲜᲐ-ს ეტიმოლოგიის მისაგნებად უნდა გავიხსენოთ, რომ ძველად საქართველოში არსებობდა **მამაკაცის სახელი** და **მამალი ნორჩი ციკანის აღმნიშვნელი ᲕᲐᲩᲘᲜᲐ**, რომლისგანაც წარმომდგარია კახური გვარი **ვაჩნაძე**. ცნობილია, რომ ქართულ საისტორიო ძეგლებში ხშირია აგრეთვე მამაკაცის სახელი ᲕᲐᲩᲔ-ც, რომლისაგანაც გვარი **ვაჩეიშვილია** ნაწარმოები.

კახეთსა და ქიზიყში კი სიტყვა ᲑᲣᲩᲘᲜᲐ არსებობს, რომელსაც ს ტ. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი ს ცნობით **ორივე სქესის ახალ-გაჩენილი ხბოს სახელად ხმარობენ**. ქართლში ამ სიტყვის თავკიდური ბგერა გაასპირატებულია და ამავე ცნების გამოსახატავად ᲤᲣᲩᲘᲜᲐ-ა მიღებული (დოც. თ. ლ ო მ ო უ რ ი ს ცნობით).

ამ ორ-სამ სიტყვას, ᲑᲣᲩᲘᲜᲐ-სა, ᲕᲐᲩᲘᲜᲐ-ს და ᲕᲐᲩᲔ-ს ორ-მარცვლოვანი **საერთო ნაწილი ᲩᲘᲜᲐ**, უკანასკნელს კი ᲩᲔ აქვს და **განმასხვავებელი თავკიდური ᲑᲣ და ᲕᲐ** მარცვლები გააჩნია.

თუ გავიხსენებთ, რომ პირველი ამ სიტყვათაგანი ცხოველის შვილის, მეორე და მესამე მამაკაცის და მამალი ციკანის სახელია, ცხადი გახდება, რომ საერთო ფუძეს ᲩᲘᲜᲐ-ს თავკიდური ᲕᲐ მამრობითობის, ᲑᲣ კი უჰასაკობის მნიშვნელობას ანიჭებს.

ᲕᲐᲟᲐ-ს ეტიმოლოგიის გამორკვევის გასაადვილებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს **შვლის ნუკრის** საალერსო სახელი ᲑᲘᲟᲘᲜᲐ, რომელიც მთიულეთში ეხლაც არის ᲑᲔᲟᲝ-ს სახით დაცული. ქართული ᲑᲘᲟᲘᲜᲐ გასაოცრად მიაგავს რქოსანი საქონლის ჩაჩნურ სახელს ᲑᲔᲟᲘᲜᲐ-ს, რომელზედაც თავის ადგილას (იხ. აქვე) გვაქვს საუბარი და რომელსაც ჩრდილო-კავკასიის ენებში, როგორც დავრწმუნდებით, მრავალრიცხოვანი თვისტომნი მოეპოვება. მაგრამ არც ქართული ᲑᲘᲟᲘᲜᲐ არის მთლად უთვისტომო.

ამ მხრივ ყურადღების ღირსია **ცხვრის კრავის** სვანური სახელი ᲟᲘᲜᲐᲚ, რომელიც, პროფ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს ცნობით, ლაშხურშიცა და ბალსზემოურსა და ჟინალ ბალსქვემოურშიც მოიპოვება. **ეს სახელი, რა თქმა უნდა, რქოსანი საქონლის შვილის, ნუკრის აღმნიშვნელი სიტყვის ᲑᲘᲟᲘᲜᲐ-ს მონათესავეა.** შესაძლებელია ითქვას კიდევაც, რომ აქ ორი კი არა, არამედ ერთი-და-იგივე სიტყვა გვაქვს.

კრავის სვანური სახელი ᲟᲘᲜᲐᲚ შვლის, ნუკრის ძახილის ᲑᲘᲟᲘᲜᲐ-საგან მხოლოდ თავკიდური ᲑᲘ მარცვლის უქონლობით განსხვავდება, რომელიც სვანურს დროთა განმავლობაში ექმნება ჩამოცილებული.

მაგრამ **ბიჟინა**-ს გარდა, ქართულად, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, დაცულია გარეული თხის შვილის მთიულური სახელი **ბეჟო**-ც, რომელსაც ბოლოკიდური **ინ** მარცვალიც აქვს ჩამოცილებული.

ისევე, როგორც **ბუჩინა** და **ვაჩინა**, **ვაჩე**-ც გვაქვს, არის **ბიჟინა** და **ბეჟო**-ც, სიტყვა **ვაჟი**-ც არსებობს, რომელიც, ზემოგანხილული მაგალითების მსგავსად, შესაძლებელია, ოდინდელი **ვაჟინა**-საგან იყოს **ინ** მარცვლისავე გაქრობით წარმომდგარი.

ზემომოყვანილი სიტყვების მეორე ნაწილის **ჩინა-ჩე**-სა და **ჟინა-ჟო**-ს მსგავსების გამო, იბადება მათი ძირის იგივეობის აზრი[1].

ამისდა მიხედვით **ჩინა** და **ჟინა** ფუძეების წარმოშობილობით ერთმანერთთან დაკავშირება შეიძლებოდა, მაგრამ ეს საკითხი თავის ადგილას იქმნება განხილული, აქ-კი ისედაც ცხადია, რომ ზემომოყვანილი სიტყვების პირველი მარცვლები ძირეული არ არის, არამედ ფორმანტებია.

§ 9. ბაღანის ეტიმოლოგია და ბა-ს თავსართობა

ბაღანა-ს ეტიმოლოგიისა და თავდაპირველი მნიშვნელობის გამოსარკვევად საყურადღებოა **ორსულის** აღმნიშვნელი სვანური სიტყვა **ლანაჟ** (ლენტეხ. და ბალსქვ.) და **ლანაშ** (ლაშხ.). **ორსულობას** იქვე **ლიღნავე** (ლაშხ.), **ლიღნäმი** (ბალსზემ.)და **ლიღანე** (ლენტეხ.) ეწოდება. ეს უკანასკნელი სიტყვა **ლი** თავსართისა და იმავე **ლან** ფუძისაგან შესდგება, რომელიც ორსულის სახელის **ლანაჟ**-ის ფუძესაც წარმოადგენს. ლაშხურსა და ბალსზემოურს ღ-სა და **ნ**-ს შუა ა-ხმოვანი აქვს დაკარგული, ხოლო ლენტეხურს პირიქით მეორე მარცვლის ა-ხმოვანი გაჰქრობია ვ-თანხმოვნითურთ.

ქართ. სამწერლობო **ბაღანა** და სვანური **ლანაჟ** (ორსული) **აღმნიშვნელობითაც მონათესავე ცნებათა გამომხატველი სიტყვებია და ფუძეც მათ საერთო უჩანთ.** მათ ფუძედ, რასაკვირველია, ამ ორი სიტყვის **საერთო ნაწილი ლანა უნდა მივიჩნიოთ.** გამოსარკვევი-ღაა ამ ფუძის პირველადი მნიშვნელობა. **ბაღანა**-სა და ორსულის აღმნიშვნელ **ლანაჟ**-ს შორის იმდენად დიდი მსგავსებაა, რომ **მათი ფუძის იგივეობა უეჭველია. ამიტომ ბა აქაც ფუძისეული არ უნდა იყოს, არამედ ფორმანტი, რომელიც ლუნ**, ანდა **ლვან** ზმნისაგან ნაწარმოებ **ამ მიმღეობას უჭასაკობის მნიშვნელობის აზრს ანიჭებს.**

ცნობილია, რომ საშ. ქართულში **შვილის შობას, შეძენას ყოლა**-ც ეწოდებოდა და ეწოდება ეხლაც. „**შვილი ეყოლა**" ამ ცნების გამოსახატავად სრულებით ჩვეულებრივი გამონათქვამია. ს ა ბ ა ს ა ც ასევე აქვს განმარტებული: „**ეყოლა მიეცა**"-ს ნიშნავსო (ლ.), რა თქმა უნდა, შვილი იგულისხმება.

---

[1] ქართულში, თუ არ ვცდები, ჩ-სა და ჟ-ს უშუალო შენაცვლება არ მოგვეპოება, მაგრამ შ-ს ჟ-დ და ჟ-ს შ-დ შენაცვლება ისევე, როგორც შ-ს ჩ-დ შენაცვლებაც იშვიათი არ არის. მაგალითად შესაძლებელია დასახელებული იქნეს **დუშეთი** და **დუჟეთი** (ხევს. გაბუურის მასალ.),—**ვაჟკაცი** და **ოშკაცი** (ხევს.: იქვე),—**რაში** და **რაჟი** (ხევ.: იქვე),—**შ ა შ ხ ი** და **ჩ ა ჩ ხ ი**,—**ჩემი** და **ჩქიმი** (მეგრ.) და **შქიმი** (ჭან.),—**ქარქაშში** და **ქარქაშჩი** (ხევს. იქვე).

მეგრულად-კი ყოლას შესატყვისობად ღუნა და ღვენა გვაქვს (მ. გ. 347). მართალია, თანამედროვე გაგებით, ღუნა და ღვენა უსულო საგნებს გულისხმობს ისე, რომ მნიშვნელობით ყოლას კი არა, არამედ ქონებას უდრის, მაგრამ, როგორც თავის ადგილას (იხ. აქვე) აღნიშნული გვაქვს, გარკვეულ ხანაში ქართული უჭასაკოებსა, პირუტყვებსა და უსულო საგნებს ერთ სქეს-კატეგორიად სთვლიდა. ამიტომ ამ ხანაში, ბუნებრივია, რომ ბაშვზე საუბრის დროს ყოლას მაგიერ ქონება ყოფილიყო ნახმარი, ამის კვალი თანამედროვე ქართულსაც აქვს შერჩენილი, რომელშიც საქონელი პირუტყვსაცა და ნივთსაც ნიშნავს.

მაშასადამე, ბალანა თავდაპირველად ყოლა ზმნისაგან ნაწარმოები უჭასაკოთა და მცირეწლოვანთა აღმნიშვნელი მიმღეობა ყოფილა და მხოლოდ შემდეგშია ჩვილი ბაშვის სახელად ქცეული.

§ 10. ბიჭიკას, ბიჭისა, ბაჭიასი და ბოჩიკის ეტიმოლოგია და პირველადი მნიშვნელობა

უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ბიჭი და უფრო პირველადი ბიჭიკა ჯერ ორივე სქესის ბაშვის სახელი იყო, ხოლო შემდეგ მამრ. სქესის შვილის სახელად იქცა.

ბიჭიკა-ს აგებულების გამოსარკვევად უნდა გავიხსენოთ, რომ შინაური სხვილფეხა ფრინველის, ინდოურის, შვილს ქართლ-კახეთში ჭუკი ეწოდება (მესაქ. ლ. 94), მაგრამ ამას გარდა ქართლში, მაგ. ს. ხოვლეში, ჭუკია ადამიანის სახელადაც, თუ მეტ-სახელადაც გამიგონია.

საგულისხმოა, რომ სამეგრელოში ჭუკი უკვე ფრინველისა-კი არა, არამედ თაგვის შვილს, თაგუნას ნიშნავს (მ. გ. 393).

ამავე დროს ბოჩიკი, საბას განმარტებით, ერთი „წლის ირემი"-ს, ე. ი. პატარა ირემის სახელი იყო, რაჭაში-კი, როგორც დავრწმუნდით, „ზამთარ-გამოვლილ ხბო"-სა ნიშნავს.

ცხადია, რომ ბიჭიკა, ბიჭი, ბოჩიკი, ინდოურის ჭუკი და თაგვის ჭუკი ყველა შვილის აღმნიშვნელი, ერთი-და-იმავე ძირის სიტყვები უნდა იყოს. რასაკვირველია, მათი სახელის საერთო ნაწილი ჭიკა, ჭუკი და ჩიკი შვილობის ცნების გამომხატველი უნდა იყოს, თავკიდური ბე და ბო-კი აქაც ძირეული არ არის, არამედ ფორმანტია.

უეჭველია, რომ ამავე ძირის სიტყვა უნდა იყოს ბიჭის აღმნიშვნელი აბხაზური აჭკუნ (ა ბ ხ. ე. 275), რომელშიც ა ჩვეულებრივი აბხაზური ართრონია, ჭკუნ-კი ფუძეა. რიგი-კი, ან ჭიკუნ-ისაგან, ანდა ჭკური-საგან იქმნება წარმომდგარი.

ზემოგანხილულ სიტყვათა ფუძისა და ძირის ძიების დროს, უპირველესად უნდა შობისა და შვილობის ცნების გამომხატველ სახელებს მივაპყროთ ყურადღება. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ ძველად დედალი საქონლის სახელად ჭაკი უხმარიათ. შემდეგში ეს ტერმინი უმთავრესად დედალი ცხენისა და ვირის სახელად ქცეულა. „როსტომიან"-ში, მაგ., ნათქვამია: „მერაბ ბრძანებს:

„ცხენ-ჯოგითა მე ვერა მჯობს არაბეთი... მოაოხრეს... რა შეხედა როსტომ, იცნა ჭაკი ერთი ლომ-ნაკუეთი“-ო (იუს. აბულ. გამ., გვ. 549, § 2025).

საბას განმარტებითაც „**ჭაკი** **ხრდალი ცხენი და ვირი**“ არის (ლექ.), ე. ი. დედალი ცხენისა და ვირის სახელია. „**მელის წიგნის**“ ქართულ თარგმანში ნათქვამია: „**ერთი ვირი იყო კვიციანი**, წავიდნენ **დედაშვილნი**... ქალაში, **იქ** დაისადგურნენ, ერთი სხვა **ხვადი ვირი** მოვიდა ამ **ჭაკს ვირს**“-თანაო (ექვთ. თაყაიშვილის გამ. 1899 წ., გვ. 68).

ასეთი მნიშვნელობა აქვს ამჟამად **ჭაგ**-ს სვანურადაც, რომელშიც ეს სიტყვა **უმთავრესად დედალი ცხენისა და ვირის** სახელად იხმარება. მაგრამ **წინათ** რომ **ჭაგ**-ს **სვანურში** ამაზე გაცილებით **უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონია**, ეს იქითგანაც ჩანს, რომ **დედალ თხასაც**-კი ჭალს-ქჷმოჟრაჲ **ჭäგ და კგლ-ს** უწოდებენ (ვ. თოფურიას ცნობით).

ჭაკი-ს ოდინდელ ზოგადს აღმნიშვნელობას უცილობლად მეგრულიც ამტკიცებს, რათგან იქ ჭაკი დედალი საქონლის საერთო სახელია (მ. გ.). ამ მხრივ მეგრულს ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა უკეთესად აქვს დაცული[1].

ამავე საკითხის გამოსარკვევად ტერმინი „**მაჭიკი**“-ა საყურადღებო, რომელიც ს. ორბელიანის სამართლიანი განმარტებით „**დვრიტა**“-ს ნიშნავს: „**მაჭიკი დვრიტა**“ და „**დვრიტა მაჭიკი**“-აო, ნათქვამი აქვს ლექსიკონში.

თუ გავიხსენებთ, რომ **მაჭიკი**, ანუ **დვრიტა** რძეს ყველად აქცევს ხოლმე, მაშინ ცხადი შეიქმნება, რომ მისი დანიშნულება ისეთივეა, როგორიც ამ ჩანართსა აქვს, რომელიც რძის შეკვეთას იწვევს და რძეს მაწვნად ჰხდის ხოლმე. ცნობილია, რომ რძის მაწვნად შემკვეთელ ჩანართს **მაწვნის დედა** ეწოდება და თვით ამ ქიმიურ-ფიზიოლოგიურ პროცესსაც **შედედება** ჰქვიან. ამიტომ სრულებით ბუნებრივია, ადამიანს აზრმა გაუელვოს, რომ **მაჭიკი**-ც „**დედის**“, „**ყველის დედის**“ **აღმნიშვნელი უნდა იყოს** და მეორე სახელად ხალხი მას ხომ სწორედ ასეც უწოდებს.

---

[1] **ჭაკ** (*ՃԱԿ*) სომხურშიც არის, მაგრამ, დალბაშიანის ცნობით, იშვიათად იხმარება, უმთავრესად დედალი ცხენის, ჭაკი ცხენის მნიშვნელობით. უფრო ხშირად **ჭაჯკ**-ს ხმარობენ, რომელსაც *ՆՀԲ*-ი ჭაკ-ს უკავშირებს. ევაზჲიან-ს 1885 წ. „მასის“-ში (გვ. 865) ნათქვამი ჰქონია, თითქოს **ჭაკ** სომხურად მამალი თხის სახელი ყოფილიყოს. ამ ავტორს შეცდომა მოჰსვლია, რათგან სომხურში ჭაკი მამალ თხას არ ნიშნავს. მას ჰინდური **ჯაკა**, რომელიც მამალ თხას ნიშნავს, და სომხური **ჭაკ**-ი ერთმანეთში აურევიაო.

ჭაკ თურქულ **შაძ**-ს, ანუ **შაძძა**-ს უდრის, რომელიც დედალ ცხენსა ნიშნავსო. ქართულში **ჭაკი**-სა, სვან. **ჭაგ**-ის და **მოჭაკე**-ს არსებობაც აქვს გათვალისწინებული. მისი აზრით, სომხური **ჭაკ**-ი და ქართული **ჭაკი** ერთი მეორისაგან ნასესხები სიტყვა-კი არ უნდა იყოს, არამედ ორივე საერთო წყაროთგან უნდა მომდინარეობდეს, იქნებ ხალდურითგანაო (*ՀԱԲ* IV, გვ. 564—565). ამ მსჯელობას ყოველგვარ მნიშვნელობას ის გარემოება უკარგავს, რომ ავტორს დასახელებული არა აქვს, არსებობდა, თუ არა, ხალდურში ასეთი სიტყვა. ამას გარდა, მარტო თუნდაც ის ფაქტი, რომ **ჭაკ**-ი სომხურში იშვიათი სიტყვაა და ძველ სომხურში არა ჩანს, ქართულში კი მას ეტიმოლოგიაც მოეპოვება და საკმაოდ მრავალრიცხოვანი თუისტომნიც გააჩნია, ავტორის დებულების მცდარობას ამჟღავნებს და სომხურში **ჭაკ**-ს ქართულითგან შეთვისებულ სიტყვად გვაფიქრებინებს.

თავისი აგებულებით ეს ტერმინი მიმღეობის შთაბეჭდილებას ახდენს, რომელსაც თავსართად მა აქვს. ამისდა მიხედვით ჭიკი ფუძე უნდა იყოს და მთლიანად მჭაკველის, წარმომშობელის გამომხატველად არის საგულისხმებელი.

რა თქმა უნდა, რომ ბიჭიკა და გიჭი, ნაბიჭვარი-ც ამავე ძირისა და ასეთივე აგებულების სიტყვებია.

დასასრულ, საფიქრებელია, რომ ბაჭია-ც. რომელიც, საბას განმარტებით, „ყურდგლის მცირე შვილი“-ს სახელია (ლექსიკ.), პირველადი „ბიჭიკა“-საგან უნდა იყოს კ-ს გაქრობის გზით წარმომდგარი. იგიც ჭაკვა ან ჭიკვა ზმნისაგან ნაწარმოებ უჭასაკ-სქესოთა აღმნიშვნელ მიმღეობის ძველ ფორმას წარმოადგენს[1].

ბოჩიკი-კი ჩეკა ზმნისაგან ნაწარმოები მიმღეობა უნდა იყოს. ს. ორბელიანისა და ეხლაც დაცული გაგებით, ჩეკა ფრინველის დაბადებას, სახელდობრ, კრუხისაგან კვერცხების საწიწილედ გამოტეხას ნიშნავს (ლ.), მაგრამ გამონაკლისის სახით ეხლაც-კი ცხოველზეც ითქმის. ამნაირად ბოჩიკი თავდაპირველად გამოჩეკილის აღმნიშვნელად უნდა გიგულისხმოთ.

§ 11. სქესისა და ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვების აგებულების ანალიზის შედეგი და ზოგადი შეფასება

მამრობითი და მდედრობითი სქესის და მცირეწლოვანთა და უჭასაკოთა აღმნიშვნელი, სამ ჯგუფად დაყოფილი, იმ 44 სიტყვითგან, რომელთაც, როგორც მნიშვნელობით, ისევე აგებულებითაც საერთო თვისება აქვთ, წინა §§-ში სულ 32 სიტყვა განვიხილეთ: პირველი ჯგუფითგან 10 სიტყვა— ვაციკი, ვაცი, ვერძი, ურა, ური, ვირი, ვერანი, ვაჩინა, ვაჩე და ვაჟი,- მეორე ჯგუფითგან 3 სიტყვა—ნეზვი, ნერჩი, ნუკრი,—ხოლო მესამე ჯგუფითგან 19—ბატკი, ბატკანი, ბოზო, ბოკვერი, ფუკვარი, ფეკვნა, ბურვაკი, ბაშვი, ბუში, ბარა, ბერე, ბელი, ბუჩინა, ბიჟინა, ბალანა, ბიჭიკა, ბიჭი, ბაჭია და ბოჩიკი.

ამ სამივე სქეს-კატეგორიის გამომხატველი 32 სიტყვის გულდასმითმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ყველა ამ სიტყვების ძირსა, თუ ფუძეს ამა-თუ-იმ სქესისა და ცნების კატეგორიის აღმნიშვნელობას სწორედ სათანადოდ ახმოვნებულნი თავკიდური ვ, ნ და ბ ბგერები ანიჭებენ, რომ ერთსა-და-იმავე ფუძეს ვ მამრობითი სქესის, ნ მდედრ. სქესის, ხოლო ბ მცირეწლოვანისა და უჭასაკოს, თუ პირუტყვის აღმნიშვნელად ჰხდის.

ნათესაობისა და სქესის აღმნიშვნელი 32 სიტყვის აგებულებისდა მიხედვით, უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ეს ვ, ნ, ბ თავსართები ქართულში თდესლაც სწორედ სქეს-კატეგორიის ნიშნები და ფორმანტები ყოფილა. რაკი ისტორიულ ხანაში ქართულსა და ქართველურს არაფერი ამის მსგავსი არ ჰქონია, ამიტომ ცხადი ხდება, რომ ასეთი თავისებური თვისების

---

[1] იქნებ ამავე ძირის სიტყვა იყოს მეგრული „შხური ჭუვირი“ (მ. გ. 361, ცხვარი დედალი), რომელშიც დედლობის აღმნიშვნელი სიტყვა სწორედ ჭუვირი-ა?

გრამატიკული სქესი და ცნებათა კატეგორიები ისტორიის წინა ხანაში უნდა ჰქონოდა.

ხოლო რათგან აგებულების მხრივ განმარტებული 32 სიტყვა სქესისა და ნათესაობის გამომხატველი საერთო თვისების მქონებელი სიტყვების რაოდენობის, 44-ის, 8/11-ს შეადგენს, ამიტომ შეგვეძლო საკითხი საბოლოოდ გამორკვეულად მიგვეჩნია და გრამ. სქეს-კატეგორიები ქართულისა და ქართველურის დასაწყისითგან შერჩენილ თვისებად გვეცნო, მაგრამ ეს ამ პირველხარისხოვანი მნიშვნელობისა და უაღრესად რთული საკითხის ხელოვნურად გაადვილება, თანაც ამ დებულების არაერთი საწინააღმდეგო მოვლენისა და არსებული სიძნელის თავითგან მოშორება იქმნებოდა.

მართლაცდა, რა უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ გრამ. სქეს-კატეგორიები ქართულისა და ქართველურის საერთო, საყოველთაო და დასაწყისითგანი თვისება იყო, როდესაც, იმ 44 სქეს-კატეგორიის თავსართების მქონებელი სიტყვის გარდა, სქესისა და ნათესაობის გამომხატველი ამ რაოდენობაზე თუ მეტი არა, ბევრი სიტყვა მაინც არსებობს, რომელთაც არც ერთი ზემო დასახელებულ ბგერათაგანი თავსართად არა აქვთ, თანაც არაერთი სიტყვაა, რომელიც გარკვეული სქესის, ან კატეგორიის აღმნიშვნელია, მაგრამ თავკიდურ ბგერად მისთვის შეუფერებელი თანხმოვანი აქვს. ასეთი სიტყვების სიმრავლემ იმ 44 სიტყვის ანალიზზე დამყარებული დასკვნა შესაძლებელია სათუოდ გაჰხადოს, თუ მთლიანად არა, იმ მხრივ მაინც, რომ სქეს-კატეგორიის ნიშნების მქონებელ სიტყვათა მარაგი ქართული ენის დასაწყისითგანსა და ძირითადად ფენას ეკუთვნის, თუ არა? ეგების ეს სიტყვები არც-კია ქართული, ანდა იქნება ნასესხებია?

ასეთი დამაფიქრებელი გარემოება ე. წ. კავკასიური ენების სქეს-კატეგორიების საკითხის განხილვის დროსაც წამოიჭრა, მაგრამ მისი განხილვა-განმარტება არ გვიცდია, რათგან ენობრივ მოვლენათა დასაწყისითგანობის საკითხის გადაწყვეტა უმწერლობო ენების ლექსიკური მასალით მეტად ძნელია. ამავე მოსაზრებით დამაფიქრებელ და დამაბრკოლებელ გარემოებათა განხილვის თავითგან აცილება ქართულში უკვე აღარ შეიძლება, რათგან მკვლევარს მრავალ-საუკუნოვანი სამწერლობო ენის საუნჯე ხელთა აქვს, ამიტომ, სანამ გამორკვეული არ გვექნება, თუ რატომ არის, რომ სქესისა და ნათესაობის აღმნიშვნელ არაერთს ქართულ სიტყვას, ან არავითარი სათანადო თავსართი არა აქვს, ანდა, თუ მოეპოება, მისი სქესისათვის შეუფერებელი ნიშანი უჩანს, მანამდის გრამ. სქეს-კატეგორიების ქართულში დებულების დამტკიცებულად მიჩნევის უფლება არ გვექნება. სწორედ ამიტომაც ეხლა ამ დამაბრკოლებელი ფაქტების განხილვასა და გამორკვევას უნდა შევუდგეთ.

ႧႠႥႨ ႫႤႺႠႫႤႲႤ

თავისი სქეს-კატეგორიისათვის შეუფერებელ თავსართიან სიტყვათა ჯგუფი და ამ შეუფერებლობის მიზეზი

§ 1. შეუფერებელი სქეს-კატეგორიის თავსართი, ვითარცა მერმინდელი აღმნიშვნელობისა და ბგერათა შენაცვლების შედეგი

ზემომოყვანილ დასკვნას, რომ მამრობითი სქესის გამომხატველ ნიშნად და თავსართად უუძველეს ქართულში **ვ**, უჰასაკოთა-კი **ბ** თანხმოვანი იყო, **რამოდენიმე სიტყვა არ უდგება,** რათგან იმისდა მიუხედავად, რომ ეს სიტყვები სწორედ მამრობითი სქესის სახელებია, მაინც **ვ** ბგერის მაგიერ თავში სხვა აქვთ, ანდა **ვ** არა აქვთ სრულებით. **სიტყვათა ასეთ ჯგუფითგან** ყველაზე დამაფიქრებელი და, შესაძლებელია ითქვას, **მთელი დებულების სისწორისა და საფუძვლიანობისათვის სახიფათო ის სიტყვებია, რომელთაც, მამრობითობის აღმნიშვნელობისდა მიუხედავად, თავში ბ ბგერა აქვთ,** ე. ი. ის თანხმოვანი, **რომელიც უჰასაკოთა სქეს-კატეგორიის ნიშანი და თავსართია.**

ამ ჯგუფს უპირველესად **ბოტი** ეკუთვნის. საბას სამართლიანად აქვს განმარტებული, რომ **„ბოტი თხის ერკემალი"** არის (ლექსიკ.), ე. ი. **მამალი თხაა.** სვანურადაც **ბოტ** (ლაშხ., ლენტეხ.) და **ბოტა** (ბალსზემ., ბალსქვ.) დაუკოდავ, მამალ თხასა ნიშნავს (პროფ. ვ. თოფურიას ცნობით).

იბადება საკითხი, თუ დებულება **ვ**-ს მამრობითი სქესის თავსართობის შესახებ უუძველეს ქართულსა და ქართველურში სწორეა, რატომ არის, რო მამალი თხის სახელი **ვ**-თი-კი არა, არამედ **ბ**-თი იწყება, სწორედ იმ ბგერით, რომელიც უჰასაკოთა და ზოგად სახელების სქეს-კატეგორიის ნიშანი და თავსართი უნდა იყოს?

ეს საკითხი მართლაც მნიშვნელოვანია და მას, ან რაიმე დამაკმაყოფილებელი განმარტება უნდა მოეძებნოს, ანდა ჩვენი ზემომოყვანილი დებულების სისწორე შერყეულად უნდა იქმნეს მიჩნეული. მაგრამ ამ წინააღმდეგობას განმარტება მოეპოვება.

ბოტი დროთა განმავლობაში არის მამალი თხის სახელად ქცეული, თავდაპირველად და წინათ-კი ეს სიტყვა **თხისა და მისთანათა ზოგადი აღმნიშვნელი სახელი იყო. თუ იმ დროს ამ** ცხოველის **მამრობითობის აღნიშვნა ჰსურდათ,** მაშინ **ბოტს წინ მამალი ცხოველის სახელი ვაცი** ერთვოდა **ხოლმე.** ამ დებულების სისწორის დასამტკიცებლად შესაძლებელია **„მოქცევაჲ ქართლისაჲ"**-ს **მატიანე** იქმნეს დამოწმებული.

ზემოდასახელებულ ძეგლში მოთხრობილია, რომ, როდესაც ჰერაკლე კეისარმა გამოილაშქრა და ტფილისს, რომელიც მაშინ სპარსთა ხელისუფლების წარმომადგენელს ეკავა, მიადგა, „უკმო ციხისთავმან კალაჲთ ტფილისისაჲთ

მეფესა ჰერაკლეს ვაცბოტობით. ხოლო მან (ე. ი. კეისარმა)... დანიელ (იგულისხმება: დანიელ წინასწარმეტყველის წიგნი) მოიღო და მოიძია სიტყუაჲ ესე: «მოვიდეს ႥႠႺႨ იგი მზისა დასავლისაჲ და შემუსრნეს რქანი ვერძისა მის აღმოსავლისანი». და მეფემან თქუა: «უკუეთუ ჩემთჳს ესრეთ იყოს სიტყუაჲ, მე მიგაგო მისაგებელი შენი»-ო (Опис. II. 724—725).

ამ მოთხრობის ჩვენთვის შინაარსის მნიშვნელოვან ნაწილს ის ცნობა შეადგენს, რომ, მემატიანის სიტყვით, ტფილისის ციხისთავს ბიზანტიის კეისრისათვის დაცინვით მამალი თხის სახელი უწოდებია. მემატიანე ამბობს: „უკმო... ვაცბოტობით“-აო, ე. ი. ჰერაკლესთვის ႥႠႺႡႭႲႨ უწოდებია. ეს სახელი ვაცისა და ბოტისაგან შესდგება. ვაცი მამრობითობის აღმნიშვნელია, ႡႭႲႨ-კი, აქ, ცხადია, ცხოველის, სქესისდა განურჩევლად, თხის ზოგად სახელად იგულისხმება. ႡႭႲႨ რომ მაშინაც ეხლანდელივით მამალი თხის აღმნიშვნელი ყოფილიყო, მაშინ მემატიანე ბოტის წინ მამრობითობის გამომხატველ სიტყვას ვაცს არ დაურთავდა.

სქეს კატეგორიების ზემოაღნიშნულ წესს სიტყვა ႡႭႹႨ-ც ეწინააღმდეგება. მართალია, ეფთჳმე მთაწმიდელის იმ ცნობითგან, რომელშიც ქართულ წარმართულ ღვთაებათა შორის ႡႭႹႨ-ც არის დასახელებული (იხ. ჩემი ქართ. ერის ისტ. I³, 80), მისი სქესი და მაშინდელი მნიშვნელობა არა ჩანს, მაგრამ ႡႭႹႨ იმდენად ეწინააღმდეგება წესს, რამდენადაც ქანებს მამალი ცხვრის („ჩხურიში ყვაჯონი“), ე. ი. ვერძის აღსანიშნავად აქვთ მიღებული (იქვე), და ამის გამო, მოსალოდნელი ვოჩი-ს, ან მეგრულის მსგავსად ႭႹႨ-ს მაგიერ, თავში უჰასაკოთა და პირუტყვთა სქეს-კატეგორიის ბ ნიშანი აქვს.

ამ გარემოების განსამარტავად შესაძლებელია ითქვას, რომ აქაც მეორად მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე.

ამას გვაფიქრებინებს ძველი ქართული „ႡႭႹႨႩႨ, წლის ირემი“-ს აღმნიშვნელი (საბა, ლექს.), რომელსაც თავისი ბგერითი შედგენილობაც ႡႭႹ-ზე სრულად და უკეთესად აქვს დაცული. ႡႭႹႨႩႨ ცხად-ჰყოფს, რომ ეს სიტყვა ძველად უჰასაკო რქოსანის აღმნიშვნელი ყოფილა.

ამნაირადვე ႡႭႨႩႨ, რომელიც იგივე სიტყვაა, რათგან ႡႭႹႨႩႨ-საგან მხოლოდ ჩ-თანხმოვნის გაქრობით განირჩევა, მაგრამ „ორი წლის კარი“-ს სახელად იხმარებოდა (საბა, ლექსიკ.), ე. ი. უჰასაკოს აღმნიშვნელი იყო, ამავე აზრს ადასტურებს. ასეთი მნიშვნელობა ამ ტერმინს დღევანდლამდის აქვს რაჭულში დაცული, სადაც „ႡႭႹႨႩႨ ზამთარ-გამოვლილი ხბო“-ს სახელად იხმარება (იხ. ვ. ბერიძე. სიტყვის კ. 6).

ႡႭႹႨႩႨ ს მსგავსად, მისი ბოლომოკვეცილი ფორმა ႡႭႹႨ-ც თავდაპირველად, ან მცირეწლოვანი, ან ზოგადად, სქესისდა განურჩევლად რქოსანის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო და ამიტომ სრულებით კანონიერიც არის, რომ თავში მას ბ-თანხმოვანი ჰქონდეს.

მაგრამ, როგორც „ქართ. ერის ისტორიის“ I³, 80 გვ.-ზეც მაქვს აღნიშნული, შესაძლებელია ႡႭႹႨ-ს თავკიდური ბ ვ-საგანაც იყოს შენაცვლების გზითაც გაჩენილი. ქართულში ამ ხშირი ფონეტიკური შენაცვლებით დროთა განმავლობაში, როდესაც უკვე გრამატიკული სქესი გამქრალი იყო, შესაძლებელია არა ერთი ვ-ფორმანტიანი სიტყვა ბ-ბგერიანად ქცეულიყო.

§ 2. სქეს-კატეგორიის თავსართის შეუფერებლობა, ვითარცა ეკონომიური და სოციალური ფაქტორების ანარეკლი

სქეს-კატეგორიების შეუფერებლობის მიზეზის ძიების დროს, უნდა გათვალისწინებული გვქონდეს, რომ დროთა განმავლობაში სიტყვების თავდაპირველი მნიშვნელობაც იცვლებოდა. ცხოველთა არაერთი ზოგადი სახელი გააჩნია ქართულს, მაგ. **თხა**, **ცხოვარი**, **ზროხა**, რომელთაც, ძროხას გარდა, თანამედროვე გაგებითაც ზოგადი მნიშვნელობა აქვთ, და რომელნიც თვით მათი აგებულებითაც წინათაც და თავდაპირველადაც ზოგადი, ე. ი. ორივე სქესის აღმნიშვნელ სიტყვებად არიან საგულისხმებელი. მაგრამ ამისდა მიუხედავად, ძველი ქართ. თარგმანების ასეთი სიტყვების დედანთან შემოწმება ცხად-ჰყოფს, რომ ყოველთვის ასე არ ყოფილა: შესაქმეთა 32_{12}—$_{16}$-ში მოთხრობილია: იაკობმა თავის ძმას ესავს ძღვნად გაუგზავნა „**თხანი** ორასნი, ვაცნი ოცნი, **ცხოვარნი** ორასნი, ვერძნი ოცნი, აქლემნი მაწოვნებელნი და კიცუნი მათნი ოცდაათნი, **ზროხანი** ორმეოცნი, **კურონი** ათნი, **ვირნი** ოცნი და **კაჭრაულნი** ათნი“. ზემომოყვანილის ქართ. **თხა** უდრის ბერძ. ἡ αἴξ ჰე აჲქს-ს, ლათინ. capra-ს, და სომხ. *այծ* აჲწ-ს,— **ცხოვარი** ანუ ცხვარი უდრის ბერძნ. πρόβατα პრობატა-ს, ლათინ. ovis-ს და სომხ. *մաքի* მაქი-ს,-**ზროხა** ბერძნ. ἡ βοῦς ჰე ბუს, ლათინ. vacca-სა და სომხ. *կով* კოვ-ს და **კურო** ὁ ταῦρος ჰო ტაუროს-ს, ლათინ taurus-სა და სომხ. *ցուլ* ცულ-ს ეთანასწორება. ხოლო **ვირი** უდრის ὁ ὄνος ჰო ონოს-ს, მაგრამ ლათინ. asina-ს და სომხ *էշ* ეშ-ს, **კაჭრაული**-კი ბერძნ. ὁ πῶλος ჰო პოლოს-ს, ლათინ. pullus-სა და სომხ. *մտրուկ* მტრუკ-ს.

ყველგან, სადაც ცხოველის სქესი აღნიშნული უნდა ყოფილიყო და მამალი და დედალი დაპირისპირებულია, ცხოვარი, თხა და ზროხა დედალის აღმნიშვნელია და დედალად იგულისხმება. მაგ: „**მაკდებოდეს ცხოვარი**... და... **ვაცნი და ვერძნი აღმავალნი იყუნეს ცხოვართა მიმართ და თხათა**“-ო (შესაქმ. 31_{10}) — „**მაკდებიედ ცხოვარნი** მუცელქმნულნი“-ო (იქვე, 30_{41}),— „**შობდეს ცხოვარნი**... მოთეთროთა და ჭრელთა და ნაცრისფერთა“-ო (იქვე, 30_{40-41}),—**მოილო ერბო ზროხისა და რძე**“-ო (იქვე 18_{7-8}),—„სტიროდით, ვითარცა **ზროხანი**, მწუანებსა შორის და ურქენდით, ვითარცა **კურონი** (იერემ. 50_{11}).

ზემომოყვანილი ამონაწერების **უკვე თვით შინაარსითგანაც ჩანს**, რომ **ცხოვარი დედალ ცხვრად** იგულისხმება („მაკდებოდეს“, „შობდეს“), **თხა**-ც **დედალ თხად და ზროხა ფურად** (ერბო და რძე ზროხისა), მაგრამ დასკვნის სისწორის დასამტკიცებლად ამ სიტყვების ბერძნული, ლათინური და სომხური შესატყვისობის მოყვანაც ზედმეტი არ იქმნება. ზემოაღნიშნულ ადგილებში **ცხოვარი** ბერძნ. τὰ πρόβατα **ტა პრობატა**-ს უდრის. ლათინ. ovis ს და სომხ. *մաքի*-ს მაქი-ს და *խաշն* **ხაშნ**-ს, -**თხა**-კი—ბერძნ. ἡ αἴξ **ჰე აჲქს**-ს (იხ. აგრეთვე შესაქმეთა 30_{33}) და ლათინ. capra-ს უდრის, ხოლო **ზროხა** τὸ βοίδιον **ტო ბოჲდიონ**-ს, ე. ი. დეკეულს (იერემ. 50_{11}), **კურო** ამ შემთხვევაშიც ὁ ταῦρος **ჰო ტაჳროს-ს**, ლათ. taurus-ს და სომხ. *ցուլ* ცულ-ს, ე. ი. ხარს ეთანასწორება. შესაქმეთა 30_{43}-შიც **ვირი** ბერძ. ὁ ὄνος **ჰო ონოს**-ს, ლათინ. asinus-ს უდრის, მაშასადამე, ხვადი ვირის აღმნიშვნელი ყოფილა.

საგულისხმოა, რომ სვანურშიც, მაგ. უშგულში მამალ ჯიხვს კäნ ქვიცრა, ე. ი. ხარ-ჯიხვი, ხოლო დედალ ჯიხვს დაჰგლ ქვიცრა ეწოდება (ვ. თოფურიას ცნობით). თუ გავიხსენებთ, რომ ამავე დროს დაჰგლ თხის შესატყვისი ზოგადი სვანური სახელია, ცხადი გახდება, რომ, ძველი ქართულის მსგავსად, სვანურსაც თხის ზოგადი სახელი, ჯიხვის სქესის განსაზღვრის დროს მაინც, დედალი ცხოველის სახელად უქცევია.

მაგრამ, როდესაც ცხოველის სქესის გამომჟღავნება საჭირო არ იყო და დედალ-მამალი დაპირისპირებული არ არის ხოლმე, მაშინ ზროხა შესაძლებელია ხარის მნიშვნელობითაც ყოფილიყო ნახმარი, მაგ. 1 მეფეთა 15_3-ში ნათქვამია: „ზროხითგან ცხოვართადმდე და აქლემითგან კარაულადმდე“-ო. სწორედ აქ ზროხა ბერძნ. ὁ μόσχος მოსხოს-ს, ლათინ. bos-სა და სომხ. *արջառ* არჯარ-ს უდრის, ე. ი. სახარე ხბოსა ნიშნავს.

ამნაირადვე ცნობილია, რომ ქათამი ძველ ქართულში ორივე სქესის ამ შინაური ფრინველის ზოგადი სახელი იყო, და მამალსაც ქათამი ეწოდებოდა, მაგ. ოთხთავის მათეს 26_{34}-ში ნათქვამია: „პეტრე შენ... ვიდრე ქათმისა ჴმობადმდე სამგზის უვარ-მყო მე“-ო, ე. ი. მამლის ყივილამდეო. ქათამი აქ უდრის ბერძნ. ὁ ἀλέκτωρ ჰო ალექტორ-ს, ლათინ. gallus-სა და სომხ. *հավ* ჰავ-ს. ამავე თავის 75 §-შიც სწერია: „მეყსეულად ქათამი ყივა“-ო.

ჯერ კიდევ მე-XVI ს-ში, როგორც მესხურ მატიანეზე დამყარებული ვახუშტის ისტორიითგან ჩანს, მესხეთში ქათამი ძველებურად მამლის აღსანიშნავადაც უხმარიათ. იქ მოთხრობილია, რომ იობ ფანასკერტელის ძემ ჯიროსანამ შეიტყო ჯაყელებზე თავდასხმის სამზადისი და „წამსვე ამცნო ყანდურალის და ყანდურალ აუწყა ქათმის ყივილის ჟამს ბატონებს“ და ისინიც სასწრაფოდ გაიხიზნენო (ისტ. ქიქ. 249).

შემდეგში, როგორც ცნობილია, მხოლოდ დედლის აღმნიშვნელ სიტყვად იქცა და თანამედროვე ქართულში უკვე აღარავინ იტყვის „დედალი ქათამი“, ან მით უმეტეს „მამალი ქათამი“-ო.

რა თქმა უნდა, რომ ცხოვარი, თხა და ზროხა, ქათამი-ც, როგორც დავრწმუნდით, ამ პირუტყვთა და შინაური ფრინველის ზოგადი სახელებია სქესისდა განურჩევლად და დედალი ცხოველის მნიშვნელობა ამ სიტყვებს შედარებით შემდეგში მიჰნიჭებიათ.

აღმნიშვნელობის ასეთი ცვლილება ერთი მხრით იმ გარემოებით უნდა აიხსნებოდეს, რომ მესაქონლეობის მეურნეობაში, სადაც მთავარი მნიშვნელობა მეწველს, სწორედ დედალ პირუტყვსა ჰქონდა, ისევე, როგორც მეფრინველეობაში კვერცხის დამდებს, დედალი საქონელი და ფრინველი მამალს იმდენად სჭარბობდა, რომ ფარისა და ნახირის ისევე, როგორც ფრინველთა ხროს დიდ უმრავლესობას ყოველთვის ნეზვი, ნერბი, ფური და დედალი შეადგენდა, მამალი-კი ერთეულებსა და ათეულებს არ აღემატებოდა. ასეთ სამეურნეო პირობებში ცხვარი, თხა და ზროხა უმეტესად მართლაც დედალ საქონელს წარმოადგენდა და სრულებით ბუნებრივია, რომ ამ ზოგად სახელებს დედალი პირუტყვის მნიშვნელობა მიჰკუთვნებოდა.

სქეს-კატეგორიების არსებობის ხანაში პირუტყვის ზოგად სახელს, თუ ის ნამიმღეობარი, ანდა ნაზედსართავარი სიტყვა იყო, უჰასაკოთა და პირუტყვ-ცხოველთა ბ თავსართი ექმნებოდა.

ასეთ ზოგადს სახელებს, ზემოაღნიშნული მიზეზის წყალობით, დედალიხა, თუ უფრო იშვიათად მამალი ცხოველის სახელად ქცევის შემდგომ, სწორედ ამის გამო შესაძლებელია შეუფერებელი სქეს-კატეგორიის თავსართი ჰქონდეს.

ამავე გზით უნდა იყოს მაგ. ფურ-ც, რომელსაც თავში მდედრობითი სქესის ნ თავსართი-კი არა აქვს, არამედ უჰასაკოთა და ცხოველთა ზოგადი სახელების ბ ნიშნის გაასპირატებული შესატყვისობა, ფ თანხმოვანი, გააჩნია, დედალი სხვილფეხა საქონლისა და პირუტყვის აღმნიშვნელად ქცეული.

ისევე, როგორც ზოგადი მნიშვნელობის მქონებელი სიტყვა, ამა-თუ-იმ სქესის ცხოველის სიმრავლისა და ეკონომიური ღირებულების გამო, დროთა განმავლობაში სწორედ ამ გაბატონებული სქესის აღმნიშვნელად იქცა, ასევე და ამავე მიზეზის წყალობით ადამიანისა, თუ ცხოველის ამ გაბატონებული და უაღრესად მრავალრიცხოვანი სქესის სახელი შესაძლებელია მთელი მოდგმის ორივე სქესისათვის ზოგად სახელად ქცეულიყო. ამის დამადასტურებელი მაგალითები ქვევით თავ-თავის ადგილას გვექმნება მოყვანილი და განხილული.

თავი მეთოთხმეტე

სქეს-კატეგორიის ნიშნების არა-მქონი, მაგრამ სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელი სიტყვების სამი ჯგუფი

ეხლა განსახილველია იმ საკმაოდ მრავალრიცხოვან სიტყვათა ჯგუფის საკითხი, რომლის თითოეული სიტყვა ამა-თუ-იმ სქესის აღმნიშვნელია, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, არც ერთს მათგანს თავში სქესის არავითარი ნიშანი არ უჩანს. ამ ჯგუფის შედარებითმა მრავალრიცხოვანობამ შესაძლებელია ადამიანზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინოს, თითქოს გრამ. სქესის აღსანიშნავად ქართულში საერთოდ არავითარი ნიშანი საჭირო არ ყოფილიყოს. ზემომოყვანილი დებულება ქართულში უეძველეს ხანაში გრამატიკული სქეს-კატეგორიებისა და მათთვის თავსართოვანი ნიშნების არსებობის შესახებ რომ უცილობელ ჭეშმარიტებად მისაჩნევი გახდეს, ამ საკითხს, რა თქმა უნდა, დამაჯერებელი განმარტება უნდა მოეძებნოს. ამიტომაც მას გულდასმითი განხილვა სჭირდება.

უპირველესად უნდა გავიხსენოთ, რომ იმ ენებშიც, თუნდაც მაგ. ინდოევროპული მოდგმისებშიც, სადაც გრამ. სქესი სუფევს და მორფოლოგიის ძირითად მოვლენას წარმოადგენს, ბლომად მოიპოვება სიტყვები, რომელთაც გარეგნულად თავისი სქესის არავითარი ნიშანი არ გააჩნიათ. ამით შესაძლებელი იყო, ანალოგიაზე დაყრდნობით, ეს საკითხი ჩვენც თავითგან მოგვეშორე-

ბინა. მაგრამ ამ სიძნელის ასეთი გაადვილება სასურველად არ მიმაჩნია, მით უმეტეს, რომ ასეთი რამე არც არის საჭირო, რათგან თითქმის ყოველ ასეთ სიტყვათაგანს სქეს-კატეგორიის ნიშნის უქონლობას, თუ არ ვცდები, სრულებით დამაკმაყოფილებელი განმარტება მოეპოვება.

სქეს-კატეგორიის თავსართების არამქონ სიტყვათა მთელი რაოდენობა შესაძლებელია სამ ჯგუფად დაიყოს: 1. პირველ ჯგუფს ისეთი სიტყვები შეადგენს, რომელთაც თავსართები წინათ ჰქონიათ და მხოლოდ დროთა განმავლობაში, ან ფონეტიკურად შესცვლიათ, ანდა სრულებით დაჰკარგვიათ. 2. მეორე ჯგუფს ისეთი სიტყვები ეკუთვნის, რომელთაც სქეს-კატეგორიის ნიშნები არა აქვთ, მაგრამ სამაგიეროდ აქ საკომპენსაციო მოვლენაა ხოლმე და სქესის აღმნიშვნელი მთლიანი სიტყვა მოეპოვებათ. 3. დასასრულ, მესამე სიტყვების ჯგუფი ისეთ სახელებს შეიცავს, რომელთა უკვე მთელი შინაარსი მათი სქესის განმსაზღვრელია.

თავი მეთხუთმეტე

სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელი სიტყვები, რომელთაც სქეს-კატეგორიის ნიშანი ფონეტიკურად შესცვლიათ, ან დაჰკარგვიათ

უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ქართულში რამდენიმე სიტყვაა, რომელთაც თავში ვ თანხმოვანი არა აქვთ, თუმცა, ვითარცა მამალი ცხოველის სახელებს, მათ ასეთი ნიშანი უნდა ჰქონოდათ. ამ მხრივ საყურადღებოა **ერკემალი**. მასაც განმარტება სჭირია, რათგან, თუ ეს მოვლენა დასაწყისითგანს თვისებას წარმოადგენს, **ვ** ბგერის თავსართობა მამრობითობის აღსანიშნავად აუცილებელი პირობა არ ყოფილა.

§ 1. ერკემალის, ერცქემის და ერსკჵნის ეტიმოლოგია და თავდაპირველი მნიშვნელობა

ვერძს გარდა, არსებობდა და ეხლაც არსებობს ტერმინი **ერკემალი**, რომელიც, საბას განმარტებით, **„მნერბავი ცხოვარი“**-ს (ლექს.), ანუ **მამალი ცხვრის** აღმნიშვნელია.

მეგრულად კი **ჯიხვის** (тур) სახელად იხმარება **ერცქემი** (მ. გ.). უეჭველია, ამავე სახელის მონათესავეა **გარეული მამალი თხის** აღმნიშვნელი სჯანური სიტყვა **ერსკჵნ**-იც, **ლერსკჵნ** (ბალსზ.) და **ჰერსკნ** (ბალსქ.: ივ. ნიჟარაძის Рус. сван. сл., 155 და ვ. თოფურიას ცნობა).

სვანური უმლაუტის კანონის თანახმად, მას წინათ ბოლოში **ი** უნდა ჰქონოდა, ამიტომ იგი **ერსკანი**-საგან არის წარმომდგარი. **ერცქემ**-თან შედარებით **ესკჵნს**

ც ს-დ აქვს შენაცვლებული, ბოლოკიდური მ კიდევ ნ-დ, ხოლო მეგრულში, მესამე თანხმოვანი ქ სვანურ კ-სთან შედარებით, გაასპირატებულია.

რაკი **ერკემალი** მამალი ცხვრის სახელია და **ერცქემ-ერსკჵნ**-იც **მამალივე რქოსანი პირუტყვის**, ფსიტისა და თხის, აღმნიშვნელი სიტყვებია, საკითხი მათი იგივეობის შესახებ თავისთავად იბადება. მათ უმთავრესად ბოლო ნაწილი ასხვავებს: **ერკემალ**-ს ბოლოში ალ მარცვალი აქვს. მაგრამ ეს განსხვავება არსებითი არ არის, რათგან, მრავალი მსგავსი შემთხვევისამებრ, მეგრულსა და სვანურ სიტყვებს ეს მარცვალი დროთა განმავლობაში ჩამოსცილდებოდა. ამიტომ მეგრულის წინამორბედ ფორმადაც „**ერცქემალი**"-ა საფიქრებელი, სვანურისა კი „**ერსკამილი**".

ერკემალ-სა და ზემომოყვანილ მეგრულ-სვანურ წინამორბედ ფორმებს არსებითად ის მეტი ც, ან ს თანხმოვანი ასხვავებს, რომელიც ამ უკანასკნელთ პირველთან შედარებით რ-სა და კ-ს და ქ-ს შუა მოეპოვებათ. ის გარემოება, რომ, თუმცა ეს მეტი თანხმოვანი მეგრულსაცა და სვანურსაც გააჩნია, მაგრამ სხვადასხვა სახით აქვს, სხვა მოსაზრებასთან ერთად, უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ **ეს თანხმოვანი მერმინდელი, ზედმეტი შენაზარდი არ უნდა იყოს, არამედ ამ სიტყვის ოდინდელი, ეხლანდელზე სრული, ფორმის შენარჩუნებულ თანხმოვანს წარმოადგენს**. ამიტომ საფიქრებელია, რომ თვით **ერკემალი**-ც **წინამორბედი ფორმების ჯერ ე რ ც კ ე მ ა ლ ი-სა, შემდეგ კი ე რ ს კ ემ ა ლ ი-საგან არის წარმომდგარი**.

ეხლა, რომ მათი პირველადი მნიშვნელობის მიგნება გაგვიადვილდეს, ამ **სიტყვების აგებულების გამორკვევაა** საჭირო.

საფიქრებელია, რომ, ვითარცა მამალი ცხოველის აღმნიშვნელი სიტყვები, **ერკემალი, ერცქემი** და **ერსკჵნი** მამრობითი სქესისა და რქოსანი პირუტყვის გამომხატველ ნაწილებს შეიცავენ. ამის მსგავსი წარმოება **საფურე ხბოს** სახელსა აქვს, რომელიც თანამედროვე ქართულში **დეკეული**-ს სახით არის დაცული. წინათ-კი **დიაკეულად** გამოითქმოდა.

ერკემალი, ერცქემი და **ერსკჵნი დ ი ა კ ე უ ლ ი ს ა** და **დეკეულის მსგავსი აგებულების სიტყვებად მოჩანან**: პირველი ნაწილი აქაც პირუტყვის სქესის აღმნიშვნელი უნდა იყოს, მეორე-კი ცხოველის სახელად არის საგულისხმებელი. **ამ სახელის ნაწილების გამოყოფას ის გარემოება გვშველის, რომ დიაკეულისა** და **ერკემალის მეორე ნაწილი ერთმანერთს მიემსგავსება**. ამიტომ, როგორც **დიაკეულის** მეორე ნაწილს **კეული** შეადგენს, ისევე **ერკემალის** მეორე ნაწილადაც **კემალი** უნდა იქმნეს ცნობილი.

თავის ალაგას (იხ. აქვე) უკვე გამორკვეული გვქონდა, რომ **კეული** სვანურში **კაჳილ**-ად, გურულში-კი **კნა**-დ იქცა. **კემალი** სვანური **კაჳილ**-ის მსგავსი ვ-ს მ-დ შენაცვლებისა (**კამილი**) და ა და ი ხმოვნების ადგილმონაცვლების გზით (კიმალი—კემალი) უნდა იყოს წარმომდგარი.

ეხლა გამოსარკვევი-ღაა, თუ **რა ცხოველი უნდა იგულისხმებოდეს კემალი-სა და კეული-ს სახელით**. რაკი ერთ შემთხვევაში ის ცხვრის ჯიშის ტერმინშია დაცული, მეორე შემთხვევაში კიდევ სხვილფეხა საქონლის, ზროხის, დედალი ხბოს, აღმნიშვნელ ტერმინშია, მესამეში **ერცქემ**-სა და **ერსკჵნ**-ში გა-

რეულ რქოსან საქონლის სახელში გვხვდება, ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ ქეული და ქემალი რაღაც ისეთი ცნების გამომხატველი უნდა ყოფილიყო, რომელიც შინაურსა და გარეულ რქოსან საქონელს, როგორც წვრილფეხას, ისევე სხვილფეხასაც უნდა ჰქონოდა.

ხოლო, რაკი ერქემლის მეორე ნაწილი ქეულის ფონეტიკური სახესხვაობა ყოფილა და ამის გამო აქაც ცხოველის აღმნიშვნელად უნდა იგულისხმებოდეს, ამიტომაც ცხადია, რომ ამ ტერმინის პირველ ნაწილსაც ერ-ი წარმოადგენს და სწორედ ის არის, რომ ცხოველის ზოგად სახელს, ქემალს, მამრობითობის აღმნიშვნელობას ანიჭებს.

ერქემლის, ერცქემისა და ერსქან-ის შემადგენელი ნაწილებისა და პირველი ნაწილის მნიშვნელობის ზოგადად გამორკვევის შემდგომ, მისი ეტიმოლოგიის მიგნებაც შედარებით უფრო გაადვილებულია.

უპირველესად უნდა გადაწყდეს, თუ რომელი მამრობითი სქესის ცხოველის აღმნიშვნელ სამ ერ, ერც და ერს ფორმათაგანი უფრო ადრინდელი და რომელი უფრო მერმინდელი უნდა იყოს?

ბგერითი შედგენილობის სისრულის თვალსაზრისით რომ მივუდგეთ, ერც და ერს-ი, უეჭველია, ერ-ზე უფრო სრული და ადრინდელი ჩანს, ერ-ს-კი, მათთან შედარებით, უკანასკნელი თანხმოვანი დაკარგული აქვს.

ხოლო ერც-სა და ერს-ში, ცხადია, უკანასკნელი ბგერა შენაცვლებული უნდა იყოს: საფიქრებელია, რომ პირველი ამ ორთაგანი უფრო ადრინდელი, მეორე უფრო მერმინდელი იქმნება, მაგრამ, რაკი ასეთ შემთხვევებში გადამწყვეტი მნიშვნელობა სიტყვის ეტიმოლოგიასა აქვს, ამიტომ ისევ ერც-ის ეტიმოლოგიის გამორკვევაა საჭირო.

ერც-ის ეტიმოლოგიის ძიების დროს, უნდა გვახსოვდეს, რომ ერქემალი „მნერბავი“, ე. ი. მამალი ცხვრის სახელი იყო და არის ეხლაც. ეს გარემოება გვავალებს, რომ ერც-ის წინაპარი ამ ცნების გამომხატველ სიტყვებში ვეძიოთ. თუ ამასთანავე მოვიგონებთ, რომ ძველ ქართულში „მამალსა ცხვარსა ეწოდების ვერძი“ (საბა); მაშინ ბუნებრივად დაგვებადება აზრი, რომ ერცი უნდა ვერძი-საგან იყოს წარმომდგარი.

მართლაც და, ერცსა და ვერძს შორის დიდი განსხვავება არ არის: ერც-ს მხოლოდ თავში ვ თანხმოვანი აქვს დაკარგული და მესამე ბგერა ც პირვანდელი ძ-საგან შენაცვლების გზით არის წარმომდგარი. ამგვარად, ამ ტერმინის თავდაპირველ სრულ სახედ ვერძქემალი უნდა ვიგულისხმოთ, რომლის პირველ ნაწილს მამალი ცხოველის აღმნიშვნელი ვერძი შეადგენს, ე. ი. დაახლოვებით ისევე, როგორც ძველად ვაცბოტი ყოფილა.

ეხლა ნათელი იქმნება, თუ რატომაა, რომ ერქემალი, ერცქემი და ერსქანი სწორედ მამალი ცხვრის, ჯიხვისა და თხის აღმნიშვნელია: ასეთ აზრს მისი პირველი, ვერძი-საგან წარმომდგარი ნაწილი ერც-ი, ერს-ი და ერ-ი ანიჭებს.

ႧႠႥႨ ႫႤႧႤႵႥႱႫႤႲႤ

სქესის აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფი, რომელთაც სქეს-კატეგორიის სათანადო თავსართი არა აქვთ, მაგრამ რომელთა უკვე შინაარსიც გარკვეული სქესის გამომხატველია

ქართულ სიტყვათა მთელი ჯგუფია, რომელიც, თუმცა ამა თუ იმ სქესის აღმნიშვნელია, მაგრამ რომელსაც თავისი სქესისათვის შესაფერისი ფორმანტი არა აქვს. ცხადია, რომ, თუ ასეთი სიტყვები იმ ხანისაა, როდესაც ქართულს გრამატიკული სქეს-კატეგორიები გააჩნდა, ეს ძველი თავსართოვანი ნიშნები დროთა განმავლობაში, ან შეცვლილი, ანდა დაკარგული უნდა ჰქონდეს. შესაძლებელია ზოგი ასეთ სიტყვათაგანი იმ ხანისაც იყოს, როდესაც ქართულს გრამატიკული სქესიცა და კატეგორიებიც უკვე დაკარგული ჰქონდა. მაგრამ უძველესი ხანის სიტყვებსაც **თავიანთი თავდაპირველი ფორმანტი დროთა განმავლობაში შესაძლებელია იმიტომაც ადვილად და სრულებით უვნებლად დაეკარგათ, რომ თვით მათი ფუძეც თავისი შინაარსით ამა-თუ-იმ სქესის თვისების გამომჟღავნებელი იყო.** ქვემოთ სწორედ ასეთი სიტყვები გვექმნება დასახელებული და მათი ეტიმოლოგიის განხილვა, იმედია, ზემოაღნიშნულ დებულებას ცხადჰყოფს.

§ 1 მამისა და ქმრის ეტიმოლოგია და პირველადი მნიშვნელობა

სქესობრივი და საცოლქმრო დამოკიდებულებათა აღმნიშვნელ ტერმინთა შორის ძველ ქართულ მწერლობაში იხმარებოდა ႵႫႠႰႨ და ႺႭႪႨ, ႫႠႫႠჂ და ႣႤႣႠჂ, ႫႠႫႰႨ და ႫႣႤႣႰႨ, ႫႠႫႠႬႨ და ႣႤႣႠႬႨ, ႫႠႫႠႩႠႺႨ და ႣႤႣႠႩႠႺႨ. თითოეულ მათგანს თავისი მნიშვნელობა ჰქონდა. შვილებისა და მშობლების დამოკიდებულების გამომხატველ სახელებად ქართულ სამწერლობო ენაში უძველეს ცნობილ დროითგანვე მიღებულია ႫႠႫႠჂ, რომელიც ზოგ რთულ სიტყვებში **მამ**-ის სახით გვევლინება, მაგ. **მამ·ფალი**, (მამა+უფალი) და ႣႤႣႠჂ, რომელიც რთულ სიტყვებში, როგორიცაა მაგ. **დიასახლისი**, **დიოფალი**, **დიაკეული**, **დეკეული** და სხ. „დია"-სა, „დი"-სა და თვით „დე"-ს სახითაც გვევლინება.

მაგრამ საყურადღებოა, რომ თვით **მშობელთა აღმნიშვნელ სახელებს მამა-სა და ႣႤႣႠ-ს უძველეს ხანაში მარტო ეს მნიშვნელობა კი არა აქვთ, არამედ** იმავე დროის ძეგლებში **სქესის აღმნიშვნელ ტერმინებადაც არიან ნახმარი.** მაგალ. ი ა კ ო ბ ხ უ ც ე ს ს აღნიშნული აქვს, რომ ციხეში მიმავალს შუშანიკს მისდევდა „ამბოხი მრავალი **დედებისა და მამებისაჲ**, სიმრავლე ურიცხუ". როდესაც მისმა მეუღლემ ვაზქენ პიტიახშმა „იხილა... ამბოხი იგი და ტირილი **მამათაჲ და დედათაჲ**, მოხუცებულთა და ყრმათაჲ", ყველას დაედევნა და გაფანტაო (წ˜მბჲ შშნ˜ქსი, გვ. 12_{4-6} და $_{16-18}$). გ. მ ე რ ჩ უ ლ ს ა ც ნათქვამი აქვს, რომ გრიგოლ ხანძთელის დედასთან, როდესაც ის შვილის სანახავად მისულა, „თანა—

იყვნეს **მსახურნი** მისნი, **მამანი და დედანი**" (ცˇჲ გˇგლ ხნძთˇლისჲ, გვ. ლდ). ისტორიკოსს უნდოდა ეთქვა, ორივე სქესის მსახურნი ახლდენო. ეს გარემოება იმ მხრივ და იმდენად არის საყურადღებო, რამდენადაც ირკვევა, **რომ ადამიანთა მშობლების აღმნიშვნელი ტერმინები იმავე დროს სქესის აღმნიშვნელ სიტყვებად და მამრობითობისა და მდედრობითობის ცნების მატარებლად გამოდგნენ.**

სრულჰასაკოვანი ცხოველების სქესობრივად გასარჩევად უძველეს დროითგანვე იხმარებოდა **ᲛᲐᲛᲐᲚᲘ** და **ᲓᲔᲓᲐᲚᲘ**, ადამიანებისათვის-კი უფრო **ᲛᲐᲛᲠᲘ** და **ᲛᲓᲔᲓᲠᲘ**.

თუმცა მეგრულად **მამას** ეხლა **ᲛᲣᲛᲐ** ეწოდება, მაგრამ მისი მრ. რ. ფორმა **ᲛᲣᲛᲐᲚᲔᲨᲘ** ამ სიტყვის მხ. რ.-ის ოდინდელ **ფორმასაც** **ᲛᲣᲛᲐᲚ**-ად გვაგულისხმებინებს. ამავე სიტყვის ჭანური შესატყვისობა **მამალი ხაქონლის, ან სულიერთ ახსების** აღსანიშნავად იხმარება და ხოფურსა და ვიწურ კილოში **ᲛᲐᲛᲣᲚᲘ**-ა, რომელიც იმავე დროს, ქართულის მსგავსად, **მამალს ქათამსაც** ნიშნავს, ათინურ კილოში-კი ეს სიტყვა, მეგრულის მსგავსად, **ᲛᲣᲛᲣᲚᲘ**-ს სახით გვევლინება. **მამალ მიმინოს** ჭანურად **ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲬᲘ** ეწოდება (ჭ. გ.), **დედალს** **ᲗᲣᲘᲚᲔᲮᲘ** (იქვე).

ზემომოყვანილითგან ცხადი გახდებოდა, რომ მამისა და მამრობითობის აღმნიშვნელი სიტყვების სრული იგივეობა მეგრულ-ჭანური **ლექსიკური მასალებითაც მტკიცდება.**

აღსანიშნავია, რომ ქართულს აქვს ტერმინები **ᲡᲘᲛᲐᲛᲠᲘ ცოლის მამისა** და **ᲡᲘᲓᲔᲓᲠᲘ ცოლის დედის** აღსანიშნავად. გ ა მ ო ს ლ ვ ა თ ა 18$_{26}$ ნათქვამია: „წარავლინა მოსე **სიმამრი** თჳსი". ბერძნულად აქ, ნახმარია ὁ γαμβρός μου **გამბროს**, ლათინ. cognatus და სომხურად *աներ* ანერ. **ᲡᲘᲛᲐᲛᲠᲘ სი** და **მამრი**-საგან შესდგება, ისევე, როგორც **ᲡᲘᲓᲔᲓᲠᲘ სი** და **დედრი**-საგან არის ნაწარმოები და **მამად** და **დედად მისაჩნევს ნიშნავს**. ამ ორ შემთხვევაშიც, მაშასადამე, **მამა**, **ᲛᲐᲛᲠᲘ**-სა და **დედა** **ᲓᲔᲓᲠᲘ**-ს სახით არის წარმოდგენილი.

ამნაირად ირკვევა, რომ თუ სალიტერატურო ქართულში **ᲛᲐᲛᲐᲚᲘ**, ხოლო ჭანურში **ᲛᲐᲛᲣᲚᲘ მამრობითი სქესის არსებასა და ცხოველის** აღმნიშვნელია, მისი მეგრული შესატყვისობა **ᲛᲣᲛᲐᲚᲘ** უკვე **მამის** სახელად არის ქცეული. ამგვარადვე, თუ **ᲛᲐᲛᲠᲘ ადამიანთა** სქესის გამომხატველია, **ᲡᲘᲛᲐᲛᲠ**-ში იგივე სიტყვა უკვე **მამის** აღმნიშვნელად გვევლინება, ხოლო უძველეს ქართ. ძეგლებში **მამა** **მამაკაცსაც** და **მამალსაც** ნიშნავდა.

ერთი მხრით **ᲛᲐᲛᲐᲚᲘ**, **ᲛᲐᲛᲣᲚᲘ** და **ᲛᲣᲛᲐᲚᲘ** გვაქვს, მეორე მხრით კიდევ **ᲛᲐᲛᲠᲘ**. მათ მნიშვნელობათა იგივეობის გამო, **ᲛᲐᲛᲐᲚᲘ**-სა და **ᲛᲐᲛᲠᲘ**-ს იგივეობაც არის საგულისხმებელი. საფიქრებელია, რომ **ᲛᲐᲛᲠ**-ს ბოლოკიდურ თანხმოვანთა შუა **ა** ხმოვანი აქვს დაკარგული, ხოლო **ᲛᲐᲛᲐᲚᲘ**-ს **ლ** პირველად **რ**-საგან არის წარმომდგარი[1]. თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ **ᲛᲐᲛᲐᲚᲘ**-ს უწინარეს სრულ ფორმად **ᲛᲐᲛᲐᲠᲘ** უნდა ვიგულისხმოთ.

---

[1] როგორც **ფირტვი**-საგან **ფილტვია**, **ხანჯარი**-საგან **ხანჯალი** და სხვაც ბევრია წარმომდგარი.

მშობელთა სქესობრივად გამრკვეველ ტერმინებად ძველ ქართულ მწერლობაში, როგორც ცნობილია, ქმარი მამრობითი სქესის პირისათვის იხმარება და ცოლი მდედრობითი სქესისათვის.

მეგრულად ქმარს ქომონჯი, ან ქომოჯი ჰქვიან, რაც ზოგად ქართულის ქმარის ფონეტიკურ შესატყვისობას წარმოადგენს. მაგრამ ეს ფორმები რომ შემდეგშია წარმომდგარი და წინათ ამ სიტყვას ზოგადი ქართულის უფრო მსგავსი სახეობა ჰქონდა, ამას ტერმინი საქომოლო გვაფიქრებინებს, რომელიც ქმრის შეხაფერისს, ქმრისათვის დამახასიათებელს აღნიშნავს (მ. გ. 345). ამნაირად აქ ქმარი მეგრულად ქომოლი-ს სახით არის დაცული, რომელიც თავის მხრით ქომორი-საგან უნდა იყოს წარმომდგარი. მართლაც, თუ გავიხსენებთ, რომ თანამედროვე მეგრული ფორმა ქომოჯი და ქომონჯი-ა, თანაც იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ მეგრულში ჯ სწორედ რ-ს ბგერითს შენაცვლებას წარმოადგენს ხოლმე და არა ლ-სას, მაშინ ცხადი შეიქმნება, რომ ქომოჯი თანამედროვე მეგრულში შესაძლებელია მხოლოდ ქომორი-საგან წარმომდგარიყო. მაშასადამე, ცხადია, რომ ქომოლი ამ სიტყვის პირვანდელი სახე არ არის, არამედ მხოლოდ თავდაპირველი ქომორი-ს მერმინდელი წარმონაშობია.

ჭანურად ქმარს ქომოჯი და ქიმოჯი ჰქვიან. მაგრამ წინათ უეჭველია, ქმარს ჭანურადაც ქომოლი და ქიმოლი უნდა ჰრქმეოდა. ამ სიტყვას ქმრის მნიშვნელობა ეხლაც აქვს შენარჩუნებული, თუმცა იმავე დროს მამაცსა და გმირსაც ნიშნავს. ზემონათქვამის შემდგომ ცხადი უნდა იყოს, რომ ამ სიტყვის ძირითად ფორმად ჭანურადაც ქომორი უნდა ვიგულისხმოთ.

რაკი გამოირკვა, რომ მეგრულად და ჭანურად ქმარს წინათ ქომოლი, ხოლო თავდაპირველად ქომორი ეწოდებოდა, ამ სიტყვის მეორადი მნიშვნელობა უფრო საყურადღებო ხდება. მეგრულად ქომოლი, ქუმოლი, ქუმოჲი მამაკაცსაც ნიშნავს, ჭანურადაც ქომოლი ამავე მნიშვნელობით იხმარება. ამაზე უფრო საგულისხმოა, რომ ქომოლისქუა მეგრულად ვაჟიშვილს ნიშნავს.

მეგრულში მეორე სიტყვაც მოიპოვება, რომელშიც ქომოლ-ს ასეთივე მნიშვნელობა აქვს: როგორც ქალბატონს მეგრულად ოსურ-პატონი ჰქვიან, ისევე მამრობითი სქესისათვის არსებობს ქომოლი-პატონი (იხ. იოსებ ყიფშიძის მ. გ. 298), რომელიც ბატონსა ნიშნავს, მაგრამ არსებითად ვაჟ-ბატონს უდრის.

ამგვარად ირკვევა, რომ ყველა ამ შემთხვევებში ქომოლი მნიშვნელობით ვაჟს უდრის და ზოგადად მამრობითობის გამომხატველია. მაშასადამე, **ზოგადი ქართული ტერმინის ქმარი-ს ჭანურ-მეგრული შესატყვისობა მნიშვნელობით ვაჟობისა და მამრობის გამომხატველია.**

რაკი ჭანურ-მეგრული ენობრივი მასალების მიხედვით ის უცილობელი გარემოება გამოირკვა, რომ ტერმინი ქმარი-ს ოდნავ შეცვლილი შესატყვისობა მამაკაცის აღმნიშვნელია, თა ისთავად იბადება აზრი, რომ კაცობის, მამაცობის აღმნიშვნელი სვანური ტერმინი ლი-მა̆რჷ-ც, სიმამაცე, მეგრულ-ჭანური სემასიალოგიური მოვლენის მსგავსად, აგრეთვე ქმარი-საგან თავკიდური ქ ბგერის ჩამოცილებით წარმომდგარი ტერმინი უნდა იყოს. ამჟამად მარე სვანურად კაცსა ნიშ-

ნავს, მაგრამ **ლიმარუ** ამტკიცებს, რომ **წინათ მას მამაკაცის მნიშვნელობა ჰქონია.**

ამგვარად, ერთი მხრით ტერმინი **მამა**-ს ისტორიულმა და შედარებითმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ **მამალი**, **მამაჲ** და **მამარი** ერთსადაიმავე დროს **მამობისაცა და მამრობითობის ცნების გამომხატველიც** იყო,— მეორე მხრით **ქმარი**-ს მეგრულ-ჭანური შესატყვისობაც, **ქმრობის გარდა**, აგრეთვე **მამრობისა და ვაჟობის ცნების აღმნიშვნელი ყოფილა.**

ეს გარემოება თავისთავად ჰბადებს საკითხს, თუ რაზე უნდა იყოს ამ **ორი ტერმინის მნიშვნელობის მსგავსება დამყარებული**, სახელდობრ, ეს მსგავსება **ხომ მათი ერთი-და-იმავე წარმოშობილობით არ აიხსნება?** ამისთანა საკითხი იმიტომაც არის ბუნებრივი, რომ ზემოაღნიშნულს **მამალი**-ს წინამორბედად საგულისხმებელის **მამარი**-სა და **ქმარი**-ს ბგერითი მსგავსებაც (თავკიდურმა მარცვალს გარდა) ერთვის ზედ.

ამ საკითხის გადასაწყვეტად ჯერ ტერმინი **ქმარი**-ს პირვანდელი აგებულება და მნიშვნელობა უნდა იქმნეს გათვალისწინებული. ტერმინის **მშობელის** მსგავსად, საფიქრებელია, რომ იგიც მოქმედებითი გვარის მიმღეობის ნაშთი უნდა იყოს. თუ ეს აზრი მცდარი არ არის, მაშინ შესაძლებელია **ქმარი** პირვანდელი **მაქმარი**-საგან იყოს წარმომდგარი, ე. ი. ეს სიტყვა **ქმნა** ზმნისაგან ნაწარმოები მიმღეობა იყოს. მართალია, **ქმარსა** და მის საგონებელ წინამორბედს **მაქმარს** **ნ** არ ახლავს, მაგრამ ჯერ ერთი **ნ** ძირეული არ არის და ამას გარდა უკვე უძველეს ქართულ ძეგლებშიც ეს ფუძე უამბგეროდაც გვევლინება, მაგ.: ქუეყნისა **შესაქმეჲ**, **საქმეჲ**, **უქმი** და სხ. ამგვარად, **შესაქმე** ტერმინის მსგავსად, უ **ნ**-ბგერო **მაქმარი**-ც თავდაპირველად შემქმნელის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. მაშასადამე, ტერმინი **ქმარი** თავდაპირველად სქესობრივი დამოკიდებულებისა და შვილიერების აქტიური მონაწილის აღმნიშვნელი მიმღეობა უნდა ყოფილიყო. ცხადია, რომ, ვითარცა მიმღეობას, ამ სიტყვას თავში **მა** ფორმანტი უნდა ჰქონოდა ისტორიულ ხანაში მაინც და სათანადო სქესის ფორმანტი, თუ ეს სიტყვა სქეს-კატეგორიების ხანისაა.

თუ ქმარი **მაქმარი**-საგან **მა** თავსართის ჩამოცილებით უნდა იყოს წარმოშობილი, **მამისა** და **მამალის** წინამორბედი **მამარი** შეიძლება შუაში **მ**-ს წინ მყოფი ქ ბგერის გაქრობით წარმომდგარიყო.

მაგრამ მთელი ეს **ჰიპოთეზი რომ დამაჯერებელი** იყოს, უპირველესად **უნდა დამტკიცდეს, რომ ქმნა ძველადვე მარტო საგნებზე** კი არა, არამედ **შვილიერებაზეც ითქმოდა.**

ასეც იყო სწორედ და მამაკაცისაგან ქალის განაყოფიერების აღსანიშნავად ზმნას **შექმნა**-სა და **ქმნა**-ს ხმარობდნენ. მაგ. ათაბაგ ბ ე ქ ა ს სამართლის წიგნში სწერია, თუ „დიდებულისა **შექმნილი**“ უკანონო შვილი რა უფლების მქონებელი იყო (§ 32). ვ ა ხ ტ ა ნ გ VI სამართლის წიგნიც უკანონო სქესობრივი დამოკიდებულებით „**შექმნილი** შვილი“-ს შესახებ მსჯელობს (§§ 67, 68).

ასეთი ტერმინი რომ შემთხვევითი და შედარებით მერმინდელი გამონათქვამი არ არის, ამას **საქმისაჲ**-ც ამტკიცებს.

საქმისაჲ ეწოდება ეხლაც ზემო-სვანეთში და, უეჭველია, წარმართობის უძველეს ხანაშიც ასევე ერქჳოდა, იმ პირს, რომელსაც ყველიერში, ყეენობის მსგავსი მამრობითობისა და სქესობრივი სიყვარულის მფარველი ღვთაებისადმი განკუთვნილი დღესასწაულის დროს, ხისაგან გაკეთებული მამაკაცის ასო, როგორც შვილიერების წარმომშობი ორგანოს სიმბოლო, ჩამოკიდებული აქვს (იხ. „ძველი და ახალი სვანეთი" 1925 წ., გვ. 126—127, ს. მაკალათიას „ფალოსის კულტი საქართველოში", დაბეჭდილი „მიმომხილველ"-ში, საქ. საისტ. საზ. ორგანოში, 1925 წ. გვ. 132—134 და ჩემი „ქართ. ერის ისტორია" I[3], 59—69). **ბასილი ზარზმელი** ამ ორგანოს თავის თხზულებაში უწოდებს „სარცხჳნელსა... ასოსა მას თესლმცენარესა" (ცჲ სრპნ ზრზმლსჲ. 36). მაგრამ პირველყოფილმა ადამიანმა სქესობრივი სირცხვილი ჯერ არ იცოდა და მისთვის ეს ორგანო სრულებით სარცხვენი არ იყო, არამედ მას უმთავრესად მამრობითობის ენერგიის მქონებელ, შთამომავლობის შემქმნელ, **თესლმცენარე** ასოდ სთვლიდა.

უეჭველია, თავდაპირველად **საქმისაჲ** იმ სასქესო ასოს სახელი უნდა ყოფილიყო, რომელსაც ამ წარმართული ღვთაების განსახიერებაში უმთავრესი მნიშვნელობა აქვს, რათგან თვით ტერმინი სა-ქმისაჲ სწორედ იმასა ნიშნავს, რაც ქმნისა, თუ შექმნისათვის არის ბუნებისაგან განკუთვნილი. ამასთანავე, რასაკვირველია, ქვემო-სვანეთში დღემდე დაცულს **ადრეკილაჲ**-ს წარმართულს მსგავსსავე დღესასწაულს, რომელშიც ხისაგან გაკეთებული და ჩამოკიდებული სასქესო ასოს მაგიერ, ერთი გატიტვლებული მამაკაცი იღებს მონაწილეობას, ვითარცა იმავე **საქმისაჲ**-ს ცოცხალი მფლობელი, ამ უძველესი სარწმუნოებრივი სამყაროს წარსულის ნაშთი და მემკვიდრეობა ზემოსვანურ **საქმისაჲ**-ს ჩვეულებაზე უკეთესად აქვს დაცული, რათგან ხის ასო ძველი ბარბაროსული პირველყოფილობის თავითგან ასაცილებლად უნდა იყოს შემდეგში შემოღებული, როდესაც მონაწილე ხალხისათვის ტიტველი **ადრეკილაჲ** ს დანახვა უკვე სასირცხვოდ იქცა. **საქმისაჲ** და **ადრეკილაჲ** ერთისა-და-იმავე ორგანოს აღმნიშვნელი, მხოლოდ მისი სხვა-და-სხვა მდგომარეობის გამომხატველი ტერმინებია.

ამგვარად ცხადი ხდება, რომ **ქმნა** და **შექმნა** ძველ ქართულში მართლაც სქესობრივი კავშირისა და შემოქმედების აღმნიშვნელი ტერმინი ყოფილა. ეს გარემოება **ქმრისა** და **მამის** ზემომოყვანილ ეტიმოლოგიასაც და პირველად მნიშვნელობასაც მკვიდრ საფუძველს უქმნის. ამ გარემოების გათვალისწინებისას უკვე ადვილი გასაგებია ისიც, თუ რატომ იყო, რომ **მამაჲ** უძველეს ძეგლებში მამაკაცის აღმნიშვნელი ყოფილა, და ისიც, რომ **ქმარის** მეგრული და სვანური შესატყვისობაც მამრობითობის, ვაჟობის და ვაჟკაცობის აღმნიშვნელია. ამნაირად, **მამაჲ**-სა და **ქმარი**-ს თავდაპირველი აგებულება და შინაარსი მათი სქესის ისედაც სრულებით მკაფიოდ გამომჟღავნებელი იყო.

§ 2. დედაჲ და დედაკაცი, მათი ეტიმოლოგია და პირველადი მნიშვნელობა

დედაჲ და **დედანი**, როგორც მამისა და ქმრის ეტიმოლოგიის განხილვის დროს დავრწმუნდით, ერთსა-და-იმავე დროს მშობლისაცა და მდედრობითი სქესისადმი მიკუთვნილობის აღმნიშვნელი სიტყვებიც ყოფილა.

საგულისხმოა, რომ შვილები ალერსით თავიანთ დედ-მამას ႫႠႫႨႪႭ-სა და ႣႤႣႨႪႭ-საც უწოდებენ ხოლმე, ႣႤႣႨႪႭ-კი ცხოველთა სქესობრივობისათვის განკუთვნილ ტერმინს ႣႤႣႠႪ-ს უახლოვდება.

მაგრამ ცნობილია, რომ მდედრობითი სქესის ადამიანის აღმნიშვნელ ტერმინებად ძველ ქართულ მწერლობაში ორი სიტყვა გვხვდება — ႣႤႣႠႩႠႺႨ და ႵႠႪႨ. მსაჯულთა 19_{1-4}, ნათქვამია: „მოიყუანა... დედაკაცი ხარჭად... იხილა იგი მამამან მის ქალისამან... და შეიყუანა იგი... მამამან მის ქალისამან... სიძესა თჳსსა". შესაქმეთაჲ 34_{12} სწერია: „მომეცით მე ქალი ისი ცოლად", ხოლო მსაჯულთა 14_{2}: „ვიხილე დედაკაცი თამნას ასულთაგან ფილისტიმელთაგან და აწ მომგუარეთ მე იგი ცოლად". დასასრულ შესაქმეთა 24_{57-58} ნათქვამია: მოუწოდეთ ქალსა და ვჰკითხოთ... და მოუწოდეს რებეკას და ჰრქუეს მას: „წარხუალა, კაცისა ამის თანა".

ამ მაგალითებითგანა ჩანს, რომ ႣႤႣႠႩႠႺႨ და ႵႠႪႨ ერთმანეთის მაგიერ იხმარებოდა (იხ. მსაჯულთა 19_{1-5}). მაგრამ მეორე მხრით ისე გამოდის, რომ ႵႠႪႨ გაუთხოვარი დედაკაცის სახელია: ႵႠႪႨ გათხოვების შემდგომ ხდებოდა ႺႭႪႠႣ, ႣႤႣႠႩႠႺႨ-კი შეიძლება ასულის, ქალიშვილის აღმნიშვნელიც ყოფილიყო და გათხოვილისაც.

ამგვარად, ႣႤႣႠႩႠႺႨ ზოგადი ცნების გამომხატველია და მდედრობითი სქესის ადამიანის აღმნიშვნელია, ႵႠႪႨ-კი მხოლოდ გაუთხოვარისა. ეს გარემოება ზემომოყვანილი ადგილების ბერძნულ, ლათინურ და სომხურ თარგმნებთან შედარებითაც მტკიცდება და ამისდა მიხედვითაც ქართული ႵႠႪႨ უდრის ბერძნულს ἡ παῖς ჰე პაის-ს, ლათინურ puella-სა და სომხურს *աղջիկ* ალჯიკ-ს (შესაქმეთა 24_{57} და 34_{12}), ან ἡ νεᾶνις ჰე ნეანის, ლათინ. puella-სა და სომხურ *աղջիկ*-სა ალჯიკს (მსაჯულთა $19_{3,5}$), რაც ქალიშვილს, ქალწულს აღნიშნავს,- ხოლო ქართული ႣႤႣႠႩႠႺႨ ბერძნულს ἡ γυνή-ს ჰე გჳნე-ს უდრის, ლათინ. uxor-სა და სომხურს *կին* კინ-ს, რაც ბერძნულად მდედრობითი სქესის ადამიანის გამომხატველი სიტყვაა და როგორც გათხოვილს, ისევე გაუთხოვარსაც აღნიშნავდა, ლათინ. და სომხური სიტყვები-კი ცოლის აღმნიშვნელია.

მაგრამ მნიშვნელობათა ზემოდასახელებული განსხვავება ႣႤႣႠႩႠႺსა და ႵႠႪს შორის დასაწყისითგანია, თუ არა? თუ ადამიანი ტერმინს ႣႤႣႠႩႠႺ-ს ჩაუფიქრდება, შეამჩნევს, რომ თავისი აგებულობით ის ადამიანთა, ანუ კაცთა იმ კატეგორიას უნდა აღნიშნავდეს, რომელიც დედაა. ხოლო, რაკი დედა არ შეიძლება ქალწული იყოს, ამიტომ ცხადია, ႣႤႣႠႩႠႺႨ თავდაპირველად მხოლოდ გათხოვილი ქალის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, ან არა და უნდა გვეფიქრა, რომ ამ ორნაწილედ სიტყვაში ႣႤႣႠ დედობისა-კი არა, არამედ მარტო მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი იყო.

ეგების უმნიშვნელო არ იყოს, რომ, ს. ორბელიანის განმარტებით, ႫႣႠႣႨ და ႫႣႠႣႤ იყო და არის „დიაცი სძლის მაყარი" (ლექსიკ.). მაგრამ, უეჭველია, ეს განმარტება მთლად ზედმიწევნითი ვერ არის, რათგან ႫႣႠႣႤ სასძლოს ყოველ მაყარ-ქალს-კი არ ეწოდებოდა, არამედ მხოლოდ ერთს, ყველაზე უფროსს, რომელიც საქორწილოდ მომზადებულ ქალწულს დედის მაგივრობას უწევდა.

ეს სიტყვა ჭანურშიაც არის დაცული მდადე-სა და დადეს სახით. ნ. მ ა რ რ ს მის განსამარტავად რუსულად დაუწერია „посаженная мать“ (ქ. გ. 137). მეგ–რულშიაც დადე იმასვე ნიშნავს, რასაც სამწერლობო ქართულში მდადე.

ეს ტერმინი იმ მხრით არის საყურადღებო, რომ, ჩვეულებრივ გათხოვილი ქალის აღსანიშნავად განკუთვნილი სიტყვა, აქ გაუთხოვარი ქალისთვისაც არის გამოყენებული.

ქართველურ ენა-დიალექტებში დედაჲ ამ ცნების გამომხატველი ერთად-ერთი სიტყვა როდია, არამედ სხვა სიტყვებიც მოიპოვება. მეგრულად და ჭანურად ჩვეულებრივ ნანა იხმარება, სვანურად-კი დია, დედე-ც არსებობს და მუთვენი-ც.

დედალს მეგრ. დადული, ან დადუი ჰქვიან, ჭანურად-კი დადული დე-**დალი ქათმის** აღსანიშნავად იხმარება (ქ. გ. 137).

რაკი დედაჲ, დედალი და დადული ერთსა-და-იმავე დროს დედობისაცა **და სქესის** აღმნიშვნელი სიტყვებიცაა, ამიტომ ცხადი ხდება, რომ **მათი ძირითადი მნიშვნელობა თავდაპირველად ზოგადი ცნების გამომხატველი უნდა ყოფილიყო.** საფიქრებელია, რომ **ეს პირველადი მნიშვნელობა სქესის, მდედ-რობის ცნებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.** ამ ცნების გამოსახატა-ვად-კი, როგორც წინამდებარე გამოკვლევაში განხილული მრავალი მაგალითით-გან ჩანს, **ადამიანის ის დანიშნულება ყოფილა გამოყენებული, რომელიც თითოეულ ამ ორ მონაწილეთაგანს სქესობრივ ცხოვრებაში ბუნებისაგან დაკისრებული აქვს.** ამიტომ დედის **პირველადი მნიშვნელობაც** სწორედ ამ **სფეროში საძებნელი** და ისევე, როგორც მამაჲ და ქმარი თავდაპირველად **მქნელისა** და **შემქმნელის** აღმნიშვნელი ყოფილა, დედაჲ-ც, საფიქრებელია, **გამჩენის,** ანდა **მშობლის** ცნების გამომხატველი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ **ამ მოსაზრების დამაჯერებლობისათვის** საჭიროა, რომ ერთი მხრით ქართულში **გაჩენა-შობის** მნიშვნელობის **მქონებელი ამის მაგვარი ძირის,** მეორე მხრით-კი დედაჲ-ს **თვით აღნაგობაშიც გამჩენისა, თუ მშობე-ლის ცნების გამომხატველი ფორმანტის არსებობა დამტკიცდეს.**

ქართულ სამწერლობო ენას **ადამიანთა გაჩენა-შობისათვის** ასეთი ძირი არ მოეპოვება და მხოლოდ **ფრინველთაგან** კვერცხის დება-სა და დადება-ს ვეძახით ხოლმე. ცხადია, რომ ებ მარცვალი აქ ძირეული არ არის.

დადებას ჭანურად დო-დვაფუ და დო-დვალუ ეწოდება (ქ. გ. 138). დავ-**დებ** იქმნება დობდუმ, ანდა დობდვამ, **დავდევი**—დიბდჯი (იქვე).

მეგრულად ამის შესატყვისად **დებისათვის** დვალა-ს და **დადებისათვის**— დოდვალა-სა ხმარობენ (მ. გ. 224). ამ ზმნის ძირად პრ. ი ო ს ე ბ ყ ი ფ შ ი ძ ე ს დვ კომპლექსი აქვს მიჩნეული. მაგრამ ამავე ცნების გამოსახატავად ძვენა სახელზმნის სახით პარალელურად ძვ კომპლექსიც გვხვდება, მაგ. დევს იქმნება **ძგ** (მ. გ. 224—225).

სამწერლობო ქართულშიც ხომ **დევს-ის** პარალელურად აგრეთვე ძევს-გვაქვს. უეჭველია, ამასთანვეა დაკავშირებული ძველი ქართული ტერმინი მ-ძე-ვალი, რომელიც ს ა ბ ა ს სამართლიანი განმარტებით, იყო „**კაცი წინდად დ ა ს-მ უ ლ ი**“ (ლექს.), ანუ, უფრო ზედმიწევნით რომ განისაზღვროს, პოლიტიკური ერთგულების **საწინდრად დ ა ტ ო ვ ე ბ უ ლ ადამიანს** ნიშნავდა, სიტყვა-სიტყვით

ნათარგმნი-კი დადებულსა ნიშნავს. მძევალი-ს ასეთი მნიშვნელობა იმერეთში დაცულ ერთ ტერმინშიც კარგად მოჩანს: საბუდარში დატოვებულ კვერცხს სწორედ ძევალი ეწოდება (იხ. ვ. ბერიძის სიტყვის კონა).

მაგრამ დვალ ფუძე მარტო დედალი ფრინველისაგან კვერცხის დების აღსანიშნავად-კი არ იხმარება, არამედ ძუძუმწოვარ ცხოველთა და თვით ადამიანის შობის ცნების გამოსახატავადაც. მაგ. სვანურში, სახელდობრ ლაშხურში. შობას ეწოდება ლი-თუ̂ალ. ბალსქვემოურად ეს სიტყვა ლითუვა̂ლ-ის სახით იხმარება. მეგრულ-ჭანურ დვალა-სა და სვანურ ლი-თუ̂ალ-ს მხოლოდ ის განსხვავება ემჩნევა, რომ სვანურს ამ ძირის თავკიდური დ ბგერა გაასპირანტებული აქვს. თუ̂ალ ფუძის სვანური აღმნიშვნელობა ცხადჰყოფს, რომ დვალ მარტო დების ცნების გამომხატველი-კი არ ყოფილა, არამედ ნაყოფის გამოღების, წარმოშობისაც.

ზემოთქმულის შემდგომ ტერმინი დოლი-ს მნიშვნელობაცა და მეტადრე სადაურობაც უკვე სულ სხვანაირად წარმოგვიდგება. ს. ორბელიანს ნათქვამი აქვს, რომ დოლი საერთოდ „ხვასტაგთ შობასა ჰრქვან“, ხოლო ამავე ავტორის ნაშრომის ერთ-ერთ შემავსებელთაგანს დაურთავს: დოლი ცხვრისაგან და ღორთაგან წყება ბატკნისა და გოჭისა დაყრა, ვითარცა იტყვიან, „დოლი დაიძრაო“, ანუ „გამოდის“-ო (ლექსიკ.).

ს. ორბელიანს ეს დოლი სომხურ სიტყვად მიუჩნევია. სომხები-კი მას ქართულითგან ნასესხებად სთვლიან. მაგრამ დოლი ბატკნისა და გოჭის დაყრის აღმნიშვნელი, დვალა-სა და დვალუ-საგან ხომ მარტო ვა მარცვლის ო-დ შენაცვლებით განსხვავდება, რაც, როგორც ცნობილია, ქართულში სრულებით ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. ამიტომ არავითარი საფუძველი არ არსებობს ამ სიტყვის, ან სომხურად, ან ქართულად მიჩნევისათვის. მის ქართულობის დამამტკიცებელია ერთი მხრით მეგრულ-ჭანური დების შესატყვისი და აღმნიშვნელი დვალა, მეორე მხრით სვანური შობის სახელზმნა ლი-თუ̂ალ. ამ მხრით საყურადღებოა, რომ აჭარულს კილოში შვილების შობას „შვილების დასმა“, ანდა „ბალანიბის დასმა“ ეწოდება, ე. ი. დადების პარალელური, სულდგმულთათვის განკუთვნილი, სახელზმნა. მაგ. აჭარულს ზღაპარში „სამი და“ ნათქვამია: მესამე დას, რომ „მუცელი ასტკივდა, იმ ორმა დანებმა თქვეს, «ამან შვილები უნდა დასვას». მის სამტროდ მათ ბებიას ფული მისცეს იმ პირობით, რომ „რუმ დასვამს ბალანებს... შენ დაჰკარგე“-ო (იხ. „აჭარ. ხალხური სიტყვიერება“ ბათომი, 1936 წ. გვ. 4, შეად. გვ. 12).

ამგვარად ირკვევა, რომ დვალ ფუძე დებას და ნაყოფის გამოღებას, წარმოშობას ნიშნავს და, როგორც ფრინველთა და პირუტყვთაგან, ისევე ადამიანისა, დედაკაცისაგანაც. ეს უკანასკნელი გარემოება ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებითაა მნიშვნელოვანი.

დედაჲ, უეჭველია, დედალი-ს ბოლოშეკვეცილი სახეა. მეგრულად და ჭანურად ამის შესატყვისად დადული გვაქვს, რომელიც მეგრულში დადუი-ს სახითაც იხმარება. აღსანიშნავია, რომ გურულში დედა-ს მაგიერ, დედო-ა, რომელიც ყურადღების ღირსია იმ თავისი ო ხმოვნით, მეგრულ-ჭანურ დადულ-ს რომ უდგება.

უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ **დედაჲ**, **დედალი** და **დადული** თავდაპირველად გაჩენის, მშობელის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. მას შემდგომ რაც გამოირკვა, რომ დვალ ფუძე შობის აღმნიშვნელი ყოფილა, ამ მოსაზრების დამტკიცება თვით ამ სიტყვის აგებულებითაც არის შესაძლებელი. სრული ფორმები რომ ავიღოთ, **დედალი** და **დადული** გვაქვს. რაკი **დედ**-ი და **თუალ** შვილის **დაყრასა და შობას** ნიშნავდა, **დადულ**-ისა და **დედალ**-ის თავკიდური მარცვალი **და** და დე ძირეული არ უნდა იყოს. ამიტომ იგი, ან ფორმანტად, ან წინდებულად არის საგულისხმებელი. ცხადია, რომ, რაკი აქ ადამიანის მშობელის სახელი გვაქვს, მარტო ზმნის ფუძე უფორმანტოდ არსებითს სახელს ვერ შეჰქმნიდა. ამის გამო მიმლეობისა, თუ მეტყველების სავა ნაწილის ფორმანტის არსებობა ლოგიკური აუცილებლობით ამ სიტყვაშიც არის მოსალოდნელი. მართლაც **და** და ძველად **და** თავსართი, როგორც ცნობილია, სამწერლობო ქართულის სა თავსართის შესატყვისად დანიშნულების აღმნიშვნელია. ამისდა გვარად **და-დული** იმას ნიშნავს, რომლის დანიშნულებასაც შვილების გაჩენა, ან დაყრა შეადგენდა. აქ, მაშასადამე, ისეთივე წარმოება გვაქვს, როგორსაც **სა-დგამი** და **სა-ნერჩე** წარმოადგენენ. **სადგამი** **კარგ მომგებ** ცხვარს ნიშნავს, ე. ი. **რომელიც კარგ მოდგმის მომცემად გამოდგება**, ხოლო **სა-ნერჩე**-ს ისეთ მხალს ეძახიან, რომელიც შემდეგი წლისათვის თესლის გამოსაღებად არის ხოლმე განკუთვნილი. საგულისხმოა, რომ დედალ ვარიას **სა-დედლე**-საც უწოდებენ, მაგრამ ამაზე გაცილებით უფრო საგულისხმოა, რომ აჭარულ კილოში ქმარს **საკაცო** ეწოდება, ე. ი. აქაც ამ ცნების აღსანიშნავად, დანიშნულების სა თავსართია ნახმარი. სახელდობრ, აჭარულ არაკში „**გველმა პერანგი გაიძრო**“ ცოლი ამბობს: ჩემი „ოთახი იმფერ წამლით მორწყული მქონდა, რუმ ახალ შემოსულ ადამიანს ხელათ დააძინებდა. ჩემი **საკაცო** (ე. ი. ქმარი) დეიძინებდა და მე იქ ტყეში (საყვარელთან) წევიდოდი. ეს ჩემი საყვარელი კაცი ვინცხამ მომიკლა. მე მითხრა ჩემმა **საკაცომ**, რუმ მე დაგიკალიო“ (აჭარ. ხალხ. სიტყ. გვ. 32 და 39). ყველა ეს მაგალითები იმით არის საყურადღებო, რომ სქესის აღმნიშვნელ სახელებს დანიშნულების სა ფორმანტი უძღვის წინ.

დადული-საგან უ-ს ვა კომპლექსად შენაცვლებით ჯერ **დადვალი** იქმნებოდა წარმომდგარი, ხოლო ვ ს გაქრობით შემდეგ, **დადალი** გაჩნდებოდა, რომელიც შემდეგ **დედალ**-ად არის ქცეული. **დადალი** რომ მარტო თეორიულად შესაძლებელი ფორმა-კი არ არის, არამედ ასეთი ფორმა ნამდვილადაც არსებობდა, ამის დამტკიცება ჭანურითაც შეიძლება.

ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ჭანური სიტყვა **დადალი**, რომელიც ვიწურში ბოლო შეკვეცილი **დადა**-ს სახით იხმარება. ეს სიტყვა ჭანურად **ყვავილს**, ამასთანავე ხის ყვავილს-კი არა, არამედ მხოლოდ ბალახ-მცენარის ყვავილს ნიშნავს (ჭ. გ. 137). არსებობს ერთგვარი მცენარე, ბალახი, რომელსაც ჭანურად **ფერი-დადალი** ეწოდება. ნ. მ ა რ რ ი ამ ბალახის სახელს რუსულად жирная трава-დ, ე. ი. მსუქან ბალახად სთარგმნის (ჭ. გ. 193), მაგრამ, რას ჰგულისხმობს ბოტანიკურად, არა ჩანს. სიტყვა-სიტყვით კი რომ გადმოვთარგმ-

ნოთ, **ფერი დადალი** ფერის ყვავილს, **წითელი ფერის საცხებლად განკუთვნილ ყვავილს, ფერის** **დ ე დ ა ს** ნიშნავს.

მეგრულში ამ ჭანური სიტყვის მსგავსი სიტყვა, არსებული ცნობებისდა მიხედვით, არ მოიპოვება. სამაგიეროდ მით უფრო საყურადღებოა, რომ მისი შესატყვისობა ჭანურისაგან ასეთ დაშორებულ თემის ენას დაუცავს, როგორიც სვანურია. ყვავილის აღსანიშნავად სვანურს ორი სიტყვა გააჩნია: **დაილ** და **მუღვა** (იხ. ივ. ნიჟარაძის Р.-с. сл., გვ. 501: цветок). თუ უკანასკნელი, **მუ-ღვა** სვანურ თავსართს მოცილებული თავისი ძირითადი ნაწილით ყვავილ-ს უდგება და მის ბოლოშეკვეცილსა და ოდნავ ფონეტიკურად შეცვლილს ნაშთს წარმოადგენს, **დაილ** პირიქით, საფიქრებელია, ჭანურში დაცული **დადალი**-ს სვანური შესატყვისობა არის, რომელიც არსებითად მხოლოდ შუა დ-ს გაქრობით განსხვავდება.

უნებლიეთ იბადება საკითხი ამ ჭანური და სვანური სიტყვების ეტიმოლოგიისა და პირველადი მნიშვნელობის შესახებ. ჭანური **დადალი** ისე მიაგავს **დედალ**-ს და სვანური **დაილ** თავისი მეორე მარცვლის ახმოვნებით ისე გვაგონებს დედლისავე სვანურ ბალსქვემოურ სახელს **დადვილ**-ს, რომლისაგანაც **დვ** თანხმოვანთა უქონლობით განირჩევა, რომ ყვავილის და დედალის აღმნიშვნელი სიტყვების მონათესავეობის აზრი ადვილად შესაძლებელია წამოიჭრას. მნიშვნელობით ამ ორი სახელის დაკავშირება ძნელი არ არის, რათგან როგორც დედალი არსება-ნაყოფის წარმომშობელია, ისევე ყვავილიც ხომ თესლის, ანდა ნაყოფის გამომტანია. საფიქრებელია, რომ სწორედ ასეც უნდა ყოფილიყო და ყვავილის აღმნიშვნელი ეს ორი, ჭანური და სვანური, სიტყვა მართლაც იმავე წარმოშობილობისა და პირველადი მნიშვნელობის სიტყვები უნდა იყვნენ, როგორიც **დედალი**-ა.

ყველა ზემომოყვანილი მოსაზრება და საბუთიანობა, ვგონებ, უფლებას უნდა გვაძლევდეს დავასკვნათ, რომ **დედალ** თავდაპირველად სრულებით უსქეს-კატეგორიო სიტყვა არ ყოფილა და მისი ძირიც თავისდათავადაც შობა ცნების გამომხატველია. ამ ორი გარემოების წყალობით მისი სქესი უცილობელი იქმნებოდა.

§ 3. მჴდალი-ს თავდაპირველი და მეორადი მნიშვნელობა

უკვე კარგა ხანია, რომ **მხდალი** ქართულში **მშიშარასა** ნიშნავს და თანამედროვე ქართველი, რომელსაც ძველი მწერლობა შესწავლილი არა აქვს, ვერც-კი წარმოიდგენს, რომ წინათ ამ სიტყვის მნიშვნელობა სრულებით სხვანაირი იყო.

ი ო ბ ი ს 1_3-ში ნათქვამია: „**ვირი კდალი** მძოვარი ხუთას“. **ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს** ეს სიტყვა უკვე **მკრდალი**-ს სახით აქვს შეტანილი თავის ლექსიკონში და განმარტებული აქვს: „**ჭაკი ცხენი და ვირი**“-აო.

მართლაც, იობის ზემომოყვანილი ადგილის „**ვირი მკდალი**“-ს შესატყვისად ბერძნულ დაბადებაში სწერია: ὄνοι θήλειαι—ე. ი. **მკდალი** θήλεια-ს, თე-ლეია-ს და ლათინ. asina-ს უდრის, რაც ბერძნულად **დედალს**, ლათინ. **დედალ ვირს** ნიშნავდა.

საგულისხმოა, რომ ფშავში, გუდამაყარში და მთიულურში ეს სიტყვა ეხლაც დედალი ცხენის მნიშვნელობით იხმარება (იხ. მესაქ. ლ.: ჰაკი).

მაშასადამე, **ძველ ქართულში მკდალი დედალი ცხოველის აღმნიშვნელი ყოფილა**, მერმე-კი **მშიშარის** აღმნიშვნელ ზედსართავ სიტყვად ქცეულა. აქაც ბუნებრივად იბადება საკითხი, რატომ არის რომ მდედრობითი სქესის გამომხატველ სიტყვას თავისი სქეს-კატეგორიის თავსართი კი არა აქვს, არამედ **მ** ბგერა, და, სახელდობრ, რა უნდა ანიჭებდეს მას დედლობის მნიშვნელობას.

უკვე ამ ტერმინის თავკიდური მ გვაფიქრებინებს, რომ იგი ნამიმღეობევი სიტყვა უნდა იყოს. თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ ამ მიმღეობის ფუძედ უნდა **კდ** მივიჩნიოთ. თუმცა ამ ზმნას ჩვენი ტერმინის მნიშვნელობის განსამარტავად თითქოს არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ სამაგიეროდ ძველ ქართულ მწერლობაში **დედალი ფრინველისაგან შვილების გამოჩეკის გამოსახატავად** სწორედ **ႢႠႫႭႩႣႠ ზმნა გვხვდება**. მაგ. **„სახისმეტყველ"**-ის ქართულ თარგმანში ნათქვამია: კაკაბმა კვერცხებითგან **„მართუენი გამოიკადნის"**-ო (ნ. მ ა რ რ ი ს გამ. TP. VI, 28_{9-11}), **„რაჟამს მართუენი გამოიკადნის"** (იქვე 9_{8-9}), „კუერცხისა დადებითა და **მართჳსა გამოკდითა"**-ო (იქვე 15_{20-21}).

გამონათქვამის **ზეთის გამოხდა**, ანდა სხვა სითხის, მაგ.: არყისა, გახსენებაც საკმარისია იმის ცხად-საყოფელად, რომ **გამოკდაჲ**-ს **თავდაპირველი მნიშვნელობა გამოყოფაა**. წინდებულიან ზმნებს ქართულში, როგორც ცნობილია, აწმყო დროს ფორმები არა აქვთ და როდესაც აწმყო დროა საჭირო, მაშინ ზმნას წინდებული უნდა ჩამოსცილდეს. ცხადია, რომ ტერმინი **ႫႩႣႠႪႨ კდა ზმნისაგან ნაწარმოები აწმყო დროის მომღეობა უნდა იყოს**, ე. ი. იმავე **ზმნისაგან, რომელიც ႢႠႫႭႩႣႠ-ს სახით** ძველ ქართულ მწერლობაში, როგორც დავრწმუნდით, **ბარტყების გამოჩეკის** და **ზოგადად გამოყოფის** აღსანიშნავად **იხმარებოდა**. რაკი ძუძუმწოვარ ცხოველთა შობა გამოჩეკით არ ხდება, ამიტომ ცხადია **ႢႠႫႭႩႣႠჲ თავდაპირველად მარტო ფრინველთაგან-კი არა**, არამედ **ცხოველთა შვილების მოგებისა, გაჩენის, გამოყვანის აღმნიშვნელი ტერმინიც უნდა ყოფილიყო**. ამნაირად ირკვევა, რომ **თავდაპირველად ႫႩႣႠႪႨ გამომყოფელსა და გამომჩეკს, მომგებს და მშობელს ნიშნავდა** და მხოლოდ შემდეგ უნდა იყოს დედლის აღმნიშვნელადაც ქცეული.

ამგვარად **ႫႩႣႠႪႨ-ს ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ** ეს ტერმინიც თავისი **შინაარსით მხოლოდ მდედრობის გამომხატველია** და, თუმცა ის ქართული ენის განვითარების იმ ხანის ტერმინი ჩანს, როდესაც უკვე სქეს-კატეგორიები დაკარგული ჰქონდა, მაგრამ ამ სიტყვის თვით ძირი და მიმღეობის ფორმა სქესის მკაფიოდ განმსაზღვრელი იყო.

ამავე სიტყვის **მშიშარას** აღმნიშვნელად ქცევა გასაკვირველი არ არის, რათგან **დედაკაცი**-ს შერწყმული ფორმა **ႣႨႠႺႨ**-ც ხომ ამნაირადვე მშიშარის მნიშვნელობითაც იხმარება ისევე, როგორც **მამაკაცი**-ს შერწყმული ფორმა **ႫႠႫႠႺႨ**-ც გულადის აღმნიშვნელად იქცა.

თავი მეჩვიდმეტე

სქეს-კატეგორიების ნიშნების არმქონი, სქესის აღმნიშვნელი, სიტყვები სინურ-ლილღურ-ლეგურს ენებში და მათი განმარტება

სქეს-კატეგორიების ნიშნების არმქონი სქესის აღმნიშვნელი ქართული ტერმინების განხილვისა და ანალიზის შემდგომ, უნდა ამავე საკითხის გამორკვევა ე. წ. კავკასიურს ენებშიც ვცადოთ.

აქ უფრო რთული ვითარებაა, რათგან უმეტესს ამ ენათაგანს გრამ. სქესი ეხლაც შენარჩუნებული აქვს, მაგრამ, რაკი სქეს-კატეგორიების ნიშნები უძველეს ხანაში თავსართების, ხოლო შემდეგში ბოლოსართების სახითაც იხმარებოდა, სიტყვების თავი და ბოლო კიდურები-კი, როგორც ცნობილია, დროთა განმავლობაში სხვა ნაწილებზე უფრო ადვილად ზიანდება ხოლმე, ამიტომ არაერთ სიტყვას სწორედ სქეს-კატეგორიის ნიშანი აქვს დაკარგული.

ვინც ასეთ სიტყვებს, მათი წინანდელი სახის გამოურკვეველად, დაემყარება, იმას სქეს-კატეგორიათა თანდაყოლილი თვისების დებულება შესაძლებელია მცდარად ეჩვენოს, მაგრამ, თუ მკვლევარი ყოველი სიტყვის წინანდელი სახის გამორკვევასა და აღდგენას ეცდება, მისთვის სქეს-კატეგორიების დაკარგვის პროცესი უცილობელ ჭეშმარიტებად იქცევა.

ერთი იმ სიტყვათაგანი, რომელიც შესაძლებელია ჩაჩნურში თავდაპირველად სქეს-კატეგორიის არსებობის დებულების დასარღვევად იქმნეს გამოყენებული, ხარის ჩაჩნური სახელი სტუ არის. სტუ-ს ნათ. ბრ. იქმნება სტერინა, მიცემ.—სტარანა, მოქმ.—სტარალ (ჩაჩნ. ე. 210). გჵლდენშტედტის ჩანაწერითგან ჩანს, რომ ხარის ეს ჩაჩნური სახელი XVIII-ს. მეორე ნახევარშიც ამავე სახით ყოფილა (R. II, 507: Ochs Tchetschegisch Stu), ხოლო კლაპროთის ნაშრომითგან ირკვევა, რომ ეს სიტყვა XIX ს. დამდეგსაც მასაც ასევე გაუგონია (V. II, 357: Stou).

ხარის ეს ჩაჩნური სახელი იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ, თუმცა მამალი ცხოველის სახელია, მაგრამ მაინც მამრობითი სქესის არავითარი თავსართი არა აქვს. ამისდა მიუხედავად, ეს სიტყვა მკვლევარს საშუალებას აძლევს დარწმუნდეს თვითონაც და მკითხველიც დაარწმუნოს, თუ რამდენად ადვილი ყოფილა უმწერლობო ენებში სიტყვის წინანდელი აგებულების და სახის შეცვლა. საკმარისია ადამიანმა იმავე დროს გჵლდენშტედტისა და კლაპროთის ძველური და ახალი ლექსიკური მასალის ჩანაწერებში ჩაიხედოს, რომ ზემოაღნიშნული გარემოების სიმართლე ირწმუნოს.

თუ ჩაჩნურად ხარს მე-XVIII ს-ში სტუ ჰრქმევია, ამავე დროს ძველად ამავე ცხოველის სახელად თურმე უსტ-სა და ზოგჯერ უსტუ-ს ხმარობდენ (R. II, 507: „Ust“ და „Ustu“ და V. II, 357: „Oust“ და Oustou“). ორსავე ფორმას, მაშასადამე, თავში უ ჰქონია, რომელიც ვ-ს მსგავსად, როგორც დავრწმუნდით, აგრეთვე მამრ. სქესის ნიშანია.

ძველი წარმოების სიტყვათა თავსართების შეგნების სწრაფი გაქრობის გასათვალისწინებლად საყურადღებოა, რომ გ ჰ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს სამი მეოთხედი საუკუნისა და კ ლ ა პ რ ო თ ი ს ნახევარი საუკუნის შემდგომ წოვურზე მუშაობის დროს აკად. ა. შ ი ფ ნ ე რ ი ს მიერ შეგროვილი ლექსიკური მასალითგან ირკვევა, რომ ხარის სახელი წოვურად უკვე ბსტშ-დ ქცეულა (იხ. A. Shiffner, Versuch über die Thusch-Sprache, რუს. სამეც. აკადემიის Mém. VI Série, Sc. politiques etc.t. IX, 1856 წ. გვ. 147).

ამგვარადვე საყურადღებოა, რომ უ ს ლ ა რ ი ს დროს ცოლისა და დედლის სახელად ჩაჩნურად სტიჴ იყო, რომლის სახ. ბრუნვაა სტიჴჩინ, მიც. სტიჴჩუნა, მოქმ. სტიჴჩუჲ, მრ. რ. სახ. სტიეჩულ-ია (ჩაჩ. ე. 210). მდედრობითი სქესის არავითარი ნიშანი ამ სიტყვას არ უჩანს. გ ჰ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერითგან-კი ირკვევა, რომ ერთი საუკუნით უწინარეს ცოლს ჩაჩნურად ჰრქმევია ისტიშ, ქისტურად სჲელკ და წოვურად სტშინღ (R. II, 506). კ ლ ა პ რ ო თ ს ა ც ჩაჩნურისათვის ცოლის მნიშვნელობით იგივე ისტიშ აქვს აღნიშნული, ქისტურისათვის-კი Zielk სჲელკ და წოვურად სტშ, დედაკაცის მნიშვნელობით-კი სტშინღ (V, II, 362).

მაშასადამე, როგორც მოსალოდნელიც იყო, ცოლისა და დედლის სახელს მდედრ. სქესის ი თავსართი ჰქონია და ისტიშ ყოფილა, შემდეგში-კი მას მდედ. სქ. ეს ნიშანი დაუკარგავს.

საგულისხმოა, რომ გრამ. სქესის დაკარგვის პროცესი უკვე მე-XVIII ს. ემჩნევა, მაგრამ მაშინ მხოლოდ წოვურში, მე-XIX ს-ში-კი ჩაჩნურსაც დასტყობია. ძველ სიტყვებში სქეს-კატეგორიების გრძნობის მოჩლუნგებისა და შეგნების გაქრობის სიმძლავრის დასახასიათებლად საყურადღებოა, რომ წოვურს დედაკაცის აღმნიშვნელი სიტყვა მე-XIX ს. შუა წლებში უკვე ბსტშინღ-დ, ხოლო ცოლისა და დედაკაცისავე სახელი ბსტშ-დ უქცევია (შიფ. Thusch. 147), ე. ი. ბ თავსართად შეუნაცვლებია.

სქეს-კატეგორიების ისტორიის თვალსაზრისით ქისტურსა, ჩაჩნურსა და წოვურში ვერძის, მამალი ცხვრის, ჩაჩნური სახელი შისტიხი არის საყურადღებო. ყველა ბრუნვების ფორმას ფუძედ შისტიხ-ი აქვს. უ ს ლ ა რ ს რუსულად баран-ად აქვს გადმოთარგმნილი (ჩაჩნ. ე. 216). სამწუხაროდ, გ ჰ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს ამ ცხოველის სახელის ჩაწერა დავიწყებია. მაგრამ სამაგიეროდ კ ლ ა პ რ ო თ ს მოეპოვება: თავის ჩანაწერში მას ფრანგული brebis-ის, ე. ი. დედალი ცხვრის, ნეზვის ჩაჩნურ სახელად აღნიშნული აქვს „Oustghe, oustkhi“ უსტღე და უსტქი, ქისტურისად უსტღე და უსტჰ, ხოლო წოვურისად ჯა „Dja“ (V. II, 358).

კ ლ ა პ რ ო თ ი ს ცნობა უ ს ლ ა რ ი ს ზემომოყვანილ ჩანაწერს, რომლითაც შისტიხი დედლისა-კი არა, არამედ სწორედ მ ა მ ა ლ ი ცხვრის სახელია, სრულებით ეწინააღმდეგება. დედალ ცხვარს („овца“) ჩაჩნურად, ამავე უ ს ლ ა რ ი ს სიტყვით, ჟი ჰქვიან, ცხვრის ზოგად სახელად-კი დაცა არის (ჩაჩნ. ე. 170 და 174). პირიქით კ ლ ა პ რ ო თ ი ს ა გ ა ნ მოყვანილი მნიშვნელობა წოვურს კარგად უდგება. შ ი ფ ნ ე რ ი თ წოვურად შისთხ ერთ დედალ ცხვარსა ნიშნავს, ბევრს-კი ჟე ეწოდება (Thusch. 111). ჯა ჩაჩნურში ცხვრის ფარასა ნიშნავს (ჩაჩ.

ე. 174) და ეს ცნობა წოვურითაც მტკიცდება, სადაც **უე მრავალ ცხვარს**, ე. ი. **სწორედ ფარასა** ნიშნავს.

ყველა ზემომოყვანილი და ზემონათქვამი ცხად-ჰყოფს, რომ კლაპროთის **ცნობაში შეცდომა ყოფილა შეპარული: უისტიხი**-ს წოვურა მნიშვნელობა ჩაჩნურად არის აღნუსხული. ამ შემთხვევაში უპირატესობა, რასაკვირველია, ულარის ნაშრომს უნდა მიეკუთვნოს, რომლის მეშაობის სიდინჯე და სინდისიერება უეჭველია.

ამნაირად, **უისტიხი ვერძის** ჩაჩნური სახელია და **ამ სიტყვის თავშიც უი** ბგერაა, რომელიც, როგორც სხვა უცილობელ შემთხვევებითგან ვიცით, მამრ. სქესის თავსართია. საგულისხმოა, რომ ამ ხმოვნის ნამდვილი ბუნების შეგნება წოვურს ამ შემთხვევაში დაჰკარგვია და როგორც კლაპროთის ნაშრომითგან ჩანს, ეს გარემოება უკვე მე-XIX ს. დამდეგსაც საგრძნობი ყოფილა.

ჩაჩნურად მე-XVIII ს. **ცოლის** სახელი **ისტიუ** ყოფილა, მერმინდელი **სტიე**-ს მაგიერ. **ფურის** აღმნიშვნელ სახელის **ჲასტ**-ისაგან ის უმთავრესად ა-ს წინამავალი **ჲ**-ეს გავლენის წყალობით, ასიმილაციის გზით ი-დ ქცევითა და მასთან შერწყმით განირჩევა. ამგვარად, **რაკი ჲასტ** და **ჲატ დედალ საქონელს**, **ფურსა ნიშნავს**, მაშასადამე, **ცოლიც** ჩაჩნურად **დედლობის აღმნიშვნელი სიტყვითვე ყოფილა სახელდებული**.

ხარის ჩაჩნური სახელი **უსტუ** და **სტუ**-ა.

ცხვრის ჩაჩნურ-წოვურ-ქისტური სახელის **უისტიხი**-ს, თუ სქეს-კატეგორიის **უი** თავსართი ჩამოვაცილეთ, ფუძედ, ან ძირად **სტიხი** დაგვრჩება.

ზემოაღნიშნულის მსგავსად, ფრიად საყურადღებო გარემოებაა, რომ გიულდენშტედტის ჩანაწერით, **კაცს, მამაკაცს** ჩაჩნურად მე-XVIII ს. ეწოდებოდა **სტეგ**, ქისტურად და წოვურად-კი **სტაგ** (R. II, 506). კლაპროთიც ამასვე ადასტურებს, მხოლოდ ჩაჩნურად მეორე ფორმა **სტეიგ**-იც აქვს მოყვანილი (V. II, 364). ულარს-კი **სტაგ კაცის** ჩაჩნურ სახელადაც აქვს აღნიშნული, მაგრამ მისი ნათ. ბრ. **სტეგინე**, მიც. **სტაგანა** და მოქ. **სტაგა** ყოფილა. მრ. რ.-ის ფორმები სხვა, **ნāხ**, ძირისაგან არის ნაწარმოები (ჩაჩ. ე. 209).

ყველა ამ ფორმების მიხედვით, კაცის აღმნიშვნელი **სიტყვის ძირად სტაგ**-ი, ანდა **სტეგ**-ი მოჩანს. ხოლო, რაკი შიფნერის ჩანაწერით წოვურად კაცი ყოფილა **სტაკ** (Thusch. 131), **სტაგ**-ის გარდა **სტაკ**-ის სახესხვაობაც არსებობდა.

რამდენადაც მხ. რ. ნათ., მიც., მოქ. და მრ. რ. სახ. ბრუნვების მიხედვით მსჯელობა შეიძლება, **ხარის** ჩაჩნური სახელის ძველი **უსტუ**-სა და თანამედროვე **სჷუ**-ს ძირად, თუ ფუძედ უნდა **სტუ** ვიგულისხმოთ. ხოლო **ცოლისა და დედლის** ჩაჩნური სახელის ძველის **ისტიუ**-ს და თანამედროვე **სტიე**-ს **ძირად, თუ ფუძედ**, უკანასკნელის მხ. და მრ. რიცხვების ბრუნვათა ფორმების მიხედვით, **სჷიუ** უნდა მივიჩნიოთ.

მაშასადამე, **თავკიდური უ** და **ჲ** აქაც **სქესის ნიშნები ყოფილა**.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია **მოზრდილი ცხვრის** ჩაჩნური სახელი **ქა**. ამ სიტყვის ნათესავ. ბრუნვაა **კუ̄მინე**, მიც. **კუ̄მინა**, მოქმ. **კუ̄მუ**-

და მრ. რ. სახ. ბრ. კუჵმილ. დაუკოდავ ცხვარს ეწოდება ჭრი კა, დაკოდილს-კი ჭრინ ბოცუნ კა (ჩაჩ. ე. 184).[1] დაკოდილი ცხვრის ზემომოყვანილი ჩაჩნური სახელი ნიშნავს „ერი-ობის არმყოფელ ცხვარს".

ცხვრის ჩაჩნური სახელი ქა გულდენშტედტსაც მოეპოვება ქაეგ-ს (Kae') სახით, მაგრამ ეს სიტყვა მას ზოგად სახელად-კი არა, არამედ ვერძის, მამალი ცხვრის, ჩაჩნურ და ქისტურ ტერმინად აქვს მოყვანილი (R. II, 508).

როგორც ხშირად ხდება, ამ შემთხვევაშიც ცხვრის ჩაჩნურ სახელ ქა-ს თავისი ფუძე სრულად არა აქვს დაცული. მხ. რ. ნათეს., მიც. და მოქმ. ისევე, როგორც მრ. რ. სახ. ბრუნვის ფორმებითგან ჩანს, რომ მისი ფუძე ყოფილა ქუიმ, ანდა ქუემ. ხოლო, რაკი აქ უ-ხმოვნობაა, ა-ხმოვანა ფორმა, რომლის ნაშთად მრ. რ. სახ. ბრ. ქა არის, იგივე ფუძე ქაიმ-ად უნდა ვიგულისხმოთ.

ჭრი-ს ეტიმოლოგია უ ს ლ ა რ ს არა აქვს მოყვანილი. ეტყობა დაუკოდავი ცხვრის სახელზე დამყარებით, მას ნათქვამი აქვს მხოლოდ, რომ დაუკოდავსა და სქესობრივად ფიცხსა ნიშნავსო („ярый, исключительно в отношении похоти"), მაგრამ ამ სიტყვის ძირზე არას ამბობს (ჩაჩ. ე. 173).

მოყვანილი ცხვრის ჩაჩნური სახელის წინანდელი, უფრო სრული, ფორმის გამორკვევის შემდგომ, დაუკოდავი ცხვრის სახელის წინანდელი გარეგნობაც უკვე შეცვლილი წარმოგვიდგება: წინათ ასეთ ცხოველს სახელად ერი ქუიმ, ანდა ერი ქაიმ-ი ერქმეოდა.

დაუკოდავი ცხვრის ჩაჩნური სახელის ჭრი კა-ს, ანუ, როგორც წინათ უნდა ყოფილიყო, ერი ქუიმ-ისა, თუ ერი ქაიმ-ის ეტიმოლოგიის გამორკვევა მარტო ჩაჩნური ლექსიკური მასალებით შეუძლებელია. ამ საგულისხმო საკითხის გაშუქება და გადაწყვეტა მხოლოდ ქართულის საშუალებით შეიძლება.

საკმარისია მამალი ცხვრის ქართული სახელი ერქემალი გავიხსენოთ და ამავე ცხოველის დაუკოდავი მამალი არსების ჩაჩნურ სახელს ჭრი კუიმ-ს, ანდა ჭრი კაიმ-ს შევადაროთ, რომ ქართული და ჩაჩნური ამ ორი სიტყვის მსგავსება ცხადი შეიქმნეს. ერქემალი-ს ეტიმოლოგია გამორკვეული გვაქვს და უკვე ვიცით, რომ ერკემალი ვერძქემალი-საგან არის წარმომდგარი, რომელთაგან ვერძი მამალი რქოსანი საქონლის სახელია, ქემალი-კი, ქეულ-ი-ს სახითაც დაცული, თვით შინაური რქოსანი საქონლის აღმნიშვნელია.

ჩაჩნური თანამედროვე ჭრიკა-ს და წინანდელი ჭრი კუიმ, ან და ჭრი კაიმ-ის პირველი ნაწილი ჭრი ვერძი-საგან წარმომდგარ ერც-სა და ერ-ს უდრის და ამნაირად ცხვრის მამრობითი სქესის მაუწყებელი სიტყვაა, ხოლო მეორე ნაწილი ქუიმ, ანუ ქაიმ ქართულ ქემალ-სა, ქეულს და ქავილს უდრის

[1] ბოცუნ მეშველი ზმნის უარყოფითი ფორმის მიმღეობაა. უარყოფის გამომხატველი აქ ც თანხმოვანია, რომელიც, როგორც უკვე უ ს ლ ა რ ს ა აქვს გამორკვეული, ზმნაში თავსართადაც იხმარება და ბოლოსართადაც, მაგ. ვიქმნები ზმნისაგან ხილარ უარყოფითი ფორმა შესაძლებელია ორნაირად ითქვას: ცა-ხილუ-დაც და ხილაც-ადაც (იხ. ჩაჩ. ე. 22ა და § 55,— 56 გვ. 74 და 75). ბოცუნ-კი არსება ზმნისაგან ნაწარმოები მესამე, უსრულჰაააკოთა და პირუტყვთათვის განკუთვნილი, სქეს-კატეგორიის ფორმაა. მამრ. სქესისათვის უარყოფით ფორმად იხმარება ვოცუნ, მდედრ. სქ. — ჸოცუნ, მეოთხე სქეს-კატეგორიისათვის-კი დოცუნ (ჩაჩ. ე. 72).

და იმის მსგავსად ცხოველის სახელად უნდა იქმნეს მიჩნეული. ამგვარად, უეჭველია, **ჩაჩნურს ამ ტერმინსაც სქესის ნიშანი დროთა განმავლობაში უნდა ჰქონდეს დაკარგული.**

რქოსანი საქონლის ჩაჩნურ **ზოგად სახელად ბეჟინა** არის, რომელთანაც დუ მეშველი ზმნა იხმარება (ჩაჩ. ე. 161). ყველა ბრუნვებში ამ სიტყვის ფუძედ **ბეჟინ**-ი გვევლინება (იქვე).

უეჭველია ამავე ძირის სიტყვაა **რქოსანი საქონლის ნახირის** აღმნიშვნელი ჩაჩნური **ბაჟა**-ც, რომელთანაც ბუ მეშველი ზმნა იხმარება (ჩაჩ. ე. 159). **ამ სიტყვის ფუძე** მხ. და მრ. რიცხვის დანარჩენ ბრუნვებში **ბაჟან**-ისა და **ბეჟ**-ის სახით გვევლინება.

საგულისხმოა აგრეთვე, რომ **ვაცს, მამალ თხას,** ჩაჩნურად **ბუღჟ**-ი ჰქვიან, რომელთანაც მდედრობითი სქესის მეშველ ზმნას **დუ**-სა ხმარობენ (უ ს ლ ა რ ი, ჩაჩ. ე. 162). დანარჩენ ბრუნვებში ამ სიტყვის ფუძეს **ბეჟ** და **ბაჟ**-ი შეადგენს (იქვე).

დედალი თხის სახელად ჩაჩნურს გააჩნია **გაზანი**, რომელთანაც აგრეთვე მდედრ. სქ. **დუ** მეშველ ზმნას ხმარობენ (ჩაჩ. ე. 165). მხ. და მრ. რ. ყველა სხვა ბრუნვებში ფუძედ **გაზ**-ი არის (იქვე).

უკვე ის გარემოებაც, რომ **მამალი თხის** სახელ **ბუღჟ**-თან ჩაჩნები მდედრობითი სქესის **დუ** მეშველზმნას ხმარობენ, რომელიც დედალი თხის სახელ **გაზანი**-თან იხმარება, ცხადჰყოფს, რომ **ჩაჩნებს ამ სიტყვების გრამატიკული სქესის შეგნება და გრძნობა მოჩლუნგებული აქვთ.**

უ ს ლ ა რ ს რქოსანი საქონლის აღმნიშვნელი ზემომოყვანილი ჩაჩნური სიტყვების არავითარი ეტიმოლოგია არ მოეპოვება. არც გასაკვირველია, რათგან მათი აგებულობის საკითხიც-კი გამორკვეული და ნათელი არ არის. ისეთი უმწერლობო ენებისათვის, როგორიც იმ დროს სინდურ-ღილღურ-ლეგური ენები იყო, სიტყვების პირვანდელი აგებულებისა და მნიშვნელობის მიგნება მეტად ძნელია. დამწერლობის მქონებელი ენების ისტორიითგან ვიცით, რომ დროთა განმავლობაში სიტყვის ბგერითი შედგენილობა და დალაგებულობა ხშირად ისე იცვლება ხოლმე, რომ ზოგჯერ, წერილობითი ძეგლების გარეშე, თავდაპირველი ფორმის მიგნებაც-კი შეუძლებელია ხოლმე.

უკვე ჩაჩნურის წოვაურთან შედარება ცხად-ჰყოფს, რომ **უკანასკნელს ამ ძირის თავ-ბოლომოცილებული სიტყვა ცხვრის ზოგად სახელად უქცევია: ჟე** წოვაურად **ცხვრის შემკრებლობითი სახელია** (შ ი ფ. Thusch. 131). ცხადია, რომ ამ სახელს თავში ბე, ბოლოში-კი **ნა** მარცვლები აქვს დაკარგული. ამნაირად წოვაურს **მხოლოდ სიტყვის შუა ნაწილი, ჟი, შეუნარჩუნებია.**

ჩაჩნურ-წოვაური **ზემომოყვანილი სიტყვების** აფხაზურ-ჩერქეზულ-ყაბარდოულ-თან **შედარება ადამიანს დაარწმუნებს, რომ რქოსანი საქონლის აღმნიშვნელი ჩაჩნურის მსგავსი სახელები ჩრდილო-კავკასიურ ენათა სინდურ ჯგუფშიც ფართოდ ყოფილა გავრცელებული.**

გ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს აღნიშნული აქვს, რომ **კრავს** (Lam) ყაბარდოულად **შინა** (Schina) ეწოდებოდა, **თხას**-კი **ბჟან** (R. II, 531). თანამედროვე ყაბარ-

ყაბარდოულში **თხის** ზოგად სახელად **ბჟენ**-ს, ანდა **ბზჲენ**-ს ხმარობენ (რ.-ყ. ლ. 61), ციკანს-კი **ჭკიწ**-ს ეძახიან (იქვე, 62).

ცხადია, რომ **თხის** ყაბარდოული სახელი **ბჟენ** **რქოსანი საქონლის** იგივე ჩაჩნური სახელი **ბეჟინა** არის, მხოლოდ ყაბარდოულს, ჩაჩნურთან შედარებით, პირველი და უკანასკნელი მარცვლების ხმოვნები აქვს დაკარგული. გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს მიერ აღბეჭდილი **კრავის** ყაბარდოული სახელი **შინა**-ც, უეჭველია, ამავე რქოსანი საქონლის ჩაჩნურს სახელ **ბეჟინა**-სთან უნდა იქმნეს დაკავშირებული. მას მხოლოდ თავკიდური მარცვალი **ბე** აქვს ჩამოცლილი, დანარჩენი-კი კარგად დაუცავს (ბეჟინა=შინა-ს), ოღონდ ჟ თანხმოვანი შ-დ შეჰნაცვლებია, ან ეგების მაშინაც **ჟინა** იყო და მხოლოდ გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერშია ჟ ბგერა შ ასოთი გამოხატული.

აბხაზურშიც **თხის** სახელად ამ ძირის სიტყვაა: გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს აღნიშნული აქვს, რომ **დედალ თხას** (Ziege) აბხაზურად **ჟიმა** (Shima) ეწოდებოდა (R. II, 531). თანამედროვე აბხაზურში **დედალ თხას** **აჯიმა**-ს ეძახიან (აბხ. ე. § 68, გვ. 120), რომელშიც თავკიდური ა ძირეული არ არის, არამედ ჩვეულებრივი აბხაზური არტიკლია. გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერთან შედარებით, **აჯიმა**-ს შუა ხმოვანი აქვს დაკარგული და ჟ-ს მაგიერ პირველ თანხმოვნად **ჯ** არის.

ჩაჩნური **ბეჟინა**-სთან შედარებით, აბხაზურსაც, ყაბარდოული **შინა**-ს მსგავსად, **თავკიდური ბე ჩამოცილებული აქვს.** მაგრამ კრავის ყაბარდოულ სახელს უკანასკნელი თანხმოვანი **ნ** უცვლელად აქვს დაცული, აბხაზურში კი მ ბგერაა.

ზემონათქვამის შემდგომ თავისდა-თავად ცხადი გახდება, რომ **დედალი თხის** ჩერქეზული სახელი **პჩენე**-ც (ლვლ. რ.-ჩ ლ. 88—89) **ამავე ძირის სიტყვა** უნდა იყოს. ამავე ცხოველის ყაბარდოულ სახელ **ბჟენ**-თან შედარებით, მას მხოლოდ თავკიდური ბ ყრუ ბგერად, პ-დ, შეუნაცვლებია ისევე, როგორც ჟ-ს მაგიერ **ჩ** თანხმოვანი აქვს. მაგრამ **ძროხის** სახელში ჩერქეზულს ეს თავკიდური ყრუ პ ბგერაც დაუკარგავს და **ჩემშ̌**-ლა (რ.-ჩ. ლ. 91) დარჩენილა.

საფიქრებელია, რომ ჩერქეზული **ჩ** უნდა აბხაზური **აჯიმა**-ს მსგავსი ფორმის **ბჯიენ̌**-სავან იყოს წარმომდგარი.

ყველა ზემოგანხილულს სიტყვებში ბე, ბუ, ბა და პ ძირეული არ არის, არამედ თავსართია. ამ სიტყვების ფუძისა და ძირის გამორკვევა მარტო ამ ენათა ლექსიკური მასალით შეუძლებელია, ამიტომ ამაზე ცალკე გვექმნება საუბარი.

თუ ჩაჩნურ-ქისტურ-წოვური **მასალებით გამოირკვა, რომ ბეჟინა-ს მონათესავე სიტყვებში სქესის შეგნება დაკარგული ჩანს, ამ სიტყვების ჩრდილო-კავკასიურ ენათა სინდური ჯგუფის მონათესავე სიტყვებთან შედარებამ ცხად-ჰყო, რომ ბე და ბა, თუ გინდ ბუ ძირეული არ არის, არამედ სქეს-კატეგორიის თავსართებია. მეორე მხრით ამავე შედარებითმა ანალიზმა ის ფრიად მნიშვნელოვანი გარემოებაც გამოამჟღავნა, რომ** ჩერქეზულსა და ყაბარდოულს, **რომელთაც სქეს-კატეგორიები უკვე კარგა ხანია არ გააჩნიათ, წინათ ბ და პ-ს სახით ჰქონიათ.**

ხვადი კვიცის აღმნიშვნელი ჩაჩნური **ბეყი**, როგორც ვიცით, აგრეთვე სიტყვათა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელთაც თავკიდურ ბგერად თავისი სქესისათვის შეუფერებელი ბ თანხმოვანი აქვს. მხ. რ. მარტო ნათეს. ბრუნვა **ბეყინინე**-ში არის კიდევ ე-ხმოვნობა დაცული, დანარჩენ ბრუნვებსა (**ბოყუნა, ბოყუო̄, ბოყიე̄**) და მრ. რიცხვშიც ო-ხმოვანობაა (**ბოყულ, ბოყუჲ**: ჩაჩ. ე. 161).

ამგვარად **ხვადი კვიცის სახელი**, **ბეყი**-ს გარდა, **ბოყი**-ს ან და **ბოყუ**-ს სახითაც უნდა ყოფილიყო. **ამ სიტყვას მამრ. სქ. სახელისათვის ხრულებით შეუფერებელი თავკიდური ბ თანხმოვანი** აქვს. **სქესის** აღმნიშვნელი სიტყვაკი **ვეყი, ანდა ვოყუ იყო მოსალოდნელი**. საფიქრებელია, რომ ოდესღაც სწორედ ასეც უნდა ყოფილიყო.

ამ გარემოების გამორკვევაც მარტო ჩაჩნური ლექსიკური მასალით შეუძლებელია, ამჟამად არსებული ცნობებისდა მიხედვით მაინც. მაგრამ, **სამაგიეროდ ეს შედარებითი გზითა ხერხდება**. თავის დროზე და სათანადო ადგილას უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ **ხვად ცხენსა და კვიცს ქართულად** ვაჟა ეწოდება. ცხადია, რომ **ხვადი კვიცის** ეს ქართ. სახელი ვაჟა და **ხვადი კვიცისავე** ჩაჩნური სახელი ბეყი და წინათ არსებული ბოყუ ერთი-და-იგივე სიტყვაა. მხოლოდ ქართული ა-ხმოვანა, ჩაჩნური კიდევ ე და ო-ხმოვანა სახესხვაობას წარმოადგენს. **ქართ. სახელს იმ მხრივ აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომ ვ-თანხმოვანით იწყება, სწორედ იმ ბგერით, რომელიც მართლაც გრამ. მამრ. სქესის თავსართოვანი ნიშანია.** ჩაჩნურში-კი ამის მაგიერ ბ თანხმოვანია, რომელიც სულ სხვა სქეს-კატეგორიისათვის იყო და არის ეხლაც განკუთვნილი. ამის გამო, ვგონებ, უფლება უნდა გვქონდეს დავასკვნათ, რომ **ქართულს ხვადი კვიცის სახელი** ჩაჩნურში, რომელსაც თავკიდური სქესის **ვ** ნიშანი დროთა განმავლობაში ბ ბგერად უქცევია, **უკეთესად აქვს დაცული.**

თუ სიტყვა ვირი თაბასარანულ დიალექტში **შუა ხნის მამაკაცსა** ნიშნავს და არსებითი სახელია, გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერითგან ჩანს, რომ მე-XVIII ს. **მამაკაცს ვირიჩუ** ჰქრმევია (Mann—Wiritschu: R. II 521). **ჩუ კაცსა ნიშნავს და ვირი აქ უკვე ზოგადად მამრ. სქესის გამომხატველია.**

საკმარისია **დის** თაბასარ. და აღულ. სახელი **ჩი დისავე** წახურულს სახელს **ჲიჩი**-ს (იხ. ორივე აღ. ე. 167) შეადაროს ადამიანმა, რომ საქმის ვითარება ცხადი გახდეს. თაბასარანულსა და აღულურს **დის აღმნიშვნელი სიტყვის პირველი, სწორედ მდედრობითი სქესის გამომხატველი თავსართის შემცველი, ჲი მარცვალი დაუკარგავს.**

ამგვარადვე **ძმის** თაბასარ. სახელი **ჩი** და აღულ. **ჩუ**-ც (აღ. ე. 167) **ამ სიტყვის მხოლოდ** მეორე **გადარჩენილი მარცვალი**-ღაა. ამის დასარწმუნებლად **ძმისავე** უდური სახელის გახსენებაა მხოლოდ საჭირო. თუმცა **ამჟამად** უდურსაც **არ გააჩნია სქეს-კატეგორიები, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მას ძმის ხახელის პირვანდელი ფორმა მაინც კარგად აქვს დაცული: ძმას** უდურად ვიჩი ეწოდება (აღ. ე. 167). **მამრ. სქესის თავსართი აქ მთლიანად არის დაცული.**

ძმისა და დის სახელებს, სწორედ სქესის გამომხატველი თავკიდური მარცვლის დაკარგვის შემდგომ, მარტო საერთო ნაწილი ჩი-ღა შერჩათ და ამის წყალობით ისე გამოდის, თითქოს ორივე სქესისათვის თაბასარანულსა და აღუ-

დურს ერთი-და-იგივე სიტყვა ჰქონდეს, მაგრამ ეს, როგორც ირკვევა, მერმინ-დელი მოვლენაა.

ამავე მიზეზის წყალობით, **ჩი**-ს თავკიდური სქესის ფორმანტის დაკარ-გვის გამო, უდურმა ამ დანაკლისის შესავსებად და **ჩი**-სათვის **მდედრ. სქესის** მნიშვნელობის მისანიჭებლად, **დის სახელი** ორნაწილედი სიტყვით გამოჰხატა. უდურად **დას** ეხლა **ხუნჩი** ეწოდება. მას მდედრ. სქესის თავსართი არა აქვს, მაგრამ სამაგიეროდ იგი **ხუნ**-ისა და **ჩი**-საგან შესდგება.

ხუნი უდურად **ფურს**, **დედალ ზროხას** ნიშნავს და იმავე დროს **საერთოდ დედალსაც** (ალ. ე. 160). **ხინჭარ**-კი უდურადვე **ქალიშვილსა** ჰქვიან (ალ. ე. 165). რაკი **ჩი** ორივე სქესის გამომხატველი მარცვალი იყო, ამიტომ უდურმა დის აღსანიშნავად **ჩი**-ს წინ მდედრობის აღმნიშვნელი სიტყვა **ხუნ**-ი მიუმატა.

ცოლის წახურული სახელი **ჰიუნეშე** (ალ. ე. 161), რომელსაც აგრეთვე მდედრ. სქესის თავსართი არა აქვს, ასევეა ნაწარმოები: იგიც **დედლის** აღმნი-შვნელი **ხუნი**-ს და **ეშე**-საგან არის შემდგარი, რომელთაგან უკანასკნელი **დის** ანდიური და ბოთლიხური სახელის **ჲეში**-ს მსგავსი ფორმის მდედრ. სქესის **ჲ** თავ-სართ-ჩამოცლილ ნაშთს წარმოადგენს.

თავი მეთვრამეტე

სქეს-კატეგორიების ოდინდელი არსებობის საკითხი სინდურ-ლეგურს ამჟამად უსქეს-კატეგორიო ენებში

რაკი სქეს-კატეგორიების ღილღურ-დაღისტნურ ენებში დასაწყისითგანვე არსებობის საკითხი უკვე საკმაოდ არის გამორკვეული, ეხლა შესაძლებელია იმ საკითხის გამორკვევასაც შევუდგეთ, ჰქონდათ, თუ არა, კავკასიის იმ ენებსაც, რომელნიც ამჟამად სრულებით უსქეს-კატეგორიო ენებია (ადიღეურ-ჩერქე-ზულ-ყაბარდოულსა და დაღისტნის ენათა ერთ ჯგუფს ისევე, როგორც უდურ-საც) წინათ ოდესმე მაინც გრამ. სქეს-კატეგორიები?

ნაწილობრივ ამაზე უკვე წინა თავშიც მოგვიხდა მსჯელობა მაგრამ ეხლა ეს საკითხი უნდა არსებითად განვიხილოთ.

სქეს-კატეგორიების ღილღურ-ლეკურ ენებში ბგერითი ნიშნების არსე-ბულ მწყობრს თითქოს სრულებით არღვევს **მამის** ჩერქეზული სახელი **ჲატტე, ტტე** (რ.-ჩ. ლ. 135), რომელიც ნათესაობის აღმნიშვნელ სხვა ჩერქეზულსავე სიტყვებშიც არის დაცული, მაგ. **პაპას** ეწოდება **ჲატე შხუო** (იქვე, 161), ე. ი. მამა-დიდი, **ბიძას ჲატეშე** (იქვე 61), ე. ი. მამის ძმა.

მამის აღმნიშვნელ ამ სიტყვას **ჲატტე**-ს თავში **ჲ** ბგერა აქვს, **რომელიც** ღილღურ—ლეკურ ენათა იმ ჯგუფში, სადაც სქეს-კატეგორიები არსებობს, რო-გორც დავრწმუნდით, მამრობითი სქესის ნიშანი-კი არ არის, არამედ **სწო-რედ მდედრობითისაა.** თუ **ჲატტე**-ში თავკიდური **ჲ** ძირეული არ არის და თავ-სართია, მაშინ უცნაური გარემოება გვექმნებოდა, რომ მამრობითი სქესის აღმ-

ნიშნელ სახელს გრამატიკულად მდედრობითი სქესის თავსართი ჰქონია. ასეთი შეუსაბამობა, თუ მას რაიმე გონივრული და დამაჯერებელი განმარტება არ მოეძებნა, გვაფიქრებინებდა, რომ ჩერქეზულს ჩაჩნურ-ლუნძურის მსგავსი სქეს-კატეგორიები არ ჰქონია და **ჲ** სრულებით თავსართი არ არის.

რაკი ჩერქეზულში სქეს-კატეგორიების არსებობის საკითხის გამოსარკვევად **ჲატტე**-ს ესოდენი მნიშვნელობა ენიჭება, ეს გარემოება მკვლევარს ავალებს, წინასწარ გაითვალისწინოს, ეს სიტყვა უცხო ხომ არ არის, საერთოდ მოეპოვება, თუ არა, მას უცილობლად მეზობელთა ენებში მონათესავე და თვისტომი და რამდენად ძველი უნდა იყოს იგი.

ირკვევა, რომ ეს სიტყვა ყაბარდოულშიც ყოფილა. გ ჰ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს აღნიშნული აქვს, რომ **მამას** ყაბარდოულად Jada **ჲადა** ეწოდებოდა (R. II, 529). ხოლო **პაპას** Iadema Jada **ჲადემა ჲადა** (იქვე). რაკი **მ** ბოლოსართი ყაბარდოულში ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტია, ამიტომ ზემომოყვანილი სიტყვა **მამის-მამა**-ს ნიშნავს. პაპის ეს ყაბარდოული სახელი იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ აქ მამის სახელის იგივე ფორმა **ჲადე** არის დაცული, რომელიც ჩერქეზულს აქვს. თუმცა თანამედროვე ყაბარდოულში **მამას ᲓᲐᲓᲔ** ჰქვიან (რ.-ყ. ლ. 41), მაგრამ გ ჰ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერი რომ სრულებით სწორე უნდა იყოს, ამას თუნდაც **პაპის** თანამედროვე ყაბარდოულშიც დაცული სახელი **ᲐᲓᲔᲨᲮᲝ** (რ.-ყ. ლ. 41) რომელიც, ჩერქეზულის მსგავსად, დიდ (**შხო**) მამას (**ადე**) ნიშნავს, უცილობლად ამტკიცებს.

ამაზე მეტის გამორკვევაც შეიძლება: თანამედროვე ყაბარდოულსაც-კი შენარჩუნებული აქვს რამდენიმე სიტყვა და ტერმინი, რომელთაც მამის ეს **ჲადე** და მასზე უძველესი ფორმაც-კი დაუცავთ. **მამის ქონების მემკვიდრეს** ყაბარდოულად **ჲადე ყახიჲენარ ზეჲ**-ს ეძახიან (რ.-ყ. ლ. 80: НАСЛЕДНИК), რომელშიც **ჲადე მამას, ყახიჲენარ შთამომავალსა** და **ზეჲ მფლობელს** ნიშნავს, მთლიანად-კი ეს ტერმინი სიტყვა-სიტყვით „**მამის შთამომავალი მფლობელი**"-ს გამომხატველია.

გ ჰ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ა გ ა ნ ჩაწერილი **პაპის** სახელის მსგავსი თანამედროვე ყაბარდოულში სხვა ფორმაც არის დაცული, ამასთანავე უფრო სრულადაც: **პაპის მამას ჲადემ ჲადეჟ**-ს უწოდებენ (რ.-ყ. ლ. 127). ეს სიტყვა **წინაპარსაც** ნიშნავს (იქვე 128). რაკი **ჲადემ**, როგორც დავრწმუნდით, ნათეს. ბრუნვის ფორმაა და **მამისა**-ს ნიშნავს, ამ ტერმინის მეორე ნაწილი **ჲადეჟ** ამ სიტყვის სახელობითი ბრუნვის დამცველი ყოფილა. მაშასადამე, **მამას** ყაბარდოულად **ჲადეჟ-იც ჰრქმევია**.

თავკიდური ჲ რომ ჩერქეზულში წინათ უფრო **მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი თავსართი უნდა ყოფილიყო**, ვიდრე მამრობითისა, **ამას დედის** ჩერქეზული **სახელი ჲანჭე** (რ.-ჩ. ლ. 105) **ამტკიცებს**, რომელსაც თავში სწორედ **ჲ** ხმოვანი აქვს. თვით სიტყვა **ჲატტე**-ც რომ თავდაპირველად, უეჭველია, მდედრობითი სქესის არსების სახელი იქმნებოდა, ამას ის გარემოებაც გვაფიქრებინებს, რომ სიტყვა **ჲატ** ჩაჩნურშიც არსებობდა და არსებობს ეხლაც და **სწორედ დედალი ცხოველის, ფურის, აღმნიშვნელია** (ჩ. ე. 40 და 182). ეს სიტყვა, როგორც დავრწმუნდით, უკვე გ ჰ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს ა და კ ლ ა პ რ ო თ ს ა

აქვთ ჩაწერილი და პირველის ცნობით ფურს ჩაჩნურად და ქისტურად Iet ჲეტ, ხოლო წოვათუშურად ჲეტე jete ეწოდებოდა (R. II, 507). ამასვე მეორე მეცნიერიც ადასტურებს, რომელიც ამავე წოვათუშურის სიტყვის მეორე ფორმას yetto ჲეტტო-საც ასახელებს (V. II, 373).

ზემოხსენებული ორი მკვლევარის ცნობა რომ სწორეა და ჲატ-ის პარალელური ფორმა ჲეტტ მართლაც ყოფილა, ეს უ ს ლ ა რ ი ს ჩანაწერითგანაც ჩანს (ჩაჩ. ე. 182).

საყურადღებოა, რომ ფურის აღმნიშვნელ ამავე სიტყვას ჩაჩნურშიც ასეთივე გარემოება ახლავს თან: მასაც თავკიდური ნაწილი ეკარგება. მხოლოდ მთელი მარცვლის მაგიერ, პირველი ჲ ხმოვანი. სახელდობრ ფურის ჲატ-ის ნათეს. ბრუნვა თუ ჲეტინა-ია, მიცემითი უკვე ატტანა-ა, მოქმ. ბრ. - ატტუო და მრ. რ. სახელობ. ბრ. ატტალ. ამნაირად ამ სიტყვას ამ ბრუნვებში ფუძედ ჲატ-ის მაგიერ ატტ-ი აქვს. თუ გავიხსენებთ, რომ თავკიდური ჲ სწორედ სქესის მაჩვენებელია, მისი ჩაჩნურშიც დაკარგვის გარემოება დაგვარწმუნებს, რომ ჲ თავსართის ბუნებისა და დანიშნულების შევნება და თვით გრძნობაც-კი ისეთ ენებსაც-კი, რომელთაც სქეს-კატეგორიები კარგად აქვთ დაცული, ძველი სიტყვებისა და ტერმინების სფეროში უკვე, ან ძალზე მოჩლუნგებული, ანდა დაკარგულიც-კი აქვთ.

ზემომოყვანილი ყველა მოსაზრება უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჲატტე თავდაპირველად ჩერქეზულშიც მდედრობითი სქესის არსების აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო და მხოლოდ შემდეგში, როდესაც ჩერქეზულს გრამატიკული სქეს-კატეგორიები დაუკარგავს და ამ სიტყვის პირვანდელი მნიშვნელობა უკვე გაუგებარი გამხდარა, ჯერ ზოგადად მშობელის მნიშვნელობა მიენიჭებოდა, ხოლო მერმე უნდა იყოს მამის აღმნიშვნელ სიტყვადაც ქცეული. ამავე ხანაში მას თავკიდური ჲა მარცვალიც, რომელიც მდედრ. სქესის ჲ თავსართს შეიცავს, სცილდება და მამის პარალელურ სახელად მხოლოდ ტტე-ღა რჩება.

ჲატტე-ს, რომელიც, როგორც დავრწმუნდით, თავდაპირველად დედალი არსების აღმნიშვნელი იყო და შემდეგში, ჩერქეზულსა და ზოგს სხვა ენებშიც, მამის სახელად იქცა, თავისი ოდინდელი ბგერითი შედგენილობა სრულად არა ჰქონია დაცული. ამ სიტყვას რომ ჩერქეზულში თავკიდური მარცვალი ჲა ეკარგება და მამის სახელი ტტე-ღლა გამოითქმის ხოლმე, ამაზე უკვე გვქონდა საუბარი. მაგრამ ჲატტე-სა და ატტე-ს არც თავისი ბოლოკიდური ნაწილი დაუცავს სრულად.

ჩაჩნურში ამ ძირს უკანასკნელი ხმოვანი ე-ც-კი დაუკარგავს და ფურს იქ ეწოდება ჲატ. პაპის მამის ზემომოყვანილი ყაბარდოული სახელი-კი ჲადემ ჲადეჟ, რომელიც მამის მამა-ს ნიშნავს, ცხად-ყოფს, რომ მამას წინათ ყაბარდოულად ჲადეჟ-ი ჰრქმევია. რაკი ჟ ფორმანტი ყაბარდოულში არ არსებობს, ამიტომ ეს თანხმოვანი ძირეული უნდა იყოს.

მამის სახელს ბოლოკიდური თანხმოვანი რომ წინათ მართლაც ჰქონდა და ჟ რომ ყაბარდოულში მერმინდელს, შემთხვევითს შენაზრდს არ წარმოადგენს, ამას გ ვ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერიც ამტკიცებს. მისი ნაშრომი დაარწმუნებს

ადამიანს, რომ ჩერქეზულის **მსგავსი მამის** აღმნიშვნელი **სახელი წინათ** ჩაჩნურსაც **ჰქონია.** მისი ჩანაწერითგან ირკვევა, რომ მე-XVIII ს. მეორე ნახევარში **მამის** წოდებით ბრუნვად („**მამავ**“) ჩაჩნურად, ქისტურად **და** წოვურად უხმარიათ Attig **ატტიგ** (R. II, 502). მაშასადამე, ბოლოში მას **გ** ბგერა ჰქონია. საფიქრებელია, რომ ყაბარდოულშიც ბოლოკიდური ჟ-ც იმავე გ-ს, მხოლოდ ჯ-დ შენაცვლებულის, შუალედი თანხმოვანისაგან უნდა იყოს წარმომდგარი. ამნაირად, ამ სიტყვის ფონეტიკურ სახესხვაობად **ატტიგ, ატტიჯ, ატტიჟ, ატტე,** და **ატტ-ი** გვაქვს.

უნდა გათვალისწინებული გვქონდეს, რომ ეს სიტყვა ჩერქეზულში **მარტო ადამიანთა მამის აღსანიშნავად-კი არ იხმარება, არამედ ცხოველთა,** სახელდობრ, **ფრინველთა სამეფოსთვისაც.** მაგ. **მამალ ქათამს** ჩერქეზულად **ატაკჷ** ჰქვიან (ჩ.-რ. ლ, 174). ეს სახელი ორი ნაწილისაგან შესდგება: **ატა**-სა და **კჷ**-საგან, რომელთაგან უკანასკნელი **ქათმის** ჩერქეზული სახელის, **კეტჷ**-ს, პირველს შერჩენილ მარცვალს წარმოადგენს. ცხადია, რომ **ზემომოყვანილ სიტყვაში ქათმის მამრობითობის გამომხატველი ატა ყოფილა, რომელიც ამნაირად მამლის აღმნიშვნელი სიტყვა გამოდის.**

ისევე, როგორც **ფურის** აღმნიშვნელ ჩაჩნურ სახელს **დატ**-ს თავსართად მდედრობითი სქესის **დ** ფორმანტი აქვს, საფიქრებელია, **მამლის აღმნიშვნელ ამავე ძირის სიტყვას,** რომელიც **მამალი ქათმის** ჩერქეზულს სახელ **ატა-კჷ**-შია დაცული, თავდაპირველად **მამრ. სქესის თავსართი უნდა ჰქონოდა და მხოლოდ გრამატიკული სქესის ჩერქეზულში გაქრობის წყალობით უნდა იყოს დროთა განმავლობაში ეს მ თავსართი ჩამოცილებულ-დაკარგული.** თუ ამნაირი მოვლენა, როგორც **დატ**-ის მიცემითი. მოქმედებითი და მრ. რ. სახელობითი ბრუნვების განხილვის დროს დავრწმუნდით, თვით გრამატიკული სქესის მქონებელ ენებშიც-კი მომხდარა, მით უმეტეს ეს ამ თვისების დამკარგველ ენებშია დასაჯერებელი და საგულისხმებელი.

როგორც დავრწმუნდით, მე-XVIII ს. მეორე ნახევარში ჩაჩნეთში, ქისტეთში და წოვეთში **მამას ატტიგ**-ს უწოდებდნენ. ამასთანავე უკვე გამორკვეული გვაქვს, რომ **ამავე ძირის ბოლომოკვეცილი, მაგრამ მდედრობითი სქესის დ თავსართ-ის მქონებელი სახელი** ჩაჩნურში **დატ დედალი სხვილფეხა რქოსანი საქონლის, ფურის, აღმნიშვნელია.** ვინც ცხოველთა ჩერქეზულ სახელებს და მათ აგებულებას ჩაუკვირდება, დარწმუნდება, რომ აქ **იგივე ძირი წვრილფეხა რქოსანი საქონლის აღსანიშნავადაც უხმარიათ. მაგ. მამალ თხას** ჩერქეზულად **ტჷკიოხო** ეწოდება (რ.-ჩ. ლ. 88-89).

ტჷკიოხო რთული სიტყვაა: **ოხო** და **ხუ** ჩერქეზულად და ყაბარდოულად **მამალსა** ნიშნავს, ამის გამო, ცხადია, რომ აქ **ტჷკი თხის ზოგადი სახელი გამოდის, სქესისდა მიუხედავად,** რათგან ამ ცხოველის სქესის განმსაზღვრელი ამ სიტყვაში **ოხო** არის. თუ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ **ტჷკი**-ს მართლაც სქესის არავითარი თავსართი არ უძღვის წინ, მაშინ სქესისდა მიუხედავად **ტჷკი**-ს ზოგადი აღმნიშვნელობა სრულებით ბუნებრივი გვეჩვენება.

ეს სიტყვა **ტჷკი** თავისი ბოლოკიდური მარცვლით **კი**-თ არის საყურადღებო. ამავე ძირის სიტყვა, რომელიც ჩაჩნურ-ქისტურ-წოვურშია დაცული და

მამას ეწოდება, როგორც დავრწმუნდით, ᲐᲢᲢᲘᲑ-ად ითქმის. ᲢᲔᲙᲘ-ს თავში ატ მარცვალი აკლია, ანდა, რაკი გაორკეცებული ტ არც ჩაჩნურ ჟატ-სა აქვს, მხოლოდ ა ხმოვანი აკლია და კ თანხმოვანი გ-დ აქვს გამჟღერებული. ამგვარად, თუ ამ სიტყვის თავკიდურსა და ბოლოკიდურ ნაწილებზე ყველა ზემოთქმულს საბოლოოდ თავს მოვუყრით, დავრწმუნდებით, რომ თავდაპირველად ფურის და სხვა საქონლის, თუ ცხოველის წინანდელი სახელი ჟატეკი, ან ჟატეკი უნდა ყოფილიყო, მამალი ცხოველისა-კი ᲨᲐᲢᲘᲙᲘ.

რაკი ჟატტე და ᲢᲢᲔ ჩერქეზულად და ჟადეჟ ყაბარდოულად მამას, ჩაჩნურ-ქისტურ-წოვურად ᲐᲢᲢᲘᲑ მასვე, ხოლო ჩაჩნურად ჟატ ფურს, ᲢᲔᲙᲘᲝᲮᲝ-კი ჩერქეზულად მამალ ცხვარს, ანუ ბოტსა ნიშნავს, ამიტომ ცხადი ხდება, რომ ამ სიტყვების ძირი ადამიანისაცა და პირუტყვისაც, საერთოდ ზოგადად ცხოველის ცნების გამომხატველად უნდა მივიჩნიოთ.

ისეთ სიტყვათა ჯგუფს, რომელთაც, მოლოდინისდა მიუხედავად, სქეს-კატეგორიის არავითარი ნიშანი არ ემჩნევა, მამალი ხბოს ჩაჩნური თანამედროვე სახელი ჵსი-ც ეკუთვნის. მაგრამ, უეჭველია, მას თავკიდური თანხმოვანი, სწორედ მამრობითობის აღმნიშვნელი, შ აქვს დაკარგული. ამის ცხად-საყოფელად საკმარისია გავიხსენოთ, რომ სახარე ხბოს ყაბარდოულად ვგხჟე (რ. ყ. ლ.: бычек), აფხაზურად-კი აჰუგსჾ-ი ეწოდება (აბხ. ე. 219 ლითოგრ.). ამავე პირუტყვის აღსანიშნავად ჩაჩნებსა რომ ჵსი აქვთ (ჩაჩ. ე. 174), რა თქმა უნდა, იგი პირველი ორის მონათესავე სიტყვაა. მაგრამ, თუმცა ყაბარდოულსა და აფხაზურს ე ხმოვანი გ ნახევარ-ხმოვნად უქცევიათ, სამაგიეროდ თავკიდური შ თანხმოვანი, რომელიც სწორედ მამრ. სქესის თავსართია, ყაბარდოულს სრულად დაუცავს. აფხაზურს-კი ვ ოდნავ შეუცვლია და გაპალატალებულ ბგერა ჰ-დ უქცევია, რომელიც შერწყმულ ჰვ ბგერას წარმოადგენს. ვ თავსართის ასეთი შენაცვლება, ასპირატის გაჩენის წყალობით, უკვე მისი გაქრობის იმ პროცესის დასაწყისია, რომელიც ჩაჩნურში სრულებით დამთავრებულია, სადაც წინანდელი ᲨᲔᲡᲘ-ს მაგიერ უკვე ჵსი-ღა არის დარჩენილი.

ზემოგანხილული მაგალითი ორი მხრით არის განსაკუთრებული ყურადღების ღირსი: ერთი მხრით ამ ჟამად სრულებით უსქეს-კატეგორიო ყაბარდოულსა და ნაწილობლივ კატეგორიების მქონებელს აბხაზურს მამრ. სქესის თავსართიანი სიტყვა აქვთ დაცული, მეორე მხრით-კი, რომ სქეს-კატეგორიების მქონებელს ჩაჩნურს აქ სწორედ მამრობითი სქესის ნიშანი აქვს დაკარგული.

გ ვ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი თ ძმას სამხრეთ-დასავლურ (Kuschas. Abass.) აფხაზურად ჩი (Tschi), ხოლო ჩრდილო-აღმოსავლურად (Altekes. Abass.) ᲐᲨᲔ (Asche) სწოდებია (R. II, 529). კ ლ ა პ რ ო თ ს-კი ამავე ცნების გამომხატველ აფხაზურ სიტყვებად ჩაწერილი აქვს ᲝᲐᲨᲐ (Oacha), ჩი (tchi) და აჩჱ (atchè), რომელთაგან უკანასკნელი ჩრდილო-აღმოსავლური (Alteks.) არისო (V. II, 428).

უ ს ლ ა რ ს აღნიშნული აქვს, რომ, თუმცა ძმას აფხაზურად ა̂ჟჵშჲა ეწოდება, მაგრამ ამ სიტყვის ზედმიწევნითი გამოთქმა თურმე სათუო ყოფილა: ეს სიტყვა, საუბრის დროს, გამოთქმით თურმე ა̂აშჲა-ს უახლოვდებოდა, ხოლო პიროვნული კუთვნილების აღნიშვნის დროს, როდესაც ნაცვალსახელოვანი

თავსართები ერთვის, აშჷა-დ გამოითქმისო, მაგ **ჩემი ძმა** იქმნება — **საშჷა́**, **იმათი ძმები რა́შჷცუა** (აბხ. ე. 222).

თუ უსლარის უკანასკნელ ცნობებს გავითვალისწინებთ, მაშინ ცხადი გახდება, რომ გვლდენშტედტის **ჩანაწერი აშე უსლარისაგან აღნიშნულ ძმის იმ აშჷა ფორმას, რომელსაც ნაცვალსახელოვან თავსართებთან ერთად ხმარობდნენ, საკმაოდ კარგად უდგება.**

ძმის მეორე აბხაზური სახელი **ჩი** და **აჩე** დაღისტნის **ენებშიც** ფართოდ არის გავრცელებული, სადაც ზოგადად კაცსა **ნიშნავს.**

გვლდენშტედტით **დას** სამხრეთ-დასავლურ (Kuschhas. Abass.) აბხაზურად **ჩი** (Tschi), ხოლო ჩრდილო-დასავლურად (Altekes. Abass.) **აშე** (Asche) ჰრქმევია (R, I!, 529). კლაპროთს-კი, **ტაბჴუა́, კშა,** და **აკშე́** (Tab'khá, Khcha, A. àkhché) ჩაუწერია (V. II, 432).

უსლარის ჩანაწერით **დას ააჰჷშჷა́,** ანდა **აჰჷშჷა** ჰქვიან, მაგრამ ამასთანავე იმ გარემოებისთვისაც მიუქცევია ყურადღება, რომ ეს **სიტყვა ხშირად** **ადეჰჷშჷა́-დაც გამოითქმოდა ხოლმე** (აბხ. ე. 190).

უსლარი ფიქრობდა, რომ **დის** აბხაზური სახელი **ააჰჷშჷა́**, ანუ **ადეჰჷშჷა́**, ნათესაობის აღმნიშვნელი ზოგიერთი სიტყვებივით, სისხლის აბხაზურ სახელ **აშჷა́-სთან** არის დაკავშირებული (აბხ. ე. 190).

კლაპროთით ჩერქეზულად **ძმას დელტგჳ** და **შიშ** (Delt'kh. chich) ეწოდებოდა (V. II, 397). ლულიეს-კი **ძმის** ჩერქეზულ სახელად მხოლოდ **სშე** უწერია (რ.—ჩ. ლ. 11).

კლაპროთს აღნიშნული აქვს, რომ **დას** ჩერქეზულად **შეპკუ, შუფკ** და **შიოგ-ი** ერქვა (Chèpkhou, choupkh, chiog': V. II, 405). ლულიეს მხოლოდ **შიპხე** მოეპოვება (რ.—ჩ. ლ. 189).

გვლდენშტედტით **ძმას** ყაბარდოულად **შჩე** (Schtsche) სწოდებია (R. II, 529), ლოპატინსკის ლექსიკონში-კი **ძმის ზოგად სახელად დეტლიხუ** აქვს, ხოლო **უფროსი ძმის შგნაკზი, უმცროსისა შგნაკგსიცე** (რ.—ყ. ლ. 11).

პირველი ამათგანი კლაპროთის **დელტგჳ**-ს უდრის, რომელიც მას ჩერქეზულ სახელად აქვს მოყვანილი.

გვლდენშტედტით **დას** ყაბარდოულად **შჩიფხუ** (Stschipchu) ჰრქმევი R. II, 529), ლოპატინსკის-კი **შგპხუ** აქვს დასახელებული (რ.—ყ. ლ. 151) ე. ი. რაც კლაპროთს ჩერქეზულ სახელად უწერია.

საკმარისია უსლარისაგან შენიშნული ზემომოყვანილი **დაკვირვება მისა და დის აბხაზური სახელების გამოთქმის აღრევის შესახებ** გაითვალისწინოს ადამიანმა და შემდეგ თვით ამ სახელებს ჩაუკვირდეს, რომ ეს გარემოება თვალწინ უფრო მეტი სიცხადით წარმოუდგეს. **ამ პროცესის უკვე** მე-XVIII ს. **მეორე ნახევარში არსებობა შესაძლებელია** გვლდენშტედტის **ჩანაწერითაც დადასტურდეს: ძმისაცა და დის სახელადაც** მას აბხაზურში **აშე** აქვს აღნიშნული. ეგების მან და მისმა თანაშემწემ **ჰჷ** ბგერა, რომელიც **დის** სახელში ეხლა **შჷ** ს წინ უძღვის, ვერ გაარჩიეს და ამის წყალობით დის სახელი ძმისას დაემსგავსა? მაგრამ თანამედროვე გამოთქმითაც ხომ ამ ორ სიტყვას, **აშჷ-სა**

და აჰʳშჷა-ს შორის, მეტად მცირე განსხვავებაა, რომ ამით მათი სხვადასხვა წარმოშობილობის დამტკიცება შეიძლებოდეს. ამის გამო ადამიანს ისეთი შთაბეჭდილება ჰრჩება, თითქოს ძმასა და დას აფხაზურად ერთი სახელი ჰქონოდეს.

ზემოაღნიშნულ შთაბეჭდილებას უ ს ლ ა რ ი ს დაკვირვებაც ადასტურებს. მას შეუმჩნევია ის გაურკვევლობა, რომელიც ძმისა და დის აბხაზურ სახელებს ეტყობოდა: ძმას ა̂ჲეშჷა ერქვა, მაგრამ საუბარში ხშირად ა̂აშჷა-დ, ხოლო კუთვნილებითი თავსართიან ფორმაში მხოლოდ აშჷა-დ გამოითქმოდა. ამგვარადვე დას ააჰʳშჷა́-ს, ან და აჰʳშჷა-ს უწოდებენ, მაგრამ ხშირად დის სახელად აჲეჰʳშჷა-საც ხმარობენ. საკმარისია ადამიანმა ა̂ჲეშჷა-ს, ძმისა, და აჲეჰʳშჷა́-ს დის, სახელები ერთმანეთს შეადაროს, რომ დარწმუნდეს, თუ რამდენად მცირეა ამ ორს სახელს შორის განსხვავება ამ შემთხვევაშიც: ზედმეტი ჰʳ ბგერა და, წინმყოფ მახვილს მაგიერ, ბოლოში მოქცეული მახვილი დის სახელში. **უკვე ის გარემოება, რომ დისა და ძმის სახელების განსასხვავებლად და ერთმანერთისაგან განრჩევის გასაადვილებლად ენამ მახვილის ადგილმონაცვლება მოიშველია, ცხადჰყოფს, რომ ზედმეტი ჰʳ ბგერა დის სახელში იმდენად არსებით განსხვავებას არ ჰქმნის, რომ მსმენელს ძმისა და დის სახელების სისწორით გაგება გაუადვილოს.**

ძმისა და დის აფხაზური სახელების თითქმის სრული ბგერითი იგივეობა ადამიანს აფიქრებინებს, რომ შესაძლებელია აქ ზოგადი, შვილობის აღმნიშვნელი, სიტყვა გვქონდეს, რომელსაც დის აღსანიშნავად შუაში სქესის გამომხატველი ჰʳ ბგერა ერთვოდა.

შესაძლებელია ადამიანს ეფიქრა, რომ ჰʳ ბგერა ასულის აღმნიშვნელ ა-ფჰა́-სთან, ანდა დედაკაცის სახელ ა-ფჰʳჷს-თან არის დაკავშირებული, მაგრამ სხვა ამის მსგავსი მაგალითი, რომ აბხაზურად მდედრობითი სქესი ჰʳ ბგერის დართვით გამოიხატებოდეს, არ მოგვეპოვება. როდესაც აბხაზურად სქესის აღნიშვნა ჰსურთ, მაშინ ადამიანის სახელს ფჰა, ან ფჰʳჷს ბოლოში მთლიანად ერთვის ხოლმე.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ძმისა და დის სახელი ⴀⴁⴞⴀⴆⴓⴐⴀⴃ **წინათაც და თავდაპირველადაც ერთმანეთს ასე დამსგავსებული ყოფილიყო, არამედ** საფიქრებელია, **რომ ასეთი დამსგავსება მერმინდელი მოვლენა უნდა იყოს.** ერთი ამ ორ მსგავს სახელთაგანი ერთ-ერთ მათგანს უნდა ჰკუთვნებოდა, **მეორე-კი მას დროთა განმავლობაში დაჰმსგავსებია. მართლაც** კ ლ ა პ რ ო თ ი ს ჩანაწერითგან ირკვევა, რომ **ძმას** ⴀⴁⴞⴀⴆⴓⴐⴀⴃ ႭႠႸႠ ჰრქმევია. სამწუხაროდ ამ მეცნიერს აღნიშნული არა აქვს, თუ სახელდობრ აბხაზურის რომელი შტოს ლექსიკის კუთვნილებას შეადგენს ეს სიტყვა.

საფიქრებელია, რომ **ოაშა** უნდა **ჟაშა-სგან იყოს წარმომდგარი. ჲაშა,** ანუ **ჲეშჷა,** თუ **ჲეჰʳშჷა-კი თავდაპირველად მხოლოდ დის სახელი იქმნებოდა. საფიქრებელია, რომ პირველი სიტყვის თავკიდური ჟ, კ ლ ა პ რ ო თ ი ს მიერ** Ⴍ-დ **აღქმული,** ⴀⴁⴞⴀⴆⴓⴐⴘⴈⴚ **წინათ არსებული მამრობითი სქესის თავსართის ნაშთი უნდა იყოს, მეორე სიტყვის თავკიდური ჲ-კი, რა თქმა უნდა, მდ. სქ. თავსართის ნაშთია.**

ამგვარადვე **მამაკაცისა და ქმარის** ჩერქეზულ **სახელს ტლჷჟ̆-ს** (რ.—ჩ. ლ. 110 და 207) ისევე, როგორც ყაბარდოულის ამავე ცნების აღმნიშვნელ სიტყვას **ტლჷგ** (T'le) გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერით (R. II, 528) და თანამედროვე **ტლჷგ** (რ.—ყ. ლ. 73), მამრობითობის აღმნიშვნელობისდა მიუხედავად, თავკიდურ **ვ** ბგერას არ შეიცავს და ეს მაგალითიც შესაძლებელია იმ აზრის დამამტკიცებლად იქმნეს გამოყენებული, რომ ჩერქეზულსა და ყაბარდოულს გრამ. სქესი არც წინათ ჰქონდა ისევე, როგორც ასეთი თავსართები არც ეხლა გააჩნია.

განმარტოებულად განხილული მამაკაცისა და ქმრის გამომხატველი ჩერქეზულ-ყაბარდოული ზემოდასახელებული სიტყვები მართლაც ასეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ, მაგრამ საკმარისია მამრობის აღმნიშვნელ ჩერქეზულსავე სახელს შევადაროთ, რომ თვალწინ სულ სხვა ვითარება წარმოგვიდგეს.

მაგ. **მამალ ცხვარს, ვერძს** ჩერქეზულად **გატლჷთხჵო** ეწოდება (რ.—ჩ. ლ. 3). თუ გავიხსენებთ, რომ **ხჵ** ჩერქეზულად **მამალს** ნიშნავს და ცხოველთა მამრ. სქესის გამოსახატავად ამა-თუ-იმ ცხოველის სახელს სწორედ ბოლოში ემატება ხოლმე (იქვე, გვ. 152—3), მაშინ ცხადი გახდება, რომ ვერძის ზემომოყვანილ ჩერქეზულ სახელშიც ბოლოკიდური **ხჵო** მამრ. სქესის აღმნიშვნელივე უნდა იყოს. ამის გამო **გატლჷთ თითქოს ცხვრის ზოგადი ჩერქეზული სახელი გამოდის. მაგრამ, უეჭველია, გატლჷთ შეუძლებელია წინათ ცხვრის ზოგადი სახელი ყოფილიყო.** ამის დასარწმუნებლად ისიც კმარა, თუ გავიხსენებთ, რომ **ტლჟ̆** ჩერქეზულად **მამაკაცსა და ქმარს ნიშნავს. გატლჷთ** და **ტლჟ̆**-კი, რა თქმა უნდა, ერთი-და-იმავე ძირის სიტყვები უნდა იყოს. ამიტომ **გატლჷთ**-ცა, **ვითარცა ამავე ძირის სიტყვა, თავდაპირველად მამალი ცხვრის სახელი უნდა ყოფილიყო.**

ამნაირად, ერთი მხრით **მამაკაცისა და ქმრის სახელად ტლჟ̆ და ტგლე** გვაქვს, მეორე მხრით **მამალი ცხვრის** იმავე ძირის **სახელი გატლჷთ**. პირველს არავითარი თავსართი არ გააჩნია და ამის გამო მხოლოდ ფუძის, ანდა ძირის სახით არის დაცული, **მეორეს-კი თავში გა აქვს**, რომელიც ძირეული არ ჩანს. ამის გამო აზრი იბადება, რომ შესაძლებელია ეს **გა** მამრობითი სქესის **ვა** თავსართის ფონეტიკური სახესხვაობა იყოს.

ასეა-თუ-ისე ამის საბოლოო გამორკვევა მომავალის საქმეა, მაგრამ ამ სიტყვის პირველადი მნიშვნელობის გამორკვევა სხვა გზითა და საშუალებითაც შეიძლება.

მამაკაცისა და ქმრის ყაბარდოული სახელი **ტგლე** და **ტლჷგ** ისევე, როგორც ამავე ცნების გამომხატველი ჩერქეზული სახელი **ტლჟ̆** და წინანდელი **გატლჷთ** ჩრდილოეთ კავკასიის ენებში უთვისტომო მწირების მსგავსად მოჩანან: მათ მონათესავეობა არ მოეძებნებათ.

სამაგიეროდ ამ **ყაბარდოულ და ჩერქეზულ სიტყვებს თვისტომნი სამხრეთით, საქართველოში, მოეპოვებათ.** უკვე გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერითგან ირკვევა, რომ თანამედროვე ყაბარდ. **ტლჷგ**-სა და ჩერქ. **ტლჟ̆**-ს წინათ ორ თანხმოვანს შუა ხმოვანი ჰქონია: მე-XVIII ს.-ში ეს სიტყვა თურმე **ტგლე**-დ გამოითქმოდა.

„ქართველი ერის ისტორია“-ში (I[3], 68), სქესობრივი განაყოფიერების ღვთაების წარმართული მსახურების ნაშთების განხილვისას, აღნიშნული მქონდა, რომ სვანეთში დაცული ადრეკილაჲს დღესასწაულის **„მელდაჲ ტულეფია“**, ანუ **„ტელეფიაჲ“** შესაძლებელია სქესობრივი დამოკიდებულების აღმნიშვნელ **ტულაოგა**-სთან იყოს დაკავშირებული.

ეხლა, მას შემდგომ, რაც მე-XIV ს. ქ. უწინარესი საუკუნის ხეთური ლურსმული ტექსტი აღმოჩნდა, რომელშიც ნაყოფიერების ღვთაების **ტელიფინუშის** წასვლა და ამის გამო ქვეყანაში მოუსავლობისა და უნაყოფოებისა, ხოლო შემდგომ ამ ღვთაების კვლავ უკან დაბრუნების წყალობით, ისევ მოსავლიანობა-ნაყოფიერების აღდგენის ამბავია მოთხრობილი, **დანამდვილებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ადრეკილაჲს ლაშხური ფერხულის სიმღერის სიტყვები „ადრეკილაჲ წაგვივიდა და მოგვივიდა“** (იხ. ქართ. ერის ისტ. I[3], 59) **ამავე, უკვე ქ. წ. მე-XIV ს. ტექსტში აღბეჭდილი სარწმუნოებრივი თქმულების ანარეკლს წარმოადგენს და მელდაჲ ტელეფია-ც სწორედ ამ ღვთაება ტელეფინუშ-ის სახელია.**

უეჭველია, ჩერქეზულ-ყაბარდოული მამაკაცისა და ქმრის სახელი **ტგლე** და **ტლეგ**-ც ამავე **ტულეფია, ტელეფია**-სა და **ტულაოგ**-ასთან უნდა იყოს დაკავშირებული. **ამის გამო ირკვევა, რომ ტგლე ძირს მამრობითობის მნიშვნელობა უკვე მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ჰქონია.**

ყველაზე ნაკლები ლექსიკური მასალა უდურისათვის მოგვეპოვება, ამიტომ არც გასაკვირველია, თუ რომ მისი წინანდელი აგებულების გამოსარკვევად მკვლევარი იძულებულია რამოდენიმე სიტყვის ანალიზით დაკმაყოფილდეს. უდური ენის დ ი რ რ ი ს გრამატიკა სულ ოციოდე არსებითს სახელს შეიცავს; მათ შორისაც ნათესაობისა და სქესთა ურთიერთობის, ისევე როგორც ცხოველთა აღმნიშვნელი სახელები 8-ს, ვგონებ, არ უნდა აღემატებოდეს. ამათგან მხოლოდ ორი სიტყვაა, რომელსაც გრამატიკული სქესის ოდინდელი თავსართის კვალი ემჩნევა.

ძმას უდურად **ვიჩი** ჰქვიან (უდ. ე. გრ. 14 და 16), **ხოლო დას — ხუჩი** (იქვე), — **ქალიშვილს, ასულს — ხინჯრ** (იქვე. 16), — **ხარს და კუროს-კი უს** (იქვე).

ძმისა და დის უდურ სახელებს მეორე ნაწილი **ჩი** საერთო აქვს, პირველი ნაწილები-კი **ვი** და **ხუ** განსხვავებულია. ამიტომ საფიქრებელია, რომ **ვი** მამრობითობის აღმნიშვნელი უნდა იყოს. ამ ორი სიტყვის საერთო ნაწილი **ჩი** დაღისტნის ენებშიც არის და ცალკეულ სიტყვად იხმარება. ანწუხურად, ჭამალურად და ღუნძურად **ჩი** კაცსა ნიშნავს (იხ. გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს R. II, 514; კ ლ ა პ რ ო თ ი ს V. II 324).

დის სახელის პირველი ნაწილი **ხუ** იგივე სიტყვა უნდა იყოს, რომელიც **ხინჯრ**-ის სახით უდურში **ასულს**, ხოლო **ღინე**-ს სახით სვანურში **დედაკაცის** აღსანიშნავად იხმარება (ანდ.-დიდ. მას. 93). ცხადია, რომ ესევე სიტყვა **დედაკაცისა** და **ცოლის** წახური სახელის **ხიუნეშშე**-ს (წახ. ე. 167) პირველი ნაწილი **ხუ**, ან **ხან** არჩიულად **ფურსა** ნიშნავს (არჩ. ე. 190 და ალ. ე. 161), ხოლო თვით უდურად **დედალი ცხოველის** სახელია (ალ. ე. 160). ამგვარად დის უდური **სახელი ქალიშვილ-კაცის, ანუ დედაკაცის აღმნიშვნელი ყოფილა.**

ძმის სახელის პირველი ნაწილი ცალკეულად არსად, ყამარღოჳლას გარდა, არ იხმარება, არამედ მამრობითი სქესის თავსართია. ყამარღოჳლაში-კი ვჳ ხარს, კუროს ნიშნავს (რ.-ყ. ლ.), მაგრამ იქაც ეს სიტყვა, როგორც ჩანს, მხოლოდღა ფუძე-ჩამოცილებული მამრ. სქესის თავსართის ნაშთი უნდა იყოს.

ხარის და კუროს ჲღჲრი სახელი უს, უეჭველია, იგივე სიტყვაა, რომელიც ჩაჩნჲრ-ქისცჲრ-წოვჲრშიც ამავე ცხოველის ამავე სქესის სახელია. ქისცჲრად ხარს უსტ, ხოლო წოვჲრად უსტუ ეწოდებოდა მე-XVIII ს.-შიც და ეხლაც ასევე ეძახიან. ჩაჩნჲრში ამ სიტყვას თავკიდური უ დაუკარგავს და ამის წყალობით სტუ-დ ქცეულა. ჲღჲრი ხარის სახელის უს-ისა და წოვჲრი უსტუ-ს ერთმანერთთან შედარება დაარწმუნებს ადამიანს, რომ ჲღჲრში ამ სიტყვის სწორედ მთელი მეორე მარცვალი ტუ არის ჩამოცილებული და მხოლოდ პირველი მარცვალი უს-ღაა დარჩენილი. ამის მსგავსი მოვლენა ქისცჲრშიც არის, სადაც ბოლოკიდური უ უკვე მე-XVIII ს.-ში ყოფილა დაკარგული. ყველა იმის შემდგომ, რაც ხარის ჩაჩნჲრ-ქისცჲრ-წოვჲრი სახელის აგებულებაზე თავის ალაგას იყო ნათქვამი (იხ. აქვე), იმის მტკიცება, რომ ჲღჲრი უს-ის თავკიდური უ მამრობითი სქესის თავსართის ნაშთია, ზედმეტი იქმნებოდა.

ქმრისა და მამაკაცის აღმნიშვნელი ჲღჲრი სიტყვა ისშჳუ ზემოგანხილული სიტყვებისაგან განსხვავდება, რადგან, იმისდა მიუხედავად, რომ მამრ. სქესის არსების სახელია, მაინც თავში ი ხმოვანი აქვს, რომელიც ჲ-ს სახიომდედრ. სქესის თავსართია. ამნაირად ეს მაგალითიც ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომ უდურს ოდესღაც ისეთივე სქეს-კატეგორიების თავსართები ჰქონდა, როგორიც ჩაჩნურს, ლუნძურს და ლეგურ ენათა ჯგუფს მოეპოვება. მაგრამ ზემომოყვანილი მამრ. სქესის აღმნიშვნელი ორი უდური სიტყვა, რომელთაც თავიანთი სქესის შესაფერისი თავსართი დაცული აქვთ, გვაფიქრებინებს, რომ ისშჳუ-ს დროთა განმავლობაში უნდა ჰქონდეს თავკიდური ვ დაკარგული და წინათ, ძმის სახელის ვიჩი-ს მსგავსად, ისიც ვისშჳუ, ე. ი. ვ თავსართიანი იქმნებოდა.

მაშასადამე, აბხაზურ-ჩერქეზულ-ყაბარდოულისა და ლეგურის უსქეს-კატეგორიო ენათა ჯგუფისა ისევე, როგორც ალბანურის ნაშთის უდურის ლექსიკური მასალის ანალიზი უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ამ ენებსაც გრამატიკული სქეს-კატეგორიები ჰქონიათ.

თ ა ვ ი მ ე ც ხ რ ა მ ე ტ ე

სქეს-კატეგორიებთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები

რაკი უკვე გამორკვეული გვაქვს, რომ გრამატ. სქეს-კატეგორიები არამც თუ მარტო ე. წ. კავკასიურს ენებს, არამედ ქართულსა და ქართველურს ისევე, როგორც სხვა მათ მონათესავე ენებსაც იმთავითვე ჰქონიათ, ეხლა უნდა სქეს-კატეგორიებთან დაკავშირებული ზოგადი საკითხების განხილვასაც შევუდგეთ.

პირველი ამ საკითხთაგანი სქეს-კატეგორიების რაოდენობაა: ჩაჩნურსა და წოვურში, როგორც ვიცით, მათ რიცხვს რვამდეც-კი ანგარიშობენ, დალის—

ტნის ბევრ ენათაგანს ოთხ-ოთხი სქეს-კატეგორია აქვს, უმრავლესობას-კი მხოლოდ სამ-სამი გააჩნია.

რამდენი სქეს-კატეგორია უნდა ჰქონოდა ამ ენებს თავდაპირველად ან რა მიზეზის გამო შესაძლებელია სქეს-კატეგორიათა თავდაპირველი რიცხვი გადიდებულიყო, ანდა შემცირებულიყო?

მეორე საკითხად სქეს-კატეგორიებისთვის განკუთვნილი თავდაპირველი ბგერითი ნიშნების გამორკვევა უნდა მივიჩნიოთ. წინა თავებში მონათხრობითგან ვიცით, რომ სქეს-კატეგორიებისათვის კავკასიურ ენებს ყველას ერთი-და-იგივე ნიშანი არა აქვთ, არამედ ამ მხრივ საკმაო სხვადასხვაობაა. რა თქმა უნდა, უპირველესად გადასაწყვეტია, შესაძლებელია, თუ არა, რომ ასეთი ნაირნაირობა იმთავითვე ყოფილიყო? თუ გამოირკვა, რომ ასეთი სხვადასხვაობა თავდაპირველად ძნელი დასაჯერებელია, **რომელ სქეს-კატეგორიას სახელდობრ რომელი ნიშანი უნდა ჰქონოდა და რა-და-რა მიზეზით შესაძლებელია პირვანდელი ნიშნის მაგიერ სხვა იყოს გაჩენილი?**

სქეს-კატეგორიათა ნიშნების ადგილმდებარეობაც, როგორც სათანადო ადგილას აღნიშნული გვქონდა და დავრწმუნდით, კავკასიურს ენებში სამნაირი არსებობს: ზოგს ეს ნიშნები თავსართებად უსხედს, ზოგს ბოლოსართებად. ისეთი ენებიც მოიპოვება, რომელთაც თავსართადაცა და ბოლოსართადაც აქვთ. ეს გარემოება გვავალებს, **მესამე საკითხად სქეს-კატეგორიების ადგილმდებარეობა** მივიჩნიოთ, სახელდობრ: შესაძლებელია, თუ არა, რომ ადგილმდებარეობის ასეთი სამნაირობა იმთავითვე ყოფილიყო და, თუ ეს შეუძლებელია, **რომელი ამ სამნაირ ადგილმდებარეობათაგანი უნდა უძველესი, რომელი მერმინდელი და რომელი უკანასკნელი იყოს?**

დასასრულ, როგორც ვიცით, ე. წ. კავკასიურ ენათაგან თითქმის ნახევარს გრამატიკული სქესი არა აქვს ისევე, როგორც ისტორიულ ხანაში იგი არც ქართულსა და ქართველურს მოეპოვებოდა. ამიტომ **მეოთხე საკითხად გამოსარკვევია, თუ რა-და-რა მიზეზის გამო შესაძლებელია გამქრალიყო გრამ. სქეს-კატეგორიები და როგორ**, ერთბაშად, თუ თანდათანობით?

აქამდის **სქეს-კატეგორიები** ჩვენ არსებითს სახელებსა, ზედსართავსა და მიმღეობაში გვქონდა განხილული, **რიცხვითს სახელებსა, ნაცვალ სახელებსა და ზმნას არ შევხებივართ.** ამიტომ **ზემო-ჩამოთვლილ საკითხთაგან ყველასი განხილვა აქ არ შეიძლება**, არამედ **აქ მხოლოთ სქეს-კატეგორიების თავდაპირველ საერთო რიცხვზე და ნაწილობრივ მათთვის განკუთვნილი ნიშნების შესახებაც გვექნება საუბარი, დანარჩენი საკითხების განხილვა-კი** უნდა **ბოლოსთვის გადავდოთ**, როდესაც მეტყველების სხვა ნაწილებიც უკვე შესწავლილი გვექნება.

§ 1. სქეს-კატეგორიების თავდაპირველი რიცხვი

სქეს-კატეგორიების რიცხვი ყველაზე ჰარბად ჩაჩნურს, ქისტურს და წოვურ-ს აქვთ, რომელთა რაოდენობასაც მკვლევარნი 6-9-მდეც-**კი ანგარიშობენ, ხოლო** ის ენებიც, რომელთაც სქეს-კატეგორიები ცოტა გააჩნიათ, მაინც არც ერთი **სამზე ნაკლების მქონებელი არ არის**: იმ ენებს, **რომელთაც ორი აქვთ**

გრამ. სქესის განრჩევა უკვე დაკარგული უჩანთ და მხოლოდ სულდგმულისა და უსულო საგნების კატეგორიები-ღა მოეპოვებათ.

ვგონებ, შესაძლებელია უცილობელ დებულებად იქმნეს მიჩნეული ის აზრი, რომ თავდაპირველად ყოველ სქეს-კატეგორიას თავისი განსაკუთრებული ბგერითი ნიშანი უნდა ჰქონოდა: სქეს-კატეგორიის დაუბრკოლებრივი განრჩევისათვის, ცხადია, ეს აუცილებელი პირობაა. თუ ამ დებულებით ვიხელმძღვანელებთ, იმ საკითხის გადაწყვეტაც, თუ ჩაჩნურ-წოვურ-ქისტურის თანამედროვე 6-8 სქეს-კატეგორიათაგან თავდაპირველ ოდენობად რა უნდა იქმნეს მიჩნეული, ძნელი არ არის. იმისდა მიუხედავად, რომ მკვლევარნი ჩაჩნურსა და ქისტურში ექვს, წოვურში-კი რვას ანგარიშობენ, მაინც არც ერთს მათგანს სქეს-კატეგორიებისათვის არც მხ. რ. და არც მრავლობითში ოთხზე მეტი ნიშანი არ აბადიათ. მარტო ამ 4,—ვ, ჲ, ბ და დ,—ბგერის ამარაა სამივე დასახელებული ენა. ამის გამო ჩაჩნურსა და ქისტურს მხ. რ.-ში მე-2 და მე-3 სქეს-კატეგორიისათვის ერთი-და-იგივე ჲ ხმოვანი, ხოლო მე-5 და მე-6-ესთვის ბ თანხმოვანი აქვს. მრ. რ.-ში-კი პირველს, მე-2 და მე-6 სქეს-კატეგორიას ბ თავსართი, ხოლო მე-4 და მე-5-ეს დ თავსართი უზით.

ამნაირადვე წოვურსაც მხ. რ.-ში მე-2 და მე-3 თავსართად ჲ, მე-4, მე-5 და მე-6-ესთვის ბ და მე-7 და მე-8 სქეს-კატეგორიებისათვის დ თავსართი აქვთ. ხოლო მრ. რ.-ში პირველი და მე-5 სქეს-კატეგორიებისათვის ბ, მე-2, მე-4 და მე-7 ესთვის დ, მე-3, მე-6 და მე-8-ესთვის-კი ჲ თავსართია.

ზემოაღნიშნული საგულისხმო გარემოება, სქეს-კატეგორიებად განაწილების პრინციპის გაურკვევლობასთან ერთად, უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სქეს-კატეგორიების სიმრავლე თანამედროვე ჩაჩნურ-ქისტურ-წოვურში შეუძლებელია თავდაპირველი მოვლენა იყოს და საქმის ნამდვილი ვითარების ანარეკლს წარმოადგენდეს, არამედ უფრო რომ საკითხის შეუსწავლელობის ბუნებრივ შედეგად უნდა იქმნეს მიჩნეული. სქეს-კატეგორიათათვის მხოლოდ 4 ნიშნის არსებობა ცხად-ჰყოფს, რომ თავდაპირველად ამ ენებსაც ოთხზე მეტი სქეს-კატეგორია არ ჰქონია.

ჩაჩნურ, ქისტურ და წოვურ ოთხ სქეს-კატეგორიან ენათა ჯგუფს უნდა დაღისტნის ოთხ სქეს-კატეგორიანივე რვა ენა დაემატოს. როგორც დავრწმუნდით, ქართულსა და ქართველურსაც თავდაპირველად ოთხი სქეს-კატეგორია ჰქონია. ამნაირად უცილობლად ოთხ სქეს-კატეგორიან ენოვანი ერთეულების რიცხვი მთლიანად 15-მდე იქმნება.

დაღისტნის ენათაგან, სადაც უმთავრესად გავრცელებულია სამ-სქეს-კატეგორიანობა, ამ ჯგუფს 12 ენოვანი ერთეული ეკუთვნის.

იმ საკითხის გადასაწყვეტად ოთხ-სქეს-კატეგორიანობა ე. წ. კავკასიური ენების საერთო თვისება იყო, თუ იმთავითვე ორი დიდი, ოთხ-სქეს-კატეგორიანი და სამ-სქეს-კატეგორიან ენათა ჯგუფები არსებობდა, უნდა წინასწარ-გამორკვეული იყოს, ემჩნევა თუ არა, ეხლანდელ სამ-სქეს-კატეგორიან ენათა ჯგუფს მეოთხე, დ თავსართიანი, თუ ბოლოსართიანი სქეს-კატეგორიის ოდინდელი არსებობის რაიმე კვალი? რაკი სქეს-კატეგორიების ნიშნები, სახელებსა

და მიმღეობას გარდა, მეტყველების სხვა ნაწილებსაც ჰქონდა და აქვს ეხლაც, ამიტომ ამ საკითხზე მსჯელობა ბოლოში ემჯობინება, როდესაც რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები და სხ. უკვე განხილული გვექმნება.

§ 2. გრამატ. სქეს-კატეგორიებისათვის განკუთვნილი თავდაპირველი ბგერითი ნიშნების საკითხი

გრამატ. სქეს-კატეგორიებისათვის განკუთვნილ თავდაპირველ ბგერით ნიშანთაგან ყველაზე ადვილი გამოსარკვევი პირველი, მამრ. სქესის ნიშანია.

მამრ. სქესის ნიშანი თითქმის ყველა ენებს, მათ შორის აფხაზურსა და ქართულსაც, ერთი-და-იგივე ჰქონდათ: ვ, ჳ ან და უ. ამ საერთო ვითარების გამონაკლისს ადამიანი მხოლოდ სამ ენოვან ერთეულში, ჯეკურსა, რუთულურსა და წახურულში იპოვის, რომელთაც მამრ. სქესის ნიშნად რ თანხმოვანი აქვთ. ყველა სხვა ენებს-კი რ ბგერა, ან მრ. რ.-ის ნიშნად, (როგორც მაგ. ლუნძურს, ბოთლიხურს და დიდოურს ყველა სქეს-კატეგორიისათვის, ღოდობერულს, კარატულს, ბაგულაზურს, ტინდალურს, ახვახურს, ხუარშულს, ჰკრკანულს, კვრულს მე-3, თუ მე-4 სქეს-კატეგორიისვთის) აქვთ, ანდა დ ბგერის სახესხვაობის მსგავსად მხ. რ.-ის მე-4 სქეს-კატეგორიისათვის მოეპოვებათ (მაგ. ანდიურს, დიდოურს, ხუარშულს, ღუმუქურს).

უკვე რ ბგერის ფუნქციური მნიშვნელობის ეს სხვადასხვაობა ცხად-ჰყოფს, რომ აქ თავდაპირველი მოვლენა-კი არა, არამედ მერმინდელი აღრევის შედეგი უნდა იყოს. ამასვე ის გარემოებაც ამჟღავნებს, რომ რუთულურსა და წახურულში რ ბოლოსართი ორივე, მამრობითისაცა და მდედრობითი სქესის ნიშნად არის ქცეული და ამნაირად გრამატიკული სქესის ის ძირითადი პრინციპი, რომ თითოეულ სქესს თავისი განსხვავებული ნიშანი აქვს, დარღვეულია, მაშასადამე, ამ ორ ენაში რ ბგერას უკვე იმდენად გრამატ. სქესისა არა, რამდენადაც გონიერ არსებათა კატეგორიის აღმნიშვნელობის თვისება ემჩნევა.

ყველა ზემოაღნიშნული მოსაზრება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ რ თანხმოვანი არასგზით არ შეიძლება მამრ. სქესის თავდაპირველ ნიშნად იქ ნეს მიჩნეული. ამიტომ მამრ. სქესის ერთად-ერთ თავდაპირველ აღმნიშვნელად უნდა ვ (ჳ, უ) ბგერა იქმნეს ცნობილი.

გაცილებით უფრო რთულია მეორე, მდედრ. სქესის, თავდაპირველი ბგერითი ნიშნის საკითხი, თუნდაც იმ სხვადასხვაობის გამო, რომელიც ამ სქესს ე. წ. კავკასიურს თანამედროვე ენებში ემჩნევა.

ჩაჩნურს, ქისტურსა და წოვურს ისევე, როგორც დაღისტნის ლეკური ენების უმრავლესობას, სულ 12 ენოვან ერთეულს (ლუნძურს, ანდიურს, ბოთლიხურს, ღოდობერულს, კარატულს, ჰიჰატლურს, ტინდალურს, ახვახურს, დიდოურს, ხუარშულს, ყაფუჩურს და ყუბაჩურს) მდედრ. სქესის ნიშნად ჲ ბგერა აქვთ.

ორ ენას, მდედრ. სქესის ნიშნად დ და რ თანხმოვანი აქვთ ერთსა-და-ამავე დროს. ღუმუქურში დ და რ შენაცვლების სახით გვხვდება, არჩულში-კი,

რომელსაც სქეს-კატეგორიები თავსართადაც და ბოლოსართადაც აქვთ, დ მდედრ. სქესის თავსართად, ხოლო რ ბოლოსართად გვევლინება.

ორ ენას, რუთულურსა და წახურულს, მდედრ. სქესის ნიშნად ისევე, როგორც მამრობითისაც რ თანხმოვანი აქვს.

დასასრულ, დაღისტნის ერთ ენასაც, ჯეკურს, მდედრობითი სქესისა (და ცხოველების) ნიშნად ბ ბგერა მოეპოვება.

ამნაირად, იმ დროს, როდესაც ჩაჩნურ-ქისტურ-წოვურს მდედრ. სქესის ნიშნად მხოლოდ ერთი ჲ ბგერა გააჩნია, დაღისტნის ენებს 3 ბგერა აქვთ. რაკი შეუძლებელია თავდაპირველადაც ასე ყოფილიყო, ამიტომ გამოსარკვევია, თუ რომელი ამ ბგერათაგანი ღილღურსა და დაღისტნის ლეგურს ენებში უფრო პირველად ნიშნად უნდა იქმნეს მიჩნეული.

ჩაჩნურ-ქისტურ-წოვურისა და დაღისტნის ლეგურ ენათა მდედრ. სქესის პირველადი ნიშნის გამორკვევის დროს, უნდა ანგარიში ამ სქესისათვის აწ არსებული სამი ბგერის გავრცელების ინტენსივობასაც გაეწიოს. ჲ მდედრ. სქესის ნიშნად 15 ენოვან ერთეულსა აქვს, რომელთაგან 3—ჩაჩნური, ქისტური და წოვურია, დანარჩენი 12-კი, როგორც დავრწმუნდით, დაღისტნის ენათა ჯგუფს ეკუთვნის. ორ ენას, ლუმუქურს და არჩულს, ამავე სქესის ნიშნად დ და რ მოეპოვება, ხოლო რ თანხმოვანი მარტო დაღისტნის 2 ენასა და ბ ბგერა იქაურსავე მარტო ერთ ენას აქვს.

ბ თანხმოვანი კავკასიურ ენათა უმეტესობას უსქესოებისა და უჰასაკობის ცნების გამომხატველ ნიშნად აქვს განკუთვნილი და ამასთანავე მრავლობითი რიცხვის ნიშანიც არის, რაც, უეჭველია, ამავე ბგერის უსქესოების აღმნიშვნელობასთანვე უნდა იყოს დაკავშირებული. ამიტომ ბ თანხმოვანი არ შეიძლება, რომ დაღისტნის ენების მდედრ. სქესის თავდაპირველ ნიშნად იქმნეს ცნობილი.

დ და რ ბგერათა პირვანდელი აღმნიშვნელობის გამორკვევასაც ის გარემოება გვშველის, რომ ორივე, როგორც უკვე დავრწმუნდით, ან საგნების სახელების შემცველი მე-4 სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელი იყო, ანდა მრ. რიცხვის ნიშანი. თუ ამასთანავე გავიხსენებთ, რომ იმ 2 ენას, რუთულურსა და წახურულს, რომელთაც მდედრ. სქესის ნიშნად რ აქვთ, ეს ბგერა მამრ. სქესისთვისაც გამოუყენებია და ამნაირად ორივე სქესის ნიშნად უქცევია, მაშინ უეჭველი გახდება, რომ წინათ დ და რ თანხმოვნებიც შეუძლებელია მდედრ. სქესის ნიშანი ყოფილიყო.

ამგვარად ირკვევა, რომ ღილღური და ლეგური ენების მდედრ. სქესის ერთად-ერთ ნიშნად ჲ ნახევარხმოვანი რჩება, დანარჩენი ბ, დ და რ თანხმოვნები-კი შემდეგში უნდა იყოს ამ სქესის ნიშნად ქცეული.

შესაძლებელია, მდედრ. სქესის თავდაპირველი ნიშნის საკითხი ყველა ზემონათქვამის შემდგომ გამორკვეულად მიგვეჩნია, რომ საქმეს ქართულში ამავე სქესისათვის ნ ბგერის არსებობა არ ართულებდეს. ხოლო, რაკი აფხაზურს მდედრ. სქესის ნიშანი ისევე, როგორც კავკ. სხვა ენებსაც მეტყველების სხვა ნაწილებში გააჩნიათ, თანაც აბხაზურს იქ 2 განსხვავებული ბგერა აქვს გამოყენებული, ამიტომ მდედრ. სქესის თავდაპირველი ნიშნის საკითხის სა-

ბოლოო გადაჭრაც მხოლოდ რიცხვითი სახელებისა, ნაცვალსახელებისა და ზმნის განხილვის შემდგომ იქმნება მართებულიც და შესაძლებელიც.

მე-3-მე და მეოთხე სქეს-კატეგორიების ნიშნების ნაირნაირობისდა მიუხედავად, გამორკვევა მაინც აქაც შესაძლებელია, თუ რომელი აწ არსებულ ნიშანთაგანი უნდა იყოს მესამისა და მეოთხის თავდაპირველ ნიშნებად.

ენათა უმეტესობას მეოთხე სქეს-კატეგორია არ მოეპოვება, მაგრამ ზოგიერთ ამ ენათაგანს მეორე სქეს-კატეგორიად დედაკაცისა და პირუტყვის სახელები აქვს ქცეული, ხოლო მესამე სქეს-კატეგორიად საგნების სახელებია მიჩნეული, ე. ი. რაც ოთხ-სქეს-კატეგორიანს ენებში მესამე და მეოთხე სქეს-კატეგორიებად ითვლება. ქვემომოყვანილ ზოგადს დახასიათებაში ასეთი შემთხვევები ამ მესამე და მეოთხე სქეს-კატეგორიების თანაბარად გვაქვს ჩათვლილი.

სულ მესამე სქეს-კატეგორიისათვის მხოლოობითს რიცხვში მხოლოდ ორი ნიშანი არსებობს Დ, ანუ ი და ბ. ამათაგან Დ, ანდა ი ნიშანი ოთხ ენოვან ერთეულს აქვს, სახელდობრ: ჩაჩნურს, ქისტურს, წოვურსა და ყაფუჩურს, ბ ნიშანი-კი თექვსმეტს ენოვან ერთეულშია: ლუნძურსა, ანდიურსა, ბოთლიხურსა, ღოდობეოულსა, კარატულსა, ბაგულალურსა, ჭამალალურსა, ახვახურსა, დიდოურსა, ხვარშულსა, ჭკრკანულს (ბი), ლუმუქურსა, არჩულსა, რუთულურსა, წახურულსა და ჯეკურში. ამ უკანასკნელს მე-2 სქეს-კატეგორიისათვის აქვს გამოყენებული, რომელშიც დედაკაცთან ერთად პირუტყვის სახელებიც არის მოქცეული.

ქართულსაც, როგორც დავრწმუნდით, ოდესღაც უჰასაკოთა სქეს-კატეგორიის თავსართოვან ნიშნად აგრეთვე ბ ბგერა ჰქონია. რაკი Დ, როგორც მეორე სქეს-კატეგორიაზე მსჯელობის დროს გვქონდა აღნიშნული, სწორედ ამ სქეს-კატეგორიის მაუწყებელი ბგერა ყოფილა, ამიტომაცა და ენათა უმრავლესობისა და ძველი ქართულის ანალიზის საბუთითაც მესამე სქეს კატეგორიის თავდაპირველ ნიშნად უნდა ბ თანხმოვანი იქმნეს მიჩნეული.

მეოთხე სქეს-კატეგორიის თავდაპირველ ნიშნად, ყველა ზემონათქვამის შემდგომ, ცხადია, შესაძლებელია მხოლოდ Დ ყოფილიყო, რომლის შენაცვლებასაც რ წარმოადგენს.

§ 3. გრამატიკული სქეს-კატეგორიების გაქრობის მიზეზი

გრამატიკული სქეს-კატეგორიების კავკასიურს ზოგიერთს ენებში გაქრობის შესაძლებელი მიზეზის მისაგნებად ყურადღების ღირსია, რომ აბხაზური ერთი მხრით სქესის გამოსახატავად უკვე მამალ-დედლობის აღმნიშვნელ მთელ სიტყვებსა ხმარობს ხოლმე, მეორე მხრით გონიერ და არაგონიერ არსებათა კატეგორიებად დაყოფვა აქვს და სქესის ნიშნები ოდნავ მოეპოვება.

აბხაზურის ახლო მონათესავე უბიხურს, ჩერქეზულსა და ყაბარდოულში სქეს-კატეგორიების გადაგვარება-გადაშენების პროცესი დამთავრებულია და უბიხური, ჩერქეზული და ყაბარდოული უკვე სრულებით უსქეს კატეგორიო ენებია. თუ გავიხსენებთ, რომ უბიხები, ჩერქეზები და ყაბარდოელები აბხაზებზე უფრო ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ბინადრობდენ და

ბინადრობენ და რომ იმათ ე. წ. კავკასიელთა ტომობრივი მოსახლეობის სანაპირო ადგილი უკავიათ და იმათ იქით უკვე უცხო მოდგმის მოსახლეობა იწყება, მაშინ ჩვენთვის ცხადი გახდება, რომ სქეს-კატეგორიის განრჩევის გრძნობა და გარეგანი გრამატიკული ნიშნები გარკვეულს გეოგრაფიულს ხაზს არ სცილდება და ტომობრივი მოსახლეობის სანაპიროზე-კი სრულებით ქრება. ამგვარადვე დამახასიათებელია, რომ კურულსა და უდურს, რომელთაგან პირველი მდ. სამურის შესართავთან კასპიის ზღვას აღწევს და კავკასიის ქედს აქეთაც არის გადმოსული და თურქული ენის მოსაზღვრეა, მეორე-კი ამიერ-კავკასიის მოსახლეობის, ალბანეთის ერის უკანასკნელ ნაშთს-ღა წარმოადგენს და ამ ჟამად თურქული ენის ზღვაში მხოლოდ პატარა კუნძულს-ღა მიაგავს, ე. წ. კავკასიელ ერთა მოსახლეობის ამ სანაპიროზეც სქეს-კატეგორიის გრამატიკული განრჩევა არ არსებობს.

აღსანიშნავია, რომ თაბასარანულს, რომლის გავრცელების მიწაწყალი სანაპიროს ცოტა მოშორებულია და ოდნავ დასავლეთით მდებარეობს, იმისდა მიუხედავად, რომ იმავე კურულ ენას ეკუთვნის, ორი, -გონიერ და არაგონიერ არსებათა, კატეგორიის განრჩევა მოეპოვება. ხოლო თაბასარანულზე უფრო დასავლეთითა და ჩრდილო-დასავლეთით მდებარე თემში გავრცელებულ რუთულურსა და წახურულს ყველა ოთხივე სქეს-კატეგორია აქვს. ამგვარად, აქაც, ე. წ. კავკასიური ენების გავრცელების აღმოსავლეთ-სამხრეთის ასპარეზზეც, იმნაირივე სურათი გვეშლება თვალწინ: **სანაპიროზე გრამატ. ხქესი გამქრალია და, რაც უფრო ვშორდებით ამ სანაპირო ზოლს, სქეს-კატეგორიის განრჩევა უფრო ძლიერდება, ხოლო, რაც უფრო ვუახლოვდებით სანაპიროს, სქეს-კატეგორიის გადაგვარება-გადაშენების პროცესი უფრო და უფრო მატულობს**[1].

მაგრამ სქეს-კატეგორიების განრჩევის გაქრობისათვის აწას გარდა, უეჭველია, ამა-თუ-იმ ერისა და მისი ენის, სხვებთან შედარებით, უფრო მაღალ კულტურულ დონეზე აღზევებასაც უნდა შეეწყო ხელი: მრავალნაირ საგნებზე სწრაფი საუბრისა და მსჯელობის დროს სქესებრივი განსხვავების აღნიშვნა, ვითარცა შემაფერხებელი გარემოება, მეტად საგრძნობი უნდა გამხდარიყო და ამიტომაც თანდათანობით უნდა ერთგვარობის დამყარების პროცესი დაეჩქარებინა.

---

[1] სქეს-კატეგორიების გაქრობა უცხო აგებულების ენების გავლენის შედეგად, აწდა ერთ მიზეზთაგანად მიჩნეული აქვს ად. დ ი რ რ ს ა ც თავის „შესავალ"-ში (იხ. გვ. 343).

კარი მეოთხე

რიცხვითი სახელები, მათი წინანდელი და თავდაპირველი სახე, აგებულება და სხვადასხვა სისტემა

თავი პირველი

რიცხვითი სახელების შესწავლის დროს დასახული ამოცანები და ამისათვის გამოსადეგი მეთოდები

რიცხვითი სახელების შესწავლის დროს, მკვლევარნი თითქმის მხოლოდ აღრიცხვის სისტემის აღნიშვნით კმაყოფილდებოდნენ. ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ეს საკითხიც საგულისხმოა და, როგორც დავრწმუნდებით, აქაც გაცილებით იმაზე მეტის თქმა შეიძლება, ვიდრე ნათქვამი იყო, მაგრამ, ზემოდასახელებულს გარდა, კიდევ არაერთი სხვა მნიშვნელოვანი საკითხიც უნდა იყოს განხილული და გამორკვეული, რომ ე. წ. კავკასიური ენებისა და ქართულ-ქართველური რიცხვითი სახელების შეძლებისამებრ სრული დახასიათება შეიძლებოდეს.

არც ერთ მკვლევარს ფიქრად არ მოსვლია, თუ რამდენად ძველია რიცხვითი სახელების ის სახე, რომელიც თანამედროვე ენებშია დაცული. კავკასიური ენების რიცხვითი სახელების უფრო ადრინდელი და თავდაპირველი ფორმის გამორკვევაც არავის მიზნად არ დაუსახავს. თვით ზოგადი მიმოხილვის თვისების მქონებელს ისეთს ნაშრომშიც-კი, როგორც ად. დირრის „შესავალი"-ა, ამაზე კრინტიც-კი არ არის დაძრული. ამ საკითხის უაღრესი მნიშვნელობა-კი იმდენად უცილობელია, რომ **რიცხვითი სახელების განხილვის დროს მიზნად უპირველესად სწორედ რიცხვითი სახელების აწინდელზე უწინარესი და უძველესი ფორმების გამორკვევა უნდა გვქონდეს დასახული.**

მეორე საკითხად უნდა რიცხვითი სახელების აღნაგობის გამორკვევა დავისახოთ.

ჩვეულებრივ მკვლევარნი მარტო 11—20-მდე და ათეულ-ოცეულების სახელების წარმოების წესს აქცევდნენ ყურადღებას. აქაც იმით კმაყოფილდებოდნენ, რომ აღნიშნული ჰქონდათ, თვლის ათობითი, თუ ოცობითი წესი იყო ამა-თუ-იმ ენაში მიღებული. როდესაც ცხადი იყო, რომ რომელსამე ენას ოცობითს სისტემაზე აქვს თავისი რიცხვითი სახელები აგებული, იშვიათს გამონაკლისს გარდა, არავის მოსვლია აზრად გამოერკვია, ეს სისტემა ამ ენას დასაწყისითგანვე ჰქონდა, თუ შემდეგში გაჩენია.

ჩვენთვის, რიცხვითი სახელების თანამედროვე და წინანდელი ფორმების გამორკვევის შემდგომ, **ამ სახელების აღნაგობის გამორკვევა უნდა იქცეს მთავარ ამოცანად:** სახელდობრ, **რომელი მისი ნაწილთაგანი ძირეულია და**

რომელი უნდა ფორმანტად იქმნეს მიჩნეული. ძირეული ნაწილის გამორკვევაზე არავის უფიქრია, ფორმანტები-კი მხოლოდ იმ ენების რიცხვითს სახელებში და იქ იყო აღნიშნული, სადაც სქეს-კატეგორიების არსებობა უცილობელია. ნამდვილად-კი ეს საკითხი ყველა ენების რიცხვითი სახელების განხილვისას უნდა იქმნეს გამორკვეული, რათგან ერთი მხრით ფორმანტების გამოცალკევება გაგვაგებინებს, თუ რამდენად ფართოდ და მეტყველების რომელ ნაწილში იყო ამა-თუ-იმ ენაში სქეს-კატეგორიები გავრცელებული, მეორე მხრით ძირეული ნაწილის გამოყოფა საშუალებას მოგვცემს კავკასიური ენებისა და ქართულ-ქართველური რიცხვითი სახელების ნათესაობის პრობლემაც გადავჭრათ.

ამას გარდა, როდესაც ათეულითგან მოყოლებით ათობითი, თუ ოცობითი ანგარიშის თანამედროვე და წინანდელი წესი გამორკვეული იქმნება, ამის შემდგომ სასურველია შეძლებისამებრ გამოირკვეს, რიცხვითს სახელებს ხომ აღრიცხვის კიდევ სხვა წესის რაიმე კვალი არ ემჩნევა. ეს საკითხი მეტადრე ერთეულების ბუნებისა და აგებულების გასაგებად არის მნიშვნელოვანი.

რიცხვითი სახელების შესწავლა ჯერ თითოეულ ენაში ცალცალკე სჯობს, მერმე ენათა არსებული დიდი ჯგუფების საერთო თვისებები და განმასხვავებელი თავისებურება და სულ ბოლოს კავკასიურისა და ქართულ-ქართველურის შედარებითი შესწავლა და ანალიზი უნდა გვქონდეს, რომ ამ გზით მათი ძირეული და ფორმალური ნაწილებისა და ელემენტების ნათესაობის პრობლემის გადაწყვეტაც შესაძლებელი გახდეს.

ბუნებრივად აქაც წამოიჭრება საკითხი, თუ რა საშუალებითა და ღონეობით შეიძლება რიცხვითი სახელების თანამედროვე ფორმებზე უწინარესი და თავდაპირველი ფორმების გამორკვევა ასეთ უმწერლობო ენებში?

რასაკვირველია, ამ შემთხვევაშიც უპირველესად *გჳლდენშტედტისა* და *კლაპროთის* ჩანაწერების გამოყენება დაგვჭირდება. შემდეგში არაერთხელ დავრწმუნდებით, რომ თუმცა ამ და მე-XIX—XX ს.ს. მეცნიერთა ცნობები, დამწერლობიანი ენების საზომით, ერთმანეთზე დიდად დაშორებული არ არის, მაგრამ, ამისდა მიუხედავად მათ ჩანაწერებში არაერთი საგულისხმო ცნობა მოიპოვება, რომელიც ზემოდასახული მიზნის განხორციელებას გაგვიადვილებს.

მაგრამ, რასაკვირველია, მკვლევარი მარტო ამით მიზანს ვერ მიაღწევს, არამედ სხვა საშუალებაც უნდა გამოიყენოს. ცნობილია, რომ რიცხვითი სახელები ორ-სამ მთავარ ნაწილად იყოფა: ერთეულებად, ათეულებად და ასეულებად. ამათგან ერთეულების სახელებს, ათეულებისა და ასეულის სახელებთან შედარებით, უმეტესად მარტივი აგებულება აქვთ. თუმცა, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, ზოგიერთი ერთეულების აღნაგობაც თავდაპირველად მარტივი არ ყოფილა, მაგრამ ამ გარემოებას თანამედროვე მოსაუბრე სრულებით ვერ გრძნობს და მხოლოდ ენათმეცნიერული ანალიზი-ღა თუ დაანახვებს. პირიქით, ათეულებისა და ასეულების ყველა სახელები რთულია და, ან ერთეულებისა და ათეულების, ან ერთეულებისა და ასეულების კომბინაციას წარმოადგენს. ზემოაღნიშნულის გამო ერთეულების სახელები ზოგადად შესაძლებელია მარტივი აგებულებისად მივიჩნიოთ, ათეულებისა და ასეულების სახელები-კი რთულ სიტყვებად ვიცნათ.

მარტივისა და ათეულ-ასეულებში დაცული, აგრეთვე ზოგჯერ რიგობითი და სხვაგვარი რთული რიცხვითი სახელების ერთმანეთთან, შედარება ცხად-ჰყოფს, რომ იქ ჩვენ ერთეულების ზოგჯერ ორი, ზოგჯერ სამი და მეტი ფორმაც-კი მოგვეპოვება.

თუმცა მარტივი რიცხვითი სახელები წარმოშობილობითა და ხნიერებით ათეულებზე უფრო ძველია, ისევე როგორც ათეულების სახელები ასეულებზე უფრო ადრინდელია. მაგრამ, რაკი, ერთეულების სახელების ყოველდღიურ საუბარში ხშირი ხმარების გამო, მათი გარეგნული სახე უფრო ადვილად და სწრაფად იცვლება და იცვითება, ათეულების, მეტადრე რთული წარმოების სახელებში ძველი ფორმები-კი დროისა და სწრაფი გამოთქმის გამანადგურებელ გავლენებისაგან უფრო დაცულია, ამიტომ ათეულების სახელებში შენახული ერთეულების სახელები ხშირად უფრო უძველესი ფორმითაა, ხოლმე დაცული. ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს თვით უმწერლობო ენათა რიცხვითი სახელების შესწავლის დროსაც-კი ერთი-და-იმავე რიცხვითი სახელის გარეგანი სახისა და აგებულების განვითარების სხვა-და-სხვა საფეხურების ფორმები მოვიპოვოთ. ამიტომ მკვლევარმა, ერთეულებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება სწორედ მეორე (11—19-მდე) და დანარჩენი ათეულებისა და ასეულების სახელებსაც უნდა მიაქციოს.

თავი მეორე

კავკასიურ ენათა სინდური ჯგუფის რიცხვითი სახელები

§ 1. აბხაზური რიგობითი რიცხვითი სახელები

აბხაზური ორი, სამხრეთ-დასავლური (კუშჰასიბ) და ჩრდილო-აღმოსავლური (ალტეკეს.), დიალექტის რიცხვითი სახელების ჩანაწერი გ ვ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ნაშრომშია დაცული და ამას გარდა უ ს ლ ა რ ი ს ა და პროფ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს ჩანაწერებიც მაქვს ხელთ, რომელნიც აქვე ერთად მომყავს.

XVIII ს. სამხრეთ-დასავლურ აბხაზური რიცხვითი სახელები

1	სეკე	Seke
2	ლუბა̀	Gubà
3	ხება̀	Chebà
4	ბშიბა̀	Bschibà
5	ხუბა̀	Chubà
6	—	—
7	ბიშბა̀	Bischbà
8	ახბა̀	Achbà
9	იშბა̀	Ischbà
10	ჟაბა̀	Shabà
11	ბჟასა̀	Bshasà

12	ბჟუღ	Bshug
13	ჟახ	Shach
14	ვიბშ	Wibsch
15	ზუხ	Such
16	ჟაჶ	Shaſ
17	ჟიბშ	Sh:bsch
18	ჟა	Sha
19	ჟევშ	Shewsch
20	ღოჟა	Gosha
40	ღუნღოზა	Gun gosa
50	ღუნღოზა შები	Gun gosa schebi
60	ხინღოზა	Ghin gosa
70	ხინღოზა შები	Chin gosa schebi
80	პჟინღოზა	Pshin gosa
90	პჟინღოზა შები	Pshin gosa schebi
100	შკე	Schke
200	ღუშ	Gusch
300	ხიბშუ	Chibschu
1000	ზეკი	Seki

(I. A. Güldenstädt, Reisen II, 528—529).

XVIII ს. ჩრდილო-აღმოსავლური აფხაზური რიცხვითი სახელები

1	სეკე	Seke
2	ღუბა́	Gubà
3	ხება́	Chebà
4	ბშიბა́	Bschibà
5	ხუბა́	Chubà
6	—	—
7	ბჟიბა̈	Bshibä
8	ახბა́	Achbà
9	იშბა́	Ischbà
10	ზაბა́	Sabà
11	ზუ̂ის	Swis
12	ზუგ	Sug
13	ზაკ	Sag
14	გივშ	Giwsch

15	ზუხ	Such
16	ჟიკ	Shits
17	ჟიბშ	Shibsch
18	ზახ	Sach
19	ჟევშ	Shewsch
20	ღოზა	Gosa
30	ღუზუს ზაბე	Gusus sabe
40	ღუნღოზა	Gun gosa
50	ღუნღოზა ზაბა	Cun gosa saba
60	ხინღოზა	Chin gosa
70	ხინღოზა ზაბა	Chin gosa saba
80	ბჟინღოზა	Bshin gosa
90	ბჟინღოზი ზაბა	Bshin gosi saba
100	ზკე	Ske
200	ღუზ	Gus
300	ხეზ	Ches
1000	ზეკი	Seki

(J. A. Güldenstädt, Reisen II, 528—529).

თანამედროვე აბხაზური რიცხვითი სახელები

1 აკჷ
2 ჲბა́
3 ხფა́
4 ფშıბა́
5 ხუბა́
6 ჶბა́
7 ბჟıბა́
8 ააბა́
9 ჟ'ბა́
10 ჟ'აბა́
11 ჟ'ჷ́ძნა
12 ჟ'ა́ჭა
13 ჟ'ა́ხა
14 ჟ'ი́ფშı
15 ჟ'უ́ხუ
16 ჟ'აჶ
17 ჟ'ი́ბჟı
18 ჟ'აა
19 ზჷ́ძჟ'

20 ჭეჟა́
21 ჭეჟი́ჲაკ
22 ჭეჟი́ჲჭბა́
30 ჭეჟი́ჲჟაბა
40 ჭჷნჭეჟა
50 ჭჷ́ნჭეჟა ჟაბა́
60 ხჷ́ნჭეჟა, ან და ხჷ́ნჭეჟა
70 ხჷ́ნჭეჟა ჟაბა́
80 ფშჷ́ნჭეჟა, ან და ფშჷნჭეჟა
100 შკჷ́

ვიდრე ადამიანი გჳლდენშტედტის ჩანაწერის გამოყენებას შეუდგებოდეს, წინასწარ რამდენიმე ქვემომოყვანილი გარემოება უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული. გერმანელი მეცნიერის ნაშრომის გამოცემაში რიცხვითს სახელებში 4-ის აბხაზური შესატყვისობა დაბეჭდილი არ არის. ამისდა მიხედვით მკითხველს ეგონება, თითქოს მას ოთხის აბხაზური სახელის ჩაწერა, ან დაჰვიწყებოდეს, ანდა შემდეგში ჰქონდეს დაკარგული. მაგრამ საკმარისია გჳლდენშტედტის აბხაზური რიცხვითი სახელები თანამედროვე აბხაზურს შეადაროს ადამიანმა, რომ დარწმუნდეს, თუ რამდენად შემცდარა გჳლდენშტედტი, თუ მისი ნაშრომის გამომცემელი, როდესაც 4 ის შესატყვისობისათვის ცარიელი ადგილი დაუტოვებია. თუ გჳლდენშტედტის ჩანაწერში ბშიბა́ ხუთისა და ხუბა́ ექვსის აღმნიშვნელად ჩანს, ნამდვილად ფშიბა́ აბხაზურად ოთხსა ჰქვიან და ხუბა́ ხუთს. მაშასადამე გჳლდენშტედტის ჩანაწერში ოთხის შესატყვისობისათვის ცარიელი ადგილი შეცდომით ყოფილა დატოვებული, ხუთის შესატყვისობადაც ხუბა́ უნდა იქმნეს მიჩნეული და მხოლოდ ექვსს გჳლდენშტედტის ჩანაწერში შესატყვისობა მართლაც არ უჩანს, ამიტომაც სწორედ აქ უნდა იქმნეს ცარიელი ადგილი დატოვებული.

1. ერთის სახელითგანვე იწყება მე-XVIII ს.-ისა და თანამედროვე ცნობებს შორის თვალსაჩინო განსხვავება. თუ გჳლდენშტედტს Seke უწერია, რომელიც სეკე-ს უდრის, მე-XIX ს.-შიცა და ეხლაც ერთი (უგუნური არსება) იქმნება აკჷ́ და აძჷ́ (გონიერი არსება). თავისი კე მარცვლით გჳლდენშტედტის ჩანაწერი უგუნურ არსებათა აღსანიშნავად განკუთვნილს თანამედროვე აკჷ́-ს უდრის, მაგრამ სამაგიეროდ ამ უკანასკნელისაგან თავისი პირველი სე მარცვლით, ანდა უფრო ზედმიწევნით რომ ითქვას, ს ბგერით განსხვავდება, რომელიც თანამედროვე აბხაზურ ერთს არ გააჩნია.

შესცდა გერმ. მეცნიერი და გაუგებრობით 1. პირის ნაცვალსახელის თავსართის მქონებელი ფორმა ერთის ზოგად სახელად მიიჩნია? არა, გჳლდენშტედტის ამ ჩანაწერში არავითარი შეცდომა არ არის, არამედ აბხაზური ერთის მაშინ უკეთ დაცული სახე აქვს მხოლოდ აღბეჭდილი. ამას მეორე ათეულში ერთის დღევანდლამდე შერჩენილი ფორმაც ამტკიცებს.

თერთმეტი ჟჷეჲზა, რომელიც ჟჷეჲ-სა (=10 ჟჷა-ბა́) და ზა-სგან შესდგება და რომლის მეორე ნაწილი უეჭველია ერთს უნდა ნიშნავდეს, ცხად-ჰყოფს, რომ წინათ ერთს აბხაზურად ზა ჰრქმევია.

საგულისხმოა, რომ სამხრეთ-დასავლური აბხაზური 11-ის სახელად Bshasà ბჟასá ანუ ბჟაზá აქვს ჩაწერილი, რომლის პირველი მარცვალი ბჟა ათის ჟაბა-ს თავსართიანი, მაგრამ ბოლოკიდურ-ფორმანტ-ჩამოცილებული სახელი და აღმნიშვნელია, ხოლო მეორე მარცვალი სა, ანუ ზა უკვე ერთის გამომხატველია. ამგვარად აქ ერთის სახელი ცალკეულ ე-ხმოვნად ქცეულ ხე-კე-ს მაგიერ ა-ხმოვანა სა-ს, ანუ ზა-ს სახით არის დაცული ისევე, როგორც 11-ის თანამედროვე სახელს ჟáჷზა-ში გვხდება.

ზემონათქვამისდა მიხედვით საფიქრებელია, რომ ერთი წინათ ხეკე-კი არა, არამედ საკე იქმნებოდა, რომელშიც სა, ანუ ზა ერთის აბხაზ. სახელი ყოფილა, ხოლო კე რაიმეს გამომხატველი ნაწილაკია.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე აბხაზურადაც ერთხელ-ს ზნჯკ ეწოდება, მაგრამ უბოლოკიდურო ბგერო ფორმა ზნჯ-ც არსებობს. ცხადია, რომ ზნჯკ-ს პირველი მარცვლის ხმოვანი აქვს დაკარგული და ზანჯკ-ისავან უნდა იყოს წარმომდგარი.

აბხაზური ერთის სა, ან და ზა-ს ფუძის არსებობას, როგორც დავრწმუნდებით, ერთის უბიხური, ჩერქეზული და ყაბარდოული შესატყვისობაც ამტკიცებს[1].

საფიქრებელია, რომ გონიერი არსების ცალობის აღმნიშვნელი აძ̇ჷ-ც ამავე ზემოდასახელებული ძირის ბგერით სახესხვაობას წარმოადგენს. ეს სიტყვა გაორმაგებული სახითაც გვხვდება და ცალ-ცალად აბხაზურად აძჷ-აძჷალა იქმნება. მისს მეორე ნაწილს აძჷალა-ს თავკიდურს ჩვეულებრივს ა ართრონს თუ ჩამოვაცლით, ერთის, ანუ ცალის აღმნიშვნელად ძჷალა დაგვრჩება. გონიერი არსების ორ-ორის, უფრო სწორედ რომ გამოითარგმნოს ორ-ორი ცალის აბხაზურ სახელს ჲგძჷჲძჷალა-ში, რომელიც ჲგძჷ და ჲძჷალა-საგან შესდგება და ორს ჲგ, ანდა ჲ-სა და ცალს ძჷალა-ს შეიცავს, ცალი უართრონოდ არის კიდევაც წარმოდგენილი.

ამნაირად ცხადი ხდება, რომ ცალ-ცალისა და ორ-ორცალის აბხაზური თანამედროვე სახელების მეორე ნაწილს ერთის ოდინდელი აბხაზური ფორმათაგანი ძჷალა სრულიად აქვს დაცული. ეს გარემოება უბიხური რიცხვითი სახელების ანალიზის დროს უფრო ცხადი გახდება. მაგრამ, როგორც თავის ადგილას დავრწმუნდებით, ლა მარცვალი მაინც ამ რიცხვითი სახელის ძირეული ნაწილი არ არის.

2. აბხაზური ორი-ს მე-XVIII ს.-დროინდელი ნამდვილი გამოთქმის გაგებას გ ჰ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერის გაურკვეველობა აძნელებს. სამხრეთ-დასავლურისაცა და ჩრდილო-აღმოსავლური დიალექტისათვის ერთნაირად Gubá აქვს აღნიშნული, მე-XIX ს.-ში და ეხლა-კი ჲბá ეწოდება. თუმცა გ ჰ ლ დ ე ნ შ-

[1] აბხაზურში ერთისათვის წინათ ზა-ს არსებობის კვალი G. D u m é z i l-საც აქვს თავისს 1932 წ. გამოქვეყნებულს ნაშრომში „Etudes comparatives sur les langues caucasiennes du Nord - Ouest" (გვ. 124) შენიშნული, მაგრამ მან არაფერი იცის გ ჰ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერში დაცული ფორმის შესახებ.

დეტტის ჩანაწერში გ-ს გამოსახატავად არის ნახმარი, მაგრამ ხშირად ღ-ც ამავე ასოთი აქვს გამოხატული [1].

გიულდენშტედტის ჩანაწერის ორი-ს Guba რომ თანამედროვე გამოთქმას შევუფარდოთ, მაშინ G ჯ ბგერის გამომხატველად უნდა ვიცნათ. კაცის აბხაზურ სახელადაც ამავე ავტორს Agu და Gu აქვს ჩაწერილი, ეხლაც კაცს ა-ოჯჷ ეწოდება.

აქაც მაშასადამე ç თანამედროვე ჯ-ს უდრის. მაგრამ ეს ჯ ბგერა, უსლარის დახასიათებით, ფრანგული le-ს ყრუ e-სა და ფრანგული un-ის u-ს შორის შუალედი ბგერაა (იხ. აბხ. ე. 12.). უსლარისავე სიტყვით, ამ აბხაზურ ბგერას თურმე ოდნავი ხორხისმიერი მშინვარებაც ახლავს. ამ აღწერილობა-დახასიათებისდა მიხედვით ჯ დაახლოებით მეგრულ-ჭანურ-სვანურ გ-ს მიაგავს. ამეთი ბგერა-კი გიულდენშტედტის ჩანაწერში ' აპოსტროფით არის გამოხატული (ქართული სიტყვებისათვისაც-კი აქვს გამოყენებული, მაგ. Ta'wisi, Rtse', K'lde, ჩაჩნურისთვისაც, მაგ. ერკემალი Kae' Arl'he' და სხ.). ამიტომ საფიქრებელია, რომ აბხაზური ორის თავკიდური ბგერის ხორხისმიერობა მე-XVIII ს.-ში აწინდელზე გაცილებით უფრო მკაფიოდ და ძლიერად ისმოდა. სწორედ ამ მოსაზრებით ვჰელმძღვანელობდი, როდესაც 2-ის, 20-ისა და მათგან ნაწარმოები რიცხვითი სახელების გიულდენშტედტის G ღ-ს გამომხატველად მივიჩნიე, თუმცა შესაძლებელია ვერც ეს ბგერა იყოს მისი მაშინდელი თვისების მარჯვე გადმომცემი.

რაკი 2—10-მდე ყველა რიცხვ. სახელებს ბოლოში ბა მარცვალი აქვთ, ცხადია. იგი ძირეული არ არის, არამედ, როგორც ცნობილია, ამჟამად იგი არაგონიერ არსებათა მაუწყებელ ბოლოსართად არის ქცეული. მის თავდაპირველ დანიშნულებაზე-კი შემდეგ თავის ალაგას გვექნება საუბარი.

ამნაირად, ორის ცნების გამომხატველი ამჟამად ჯ არის, წინათ, მე-XVIII ს.-შიც-კი ღო-ს მსგავსი მარცვალი ყოფილა. ასევე არ არის 12-ში 2 დაცული, სადაც მე-XVIII ს. უხმოვნო ღ არის მხოლოდ აღნიშნული (ბჟუღ=ბჟუ (10)+ღ (2), თანამედროვეში პირიქით ბოლოში ა ხმოვანი ჩნდება და უკვე ჯა არის (ჟვა (10)+ჯა (2)).

20-ის სამხრეთ-დასავლურ სახელად გიულდენშტედტს ღოჟა (Gosha) აქვს ჩაწერილი, ეხლა-კი ჯეჟვა ეწოდება. ეს სახელი 2-ის (ღო, ჯე) და 10-ისაგან (ჟა, ჟვა) შესდგება და თავდაპირველად ორი ათეულის აღმნიშვნელი ყოფილა. მაშასადამე, 2-ის სახელი 20-შიც უცვლელად ყოფილა მე-XVIII ს. დაცული, სამაგიეროდ თანამედროვეში 2-ი, ცალკეული ჯ-ს და 12-ის ჯა-ს მაგიერ, ჯე-ს სახით გვევლინება.

საგულისხმოა, რომ 30-ის, 40-ისა, 50-ის და 200-ის სახელებში 2-ის უკვე უ-ხმოვანა ფორმა ღუ გვაქვს, ღო-ს მაგიერ, იმისდა მიუხედავად, რომ ასეთი ცვლილებისათვის ასიმილაციის არავითარი გავლენის დამოწმება არ შეიძლება.

[1] მაგ. guli, megobari, schamadgoma. მაგ. gomi ღომი, dge დღე. game ღამე, magla მაღლა.—ყაბარდოულის ჩანაწერებშიც: gonschek შარვალი=ღონშეგ-ს, ტანისამოსი schigin=სჷღჷნ-ს თოფის წამალი gin=ღინ-ს, რკინა gutsch=ღუწ-ს, გზა gok=ღოგუ-ს, მზე digga=დჷღა-ს, გაზაფ, ხული gatche=ღატხე-ს, მძიმე ondog=ონდეღუ-ს, მშიშარა karabga=ქარაბღა-ს და სხვ., თუმცა ღ-სთვის g' ნიშნიანი დაწერილობაც აქვს გამოყენებული (მაგ. dg'es დღეს, g'ili ღილი, dzag'li ძაღლი, g'ia ღია, g'ori ღორი.

ზემონათქვამითგან და დასახელებული მაგალითებითგან ცხადი გახდება, რომ, თუ აბხაზურში 2-ის თავკიდური ხორხისმიერი ბგერა მე-XVIII ს. დამლევს საკმაოდ მკაფიოდ ყოფილა საგრძნობი, შემდეგში მისი ხორხისმიერობა ისე შესუსტებულა, რომ ჭ-დ ქცევასთან ერთად ოდნავი ფშვინვარების სახით-ღა შერჩენილა. ცხადია, რომ ეს ბგერა უკვე გაქრობაზე იყო მიმდგარი. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ 60 და 80-ის თანამედროვე აბხაზური სახელებს ორნაირად ხმარობენ და 60 ამბობენ **ხჴნჭეჟა**-საც (ხჴ+(3)+ნ (=ძველ ქართ. მე-ს და თანამედრ. მ-ს)+ჭეჟა (20) და **ხჴნეჟა**-საც, ამგვარადვე 80 გამოითქმის ფშჴნჭეჟა-დაც (=ოთხ-მე-ოცს) და ფშჴნეჟა-დაც, ე. ი. პარალელური ფორმების ოცის სახელში ჭ ბგერა ამჟამად უკვე სრულებით უკვალოდ არის გამქრალი.

3. აბხაზური 3-ს სახელი საკმაოდ კარგად არის დაცული, მეტადრე მისი თანხმოვანი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ოდნავადაც არ შეცვლილა. თანამედროვე აბხაზურში სამს **ხფა** ეწოდება (უსლარისაცა და ს. ჯანაშიას ჩანაწერითაც, ასევე აქვს დირრსაც). მაგრამ ნ. მარის ლექსიკონში **ხჴფა**-ა დაბეჭდილი (იხ. рус.-абх. обр. сл.: три) არაგონიერთა აღსანიშნავად და **ხჭჴკ** გონიერთათვის.

უკანასკნელი ცნობა უფრო ზედმიწევნითი უნდა იყოს, რადგან ყველა ამ პირთა ჩანაწერით 60-ს, რომელიც სამ-მე-ოც-სა ნიშნავს, **ხჴნჭეჟა** ჰქვიან. აქაც სამი **ხჴ**-ს სახით არის წარმოდგენილი ისევე, როგორც **ხჴში**-ის, 300-ის, სახელშიც.

ყველა ზემომოყვანილის მიხედვით საფიქრებელი იყო, რომ სამის აღმნიშვნელ აბხაზურ ძირად **ხჴ** უნდა ყოფილიყო მიჩნეული, რომელიც მარტივად **ხ** თანხმოვნის სახითაც ჩანს.

მაგრამ საგულისხმოა, რომ მე-XVIII ს. აბხაზური ორივე დიალექტის სამის სახელად გიულდენშტედტს **ხება** აქვს ჩაწერილი, ხოლო 60-ის **ხინდოზა**-სა და 300-ის, **ხიბშ**-ის სახელებში სამის აღმნიშვნელი ძირი, **ხე**-ს მაგიერ, **ხი**-ს სახითაც გვევლინება.

ამნაირად ირკვევა, რომ, თუ გერმ. მეცნიერის ცნობით სამის ძირად უნდა **ხე**, ანდა **ხი** ვიგულისხმოთ, თანამედროვე ჩანაწერებით ძირად **ხჴ** და **ხ**-ც კი გამოდის. როგორ უნდა ავხსნათ ცნობათა ასეთი სხვადასხვაობა? აქ ხომ უბრალო გაუგებრობა და შეცდომა არ არის: ეგების გიულდენშტედტმა მისთვის უცხო ბგერა ჴ ვერ გაარჩია, ანდა ასოთი მისი ზედმიწევნით გამოხატვა ვერ შესძლო და ერთ შემთხვევაში ე-დ მოესმა, ან და ჩასწერა, მეორეში ი-დ?

არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ გიულდენშტედტის ჩანაწერში აქ ან რაიმე შეცდომა იყოს შეპარული, ან გაუგებრობის შედეგი გვქონდეს. სამის აღმნიშვნელი თანხმოვანი **ხ** რომ არამც თუ ი და ე ხმოვანით, არამედ ა ხმოვნითაც ყოფილა, ამას ცამეტის აღმნიშვნელი თანამედროვე აბხაზური **ჟახჴ**-ც ამტკიცებს, რომელშიც სამი ამ სიტყვის სწორედ ბოლოკიდური **ხა** მარცვლით არის გამოხატული.

4. გ ჱ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს ოთხის სახელად აბხაზურს ორსავე დიალექტში ბშიბა აქვს ჩაწერილი. რაკი ბა ფორმანტია, ოთხის გამომხატველი ძირი თითქოს ბში გამოდის. აღსანიშნავია, რომ იმ დროს, როდესაც ჩრდილო-აღმოსავლურ დიალექტში 60-ის სახელს ბჟინლოჲზა-ში ოთხი ბჟი-ს სახით ყოფილა წარმოდგენილი ე. ი. თავკიდური თანხმოვანი უცვლელად ყოფილა დაცული, მომდევნო შ-კი უკვე ჟ-დ ქცეულა, იმავე დროს პირიქით სამხრეთ-დასავლური დიალექტის ოთხმოცისაეუ სახელს პჟინლოჲზა-ში, რომელიც ოთხ-მ-ოც-ს უდრის, ოთხი უკვე პში-ს სახით გვევლინება, ე. ი. თავკიდური მჟღერი ბ ყრუ პ ბგერად არის შენაცვლებული, მომდევნო შ თანხმოვანი-კი აქ შეუცვლელი დარჩენილა. ამნაირად ოთხის ძირი ბში-ს, ბჟი-სა და პში-ს სახით ყოფილა ცალკეულსა და რთულ რიცხვითს სახელებში წარმოდგენილი.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ 14-ის, სამხრეთ-დასავლურ სახელს ყიბშ-სა და ჩრდილო-აღმოსავლურს გიყშ-ში, რომელთა პირველი მარცვლის ჩაწერილობის სისწორე ცალკე უნდა იქმნეს განხილული, ოთხის ძირი უკვე სრულებით უხმოვნოდ, ბშ და ყშ-ს სახითაც, გვევლინება.

თანამედროვე აბხაზურად ოთხი არის ფშჷბა, 14-ი ჟჷიფშჷ და 80-ი ფშჷჯნჰეჟა, ე. ი. ყველგან ფშჷ ძირია.

საფიქრებელია, რომ ამ ძირის ეხლანდელი შერბილებული შ, შჷ, მე-XVIII-ს. არსებული ში-ს შედეგს წარმოადგენს. იხმოვნის ჷ-დ ქცევისა და შ თანხმოვანთან ერთ ბგერად, შჷ-დ, შერწყმისა და ქცევის პროცესი ნაწილობრივ უკვე მე-XVIII ს.-შივე დაწყებულა, როგორც ეს 14-ის სახელში მყოფი მაშინდელი ბშ ცხად-ჰყოფს, რომლის ბოლოკიდური შ უეჭველია შერბილებული იქმნებოდა, მაგრამ გ ჱ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერში ეს გარემოება ალბათ იმიტომ არ არის აღბეჭდილი, რომ ამის გამოსახატავად შესაფერისი ნიშანი არ გააჩნდა.

იმისდა მიუხედავად, რომ წინანდელს ბშიბა-ს და თანამედროვე ფშჷბა-ს ბოლოში ბა ფორმანტი ახლავს და ახლდა წინათაც, ბში-სა, პში-ს და ფშჷ-ს თავკიდური ბ, ფ და პ-ც ძირეული უნდა იყოს, თუ არა, ამაზე შემდეგში გვექმნება ცალკე საუბარი.

5. ხუთის აბხაზური სახელი საუკუნეთა განმავლობაში კარგად არის დაცული. გ ჱ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს ორივე დიალექტისათვის ხუბა აქვს ჩაწერილი და ასევე იყო შემდეგშიც, ეხლაც ამნაირადვე გამოითქმის, როგორც ეს უ ს ლ ა რ ი ს ა და ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს ჩანაწერებითგან ჩანს. ასევე ხუ-დ არის დაცული ხუთი, თხუთმეტის აწინდელ სახელს ჟჷუხუ-შიც. ნ. მ ა რ რ ს-კი 5-ის სახელად ლექსიკონში ჳჷგბჷ მოეპოვება, რომელიც ეტყობა დიალექტური ფორმა უნდა იყოს, რის კვალი ნაწილობრივ მე-XVIII ს.-შიც მოჩანს.

ზემომოყვანილი ცხად-ჰყოფს, რომ ხუთობის გამომხატველი აბხაზური ძირი ხუ ყოფილა. მაგრამ საყურადღებოა, რომ გ ჱ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერში ორივე დიალექტის 15-ის სახელად აღნიშნულია ზუხ, რომელშიც ხუთი მხოლოდ ერთი ბგერით, ხ თანხმოვნით-ღა, გვევლინება. შესაძლებელია მაშინაც აქ ხ-ს შემდგომ, ნ. მ ა რ რ ი ს ჩანაწერის 5-ის მსგავსად, გ ისმოდა კიდევაც, მაგრამ ეს სუსტი ბგერა გერმ. მეცნიერის ყურთასმენას გამოეპარა. აქეთგან ჩანს,

რომ უ ხმოვნის გაქრობის პროცესი, რომელიც დასრულებული არ არის, მე-XVIII ს-შიც უკვე საგრძნობი ყოფილა.

6. გ ჰ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერში, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ექვსის აბხაზური სახელი გამოტოვებულია. მხოლოდ თექვსმეტის სახელისდა მიხედვით ჟაჴ (სამხრეთ-დასავლურად) უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ექვსის აღმნიშვნელ ძირად მე-XVIII ს.-შიც უკვე ჴ თანხმოვანი იყო ქცეული. ცნობილია, რომ თანამედროვე აბხაზურშიც 6-ს ეწოდება ჴბა, 16-ს ჟւაჴ და 600-ს ჴւგშւ. პირველს ორ შემთხვევაშიც ჴ-ა ძირად, უკანასკნელში ჴგ.

ზემომოყვანილისაგან სრულებით განსხვავებული სიტყვა აქვს გ ჰ ლ დ ე ნ-შ ტ ე დ ტ ს ჩრდილო-აღმოსავლური დიალექტის რიცხვითს სახელებში ექვსისათვის ჩაწერილი: Shits. გერმ. მეცნიერს ts ასოთა კომპლექსი ჩვეულებრივ ც ბგერის გამოსახატავად ჰქონდა ხოლმე ნახმარი, მაგრამ აქა-იქ ძ-სა და წ-ს აღსანიშნავადაც უხმარია. ამნაირად 16-ი ჩრდილო-დასავლურ აბხაზურად ჟიც-ად, ანდა უკიდურეს შემთხვევაში ჟიწ-ად უნდა ვიგულისხმოთ. თუ აქ შეცდომა არ არის შეპარული, მაშინ ამ დიალექტის 6-ის ძირად უნდა ც მივიჩნიოთ.

7. მე-XVIII ს. ჩანაწერით სამხრეთ-დასავლურად შვიდი ბიშბა, ჩრდილო-აღმოსავლურად-კი ბჟიბა ყოფილა. ორივე დიალექტის 17-ის სახელად-კი ჟიბშ-ია მოყვანილი.

თუ ბიშბა კორექტურული შეცდომის ნაყოფი არ არის, მაშინ ბიშ ადგილმონაცვლებით იქმნება ბში-საგან წარმომდგარი, რათგან 17-ის სამხრეთ-დასავლურ სახელშიც 7 ბშ-ს სახით გვევლინება. რაკი ორივე დიალექტის 17-ში შვიდი ბშ კომპლექსად არის დაცული და ამავე რიცხვის სამხრეთ-დასავლურ სახელშიც მეორე თანხმოვანი ჟ-კი არა, არამედ შ ყოფილა, ამიტომაც შვიდის აღმნიშვნელ აბხაზურ ძირად უნდა ბში მივიჩნია, ბჟი მისი მერმინდელი შენაცვლებული ფორმა უნდა იყოს.

თანამედროვე აბხაზურში 7-ს ბჟւბა, 17-ს ჟւიბჟւ და 700-ს ბჟւგშւჴ, ან და ბჟւგშւ ეწოდება. ამნაირად ყველგან შვიდის ძირად უკვე ბჟւ არის გაბატონებული, რომელიც უკვე მე-XVIII ს. აღბექდილი ჩრდილო-აღმოსავლური ბჟისაგან არის წარმომდგარი.

ბოლოკიდური ი ხმოვნის გაქრობის პროცესი უკვე იმ დროსვე ყოფილა დაწყებული, როგორც ამას 17-ის სამხრეთ-დასავლური სახელი ჟიბშ-იც ცხადჰყოფს. შესაძლებელია უკანასკნელი თანხმოვანი მაშინაც შւ-დ გამოითქმოდა.

ყველა ზემონათქვამის შემდგომ შვიდის აბხაზურ ძირად თითქოს ბში უნდა გვეცნა, მაგრამ, იმისდა მიუხედავად, რომ 7-ს ბშიბა ჰქვიან და ბოლოში ისედაც ბა ფორმანტი უზის, მაინც თავკიდური ბ-ც, ისევე როგორც ოთხის სახელშიც, ძირეული არ უნდა იყოს.

8. აბხაზური ორივე დიალექტის რვის სახელად გ ჰ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს ახბა აქვს ჩაწერილი, მაგრამ 18-ის სამხრეთ-დასავლურს სახელს ჟა-ში რვის ხ ბგერა უკვე გამქრალია და მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლური დიალექტის 18-ს ჟახ-ს ჰქონია ეს თანხმოვანი დაცული. ბა ფორმანტის ჩამოცლის შემდგომ, რვის გამომხატველ აბხაზურ ძირად ახ და ხ გვრჩება.

თანამედროვე აბხაზურად 8-ს ააბა́, ანუ, ჴბა́, 16-ს ჟᵛაჴ და 800-ს ჴშᵛგ ეწოდება. ყველგან რვის ძირად უკვე ჴ არის ქცეული.

9. მე-XVIII ს. ჩანაწერში ცხრის აბხაზური ორივე დიალექტის სახელად იშბა́ არის ჩაწერილი, რომელშიც ცხრის ცნების გამომხატველი იშ-ია. მაგრამ 19-ს მაშინვე ორსავე დიალექტში თურმე ჟევშ-ი ჰრქმევია. აქ ცხრის აღმნიშვნელად უკვე ვშ გამოდის.

თანამედროვე აბხაზურად 9-ს ჟᵛბა́-ს, 19-ს ზეჲჟᵛ-სა და 900-ს ჟᵛგშᵛგ-ს ეძახიან, ე. ი. ყველგან ძირად ჟᵛ ჩანს.

10. გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ცნობით, მე-XVIII ს. სამხრეთ-დასავლურ აბხაზურად ათს ჟაბა́ სწოდებია. ჩრდილო-აღმოსავლურად-კი ზაბა́ არის ჩაწერილი. აქ ამნაირად 10-ის აღმნიშვნელი ძირის ორი ფონეტიკური სახესხვაობა ჟა და ზა გვაქვს. საგულისხმოა, რომ, თუმცა სამხრეთ-დასავლურ დიალექტში ჟ სახესხვაობა სჭარბობდა,—მაგ. 11-ში ბჟახა, 12-ში ბჟულ 13-ში ჟახ, 16-ში ჟაჶ, 17-ში ჟიბშ, 18-ში ჟა და 19-ში ჟევშ,—და ბჟა, ბჟ, ჟა, ჟი და ჟ-ს სახით გვევლინება, მაგრამ იქაც ამასთანავე ზა ან და ზ სახესხვაობაც მოიპოვებოდა. მაგ. 15-ში ზუხ და მეტადრე 40-ის ღუნღოზა-ს, 50-ის ღუნღოზა შები-ს, 60-ის ხინღოზა-ს, 70-ის ხინღოზა შები-ს, 80-ის პჟინღოზა-სა და 90-ის პჟინღოზა შები-ს სახელებში.

ამგვარადვეა ჩრდილო-აღმოსავლურ დიალექტშიც, სადაც ათისათვის ზა ძირია გაბატონებული,—მაგ. 11-ის ზჟის, 12 ის ზუგ, 13-ის ზაგ, 15-ის ზუხ, 19-ის ზახ და შემდეგ 20-ითგან მოყოლებული—ღოზა—ყველა ოცეულ-ათეულებში, სადაც, ან ზა-ს, ან და ზაბა-ს სახითაა წარმოდგენილი. მაგრამ მაინც ჟ სახესხვაობის ძირი აქაც გვხვდება,—მაგ. 16-ის ჟიც, 17-ის ჟიბშ და 19-ის ჟევშ სახელებში.

თანამედროვე აბხაზურად 10-ს ჟᵛაბა́ ეწოდება და ათითგან მოყოლებული ყველა რიცხვითს სახელებში, რომელშიც ათის სახელი შედის, ერთს გარდა, ჟᵛ გვხვდება. ჟᵛა ძირის ასეთი უცილობელი ბატონობის გამოცა და იმიტომაც, რომ ეს სახესხვაობა საკმაოდ ხშირად გვხვდება, იქნებ ზა სახესხვაობა 10-ისათვის გერმან. მეცნიერის ჩანაწერის შეცდომის, ანდა გაუგებრობის ნაყოფს წარმოადგენდეს, ან ეგების კორექტურული შეცდომა იყოს და ამის გამო უნდა უარყოფილ და სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის უვარგისად იქმნეს ცნობილი? ასეთი მსჯავრისა და დასკვნისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს.

თვით თანამედროვე აბხაზურის 19-ის სახელი ზეჲჟᵛ-იც, რომელიც 10-ის აღმნიშვნელი ზე-სი და 9-ის ჟᵛ-საგან შესდგება[1], ზ სახესხვაობის ძირის წინათ აბხაზურში არსებობისაც ათისათვის უცილობელი მოწმეა. როგორც ზეჲჟᵛ 19-ის სახელი მცდარი-კი არა, არამედ ყველა მკვლევართა ჩანაწერებში აღბეჭდი-

[1] G. Dumezil-ი (იხ. Etudes compar. გვ. 127) ფიქრობს, რომ ზეჲჟᵛ-ის ზ დისიმილაციის წყალობით არის ჟᵛეჲჟᵛ-ისაგან წარმომდგარი. თავისი ამ დებულების გასამაგრებლად მას შეეძლო მე-XVIII ს. ჩანაწერის 19-ი ჟევშ-იც დაემოწმებინა, გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ნაშრომის არსებობა რომ არ გამოჰპარვოდა. მაგრამ ამავე მეცნიერის ცნობაში ზ ძირიანი 19 რიცხვითი სახელის არსებობა, რომელშიც არავითარ დისიმილაციაზე არ შეიძლება იყოს საუბარი, დაარწმუნებდა, რომ მისი მოსაზრება მცდარია.

ლი სრულებით უცილობელი ფორმაა, ისევე არც რაიმე საფუძველი, არც უფლება გვაქვს მე-XVIII ს. ჩანაწერის ზემოთმოყვანილი რიცხვითი სახელების სისწორე უარვყოთ და არ გამოვიყენოთ. მაშასადამე, მე-XVIII ს. და შემდეგ ს. ს.-ში ათის აღმნიშვნელი ძირის ორი, ზა, ანუ ზ და ჟა, ანუ ჟ, სახესხვაობა გვაქვს, რომელთაგან დროთა განმავლობაში მეორე სახესხვაობა იმარჯვებს.

მაგრამ სამხრეთ-დასავლური აბხაზური 50-ისა, 70-ისა და 90-ის მე-XVIII ს. ჩანაწერში აღბეჭდილი სახელები ლუნლოზა შეჰი, ხინლოზა შეჰი და პშინლოზა შეჰი-ს ათის აღმნიშვნელი შეჰი, რომელიც შე ძირისა და ჰი ფორმანტისაგან შესდგება, სრული უეჭველობით ამტკიცებს, რომ მე-XVIII ს.-ში ათის აღმნიშვნელი ძირის შე-ს ანუ შ-ს ოდინდელი არსებობის ნაშთიც შერჩენილი ყოფილა.

ამნაირად გამოირკვა, რომ აბხაზურს დროთა განმავლობაში 10-ის ძირის შ, ზ და ჟ სახესხვაობა ჰქონია, რომელთაგან პირველი მე-XVIII ს.-ში ოდნავღა ყოფილა შენარჩუნებული, მეორესა და მესამეს შორის-კი მაშინ ბრძოლა ყოფილა, რომელიც მე-XIX ს.-ში უკვე უკანასკნელი სახესხვაობის გაბატონებით დამთავრებულა.

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ-დასავლური დიალექტის 11-ის პჟასა-სა და 12-ის ბჟუღ-ის სახელებში ათის აღმნიშვნელ ჟა და ჟუ-ს წინ ბ თანხმოვანი უზის, რომელიც ამ რიცხვითს სახელს სხვაგან არსად უჩანს. ცხადია, რომ იგი ძირეული არ არის, არამედ ფორმანტია.

მეორე ათეულის აბხაზური რიცხვითი სახელები ათისა და ერთეულების შეკავშირებით არიან ნაწარმოები. ორ-სამ შემთხვევაში (11-ისა და 17-ის, ეგების 14-ისაშიც) ათეულსა და ერთეულს შორის თითქოს ი კავშირი ჩოჩანს, მაგრამ, რაკი სხვაგან ეს ბგერა არ მოიპოვება, ამ საკითხს ჯერ კიდევ გამორკვევა სჭირდება.

მკვლევართა შორის (უსლარი, დირრი, დუმეზილი) განმტკიცებული იყო აზრი, რომ აბხაზური რიცხვითი სახელები ოცეულობითს თვლაზეა დამყარებული. რა თქმა უნდა, უფრო ხელმიწვდენითი იქნებოდა, რომ ათეულ-ოცეულობითად ყოფილიყო სახელდებული. მაგრამ ოცის სახელის ზემომოყვანილმა ანალიზმა (იხ. გვ. 264-5 და 268) დაგვარწმუნა, რომ ამ რიცხვის სახელი (ღო + ზა, ან ჟა ჟ + ჟუ) ორი ათის აღმნიშვნელი ყოფილა. ეს გარემოება უცილობლად ამტკიცებს, რომ აბხაზური რიცხვითი სახელები თავდაპირველად ათეულობითს თვლაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული და ოცეულობითი თვლა შემდეგში გაჩენილი იქნება.

40, 60 და 80-ი, ძველი ქართულის მსგავსად, ორ-მე-ოცის, სამ-მე-ოცის და ოთხ-მე-ოცის აღმნიშვნელებია, რომელიც თანამედროვე ქართულში ორმოცად, სამოცად და ოთხმოცად არის უკვე ქცეული. გ ჰ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერით 40 ღუნლოზა, 60 ხინლოზა და 80 ბჟინლოზა და პჟინლოზა ყოფილა. ერთეულებისა და ოცეულის რიცხვებს შუა ნ თანხმოვანია, რომელიც ჯერადობის გამომხატველი ნაწილაკი გამოდის. ნ. მ ა რ რ ი ს ჩანაწერითაც ეხლა 40 ჲჸჳნჟაჟა (ჲჸნჟაჟა ?), 60 ხჸნჟაჟა და 80 ფშჸნჟაჟა არის მიღებული, ე. ი. ჯერადობის გამომხატველ ნაწილაკად ეხლაც ნ ბგერა ჩანს, მაგრამ საგულისხმოა,

რომ ს. ჯანაშიას ჩანაწერითგან ირკვევა, რომ 40-ს ჲჳნეჟა, 60-ს ხჳნჲეჟა და 80-ს ფშჷჳნჲეჟა-ც სწოდებია. ეს აბხაზური თანამედროვე დიალექტური ფორმები იმ მხრივ არიან განსაკუთრებული ყურადღების ღირსი, რომ აქ (40-ში) ჯერადობის ნაწილაკი ზემომოყვანილზე უფრო სრულად ნე-ს სახით არის დაცული.

50, 70 და 90-ი ორმოც ათსა, სამოც ათსა ნიშნავს. შუაში მათ კავში რი არა აქვთ. ასე ყოფილა მე-XVIII ს.-შიც და ასეა ს. ჯანაშიას ჩანაწერით ეხლაც. ნ. მარრსაც 50-ის უკავშირო ფორმა მოეპოვება, მაგრამ 70-ისა და 90-ის სახელებში ჲ კავშირი ჩანს (ხჳნჲაჟჳჲ ჟაბა და ფშჷჳნჲაჟჳჲ ჟაბა) ისევე, როგორც 30-ის ჱაჟჳჲ ჟაბა-შიც, რომელიც ჲ კავშირიანი ფორმითაა ს. ჯანაშიას ჩანაწერშიც. აღსანიშნავია, რომ გჳლდენშტედტის ჩანაწერშიც 90-ის ჩრდილო-დასავლურს სახელს ბუინღოზი ზაბა-საც შუაში ი ხმოვანი აქვს, რომელიც უექველია იგივე ჲ კავშირი უნდა იყოს.

100. მე-XVIII ს. ასის სამხრეთ-აღმოსავლურ სახელად შკე არის ჩაწერილი, რომელშიც კე არაგონიერ არსებათა რამეს აღმნიშვნელი ბოლოსართი და შ 100-ის გამომხატველია. მაშინდელსავე ორასის სახელს ღუშ-შიც იგივე შ გვხდება, მაგრამ სამასის სახელს ხიბშუ-ში უკვე შუ მოგვეპოვება.

თანამედროვე აბხაზურად 100-ს შჷკჳ, 200-ს ჲჳშჷ და 300-ს ხჳშჷ ეწოდება და ყველგან შჷ არის 100-ის გამომხატველი.

საგულისხმოა, რომ ჩრდილო-აღმოსავლურ აბხაზურად მე-XVIII ს. ასს ზკე ჰრქმევია. კე რაიმეს აღმნიშვნელი რიცხვითი სახელების აბხაზური ფორმანტია, 100-ის გამომხატველი-კი ზ ბგერა ყოფილა.

200-საც იქვე და იმავე დროს ღუზ, ხოლო 300-ს ხეზ სწოდებია. ღუ 2-ს, ხე 3-სა და ზ აქაც 100-ის აღმნიშვნელია.

ამავე მე-XVIII ს.-ში აბხაზურს ორსავე დიალექტს 1000 სახელად ზეკი ჰქონია. ეხლა ზკი, ზეკი, და ნ. მარრის ლექსიკონის თანახმად, ჳზჳჳ და ზჳჷჳ-ც ეწოდება.

ასის გამომხატველი სამხრეთ-დასავლური შ, ანუ შჷ და ჩრდილო-აღმოსავლური ზ ძირები ისევე, როგორც 1000-ისათვის ზეკი, ანუ ზეკი, თუ ზჳჷჳ ერთი შეხედვით შესაძლებელია ეუცხოვოს ადამიანს და გაუგებრად ეჩვენოს კიდევაც[1]. მაგრამ მას შემდგომ, რაც აბხაზური რიცხვითი სახელების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ მე-XVIII ს.-ში შერჩენილი ყოფილა ნაშთი, რომლითგანაც ცხადად ჩანს, რომ ათის აღსანიშნავად აბხაზურს წინათ შ ძირიც ჰქონია, 100-ის სახელი უკვე განმარტოებულად არ გვეჩვენება, მით უმეტეს 1000-ის ზ ძირი არაფერს არც განცალკევებულს, არც ბუნდოვანსა და განუმარტავს რამეს წარმოადგენს.

სრულებით ბუნებრივია, და ამის მაგალითს შემდეგ ჩვენც ვნახავთ, რომ 100-ი ათი ათისა და 1000-ი ათი ასის გამომხატველი იყოს. უკანასკნელის დასამტკიცებლად ქართ. მკითხველისათვის ჯერჯერობით ჩვენი ათ-ასი-ც კმარა.

---

[1] როგორც მაგ. დჳმეზილს დაემართა, რომელიც 1000-ის აბხაზურ სახელს განმარტოებულად და გაუგებარად სთვლის (იხ. Etudes comparatives, გვ. 128).

ამიტომაც საფიქრებელია, რომ ასი აბხაზურად **შშკე** და **ზზკე** (შესაძლებელია შუა ხმოვნითურთ) იქმნებოდა ერთსაცა და მეორე აბხაზურს დიალექტში და მხოლოდ დროთა განმავლობაში ექმნებოდა თავკიდური ბგერა ჩამოცილებული. **ათი ასის** აღმნიშვნელს სახელსაც ამნაირადვე უნდა ჰქონდეს 10-ის აღმნიშვნელი თავკიდური ნაწილი დაკარგული.

რაკი 20-ის სახელი ათეულობითი აღრიცხვის სისტემაზეა დამყარებული და ორი ათის აღმნიშვნელი სიტყვაა და 100-იც ისევე, როგორც 1000-იც, თავდაპირველად ამავე სისტემის სახელები უნდა ყოფილიყო, ამიტომ ცხადია, რომ **წინათ 30, 40, 50, 60, 70, 80, 90-საც სხვანაირი სახელები უნდა ჰრქმეოდათ და სამი ათის, ოთხი ათის, ხუთი ათის, ექვსი ათის, შვიდი ათის, რვა ათის, და ცხრა ათის აღმნიშვნელი იქმნებოდენ.**

§ 2. უბიხური რიცხვითი სახელები

უბიხური რიცხვითი სახელების სრული სია მხოლოდ უ ს ლ ა რ ი ს 1851 წ. ჩანაწერში მოიპოვება, მაგრამ იგი ერთი ძციერწლოვანის ცნობაზეა დამყარებული. დ ი რ რ ი ს ა და დ ჳ მ ე ზ ი ლ ი ს სპეციალურს ნაშრომებში უბიხურის შესახებ რიცხვითი სახელები უსლარის ჩანაწერისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდება. ამათგან არაერთი ისეთი განსხვავებაა, რომელიც შეუძლებელია ცნობათა ქრონოლოგიური მიზეზის შედეგი იყოს, რათგან ზოგჯერ მერმინდელს ჩანაწერებში უფრო ძველი და სწორე ფორმა გვხვდება, ვიდრე უ ს ლ ა რ ს მოეპოვება. ამიტომ, ამ ახალი ცნობების გამოქვეყნების შემდგომ, უ ს ლ ა რ ი ს ჩანაწერისათვის უნდა გვერდი ამექცია და უმთავრესად დ ი რ რ ი ს ა და დ ჳ მ ე ზ ი ლ ი ს ნაწარმოებს დავმყარებოდი, უსლარის ცნობები-კი მხოლოდ ზოგიერთი გარემოების გამოსამჟღავნებლად გამომეყენებინა.

აი თვით **უბიხური რიცხვითი სახელები** დ ი რ რ ი ს ა და დ ჳ მ ე ზ ი ლ ი ს ჩანაწერების მიხედვით:

1 ზა, ზა̆
2 ტყუა, ტყო, ტგყოა
3 შა̆
4 პლიგ, პტლიგ
5 შხ̇ჳგ
6 ფგ
7 ბლგ (დჳმეზ.), ბლე (დირ.) ბლი (უსლ.)
8 უღოა, უღუა, ღუა, ხჳოე (უსლ.)
9 ბლი, ბლგ
10 ზჳჳ, ზჳი, ჟუჟ (უსლ.)
11 ზჳჳზა̆, ჟჳჳზა̆, ზჳიზა́
12 ზჳჳტყუა, ჳტყუა
13 ზჳჳშა̆, ჳშა̆
14 ზჳჳპლიგ, ჳპლიგ
15 ზჳჳშხგ, ჳშხგ

16 ზıკჶ, კჶ
17 ზıკბლ, კბლ
18 ზıკლჶა, კლჶა
19 ჳıკბლი, კბლი
20 ტჾყოაპია̈ ტყჶაპია̈, ტყოპი, ტყოეპო̈ (უსლარ.)
21 ტყჶაპიალა̈ ზალა̈, უსლარს-კი ჩაწერილი აქვს ტყოეპო̈ დლა̈ ზალა̈ და ასე დლა̈ არის ყველგან 22-ისა, 23-სა და დანარჩენს რიცხვებშიც.
30 ტჾყოაპილა̈ ზıალა̈ (დირრს)
ტყჶაპჵალა ზı(კ)ალა̈ (დვმეზილს)
ტყოეპო̈ დლა̈ ჟıალა̈ (უსლარს)
40 ტჾყოამტჾა̈ ტჾყოაპი (დირრს),
ტყჶამჩა̈ ტყჶაპი (დვმეზ.).
ტოემჩა ტოეფჶ (უსლ.)
41 ტოემჩა ტოეფალა̈ ზალა̈ (უსლ.)
50 ტყჶამჩა̈ ტყჶაპიალა̈ ზıალა̈ (დვმეზ.)
ტოემჩა ტოეფალა̈ ჟıალა̈ (უსლ.)
60 შა̈მჩა ტყჶაპი(ა̈) (დვმეზ.)
ხჾემჩა ტოეფჶ (უსლ.)
·70 ჳა̈მჩა̈ ტყჶაპიალა̈ ზıალა̈ (დვმეზ.)
ხჾემჩა ტოეფალა̈ ჟıალა̈ (უსლ.)
80 პლჾგმჩა ტყჶაპი(ა̈) (დვმეზ.)
პლჾიმჩა ტოეფუ (უსლ.)
90 პლჾგმჩა ტყჶაპიალა̈ ზıალა̈ (დვმეზ.)
პლიმჩა ტოეფალა̈ ჟıალა̈ (უსლ.)
91 პლჾგმჩა̈ ტყჶაპიალა̈ ზıკზალა̈ (დვმეზ.),
პლიმჩა ტოეფალა̈ ჟıიზა (უსლ.)
100 სıა̈ (დირრ, დვმეზ.) სჾოე (უსლ.)
110 სჾოე დლა̈ ჟıალა̈ (უსლ.)
120 სჾოე დლა̈ ტოეფალა̈ (უსლ.)
130 სჾოე დლა̈ ტოეფალა̈ ჟıალა̈ (უსლ.)
140 სჾოე დლა̈ ტოემჩა ტო̈ეფალა̈ (უსლ.)
200 ტყჶასıა̈ (დვმეზ.), ტოემსჾოე (უსლ.)
1000 ჟო̈სჾოე (უსლ.), ზა̈მინ, ანდა მინ (დვმეზ.)

საკმარისია ადამიანი რიგობითს რიცხვითს სახელებს კარგად ჩაუკვირდეს, რომ დარწმუნდეს, თუ რამდენად უნდა იყოს ერთეულების წინანდელი სახე შეცვლილი, მაგ. ერთი თუ ცალკე და 11-ში ზა და ზა̈ არის, 21-ში, 41-ში, 81-ში, 101-ში, 121-ში და 141-ში იგი ყოველთვის ზალა̈-ს სახით არის წარმოდგენილი.

დ ი რ რ ი ფიქრობდა, რომ 21-ში დაცული ერთის აღმნიშვნელი ზალა̈ ორი ცალკეული მარცვლისა და სიტყვისაგან შესდგება, რომელთაგან ზა ერთი-ა, ლა̈-კი და კავშირიაო. ამიტომ 21-ის სახელში ლა̈ მარცვალი ხაზითაც გამოყო-

ული აქვს და კავშირადაც აქვს მიჩნეულ-გადმოთარგმნილი: „ტყოაპა-ლა̆ ზა-ლა̆ = 21 (Zwei zehn und ein und: Einführung 55), ე. ი. უდრის და ნიშნავს „ორი ათი და ერთი და-სო. ამავე მოსაზრებას იზიარებს დ უ მ ე ზ ი ლ-იც, რომელსაც უბიხურს 21-ში ერთის სახელი ზ-ალა̆-ში ალა̆ გამოცალკევებული აქვს (იხ. La langue des Oubykhs, გვ. 42) და კავშირ „და"—დ აქვს მიჩნეული (Etudes compar. გვ. 127 და 65). მაგრამ, იმას გარდა, რომ უბიხურად და კავშირი ჩვეულებრივ სულ სხვანაირია, თუ 21-ის სახელში ოცსა და ერთს შუა და კავშირი ბუნებრივია, სრულებით უაზრო გამოდის და კავშირის გულისხმობა კიდევ ერთის შემდგომაც. ეს მით უფრო დაუჯერებელი, რომ ამნაირადვე იყო 1851 წელს 22-ის, 23-ის, 24-ის და სხვა რიცხვების 2-ის, 3-ის 4-ის და სხ. ბოლოშიც, როგორც ეს უ ს ლ ა რ ი ს ჩანაწერით მტკიცდება: 22. ტყოეპ̈ დლა̆ ტყოელა̆, 23. ტყოპ̈ დლა̆ ტლძალა̆, 24. ტყოეპ̈ დლა̆ ზხჺლა, 26. ტყოეპ̈ დლა̆ ჶჺლა̆, 27. ტყოეპ̈ დლა̆ ბლალა̆, 28. ტყოეპ̈ დლა̆ ჰჳოელა̆ და 29. ტყოეპ̈ დლა̆ ბღა̆ლა̆ (იხ. უ ს ლ ა რ ი ს Абхаз. яз. დაბეჭდილი გამოცემის ბოლოში გვ. 95—96).

როგორც ზემომოყვანილითგან ირკვევა ოცსა და ათსა და ორმოცსა და ათს, სამოცსა და ათსა და ოთხმოცსა და ათს შუა კავშირი და-ც 1851 წელს უბიხურად ალა̆, ან და ლა̆-კი არა, არამედ დლა̆ ყოფილა. ამიტომ ცხადია ერთისა, ორის, სამის, ოთხისა და სხვა რიცხვების ბოლოკიდური ლა̆ მარცვალი სრულებით კავშირი არ უნდა იყოს, არამედ ამ რიცხვითი სახელების სხვა დანიშნულების მქონებელი ოდინდელი ფორმანტი ჩანს.

2. ცალკეულად ორის უბიხური სახელი დ ი რ რ ს ტყოა-დ აქვს ჩაწერილი, მაგრამ დ უ მ ე ზ ი ლ-ი გვარწმუნებს, რომ ეს სიტყვა ერთ მარცვლად გამოითქმის და ტყჵა ან და ტყო ისმის მხოლოდ (La langue des Oubykhs, გვ. 42). უ ს ლ ა რ ი ს 1851 წ. ჩანაწერში-კი ტყოე სწერია და ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ დ ი რ რ ი ს ცნობა მცდარი არ უნდა იყოს და ამ სიტყვის ორ-მარცვლოვანი ფორმაც არსებობდა.

საგულისხმოა, რომ უ ს ლ ა რ ს 1851 წ. 40-ისა და 40—59, 60-ის, 70-ის 80-ისა და 90-ის სახელების ოცში შემავალი ორის სახელი ტყოა-დ, ან ტყჵა-დ ანდა ტყოე-დ-კი არ მოუსმენია, არამედ ტოე-დ. ეს გარემოება იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ ყველა ამ შემთხვევებში ყ ბგერა გამქრალი ყოფილა.

იმისდა მიუხედავად, რომ თავკიდური ტ ორის უბიხურ სახელს ცალკეულადაცა და ყველა რთულ რიცხვითს სახელებში განუყრელად ახლავს და უძღვის წინ, მაინც, როგორც შემდეგში, თავის ადგილას, დავრწმუნდებით, ეს ბგერა ძირეული არ არის, არამედ ფორმანტია.

ორის უბიხური სახელის კიდევ არაერთი სახესხვაობაც არის რთულ რიცხვებში დაცული. მათ შორის ყველაზე საინტერესო ოცის სახელია: ტყოაპა (დირრით), ტყოეპ̈ (უსლარით) და ტყჵაპა̆, ანდა ტყოპა (დუმეზილით).

მაგრამ, რა აგებულებისა და მნიშვნელობის სიტყვა უნდა იყოს ეს რიცხვითი სახელი? მკვლევართ მისთვის არავითარი განმარტება არ წამოუყენებიათ, ვერ მოუძებნია მის უკანასკნელ შემსწავლელს დ უ მ ე ზ ი ლ-საც (La langue des Oubykhs გვ. 42—43 და Etudes compar. 127). საკმარისია გავიხსენოთ,

რომ ამ რიცხვითი სახელის პირველი ნაწილი ტყოა, ტყჷა, ტყჲ და ტყოე მაინც-და-მაინც ორის აღმნიშვნელია, იმ მოსაზრების წამოსაყრელად, რომ ამ რიცხვითი სახელის მეორე ნაწილი მხოლოდ ათის აღმნიშვნელი უნდა იყოს. სხვანაირი ახსნა თითქოს შეუძლებელია.

ეხლა ის-ღა გვაქვს გამოსარკვევი, უბიხური ოცის სახელის მეორე ნაწილი პჱა, პჱჲ ან და პჱ მართლაც ათსა ნიშნავს, თუ არა? თუ მოვიგონებთ, რომ უბიხურად ათს ჟჳო (უსლარით) ან ზჳ, თუ ზი ეწოდება, ცხადი გახდება, რომ აქედგან პჱა-ს, ან პჱ-ს, ანდა წინაუკმო ამ უკანასკნელთაგან პირველთ ფონეტიკურად ვერ მივიღებდით.

რაკი კავკასიის ენათა ჩრდილო-დასავლური ჯგუფის სხვა მონათესავე ენათაგანაც პა ათის აღსანიშნავად არც ერთს არ მოეპოვება, ამიტომ ზემომოყვანილი მოსაზრება დამაჯერებელი არ არის. მაშასადამე, პჱა მარცვალს სხვა რაიმე განმარტება უნდა მოეძებნოს. უფრო ბუნებრივი იქმნება ვიფიქროთ, რომ ოცის სახელის ეს მეორე ნაწილი აბხაზურ რიცხვითს სახელებში ჩვეულებრივი ბოლოსართი ბა-ს ფონეტიკური სახესხვაობა და იმავე უბიხური ორის დაბოლოება იყოს.

როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, ტყჷაპჱა-ის მსგავსი ორი, უბიხურს გარდა, სხვაგანაც არის დაცული.

თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ გამოდის, რომ მე-XIX ს-ში ჩაწერილი უბიხური ოცის სახელი სრულად და პირვანდელი სახით არ უნდა იყოს დაცული, მას მთელი მეორე, ათის აღმნიშვნელი, ნაწილი დაკარგული ჰქონია. მაგრამ აქ დაუჯერებელი არაფერია, რათგან ამის მსგავსს მოვლენას ზოგიერთ დანარჩენი ენების რიცხვითს სახელებშიც შემდეგში არა ერთხელ შევხვდებით. უბიხურში ოცის მეორე ნაწილის დაკარგვას სემასიოლოგიურად, მნიშვნელობის აღრევის მხრივაც, არავითარი ზიანის მოტანა არ შეეძლო, რათგან მას შემდგომ, რაც 2-სა და 20-ში წარმოდგენილი 2 ერთი მეორისაგან საკმაოდ მკაფიოდ განსხვავდებოდენ, ამის წყალობით ათის აღმნიშვნელი ნაწილის ჩამოცლა ოცს და ორს მაინც მთლად ერთსახე სიტყვებად ვერ ხდიდა.

ეხლა ორის უბიხური სახელის ტყჷა ანდა ტყჲ-ს, თუ მათ დანარჩენ სახესხვაობათა აგებულების საკითხსაც რომ შევეხოთ, იმისდა მიუხედავად, რომ თავკიდური ტ ამ რიცხვითი სახელის ჩრდილო დასავლურს ენებში არსებულს ფორმებში ყველაზე მტკიცე ჩანს და მხოლოდ აბხაზურს არ გააჩნია, დანარჩენს სამსავე ენას-კი (უბიხურს, ადიღეურსა და ყაბარდოულს) კარგად აქვს დაცული, ხოლო მეორე თანხმოვანი ყ ორ ენას, აბხაზურსა და ყაბარდოულს მთლიანად, და თვით უბიხურსაც ნაწილობრივ დაკარგული აქვს, მაინც, როგორც უკვე ნათქვამი გვქონდა, თავკიდური ტ ძირეული არ არის, არამედ მხოლოდ თავსართია [1].

ტ ფორმანტის ჩამოცლის შემდგომ ორის უბიხურ ძირად ყჷა ანდა ყჲ დაგვრჩება. უ ს ლ ა რ ი ს ჩაწერილი რიცხვითი სახელების განხილვის დროს დავ-

[1] ამიტომაც დ ჳ მ ე ზ ი ლ-ი ტყუილად იწუხებდა თავს, როდესაც აბხაზური ჲგ-სი და უბიხური ტყჷა-სა და ადიღეური ტყუ-ს შორის სრული ფონეტიკური შესატყვისობის დამტკიცებას ცდილობდა (Etudes compar. გვ. 125).

რწმუნდით, რომ უბიხურში უკვე 1851 წელს 40-ის და 50—59-მდე ორის რიცხვითს სახელს ყ თანხმოვანი მთლიანად გამქრალი ჰქონია და მხოლოდ ტღჲ-ღა ყოფილა შერჩენილი.

3. სამის უბიხური სახელად შჵ აქვთ დ ი რ რ ს ა და დ ჳ მ ე ზ ი ლ ს ჩაწერილი, უ ს ლ ა რ ი ს ჩანაწერში-კი სჲჵ არის, ე. ი. პირველი ბგერა ს-სა და შ-ს შუალედი თანხმოვანი ყოფილა. აღსანიშნავია, რომ ამავე მეცნიერის ცნობით, 23-ს, 43-სა და დანარჩენ მსგავსს რიცხვითს სახელებში სჵმი უ. ვე სჲალჵ-ს სახითაც გვევლინება. ისევე, როგორც ერთის სახელს ზალჵ-ში ზა ძირი და ლჵ ფორმანტი გამოდგა, ამნაირადვე სამის ცალკეული სახელის შჵ, ანუ სჲჵ ძირია, სჲალჵ-ს მეორე მარცვალი ლჵ-კი იმავე თვისების ფორმანტია.

4. ოთხს უბიხურად პლჲგ, ან პტლჲგ ეწოდება ცალკეულადაც და 14-სა და 400-შიც, მაგრამ 44-ში ტლჲალჵ გვხვდება. უ ს ლ ა რ ს 4-ის ცალკეული სახელიც უთავკიდურო პ-თი აქვს აღბეჭდილი, მხოლოდ ტლჲა-ს სახით და საფიქრებელია, რომ თავკიდური პ თანხმოვანი ამ რიცხვითი სახელის ძირეული ნაწილი არც არის. შესაძლებელია იგი, ან ბ-ს ყრუ სახესხვაობა ფორმანტი იყოს, ანდა სხვა წარმოშობილობა ჰქონდეს. ამას გამორკვევა სჭირდება. ამნაირადვე ტლჲალჵ-ს ბოლოკიდური მარცვალი ლჵ-ც ძირეული არ არის, არამედ იმავე თვისებისაა, რისაც ერთისა, ორისა და სამის მსგავსსავე ფორმებშია.

ამნაირად, ოთხის აღმნიშვნელ უბიხურ ძირად თითქოს ტლჲგ, ანდა ტლჲა გვრჩება. რაკი ამ ლატერალურ ბგერის გამოთქმის დროს ტხლ კომპლექსი ისმის, შესაძლებელია ამ რიცხვის ძირსაც სწორედ ეს ბგერებივე შეადგენდნენ, ტ-ს გარდა, რომლის თავსართობის შესაძლებლობაა გასათვალისწინებელი.

5. ხუთს უბიხურად შხჲგ, ანდა შჴგჾ ეწოდება ცალკეულადაც და 15-შიც, მაგრამ 25-სა, 45-ს და სხვა ამის მსგავსსავე ხუთიანს რიცხვითს სახელებში, უ ს ლ ა რ ი ს ჩანაწერით, შხჲჾალჵ არის, რომლის ბოლოკიდური მარცვალი, როგორც უკვე ვიცით, ფორმანტია.

6. ექვსი უბიხურად არის ჶგ, რომელიც ცალკეულადაც და 16-შიც ასევეა.

7. შვიდს ბლჲ, ბლჟ ან და ბლჷგ ეწოდება, რომლის ლ თანხმოვანი, დ ჳ მ ე ზ ი ლ-ის დახასიათებით, ლჲ-ს მიემსგავსება (Etudes compar. 125—126).

8. რვის უბიხური სახელი უღჲა, უღჶა და ღჶა არის. პირველი ორის იგივეობის განმასხვავებელს მხოლოდ მეორის შეკუმშული ჶ შეადგენს, მესამე კიდევ მეორის უ-ჩამოცლილს სახეობას წარმოადგენს.

დ ჳ მ ე ზ ი ლ ს ჩრდილო-დასავლური ენების ამ რიცხვითი სახელების აგებულება და ბგერითი შესატყვისობა სრულებით გაუგებრად მიაჩნია (Etudes compar. გვ. 127).

9. ცხრას უბიხური ბღჲ ანდა ბღჷგ ეწოდება. ცალკეულს გარდა, 19-შიც ასევეა. დ ჳ მ ე ზ ი ლ ს და სხვებსაც ამ რიცხვითი სახელის აგებულებისა და აბხაზურს ჟr ძირთან შესატყვისობის განმარტება ვერ მოუნახავთ (Etudes compar. გვ. 126).

10. ათის სახელად ზrჳ, ანდა ზrი აქვს (დირ. და დჳმეზ.). უსლარს ჟუჾ აქვს ჩაწერილი. მაგრამ 30-ისა, 50-ისა და 70-ის ისევე, როგორც 90-ის სახელებში ათს ზrალჵ (დირ., დჳმეზ.), ანდა ჟrალჵ-ს სახე აქვს. ამ შემთხვევაშიც

ლჾ ძირეული არ არის, არამედ ფორმანტია. ძირად ამჟამად ზჷჳ, ზჷი, წინანდელს, 1851 წ. ჩანაწერში-კი ჟჷა მოჩანს.

20. იმის შემდგომ, რაც, ორის სახელთან დაკავშირებით, ოცის აგებულებასა და მნიშვნელობაზე ნათქვამი გვქონდა, ამ რიცხვითს ნიშანზე აქ სიტყვის გაგრძელებას უკვე არარავითარი აზრი არ ექმნებოდა. სამწუხაროა, რომ ამ შემთხვევაში უბიხური რიცხვითი ნიშნების უფრო ადრინდელი ჩანაწერის მოშველიება არ შეგვიძლიან. ეგების გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს დროს ოცის უბიხური სახელი უფრო სრულად იყო დაცული და იმის დახმარებით 10-ის უფრო ადრინდელი ფორმის გამორკვევა შეგვძლებოდა.

რაკი გამოირკვა, რომ უბიხური 20 თავდაპირველად ათობითი სისტემის გამოხატულება ყოფილა, ეს გარემოება უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ 30, 40, 50 და ყველა დანარჩენი ათეულების სახელებიც უბიხურს თავდაპირველად ათობითს სისტემაზე ექმნებოდა აგებული და სამათის, ოთხათის, ხუთათის და ასე ამნაირადვე აღმნიშვნელი იქმნებოდა. ამიტომ 1851 წ. პ. უ ს ლ ა რ ი ს მიერ ჩაწერილი უბიხური ათეულების ოცობითს სისტემაზე აგებული სახელებიც მეორად ნაწარმოებად უნდა მივიჩნიოთ..

მეორე ათეულის რიცხვითი სახელები, 11—19-მდე, ყველა ათისა და ერთეულის სახელის უკავშირო შეერთებით არიან ნაწარმოებნი. ამასთანავე, დ ჳ მ ე ზ ი ლ-ის ცნობით, ათის სახელის თავკიდური ზჷ ოდნავ-ღა ისმის (Etudes compar. გვ. 126) და, როგორც ჩანს, სრულიად გაქრობაზეა მიმდგარი.

ოცის მომდევნო ყველა დანარჩენი ოცეულების სახელები უბიხურს იმ წესით აქვს ნაწარმოები, რომ ჯერ ოცეულების რაოდენობის გამომხატველი მარტივი რიცხვის სახელი 2, 3 და 4-ია, რომელსაც შემდეგ უშუალოდ ნაწილაკი მჩა მისდევს, ხოლო მერმე ოცის სახელია ხოლმე. ამნაირად მჩა ჯერადობის გამომხატველი ნაწილაკი გამოდის ისევე, როგორც ძველ ქართულში ორ-მე-ოცი, სამ-მე-ოცი და ოთხ-მე-ოცი გვქონდა და აქედგან მერმინდელი და თანამედროვე ორმოცი, სამოცი და ოთხმოცი წარმოსდგა. მაშასადამე დანიშნულებით უბიხური მჩა ძველი ქართულის მე ნაწილაკს უდრის.

100. უბიხურად ასს სჷჾ ანდა სჿოე (უსლ.) ჰქვიან, რომელთაგან მეორეს თავკიდური თანხმოვანი სჿ, ს-სა და შ-ს შუალედი ბგერა 100-ის აბხაზურს სახელს კარგად უდგება.

საგულისხმოა, რომ უბიხურს 50-ის აღსანიშნავად ზემომოყვანილს გარდა, მეორე სახელიც აქვს ხჷჾზჾჯჾ, რომელიც ასის ნახევარსა ნიშნავს (დ ჳ მ ე ზ ი ლ, Etudes compar. გვ. 127). ასეთივე სახელი ადიღეურსაც მოეპოვება და, როგორც ცნობილია, ძველ ქართულსაც ჰქონდა ერგასი-ს სახით, რომლის ასის ნახევარის აღმნიშვნელობას პირველად აკად. ნ. მ ა რ რ მ ა მიაგნო.

ასეულების ყველა სახელი ერთეულისა და ასის სახელების უშუალო დაკავშირებით არის ნაწარმოები და ასევეა აგებული. 1000-ის უ ს ლ ა რ ი ს ა გ ა ნ 1851 წ. ჩაწერილი სახელი ჟჷსჿოე, რომელიც ათ ასსა ნიშნავს და რომლის მეორე ნახევარი თანამედროვე უბიხურს უკვე თურქულ მინ-ად შეუცვლია და ზჾმინ-ი, ანდა მხოლოდ მინ-ღა აქვს.

§ 3. ადიღეური (ჩერქეზული) და ყაბარდოული რიცხვითი სახელები

ადიღეურს (ჩერქეზულსა) და ყაბარდოულს რიცხვითს სახელებს შორის ისეთი მსგავსებაა, რომ მათი ერთად განხილვა ემჯობინება. სამწუხაროდ პირველი ამათგანის მე-XVIII ს. ჩანაწერი რიცხვითი სახელები არ მოგვეპოვება და მე-XIX ს.-ისთვის ლ უ ლ ჲ ე ს რუს. ანბანით პრიმიტიულად ჩაწერილს გარდა არა გვაქვს რა. ვსარგებლობ მხოლოდ დ ვ მ ე ზ ი ლ-ის ნაშრომში „Etudes comparatives sur les langues caucasiennes du Nord-Ouest"-ში შეტანილი ცნობებითაც, რადგან, ავტორის განცხადებით, თავისი გამოკვლევა სტამბოლში მრავლად მყოფ ჩერქეზთა გამოკითხვით ჰქონია შესრულებული (იხ. გვ. 7).

ყაბარდოულისათვის გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერიცა გვაქვს ხელთ და ლ ო პ ა ტ ი ნ ს კ ი ს ყაბარდოულს გრამატიკაში მოთავსებული რიცხვითი სახელები და მათი ნაწილობრივი ანალიზიც.

აი ადიღეური და ყაბარდოული თვით რიცხვითი სახელებიც.

ადიღეური (ჩერქეზული) რიცხვითი სახელები

1. ზჲე, ზი (დვმეზ.)
2 ტჳუ[1], ტყუ (დვმეზ.)
3 სშჲ ან შშჲ,- შშჺი (დვმეზ.)
4 პლჲჲა, პტლჲი (დვმეზ,)
5 ტჶჲ, ტჶჺ (დვმეზ.)
6 ხსჲ, ხჺ (დვმეზ.)
7 ბლჲ,- ბლლი და ბლჲი (დვმეზ.)
8 ჲჲე, ჲჲი (დვმეზ.)
9. ვლუ, ბლუ (დვმეზ.)
10 პშჺ, პშჺი (დვმეზ.)
11 პსჲკუზჲ, პშჺკ[ჳ]უზ (დვმეზ.)
12 პსეკუტტჳუ, პშჺკ(ჳ)უტყ (დვმეზ.)
13 პსეკუშე, პშჺკჳისჲ (დვმეზ.)
14 პსჲკუპლჲე, პშჺკ(ჳ)უპლჲ (დვმეზ.)
15 პსჲკუტჶჲ, პშჺკ(ჳ)უტჶ (დვმეზ.)
16 პსოკუხე- პშჺკ(ჳ)უხჺ (დვმეზ.)
17 პსუკუბლე, პშჺკ(ჳ)უბლლ („)
18 იჲჲ, პშჺკ(ჳ)უჲ („)
19 პსუკუვლუ, პშჺკ(ჳ)უბლ („)
20 ტჳაჯჲ[2], ტყჺჩჺი („)
30 ტჳაჯი[3] რჲპსჲრჲ,- შშიტჩე,- ტყჳჺჩჺირე პშჺრე („)

---

[1]. საფიქრებელია, რომ რუს. უ-თი ლ უ ლ ი ე ს ჰსურდა ხორხისმიერი ბგერა გამოეხატა, ამიტომ ყველა ასეთს შემთხვევებში თუ არა, ხშირად ამის შესატყვისად უნდა. ან ყ, ან და ხ ვაიწც ვიგულისხმოთ, მაგ. 2 ტყუ, ან და ტგუ, 12-პსუკუტტყუ. ან და პსუკუტტგუ.

[2]. = ტყაჯე-ს. ანდა ტგაჯე-ს

[3]. = ტყაჯი-ს, ან და ტგაჯი-ს

40 ტგაჯიტგუ,—ტყუგჩიტყ („)
50 სსენოყო, ან ტუაჯიტგურეპსერე,- ტყუგჩიტყურე პშგრე („)
60 ტუაჯიშ,- ტყუგჩიშ („)
70 ტუაჯიშერეპსერე,- ტყუგჩიშირე პშგრე („)
80 ტუაჯიპლფე,- ტყუგჩიპლფ („)
90 ტუაჯიპლერეპსერე,- ტყუგჩიპლფრე პშგრე („)
100 სსე,- სფსფე („)
200 სსიტგუ,—სფსფიშ („)
1000 მინ.

ყაბარდოული რიცხვითი სახელები

მე-XVIII ს. და ეხლა

1 სე ანდა ზე	Se	ზზგ, ზზი (დჳმეზ.)
2 ტუ	Tu	ტგუ
3 ში	Schi	სჷი
4		
4(5) პტლფე	Pt'le	პტლფგ, პლფი („)
5(6) ტხუ	Tchu	ტხუ, ტხჷუ
6		ხგ, ხჷი („)
7 ბლე	Ble	ბლგ, ბლი („)
8 ღეჱ	Geo	ჲჲი
9 ბღუ	Bgu	ბღუ
10 პშე	Psche	პსფიი
11 პშეკუზ	Pschekus	პსფგკჷუზ. პსფიკჷუზ („)
12 პშეკუტ	Pschekut	პსფგ კჷუტჷ, პსფიკჷუტჷ
13 პშეკუშ	Pschekusch	პსფიკჷუსჷ
14 პშეკუპტლფე	Pschekupt'le	პსფიკჷუპლფ
15 პშეკუტხუ	Pschekutchu	პსფიკჷუტხ
16 შეკუხ	Pschekuch	პსფიკჷუხგ
17 პშეკუბლგ	Pschekubl',	პსფიკჷუბლ
18 პშეკჳიხ	Pschekwich	პსფიკჷუჲ
19 პშეკუბღგ	Pschekubg',	პსფიკუმბღ
20 ტოშ	Tosch	ტჷოსფჷ
21 ტოშ ერა ზირე	Tosch era sire	ტჷოსფგ რე ზგრე
22 ტოშ ერა ტურე	Tosch era ture	ტჷოსფ რე ტჷურრე
23 ტოშ ერა შირრე	Tosch era schirre	
29 ტოშ ერა ბღურე	Tosch era bgure	
30 ტოშ ერა პშირრე	Tosch era pschirre	ტოსფჷ რე პსფირე
31 ტოშ ერა პშირრესტრე	Tosch era pschirrestre	
40 პტლფიშ	Pt'lisch	ტჷოსფიტჷ

50 პტლიშ ერა პშირე	Pt'lisch era pschirre	ტხოსიტხრე პსიირე
60 ხიჩ	Chitsch	ტხოსიისი
70 ხიჩ ერა პშირრე	Chitsch era Pschirre	ტხოსი ისიირე
80 ტოშიტლ	Toschitl	ტხოსხიპლი, ანდა. პსიიენ
90 ტოშიტლ ერა პშირრე	Toschitl era pschirre	ტხოსიხიპლირე პსიირე
100 შე	Sche	სისიე
200 შიტ.	Schit	სიიტხ
300 შიშ	Schisch	სიისი
1000 მინ ანუ შიპშ	Min od. Schipsch	მინ

(I. A. Güldenstädt. Reisen, II, 528—529 — ლოპატინსკი. ყ. გ. გვ. 44—45).

გულდენშტედტის ჩაწერილი აბხაზური რიცხ. სახელების მსგავსად, მისი ჩაწერილი ყაბარდოული რიცხვითი სახელების შესახებაც უნდა ითქვას, რომ იქ ოთხის შესატყვისობისათვის შეცდომით არის ცარიელი ადგილი დატოვებული, რადგან პტლიშ სწორედ ოთხსა ნიშნავს და ტხუ ხუთს ეწოდება და არა 6-ს, როგორც იქ სწერია. ექვსის ყაბარდოული სახელი-კი გულდენშტედტს ჩაუწერელი დაჰრჩენია. მაგრამ 16-ის სახელი პშიქუხ, რომელიც პში ათისა, ქუ კავშირის „და“-ს და ხ-საგან შესდგება, ცხადჰყოფს, რომ მე-XVIII ს. ყაბარდოულად ექვსს, ან ესლანდელსავით ხგ, თუ ხი უნდა ჰრქმეოდა, ანდა უფრო ხI, თუ სI იქმნებოდა.

საკმარისია ადამიანმა ადიღეურსა და ყაბარდოულს რიცხვითს სახელებს თვალი გადაავლოს, რომ მათი დიდი მსგავსება, უფრო ხშირად სრული იგივეობაც-კი, უცილობელი შეიქმნეს. ეს გარემოება და ამ რიცხვითი სახელების ანალიზის უფრო მეტი ხელმისაწვდომობის სურვილი ადიღეური და ყაბარდოული რიცხვითი სახელების ერთად განხილვას მიზანშეწონილად ჰხდის და ამართლებს.

1. ადიღეურად ერთს ზეე (ლვლ.) და ზი (დვმეზ.) ეწოდება, 11-ის სახელში-კი ადიღეური ერთი უკვე ზჷ და ზ არის. ხოლო ყაბარდოულად მე-XVIII ს. ჩანაწერით ზე Se ყოფილა, რომელიც შესაძლებელია სე-ს შესატყვისობაც იყოს, თანამედროვე გამოთქმით-კი ზზი (დვმეზ.) და ზზგ ჰქვიან. 11-ის ძველს სახელ ზშIქუზ-ში ერთის გამომხატველი მხოლოდ ზ არის, ასევეა თანამედროვეშიც.

მაგრამ ძველი ჩანაწერის 21-ის სახელს ტოშIრა ზIრI-სა და თანამედროვე 21-ის, 24-ისა, 61-ის და ასერთის სახელებშიც თითქმის ასევე ზგრე არის, ხოლო 31-ისა, 51-ის და 71-ის სახელებში ერთის ზემომოყვანილი ფორმის პირველი ხმოვანი უკვე სრულებით გამქრალია და მხოლოდ-ღა ზრე-ა. დირრი ფიქრობდა, რომ რე ყაბარდოულში ასეთ შემთხვევებში „და“ კავშირსა ნიშნავს (Einführung გვ. 56. შენ.[1]) და ასევე მსჯელობს დუმეზილ-იც (იხ. Etudes

compar. გვ. 66). მაგრამ ისევე, როგორც უბიხური ლა, ყაბარდოული რე ც ამ შემთხვევებში კავშირი-კი არა, არამედ ფორმანტი უნდა იყოს.

ამგვარად, ერთის ადიღეურ—ყაბარდოული სახელის სრულსახედ ზერე და ზირე უნდა ვიცნათ, რომელშიც რე ძირეული არ არის, არამედ ფორმანტია, ზე, ზი და ზ-კი ძირია.

2. ორის ადიღეური სახელი ცალკეულად ტყუ და ტგუ არის, ყაბარდოულად ტგუ და ტუ გვაქვს. ადიღეურს 12-ში პშგკუტყ-სა და პსიკუტტგუ-ში ორი ტყ და ტგუ სახით გვევლინება, ხოლო ყაბარდოულს ამავე რიცხვს პშიკუტ-სა და პსიიკუტთა-ში მხოლოდ ტა და ტ-ღა გვაქვს. ოცის ადიღეურს სახელს ტყჩიი-სა და ტგაჯე-ში, რომელიც, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით თავდაპირველად ორ ათსა ნიშნავდა, ორი ტჷგ და ტგა არის, ყაბარდოულს ტოშ-სა და ტოსია-ში-კი მარტო ტო-ღა გვაქვს. მაგრამ 22-ს ყაბარდოულად ეწოდებოდა ტოშ ერა ტურე, ეხლანდელი ჩანაწერით-კი ტოსი რე ტთურრე, რომელთა პირველი ნაწილი ტოს, ანუ ტოშ 20-ს ნიშნავს, —ერა, ანუ რე და-ს უდრის, ტთურრე, ანუ ტურე-კი ორის აღმნიშვნელია, მაშასადამე წინათ 2-ს ტთურე ჰრქმევია, რომელშიც ი თავდაპირველი ყ-ს გაქრობაზე მიმდგარი შენაცვლებაა (ბოლოკიდური რე 1-ის სახელშიც უკვე შეგვხვდა, ამიტომ აქ მის ბუნებაზე სიტყვის გაგრძელება ვგონებ საჭირო აღარ უნდა იყოს).

ყველა ზემონათქვამი ადამიანს დაარწმუნებდა, რომ ორის ადიღეურ-ყაბარდოული სახელის სრული ფორმა წინათ ტყურე უნდა ყოფილიყო. რომელიც შემდეგ თანამედროვე ყაბარდოულ 22-ში დაცულ ტთურე-დ ქცეულა. ბოლოკიდური მარცვალი რე არც აქ არის ძირეული, არამედ ფორმანტია. ცალკეულად და დანარჩენს რთულს რიცხვითს სახელებში ხომ ორი უ-ამ-მარცვლოდ გვხვდება და ტყუ ტყგ, ტგუ და ტუ, ბოლოს მხოლოდ ტა და ტ-ც კიდა-გვაქვს.

ორის სახელის სახესხვაობათა უკვე მოყვანილი მწკრივი ადამიანს დაარწმუნებს, რომ მისი ბგერითი პროცესისათვის ყ თანხმოვნის პროგრესიული შერბილება და გაქრობაა დამახასიათებელი. ამ გარემოებას რომ დავემყაროთ, მაშინ შესაძლებელი იყო ორის ძირეულ ნაწილად სწორედ მისი მყარი ნაწილი ტუ ანდა ტ მიგვეჩნია, მაგრამ მისი სიმყარისდა მიუხედავად, ტ, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, ძირეული არ არის, ყუ-კი სწორედ რომ ძირია.

3. ადიღეურად სამს ცალკეულად ში (შე), შჷ და შიი ეწოდება, ხოლო 13-ში შე-სა და ში-სახით არის წარმოდგენილი. სამოცში ამ რიცხვის გამომხატველი შა ან და შ არის. ყაბარდოულად სამს, მე-XVIII ს. ში სწოდებია, ეხლა-კი შიი ჰქვიან. 13-ის ძველ სახელს პშიკუშ-სა და თანამედროვეს პსიიკუში-ს სამისათვის შ-სა და ში-ს მეტი არა შეუნარჩუნებია.

მაგრამ 23-ის ძველს სახელს ტოშ ერა შირრე-ში სამის აღმნიშვნელი უკვე შირრე არის. თუ მას რე ფორმანტს ჩამოვაცლით, მაშინ შირ ძირად დაგვრჩება, რომლის უკანასკნელი თანხმოვანის ძირისა, თუ ფორმანტისადმი მიკუთვნილობის საკითხი ცალკე უნდა იქმნეს განხილული.

4. **ოთხს** ადიღეურად **პლთჷა** ანდა **პტლთი** ჰქვიან, 14-შიც **პლთ**-სა და **პლთ**-ს სახე აქვს, **ოთხმოც**-შიც ამ რიცხვის გამომხატველი **პხლთჷ** ან **პხლთ** არის.

ყაბარდოულადაც 4-ს ასევე **პტლთჷ** სწოდებია ძველად ისევე, როგორც ეხლაც **პტლთ**-ის ანდა **პტლთჷ**-ს ხმარობენ. 14-ისა და 40-ის სახელებში, რომელთაგან უკანასკნელი, როგორც დავრწმუნდებით, **ოთხი** ათის აღმნიშვნელია, **ოთხი** ან მთლად ასევე, ანდა ბოლოკიდურ-ხმოვან-ჩამოცილებულია, მაგ. მე-XVIII ს. **პტლთჷ** და **პტლთ**, ეხლა **პლთ**.

5. **ხუთის** ადიღეურ სახელად **ტჶჷ**, ანდა **ტჶჷ** არის. 15-შიც იგი ამავე სახით, ანდა სრულებით უხმოვნოდაც, მხოლოდ **ტჶ**-დ გვხვდება.

ყაბარდოულად **ხუთს** მე-XVIII ს.-შიც **ტხუ** ეწოდებოდა და ეხლაც ასევე ჰქვიან. 15-ში ძველად იმავე სახით ყოფილა, როგორც ერთეულად იწოდებოდა, ეხლა-კი **ხუთის** სახელს ხმოვანი უკვე დაკარგული აქვს და მხოლოდ **ტხ**-ღა არის შერჩენილი.

ხუთის ორს, ადიღეურს **ტჶჷ**, **ტჶჷ**-სა და ყაბარდოულს **ტხუ**-ს, ფორმათაგან უეჭველია უნდა **უკანასკნელი იყოს უფრო ძველი, პირველი-კი მის ბგერითს სახესხვაობას წარმოადგენდეს**. სახელდობრ **ტხუ**-ს ხმოვნის ჷ დ ქცევისა და შემდეგ **ხ**-ს გაქრობითა და ვ-ს ჶ-დ შენაცვლების გზით იქმნება წარმომდგარი.

6. **ექვსის** ადიღეურიცა და ყაბარდოული სახელიც ერთმანეთს ძალზე მიაგვანან: ადიღეურად **ხხჷ** და **ხჷ** არის. 16-შიც თითქმის ასევეა **ხჷ** და **ხჷ**. ყაბარდოულად მე-XVIII ს. ფორმა-კი გამოტოვებულია, ხოლო თანამედროვეში **ხჷ**, ანდა **ხჷ** არის. 16-ის სახელში ექვსის სახელს მე-XVIII ს.-შიც **ხ**-ს მეტი არა ჰქონია რა და ეხლაც მარტო **ხჷ** არის (**პშიქუხ**, **პხიქუხჷ**). 60-ის ძველს სახელში, რომელიც, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, **ექვსი** ათის აღმნიშვნელია, **ხი**-ს ანდა **ხ**-ს სახით არის დაცული.

7. ადიღეურსა და ყაბარდოულს **შვიდისთვის**აც ერთნაირი სახელი აქვთ: **ბლჷ**, **ბლლი**, ანდა **ბლთი** ადიღეურს და **ბლჷ** (მე-XVIII ს.), **ბლი**, ანდა **ბლჷ** თანამედროვე ყაბარდოულს. 17-ის სახელშიც **ბლჷ** და **პლლ**, ანდა **ბლთ** არის.

8. თანამედროვე ადიღეურსა და ყაბარდოულს **რვისთვის**აც ერთი-და-იგივე სახელი **ჲიჷ**, **ჲჲი** აქვთ, რომელიც 18-ში ასევეც არის და მხოლოდ **ჲ**-ს სახითაც. მაგრამ მე-XVIII ს. ყაბარდოულად **რვას** **ლჷ** სწოდებია, რომელიც 18-ის ადრინდელს სახელს **პშიქვიხ**-ში უკვე მარტო **ხ**-ღა ისმოდა. ამ ორსავე შემთხვევაში რომ გერმ. მეცნიერს 8-ის მაშინდელი ყაბარდოული სახელი სწორედ უნდა ჰქონდეს ჩაწერილი და არც რაიმე გაუგებრობასა, თუ შეცდომასთან უნდა გვქონდეს საქმე, ამას ისიც ამტკიცებს, რომ თანამედროვე უბიხურსაც, ყველა მკვლევართა ცნობით, რვისათვის, როგორც დავრწმუნდით, **ლ**-თანხმოვნიანი სახელი **უღჷა** და **ლჷა** აქვს. მაშასადამე, თანამედროვე **ჲ** შენაცვლების გზით ყოფილა უფრო ადრინდელი **ლ**-საგან წარმომდგარი.

9. **ცხრისთვის**აც ადიღეურსა და ყაბარდოულს ერთნაირი სახელი ჰქონიათ ძველადაც და ეხლაც: **ბჷუ**. მხოლოდ **ლჷლჲეს** აქვს **ვლუ** ჩაწერილი. 19 ის. სახელში ზემოდასახელებულ ავტორს ცხრისათვის იგივე **ვლუ** აქვს, დანარჩენებს

კი ორივე ენის 19-ში ბლჳ და ბლ მოეპოვებათ: პშჳკუბლ (ადიღ.), პშეკუბლჳ (მე-XVIII ს. ყაბარდ.) და პსიიკუმმბლ.

10. ადიღეურს 10-ისათვის პშგ, პშიი აქვს, რომელიც 11—19-მდე შემავალ ნაწილად, ან პსე-ს, ანდა იმავე პშჳ-ს სახით გვხვდება.

ყაბარდოულად 10-ს მე-XVIII-ს-ში პშე ჰრქმევია, თანამედროვე ცნობით პსიიი და ასევეა მეორე ათეულის ყველა რიცხვებშიც.

მაგრამ საგულისხმოა, რომ 30-ის, 50-ისა, 70-ისა და 90-ის სახელებში ათის გამომხატველი ადიღურად უკვე პსერე და პშერე-ა, ხოლო ყაბარდოულად პშირრე ყოფილა მე-XVIII ს-ში და პსიარე-ა ეხლა, ე. ი. ამ რიცხვითს სახელსაც რე ფორმანტი უჩნდება.

ამაზე გაცილებით უფრო საყურადღებოა, რომ ათის სახელის კიდევ არა ერთი სხვა სახესხვაობა გვაქვს დაცული, მაგრამ ამის გამოსარკვევადა და ცხად-საყოფელად წინასწარ ადიღეური და ყაბარდოული რიცხვითი სახელების სის-ტემის რაობა უნდა გვქონდეს გათვალისწინებული.

თუ მკვლევართ შევეკითხებით, ყველანი ამტკიცებენ, რომ ადიღეური და ყაბარდოული რიცხვითი სახელები ოცობით თვლის სისტემაზეა ნაწარმოები (ლოპატ. ყ. გ. 44,-დირრ, Einführung. 56 და დუმეზ. Etudes compar. 123—124). მაგრამ ამის თქმა მხოლოდ თანამედროვე 30-ისა, 40-ის, 50-ისა, 60-ის, 70-ის, 80-ისა და 90-ის სახელების შესახებ შეიძლება, ისევე, როგორც ყაბარდოულის ამავე რიცხვების სახელებზეც, 80-ის მეორე, პარალელურ სახელს გარდა.

საკმარისია მკვლევარი ორივე ენის ოცის თუნდაც თანამედროვე სახელებ-საც ჩაუკვირდეს და მათი აგებულების გაგება სცადოს, 80-ის მეორე სახელსაც ყურადღება მიაქციოს, დასასრულ მე-XVIII ს. ყაბარდოული რიცხვითი სახელე-ბიც ამავე თვალსაზრისით განიხილოს, რომ მას ორივე ამ ენის რიცხვითი სახე-ლების აგებულებაცა და სისტემაც სულ სხვანაირად წარმოუდგეს.

მართლაც და, ოცს ადიღეურად ტგაჯე და ტყჳჩიი ჰქვიან, ყაბარდოულად კი ტოჳშ (მე-XVIII ს.) და ტოსიი (ეხლა), ე. ი. ტოხში. დუმეზილს აღნიშნული აქვს, რომ 20-ის ამ სახელებისათვის განმარტება ვერ მოუძებნია (Etudes compar. გვ. 127). მაგრამ, თუ ამ სიტყვების პირველი ნაწილის მნიშვნელობას მივაგნებთ, მაშინ მეორე ნაწილის მნიშვნელობაც თავისდა-თავად გამოირკვევა. 20-ის ადი-ღეური სახელი ტგაჯე და ტყჳჩიი-ა, რომელთაა პირველი ნაწილი ტჳ და ტყჳ არის, თუ გავიხსენებთ, რომ ტჳუ და ტყუ ადიღეურად ორსა ნიშნავს, ამ ორი წყვილის იგივეობაც ცხადი გახდება და პირველი ნაწილის წყვილის ორობის მნიშვნელობაც უცილობელი შეიქმნება.

რაკი ოცის სახელებში ტგ და ტყჳ ორის აღმნიშვნელი გამოდგა, ამ რიცხ-ვითი სახელების მეორე ნაწილების აჯე-სა და ჩიი-ს მნიშვნელობის გამორკვევა უკვე აღარავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. ოცში ორი შესაძლებელია მხოლოდ ათი იყოს და ტგაჯე-ც, ტყჳჩიი-ც თავდაპირველად უეჭველად უნდა ორი ათის აღმ-ნიშვნელი ყოფილიყო და აჯე-ცა და ჩიი-ც ათის ოდინდელი სახელი უნდა იყოს.

ამნაირადვე, თუ თანამედროვე ყაბარდოულს 40-ისათვის სახელად აქვს ტოსიიტო, რომელიც ოცს ორსა ნიშნავს, მე-XVIII ს.-ში 40-ს სწოდებია პტლიიშ. ორმოცის ეს ძველი სახელი. პტლიიშ, პტლიე ან პტლი-ისა, ე. ი.

ოთხისა, და შ, ანდა ႨႸ-ისაგან არის წარმომდგარი. რაკი ႮႲႪႨႸ-ის პირველი ნაწილი პტლ ოთხია, ბოლოკიდური იშ ანუ შ მნიშვნელობითაც შესაძლებელია მხოლოდ ათის გამომხატველი იყოს და ႮႸႤ-ს, ანუ ათის უფორმანტო ძირს წარმოადგენდეს. ამგვარად ირკვევა, რომ მე-XVIII ს. ყაბარდოული 40-ის სახელი ႭႧႾ ႠႧႱႠ ნიშნავდა.

40-ის მერმინდელი და აწ არსებული სახელი ტჲოსჲიტჲ, ანდა ტოშგტჲ-ი კი აგებულების მხრით რომ განვიხილოთ, ტჲო, ანდა ტო-ისა, ანუ ორისა, ათის აღმნიშვნელი ხში-სა და ორისავე ტჲ სახელისაგან შესდგება, ე. ი. ორი-ათი-ორი-ს, ანუ ორი ოცის გამომხატველია.

ამგვარად ირკვევა, რომ თანამედროვე ყაბარდოულში 40-ი უკვე 2 ႭႺႤ-ულს ნიშნავს, ე. ი. ოცობითი აღრიცხვის პრინციპზეა აგებული.

მე-XVIII ს. ორმოცდაათი ყოფილა ႮႲႪႨႸ ႤႰႠ ႮႸႨႰႤ, ე. ი. 40 და 10. საფუძვლად აქ 40-ია აღებული და 50-ი თითქოს ოცობით-ათობითი თვლის სისტემის გამოხატულებას წარმოადგენს, ნამდვილად-კი იგი, როგორც დავრწმუნდით „ოთხ ათსა და ათს“ უნდა ნიშნავდეს. მაინც საგულისხმოა, რომ 50-ის აღმნიშვნელი სახელი ხუთ ათს არ ნიშნავს, როგორც უეჭველია უნდა ყოფილიყო, აქ რომ ათობითი აღრიცხვის სისტემით ნაწარმოებს რიცხვითს სახელთან გვქონოდა საქმე. მაგრამ მეორე მხრით დამახასიათებელია, რომ 50-ი არც „ორ ოცისა და ათის“ აღმნიშვნელი ტერმინია, როგორც უეჭველია უნდა ყოფილიყო, აქ რომ რიცხვითი სახელის ოცობითი თვლის სისტემას ნამდვილი წარმოება გვქონოდა თვალწინ. ამგვარად 50-ის ყაბარდოული სახელი XVIII ს. უკვე შეცვლილი ყოფილა და წინანდელი ათობითი თვლის სისტემით ნაწარმოებისა და „ხუთი ათის“ გამომხატველის სახელის მაგიერ, გაჩენილა სახელი, რომელიც ფსიქოლოგიურად უკვე ოცობითი სისტემის მიხედვით არის ნაწარმოები, მაგრამ ნივთიერად ნაწილობრივ ჯერ ისევ ათობითი სისტემის საფუძველს ემყარება. ორმოცდაათის მე-XIX ს. მეორე ნახევრისა და აწინდელი სახელი აგებულებითა და მნიშვნელობითაც უკვე მთლიანად ოცობით-ათობითი აღრიცხვის სისტემის სრულ გამოხატულებას წარმოადგენს.

ორმოცის სახელივით თავისი აგებულებით საგულისხმოა მე-XVIII ს. ყაბარდოული 60-ის სახელი ხიჩ და 70-ის ხიჩ ႤႰႠ ႮႸႨႰႤ. საკმარისია ერთეულების ყაბარდოულს რიცხვითს სახელებს გადავავლოთ თვალი, რომ ხიჩ-ის აგებულებაცა და მნიშვნელობაც ნათელი შეიქმნეს. ამ სიტყვის პირველი ნაწილი ხი, ანდა ხ ექვსსა ნიშნავს, მეორე ნაწილის იჩ, ან ჩ-ს მნიშვნელობა-კი პირველი ნაწილით უკვე თავისდა თავად უნდა განსაზღვრულად ჩაითვალოს და „ႠႧႱ“ უნდა ნიშნავდეს. 40-ის ყაბარდოული ძველი სახელის ანალიზის დროსაც დავრწმუნდით, რომ ორმოცში ႠႧႨ შიშინათი იშ-ს, ან შ-ს სახეობით არის წარმოდგენილი. მაშასადამე, ყაბარდოულად 60-ი მე-XVIII ს. ႤႵႥႱ ႠႧ-სა ნიშნავდა და ამგვარად ათობითი თვლის პრინციპზე ყოფილა აგებული.

აღსანიშნავია, რომ მე-XIX ს. დამლევს 60-ს უკვე ტჲოსჲიხჲ, ანდა ტოშჲშჲ ეწოდება. ამ სიტყვის პირველი ნაწილი 20-ს, სჲ, ანდა შჲ-კი სამს, ე. ი. მთლად ოცეულს სამს ნიშნავს.

აქაც, 40-ის მსგავსად, ერთი საუკუნის განმავლობაში არსებითი ცვლილება მომხდარა: ათობით სისტემაზე დამყარებული რიცხვითი სახელი გამქრალა და მისი ადგილი ოცობით სისტემაზე დამყარებულს რიცხვითს სახელს დაუჭავებია.

70-ის ძველი სახელის ხ0ჩ ეჩა პშ?რრ?-ს შესახებაც, რომელიც ექვს ათეულსა და ათს ნიშნავს, იგივე უნდა ითქვას, რაც 50-ის შესახებ იყო უკვე ნათქვამი, ამიტომ აქ ამაზე ხელმეორედ საუბარი ზედმეტია. ერთი საუკუნის შემდგომ 70-ის წინანდელი სახელიც სამოცდაათის გამომხატველი რიცხვითი სახელით შეცვლილა.

80-ს გუდენშტედტის დროს ჰრქმევია ტოშიტლ, მე-XIX ს. დამლევს ტმოსოპლე, ანდა ტოჯგ-გ-პტლი, მაგრამ თურმე პსოენ, პშგენ-ც ეწოდება. ტოშიტლ შესდგება ტოშ 20-ისა და იტლ-ისაგან, რაც ამ სიტყვის პირველი ნაწილის მნიშვნელობისდა მიხედვით ოთხს უნდა ნიშნავდეს. საყურადღებოა, რომ 4 გუდენშტედტის დროსაც და ერთი საუკუნის შემდგომაც პტლიე, ან პტლიე იყო და არის ეხლაც. 80-ში-კი ჩვენ ოთხი ჯერ ერთი უთავკიდურო პ-დ გვაქვს წარმოდგენილი და თანაც თავში ი ხმოვნითაა შემკული — იტლ, თუ რომ იგი ტოშ-ს არ ეკუთვნის. ამ გარემოებათა გამო საფიქრებელია, რომ პ ამ რიცხვის სახელში ძირისეული არც-კი იყოს და შესაძლებელია თვით იტლ-ც ამ რიცხვითი სახელის პტლიე-ზე უფრო ადრინდელი ფორმა იყოს კიდეც. ამგვარად 80-ი ოცეულს ოთხს ნიშნავს და ოცეულობითი ანგარიშის სისტემით არის ნაწარმოები.

მაგრამ სამაგიეროდ საყურადღებოა თავისი აგებულებით 80-ის აღმნიშვნელი თანამედროვე პარალელური სახელი პსოენ ანუ პშგენ[1], რომლის პირველი ნაწილი პსო, ანუ პშგ, რასაკვირველია, იგივე პშე, ანუ პსოი არის და 10-სა ჰნიშნავს. ამ სიტყვის პირველი ნაწილის ასეთი მნიშვნელობა, თავისდა თავად მეორე ნაწილის ენ-ის მნიშვნელობის გაგებას გვიადვილებს: იგი რვას უნდა ნიშნავდეს, რათგან 80-ში ათი შესაძლებელია მხოლოდ რვა იყოს. 8-ს ეხლა ჲეი ეწოდება. მე-XVIII ს.-კი ცალკე ღე რქმევია, ხოლო 18-ში ხ-დ ყოფილა წარმოდგენილი. ენ-ის ბოლოკიდური ნ აქ ძირისეულია, თუ ფორმანტია, ამ საკითხს რომ თავი დავანებოთ, მაშინაც რვის აღმნიშვნელი ენ-ის და ღე-სა და ჲეი-ს ერთმანეთთან დაკავშირება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ წარმოვიდგენთ, რომ ენ ადრინდელი ღენ-ისა ანდა ხენ-ისაგან არის წარმომდგარი, ხორხისმიერი ბგერის ჯერ გაასპირატებისა, ხოლო შემდეგ სრულიადი გაქრობის გზით. ასეა-თუ-ისე, ამის გამორკვევა მომავლის საქმეა, მაგრამ ეხლაც 80-ის, პსოენ-ის, ანდა პშგენ-ის, პირველი ნაწილის 10-ის აღმნიშვნელობა უცილობლად ცხადჰყოფს, რომ 80-ის ეს პარალელური ფორმა თავდაპირველად რვა ათის აღმნიშვნელი ყოფილა და ანგარიშის ათეულობითი სისტემის გამომხატველია.

---

[1] დემეზილს ნათქვამი აქვს, რომ ამ რიცხვითი სახელისა არაფერი მესმისო (Etudes compar. გვ. 127).

მაგრამ აქ მაინც ერთი გარემოებაა დამაფიქრებელი. ათეულობითი სისტემით ნაწარმოებს ყველა დანარჩენ რიცხვითს სახელებში, 20-ს, 40-სა და 60-ში ჯერ ათეულების რაოდენობის გამომხატველი რიცხვის სახელია, შემდეგ **ათი**-ს სახელი მოსდევს, 80-კი სწორედ ამის წინაუკმო წესით არის აგებული: **ჯერ ათი** ზის, შემდეგ ათეულის რაოდენობის აღმნიშვნელი 8. თუ გავითვალისწინებთ ამასთანავე, რომ ამგვარად სწორედ ოცეულობით სისტემით ნაწარმოები რიცხვითი სახელებია აგებული და იქ ჯერ 20-ი ზის, შემდეგ-კი ოცეულების რაოდენობის აღმნიშვნელი სიტყვაა ხოლმე და რომ ოცეულობითი სისტემის რიცხვითი სახელები, როგორც დავრწმუნდით, ათეულობითი სისტემის რიცხვითს სახელებთან შედარებით, მერმინდელ ხანას ეკუთვნის, ჩვენთვის ცხადი გახდება, რომ 80-ის პარალელური ფორმა, თავისი ათეულობითი სისტემისდა მიუხედავად, პირვანდელ წარმოებად არ შეიძლება მიჩნეულ იქმნას: **ნივთიერი შედგენილობით და სემასიალოგიურად ის წინანდელ ათობითს წესს მისდევს, მაგრამ აღნაგობით უკვე ოცობითი სისტემის ხანის ანარეკლი ამჩნევია.**

90-ის ყაბარდოული მე-XVIII ს. და თანამედროვე სახელის **ტოშიტლჷრა პშირრჷ**-სა და **ტოუსიპლირე პსიირე**-ს შესახებ არაფერია სათქმელი, რათგან ოცობითი სისტემის აგებულება აქვს და **ოცეულს ოთხსა** და **ათსა** ნიშნავს.

ყველა ათეულების რიცხვითი სახელების ზემომოყვანილი ანალიზი და მათი ისტორიის სხვადასხვა საფეხურები ადამიანს დაარწმუნებს, რომ **ადიღეურ-ყაბარდოული რიცხვითი სახელები თავდაპირველად ოცობითზე-კი არა, არამედ სწორედ ათობითს სისტემაზე ყოფილა დამყარებული, რომ ყაბარდოული სახელების უმეტესობა მე-XVIII ს. მეორე ნახევარშიც-კი სწორედ ათობითი სისტემისა ყოფილა და რომ ოცობითს სისტემას იქ მხოლოდ შემდეგ გაუმარჯვია.**

ათეულების ყველა სახელების აგებულების გულდასმითი ანალიზისა და ათის სახელის იქ დაცული სახესხვაობის ნაირნაირობის გამორკვევის შემდგომ, უნდა ისევ **ათის** გამომხატველი ძირის საკითხს დავუბრუნდეთ. როგორც უკვე დავრწმუნდით, **ათს** ცალკეულად **პსე, პსიჲი, პშე** და **პშგ** ეწოდებოდა და ეწოდება. ერთგან ისიც გვქონდა უკვე აღნიშნული, რომ **თავკიდური პ**, ეტყობა, **ძირეული არ უნდა იყოს და, რომ ამ სახელის რე-ბოლოკიდურ-ფორმანტიანი ფორმებიცა გვაქვს დაცული.**

დანარჩენი ათეულ-ოცეულების სახელების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ **ათი** ზემომოყვანილ **სჲი**-ს, **შე** და **შგ ძირს გარდა, ᲐᲗᲘს ოდინდელი სახესხვაობა აჯე-ც, იჩ, ჩჷი, იშ-ცა** და **შ-ც ყოფილა.** თუ მოვიგონებთ, რომ ადიღეურისა და ყაბარდოული ენების ასეთს მახლობელ მონათესავე ენათაგანს, როგორიც აბხაზური და უბიხურია, **ათის** აღმნიშვნელ ძირად პირველს **ჟ, შ** და **ზ** მოეპოვება, მეორეს-კი **ჟჷა, ზჷ** და **ზჷი** აქვს, თანაც **ჯ, ჟ, ჩ, შ, ს** ბგერების ხშირს შენაცვლებასაც გავიხსენებთ, **ათის** ადიღეურ-ყაბარდოული და აბხაზურ-უბიხური ძირების ნათესაობისა და იგივეობის დებულებას აღარავითარი დასაბუთება აღარ დასჭირდება.

100. **ასს** ადიღეურად **სჷ** ანუ **ხსჷჷ** ეწოდება, ყაბარდოულად-კი, თუ გ ჰ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერით **შე** უნდა ყოფილიყო, თანამედროვე **სჲსჲე**-ს მიხედ-

ვით, საფიქრებელია, რომ მაშინაც პირველი თანხმოვანი ორმაგი იქმნებოდა. ასის ამ სახელის სჟ, ანდა შ ბგერის წყვილობა არა მგონია შემთხვევითი იყოს, არამედ ამ რიცხვის ოდინდელი, ათობითს სისტემაზე დამყარებული და ႠႧႨ ႠႧႨႱ აღმნიშვნელი სახელის შედეგი და ანარეკლი იქმნება. აღსანიშნავია, რომ გჳლდენშტედტის ჩანაწერში აღბექდილს ⴚⴀⴋⴀⴐⴃⴇⴓⴊⴈⴑ ათასის სახელს ႸႨႴႸ-ში, რომელიც ში ასისა და პშ ათისაგან შესდგება, 100-ს ში ეწოდება და ამავე სახითაა იგი ორასის ძველს სახელს ႸႨႲ-სა და თანამედროვე სჲიტჲ-ში ისევე, როგორც სამასს შიშ-სა და სჲიხჲ-შიც.

ძველი ქართულისა და უბიხურის მსგავსად, 50-ისათვის 100-ის ნახევარის აღმნიშვნელი სახელი ⴀⴃⴈⴊⴍⴄⴐⴑⴀⴃ მოეპოვება, სადაც 50-ისათვის პარალელურ სახელად სსენოყო-ს, ანუ სჲგ-ნუყუა საც ხმარობენ. ნუყუა ნახევარსა ნიშნავს, ხსე, ანუ სჲგ-კი ასს. ამ რიცხვითი სახელის შესახებ იგივე უნდა ითქვას, რაც უკვე მისი უბიხური შესატყვისობის შესახებ იყო ნათქვამი (იხ. აქვე).

10—20-მდე ყაბარდოული და ადიღეური რაოდენობითი რიცხვითი სახელები კუ სუფუქსის საშუალებით არის ნაწარმოები. ლ ო პ ა ტ ი ნ ს კ ი ს აზრით ეს სუფიქსი ნამდვილად კე კავშირი უნდა იყოს, მაგრამ ეს საკითხი ჯერ კიდევ გამოსარკვევია. 20-ითგან 40-მდე მოყოლებული რე კავშირის საშუალებით არის ნაწარმოები, რომელიც მე-XVIII ს.-ში ყაბარდოულად თურმე ერა-დ ითქმოდა, თუ რომ პირველი ხმოვანი წინამორბედს რიცხვს არ ეკუთვნოდა.

§ 4. ჩრდილო-დასავლური ენების რიცხვითი სახელების ზოგადი თვისებები

აბხაზური, უბიხური, ჩერქეზული და ყაბარდოული რიცხვითი სახელების ცალ-ცალკეულად განხილვის შემდგომ, უნდა მათს საერთო თვისებებსა და ზოგადს საკითხებსაც შევეხოთ.

ერთი თვალის გადავლებითაც ამ ოთხი ენის რიცხვითი სახელების მჭიდრო ნათესაობა და ბევრ რამეში იგივეობაც-კი ცხადი ხდება, მაგრამ ზოგან თვალსაჩინო განსხვავებაც ჩანს. ეს გარემოება მკვლევარს ავალებს ჯერ გამოარკვიოს, ასეთს შემთხვევებში განსხვავება არსებითი და ძირითადია, თუ მეორეხარისხოვანი და მეორედია და მხოლოდ ამის შემდგომ მიჰყოს ხელი ზოგადს საკითხებზე მსჯელობას.

მაგალითად, აბხაზური 2-ის თანამედროვე სახელი ჲბა არ უდგება ამავე რიცხვის არც უბიხურს ტყოა, ანდა ტყუა, გინდ ტყო-ს, არც ჩერქეზულს ტყუ-სა და არც ყაბარდოულს ტჲუ-სა და ტუ-ს. მაგრამ, თუ აბხაზური 2-ის უფრო ადრინდელს სახელს გავიხსენებთ, თანაც იმასაც გავითვალისწინებთ, რომ უბიხურ-ჩერქეზულ-ყაბარდოული 2-ის თავკიდური თანხმოვანი შესაძლებელია ძირეული-კი არა, არამედ თავსართოვანი შენაზრდი იყოს, მაშინ საქმის ვითარება სულ სხვანაირად წარმოგვიდგება.

რიცხვითი სახელების ცალკეული განხილვის დროს დავრწმუნდით, რომ ერთეულების სახელების რამდენიმე სახეობა გვაქვს შერჩენილი: პირველი ათეულის ერთეულების სახელები ყველა ბოლო-შეკვეცილი ყოფილა, მათი

სრული ფორმები-კი მომდევნო ათეულ-ოცეულების რთულს რიცხვითს სახელებში გვაქვს დაცული. ამას გარდა, ზოგჯერ რთულ სახელებში ერთეულების უფრო, ადრინდელი ფონეტიკური სახეობაც გვხვდება. შედარებითი შესწავლის დროს, რასაკვირველია, ამ გზით მოპოებული ყველა ფორმები უნდა გამოვიყენოთ.

აბხაზური რიცხვითი სახელების განხილვამ დაგვარწმუნა, რომ, თუ მე-XIX ს. შუა წლებში და ეხლა აბხაზურად 1-ს აკ̌ (არაგონ.) და აძ̌ზ̌ (გონიერ.) ეწოდება, წინათ სეკე-ც ყოფილა, რომლებშიც, რაკი კე, ანუ კ̌ ცალობის აღმნიშვნელია, ძირად სე, ანუ სა გვრჩება, როგორც 11-ის სახელშია იგი დაცული. 11-ის თანამედროვე სახელში ეს ძირი, როგორც დავრწმუნდით, უკვე ზა-დ გვევლინება.

საკმარისია ერთის აღმნიშვნელი ეს აბხაზური ზა ამავე რიცხვის უბიხურს ზე-სა და ზა̆-ს, ჩერქეზულს ზ̌ე̆-ს და ყაბარდოულს ზე-სა და ზზი-ს შევადაროთ, რომ მათი სრული იგივეობა უცილობელი შეიქმნას.

მაგრამ ერთის ზ—ძირიანს სახელს გარდა, აბხაზურს, როგორც უკვე ვიცით, ძ-სახესხვაობაც აქვს აძ̌ზ-სა და ძ̌ალა-ში დაცული. უკანასკნელი ფორმა განსაკუთრებითაა საყურადღებო: მას მეორე მეტი ლა მარცვალი აქვს. მარტო აბხაზური მასალებით რომ გვეხელმძღვანელა, ეს ბოლოკიდური ლა უნდა შემთხვევით შენაზრდად მიგვეჩნია, მაგრამ უბიხურსაც აქვს ერთის აღმნიშვნელი ზალა̆ და ყაბარდოულშიც, 21-ს, 31, 41, 51, 61, 71 და სხვ. ერთის შემცველს რთულ რიცხვითს სახელებში, ერთის გამომხატველი ზირე, ან ზგრე, ანდა ზრე არის, ე. ი. ზ ძირს აქაც რე მარცვალი ახლავს, რომელიც, უეჭველია, ლა-ს ფონეტიკური სახესხვაობა უნდა იყოს. ამის შემდგომ, ცხადია, რომ ლა მარცვალს აბხაზური გონიერი 1-ის ძ-თანხმოვანიანს სახელში შემთხვევითი ხიზნის მსგავსად თავითგან ვერ მოვიშორებთ, პირიქით მას გულდასმითი დაკვირვება სჭირდება.

ამას ის გარემოებაც გვავალებს, რომ ეს ლა̆ უბიხურში ისე უთვისტომო არ არის, როგორც აბხაზურშია, და რე-ც ყაბარდოულს მარტო 1-ის ბოლოსართად არა აქვს, არამედ სხვა რიცხვების სახელებშიც გვხდება.

სახელდობრ უბიხურს 3-ის სახელად შა̆-ს ანუ სშა̆-ს გარდა, სშალა̆-ც გააჩნია, — 4-ისათვის ტლ̌ოგ-ს გარდა, ტლ̌ოალა̆-ც აქვს,—5-ისათვის შჭ̌ზ̌ და შხო̃-ს გარდა, შხოლა̆-ც მოეპოვება,— 10-ისათვის ზ̌ვ, ანუ ზ̌ი-ს და ჟუ̃-ს გარდა, ზ̌ალა̆ და ჟ̌ალა̆-ც გააჩნია.

ყაბარდოულსაც ხომ, როგორც აგრეთვე ცალკეული განხილვის დროს დავრწმუნდით, 2-ის სახელად მარტო ტგუ-კი არა, არამედ ტოურე-ც ჰქონია, 3-ისათვისაც, ში და სში-ს გარდა, შირრე-ც მოეპოვება და 10-ის სახელადაც, პშე-ს გარდა, რთულ რიცხვითს სახელებში პშირრე-ც ყოფილა და არის ეხლაც დაცული. თვით ჩერქეზულსაც 10-ისათვის პშზ̌, პშ̌ი, პსე-ს გარდა, პშ̌რე და პსე̆რე̆-ც ჰქონია და რთულს რაცხვითს სახელებში ეხლაც შენარჩუნებული აქვს.

ყველაფერი, რაც ზემოთ აღნიშნული გვქონდა, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ არამც თუ ლა და რე მარცვლები ზემომოყვანილი რიცხვითი სახელების შემთხვევითი შენაზრდი არ არიან, არამედ საფიქრებელია, რომ

წინათ ოთხივე ენის პირველი ათეულის ერთეულების დანარჩენ სახელებსაც უნდა ჰქონოდათ.

მარტო აბხაზურ-უბიხურ-ადიღეურ-ყაბარდოული ენოვანი მასალით ამ ლა და რე მარცვლების ნამდვილი, თავდაპირველი რაობის გამორკვევა შეუძლებელია, მაგრამ ორი გარემოების აღნიშვნა ეხლავე, სხვა მასალების გამოუყენებლივაც, ხერხდება: 1. **ეს მარცვლები რიცხვითი სახელების ძირეული ნაწილი არ არის**,— ამას ისიც ამტკიცებს, რომ ეხლაც-კი მათი კვალი ექვსს სხვადასხვა რიცხვითს სახელს აქვს დაცული,— **არამედ უეჭველია რაღაც ფორმანტი უნდა იყოს.** 2. **ლა და რე ბოლოსართების თავდაპირველი ბუნების** გამორკვევა თუ სხვა ენოვანი მასალების დაუხმარებლივ შეუძლებელია, ის მაინც **ცხადია, რომ მათ თავდაპირველად რაღაც ზოგადი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდათ.**

1. აბხაზურ-უბიხურ-ადიღეურ-ყაბარდოული რიცხვითი სახელების გულდასმითმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ **ერთის** ძირად: აფხაზურში ძჷა, ძჷგ, ზა, სა და სე გვხდება,— უბიხურში ზა და ზა̆,— ჩერქეზულში ზე̄, ზე̆, ზი და ზ,— ხოლო ყაბარდოულში ზე, ზზი, ზზგ და ზ. რიცხვობრივს პრინციპზე რომ ყოფილიყო მსჯელობა დამყარებული, უპირატესობა ამათგან ზ ბგერას უნდა მიჰნიჭებოდა, მაგრამ სხვა კავკასიურ ენებთან შედარებითი შესწავლა შემდეგში დაგვარწმუნებს, რომ **ძჷლა-ს ამ რიცხვითი სახელის ძირის ოდინდელი თანხმოვანი ბგერა უკეთესად ჰქონია დაცული.**

2. **ორის** ფუძედ: აფხაზურში ღუ, ჯა და ჯ წარმოგვიდგა,— უბიხურში ტყოა, ტყუა, ტყოე, ტყო და ტოე შეგვხდა,— ჩერქეზულში ტყუ, ტყგ, ტყ, ტგუ და ტგა,— ხოლო ყაბარდოულში ტჾუ, ტჾ, ტუ, ტო და ტ ჩანს. შედარება ადამიანს დაარწმუნებს, რომ უბიხურის, ჩერქეზულისა და ყაბარდოულის **ორის** ურთიერთს მჭიდრო კავშირს მხოლოდ აბხაზური 2-ის სახელი არღვევს. მთავარ განსხვავებას სამი პირველის 2-ის თავკიდური ტ და მეოთხის ბოლოკიდური ბა შეადგენს. აბხაზური 2-ის ბა რომ ძირეული არ არის და ფორმანტია, კარგადაა ცნობილი, ამიტომ აქ მხოლოდ-ღა უბიხური, ჩერქეზული და ყაბარდოული 2-ის თავკიდური ტ-ს ბუნება გვაქვს გამოსარკვევი.

მარტო იმ გარემოებისათვის რომ მიგვექცია ყურადღება, თუ რამდენად მყარია ეს თანხმოვანი, უნდა ტ ძირეულად მიგვეჩნია და მისი შესატყვისობა დ ვ მ ე ზ ი ლ ი ვ ი თ აბხაზური 2-ის სახელშიც გვეძებნა. მართლაც და, ყაბარდოულს ხომ ამ რიცხვითი სახელისათვის მაგარი ტჾ-ს, ანდა მარტივი ტ-ს გარდა, სხვა არავითარი თანხმოვანი არ გააჩნია! მაგრამ, თუ 5-ის ჩერქეზულ სახელს ტჷ̆-სა, ტჷ და ტჷ-ს და ყაბარდოულს ტხუ-ს დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ იქაც თავკიდურ თანხმოვანად ტ არის. ეს ამ ბგერის 2-ის ძირეულ ნაწილად მიჩნევას აძნელებს, მაგრამ მაინც მარტო კავკასიური ენების ამ ჩრდილო-დასავლური ჯგუფის მასალებით ამ საკითხის შეუმცდარად გადაწყვეტა შეუძლებელია. შედარებითი შესწავლა შემდეგში დაგვარწმუნებს, რომ ორის სახელში ტ ძირეული არ არის.

ამგვარად, **ძირად ღუ და ჯა**, ანუ ჯ (აბხაზ.) და ყო, ყუ, ყგ გვრჩება, რომლის თანხმოვანი ყ უბიხურსა, ჩერქეზულსა და ყაბარდოულშიც ზოგან გ-დ არის შენაცვლებული, ზოგან მხოლოდ ტჾ-ს სიმაგრით გამოთქმაში-ღა მოჩანს,

ზოგან-კი სრულებით უკვალოდაც-კია გამქრალი. ასეთივე გზით უნდა იყოს აბხაზური 2-ის პირველი თანხმოვანი წარმომდგარი. **2-ის სახელის ყველა ამ ენების ძირად ამგვარად მხოლოდ ჟႨ, ანუ ჟუ არის მისაჩნევი.**

3. **სამის** სახელიც ორ ჯგუფად იყოფა: ერთს ჯგუფს **შ**-თანხმოვნიანი სახელი აქვს, მეორეს-კი **ხ**-თანხმოვნიანი. ასეთია აფსაზური **ხჸფა**, ანუ **ხფა**, რომლის ძირად **ხ** არის, იგი **ხა**-ს, **ხე**-ს, **ხი**-სა და **ხგ**-ს სახითაც გვევლინება.

შ-თანხმოვანი უბიხური შჲ, ანუ სჲ ისევე, როგორც სრული ფორმის სჲალჲ-ს პირველი მარცვალიც. ამავე ჯგუფს ჩერქეზული **სჲე**, **სჲ**, **შშე**, **შშჲი**, **შე**, **შჲ** და **შ** ისევე, როგორც ყაბარდოული **სჲი**, **ში** და სრული ფორმა **შირრე**-ც.

საფიქრებელია, რომ ხ და შ ერთი-და-იმავე ბგერის შენაცვლებას წარმოადგენენ, მაგრამ **სჲ** ბგერა, ე. ი. ს-შ არის პირველადი, თუ შ, ამას განსაკუთრებით სჭირდება დაკვირვება, რათგან გამოსარკვევია სჲ მხოლოდ გარდამავალი ბგერაა, თუ იგი ორი ცალკეული ბგერის ს-სა და შ-ს შერწყმის შედეგს წარმოადგენს.

4. **ოთხის** აფსაზური სახელის ფუძე **ბში**, **ბჟი**, **ფში** და **ფშ**-ც უბიხურ-ჩერქეზულ-ყაბარდოული 4-ის სახელის ფუძისაგან სრულებით განსხვავდება, სადაც ამ რიცხვის სახელად **პტლჲ**, **პხლჲ**, **ტხლ**, **ტლჲ** გვაქვს.

5. **ხუთის** ფუძედ აფსაზურს თუ **ხუ** აქვს და **ხ** ძირი უჩანს, ყაბარდოულს უკვე **ტხუ** და **ტხ** მოეპოვება. მათი იგივეობის მიგნება ძნელი არ არის, თუ გავიხსენებთ, რომ **ტ** აქაც, 2-ის სახელის მსგავსად, ძირეულად-კი არა, არამედ **ფორმანტად არის საგულისხმებელი და ამის გამო ძირად აქაც ხუ უნდა მივიჩნიოთ.**

ადიღეური ოთხი **ტჶჳ**, **ტჶგ** და **ტჶ**-ს თავკიდური თანხმოვანი იმავე თვისებისაა, რაც **ტხუ**-ში აქვს, ხოლო **ჶჳ** ძირი უნდა **ხჶ**-ს ფონეტიკურს შენაცვლებას წარმოადგენდეს.

4-ის უბიხურ სახელთა **შხჲჵ**, **შხჵლჲ**-სა და **შხჲგ**-თაგან ძირად **შხჲჵ** არის მისაჩნევი. მისი **ხჲჵ**, ცხადია, აბხაზური და ყაბარდოული 5-ის ძირს **ხუ**-ს კარგად უდგება, თავკიდური **შ**-კი, რა თქმა უნდა, ვერას გზით ამავე რიცხვის ადიღეურ-ყაბარდოული სახელის თავკიდურს **ტ**-ს ვერ დაუკავშირდება, არამედ სულ სხვა თვისებისა და წარმოშობილობის ბგერა უნდა იყოს.

თუ ადამიანი რიცხვითი სახელების უბიხურს მწკრივს გადაიკითხავს, იქ **შჲ**-ს ცალკეულადაც იპოვის. **იბადება საკითხი 5-ის თავკიდური შ ამ სამის შჲ სახელთან ხომ არ არის დაკავშირებული და, მაშასადამე, 5-ის სახელი ხომ რთული აგებულების, სამი და ორი-ს** აღმნიშვნელი, სახელი არ არის? რამდენადაც 3-ის სახელი ამ მოსაზრებას კარგად უდგება, იმდენად 2-ის სახელის სახე ამ საკითხის გადაწყვეტას აძნელებს. ამის დაჯერება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ წარმოვიდგენთ, რომ 5-ის სახელის მეორე ნაწილი, რომელიც 2-ის აღმნიშვნელი იყო, უ-ტ-ფორმანტოდ იყო გამოყენებული და ყო-ს შემდეგში **ხო**-დ შეუნაცვლდა.

6. **ექვსის** აფსაზური სახელი **ჶბა**, რომლის ძირადაც **ჶ** ჩანს, და უბიხური **ჶჲ** გარეგნულად ამავე რიცხვის ჩერქეზული სახელის **ხხჳ**, **ხე**, **ხჲ** და **ხჲ**-საგან და ყაბარდოულის **ხი**, **ხჲი**, **ხჲ** და **ხ** ძირისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდებიან და

იმავე დროს 5-ის ჩერქეზული სახელის ტჶჷ, ტჶ, ტჶ-ს ძირს გასაოცრად მია-გვანან. 5-ის ჩერქეზულ-ყაბარდოული სახელების შედარებითი განხილვის დროს, აღნიშნული გვქონდა, რომ ჶ უნდა ხჶ კომპლექსის ბგერითს შენაცვლებას წარ-მოადგენდეს და ამავე მოსაზრებით შესაძლებელია აბხაზურ-უბიხური და ჩერქე-ზულ-ყაბარდოული გარეგნულად ამ ჟამად განსხვავებული სახელები ერთმანეთს დავუკავშიროთ. მაგრამ ხი-ს პირველადი აღნაგობის ცოდნა ამ საკითხის გადა-წყვეტასაც შეგვაძლებინებდა. ამ მხრივ ჩერქეზული ხხჷ-ს გაორმაგებული ხხ და ყაბარდოულის ამავე ბგერის ხ-ს სიმკვეთრე არის საყურადღებო. აქ ხომ ორი ხხ ამ რიცხვითი სახელის ორნაწილედი აღნაგობის ნაშთი არ არის და ექვსი ხომ თავდაპირველად სამი-სამის აღმნიშვნელი სიტყვით არ გამოიხატე-ბოდა? აბხაზურში სამის ძირი ხომ მართლაც ხ არის.

7. რამდენადაც 7-ის უბიხური, ჩერქეზული და ყაბარდოული სახელები ერთი-და იგივეა (ბლი, ბლე), იმდენადვე აბხაზური ბჟი-ბა, ბში მათგან განირჩევა-თავკიდურ ბ-ს გარდა, საერთო მათ თითქმის არაფერი აქვთ. ამასთანავე ბ შესაძლებელია აქაც ძირეული არ იყოს[1].

8. რვის სახელები ძალზეა განსხვავებული[2]. და, თუ აბხაზურს აჷბა და ააბა აქვს,— უბიხურს უღოა, უღჳა და ღჳა,— ჩერქეზულს ჲიე, ჲჲი, ხოლო ყაბარ-დოულს ღე, ხ და ჲჲი. მაგრამ, თუ ადამიანი ჩაუკვირდება, შეამჩნევს, რომ, გარეგნული განსხვავებისდა მიუხედავად, მაინც აბხაზურსაც ძირად ხ თანხმოვანი აქვს და ყაბარდოულსაც ხ-ც მოეპოვება. უბიხურსაც მონათესავე ღ ბგერა უჩანს ძირად, რომელიც ყაბარდოულშიც გვხდება. საფიქრებელია, რომ ჩერქეზული 8-ის ჲ-ც ღ-ს შენაცვლების გზით არის გაჩენილი. ამნაირად, აბხაზურ-უბიხურ-ჩერ-ქეზულ-ყაბარდოული 8-ის სახელები მაინც ერთი წარმოშობილობისაა.

9. ცხრის სახელების უბიხური ბღი და ბღგ-ს,— ჩერქეზული და ყაბარდოული ბღუ, გღუ, ბღგ და ბღ-ს იგივეობა თუ ცხადია, სამაგიეროდ აბხაზური ძველი იშ-ბა და ვშ ისევე, როგორც ახალი ჟჷბა და ჟჷ სრულებით განსხვავდება[3].

10. ათის ძირი აბხაზურად, როგორც დავრწმუნდით, ჟ, ჟჷ, ზ, შ და შჷ-დ მოჩანს. საგულისხმოა, რომ უბიხურს ამ რიცხვითი სახელის ორი სრული ფორმა ზჷალა და ჟჷალა-ც მოეპოვება და მოკლეც ზჷჳ, ზჷი და ჟჷჳ-ც. ჩერქეზულსა და ყაბარდოულსაც 10-ის სახელის აგრეთვე სრული ფორმაც, პსჲრჲ და პშჲრე (ჩერქ.), პშჲრრე და პსჲჲრე-ც (ყაბარდ.) აბადია და მოკლეც პშჲი, პშჲ, პსე (ჩერქ.) და პშე და პსჲჲი (ყაბარდ.). ამაზე უფრო საგულისხმოა, რომ ორი ათის აღმნი-შვნელს 20-ის ჩერქეზულს სახელში, როგორც დავრწმუნდით, 10-ის გამომხა-ტველად აჟჲ, იჩ და ჩჷ არის. ექვსი ათის აღმნიშვნელს 60-ის ყაბარდოულს სახელს ხიჩ-საც 10-ის აღმნიშვნელად იჩ და ჩ აქვს დაცული.

ამგვარად, აბხაზურსა და უბიხურს თუ 10-ის ძირად ჟ და ზ აქვთ, ჩერ-ქეზული და ყაბარდოულის 10-ს არც ერთი ამ ბგერათაგანი არ გააჩნია. ამ ორი უკანასკნელი ენის 10-ის მხოლოდ აბხაზურის შ-ძირთან და იმასთანაც მარტო იმ შემთხვევაში შეიძლებოდა დაკავშირება, თუ რომ ჩერქეზულ-ყაბარდოული სა-

---

[1]. დ ჳ მ ე ზ ი ლ ს ა ც აფიქრებს 7-ის შესატყვისობანი (იხ. Etudes comp. გვ. 125).

[2]. დ ჳ მ ე ზ ი ლ ს, მისი განცხადებით, ვერა გაურკვევია რა (იხ. Etudes compar. გვ. 126).

[3]. ვერაფერი გაუწყია დ ჳ მ ე ზ ი ლ ს ა ც (იხ. Etudes comp. გვ. 126).

ხელის თავკიდურს პ-ს ძირეულად არ მივიჩნევდით, არამედ შენაზრდად, რომლის თავდაპირველი ბუნება ცალკე იქმნებოდა გამოსარკვევი. მაშინ ცხადი გახდება, რომ შ-ძირიანი ათის სახელი სამს ენას, აბხაზურს, ჩერქეზულსა და ყაბარდოულს, ჰქონია. მაგრამ, რაკი გამოირკვა, რომ ორ უკანასკნელ ენას **ათის ძირად** წინათ **ჩ** და **ჯ**-ც ჰქონია, ამიტომ ცალკეა გამოსარკვევი, თუ რომელი ამ სამ თანხმოვანთაგანი უნდა პირველადად იქმნეს მიჩნეული და რომელი მერმინდელ შენაცვლებად.

ოთხივე ენის რიცხვითი სახელების ოცეულების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ **ყველგან თვლის ოცობითი სისტემა მერმინდელი წარმოება ყოფილა**, წინათ-კი რიცხვითი სახელები ათობითს თვალზე ყოფილა დამყარებული. 20-ის ჯერადობის გამოსახატავად აბხაზურს წინათ **ნე** მარცვალი ჰქონია, რომელიც შემდეგ **ნგ** და **ნ**-დ ქცეულა. უბიხურს ჯერადობის აღმნიშვნელად **მჩა** ნაწილაკი აქვს, რომლის **ჩ**-ს ბუნება გამოსარკვევია.

თავი მეორე

ჩრდილო კავკასიური ენების ღილღურ ენათა ჯგუფი

§ 1. ღილღური რიცხვითი სახელები

ღილღური ენების ჯგუფი ჩრდილო-კავკასიურ ენათა შორის ყველაზე მცირერიცხოვანია და მხოლოდ სამი ერთეულისაგან შედგება, მაგრამ მცხოვრებთა. რაოდენობით დასავლურ ჯგუფს ამჟამად გაცილებით უფრო სჭარბობს, აღმოსავლურ ჯგუფს-კი დიდად არ ჩამოუვარდება. ღილღურ ენათა მჭიდრო ნათესაობა რიცხვითს სახელებშიც მკაფიოდ მოჩანს.

ღილღურ ენათაგან **ჩაჩნური და ქისტური რიცხვითი სახელების** მე-XVIII ს. ჩანაწერიც მოგვეპოვება და უ ს ლ ა რ ი ს ა ც, **წოვურისათვის** აკად. შ ი ფ ნ ე რ ი ს მონოგრაფია გვაქვს. აი ეს რიცხვითი სახელებიც ძველი და თანამედროვე წყაროების თანახმად:

რიცხვითი სახცლები ჩაჩნურად და ქისტურად XVIII ს.

1	ტცა, წა	Tza	14	დიეიტტე	Dieitte
2	ში	Schi	15	პხიტტე	Pchitte
3	კოე	Koe	16	ჲალხეიტტე	Ialcheitte
4	დი	Di	17	უორა იტტე	Uora itte
5	პხი	Pchi	18	ბარა იტტე	Bara itte
6	ჲალხ	Jalch	19	ჩესტე	Tscheste
7	უორ	Uor	20	ტყა	Tka
8	ბარ	Bar	21	წა ტყა	Tza tka
9	იშ	Isch	22	შილე ტყა	Schile tka
10	იტტ	Itt	29	იშტ ტყა	Ischt tka
11	ცა-იტტე	Za-itte	30	ტყა იტტე	Tka itte
12	შიტტე	Schitte	31	ტყა წაიტტე	Tka tzaitte
13	კოიტტე	Koitte			

40 შაუზ-ტყა Schaus-tka, ში-ტყა Schi-tka (ქისტ.).
41 წაჲ-შაუზ-ტყა Tzai-schaus-tka, წაჲ-ში-ტყა tzai-schi-tka (ქისტ.).
50 შაუზ-ტყა-იტტე Schaus-tka-itte, ში-ტყა-იტტე Schi-tka-itte (ქისტ.).
60 კოუზ-ტყა Kous-tka, კოეტ-ტყა Koet-tka (ქისტ.).
70 კოუზ-ტყა-იტტე Kous-tka-itte, კოეტ-ტყა-იტტე Koet-tka-itte (ქისტ.).
80 დინზ-ტყა Dins-tka, დი-ტყა Di-tka (ქისტ.), ბეუზ-ტყა Beus-tka (წოურად).
90 დინზ-ტყა-იტტე Dins-tka-itte, დი-ტყა-იტტე Di-tka-itte (ქისტ.), ბეუზ-ტყა-იტტე Beus-tka-itte (წოურ.).
100 ბახა Bacha, პხეუზ ტყა Pcheus tka (წოვ.).
1000 **იტ-ბახა** It-Bacha, იწა-პხეუზ-ტყა Itza-pcheus-tka (წოვურ.)
(I. A. Güldenstädt, Reisen II, 505—506).

მე-XIX ს. და თანამედროვე ჩაჩნური, ქისტური და წოვური რიცხვითი სახელები:

1 ცაგ, — ცჰაგ, — ცჰა.
2 შიჲ, — შიგ, შიჲე, — ში.
3 კჷოა, — კოგ, — კო.
4 დიჲ, ვიჲ, ჲიჲ, ბიჲ, — იგ, — გიუჼ
5 ფხიჲ, — ფხიგ, — ფხი.
6 ჲალხ, — ჲა̈ლხ, — ჲეტხ.
7 ვჷორჰ, — გორჰ, — ვორლჼ.
8 ბარჰ, — ბარჰ, — ბარლჼ.
9 ის, — ი̄ს, — ის, იჲს.
10 ით, — იტ, — აჲტ.
11 ცხჼაითთე, — ცხჼეიტტა, — ცჰა იჲტ.
12 ში̄თთე, — ში̄ტტა, — ში იჲტ.
13 კოიტტე
14 დეიტტე
15 ფხი̄ტტე
16 ჲალხი̄ტტე
17 ვჷორჰი̄ტტე
18 ბარჰი̄ტტე
19 თყიჷსნა
20 თყა, — თყო, — ტყა.
21 თყე̄ ცაგ.
22 თყე̄ შიჲ.
30 თყე̄ ით. — თყა̈-იტ. — ტყა იჲტ.
31 თყე̄ ცხჼა იტტე
40 შაუზ თყა, — შოუზთყა, — შაჷზტყ.
41 შაუზ თყე̄ ცაგ
50 შაუზთყე იტ.

60 კუ̄ზთყა.
70 კუ̄ზთყე̄ იტტ.
80 დიე̄ზთყა.
100 ბგე̄, — ბგა̈, ბა̈, — ფხუზტყ.
200 იწატყ.
300 ფხიიწატყ.
400 ტყაუზტყ.
1000 ეზირ, — აჲზარ, — შაც ტყაუზტყი წატყა.

ღილღური ენების რიცხვითი სახელები, როგორც მკითხველი დარწმუნდებოდა, მართლაც ერთმანერთს ძალიან მიაგვანან, ამიტომ მათი ერთად განხილვა სრულებით ბუნებრივიცა და უკეთესიც იქმნება.

ყველა მკვლევართ აღნიშნული აქვთ, რომ ჩაჩნური, ქისტური და წოვური თვლა ოცობითს აღრიცხვაზეა დამყარებული. მართლაც ამ სამთაგან **წოვურს ოცობითი თვლის მკაცრად დაცული აღნაგობა აქვს**, მაგრამ ამ საკითხის არსებითად განხილვა ერთეულების ანალიზის შემდგომ ემჯობინება.

1. გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერითგან ირკვევა, რომ ჩაჩნური რიცხვითი სახელების გარეგანი სახე ერთი საუკუნის განმავლობაში თითქმის არ შეცვლილა. მხოლოდ **ერთია** XVIII ს. ახლანდელი ცაჲ-საგან ოდნავ განსხვავებული და თითქოს **წა** ყოფილა. მაინც-და-მაინც მაშინდელივე 11 ცა-იტტე ცხად-ჰყოფს, რომ წინათ **ერთი** ცა ყოფილა. **წა** კიდევ 21-ში **წატყა**-სა, 31-ში **წყა-წაიტტე**-ს და 41-ში **წაჲ-შაუზ-ტყა**-ში გვხვდება, რომელთაგან ორ უკანასკნელში **წაჲ**-ს სახით არის წარმოდგენილი. ეს უკანასკნელი ფორმა უფრო სრულია.

ამგვარად, **ჩაჩნური 1 ყოფილა ცაჲ, რომელიც ზოგჯერ წაჲ-ს, ანდა წა-ს სახითაც გვევლინება.** უ ს ლ ა რ ს ცაჲ აქვს ჩაწერილი, ქისტურაჲ ცჰიაჲ და წოვურად ცჰია არის. **თერთმეტის** ჩაჩნურს სახელში 1 ქისტურისა და წოვურის მსგავსია ცჰია.

ცხადია, რომ ცაჲ-სა და **წაჲ**-ს **ბოლოკიდური ჲ ძირეული არ უნდა იყოს.** ამის საბუთად იმ გარემოების დასახელებაც შეიძლება, რომ თანამედროვე **ორისა** და **ოთხის** სახელებსაც ბოლოში იგივე ჲ ბგერა აქვთ, უკანასკნელს ოთხივე სქეს-კატეგორიის ფორმებშიც-კი. მაშასადამე, **1-ის ძირი ცა ყოფილა.**

2. **ორი** ძველადაც და შემდეგაც **ში, შიჲ და შიჲ ყოფილა.** ასევეა 12-შიც წარმოდგენილი, **მაგრამ** ეს რომ **ამ რიცხვითი სახელის პირვანდელი ფორმა არ უნდა იყოს**, ამას 40-იც მოწმობს. გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე ტ ს ა ც ა და უ ს ლ ა რ ს ა ც **ორმოცი** ჩაჩნურაჲ **შაუზ-ტყა** უწერიათ და მხოლოდ ქისტურაჲ ყოფილა ში-ტყა. რაკი ამ რიცხვის სახელი **ორ ოცსა** ნიშნავს და მისი მეორე ნაწილი ტყა **ოცის** აღსანიშნავად ერთად-ერთი არსებული სიტყვაა, ხოლო **ზ ყველა ოცეულებში ჯერადობის გამომხატველია**, ამიტომ, ცხადია, **შაუ ორს** უნდა ნიშნავდეს. ასე ეწოდებოდა 2-ს, როგორც ჩანს, მერმინდელი და ეხლანდელი **ში**-ის მაგიერ.

აღსანიშნავია, რომ 22-ი გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს **შილეყა-დ** აქვს ჩაწერილი და აქ უკვე **ორის** სახელი, **ში**-ის მაგიერ, **შილე-დ** გვევლინება.

ამნაირად **ორის** სახელს ერთად-ერთ მყარ ნაწილად **შ** თანხმოვანი უჩანს. მის მომდევნო ხმოვნად ერთი მხრით ი გვაქვს (**ში, შიჲ, შიგ, შილე**), მეორე

მხრით **ა** (**შაუ**). ორის ყველაზე სრული ფორმა **შილე**-ა, შემდეგ **შაუ** და **შიჲ**, მაგრამ **არც ლე და არც შ და ჲ ძირეული არ უნდა იყოს.**

მაინც **ოცის** სახელი **ႲႷႠ უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ორის ღილღური თავდაპირველი სახელი არც ზემომოყვანილ ფორმებს უნდა ჰქონდეთ დაცული.**

იმიერ-კავკასიის ჯგუფის ჩრდილო-დასავლური ენების ოცეულების სახელების ანალიზმა ვგონებ უკვე საკმაოდ დაგვარწმუნა, რომ **ოცის** სახელი თავდაპირველად **ორ ათსა** ნიშნავდა. ამიტომაც გასაკვირეველი არ უნდა იყოს, თუ რომ ღილღური **ႲႷႠ**-სა და **ႧႷႠ**-ს შესახებაც ასეთი მოსაზრება დაგვებადა.

ႲႷႠ და **ႧႷႠ** რომ ამ თვალსაზრისით და აგებულების მხრით განვიხილოთ, შესაძლებელია იფიქროს ადამიანმა, რომ თავკიდური **Ⴒ** და **Ⴇ** აქ **ႨႲႲ**-ის, **ႨႲ**-ისა და **ႨႧ**-ის, ე. ი. **ათის** ნაშთია. თუ ეს მცდარი აზრი არ არის, მაშინ **ႷႠ** უნდა **ორსა** ნიშნავდეს. მაგრამ ამ მოსაზრებას ის გარემოება ეღობება წინ, რომ ჩაჩნური თვლის სისტემის მიხედვით ერთეულების რაოდენობის აღმნიშვნელი სახელი ყოველთვის ათეულის სახელს უძღვის წინ. ამიტომაც უფრო საფიქრებელია, რომ ღილღური ენების **ორათის** აღმნიშვნელ სახელშიც პირველი ადგილი სწორედ **ორს** ჰქონოდა. ამ შემთხვევაში უნდა გვეფიქრა, რომ თავკიდური **ტ** ორის სახელის ნაწილია და **ႲႷႠ** მთლიანად **ორსა** ნიშნავს. მაგრამ აქაც ორი დაბრკოლებაა: თუ **ႲႷႠ ორსა** ნიშნავს, მაშინ **ათის** აღმნიშვნელი მეორე ნაწილი დაკარგულად უნდა ვიგულისხმოთ, უმთავრესი-კი ის არის, რომ **ორის ႲႷႠ**-ს მსგავსი უფორმანტო **ႷႠ** სახელი არც ღილღურ ენებს უჩანთ და არც ჩრდილო-დასავლურ ენებს, სადაც **ႲႷႭ** და **ႲႷႳ**-ა მხოლოდ.

მაგრამ **ႷႠ** რომ **ႲႷႠ**-ში შესაძლებელია მართლაც **ორსა** ნიშნავდეს, ამის დამადასტურებელ უცხადესს საბუთს სამაგიეროდ დაღისტნის მონათესავე ლეგურ ენათაგან დიდოური გვაძლევს, რომელშიც ორს **ყანო** ეწოდება. **ნო** დიდოურში რიცხვითი სახელების ჩვეულებრივი დაბოლოებაა, ამიტომ ის ძირისეული არ არის და დიდოურ **ორის** აღმნიშვნელ **ძირად** მხოლოდ **ႷႠ** გვრჩება. ჩაჩნური **ႲႷႠ**-საგან იგი მხოლოდ თავკიდური **ტ**-ს უქონლობით განირჩევა, ჟმისური 2-ის **ႲႷႭ**-საგან-კი ეს ღილღური ფორმა **ႲႷႠ** მხოლოდ თავისი **ო**-ხმოვნობით განსხვავდება, რაც არსებითს განსხვავებას არ შეადგენს.

თუ ჩვენი ზემომოყვანილი მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ **ოცის ღილღურ სახელს თავისი პირვანდელი შედგენილობის ათის აღმნიშვნელი მთელი მეორე ნაწილი მართლაც დაკარგული უნდა ჰქონდეს.** საფიქრებელია, რომ, რაკი 20-ი თავდაპირველად 40-ის, 60-ის და სხვათა მსგავსად, **ორჯერ ათის** აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, ამიტომ მას **ტყაუზიტტ-ი**, ანდა **ტყაზით-ი** უნდა ჰრქმეოდა. მას შემდგომ, რაც **ორის სახელი**, დროთა განმავლობაში, ბგერათა შენაცვლების წყალობით, **შაუ**-დ და **ში**-დ იქცა, ამ დროითგან მოყოლებული **ოცის** თავდაპირველ სახელს რომ **ათის** გამომხატველი ნაწილი მთლიანად დაეკარგა კიდევაც, ამით რიცხვითს სახელებს მნიშვნელობის აღრევის მხრით არავითარი ზიანი არ მოუვიდოდა, რათგან 2-ისა, 12-ისა და 20-ის სახელების პირველი ნაწილი უკვე მკაფიოდ იყო განსხვავებული. ამ უკანასკნელი გარემოების გამო, **ოცის** მნიშვნელობის დასახსომებლად მისი განსხვავებულობაც უკვე

საჭირო აღარ იყო და ამ გარემოებასაც შეეძლო ՈԹԾ, ՈՏ ბოლო-მარცვლის ჩამოცლა-გაქრობისათვის ხელი შეეწყო. ასე იყო, თუ ისე, მაინც-და-მაინც **ლეგური ენების რიცხვითი სახელების ანალიზის დროს, თავთავის ადგილას, არაერთხელ დავრწმუნდებით, რომ ოცის სახელს ათის აღმნიშვნელი მეორე ნაწილი მთლიანად ჩამოცილებული აქვს და მარტო ორის სახელი-ღაა შერჩენილი.**

მაშასადამე, ირკვევა, რომ **ლილღურს ენებში ՈՒՐՈՒ სხვადასხვა დროისა და თვისების სახესხვაობა გვაქვს დაცული:** ტჳა, ანდა ՏჳА, **შაჳ, შილე, შია** და **ში.** ის საკითხი, თუ რამდენად და რა გზით იყო ჷ-ს **შ**-დ შენაცვლება შესაძლებელი, თავის ადგილას ცალკე გვექმნება განხილული.

3. ჩაჩნურად და ქისტურად სამი XVIII ს.-ში ცალკეულად **კოე** ყოფილა, 13-ის სახელში-კი მხოლოდ **კო** არის, მაგრამ **სამოცის სახელს კოუზტუა-ს სამის გამომხატველად კოუ** აქვს. თანამედროვე ლილღურ ენებში 3-ს ცალკეულად **კუოა** (ჩაჩნ.), **კოჲ** (ქისტ.) და **კო** ეწოდება. 13-ში ჩაჩნურსაც მხოლოდ **კო** აქვს და 60-ში **კუ**. ამგვარად **სამის ძირად ყველგან კო ჩანს.**

5. ჩაჩნური და ქისტური **ოთხი** XVIII ს. **ДИ**-ს სახით არის აღბეჭდილი. უ ს ლ ა რ ი ს ჩანაწერში-კი **ოთხს ოთხივე სქეს-კატეგორიის ფორმა აქვს: Დია, Ვია, Ჲია, Ბია. ცხადია, აქ თავკიდური დ, ვ, ჲ, ბ სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელი თავსართებია.** ამგვარადვე, უეჭველია, გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს **დროსაც Დი-ში Დ ამავე თვისებისა იქმნებოდა,** ე. ი. **მე-IV სქეს-კატეგორიის ფორმა უნდა ყოფილიყო.** თუ ამისდა მიუხედავად **ოთხის** სახელად ჩაჩნებსა და ქისტებს XVIII ს.-ში მხოლოდ, ანდა უპირველესად, ეს ფორმა უთქვამთ, ეს იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ **მეოთხე სქეს-კატეგორიის ფორმას უკვე იმ ხანაში ზოგადი მნიშვნელობაც ჰქონია მინიჭებული.**

დამახასიათებელია, რომ XIX ს. და ეხლა ქისტურსა და ბაცბურსაც **ოთხის მხოლოდ თითო სახელი** (იჲ და ჲიუჲ) **გააჩნია, რომელთაც აგრეთვე ყველა სქეს-კატეგორიისათვის ზოგადი მნიშვნელობა აქვთ.**

ოთხის სახელი XVIII ს-ში 14-ის სახელში, **დიეიტტე**-ში, უკვე **Დიე**-ს სახით გვხვდება, ეხლა-კი **დეიტტე**-ა, ე. ი. **დე**-დ არის ქცეული.

რაკი **ოთხის** ყველა სქეს-კატეგორიის ფორმას ბოლოს **ჲ** უზის და თანაც ერთსაც (ცაჲ და წაჲ), ორსაც (შიჲ), **ხუთსაც** (ფხიჲ) ბოლოში იგივე ბგერა ახლავს, ამიტომ ცხადია, რომ **არც ერთს ამ შემთხვევათაგანში Ჲ არ შეიძლება ძირეული იყოს, არამედ დაბოლოებაა.** მაგრამ, თუ **პირველ სამს რიცხვითს სახელებს თავში არავითარი ფორმანტი არ უჩანს, ՈՒՏԽՈՒ სახელს ოთხივე სქესკატეგორიის ფორმას თავ-თავისი თავსართოვანი ნიშანი** (ვ, ჲ, ბ და დ) **აქვს.** ამნაირად, **ՈՒՏԽՈՒ სახელებს** თ ა ვ ს ა რ თ ი ც ა და ბ ო ლ ო ს ა რ თ ი ც **გააჩნიათ,** იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ თავსართები თითოეული სქეს-კატეგორიისათვის განსხვავებული აქვს, ბოლოსართი-კი ყველას ერთი-და-იგივე მოეპოვება. მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ **ჲ** ყველა ლილღურს ენებში მდედრობითი სქესის ნიშანია და ოთხის **ჲიჲ**-ს ფორმაშიც თავკიდურს **ჲ**-ს ასეთივე დანიშნულება აქვს, მაშინ ბუნებრივად დაგვებადება ეჭვი, რომ ბოლოკიდურ **ჲ**-საც

თავდაპირველად ასეთივე წარმოშობილობა უნდა ჰქონოდა და **მხოლოდ შემდეგში იქმნება უბრალო, ზოგად დაბოლოებად ქცეული.**

ალსანიშნავია, რომ **ოთხმოცში**, რომელიც XVIII ს. ჩაჩნურად **დინზტყა-დ**, ხოლო წოვურად **ბეუზტყა-დ** არის ჩაწერილი და უ ს ლ ა რ ს **დიჱზთყა-დ** ალუბექდია, **ოთხი** უკვე **დინ**-ისა, **დიე**-ს და **ბეუ**-ს სახით გვევლინება. როგორც თავკიდური **დ** პირველ ორ შემთხვევაში, ისევე **ბ**-ც **ბეუ**-ში **სქეს-კატეგორიის თავსართი უნდა იყოს.** ამნაირადვე შესაძლებელია **ᲓᲘᲜ-ის ბოლოკიდური ნ-ცა და ᲑᲔᲣ-ს უკანასკნელი ხმოვანიც ამავე თვისების ბოლოსართების ნაშთები იყოს.**

5. **ხუთი** ჩაჩნურად და ქისტურად XVIII ს. **პხი** ყოფილა, უ ს ლ ა რ ს ა ც **შხიჲ** უწერია ჩაჩნურისათვის, **ფხიჳ** ქისტურისა და **ფხი** წოვურის. წოვურის **ასის** სახელს **ფხეუზტყა**-ში, რომელიც, როგორც თავის ადგილას განმარტებული იქმნება, **ხუთოცს** ნიშნავს, **ხუთი შხეუ**-ს სახით გვევლინება. საფიქრებელია, რომ **პ** და **ფ** აქ **ბ-ს ფონეტიკური სახენაცვალი და სქეს-კატეგორიის ალმნიშვნელი თავსართი უნდა იყოს.** ამიტომ **ხუთის ალმნიშვნელ ძირად უნდა ხეუ** ვიგულისხმოთ, **მაგრამ ბოლოკიდური Უ-ს ბუნებაც ცალკეა გამოსარკვევი.**

6. **ე ქ ვ ს ი** ჩაჩნურად და ქისტურად XVIII ს. შემდგომ გარეგნულად არ შეცვლილა და **ჲალხ**-ი იყო და არის ეხლაც. 16-შიაც **ჲალხე**-ს სახით ყოფილა გ ჰ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს დროს წარმოდგენილი, უ ს ლ ა რ ი ს ჩანაწერშიც იგივე **ჲალხ**-ია და მარტო წოვურშია **ჲეტხ**.

7. **შვიდი** ჩაჩნურისა და ქისტურის ჩანაწერში არის **უოჸ**, რომელიც 17-ში **უოჸა-დ** გვევლინება. უ ს ლ ა რ ს ამის მაგიერ **ვუორჰ**-ი აქვს და ასევეა ეს რიცხვი 17-შიაც წარმოდგენილი. თანამედროვე ქისტურიც **ვორჰ**-ს ხმარობს და მხოლოდ წოვურშია **ვორლი**.

8. **რვა** ჩაჩნურად და ქისტურად გ ჰ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს **ბარ-ად** აქვს ალნიშნული, 18-ში **ბარა-დ** გვევლინება. უ ს ლ ა რ ს ორსავე შესატყვის შემთხვევაში **ბარჰ**-ი აქვს და მარტო წოვურად ეწოდება **ბარლი**.

9. XVIII ს. **ცხრა** ჩაჩნურად და ქისტურად **იშ**-ის სახით არის ალბექდილი. უ ს ლ ა რ ს **ის-ად** აქვს ჩაწერილი, ხოლო **ცხრამეტი თყიჱსნა-დ** გვევლინება. ამ ჩაჩნურისათვის არაჩვეულებრივი წარმოების რიცხვითი სახელის პირველი ნაწილი **ᲗᲧᲘ** რასაკვირველია **ᲗᲧᲐ**, 20 უნდა იყოს. ამის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ **19-ის ალმნიშვნელი თყიჱსნა ალბათ 20 ერთ-ნაკლებს უნდა ნიშნავდეს**[1]. ამის გამო **ცხრის** პირვანდელი სახის ალსადგენად 19-ის ეხლანდელი სახელი ვერ გამოგვადგება.

სამაგიეროდ გ ჰ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს დროს XVIII ს. **ცხრამეტი ჩესტე**, ანდა **ჰესტე** ყოფილა. **ტე** აქ უექველია **ᲘᲢᲢᲔ**-ს, **ათის**, ნაშთია, **ჩეს**, ანუ **ჰეს**-კი ცხადად **ცხრის** ალმნიშვნელი გამოდის და ამ რიცხვითი სახელის **იშ**-სა, **ის**-ზე უფრო ადრინდელ სახეობად უნდა ვიგულისხმოთ. საფიქრებელია, რომ **იშ** და **ის** უნდა **ჩეშ**, ანდა **ჰეშ** და **ჩეს** ფორმებისაგან იყვნენ წარმომდგარი.

10. **ორზე** და **ოცზე** მსჯელობის დროს, **ათის** ლილლური სახელის შესახებ უკვე იმდენი იყო ნათქვამი, რომ აქ სიტყვის მოკლედაც მოჰრა შეიძ-

[1] უ ს ლ ა რ ს 19-ის აგებულება და პირველადი მნიშვნელობა განმარტებული არა აქვს.

ლება. XVIII ს. ჩაჩნურსა და ქისტურს ჩანაწერებში ცალკეულად აღბეჭდილია **იტტ**, მაგრამ 11—19-მდე ყველგან **იტტე**-ა, 19-ს გარდა, სადაც მარტო **ტე** არის. 30-ისა, 50-ისა, 70-ის და 90-ის სახელებში **ათი** კვლავ **იტტე**-დ ითქმის.

თანამედროვე ჩაჩნურს აქვს **ით**, ქისტურს **იტ** და წოვურს **იტ**, მაგრამ 11-ისა და 12-ის სახელში ჩაჩნურად **ითთე**-ა, ხოლო ქისტურად **იტტა**. საგულისხმოა, რომ **13—18-მდე (უკანასკნელიანად) ათი ჩაჩნურადაც ყველგან იტტე-ა, ე. ი. სწორედ ისევე, როგორც გ ჰ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს XVIII ს. ნაშრომშია აღბეჭდილი.** წოვურს ყველგან **იტ** აქვს დაცული. საყურადღებოა მხოლოდ 200-ის თანამედროვე წოვური სახელი **იწატყ**, რომელიც **ათოცს** ნიშნავს, ისევე, როგორც 300-ის სახელი **ფხიიწატყ**, რომელიც 15 ოცსა ნიშნავს და სადაც **ათის** სახელი, ჩვეულებრივის მაგიერ, უკვე **იწა**-ა, მაგრამ **წ** ორი ბგერის **ტ**+**ზ**-ს შერწყმისაგან (**იტ-ზ-ატყ**,—**ფხიიტ-ზ-ატყ**) უნდა იყო წარმომდგარი.

ოცზე უკვე ყველაფერი ნათქვამი გვაქვს და აქ დასამატებელი აღარაფერია.

ჩაჩნური თვლა-აღრიცხვა ათობით-ოცობითი სისტემისაა. რიცხვები 11—19-მდე ერთეულებისა და ათის შეერთებით გამოითქმიან. ამასთანავე ერთეულის აღმნიშვნელი ათისას წინ უძღვის ხოლმე. 30 **ტყაიტტე**, **თყეით**, **თყა-იტ** და **ტყაიტ** ქართულის მსგავსად, მაგრამ უკავშიროდ, **ოც-ათსა** ნიშნავს. 40, 60 და 80-ის სახელებს ყველას მეორე ნაწილად **ტყა**, ანუ **თყა** **ოცი** აქვს და ეს გარემოება ღილღური რიცხვითი სახელებისათვის ოცობითი სისტემის განსაკუთრებულს მნიშვნელობას კარგად ამჟღავნებს. **ოცობითი თვლა მეტადრე წოვურშია გაბატონებული, სადაც ასეულების სახელებიც-კი ამავე წესით არის ნაწარმოები**, მაგ.: 100 **ფხუზტყ** **ხუთჯეროცსა** ნიშნავს, 200 **იწატყ**—**ათჯეროცს**, 300 **ფხიიწატყ**—**15-ჯერ ოცსა**, 400 **ტყაუზტყ**—**ოცჯეროცსა** და სხვ.

ჯერადობის გამომხატველი ათეულ-ოცეულსაცა და ასეულებშიც ყველგან **ზ** არის.

ზემონათქვამისდა მიხედვით შესაძლებელია ადამიანს დაესკვნა, რომ ღილღური ენების **თვლა ოცობით სისტემაზე** ყოფილა მთლიანად დამყარებული. მაგრამ ასეთი ოცობითი თვლა ქართულადაც არის ხალხში გავრცელებული, მხოლოდ ეს **აღრიცხვის შედარებით მერმინდელი წესია**, რათგან **ოცის** **ტყა**-ს ოდინდელი აგებულებისა და ორიათის აღმნიშვნელობის გათვალისწინება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ **ჩაჩნური**, **ქისტური და წოვური თვლის თავდაპირველი სისტემაც ოცობითი-კი არა, ათობითი უნდა ყოფილიყო.** ამის გამო ათეულების ყველა (ოცს გარდა) სახელები მერმინდელ, უკვე ათობით-ოცობითი, სისტემისა და ხანის წარმოებად უნდა მივიჩნიოთ.

§ 2. ღილღური რიცხვითი სახელების ზოგადი დახასათება

ღილღური რიცხვითი სახელების ანალიზის შემდგომ რომ მათს ზოგადს დახასიათებას შევუდგეთ, უპირველესად, მათს **მნიშვნელობას** უნდა შევეხოთ. იმიერ-კავკასიის ენათა **ჩრდილო-დასავლური ჯგუფის რიცხვითი სახელების განხილვის დროს** დაკვირვებისა და ანალიზის **ობიექტად უსქესკატეგორიო**

ენები გვქონდა, ეხლა-კი უკვე სწორედ სქეს-კატეგორიების მტკიცედ მფლობელი ღილღური ენების რიცხვითი სახელების განხილვა მოგვიხდა. ყველაზე საყურადღებო ის გარემოებაა, რომ, თუმცა სამსავე ენას სქეს-კატეგორიები საუცხოვოდ და მრავლად აქვს დაცული, მაგრამ მაინც, ჩაჩნურს გარდა, არც ერთს რიცხვითს სახელებში სქეს-კატეგორიების ნიშნები არ მოიპოვება. ჩაჩნურსაც მხოლოდ ოთხის სახელისათვის აქვს ოთხი სქეს-კატეგორიის ცალ-ცალკეული ფორმა, ყველა დანარჩენი რიცხვითი სახელებისათვის-კი მარტო თითო ფორმა არსებობს.

რაკი სქეს-კატეგორიების ნიშნები ამჟამად მხოლოდ ჩაჩნურს გააჩნია და მასაც მარტო ერთად-ერთი რიცხვის სახელისათვის მოეპოვება, შესაძლებელია ეჭვი წამოიჭრას, ეგების საერთოდ რიცხვითს სახელებს წინათ სქეს-კატეგორიები არც ჰქონდათ და ჩაჩნურში ეს მოვლენა სრულებით ახალია?

მაგრამ ოთხის ჩაჩნური სახელის ოთხსავე ფორმას, როგორც დავრწმუნდით, სქეს-კატეგორიების ნიშნები ყველას თავსართად აქვს, რაც ბოლოსართოვანობაზე უფრო ადრინდელ წესს წარმოადგენს და ხნიერებას ამჟღავნებს.

ოთხის სახელს სქეს-კატეგორიის ნიშნებად ვ, ჲ ბ და დ აქვს. მაგრამ თავთავის ალაგას მოყვანილმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ზოგიერთს სხვა რიცხვითს სახელებსაც არა-ძირეული ბგერები მოეპოვებათ თავსართებად, მაგალითად: 5-ის სახელის პხი-სა და ფხიჲ-ს თავკიდური პ და ფ, 2-ის თავდაპირველი სახელის ტყა-ს, ანუ თყა-ს თავკიდური ტ და თ. რაკი პ და ფ იმავე ბუნების ბგერებია, რომელისაც მე-III სქეს-კატეგორიის ნიშანი ბ არის და მხოლოდ პირველი ყრუსა და მეორე გაასპირატებულს სახესხვაობას წარმოადგენს, ტ და თ-კი თავიანთ მხრივ IV-სქეს-კატეგორიის ნიშნის დ-ს ყრუ და გაასპირატებული სახესხვაობაა, ამიტომაც საფიქრებელია, რომ ტყა-ს თავკიდური თანხმოვანი ამ რიცხვითი სახელის მეოთხე სქეს-კატეგორიის ფორმის უკვე შეზრდილი ნიშანი უნდა იყოს ისევე, როგორც ხუთის პხი-სა და ფხიჲ-ს თავკიდური პ და ფ-ც მესამე სქეს-კატეგორიის ოდინდელი ფორმის ნიშნის შენაზრდად არის საგულვებელი. ამნაირად ირკვევა, რომ 4-ის სახელის თავსართები რიცხვითი სახელების სქეს-კატეგორიების ოდინდელი არსებობის სრულებით ერთად-ერთი მაგალითი არ ყოფილა და ღილღურ ენებს რომ ოდესლაც რიცხვითი სახელებისათვისაც სქეს-კატეგორიების ცალ-ცალკეული თავსართოვანი ფორმები ჰქონია, ამის გამომჟღავნებელი კვალი შერჩენილი ყოფილა.

მაგრამ ღილღურმა რიცხვითმა სახელებმა ამას გარდა დაგვანახვა, რომ რიცხვთა მთელ ჯგუფს, მაგ. 1-ს, 2-ს, 3-ს და 4, ბოლოში ჲ ბგერა მოეპოვება, ხოლო 2-ის მერმინდელი სახელის ში-საც სამი ფორმაა შერჩენილი, რომელთაგან ერთს ბოლოში უ, მეორეს ჲ და მესამეს ლე აქვს. ოთხის ერთი ფორმაც ხომ შევხვდა, რომელსაც ბოლოში ნ ჰქონია.

სქეს-კატეგორიების საკითხზე ზოგადად მსჯელობის დროს აღნიშნული იყო, რომ სქეს-კატეგორიების სამნაირი წესი არსებობდა: თავდაპირველად თავსართოვანი, შემდეგ თავსართოვანი და ბოლოსართოვანი და სულ ბოლოს მხო-

ლოდ ბოლოსართოვანი, რომლის შემდგომ ზოგს ენებს სქესი სრულებით დაჰკარგვიათ. თავსართებადაცა და ბოლოსართებადაც ერთიდაიგივე ნიშნები გვხვდება. თუ ამ დებულებას გავითვალისწინებთ, და გავიხსენებთ, რომ ზემოჩამოთვლილ ბოლოკიდურ ბგერათაგან ა მეორე სქესკატეგორიის, უ პირველისა და ლ, ვითარცა რ-ს შენაცვლება, აგრეთვე გარკვეული სქეს-კატეგორიის ნიშნებია და იყო, მაშინ, მათიც ოდინდელი სქესკატეგორიობის აზრი დაუჯერებელ მოსაზრებად აღარ გვეჩვენება. ბოლოკიდური ნ-ს ბუნებისა და დანიშნულების საკითხი ცალკე უნდა იქმნეს განხილული. აღსანიშნავია, რომ ამჟამად არც ერთს ამ ბოლოკიდურ ბგერათაგანს ღილღურს ენებში უკვე სქეს-კატეგორიის აღარავითარი ფუნქცია რიცხვითს სახელებში აღარა აქვს და მხოლოდ უბრალო დაბოლოებად არის ქცეული.

მაშასადამე, ღილღური ენების რიცხვითი სახელების გულდასმითმა შესწავლამ ცხად-ჰყო, რომ, ერთ გამონაკლისს გარდა, მათ არც თავსართოვანი და არც ბოლოსართოვანი სქეს-კატეგორიები აღარ გააჩნიათ, თუმცა მათი წინანდელი არსებობის წარუხოცელი კვალი საკმაოდ მკაფიოდ აჩნევიათ. ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს დავრწმუნდეთ, რომ რიცხვითს სახელებში სქეს-კატეგორიების პრინციპიცა და საჴიროების შეგნებაც შერყეული და გამქრალი ჰქონიათ იხეთ ენებსაც-კი, რომელთაც მეტყველების სხვა ნაწილებში სქეს-კატეგორიების განრჩევა მტკიცედ აქვთ დაცული. ეს დაკვირვება შემდეგში ყოველთვის უნდა გათვალისწინებული გვქონდეს.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

დაღისტნის ლეგური ენების რიცხვითი სახელები

ლეგური ენები, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ორ მთავარ ქვე-ჯგუფად, სქეს-კატეგორიან და უსქესკატეგორიო ენების ქვე-ჯგუფებად იყოფა. მაგრამ ზოგს სქეს-კატეგორიან ენას რიცხვითს სახელებში არც გრამატიკული სქესი და არც კატეგორიები არ მოეპოვება, არამედ ყოველი რიცხვისათვის მხოლოდ თითო ფორმა აქვს. ამის გამო რიცხვითი სახელების ამ თვალსაზრისით ლეგურ ენათა დაყოფვა სამ ქვე-ჯგუფადაც შეიძლება, რომელთაგან პირველ ქვე-ჯგუფად უნდა სქეს-კატეგორიების ზოგადადაცა და რიცხვითს სახელებშიც მქონებელი ენები მიგვეჩნია, მეორე ქვე-ჯგუფად ის ენები გამოგვეყო, რომელთაც, თუმცა სქეს-კატეგორიები ზოგადად აბადიათ, რიცხვითს სახელებში-კი მაინც არა აქვთ. მესამე ქვე-ჯგუფად სრულებით უსქეს-კატეგორიო ენები გვექმნებოდა.

მაგრამ ლეგური ენების რიცხვითი სახელები ერთმანეთისაგან თავიანთი ბგერითი შედგენილობითა და გარეგნობითაც განირჩევიან, ხშირად ძალზეც-კი და არაერთხელ ტომობრივი ნათესაობისდა მიუხედავადაც-კი.

ზემოდასახელებული ორი გარემოების წყალობით, ლეგური ენების რიცხვითს სახელებს ისეთი ნაირ-ნაირობა ემჩნევა, რომ ადამიანზე გამაბრუებელ შთაბეჭდილებას ახდენს. სახელების ამ მრავალფეროვანობაში გარკვევა ადვილი საქმე არ არის და ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ მკვლევარნი ჩვეულებრივ

რიცხვითი სახელების მხოლოდ ჩამოთვლითა და მცირეოდენი, მათ გასაგებად აუცილებლად საჭირო, ცნობების დართვით კმაყოფილდებოდნენ. ად. დირრ-საც-კი თავისს „შესავალ"-ში ლეგური ენების არც რიცხვითი სახელების ანალიზი უცდია, არც რაიმე ზოგადი მოსაზრება გამოუთქვამს.

რამდენადაც ყოველ მოვლენას თავისი მიზეზი მოეპოვება ხოლმე, იმდენად მკვლევარი ვალდებულია ლეგური ენების რიცხვითი სახელების მრავალგვარობისა და მრავალფეროვნობის მიზეზიც გამოარკვიოს. აქაც უპირველესად უნდა გადაწყდეს, ამ ენებს რიცხვითს სახელებში სქეს-კატეგორიები იმთავითვე ჰქონდათ, თუ არა. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ სახელების ერთი-და-იმავე წარმოშობილობის საკითხიც უნდა გამოირკვეს. თუ დამტკიცდა, რომ ეს ორივე, ბუნებაცა და თვისებაც, დასაწყისითგანვე ერთნაირი ჰქონდათ, მაშინ მათი მრავალგვარობისა და მრავალფეროვნობის მიზეზი იქმნება გამოსარკვევი.

§ 1. ლუმუქური რიცხვითი სახელები

ლუმუქურს ოთხი სქეს-კატეგორია აქვს და, როგორც უკვე ვიცით, მამრ. სქესისათვის უ და ვ, მდედრობითისათვის რ და დ, არაგონიერთა, პირუტყვთათვის და სხეულთა ნაწილებისათვის ბ, ხოლო საგნებისა და განყენებული სახელებისათვის დ არის განკუთვნილი.

ლუმუქური რიცხვითი სახელების მე-XVIII ს. ჩანაწერიცა და თანამედროვეც მოგვეპოვება. სხვადასხვა-დროინდელობისდა მიუხედავად, მათ შორის მაინც დიდი განსხვავება არ არის, მაგრამ გულდენშტედტის ჩანაწერში ყოველი რიცხვისათვის მხოლოდ თითო ფორმაა მოყვანილი. თანამედროვე ლუმუქურს თითოეული რიცხვისათვის 3 სქეს-კატეგორიის ფორმა მოეპოვება. უეჭველია, სქეს-კატეგორიების გარჩევა ლუმუქურს მე-XVIII ს-შიც ჰქონდა, გულდენშტედტის დროსაც იქმნებოდა, მხოლოდ ცნობების მიმწოდებელს მარტო ერთი, სახელდობრ, უმთავრესად პირველი სქეს-კატეგორიის ფორმები ჩაუწერინებია, მაგრამ 3-ის, 10-ისა, 11-ისა და 100-ის სახელების მესამე სქეს-კატეგორიის ფორმაცაა მოყვანილი. სწორედ ეს გარემოებაა, რომ იმ ხანაშიც სქეს-კატეგორიების რიცხვითს სახელებში არსებობას ამჟღავნებს. აქვე მოგვყავს ორივე ხანის რიცხვითი სახელების ჩანაწერები.

ლუმუქური რიცხვითი სახელები

XVIII ს.			ეხლა
1	ცაჳა	Zawa	ცავა, ცარა, ცაბა.
2	კიჳა	Kiwa	კივა, კირა, კიბა
3	შამბა	Schamba	შანვა (შამა), შანდა, შანბა.
4	მუყჳა	Mukwa	მუყვა (მუყა), მუყრა, მუყბა.
5	ხეჳა	Chewa	ხხჲოვა, ხხჲორა, ხხჲობა.

6	რეხჟა	Rechwa	რახჲვა (რახჲა), რახჲრა, რახჲბა.
7	ერულჟა	Erulwa	არულვა (არულა), არულდა, არულბა.
8	მაიჟა	Maiwa	მäჲვა (მäჲა), მäჲრა, მäჲბა.
9	ურუჭჟა	Urutchwa	ურჭვა (ურჭა), ურჭრა, ურჭბა.
10	აწბა	Atzba	აწვა (აწა), აწრა, აწბა.
11	აცნიაცაბა	Azniazaba	აწნიჲა ცავა, აწნიჲა ცარა, აწნიჲა ცაბა.
12	აცნიაკიჟა	Azniakiwa	აწნიჲა კივა, აწნიჲა კირა, აწნიჲა კიბა.
20	ყუა	Kua	ყუვა, ყურა, ყუბა.
21	ყუნიაცაბა	Kuniazaba	ყუნიჲა ცავა, ყუნიჲა ცარა, ყუნიჲა ცაბა.
30	სუივა	Suiwa	ზუბივა, ზუბირა, ზუბიბა.
40	მუყცალვა	Mukzalwa	მუყწალვა (მუყწალა), მუყწალდა, მუყწალბა.
50	ხუცალვა	Chuzalwa	ხხöწალვა (ხხöწალა), ხხöწალდა, ხხöწალბა.
60	რეხცალვა	Rechzalwa	რახჲწალვა (რახჲწალა), რახჲწალდა, რახჲწალბა.
70	ერულცალვა	Erulzalwa	არულწალვა (არულწალა), არულწალდა, არულწალბა.
80	მაიცალვა	Maizalwa	მäჲაწალვა (მäჲწალა), მäჲწალდა, მäჲწალბა.
90	ურცალვა	Urzalva	ურჭწალვა (ურჭწალა), ურჭწალდა, ურჭწალბა.
100	დურშვა	Durschwa	ტტურშვა (ტტურშა), ტტურშრა, ტტურშბა.
1000	აზარბა	Asarba	ăზარვა (ăზარა), ăზარდა, ăზარბა.

(I. A. Güldenstädt, Reisen II, 520—521 და უსლარის Лакскій яз. 72—74).

1. ერთი **ღუმუქურად** XVIII ს. ჩანაწერში ცალკეულად არის ცაჟა, ხოლო 11-ში, აცნია ცაბა-ში, უკვე ცაბა-ს სახეობით გვევლინება. ცხადია, ცაჟა და ცაბა **ერთის მხოლოდ სხვადასხვა ხქეს-კატეგორიების**, სახელდობრ, **პირვე-ლისა და მესამის, ფორმები უნდა იყოს.** მართლაც თანამედროვე ღუმუქურს ერთს სამი სქეს-კატეგორიის ფორმა აქვს: **ცავა** (I), **ცარა** (II) და **ცაბა** (III). მაშასადამე, XVIII ს. ჩანაწერში 1-სა და 11-ში მართლაც პირველი და მესამე სქეს-კატეგორიების ფორმები გვაქვს შენახული.

სქეს-კატეგორიის ნიშნები **გა**, **რა** და **ბა** რომ მოვაშოროთ, **ერთის** აღმ-ნიშვნელ ღუმუქურ **ძირად ცა** დაგვრჩება.

2. **ორი** XVIII ს. ჩანაწერში კიჟა Kiwa-ს სახით არის აღბეჭდილი. რაკი K-ით გჳლდენშტედტს კ-იც, ქ-იც და ზოგჯერ ყ-იც აქვს გადმოცემული,

ამიტომ შესაძლებელია **ორის** სახელი მაშინ ან **კივა**, ან **ყივა-ც** ყოფილიყო. უ ს ლ ა რ ს **ორისათვის** **კივა**, **კირა** და **კიბა** აქვს მოყვანილი.

მაგრამ XVIII ს. ჩანაწერის მიხედვით **ოცი** **კუა**, ან უფრო რომ **ყუა** უნდა ყოფილიყო, რომელიც ეხლანდელს **ყუვა**-ს უდრის. მისი მეორე და მესამე სქეს-კატეგორიის ფორმა **ყურა** და **ყუბა**-ა.

რათგან **ლუმუქური თვლა ათობითს სისტემაზეა დამყარებული**, ამიტომ 40-ის **მუყწალვა**-ს, 50-ის **ხხოწალვა**-ს, 60-ის **რახძწალვა**-სა და დანარჩენი ათეულების სახელების მსგავსად, რომელნიც ყველა **ერთეულის რიცხვისა** და **ათის სახელებისაგან** არის შემდგარი, (40 : **მუყ** [4], + **წალ-ვა** [10], - 50 : **ხხო** [5]+**წალ-ვა** [10],-60: **რახძ** [6]+**წალ-ვა** [10]). **ოცის სახელი ყუვა-ც უნდა ყუწალვა-ს ფორმითგან იყოს წარმომდგარი და თავდაპირველად უეჭველია ო რ ი ა თ ი ს ალმნიშვნელი იქმნებოდა**.

რაკი 20 **ის სახელის ყუვა-ს, ყურა-ს** და **ყუბა**-ს მეორე მარცვლები უეჭველია სქეს-კატეგორიების ნიშნებია და პირველი მარცვალი **ყუ** 10-ის სახელს არც ძველსა და არც თანამედროვეს (**აწვა**, **აწა**, **აწრა**, **აწბა**) არაფრით მიაგავს, რომ იგი, ანდა მასში რამე ათის ალმნიშვნელად მიგვეჩნია, ამიტომ ცხადია, რომ **ბოლოში მოქცეული 10-ის სახელი 20-ის სახელს დროთა განმავლობაში მოსცილებია** და **შერჩენილია ამ რიცხვითი სახელის მხოლოდ პირველი, ორის ალმნიშვნელი-ღა, ნაწილი**. აქეთგან ცხადი ხდება, რომ თუ **ეხლა ორი კივა, კირა, კიბა**-ა და წინათ **კიუა**, ან **ყიუა** იყო, იმ ხანაში, როდესაც 20-ის სახელი საბოლოოდ ინაკვთებოდა, **ყუვა**, **ყურა** და **ყუბა** ყოფილა, რომელშიც **ო რ ი ს ალმნიშვნელ ძირად ყუ არის**.

3. **სამის** სახელი გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერში **შამბა-ად** არის ალბეჭდილი, ეხლა-კი **შანვა**, **შამა**, **შანდა** და **შანბა** არის. სქეს-კატეგორიის ნიშნების ჩამოცლის შემდგომ, **სამის** ალმნიშვნელ **ძირად** XVIII ს.-ისათვის **შამ**-ს **მივიღებთ**, თანამედროვე ლუმუქურისათვის-კი **შან**-ს.

საფიქრებელია, რომ **შან**-ისა და **შამ**-ის ბოლოკიდური **ნ** და **მ ძირისეული არ არის**, არამედ მხოლოდ სქეს-კატეგორიის შეზრდილი ნიშანია და ამგვარად **სამის ალმნიშვნელ ძირად ნამდვილად შა უნდა ყოფილიყო**.

მაგრამ **ოცდაათს** XVIII ს. ჩანაწერის მიხედვით **სუივა** ჰრქმევია, ეხლა-კი **ზუბივა**, **ზუბირა** და **ზუბიბა** იხმარება. რათგან ლუმუქური რიცხვითი სახელები, როგორც აღნიშნული გვქონდა, თვლის ათობითს სისტემაზეა დამყარებული, ამიტომ **სუივა** და **ზუბივა**-ც, ოცდაათიც, თავდაპირველად **სამი ათის** ალმნიშვნელი უნდა ყოფილიყო და, **ამ რიცხვითს სახელსაც**, **ოცის** მსგავსად, **ოდინდელი ფორმის პირველი, სამის ალმნიშვნელი, ნაწილი-ღა უნდა ჰქონდეს შერჩენილი**. ამგვარად ირკვევა, რომ **ს ა მ ი ს** ძირის, **შა**-ს გარდა, **სუ**-სა და **ზუ**-ს ფონეტიკური სახესხვაობაც ყოფილა.

4. **ოთხის** სახელი XVIII ს. ჩანაწერში საფიქრებელია **მუყვა**-ს გამოხატულება იქმნება. უ ს ლ ა რ ი ს მიხედვით, თანამედროვე ლუმუქურში **ოთხი** არის **მუყვა**, ან **მუყა**, **მუყრა** და **მუყბა**. **ორმოცშიაც**, ძველს **მუყცალვა**-შიც, რომელიც **ოთხ ათსა** ნიშნავს, **ოთხი მუყ**-ის სახითვე არის წარმოდგენილი. თანა-

შედროვე 40 მუყწალბა, მუყწალვა, მუყწალდა-ც ოთხისათვის ამავე ფორმას გვაძლევს. მართლაც ოთხს რომ სქეს-კატეგორიის ნიშნები მოვაცილოთ, იგივე მუყ-ი დაგვრჩება, მაგრამ თავკიდური მ-სა და ბოლოკიდური ყა ანუ ვა-ს ნამდვილი ბუნების საკითხი განსაკუთრებით უნდა იქმნეს სათანადო ადგილას განხილული.

5. ხუთი გ ვ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს ხეუა-დ აქვს ჩაწერილი, თანამედროვე ლუმუქურში-კი სამი სქეს-კატეგორიის ფორმა გვაქვს ხხოვა, ხხორა და ხხობა. საფიქრებელია, რომ XVIII ს. ჩანაწერის ხევა-ს ე-ც შერბილებული უნდა ყოფილიყო, ჵ-ს მაგვარი. თანამედროვე 50-ში ხხოწალვა, ხხოწალა და ხხოწალდა-შიც ხუთი ხხო-ს სახითვე არის წარმოდგენილი. სქეს-კატეგორიის ნიშნის ჩამოცლის შემდგომ, XVIII ს. ჩანაწერის ხუთის ძირად ხე და თანამედროვესთვის ხო გამოდის. მაგრამ ჯერ კიდევ XVIII ს. ორმოცდაათი ხუ ცალვა ყოფილა. ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ ხუთს ძირად წინათ ხუჵქონია.

6. ექვსის სახელად XVIII ს. რეხუა არის აღნიშნული, რომლის ძირად რეხ გვრჩება და 60-ში, რეხცალვა-შიც ასევე ყოფილა წარმოდგენილი. თანამედროვე ლუმუქურში 6-ს ოთხი ფორმა მოეპოვება, რახჲვა, რახჲა, რახჲრა, რახჲბა რომელთა ძირად აგრეთვე რახ-ი არის.

7. შვიდი XVIII ს. გ ვ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს ერულუა-დ ჩაუწერია. სქეს-კატეგორიის ნიშანი რომ მოვაცილოთ, ერულ დაგვრჩება და იმდროინდელ 70-ში, ერულცალვა-შიც, ამ სახითვე გვევლინება.

თანამედროვე 7-საც და 70-შიც ამ რიცხვითს სახელს მხოლოდ თავკიდური ხმოვანი აქვს სხვა და იხმარება არულვა, არულა, არულდა და არულბა, ე. ი. ძირად აქ არულ-ია.

8. რვა XVIII ს. გ ვ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს მაიუა-დ ჩაუწერია, მაშასადამე, ფესვად ამ რიცხვითს სახელს მაი აქვს და ამავე სახით გვევლინება რვა მაშინდელ 80-ს მაიცალვა-შიც. თანამედროვე რვას ოთხი სქეს-კატეგორიის ფორმა აქვს, მჲჲვა, მჲჲა, მჲჲრა და მჲჲბა, ე. ი. ძირად მჲჲ აქვს. ასევეა 8 თანამედროვე 80-ში მჲჲწალვა-სა და მისს დანარჩენ სქეს-კატეგორიის ფორმებში წარმოდგენილი.

9. ცხრა XVIII ს. ცალკეულად ურუჰუა-დ არის ჩაწერილი. უსქესკატეგორიოდ ძირი ურუჰ-ი იქმნება. მაგრამ მაშინდელს 90-ში, ურცალვა-ში, უკვე შემოკლებული სახით, მარტო ურ-ად გვევლინება, რომელიც ურჰ-ისაგან (ურჰცალვა > ურც-ცალვა > ურცალვა) უნდა იყოს წარმოშობილი.

უ ს ლ ა რ ს 9 ურჰვა, ურჰა, ურჰრა და ურჰბა-დ აქვს ჩაწერილი, ე. ი. ძირად აქაც მხოლოდ ურჰ გვევლინება. ასევეა წარმოდგენილი თანამედროვე 90-ში, ურჰწალვა-სა და დანარჩენ სქეს-კატეგორიის ფორმებში.

10. ათს ბევრი ცვლილება ემჩნევა: XVIII ს. ჩანაწერში ცალკეულად აწბა-დ არის აღნიშნული, ამისდა მიხედვით ძირად მისაჩნევია აწ. მაგრამ მაშინდელს 11-ში აცნიაცაბა-სა და 12-ში აცნიაკივა-ში, ათი აც-ად გვევლინება. უ ს ლ ა რ ი ს დროსა და ეხლაც 11 აწნიჲაცავა, აწნიჲაცარა და აწნიჲაცაბა-ა,

ხოლო 12 აწნიაკიმა, — კირა და — კიბა-ა. ამავე დროს 10-ც არის აწვა, აწა, აწრა და აწბა. ყველგან აქაც ძირად აწ გამოდის.

აღსანიშნავია, რომ ათეულებში XVIII ს. ჩანაწერის მიხედვით ათი ცალვა-დ გვევლინება, თანამედროვე ლუმუქურში-კი წალვა-დ. პირველ შემთხვევაში ათის აღმნიშვნელ ძირად ცალ, მეორეში-კი წალ-ი გვექმნება.

უკვე უ ს ლ ა რ ს აქვს აღნიშნული, რომ ლუმუქური თვლა ათობით სისტემაზეა დამყარებული (Лакский яз., 72—74).

მეორე ათეულის თითოეული რიცხვის სახელი ათისა და ერთეულის სახელებისაგან არის შემდგარი, მაგრამ პირველ ადგილას მყოფს ათის სახელს აც-ხა, ანდა აწ-ხა და მეორე ადგილას მოთავსებულს ერთეულის სახელს შუა ნია, ანუ ნძია ზის, რომლის ნამდვილი დანიშნულება გამოსარკვევია. ყველა დანარჩენი ათეულების სახელების აგებულებაზე უკვე გვქონდა საუბარი და როგორც ვიცით, ერთეულისა და ათის სახელისაგან არის ნაწარმოები, ისე-კი, რომ ერთეულის სახელი უსქეს-კატეგორიო ბოლოსართოდ, მარტო ძირეული ნაწილის სახით, არის გამოყენებული და ერთეულისა და ათის სახელებს შუა არავითარი შემაკავშირებელი არ მოიპოვება. პირიქით, ისეთს რიცხვში, როგორიც 31-ია, 30, ანუ სამი ათისა და ერთის სახელებს შუა დიძ მარცვალია: ზუბილდიძ-ცავა. საგულისხმოა ამასთანავე, რომ სამიათის მდედრ. სქესის ფორმაა გამოყენებული ზუბილ (=ზუბირა-ს).

100-ის სახელი დურშვა (მე-XVIII ს.) და ტტურშვა, ტტურშა, ტტურშრა და ტტურშბა წინა ათეულებისა და ალთვალევის მთელი სისტემისდა მიხედვით ათი-ათი-ს აღმნიშვნელი უნდა იყოს, მაგრამ ამას ჯერ კიდევ მისი სახელის ანალიზით შემოწმება სჭირდება: შესაძლებელია თავკიდური დ-ც ძირეული არ გამოდგეს.

1000-ის სახელი სპარსულია, მაგრამ ის უკვე იმდენად არის მოშინაურებული, რომ ბოლოში ლუმუქური სქეს-კატეგორიების ვა, და და ბა ნიშნებიც-კი აქვს დართული.

§ 2. აკუშური და ჰურკანული (ჰურკილური) რიცხვითი სახელები

აკუშური (Akuschaisch) რიცხვითი სახელების მე-XVIII ს. ჩანაწერი გ უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს მოეპოვება. ამ სახელების თანამედროვე ჰურკილურ სახელებთან შედარება მათს ცხადს მსგავსებას ამჟღავნებს, ამიტომაც მათი ერთად განხილვა სჯობია.

თანამედროვე ჰურკილურს სამი სქეს-კატეგორია აქვს: 1. მამრობითი, რომლის ნიშნადაც თავში და ბოლოში მოქცეული უ არის. 2. მდედრობითი, ნიშნად თავში დ-სა და ბოლოში რ-ს მქონებელი, და 3. საერთო სქეს-კატეგორია, რომელსაც პირუტყვებისა და საგნების სახელები ეკუთვნის და რომელსაც თავშიცა და ბოლოშიც ნიშნად ბი (ბ-სა და ვ-ს საშუალო თანხმოვანი) აქვს.

სქეს-კატეგორიების არსებობისდა მიუხედავად, თანამედროვე ჰურკილურს რიცხვითი სახელებისათვის თითო-თითო ფორმა მოეპოვება, მაგრამ მის მონათესავე აკუშურს რიცხვითი სახელების მე-XVIII ს. ჩანაწერში ერთეულების წყვილ-წყვილი ფორმები მოიპოვება. სამწუხაროდ, ეს რიცხვითი სახე-

-ლები, ან ჩაწერისა, ანდა იქნებ ბეჭდვის დროსაც აქა-იქ არეულიცა და დამახინჯებულიც ჩანს, მაგრამ რამდენიმე შემთხვევა მაინც ცხად-ჰყოფს, რომ **თითოეულ ამ ორი სახელთაგანი ცალკეული სქესის ფორმა ყოფილა.**

აი ეს რიცხვითი სახელები პარალელურად:

XVIII ს. აკუშური (Akuschaisch) და თანამედროვე ჰურკილური რიცხვითი სახელები

ა კ უ შ უ რ ი	ჰ ვ რ კ ი ლ უ რ ი
1. Za ცა, Zawal ცაჳალ	ცა
2. Quial ყუიალ, Kial კიალ	კ°ჳელ
3. Abal აბალ, Hāwal ჰა̈ჳალ	ჰ°ა̈ჳალ
4. Ohwal ოჰჳალ, Urākal ურა̈კალ (მეორე შეცდომაა: ნამდვილად 6-სა ნიშნავს).	ა̣ჳ°ალ
5. Chujal ხუჲალ, Augal აუგალ	შჳალ
6. Ureekal ურეეკალ, Iachal ჲახალ	ურიღ̇ალ
7. Veral ვერალ, Eruzal ერუცალ	ჳერჰ°ალ
8[1]. Gehal გეჰალ, Maizal მაიცალ	გაჰ°ალ
9. Urbtschanal ურბჭანალ	ურჭიმალ
10[2]. Iäzal ჲა̈ცალ	ჳიწალ
11. Weznuzara ჳეცნუცარა	ჳიწნუცარა
12. Weznukjura ჳეცნუკჲურა	ჳიწნუკ°ჳირა
13. Weznuzara უეცნუცარა (შეცდომაა: ნამდვილად 11-ის ფორმაა).	
20. Hwajal ჰჳაჲალ	ღალ
21. Honuzara ჰონუცარა	ღანუცარა
30. Abzale აბცალე	ჰ°ა̈ვწალი
40. Anzale ანცალე	აჳწალი
50. Chuzale ხუცალე	შუწალი
60. Urekzale ურეკცალე	ურიღ̇წალი

[1] 8-ის სახელში გკლდენშტედტის ნაშრომის გამოცემაში შეცდომით 7-ის სახელი ვერალ-ია გამეორებული, უნდა-კი იყოს გეჰალ, რომელიც შეცდომით 9-ის სახელად არის აღნიშნული. ჩვენ მათ თავ-თავის ადგილას ვათავსებთ.

[2]. 10-ის სახელად შეცდომით 9-ის სახელიც არის მოყვანილი.

70. Werzale ჷერცალე	ჷერჰიწალი
80. Glachzale გლახცალე	გაჰიწალი
90. Urtschemzale ურჭემცალე	ურჭიმწალი
100. Darschal დარშალ	დარშალ
1000. Asarzal, Asyr აზარცალ, აზჳრ	აზირ

(I. A. Güldenstädt, Reisen II, 520-521. უსლარის Хюркилинский яз. 63-64):.

1. ერთის თანამედროვე ჰურკილური სახელი ცა არის, აკუშურის ჩანაწერში-კი ორი ფორმაა აღბეჭდილი, ცა და ცაჷალ. თუ ადამიანი თანამედროვე ჰურკილურს რიცხვითს სახელებს თვალს გადაავლებს, შეამჩნევს, რომ ერთს გარდა, ყველა სახელებს ბოლოში ლ ბგერა აქვს. ეს გარემოება ამ თანხმოვანის რაობას ამჟღავნებს: იგი შეუძლებელია ძირეული იყოს და უეჭველია უბრალო დაბოლოებად არის ქცეული. ამიტომაც, აკუშური და ჰურკილური რიცხვითი სახელების ძირეული ნაწილის გამოსარკვევად, უწინარეს ეს ბოლოკიდური უნდა ჩამოვაშოროთ ხოლმე.

ზემოაღნიშნული დებულებისდა მიხედვით, აკუშური 1-ის სახელის ძირად შესაძლებელია ცაჷა მიგვეჩნია, მაგრამ უკვე ის გარემოება, რომ 11-ის სახელს ჷეცნუცარა-სა და ჰურკილურის ვიწნუცარა-სა ისევე, როგორც 21-ის აკუშურს სახელს ჰონუცარა-ში ერთს ცავა-კი არა, არამედ ცარა ეწოდება, ცხადად ამჟღავნებს, რომ ჷა და რა მარცვლები შეუძლებელია ძირეული იყოს. რაკი 1-ის არც მეორე მარცვალი აღმოჩნდა ძირეული, ამიტომ ირკვევა, რომ აკუშურისა და ჰურკილური 1-ის ძირიც ცა ყოფილა.

უ ს ლ ა რ ს ეგონა, რომ ცარა-ს და მეორე ათეულთან დაკავშირებული ერთეულების სახელების ბოლოკიდური რა მარცვალი კავშირია და 1 ჷიწნუცარა ნიშნავს ათსა და ერთსაო („Значит десять и один“: Хюрк. яз. 65). მაგრამ, მხოლოდ ეს რა მარცვლი რომ გვქონოდა, ეგების ამ განმარტების დაჯერება შესაძლებელი ყოფილიყო, ნამდვილად-კი საქმე სხვანაირად არის: ამ რა მარცვლისა და რა კავშირის მსგავსება შემთხვევითი მოვლენა უნდა იყოს.

1-ის სახელის ძირის გამორკვევის შემდგომ, ჷა და რა მარცვლების ბუნებისა და დანიშნულების გამორკვევა ძნელი არ არის. როგორც აღნიშნული გვქონდა, ჷ ჰურკილურში მამრ. სქესის ნიშანია, რ კიდევ მდედრობითისა. ამას გარდა, ღუმუქურსა და არაერთს სხვა ენაშიც. როგორც დავრწმუნდით, ვა მარცვალი მამრობითისა, რა-კი მდედრობითი სქესის ნიშნებია. ცხადია, რომ ასეთივე დანიშნულება ექმნებოდათ თავდაპირველად აკუშურის მე-XVIII ს. ჩანაწერის ცაჷა-სა და ცარა-ს მეორე მარცვლებსაც.

მაშასადამე, გამოირკვა, რომ გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერში აკუშური 1-ის მე-XVIII ს. ორი, მამრობითი და მდედრობითი, ფორმა გვქონია დაცული. აღსანიშნავია, რომ სქესის ნიშანი ორივეს ბოლოსართის სახით აქვს.

2. ორის აკუშურ სახელად XVIII ს. ჩაწერილია ყჷიალ და კიალ, თანამედროვე ჰურკილურს-კი აქვს კიჷელ. მაგრამ 20-ის აკუშურს სახელს ჰჷალალ-სა

და ჰვრკილჳრს ღალ-ში, რომელნიც, ალთვალვის ათობითი სისტემის გამო, **ორი ათის** აღმნიშვნელი სახელებისაგან უნდა იყვნენ წარმომდგარი, **ორის** სახელი სხვანაირად მოჩანს.

პირველი ათეულის ჰვრკილჳრს ყველა რიცხვითს სახელებს, ერთის გარდა, ისევე, როგორც 10-ისა, 20-ის და 100-ის სახელებსაც ბოლოსართად აქვთ **ალ**, რომლისთვისაც უ ს ლ ა რ ს განმარტება ვერ მოუძებნია (ჰვრკ. გ., 65), ად. დ ი რ რ ს-კი იგი განმსაზღვრელიართრონის მსგავს ნაწილაკად მიაჩნდა (იხ. დ ი რ-რ ი ს Einführung, გვ. 223). მაგრამ აკუშური რიცხვითი სახელების მე-XVIII ს. ჩანაწერთან შედარება და მეტადრე **ერთისა** და **სამის** სახელების ანალიზი ცხად-ჰყოფს, რომ დაბოლოებად **ლ** მოჩანს, ხოლო წინამავალი **ა** 1 სქეს-კატეგორიის ნიშნის **ჳა**-ს ნაწილია. დანარჩენ რიცხვითს სახელებს **ჳ** დროთა განმავლობაში დაუკარგავთ და ამიტომაც ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს აქ **ალ** ბოლოსართი იყოს.

თუ, ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინების შემდგომ, **ორის** შედგენილობის გამორკვევას დავიწყებთ, უპირველესად **ყუიალ**-სა და **კიალ**-ს ბოლოკიდური **ლ** უნდა ჩამოვაშოროთ, რის შემდეგაც დაგვრჩება **ყუია** და **კია**, რომელნიც, საფიქრებელია, უფრო ადრინდელი **ყუივა** და **კუირა**-საგან უნდა იყვნენ წარმომდგარი.

ორის წინანდელი სახელის შესახები ჩვენი მოსაზრების სრულ სისწორეს 12-ის სახელს **ჳეცნუკძურა** და **ჳიწნუკჳირა**-ში დაცული **ორი** ამტკიცებს, სადაც მართლაც **კძურა** და **კჳირა** არის. რაკი **კძურა**-სა და **კჳირა**-ში **რა**, ცხადია, **სქეს-კატეგორიის ნიშანია**, ამიტომ ორის **ძირად ყუი**, და **კოჳი** რჩება.

20-ის სახელის აღნაგობა უფრო ძნელი გამოსარკვევია. აკუშურად ყოფილა **ჰჳაძალ**, თანამედროვე ჰვრკილჳრს აქვს **ღალ**. შესაძლებელია, გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ-ტ ი ს ჩანაწერის H, ჰ, აკუშურშიც ღ-ს მსგავს ბგერად ისმოდა და **ღჳაძალ**-ი იყო, მაგრამ მთავარ დაბრკოლებას სხვა გარემოება წარმოადგენს.

ამ ენების რიცხვითი სახელების ალთვალვა ათობითია და ყველა დანარჩენი ათეულების სახელები **ერთეულისა** და **ათის** სახელისაგან შედგება, მაგ., 30-ს ეწოდებოდა **აბცალე**, ეხლა **ჰაჲვწალი**, რომელიც **აბ** (3) და **ႺႠႪႤ** (=**ძჳცალ**-ს, 10)-საგან, ანდა **ჰაჲჳ** (3) და **წალი** (=**ჳიწალ**-ს, 10)-საგან არის წარმომდგარი და ყველა დანარჩენი ათეულების სახელებიც ასეთივე აგებულების სიტყვებია.

გამონაკლისს ამ მხრივ მხოლოდ **ოცის** სახელი **ჰჳაძალ**, ანუ საეგებიო **ღჳაძალ** და თანამედროვე **ღალ** წარმოადგენს, რომელთაც არც **ცალე** და არც **წალი** ბოლოში არა აქვთ. იქნებ წინათ **ღჳაძიცალე** იყო კიდევაც, მაგრამ შემდეგში **ც** გაქრა, მხოლოდ, რაკი არც მე-XVIII ს. და არც თანამედროვე ფორმაში **ც** არა ჩანს, ამიტომ **ამ რიცხვითს სახელს ႠႧႨႱ გამომხატველი არ გააჩნია.** ცხადია, რომ თავდაპირველად **ორი ათის** აღმნიშვნელი **20-ის ოდინდელი სახელის ამ ნაშთს მხოლოდ ႭႰႨႱ სახელი-ღა უნდა ჰქონდეს შერჩენილი.** ამიტომ **ჰჳაძ**, ანუ **ღჳაძ** და **ღა**, საფიქრებელია, **ყჳა**-ს ფონეტიკური სახესხვაობა უნდა იყოს.

ამნაირად **ორის**, როგორც **ძველი ძირი და მისი შენაცვლებული სახე-სხვაობა, ისევე მისი მამრობითისა (ყუივა) და მდედრობითი (კიშირა) სქესის ფორმების არსებობაც გამოირკვა.**

3. აკუშურის **სამის** მე-XVIII ს. სახელად **აბალ** და **ჰჰაშალ**-ია ჩაწერილი, თანამედროვე ჰურკილურს აქვს **ჰიაშალ**. ამგვარად აკუშურის მეორე ფორმა და თანამედროვე ჰურკილური **სამი** ერთმანერთს ზედმიწევნით უდგება. მას რომ **ლ** დაბოლოება მოვაცილოთ, დაგვრჩება **ჰაშა**, ანუ **ჰიაშა**. ერთის ცაშა-ს მსგავსად, **ჰაშა**-სა და **ჰიაშა**-ს მეორე მარცვალი **შა**-ც მამრობითი სქესის ფორმანტი უნდა იყოს და **სამის ძირად**, მაშასადამე **ჰა** ანუ **ჰია გამოდის.**

ამის შემდეგ რომ აკუშური **სამის** პირველი **აბალ** ფორმის განხილვას შევუდგეთ, უნდა აღინიშნოს, რომ 30-ის (ნამდვილად **სამი ათი**-ს) აკუშურის სახელს **აბცალე**-შიცა და თანამედროვე ჰურკილურს **ჰიავწალი**-ს მიხედვითაც **სამს აბ** და **ჰიავ-ი ეწოდება.** ისევე, როგორც **ჰაშალ**-სა და **ჰიაშალ**-ს **ლ** დაბოლოება და **შა** მამრ. სქესის ფორმანტი აღმოაჩნდა, ამნაირადვე **აბალ**-ის **ლ**-ც, ცხადია, დაბოლოება უნდა იყოს. მისი ჩამოშორების შემდგომ, დარჩენილს **აბა**-საც **ბა ძირეული** არ უნდა ჰქონდეს, არამედ მე-3 სქეს-კატეგორიის ნიშანი იქმნება. გამოდის, რომ **სამის** აღმნიშვნელი თითქოს **ა** ხმოვანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, უეჭველია, **აბალ**-ს წინათ უნდა თავკიდური **ჰ** ჰქონოდა და **ჰაბალ**-ი ყოფილიყო და მხოლოდ დროთა განმავლობაში იქმნება ეს ბგერა გამქრალი.

ყველა ზემოთქმულის შემდგომ, ვგონებ, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ **სამის აღმნიშვნელი ძირი ჰია, ანუ ჰა ყოფილა** და რომ **აკუშურის XVIII ს. ჩანაწერში ამ რიცხვითი სახელის პირველი სქეს-კატეგორიის ფორმა ჰაშალ და მესამე სქეს-კატეგორიისა [ჰ]აბალ-ი გვქონია აღბეჭდილი. უკანასკნელი ფორმა** მით უფროა საყურადღებო, რომ **აკუშური რიცხვითი სახელების მესამე სქეს-კატეგორიის ერთად-ერთი გადარჩენილი ნიმუშია.**

საგულისხმოა, რომ მესამე სქეს-კატეგორიის ნიშანიც ბოლოსართის სახით არის წარმოდგენილი.

4. აკუშური **ოთხის** მე-XVIII ს. სახელად გჰლდენშტედტს ჩაწერილი აქვს **ოჰშალ** და **ურჰკალ**, მაგრამ საკმარისია ადამიანმა 6-ის სახელს დაჰხედოს, რომ იქაც იგივე ურეკალ-ი ამოიკითხოს. ცხადია, რომ **ჩანაწერში,** ანდა **ნაშრომის გამოცემის დროს,** შეცდომა **შეპარულა.** ხოლო, რაკი ამავე ავტორის ცნობით 60-ს, რომელიც ნამდვილად ექვს ათსა ნიშნავს, იმავე დროს ურეკცალე ჰრქმევია და ჰურკილურად ეხლაც **ურილწალი** ეწოდება და აქაც **ურეკ** და **ურილ ექვსსა** ნიშნავს, ამიტომ, უეჭველია, 4-ის სახელად ეს სიტყვა შეცდომით არის ქცეული. **ოთხის** მეორე ნამდვილი სახელი შეცდომითვე **ხუთის** სახელად აღნიშნული **აუგალ,** ანუ **აულალ**-ი უნდა იყოს. ამ მოსაზრებას ის გარემოება ადასტურებს, რომ **ოთხი ათის** აღმნიშვნელს აკუშურს სახელს Anzale ანცალე-სა და თანამედროვე ჰურკილურს **აუწალი**-საც **ოთხის** გამომხატველად **აუ** აქვს: **Anzale, ცხადია, კორექტურული შეცდომის წყალობითაა Auzale-საგან წარმომდგარი.** 4-ის სახელი **აულალ** იმითაა **საყურადღებო,** რომ **აუ+ლალ**-ისაგან შესდგება. რაკი **ლალ** 2-ის სახელი იყო (იხ. გვ. 311), **ცხადი ხდება, რომ აკუშური** 4-ის **სახელი** თავდაპირველად **ორი-ორი**-ს **აღმნიშვნელი ყოფილა.**

ამნაირად აკუშურს **ოთხს** მე-XVIII ს. ორი ფორმა, **ოჰჶალ** და **აუდალ-ი** აქვს დაცული. თანამედროვე ჰკრჳილღრაჲ **აჶიალ-ს** უწოდებენ.

რა თქმა უნდა, ორივე ფორმის, **ოჰჶალ-ისაცა** და **აუდალ-ისაც** ისევე, როგორც თანამედროვე **აჶიალ-ის** ბოლოკიდური **ლ** ძირეული არ არის. მაგრამ მის ჩამოცლის შემდეგ დარჩენილი თითოეული ამ ორ ფორმათაგანი სახელდობრ რომელი სქეს-კატეგორიისათვის იყო მე-XVIII ს.-ში განკუთვნილი, ამის გამორკვევა, ჩვენ ხელთ მყოფი ცნობების მიხედვით, ამჟამად შეუძლებელია.

5. **ხუთის** აკუშურ სახელად მე-XVIII ს. ჩანაწერში **ხუჲალ** და **აუდალ-ი** არის მოყვანილი, მაგრამ **მეორე სიტყვა, როგორც დავრწმუნდით, ნამდვილად 5-ისაკი არა, არამედ ᲝᲗᲮᲘᲡ სახელია.** ამის გამო 5-ის მხოლოდ ერთი აკუშური სახელი-ღა გვრჩება.

თანამედროვე ჰკრჳილღრს **ხუთის** აღსანიშნავად აქვს **შჶალ**, რომელიც ზემომოყვანილი აკუშური სახელის ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს.

რაკი ორივე ფორმის **ლ**, უეჭველია, აქაც დაბოლოებაა, ამიტომ **ხუთის** აღმნიშვნელ **ძირად ხუჲა და შჶა გამოდის.** მაგრამ 50-ის, ე. ი. **ხუთი ათის**, აკუშურს სახელს **ხუცალე-სა** და თანამედროვე ჰკრჳილღრს **ᲨᲣᲬᲐᲚᲘ-ს** **ხუთის** გამომხატველად **მხოლოდ ხუ და შუ აქვთ.**

6. აკუშური **ექვსის** სახელად **ურეეკალ** (აგრეთვე **ურა̆კალ**) და **ჲახალ-ია** XVIII ს.-ში ჩაწერილი, რომელთაგან მეორეს **ჲა** (ja) შესაძლებელია აგრეთვე ა̆-ს გამომხატველი იყოს. თანამედროვე ჰკრჳილღრაჲ **ექვსს** **ურილɩალ-ს** უწოდებენ. რასაკვირველია, 6-ის სამივე ფორმის **ლ**-ც დაბოლოებაა და ამის გამო **ექვსის ძირად ურილɩა, ურეეკა და ჲახა** რჩება. **ექვსი ათის** აღმნიშვნელი 60-ის აკუშური **ᲣᲠᲔᲔᲥᲪᲐᲚᲔ-სა** და თანამედროვე ჰკრჳილღრი **ურილɩწალი-ს** სახელში **ა** ხმოვანიც ჩამოშორებული აქვს და მხოლოდ **ᲣᲠᲔᲔᲥ** და **ᲣᲠᲘᲚɩ-ილაა** დარჩენილი.

7. აკუშური **შვიდის** მე-XVIII ს. ორი სახელი მოგვეპოვება: **ᲥᲔᲠᲐᲚ**, ანუ **ᲕᲔᲠᲐᲚ** და **ᲔᲠᲣᲪᲐᲚ**, თანამედროვე ჰკრჳილღრს-კი **ჶერჰიალ-ი** აქვს. **შვიდი ათის** აღმნიშვნელს 70-ის აკუშურს სახელს **ჶერცალე**-ში შვიდის გამომხატველი **ჶერ-ია**, ცალკეული სახელის ძირი-კი, **ლ** დაბოლოების ჩამოშორების შემდეგ, **ჶერჰია, ვერა**, ანუ **ქერა** და **ერუცა** არის, რომელთაგან უკანასკნელს თავკიდური **ჶ**-ც არა აქვს და **ცა**-ს ბუნებაც გამოსარკვევია.

8. თუმცა მე-XVIII ს. ჩანაწერში **რვის** აკუშური ორი სახელი, **ქერალ** და **მაიცალ-ი** მოგვეპოვება, **მაგრამ პირველი მათგანი,** როგორც დავრწმუნდით, **7-ის სახელია და აქ, ცხადია, შეცდომით არის მოქცეული. რვა ათის** აღმნიშვნელი 80-ის იმდროინდელივე აკუშური სახელი **გჲახცალე** ამტკიცებს, რომ **რვას** აკუშურაჲ **გჲახ-ის** მსგავსი სახელი უნდა ჰრქმეოდა. მართლაც, თანამედროვე ჰკრჳილღრაჲ 8-ს ეწოდება **გაჰიალ.**

თუ ამის შემდეგ **ცხრის** აკუშურს სახელებს გადავავლებთ თვალს, იქ პირველ ადგილას სწორედ **ᲒᲔᲰᲐᲚ-ი** შეგვხვდება. ცხადია, რომ გ ვ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ნაშრომში აქაც შეცდომაა შეპარული და **რვის სახელი გაუგებრობით ცხრის სახელებშია მოქცეული.**

მაშასადამე, **რვას** აკუშურაჲ XVIII ს. **ᲒᲲᲐᲮ, ᲒᲔᲰᲐᲚ** და **ᲛᲐᲘᲪᲐᲚ-ი** ჰრქმევია, რომელთაგან პირველი თანამედროვე ჰკრჳილღრშიც არის **ᲒᲐᲰᲘᲐᲚ-ის** სახით

დაცული. ლ დაბოლოების ჩამოცლილი **რვის** აღმნიშვნელი **ძირი**, **ბჲახ**, **ბეჭა** და **გაჭია** იქმნება.

ამავე რიცხვის მეორე სახელი **მაიცალ** პირველისგან გარეგნულადაც სრულებით განირჩევა და, შვიდის სახელის **ერუცალ**-ის მსგავსად, მასაც მეორე ნაწილად **ცალ**-ი უჩანს, რომლის ბუნება ცალკეა გამოსარკვევი. იმისდა მიუხედავად, რომ 8-ის, **მაიცალ**-ის პირველი ნაწილი **მაი** 8-ის ზემომოყვანილი პირველი სახელის ძირის **ბჲახა**-სა და **გაჭია**-საგან ასე თვალსაჩინოდ განსხვავდება, მაინც XVIII ს. ჩანაწერში აქ არავითარი შეცდომა არ არის: ამას უკვე განხილული ღუმუქური **რვის** ასეთივე სახელი **მაიჵა** და მისი თანამედროვე შესატყვისობანიც ამჟღავნებენ და, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, არა-ერთი სხვა ლეგური ენის სახელიც ადასტურებს.

9. **ცხრის** ღუმუქურ მე-XVIII ს. სახელად მხოლოდ **ურბჭანალ**-ღა შეგვრჩა, რათგან **გეჭალ**, როგორც დავრწმუნდით, 8-სა ნიშნავს. **ცხრა ათის** აღმნიშვნელის 90-ის იმდროინდელისავე ღუმუქურს სახელს **ურჭემცალე**-ში-კი **ცხრას** **ურჭემ**-ი ეწოდება. საგულისხმოა, რომ თანამედროვე ჰკრკილურსაც **ცხრის** სახელად აქვს **ურჭიმალ**.

ლ დაბოლოების ჩამოცლის შემდგომ, **ცხრის ძირად** **ურბჭანა**, **ურჭემა** და **ურჭიმა** გვექმნება. ამ სამ ფორმათაგანს პირველს დანარჩენებისაგან უმთავრესად ჭ-ს შემდგომ მყოფი ა ასხვავებს. მე-XVIII ს. ღუმუქური 9-ის სახელი **ურუჭუა**, მეტადრე-კი მე-3 სქეს-კატეგორიის თანამედროვე ფორმა **ურჭვა**, **ურჭრა** და **ურჭბა** გვაფიქრებინებს, რომ მე-XVIII ს. **ურბჭანა**-ც ბ-ს ადგილმონაცვლებით არის უფრო ადრინდელ **ურჭბანა**-საგან წარმომდგარი და რომ **ბა** აქაც ისევე მესამე სქეს-კატეგორიის ნიშანია, როგორადაც **ურჭბა**-ში იგულისხმება. მაგრამ ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა **ცხრის** სახელის აღნაგობის გაუთვალისწინებლივ შეუძლებელია, რაზედაც შემდეგში, თავის ადგილას, გვექმნება საუბარი. ამიტომ ამაზე აქ მსჯელობა მიზან-შეწონილი არ იქმნებოდა.

10. ღუმუქური **ათის** მე-XVIII ს. სახელის ჩანაწერშიც პირველ სახელად შეცდომით **ურბჭანალ**-ია მოყვანილი, რომელიც, როგორც ვიცით, 9-სა ნიშნავს, ხოლო მეორე სახელად **ჲაცალ**. **თერთმეტის** სახელს **ჰეცნუცა**[illegible]**ა**-სა და **თორმეტის** **ჰეცნუკჲურა**-ში **ათის სახელად** უკვე **ჰეც**-ი ჩანს.

თანამედროვე ჰკრკილურს **ათის** ცალკეულ სახელად აქვს **ჰიწალ**, **მეორე-ათეულის** სახელებში-კი არის **ჰიწ**, რომელსაც **ალ** მარცვალი აქვს ჩამოცილებული.

ზემომოყვანილითგან ჩანს, რომ ღუმუქურის **მეორე ათეულის ათისა** და ჰკრკილური **ათის** სახელები თითქმის ერთი-და-იგივეა: **ჰეც** და **ჰიწ**, ანდა **ვიწ**. სამაგიეროდ ღუმუქური ცალკეული **ათის** სახელი **ჲაცალ** მეორე ათეულის ღუმუქურისა და ჰკრკილური **ათის** სახელებისაგან განსხვავდება, რათგან **ალ** მარცვლის ჩამოშორების შემდგომაც მაინც **ჲაც** გვრჩება. **ჰეც**, **ჰიწ**-ს და **ჲაც**-ს თავკიდური **ჰ** და **ჲ** ბგერები ასხვავებენ.

რაკი **ჰ** თანხმოვანი ჰკრკილურში **მამრობითი სქესის ნიშანი** და თავსართბოლოსართია, ამიტომ საფიქრებელია, რომ **ამ შემთხვევაშიც** მას მე-XVIII ს.-შიც **ასეთივე დანიშნულება ექმნებოდა** და იმ დროსაც, როცა ჰკრკილურს სქეს-კა-

ტეგორიები რიცხვით სახელებშიც ჰქონდა. **ჳ სქეს-კატეგორიის ნიშნად თანამედროვე** ჰურკილურში **არ გვხვდება, არამედ დ და რ არის, მაგრამ სამაგიეროდ არაერთს ლეგურს ენას მოეპოვება. ეს მაგალითი ამჟღავნებს, რომ წინათ ჳ თავსართი** აკუშურს და ჰურკილურსაც **ჰქონია, საფიქრებელია, იმავე მდედრობითი სქესის ნიშნად.**

ამნაირად გამოირკვა, რომ გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს **ჩანაწერში ᲐᲗᲘᲡ ორი, მამრობითი და მდედრობითი, სქეს-კატეგორიის მე-XVIII ს.** აკუშური **ფორმა გვქონია დაცულ-ალბეჭდილი. საყურადღებო გარემოებაა, რომ ორივე სქეს-კატეგორიის ნიშანი ᲗᲐᲕᲡᲐᲠᲗᲐᲓ ყოფილა ნახმარი.**

მეორე **ათეულის** რიცხვითი სახელები **ათისა და ერთეულის სახელისაგან არის** შედგენილი ისე-კი, **რომ ამ ორ ნაწილს ნუ მარცვალი აერთებს,** რომელიც **ᲓᲐ კავშირის მაგიერი** გამოდის. **მესამე და ყველა დანარჩენი ათეულების სახელები ერთეულისა და ათის სახელისაგან** შეცგება: ორივე ნაწილი **ერთი მეორის გვერდით უკავშიროდ არის მოთავსებული,** მაგრამ **ერთეულის სახელები** ყოველთვის **უსქეს-კატეგორიო-ბოლოსართოდ** არის გამოყენებული.

როგორც ცალკეული რიცხვის სახელების ზემოთმოყვანილი ანალიზებითგან **ჩანს,** აკუშურიცა და ჰურკილური **რიცხვითი სახელებიც მთლიანად ათეულობითი აღრიცხვის სისტემაზეა დამყარებული,** რაც უ ს ლ ა რ ს ა ც უკვე ჰქონდა აღნიშნული (ჰურკ. გ. 63).

100-ს აკუშურადაც **ᲓᲐᲠᲨᲐᲚ** ჰრქმევია და ჰურკილურადაც ასევე ეწოდება. საფიქრებელია, რომ თავკიდური დ ძირეული არ არის ისევე, როგორც, რასაკვირველია, ბოლოკიდური ალ მარცვალიც.

1000-ს აკუშურადაც **ᲐᲖᲐᲠᲪᲐᲚ** და **აზვრ**-ი სწოდებია, რომელთაგან მეორე თანამედროვე ჰურკილურსაც ამავე რიცხვის სახელად აქვს. **ᲐᲖᲐᲠᲪᲐᲚ** სპარსული **ჰაზარ**-ისა და აკუშური **ᲪᲐᲚ**-ისაგან შედგება, **რომელიც** 7-ის სახელს **ᲔᲠᲣᲪᲐᲚ**-სა და 8-ის **ᲛᲐᲘᲪᲐᲚ**-შიც გვხვდება და, როგორც ეტყობა, **ერთის ᲪᲐᲠᲐ-ს სახესხვაობა უნდა იყოს. ყველა ამ შემთხვევებში** შ ვ ი დ ც ა ლ ს ა, რ ვ ა ც ა ლ ს და ა ს ც ა ლ ს **უნდა ნიშნავდეს.**

1000-ის მეორე სახელი **აზვრ**, ცხადია, პირველის ფონეტიკური სახესხვაობაა.

ამგვარად აკუშური და ჰურკილური რიცხვითი სახელების ანალიზმა არაერთი საყურადღებო გარემოება გამოამჟღავნა.

§ 3. წახურული რიცხვითი სახელები

წახბურს[1] **ანუ წახურულს** ენას (**წახბიშდა მიზ**-ს), როგორც ვიცით, **ოთხი სქეს-კატეგორია** აქვს შემდეგი ნიშნებითურთ: 1. მამრ. სქესის გონიერ არსებათათვის **რ**, 2. მდედრობითი სქესისათვის **რ**, 3. ცხოველებისა და საგნებისათვის **ბ**, ანდა **ჟ** და 4. ყველა დანარჩენი სახელებისათვის **დ**. **მაგრამ** **რიც-**

[1]. რუსულსა და გერმანულ მწერლობაში დ ი რ რ მ ა ამ ენის სახელად **Цахурский яз.** **Das Tsakhurische** შემოიღო, მაგრამ, რაკი თვით ტომი თავის თავს **წახბგ**-ს უწოდებს, ამიტომ ქართულადაც უნდა **წახბელი** და **წახბური** ენა ვუწოდოთ.

ხვით სახელებში, ისევე როგორც არსებითად მეტყველების სხვა ნაწილებშიც, მხოლოდ სამ-სამი ფორმა გააჩნია, რათგან თანამედროვე წახბურს მამრობითი-საცა და მდედრობითი სქესისათვისაც ერთიდაიგივე რ ბგერა აქვს ნიშნად.

ქვემომოყვანილი წახბური რიცხვითი სახელების, აკუშურ-ჭკრკილური რიცხვითი სახელების შემდგომ, გულდასმითი გადაკითხვა მათს ცხადს ნათესაობას აგრძნობინებს. აი წახბური რიცხვითი სახელების თვით სიაც:

წახბური ანუ წახურული რიცხვითი სახელები.

1 სა
2 ყჷჲირა̈ (1 და 2 სქესკ.), ყჷბლა̈ (3 სქესკ.), ყჷდლა̈ (მე-4).
3 ჴıებიჲრა̈, ჴıებლა̈ (მე-3), ჴıებილლა̈ (4).
4 ჲჷყეჲრა̈, ჲოყუბლა̈ (3), ჲოყგლლა̈ (4).
5 ხıოჲრა̈, ხıობლა̈ (3), ხıოლლა̈ (4).
6 ჲიჴıირა̈, ჲიჴıიბლა̈ (3), ჲიჴıილლა̈ (4).
7 ჲილირა̈, ჲილიბლა̈, ჲილილლა̈.
8 მჷლირა̈, მჷლიბლა̈, მოლილლა̈.
9 ჲუქირა̈, ჲუქიბლა̈, ჲუქილლა̈.
10 ჲიწირა̈, ჲიწიბლა̈, ჲიწილლა̈.
11 ჲიწგსარ, ჲიწგსაბ, ჲიწგსად.
12 ჲიწგყა̈ჲრა̈, ჲიწგყაბ, ჲიწგყად
13 ჲიწგჴıებარ, —ბ, —დ.
14 ჲიწგჲოყარ, —ბ, —დ.
15 ჲიწგხıოარ, —ბ, —დ.
16 ჲიწგჲიჴıარ, —ბ, —დ.
17 ჲიწგჲილარ, —ბ, —დ.
18 ჲიწგმოლარ, —ბ, —დ.
19 ჲიწგჲუქა̈რ, —ბ, —დ.
20 ყაჲრა̈, ყაბლა̈, ყალლა̈.
30 ჴıებწალ.
40 ჲჷყწალ.
50 ხıოწალ.
60 ჲიჴıწალ.
70 ჲილწალ.
80 მოლიწალ.
90 ჲვქელ, ჲვქა̈ლ.
100 ჶაში.
1000 ა̈ზჷრ.
(წახ. ე., 51).

წახბურს ყველა რიცხვითი სახელების, ერთის სახელის გარდა, 1. და 2. სქეს-კატეგორიის ფორმებს ბოლოში რა̈ მარცვალი აქვს, მე-3 და 4-ე სქეს-კატეგორიისას-კი ლა̈. თუმცა ამ მარცვლების ყველა რიცხვითი სახელებისათვის

გამოყენება მას ამჟამად უბრალო დაბოლოებად ჰხდის, მაგრამ მათი ოდინდელი დანიშნულების გაგებას ႤႰႧႨႱ სახელის ფორმები გვშველიან.

1. ერთის სახელს, თანამედროვე წახურში სქეს-კატეგორიების ნიშნები არა აქვს, არამედ ყველა სქეს-კატეგორიებისათვის მხოლოდ ხა არსებობს. მაგრამ ეს რომ შედარებით ახალი მოვლენა უნდა იყოს და წინათ მახაც სქეს-კატეგორიების ბოლოსართები ჰქონია, ამას სრულებით უცილობლად ამავე რიცხვითი სახელის 11-ის სახელში დაცული ფორმები ცხადჰყოფენ. თერთმეტს ეხლა‿კ ძიწგსარ, ძიწგსაბ და ძიწგსად ეწოდება. აქეთგან ძიწგ ათის სახელია, ხოლო სარ, საბ და სად ႤႰႧႨႱ აღმნიშვნელია. რაკი ბ მე-3 სქეს-კატეგორიისა და დ მე-4 სქეს-კატეგორიის ნიშნებია, უეჭველია, რომ რ 1. და 2-ე სქეს-კატეგორიის ნიშანი უნდა იყოს. თანამედროვე წახურსაც ხომ ამ სქეს-კატეგორიებისათვის სწორედ ეს რ ბგერავე აქვს.

მაშასადამე, გამოირკვა, რომ წინათ სქეს-კატეგორიებისათვის ნიშნები ႤႰႧႨႱ სახელსაც ჰქონია და მხოლოდ შემდეგში დაჰკარგვია.

ეს გარემოება უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ რ, ბ და დ ბგერების დანიშნულების გრძნობა წახურში უკვე საკმაოდ მოჩლუნგებული ყოფილა.

ამის შემდგომ წახური რიცხვითი სახელების ბოლოკიდური რჼ და ლჼ-ს ბუნების გამორკვევა უკვე ადვილია.

რაკი სარჼ-ს, ერთის, რჼ მარცვალი მამრ. და მდედრ. სქეს-კატეგორიების ნიშანია, თავისდა-თავად ირკვევა, რომ ერთეულების ყველა სახელშიც რჼ-ს იგივე დანიშნულება უნდა ჰქონდეს, მაგრამ ერთეულების მე-3 და 4-ე სქეს-კატეგორიების ფორმებსაც ხომ ბოლოში ყველას ლჼ მარცვალი აქვს, რომელიც წახურში ამ სქეს-კატეგორიებისათვის განკუთვნილს ბ (მე-3) და დ (მე-4) ბგერებს არ უდგება. ამიტომ საფიქრებელია, რომ ლჼ 1. და 2. სქეს-კატეგორიების რჼ ფონეტიკური სახესხვაობაა. ამნაირად რჼ და ლჼ-ს ოდინდელი დანიშნულება დავიწყებულია და უბრალო დაბოლოებად არის ქცეული. ეს გარემოება ცხადჰყოფს წახურში რიცხვითი სახელების სქეს·კატეგორიების გაქრობისადმი მიდრეკილებას, რომელსაც ცალკეული ႤႰႧႨႱ ფორმები უკვე უმსხვერპლია და რომელიც სხვაგანაც უკვე საკმაოდ ძლიერად არის შეჭრილი. ამ რჼ და ლჼ დაბოლოებას რომ წინმყოფი ბგერების დაცვისათვის ხელი არ შეეწყო, წახურს რიცხვითს სახელებსაც, არაერთ სხვა ლეგურ ენათა მსგავსად, სქეს-კატეგორიების ალარავითარი განრჩევა არ ექმნებოდა.

ზემონათქვამის შემდგომ ცხადია, რომ, წახური რიცხვითი სახელების ჯერ ფუძისა და შემდეგ ძირების გამოსარკვევად, წინასწარ უნდა რჼ და ლჼ მარცვლები ჩამოსცილდეს.

ერთის წინანდელი სქეს-კატეგორიებიანად დაცული სარ(ჼ), საბ(ა) და სად(ა) ფორმებიც გვაქვს და ბოლო-მოკვეცილი, უფორმანტო ძირი სა-ც, რომლის თანხმოვანი სხვა ლეგური ენების ერთის ც-ს შენაცვლებას წარმოადგენს. შემდეგში დავრწმუნდებით, რომ სარ(ჼ) პირველი და მეორე სქეს-კატეგორიების თავდაპირველ ფორმად არც შეიძლება ყოფილიყო და არც არის.

2. წახური ორის სახელს რომ ჩვეულებრივი დაბოლოება ჩამოვაშოროთ. 1. და 2. სქეს-კატეგ. ყჼძ, მე-3 სქეს-კ. ყჼბ და მე-4 სქეს-კ. ყჼდ დაგვრჩება.

რაკი ბ მე-3 სქეს-კატეგორიისა და დ მე-4-ს ნიშანია, ამიტომ **ორის ზოგადად აღმნიშვნელი ყჾ ყოფილა**, ხოლო, რაკი 1. და 2. **სქეს-კ. ყჾდ-ს პირველი ორი ბგერაც ძირია, დ სქეს-კატეგორიის ნიშანი უნდა იყოს.**

მაგრამ თანამედროვე წახურს პირველი და მეორე სქეს-კ. **ნიშნად რ აქვს**, თანაც არც ერთს **ლეგურ ენას მამრ. სქესისათვის ნიშნად ჲ არ მოეპოვება.** ამიტომ ცხადია, რომ **თავდაპირველად წახურსაც ჲ ორივე სქესის ნიშნად ვერ ექმნებოდა, არამედ შესაძლებელია მხოლოდ მდედრ. სქესის ნიშანი ყოფილიყო** და უეჭველია შემდეგში, **როდესაც სქეს-კატეგორიების შეგნება წახურში უკვე შერყეულა და მამრ. სქესის ნიშანი გამქრალა**, მარტო **ამ დროითგან** მოყოლებული **უნდა იყოს ჲ მამრ. სქესის ნიშნადაც ქცეული. მამრ. სქესის ნიშნის გაქრობა და ჲ-ს ამისთვისაც გამოყენება 20-მდე ყველა რიცხვითს ნიშნებს ეტყობა, ამიტომ ეს პროცესი ზოგადი ყოფილა.**

ორის სახელი, რა თქმა უნდა, **წახური ოცის** სახელშიც უნდა იყოს აღბეჭდილი მით უმეტეს, რომ **წახური ალთვალვა ათობითია და 20-იც** ႭႰ ႠႧႱ **უნდა ნიშნავდეს**. 20-ს-კი წახურად ეხლა **ყადრა̈, ყაბლა და ყალლა̈** ეწოდება. ხოლო, როგორც დავრწმუნდით, 10-ის აღმნიშვნელი არის **დიწგ**, რომლის არავითარი კვალიც-კი 20-ის სახელში აღარა ჩანს. ცხადია, რომ **წახურშიც 20-ის სახელს თავისი ოდინდელი შედგენილობის მხოლოდ პირველი, ორის აღმნიშვნელი, ნაწილი-ღა ჰქონია შერჩენილი.** ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ **ႭႰႱ წახურად ოდესღაც ႸႠ-ც ჰრქმევია**, რათგან **დ**, **ბ** და **ლ**, რომელიც რეგრესიული ასიმილაციის გზით არის რ(დ)-ს მაგიერ გაჩენილი, უეჭველია აქაც სქეს-კატეგორიების ნიშნებია. ამ დასკვნის სრულს შეუმცდარობას 12-ის წახური სახელი **დიწგყადრა̈, დიწგყაბ, დიწგყად** ამტკიცებს, რომელშიც ႭႰႨ **ამავე ყა-დ, ყა-ბ და ყა-დ-ის სახით არის დაცული.**

3. **სამს წახურად ჴჷებიდრა̈, ჴჷ̄ბლა̈** და **ჴჷებილლა̈** ეწოდება. დაბოლოება-მოკვეცილი **ჴჷებიდ, ჴჷ̄ბ** და **ჴჷებილ** იქმნება, რომელთაგან პირველის **დ** და მესამის **ლ**, რომელიც ასიმილაციის წყალობით **დ**-ს მაგიერია, როგორც უკვე ვიცით, სქეს-კატეგორიის ნიშნებია. ამ ნიშნებისაც ჩამოცლის შემდგომ, ႱႠႫႨႱ **ძირად ჴჷები გვრჩება.** მაგრამ მესამე სქეს-კატეგორიის ფორმად, დაბოლოების ჩამოშორების შემდგომ, რჩება მხოლოდ **ჴჷ̄ბ**, რომელსაც ბოლოში **ბ** აქვს. ეს ბგერა მართლაც მე-3 სქეს-კატეგორიის ნიშანია და ამიტომ მისი ასეთ ფორმანტად მიჩნევა ბუნებრივი იყო. მხოლოდ მაშინ **სამის** ძირად **ჴჷ̄ბი**-კი არა, არამედ **ჴჷე** უნდა გვეცნა. მაგრამ **სამი ათის აღმნიშვნელის** 30-ის სახელს **ჴჷეზწალ**-შიც **სამი ჴჷებ**-ად გვევლინება. უნდა ითქვას, რომ **ჴჷ̄ბი** და **ჴჷებ** ერთმანეთისაგან იმდენად მცირეოდნად განსხვავდებიან, რომ, თუ მეორის ბ-ს ფორმანტად ჩავთვლით. მაშინ არავითარი საფუძველი არ გვექმნებოდა პირველის **ბი** მარცვალიც ამავე თვისებისად არ მიგვეჩნია, მაგრამ მაშინ უნდა დაგვესკვნა, რომ ოდესღაც წახური **სამის** ძირად ცნობილი კომპლექსი ნამდვილად ამ რიცხვითი სახელის მე-3 სქეს-კატეგორიის ფორმა ყოფილა, რომელიც ძველადვე **სამის** იმდენად ზოგად სახელად ქცეულა, რომ შემდეგში მის ძირადაც-კი მოსჩვენებიათ. როგორც ადამიანი დარწმუნდება, ეს საკითხი ძნელი გადასაწყვეტია და

მისი საბოლოო გამორკვევა მხოლოდ ყველა ლეგური მასალების შედარებითი ანალიზის საშუალებით შეიძლება.

4. წახბური **ოთხის** 1. და 2. სქეს-კატ. ფორმა იქმნება **ჲოყეჲ**, მე-3 **ჲოყუბ** და მე-4 **ჲოყგდ**. **ძირად-კი ᲲᲝᲧᲔ, ᲲᲝᲧᲣ** და **ᲲᲝᲧᲒ**. რა თქმა უნდა, **ძირის ამ სამ ფორმათაგან უპირატესობა ᲲᲝᲧᲣ-ს უნდა მიეკუთვნოს**, დანარჩენნი-კი მხოლოდ სახესხვაობაა. საგულისხმოა, რომ **ოთხი ათის** აღმნიშვნელს 40-ის სახელს **ჲოყწალ-ში ოთხის** გამომხატველი მხოლოდ **ჲოყ-ია**.

5. წახბური **ხუთის** 1. და 2. სქეს-კატ. სახელია **ხჳოჲ**, მე-3-ს **ხჳობ** და მე-4 **ხჳოდ**, რომელთა, სქეს-კატეგორიის ნიშნების ჩამოშორების შემდგომ, **ძირად ხჳო გვრჩება** და სწორედ ასევეა ამ რიცხვის ძირი **ხუთი ათის** აღმნიშვნელს 50-ის სახელს **ხჳოწალ-შიც**.

6. **ექვსის** 1. და 2. სქეს-კატ. სახელი **ჲი́ჰჳი**, მე-3-ს **ჲიჰჳიბ** და მე-4-ს **ჲიჰჳიდ** არის, რაც ამ რიცხვის **ძირად ჲიჰჳი-ს გვაგულისხმებინებს**.

7. **შვიდის** წახბური 1. და 2. სქეს-კატ. ფორმის **ჲილი**-სა, მე-3-ს **ჲილიბ**-ისა და მე-4-ის **ჲილიდ**-ის **ძირი ჲი́ლი არის**.

8. წახბური **რვის** სახელები **მო́ლი** (1. და 2. სქეს-კ.), **მოლიბ** (მე-3 სქეს-კატ.) და **მოლიდ** (მე-4) **რვის ძირად მოლი-ს გვაგულისხმებინებენ**.

9. **ცხრის** სამივე ფორმა **ჲუ́ჰი, ჲუ́ჰიბ** და **ჲუ́ჰიდ** უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ **ცხრის** აღმნიშვნელი **ძირი ჲუ́ჰი არის**.

10. **ათს ჲიწი** (1 და 2 სქეს-კატ.), **ჲიწიბ** (3) და **ჲიწიდ** ჰრქმევია, რომელთა უფორმანტო **ძირად ჲიწი** გვევლინება.

მეორე ათეულის სახელებში იგივე რიცხვი **ჲიწვ-დ**, ხოლო **30-ითგან მოყოლებული ასამდის ათის** სახელად ყველგან არის **წალ, რომლის ლ**, **ანდა ალ** მარცვალი **ძირეული არ არის**. ამნაირად ყველა ამ შემთხვევაში **ათის** გამომხატველი მხოლოდ **წ**-ღაა. საფიქრებელია, რომ **ჲიწი**-ს, ანდა **ჲიწ**-ის თავკიდური **ჲ-ც ამ რიცხვის სახელის ძირეული ნაწილი არ უნდა იყოს, არამედ სქეს-კატეგორიის შეზრდილი თავსართი**.

რაკი წახბური რიცხვითი სახელების ათობითს სისტემაზე უკვე გვქონდა საუბარი, ამიტომ აქ მხოლოდ 100-სა და 1000-ზე-ღა გვაქვს ორიოდე სიტყვა სათქმელი. წახბური 100-ის, **ჟაში**-ის, თავკიდურს **ჟ**-ზე იგივე უნდა ითქვას, რაც აკუშურ-ჰკრჳილური 100-ის **დურშალ**-ის თავკიდურს **დ**-ზე გვქონდა თავის ადგილას ნათქვამი: **ჟ აქ ძირეული არ უნდა იყოს, არამედ მამრ. სქესის თავსართოვან ნიშნად არის საგულისხმებელი**. თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ აქ წახბურში **სქეს-კატეგორიის თავსართოვანი ნიშნების არსებობის მეორე გამომჟღავნებელი გარემოებაც** და **მამრ. სქესის აწ უკვე დაკარგულ ნიშნად ჟ-ს ყოფნის დამადასტურებელი ფაქტიც გვექმნება**. ამისდა მიხედვით **სქეს-კატეგორიის ბოლოსართოვანი ნიშნები წახბურში მეორადი მოვლენა ჩანს**, რომელთა მერმინდელი თანდათანი გაქრობის მაუწყებელი მაგალითი უკვე არაერთი გვქონდა აღნიშნული. აქ დავუმატებთ მხოლოდ, რომ ამავე თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ ექვსითგან მოყოლებული ათამდის ყველა რიცხვითს სახელს 1. და 2. სქეს-კატეგორიის ბოლოსართის უკანასკნელი ნიშანი **ჲ-ც-კი** დაკარგული აქვთ.

§ 3. თაბასარანული რიცხვითი სახელები

თაბასარანულს, როგორც დავრწმუნდით, გრამ. სქესი აღარა აქვს, არამედ მხოლოდ გრამ. კატეგორიები მოეპოვება და ყველაფერს ორ, გონიერ და არა-გონიერ, კატეგორიად ჰყოფს. პირველისათვის ნიშნად რ ბოლოსართსა ხმა-რობს, მეორისათვის-კი ბჷ-ს, მხოლოდ ზმნაში უჩანს კიდევ დ და ლ ნიშანიც. აი თაბასარანული თანამედროვე რიცხვითი სახელების მწკრივი:

თაბასარანული რიცხვითი სახელები

1 სარ, საბჷ.
2 ყო̈რ, ყობჷ.
3 შ°იიბბურრ, შ°იიბბურბჷ.
4 ჲაყურ, ჲაყუბჷ, ჲაბჷყურ, ჲარყურ.
5 ჰიურ, ჰიუბჷ.
6 ჲირჰიურ, ჲირჰიუბჷ
7 ურლურ, ურლუბჷ, ვურლურ
8 მირჟურ, მირჟუბჷ
9 ვურჰურ, ვურუ̂ჰურ, ვურუჰ̇უბჷ
10 ჲიწურ, ჲიწუბჷ
11 (ჲ)იწისარ, ჲიწისაბჷ
12 (ჲ)იწიყო̈რ, ჲიწიყობჷ
13 ჲიწიშ°იიბბურ, ჲ-ბჷ
20 კხარ, კხაბჷ
21 კხაჲსარ, კ-ბჷ
30 სიმჩ̆ჰურ
31 სიმიჰუნნასარ,—ბჷ.
40 ჲალეჰურ, — ბჷ.
50 ჰიუწურ, — ბჷ.
60 ჲირჰიიწურ, — ბჷ.
61 ჲირჰიიწუნნასარ, — ბჷ.
70 ვურლუწურ, — ბჷ.
80 მირჟიწურ, — ბჷ.
90 ვურუ̂ჰურწურ, — ბჷ.
100 ვარჟ.
200 ყო̈რ ვარჟ.
1000 აზურ, ლაზურ.

(Дирр. Грам. табасаранского яз., 42—43).

თუმცა თითოეული თაბასარანული რიცხვითი სახელი ჩვეულებრივ 2 კა-ტეგორიის მქონებელია, მაგრამ შვიდსა და ცხრას სამი, ხოლო ოთხს ოთხი ფორმაც-კი აბადია. სქეს-კატეგორიის ნიშნები რიცხვითს სახელებს ჩვეულებ-რივ ბოლოში ერთვის.

თაბასარანულად **გონიერი** **ერთის** აღსანიშნავად ხმარობენ **სარ**-ს, **ხოლო არა-გონიერისათვის საბჷ**-ს, რომელთა **რ** და **ბჷ** - ბოლოსართოვანი ნიშნების ჩამოცლის შემდგომ **ერთის ძირად დაგვრჩება სა.**

საფიქრებელია, რომ **ბოლოკიდური** **ბჷ**, რომელიც ამჟამად მხოლოდ არა-გონიერთა კატეგორიის ნიშანია, **წინათ მესამე სქეს-კატეგორიის ნიშანი უნდა ყოფილიყო.**

სარ-ის ბოლოსართი რ შეუძლებელია თავდაპირველად, ან გონიერ არსებათა, ანდა მით უმეტეს მამრ. სქესის ნიშანი ყოფილიყო, არამედ მე-4 სქეს-კატეგორიის ნიშანი იქმნებოდა.

ყველა ზემოაღნიშნული გარემოება, როგორც დავრწმუნდებით, შესაძლებელია სხვა რიცხვითი სახელების ანალიზითაც დამტკიცდეს.

2. **ორს** ეხლა **ყჳრ** (გონ.) და **ყჳბჷ** (არაგონ.) ეწოდება, რომელთა ძირად **ყჳ** არის.

მაგრამ **ორის** აღმნიშვნელს **ყჳ** ძირს გარდა, **ოცის** სახელს **კხარ** (გონ.) და **კხაბ**-ში (არაგონ.) ამ რიცხვითი სახელის ძირის **კხა** სახესხვაობაც გვაქვს დაცული, რომელიც 21—29-მდე არსებულ სახელებშიც გვხვდება.

3. **სამის** თანამედროვე სახელი **შჷიბბურრ** (გონ.) და **შჷიბბურბჷ** (არაგონ.) **ამ რიცხვის** თაბასარანულ **ძირად შჷიბბუ**-ს გვაგულისხმებინებს.

იმისდა მიუხედავად, რომ **სამის** ძირად ეხლა **შჷიბბუ** გამოდის, მაინც საეჭვოა, რომ **ბუ** ძირეული იყოს: **ძირეულად შჷი-ა მისაჩნევი.**

მაგრამ საგულისხმოა, რომ თუ 3-ი ეხლა **შჷიბბურ**-ად ითქმის და ძირეულად **შჷი** ჩანს, ოდესღაც **სიმ**-იც ყოფილა, ამას 30-ის სახელი **სიმჩ̆ჷურ**-ი ცხადჰყოფს, რათგან მისი მეორე ნაწილი **იჷურ=ჲიწურ**-ს და **ათსა** ნიშნავს, პირველი, **სიმ**-ი-კი უნდა **სამს** ნიშნავდეს.

4. **ოთხი** ეხლა **ჲაყურ**-ად ითქმის, რომლის გარდა კიდევ სამი განსაკუთრებული ფორმა არსებობს: **ჲაყუბჷ, ჲაბჷყურ** და **ჲარყურ**. თუ ორს უკანასკნელს **რ** სქეს-კატეგორიის ნიშანი ჩამოვაცალეთ, დარჩება **ჲარყუ** და **ჲაბჷყუ.** სამწუხაროდ დ ი რ რ ს 14-ის თაბასარანული სახელი აღნიშნული არა აქვს, რომ იქ დაცული **ოთხის** სახელიც გამოგვეყენებინა. მაგრამ **ორმოცის ჲალეჷურ**-ის ეხლანდელი ფორმაც საკმარისია დასასკვნელად, რომ თაბასარანულად წინათ **ოთხს** სახელად ყ-ს უკვე ლ-დ შენაცვლებული **ჲალ**-იც ჰქონია. **ჲალეჷურ**-ის მეორე ნაწილი **ეჷურ**, ცხადია, **ათსა** ნიშნავს და **ჲიწურ**-ს უდრის. 30-ს ანალიზის დროს ჩვენ უკვე დავრწმუნდით, რომ **ჲიწურ ათი** იქაც [ი]ჷურ-ის სახით არის უკვე წარმოდგენილი.

საკმარისია ადამიანმა თაბასარანული **ოთხის ორისავე ძირის ჲარყუ**-სა და **ჲაბჷყუ-ს შუა თანხმოვნების რ-სა და ბჷ-ს სხვაობას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, რომ ამ ძირის მთლიანობა საეჭვო შეიქმნეს.** მაგრამ, როგორც რ-სა და **ბჷ**-ს სხვაობის მიზეზისა, ისევე ძირის მთლიანობის ფრიად მნიშვნელოვან

საკითხებზე აქ მსჯელობა მიზანშეწონილი არ იქმნებოდა და ამიტომ ქვემოთ, თავის ალაგას, სხვა მსგავს საკითხებთან ერთად, გექმნება განხილული.

5. **ხუთს** ცალკეულად **ჭიურ** და **ჭიუბ** ეწოდება. აქაც **რ** და **ბ** სქეს-კატეგორიის ნიშნებია და **ძირისეულად** მხოლოდ **ჭიუ** რჩება. სწორედ ამ. სახით არის იგი 5 **ათის** აღმნიშვნელს 50-ის სახელში **ჭიუწურ**-შიც დაცული. ამ რიცხვითი სახელის მეორე, **ათის** აღმნიშვნელი, **წურ** საყურადღებოა თავისი **დი**- თავკიდურის უქონლობით.

6. **ექვსი** ცალკეულად იქმნება **დირჭიურ** და **დირჭიუბი**, რომელთაგან სქეს-კატეგორიების ნიშნების ჩამოცლის შემდგომ, დაგვრჩება **დირჭიუ**. მაგრამ უკვე უ-ჩამოშორებული სახით არის **ექვსი** წარმოდგენილი **ექვსი ათის** აღმნიშვნელს **სამოცის** სახელს **დიჭიწურ**-ში.

7. **შვიდის** სამი ფორმა არსებობს: **ურღურ**, **ურღუბი** და **ვურღურ**, რომელთა **ძირად**, ბოლოკიდური **რ** და **ბი**-ს ჩამოცლის შემდგომ, **ურღუ** და **ვურღუ** **წარმოგვიდგება**. გამოსარკვევია მხოლოდ, თავკიდური **ვ** მეორე შემთხვევაში სქეს-კატეგორიის შეზრდილი თავსართია, თუ ძირისეული. თუ ის სქეს-კატეგორიის თავსართი აღმოჩნდებოდა, მაშინ **ვ**, რა თქმა უნდა, შესაძლებელია მხოლოდ მამრ. სქესის ნიშანი ყოფილიყო.

ამ საკითხის გამორკვევის დროს, უნდა გათვალისწინებული გვქონდეს, რომ **შვიდ-ათის** აღმნიშვნელის 70-**ის სახელში**, **ვურღუწურ-შიც**, **შვიდი სწორედ ვურღუ-ს სახით არის წარმოდგენილი**.

8. **რვას მირჟურ** და **მირჟუბი-ი** ეწოდება, რომელთა ძირად **მირჟუ** გვექმნება და თითქმის ასევე გვევლინება იგი **მირჟიწურ**-ს **ოთხმოცში**, რომელიც **რვა ათსა** ნიშნავს.

9. **ცხრის** სამი ფორმა **ვურჰურ**, **ვურჵჰურ**, **ვურუჰუბი** ამ რიცხვითი სახელის **ძირად ვურჵჰუ-ს გვაძლევს**. **ოთხმოცდაათში**, **ვურჵჰუწურ**-შიც, ძირეულად **ვურჵჰუ** გამოდის. ად. დ ი რ რ ი ფიქრობდა, რომ **ცხრის** თაბასარანული სახელი **ვურუჰურ**-ისაგან შედგება და **უ**(**ურ**) **ერთოდ ათს** ნიშნავსო (თაბას. ე., 42 და Einführung, 273), ანუ, ქართულად რომ გამოვთქვათ, **ათი ერთ-ნაკლები**-ს გამომხატველია.

10. ცალკეულად თაბასარანულად **ათს დიწურ**-სა და **დიწუბი**-ს უწოდებენ. 11—19-მდე-კი **ათის** გამომხატველად **დიწ**-ია, ხოლო 30-ისა და 40-ის სახელებში **ჰურ**-ია და ყველა შემდგომ ათეულებში **წურ**-ი გვაქვს. ცხადია, რომ ბოლოკიდური **რ** და **ბი** კატეგორიების ჩვეულებრივი ნიშნებია. მათ ჩამოცლის შემდგომ, **გვრჩება დიწუ**, **დიწ**, **წუ** და **ჰუ**. ორი უკანასკნელი ერთმანერთის სახესხვაობას წარმოადგენენ. **დიწ**-ს, პირველ **დიწუ** ფორმასთან შედარებით, ბოლოში მხოლოდ **უ** არა აქვს. მაგრამ მაინც მთავარი საკითხია: **ძირეულია, თუ არა, თავკიდური დ, რომელიც ორსავე ზემომოყვანილს პირველ ფორმებს აქვს? თუ გავიხსენებთ, რომ დ ყველა ღილღურსა და ლეგურს ენაში მდედრ. სქესის ფორმანტია**, მაშინ უმალ აზრი გაგვიელვებს, რომ **შესაძლებელია მას თავდაპირველად აქაც ასეთი მნიშვნელობა ჰქონოდა**.

თაბასარანული რიცხვითი სახელები, როგორც უკვე ღირსს ჰქონდა აღნიშნული (თაბ. ე. 42), თვლის ათობითი სისტემის მიხედვით არის ნაწარმოები. მაგ. 30 **სიმჲურ სამ ათს** ნიშნავს, 40 **ჲალეჲურ — ოთხ ათს**, 50 **ჲიუწურ — ხუთ ათსა** და დანარჩენი ყველა ათეულებიც ამგვარადვეა ნაწარმოები. ამ მხრივ და წარმოების მიხედვით ერთად-ერთ გამონაკლისს 20-ის სახელი **კხარ** და **კხაბჲ** შეადგენს.

რაკი თაბასარანული თვლის სისტემა ათობითია და, ოცს გარდა, ყველა რიცხვითი სახელები ამ სისტემით არის ნაწარმოები, ამიტომ სრულებით ბუნებრივია, რომ ოცი **კხარ** და **კხაბჲ**-იც ორი ათის აღმნიშვნელად ვიგულისხმოთ. მაგრამ მათ რომ სქეს-კატეგორიის ბოლოსართები მოვაშოროთ, დაგვრჩება **ქხა**. ცხადია, აქ ორნაწილედი სიტყვის ძებნა ამაო ცდა იქმნებოდა. თუ გავიხსენებთ, რომ თაბასარანულად 2-ს **ყჾრ** და **ყობჲ**-ი ეწოდება, შესაძლებელია ვიფიქროთ მხოლოდ, რომ **კხარ** და **კხაბჲ** მათი ა-ხმოვანა ფონეტიკური სახესხვაობაა. **ათის** აღმნიშვნელი მეორე ნაწილი-კი დროთა განმავლობაში უნდა იყოს დაკარგული. საფიქრებელია, რომ ორის ზემოაღნიშნული სახესხვაობის გაჩენას სიტყვის მეორე, ათის აღმნიშვნელი, ნაწილის ჩამოცილებამ შეუწყო ხელი, რომ 2-სა და 20-ის გარჩევა შესაძლებელი გამხდარიყო.

100-ს ეწოდება **ვარჟ**, რომელიც თავისი **პირველი ორი და უკანასკნელი ბგერებით** ჭასბჾრი **100-ის ჟაშჲ-ს კარგად უდგება, შუა თანხმოვანი რ-თი-კი** აჸჸპჸრ-ჰვრჲილჸრ 100-ს **დურშალ-ს გვაგონებს.** როგორც წახბურზე გვქონდა ნათქვამი, თაბასარანული 100-ის 3-ც **ძირეულად არ არის საგულისხმებელი.**

თაბასარანული რიცხვითი სახელების ანალიზმა, როგორც დავრწმუნდით, შემდეგი საყურადღებო ცნობა შეგვძინა: 1. **გამოირკვა, რომ თაბასარანულსაც, რომელსაც ეხლა გრამ. სქესი არ მოეპოვება, წინათ სქეს-კატეგორიები ჰქონია.**— 2. **რომ სქეს-კატეგორიების ეხლანდელი ბოლოსართების მაგიერ წინათ არსებული თავსართების ორიოდე შენაზრდიც გვქონია შერჩენილი.**

§ 4. რუთულური, ანუ მგხა̈დური ენის რიცხვითი სახელები

მგხა̈დური ენის („მგხა̈ნიდგ ჰა̈ლ“), ანუ **რუთულურის რიცხვითს სახელებს,** ერთის გარდა, **ყველა ერთეულებსა და მეორე ათეულის სახელებს** ოციანად **სამ-სამი ფორმა** აქვს, მაგრამ თვით **ენას 4 სქეს-კატეგორია აბადია.** როგორც უკვე ვიცით, 1 სქეს-კატეგორიას მამრ. სქესის გონიერ არსებათა სახელები მიეკუთვნება,— მე-2 სქეს-კატეგორიას მდედრ. სქ. გონიერ არსებათა, — მე-3 არაგონიერთა და ცხოველებისა და მე-4 ყველა დანარჩენი სახელები. **პირველსა და მეორე სქეს-კატეგორიას რ** ნიშანი აქვს, **მესამეს ბ**, ანდა **ჷ** და **მეოთხეს დ,** რომელიც ზოგჯერ ქრება ისევე, როგორც მამრ. სქესის ნიშანიც. **ყველა ნიშანი** მხოლოდ **ბოლოსართად** გვხვდება. ზემოაღნიშნულითგან ნათელი გახდებოდა, თუ რატომ აქვს რიცხვითს სახელებს ოთხი ფორმის მაგიერ მარტო სამ-სამი.

რუთულური რიცხვითი სახელები აქვე მომყავს.

რუთულური რიცხვითი სახელები

1 სა, სად
2 კკუ̂ედ, კკუ̂ერ, კკუ̂ებ,
3 ჰ̦ი́ბუდ, ჰ̦ი́ბურ, ჰ̦იბუ
4 ჲუ́ყუდ[1].
5 ხ̦უდ
6 რგ̌ხ̦გდ
7 ჲი́უ̂უდ.
8 მგ̌ჲედ.
9 უ́ქუდ.
10 ჲი́წუდ.
11 წგსა, წგსარ, წგსაბ.
12 წგკკუ̂ედ, წგკკუ̂ერ, წგკკუ̂ებ.
20 ყად, ყარ, ყაბ.
30 ჰ̦ი́ბწარ.
40 ჲოლწგრ,
50 ხ̦უდწურ.
60 რგხ̦წგრ.
70 ჲილწგრ.
80 მგჲწგრ.
90 უჩ̣წგრ.
100 ვეშ.
1000 ჰა́ლზგრ.
(რუთ. ე. 48).

1. **ერთის** სახელს ცალკეულად მხოლოდ ორი ფორმა აქვს: **სა** და **სად**, რომელთაგან მარტო მეორეს აქვს სქეს-კატეგორიის ბოლოსართი **დ**, მაგრამ სამაგიეროდ 11-ის სახელში **წესა, წესარ** და **წესაბ** ერთის კიდევ ორი ფორმა— **სარ** და **საბ** გვაქვს დაცული. **დ, რ** და **ბ** ბგერის ბუნებაზე სათქმელი აღარაფერია არც აქა და არც შემდეგში, რათგან მათი დანიშნულება ზემონათქვამის შემდგომ თავისდა-თავად ცხადია. **ერთის ძირად** მაშასადამე აქ **სა** გვაქვს.

2. **ორის** თანამედროვე სახელს **კკუ̂ედ, კკუ̂ერ** და **კკუ̂ებ** ცალკეულადაცა და 12-ის სახელშიც **კკუ̂ე** აქვს **ძირად**, მაგრამ **ოცის** სახელს **ყად, ყარ** და **ყაბ**-ს ამ რიცხვითი სახელის **ორის ძირის** ოდინდელი **ყა** სახესხვაობა შეუნარჩუნებია.

---

[1]) დანარჩენ რიცხვითს სახელებსაც სქეს-კატეგორიის ბოლოსართები აქვთ, 100-ისა და 1000-ის გარდა.

3. **სამს** ეხლა **ჰɨიბუდ, ჰɨიბურ** და **ჰɨიბუ** ჰქვიან და **ძირად ჰɨიბუ** აქვს, მაგრამ **სამი ათის** აღმნიშვნელს 30-ის სახელს **ჰɨიბწარ**-ს ძირად **უჩანს ჰɨიბ. ბოლოკიდური ბ-ს ძირეულობა აქაც საეჭოა.**

4. თუ **ოთხს** ეხლა **ჲუ́ყუდ, ჲუ́ყურ** და **ჲუ́ყუბ** ეწოდება და **ძირად ჲუყუ** აქვს, **ოთხი ათის** აღმნიშვნელს 40-ს **ჲოლწგრ**-ს **ოთხის** სხვა, საყურადღებო სახესხვაობა **ჲოლ**-იც აქვს აღბეჭდილი, რომელიც, **ო**-ხმოვანობას გარდა, მეტადრე **ყ**-ს **ღ**-დ შენაცვლებით არის საგულისხმო და მნიშვნელოვანი.

სქეს-კატეგორიის ნიშნების ჩამოშორების შემდგომ, **ხუთის** ძირად გვრჩება **ხɨუ**, **ექვსისა — რგხɨგ, შვიდისა — ჲიჭუ**, მაგრამ 70-ში არის **ჲილ,— რვისა მგჲე** და **ცხრისა უჭუ**, რომელიც 90-ში **უიჩ**-ად არის ქცეული. თაბასარანული რიცხვითი სახელების ძირებთან შედარება ადამიანს დაარწმუნებს, რომ 6-ის ძირს თავში **ჲი** აკლია და ბოლოში **უ გ**-დ აქვს შენაცვლებული,— 8-ის ძირს **ირჟ** კომპლექსის მაგიერ **გჲ** აქვს და ბოლოკიდური **უ**-ც უკვე **ე**-ს შეუცვლია.

9-ის ძირს კიდევ თავკიდური **ვ** არ უჩანს და შუა **რ**-ც გამქრალი აქვს.

თაბასარანული 7-ის ძირს **ურლუ**-სა და რუთულურის **ჲიჭე**-ს შორის-კი საგრძნობი განსხვავებაა, რომელიც **რლ**-ს გაქრობითა და **უ**-ს თავში **ი**-დ და ბოლოში **უე**-დ შენაცვლებითაც რომ ავხსნათ, მაინც თავისი თავკიდური **ჲ**-თ დაბრკოლებას წარმოადგენს, თუ მას სქეს-კატეგორიის შეზრდილ თავსართად არ ვიგულისხმებთ. წინათ რომ რუთულურს 7-საც შუაში **ლ** ჰქონია, ამას 7 ათის აღმნიშვნელი 70-ის სახელი **ჲილწგრ** ამჟღავნებს.

10. **ათის** ცალკეულ ძირად **ჲიწუ** მოჩანს, მაგრამ მეორე ათეულისა და 40-ის, 50, 60, 70, 80 და 90-ის სახელები მხოლოდ **წგ**-ს სახით გვევლინება, 30-ის სახელში-კი **წა** გვაქვს.

ჲიწუ-ს თავკიდური ჲ აქაც სქეს-კატეგორიის შეზრდილ **ნიშნად არის მისაჩნევი**, ისე რომ **ათის** გამომხატველი **იწა**, ანუ **იწუ-ა**, რომელიც რთულ რიცხვებში **წგ**-დ-ღა ხდება.

მეორე ათეულის სახელების ათის (წგ) და **ერთეულის სახელისაგან** (სა, სარ, საბ,— კჷუედ, კჷუერ და კჷუებ) შედგება სრულებით **უკავშიროდ, მესამე და დანარჩენი ათეულების სახელებს**-კი **ჯერ ერთეულის სახელის ძირი** აქვს, **შემდეგ**-კი **უკავშიროდვე ათის სახელი მისდევს.**

აღსანიშნავია, რომ 30-სა და 50-ში ერთეულების პირველ სახელად მე-4 სქეს-კატეგორიის ფორმაა ქცეული.

100-ის რუთულური სახელი **ვეშ** წახბური ასის სახელს **ჟაშɨ**-ს კარგად უდგება და ისევე, როგორც იქა და თაბასარანულისაშიც, **აქაც თავკიდური ვ ძირეული არ უნდა იყოს.**

1000-ის სახელს **ჰალზგრ**-ს სპარსული **ჰ**-ც დაუცავს და **ზ**-ს წინაც რატომღაც **ლ** გასჩენია.

როგორც ად. დ ი რ რ ს ა ც ჰქონდა აღნიშნული, რუთულური თვლა ათობითია.

§ 5. ჯეკური და ბუდუხური რიცხვითი სახელები

ჯეკური და **ბუდუხური** რიცხვითი სახელების დიდი მსგავსების გამო მათი ერთად განხილვა სჯობს.

ჯეკურს 3 სქეს-კატეგორია აბადია: 1. მამრ. სქესი, რომელსაც ნიშნად რ აქვს, 2. მდედრ. და პირუტყვების სქეს-კატეგორია, რომელსაც ბ ნიშანი აქვს და 3. დ-ნიშანი **უსულო საგნების** სქეს-კატეგორიისათვის. მაგრამ ზედსართავ სახელებს სქეს-კატეგორიის ნიშნები ყოველთვის არ ახლავს. **რიცხვითს სახელებს თუმცა სამივე სქეს-კატეგორიისათვის მოეპოვება** ცალ/კალკე **ფორმა, მაგრამ ჩვეულებრივი თვლის დროს მხოლოდ სქეს-კატეგორიის ფორმას ხმარობენ. რიცხვითს სახელებს სქეს-კატეგორიის ნიშნები ბოლოსართებად აქვს.**

ბუდუხურმა მხოლოდ გრამ. **კატეგორიები** იცის და **სამი კატეგორია** აქვს: 1. **გონიერ არსებათა**, რომელსაც რ აქვს ნიშნად, 2. **არა-გონიერ არსებათა**, რომელსაც ნიშნად ბ აქვს და 3. **დ-ნიშნის** მქონებელი **საგნების.** მაგრამ ზედსართავი სახელები კატეგორიებისდა მიუხედავად უცვლელია ხოლმე, ხოლო აქვთ, თუ არა რიცხვითს სახელებს კატეგორიებისათვის ცალცალკე ფორმები, ად. დ ი რ რ ს აღნიშნული არა აქვს, რიცხვითი სახელების სია-კი მარტო თითოთითო ფორმას შეიცავს.

აი ჯეკური და ბუდუხური რიცხვითი სახელებიც პარალელურად:

ჯეკური რიცხვითი სახელები

1	სჲად, სჲაბ.	11	წენა̆სად.
2	კუ̂ად, — ბ.	12	წენეკუ̂ად.
3	შჲიბუდ, — ბ.	20	კად.
4	ძუკუდ, — ბ.	30	კანაძიწიდ.
5	ფუდ, — ბ.	40	კუაკად.
6	ლვხვდ, — ბ.	100	ჶუკად.
7	ძილვდ, — ბ.	1000	ჰაზგრ.
8	მილიდ, — ბ.		(დირრის შესავ. 361.)
9	ვიჰიდ, — ბ.		
10	ძიწიდ, — ბ.		

ბუდუხური რიცხვითი სახელები

1	სად	11	სჷნასად
2	კ°ად	12	სჷნაკ°ად
3	შიბუდ	20	კად
4	ჲუკ°უდ	30	კანაჲი́წვდ
5	ჶუდ	40	კ°ოკად
6	რვხვდ	100	ჶუკად
7	ჲი́ჲიდ	1000	ჰაზარ
8	მი́ჲიდ		
9	ვიჰიდ		(იქვე)
10	ვიწვდ		

კატეგორიების ნიშნების ჩამოშორების შემდგომ, **ერთის** ძირად **სჷა** (ჯეკ.) და **სა** (ბუდ.) რჩება,— **ორისა** ცალკე **კ°ა** და 20-ში **კა**(ჯეკ.) და **კ°ა** ცალკეულად, ხოლო 20-ში **კა** (ბუდ.),— **სამის შიბუ**,— **ოთხისა ჲაკუ, ჲაკ°უ**,— **ხუთის ფუ**,— **ექვსისა ლვხვ** (ჯ.) და **რვხვ** (ბ.),— **შვიდის ჲი́ლვ** (ჯ.) და **ჲი́ჲი** (ბ.),— **რვისა მილი** (ჯ.) და **მი́ჲი** (ბ.) და **ცხრის— ვიჰი**. ეს ძირები თაბასარანული და რუთულური ძირების სახესხვაობაა მხოლოდ [1].

ჯეკური 10-ის ძირად **ჲიწი** მოჩანს, ბუდუხურისა-კი **ვიწვ** ცალკეულად, მაგრამ 30-ში ორივეს 10-ის სახელად **ჲიწვ** აქვს.

საყურადღებოა **ათის თავკიდურის ბგერის სხვაობა** ჯეკურსა და ბუდუხურში, რომელთაგან პირველს **ჲიწი**, მეორეს-კი **ვიწვ** აქვს. საფიქრებელია, რომ **ჲ** და **ვ** 10-ის **ძირეული ბგერები არ არის**, არამედ პირველი ოდინდელი მდედრ. სქესის, მეორე მამრ. სქესის ნიშნები იქმნება.

---

[1] სახელდობრ, 1-ის ძირი თაბასარანულსა და რუთულურს უდგება, 2-ის ჯეკურის კ ყ-ს შენაცვლებას წარმოადგენს, ბუდუხური კ°-კი რუთულურისას უდგება. 3-ის ძირი თაბასარანულის მსგავსია,—4-ის ძირი რუთულურისაგან მხოლოდ ყ-ს კ°-დ შენაცვლებულობით განირჩევა. 5-ის სახელს ჯეკურსა და ბუდუხურში, თაბასარანულთან და რუთულურთან შედარებით, **ჰი** შენაცვლებული აქვს ჶ-დ. 6-ის ძირის **რ** ჯეკურში ლ-დ არის შენაცვლებული, ბუდუხურს-კი **რ** უცვლელადა აქვს დაცული. 7-ის ჯეკურს ძირს, თაბასარანულთან შედარებით, **რ** აქვს გამქრალი, ბუდუხურს-კი **ლ ჲ**-დ აქვს ქცეული. 8-ის ბუდუხური ძირი პირველი **მ** თანხმოვანითა და მეორე **ჲი** მარცვლით რუთულურისას უახლოვდება, ჯეკურს-კი მეორე ნაწილად **ლვ** აქვს, რომელიც შესაძლებელია თაბასარანული ფორმის მსგავსი **რჟუ**-ს შენაცვლება იყოს. 9-ის ძირი **ვიჰი** თაბასარანულისას უახლოვდება და მხოლოდ **რ** აქვს გამქრალი და **უ** ი-დ შენაცვლებული.

საგულისხმოა, რომ **მეორე ათეულის რიცხვებში**, 12—19-მდე **ათის გამომხატველი** ჯეკურში **წე** არის, ბუდუხურში-კი **ხი**.

მეორე ათეულის სახელები **ათისა და ერთეულის** სახელისაგან არის შემდგარი, რომელთაც შუაში მოქცეული **ნჲ** (ჯ.), ანუ **ნა** (ბ.) აკავშირებთ. ეს კავშირიეეა **ოცდაათის** სახელშიც ოცსა და ათს შუა.

ორმოცითგან მოყოლებული, სამოცი და **ასიც-კი ყველა ოცობითი სისტემის სახელებია:** პირველად ერთეულის სახელია, შემდეგ-კი ოცის სახელია მოთავსებული ისე- კი, რომ მათ შუა **ჯერადობის გამომხატველი** არც სიტყვა და არც ნაწილაკი **არ არის** ჩართული. 100-ი **ფუკად ხუთ ოცსა** ნიშნავს.

მხოლოდ **ოცის** სახელი **კად** (ჯ. და ბ.) თავდაპირველად ორი ათის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, რის გამომჟღავნებელი მისი ეხლანდელი სახელიც არის, რომელიც მისი ოდინდელი შედგენილობის მხოლოდ პირველი, **ორის** აღმნიშვნელი, ნაწილი ჩანს, რათგან 2-ს ჯეკურად ეხლაც ხომ კჟად-ი ეწოდება. ამის გამო **წინათ ყველა სხვა ათეულებიც ათობითი სისტემის სახელები იქმნებოდა** და **ოცობითი სისტემის სახელები შემდეგდროინდელია.**

1000-ის სახელი ამ ორ ენასაც სპარსულითგან აქვს ნასესხები.

§ 6. ალეუტური და კურილი რიცხვითი სახელები

ალეუტურსა და კურილს ენებს სქეს-კატეგორიები არ მოეპოვებათ. მათი რიცხვითი სახელები ერთიმეორისას მიაგვანან, მაგრამ ალეუტურს საერთოდ რიცხვითი სახელების წინანდელი შედგენილობა, ორისა და ცხრის სახელს გარდა, კურილზე უფრო სრულად აქვს დაცული და ზემოგანხილული ენებისას (მაგ. რუთულურისას) კარგად უდგება.

ალეუტურსა და კურილს ყველა რიცხვითს სახელებს ბოლოში დ აქვს, მაგრამ ასე მხოლოდ ცალკეულად, თვლის დროსა ხმარობენ.

სანამ ამ ორი ენის რიცხვითი სახელების განხილვას შევუდგებოდეთ, ჯერ მათი სია გადავშინჯოთ.

ალეუტური რიცხვითი სახელები.

1	სად	16	წეერპ̇იდ
2	გო̄ნდ, გად	17	წეერიდ
3	ჰ̇იბუდ	18	წემუჵად
4	ჵაყუდ	19	წერჩგოდ
5	იჶგანდ	20	კხად
6	ჵერჰ̇იდ	30	ჰ̇იჶწურ
7	ჵერიდ	40	ჵალწურ
8	მუჵად	50	იჶწურ
9	ჵარჩგონდ	60	ჵეჰ̇წურ
10	იწუდ	70	ჵარწურ
11	წესად	80	მაჵწურ
12	წეგონდ, წეგად	90	ჵარწარ
13	წეჰ̇ზიბუდ	100	ჶარშა
14	წეჵაყუდ	1000	ალზურ
15	წეიჶად		(ალეუტ. ე. 26).

ქვრული რიცხვითი სახელები

1	სად	18	წემვქვდ
2	ყჶ̂ედ	19	წეკ°ვდ
3	პუდ	20	კლად
4	ყუდ	21	კლანნი სáდ
5	ჶ̂ად	30	კლანნი წუ́დ
6	რუღიუდ	31	კლანნი წუ́სად
7	ერიდ	40	ძახწურ, ან ძáხკ°ვრ
8	მვქვ'დ	50	ძახწურნი წუ́დ
9	კ°ვდ	60	პუტკლáდ
10	წუდ	70	პუტკლანნი წუ́დ
11	წუ́სად	80	ყუდკლáდ
12	წიყჶ̂ედ	90	ყუდკლანნი წუ́დ
13	წიპუდ	100	ჶ̂იშ
14	წუ́ყუდ	200	ყჶ̂éდ ჶ̂იშ
15	წუჶ̂ად	1000	ალზუ́რ
16	წუ́რუღიუდ		
17	წერიდ		(უსლ. კ. გ. 85—86)

უ ს ლ ა რ ს სამართლიანად აქვს აღნიშნული, რომ ქვრულის ყველა რიგობითს რიცხვითს სახელებს, **ძახწურ**—40-სა, **ჶ̂იშ** 100-სა და **ალზურ** 1000-ს გარდა, ბოლოში დ აქვს. მაგრამ ეს ბოლოკიდური ბგერა არსებით სახელებთან ერთად და მათ წინ ხმარების დროს ხშირად არ გამოითქმის ხოლმე. მაგ. **ყჶ̂ედ ტიმ**-ის მაგიერ (ორი კაცი), ამბობენ ხოლმე **ყჶ̂ე ტიმ**, **პუდ დედე**-ს (სამი დედა) მაგიერ, **პუ დედე**, **ყუდ სიტხა**-ს (4 ძმა) მაგიერ **ყუ სიტხა** ითქმის. ბოლოკიდური დ მეტადრე 1 **სად**-სა და 2 **ყჶ̂ედ**-ს ეკვეცება ხოლმე. ასევეა, დ ი რ რ ი ს ცნობით, ალულურშიც.

ამგვარადვე 10-ს ალღირაე **იწუდ**-ს და ქვრულაე **წუდ**-ს რთულს, ორნაწილედ სიტყვებში დ ჩამოცლილი აქვს და რჩება **წუ**, რომელიც ზოგჯერ ფონეტიკურადაც სახეცვლილია და **წე**, ან და **წი**-დ არის ხოლმე ქცეული, როგორც ეს 11—19 სახელებითგან ცხადად ჩანს. ალღულური ათის სახელი **იწუ**-ც, 30-ითგან მოყოლებული ათეულებში **წუ-რ**-ისა, ხოლო მეორე ათეულის (11—19) სახელებში **წე**-ს სახითვე გვევლინება.

თავისთავად იბადება **საკითხი** ამ **ბოლოკიდური დ-ს თვისების შესახებ.** უეჭველია, იგი **რ-ს მონაცვლე სქეს-კატეგორიის შეზრდილი ბოლოსართი** უნ-

და იყოხ. რაკი კვრულს ამჟამად სქეს-კატეგორიები არ აბადია, ეს იმ დროის ნაშთი უნდა იყოს, როდესაც ამ ენას სქეს-კატეგორიები ჰქონდა. **საგულისხმოა, რომ ზოგად ფორმად მე-4 სქეს-კატეგორიის ფორმაა ქცეული.**

ბოლოკიდური დ-ს ჩამოშორების შემდგომ რიცხვითი სახელების შემდეგი ძირები დაგვრჩება: 1. **სა.**

2. ჰურკილში **ორის ძირად** ცალკეულადაც და 12-ის სახელშიც **ყჟე** არის, აღულურს-კი ორი ფორმა აქვს: ერთს თავკიდური **ყ** თანხმოვანი, თუმცა შენაცვლებული სახით, მაგრამ მაინც შენარჩუნებული აქვს, სამაგიეროდ ხმოვნად, **ჟე**-ს მაგიერ, **ა** არის და **გა**-დ ქცეულა, მეორესაც თავკიდური **ყ გ**-დ აქვს შენაცვლებული, ხმოვნად-კი **ო** არის და **გოჲ**-დ გამოითქმის ისე, რომ ორის ძირად მხოლოდ **გოჲ**-ღა დარჩენილა.

მაგრამ **ორი ათის** აღმნიშვნელს **ოცის** სახელს აღულურადაცა და კვრულადაც აქვს **კხად**, რომლის ძირადაც **კხა** არის.

3. **ხამის** აღულური სახელი **ჰიბუდ** რუთულურის მე-4 სქეს-კატ. ფორმას მთლიანად უდგება, ჰურკილი **პუდ**-კი უკვე საგრძნობლად არის შეცვლილი: მას პირველი მარცვალი **ჰი აქვს მთლიანად დაკარგული** და **ბ**-ც ყრუ შესატყვისით, **პ**-თი, არის შენაცვლებული.

საგულისხმოა, რომ **სამი ათის** აღმნიშვნელს 30-ის აღულური სახელს **ჰიჟწურ-ს** **სამის** გამომხატველად აქვს **ჰიჟ**, რომელსაც ჩვეულებრივი ბოლოკიდური **ბ**-ს მაგიერ **ჟ** აქვს. თუ აქ **ბ**-ს **ჟ**-დ შენაცვლება არ არის, მაშინ 30-ის სახელში **ხამის** მამრ. სქესის ოდინდელი ფორმა უნდა იყოს დაცული.

4. **ოთხს** აღულურად ცალკეულად ეწოდება **ჲაყუდ**, მაგრამ **ოთხი ათის** აღმნიშვნელს 40-ის სახელში **ჲალწურ, ოთხის** გამომხატველად მხოლოდ **ჲალ**-იაჲ იმას გარდა, რომ ბოლოში **უ** აღარ აქვს, **ყ**-ც უკვე **ლ**-დ არის შენაცვლებული.

ჰურკილად **ოთხს** ჰქვიან **ყუდ.** თუ მას ზემომოყვანილს აღულურს **ჲაყუდ**-ს შევადარებთ, მაშინ დავრწმუნდებით, რომ **კვრულს აქაც ამ სიტყვის მხოლოდ მეორე ნაწილი შეუნარჩუნებია, პირველი ჲა მარცვალი-კი დაჰკარგვია.** ეს დაკვირვება რომ სრული ჭეშმარიტებაა და თვით ეს პროცესიც არც თუ უხსოვარ დროს უნდა იყოს მომხდარი, **ამას ო თ ხ ი ა თ ი ს ალმნიშვნელი 40-ის** ჰურკილის **სახელი ჲახწურ-იც ამტკიცებს, რომელშიც ოთხის სახელად ჲახ-ია დაცული.**

თუ გავიხსენებთ, რომ **თაბასარანულად ოთხს** ცალკეულად **ჲარყურ-ი** ეწოდება, **ორმოცის** სახელში-კი **ჲალე** გვაქვს, ცხადი გახდება, რომ კვრული **ჲახ** იმავე **ჲარყურ-ს** და **ჲალე-ს** ფონეტიკური სახესხვაობაა: **ჲალე**-სავით მასაც შუა **რ** აქვს გამქრალი და მომდევნო **ყ**-ც **ხ**-დ შეჰნაცვლებია. კვრული თანამედროვე ცალკეული **ოთხი-ს ყუდ**-ისა და **ორმოცში** დაცული **ჲახ**-ის ფორმებითგან ირკვევა, რომ **ოთხის წინანდელი სრული კვრული სახელი ჲაყუდ-ი ყოფილა.**

5. **ხუთის** სახელები აღულური **ჲფგაჲდ** და ჰურკილი **ჟად,** რუთულური 5-ის **ჰიუდ**-ის მსგავსი **ჲჰიუდ** სახელისაგან უნდა იყოს წარმომდგარი. ორივე **უ**-ს ჯერ **ჟა**-დ, ხოლო შემდეგ **ფა**-დ შენაცვლებით. თავკიდური **ჰი**-კი აღულურს **ჲ**-დ შეჰნაცვლებია, კვრულს მთლიანად გაჰქრობია.

6. **ექვსის** აღულური სახელი **ძერშიდ** და კრული **რუღიუდ** ერთი მეორისაგან არსებითად მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ **კურულს** აქაც თავკიდური მარცვალი **ძე** გაჰქრობია და **ში-ც** ხორხისმიერ ბგერად გადაჰქცევია. აღულური **ძერშიდ** თავის მხრით ექვსის თ ა ბ ა ს ა რ ა ნ უ ლ სახელს **ძირშიურ-ს**, ხოლო **კურული** რუთულურს **რჷხიგდ-ს** ახლო უდგება.

7. **შვიდის** სახელებს, აღულურს **ძერიდ-სა** და კრულს **ერიდ-ს** არაერთი თვისტომი მოეპოვებათ, რომელთაგან უახლოესი ბუდუხური **ძიძიდ-ია**.

8. **რვის** კრული სახელი **მჷუკდ** თაბასარანული 8-ის სახელისაგან **მირჷურ-ისაგან** არსებითად მარტო რ-ს უქონლობით განირჩევა, აღულურს **მუძად-ს-კი** შედარებით დიდი ცვლილება ემჩნევა, სამაგიეროდ ბუდუხურს მიემსგავსება.

9. **ცხრის** აღულური სახელი **ძარჩგოძდ** ფრიად **საყურადღებოა: იგი** ცხადად **შვიდის** აღმნიშვნელი **ძარჩ-ისა და ორის** სახელის **გოძდ-ისაგან შეხდგება. ამ რიცხვითი სახელის რთული აგებულება** ამიტომ **უეჭველი ხდება.**

9-ის კრული სახელი **კჲუდ**, როგორც ეტყობა, 9-ის სახელის მეორე ნახევრის **ორის** აღინიშვენლი რუთულულური **კგუედ-ის** ფონეტიკ. სახესხვაობა უნდა იყოს. ეს გარემოება ამჟღავნებს, რომ კურული **9-ის სახელიც** 7+2-ის **აღმნიშვნელი ყოფილა** თავდაპირველად.

10. **ათის** სახელებზე უკვე გვქონდა (იხ. აქვე გვ. 329) მსჯელობა და აქ დასამატებელი არაფერია.

მეორე ათეულის სახელები **ათის ძირისა და ერთეულების** სახელებისაგან შედგებიან **უშუალოდ და უკავშიროდ.** მესამე ათეულითგან მოყოლებული ყველა **აღულური ათეულების სახელები**, როგორც უკვე ად. დ ი რ რ ს ა ც ჰქონდა აღნიშნული, **ათობითს სისტემაზე არიან აგებული** ისე-კი, რომ პირველად ერთეულის ძირია, შემდეგ უშუალოდ ათის სახელი მისდევს: **სამათი, ოთხათი** და სხ. როგორც **ორის** ქვეშე უკვე განმარტებული გვაქვს, 20-ის სახელიც ასევე უნდა ყოფილიყო თავდაპირველად აგებული.

კრული თვლა-კი, როგორც უ ს ლ ა რ ს აქვს აღნიშნული, ოცითგან მოყოლებული **ოცობითი აღრიცხვის სისტემაზეა დამყარებული:** 60 ნიშნავს სამ ოცს, 80 — ოთხ ოცს. ამისდა გვარად 40-ც უნდა ორი ოცი **ყუედკხად** ყოფილიყოო, მაგრამ ამის მაგიერ „გაურკვეველი სადაურობის **ძახწურ**, ანდა **ძახკჲურ-ი** იხმარებაო"-ო (კ. გ. 86). **სწორედ ეს უკანასკნელი, 40-ს აღმნიშვნელი, სიტყვაა ყველაზე საყურადღებო!**

ოთხის ქვეშე უკვე განმარტებული გვქონდა, რომ **ძახწურ ოთხ ათსა** ნიშნავს და 40-ის იმ ხანის სახელია, როდესაც კრულად **ოთხს ძაჳუ და ძახუ** ჰრქმევია, მაგრამ **მაშინ კურული აღრიცხვის სისტემაც, ოცობითი-კი არა, არამედ ათობითი ყოფილა.**

100-ის **ჟარშო-ისა** (აღულ.) და **ჟიშ-ის** შესახებ იგივე უნდა ითქვას, რაც სხვა ლეგური ენების მსგავს **ასზე** უკვე გვქონდა ნათქვამი.

1000-ის სახელი **აღზურ** აქაც სპარსულია, მაგრამ **ჰ** გამჟღერებულია და ადგილმონაცვლებული.

§ 7. ხინალუღური და ყუბაჩური რიცხვითი სახელები

ხინალუღური („კჴტიდ მიც“) და ყუბაჩური („ულეულან ქუგ“) ენების შესახებ ად. დ ი რ რ ს მეტად ხანმოკლე დაკვირვებით მოპოვებული და სათუო ღირსების ცნობები აქვს, ამიტომაც მსჯელობა მათ რიცხვითს სახელებზე ძნელია. ყუბაჩურს, ეტყობა, **სქეს-კატეგორიების ბოლოსართები** უნდა ჰქონდეს და **1 სქეს-კატეგორიის** ნიშნად უ და უ̂, **მე-2 სქეს-კატეგორიისათვის ი** და მე-3-ისთვის **ვ** უნდა იყოსო.

უფრო გარკვეულია ცნობები ხინალუღურზე. **სქეს-კატეგორიები 4** აქვს და ეტყობა 1. **სრულ-ჰასაკოვან გონიერ არსებათა,** 2. **უსრულჰასაკო გონიერ არსებათა,** 3. **არაგონიერთა** და 4. **საგნების სქეს-კატეგორიები** უნდა ჰქონდესო. მაგრამ მათთვის განკუთვნილ ნიშნებზე გარკვევით არაფერია ნათქვამი. თავისს უკანასკნელ ნაშრომში „შესავალ“-ში ხინალუღური ენის დახასიათების დროს ისეთი რიცხვითი სახელები აქვს მოყვანილი, რომელთა არავითარი კვალი მის, ამ წიგნის ბოლოში დართულ ხინალუღური რიცხვითი სახელების სიაში არა ჩანს, მაგ. 60-ის სახელი **ქჩგკა,** 80-ის **უნკთოყაჲ** და 90-ის **უნკთოყანაზ** (იხ. Einführung გვ. 303 და 361), წინათ, რუსულად გამოქვეყნებულს მის ნაშრომში კი (Агульский яз.) მოიპოვება და იქითგან გვაქვს ჩვენც ამოღებული.

ორივე ენის რიცხვითს სახელებს სქეს-კატეგორიების არავითარი ბოლოსართები არა აქვს.

 აი ორივე ენის თვით რიცხვითი სახელების სიაც:

ყუბაჩური რიცხვითი სახელები

1	სჰა	11	უ̂იწუ̆ნუსა̄
2	კოუ̂ე́	12	უ̂იწუ̆ნუკოუა̄
3	გრ́ვ	19	უ̂იწუ̆ნუჰუმალ
4	გოლ	20	ლა
5	ხჹუ	30	გრ́ვწა́ლ
6	ე̄ქ	40	გოლუწა́ლ
7	უ̂უე̄	50	ხჹუწა́ლ
8	კა̄	100	და́შ
9	უ̄ჰუმ	1000	აზრ́ჲ
10	უ̂იწ		

(დირრის შესავ. 360).

ხინალუღური რიცხვითი სახელები

1	სა	20	კა
2	კოუ	30	ყანაზ [1]
3	პშრა	40	კოუნაყაი [1]
4	ონხ	60	ქჩგკაი [1]
5	ფხუ	70	?
6	ზექ	80	უნკიოყაი [1]
7	ძიკი	90	უნკიოყანაზ [1]
8	ძნკი	100	ფაი
9	ძოზ	1000	აზგრ
10	ძაზ	(დირრის შესავ. 361	
11	ძაზსა	და ალულ. 161, 162,	
12	ძაზკოუ	163, 164).	

1. **ერთის** ყუბაჩური **სჰა** და ხინალუღური **სა** სახელები ერთიდაიგივეა, იგი მხოლოდ ძირისაგან შესდგება.

2. **ორს** ეხლა ყუბაჩურად კიჭე ეწოდება, ხოლო ხინალუღურად კოუ, რომელიც რუთულურს უდგება. მაგრამ 20-ის სახელს კა (ხინ.) და ლა-ს (ყუბ.), რომელნიც **ორი ათის** აღმნიშვნელი წინანდელი სახელის მხოლოდ პირველი, ორის გამომხატველი, შერჩენილი ნაწილიღა უნდა იყვნენ, **ორის** ოდინდელი სახე კა და ლა დაუცავთ.

ხოლო **ოცდაათის, ორმოცის** და **ოთხმოცის** ხინალუღურს სახელებს **ყანაზ**, **კოუნაყაი** და **უნკიოყაი**-ში **ორის** სახელის **ამაზე უფრო ძველი ფონეტიკური სახე ყა გვაქვს შერჩენილი.**

3. **სამის** ყუბაჩური სახელი **გრჯ** ამავე რიცხვის ავარულ-ანდიური სახელს **ჰაჭალ**-ს უდგება და მხოლოდ მის შუა ნაწილს-ღა წარმოადგენს: თავკიდური **ჰ** და ბოლომარცვალი **ალ** ჩამოსცლია და მარტო **აჭ**-ღა დარჩენილა, რომლის ანარეკლიცაა ყუბაჩური **გრჯ**.

3-ის ხინალუღური სახელი **პშრა** საყურადღებოა თავისი **თავკიდური პ-თი, რომელიც ძირეული არ უნდა იყოს,** არამედ **ოდინდელი ბ სქეს-კატეგორიის ნიშნის შენაზრდი ყრუ სახესხვაობა.** მისი დარჩენილი ნაწილი **შრა** თაბასარანული, ჯეკური, ბუდუხური და სხვ. ენების **სამის** ძირს უდგება, ოღონდ მისი ოხმოვანა სახესხვაობაა.

სამი ათის აღმნიშვნელი 60-ის ხინალუღური სახელი **ქჩგკაი**, რომლის მეორე მარცვალი **კაი ოცსა** ნიშნავს, ცხად-ყოფს, რომ სამისთვის ამ ენას სახე-

[1] იხ. დ ი რ რ ი ს ალულ. ენა.

ლად **ქჩგ**-ც ჰქონია, რომელსაც მონათესავე ლეგურ ენებში არ უჩანს, სამაგიეროდ მსგავსება აქვს ჩრდილო-კავკასიის ზოგიერთი ენების სამთან.

4. **ოთხის** სახელები ყუბაჩური **გოლ** და ხინალუღური **ოიხ** აკუშურსა და მეტადრე რუთულურ **ჲოლ**-ს უდგება. მაგრამ ამას გარდა ყუბაჩურს **ოთხის** სხვა სახესხვაობაც ჰქონია, რომელიც **ოთხი ოცის** აღმნიშვნელს 80-ის სახელს **უნკოუყაი**-შია დაცული **უნკოო**-ს სახით და რომელიც, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, დიდოურის **ოთხს უნყო**-ს ზედმიწევნით უდგება.

5. **ხუთის** ხინალუღური სახელი **ფხუ** ორი თვალსაზრისით არის მეტად საყურადღებო: ჯერ ერთი იმით, რომ სხვა ლეგურ თანამედროვე ენებში, აკუშურის გარდა, **ხუთის** ამნაირი სახელი არ გვხვდება, სამაგიეროდ დიდოურ ენებში და **ჩრდილო-კავკასიის დასავლურ ენებშიც და სამხრეთში თვისტომნი საკმაოდ გააჩნია**. მეორე საყურადღებო გარემოებაა, რომ **ხუთის** ამ სახელის თავკიდური **ფ, რასაკვირველია, ძირეული არ არის**, არამედ **სქეს-კატეგორიის შეზრდილი თავსართია.**

ყუბაჩური **ხუთი ხიუ** რუთულურისა და მისთანათა მსგავსია.

6. **ექვსის** ყუბაჩურ სახელს **ექ**-ს აკუშური **ექვსის ურეკალ**-ის **მსგავს ფორმასთან უნდა ჰქონდეს კავშირი** და **მისი მეორე მარცვლის** ეკ-ის მხოლოდ **გაასპირატებულ სახესხვაობას** წარმოადგენს. **ასეთივე წარმოშობილობის უნდა იყოს** ხინალუღური **ზექ**, რომელსაც ზემოაღნიშნული აკუშური სახელის **რეკ** მარცვალი აქვს გაასპირატებული (სექ, ზექ).

7. **შვიდის** ყუბაჩური სახელი **ურე** აგრეთვე აკუშური შვიდის **ურ-ალ**-ის მსგავსი სახელისაგან არის წარმომდგარი, ბოლოკიდური **რ**-ს გაქრობით. ხინალუღური 7-ი **ჲიკი**-ს-კი წახური 7-ის **ჲიღი**-სა და ჯეკური 7-ის **ჲიღკ**-ს მსგავს ფორმასთან აქვს კავშირი.

8 **რვის** ყუბაჩური სახელი **კა** აკუშურ—ჰურკილური **რვის გაჰიალ**-ის მსგავსი სახელისაგან უნდა იყოს წარმომდგარი, სახელდობრ, მისი მხოლოდ პირველი მარცვლის **გა**-ს სახესხვაობად არის მისაჩნევი.

ხინალუღური 8-ის სახელი **ჲნკი** საფიქრებელია ცინდალური **ბიკიიდა**-სა და მსგავსი **რვის** სახელისაგან იქნება წარმომდგარი თავ-ბოლოკიდური თანხმოვნების ჩამოცილებით.

9. **ცხრის** ყუბაჩური სახელი **უჰუმ** აკუშურ-ჰურკილურისა და რუთულურისას კარგად უდგება, ხოლო ხინალუღურს **ჲოზ**-ს **ლეგურ ენებში მსგავსი არა უჩანს რა, მაგრამ სამაგიეროდ დიდოურს ენებში მოეპოვება ის და ისი**, რომელიც **ისზ**-ად ისმის.

10. **ათის** ყუბაჩურ სახელს **ჟიწ**-ს, რომელიც მესამე და შემდეგს ათეულებში **წალ**-ად გვევლინება, ბეჟიტურს **ციწვდ**-სა და სხვა ბევრი ენის ამნაირსავე 10-ის სახელთან აქვს კავშირი, ხინალუღური **ჲაზ**-იც საფიქრებელია ბოთლიხური, კარატული და ყუანადურის მსგავსი 10-ის ძალზე შენაცვლებულს სახესხვაობას უნდა წარმოადგენდეს.

ყუბაჩურა **რიცხვითი სახელების** ყველა **ათეულები ათობითი ალთვალვისა,** ხოლო ხინალუღური **ოცობითი სისტემით** არიან ნაწარმოები.

100-ს ყუანადურად **დაშ**, ხოლო ბუიხალურად **ფაჲ** ეწოდება. უკანასკნელს ბოლოკიდური, სწორედ ძირეული, თანხმოვანი აკლია, ორივეს თავკიდური **დ** და **ფ**-კი ძირს არ ეკუთვნის.

§ 8. ყუანადური, ანუ ბაგულაზური, ბუიხალური, ანუ ბოთლიხური, კარატული და ახვახური რიცხვითი სახელები

ყუანადური, ანუ ბაგულაზური და ბუიხალური, ანუ ბოთლიხური, კარატული და ახვახური ენები **სამი სქეს-კატეგორიის** მქონებელნი არიან: **პირველს** ნიშნად **უ** (ბუიხ., კარატ.), **ვ** (ყუან., ახვახ.) აქვს, **მეორეს—ი** ან **ჲ** და **მესამეს ბ.** ოთხსავე ენას **სქეს-კატეგორიის ნიშნები ბოლოსართებად** აქვს,-**მაგრამ რიცხვითს სახელებში სქეს-კატეგორიის ნიშნები მარტო ერთის სახელს მოეპოვება**, დანარჩენს რიცხვებს კი თითო სახელი აქვთ.

რაკი ყუანადური, ბუიხალური, კარატული და ახვახური რიცხვითი სახელები ერთმანეთს მიაგვანან, ამიტომაც მათი პარალელურად განხილვა სჯობია. მაგრამ ჯერ თვით რიცხვითს სახელებს გადავავლოთ თვალი.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ ყუანადურ **რიცხვითს სახელებს**, 1 და 3-ს გარდა, **ბოლოსართად რა აქვსთ**, ბუიხალურს, კარატულსა და ახვახურს-კი, 1-ს გარდა, **ყველგან ᲓᲐ** მოეპოვებათ. ორივე უეჭველია სქეს-კატეგორიის გადაგვარებული ნიშანია. ახვახურ **რიცხვითი სახელების ერთეულებს შვიდამდე ამას გარდა ბოლოში კიდევ ვᲔ ურთვის, რომლის ბუნება გამოსარკვევია.**

ყუანადური ანუ ბაგულაზური რიცხვითი სახელები

1	ცოეუ (=ცსჷუ-ს), ცოეჲ, ცოებ	30	ჰაბაწა
1	კოერა	40	ბუვაწა
3	ჰაბდა	50	ინშტაწა
4	ბროურა	60	ინტლოაწა
5	ინშტურა	70	ჰატხლოუაწა
6	ინტლოირა	80	ბიტხლოაწა
7	ჰატხლოურა	90	ჰაჰუაწა
8	ბიტხლოირა	100	ბეშენდა
9	ჰაჰუარა	1000	აზარდა
10	ჰაწარა		
11	ჰაწალცოეუ		
12	ჰაწალკოერა		
20	კოაწა		

(Дирр. Мат. анд.—дид. груп. 46 და მისივე „შესავალი“-ს 359).

ბოთლიხური ანუ ბუჲხალური რიცხვითი სახელები

1	წევ(ი), წეჲ, წებ(ი)[1]
2	კ°ჱდა
3	ჰაბუ̂და
4	ბუღუ̂და
5	იშტუ̂და
6	ინლ°ი̂და
7	ჰატხლ°უ̂და
8	ვიტხლ°უ̂და
9	ჰაჭადა
10	ჰაწადა
11	ჰაწალი წევ
12	ჰაწალი კ°ჱდა
20	კ°ე წალიდა
30	ჰაბუწალიდა
40	ბუღუ წალიდა
100	ბეშუ̂ნდა
1000	აზარუდა

(Дирр. Мат. анд.—дид. груп.4-6).

კარატული, ანუ კიტლური რიცხვითი სახელები

1	ცʼეუ, ცʼეჲ, ცʼებე
2	კ°ედა
3	ტლ°აბდა
4	ბჵგოდა, ჶჵგოდა, ჲოგოდა
5	ინშთუდა
6	ინტლ°იდა
7	ჰაკლ°უდა
8	ბიტლ°იდა
9	ჰაჭუ̂ადა
10	ჰაწუ̂ადა
11	ჰაწალცʼეუ
12	ჰაწალკ°ედა
20	კ°ეწადა
21	კ°ეწცʼებ
30	ტლ°აბაწადა
40	ბჵგოწადა
50	ინშთუწადა
60	ინტლ°აწადა
70	ჰატლ°აწადა
80	ბიტლ°აწადა
90	ჰაჭაწადა
100	ბეშანდა
1000	აზარდა (აზარტა).

(Дирр. Мат. анд.—дид. груп. 25—26. და მისი „შესავლის" 359).

[1] ფრჩხილებში ჩასმული ბგერა სწრაფი ლაპარაკის დროს არ ისმის.

ახვახური, ანუ ატლატლური რიცხვითი სახელები

1 ჩევე, ჩეჲე, ჩებე
2 კჿებავე
3 ტლჿაბდავე
4 ბოყოდავე
5 იშტუდავე
6 ინტლჿიდავე
7 ატხლჿიდა
8 ბიტხლჿიდა
9 აპიადა
10 აქადა
11 აქაჩე
12 აქაკჿედა
20 ყჿენდოლდა
21 ყჿენდოჩე
30 ტლჿამოლოდა
40 კჿეყჿენდოლდა
50 კჿეყჿენდოაქადა
60 ტხლჿაყჿენდოლდა
70 ტლჿაყჿენდოაქადა
80 ბოყჿენდოლდა
90 ბოყჿენდაქადა
100 ბეშანოდა
200 კეშანოდა
1000 აზაროდა

(Дирр. Мат. анд.—дид. группы 36 და „შესავლის“ 360).

ერთს თუ ყჳანაღჳრაჲ ეწოდება **ციეჳ**, **ციეჲ** და **ციებ**,—ჴარაცჳლაჲ **ცჲეჳ**, **ცჲეჲ** და **ცჲებე**,—ბჳძხალჳრაჲ **წეჳ(ი)**, **წეჲ** და **წებ(ი)**,—ახვახჳრაჲ-კი **ჩევე**, **ჩეჲე** და **ჩებე** ჰქვიან: პირველი თავკიდური ცჿ, მეორეს ცჲ-დ, მესამესა უკვე წ-დ, მეოთხეს კი ჩ-დ აქვს შენაცვლებული.

2. **ორს** ყჳანაღჳრაჲ **კჿერა**, ბჳძხალჳრაჲ და ჴარაცჳლაჲ-კი **კჿეჲდა**, ხოლო ახვახჳრაჲ **კჿებავე** ეწოდება, ყველას **კჿე** **ძირი** აქვს, მაგრამ **ორი** **ათის** აღმნიშენელს 20-ს ყჳანაღჳრს სახელს **კჿაწა**-ში **ორის** ძირი **კჿა**-ა. ამაზე უფრო საყურადღებოა, რომ ახვახური 20-ს სახელს **ყჿენდოლდა**-ში **ორის** აღმნიშვნელად **ყჿენ** არის.

3. ბჳძხალჳრაჲ **სამს** **ჰაბჲდა**, ყჳანაღჳრაჲ **ჰაბდა** ჰქვიან. ორივეს ძირად მიჩნეულია **ჰაბ**, მაგრამ **ბ**, როგორც უკვე არაერთხელ აღნიშნული მქონდა, ძირეული არ უნდა იყოს.

ჴარაცჳლსა და ახვახურს **ჰ** ლატერალურ ბგერით შეუნაცვლებიათ: **ტლჿაბდა**, **ტლჿაბდავე**.

4. **ოთხის** ბჳძხალჳრის **ბუღჲდა**-სი და ყჳანაღჳრის **ბოჿურა**-ს, როგორც ბოლოკიდური მარცვლები ძირეული არ არიან, ისევე თავკიდური **ბ**-ც სქეს-კატეგორიის შეზრდილი ნიშანია და **ძირად** **უღუ** და **ოჿუ**, ახვახური **ბოყოდავე**-ს **ძირად** **ოყო**, ჴარაცჳლის-კი **ოგო** გვრჩება. **ოთხი** **ათის** აღმნიშვნელს ყჳანაღჳრს 40-ს **ბუვაწა**-ს ოთხის ძირს **ღ** გაჰქრობია, **ო** ასიმილაციით **უ**-დ ჰქცევია, მეორე

უ-კი შემდეგ ვა-დ შეჰნაცვლებია და ამის წყალობით ოთხის ძირად უკვე **უვა** გვევლინება.

5. **ხუთის** სახელს ოთხსავე ენაში ერთი-და-იგივე ძირი **იშტუ, იიშთუ** უჩანს.

6. **ექვსსაც** ოთხსავე ენაში ერთნაირი **ინტლთი** (ყუან.) და **ინლთი** (კარ.) ძირი აქვს.

7. **შვიდის** ძირიც საერთო **ჰატხლთუ** უჩანთ.

8. **რვის** ძირიც ერთნაირი აქვთ, თავკიდური ბგერის გარდა: **ბიტხლთი** (ყუან., კარატ., ახვახ.). და **ვიხტლთუ** (ბუიხ.).

9. **ცხრის** ძირად ყუანადურსა და კარატულს **ჰაჭუა**, ტინდალურს **ჰაჭა**, უჩანს და მხოლოდ ახვახურსა აქვს **აჭია**.

10. **ათის** სახელად ყუანადურს **ჰაწარა**, კარატულს **ჰაწუადა**, ტინდალურს-კი **ჰაწადა** აქვს, მაგრამ 11—19-მდე ტინდალურსაც და კარატულსაც **ათის** აღმნიშვნელად ყველგან **ჰაწალი** უჩანს ისევე, როგორც ყუანადურსაც **ჰაწალ**. თუ ბოლოსართს ჩამოვაშორებთ, 10-ის ძირად ოთხსავე ენაში **ჰაწა** გვრჩება, მხოლოდ ახვახურსა აქვს **აჭა-დ** შენაცვლებული ძირი, მაგრამ 20-ისა და დანარჩენი ათეულების სახელებში ყუანადურში 10-ის აღმნიშვნელი ყველგან **წა** არის.

ყუანადური და კარატული რიცხვითი სახელების **სისტემა ათობითია**, ტინდალური და ახვახურისა-კი **ოცობით-ათობითი**.

100-ის ძირად კარატულს და ახვახურს **ბეშან**, ყუანადურს **ბეშენ**, ტინდალურს-კი **ბეშუნ** უჩანს, მაგრამ **არც თავკიდური და არც ბოლო თანხმოვნები ძირეული არ უნდა იყვნენ.**

1000-ის სახელად ოთხივეს სპარსულიდგან ნასესხები, მხოლოდ ჰ-გამქრალი ძირი აქვს.

§ 9. ლუნძური, ანწუხური და ჭარული რიცხვითი სახელები

ლუნძური რიცხვითი სახელების მე-XVIII ს. ჩანაწერი მოგვეპოვება ისევე, როგორც იმავე დროის ავარულისა და ყარულისაც. **მათი შედარება თითქმის სრულს იგივეობას ამჟღავნებს**, ამიტომ მათი ერთად განხილვა სჯობია. ლუნძურისათვის რიცხვ. სახელების **მე-XIX ს. ჩან. წერიც** გვაქვს, ანწუხურისა და ჭარულისათვის-კი, რომელთაგან უკანასკნელი ამიერკავკასიას, საინგილოში, გადმოსახლებული ლეკების ენაა, ჯერ თანამედროვე ცნობები არ გაგვაჩნია.

ლუნძურს **3 სქეს-კატეგორია** აქვს: 1 **გონიერი მამრ. სქესის**, რომელსაც ნიშნად **ვ**, ანდა **უ** აქვს, 2. **გონიერი მდედრ. სქესის**, რომელსაც **ი** აქვს, და 3. **არაგონიერთა, უჰასაკოთა და საგნების**, რომელსაც **ბ** მოეპოვება ნიშნად.

სქეს-კატეგორიების არსებობისდა მიუხედავად, რიცხვითი სახელებისათვის ლუნძურს **მხოლოდ თითო ფორმა აქვს**, მაგრამ ჯერ თვით რიცხვითი სახელები გადავიკითხოთ.

ლუნძური რიცხვითი სახელები

XVIII ს.		ეხლა.
1	ცო Zo	ცıო
2	კიგო Kigo	კი́გო
3	შაბგო Schabgo	ტლᵊა́ბგო
4	უხგო Uchgo	უ́ნყო
5	შუგო Schugo	შუ́გო
6	ანტლᵊგო Antl'go	ა́ნტლᵊგო
7	ანტელგო Antelgo	ა́ნტლᵊაგო
8	მიტლᵊგო Mitl'go	მი́ტლᵊაგო
9	იჩგო Itschgo	ი́აჩჩგო
10	ანწგო Antsgo	ა́ნწგო
11	ანცილა-ცო Anzi!a-zo	ანწი́ლლა ცıო
12	ანცილა კიგო Anzila-Kigo	ანწილლა კი́გო
20	ყოგო Chogo	ყო́გო
21	ყოლა-ცო Chola-zo	ყოლო́ ცıო
30	ყოლა-ანწგო Chola-antzgo	ტლᵊებე́რგო
31	ყოლა ანცილა-ცო Chola antsila zo	ტლᵊებე́რალდა ცıო
40	კიყოგო Kichogo	კიყო́გო
41	კიყოელდა-ცო Kichoelda-zo	კიყო́ჲალდა ცıო
50	კიყოელდა-ანწგო Kichoelda antsgo	კიყო́ჲალდა ა́ნწგო
60	ტაჳ̂-ყოგო Taw-chogo	ტლᵊაბყო́გო
70	ხაბყოელდა-ცო[1] Chabchoelda zo	ტლᵊაბყო́ჲალდა ანწი́ლლა ცıო
80	ახცულყოგო Achzul chogo	უნყო́გო
90	ახცულ ყორგოცო[2] Achzul chorgozo	უნყოჲა́ლდა ა́ნწგო
100	ნუსგო Nusgo	ნუ́სıგო
1000	აზარგო Azargo	აზა́რგო

(I. A. Güldenstädt. Reisen, II, 512—513 და უსლარ. Аварск. яз.)

[1] შეცდომაა, ნამდვილად 61 ნიშნავს.

[2] შეცდომაა, ნამდვილად 81 ნიშნავს.

XVIII ს. ანწუხური რიცხვითი სახელები

1 ცო Zo
2 კიგო Kigo
3 ტაჷგო Tawgo
4 უხგო Uchgo
5 შუგო Schugo
6 ანტლჾგო Ant'lgo
7 ანტელგო Antelgo
8 მიტლჾგო Mitl'go
9 იჩგო Itchgo
10 ანწგო Antsgo
11 ანცილა-სოგო Anzila sogo
12 ანცილა-კიგო Anzila-kigo
20 ყოგო Chogo
21 ყოლა-სოგო Chola-sogo
30 ტებერგო Tebergo
31 ტებერელდა-სოგო Teberelda-sogo
40 კიყოგო Kichogo
41 კიყელდა-სოგო Kichelda-sogo
50 კიყელდა-ანწგო Kichelda-antsgo
60 ტაჷ-ყოგო Taw-chogo
70 ტაჷყოგელდა-ანწგო Tawchogelda-antsgo
80 უხყოგო Uch chogo
90 უხყოგელდა ანწგო Uchchogelda-antsgo.
100 ნუსგო Nusgo
1000 აზარგო Asargo
(I. A. Güldenstädt. Reisen II, 512—513).

XVIII ს. ჭარული რიცხვითი სახელები

1 ცო Zo
2 კიგო Kigo
3 ხაბგო Chabgo
4 უხგო Ucgo
5 შუგო Schugo
6 ანხგო Anchgo
7 ანტელგო Antelgo
8 მიკგო Mikgo
9 იჩგო Itschgo
10 ანწგო Antsgo
11 ანცილა-ცო Anzila-zo
12 ანცილა-კიგო Anzila-kigo

20 ყოგო Chogo
21 ყოლა-ცო Chola-zo
30 ყოლა-ანწგო Chola-antsgo
31 ყოლა ანცილა-ცო Chola anzila-zo
40 კიყოგო Kichogo
41 კიყოელდა-ცო Kichoelda-zo
50 კიყოელდა ანწგო Kichoelda antzgo
60 ხაბცულ-ყოგო Chabzul-chogo
70 ხაბყოელდა ცო[1] Chabchoelda zo
80 ახცულ ყოგო Achzul chogo
90 ახცულ ყორგოცო[2] Achzul chorgozo
100 ნუსგო Nusgo
1000 აზარგო Asargo

(I. A. G ü l d e n s t ä d t. Reisen, II 512—513).

ღუნძური, ანწუხური და ჭარული თვლა და რიცხვითი სახელები ისე, როგორც გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს XVIII. ს. და უ ს ლ ა რ ი ს ჩანაწერშია აღბეჭდილი, ერთმანერთს, როგორც უკვე ნათქვამი გვქონდა, ძალიან მიემსგავსებიან, მათ შორის მცირედი განსხვავებაა. **სამივე ათობით-ოცობითი სისტემაზეა დამყარებული. სამსავე ამ რიცხვითს სახელებს დაბოლოებად გო აქვს, რომელიც ძირეული არ არის.**

1. ღუნძურში, ანწუხურსა და ჭარულში XVIII ს. **ერთი ცო** ყოფილა, უ ს ლ ა რ ი ს დროს-კი ღუნძურად ერთი ცო-დ გამოითქმოდა. საგულისხმოა, რომ ანწუხურში XVIII ს-ის ჩანაწერის **თერთმეტში, ანცილა-სოგო-ში, ერთი ცო-ს** მაგიერ უკვე **სო**-დ გვევლინება.

2. **ორის** სახელად XVIII ს. სამსავე თვლაში **კიგო** არის ჩაწერილი, ისევე, როგორც ღუნძურად უ ს ლ ა რ ს ა ც აქვს აღნიშნული. ძირად უნდა **კი** მივიჩნიოთ და ასევეა **ორი ორმოცში, კიყოგო-შიც**, წარმოდგენილი. მაგრამ **ოცის, ყოგო-ს, ყო**, რომელიც წინანდელი **ორი ათის ყოანწგო-ს** მხოლოდ **ორის** გამომხატველი-ღა ნაშთი უნდა იყოს, გვაფიქრებინებს, რომ ღუნძურად, ანწუხურადა და ჭარულად **წინათ ორს ყო ჰრქმევია.**

აღსანიშნავია, რომ XVIII ს. ჩანაწერში ღუნძურადა და ჭარულად **ოთხმოცდა ერთის** სახელად **ახცულ ყორგოცო** სწერია. მაშასადამე, **ოცის სახელი**, ჩვეულებრივი **ყოგო**-ს მაგიერ, **აქ ყორგო-დ გვევლინება**, ე. ი. **ორის აღმნიშვნელი ყორ-ია ისევე, როგორც** თაბასარანულსა და წახურში! უეჭველია, **ყორ**-ის ბოლოკიდური **რ** სქეს-კატეგორიის შენაზრდი ნიშანი უნდა იყოს.

3. **სამის** სახელი ღუნძურად XVIII ს. **შაბგო**-დ არის აღნიშნული, უ ს ლ ა რ ს-კი **ტლაბგო** აქვს ჩაწერილი და ამ სახითვე გვევლინება სამი უ ს ლ ა რ ი ს-დროინდელ ღუნძურ **სამოცს ტლაბყოგო**-შიც. ხოლო ჭარულად **სამი** XVIII ს.

[1] შეცდომაა, ნამდვილად 61 ნიშნავს.
[2] შეცდომაა, ნამდვილად 81 ნიშნავს.

ჩანაწერში **ხაბგო**-ა და სამოცშიც, **ხაბცულ-ყოგო**-ში, **ხაბ**-ის სახითვეა წარმოდგენილი. ანწუხურად-კი XVIII ს. **სამი ტაჟგო** ყოფილა.

აღსანიშნავია, რომ გჳლდენშტედტის XVIII ს. ჩანაწერშიც **სამოცი** ღუნიბურად **ტაჟ-ყოგო**-დ არის აღნიშნული. ასევე ყოფილა, როგორც მოსალოდნელიც იყო, **სამოცი** ანწუხურადაც. მაგრამ ღუნიბურად **სამოცდაერთი ხაბყოელდაცო** ყოფილა, ე. ი. აქაც უკვე **სამი შაბ**-ისა და **ტაჰ**-ის მაგიერ, ქართულის მსგავსად, **ხაბ**-ად გვევლინება.

ვიდრე **სამის** ამ ერთი შეხედვით სრულებით სხვა-და-სხვა ძირების ურთიერთისადმი დამოკიდებულების საკითხის განხილვას შევუდგებოდეთ, ჯერ გჳლდენშტედტის ჩანაწერის **შაბგო**-სა და **ხაბგო**-ს სისწორესა და სანდოობას უნდა შევეხოთ. თანამედროვე ღუნიბურის უსლარისაგან ზედმიწევნით ჩაწერილი **სამის** სახელი გჳლდენშტედტის ჩანაწერს სრულებით არ უდგება.

იქმნება გჳლდენშტედტის ცნობა სრულებით მცდარია, ანდა გაუგებრობის ნაყოფია ისე, რომ უნდა უარვყოთ და მაინც გამოსაყენებელი არ არის? ასეთი განაჩენისათვის არავითარი არც საბუთი არსებობს და არც უფლება გვაქვს. მართლაც და, თუ თანამედროვე 3-ის სახელად ღუმბეთურს **შამა, შანბა** და **შანდა**, — ხოლო ბეჟიტურს **შიბუდ**, ჯუზურს **შიიბუდ** და თაბასარანულს **შიიბბურრ** და **შიიბბურბ** აქვთ, რომელთაც ძირად **შან**, ანდა **შამ** და მისი ი-ხმოვანა სახესხვაობა **შიბ** უჩანთ და ეს გარემოება უცილობელ ჭეშმარიტებადაა ცნობილი, გჳლდენშტედტის ჩანაწერის **სამის შაბგო** რატომ უნდა გვეჩვენოს საეჭვოდ და უვარგისად?

იგივე უნდა ითქვას ამავე მეცნიერის **სამის ხაბგო**-ს შესახებაც. უკანასასისმიერი **ხ** და მის მონათესავე მაგარი, ან ჩვეულებრივი ხორხისმიერი **ჰ**-ბგერის მქონებელი **სამის** აღმნიშვნელი ძირი არა ერთია ლეგურს ენებშიც და უდურშიც მოიპოვება. მაგ. შესაძლებელია დამოწმებული იყოს **სამის** სახელები ყუაბაჩური **ჰაბდა**, ბეჟიტური **ჰაბჟდა**, წახური **ჰცებიჲრა**, აღულური და რუთულური **ჰირბუდ**, **მეტადრე კი უდური ხიბ**. აღარას ვამბობ ჩრდ.-კავკასიის ენათა დასავლური ჯგუფის შესახებ. ამიტომაც გასაკვირველი არაფერია, რომ მე-XVIII ს. ღუნიბურად **სამს შაბგო** და უფრო წინათ **ხაბგო** სწოდებოდა ისევე, როგორც მე-XVIII ს.-ში ამ რიცხვს ქართულად ჰრქმევია. პირიქით ეს ბუნებრივიცაა და მოსალოდნელიც იყო.

მაშასადამე **სამი შაბ, ხაბ, ტაჟ** და **ტლჲაბ**-ის სახეობით გვაქვს დაცული. თუ **შაბ**-ისა და **ხაბ**-ის ბგერითი ნათესაობა უეჭველი და ცხადია, სამაგიეროდ **ტაჟ**-ისა და **ტლჲაბ**-ის წარმოშობა ჯერ კიდევ გამოსარკვევია. ამგვარადვე, თუ **შაბ** და **ხაბ**-ის ბოლოკიდურ **ბ** სქეს-კატეგორიის შენაზრდ ნიშნად ცნობა ჭეშმარიტებად შეიძლება მიჩნეული იქმნეს და **ძირად** უნდა **შა** და **ხა** ჩაითვალოს, **ტაჟ**-ის და **ტლჲაბ**-ის თავკიდურ-ბოლოკიდურ ბგერათა თვისებაც ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

შაბ-ის წინამორბედი **ხაბ**-ის თანამედროვე **ტლჲაბ**-თან ნათესაობა გასაგები გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ უსლარის დახასიათებითაც ლატერალური **ლჲ** ბგერა დაახლოვებით **ხლ**-ს მსგავსად გამოითქმის (Аварск. яз. 13).

მაშასადამე, 3-ის ზემომოყვანილი ხუნძური ფუძე რომ ამავე წესით გამოვსახოთ, **ხლიაბ** გვექმნება. საფიქრებელია, რომ ეს ბგერა სწორედ ასე იმიტომაც გამოითქმის, რომ ამნაირი წარმოშობილობისაც უნდა იყოს.

ეხლა რომ ანწუხურ **სამს** **ტაჟ**-ს განხილვას შევუდგეთ, უნდა **სამი ათის** აღმნიშვნელს 30-ის სახელს **ᲢᲔᲑᲔᲠᲑᲝ**-საც მივაქციოთ ყურადღება, სადაც **სამის** გამომხატველი **ᲢᲔᲑ** ია, ე. ი. ბოლოში, ჟ-ს მაგიერ, **ხაბ**-ისა და **შაბ**-ის მსგავსად, **ბ** აქვს. **ხაბ**-ისა და **ტაბ**-ის, ანდა **ტაჟ**-ის ერთმანერთთან დაკავშირება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ წარმოვიდგენთ, რომ **ტაბ** წინამორბედი **ტხაბ**-ისაგან არის წარმომდგარი, რომელსაც ხ, ან გაასპირატების შემდგომ სრულებით გაუქრა, ანდა **ხლიბ**-ს მსგავსად, ტ-სთან ერთად შერწყმულ **ტხ** ბგერად იქცა. ასეთი ბგერა ჩერქეზულსაც მოეპოვება, როგორც ლ უ ლ ი ე ს აქვს აღნიშნული (Руск.-Черк. сл., გვ. 3). **თავკიდური ტ ამ შემთხვევაში სქეს-კაგორიის ოდინდელი თავსართის შენაზრდად უნდა ვიგულისხმოთ** ისევე, როგორც სხვადასხვა რიცხვითს სახელებს შენაზრდი თავსართები აქვთ.

4. **ოთხის** სახელი ხუნძურისა, ანწუხურისა და ჭარულის XVIII ს. ჩანაწერებში ერთნაირად **ᲣᲮᲑᲝ** არის და ანწუხურად ამავე დროს **ოთხმოცში**, **ᲣᲮᲧᲝᲑᲝ**-შიც, **ოთხი** იმავე **უხ**-ის სახით არის წარმოდგენილი, როგორც **ᲣᲮᲑᲝ**-შია, თუ მას, რასაკვირველია, რიცხვითი სახელების ჩვეულებრივ დაბოლოებას **ᲑᲝ**-ს ჩამოვაცლით. საგულისხმოა, რომ ხუნძურისა და ჭარულის XVIII ს. ჩანაწერებში **ოთხმოცი** **ᲐᲮᲪᲣᲚ-ᲧᲝᲑᲝ**-დ არის მოყვანილი, ე. ი. **ოთხი** აქ, **უხ**-ის მაგიერ, **ახ**-ის სახეობით გვევლინება.

თითქმის ერთი საუკუნის შემდგომ ხუნძურად უ ს ლ ა რ ს **ოთხი** **უნყო**-დ და **ოთხმოცი** **უნყოგო**-დ აქვს ჩაწერილი. **ᲣᲜᲧᲝ**-ს მსგავსი 4-ის სახელი ხვარშულსაც აქვს: **ᲣᲜᲧᲔ** (იხ. დირრის შესავ. 360).

თანამედროვე ხუნძური **ᲣᲜᲥᲘᲚ** საკითხსა ჰბადებს, გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერის Uchgo **ᲣᲮᲑᲝ** ხომ **ᲣᲮᲚᲝ**-ს გამომხატველი არ არის? მაგრამ საგულისხმოა, რომ ხინალუღურსაც წინათ **ᲣᲜᲧᲝ** ჰქონია, ეხლა-კი 4-ს ცალკეულად **ოცხ**-ი ეწოდება, ე. ი. **ნ** ქრება და **ყ** უკვე **ხ**-დ არის შენაცვლებული. საფიქრებელია, რომ გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს დროსაც ხუნძურად 4-ი **უნხვო**-დ **ითქმოდა**, მაშასადამე, **ᲣᲜᲧᲝ-ს სახესხვაობა** იყო, **ᲑᲝ** ხომ აქ ჩვეულებრივი დაბოლოებაა.

5. **ხუთი** სამსავე ენაში XVIII ს. **შუგო** ყოფილა და უ ს ლ ა რ ს ა ც ასევე აქვს ჩაწერილი. **ძირად** უნდა **შუ** მივიჩნიოთ. სამწუხაროდ, **ხუთოცის** შედგენილობის რიცხვითი სახელის ·ტერმინის უქონლობის გამო, **ხუთის** თავდაპირველი სახის გამორკვევა ამ გზით შეუძლებელია.

6. ექვსი XVIII ს. ჩანაწერში ხუნძურად **ანტლიგო** არის და ასევე **ანტლიგო**-დ აქვს აღნიშნული უ ს ლ ა რ ს ა ც. ასევე **ანტლიგო** ყოფილა ანწუხურად, ჭარულად-კი **ᲐᲜᲮᲑᲝ**-დ ითქმოდა. ბოლოკიდური **ᲑᲝ**-ს ჩამოცლის შემდგომ, **ძირად ანტილ**, **ანხ**-ი რჩება.

7. **შვიდი** ხუნძურად, ანწუხურად და ჭარულად XVIII ს. **ᲐᲜᲢᲔᲚᲑᲝ**-დ არის ჩაწერილი. უ ს ლ ა რ ს ხუნძური **შვიდისათვის** **ანტლიგო** აქვს. მაშასადამე, ძი-

რად **ანტელ**, ან **ანტლივ**-ი უნდა მივიჩნიოთ. ისე გამოდის, თითქოს ექვსისა და შვიდისათვის ამ ენებს ერთი-და-იგივე სახელი ჰქონოდეთ.

8. **რვა** ღუნძურაჲ და ანწუხურაჲ XVIII ს. **მიტლივგო** ყოფილა. უ ს ლ ა რ ს ა ც ღუნძურისათვის ეს სიტყვავე აქვს აღნიშნული **მიტლივგო**. ხოლო ჭარულაჲ **რვა** XVIII ს. ჩანაწერში ᲛᲘᲙᲑᲝ-დ არის აღნიშნული, რომელიც ეგების ᲛᲘᲚᲑᲝ-დ გამოითქმოდა. ძირად, მაშასადამე, **მიტლივ** და **მიკ**, ანდა **მილ** გვექმნება.

9. **ცხრა** ღუნძურსა, ანწუხურსა და ჭარულში XVIII ს. ᲘᲩᲑᲝ ყოფილა და 90 წლის შემოდგომაც და ეხლაც ღუნძურშივე **ჲიჩჩგო** არის. ძირად აქ **იიჩ**-ი მოჩანს.

10. **ათი** ღუნძურსა, ანწუხურსა და ჭარულში XVIII ს.-საც და უ ს ლ ა რ ი ს დროსაც ღუნძურშივე ᲐᲜᲬᲑᲝ ყოფილა. აღსანიშნავია, რომ 11—19-მდე, როგორც ჩანს (რათგან გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერში მარტო 11 და 12-ის შესატყვისობა ᲐᲜᲪᲘᲚᲐ-ᲪᲝ, ᲐᲜᲪᲘᲚᲐ-ᲡᲝᲑᲝ და ᲐᲜᲪᲘᲚᲐ-ᲙᲘᲑᲝ არის მოყვანილი), **ათი** ᲐᲜᲪᲘᲚᲐ-ს სახით სარის წარმოდგენილი. ამგვარად **ათის** აღმნიშვნელ **ძირად** აქ ᲐᲜᲪ და ᲐᲜᲬ-ი მოჩანს.

20. **ოცს** მე-XVIII ს.-შიც სამსავე ენაზე ᲧᲝᲑᲝ სწოდებია და ეხლაც, რამდენადაც უ ს ლ ა რ ი ს ნაშრომითგანა ჩანს, ღუნძურაჲ მაინც, ეს სახელივე ჰქვიან. მაგრამ რთულ რიცხვითს სახელებში იგი ᲧᲝᲚᲐ-ს სახითა გვხვდება. **როგორც** **ᲑᲝ ძირეული არ არის, არც ᲚᲐ ეკუთვნის ძირს.** ᲧᲝᲑᲝ-ს თუ რიცხვითი სახელების ჩვეულებრივი დაბოლოება ჩამოვაცალეთ, დაგვრჩება ᲧᲝ, რაც შესაძლებელია, მხოლოდ **ორს** ნიშნავდეს. ამგვარად, **ათის აღმნიშვნელი მეორე ნაწილი დროთა განმავლობაში ამ რიცხვითს სახელსაც უნდა დაკარგული ჰქონდეს.**

ორის განხილვის დროს აღნიშნული გვქონდა, რომ ანწუხურისა და ჭარულის ჩანაწერებში **ოთხმოცდაერთის** სახელს ᲐᲮᲪᲣᲚ ᲧᲝᲠᲑᲝᲪᲝ-ში **ოცს** ᲧᲝᲠᲑᲝ-ს სახეობა აქვს. იქვე ნათქვამი იყო, რომ ᲧᲝᲠ-ის ბოლოკიდური **რ** უნდა **ორის** შეზრდილი სქეს-კატეგორიის ნიშანი იყოს.

რიცხვითს სახელებს შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აგრეთვე XVIII ს. ჩანაწერის ანწუხური 30 ᲢᲔᲑᲔᲠᲑᲝ, 31 ᲢᲔᲑᲔᲠᲔᲚᲓᲐ ᲡᲝᲑᲝ და უ ს ლ ა რ ი ს დროინდელი ღუნძურის 30 **ტლეებერგო** და 31 **ტლეებერალდაცო.** ამ რიცხვითი სახელების აგებულება XVIII ს. ჩანაწერის ღუნძურისა და ჭარულის 30 ᲧᲝᲚᲐ ᲐᲜᲬᲧᲝ-ს აგებულებისაგან განსხვავდება. თუ ამ უკანასკნელის პირველი ნაწილი **ოცს** ნიშნავს და ამგვარად საერთოდ **ოცდაათის** გამომხატველია, **ტებეგორ** და **ტლეებერგო** სულ სხვანაირად არიან ნაწარმოები.

როგორც **სამზე** მსჯელობის დროს აღნიშნული გვქონდა, 30-ის ორივე სახელის პირველი ნაწილი ᲢᲔᲑ და **ტლეებ** **სამის** გამომხატველია და თავდაპირველად ᲡᲐᲛᲘ **ათის** აღმნიშვნელი ყოფილა.

მაშასადამე ირკვევა, რომ რაკი 20 და 30 **ორი ათისა** და **სამი ათის** გამომხატველი ყოფილა, ამიტომ ცხადია, რომ ღუნძური, ანწუხური და ჭარული **თვლის სისტემა წინათ ათობით სისტემაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული და მხოლოდ შემდეგ ოცობით-ათობით სისტემაზეა გადასული.**

100-ის სახელი სამსავე ენაში მე-XVIII ს.-შიც **ნუსგო** ყოფილა და ეხლაც ღუნძურად **ნუსჲგო-ა**. ისევე, როგორც ბოლოკიდური **გო** ძირეული არ არის, თავკიდური **ნ**-ც ძირს არ უნდა ეკუთვნოდეს.

1000-ს სახელი აქაც სპარსულია.

§ 10. არჭული რიცხვითი სახელები

თანამედროვე არჭილი ლეგურ ენათა შორის იმ მხრივ არის განსაკუთრებული ყურადღების ღირსი, რომ **მას სქეს-კატეგორიის ნიშნები თავშიც და ბოლოშიც** აქვს. 1. **მამრ.** სქეს-კატ.-ისათვის ნიშნად ჳ ანდა უ-სა ხმარობს, მე-2 **მდედრ. სქესის თავში დ და ბოლოში** რ-სა ხმარობს, მე-3 **სქეს-კატეგ. ბ-ს და მე 4-ესთვის ბოლოში ტᵊ-ს, ანდა** თ-ს. თავსართოვან-ბოლოსართოვანი **სქეს-კატეგორიების არსებობისდა მიუხედავად, არჭულ რიცხვითს სახელებს მხოლოდ ბოლოსართები მოეპოვებათ.** ამას გარდა კიდევ **ორი სხვა თვლის წესიც არსებობს: ცხვრის თვლის დროს** განსხვავებულსა და თითო რიცხვისათვის თითოს, **ნ-ბოლოიანს ფორმას ხმარობენ.** დასასრულ, არჭელებს **სრულებით უსქეს-კატეგორიო ფორმების შემცველი თვლა და რიცხვითი სახელებიც აქვთ.**

აი სამივე სახეობის თვით არჭული რიცხვითი სახელებიც.

არჭული რიცხვითი სახელები

1 ოსს.
2 ყჳ̂ე-ჳ̂უ, ყჳ̂ე-რუ, ყჳ̂ე-ბუ, ყჳ̂ე-ტᵊუ.
3 ტლᵊიბაჳ̂უ, ტლᵊიბარუ, ტლᵊიპპუ (sic).
4 ებყა-ჳ̂უ,—რუ,—ბუ,—ტᵊუ.
5 ტლᵊჳ̂ეჲ-ჳ̂უ, —რუ,—ბუ,—ტᵊუ.
6 დიტლᵊა-ჳ̂უ, —რუ,—ბუ,—ტᵊუ.
7 ვიტლᵊა-ჳ̂უ, —რუ,—ბუ,—ტᵊუ.
8 მეტლᵊეჲ-ჳ̂უ, —რუ,—ბუ,—ტᵊუ.
9 უჭა-ჳ̂უ, —რუ,—ბუ,—ტᵊუ.
10 ვიწა-ჳ̂უ,—რუ,—ბუ,—ტᵊუ.
11 მოწორ სეჲ-ჳ̂უ,—რუ,—ბუ, —ტᵊუ.
12 მოწორ ყჳ̂ე-ჳ̂უ,—რუ,—ბუ, —ტᵊუ.
13 მოწორ ტლᵊიბა-ჳ̂უ,—რუ,—ტლᵊიპპუ,—ტლᵊიბატᵊუ.
20 ყᵊეჲ-ჳ̂უ,—რუ,—ბუ,—ტᵊუ.
21 ყᵊოტტორსეჲ-ჳ̂უ,—რუ,—ბუ,—ტᵊუ.
22 ყᵊოტტორყჳ̂ე-ჳ̂უ —რუ,—ბუ,—ტᵊუ.
30 ტლᵊიბიჲ-ჳ̂უ,—რუ,—ბუ,—ტᵊუ.
31 ტლᵊიბიტტურ სეჲ-უჳ̂,--რუ,—ბუ,—ტᵊუ.
40 ბუყიჲ-ჳ̂უ,—რუ,—ბუ,—ტᵊუ.
41 ბუყიტტურსეჲ-ჳ̂უ,—რუ,—ბუ,—ტᵊუ.
50 ბუკიჲ-ჳ̂უ,—რუ,—ბუ,—ტᵊუ.
51 ბუკიტტურ სეჲ-ჳ̂უ,—რუ,—ბუ,—ტᵊუ.

60 დიტლᵒიჲ-ჸუ, — რუ, — ბუ, — ტაუ.
61 დიტლᵒიტტურ სეჲ-ჸუ, — რუ, — ბუ, — ტაუ.
70 ტლᵒჸიჲ-ჸუ, — რუ, — ბუ, — ტაუ.
71 ტლᵒჸიტტურ სეჲ-ჸუ, — რუ, — ბუ, — ტაუ.
80 ტლᵒიმიჲ-ჸუ, — რუ, — ბუ, — ტაუ.
81 ტლᵒიმიტტურ სეჲ-ჸუ, — რუ, — ბუ, — ტაუ.
90 ჩჸიჲ-ჸუ, — რუ, — ბუ, — ტაუ.
91 ჩჸიტტურ სეჲ-ჸუ, — რუ, — ბუ, — ტაუ.
100 ბაშაა-ჸუ, — რუ, — ბუ, — ტაუ.
200 ყუებაშაა-ჸუ, — რუ, — ბუ, — ტაუ.
300 ტლᵒიბაშაა-ჸუ, — რუ, — ბუ, — ტაუ.
400 ებყბაშაა-ჸუ, — რუ, — ბუ, — ტაუ.
500 ტლᵒობაშაა-ჸუ, — რუ, — ბუ, — ტაუ.
600 დიტლᵒბაშაა-ჸუ, — რუ, — ბუ, — ტაუ.
700 ვიტლᵒბაშაა-ჸუ, — რუ, — ბუ, — ტაუ.
800 მეტლᵒებაშაა-ჸუ, — რუ, — ბუ, — ტაუ.
900 უჴბაშაა-ჸუ, — რუ, — ბუ, — ტაუ.
1000 იზარა-ჸუ, — რუ, — ბუ, — ტაუ.

(არჭული ენა, 43—44).

მარტივი, არსება-საგნებისაგან დამოუკიდებლივ, **თვლის დროს** არჭელები შემდეგს უსქეს-კატეგორიო რიცხვით სახელებს ხმარობენ ხოლმე:

1 ოსს	6 დიტლᵒ
2 ყჸე	7 ვიტლᵒ
3 ტლᵒებ	8 მეტლᵒე
4 ებყ	9 უჴ
5 ტლᵒჸო	10 ვიჭ
	(იქვე გვ. 44).

ცხვრის თვლის დროს არჭელები ამბობენ ხოლმე:

1 ოსსან	7 ვიტლᵒაან
2 ყჸეჲან	8 მეტლᵒენ
3 ტლᵒებან	9 უჴან
4 ებყან	10 ჸიჭან
5 ტლᵒჸონ	11 მოჭორსან
6 დიტლᵒაან	12 მოჭორყჸენ
	13 მოჭორტლᵒებან

20 ყəან	80 ტლჹიმი̄ნ
30 ტლჹიბი̄ნ	90 ჩუ̂ი̄ნ
40 ბუყი̄ნ	100 ბაშəან
50 ბუხი̄ნ	200 ყუ̂ე̄ბაშəან
60 დიტლჹი̄ნ	1000 იზარან.
70 ტლჹუ̂ი̄ნ	

(არჭული ენა, გვ. 43—45).

თუმცა ძველი ჩანაწერი არჭულისათვის არ მოგვეპოვება, მაგრამ არჭული რიცხვითი სახელების ოდინდელი სახის დროთა განმავლობაში მომხდარი ცვლილება საკმაოდ კარგად ირკვევა სხვა- და- სხვა რთული რიცხვითი სახელების წყალობით.

1. **ერთის** ცალკეულს **ოსს** სახელს გარდა, ყოველ თერთმეტში — 11, 21, 31, 41 და სხვა რიცხვებში **ერთი** უკვე **სეჲუ̂უ, — რუ, — ბუ** და **ტəუ**-ს სახით გვევლინება, **ერთ-ჯერში-კი ხსან**-ად არის წარმოდგენილი.. ცხვრის თვლაში **ერთის** სახელად **ოსსან**-ს ხმარობენ.

ამგვარად 1-ის ორი ფორმა გვაქვს **სეჲ-უ̂უ, სეჲ რუ, სეჲ-ბუ** და **სეჲ-ტəუ** ერთი მხრით და **ოსს** და **ოსსან** მეორე მხრით. **როგორც პირველი ოთხი ფორმის უკანასკნელი მარცვლები სქეს-კატეგორიის ნიშნებია, ისევე მეორე ჯგუფის ოსსან-ის ნ, ანდა იქნება ან დაბოლოებაც ძირეული არ უნდა იყოს.** მისს რაობაზე სათანადო ადგილას გვექმნება საუბარი. ამიტომ თითქოს ერთის ორი ძირი გვრჩება, **ოსსა** და **სეჲ. თუ ანდიურს რიცხ. სახელებს გადავზინჯავთ, დავრწმუნდებით, რომ სეჲ** ერთის მდედრ. სქესის **ფორმაა**, რომელშიც **ჲ** სწორედ მდედრ. სქესის ნიშანია. აქაც, **არჭულშიც** მდედრ. **სქ. ნიშნის შენაზრდი უნდა იყოს.** ამნაირად, **ოსსა** და **სე** გვრჩება. მაგრამ არც ლეგური და არც ღილღური ენების ერთის სახელს თავში ხმოვანი არა აქვს, ამიტომაც **ო** აქაც ძირეულად-კი არა, არამედ უ-ს შენაცვლებული შენაზრდი უნდა იყოს და **ძირად სსა, ანდა სე გვრჩება.**

2. **ორი**, ცალკეული **ყუ̂ე-უ̂უ**-ს გარდა, 20-ში **ყəეჲ-უ̂უ**-ს და 21 და 22-ში **ყəო**-ს სახითაც გვაქვს დაცული. **ძირად ყო, ანდა ყუე უნდა იქმნეს მიჩნეული.**

3. **სამის** ცალკეული სახელის **ტლჹიბაუ̂უ**-ს ძირი **ტხლჹიბა** გამოდის, მაგრამ **სამი ათის** გამომხატველი 30-ის სახელს **ტლჹიბიჲ-უ̂უ**-ში უკვე **ტხლჹიბიჲ** გვაქვს. არც წინა ფორმის **ბა** და არც მეორის **ბიჲ სამის** სახელის **ძირეული** ნაწილი **არ უნდა იყოს. თავკიდური ტ ც შენაზრდად არის საგულისხმებელი.**

4. **ოთხი,** თუ ერთეულთა შორის და 400-ში არის **ებყა-უ̂უ** და **ებყ,** 40-ში, რომელიც არჭულად **ოთხ ათ**-ად ითქმის, **ბუყიჲ**-ს სახით არის დაცული. ასევეა 41-ში. ამათგან **4-ის ძირის უფრო უძველეს ფორმად** უნდა **ბუყიჲ** მივიჩნიოთ, მაგრამ **თავკიდური ბ და ბოლოკიდური ჲ ძირეული არა ჩანს.**

5. **ხუთი**, **ტლიჟეჲ-ჟუ**-სა და **ტლიჟონ**-ს გარდა, 50-სა და 51-ში **ბუკიჲ**-ს სახითაც გვაქვს დაცული. თუ პირველის ძირად **ტხლჟე** მოჩანს, მეორესი **ბუკი** არის. **ყურადღების ღირსია 5-ისა და 6-ის სახელების ესოდენი მსგავსება!**

6. **ექვსი** არის **დიტლია-ჟუ**, 60-ში და 600-ში **დიტლიიჲ**. აქ ძირად **ᲓᲘᲢᲮᲚᲐ** და **ᲓᲘᲢᲮᲚ** მოჩანს, მაგრამ თავკიდური **დ** ძირეული არაა.

7. **შვიდი**, ცალკეულად თუ **ვიტლია-ჟუ**-ა, 70-ში თავკიდური **ᲕᲘ**-ს ჩამოცლილი **ტლიი**-ს სახით-ღა გვევლინება.

8. ამგვარადვე **რვას** ცალკეული სახელის **მეტლიეჲ-ჟუ**-ს მაგიერ, 80-ში **რვის** აღმნიშვნელი მხოლოდ **ტლიიმი**-ა.

9. **ცხრა**, თუ ერთეულებში **უჭა**-ა და 900-ში არის **უჭ**, 90 უკვე **ჩჟი**-ის სახით გვევლინება.

10. **ათი** ცალკეულად **ვიწა-ჟუ** არის, ხოლო 11—19-მდე, როგორც ა. დ ი რ რ ს ა ც აქვს აღნიშნული **მოწორ**-ად ითქმის. მაგრამ ამაზე **უფრო საყურადღებოა, რომ 21-ში, 31-ში, 41-ში, 51-ში, 61-ში, 71-ში, 81-ში და 91-ში** იგივე ა თ ი **უფრო ძველი შედგენილობით, ᲢᲢᲨᲠ-ის სახით არის დაცული.**

ამნაირად 10-ის სახელის სამი სახესხვაობა გვაქვს **ᲕᲘᲬᲐ**, **ᲛᲝᲬᲝᲠ** და **ᲢᲢᲨᲠ**. ორს უკანასკნელს პირველთან შედარებით ბოლოკიდური **რ** აქვს, უკანასკნელს-კი თავის მხრივ პირველი ორის თავკიდური მარცვალი **ᲕᲘ**, ანდა **ᲛᲝ** არ უჩანს. **ბოლოკიდური რ ძირეული არ უნდა იყოს, არამედ სქეს-კატ. შენაზრდია. ამგვარადვე პირველი ორის თავკიდური ვ და მ-ც აგრეთვე სქეს-კატ. შეზრდილი თავსართები ჩანან. ᲢᲢᲨ-ს უნდა თავკიდური ხმოვანი ჰქონდეს დაკარგული,** ხოლო პირველი ორის **წ** უკანასკნელის **ტ**-ს შენაცვლებაა და **ძირად ᲘᲢᲐ, ანუ ᲝᲢᲝ, თუ ᲝᲢᲨ ჩანს.**

100. **ასი** ცალკეულადაც და ყველა ასეულებშიაც **ბაშა** არის, რომლის **ბ სქეს-კატეგორიის ნიშნის შენაზრდად არის საგულისხმებელი.**

ა. დ ი რ რ ი მართალი იყო, როდესაც აღნიშნა, რომ **არჩული თვლა ათეულობის სისტემას მისდევსო** (არჩ. ე. 43).

ცხვრის დათვლის დროს მიღებული არჩული რიცხვითი სახელები განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. უპირველესად აქ **საგულისხმოა, რომ ამ დროს რიცხვითი სახელების მხოლოდ თითო ფორმაა**, და შემდეგ უკვე ის გარემოებაც, **რომ ამ თითო ფორმას ბოლოსართად პირუტყვთა და უსულოთა კატეგორიის ბ ნიშანი-კი არ უჩანს, არამედ ყველგან ნ არის.** ამ ბგერის საყოველთაოობის გამო, **ნ** აქ ამჟამად უბრალო დაბოლოებად არის ქცეული, მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ ყველა სხვა ენებში ჩვეულებრივ ასეთ დაბოლოებად, ან **ᲓᲐ**, თუ მხოლოდ **დ**, ან **რᲐ**, ანდა **ბᲐ** გვხვდება, რომელნიც, როგორც ვიცით, სქეს-კატეგორიების ნიშნებია და ამის გამო თვითოეული მათგანი სქეს-კატეგორიის ოდინდელი ნიშნის შენაზრდად არის მისაჩნევი, მაშინ თავისდა-თავად დაგვებადება აზრი, რომ **ამ ნ დაბოლოებასაც არჩულში წინათ გარკვეული ფუნქცია უნდა ჰქონოდა** და მხოლოდ დროთა განმავლობაში უნდა იყოს მისი თავდაპირველი დანიშნულების შეგნება გამქრალი და უბრალო დაბოლოებად ქცეული. **ნ ბოლოსართის პირველადი განკუთვნილობის გამორკვევას ის გარემოება აძნელებს, რომ ლეგურ ენებს სქეს-კატეგორიის ასეთი ნიშანი არ მოეპოვებათ.**

§ 11. დიდოური რიცხვითი სახელები

თუმცა დიდოურს 4 სქეს-კატეგორია აქვს, რომელთაგან პირველს ნიშანი აღარ მოეპოვება, მე-2-ეს ნიშნად ჲ, მე-3 ბ და მე-4 რ აქვს, მაგრამ მაინც რიცხვითი სახელების მხოლოდ თითო ფორმა გააჩნია. დიდოური რიცხვითი სახელების XVIII ს. ჩანაწერიც მოგვეპოვება და თანამედროვეც. ორივე აქვე პარალელურად მომყავს.

დიდოური რიცხვითი სახელები

XVIII ს.	თანამედროვე
1 ცის Zis	სის
2 ყეენო Keeno	ყანო
3 სონნო Sonno	ტლჲონო
4 უინო Uino	იუნო
5 სენნო Senno	ტლჲენო
6 ისნო Isno	ეტლჲნო
7 ატლჲნო Atl'no	ოტლჲნო
8 ბიტლჲნო Bitl'no	ბიტლჲნო
9 ოჩინ Otschin	ოჳინო
10 ოცინო Ozino	ოცჲინო
11 ციოცი Ziozi	სიოცჲი
12 ყაიოცი Kaiozi	ყაჲოცჲი
	19 ეჩოცჲი
20 ყუ Ku	კუ
21 ყუნოცის Kunozis	კუნოსის
30 ყუნოცინო Kunozino	კუნოოცჲინო
31 ყუნოციოცი Kunoziozi	
40 ყა̈ნოყუ Kānoku	ყანოკუ
41 ყა̈ნოყუნოცის Kānokunozis	
50 ყა̈ნოყუნოცინო Kānokunozino	ყანოკუნოოცჲინო
51 ყა̈ნოყუნოციოცი Kānokunoziozi	
60 სონნოყუ Sonnoku	ტლჲანოკუ
70 სონნოყუნოცინო Sonnokunozino	ტლჲანოკუნო ოცჲინო

80 უინოყუ Uinoku	უინოკუ
90 უინოყუნოცინო Uinokunozino	უინოკუნო ოცეინო
100 ბიშონ Bischon	ბიშონ
1000 ოცინო ბიშონ Ozino Bischon	ოცეინობიშეონ, გაზარ
(I. A. Güldenstädt, Reisen, II 512-513).	Дирр, Мат. анд.-дид. группы, 72).

დიდოურს **რიცხვითს სახელებს**, ერთს გარდა, ჩვეულებრივ **ბოლოში ᲜᲝ** უზის. ასე ყოფილა XVIII ს. და ეხლაც ასევეა. ეს **ᲜᲝ** ძირს არ ეკუთვნის არამედ დაბოლოებაა და **სქეს-კატეგორიის გადაგვარებული შეზრდილი ნიშანი უნდა იყოს.**

თვლის სისტემა ათობით-ოცობითია და ასეთივე ყოფილა XVIII ს., მაგრამ ოცის საფიქრებელი თავდაპირველი სახე წინა საფეხურად ათობის სისტემას გვაგულისხმებინებს.

1. დიდოური **ერთი** XVIII ს. ჩანაწერში არის ᲪᲘᲡ, როდესაც იგი ცალკე, ან სიტყვის ბოლოში იხმარება, მაგრამ რთულ, ორმნიშვნელოვან რიცხვებში, როცა იგი სიტყვის პირველ ნაწილს შეადგენს, როგორც მაგ. 11-ში, უბოლოკიდურო ს-ანით გვხვდება (ᲪᲘ). ას ოცდაათი წლის შემდგომ **ერთის** სახელად ᲪᲘᲡ-კი არა, არამედ უკვე **ᲡᲘᲡ** არის.

2. **ორი** XVIII ს. ჩანაწერში **ᲧᲔᲔᲜᲝ**-დ არის აღნიშნული. აქ ალბად გრძელი შერბილებული ხ̆ იქმნებოდა. მეოცე საუკუნეში **ᲧᲐᲜᲝ**-დ ითქმის, ე. ი. თით-ქმის უცვლელადაა შენახული. 12-ში, რომელიც **ᲧᲐᲘᲝᲪᲘ** ყოფილა წინათ და ეხლაც **ყადოცეი-ა**, **ორი ყად**-ს სახით გვევლინება. **ორის** აღმნიშვნელ ძირად **ᲧᲐ გამოდის**. მაგრამ, რაკი **ოცი**, რამდენადაც ეს XVIII ს. ჩანაწერითგანა ჩანს, წინათ **ყუ** ყოფილა, ეხლა-კი **კუ** არის, ეს **ყუ** და **კუ** ძველი **ᲧᲣᲝᲪᲘᲜᲝ**-ს ან და მერმინდელი **კუოცინო**-ს **ორი ათის** ნაშთი უნდა იყოს, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ **ორი წინათ ᲧᲐᲜᲝ**-ს მაგიერ **ᲧᲣᲜᲝ**-ს სახით უნდა ყოფილიყო.

3. **სამი** XVIII ს. გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს დიდოურად **ᲡᲝᲜᲜᲝ** აქვს ჩაწერილი. **სამოცშიაც** და 70-ში **ᲡᲝᲜᲜᲝᲧᲣ**-ში და **ᲡᲝᲜᲜᲝᲧᲣᲜᲝᲪᲘᲜᲝ**-ში **სამი** ამნაირადვეა. ეხლა ამ რიცხვითს სახელს თავკიდური ბგერა სრულებით განსხვავებული აქვს და **ტლეონო** არის, **სამოცსა** და **სამოცდაათში**-კი (**ტლეანოკუ**, **ტლეანოკუნოოცეინო**) **სამი ტლეანო**-დ ისმის.

ამგვარად, XVIII ს. ჩანაწერის მიხედვით, **სამის** აღმნიშვნელი ძირი **ᲡᲝ** გამოდის, ამ ჟამად-კი უნდა **ტლეო**, ანდა **ტლეა** იქმნეს მიჩნეული. გამოსარკვევია, თუ საითგან და როგორ გაჩნდა **სამის** თანამედროვე ფორმა.

თუ გავიხსენებთ, რომ **ტლჷ** შერწყმული **ტხლჷ** ბგერაა და ლუნძურშიც და ანწუხურ-ჭარულში **სამის** სახელი წინანდელი **შაბ** და უფრო ძველი **ხაბ** თანამედროვე ლუნძურშიც **ტლეაბ**-ად, ე. ი. **ტხლჷაბ**-ად არის ქცეული, მაშინ თანამედროვე დიდოური **ტხლჷო-ნო**-სა და **ტხლჷა-ᲜᲝ**-ს სამის **ხა** ძირთან დაკავშირება ძნელი არ არის. **ᲡᲝᲜᲝ**-ს თავკიდური თანხმოვანი-კი **შ**-ს შენაცვლების გზით თუ იქმნება გაჩენილი.

4. **ოთხი** დროთა განმავლობაში ნაკლებ შეცვლილა და XVIII ს. ႳႨႬႭ-დ არის ჩაწერილი, ეხლა-კი ႨႳႬႭ-ა. **ოთხმოც**-ში ႳႨႬႭႷႳ-შიც ამნაირადვეა წარმოდგენილი.

თანამედროვე დიდოურსაც 80-ის სახელად **უინოკუ** აქვს და აქაც **ოთხს** ႳႨႬႭ ეწოდება. ეს გარემოება მეტად საყურადღებოა. **ოთხის თანამედროვე** ჯაჭოტურა ცალკეული სახელი ႨႳႬႭ-ს და ჭუკურა და ბეჟიტურა **ოთხის ჲუკოუდ**-ისა, რუთულურის **ჲუყუდ**-ისა და წახურის **ჲუყეკრჰ**-ს პირველ მარცვალს **ჲუ** და **ჲო**-ს კარგად უდგება, ლალურთაგან ხომ წოჯურის 4-ის სახელს **ჲიუი**-ს თითქმის ზედმიწევნით მთლიანად მიაგავს, ამიტომ შესაძლებელია გვეფიქრა, რომ გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერში ႳႨႬႭ შეცდომით არის შეპარული, ან დედანშივე, ან ბეჭდვის დროს. მაგრამ 80-ის **თანამედროვე სახელი უინო·კუ ცხად-ჰყოფს, რომ გერმანელ მეცნიერს აქ არავითარი შეცდომა არ ჰქონია და 4-ს** ჯაჭოტურაც **წინათ მართლაც** ႳႨႬႭ **ჰრქმევია**. თუ მას დიდოური რიცხვითი სახელების ჩვეულებრივს დაბოლოებას ჩამოვაცლით, **ოთხ**·ს **აღმნიშვნელ ძირად** ႳႨ **და** ႨႳ-**ღა დაგვრჩება**.

5. **ხუთი** XVIII ს. დიდოურად ႱႤႬႬႭ ყოფილა, ეხლა-კი **ტლჲენო-ა**. წინათ თუ ძირად ႱႤႬ უნდა გვეგულისხმა, ეხლა ძირად უკვე **ტხლჲე** გამოდის, ე. ი. თითქმის იგივე, რაც სამისათვის (**სო, ტხლჲო**) მივიღეთ. ეს გარემოება **გვაფიქრებინებს, რომ 5-ის სახელს 3-ის სახელთან რაღაც კავშირი უნდა ჰქონდეს**. მაგრამ ამაზე თავის ადგილას, რიცხვითი სახელების ზოგადი საკითხების განხილვის დროს გვექნება საუბარი.

6. **ექვსი** XVIII ს. თუ ႨႱႬႭ ყოფილა, ეხლა **ეტლჲნო-ა**. ძირად პირველისათვის ႨႱ, ხოლო მეორისათვის **ეტხლჲ-ი** გამოდის.

7. **შვიდი** XVIII ს. ჩანაწერით **ატლჲნო** ყოფილა, ეხლა მხოლოდ თავკიდური **ა** არის Ⴍ-დ შეცვლილი, და **ოტლჲნო-ა**. ძირად **ატსლჲ**, ან **ოტსლჲ** გვრჩება.

8. **რვა** XVIII ს. შემდგომ არ შეცვლილა და ეხლაც წინანდებურად **ბიტლჲნო** არის, რომლის ძირად **ბიტხლჲ-ი** მოჩანს.

9. **ცხრა** XVIII ს. ႭႹႨႬ-ად არის ჩაწერილი, ეხლა-კი ႭႼႨႬႭ-ა. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე **ეჩოცაი-ს, ცხრამეტის**, მიხედვითაც **ცხრას წინათ ეჩ-ი ჰრქმევია**. ამიტომ, თუმცა 9-ის ცალკეული სახელის ძირად ႭႹႨ, ან ႭႼႨ-ა მისაჩნევი, მაგრამ, რაკი თანამედროვე დიდოურის 19-ის სახელმაც 9-ის ძირად **ჩ** თანხმოვანი გამოამჟღავნა, ამიტომ ႭႹႨ, ანდა ႤႹႨ **უნდა მივიჩნიოთ**.

10. **ათიც** XVIII ს. შემდგომ არ შეცვლილა: ႭႺႨႬႭ ყოფილა და ეხლაც წინანდებურად **ოციინო** არის, რომლის ძირი **ოციი-ა**. ასევეა იგი 11—19-მდე რთულ რიცხვით სახელებშიც წარმოდგენილი.

20. **ოცის** სახელზე უკვე გვქონდა **ორის** ქვეშე საუბარი ისევე, როგორც თვლის სისტემაზე.

100. **ასს** ეწოდება ႡႨႸႭႬ, რომლის თავბოლოკიდური ბგერები ძირეული არ არის.

§ 12. ანდიური რიცხვითი სახელები.

თუმცა ანდიურს 4 **სქეს-კატეგორია აქვს** (1. გონიერთა მამრობ. სქესი ვ ან ჶ ნიშნით, 2. გონიერ. მდედრ. სქ. ი ნიშნით, 3. პირუტყვებისა და საგნების ბ ნიშნით და 4. დანარჩენი სახ. რ ნიშნით). **მაინც თანამედროვე** ანდიურს **რიცხვითს სახელებში,** ორ გამონაკლისს გარდა, **სქეს-კატეგორიები არ მოეპოვება.**

მაგრამ ჯერ ანდიური რიცხვითი სახელების XVIII ს. და თანამედროვე ჩანაწერებს გადავავლოთ თვალი.

ანდიური რიცხვითი სახელები XVIII ს.

1 სებ Seb.
2 ჭეგო Tschego.
3 ტობგო Tobgo.
4 ბოლოგო Bogogo.
5 იშტუგო Ischtugo.
6 უინტლᵊეგო Uint'lego.
7 ჰოტლოგო Hotlogo.
8 ბეიტლეგო Beitlego.
9 ურბჭანალ Urbtschanal.
10 ჲäცალ Iäzal.
100 ბეშონუგო Beschonugo.
1000 ოზირუგო Osirugo.
(I. A. G ü l d e n s t ä d t. Reisen, II 520—521).

თანამედროვე ანდიური რიცხვითი სახელები.

1 სსეჶ̂, სსეჲ, სსებ, სსერ.
2 ჭეგუ.
3 ტლᵒრბგუ.
4 ვრ́ყოგუ, ჲრ́ყოგუ, ბრ́ყოგუ, რრ́ყოგუ.
5 ინშტუგუ.
6 ონტლᵒგუ, ონტლᵒიგუ.
7 ჰოკლᵒუგუ.
8 ბიჲკლᵒიგუ.
9 ჰრ́ჭოგუ.
10 ჰრ́წოგუ.
11 ჰოწოტხლᵒისსევ, — ჲ, — ბ, — რ.
12 ჰოწოტხლᵒიჭეგუ.
19 ჰოწოტხლᵒიჰოჭოგუ.
20 ჭეწოლგუ.
21 ჭეწოლლოგუსსევ.
22 ჭეწოლლოგუჭეგუ.
30 ტლᵒობწოლგუ.

40 ბოყოწოლგუ.
50 ინშტუწოლგუ.
60 ონტხლაიწოლგუ.
70 ჰოკლოუწოლგუ.
80 ბიჲტლაიწოლგუ.
90 ჰოჰოწოლგუ.
100 ბეშონუგუ.
150 ბეშონუ — ინშტუწოლგუ.
500 ინშტუბეშონუგუ.
1000 ოზირუგუ.
1.000.000 მილჲან, მილიჲონ.

(Эрр, Краткий грам. очерк андийского яз., 43).

ანდიური რიცხვითი სახელები XVIII ს. გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს სრულად არ ჩაუწერია და ათს გარდა, დანარჩენი ათეულების სახელები არ არის აღნიშნული. ათს პირდაპირ 100 და 1000 მისდევს.

როგორც XVIII ს. ჩანაწერისა, ისევე დ ი რ რ ი ს ცნობების მიხედვით თანამედროვე ანდიურის შესახებ, ანდიურ რიცხვით სახელებს დაბოლოებად ძველად ჩვეულებრივ გო მარცვალი ჰქონია, რომელიც ეხლა გუ-დ გამოითქმის.

გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერებში ყველგან რიცხვითი სახელების თითო ფორმაა მოყვანილი და მხოლოდ აკუშურშია რიცხვითი სახელების ორ-ორი ფორმა აღბეჭდილი, ამიტომ, ჰქონდა, თუ არა, ანდიურ თვლას ყველა რიცხვითი სახელებისათვის სქეს კატეგორიებისდა მიხედვით განსხვავებული ფორმები, არა ჩანს, თანამედროვე ანდიურს თვლას-კი მხოლოდ 1, 4 და 11-ისათვის ოთხ-ვე სქეს-კატეგორიის განსხვავებული ფორმა აბადია. დანარჩენებს სქეს-კატეგორიის განსხვავება არა აქვთ და მხოლოდ თითო ფორმა არსებობს.

აღსანიშნავია, რომ ერთს — სეჸ, სეჲ, სებ, სერ, — სქესკატეგორიის ნიშნები, ჸ, ჲ, ბ და რ, ბ ო ლ ო შ ი უზით, — ოთხს-კი — ჸოყოგუ, ჲოყოგუ, ბოყოგუ, როყოგუ სქეს-კატეგორიის იგივე ნიშნები თ ა ვ ს ა რ თ ე ბ ა დ აქვთ მოქცეული. უეჭველია, ოთხის ფორმები უფრო უძველესი ხანის წარმოებად უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე ერთის ფორმები.

XVIII ს. ჩანაწერში ათეულების გამოტოვებულობის გამო, მაშინდელი ანდიური თვლის სისტემის გამორკვევა შეუძლებელი ხდება, მაგრამ თანამედროვე ანდიურ რიცხვითს სახელებს ძველი აგებულება იმდენად კარგად დაუცავთ, რომ მათი ანალიზით მოპოვებული დასკვნა წინა დროისათვისაც გამოსადეგი იქმნება.

თანამედროვე ანდიური თვლა, როგორც ეს ად. დ ი რ რ ს ჰქონდა უკვე აღნიშნული, მთლიანად ათობით სისტემაზეა დამყარებული და 20, ჰეწოლგუ, ორათს ნიშნავს, — 30 ტლეობწოლგუ — სამ ათს, - 40 — ბოყოწოლგუ ოთხათს და ყველა დანარჩენი ათეულების რიცხვითი სახელებიც ასევეა ნაწარმოები.

1. ერთის სახელად XVIII ს. ჩანაწერში მხოლოდ სებ-ი სწერია, მაგრამ ეხლაც-კი, როგორც აღნიშნული გვქონდა, ოთხივე სქეს-კატეგორიის ფორმაა

შერჩენილი: **სეჭ, სეჲ, სებ** და **სერ**. საყურადღებოა, რომ გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ-ტ ი ს **ჩანაწერში სწორედ მესამე სქეს-კატეგორიის ფორმაა მოყვანილი. ალბად ამ მესამე სქეს-კატეგორიის ფორმას უკვე იმ დროსვე საერთო მნიშვნელობის ელფერიც გადაჰკრავდა.**

ამგვარივე მოვლენა გვაქვს თანამედროვე ანდიურის ორმოცში, ოთხი ათის მნიშვნელობის მქონებელს **ბოყოწოლბუ**-ში, **რომლის ოთხი ბოყო ამ რიცხვითი სახელის იმავე მესამე სქეს-კატეგორიის მხოლოდ თავსართოვანი ბ ნიშნის მქონებელია.**

სქეს-კატეგორიების ნიშნების ჩამოშორების შემდგომ **ერთის** ალმნიშვნელ **ძირად სე დაგვრჩება.**

2. **ორი** დროთა განმავლობაში მხოლოდ ბოლოში შეცვლილა ოდნავ, რაც ანდიურს ყველა რიცხვით სახელებს ემჩნევა: წინათ **ჭებო** ყოფილა, ეხლა **ჭებუ**-ა. **ორის** ალმნიშვნელ **ფესვად** ორთავეს **ჭე** აქვთ. ეს ძირივეა ორი ათის ალმნიშვნელის 20-ის სახელშიც.

3. **სამი** XVIII წ. ჩანაწერით **ტობზო** ყოფილა, ეხლა-ო **ტლჸობგუ**-ა. **ზუ** დაბოლოების მოცილების შემდგომ, ძირად დაგვრჩება **ტობ** და **ტლჸობ**. უნდა ვიფიქროთ, რომ აქაც ბოლოკიდური **ბ** ძირისეული არ უნდა იყოს და ძირის ალსადგენად უნდა ჩამოშორებულ იქმნას. მაშინ **ტო** და **ტლჸო** რჩება, რომელიც, როგორც ვიცით, **ტხლჸო**-ს უდრის. უკანასკნელი ფორმა დიდოურის სამისას უდგება და, რაც იქ იყო ნათქვამი, აქაც იგივე უნდა ითქვას. მაგრამ XVIII ს. ჩანაწერში **ტაბ**-გო რომ გვაქვს, ეს თანამედროვე ლატერალური **ლჸ**-ს ბგერითს შესატყვისობის საკითხს ართულებს. მე-XIX ს. და თანამედროვე მკვლევართა სიტყვით, **ლჸ** დაახლოვებით ენის გვერდზე მობრუნებით გამოთქმული შერწყმული **ხლჸ** ბგერაა. **სამის** სახელში, როგორც უკვე ამავე რიცხვის მსგავსი დიდოურის სახელის განხილვის დროს გვქონდა ალნიშნული, **ხ** ბგერის არსებობა სრულებით კანონიერიცა და მოსალოდნელიც არის. მაგრამ XVIII ს. ჩანაწერში რომ **ტ** არის? შესცდა ჩამწერი და **ხ ტ**-დ მოესმა? ძნელი დასაჯერებელია, თავკიდური მკვეთრი **ტ** ვერ გაერჩია. პირიქით, უფრო მოსალოდნელია, რომ **ტხ**-ს, ანდა **ტჰ**-ს კომპლექსში **ხ** ანდა **ჰ** მის ყურთასმენას გამოჰპარვოდეს. ამიტომ იბადება საკითხი, მე-XVIII ს. აქ ხომ ლატერალური **ტჸ** არ იყო, რომელიც **ტლ**-ს კი არა, არამედ ისევე, როგორც ყაბარდოულშია, **ტხლჸ**-ს უდრიდა? თუ მართლაც ასე იყო, მაშინ 3-ს, **ტხლჸობ**-ის ანდა **ტჰლჸობ**-ის თავკიდური ბგერა ძირეულად საგულისხმებელი არ არის, არამედ ოდინდელი სქეს-კატეგორიის თავსართოვან შენაზრდად არის მისაჩნევი.

4. **ოთხი** გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს **ბოლოგო**-დ აქვს ჩაწერილი, თანამედროვე ცნობებით-კი **ოთხის** ოთხივე სქეს-კატეგორიის ფორმა იქნება **ვოყოგუ, ჲოყოგუ, ბოყოგუ, როყოგუ**. თუ ზემომოყვანილს რიცხვითს სახელებს ჩვეულებრივს საერთო დაბოლოებას ჩამოვაშორებთ, გვექმნება ერთი მხრით ძველი ჩანაწერის **ბოლო**, მეორე მხრით თანამედროვე **ვოყო, ჲოყო, ბოყო, როყო**. უნდა ალინიშნოს, რომ გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი გერმანული G-თი ღ ბგერასაც გამოხატავდა ხოლმე. ამიტომ გერმანულად ჩაწერილი **ბოგო**-ს მაგიერ ანდიურად შეიძლება **ბოღო** ვიგულისხმოთ. ადვილი მისახვედრია, რომ ეს უკანასკნელი

ფორმა თანამედროვე ანდიურის მესამე სქეს-კატეგორისს ᲑᲝᲧᲝ-ს უდრის. ამგვარად ირკვევა, რომ XVIII **ს. 4-ის ზოგად სახელად მე-3 სქეს-კატეგორიის ფორმა ყოფილა მიჩნეული.**

რაკი თავკიდური ვ, ჲ, ბ და რ მეტყველების სხვა ნაწილებში სქეს-კატეგორიების ნიშნებია, ცხადია, რომ აქაც იგივე დანიშნულება უნდა ჰქონდეთ და აქვთ კიდეც. მაგრამ **თანამედროვე ანდიურს სქეს-კატეგორიების ნიშნები თავსართადაც და ბოლოსართადაც მოეპოვება. 1-ის რიცხვითს სახელში, როგორც** დავრწმუნდით, **სქეს-კატეგორიის ნიშნები ბოლოშია** მოქცეული, **ოთხის სახელს-კი, პირიქით, თავსართოვანი სქეს-კატეგორიის ნიშნები აქვს.** ეს გარემოება ფრიად საყურადღებოა და ორი თვალთსაზრისით არის ჩვენთვის ძვირფასი: საფიქრებელია, რომ 4 **სქეს-კატეგორიის ნიშნები ოდესღაც დანარჩენ რიცხვებსაც ექმნებოდათ და რომ 1-საც. ეხლანდელი სქეს-კატეგორიების ბოლოსართოვანი ნიშნების მაგიერ, და დანარჩენებსაც ანდიურში თავდაპირველად თავსართოვანი ნიშნები ექმნებოდა.**

ყველა ზემონათქვამის შემდგომ **ანდიური 4-ის ძირად ᲝᲧᲝ და ᲝᲚᲝ გვრჩება.**

5 **ხუთი** XVIII ს. ჩანაწერის **ᲘᲨᲢᲣᲒᲝ** თანამედროვე **ᲘᲜᲨᲢᲣᲒᲣ**-საგან არსებითად არ განსხვავდება: მხოლოდ **ნ** აქვს **ი**-ს შემდგომ ზედმეტად ჩართული. მის ძირად **ᲘᲨᲢᲣ** უნდა მიგვეჩნია, მაგრამ **ორმოცდაათში, ᲘᲜᲢᲨᲣᲬᲝᲚᲒᲣ**-შიც, რომელიც ანდიურად **ხუთათხა** ნიშნავს, **ხუთი ᲘᲜᲢᲨᲣ**-ს სახითაც გვევლინება.

6 **ექვსი** XVIII ს. თუ **უინტლəეგო**-დ არის ჩაწერილი, ეხლა **ონტლəგუ** და **ონტლəიგუ**-ა. **ექვსი ათის** აღმნიშვნელს 60-ში, **ონტლəიწოლგუ**-შიც იგი **ონ̄ტლəი**-ს ფორმით არის წარმოდგენილი. ამგვარად **ძირად** გვექმნება **უინტლəე**, **ონტლəი** და **ონტლə**, რომელიც **ონტხლə**-ად გამოითქმის.

7. **შვიდი** დროთა განმავლობაში თითქმის არ შეცვლილა და, თუ 1773 წ. ჩანაწერში **ჰოტლოგო**-ა, ეხლაც **ჰოტლəუგუ** ყოფილა. ასევე გვევლინება 70-ში, **ჰოკლəუწოლგუ**-ში.

სანამ ამ რიცხვითი სახელის ძირის საკითხს შევუდგებოდეთ, უნდა **კლə** ბგერის გამოთქმას შევეხოთ. უ ს ლ ა რ ს ოთხი ლატერალური ბგერა აქვს ღუნძურსა და სხვა მსგავსსავე ენებში დასახელებული, რომელთაგან ერთს, ŋ-ს, იგი დაახლოვებით შერწყმული **ხლı**-ს შესატყვისობად სთვლიდა, მეორეს, ɣ̨-ს, შერწყმულისავე **ტლı**-ს შესატყვისობად, მესამეს, ŋ̃-ს, **ტლლı**-ს შესატყვისობადა და მეოთხესაც Ω **ტდლı**-ს შესატყვისობად (Авар. яз. 13). დ ი რ რ ს ეს ბგერები **ტ**-სა და ლ-ს, კ-სა და ლ-ს ენის მოგვერდულობით და შერწყმითვე გამოთქმულის შესატყვისობად მიაჩნია (Einführ., 29—30). ტ რ უ ბ ე ც კ ო ჲ ფიქრობს, რომ ეს ბგერები კ(გ,ხ)-ს ლ-დ გადანაცვლების პროცესის აღმბეჭდველია და **ტ**-ს ბგერას მათთან არავითარი კავშირი არა აქვს (Les consonnes latérales des langues caucasiques septentrionales: Bull. de la Soc. de Linguistique de Paris, წიგნი 23, გვ. 200: დირრის Einführ. 30—31). დ ჳ მ ე ზ ი ლ-ს-კი უბიხურში ორი-სამი ლატერალური **ლ** ბგერა აქვს აღნიშნული: ერთი ენის მოგვერდულობით გამოთქმული **ლ**-ს (fricative), მეორე შერწყმულ **ტ**-სა და ასეთსავე **ლ**-ს უდრის და მესამე ენის ოდნავ მოგვერდულობით გამოთქმული ორმაგი **ლლ** არისო (Etudes compar. 24)

ამ ბგერათა ნამდვილი ბუნების გამორკვევა მარტო თანამედროვე გამოთქმაზე-კი არ უნდა იყოს დამყარებული, არამედ იმ სიტყვათა, სადაც ასეთი ბგერები მოიპოვება, წარმოშობის ისტორიასა და შედარებითს შესწავლაზეც. თუ საკითხს ამ თვალთსაზრისით მიუდგებით, საყურადღებოა, რომ გულდენშტედტს შვიდის ანდიურს სახელში ტ მკაფიოდ გაუგონია და ჰოტლოგო ჩაუწერია. მაშასადამე, მე-XVIII ს. ტ გარკვევით ისმოდა. ამჟამად შვიდის სახელშიც ჰიტლიჲუ და დანარჩენი სქეს-კატეგორიის ფორმებისაშიც ხომ ტლ კომპლექსი ისმის ისევე, როგორც დიდოური შვიდის ჰიტლინო-შიც. ამიტომ ამ შერწყმულს ლატერალურ ბგერაში ტ-ს მონაწილეობის უარყოფა შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ ეს გარემოება უსლარსაც აქვს აღბეჭდილი.

მაგრამ შესაძლებელია წინანდელ დამკვირვებლებმა ტ-სა და ლ-ს შუა მოქცეულს სპირანტს ამ უაღრესად შერწყმულსა და თავისებურს, ბგერაში ყური ვერ მოჰკრეს. თუ თანამედროვე მკვლევარნი მის არსებობას იმდენად ადასტურებენ, რომ ზოგს ტ-ს არსებობის უარყოფაც-კი მიაჩნია საჭიროდ, ცხადია, რომ იგი უნდა ისმოდეს მაინც. ამასვე 7-ის სახელის პარალელებიც გვაფიქრებინებს სხვა ლეკურსა და მონათესავე ენებში, სადაც 7-ის სახელს სპირანტი უცილობლად, თანაც ტ-ს და ლ-სთან დაუკავშირებლივ, აქვს, როგორც მაგ. ჰუნძულურს ჲერჰიალ-ს, თაბასარანულს ურლურ-ს, ჯეკურს ძილყდ-ს, წახურს ძილირძ-ს, უდურს ვუღ-სა და ხინალუღურს ძიყი-ს. როგორც თავის ადგილას დავრწმუნდებით, შვიდის სახელს სპირანტი თავითგანვე უნდა ჰქონოდა. ყველა ამ მოსაზრების გამო, შვიდის ძირად ჰოტხლიუ, ანუ ჰოტლიუ-ა საგულისხმებელი.

8 რვაც ნაკლებ არის შეცვლილი: XVIII ს. ბეიტლეგო-ს თანამედროვე ბიჲტლიიგუ ეთანასწორება, რომელიც ბიჲტხლიიგუ-ს არსებობას გვაგულისხმებინებს. მათ ძირად ბეიტხლ, ანდა ბიჲტხლი გამოდის, უკანასკნელი ფორმით არის წარმოდგენილი ეს რიცხვითი სახელი რვა ათის აღმნიშვნელს 80-ის სახელ ბიჲტლიიწლაჲუ-შიც.

9. XVIII ს. ჩანაწერის ცხრა ურბჰანალ თანამედროვე ჰოჰოგუ-საგან თვალსაჩინოდ განსხვავდება და, თუ პირველის ძირად უნდა ურბჰან წარმოვიდგინოთ, მეორესთვის ჰოჰო გვექმნება. ამ უკანასკნელი სახით გვხვდება ცხრა ცხრა ათის აღმნიშვნელს 90-ში ჰოჰოწოლგუ-შიც. ურბჰანალ-ი სწოდებია 9-ს ავარულად, მე-XVIII ს., რომელსაც თანამედროვე ავარულის ურჰიმალ-ი უდრის. ამ უკანასკნელსაც ბ არ უჩანს და ისევე, როგორც ურჰიმალ წინანდელი ურბჰანალ-ის სახესხვაობაა, ეგების თანამედროვე ანდიური ჰოჰო-ც იმავე ურბჰანალ-ის ფონეტიკური სახენაცვალი იყოს?

10 ათი გულდენშტედტს ძაცალ-ად აქვს აღნიშნული. თანამედროვე ანდიურში ჰოწოგუ-ა. ამგვარად, XVIII ს. ჩანაწერისათვის ცთის ძირად თითქოს ძაც უნდა მივიჩნიოთ, თანამედროვისათვის-კი ჰოწო. რიცხვითს სახელებში 11—19-მდე ათი ამ უკანასკნელი სახითვეა, ან ჰოწოტლიი-დაა წარმოდგენილი, მაგრამ ყველა ათეულების სახელებში, ოცითგან მოყოლებული, ათი წოლგუ-დ გვევლინება და ძირისა, თუ ფუძითგან, წო აქვს მხოლოდ შერჩენილი, პირველი ჰო მარცვალი-კი გამქრალია.

აკუშური და ჰურკილური რიცხვითი სახელების განხილვის დროს, უკვე დავრწმუნდით, რომ მე-XVIII ს-ში ათხ აკუშურადაც ჲაცალ-ი ჰრქმევია, თანამედროვე ჰურკილურს-კი აქვს ჟიწალ. იქ აღნიშნული გვაქვს, რომ მათი თავკიდური ჲ და ჟ ძირეულად საგულისხმებელი არ არის და იგივე უნდა ითქვას ათის ანდიური ძველი სახელის თავკიდური ჲ-სა და თანამედროვეს ჰ-ზეც.

რაკი დანარჩენი ათეულებისა და საერთოდ ანდიური რიცხვითი სახელების თვლის სისტემაზე უკვე გვქონდა საუბარი, ამიტომ აქ 100-ისა და 1000-ის სახელებზე-ღა გვაქვს ორიოდე სიტყვა კიდევ სათქმელი.

100-ის სახელი ბეშოჳნუგოჳ მე-XVIII ს. შემდგომ არ შეცვლილა. გოჳ, ანუ გუ დაბოლოების ჩამოცლის შემდგომ, დაგვრჩება ბეშოჳნუ, მაგრამ აქამდე განხილულს რიცხვითს სახელებზე ნათქვამი ადვილად დაარწმუნებს ადამიანს, რომ არც 100-ს ანდიური სახელის თავკიდური ბ და მესამე ნუ მარცვალია ძირეული.

1000-ს სახელი ანდიურსაც სპარსული აქვს.

§ 13. ჭამალალური, ანუ ჰიჰატლური და ტინდალური, ანუ იდარსული რიცხვითი სახელები

ეს რიცხვითი სახელები ანდიურს რიცხვითს სახელებს მიაგვანან. ჰიჰატლურსაცა და ტინდალურსაც სამი სქეს-კატეგორია აქვთ, რომელთათვის ვ, ან უ, ი და ბ ნიშნები მოეპოვებათ, მაგრამ რიცხვითი სახელებითგან მხოლოდ ე რ თ ს-ღა გააჩნია სამივე სქეს-კატეგორიის ფორმა, ყველა დანარჩენებისთვისკი მხოლოდ თითო მოეპოვება. ჰიჰატლურსა და ტინდალურ ყველა ასეთ რიცხვებს და დაბოლოება აქვთ.

აი ორივე ენის თვით რიცხვითი სახელებიც.

ჭამალალური ანუ ჰიჰატლური თანამედროვე რიცხვითი სახელები.

1	სსეუ, სსეჲ, სსებ	20	ეჰაწადა
2	ეჰიდა	30	ტლიატლიაწადა
3	ტლიატლიადა	40	ბოგრწადა
4	ბოგრდა	50	ინსსოწადა
5	ინსსუდა	100	ბეჰან
6	ანტლიიდა	1000	აზალლა
7	აკლიუდა		
8	ბეკლიიდა		(Дирр. Мат. андо.-дид. груп. 54).
9	აჰადა		
10	აწადა		
11	აწალსსეუ		
12	აწალეჰიდა		
13	აწალტლიატლიადა		

ტინდალური, ანუ იდჷრჷსული რიცხვითი სახელები.

1 სჷეუ, სჷეჲ, სჷებ	20 კჷა̆წადა
2 კჷედა	31 კა̆წაჴოსჷეუ
3 ტლჷაბდა	30 ტლჷაბაწადა
4 ბჷგოდა	40 ბოგოწადა
5 ინშტუდა	50 ინშტუწადა
6 ინკლჷიდა	60 ინკლჷაწადა
7 ჰაკლჷუდა	70 ჰაკლჷუაწადა
8 ბიკლჷიდა	80 ბიკლჷუ̆აწადა
9 ჰაჴუ̆ადა	90 ჰაჴუ̆აწადა
10 ჰაწადა	100 ბეჰენდა
11 ჰაწალასჷეუ	1000 აზარდა.
12 ჰაწალაკჷედა	(Дирр, Мат. андо.-дид. груп. ნ9).

ლეგური ენების, მეტადრე-კი ანდიური რიცხვითი სახელების ზემომოყვანილი ანალიზის შემდგომ, ჰიჰატლური და ტინდალური რიცხვითი სახელების დაწვრილებითი განხილვა ზედმეტი იქნებოდა, რათგან არსებითად ამ უკანასკნელის ფონეტ. სახესხვაობას წარმოადგენს. განსხვავებას მხოლოდ ტინდალურის ორის სახელი კჷედა და ოცის კჷა̆წადა შეადგენს, რომელთა ფორმა და ძირი ღოდობერული, კარატული, ყუანადური, ბუდუხური და ახვახური ორისას უდგება.

ორივე ენის რიცხვითი სახელები ათობითი სისტემისაა.

§ 14. ყაფუჩური და ხვარშულ-ინხოკარული რიცხვითი სახელები.

ხვარშულ-ინხოკარულს 4 სქეს-კატეგორია აქვს (1—უ, 2—ჲ, 3—ბ და 4—ლ, ანდა შუაში რ), მაგრამ **რიცხვითი სახელების მხოლოდ თითო ფორმა მოეპოვება.**

ყაფუჩურს, ანუ ბეჟიტლურსაც 4 სქეს-კატეგორია აბადია, მაგრამ 1 სქეს-კატეგორიის ნიშნად არაფერი უჩანს, მე-2 და მე-3 სქეს-კატეგორიებს-კი ერთი-და-იგივე ბგერა **ჲ** აქვთ, ხოლო მე-4-ისათვის—**ბ.**

ორსავე ენას **სქეს-კატეგორიების ნიშნები თავსართების სახით** აქვს, მაგრამ რიცხვითი სახელების მარტო თითო-თითო ფორმა მოეპოვებათ.

აი თვით რიცხვითი სახელებიც.

ყაპუჩური, ანუ ბეჟიტლური რიცხვითი სახელები.

1	ჰოს	20	ყონა
2	ყონა	21	ყონაჰოს
3	ტლიანა	30	ტლიანაიგ, ყონააწონა
4	გრყონა	40	გრყანაჲიგ
5	ტლიინა	50	ტლიინაიგ
6	იტლინა	60	იტლინაიგ
7	ატლინა	70	ატლინაიგ
8	ბეტლინა	80	ბეტლინაიგ
9	აჭენა	90	აჭენაიგ
10	აწონა	100	(ჰოს) ჭიტი.
11	აწონაჰოს		
12	აწონაყონა		

(Дирр. Мато. анд.-дид. груп. 82).

ხვარშულ-ინხოკარული რიცხვითი სახელები.

ინხოკარ.	ხვარშ.			
1 ჰოს,	ჰõს	20	კუნუ,	კუნ
2 კუნე́,	კუნი	30	კუნყოთცია,	კუნაცია
3 ჰიჴნა,	ტლიონა	40	კუნეკუ,	კუნიკუ
4 უიყე,	უიყენ	50	იშტჭაცია,	კუნიკუუცია
5 ტლიენა,	ტლიენა	60	ინტლიაცია,	ტლიონაკუ-
6 ეიტლი,	ეიტლია	70	ჰაკლუიაცია,	ტლიონაკუ უციან
7 ოტლი,	ოკლია	80	ბიტლიაცია,	?
8 ბატლი,	ბაკლია	90	ჰაჭჭაცია,	?
9 ოიჩიე,	უჩინ	100	ბეშონ,	ბეშონუ
10 ონცია,	უციჭან	1000	აზარ,	აზარ
11 ოციონჰოს	უციჭაჰას			
12 ოციჴნკუნე,	ოციჭაკუნი			

(Дирр. Мат. андо.—дид. груп. 65).

ყაფუჩურისა და ხვარშული რიცხვითი სახელების მსგავსება ცხადია. მათ საერთო თვისებასაც ის შეადგენს, რომ პირველი ათეულის რიცხვითს სახელებს

ერთს გარდა, ყველას ბოლოში ႬႠ მარცვალი ერთვის უბრალო დაბოლოების მსგავსად.

ამ ორი ენის რიცხვითი სახელები სხვებზე უფრო მეტად არჭულისას უდგება, სახელდობრ, მის მეორე სქეს-კატეგორიის ფორმებს.

საყურადღებოა ყაფუჩური 2-ი ႷႭႬႠ თავისი ႷႭ ძირით და ოცის სახელი **ႷႭႬႠ, რომელიც ო რ ი ს სახელს შეიცავს მხოლოდ და რომელსაც 10-ის აღმნიშვნელი თავისი მეორე ნაწილი დაუკარგავს.**

თვლის ათობითი სისტემა ყაფუჩურს კარგად აქვს დაცული, რომელშიც **ასის** სახელიც-კი თავდაპირველად **ათი ათის** აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, ხვარშულს-კი ოცობითი სისტემაც აქვს შეთვისებული. მაგრამ 60-ის, 70 და 80-ის სახელები 6 ათის, 7 ათისა და 8 ათის აღმნიშვნელებია და ეს გარემოება ამჟღავნებს, რომ ოცობითი სისტემა აქაც მეორადი მოვლენაა.

ზემონათქვამზე უფრო საყურადღებო საკითხის გამორკვევაც შეიძლება. საკმარისია **ოთხის** ყაფუჩური სახელი **გოყონა ორის** სახელს ႷႭႬႠ-ს შეადაროთ, რომ **4-ის სახელის ორნაწილედი აღნაგობა ცხადი შეიქმნეს: მისი მეორე ნაწილი ႷႭႬႠ-ა, ორის აღმნიშვნელი.** ამის შემდეგ თავისდა-თავად ირკვევა, რომ **4-ის სახელის პირველი ნაწილის გო-ც შესაძლებელია მხოლოდ ო რ ი ს ა ვ ე აღმნიშვნელი იყოს.** ცხადია, რომ გ ამ შემთხვევაში თავდაპირველი ყ-ს მერმინდელს შენაცვლებას წარმოადგენს. მაშასადამე, **4-ის ერთი სქეს-კატეგორიის ფორმათაგანი ყაფუჩურად თავდაპირველად ႭႰႨ ႭႰႨႱ აღმნიშვნელი ႷႭႷႭႬႠ.**

საყურადღებოა, რომ ყაფუჩურადვე **სამს ტლიანა** ეწოდება, **ხუთს**-კი **ტლიინა**. ამ სახელების თითქმის სრული იგივეობა შესაძლებელია მხოლოდ იმით აიხსნას, რომ **ხუთის სახელიც თავდაპირველად ორნაწილედი სიტყვა იქმნებოდა და ႭႰႨ ႱႠႫႨႱ, ანდა ႱႠႫႨ ႭႰႨႱ სახელების შეერთებით გამოიხატებოდა.** დროთა განმავლობაში **ორის** აღმნიშვნელი ნაწილის ჩამოცლამ **ხუთის** სახელი **სამისას** ისე დაამსგავსა, რომ მათი განრჩევისათვის ა ხმოვნის ი-დ შენაცვლება აუცილებელი გამხდარა.

მაშასადამე, ზემოაღნიშნულითგან ცხადი ხდება, რომ **არამც თუ ყაფუჩურისა და ხვარშულ-ინხოკ რული რიცხვითი სახელების სისტემა ათობითი იყო წინათ, არამედ რომ პირველი ათეულის ერთეულების სახელებიც-კი სამითგან მოყოლებული რთული აგებულების ყოფილან.**

§ 15. უდური რიცხვითი სახელები

ალმ. ამიერკავკასიის ალბანურ ენათაგან გადარჩენილი უდური **ამჟამად სრულებით უსქეს-კატეგორიო** ენაა, **მაგრამ,** როგორც დავრწმუნდით, **გრამ. სქეს-კატეგორიები წინათ მასაც ჰქონია.** ამის კვალი ოდნავ რიცხვითს სახელებსაც ემჩნევა იმისდა მიუხედავად, რომ უდური რიცხვითი სახელები ძალიან გაცვეთილი ჩანან.

როდესაც მკითხველი უდური რიცხვითი სახელების განხილვას შეუდგება, მას **ჩრდ.-კავკასიის ყველა ენების** რიცხვითი სახელების ანალიზი ეცოდინება

და ამის წყალობით იმ მჭიდრო ნათესაობას, რომელიც მათ შორის არსებობს. მაშინვე შეამჩნევს

აი უდური რიცხვითი სახელებიც.

უდური რიცხვითი სახელები.

1	სა	19	ვუჲეწსე
2	პგა, პა	20	ყა
3	ხიბ	21	საყოსა
4	ბიპ	22	საყოპგა
5	ყო	30	საყოვიწ
6	უკ	31	საყოსაწსე
7	ვუღ	40	პგაყო
8	მუღ	41	პგაყოსა
9	ვუჲ	50	პგაყოვიწ
10	ვიწ	51	პგაყოსაწსე
11	საწსე	60	ხიბყო
12	პგაწსე	70	ხიბყოვიც
13	ხიბეწსე	80	ბიპყო
14	ბიპეწსე	90	ბიპყოვიც
15	ყოწსე	100	ბაჩ, საბაჩ
16	უკეწსე	200	პგაბაჩ
17	ვუღეწსე	300	ხიბბაჩ
18	მუღეწსე	1000	ჰაზარ

(Дирр, Грам. удинск. яз. 92).

უდური რიცხვითი სახელები, ორიოდე გამონაკლისს გარდა, უსქეს-კატეგორიო ნიშნებით არიან წარმოდგენილი. მაგრამ ზოგიერთს ძველი სქეს-კატეგორიის ნიშნები, როგორც შემდეგ გამორკვეული იქნება, მაინც შენაზრდის სახით შერჩენია და ეს გარემოება ამტკიცებს, რომ უდურსაც, იმისდა მიუხედავად. რომ ეხლა სრულებით უსქეს-კატეგორიო ენაა, წინათ სქეს-კატეგორიები ჰქონია.

უდური თანამედროვე თვლა ათობით-ოცობით სისტემის აგებულობის მქონებელია. მაგრამ თავდაპირველად, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, საქმე ასე არ უნდა ყოფილიყო.

1. **ერთი ႱႠ** წმინდა ძირის სახით არის დაცული და რთულ რიცხვებშიაც ასევეა ყოველთვის წარმოდგენილი.

2. **ორს** ებლა პგა̀-ს უწოდებენ. 12-შიც ამ სახითვე გვხვდება. საფიქრებელია, რომ თავკიდური პ აქ ბ სქეს-კატეგორიის მონაცვალე შეზრდილი თავსართია და **ორიხათვის** ძირად ებლა გა უნდა იქნეს მიჩნეული.

მაგრამ **ოცი** ხომ ებლაც ႷႠ არის, ხოლო **ორმოცსა, სამოცსა და ოთხმოცში ႮႢႠႷႭ, ႾႨႡႷႭ,** და **ႡႨႮႷႭ**-ში უკვე ႷႭ-ს **სახით არის წარმოდგენილი. ოცის** თანამედროვე უდური სახელი ႷႠ სრულად არ უნდა იყოს დაცული, არამედ ბოლოშეკვეცილია: წინათ **ოცი** ან ႷႠႼ-ი, ან მისი მსგავსი, ე. ი. ბოლოში **ათის** ალმნიშვნელი ძირის მქონებელი ფორმა იქმნებოდა და მაშინ თავში მოქცეული ႷႠ მხოლოდ **ორის** გამომხატველი უნდა ყოფილიყო. ხოლო, რაკი ოცობით სისტემით ნაწარმოებს ათეულების სახელებში ოცი ႷႭ-ს სახით არის შენახული, ეს იმის მაჩვენებელია, რომ **ჯერ კიდევ ოცობითი თვლის სისტემის შემოღების დროსაც-კი ႭႰႨႱ ალმნიშვნელი ძირი ႷႭ ყოფილა.**

მაშასადამე ⴓⴃⴓⴐⴀⴃ **ႭႰႨ თავდაპირველად ႷႭ ყოფილა,** შემდეგ ႷႠ-დ **ქცეულა და სულ ბოლოს ႢႠ-დ.**

ცხადია, რომ **წინათ უდური თვლაც მთლიანად ათობით სისტემაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული და** 40, 50, 60 **და დანარჩენი ათეულებისთვისაც** ებლანდელისაგან განსხვავებული სახელები იქმნებოდა.

3. **სამს** ⴓⴃⴓⴐⴀⴃ ეწოდება **ႾႨႡ. ცამეტში** და **სამოცშიაც** 3 ასევე შენახული. საფიქრებელია რომ ბ აქ ძირისეული არ არის და **სქეს-კატეგორიის ბოლოსართია.** ამიტომ **ႱႠႫႨႱ ალმნიშვნელ ძირად ႾႨ გამოდის.**

4. **ოთხი** ⴓⴃⴓⴐⴀⴃ **ႡႨႮ** იქმნება და ამ სახითვეა ეს რიცხვი 14-სა და **ოთხმოცშიაც** წარმოდგენილი.

5. **ხუთი** ებლა ႷႭ-ა ცალკეც და 15-**შიც, იგივე, რაც წინათ ႭႰႨႱ სახელი ყოფილა: ეს 5-ის სახელის 2+3-ისაგან შედგენილობას ამჟღავნებს.**

6. **ექვსს** ცალკე ႳႩ ეწოდება და თექვსმეტშიაც ႳႩ-ის სახით გვევლინება.

7. **შვიდი** ცალკეც და 17-შიაც ႥႳႶ-ია.

8. **რვაც** ცალკეცა და 18-შიაც ႫႳႶ-ია.

9. **ცხრა**—ႥႳႢ

10. **ათი**—ႥႨႼ. 11—19-ში **ათი** მხოლოდ Ⴜ ბგერით, ანდა ႤႼ-ის სახით გვევლინება, ხოლო 70-სა და 90-ში ႥႨႺ-ად ისმის. საფიქრებელია, რომ ႥႨႺ-ის და ႥႨႼ-ის თავკიდური **ვ სქეს-კატეგორიის შეზრდილი ნიშანია და ძირად ႨႺ-ია.**

ყველაფერი, რის თქმაც უდური რიცხვითი სახელების აწინდელი და წინანდელი სისტემის შესახებ ამჟამად შეიძლება, უკვე ნათქვამი გვაქვს, ამიტომ აქ მხოლოდ 100-ისა და 1000-ს სახელები-ღა გვაქვს განსახილველი.

100-ის უდური სახელის **ბა̈ჩ-ის თავკიდური ბ**-ც **ძირეული არ არის, ძირი ა̈ჩ**-ია. ამავე რიცხვის მეორე სახელი **საბა̈ჩ** ორი ნაწილისაგან შესდგება, რომელთაგან პირველი **ႱႠ ერთსა** ნიშნავს, მეორე **ბა̈ჩ**-კი 100-ს, ე.ი. **ერთი ასეულის** გამომხატველი გამონათქვამია. 1000-ს სახელი უდურსაც სპარსული აქვს.

§ 16. ლეგური და ალბანური ენების რიცხვითი სახელების ზოგადი თვისებები.

ლეგური და ალბანური ენების რიცხვითი სახელების გულდასმითმა ცალ-ცალკეულმა შესწავლამ ბევრი გარემოების გათვალისწინების საშუალება მოგვცა. დროა ყველა ასეთ მონაპოვარს თავი მოუყაროთ და მათი ზოგადი თვისებების გამორკვევა და დახასიათება ვცადოთ.

ლეგური ენების მრავალნაირი რიცხვითი სახელების შესწავლა ბევრის მხრით არის საყურადღებო და მნიშვნელოვანი. აქ, რიცხვითი სახელების ცხადს ნათესაობასთან ერთად, მათ ბგერათა იმოდენა ნაირნაირობა გვაქვს, რომ მარტო ამ მასალითაც ბგერათა შენაცვლების გამორკვევა შეიძლება. მაგრამ, თუ ასეთი საკითხის შესწავლა ვისმე მოუსურვებია, ჩვეულებრივ რიცხვითს სახელებს ერთმანერთს მექანიკურად ადარებდა, უანალიზოდ, ძირეული ნაწილისა და ფორმანტების გაუთვალისწინებლივ. მაგ. შესაძლებელია ნ. ტ რ უ ბ ე ც კ ო ი-ს პატარა გამოკვლევა „ჩრდილო კავკასიის სიტყვათა შესატყვისობანი", „Nordkaukasische Wortgleichungen" (იხ. Wiener Zeitschr. für die Morgenlandes, XXXVII Band, 1 u. 2 Heft 1930 წ. გვ. 76—92), ან თვით G. Dumézil-ის შედარებითი გამოკვლევაც-კი ჩრდილო დასავლური კავკასიური ენების, რომელნიც საერთოდ საგულისხმო ნაშრომებს წარმოადგენენ. რა თქმა უნდა, სიტყვებისა და რიცხვითი სახელების ასე შედარება არც მართებულია და არც შეიძლება. ამ გზით მოპოვებული შედეგიც ცხადია ყოველთვის სწორე არ იქნება.

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ **რიცხვითი სახელების ანალიზმა ყველა აწ უსქეს-კატეგორიო ენებშიც წინათ სქეს-კატეგორიების არსებობა უცილობლად გამოამჟღავნა. ამის შემდგომ ცხადი შეიქმნა, რომ ისევე, როგორც სქესკატეგორიანს ენებში რიცხვითი სახელების ფორმანტებსა და ძირს ერთმანეთისაგან ვარჩევთ, ამნაირადვე, სანამ შედარებითს შესწავლას დავიწყებდეთ, აწ უკვე უსქეს-კატეგორიო ენების რიცხვითს სახელებსაც უნდა წინასწარ შეზრდილი ფორმანტები ჩამოვაშოროთ ხოლმე.**

ცალ-ცალკეული ანალიზის გადაკითხვა ადამიანს დაარწმუნებდა, რომ **ბევრ ენას ერთ-ერთი სქეს-კატეგორიის ნიშანი რიცხვითი სახელების ზოგად დაბოლოებად უქცევია, მაგრამ ზოგ ენას რამდენიმე დაბოლოება მოეპოვება, სხვადასხვანაირიც-კი.**

ყველაზე უფრო საყურადღებოა, რომ **თავსართოვანი სქეს-კატეგორიების შენაზრდი ნიშნებიც იშვიათი არ ყოფილა**, რამაც ცხად-ჰყო, **რომ თავდაპირველად სქეს-კატეგორიები ყველა ენებს თავსართებად ჰქონიათ.**

ლეგური ენების რიცხვითი სახელების საარაკო ნაირნაირობის ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზთაგანი სწორედ სქეს-კატეგორიების ოდინდელი არსებობისა კვალი, შეზრდილობა, ჰქმნის და სწორედ ამ გარემოების გაუთვალისწინებლობა მკვლევართ საშუალებას არ აძლევდა რიცხვითი სახელების არსებითი, ძირეული ნაწილი ფორმანტებისაგან გამოეყოთ და ერთმანერთთან ის შეედარებინათ, რაც შესადარებელია.

ყველა ამ გარემოებათა გათვალისწინებამ რიცხვითი სახელების ძირების ცალკეულად გამორკვევაც შეგვაძლებინა და ეხლა მათ უკვე ზოგადს განხილვასაც უნდა შევუდგეთ.

I. ლეგური ყველა ენების **ერთის** სახელები უნდა სამ ჯგუფად გაიყოს.

ერთს ჯგუფს ამ რიცხვითი სახელის ძირად ც თანხმოვანი აქვს. ამ ჯგუფს ღუმუქურის **ცა-ვა, ცა-რა** და **ცა ბა**, — აკუშურისა და ჭირაღურის **ცა-ჶა-ლ. ცა-რა**, — ყუანადურის **ც°ე-უ, ც°ე-ა** და **ც°ე-ბ**, — ხუნძურისა, ანწუხურის და ჭარულის **ცო, ცო** და დიდოურის მე-XVIII ს. ფორმა **ცი-ხ** ეკუთვნის. ამ რვა ენის **ერთის** სახელი ერთმანერთისაგან მხოლოდ ძირეული თანხმოვნის ახმოვნებითა და სქესკატეგორიების ნიშნითა, თუ დაბოლოებით განირჩევა.

მეორე ჯგუფს ლეგურ ენებში მხოლოდ ერთი წარმომადგენელი მოეპოვება, რომელსაც **ერთის** ძირეულ თანხმოვნებად **წ** აქვს. ამ ჯგუფს ბოთლიხურის **წე-ვ(ი), წე-ა** და **წე-ბ(ი)** ეკუთვნის.

მესამე ჯგუფი მრავალრიცხოვანია. ამ ჯგუფს **ერთის** ძირეულ თანხმოვნად **ს** აქვს. ამ ჯგუფს ეკუთვნის: წახურულის **სა-რ, სა-ბ** და **სა-დ**, — თაბასარანულის **სა-რ** და **სა-ბ, სა-ა-ც**, რუთულურის **სა** და **სა-დ, სა-რ** და **საბ**, — კურულისა და აღულურის **სა-დ**, ყუბაჩურის **სჰა**, — ბუდუხურისა და ხინალუღურის **სა**, — ჯეკურის **ხ°ად** და **ს°აბ**, უდურის **სა**, არჩულის **ოსს** და **სე-ა-ჶუ, სე-ა-რუ, სე-ა-ბუ** და **სე-ა-ტ°უ**, ისევე, როგორც ანდიურის **სსე-ჶ, სსე-ა, სსე-ბ** და **სსე-რ**.

ცხადია, რომ **ერთის** სახელის ძირის ეს სამი თანხმოვანი ოდესღაც ერთი თანხმოვანითგან უნდა იყოს გაჩენილი. დროთა განმავლობაში მომხდარი შენაცვლების წყალობით ამ სამთაგან უფრო **ც** და **ს** არის საყურადღებო, რათგან **წ** მხოლოდ ერთს მოეპოვება. თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ დიდოურს **ერთის** სახელად ჰქონია **ცის**, ეხლა-კი არის უკვე **სის**, მაშინ ცხადი გახდება, რომ **ერთის Ც-ძირიანი ფორმები ს-ძირიანებზე უფრო ძველი უნდა იყოს.**

II. ლეგური და ალბანური ენების **ორის** სახელიც შესაძლებელია რამდენიმე ჯგუფად გავყოთ, თუ ასეთი დაყოფვის საფუძლად ძირის თანხმოვანს მივიჩნევთ.

ერთს **ჯგუფს ႭႰႨႱ** ძირეულ თანხმოვანად **ყ** აქვს, ანდა ჰქონდა ძველად. ამ ჯგუფს ეკუთვნის თაბასარანულის **ყო̈-რ** და **ყო̈-ბა**, — წახურული **ყო̈-ა-რა̈, ყო̈-ბ-ლა̈, ყო̈-დ-ლა̈** და **ყა-ბ-ლა, ყა-ლ-ლა̈**, — არჩულის **ყჶე-ჶუ** და სხვ., **ყ°ო** (21 და 22-ში), **ყ°ეა-ჶუ**(20-ში), — აკუშურის **ყუი-ალ**, — ღუმუქურის XVIII ს. **ყუა** და თანამედროვე **ყუ-ვა, ყუ-რა** და **ყუ-ბა** (20-ში), — კურულის **ყჶე-დ**, — რუთულურის **ყა-დ, ყა-რ** და **ყა-ბ** (20-ში), დიდოურის **ყა̈-ნო, ყა-ა** (12-ში), **ყუ** (20-ში).

მეორე ჯგუფს ძირეულ თანხმოვნად **კ** ბგერა აქვს. თანამედროვე ლეგურ ენებში ამ ჯგუფის წარმომადგენლად მხოლოდ ჯეკურის **კჶა-დ** და **კა-ლა** დარჩა, მაგრამ წინათ კიდევ სამ ენას, რომელთაც ძირეულ თანხმოვანად ეხლა **კ** აქვთ, ჰქონია (ბუდუხურს, ხინალუღურსა და ხვარშულ-ინხოყვარულს). აღსანიშნავია, რომ დიდოურს, რომელსაც 2-ისთვის ცალკეულ სახელად **ყა̈-ნო** მოეპოვება, **ოცის** სახელში 2 **კუ-დ** აქვს დაცული.

მესამე ჯგუფად შესაძლებელია **ორის** ძირეულად **ლ** და **გ**-ს მქონებელი ენები გამოვყოთ. ამ ჯგუფს წინათ ჰურკილური ეკუთვნებია, რომელსაც ცალკეული **ორისათვის** ეხლა თუმცა **კოჶელ-ი** აქვს, მაგრამ 20-ის სახელში **ლა-ლ**-ში **ორს** **ლა** გამოჰხატავს. ყუმუხურსაც, როგორც 20-ის სახელითგანვე ჩანს, 2-ის სახელად **ლა** ჰქონია. ამ ჯგუფსვე ეკუთვნის თანამედროვე აღულურის **გოჲ-დ** და უდურის **პ-გა**.

მესამე ჯგუფს ორის ძირეულ ბგერად **კჲ**, ან **კკ**, **კხ**, თუ მარტივი **კ** მოეპოვება. ამ ჯგუფისაა თანამედროვე რუთულურის **კკჶე დ**, **კკჶე-რ** და **კკჶე-ბ**,— თანამედროვე ყუმუხურის **კოჶე**, — ხინალუღურის **კოუ**, — ბუდუხურის **კჲა-დ**, — აღულურის 20-ში დაცული წინანდელი **კხა-დ**, ბოთლიხურის **კიჲ-და**, — ყუანადურის **კიჲ-რა** და თანამედროვე ხუნძურის **კი-გო**.

მეოთხედ შესაძლებელია აკუშურის **ორის** ძირეული თანხმოვანის გაასპირატება მივიჩნიოთ, რის მაგალითიც 20-ის აკუშურ XVIII ს. სახელში **ჰჶაჲ-ალ**-ში მოგვეპოვება.

დასასრულ, ერთ ენას, ანდიურს, **ორის** ძირეულ თანხმოვნად **ჰ** ჰქონდა XVIII ს.-შიც და ეხლაცა აქვს: **ჰე-გო**, **ჰე გუ**.

უეჭველია, **ორის** ძირეული ბგერის ასეთი ნაირნაირობა მერმინდელი მოვლენა უნდა იყოს და ამიტომაც გამოსარკვევია, თუ რომელი მათგანი უნდა იყოს ამ რიცხვის ძირის თავდაპირველ თანხმოვანი. ამის საშუალებას იმ რთული რიცხვითი სახელების დაკვირვება გვ ძლევს, რომლებშიც **ორის** სახელი შედის და სადაც მისი ძველი სახეა დაცული. თავის ალაგას უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ერთეულების სახელების კიდურები, ხშირი ხმარების გამო, უფრო ადვილად და სწრაფად იცვლება ხოლმე, დიდი რიცხვეპისა-კი, ნაკლები, იშვიათი ხმარების წყალობით, უკეთესად არის ხოლმე დაცული.

თუ საკითხს ამ გზით მოუვლით და ამ თვალსაზრისით შევხედავთ, ირკვევა, რომ 1. ხუნძურს და ჭარულის, რომელთაც 2-ის სახელად **კიგო** აქვთ, წინათ, როგორც 20 ისა და 81-ის სახელებითგან ჩანს, **ყო-გო** და **ყო-რ** ჰქონიათ. 2. რუთულურსაც ეხლანდელი **კოჶე-დ**, **კოჶე-რ** და **კოჶე-ბ**-ის მაგიერ, როგორც 20-ის სახელი ამჟღავნებს, **ყა-ბ**, **ყა-რ** და **ყა-დ** ჰქონია. 3. უდურსაც თანამედროვე **პ-გა**-ს ძირის წინამორბედს 20-ის სახელს **ყა**-ს, მეტადრე-კი 21-ის **სა-ყო-სა-ს** და **ორმოცის**, **სამოცის** და **ოთხმოცის** სახელებში შენახულს **ყო**-ს დაუცავს. 4. ბუდუხურსაც, თუ ეხლა **კჲა-დ** აქვს, 20-ის მიხედვით წინათ **ყა** ჰქონია,— ხინალუღურსაც **კოუ**-ს მაგიერ **ყა** (20-ში) ჰქონია.

ასეთი მაგალითების მოყვანა კიდევაც შეიძლება, მაგრამ ზემომოყვანილიც სრულებით საკმარისი უნდა იყოს იმის ცხად-საყოფელად, რომ **ორის ძირეული ბგერა თავდაპირველად ყ ყოფილა და კ, ლ, კჲ, კ ან გ შენაცვლების გზით არის გაჩენილი**.

III. ლეკურსა და ალბანურს ენებში **სამის** სახელის სულ ექვსი სახესხვაობა არსებობს.

სახესხვაობის **ერთს ჯგუფს** ძირეულ ბგერად **ხ** აქვს. ამ ჯგუფს ეკუთვნის ჭარულის XVIII ს. **ხა-ბ-გო** და **ხა-ბ** (სამოც-ში), — ჭარულის სამოცდაერთ-ში დაცული **ხა-ბ** (XVIII ს.) და თანამედროვე უდური **ხი-ბ**.

მეორე ჯგუფს ძირეულ ბგერად **ჰ** აქვს. ამ ჯგუფისაა ახვახურისა და კარატინულის **ჰის-ტა-ლ**, —ბოთლიხურის **ჰა-ბუ-და** და ყვანადურის **ჰა-ბ-და**, —წახურის **ჰებ-ბიძ-რა, ჰებ-ბ-ლა** და **ჰე-ბი-ლლა**, — აღულურის **ჰი-ბუ-დ**, —რუთულურის **ჰი-ბურ, ჰი-ბუ-დ, ჰი-ბუ** და **ჰი-ბ**.

მესამე ჯგუფს ძირეულ ბგერად **შ** აქვს. ამ ჯგუფს ლაკურის XVIII ს. **შა-ბ-გო**, — ღოდობერიულის **შა-მ-ბა** (XVIII ს.) და **შა ნ-ვა, შა მა, შა-ნ-ბა** და **შა-ნ-და** (თანამედრ.), — ხინალუღურის **პ-შოა**, — თაბასარანულის **შიბბურ,-ბ** და ბუდუხურის **ში-ბუ-დ** მიეკუთვნება.

მეოთხე ჯგუფად შესაძლებელია ძირეულ ბგერად **ში**-სა და **ს**-ს მქონებელნი გამოვყოთ. მათი ერთი ჯგუფისად მიჩნევა არავის გაუკვირდება, თუ გაიხსენებს, რომ **ში** საშუალო, **შ**-სა და **ს** შუა გარდამავალი ბგერაა. ამ ჯგუფს ეკუთვნის ჯეკურის **ჩი-ბუ-დ** და **ჩი-ბუ-ბ**, — თაბასარანულის **ში-ბბუ ბ**, რომელსაც ვე-ში **სამის** აღმნიშვნელად აქვს **სიმ**, და XVIII ს. დიდოურის **სო ნ-ნო**.

მეხუთე ჯგუფს სამის გამომხატველად ლატერალური ბგერა **ტხლი** უჩანს. ამ ჯგუფს ხუნძურის **ტხლაბ-გო**,—არჩიულის **ტხლიბა-ჟუ** და დანარჩ.,—თანამ. ჭამალურის **ტხლონ-ნო** და **ტხლია-ნო** (60-ში); — დასასრულ თანამ. ანდიურის **ტხლონ-ბ-გუ**. განმარტოებულია კურინულის **პუდ** და ყუბაჩურის **გრვ**.

აქაც უმალ **სამის** ძირის ამ ნაირნაირობისა და ურთიერთშორისი დამოკიდებულების საკითხი იბადება. საფიქრებელია, რომ ერთი მათგანი სხვებზე ადრინდელი იყოს. ყველაზე ადრინდელ სახესხვაობად **ხ** ბგერიანი უნდა იქმნეს მიჩნეული. მას, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის კიდურებზე მცხოვრებთა ენის **ხ**-ბგერიანი სამიც ადასტურებს და **ჰ**-ბგერიანი ჯგუფის მრავალრიცხოვანობაც, რათგან ცხადია, რომ უკანასკნელი პირველის უაასპირატებულს სახესხვაობას წარმოადგენს. დასასრულ, როგორც თავ-თავის ადგილას აღნიშნული გვქონდა, ლატერალური **ტლი**-ბგერიანი ძირებიც ხომ **ტხლ**-ს უდრის, რომლის **ტ** ძირეული არ არის, არამედ სქეს-კატეგორიის ნიშნის შენაზრდია. მაშასადამე, ლატერალური ბგერიანი ძირის ჯგუფიც არსებითად **ხ**-ბგერიანსვე ეკუთვნის.

შ და **ში**-ბგერიანი ჯგუფები, ცხადია, **ხ**-ბგერიანის შენაცვლებაა ისევე, როგორც **ს**-ბგერიანიც **შ**-ბგერიანისაა.

დასასრულ კურინულის **პუდ**-ს, როგორც თავის ადგილას აღნიშნული გვქონდა, აღულურში სამის **ჰიბუდ**-ის მსგავსი ფორმის მხოლოდ მეორე, **ბუდ**, ნაწილის ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს. მას, მაშასადამე, ძირი მთლიანად აქვს დაკარგული და მხოლოდ სქეს-კატეგორიის შენაზრდი და დაბოლოება შეუნარჩუნებია, რომელსაც ამ გზით ძირის ფუნქცია დაჰკისრებია.

ყუბაჩური **სამის გრ-ვ**-ის თავკიდური **გ**-ს სადაურობა ძნელი გამოსარკვევია.

ამგვარად **სამის ძირად უნდა ხა** და **ხო** ვიცნათ.

VI. **ოთხითგან** მოყოლებული რიცხვითი სახელების ანალიზი უკვე რთულდება და ამის გამო კიდევაც ძნელი ხდება, მაგრამ სწორედ ამიტომაც უფრო საყურადღებო და საინტერესოა.

ოთხის სახელსაც ძირისა თუ ფუძის ნაირნაირობა ეტყობა, მაგრამ მაინც რამდენიმე ჯგუფის გამოყოფვა აქაც შეიძლება.

ერთ ჯგუფს ეკუთვნის რუთულურის **ჲუყუ-დ, ჲუყუ-რ** და **ჲუყუ-ბ**, რომელსაც **ოთხი ათის** აღმნიშვნელს 40-ში ამ სახელის პირველი ნაწილი **ჲოლ-ად** ე. ი. ყ უკვე ლ-დ აქვს შენაცვლებული, — წახურულის **ჲოყე-ჲ-რა, ჲოყუ-ბ-ლა** და **ჲოყგ-ლლა**, რთულ რიცხვით სახელებში მხოლოდ პირველი **ჲოყ** ნაწილია წარმოდგენილი, — თაბასარანულის **ჲარყუ-რ, ჲაბყუ-რ** და **ჲაყუ-რ**, რომელიც **ოთხი ათის** გამომხატველს 40-ის სახელში უკვე **ჲალ** არის, ე. ი, რუთულურის მსგავსად აქაც ყ უკვე ლ-დაა შენაცვლებული, — აღულურის **ჲაყუ-დ**, რომლის მაგიერ **ოთხი** ათის აღმნიშვნელს 40-ის სახელში აგრეთვე **ჲალ** გვაქვს.

უეჭველია, კჳრულის **ყუდ** ამ ენის **ოთხის** ოდინდელი სრული სახელის **ჲაყუდ**-ის მხოლოდ მეორე შერჩენილი ნაწილი-ღაა. ამ გარემოებას **ოთხი ათის** გამომხატველი 40-ის კჳრული სახელი **ჲახ-წურ** ამტკიცებს, რომელიც ზემომოყვანილი სრული სახელის მხოლოდ პირველი ნაწილისა და ხ-დ შენაცვლებული ყ-ს გამომჟღავნებაა.

ყუბაჩურის **გოლ** ამავე რიცხვის ო-ხმოვანა ფორმის (წახური **ჲოყუ-ბ** და **ჲოყუ-დ**-ის მაგვარი) პირველი ნაწილის სახესხვაობა ჩანს, მაგრამ მისი თავკიდური **გ** არის საყურადღებო.

შესაძლებელია ცალკე ჯგუფად და აგრეთვე ბუდუხურის **ჲაკ°უ-დ** და ჯე-კურის **ჲაკუ-დ** და **ჲაკუ-ბ** გამოვყოთ, რომელთაც ყ უკვე **კ°** და კ-დ აქვთ შენაცვლებული.

შემდეგ უკვე ცალკეულ ჯგუფს ანდიურის **ვ-ოყო-გუ, ჲ-ოყო-გუ, ბ-ოყო-გუ** და **რ-ოყო-გუ**,—ბოთლიხურის **ბ-ულუ-და** და ყუანადურის **ბ-ოჲუ-რა** შეადგენს.

ლაკურის **მ-უყ-ვა, მ-უყ-ა, მ-უყ-რა** და **მ-უყ-ბა** ამავე ჯგუფს უდგება. მას მხოლოდ ბოთლიხურისა და ყუანადურის მსგავსად თავსართოვანი ნიშანი შეზრდილიცა, მაგრამ ამას გარდა შენაცვლებულიც აქვს, ყ-ს შემდგომ ხმოვანიც გაჰქრობია.

არჩულის **ებყა-ჭუ** და დანარჩენი ფორმებიც უეჭველია ამ ჯგუფისავე უნდა იყოს, მხოლოდ მას პირველი ორი ბგერა ადგილმონაცვლებული უჩანს და საფიქრებელია, რომ წინანდელი **ბეყა-ჭუ**-საგან, ანდა მსგავსი ფორმისაგან იქნება წარმომდგარი. პირველი ორი ბგერის ადგილმონაცვლების გარემოებას **ოთხი ათის** აღმნიშვნელის 40-ის სახელში დაცული **ოთხის** ფორმა **ბუყი-ჲ-ჭუ-ც** ამტკიცებს.

თანამედროვე ხუნძურის **უნქო**, რომელსაც მე-XVIII ს. **უხ-გო** უდრის, რომლის **ოთხ-მოც**-ში დაცულ სახედ უკვე **ახ** გვაქვს (შეად. კჳრულის 40-ში დაცულს **ჲახ**-ს) და რომლის შუალედი **უნხგო**-საგან იქმნება წარმომდგარი **ხ**-ს გაქრობით. ამას ხინალუღურის **ონხ** გვაფიქრებინებს, რომელსაც 4-ის სახელის პირველი ნაწილი დაუცავს, **ხ** ბგერა აქვს, **ნ**-კი ჯერ მხოლოდ ნაზალიზაციურს შენაზრდს წარმოადგენს.

დასასრულ უდიურის **ბიპ** ვგონებ ბოთლიხურის **ბულჲუ-და**-სა და ყუანადურის **ბოჲუ-რა**-ს მსგავსი ფორმის პირველი ნაწილის ფონეტ. სახესხვაობას უნდა წარმოადგენდეს.

ოთხის სახელი უაღრესად საყურადღებოა. თუ ადამიანი თაბასარანულ **ოთხის ძაბჸურ, ძარყურ** და **ძაყუბ**-ს ჩაუკვირდება, შეამჩნევს, რომ პირველ ორს ფორმასა და დანარჩენს შორის განსხვავებაა, რომელიც შუაში მყოფს პირველ თანხმოვანს ემჩნევა მხოლოდ: პირველს **ბჸ** აქვს (**ძაბჸურ**), მეორეს-კი **რ** (**ძარყურ**). გარეგნულად ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს აქ რაღაც ინფიქსები გვქონდეს. გასაოცარია, რომ დ ი რ რ ს ეს ბგერები თავის „შესავალ"-ში (Einführung) გამოტოვებული აქვს. ამ **ბჸ** და **რ**-ს ინფიქსობას ის გარემოებაც აფიქრებინებს ადამიანს, რომ წახურს, რუთულურს, აღულურსა და ბუდუხურა ასეთი შუა თანხმოვნები არ უჩანს.

ოთხის თაბასარანული **სახელის ზემოდასახელებული შუა თანხმოვნების ხსვაობა ო თ ხ ი ს სახელის ორ ნაწილად აგებულებას ამჟღავნებს.** ირკვევა, რომ იგი **ძაბჸ** და **ყურ, ძარ** და **ყურ, ძარ** და **ყუბ-ისაგან შესდგება.** ისევე, როგორც **ყურ**-ისა **ყუბ**-ის ბოლოკიდური **რ** და **ბ** ძირეული-კი არა, არამედ სქეს-კატეგორიის ბოლოსართებია, საფიქრებელია, რომ პირველი ნაწილის **ძაბჸ** და **ძარ**-ის ბოლოკიდური **ბჸ** და **რ**-ც ამავე თვისების ბგერები უნდა იყვნენ.

თუ გავიხსენებთ, რომ ჸურ და ჸუბჸ თაბასარანულად **სახელის მეორე ნაწილს, ჸურ-ისა და ჸუბ-ის მნიშვნელობაც გამომჟღავნდება და ცხადი გახდება, რომ ო რ ს ვ ე უნდა ნიშნავდეს.** იგივე უნდა ითქვას **ოთხის** წახურის **ძოჸუბ-ლა, ძოჸუდ-ლა**-სა და რუთულურის **ძუჸუდ, ძუჸურ** და **ძუჸუბ** ის მეორე ნაწილის შესახებაც. წახურად ხომ **ჸუბ-ლა** და **ჸუდ-ლა ო რ ს ა** ნიშნავს.

რაკი ო თ ხ ი ს თაბასარანული, წახური, რუთული და, **უეჭველია, დანარჩენი ენების მსგავსივე სახელების მეორე ნაწილი ო რ ი ს აღმნიშვნელი ყოფილა და აკუზური 4 აუღალ-ის ლალ-იც ხომ ორსა ნიშნავს** (აქვე გვ. 313), **ამით მათი პირველი ნაწილის მნიშვნელობაც თავისდა-თავად ცხადი ხდება: ისიც თავდაპირველად შესაძლებელია მხოლოდ ო რ ი ს ა ვ ე აღმნიშვნელი ყოფილიყო.**

ოთხის სახელის პირველ ნაწილად თაბასარანულს აქვს **ძაბჸ** და **ძ რ**, რომელთა ბოლოკიდური **ბჸ** და **რ**, როგორც აღნიშნული გვქონდა, ძირეული არ არის, ხოლო წახურს ძირად **ძო** და რუთულურს **ძუ** აქვთ. ბუდუხურს, ჯეკურსა და აღულურს-კი თაბასარანულივით **ძა** მოეპოვებათ.

თუ წახურის **ძო-ყუდ ოთხ**-სავე აღმნიშვნელს ბოთლიხურის, რუთულურის **ძუყუდ, ძუყურ**-სა და ყუანადურის **ბოჸურა**-ს შევადარებთ, უმალვე შევამჩნევთ, რომ ამ რიცხვითს სახელების ერთი ჯგუფის პირველი ნაწილი **ძო** და **ძუ** არის, მეორე ჯგუფისა-კი **ბო** და **ბუ**. ორსავე ჯგუფს საერთო მხოლოდ **ო**, ან **უ** ხმოვანი აქვს, **ძ** და **ბ**-კი ამ პირველი ნაწილის განმასხვავებელია. უკვე ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ **ძ** და **ბ** ბგერები ძირეული არ არის.

ო თ ხ ი ს სახელის პირველი ნაწილის ძო და ძუ-ს ნამდვ-ლი ბუნება უცილებელი გახდება, რა წამს ავარიის **ო თ ხ ი ს ფორმებს ვოყოგუ, ძოყოგუ, ბოყოგუ და როყოგუ-ს გადავავლებთ თვალს:** ცხადია, რომ ისევე, როგორც **გუ** ოთხივე ფორმის მხოლოდ დაბოლოებაა და საერთო ნაწილი **ოყო** ძირია, **ვ**-ც, ძირეული არ არის, არამედ მამრ. სქესის, **ძ** მდედრ. სქესის, **ბ** ცხოველთა და **რ** უსულო საგნების სქეს-კატეგორიის ნიშნებია, ამგვარადვე წახურის, რუთულურის, თაბასარა-

ნჷღის, აღჷლჷრის, მჷღჷსჷრისა და ჯჷკჷრის **ო თ ხ ი ს სახელის თავკიდური ჲ-** **ბგერაც თავდაპირველად უეჭველია მდედრ. სქესის თავხართოვანი ნიშანი უნდა ყოფილიყო. მხოლოდ შემდეგში,** დროთა განმავლობაში, მას **თავისი დანიშნულება დაჰკარგვია და უბრალო შენაზრდად ქცეულა.**

რაკი **ოთხის** სახელის პირველი ნაწილის თავკიდური **ჲ**-ს არაძირეულობა გამოირკვა, **ორის** ცნების **გამომხატველად** უკვე მხოლოდ **ო, ჲუ, უ** და **ა** **გვრჩება.** ორის სახელის ცალკეული და ზოგადი ანალიზის დროს უკვე დავრწმუნდით, რომ ამ რიცხვითი სახელის ძირის სახესხვაობათაგან **ყო, ყუ, ყა** და **ყე** ძირია უძველესი, მაგრამ **ყ** თანხმოვანი სხვადასხვანაირი შენაცვლების შემდგომ სრულებითაც ქრება და ძირად მხოლოდ **ო**-ღა რჩება. მაშასადამე, გასაკვირველიც არაფერია, თუ ოთხის სახელის პირველ ნაწილში **ორის** გამომხატველად **ო, უ, ა** და **ე** გვხვდება.

ყველაფერი, რაც აქამდის ნათქვამი გვქონდა, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ **ლეგური ენების ო თ ხ ი ს სახელი რთული სიტყვა და თავდაპირველად ო რ ი ო რ ი-ს აღმნიშვნელი ყოფილა.**

V ხუთის სახელი ლეგურსა და ალბანურს ენებში შესაძლებელია სამ-ოთხ ჯგუფად გაიყოს.

ერთ ჯგუფს ძირეულად ხახა-სასისმიერი ბგერა აქვს. ამ ჯგუფს ეკუთვნის უპირველესად XVIII ს. ჲჷმჷრის **ხუჲ-ა-ლ,** ღჷმჷძჷრის **ხუ** (50-ში, XVIII ს. და **ხე-ჳა** (XVIII ს.) ისევე, როგორც თანამედროვე **ხხჵ-ვა, ხხჵ-რა** და **ხხჵ-ბა-ც,**—ჭასჷრჷლის **ხɩოჲრӑ, ხɩობლӑ, ხɩოლლӑ,**— რჷთჷლჷრის **ხɩუ-დ,**—ყჷმაჩჷრის **ხɩუ** და სინალჷღჷრის **ფ-ხუ.**

ამავე ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ლატერალური **ტხლჲ** ბგერის მქონებელი ღიღოჷრის თანამედროვე **ტლჲენო,** რომელიც **ტხლენო-ს** უდრის, და არჭჷლის **ტლჲუეჲ-უე** და დანარჩენი ფორმები და მარტივი თვლის **ტლხუო-ც,** რომელთა პირველ ბგერებად **ტხლ** არის საგულისხმებელი.

მეორე ჯგუფს ძირეულად **ჰɩ,** ანდა **ჰა** აქვს. ამ ჯგუფისაა თამასარანჷლის **ჰɩუ-რ** და **ჰɩუ-ბჲ,**—ამავე ჯგუფს შესაძლებელია ბჷღლი ღიღოჷრი **სკნ-ნო-ც** მიეკუთვნოს.

მესამე ჯგუფს ძირეულად **შ** მოეპოვება. ამ ჯგუფს შედარებით ბევრი წევრი ჰყავს: XVIII ს. და თანამედროვე ღჷნპჷრის, ანწჷხჷრისა და ჭაოჷლის **შუ-გო,**—ჰურკილჷრის **შუჲა-ლ** და **შუ** (რთულ რიცხ.),— ყჷანაღჷრის **იჲშტუ-რა,** — მოთლიხჷრის და კარაც. **იშტუ-და,** —ანდიჷრის **იშტუ-გო** (XVIII ს.) და **ინშტუ-გუ** (თანამ.).

მეოთხე ჯგუფს ძირეულად **ჳ** ანდა **ჶ** უჩანს. ამ ჯგუფს ეკუთვნის კურჷლის **ჳად,**—აღჷლჷროს **ჲ-ჶგხჲ-დ,** ჯჷკჷრის **ჶუ-დ** და **ჶუ-ბ** და მჷღჷსჷრის **ჶუ-დ.**

ხ, ჰ და **შ**-ს შენაცვლებაზე საუბარიც უკვე საკმაოდ გვქონდა და მაგალითებიც ბევრი გვინახავს, რომ ამაზე კიდევ რისამე თქმა საჭირო იყოს. ხოლო კურჷლი **ჳად,** როგორც უკვე თავის ადგილას აღნიშნული იყო, რჷთჷლჷრი **5-ის ხɩუდ**-ის მსგავსი სახელისაგან უნდა იყოს **უ**-ს **ჳა-დ** შენაცვლებით წარმომდგარი. შემდეგ **ჳ**-ს უკვე **ჶ-დ** ქცევით გაჩენილი ჩანს აღჷლჷრი **ი-ჶგაჲ-დ.** ჯჷკჷრი და მჷღჷსჷრი ზემოდასახელებული რუთულური სახელის მსგავსი ფორმითგანვე უნდა იყოს წარმომდგარი.

მუიხალური, ანუ მოთლიხური 5-ის **იშტუდა**-ს, კარატული **იშთუდა**-ს, ახვა-ხური **იშტუდავე**-ს, ტყანაძურის, ანუ ბაგულალურის **იიშტურა**-ს, ცინდალურის **ინშტუდა**-ს, ჭამალალურის ანუ ჰაჰაცლურის **ინსიუდა** და ანდიურის **ინშტუგუ**-ს ძირის **იშტუ**-ს, ანუ **ინშტუ**-სთვის თეისტომის მოძებნა ძნელია, თუ ერთი მხრით ამ ორთაგანს ადრინდელად არ მივიჩნევთ, მეორე მხრით აქ ბგერათა ადგილ-მონაცვლების შესაძლებლობასაც არ გავითვალისწინებთ. საფიქრებელია, სახელ-დობრ, რომ **იშტუ** უფრო ადრინდელია და **ნ** შემდეგში უნდა იყოს გაჩენილი. თავკიდური ი-ს ბუნებაცა და პირვანდელი მდებარეობაც ცალკეა გამოსარკვევი და აქ მხოლოდ **შტუ** კომპლექსს შევეხებით. ასეთი ძირი 5-ისათვის არც ერთს ლეგურ ენათაგანს არ აქვს, მაგრამ თუ წარმოვიდგენთ, რომ **შტუ** შესაძლებე-ლია ადგილმონაცვლებით იყოს უფრო ადრინდელი **ტშუ**-საგან წარმომდგარი, მაშინ ასეთი კომპლექსისათვის მსგავსი ძირის მოძებნა გაგვიადვილდება. ზემოთ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ღუნბური ხუთის **შუგო**-ს ძირი **შუ** და ჭუნკი-ლურის **შუილ**-ის **შუა** არის, რომელიც აკუშური 5-ის **ხუძალ**-ისა და სინალუ-ღური 5-ს **ფ-ხუ**-სა და თაბასარანული **ჰცურ**-ის და სხვაც არა ერთის **ხუ** და **ჰცუ** ძირის ბგერითი სახესხვაობაა.

ახლა მხოლოდ წინმყოფი **ტ**-ს რაობა-ღაა გამოსარკვევი. მართალია, ლე-გურს ენებში **ხუთის** არც ერთი სახელი არ გვხვდება, რომელშიც ზემომოყვანილი ძირის წინ **ტ** იჯდეს, მაგრამ სამაგიეროდ სინალუღურს ხომ **ხუ**-ს წინ **ფ** აქვს, რომელიც სქეს-კატეგორიის შენაზრდია. ღილღური ენების 5-ს **ფხი**-საც წინ ასე-თივე შენაზრდი მოეპოვება.

დასასრულ შესაძლებელია აღნიშნულ იყოს, რომ ჩრდილო-კავკასიის ენათა დასავლური, სინდური, ჯგუფის ერთ წარმომადგენელთაგანს, სახელდობრ, ცამარ-ღოულს, 5-ისათვის სწორედ **ტ** თავსართიანი ფორმა **ტკუ** აქვს შერჩენილი.

მას შემდგომ, რაც **ოთხის** სახელის ორი რიცხვისაგან შედგენილობა გამო-ირკვა, ბუნებრივად დაიბადება აზრი ასეთივე შედგენილობაზე **ხუთის** სახელის შესახებაც. თუ **ოთხის** სახელი **ორი ორი**-ს სახელისაგან წარმომდგარა, მაშინ **ხუთი** საფიქრებელია, ან **სამი + ორი**-საგან, ანდა **ორი+სამი**-ს სახელების შერ-წყმისაგან იყოს წარმომდგარი. მართლაც წასპური **ხუთის** სახელი **ხცოძ-რჰ**, **ხცობ-ლჰ** და სხ. შესაძლებელია **სამის ჰცებ** და **ორის ყოძ-რჰ** და **ყობ-ლჰ**-ს სა-ხელებთან იქმნეს დაკავშირებული, მეტადრე თუ გავითვალისწინებთ, რომ **ორის** სახელის **ყ**-ს **ხ**-დ შენაცვლების სხვა მაგალითებიც გვაქვს და სამის სახელი **ჰიჰ** (ჰკრკ.) და **ჰა**-ს (ბუძხ. და ყუან.) სახითაც მოგვეპოვება. ამგვარად **ხუთის სახელი ხცოძ-რჰ** უნდა **ყო+ჰცე+რჰ-საგან იყოს შერწყმის წყალობით წარმომდგარი და თავდაპირველად ორი სამი-ს აღმნიშვნელი ყოფილა.** იგივე შესაძლებელიაით-ქვას ხ-ძირეულიან **ხუთის** სახელების **ხუძალ**-ისა,—**ხრ ვა**, **ხრ-რა** და **ხრ-ბა**-სა და **ფ-ხუ**-ს შესახებაც. ალულური 5 **იჭგაძე** ის მეორე **გაძე** ნაწილიც ხომ იგივე **გრძე** და **გად**, ე. ი. 2 არის.

ამგვარად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ 5-ის **სახელი 2-ისა და 3-ის ანდა 3+2-ის სახელების შერწყმით არის წარმომდგარი.**

განცალკევებული ჩანს უდურის **ხუთის** სახელი **ყო**, მაგრამ, თუ მოვიგო-ნებთ, რომ, მართალია, თანამედროვე უდურს **ორის** სახელად **ყა** აქვს, მაგრამ **ოცის** სახელში, **ორმოცის**, **სამოცისა** და **ოთხმოცის** სახელებში ძველი **ყო** მოეპოვება,

შაშინ თავისდა-თავად დაგვებადება აზრი, რომ ჸიl ალბანური **ხუთის ოდინდელი სრული სახელის მხოლოდ პირველი, ო რ ი ს აღმნიშვნელი**, **შერჩენილი ნაწილი**-და **უნდა იყოს, მეორე, სამის აღმნიშვნელი, ხი-ბ ნაწილი-კი, ეტყობა, დაჰკარგვია დროთა განმავლობაში** (იხ. აქვე გვ. 362).

VI. ლეგურ-ალბანური ენების ექვსის სახელის **ერთს ჯგუფს** ეკუთვნის თაბასარანულის **ꟷირჰიუ-რ** და **ꟷირჰიუ-ბი**, რომელიც ე ქ ვ ს ი **ათის** აღმნიშვნელს 60-ში **ꟷირჰიი-ლა** არის, — აღულურის **ꟷერჰიი-დ**, — XVIII ს. აკუშურის **ꟷახა-ლ**, რომელიც ჩაჩნურ-ქისტური **ექვსის** სახელის **ꟷალხ-სა** და **ꟷელხ-ს** მიაგავს, — წახურის **ꟷიჰიი-რა**, **ꟷიჰიი-ბ-ლა** და **ꟷიჰიი-ლ-ლა**.

მეორე ჯგუფს შეადგენს XVIII-ს აკუშურის **ურჰკა-ლ** და **ურეკ** (60-ში) და ჰურკილურის **ურილია-ლ**, **ურილ**, კურინის **რუღიუ-დ**, — ღუმუქურის **რახꟷ-ვა**, **რახꟷა**, **რახꟷ-რა** და **რახꟷ-ბა**, — ბუდუხურის **რკხკ-დ**, — ჯეკურის **ლკხკ-დ** და **ლკხკ-ბ**, — და რუთულურის **რგხიგ-დ**, **რგხიგ-რ** და **რგხგი-ბ**.

მესამე ჯგუფს ლატერალური ბგერის შემცველობა აქვს საერთო თვისებად. ამ ჯგუფს მიეკუთვნება: მუხსალურის **ინხლთი-და**, — ყუანადურის **ინტხლთი-რა**, — არჩულის **დ-იტხლი** (600-ში) და **დ-იტლთა-შუ** დანარჩენი ფორმებითურთ, — ღუნზურისა, ანწუხურისა და ჭამალის **ანტლო-გო**, თანამედროვე ბოლოთურის **ეტლო-ნო** და ანდიურის **უინტლეე-გო** (XVIII ს.) და **ონტლთი-გუ** (თანამ.), **ონტლო-გუ**

თითქმის განმარტოებულია ხინალუღურის **ზეკ** და ყუბაჩურის **ექ**, — შემდეგ უდიურის **უკ** და XVIII ს. ბოლოთურის **ის-ნო**.

ექვსის თაბასარანული სახელი **ꟷირჰიურ იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ ორ რ-ს შეიცავს, რომელთაგან ერთი შუაშია, მეორე-კი ბოლოში**, ისევე, როგორც ბოლოკიდური **რ** სქეს-კატეგორიის ნიშანია, მოძრავიც-კი, რათგან არსებობს აგრეთვე **ꟷირჰიუ-ბ**, შუაში მოქცეული **რ**-ც ამ სიტყვის პირველი ნაწილის კიდურის შთაბეჭდილებას ახდენს. მაგრამ ამ შუა **რ**-სა და ბოლოკიდურს შორის ის განსხვავება მაინც არის, რომ შუა **რ**-ს მოძრაობა არ ეტყობა და ბოლოკიდურის მსგავსად არ იცვლება. **ექვსის შუაგულში მოქცეული რ ექვსის სახელის ორი სიტყვის, ꟷირ** და **ჰიურ-ისაგან შედგენილობას აჰჟღავნებს.**

6-ის სახელის მეორე შემადგენელი ნაწილის ჰიურ-ის რაობისა და მნიშვნელობის მიხვედრა ძნელი არ არის, რათგან ამას წინ უკვე დავრწმუნდით, **რომ სწორედ** თაბასარანულად **ჰიურ ხუთსა ნიშნავს. ამიტომაც** აქაც, **საფიქრებელია, ასეთი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს**. თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ ამ რიცხვითი სახელის პირველი ნაწილის **ꟷირ**-ის მნიშვნელობა უცილობელი იქმნებოდა: **ერთის** გარდა, სხვა არაფერი საგულისხმებელი არ არის, მაგრამ **ერთის** სახელად ლეგურს ენებს **ꟷირ**, ანდა **ꟷერ** არ მოეპოვებათ, რაც ზემომოყვანილი მოსაზრებისათვის დიდი დაბრკოლებაა. ამაზე უფრო დამაფიქრებელია, რომ ასეთი სახელი **ერთისათვის** არც ლილღურსა და არც სინდურ ენებს აქვთ, ანდა უჩანთ. მხოლოდ ზოგადს ქართულსა და ქართველურ ენებს გააჩნიათ უძველეს დროითგანვე ასეთი სახელი. ამიტომ ან უნდა 6-ის ზემოაღნიშნული ეტიმოლოგია უარვყოთ, ანდა უნდა დავასკვნათ, რომ **ერთის** ამნაირი სახელი წინათ ლილღურსა და ლეგურ ენებსაც ჰქონიათ და მხოლოდ დროთა განმავლობაში დაუკარგავთ.

ამ ალტერნატივის გადასაწყვეტად, რა თქმა უნდა, იმასაც აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენად მტკიცდება სხვა ენების ანალიზითაც, რომ **ექვსიხ** სახელის მეორე ნაწილი მართლაც **ხუთსა** ნიშნავს, ანდა **ხუთის** გამომხატველს **ძირეულ ბგერას, თუ ბგერათა კომპლექსს** შეიცავს. თუ საკითხს ამ თვალსაზრისით შევეხებით, მაშინ თაბასარანული ექვსის სახელის ზემომოყვანილი ანალიზის დამადასტურებელი კიდევ რამოდენიმე მაგალითის მოყვანა შეიძლება. სახელდობრ: 1. რუთულურად 6-ს **რგხიგდ** ეწოდება და მისი მეორე ნაწილი არის **ხიგდ**, ხოლო რუთულურადვე **ხუთს ხიუდ** ეწოდება.—2. წახურად 6-ს **ძიჰი-რä**, **ძიჰიბ** და **ძიჰიდ** ჰქვიან და **ხუთს** წახურადვე **ხიოძ-რä**, **ხიობ** და **ხიოდ** ეწოდება,—3. ლეზგიურად 6-ს **რახძ-ვა**, **რახძ-ა**, **რახძ-ბა** და **რახძ-რა-ს** ეძახიან, მისი მეორე ნაწილი არის **ხძ** და ლეზგიურადვე 5-ს **ხხö-ვა**, **ხხö-ბა** და **ხხö-რა** ჰქვიან და 5 **ხე-ჟა-ს** (XVIII ს.) სახითაც-კი გვაქვს, ისე, რომ აქაც 5-ის მყარ ელემენტად **ხძ** ჩანს.

საგულისხმოა, რომ ჩაჩნურსა და ქისტურში, 6-ს **ძალხ** და **ძელხ** ეწოდება. ბოლოკიდურ ბგერად **ხ** აქვს და ჩაჩნურ-ქისტურშივე 5-ის სახელს **პ ხი**-შიც ძირეული სწორედ **ხი** არის, **ძელ**—კი (←**ძერ**) აქაც **ე რ თ ი ს აღმნიშვნელი გამოდის.**

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ თუ დიდოურად 6-ს **ისნო** (XVIII ს.) და **ეტლინო** (თანამ.), ანუ **ეტხლი-ნო** ჰქვიან, დიდოურადვე 5-ს **სენნო** (XVIII ს.) და **ტლიენო** (თანამ.), ანუ **ტხლიენო** ეწოდება. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ **ისნო** წარმომდგარია **სის** (1)+**სენ-ნო** (5) და **ეტხლინო**-ს მეორე ნაწილიც **ტხლი-ენო** (5)-სთანვეა დაკავშირებული.

ხინალუღურის 6-ი **ზეკ** და ყუბაჩურის **ექ** ჰურკილურის **ურიგა-ლ**-ისა და კურუღის **რუგუდ**-ის მსგავსი ფორმის **რიგა-ლ**-ის ფონეტ. სახენაცვალი უნდა იყოს. უდურ **ჯვ** და **უკ** მუღუსური **რკხკდ**-ის ნაირი ფორმის თავკიდური **რ**-სა და ბოლოკიდური **კდ**-ის ჩამოცლილი შუა ნაწილი-ღაა.

ყველაფერი, რაც აქამდე უკვე გამოირკვა, უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ერთეულების დანარჩენი სახელებიც თავდაპირველად ამნაირადვე რთული აგებულებისა უნდა იყოს.

VII. **შვიდის** ეტიმოლოგიის ძიების დროს ყურადღებას თაბასარანული **ვურ-ლურ**, **ურლურ** და **ურლუბი** იპყრობს, რომელთა ფონეტიკურ სახესხვაობას ჯეკური **ძილკდ** და **ძილკბ**,—წახური **ძილი-რä**, **ძილიბ-ლä** და **ძილილ-ლä**,—რუთულური **ძიჟუდ**, **ძიჟურ** და **ძიჟუბ**, — მუღუსური **ძიძიდ**, — აღულური **ძერიდ**, — კურუღი **ერიდ** და უდური **ვულ-ი** წარმოადგენს.

თაბასარანული **ვურლურ**, **ურლურ** და **ურლუბი** იმ მხრივ არის საყურადღებო, არამედ სქესლებო, რომ **ამ რიცხვის სახელის ორნაწილედი აგებულება აქ მკაფიოდ მოჩანს.** ცხადია, ის **ვურ**, ანდა **ურ**-ისა და **ლურ**, ანდა **ლუბ**-ისაგან შესდგება.

როგორც ამ რიცხვის სახელის მეორე ნაწილის **რ** და **ბ** ძირეული არ არის, კატეგორიის ნიშნებია, ამნაირადვე, ვგონებ, დასაბუთება საჭირო არ უნდა იყოს იმისთვის, რომ პირველი ნაწილის თავკიდური **ვ**-ც ძირეული არ არის, არამედ სქეს-კატეგორიის შენაზრდია ისევე, როგორც ამ ნაწილისავე ბოლოკიდური **რ**-ც.

რაკი 7-ის სახელი ორნაწილედი გამოდგა, ამიტომ, წინა რიცხვების მსგავსად, საფიქრებელია, რომ აქაც **შესაძლებელია ორი რიცხვის სახელის შერ-**

წყმული ფორმა გვქონდეს გამოყენებული. თუ საკითხის განხილვას ამ მხრივ შეუდგებით, თაბასარანული ურ-ღურ-ის პირველი ნაწილი ურ შესაძლებელია 2-ის თაბასარანულსავე სახელს ყურ-ს დავუკავშიროთ და მის ყ-გამქრალ (ისევე, როგორც ალულურს აქვს-გოჲდ) სახესხვაობად მივიჩნიოთ, ხოლო მეორე ნაწილი ღურ ხუთის აღმნიშვნელს თაბასარანულ შჲურ-ის შესატყვისობად ვცნათ. ამგვარად შვიდის თაბასარ. სახელი თავდაპირველად ორი+ხუთი-ს აღმნიშვნელი ყოფილა, ისევე, როგორც დანარჩენი ზემოაღნიშნული ენების თაბასარან. სახელის მსგავსი ფონეტიკური სახესხვაობის მქონებელი 7-ის სახელებიც.

VIII და IX. 8-ისა და 9-ის აგებულება უფრო ძნელი გამოსარკვევია მაგრამ აღულური 9-აც ჲარჩგოჲდ ხომ ჲარჩ (7)-ისა და გოჲდ (2)-ის სახელებისაგან შედგენილი აღმოჩნდა ისევე, როგორც კვრული 9-აც (აქვე გვ. 331).

თვლასა და რიცხვითს სახელებში, ერთეულების მსგავსად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ათის სახელხა აქვს.

X. ლეკურსა და ალბანურ ენების ათის სახელი შესაძლებელია სამ ჯგუფად გაიყოს.

ერთ ჯგუფს ძირეულ თანხმოვნად ათისთვის ტ აქვს. ამ ჯგუფის ოდინდელი არსებობის კვალი მარტო არჩილაჲ 21, 31, 41, 51, 61, 71, 81 და 91-ის სახელშია ტტი-რ და ტტუ-რ-ის სახით დაცული, ცალკეულად-კი 10-ის სახელად არჩილს ვ-იწა-ჟუ და სხ. აქვს, 11—19-მდე ათს ეწოდება მოწორ. ათის ოდინდელი არჩილი სახელი ტტურ იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ 10-ის ჩაჩნურ-ქისტურს სახელს იტტე-ს და წოვურს იტტა-ს უდგება.

მეორე ჯგუფს ათის სახელისთვის ძირეულად ც ბგერა მოეპოვება. ამ ჯგუფს XVIII ს. აკუშურის ჲ-ჵცალ-ლ და ჟეც (რთულ. რიცხვ.),—XVIII ს. ანდიურის ჲ-ჵცა-ლ,—და უდურის 70 და 90-ს სახელებში დაცული ვ-იც, ისევე, როგორც XVIII ს. ღუმუქურის ცა და ც (რთულ. რიცხვ.).

მესამე ჯგუფი, რომელსაც ძირეულად წ ბგერა აქვს, მრავალრიცხოვანია. მას მიეკუთვნება: თაბასარანულია ჲ-იწუ-რ, ჲ-იწუ-ბ და წურ (50—90-ში), ჲურ, (30 და 40-ში),—რუთულურის ჲ-იწუ-დ, ჲ-იწუ-რ და ჲ-იწუ-ბ, რომლის მაგიერ 10—19-მდე და 40-ში წგ, ხოლო 30-ში წა-რ და 40-ში წგ-რ არის,—ჯეკურის ჲ-იწ-დ და ჲ-იწი-ბ,—ბუდუხურის ვ-იწკ-დ და ჲ-იწკ-დ (30-ში),—აღულურის ი-წუ-დ,—კურინულის წუ-დ,—ჰურკილურია ჟ-იწა-ლ და ჟ-იწ (რთულ რიცხ.),—ყუბაჩურის ჟ-იწ და წა-ლ (30 და 40-ში),—არჩილის ვ-იწა-ჟუ და მ-ოწო-რ (11—19-მდე),—უდურის ვ-იწ და წ (რთულ რიცხ.),—ყაიტაღურის ჰ-აწა-რა, ჰ-აწა-ლ (11—19-მდე) და წა (20—90-მდე),—მეთლისურია ჰ-აწა-და და ჰ-აწა-ლი,—ხუნძახურისა, ანწუხურის და ქარახულის ანწ-გო და ანდიურის თანამ. ჰ-ოწო-გუ და ოწო-ლ (ათეულებში),—ღუმუქური XVIII ს. ცალკეულისა და თანამედროვეს აწ-ვა, აწ-ა, აწ-ბა და აწ-რა, წა-ლ (რთულ რიცხ.).

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ თაბასარანულის 30 და 40-ში ათის წ-ს მაგიერ ჲ ისმის: ჲუ-რ.

ათის სახელების ზემომოყვანილი სამივე ჯგუფის გადაკითხვა ადამიანს დაარწმუნებს, რომ ამ რიცხვის სახელის განსხვავებასა და ნაირნაირობას ძირეული ბგერის შენაცვლება (ტ, წ, ც), მისი ახმოვნების შეცვლა და თავსართო-

ვანი და ბოლოსართოვანი სქეს-კატეგორიების ნიშნებისა და შენაზრდების სხვა-დასხვაობა ჰქმნის.

ათის ძირეული თანხმოვნის სამი სახესხვაობითგან **ყველაზე ადრინდელი ტ უნდა იყოს.** ამას ერთი მხრით ის გარემოება ამტკიცებს, რომ იგი არჩულის მხოლოდ რთული რიცხვების სახელებშია **ტტუ-რ**-ის სახით-ღა დაცული და მეორე მხრით **ტ** ძირეულის ლილლურის სამსავე ენაში და ქართულსა და ქართველურშიც **თ**-ს არსებობა ამტკიცებს.

ამგვარადვე **ც**-ბგერიანი **წ**-ბგერიანებზე უფრო ადრინდელი ჩანს, რათგან სადაც XVIII-ს **ც** გვაქვს, იქ ეხლა **წ** არის, მაგ.: ღუნძურში მე-XVIII ს. **ათის** სახელი 11 და 12-ში **ცა**, ხოლო 40, 50, 60, 70, 80 და 90-შიც **ცა-ლ-ვა** იყო და მაშინ მარტო 10-ს ცალკეულად ეწოდებოდა **აწ-ბა**, ეხლა-კი 11 და 12-შიც არის **აწ** და 40—90-მდეც ყველგან **წა-ლ-ვა-ა.**

ამნაირადვე ღუნძურსა, ანწუხურსა და ქარულში მე-XXIII ს. თუ ცალკეულად 10-ი ეხლანდელივით **ანწ-გო** იყო, 11 და 12-ში **ათის** სახელად **ანცი** ყოფილა დაცული, თანამედროვე ღუნძურს-კი ეხლა აქაც **ანწ-ი** აქვს. ანდიურსაც XVIII ს. **ათისათვის ჰ-ჴცა-ლ** ჰქონია. ეხლა-კი **ჰოწო-გუ** არის. თანამედროვე დიურსაც 70 და 90-ის სახელში შერჩენილი აქვს **ვ-იც**, ცალკეულად-კი არის მხოლოდ **ვ-იწ** და რთულ რიცხვებში **წ**.

C. ასის სახელის ერთ ჯგუფს ლეგურსა და ალბანურში ძირეულ თანხმოვნებად **რშ** უჩანს. ამ ჯგუფს ეკუთვნის ღუნძურის **დ-ურშ-ვა** (XVIII ს.), **ტტ-ურშ-ვა, ტტ-ურშ-ა, ტტ-ურშ-რა** და **ტტ-ურშ-ბა**,—ამიშურისა და კურკილურის **დ-არშ-ალ**, —ლაკურის **ქ-არშ.**

ამავე ჯგუფს შესაძლებელია **რჟ** ძირეულიანი თაბასარანულის **ვ-არჟ-იც** მიეკუთვნოს.

მეორე, მრავალრიცხოვანს, ჯგუფს ძირეულად მხოლოდ **შ**-თანხმოვანი აქვს. ამ ჯგუფისაა: წახურის **ქ-აშ**, —არჩილის **ბ-აშა-ქუ**, —ყუმიხურის **დ-აშ**, —რუთულურის **ვ-ეშ**,—კურინის **ქ-იშ**,—ახვახურის **ბ-ეშანო-და**,—კარატულის **ბ-ეშ-ანდა**,— ყაბარდურის **ბ-ეშენ-და**, ანდიურის **ბ-ეშონუ-გო**, —ბოთლიხურის **ბ-ეშუნ-და**, —ხვარშულის **ბ-ეშრნ-და** და დიდოურის **ბ-იშონ.**

ცალკე უნდა გამოიყოს ურდურის **ბ-აჩ.**

ერთ ჯგუფს **ჰ** აქვს ძირეულად. იგი მხოლოდ ჭამალალურის **ბ-ეჰან** და ციდიალურის **ბ-ეჰენ-და**-საგან შესდგება.

ცალკეულ ჯგუფად გამოსაყოფია ღუნძურისა, ანწუხურისა და ქარულის **ნ-უს-გო** და მეჭიცლურ-ყაზიყუმუხურის **ჰ-ოს.**

დასასრულ უნდა მეჭიცლურ-ყაზიყუმუხურის მეორე სახელიც **ჰიტ** გავიხსენოთ, რომელიც არც ერთს ზემომოყვანილს არ უდგება, და სინალურის **ფ-აჟ.**

ასის სახელების ყველა სახესხვაობათა ჯგუფობრივი გადასინჯვა ადამიანს დაარწმუნებს, რომ არსებითად ამ რიცხვის **სახელის ძირი ერთი-და-იგივე უნდა იყოს. სხვაობას ჰქმნის ამ ძირის ბგერათა შენაცვლება (შ, ჟ, ჩ, შა, ჰ) და თავკიდური თანხმოვნისა (დ, ტ,— ქ, ვ,— ბ, ფ) და ბოლოკიდური სქეს-კატეგორიის ნიშნისა, თუ დაბოლოების (ვა, ბა, და, ნ, გო) ნაირნაირობა.**

ენათა უმრავლესობას (11-ს) **ასის შ**-ბგერიანი ძირი აქვს (აშა, აშ, ეშ, იშ), მხოლოდ ორს მოეპოვება **ჰ** (ეჰა, ეჰე) და მარტო ერთს **ჩ** (ეჩ).

რშ-ს მქონებელი ჯგუფი 4 ენისაგან შესდგება (არშა, არშ, ურშ), მისი **რჟ** სახესხვაობა-კი მხოლოდ ერთსა აქვს (არჟ).

ლუნძურ-ანწუხურ-ჭარულის **ნუს-გო**-ს ასის აღმნიშვნელის **ნუს**-ის თავკიდური **ნ**-ც ძირეული არ უნდა იყოს, არამედ ოდინდელი სქეს-კატეგორიის შენაზრდი და ძირად **უს** არის საგულისხმებელი, ამნაირადვე არც *ბეჟიტლურ-ყაფუჩური* **ჰოს**-ის **ჰ** ჩანს ძირეულად, არამედ **რ**-ს შუალედს სახესხვაობასა და სქეს-კატ. შენაზრდსვე უნდა წარმოადგენდეს. მის ძირად გვრჩება **ოს**, რომელიც ლუნძურ-ანწუხურ-ჭარულის **უ**-ხმოვანა სახესხვაობაა. ამგვარად **ასის** ძირის **ს** თანხმოვნიანი 2 სახესხვაობაც მოგვეპოვება და **შ**-თგან მოყოლებული **ჰ**-მდე შენაცვლებათა სრული მწკრივიც გვაქვს დაცული.

სრულებით განსხვავებულია *ბეჟიტლურ-ყაფუჩურის* **ასის** მეორე სახელი **ჰიტ**, რომელიც მით უფრო საინტერესო და საყურადღებოა. **ათის** სხვა-და-სხვა სახელების ზოგადი განხილვისა და ანალიზის დროს დავრწმუნდით, რომ *არჩილს* 10-ის სახელის **ტ** ბგერიანი ძირი აქვს დაცული, რომლის სრული სახე ღილღური ენების **ითთე**, **იტტე**, **იტტა** და **იტ**-სა აქვს დღევანდლამდე შენახული. თუ ეს გარემოება გაგვახსენდება, მაშინ *ბეჟიტლურ-ყაფუჩური* ასის **ჰიტ**-ის **იტ**-იც შესაძლებელია ამავე **ათის** სახელთან დაკავშირებული და **ათისავე** აღმნიშვნელად იქმნეს მიჩნეული. თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ **ჰ** ბგერაც უნდა **ათის** გამომხატველადვე ვიგულისხმოთ. საბედნიეროდ *თაბასარანულს*, როგორც დავრწმუნდით, 30 და 40-ის სახელებში **ათის** სახელად აქვს სწორედ **ჰ**-ბგერიანი **ჰუ-რ**. რაკი რთულ რიცხვ. სახელებში **ათის** გამომხატველად ხშირად ერთი თანხმოვანი-ღა (**ც** ან **წ**) არის ხოლმე შერჩენილი (ისევე, როგორც მაგ. ქართული ძველი **ათ-ერთ-მეტი**-საგან წარმომდგარია **თ-ერთ-მეტი**). ამიტომ არც *ბეჟიტლურ-ყაფუჩურშია* გასაკვირველი, რომ **ასის** აღმნიშვნელი მხოლოდ **ჰ** იყოს. მაშასადამე, საფიქრებელია, რომ *ბეჟიტლურ ყაფუჩური* 100, **ჰიტ**, თავდაპირველად **ათი ათის** აღმნიშვნელი ყოფილა. **ასის** სახელის ასეთი აგებულება ათობითი სისტემის დროს ბუნებრივია და, როგორც ვიცით, ლეგურს ენებში ასეთი წარმოშობილობის **ასის** სახელი სხვაც არის.

ბოლოს-და-ბოლოს მთავარი საკითხი მხოლოდ **ასის** ძირის **არშ** და **აშ**-ის ორი სახესხვაობითგან ერთის მათგანის პირველადობის გამორკვევაა. ამისთვის კი საჭიროა, რომ ისევე, როგორც **ჰიტ**-ის აგებულებასა და თავდაპირველ მნიშვნელობას მივაგენით, **არშ**, ანუ **აშ**-ის ეტიმოლოგიაც ვიცოდეთ, რაც ადვილი საქმე არ არის.

ზემონათქვამი დაარწმუნებდა ადამიანს, რომ **ლეგური ენების რიცხვითი სახელების ძირები საერთო ყოფილა და მხოლოდ იმის გამო, რომ დროთა განმავლობაში მათ სხვა-და-სხვა შენაზრდები აღმოაჩნდათ და სხვადასხვა ბგერითი ცვლილებაც მომხდარა, ზოგს მათგანს მთელი თავკიდური, თუ ბოლოკიდური მარცვლები და მთელი ნახევარიც-კი დაჰკარგვია, რიცხვითი სახელების სახე ისე შეუცვლია, რომ ბევრჯერ მათ შორის ნათესაობის შემჩნევაც-კი შეუძლებელი იყო.**

დასასრულ გულდასმითმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ არამცთუ ოცობითი სისტემა კავკასიური ენების თავდაპირველ თვისებად არ შეიძლება მიჩნეულ იქმნეს, არამედ, რომ ათობითი სისტემაც მერმინდელი ყოფილა და ერთეულების სახელებიც რთული აღნაგობის აღმოჩნდა.

თავი მეოთხე

ზოგადი ქართული და ქართველური (მეგრული, ჭანური და სვანური) რიცხვითი სახელები

§ 1. საკვლევი მასალის თავისებურება

თუ აქამდის ჩვენ ე. წ. კავკასიური ენების რიცხვითი სახელების შესახებ გვქონდა მსჯელობა, ეხლა უკვე ისეთი ძველი მწერლობის მქონებელი ენის რიცხვითი სახელების ანალიზზე მიდგა ჯერი, როგორიც ზოგადი ქართულია. დამწერლობიანსა და ზოგადს ენას საფუძვლად ყოველთვის გრამატიკული და მართლწერითი წესების ერთგვარობა აქვს ხოლმე, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ბევრი არ არის ისეთი ენა, რომელსაც გრამატიკული და ორთოგრაფიული ნორმები ძველი ქართულის მსგავსად მკაცრად ჰქონდეს დაცული. ქართულში ენის აღნაგობა და მისი დამწერლობითი გამოხატულება მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ისე შეურყევლად არის შერჩენილი, რომ ძველი მწერლობისა და ენის ისტორიაში განუსწავლელს მკითხველს ძველი ქართული თითქმის ერთხელ და სამუდამოდ ჩამონაქვთილ, სრულებით უცვლელ ენად ეჩვენება.

რა თქმა უნდა, რომ ძველი ქართულის გრამატიკული და მართლწერითი ერთგვარობა მრავალსაუკუნოვანი შეგნებული კულტურული მუშაობისა და მიზანშეწონილი სავალდებულო დანორმების შედეგია. ასეთ შემთხვევებში ყოველთვის ადგილობრივი, თემური, თუ ტომობრივი ყოველნაირი თავისებურება უგულებელყოფილია და ულმობელად უარყოფილიც არის ხოლმე: სხვა გზა და საშუალება ზოგადი ენის შესაქმნელად არ არსებობს. ზოგადს ენას მხოლოდ იმ სიტყვიერი მარაგის შენარჩუნება შეუძლიან, რომელიც ერის სხვაზე უფრო ძლიერ და დაწინაურებულ ტომთან საერთო კულტურული და პოლიტიკური ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანია, რომელიც ურთიერთი გაგების აუცილებელს საგანძურს წარმოადგენს.

რამდენადაც უფრო ძლიერია და დაწინაურებული ზოგადი ენა, იმდენად უფრო მკაცრად არის ხოლმე მისი ერთგვარობა დაცული და ყველაფერი, რაც დიალექტურად ამა-თუ-იმ თემში, ხეობაში, თუ გინდ სოფელში შერჩენილია, უმეტესად აღუბეჭდველი რჩება, შემდეგ-კი დროთა განმავლობაში ქრება და ისპობა. რასაკვირველია, ამით მეცნიერებას, სამწერლობო ენის შესწავლისათვის ძვირფასი, საკონტროლო მასალაც ეკარგება, ენოვანი მასალის მრავალფეროვანებითა და ნაირნაირი სიუხვითაც უმწერლობო ენების საუნჯე ენათმეცნიერებისათვის, რა თქმა უნდა, უფრო საინტერესოა. მაგრამ, სამაგიეროდ სამწერ-

ლობო ენა მკვლევარს თავისი განვითარების საფეხურების შესასწავლად ძველ დროითგანვე დამწერლობით აღბეჭდილს მასალას აწვდის, რომელიც კვლევა-ძიებისათვის მტკიცე საფუძველს უქმნის ხოლმე. ამის უქონლობა-კი უდამწერლობო ენების შემსწავლელს ძალიან უძნელებს საქმეს.

რაკი ქართული ძველი დამწერლობიანი ენაა, ამიტომ მის რიცხვითს სახელებშიც მკაცრი ერთგვარობაა დამყარებული და მათი შემსწავლელი იმის მსგავსს ნაირნაირობას, რომელიც ჩრდილო-კავკასიის ენების რიცხვითი სახელების ანალიზის დროს ასე საგრძნობი, მაგრამ ხშირად მეტად გამოსადეგი იყო, ოდნავაც ველარ ნახავს. ამის ანაზღაურება ძველი ზოგადი ქართულის დიალექტების, ქართველური ენების მასალითაც მხოლოდ მცირეოდნად შეიძლება, რათგან ზოგადი ქართულის ოდინდელი და მერმინდელი ნორმების ძლიერი გამათანაბრებელი გავლენა მათაც მკაფიოდ ატყვიათ. რასაკვირველია, იქაური მასალებიც რიცხვითი სახელების ანალიზის დროს აქა-იქ ადამიანს შველის, მაგრამ **ამაზე უფრო მნიშვნელოვანია** თვით **ზოგადი სამწერლობო ენის საგანძურში დაცული რიცხვითი ოდენობის გამომხატველი სპეციალური ტერმინები, რომელთაც ზოგჯერ დამწერლობაზე უწინარესი მეურნეობის ენის ვითარება აქვთ აღბეჭდილი. სწორედ აქ შეუძლიან მეცნიერს ის დანაკლისი,** რომელიც ზოგადს ენას დანორმების წყალობით ოდინდელ ფორმათა მრავალფეროვანობის მოსპობის გამო აქვს, **ნაწილობრივ მაინც აინაზღაუროს.**

§ 2. ამ საკითხის შესახები ნაშრომების შეფასება.

არც ზოგადი ქართული და არც ქართველური რიცხვითი სახელები მონოგრაფიულად ჯერ არავის შეუსწავლია. მხოლოდ აკად. ნ. მარრსა აქვს სხვა-და-სხვა ეტიმოლოგიები წამოყენებული და ერთი სპეციალური ნაშრომიც მოეპოვება.

პირველად თავისი თეორია რიცხვითი სახელების შესახებ აკად. ნ. მარრმა 1913 წ. გამოაქვეყნა პატარა ნაკვლევის სახით, რომელსაც ეწოდება „რიცხვითი სახელების ნასესხობა იაფეტურს ენებში“ („Заимствование числительных в яфетических языках“: ИАН, 1913 წ., გვ. 789—790), ქართული რიცხვითი სახელები-კი განხილულია ნ. მარრის 1925 წ. გამოსულს „ძველი სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკა“-ში, სადაც ამ საკითხს 12 დაბეჭდილი გვერდი აქვს დათმობილი (გვ. 71—82). ამ ნაშრომში ავტორს მთელი თავისი მსჯელობა თავის ძველს თეორიაზე, ქართულის სემურობის რწმენაზე. აქვს დამყარებული, თუმცა უკვე ხუთი წლით ამაზე უწინარეს მას სრულებით სხვა მოსაზრებანი ჰქონდა გამოთქმული. სახელდობრ, თავისს 1920 წ. გამოქვეყნებულს ნაშრომში „Яфетический Кавказ и третий этнический элемент в созидании средиземноморской культуры“, აკად. ნ. მარრი ამბობდა, რომ რიცხვით სახელებად თავდაპირველად სხეულის სახელები ყოფილანო: **ერთისაცა** და **ორის** აღსანიშნავად ერთსა-და-იმავე სიტყვას ხმარობდნენ, „თავს“-კი არა („ერთი

თავი"), არამედ ან **«პირს»**[1], რომელიც წარმოდგენილი იყო, როგორც **«ერთი»** («ერთი პირი») და **ორი** («ორი ტუჩი пара губ»), ან **«ხელი»**, ერთად აღქმული („ერთი ხელი") და ო რ ა დ („წყვილი ხელი"), რიცხვი **„ოთხი"** სიტყვა **„ფეხები"** გამოდგა, ოთხფეხ ცხოველთან დაკავშირებით, ან იქნებ იმასთან დაკავშირებითაც, რომ ხელები ჯერ კიდევ ფეხების მსგავსადაც იხმარებოდა, **ხუთი** სიტყვა **„მჯიღით"** გამოიხატებოდა. თავდაპირველად ხან ხუთამდის სთვლიდნენ, ხან ექვსამდის, ამის იქით-კი ხმარობდნენ სიტყვას **ბევრი**[2], რომლის აღსანიშნავადაც ორსავე ხელს გამოიყენებდნენ ხოლმე. როდესაც პრეიაფეტიდმა უკვე **ათის** ცნებას მიაღწია, მაშინ იგივე სიტყვა „ხელი" (თუ სახელდობრ რომელი სიტყვა აქვს ნაგულისხმევი, განმარტებული არ არის), მხოლოდ მრავლობითად ნახმარი, გამოხატავდა **ათეულს**, შუალედი რიცხვების აღსანიშნავად-კი ხუთს, ანდა ექვსს ერთს, ანდა ორს უმატებდნენ, ანდა ერთის, ან ორის ათიიგან გამოკლებით აღნიშნავდნენ ხოლმე, ე. ი. ათი ერთ-ნაკლები, ანდა ორ-ნაკლებიო („Яфетич. Кавказ и третий этнический элемент": Избр. работы I, 99).

6. მ ა რ რ ს უკვე ძველი ქართული გრამატიკის თავისს „ძირითადს ტაბულებში" ზოგიერთი ქართული რიცხვითი სახელების ეტიმოლოგიები მთლიანად სემური ენების რიცხვითს სახელებთან აქვს დაკავშირებული, 1920 წ. მოხსენებაში წამოყენებულს დებულებაში-კი წინანდელი ეტიმოლოგიების ხსენებაც-კი არ მოიპოვება, მაგრამ არც ამ ახალი თეორიის დამადასტურებელი რიცხვების ის სახელებია მოყვანილი, რომელნიც მისი აზრით ხელისა და ფეხების აღმნიშვნელი სიტყვებისაგან არიან წარმომდგარი. მთელ ამ უთანხმოებას ის გარემოებაც ერთვის ზედ, რომ ამის ხუთი წლის შემდგომ გამოქვეყნებულს ზემოაღნიშნულს „ძვ. ქართ. გრამატიკა"-შიც 1920 წ. მოძღვრების არავითარი კვალი არა ჩანს და, რაკი იმ ნაშრომში წამოყენებულ ახალ დებულებათა არც დასაბუთება, არც დამადასტურებელი მაგალითები მოიპოვებოდა, ამიტომ გრამატი-

[1] უეჭველია იგულისხმება: პირველი.

[2] Числительные выявились, также, как физические предметы, как пережитки слов, обозначавших и обозначающих члены тела: для представления „один", как и для представления „два", бралось одно и то-же слово, не "голова" („одна штука"), а или „рот", воспринимаемое как о д и н („один рот") и д в а („пара губ"), или „рука", воспринимаемое как о д и н („одна рука") и д в а („пара рук"). число „четыре оказалось словом „ноги", в связи-ли с представлением о четвероногом животном, или, быть может, в зависимости от того, что руки еще продолжали служить передними ногами, когда блеснула творческая мысль о „четырех", пять выражалось словом „кулак" („пятерня") и т. п. („Яфетический Кавказ и третий этнический элемент": Н. Я. М а р р, Избранные работы I, 99).

Первоначальное исчисление единиц доходило то до пяти, то до шести, свыше этого было слово „много", представление о котором давалось двумя руками, как носительницами многих единиц пальцев, числовое восприятие которых, однако, не было еще доступно. Когда праяфетид дошел до представления о десяти, то-же слово „рука" во множественном числе, собственно две руки с „десятью пальцами" стали выражать „десяток", а промежуточные числа выражались с помощью остальных, то прибавкой к пяти и шести единицы, двойки, то вычитанием из десятка той-же единицы, двойки и другими еще приемами исчисления (Н. М а р р, „Яфетич. Кавказ и третий этнический элемент": Избр. работы I, 99).

კის მკითხველის პირადს სურვილზე იყო მიგდებული, თუ ნ. მარრის ამ ორს ერთმანერთისაგან ძირიანად განსხვავებულს თეორიას როგორ შეათანხმებდა.

დასასრულ, „ძვ. ქართულის გრამატიკის“ გამოსვლის ორი წლის შემდგომ, 1927 წ. ნ. მარრმა ამ რიცხვითს სახელებზე საკმაოდ მოზრდილი ნაშრომი დაბეჭდა, რომელსაც შემდეგი სათაური აქვს: „რიცხვითს სახელებზე (გენეზისური საკითხის დაყენებისათვის)“, „О числительных (К постановке генетического вопроса),“[1] როგორც თვით სათაურითგანაც ირკვევა, ეს ნაშრომიც უკვე დამთავრებული კვლევა-ძიების შედეგს-კი არ წარმოადგენს, არამედ რიცხვითი სახელების გენეზისის საკითხის წამოსაყენებლად ჩანს განკუთვნილი. ასეთი სათაურისდა მიუხედავად, ამ საკმაოდ მოზრდილი, 60 დაბეჭდილ-გვერდიანი, ნაწარმოების 26 გვერდი რიცხვითს სახელებს არ ეხება, არამედ ღვთაებათა სახელებს, („წარმართს“, ღმერთს, არმაზს, საბაძიოსს, სომხ. ასტვაწს, კარაპეტს და ბევრ სხვასაც). დანარჩენ 34 გვერდზე ჯერ ზოგადი დებულებაა მოყვანილი რიცხვითი სახელების წარმოშობის შესახებ (გვ. 273—277[2]), შემდეგ წინა ნაწილში მოთავსებულ დებულებათა დასადასტურებლად მრავალ სხვა-და-სხვა ენითგან ამოღებული ზოგიერთი რიცხვითი სახელებისა და მათ მაგიერად მიჩნეული სიტყვების ანალიზებია მოყვანილი 298-ე გვერდამდე, რომლის ბოლოსაც პირველი ათეულის რიცხვითი სახელების წარმოშობილობის მოკლე სქემაა დართული (გვ. 298—299).

ამ სქემას ავტორის შემდეგი განცხადება მისდევს: „ეხლა ის-ღა დარჩა, რომ მთელი (ჩვენი) ნაგებობის (სისწორე) ენათა თვითეული სისტემის, ბევრ შემთხვევაში თვითეული ცალკე ენისაც-კი, რიცხვითს სახელებზე და სხვა მათ მსგავს სიტყვებზე „შეგვემოწმებინა“ და „მით დაგვემთავრებინა. მაგრამ ასეთს ამომწურავს, დაწვრილებითს განხილვაზე უარის თქმა გვიხდება“, დროის უქონლობის გამო კი არა, არამედ იმიტომ, რომ ასეთი გაღრმავებული შესწავლისათვის ჯერ შუა აფრიკისა და აზიის ენების იაფეტოლოგიური კვლევა-ძიების ასპარეზად ქცევაა საჭირო, ამასთანავე თვით იაფეტური ენებიც ამ მხრივ, ე. ი. რიცხვითი სახელების აღნაგობის მხრივაც, ჯერ სპეციალურად შესწავლილი არ არისო (გვ. 299—300)[3].

---

[1] თავდაპირველად გამოქვეყნდა კრებულში „Языковедные проблемы по числительным“, т. I, გვ. XV—XXVIII, Ленинград), ამჟამად გადაბეჭდილია „Избранные работы“-ს III წიგნში, გვ. 246—306.

[2] გვერდები „Избран. работы“-ს III წიგნისაა.

[3] Нам бы оставалось теперь проверять все построение на числительных каждой системы языков, а во многих случаях на числительных каждого отдельного языка, учтя, разумеется, то или иные пережиточные особенности, как напр. или нумеративные слова, или новообразования... равно такие, относящиеся к числительным термины, как раз,—крат,—жды, тем более пара, близнецы и т. п. и на том и кончать. Но от этой исчерпывающей детальной трактовки приходится отказаться, по многим обстоятельствам, в числе их в первую голову не все во по недостатку времени..., а потому что... более глубокое и тонкое освещение этого сюжета в целом не может иметь места до вовлечения в орбиту исследователя языков... азиатских и африканских языков... в момент, когда поставлен вопрос о конкретной работе над вовлечением глубинных африканских и иных языков в круг яфетидологических изысканий (გვ. 299)... К тому же, сами яфетические языки не проработаны специально по этой части“. („О числительных“: Избр. работы, т. III, გვ. 300).

რაკი ჩვენი წინამდებარე ნაშრომის მთავარი ნაწილი ნ. მარრის ზემოდასახელებული ნაკვლევის გამოსვლამდე უკვე დამთავრებული გვქონდა, ამიტომ აქ მისი არსებითად განხილვა შეუძლებელი იყო. ამიტომვე რიცხვითი სახელების დაწვრილებითი შესწავლისა და ანალიზის დროს ნ. მარრის უკანასკნელ ეტიმოლოგიებზე მსჯელობაც არ შეგვეძლო და აქ უნდა მისი ამ ნაშრომის მხოლოდ ზოგადი დახასიათება-შეფასებით დავკმაყოფილდეთ.

ვინც-კი აკად. ნ. მარრის წინანდელს, 1926 წლამდე გამოსულს, ნაშრომებში გაფანტულს, თუ სისტემურად დალაგებულს ეტიმოლოგიებს გადაიკითხავს ქართული რიცხვითი სახელების შესახებ, დარწმუნდება, რომ მთელი მისი მსჯელობა იქ ქართულის სემურობის რწმენით არის ნაკარნახევი. ყველაფერი ამ რწმენის მკითხველებშიც განმტკიცებისათვის იყო მაშინ განკუთვნილი. ერთადერთს გამონაკლისს მარტო ნ. მარრის 1920 წ. წაკითხული მოხსენება წარმოადგენს „მესამე ეთნიკური ელემენტის“ შესახებ, სადაც, როგორც დავრწმუნდით, რიცხვითი სახელების წარმოშობის უკვე სრულებით სხვა მოსაზრებანია ზოგადად, დაუსაბუთებლივ, წამოყენებული. თუ გავიხსენებთ, რომ სწორედ ამ თავისს 1920 წ. ნაშრომში ნ. მარრი იძულებული იყო ქართულის სემურობის თავისი დებულების სრული მცდარობა აღიარებინა, ცხადი და გასაგები გახდება, თუ რატომ იყო, რომ ამავე დროს ავტორს ქართ. რიცხვითი სახელების წარმოშობილობის ახალი თეორიისა და ეტიმოლოგიების წამოყენება დასჭირდა: სემურობის რწმენის გაქარწყლებას ლოგიკური აუცილებლობით ამ მოძღვრებაზე დამყარებული ეტიმოლოგიებიც უნდა ემსხვერპლა!.. მაგრამ 1920 წ წამოყენებული ახალი დებულება რიცხვითი სახელების გენეზისის შესახებ ჯერ კიდევ კარგა ხანს, 1925 წ.-მდეც-კი, თვით მის ავტორსაც იმდენად ურყევ რწმენად არ ჰქონდა ქცეული, რომ „ძველი ქართულის გრამატიკა“-ში მთლიანად შეეტანა, არამედ იქ წინანდებურად სემურობის სული ტრიალებს და ახალი მოძღვრების ანარეკლს მკითხველი ძნელად თუ სადმე შეამჩნევს.

ორი წლის შემდეგ. 1927 წ. დაბეჭდილს ნაშრომში, როგორც დავრწმუნდით, პირიქით, უკვე სემურობის ყოველივე ანარეკლია გამქრალი და რიცხვითი სახელების წარმოშობის შესახები მისი მსჯელობა მთლიანად ახალს მოძღვრებაზეა დამყარებული. მხოლოდ ზოგი რამ, რაც ამ ნაშრომში ვრცლად არის ნათქვამი, ზოგადი დებულების სახით, მოკლედ ზემოდასახელებულს 1920 წ. მოხსენებაშიც გვხვდება, ისე რომ 1927 წლის მოძღვრება 1920 წლის ჩანასახის შვიდი წლის ნაყოფს უნდა წარმოადგენდეს. ასეთი ხნიერებისდა მიუხედავად, თვით მისმა ავტორმა ეს მოძღვრება მაინც მხოლოდ წინასწარ, აპრიორულ დებულებად აღიარა.

სულ მოკლედ რომ გამოითქვას, აკად. ნ. მარრის უკანასკნელი დებულებით რიცხვითი სახელების ერთეულების აღმნიშვნელი სიტყვები თავდაპირველად ერთი ხელის, ორი ხელის, ან ორი ტუჩის, ხელებისა და ფეხების სახელებს წარმოადგენენ, რომ ერთს დროს ხუთს ზევით ბევრი ითქმოდა და რომ ხუთითგან და თვით სამითგანაც-კი მოყოლებული ერთეულების რიცხვითი სახელები, ან რიცხვთა შეკრებით, ანდა გამოკლებით გამოიხატებოდნენ.

ასეთი დებულება ენათმეცნიერებაშიცა და ფსიქოლოგია-ფილოსოფიაშიც დიდი ხანია უკვე ცნობილია. ჯერ კიდევ ამერიკის, ავსტრალიისა და აფრიკის ველურ და ჩამოქვეითებულ ტომთა ენების მე-XIX ს. შემსწავლელებმა შენიშნეს ეს გარემოება და თავიანთ ნაშრომებში ჰქონდათ შეტანილი. ასეთ ცალკეულ დამკვირვებელთა ცნობებზე დაყრდნობით ენათმეცნიერების ზოგადი საკითხების განმხილველებსაცა და ფსიქოლოგოს-ფილოსოფოსებსაც რიცხვითი სახელების წარმოშობის პრობლემები სწორედ ასე ჰქონდათ და აქვთ გაშუქებული.[1] მაგრამ, რაკი რიცხვითი სახელების ასეთი წარმოშობილობისა და აღნაგობის გამორკვევა და დამტკიცება დაწინაურებულს, მრავალსაუკუნოვანი კულტურული წარსულის მქონებელს ენებში ძნელია, მთელს ამოცანას სწორედ ასეთი ენების რიცხვითი სახელების მონოგრაფიული, გაღრმავებული შესწავლით, ველურ და ჩამორჩენილ ტომთა ენების დაკვირვებით მოპოებული, შედეგის შემოწმება და შევსება შეადგენდა და შეადგენს ეხლაც.

ზემოაღნიშნულითგან ჩანს, რომ ქართული და ე. წ. იაფეტური ენების რიცხვითი სახელების ამ მიმართულებით მკვლევარის ამოცანადაც, მათ შორის აკად. ნ. მ ა რ რ ი ს ა ც, შესაძლებელია მხოლოდ იგივე ყოფილიყო: ე. წ. იაფეტური და სხვა, მაგალითად ინდოევროპული, ენების მონოგრაფიული შესწავლითა და გაღრმავებული ანალიზით რიცხვითი სახელების ასეთივე წარმოშობის გარემოება გამოერკვია და ან დაემტკიცებინა, ან უარეყო. ამის მაგიერ ნ. მ ა რ რ მ ა ისევ ზოგად დებულებათა წამოყენება ირჩია სხვა-და-სხვა ენებითგან განურჩევლად ამოღებული რიცხვითი სახელების აგებულების დაუსაბუთებლივ დანაწილებითა და დაკავშირებით. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, ძნელი წარმოსადგენელია, რომ სწორე და გონებამახვილი მოსაზრება სათუო და მცდარი ეტიმოლოგიებით არ ყოფილიყო მოცული. ყოველი ახალი დებულება შესაძლებელია მხოლოდ იმდენად იყოს მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი, რამდენადაც იგი მრავალრიცხოვანი ფაქტების, ხანგრძლივსა და მონოგრაფიულს შესწავლა-დაკვირვებაზეა ხოლმე დამყარებული. აკად. ნ. მ ა რ რ მ ა ეს გზა უარჰყო: სწორედ იქვე, სადაც მან ზოგადი მოძღვრება უკვე საკმაო სისრულით განმარტებულად მიიჩნია, მას, როგორც დავრწმუნდით, ნათქვამი აქვს: ეხლა მხოლოდ ცალკეულ ენათა და ენათა მთელი სისტემების რიცხვითი სახელების ანალიზით მთელი ჩვენი მოძღვრების შემოწმება-ღა დაგვრჩენია, მაგრამ დაწვრილებითს განხილვაზე უარს ვამბობ იმიტომ, რომ, ერთი მხრით, შუა აფრიკისა და აზიის ენები ჯერ კიდევ იაფეტოლოგიურად გამოკვლეული არ არის და მეორე მხრით თვით იაფეტურ ენათა რიცხვითი სახელების აღნაგობაც ჯერ სპეციალურად შესწავლილი არ არისო.

---

1. წყაროების ვრცელს სიას მსურველი იპოვის ვ უ ნ დ ტ-ის Völkerpsycholcgie-ს, II B. Die Sprache-ს, Zweiter Teil, 3 Aufl-ს გვ. 24—31, § 4 Zahlwörter und Zahlsysteme, სადაც ძველი წყაროებიცაა აღნიშნული,—E r n s t C a s s i r e r-ის Philosophie der symbolischen Formen, Erster Teil: die Sprache,—Berlin 1923 წ., მეტადრე გვ. 180—202, სადაც მრავალი ძველი ნაშრომებია დასახელებული, და P. W. S c h m i d t-ის Die Sprachfamilien und Sprachkreise der Erde, Heidelberg, 1926 წ., მეტადრე გვ. 357—380, die Zahlsysteme, სადაც რიცხვ. სახელების წარმოშობა და სისტემები ყოველმხრივ არის განხილული და წყაროებიც აღნიშნულია.

ავტორის ამ განცხადებითგან ირკვევა, რომ „ნაგებობა“ მხოლოდ თეორიულია და „იაფეტურ“ ენათა რიცხვითი სახელების მონოგრაფიულს შესწავლაზე არ არის დამყარებული, რომ თვით აკად. ნ. მ ა რ რ ი ს სიტყვითაც ამ ნაგებობას ჯერ კიდევ ყოველმხრივი შემოწმება სჭირდება.

§ 3. ზოგადი ქართული და ქართველური რიცხვითი სახელები

ქართული რიცხვითი სახელების შესახებ არსებული თეორიებისა და ეტიმოლოგიების ზემომოყვანილი ზოგადი მიმოხილვის შემდგომ, უნდა კვლავ ჩვენს კვლევაძიებას დავუბრუნდეთ. რაკი რიცხვითი სახელების აგებულებისა და მნიშვნელობის გამოსარკვევად გამოსადეგ მეთოდებზე უკვე თავშივე გვქონდა საუბარი და ქართული-ქართველური რიცხვითი სახელების ანალიზის დროსაც მთელი მუშაობა ამავე გზით იქმნება წარმართული, ამიტომ აქ მეტი სათქმელი აღარაფერია და შესაძლებელია პირდაპირ საქმეს შევუდგეთ.

პირველად ძველი და თანამედროვე ზოგადი ქართულისა და მეგრულ-ჭანურ-სვანური რიცხვითი სახელები გადავიკითხოთ.

1 ერთი.
2 ორი.
3 სამი.
4 ოთხი.
5 ხუთი
6 ექუსი.
7 შჳდი, შვიდი
8 რუაჲ, რვა.
9 ცხრაჲ, ცხრა.
10 ათი.
11 ათ-ერთ-მეტი, თერთმეტი
12 ათ-ორ-მეტი, თორმეტი.
13 ათ-სამეტი, ცამეტი.
14 ათ-ოთხ-მეტი, თოთხმეტი.
15 ათ-ხუთ-მეტი, თხუთმეტი, ხუთმეტი.
16 ათ-ექუს-მეტი, თექვსმეტი.
17 ათ-შჳდ-მეტი, ჩვიდმეტი.
18 ათ-რუა-მეტი, თვრამეტი.
19 ათ-ცხრა-მეტი, ცხრამეტი.
20 ოცი.
21 ოცდაერთი.
22 ოცდაორი.
30 ოცდაათი.
40 ორმეოცი, ორმოცი.
50 ორმეოცდაათი, ორმოცდაათი, ერგასი (ძველი).

60 სამეოცი, სამოცი
80 ოთხმეოცი, ოთხმოცი
100 ასი
101 ასერთი
200 ორასი
201 ორასერთი
300 სამასი
400 ოთხასი
1000 ათასი
10000 ბევრი

მეგრული რიცხვითი სახელები

1 ართი
2 ჟირი, ჟგრი
3 სუმი
4 ოთხი
5 ხუთი
6 ამშვი
7 შქვითი
8 რუო, ბრუო
9 ჩხორო
10 ვითი
11 ვითაართი
12 ვითოჟირი, ვითოჟგრი
13 ვითოსუმი
14 ვითაანთხი
15 ვითოხუთი
16 ვითაამშვი
17 ვითოშქვითი
18 ვითორუო, ვითობრუო
19 ვითოჩხორო
20 ეჩი
21 ეჩი დო ართი
22 ეჩი დო ჟირი
30 ეჩი დო ვითი
40 ჟარნეჩი, ჟაარნეჩი
50 ჟარნეჩი დო ვითი
60 სუმონეჩი, სუმენეჩი
80 ოთხონეჩი
100 ოში
200 ჟიროში, ჟგროში
300 სუმოში
400 ოთხოში
1000 ვითოში, ათასი.

ჭანური რიცხვითი სახელები

1 ართი, არ, ა, წარ (ათინ.)
2 ჟურ, ჟუ, ჯურ (ათინ.)
3 შუმ, სუმ
4 ოთხო
5 ხუთ, ხუ
6 აში, ანშ, წაში (ათინ.)
7 შქჳით, შქით, შქი
8 ოვრო, წოვრო (ათინ.)
9 ჩხორო
10 ვით, ჳით, ვი
11 ვით დო არ, ვიტოარ, ვიტვარ, ვითოწარი (ათინ.)
12 ვითდოჟურ, ვიტოჟურ, ვითოჯურ (ათინ.)

13 ვით დო სუმ, ვიტო სუმ, ვითოსუმ (ათინ.)
14 ვით დო ოთხო, ვიტო ოთხო, ვიტოთხო, ვითო ოთხო (ათინ.)
15 ვიტოხუთ (ვიწ.-არქ.), ვითოხუთ (ათინ.)
16 ვიტვაში (ვიწ.-არქ.), ვითოჲაში (ათინ).
17 ვიტოშქით (ვიწ.-არქ.), ვითოშქით (ათინ.)
18 ვიტოვრო (ვიწ.-არქ.), ვითოოვრო (ათინ.)
19 ვიტონჩხორო (ვიწ.-არქ.), ვითოჩხორო (ათინ).
20 ეჩი, ჲეჩ (ათინ.)
30 ეჩიდოვით, ეჩდოვით
40 ჟურენეჩი, ჟურნეჩი,—ჯურენეჩი, ჯურჲეჩი (ათინ.)
50 ჟურენეჩი დო ვით, ჟურნეჩი დო ვით, ჟურნეჩდოვით, — ჯურჲეჩიდოვით (ათინ.)
60 სუმენეჩი
70 სუმენეჩი დო ვით, სუმენეჩიდოვით
80 ოთხენეჩი, ოთხონეჩი
90 ოთხენეჩი დო ვით, ოთხონეჩდოვით
100 ოში,—ჲოშ (ათინ.)
200 ჟურ ოში
300 სუმ ოში
400 ოთხ ოში
1000 შილჲა, შილია,—ვითოში (ათინ.)

(ნ. მარრის ჭ. გ., 19—20 და არნ. ჩიქობავას ჭანურის გრამ. ანალიზი, ტექსტ. 1 და 138).

სვანური რიცხვითი სახელები

1 ეშხუ
2 ჲორი, ჲერუ, ჲორუ
3 სემი
4 უ̂ო̄შთხუ̂
5 უ̂ოხუ̂იშდ
6 უსგუ̂ა
7 იშგუ̂იდ
8 არა
9 ჩხარა
10 ჲეშდ
11 ჲემდეშხუ, ეშდეშხუ
12 ჲეშდჲორი, ეშდჲორი, ჲე́შდჲერუ, ეშდჲორუ
13 ეშდსემი
14 ეშდი́უ̂ო̄შთხუ̂
15 ეშდუ̂ოხუ̂იშდ
16 ეშდუსგუა
17 ეშდიშგუ̂იდ

18 ეშდარა
19 ეშდჩხარა
20 ჲერუ̂ეშდ
30 სემეშდ
40 უ̂ო̄შთხუ̂ეშდ, ურინერუ̂ეშდ (ბალსქვ.)
60 უსგუ̂ა̈შდ, სუმინერუ̂ეშდ (ბალსქვ.)
70 იშგუ̂იდჲეშდ
80 არა̈შდ
90 ჩხარა̈შდ
100 აშირ.

(პროფ. ვ. თოფურიას ჩანაწერით).

§ 4. ერთეულების სახელების ანალიზი

I. რიცხვითი სახელების პირველ ერთეულს ქართულ სამწერლობო ენაში თუ **ერთი** ეწოდება, რომელიც გურულ კილოში **ერი**-ს სახითაც გვხვდება (იხ. ს. ჟღენტის გურული კილო, 22), მჷგრჷლსა და ჭანჷრში ამის შესატყვისად **ართი** არის, რომელიც ჭანურად შეკვეცილიც იხმარება; **არ** და **ა**-დაც გვხვდება. ათინურს კილოში **ჩარ**-ად გამოითქმის. სჷანჷრაჲ **ერთი ეშხუ** და **ეშხჷ-ა**. მჷგრჷლაჲ ზემოაღნიშნულის გარდა **აკა**-საც ხმარობენ, რომელიც აბხაზურითგან ნასესხებად ითვლება (მ. გ.).

აღსანიშნავია, რომ რიგობითი რიცხვით სახელად უკვე **პერველი**-ა მიღებული, რომელიც მჷგრჷლშიც ასევე იხმარება და სჷანჷრშიაც ითქმის **პირველ**. ძველ ქართულში ამავე მნიშვნელობით მარტივად **პირ**-იც უნდა ყოფილიყო მიღებული. ამ სახით გვევლინება იგი ისეთ რთულ სიტყვებში, როგორიცაა **პირმშო**, **პირმარხვა** და სხვა ამის მსგავსი. ს. ორბელიანსაც თავის ლექსიკონში განმარტებული აქვს რომ **„პირ პირველი“** არისო.

საყურადღებოა, რომ **ორთაგან ერთს**, ძველადაც **ცალი** ერქვა და ეხლაც ასე ჰქვიან (შეად. „მეუღლე ჩემი მომიკლეს, დავეხეტები ცალადა“). ს. ორბელიანსაც ნათქვამი აქვს, რომ **„ცალი ორის ტოლისაგან ერთი“** არისო (ლექსიკ). მჷგრჷლშიც ამ მნიშვნელობით ამ სიტყვასვე ხმარობენ, რომელიც **ცაი**-ს სახითაც გვხვდება (მ. გ.).

აღსანიშნავია **კენტ**-იც, რომელიც საბა ორბელიანის განმარტებით **„არა ლუწი“** არის (ლექსიკ.).

დასასრულ თავისი აგებულებითა და მნიშვნელობით საყურადღებოა კიდევ ერთი ტერმინი **ცანკუჭულელი**, რომელსაც, საბას განმარტებით, არაჩვეულებრივი მნიშვნელობა ჰქონდა: **„ცანკუჭულელი წყვილი და კენტი, ულელ-ცალი“** არისო (ლექსიკ).

ამავე მეცნიერს „კატელორიის“ დამოწმებით ნათქვამი აქვს, რომ **„ცანკული კენტი** (+ (კარი)“-ს აღმნიშვნელი იყო.

ზოგადი ქართულის **ერთის** ე-ხმოვნობასა და მეგრულ-ჭანურის **ართის** ა-ხმოვნობას შორის შუალედი ადგილი სვანურს **ეშხუ**-ს უკავია. თავისი თანხმო-

ენებით-კი ზოგადი ქართული, მეგრული და ჭანური არაფრით არ განირჩევიან, სვანურს გარდა, რომელსაც **რთ**-ს მაგიერ **შხ** აქვს[1].

ერთის ეტიმოლოგიის ძიების დროს ყურადღების ღირსია ამავე ცნების გამომხატველი მეორე სიტყვა **ႩႤႬႲႨ**-ც. შესაძლებელია, თუ არა, რომ ამ ორს, ერთნაირად **ცალობის** აღმნიშვნელს, სიტყვას ერთმანერთთან რაიმე კავშირი ჰქონდეს?

უკანასკნელ თანხმოვანთა განსხვავებასაც რომ თავი დავანებოთ, ამას მაინც ის გარემოება ეწინააღმდეგება, რომ მეორე მათგანს თავში **კ** აქვს, რომელიც პირველს არ უჩანს და მეორე თანხმოვნადაც **ნ** არის **რ**-ს მაგიერ.

ამნაირად, ზემოდასახელებულს ორ სიტყვას შორის კავშირის მოსაზრების დასაჯერებლად მათ შორის შუალედი ფორმის არსებობაა საჭირო. ზემოაღნიშნული მიმართულებით ძიების დროს, შესაძლებელია გავიხსენოთ **ცალი ხელის** წინა კიდურის (მაჯითგან მოყოლებული ნებ-თითებიანად) აღმნიშვნელი ძველი ქართული **ႩႤႰႲႨ**-ც, რომელიც საბას სიტყვით, **ძუძუს თავის** სახელადაც უხმარიათ.

საფიქრებელია, რომ **ႩႤႰႲႨ** თავდაპირველად **შეკვრას**, **შეკრულს ერთეულს**, **ერთ შეკვრას** ნიშნავდა. ამიტომ არის, რომ **ცალი ხელის** მაჯის ქვეით მდებარე, **ხუთი თითის შემცველის ამ ერთეულის მსგავსი ნაწილის სახელადაც** ყოფილა გამოყენებული.

თუ ქართულსა და ქართველურში **რ**-ს **ნ**-დ შენაცვლების სიხშირეს გავიხსენებთ, დაუჯერებელი არაფერი იქმნება, რომ **ႩႤႬႲႨ**-ც ამავე გზით **ႩႤႰႲႨ**-საგან წარმომდგარად მივიჩნიოთ.

ბუნებრივია, რომ **ცალის** აღსანიშნავად რეალური საგნის, ანდა სხეულის ნაწილის სახელიც ყოფილიყო გამოყენებული და, როგორც ჩანს, ქართველ ხალხს გამოუყენებია კიდევაც. ამ მხრით საყურადღებოა ძველი ქართული **ႫႾႭႪႭႣ**, რომელიც **ცალკეულსა** ნიშნავდა, ისეთ რთულ სიტყვებში-კი, როგორიც **ႫႾႭႪႭႣႸႭႡႨႪႨ** და მსგავსნია, **ერთის** გამომხატველია. ეს სიტყვა მეგრულსაცა და ჭანურსაც აქვს,—პირველს **ხვალე**-ს, მეორეს-კი **ხუალა**-ს სახით,—და ორივე ნიშნავს **ცალკეულად**, **მხოლოდ**, მეგრულად **ერთხაც**-კი (იოს. ყიფშიძის მ. გ., 401 და ნ. მარრის ჭ. გ. 234).

აკად. ნ. მარრს ამ სიტყვის შესახებ ნათქვამი აქვს მარტო, რომ **ႫႾႭႪႭႣ** ნაწარმოებია **მ** თავსართისა და **ხლ** ძირისაგან, ამ უკანასკნელის ძირითადი მნიშვნელობა-კი განმარტებული არა აქვს (ძველი ქართ. გრ., 78, § 96), მე-კი მგონია, რომ **ႫႾႭႪႭႣ**-ს თავკიდური **მ** პირვანდელი სახით დაცული არ უნდა იყოს, არამედ შენაცვლებულია. **ႫႾႭႪႭႣ**-ს **თავდაპირველი ბგერითი სახეცა და პირველადი მნიშვნელობაც სვანურს აქვს დაცული. სვანურად არსებობს სიტყვა ႴႾႳႪႠ**, რომელიც **თითსა** ნიშნავს. სწორედ **აქეთგან უნდა იყოს ႫႾႭႪႭႣ წარმომდგარი.**

ადამიანის სხეულის ერთი ნაწილის სახელის რიცხვის აღმნიშვნელ სიტყვად ძველ ქართულში გამოყენების ზემომოყვანილი მაგალითის შემდგომ, ამის მსგავ-

[1]. ნ. მარრი ფიქრობს, რომ ერთი წარმომდგარია ჴერთ-ისაგან და ამ რიცხვითი სახელის ძირად ჴრთ მიაჩნია (ძვ. ქართ. გრ. 75).

შიევე მეორე მაგალითის დასახელება უკვე აღარ გვეუცხოვება. ᲔᲠᲗᲘ-ც **შეხაძ-ლებელია ᲙᲔᲜᲢᲘᲡ წინამორბედის ᲙᲔᲠᲢᲘ-საგან იყოს წარმომდგარი** თავკიდური ↄ-ს ჩამოცლისა და ტ-ს გაასპირატების გზით.

ერთის ეტიმოლოგიის ძიების დროს ჯეროვანი ყურადღება უნდა ჭანურს, მის შესატყვისობასაც მიექცეს, სახელდობრ მის ათინურს სახესხვაობას. მეგრულ-**ჭანური** **ართი**-ს მაგიერ, ათინურს კილოში ᲬᲐᲠ-ს ამბობენ. **თერთმეტის** სახელს ამ რიცხვის უფრო სრული ფორმა ᲬᲐᲠᲘ დაუცავს (**ვითოწარი**). მაგრამ, ცხადია, რომ იგიც ᲬᲐᲠᲗᲘ-საგან არის წარმომდგარი. ის გარემოება, რომ **წ ერთის** ათინურს სახელს სიტყვის შუაშიც შენარჩუნებული აქვს, ამ ბგერის ერთგვარხ სიმყარეს ამჟღავნებს. ამიტომაც შესაძლებელია ადამიანმა იფიქროს, რომ ეს თავკიდური თანხმოვანი ამ რიცხვის სახელის შემთხვევითი, მერმინდელი დანართი, ანდა მინაზრდი არ უნდა იყოს. ეგების იგი მისი თავდაპირველი ბგერითი შედ-გენილობის ათინური კილოს მიერ შენარჩუნებული ანარეკლია? ამის დასაჯერებ-ლად საჭიროა, რომ **ერთის** ცნებისავე გამომხატველი მსგავსი შედგენილობისა და ამნაირადვე თავში, თუ იმავესი არა, მონათესავე თანხმოვნის მქონებელი სიტყვა მაინც არსებობდეს.

ცალობის აღსანიშნავად ჭანურში რომ, ᲐᲠᲗ-ს გარდა, უფრო სრული ფორმა არსებობდა, ამის კვალი ეხლაც ჩანს. სახელდობრ **ერთურთის** აღსანიშ-ნავად ათინურს კილოში ᲐᲠᲗᲘ-ᲐᲠᲗᲘ-ც გვხვდება და ᲙᲐᲠᲗᲘ-ᲙᲐᲠᲗᲘ-ც (იხ. ნ. მ ა რ რ ი ს ჭ. გ. 127 ლექსიკ). ვიწურად და ხოფურად ამის მაგიერ ამბობენ ᲐᲠᲗᲘᲫ ᲐᲠᲗᲘᲡ, ხოფურად ᲐᲠᲗᲘᲫ ᲐᲠᲗᲘ-ც ითქმის (იქვე). ორივე უკანასკნელი ფორმა უდრის ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲠᲗᲡ, ე. ი. **ართიქ**-ის ბოლოკიდური ქ ამ შემთხვევაში მეგრულ-ჭანური მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია ისევე, როგორც **ერთმან**-შიც **მან** ამავე დანიშნულების ფორმანტია. არქაბულს კილოში ᲐᲠᲗᲘ-ᲐᲠᲗᲘᲡ-ს მა-გიერ ᲐᲠᲗᲘ ᲙᲐᲠᲗᲘᲡ-ს ხმარობენ (იხ. ნ. მ ა რ რ ი ს ჭ. გ. 127), რაც **ერთურთს**-ს უდრის.

შესაძლებელი იყო ეფიქრა ადამიანს, რომ ათინური ᲙᲐᲠᲗᲘ-ᲙᲐᲠᲗᲘ წარ-მომდგარია ვიწური და ხოფური ᲐᲠᲗᲘᲫ-ᲐᲠᲗᲘᲡ და ᲐᲠᲗᲘᲫ-ᲐᲠᲗᲘ-საგან ჯერ მეორე **კართი**-ს თავკიდური კ-ს პირველი **ართიქ**-ისაგან ქ-ს შეცდომით მეორე **ართი**-სათვის მიკუთვნებით, ხოლო შემდეგ უკვე ამ გზით, მეორე **ქართი**-ს ანა-ლოგიით, პირველ ᲐᲠᲗᲘ-ს თავშიც ქ-ს გაჩენით, ათინურში რომ ცალკეულადაც **ერთის** სახელად **წართისაგან** წარმომდგარი ᲬᲐᲠᲘ არ იყოს და ქართულშიც **ერთის** სახელადვე კ-თავკიდურიანი ᲙᲔᲜᲢᲘ არ გვქონდეს. იმას გარდა, რომ ქ-ს კ-დ შენაცვლება ძნელი დასაჯერებელია, ათინური ᲬᲐᲠ-ის თავკიდური წ-ს გა-ჩენა გაუგებარი იქმნებოდა, რა თქმა უნდა, თუ მას შემთხვევით შენაზრდად არ მივიჩნევთ. პირიქით, თუ წარმოვიდგენთ, რომ ათინური **ერთურთის** სახელში დაცული ᲙᲐᲠᲗᲘ შემთხვევითი მოვლენა არ არის, მაშინ ის ᲙᲔᲠᲢᲘ-ს სწორედ სრული შესატყვისობა გვექმნებოდა, რომლისგანაც შესაძლებელია თანამედროვე ათინური ᲬᲐᲠᲘ წარმომდგარიყო. მეგრულსა და ჭანურში კ-ს და ყ-ს წ-დ შენა-ცვლების მაგალითები მოგვეპოვება[1] და სწორედ ამ გზით შეიძლებოდა **კართი**-საგან ჯერ **წართი**, ხოლო შემდეგ **წარი** და **წარ** გაჩენილიყო.

---

[1] მეგრ. **წოში**, **წორში** = ქართ. კოშკს, — წვილუ = კლვას და სხვ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ფუძედ ნ. მ ა რ რ ი **პირვ**-სა და **პირ**-სა სთვლის, რომელიც შესაძლებელია **ერთის** აღმნიშვნელიც იყოსო. ამიტომ ბუნებრივია, რომ იგი **ერთისავე** აღმნიშვნელს ელამურს **პირუ**-ს დავუკავშიროთო (იხ. ძვ. ქართ. გრ., გვ. 80).

ქართული **პირველის** მსგავსია პირველისავე აღმნიშვნელი ადიღეური **ᲐᲞᲔᲠᲔ** და ყაბარდოული **იაპერ** (იხ. ლ ო პ ა ტ. ყ. გ. 45), რომლებშიც **ა** და **ია**, ქართული **მე**-ს მსგავსად, რიგობითი რიცხვითი სახელების ფორმანტია, **ᲞᲔᲠ**·კი ძირია.

განსაკუთრებით საყურადღებოა **ერთის** აღმნიშვნელი **ᲪᲐᲚᲘ**, **რომელიც, ვითარცა მესაქონლეობის მეურნეობასთან დაკავშირებული და უკვე სპეცია-ლურ ტერმინად ქცეული აღრიცხვის სიტყვა, ძველი უნდა იყოს.** ამაზე უფრო საგულისხმოა, რასაკვირველია, ტერმინი **ᲪᲐᲜᲙᲣᲭᲣᲚᲔᲚᲘ**, რომელიც, როგორც დავრწმუნდით, **წყვილსა და კენტს**, **ულელ-ცალსა** ნიშნავდა. თანამედროვე ქართულში, როგორც ეტყობა, ეს სიტყვა უკვე აღარ უნდა არსებობდეს. ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს ამ ტერმინისთვის არავითარი წერილობითი წყარო დასახელე-ბული არა აქვს და ამიტომ თვით მისივე ზეპირი ცნობა უნდა იყოს. მაშასადამე, XVII ს. დამლევს ჯერ კიდევ ცოცხალი ტერმინი ყოფილა.

ამ თავისებური **რიცხვითი ტერმინის აგებულების მიგნებას** მისი აღმნიშვ-ნელობის განმარტება გვშველის. რაკი იგი **წყვილისა** და **კენტის**, **ულელ·ცალის** აღმნიშვნელი ყოფილა და თვით ამ ტერმინში **ულელი** უკვე შედის, ცხადია, **რიცხვითი ოდენობის გამომხატველი ᲪᲐᲜᲙᲣᲭ-ი ყოფილა.** მართალია, ს ა ბ ა ს ლექსიკონში, **ულის** გარდა, **ᲭᲣᲚᲔᲚᲘ**-ც არის შეტანილი და განმარტებულიც არის **„ულელი, წყვილი"**-აო, მაგრამ, სამწუხაროდ, ს. ორბელიანის ლექსიკონის გამოცემაში აღნიშნული არ არის; თუ ხელთნაწერთა რომელი ჯგუფითგან არის ეს ცნობა ამოღებული. გაუგებარია, **ჭ** **ულის** წინ რის გამომხატველი უნდა უყოს. თუ **ᲭᲣᲚᲔᲚᲘ** მართლაც წყვილსა და ულელს ნიშნავდა (ან იქნებ ხელთ-ნაწერში აქ ამ ორ სიტყვას შუა მძიმე არა ზის და ულელი წყვილი, ე. ი. ორი ულელი იგულისხმება?), მაშინ **ᲪᲐᲜᲙᲣᲭᲣᲚᲔᲚᲘ**-საგან უნდა **ᲭᲣᲚᲔᲚᲘ** ჩამოგვე-ცალა და ამ შემთხვევაში რიცხვითი ოდენობის გამომხატველად **ᲪᲐᲜᲙᲣ**-ღა და-გვრჩებოდა.

ამნაირად **ᲪᲐᲜᲙᲣᲭ**-ი, ანდა **ᲪᲐᲜᲙᲣ** მაინც-და-მაინც **კენტის** აღმნიშვნელი უეჭველად უნდა იყოს, მაგრამ ს ა ბ ა ს განმარტებით **კენტისა** და **წყვილის აღ-მნიშვნელადაც** უნდა იგულისხმებოდეს. რაკი ეს სიტყვა **კენტს** არაფრით მია-გავს, ცხადია, რომ აქ მისი კვალის ძიება უნაყოფო ცდა იქნებოდა. სამაგიე-როდ ამ რიცხვითი ტერმინის პირველი მარცვალი **ᲪᲐᲜ**, უეჭველია, **ᲪᲐᲚ**-ს მია-გავს და ამიტომაც საფიქრებელია, რომ სწორედ მისი სახესხვაობა უნდა იყოს კიდევაც. ამავე მოსაზრებას „კატეღორიითგან" ამოღებული ზემომოყვანილი მე-ორე ცნობაც ადასტურებს, რომ **ცანკული კენტი** (+კარი)-ს აღმნიშვნელია. აქაც, მეორე **კვლი** ნაწილის შესახებ რომ არ ვიმსჯელოთ, **ᲪᲐᲜ** მაინც **კენტო-ბის** გამომხატველი გამოდის.

დასასრულ, ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს აგრეთვე ტერმინად ქცეული სიტყვა **ᲧᲣᲜᲪᲣᲚᲘ**, რომელზედაც ნათქვამია: **ᲧᲣᲜᲪᲣᲚᲘ სამ-ურმეული ძნა"** არისო.

ისევე, როგორც ᲧᲔᲕᲐᲠᲘ ორ-უღლეულის აღმნიშვნელია, საფიქრებელია ᲧᲣᲜᲪᲣᲚᲘ-ც, ან **სამისა** და **ურმისა**, ანდა მხოლოდ პირველი მათგანის აღმნიშვნელი უნდა იყოს.

ᲧᲣᲜᲪᲣᲚᲘ რომ **სამი ურმის** ცნების გამომხატველ რთულ სიტყვად მივიჩნიოთ, მაშინ იგი, ან **ყუნ** და **ცული**-სა, ანდა **ყუ** და **ნცული**-საგან უნდა გვეგულისხმა შედგენილად და ერთი მათგანი უნდა რიცხვის, მეორე-კი ურმის აღმნიშვნელი ყოფილიყო. ქართულს არც ისტორიულ ხანაში და არც ამაზე უწინარესში არც ერთი ამ ორთაგანის მსგავსი სიტყვა სამისა და ურმის სახელად არ უჩანს. შესაძლებელია გვეფიქრა მხოლოდ, რომ ეს სიტყვა მარტო რიცხვითი ოდენობის გამომხატველია. მართლაც ეგების ᲪᲣᲚᲘ **ცალის** ან უ-ხმოვანა ფორმაა, ანდა პროგრესიული ასიმილაციის წყალობით, წინამავალ ᲧᲣᲜ-ის გავლენით, არის ᲪᲣᲚ-ად ქცეული. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ასეთ მოსაზრებისათვის ერთგვარ დაბრკოლებად შესაძლებელია ᲪᲐᲚᲘᲡ წონითი ოდენობის თანამედროვე აღმნიშვნელობა მიეჩნია ვისმე, რათგან **ცალი** ქართულში არას დროს ურემს არ უდრიდა და არც ეხლა უდრის, არამედ ასაკიდარი ტვირთის ნახევარს, ერთ **ცალსა** ნიშნავდა, მაგრამ მაინც, ამისდა მიუხედავად უნდა ის გარემოებაც გავითვალისწინოთ, რომ ᲪᲐᲚᲘ **ძველად სრულებით არ ყოფილა მხოლოდ ურემთან დაკავშირებული, არამედ მარტო რიცხვითი ოდენობის გამომხატველი იყო.** ამისი წარუხოცელი კვალი ცნობილს ქართულ ანდაზაშიც არის აღბეჭდილი:

„სულ არარაობას ცალ-**უღელა ხარიც** სჯობია"-ო. ცალი ხომ აქ მხოლოდ **ერთს** ნიშნავს. ამიტომაც ცხადია, რომ **ცალის** სპეციალური, ტვირთის ნახევრის, აღმნიშვნელობა შედარებით უფრო მერმინდელი მოვლენა უნდა იყოს და ᲧᲣᲜᲪᲣᲚ-შიც შესაძლებელია **ცალის** ზოგადი რიცხვითი მნიშვნელობა იგულისხმებოდეს.

ამგვარად **ერთის** სახელად გვაქვს ᲪᲐᲚᲘ, ᲪᲐᲜᲘ და ვგონებ ᲪᲣᲚᲘ. ღილღური და ლეგური ენების ზემომოყვანილი ანალიზის შემდგომ, ქართული ᲪᲐᲚᲘ-ს და მისი **უ**-ხმოვანა სახესხვაობის იქაური ენების **ერთის** სახელის ᲪᲐᲕᲐ, ᲪᲐᲠᲐ და ᲪᲐᲑᲐ-ს მსგავსებაზე ბევრი საუბარი ვგონებ საჭირო არ უნდა იყოს.

შესაძლებელია აქ მხოლოდ მეორე მარცვლის ნამდვილი რაობის საკითხი გახდეს საცილობელი: ᲪᲐᲚᲘ-სა და ᲪᲐᲜᲘ-ს ᲚᲘ და ᲜᲘ ᲠᲘ-ს შენაცვლებას წარმოადგენს, თუ ᲚᲘ მარტო ᲜᲘ-ს შენაცვლებაა და ქართ. ᲪᲐᲜ-ს ეს დაბოლოება შეუნარჩუნებია, როგორც **ნ** ზოგს ლეგურს ენასაც აქვს ეხლაც რიცხვითი ნიშნების ბოლოსართად შენახული,—ქართულს ხომ **ნ** ბგერა, როგორც დავრწმუნდით, ოდესლაც მდედრ. სქესის ნიშნად ჰქონია და იქნებ ამისივე ნაშთი იყოს?

ასეა, თუ ისე, ქართული ᲪᲐᲚᲘ უეჭველია უთვისტომო არ არის და ცხადია ᲔᲠᲗᲘᲡ უძველესი სახელთაგანია. თვით ᲔᲠᲗᲘ-ც ძველის-ძველია, მაგრამ, ცალთან შედარებით, უფრო მერმინდელი ჩანს, ისევე როგორც ᲛᲮᲝᲚᲝᲓ და ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ-ც.

II. **ქართული სამწერლობო ენის** ᲝᲠᲘ-ს შესატყვისად მეგრულში ჩვენ ᲨᲘᲠᲘ და **ჟგრი** გვაქვს. ჭანურში ამას ᲨᲣᲠ და ᲨᲣ უდრის და საფიქრებელია, რომ ამ სიტყვის ხმოვანი ჭანურს უფრო ძველი სახეობით აქვს დაცული, ვიდრე მეგ-

რულს და წინათ მეგრულსაც **ჟური** უნდა ჰქონოდა. სვანურში ჩვენ **ჟოური** და **ჟერუ** გვაქვს.

საგულისხმოა, რომ ჭანეთის ს. ართაშენში **ორს** ჟურ-ს კი არ უწოდებდნენ, არამედ **ჯურ**-ს (ქ. გ. 21). ეხლა ეს ათინურს კილოში უკვე მთლიანად დადასტურებულია (იხ. არ. ჩიქობავას ჭ. გრ. ანალ.). მაგრამ ამაზე უფრო საყურადღებოა, რომ ს. ლამლოს მცხოვრები 85 წლის მოხუცი ჭანი 1910 წ. **ორის** სახელად თურმე ჟურ-სა ხმარობდა (იქვე).

უეჭველია, უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ **ორის** სახელად **ჟირი** მარტო მეგრულს და **ჯურ** მხოლოდ ჭანებს-კი არ ჰქონიათ და აქვთ, არამედ ზოგადს, ძველს ქართულშიც ყოფილა.

თუ ჭანებს **ჟურ**-ი და **ჯურ**-ი აქვთ დაცული, მეგრულად-კი **ჟირი** იხმარება, საბა ორბელიანის ლექსიკონში აღბეჭდილი ძველ ქართულში არსებული ტერმინი **ჯირი**, რომელიც ამავე მეცნიერის ცნობით, **„ორპირად მოქნილი ტყავი“**-ს აღმნიშვნელი ყოფილა, გვაფიქრებინებს, რომ **ჟირი**-ს თავკიდური თანხმოვანი ძველ ქართულში **ჯ**-დაც შენაცვლებულა. **ორპირად მოქნილი ტყავის** სახელად ქცეული **ჯირი**, როგორც ეტყობა, ამ ცნების გამომხატველი ტერმინის მხოლოდ პირველი შერჩენილი სიტყვა-ღა უნდა იყოს, რომელიც წინათ მარტოოდენ **ორის** აღმნიშვნელი იქმნებოდა, **„პირად მოქნილი“**-ის გამომხატველი სიტყვები-კი დროთა განმავლობაში ჩამოცილებული ჩანს.

როგორც გამოსაქვეყნებლად დამზადებულს მონოგრაფიაში ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხების შესახებ გამორკვეული მაქვს, სამ-ძალიანი, ანუ სამ-სიმიანი საკრავის შუა ძალს ძველ ქართულში **ჟირი** სწოდებია. რაკი სამ-ძალიანის შუა სიმი, საითგანაც არ უნდა დაიწყოს ადამიანმა თვლა, ყოველთვის **მეორე** გამოვა, ამიტომ, ცხადია, რომ ამ შუა ძალის სახელი **ჟირი**-ც თავდაპირველად **ორის** აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

თუ **ორის** აღმნიშვნელს რიცხვითს სახელს, **ჯირი**-ს ტერმინის წყალობით საბას დრომდეც-კი მოუღწევია, ცხადია, რომ მას ვითარცა ჯერ **ჟურ**-ისა, შემდეგ-კი **ჟირი**-საგან წარმომდგარს, წინათ უ-ხმოვანა სახე უნდა ჰქონოდა და **ჯური** ყოფილიყო, ისევე როგორც ჭანურშია.

ძველ ქართულში კიდევ ერთი შერჩენილი ტერმინი გვაფიქრებინებს, **რომ ორის** სახელის ჟ-ს შენაცვლება მარტო ჯ-თი არ დამთავრებულა. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ს. ორბელიანისაგან 1 მეფეთა 28_{14}-ით დამოწმებული ტერმინი **ჩუდკეცი**, რომელიც ამავე ლექსიკოგრაფის განმარტებით იყო **„ხაპირიან-სარჩულიანი წამოსასხამი მღდელთა“** (ლექსიკ.). ეს სიტყვა დ. ჩუბინაშვილსაც მოეპოვება და დაბადების ესევე ადგილი აქვს დამოწმებული, თანაც მის ლექსიკონში ნათქვამია, რომ წამოსასხამიაო, მაგრამ აღნიშნული არ არის, რომ ბაქარის გამოცემაში დასახელებულ ადგილას ასეთი სიტყვა არა ჩანს, ამიტომ საფიქრებელია რომ ჩუბინაშვილი ამ შემთხვევაში მხოლოდ საბას ცნობას იმეორებდა.

ბაქარის გამოცემაში ამ ადგილას ასეთი სიტყვა არ მოიპოვება. იქ ნათქვამია: «ვიხილე კაცი მოხუცებული აღმავალი ქუეყანისაგან და ესე შემოსილი **სამოსლითა გრძელითა**» და ცნა საულ რ˜ ესე სამოელ არს-ო. რაკი ს. ორბე-

ლიანი თავის წყაროს ცნობით ჩვეულებრივ სვინიდისიერად სარგებლობდა, ამიტომ ცხადია, რომ ამ შემთხვევაშიც მას ხელთ ქართ. დაბადების სხვა რედაქცია ჰქონია, რომელშიც „**სამოსლითა გრძელითა**“-ს მაგიერ **ჩუდკეცი** ყოფილა დაწერილი. მართლაც მცხეთის სვეტიცხოვლის წიგნსაცავის, ამჟამად საქ. მუზეუმში დაცული, ხელთნაწერის A №51 მეფეთა I, 28_{14}-ში სწერია: „«ვხედ̄ვ მე კაცსა ერთსა მაღალსა, აღმომავალსა ქუეყანით და **ჩუდკეცი სამოსელი** მოუბლარდნიეს მას». და გულისხმა-ყო საულ, ვითარმედ სამოველ იყო“-ო. ამ ამონაწერითგან ჩანს, რომ **ᲩᲣᲓᲙᲔᲪᲘ არსებითი სახელი და სამოსლის აღმნიშვნელი ცალკეული ტერმინი-კი არ არის**, როგორც საბას ამ სიტყვის დედააზრი აქვს განმარტებული, არამედ **სამოსლის თვისების დამახასიათებელი ზედსართავი ყოფილა**: ამიტომ არის ზემომოყვანილს წინადადებაში ნათქვამი „**ჩუდკეცი სამოსელი**“-ო.

საფიქრებელია, რომ, რაკი **ᲩᲣᲓᲙᲔᲪᲘ**-ს მნიშვნელობა ბაქარისა და მის თანამშრომლებისათვის ისევე, როგორც მათ დროინდელ ქართ. მკითხველისათვის გაუგებარი იყო, ამიტომ ამ ადგილას ძველი სიტყვისა და ტერმინის მაგიერ „სამოსელი გრძელი“ ჩაურთავთ, რაც, რა თქმა უნდა, სწორე არ არის.

უეჭველია, საბას ხელთ მყოფ ხელთნაწერში დაბადების თარგმანის ძველი ტექსტი უკეთესად ჰქონდა დაცული. ეს გარემოება ბერძნულ, ლათინურ და სომხურ თარგმანებთან შედარებითაც ირკვევა.

ბერძნულად ნათქვამია: „οὗτος διπλοΐδα ἀναβεβλημένος,—ლათინურად „ipse amictus est pallio“ და სომხურად „*արկեալ դիւրեւ կրկնոց*“.

ამნაირად, ქართული თარგმანის **ᲩᲣᲓᲙᲔᲪᲘ** ბერძნულს διπλοΐς **დიპლოის**-ს, სომხურს *կրկնոց* **კრკნოც**-სა და ლათინურს pallium-ს უდრის. ბერძნულ დაბადების ხელთნაწერთა ერთს ჯგუფში διπλοειδος **დიპლოეიდოს**-ი სწერია.

ბერძნული პირველი და სომხური ტერმინები **ორმაგს**, ხოლო ბერძნ. მეორე **ორსახოვანს** აღნიშნავენ. საკმარისია ადამიანმა ყურადღება **ᲩᲣᲓᲙᲔᲪᲘ**-ს აგებულებასა და მისი შედგენილობის მეორე ნაწილს მიაქციოს, რომ ამ ქართული სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობის მიგნება გაუადვილდეს. ამ ტერმინის მეორე ნახევარს **ᲙᲔᲪᲘ** წარმოადგენს, რომელიც არაერთს სხვა სიტყვაშიც სწორედ ამავე ადგილას გვხვდება. მაგალითად შესაძლებელია **ორკეცი**, **სამკეცი**, **ათკეცი** და სხვა ამის მსგავსი იქმნეს დასახელებული. ყველა ამ მოყვანილი სიტყვების პირველი ნაწილი რიცხვითი სახელია და ადამიანს უფვალისწინებს **ნაკეცის** რაოდენობას, სახელდობრ, რომ ერთს მხოლოდ ორი კეცი აქვს, მეორეს სამი, მესამე კიდევ ათი კეცისაგან შესდგებოდა.

ზემონათქვამის შემდგომ ცხადია, რომ **ᲩᲣᲓᲙᲔᲪᲘ**-ს **პირველი ნახევარი ᲩᲣᲓ-იც უეჭველია კეცის რიცხვისავე აღმნიშვნელი უნდა იყოს**. მაგრამ ძველ ქართულ რიცხვითს სახელებს შორის **ᲩᲣᲓ**-ი არ მოგვეპოვება. მართალია **ᲩᲣᲘᲓᲛᲔᲢᲘ**-ს პირველი ნაწილი **ᲩᲣᲘᲓ**-ია. მაგრამ ძველ ქართულში, როგორც ცნობილია, ჯერ **ᲐᲗᲨᲣᲘᲓᲛᲔᲢᲘ** იყო, მერმე **ᲐᲗᲩᲣᲘᲓᲛᲔᲢᲘ** და სულ ბოლოს, **ᲐᲗ**-ის აღმნიშვნელი თავკიდური მარცვლის ჩამოცილების წყალობით, გაჩნდა **ᲩᲣᲘᲓᲛᲔᲢᲘ**, რომელიც თანამედროვე ქართულსაც აქვს შერჩენილი. ამასაც რომ თავი დავანებოთ, სრულებით შეუძლებელია შვიდკეცი ტანისამოსი ყოფილიყო.

ბერძნული და სომხური თარგმანების ზემომოყვანილი შესატყისობანი **ჩუდ-ქეცი**-ს პირველი, უეჭველია, რაოდენობის განმსაზღვრელი, ნაწილის **ჩუდ**-ის რიცხვითი მნიშვნელობის გამორკვევას გვშველიან. რა თქმა უნდა, ბერძნული და სომხური თარგმანების მსგავსად, ქართველი მთარგმნელისაგან ნახმარი ტერმინიც ორკეცი-ს აღმნიშვნელი უნდა იყოს და ამას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ქართ. თარგმანში **ჩუდკეცი** ტანისამოსის აღმნიშვნელი არსებითი სახელი კი არა, არამედ ზედსართავია. ამისდა მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ ზემოაღნიშნულ ტერმინში **ჩუდ** სწორედ **ორსა** ნიშნავს.

რაკი **ჩუდ** **ორის** სახელად არც ჩრდილო-კავკასიის ენებში[1]), ანდა სხვა რომელიმე მეზობელი ერის ენაში ჩანს, რომ იქითგან ნახესხებად მიგვეჩნია, ამიტომ მისი თვისტომის ძებნა ისევ ქართულ-ქართველურშივეა საჭირო. მართლაც, აქ, როგორც დავრწმუნდით, **ჯირი** ძველ ქართულში და **ჯური** თანამედროვე ჭანურშიც-კი **ორის** აღმნიშვნელია. თუ გავიხსენებთ, რომ ქართულსა და ქართველურში **რ**-სა და **დ**-ს შენაცვლება იშვიათი არ არის[2], მაშინ **ჩუდი** შესაძლებელია **ჯური**-სა და **ჯუდი**-ს ფონეტიკურ სახესხვაობად მიგვეჩნია, მით უმეტეს, რომ **ჯ**-ს **ჩ**-დ შენაცვლებაც გვხვდება[3]. ამას გარდა, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, **ორის** დ-ბოლოკიდურიანი ფორმა თავისდა-თავადაც უნდა ყოფილიყო.

ყველა ზემონათქვამითგან ირკვევა, რომ ქართულ-ქართველურში **ორის** სახელად **ჲურ**-ი, **ჟურ**-ი და **ჟირ**-ი, **ჯური**, **ჯირი** და **ჩუდი**-ც გვქონია და სვანური **ჲორი** და **ჲორუ**-ც. ამას გარდა **ორმოცის** მეგრულ სახელს **ჟარნეჩი**-ს **ორის** ა-ხმოვანა სახესხვაობა **ჟარი**-ც აქვს დაცული.

თავისდა-თავად იბადება საკითხი, თუ რა დამოკიდებულებაა **ორის** ამ სახელებსა და **ორს** შორის?

უპირველესად უნდა სვანურს **ჲორ**-ისა და **ჟური**—**ჟირი**-ს ურთიერთობა იქმნეს გამორკვეული. ის გარემოება, რომ სვანურისაგან ისეთს დაშორებულს ადგილას, როგორიც ჭანეთია, ჭანურადაც **ორს** **ჲურ**-ი ეწოდება, თავკიდური **ჲ**-ს ხნიერებას ამჟღავნებს[4]. ამნაირადვე **ჯურ**-ის ჭანურშიცა და **ჯირ**-ის ძველ ქართულშიც არსებობა ცხად-ჰყოფს, რომ არც **ჟური** და **ჟირი**, **ჯური** და

---

[1]. ამის ოდნავ მსგავსი **ორი** მხოლოდ ჭ ა მ ა ლ ა ლ უ რ ს უჩანს, სადაც **ეჲი-და** არის, მაგრამ მასაც ლეგურსა და ღილღურს ენებში თვისტომნი არ მოეპოვება.

[2]. გადმოიღებს = გარმოიღებს (ხევს.: გაბუური 129 და სხვ.), გადმომკდარა = გარმომკდარას (ხევს. იქვე, 158), გადმოუსხამს = გარმოუსხამს (ხევს. იქვე, 177), მოლაღური, მალაღური და მაჲალური (მეგრ.) = მალალუდე-ს (ჭან.), ცხვირი-ჩხვინდი (მეგრ., ჭან.).

[3]. გეჯა = გეჩა-ს (მეგრ.), ჯღავილი (იმერ.)—ჩხავილი, ღოჯებიანი—ხოჩებიანი (იმერ.: გაჩეჩ. 52), ჯანჯალი (საბა)—ჩანჩალი, ჯენჯი—ჩენჩო, ნაჩენჩი და სხვ.

[4]. აკად. ნ. მ ა რ რ ი ამტკიცებს, რომ **ორი** ქართულს ძირიანად სვანურისაგან აქვს შეთვისებული. მისი სრული ფორმა სვანურის ლახამულურ კილოს აქვს **ჲორ**-ის სახით დაცულიო. მის ძირად მ ა რ რ ს მიაჩნია **ჲრ** (იხ. **Заимствование числительных в яфетических языках**. ИАН. 1913 წ. გვ. 789 და ძვ.-ქართ. გრ. 77). მაგრამ პეტიტით იქვე აწყობილს განმარტებაში ნათქვამია, რომ, თუმცა **ჲორ** საერთოდ შიშინა ენათა ჯგუფის სიტყვაა, მაგრამ მის პირველ ძირეულ ბგერას სირანტული ჯგუფის გავლენა ეტყობა და ამიტომ **ჟ** **ჲ**-დ არის ქცეულიო (ძვ.-ქართ. გრ. 77). მაშ — **ჲ** **ჟ**-საგან წარმოსდგა?!

ჯირი-ა ახალი შენაცვლება, მაგრამ, რაკი **ჲორი**-სა და **ჟურ**-ის შორის ცხადი მსგავსებაა და **ორ** (**ურ**) მათ საერთო აქვთ, ამიტომ განმასხვავებელი თავკიდური ბგერის **ჲ** და **ჟ**-ს ურთიერთი დამოკიდებულების გამორკვევაა საჭირო— აქვთ მათ ერთმანერთთან რაიმე კავშირი, თუ ეგების ეს ბგერები ძირეული არცკია, არამედ სხვა-და-სხვა ფორმანტებთან გვაქვს საქმე?

ცხადია, რომ მხოლოდ **ჲ**-ს ფორმანტობაზე შეიძლება იყოს აქ მსჯელობა, რათგან **ჟ** არსად ფორმანტად არ გვხვდება, ამიტომაც ამ უკანასკნელის არაძირეულად მიჩნევა მაინც შეუძლებელია. მაშასადამე **ჟ**-ს ბუნების და გაჩენის საკითხს მაინც თავითგან ვერ ავიცილებთ.

ზემოაღნიშნულის გამო მაინც გამოსარკვევია, შესაძლებელია თუ არა, **ჲ** და **ჟ** ერთმანერთის შენაცვლება იყოს და, თუ ეს ძველ ქართულში შესაძლებელი იყო, რომელი მათგანია ადრინდელი ბგერა და რომელია მისი შენაცვლება?

ძველ ქართულში **ჲ** და **ი** მართლაც შესაძლებელი იყო, რომ **ჟ**-დ შენაცვლებულიყო. ეს გარემოება ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ლექსიკონშიც არის უკვე აღბეჭდილი. ქართ. ლექსიკოგრაფს ნათქვამი აქვს: „**ჟარე** **იარე** **მესხურად**"-ო და „**ვჟარები** **ვიარები**"-ო (ლექსიკ.) ამგვარად ს ა ბ ა ს შეუნიშნავს, რომ მესხურ კილოში **იარე**-ს და **ვიარები**-ს მაგიერ **ჟარე**-ს და **ვჟარები**-ს ამბობდნენ. მაშასადამე, **ი**-ს **ჟ**-დ შენაცვლება მესხური კილოს დამახასიათებელი თავისებურება ყოფილა. (იხ. პრ. გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ს „შენიშვნა «ვჟარები, ვჟარე»-ს შესახებ": „ჩვენი მეცნიერება" 1923 წ. № 6—7, გვ. 80).

მაგრამ კორიდეთის სახარების მინაწერებთან დაკავშირებით აკად. ნ. მ ა რ რ ს გამორკვეული აქვს, რომ **ჲ**-ს **ჟ**-დ შენაცვლება მეგრულსა და გურულს გვარებშიც და სახელებშიც გვხვდება. **ჟორდანია** წარმომდგარია **ჲორდანია**-საგან და **ჟვანია**-ც **ივანია**-საგან (Груз. приписки коридет. евангелия: ИАН, გვ. 220). ეს გარემოება ამტკიცებს, **რომ ი-სა და ჲ-ს ჟ-დ შენაცვლება მარტო მესხური კილოს თვისება არ ყოფილა**, არამედ ასეთი შენაცვლების ოდინდელი არსებობის კვალი ეგრისსა და გურიაშიც არის კარგად შერჩენილი.

ზემონათქვამი დაარწმუნებდა ადამიანს, რომ **ჲორი და ჲური ორის სახელის უფრო ადრინდელი ფორმა უნდა იყოს და** რომ **აქეთგან შენაცვლების გზით არის ჟური და შემდეგში ჟირი წარმომდგარი.**

ეხლა, მაშასადამე, **ორის** სახელის მხოლოდ შემდეგი წყვილი-ღა გვრჩება **ჲორი** და **ორი**. რომელი მათგანია უფრო ადრინდელი და თავკიდური **ჲ** ძირეულია, თუ ფორმანტი?

ჭანურისა და მეგრულის **ჲური**, **ჟური**, **ჟირი** და სვანურის **ჲორი** და **ჲერუ** გვაფიქრებინებენ, რომ **ორ**-ს თავკიდური ბგერა დაკარგული უნდა ჰქონდეს. ამას სვანურისაგან ისეთ დაშორებულ ადგილას და ენაში, როგორც ჭანურია, სვანური **ჲორის** მსგავსად **ჲურის** არსებობა გვაფიქრებინებს. ისეთ დიდ მანძილზე, როგორიც ჭანეთითგან მოყოლებული კავკასიონამდე მიბჯენილი მიწა-წყალია, **ორის** სახელში **ო**-ს წინ კიდევ ერთი ბგერის (**ჲ**, **ჟ** და **ჯ**) ქონება, რომელთაგან **ჟ**, **ჯ** და **ჩ**-ს კვალი, როგორც დავრწმუნდით, ზოგადს ქართულშიც არის შერჩენილი, ცხად-ჰყოფს, რომ შეუძლებელია აქ რაიმე შემთხვევითი მოვლენა იყოს, არამედ, რომ აქ უნდა ამ რიცხვითი სახელის სწორედ

წინანდელი სახის ანარეკლი გვქონდეს. ამ მოსაზრების სისწორის შესამოწმებლადაც და იმის გამორკვევის მიზნითაც, თუ რომელი ბგერა უნდა ჰქონოდა **ორის** სახელს თავდაპირველად ძირეულ დასაწყის ბგერად, **ორის** ცნების გამომხატველი კიდევ სხვა რიცხვითი ტერმინების გათვალისწინება და შესწავლაა საჭირო.

ასეთი სიტყვების მოძებნა, რომელთაც თავიანთი ძველის-ძველი აგებულება შესაძლებელია დაცული ჰქონდეთ, როგორც უკვე ვიცით, პირველყოფილი მეურნეობისა და მსოფლმხედველობის არეში სჯობია, მესაქონლეობაში, სხეულის იმ ნაწილების სახელებშიც, რომელნიც ადამიანს წყვილად აქვს. მართლაც, ქართული სამწერლობო ენაში დაცული ორიოდე ასეთი ტერმინი გვაფიქრებინებს, რომ ქართულშიაც ოდესღაც **ორ**-ს **ო**-ს წინ ჰქონია ბგერა და ასეთ თავკიდურ ბგერად **ყ** ყოფილა.

ქართულში არის ტერმინი **ყევარი**, რომელიც, როგორც მწერლობაშია ცნობილი, ისევე თანამედროვე სასაუბრო ხალხურ ენაშიც ჩვეულებრივი სიტყვაა. ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს სამართლიანი განმარტებით „**ყევარი ორუღლეულნი კარნი**“-ა (ლექსიკ.).

იმისდა მიუხედავად, რომ **ყევარ**-ს არც **უღლეულისა** და არც **ხარის** სახელების არავითარი კვალიც-კი არ უჩანს, მაინც, რაკი **ყევარი**, ჩვეულებრივი გაგებით, რომელიც უკვე ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს აქვს აღბეჭდილი, „**ორუღლეულნი კარნი**“-ა (ლექსიკ.), შესაძლებელია ადამიანმა იფიქროს, რომ ეს ტერმინი ორობისა-კი არა, არამედ სწორედ ამ ორუღლეულობის ცნების გამომხატველი იყო. მაგრამ, ეს სიტყვა რომ მართლაც ორობის ცნების გამომხატველია, ამას ტერმინი **საყევარი**-ც ამტკიცებს, რომელიც, ს ა ბ ა ს მოწმობით, „**მარკილის პელნები**“-ს აღმნიშვნელია (ლექსიკ.), ე. ი. „**მარკილის გახაწევი ლატნები**“-ს (იქვე). ცნობილია, რომ მარხილში ორ უღელს ჩვეულებრივ არავინ აბამს, ამიტომაც შეუძლებელია ამ ტერმინს ორ-უღლიანობასთან რაიმე საერთო ჰქონდეს. სამაგიეროდ ყველას კარგად მოეხსენება, რომ მარხილს **წყვილი** ხელნა აქვს და **საყევარი**-ც ხელნათა სწორედ ამ **წყვილობის** მაუწყებელია და **მნიშვნელობის საწყვილო**-დ **განკუთვნილობის გამომხატველია**.[1]

ერთის აღმნიშვნელი ძველი ქართული სახელებისა და ტერმინების განხილვის დროს, უკვე მოყვანილი გვქონდა **სამი ურმეული** ძნისათვის არსებული ტერმინი **ყუნცული**. იქვე განმარტებული იყო, რომ ეს ტერმინი თავდაპირველად მხოლოდ **სამის** ცნების გამომხატველი უნდა ყოფილიყო და ორი ნაწილისაგან შესდგება, რომელთაგან მეორე ნაწილი **ცული**, ან ეხლაც შერჩენილი **ცალი**-ს უ-ხმოვანა სახესხვაობად, ანდა პროგრესიული ასიმილაციის გზით არის ცალი-საგან წარმომდგარი, მაშასადამე, **ერთის** აღმნიშვნელად არის საგულისხმებელი.

აქ ამ ტერმინის უკვე მხოლოდ პირველი ნაწილის **ყუნ**-ის განხილვას-ღა უნდა შევუდგეთ.

---

[1]. ნ. მ ა რ რ ი ს აზრით **ნახევარი** ვითომც სვანურითგან შეთვისებულის, **ორის** აღმნიშვნელის **ხე** ძირისაგან ნაწარმოებს სიტყვას წარმოადგენს, **ყევარი**-ც ვითომც სვანურითგან შეთვისებული იგივე, მაგრამ **ყევ** სახეობად ქცეული, ფუძე უნდა იყოს (ძვ. ქართ. გრ. 81—82).

თუ **ცული ერთხა ნიშნავდა** და **ცალის სახესხვაობაა, ცხადია, რომ სამის გამომხატველს ყუნცულ-ში ყუნ-ს შესაძლებელია მხოლოდ ორის მნიშვნელობა ჰქონოდა.** თუ გავიხსენებთ, რომ ერთის ძველი სახელების განხილვის დროს **ცალი**-ს ისეთი სახესხვაობაც შეგვხვდა, როგორიცაა **ცან** და ამ უკანასკნელს **ორის** ოდინდელ აღმნიშვნელს **ყუნ**-ს შევადარებთ, შევამჩნევთ, რომ **ორივეს ერთნაირი ბოლოკიდური ნ ბგერა აქვს. ამიტომაც ეს ნ ორის ზემომოყვანილს სახელში ძირეულად მისაჩნევი არ არის.**

ადამიანს, როგორც ცნობილია, **ზოგი ორგანო წყვილ-წყვილად აქვს** და აქაც, სხეულის ნაწილების სახელებს შორისაც, შესაძლებელია ზოგიერთი სახელი **ორობის** გამომხატველი იყოს და ამის წყალობით ამ რიცხვის სახელის ძველი ფორმა გვქონდეს დაცული. მართლაც, ასეთ წყვილ ორგანოთა სახელებს შორის ჩვენი მიზნისათვის საყურადღებონი არიან **ყური**, რომელიც სასმენელის სახელია და მამაკაცის საკვერცხის აღმნიშვნელი ტერმინი **ყუერი**. **ყური** რომ თავდაპირველად მარტო სასმენელის აღმნიშვნელი არ ყოფილა, არამედ წყვილობის გამომხატველი იყო და **თვალებზეც ითქმოდა**, ამას ზმნა **ყურება**-ც ამჟღავნებს, რომელიც ყურ სიტყვისაგან ნაწარმოები ნასახელარი ზმნაა და სწორედ **თვალის დევნებას, მზერას ნიშნავს**[1].

ორსავე ამ სიტყვაში ორგანოთა ორობის, წყვილობის გამომხატველი რიცხვითი სახელი დროთა განმავლობაში თვით ამ ორგანოთა სპეციალურ სახედ არის ქცეული.

ეხლა რომ ზემოდასახელებული პირველი ტერმინის მნიშვნელობის გამორკვევას შევუდგეთ, ს ა ბ ა ს განმარტებით **ყუერი** საურვალი, **„მამაკაცის სარცხვინელნი წყვილნი"**-ა. სხვა სათანადო ადგილას **საურვალი** საბას **ყვერადვე** აქვს განმარტებული. ეს ტერმინი ეხლაც ცოცხალი სიტყვაა და იმას-კი არ ჰქვიან, რასაც ს ა ბ ა ეძახის, არამედ მამაკაცის სასქესო ორგანოს წყვილედის შემცველს საკვერცხეს.

ყუერის პირვანდელი ორობის მნიშვნელობის აზრის სიმართლის დასამტკიცებლად, შეიძლება ის გარემოებაც იქმნეს დასახელებული, რომ სხეულის ამ ორგანოს პარალელურ სახელად და სინონიმად **წყვილნი**-ც ეწოდება. ი პ ო ლ ი ტ ე ს თხზულების ქართულ თარგმანში მაგ. ნათქვამია: „არა მოაკლდეს

---

[1]. აკად. ნ. მ ა რ რ ს აქვს „კურცხალ"-თან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრება, რომ კურ ზემომოყვანილ სიტყვაში და „ყურება"-ში თვალის სახელი გვაქვს დაცული, მაგრამ, მისი განცხადებით, აქ წარმოდგენილი ყურ სასმენელის აღმნიშვნელი სიტყვის ყურისაგან უნდა განვასხვავოთ. სამწუხაროდ, ავტორს განმარტებული არა აქვს, თუ, სახელდობრ, რას უკავშირებდა „ყურების" ძირს. იქვე ნ. მ ა რ რ ს ნათქვამი აქვს, რომ გურულსა და იმერულს კილოებში ცოცხალი სიტყვა, ცრემლის აღმნიშვნელი, **კურცხალი** ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა და ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს ლექსიკონებში შეტანილი არ არისო, მხოლოდ ს ა ბ ა ს ნაშრომის გამომცემელს რ. ე რ ი ს თ ა ვ ს შენიშვნაში აქვს დართული, რომ კურცხალი ქართულად ცრემლსაც ეწოდებაო (იხ. ნ. მ ა რ რ ი ს Заметки по яфетическим клинописям: И. А. Н. № 11—12, 289). ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ლექსიკონის მეორე, კრიტიკული, 1928 წ. გამოცემითგან ირკვევა, რომ ეს სიტყვა ამ ნაშრომის უძველესს, C რედაქციაში შეტანილი ყოფილა. იქ ნათქვამია „**კურცხლი, კუნცხი**, მწარე ცრემლი"-ო (გვ. 180).

მთავარი იუდაჲსგან და არცა წინამძღუარი **წყვილთაგან** მისთა“ (იხ. TP. III, გვ. III). საბა ორბელიანის განმარტებითაც „წყუილნი — ორნი ბარკალნი, ანუ **ყუერნი** და მისთანანი“ არის (ლექსიკ.)

შეუძლებელია, შემთხვევითი მოვლენა იყოს, რომ წყვილობის, ანდა წყვილ ორგანოს აღმნიშვნელი ყველა ზემოდასახელებული სიტყვები და ტერმინები, **ყუნი, ყური, ყუერი** და **ყევარი** ერთიდაიმავე ყ ბგერით იწყება და სამს ამ სიტყვათაგანს პირველ მარცვლად **ყუ** და **ყუე** აქვს და მხოლოდ მეოთხეს დიფტონგი ადგილმოცვლებული უჩანს და უე-ს მაგიერ ევ, ანუ ევ აქვს. ამ ოთხი ტერმინის მსგავსება იმდენად დიდია, რომ ბოლოკიდური მარცვალიც სამს უკანასკნელს საერთო **რ** აქვს და მხოლოდ პირველს მოეპოვება **ნ**-ი. თუ მოვიგონებთ, რომ **ნ** ქართულში და **რი** იქაც და მეტადრე კავკასიურს ენებში სქეს-კატეგორიის ნიშნებია და თანაც გავიხსენებთ, რომ **ორის** სახელის ძირად ყო, ყუ, ყუე, ყა და ყე ჩრდილო-კავკასიის ბევრს ენას ჰქონდა და აქვს ეხლაც, არამც თუ მის აღმოსავლურს, არამედ დასავლურ ჯგუფშიაც, მაშინ თავისდათავად დაგვებადება აზრი, რომ **ზემომოყვანილი ქართ. სიტყვები და ტერმინები მართლაც ორის აღმნიშვნელი სახელის თავდაპირველი სხვა-და-სხვა სახესხვაობის ნაშთი უნდა იყოს.**

ყუერი არჩული ენის **ორის** ყუე-შუე, ყუე-რუ, ყუე-ბუ და ყუე-თუ-ს მეორე სქეს-კატეგორიის ფორმის სრულს მსგავსებას წარმოადგენს, კრულის **ორის** სახელს ყუედ-საც უდგება, მეტადრე თუ გავითვალისწინებთ, რომ დაღისტნის ლეგურსა და ლილღურს ენებში დ და რ ერთმეორის მონაცვლე ბგერებია. ამიტომ შესაძლებელია ვისმე ეფიქრა, რომ **ყევარი** და **ყუერი** ქართულში დაღისტნის ენებითგან ნასესხები სიტყვები იყოს, მაგრამ ჯერ ეს ერთი, იქ რომ ამ მნიშვნელობის ამგვარი სიტყვები არ ჩანს? თანაც, თუ **ყ:ვარი** და **ყუერი**, ვითარცა **ორის** აღმნიშვნელი ტერმინები, მართლაც დაღისტნის ენებითგან არის ნასესხები და დაღისტნის ენებს ასეთი გავლენა ჰქონდათ, რატომ ჩაჩნებს **ორისათვის** ღუნძურის მსგავსი სახეობის სიტყვა მაინც არა აქვთ, არამედ ისეთი განსხვავებული, როგორიცაა **შიი**, ჩაჩნები და ღუნძები ხომ მეზობლებიცა და მონათესავე ერებიც არიან?

მაშასადამე **ორს** თავისი ოდინდელი სახე დროთა განმავლობაში შეუცვლია: თავდაპირველად **ყორი** ყოფილა? ეს დებულება რომ უცილობელ ჭეშმარიტებად მივიჩნიოთ, ამისთვის ჯერ უნდა ქართულ-ქართველური ფონეტიკით დამტკიცდეს, რომ **ყორი**-საგან მართლაც შესაძლებელი იყო **ორი** წარმომდგარიყო, რა თქმა უნდა, წინამორბედი **ჴორი**-სა და **ჴური**-ს არსებობის გათვალისწინებით. ამ საკითხის გადაწყვეტას ყ-ს სხვა-და-სხვა შენაცვლების ცოდნა შეგვაძლებინებს.

რაკი ჴ-ს ჟ-დ შენაცვლებაზე საუბარი უკვე გვქონდა, ამიტომ აქ მხოლოდღა ყ-ს ღ-დ, ჴ-დ შენაცვლებასა და სრულიადს გაქრობაზე გვაქვს სათქმელი. ქართველურ ენოვან სამყაროთგან ამის არაერთი მაგალითის დასახელება შეიძლება, ასეთი მოვლენა მეტადრე მეგრულისა და უფრო ხშირად ჭანურისათვის არის დამახასიათებელი.[1]

პროფ. არნ. ჩიქობავასაც სამართლიანად აქვს აღნიშნული: „**ხმოვნის წინ, ან ხმოვანთა შორის** ყ-ბგერა უცვლელად ინახება ხოფურს კილოკავში, ვიწურ-არქაბულსა და ათინურში-კი ყ-ბგერის ადგილს ასეთს კომპლექსებში ჸ იჭერს, ან და ჲ, ზოგჯერ ყ ურეფლექსოდ (ე. ი. უკვალოდ) ქრება. მეტ-წილად ჸ-რეფლექსი ვიწურ-არქაბულს ახასიათებს, ჲ 0 (ნოლი)-კი ათინურს. ამისდა მიუხედავად ამ ორი კილოკავის ამ მხრივ გამიჯვნა ძნელია. ხშირია შემთხვევები პირუკუ რეფლექსებითაც, ხშირია ერთნაირი რეფლექსებიც“-აო (იხ. ჭანურის გრამ. ანალიზი, გვ. 15).

ზემომოყვანილი მაგალითებიდგან ჩანს, რომ თავკიდური ყ-ს ჲ-დ შენაცვლება და სრულიადი გაქრობაც-კი ქართველურში იშვიათი მოვლენა არ ყოფილა და, მაშასადამე, მოსაზრება, რომ **ჲორი** და **ორი** თავდაპირველი **ყორი**-სა და **ყური**-საგან უნდა იყოს წარმომდგარი, შესაძლებელია ქართ. ფონეტიკითაც დამტკიცდეს.

ორობის გამომხატველი კიდევ არა ერთი ძველი ქართული ტერმინი არსებობს, რომელთა გათვალისწინება და აგებულების გამორკვევაა საჭირო. ასეთ ტერმინთაგან საყურადღებოა კიდევ **ტყუბი**, ანუ **ტყუპი**, **ტყუფი** და **ჭყვილი**. ჭანურად იგივე სიტყვაა: **ტყუბი** (ხოფ.), **ტკუბი** (რიზ.-ხოფ.), **ტუბი** და **ტუბინა** (ათინ.: მეორე ცნობა იოს. ყიფშიძის მინაწერითგანაა), **ტკუბიში** (ვიწ.-რიზ.-ხოფ.; ზ.: ჭ. გ. 191). სვანურად ტყუპს ეწოდება **ჯერვი** და **რჭყვილ** და **წყვილისათვისაც** იგივე სიტყვა **რჭყვილ** არსებობს, **მრჩობლისათვის**-კი **ჯერვი**, მაგ. **ორკეცი-ჯერვილგკეც**. **მარჩბივი**-ც არსებობს, მაგრამ მისი ეტიმოლოგიის გამოძიებას აქ არ შევუდგებით. პირველი სამი სიტყვის საკმაოდ ვრცელი განმარტება ქართველ ლექსიკოგრაფს აქვს თავის ნაშრომში შეტანილი [2].

საბა ორბელიანის სიტყვით, „უკეთუ იყუნენ **ყრმა ორნი** მუცელსა შინა, ეწოდების **მარჩბივი**, ხოლო **პირუტყვთა ორთა**, ანუ ხულთა და მისთანათა **ორთა ერთსა ბუდესა შინა**, ეწოდების—**ტყუბი**,—ხოლო **ხილთა** და ხმილთა **ორთა შეერთებულთა** ეწოდების **ტყუფი**“-ო (ლექსიკ. **ტყუბის** ქვეშე). საბას ლექსიკონის B რედაქციის ხელთნაწერებში ზემომოყვანილისაგან არსებითად განსხვავებული განმარტებაა მოყვანილი, ამიტომ გადაკითხვა და შედარებაც არის საჭირო.

ამ მეორე განმარტებაში ნათქვამია: „**უკეთუ იყვნენ ცხოველნი ორნი მუცელსა შინა—კაცი, ცხენი და მისთანა, მარჩბივი არს,— ხოლო ხილი, ანუ ნაყოფი რამე იყოს ორნი შეერთებულნი**, ითქმიან **ტყუფი**,—ხოლო **ორნი ერთსა ბუდესა შინა ტყუბად ითქმიან**“-ო (იქვე).

---

[1]. მაგ. ყურძენს უდრის ჸურძენი (მეგრ.) და ურძენი (ჭან.),—ყელს—ჸალი (მეგრ.) და ალი (ჭან., ათინ.), ყომურს (ტყემალს)—ჸომური (მეგრ.) და ომური (ჭან., ათინ.), ყანას—ყონა (ჭან., ხოფ.), ჸონა (ჭან., ათინ.) და ონა (ჭან., ათინ. და ვიწ.), ტყავს—ტკები, ტები (ჭან., ათინ.) და ტუფ (სვან.),—ტყუბს და ტყუპს—ტყუბი (ჭან., ვიწ.), ტკუბი (ჭან., ხოფ.) და ტუბი (ჭან., დას.), კვლახ— ო-ყვილუ (ჭან., ხოფ.) და ო-ჲილუ (ჭან., ათინ.),—ყიდვას— ო-ყირდუ (ჭან.) და ო-ჲანდრუ (ჭან., ათინ.),- ო-ყიზუ-ს (ჭან., ხოფ.: ბეჩვას, ჩანდვას ნიჩნაეს)—ო-ლაზუ (ვიწ.), ო ჲაზუ (ათინ.) და ო-აზუ (ვიწ.) და სხვ

[2]. ნ. მარრი ფიქრობს, რომ მრჩობლი და მარჩბივი პირველად რკობ ფუძისაგან არის წარმომდგარი და რ-ს თ დ შენ ცვლების გზით ტყუბი-ც აქედანვეაო (ძვ ქ რთ. გრ. 78).

პირველი რედაქციით **მარჩბივი** დედის საშვილოსნოში მყოფი **ორი ყრმის**, ე. ი. მაშინდელი გაგებით **მამრ. სქესის ბავშვის** აღმნიშვნელი იყო, მეორე რედაქციით-კი მარტო „ორი ყრმისა"—კი არა, არამედ **ორი ცხოველის**, ადამიანის შვილი იქმნებოდა იგი, თუ პირუტყვი, მაგ. ცხენი, სულ ერთი იყო. ამ ორი განმარტების განსხვავების მთავარ დებულებას ის მოძღვრება შეადგენს, რომ პირველით **მარჩბივი მხოლოდ გონიერი არსების**, ადამიანის **წყვილის სახელია**, მეორეთი-კი საერთოდ **ყოველივე ცხოველის**, მათ შორის **არა-გონიერისაც**, ე. ი. **გონიერ და არა-გონიერ არსებათა განსხვავება აქ უარყოფილია.**

ამნაირადვე **ტყუბი**-ს განმარტებაც სხვადასხვანაირია: **პირველი რედაქციით ტყუბი ერთ დედის ბუდეში მყოფი ორი პირუტყვისა და ხილის, ანუ ნაჭუჭიანი ხილის** (კაკლის, წაბლის, ფუსტუღის და სხე.) სახელი იყო,—**მეორე განმარტებით-კი ტყუბი ზოგადი სახელი იყო** და **მარტო ერთ ბუდეში ორის მდებარეობის გამომხატველი იყო იმისდა მიუხედავად, ადამიანის შვილზე, პირუტყვზე, თუ ხეხილის ნაყოფზე იყო საუბარი.**

განზოგადოებისადმი მიდრეკილება პირველ განმარტებასაც ეტყობა იმ მხრით, რომ მისი გაგებითაც **ტყუბი პირუტყვისაცა და ნაჭუჭიანი ხილის ერთბუდიანი წყვილის** აღმნიშვნელი გამოდის, მაგრამ მეორე გაგება ამას გარდა ადამიანსაც ჰგულისხმობდა.

ტყუპი-ს განმარტებაში-კი თითქმის სრული თანხმობა სუფევს, რადგან **ორივეს გაგებით ხეხილისა და ხმილის ტყუპი ნაყოფის სახელი იყო.**

თუ ორივე რედაქცია საბას დაწერილია, მაშინ ცხადი ხდება, რომ ამ ტერმინების ნამდვილი მნიშვნელობა მე-XVII ს. დამლევს საბასთანა განათლებული და მცოდნე კაცისათვისაც-კი უკვე სათუო ყოფილა. ეს გარემოება არც არის გასაკვირველი, რადგან სამივე ძველის ძველი სიტყვებია, რომელთაც მნიშვნელობა დროთა განმავლობაში შეეცვლებოდათ და იმის გამო წერილობითი ძეგლების მიხედვითაც მათი ერთნაირი მნიშვნელობის გამორკვევა შეუძლებელი იქმნებოდა. ეხლაც ამისთვის საგანგებო კვლევა-ძიება არის საჭირო, რისთვისაც ამ ჟამად არც დრო გვაქვს და არც აქ დასახული მიზნისათვის არის აუცილებლად საჭირო. რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა თვითეულს მათგანს, ამაზე მსჯელობა მხოლოდ მას შემდგომ იქმნება შესაძლებელიცა და მიზანშეწონილიც, როდესაც უკვე ამ სიტყვების აგებულება გვექმნება გამორკვეული.

ტყუბი-სა და **ტყუპი**-ს ნათესაობა ერთი შეხედვითაც ცხადი გახდება, **მარჩბივი**-სა და ამ ორი სიტყვის ნათესაობის საკითხი-კი საგანგებოდ უნდა იქმნეს განხილული. ამიტომ ჯერ პირველი ორის შესახებ.

ტყუბი-სა და **ტყუპი**-ს პირველი **ტყუ** მარცვალი საერთოა, მეორე-კი **ბი** და **პი** განსხვავებულია. ცხადია, რომ ეს **საერთო ნაწილი უნდა იმ ზოგადი ცნების გამომხატველი იყოს, რომელიც ამ ორს ბოლო-განსხვავებულს სიტყვას აერთებს**, ე. ი. **ერთ ბუდეში წყვილად ყოფნის აღმნიშვნელად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო ბი და პი იმ თავისებური დანართი თვ სების გამომჟღავნებელად არის მისაჩნევი, რომელიც ამ საერთო ცნების გამომხატველს პირველ მარცვალს ოდნავ განსხვავებული შინაარსის ორ სიტყვად ჰხდის.** ეს გარემოება უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ **ძირი** სწორედ **პირველ ტყუ**

მარცვალში უნდა ვეძიოთ, მეორე, განსხვავებული ბ0 და ჵ0-კი ფორმანტებადაა მისაჩნევი.

ხოლო ბ0 და ჵ0 თვითეული ცალკეულად სახელდობრ რის გამომხატველია და რის ფორმანტი უნდა იყოს, ამის გამორკვევას ამ ორი სიტყვის მნიშვნელობის განსხვავების გათვალისწინება და გამოყენება გვშველის.

თუ ყველაზე უცილობელის, ტყუჵ0-ს, განხილვით დავიწყეთ, იგიც ტყუპოჲის, წყვილობის, აღმნიშვნელია, მაგრამ **მხოლოდ ხეხილისა და ხმილის, უსულო საგნის** ტყუპობის. ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ ბოლოკიდური ჵ0 სწორედ ამ უსულო საგნისადმი მიკუთვნილობის გამ მხატველი ფორმანტია.

მეორე მხრით თუმცა ტყუბ0, ერთ ბუდეშივე წყვილად ყოფნის გამომხატველია, მაგრამ უმთავრესად „**პირუტყუთა ორთა**", ე. ი. **ცხოველის**. ამ განსაკუთრებულს ელფერს ამ ორი სიტყვის საერთო ნაწილის მნიშვნელობასაც, რა თქმა უნდა, ბოლოკიდური ბ0 ანიჭებს. ამიტომაც იგი სწორედ იმ ფ რმანტად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც პირუტყვისადმი მიკუთვნილობის გამომხატველია.

ზემოაღნიშნულზე მეტის თქმაც შეიძლება: ამ გამოკვლევის წინა ნაწილებითგან უკვე ვიცით, რომ ბ ქართულსაც თავდაპირველად და ღილღურსა და ლეგურს ბევრს ენას უჭასაკოთა და პირუტყვების სქეს-კატეგორიის ნიშნად ჰქონდა და აქვს ეხლაც. რაკი ტყუბ0 მართლაც პირუტყვის წყვილშობილობის გამომხატველია, ამიტომ სრული უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ამ ტერმინის ბ0-ც სწორედ მესამე სქეს-კატეგორიის ოდინდელი ქართული ბოლოსართის ნაშთი და შენაზრდია.

ტყუჵ0-ს ბოლოსართის რაობის გამორკვევა ზემონათქვამის შემდგომ უკვე ძნელი არ არის. რომ ის უსულო საგნისადმი მიკუთვნილობის გამომჟღავნებელია, ეს უკვე დანამდვილებით ვიცით. ხოლო სქეს-კატეგორიების ნიშნების შესწავლის დროს დავრწმუნდით, რომ უსულო საგნების სქეს-კატეგორიის ნიშნად დ, ანდა რ იყო და არის ეხლაც. დ-სა და რ-ს შენაცვლება ხომ, როგორც ვიცით, ჩვეულებრივი მოვლენაა. ვინც გაიხსენებს, რომ ქართულ-ქართველურში დ-სა და რ-ს ჯ-დ შენაცვლებაც იშვიათი შემთხვევა არ არის,[1] ის მაშინ ადვილად დაიჯერებს, რომ ტყუჵ0 წინამორბედი ტყუჯ0-სა და ტყუდ0-სა, ანუ ტყურ0-საგან არის წარმომდგარი. ამგვარად ცხადი ხდება, რომ ჵ0 მეოთხე უსულო საგანთა თავდაპირველი სქეს-კატეგორიის დ0-ს, ანუ რ0-ს ფონეტიკური სახესხვაობის ნაშთი და შენაზრდია.

ზევით უკვე ნათქვამი გვქონდა, რომ ყურ0-ს, ყუერ0-ს, ყვარ0-ს ისევე, როგორც ორ0-ს რ ფორმანტი უნდა იყოს და სქეს-კატეგორიის ნიშნის შენაზრდი, ორის ცნების გამომხატველი ძირი, მაშასადამე, ყო, ან-და ყუ არის.

თუ ყველა ამის შემდგომ ტყუბ0-სა და ტყუჵ0-ს პირველს, აგრეთვე ძირად მისაჩნევს, ნაწილს ტყუ-ს დავაკვირდით, შევამჩნევთ, რომ მას ზედმეტი თავ-

[1]. აი ამის მაგალითებიც: ტრედი—ტოროჯი (ჭან.), ტორ ნჯი (მეგ. ,—კ დ , ხიდი—ხ ნჯი (ჭან., მეგრ.), ჭანდი (მეჲ.=მწერს)—მჭაჲჯი (ჭან), კარი—ხოჯი (მეგ., ჭან.),— პირი—პიჯი (მეგ , ჭან. ,—ყუერი—ყუაჯი (ჭან.), ჩაჯი (მეგო.), - მკარი, მკარე—ღუხური (მეგ.), ჩხუჯი, ბხუჯი, ბაოჯ (სვ.),— ფუტკარი — ბუტკუჯი (ჭან.),— ისარი — ისიჯი (ჭან.),— ს როდ—სუჯი, მსუჯი,— ქმარი—ქომოჯი (მეგ., ჭან.) და სხ.

კიდური **ტ** აქვს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ორისა და წყვილობის გამომხატველი სიტყვებისა და ტერმინების უმრავლესობას ეს ბგერა თავში არ უჩანს და თანაც მოვიგონოთ, რომ **ტ**, ვითარცა მჟღერი დ-ს ყრუ შესატყვისობა, მეოთხე სქეს-კატეგორიის ნიშანი იყო დ ა ჩრდილო-კავკასიის აღმოს. ჯგუფის ბევრს ენაში ეხლაც არის, რომ **ტყუ**-ს ამ თავკიდური თანხმოვნის ასეთი რაობის აზრი დაგვებადოს. მაგრამ აქ იგი უკვე სქეს-კატეგორიის ნიშნად-კი არ არის, არამედ უბრალო შენაზრდადაა ქცეული. თავკიდური სქეს-კატეგორიის ამ შენაზრდითურთ **ყუ** ძირისათვის, ვითარცა **ორის** ცნების გამომხატველისათვის შემდეგში ბოლოსართოვანი **დი** (ჰი-დ შენაცვლებული) და **ბი** სქეს-კატეგორიების ნიშნები დაურთავთ და ამნაირად უკვე **ორის** ძირადაც-კი მიუჩნევიათ.

ეხლა რომ **მარჩბივი**-ს განხილვას შევუდგეთ, უნდა უმალ ამ ძირისავე ზედსართავი **მრჩობლი** გავიხსენოთ, რომელიც **ორმაგსა** ნიშნავს. ერთი მხრით არსებით სახელად ქცეული **მარჩბივი** გვაქვს, მეორე მხრით ზედსართავი **მრჩობლი**. მათ საერთო ნაწილს **მარჩბ**-ს და **მრჩობ**-ს მხოლოდ ბოლოკიდური **ვი** და **ლი** ასხვავებენ, რათგან პირველი ნაწილის განსხვავება ხმოვანთა დაკარგულობას არ სცილდება. **ვი** და **ლი**, ცხადია, ფორმანტებია.

რაკი **მრჩობლი** **ორს**, ანდა **ორკეცსა** ნიშნავს, ცხადია, რომ **ორის** ცნების გამომხატველი უნდა სწორედ პირველს ნაწილს **მრჩობ**-ში ვეძიოთ. ერთი შეხედვითაც ჩანს, თუ რამდენად გართულებული და შეცვლილი უნდა იყოს აქ **ორის** ძირი: **ორის** ამნაირი სახელის მოძებნა ქართულში ძნელია. მაგრამ ჩვენ უკვე გვქონდა **ორკეცის** აღმნიშვნელი ძველი ქართული ტერმინი **ჩუდკეცი**, რომლის პირველი ნაწილი **ჩუდ**, როგორც დავრწმუნდით, **ორსა** ნიშნავს. ორივე ამ **ორის** აღმნიშვნელი **მრჩობ**-ისა და **ჩუდ**-ის ერთმანერთთან შედარება ადამიანს დაარწმუნებს, რომ მათ მხოლოდ **ჩო** და **ჩუ** აქვთ საერთო, ბოლოკიდურები **ბ** და **დ**-კი განსხვავებულები გააჩნიათ. ისევე, როგორც **ორის** და ამ რიცხვითი სახელის დანარჩენი **რ**-ბოლოკიდურიანი ფორმების ეს ბგერა ძირეული-კი არა, სქეს-კატეგორიის ოდინდელი ნიშანია, **დ**-ც ამ შემთხვევაში ასეთივე თვისებებისაა. საფიქრებელია, რომ **ჩობ**-ის **ბ**-ც მესამე სქეს-კატეგორიის შენაზრდი ნიშანი უნდა იყოს. საფიქრებელია, რომ ეს შენაზრდიანი **ჩობ**-იც, შემდეგში ძირად მიჩნეული, უნდა გვქონდეს **მრჩობ**-ლსა და **მარჩბივ**-ში დაცული.

ამ უკანასკნელს ბოლოში **ივი**, თუ **ვი** აქვს დართული, რის გამო მახვილის პირველ მარცვალზე ყოფნის წყალობით ძირის **ო** ხმოვანი გამქრალა. თუ მოვიგონებთ, რომ **მარჩბივი** **ორთა ყრმათა**, ე. ი. მამრ. სქესის ტყუპების აღმნიშვნელი ტერმინი იყო და მოგვაგონდება, რომ **ვ** სწორედ მამრ. სქესის ნიშანი იყო, მაშინ ამ **ივი**-სა, თუ **ვი** ბოლოსართის მამრ. სქესის შენაზრდ ფორმანტად მიჩნევა არ გაგვიკვირდება.

ყველა ზემოხათქვა ის შემდგომ შესაძლებელია ითქვას, თუ, სახელდობრ, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა თავდაპირველად **მარჩბივს**, **ტყუბსა** და **ტყუპს**: **მარჩბივი** თავდაპირველად **ტყუპი ყრმის**, **ტყუბი** — **ტყუპი პირუტყვისა** და **ტყუპი** — **ტყუპი უსულო ნაყოფის** აღმნიშვნელი იქმნებოდა.

სანამ **წყვილის** ეტიმოლოგიის განხილვას შევუდგებოდეთ, უნდა წინასწარ საჭი ძველი ქართული ზმნა განვიხილოთ, რომელთაც **ორის** სახელთან აქვთ კავშირი.

ძველ ქართულში სამი სიტყვა **ტყუელვა**, **შეტყუელვა** და **ალტყუელვა** გვხვდება, რომელთაც, აღმნიშვნელობის საერთო თვისებასთან ერთად, აგებულებაც ერთნაირი აქვთ და ძირიც ერთი-და-იგივე უჩანთ. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ცნობით, „**ტყველვა ჴელთა ჴელზედა მიდება**“, B რედაქციით-კი „**გინა ტაში**“ იყო (ლექს.). ცხადია, რომ ამ განმარტების პირველ ნაწილში შეცდომაა შეპარული და ამას გარდა არც ზედმიწევნილობაა დაცული: ნამდვილად **ტყველვა** ორივე ხელის ერთმანერთზე დაკვრას წარმოადგენს.

ამნაირადვე „**შეტყველვა**“, ჩვენივე ლექსიკოგრაფის სიტყვით, ისეთ მოქმედებას ეწოდებოდა, „**ორნივე ჴელნი რა ერთად შეჰკრიბო**“-ო (იქვე), ე. ი. შეაერთო.

დასასრულ, „**ალტყუელვა ზე ორთავე ჴელთა შემოკრებაჲ**“-სა ნიშნავსო (იქვე).

ტყველვის, **ალტყელვისა** და **შეტყველვისათვის** არც ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს აქვს რაიმე წყარო დამოწმებული და არც დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ს, რომელსაც მხოლოდ **ალტყველვისათვის** LVI ფსალმუნი აქვს დასახელებული (ქართ.-რუს.-ფრანგ. ლექს.). მაგრამ ამ ადგილას ეს სიტყვა არც არის და შინაარსისდა მიხედვით არც მოსალოდნელია, რომ ყოფილიყო. უეჭველია, აქ კორექტურული შეცდომაა: ეს ტერმინი 46-ე ფსალმუნში (XLVI, 1) გვხვდება, მის პირველსავე მუხლში. იქ ნათქვამია: „ყოველთა წარმართთა **ალტყუელენით ჴელნი** თქუენნი და ღაღადებდით ღ̃ისა მიმართ ჴმითა სიხარულისათა“-ო. ბერძნულად „**ალტყუელენით ჴელნი**“-ს შესატყვისად ნათქვამია: *κροτήσατε χεῖρας* **კროტჱზატე ხჱირას**, ლათინურად plaudite manibus და სომხურად *ծափս հարէք* **წაფს ჰარეჲ**. როგორც *κροτέω τὼ χεῖρε* **კროტჱო ტოხჱირე**, ისევე plaudo manibus და *ծափս հարել* **წაფს ჰარელ** ტაშის, ხელების ცემას, **ტაშის კვრას**, შემდეგ **მოწონებასა** და ქებასაც ნიშნავს.

რაკი ამ ორმოცდამეექვსე ფსალმუნის **ებრაულ დედანშიც** აქ სწორედ **ტაშის კვრა** სწერია, ამიტომ ცხადი ხდება, რომ ს ა ბ ა ს ზემომოყვანილი განმარტება მთლად ზედმიწევნითი არ არის: **ალტყუელვა** „ზე ორთავე ჴელთა“ მარტო შემოკრებას-კი არ ნიშნავდა, არამედ **ზევითკენ აწეული ხელებით ტაშის კვრას**.

შეტყველვა ა მ ი რ ა ნ დ ა რ ე ჯ ა ნ ი ა ნ შ ი გვხვდება. იქ ბადრი იამანისძის-მიერ რომ არზამანიკის საჯარო შებრძოლების დროს დამარცხებისა და მოკვლის ამბავია მოთხრობილი, ნათქვამია: „მაშინ ზე ახლტა მეფე, **ხელნი შე-ტყველნა** (ე. ი. ტაში დაუკრა) და გაიცინა. შეიქმნა სიხარული ქალაქსა შიგან დიდი და ყველანი ქებასა შეასხმიდეს ბადრი იამანის ძესა“-ო (ზ. ჭიჭინაძის გამოც. 26).

ზემომოყვანილი ძეგლებითგან ამოღებული მაგალითები ადამიანს დაარწმუნებენ, რომ **ტყველვა**, **შეტყველვა** და **ალტყველვა** **ძველი ქართული ტერმინებია**.

ერთი შეხედვითაც ცხადი ხდება, რომ **სამივე ზემოჩამოთვლილი სიტყვა ნასახელარი ზმნებია**, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ პირველ ზმნას წინა-

სართი არა აქვს, ორი უკანასკნელი-კი უკვე წინსართიანია (პრევერბიანია). სამივეს **აყ** მაწარმოებელი, ანუ თემის ნიშანი აქვს, ხოლო ძირად **ტყუელ** არის.

ამ სამსავე ზმნის აღმნიშვნელობის საერთო თვისებას ორივე ხელის ერთმანერთთან მიახლოვება შეადგენს, მაგრამ **შეტყველვა** ამ მოქმედების ჰორიზონტულს მიმართულებას, ხოლო **აღტყუელვა** ასწვრივს, ზევით ამართული ხელების დაახლოვების გამომხატველია. რაკი **შეტყუელვა**-ს ასეთ მნიშვნელობას **შე** ზმნის წინასართი, **აღტყუელვა**-ს **აღ** წინასართი ანიჭებს, ცხადია, რომ ამ სამი ზმნის მნიშვნელობის საერთო თვისების, **ორივე ხელის** დაახლოვების, გამომხატველი ფუძე **ტყუელ**-ვა უნდა იყოს. ვ-ა, ანუ უფრო სწორედ რომ ითქვას, **აყ**, სახელისათვის მოქმედების მნიშვნელობის მიმნიჭებელი მაწარმოებელია.

ამნაირად, იმ სახელად, რომელიც ამ ზმნაში **ორივე ხელის** ცნების აღმნიშვნელი უნდა იყოს, შესაძლებელია მხოლოდ **ტყუელ**-ი იყოს. ხოლო რაკი აქ ხელის არავითარი ბგერითი კვალი არა ჩანს, ამიტომ საფიქრებელია, რომ **ტყუელ ორის** აღმნიშვნელია. მართლაც, თუ გავიხსენებთ, რომ ძველ ქართულში **ლ** ხშირად პირველადი რ-ს შენაცვლებას წარმოადგენს, მაშინ **ტყუელ**-იც შესაძლებელია უფრო ადრინდელი **ტყუერ**-ის მერმინდელ სახესხვაობად მივიჩნიოთ. ეს **ტყუერ**-ი ადამიანის მამრობითი სასქესო ორგანოს წყვილი კვერცხის შემცველის სახელს **ყუერ**-ს უდრის. პირველს მათგანს მხოლოდ თავში მეტი **ტ** თანხმოვანი გააჩნია. ამ თვისებით **ტყუერ**-ი აგრეთვე წყვილისავე აღმნიშვნელს ორ ქართულ ტერმინს, იმ **ტყუბ**-სა და **ტყუპ**-ს, მიემსგავსება, რომელთა შესახებაც უკვე გვქონდა საუბარი. როგორც იქ აღნიშნულია, ეს თავკიდური **ტ** ოდინდელი სქეს-კატეგორიის შეზრდილი ნიშანია.

რაკი ყველა ზემონათქვამის შემდგომ **ტყუელვა**, თუ ასე შეიძლება გამოითქვას, **შეორების** აღმნიშვნელი ყოფილა, ჩვეულებრივი გაგებით-კი სწორედ **ხელების შეორების**, შეკრების გამომხატველი იყო, ამიტომ საფიქრებელია, რომ თავდაპირველად ამბობდნენ „**ხელების ტყუელვა**“-ს და მხოლოდ შემდეგში უნდა იყოს ამ გამონათქვამის პირველი სიტყვა ჩამოცილებული.

დასასრულ **წყვილი**-ს შესახებაც. **ტყუელვის**, **აღტყუელვის** და **შეტყუელვის** აგებულობასა და პირველადს მნიშვნელობაზე მსჯელობის დროს, უკვე დავრწმუნდით, რომ **ტყუელი ორსა** ნიშნავს, რომ თავკიდური **ტ** თავსართოვანი ოდინდელი სქეს-კატეგორიის შენაზრდია ისევე, როგორც **ლი** ასეთივე თვისების ბოლოსართი არის. რაკი **ტყუელი ორის** აღმნიშვნელი ყოფილა და **წყვილი**-ც ამასვე ნიშნავს, მათი ბგერითი დიდი მსგავსების გამო, ამ ორი სიტყვის იგივეობის აზრი თავისდა თავად იბადება. არსებითად მათ მხოლოდ თავკიდური ბგერა **ტ** და **წ** აქვთ განსხვავებული. მაგრამ **ტ**-ს ც-დ, წ-დ და ჭ-დ შენაცვლება ქართულში მოგვეპოვება [1] და საფიქრებელია, რომ სწორედ ამ გზით უნდა იყოს **წყვილი** უფრო ადრინდელი **ტყვილი**-საგან წარმომდგარი.

ზოგადსა და სამწერლობო ქართულს კიდევ არაერთი ტერმინი და სიტყვა, თუ ზმნა აქვს, რომელთაც ამ რიცხვითი სახელის ოდინდელი ფორმა აქვთ და-

---

[1] ტურტლი (თევზთა განაყალი) — ცურცლი (ქვემძრომთა). ტანტალი—წანწალი, ტკივილი — წ...ნი, მაწკუნე (მტკ...: ჭან), ტუტყი—ჭუჭყი და სხ.

ცული, მაგრამ ყველასი განხილვა შორს წაგვიყვანდა, ამიტომ მხოლოდ ორს-ღა, **ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ** და **ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ**-ს შევეხები კიდევ.

საფიქრებელია, რომ **ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲓ**, რომელიც ძველ ქართულში ეხლანდელივით ცალკეულ სიტყვას-კი არა, არამედ მხოლოდ **გაბმულ საუბარსა** ნიშნავდა, აგრეთვე **ორისავე** სახელის ძველ ფორმასთან უნდა იყოს დაკავშირებული და თავდაპირველად **ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲓ** და **ᲣᲑᲜᲝᲑᲐᲓ** ორი განსხვავებული ცნების გამომხატველი უნდა ყოფილიყო. ვინაიდან **ᲣᲑᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ** ნაწარმოებს, **ᲣᲑᲜᲝᲑᲐᲡ საჯაროდ ლაპარაკის მნიშვნელობა** უნდა ჰქონოდა, **ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲓ**-კი **მხოლოდ ორი პიროვნების, მარტო ორი მოსაუბრისათვის განკუთვნილს ლაპარაკს, დიალოგს, ეწოდებოდა**. ამას ამ ტერმინის თვით აგებულებაც (სი-ტყუა-დ) ამჟღავნებს, რაიგან **სი** აქ დანიშნულების მაუწყებელი ფორმანტია

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ქართულად ისევეა ნაწარმოები, როგორც **ნასამალი**, **ნაოთხალი** და სხვაც. ამიტომ ისევე, როგორც **ნასამალი** და **ნაოთხალი** „**ნა + სამ + ალ — ი**“-სა. და „**ნა + ოთხ + ალ — ი**“-საგან შესდგება და **ნა** იქ ფორმანტია, **ᲐᲚ** ბოლოსართი და შუა ნაწილად რაოდენობითი რიცხვის სახელი **სამ** და **ᲝᲗᲮ**-ია, ამგვარადვე ცხადია, რომ **ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ-შიც** თავსართი **ᲜᲐ** და **ᲐᲠ** ბოლოსართი ამნაირივე თვისების ფორმანტებია, ამ სიტყვის შუა ნაწილი-კი **ᲮᲔᲕ**. უეჭველია, ამ შემთხვევაშიც რიცხვის სახელი უნდა იყოს. რაკი **ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ**, ნასამალისა და ნაოთხალის მგავსად რომ თანამედროვე რიცხვითი სახელისაგან ვაწარმოვოთ, მნიშვნელობით **ნაორალს** უდრის, ამის გამო **ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ**-ს შუა, რიცხვის აღმნიშვნელი, ნაწილი **ᲮᲔᲕ-იც ორის** რიცხვითი სახელის ძველ ფორმად უნდა მივიჩნიოთ.

ზევით უკვე განხილული გვქონდა **ორისავე** ოდესღაც, უძველეს ხანაში, არსებული სახელის გაქვავებული ნაშთი **ᲧᲔᲕᲐᲠᲘ**, რომლის ფუძეს წარმოადგენს **ᲧᲔᲕ**. საკმარისია **ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ**-ში დაცული **ორის** აღმნიშვნელი **ᲮᲔᲕ** ზემოდასახელებულ **ᲧᲔᲕ**-ს შევადაროთ, რომ მათი სრული იგივეობა ცხადი გახდეს: **ნახევარ-ში** დაცულს **ორის** აღმნიშვნელს რიცხვითს **სახელს მხოლოდ** თავკიდური **ყ** თანხმოვანი **ხ**-დ აქვს შენაცვლებული. ასეთი შენაცვლების არაერთი მაგალითი [1] გვაქვს [2].

გულდასმითმა კვლევა-ძიებამ მაშასადამე დაგვარწმუნა, რომ **ისტორიულ ხანაში ცნობილი ᲝᲠᲘ-ს გარდა, წინათ და უძველეს ხანაში ამ რიცხვის გამოსახატავად ᲧᲝᲠᲘ და ᲧᲣᲠᲘ ყოფილა, რომ საერთოდ ორობის გამომხატველი ძირი თავდაპირველად ქართულსაც და ქართველურსაც ᲧᲝ ჰქონია, რომელსაც სქესისდა მიხედვით სათანადო სქეს-კატეგორიის ფორმანტი ერთვოდა ჯერ თავსართის, შემდეგში-კი ბოლოსართის სახით.** თავსართიან ოდინდელ

---

[1]. **საყდარი — სახტარი** (იმერ.), — **ყირიმის თოფი — ხირიმი, კირიმი** (თუშ., ხევს.), — **ყლაპი ხლაპი** (საბა), — **ყვიჩილა — ხვიჩილა** (იმერ.), — **საჯაყი — საჯახი** (იმერ.), — **დაყრდნობა — დახტნობა** (იმერ.).

[2] აკად. ნ. მ ა რ რ ი ერთი მხრით ამტკიცებს, რომ **ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ** ორის აღმნიშვნელი სვანურ **ხევ**-ითგან არის ნაწარმოები (ძვ. ქართ. გრ. 82), მეორე მხრით, რომ **ᲧᲔᲕᲐᲠᲘ**-იც აგრეთვე სვანური ნაშთი ხები სიტყვის სახესხვაობას წარმოადგენს (იქვე, 82). გამოდის, რომ **ᲧᲔᲕᲐᲠᲘ** ვითომც ხევ-არისაგან იყოს წარმომდგარი და **ხ** ყ-დ იყოს შენაცვლებული. ჩვეულებრივ-კი პირიქით — ყ-ს ხ-დ შენაცვლება გვაქვს. ამიტომაც ნ. მ ა რ რ ი ს მოსაზრება სწორე არ უნდა იყოს

ფორმათაგან მხოლოდ მეოთხე სქეს-კატეგორიის დ-ს ანარეკლი გვაქვს დაცული **სიტყუა**-ში და ამას გარდა **ტყუბი**-სა და **ტყუპი**-ს ფორმებშიც. მაგრამ ორს უკანასკნელს ეს უკვე განუყრელად შეზრდილი ფუძის სახით შეთვისებული მეოთხე სქეს-კატეგორიის ფორმა ძირადაც-კი ჰქონია მიჩნეული. **ორის** ამ ძირად ქცეულს მეოთხე სქეს-კატეგორიის **ტყუ** ფორმას გარკვეული ხანითგან ისევე, როგორც **ორის** პირველადს **ყო** ძირსაც, საჭიროებისამებრ სათანადო სქეს-კატეგორიის ფორმანტი ერთვოდა ხოლმე, მაგრამ უკვე ბოლოსართის სახით. ამ ხანის პირველადი **ყო**-ძირისაგან ნაწარმოები ბოლოსართიანი ფორმებითგან შერჩენილი გვაქვს ტერმინებად ქცეულები მეორე სქეს-კატეგორიის **ყუნ**, მეოთხე სქეს-კატეგორიის წყვილი სასმენელისა და თვალის აღმნიშვნელი **ყური**, წყვილი საკვერცხის სახელი **ყუერი**, წყვილი უღლეული საქონლის **ყევარი**. ხოლო მეოთხე სქეს-კატეგორიის თავსართ-შეზრდილი ბოლოსართიან ფორმათაგან დაცული გვაქვს მესამე სქეს-კატეგორიის ფორმა **ტყუბი** და მეოთხე სქეს-კატეგორიის რამდენიმე სახესხვაობა **ტყუელ**-ვა, **ტყუპი** და სხვაც.

ყორი და **ყური**-საგან ყ-ს შენაცვლების გზით არის დროთა განმავლობაში **ორის** კიდევ შემდეგი ფორმები **ღორი** და **ღური**, **ჟური** და **ჟირი**, **ჯური** და **ჯირი**, დასასრულ **ჩუდი**-ც წარმომდგარი. ხოლო ყ-ს სრულიადი გაქრობის გამო შერჩენილი გვაქვს **ორი**, რომელშიც რიცხვის აღმნიშვნელად მხოლოდ **ო**-ღა არის.

III. ზოგად ქართულს თუ 3-ისათვის სახელად **ა**-ხმოვანა **სამი** აქვს, მეგრულში **უ**-ხმოვანა სახესხვაობა **ხუმი**-ა. ჭანურსაც ასევე აქვს **სუმ** და **შუმ** და წინათაც **შუმ** ჰქონია (ჭ. გრ., გვ. 20), რომლის კვალი ეხლაც არის რიგობითი რიცხვითი სახელის **შუმენაჩი**-ს პირველ მარცვალს **შუმ**-ში დაცული. სვანურად **სემი** არის.

ქართულ-ქართველურის **ხამის** ფორმების განსხვავება მხოლოდ პირველ თანხმოვანსა (**ს** და **შ**) და ხმოვანს (**ა**, **ე** და **უ**) ეხება. ორივე სხვაობა იმდენად ჩვეულებრივია, რომ ამაზე სიტყვის გაგრძელება საჭირო არ არის. ბოლოკიდური **მ** ყველას უცვლელად აქვს იმისდა მიუხედავად, რომ მისი ძირეულობა სათუოა. მაგრამ ეს **მ** მაინც დიდი ხნის შენაზრდი უნდა იყოს.

ისიც აღსანიშნავია, რომ ამ რიცხვითი სახელის თავკიდური **ღ**-ს, ანდა **შ**-ს პირველადობაც საეჭვოა. ამას ერთი მხრით **სამის** მეორე სახელი **ყუნცული** გვაფიქრებინებს, ხოლო მეორე მხრით ის გარემოებაც, რომ ჩრდილო და სამხრეთ-კავკასიის აბხაზურ-ლეგურ-ალბანურ ენებშიც, **ს** ბგერიანისა და **შ**-ბგერიანის გარდა, **ხ**-ბგერიანი **ხამის** სახელიც არის, რომელთაგან ყველაზე ადრინდელი, რასაკვირველია, სწორედ უკანასკნელია და **შ** და **ს**-ბგერიანები-კი შენაცვლების გზით იქმნება გაჩენილი. ამნაირადვე **შუმ** შესაძლებელია ყ-ს ქართულში **ხ**-დ ჩვეულებრივი შენაცვლების გზით იყოს **ყუნცულ**-ის პირველი ნახევრის **ხუნ**-ისაგან წარმომდგარი.

ასეა, თუ ისე, მაინც **ყუნცული** უაღრესად საყურადღებოა, რადგან მარტივი რიცხვის **სამის** ეს **სახელი რთული სიტყვა და სახელი გამოდგა**. როგორც დავრწმუნდით, ის **ორისა და ერთის სახელების შერწყმულს სიტყვას** წარ-

მოადგენს. თუ ᲡᲐᲛᲘᲡ სახელი ასეთი გზით გაჩენილა, ასეთი მოვლენა სამზე მსხვილი რიცხვის სახელებში, ცხადია, **უფრო მოსალოდნელია.**

IV. ზოგადი ქართული სამწერლობო ენის ᲝᲗᲮᲘ-ს შესატყვისად მეგრულსაც ᲝᲗᲮᲘ აქვს, რომელიც თოთხმეტში ᲐᲜᲗᲮᲘ-ს სახით გვევლინება. ხოლო ჭანურში ᲝᲗᲮᲝ-ა და მარტო ოთხმოცში ᲝᲗᲮᲔ-ს სახეც აქვს,—სვანურშია—**ჳოშთხჳ**, რომელიც სამწერლობო ქართულისაგან თავის თავკიდური ჳ-ით, შუაში მოქცეული შ-ითა და ბოლოკიდური **ო**-ს მაგიერ ჳ-ით განსხვავდება.

ის გარემოება, რომ **ოთხის** სახელი მეგრულს ცალკეულად ᲝᲗᲮᲘ აქვს, ჭანურში-კი ᲝᲗᲮᲝ ამ რიცხვის ერთად-ერთ ცალკეულს სახელს წარმოადგენს, ცხად-ჰყოფს, რომ ეს ფორმა შემთხვევითი არ უნდა იყოს.

ამნაირადვე 14-ის სახელში დაცული ᲐᲜᲗᲮᲘ-ც არის საყურადღებო იმ მხრივაც, რომ **ოთხის** მაგიერ აქ **ა**-ხმოვანა სახესხვაობაც გვაქვს და **თ**-ს წინაც **ნ** თანხმოვანია, რომელიც არც ზოგადს ქართულსა და არც სხვა ქართველურებს არ უჩანს. უკანასკნელი გარემოების გამო იბადება საკითხი, ეს **ნ** ბგერა ხომ მერმინდელი შენაზრდი არ არის?

ამ საკითხის გადაწყვეტის დროს უნდა გათვალისწინებული გვქონდეს, რომ სვანურადაც **ოთხის** სახელში **თ**-ს წინ თანხმოვანი **შ** ისმის და **ჳოშთხჳ**-ია: **შდ (შთ)** ქართული **თ**-ს შესატყვისობაა. თუ გავიხსენებთ, რომ **ნ** ზოგჯერ **რ**-ს შენაცვლებაა ხოლმე (შეად. **მართვე**—მონთა-ს და სხვ.), მაშინ ᲐᲜᲗᲮᲘ შესაძლებელია ᲐᲠᲗᲮᲘ-ს ფონეტ. სახესხვაობად მივიჩნიოთ.

ამნაირად მეგრული ᲐᲜᲗᲮᲘ-სა წინანდელი ᲐᲠᲗᲮᲘ-სა, ხოლო სვანური **ჳოშთხჳ** უფრო ადრინდელი **ჳოთხჳ**-ისაგან წარმომდგარად არის საგულისხმებელი. მათ შორის მხოლოდ ახმოვანების მხრივ არის განსხვავება.

მაგრამ ყველაფერი, რაც აქამდე ნათქვამი გვქონდა, ᲝᲗᲮᲘᲡ სახელის პირველადი სახის, აგებულებისა და აღმნიშვნელობის გამოსარკვევად არა კმარა, არამედ ᲝᲗᲮᲘᲡ **წინანდელი სახის გამოსარკვევადაც იმავე წესს, ტექნიკური ტერმინების წიაღში დაცული მასალების ანალიზს, უნდა მივმართოთ.** ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ **„ოთხი ვეგის“**, ანუ კოჭის თამაშობას, **საბას** ცნობით, **„გლეხურად“**, ე. ი. ხალხში ᲝᲗᲮᲝ სწოდებია (ლექსიკ.). ცხადია, რომ სათამაშო გასართობის **სახელი კოჭების რიცხვზეა დამყარებული და სწორედ მის სახელს წარმოადგენს.** ეს სახელი იმ მხრით არის საყურადღებო, რომ აქ ᲝᲗᲮᲘ-ს **ჩვეულებრივი სახის მაგიერ** ᲝᲗᲮᲝ **გვაქვს, ისევე როგორც ჭანურს ეხლაც შერჩენია და მეგრულს წინათ ჰქონია.**

ამაზე უფრო საყურადღებოა სახელზმნა ᲑᲝᲠᲢᲧᲣᲐ, რომელიც **საბას** სამართლიანი განმარტებით, **„ოთხით სვლა“**-სა ნიშნავდა და ნიშნავს ეხლაც. ხოლო, მისივე სიტყვით, **„ჩჩვლთაგან ოთხზე სიარულსა— ᲩᲝᲩᲕᲐ და ᲑᲝᲠᲓᲦᲕᲐ ჰქვიან“** (ლექსიკ.: სლვა).

---

[1] მაგ. ბურთი—ბურტი (ჭან.)—ბუშტი.

ბორტყუა და **ბორდღვა**, ცხადია, ნასახელარი ზმნებია, ამასთანავე მეორე პირველის ფონეტიკურს სახესხვაობას წარმოადგენს და მის **ტყ** კომპლექსის გამჟღერებით და დღ-დ შენაცვლებით არის წარმომდგარი.

ეხლა რომ **მათი აგებულების გამორკვევას შევუდგეთ**, ჯერ თავკიდური ბ-ს რაობა უნდა გავიგოთ. თუ გავიხსენებთ, რომ ორივე ეს სიტყვა **ოთხით, პირუტყვულად, ანუ ოთხზე ბაშვიგით სიარულს ნიშნავს**, ამ გამოკვლევის სქეს-კატეგორიების შესახები ნაწილის გადაკითხვის შემდგომ, თავისდა-თავად დაგვებადება აზრი, რომ ამ შემთხვევაშიც **ბ**-ს სწორედ მესამე სქეს-კატეგორიის ფუნქცია უნდა ჰქონდეს. მაშასადამე, **ბ ამ სიტყვების ძირეული ნაწილი არ არის.**

ვითარცა **ოთხზე სიარულის** აღმნიშვნელ სახელზმნას, მას, ან ორივე ცნების (ე. ი. ოთხზე და სიარულის) გამომხატველი ნაწილები უნდა ჰქონდეს, ანდა, **დაოთხების** მსგავსად, **ოთხის** მაუწყებელი ნაწილი მაინც უნდა გააჩნდეს. რაკი **ბორტყუა**-სა და მის სახესხვაობას **სვლის** არავითარი ბგერითი ელემენტი არ უჩანს, ამიტომ იგი, უეჭველია, **ოთხის** სახელისაგან ნაწარმოები ზმნა უნდა იყოს.

ოთხის აქ დაცული ოდინდელი სახის სისწორით გამოსარკვევად საჭიროა, რომ ისევე, როგორც ამ სახელზმნის თავკიდური ბგერის ბუნება გვაქვს გამორკვეული, მისი ბოლოკიდური ნაწილის აგებულება და რაობაც ვიცოდეთ. როგორც ნასახელარ ზმნას, მას ხომ უთუოდ მაწარმოებელი უნდა ჰქონდეს, რომლის გამოუყოფლივ **ოთხის** ბგერითი შედგენილობის ზედმიწევნით გამორკვევას ვერ შევძლებთ. **ბორდღვა**-ში მისი გამოყოფა თითქოს ადვილია, რათგან ვ-ა-ს სწორედ ზმნის მაწარმოებლობა მიეკუთვნება, მაგრამ **ბორტყუა**-ში **ვ** არა ჩანს და ამიტომ შესაძლებელია მისი უ-ც მაწარმოებელის კუთვნილებად მიეჩნია ადამიანს. მხოლოდ უნდა ისიც გვქონდეს გათვალისწინებული, რომ ბოლო უ-ნიანს ნასახელარ ფუძეებს მაწარმოებლის **ვ** უქრებათ ხოლმე, ამიტომაც შესაძლებელია აქაც უ ძირეული იყოს, **ვ** გამქრალი ჰქონდეს, **ბორდღვა**-ში—კი უ და **ვ** შეკუმშული იყოს. ამას ის გარემოებაც გვაფიქრებინებს, რომ ჭანურად სწორედ ო-ბოლოკიდურიანი ფორმა **ოთხო**-ა და ოთხის ვეგის თამაშობასაც ძველ ქართულად **ოთხო**-ვე ეწოდებოდა. თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ **ოთხის** წინანდელ სრულ სახედ უნდა **ორტყუ** მივიჩნიოთ, რომლის გამჟღერებული **ორდღუ** სახესხვაობაც ყოფილა[1].

მაშასადამე **ოთხის** სახელის შემდეგი სხვადასხვა სახესხვაობა გვქონია დაცული: **ოთხო**, **ოთხი**, **ართხი**-საგან წარმომდგარი **ანთხი** და **ჶოთხჶ**-ისაგან **ჶოშთხჶ** ისევე, როგორც **ორტყუ** და **ორდღუ**.

ორტყუ-სა და **ჶოშთხჶ**-ს სრული იგივეობა უცილობელი შეიქმნება, თუ ყ-ს **ხ**-დ შენაცვლებას და ყრუ **ტ**-ს **თ**-დ გაასპირატებას გავითვალისწინებთ.

---

[1] ნ. მარრის რწმენით **ოთხი** შესდგება **ო** თავსართისა და **რთხვ** ძირისაგან. თვით ეს ძირი **რვცხ**-საგან არის წარმომდგარიო. ამ ძირს სამი სახესხვაობა, **რვტ**, **რვდ** და **რვთ** აქვს, რომელნიც პირველად **რვწ**, **რვძ** და **რვც**-საგან არიან წარმომდგარიო. შემდეგ ვ-ს ადგილმონაცვლებით და ბოლოში გადასმით წარმოსდგა **ო-რტყვ**, **ო-რდღვ** და **ო-რთხვ**. რომელნიც **ბ-ორტყვა**-სა, **ბ-ორდღ-ვა**-ს და **ფ-ორთხვა**-ში გვხვდებაო (ძვ.ქართ. გრ., 77).

ოთხო-სა და **ოთხ**-ს უკვე რ აქვს დაკარგული, სხვაფრივ მათსა და **ჟორთხჟ**-ს შორის არსებითი განსხვავება არ არის. უკანასკნელის თავკიდური ჟ-ს **ნამდვილი ბუნება** გამოსარკვევია.

სამის სახელის აგებულების სირთულის გამორკვევის შემდგომ, **ოთხი**-ს სახელის ასეთივე თვისება უფრო მოსალოდნელი. **ორტყუ**-სა და **ორთხუ**-ს პირველი მარცვალი **ორ** ორია, მეორე ნაწილი **ტყუ** და **თხუ**-ც, პირველი ნაწილის **ორობის** გამომჟღავნების შემდგომ, ცხადია შესაძლებელია მხოლოდ **ორისავე** აღმნიშვნელი იყოს. მართლაც **ტყუ** წყვილის, ანუ **ორისავე** აღმნიშვნელი **ტყუბი**-საგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ბოლოში მე-3 სქეს-კატეგორიის ნიშანი არა აქვს ისევე, როგორც თავდაპირველად არც უნდა ჰქონოდა, რადგან მას უკვე **ტ** სქეს-კატეგორიის თავსართი მოეპოება.

ამნაირად ირკვევა, რომ **ოთხის სახელი თავდაპირველად ორი ორი-ს აღმნიშვნელი ყოფილა**. მის ოდინდელ სახელს დროთა განმავლობაში ჯერ მხოლოდ თავკიდური **ყ** გაჰქრობია, ხოლო შემდეგ შუა **რ** ბგერაც.

V. ზოგადი ქართულისა და მეგრულის **ხუთის** შესატყვისად, ჭანურად გვაქვს **ხუთ** და **ხუ**, სვანურად-კი **ჟოხჟიშდ**. უ-ს **ვი**-დ და **თ**-ს **შდ** დ სვანურში შენაცვლების გათვალისწინებით, შესაძლებელია თანამედროვე სვანური **ჟოხჟიშდ** უფრო ადრინდელი **ჟოხუთ**-ისაგან წარმომდგარად ვიგულისხმოთ.

ზოგად ქართულსა და მეგრულ-ჭანურთან შედარებით, სვანურს თავში ზედმეტი **ჟო** უზის. თუ მას გამოვაკლებთ. ქართულ-ქართველური **ხუთის** სახელის [**ხუ.თი** და (**ჟო**)**ხვი**(**შ**)**დ**] იგივეობა ცხადი გახდება.

რაკი ზოგადს ქართულსა და მეგრულ-ჭანურს ამ რიცხვისათვის სრულებით ერთნაირი სახელი აქვთ, ამიტომ იბადება საკითხი სვანური **ხუთის** თავკიდური **ჟო**-სა ბუნების შესახებ, ხომ ეს **ჟო** შემთხვევითი, მერმინდელი შენაზრდი არ არის? ამის გადაწყვეტა ამ სიტყვის ეტიმოლოგიისა და პირველადი მნიშვნელობის გაუთვალისწინებლივ, რასაკვირველია, შეუძლებელია.

ხუთის სახელის ეტიმოლოგიისა და თავდაპირველი აღმნიშვნელობის გამორკვევის დროს, წინა რიცხვითი სახელების (3-სა და 4-ის) რთული აგებულების შემდგომ, რა თქმა უნდა, აქაც მსგავსი მოვლენაა მოსალოდნელი. ამის შესაძლებლობის გაუთვალისწინებლობა მაინც მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა[1].

---

[1] **ხუთის** ეტიმოლოგია ნ. მ ა რ რ ს ა აქვს. ძვ. ქართ. გრამატიკაში ნათქვამია მხოლოდ, რომ **ხუთი** წარმომდგარია **ხევთ**-ისაგან, რომლის ძირიც **ხვთ** არისო (გვ. 75). ხოლო მოხსენებაში „Яфетический Кавказ и третий этнический элемент", მას დაუსაბუთებლივ გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ „ხუთის აღსანიშნავად სიტყვა მჯიღს, ანუ მუშტს, ხმარობდნენო (пять выражалось словом „кулак", („пятерня"). ეს დებულება გამეორებული აქვს თავის წერილშიც „Яфетические языки", „**იაფეტური ენები**": „ხელის კერტი, ე. ი. მუშტი **ხუთი** თითითურთ, **ხუთის** აღმნიშვნელიაო (იხ. Избранные работы I, 99 და 299). არც აქ არის დასახელებული მჯიღის, ანუ მუშტის აღმნიშვნელი ის სიტყვა, რომელიც **ხუთის** სახელად უნდა იყოს გამოყენებული.

რაკი 3 **ორი** (და) ცალის, ხოლო 4 **ორი** (და) **ორის** აღმნიშვნელი გამოდგა, ამიტომ, თუ 5-ის სახელიც ასევეა წარმომდგარი, მაშინ თავდაპირველად იგი, ან **სამი** (და) **ორისა**, ან და **ორი** (და) **სამის** სახელების შერწყმული ფორმა უნდა ყოფილიყო. **ხუთის** სახელის, როგორც დავრწმუნდით, ორი ფორმა გვაქვს: ზოგადი ქართულ-მეგრულ-ჭანური **ხუთი** და სვანური **ვოხვიშდ**, რომელიც უფრო ადრინდელი **ვოხვიშდ** და **ვოხუდ**-ისაგან იყოს წარმომდგარი. ამ ფორმების 2+3, ანდა 3+2-ის სახელებთან დაკავშირება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქმნებოდა შესაძლებელი, თუ გავითვალისწინებთ, რომ, ან **ხუთი**, რომელიც სვანური **ვოხვიშდ**-ის მეორე ნაწილს ისე გასაოცრად მიაგავს, ამ რიცხვის ოდინდელი სრული სახელის მხოლოდ მეორე შერჩენილი ნაწილი-ღაა, პირველი ნაწილი და მარცვალი-კი დაკარგული აქვს, ან არა და უნდა ვიფიქროთ, რომ ქართულ-მეგრულ-ჭანური სახელი აგებულებით სვანურისაგან განსხვავდება და წარმომდგარია წინანდელი **ხუთხი**-საგან მეორე **ხ**-ს გაქრობის წყალობით.

თუ მოსაზრება, რომ სვანური **ვოხვიშდ**-ის **ვო** **ვოხუდ**-ისაგან არის წარმომდგარი, მცდარი არ არის, მაშინ ცხადია, რომ **ვო** სწორედ **ორის** აღმნიშვნელი სახელია, **ხუდ**-კი ამის გამო შესაძლებელია მხოლოდ-და-მხოლოდ **სამის** აღმნიშვნელად მივიჩნიოთ. ამნაირადვე, თუ **ხუთი**-ს **ხუთხი**-საგან წარმოშობილობის ჰიპოთეზი მცდარი არ არის, მაშინ ცხადია, რომ აქ **თხი** ისევე, როგორც უკვე ვიცით, **ოთხი**-ს მეორე მარცვალიც, სწორედ **ორსა** ნიშნავს, თავკიდური **ხუ**-კი ამ შემთხვევაშიც **სამის** აღმნიშვნელად უნდა მივეჩნია.

ვო-ისა და **თხი**-ს **ორის** სახელის სხვადასხვა დროის ფონეტიკური სახესხვაობად მიჩნევის შესაძლებლობა ვგონებ ძნელი დასაჯერებელი არ უნდა იყოს, რათგან პირველი მათგანი (ო-რი) ეხლაც არსებობს, მეორეს შესახებ-კი **ოთხი**-ს ანალიზის დროს უკვე გვქონდა საუბარი.

ამ ეტიმოლოგიისათვის უმთავრეს დაბრკოლებას **ხუ** და **ხუ-დ**-ი წარმოადგენს, რათგან არც ზოგადს ქართულსა და არც ქართველურს ამ ჟამად **სამის** ასეთი სახელი არა აქვს. მაგრამ, როგორც თავის ადგილას დავრწმუნდით, ჭანურად სამს **შუმ**-ი სწოდებია. **შ** ს **ხ**-საგან გაჩენა და შემდეგ **ს**-დ შენაცვლება ქართულ-ქართველურში იშვიათი მოვლენა არ არის. ამასთანავე, თუ სამის **ხუ**, ანდა **ხუ-დ** სახელი ქართულში არ მოგვეპოვება, **სამის** ცნების გამომხატველი ტერმინი **ჸუნცული** ძველ ქართულში ხომ ყოფილა. **ყ**-ს **ხ**-დ შენაცვლების გზით შესაძლებელია **ხუნცულ**-ადაც ქცეულიყო და ეგების **სამის** აღმნიშვნელი **ხუ** და **ხუ-დ** სწორედ ამ ტერმინის პირველი მარცვალი იყოს. მაინც-და-მაინც **ხ**-ძირიანი და **შ**-დ შენაცვლებული მისი სახესხვაობა **სამის** სახელად, როგორც დავრწმუნდით, ჩრდილო-კავკასიის ენებში საკმაოდ არის გავრცელებული ისევე, როგორც იქვე **ს**-ძირიანი სახესხვაობაც მოიპოვება. **აღსანიშნავია, რომ ხ-ძირიანი 3-ისა და 5-ის სახელები ჩრდილო-კავკასიის ენათა, როგორც დასავლურს, ისევე აღმოსავლურს ჯგუფში საკმაოდ არის გავრცელებული და ეს გარემოებაც ამჟღავნებს, რომ ხუთის სახელი სამის სახელთან (მაშასადამე ორის სახელთანაც) უნდა იყოს მართლაც დაკავშირებული.**

VI. სამწერლობო, ზოგადი ქართულის **ექუსი**-ს შესატყვისად მეგრულში **ამ-შვი** გვაქვს ცალკეულადაც და 16-ის, 600-ის და მე-6-ეს სახელებშიც, ჭანურად 6-ს ეწოდება **აში** ცალკეულადაც და მეექვსესაც **ანშ-ენერე**-დ ამბობენ, მაგრამ ათინურს და ვიწურს კილოებში **ა-ში**, ხოლო ხოფურში **აშ-ს** ხმარობენ (ქ., გ. 128 და § 6).

სვანურად 6-ს **უსგვა** ჰქვიან ცალკეულადაც და რთულს რიცხვითს სახელებშიც.

თუმცა 6-ის ზემომოყვანილი სახელები ერთი მეორისაგან ისე დაშორებული არ არიან, რომ მათი ნათესაობა საგრძნობი არ იყოს, მაგრამ მათი ფონეტიკური გარდაქმნა მაინც იმდენად დიდია, რომ ამის მსგავსი სხვა რიცხვითს სახელებში არ გვხვდება და ამიტომ მათი სახენაცვლობის თანდათანი საფეხურების გათვალისწინებაა საჭირო.

საერთოდ ხუთი-ექვსითგან მოყოლებული ქართულ-ქართველური რიცხვითი სახელების აგებულების გამორკვევა უკვე ძალიან ძნელდება, ამიტომაც მათი განხილვა მომავალი კვლევა-ძიების ამოცანად უნდა იქცეს და აქ მხოლოდ ცნობათა სისრულისათვის მარტო აკად. ნ. მ ა რ რ ი ს ეტიმოლოგიები მექნება მოყვანილი.

ნ. მ ა რ რ ს ნათქვამი აქვს, რომ **შვიდის** ძირი არის **შვდ**, რომლისგანაც **მშვდის** (ე. ი. მშვიდობიანის, წყნარის) ფუძეა ნაწარმოები (ძვ. ქართ. გრ. გვ. 76—77). რაზეა დამყარებული ეს დებულება, ავტორს აღნიშნული არა აქვს, არც თვით **შვიდის** ძირის თავდაპირველი მნიშვნელობაა განმარტებული. საფიქრებელია, რომ ნ. მ ა რ რ ი ს ეს დებულება იმ დროისაა, როდესაც ქართულის სემურობას უცილობელ ჭეშმარიტებად სთვლიდა. მისი მოსაზრება ძველი ებრაულის შვიდეულისა და შაბათის იგივეობის ანალოგიის ძიების ნაყოფს უნდა წარმოადგენდეს.

ნ. მ ა რ რ ი ს სიტყვით, **რუა**, **რვა** პირველადი **რუან**-ისაგან არის წარმომდგარი და **რვნ**, ანუ **რმნ** ძირისაგან არის ნაწარმოები (ძვ. ქართ. გრ., გვ. 74, § 94 და გვ. 75 § 95ი). აქაც მოსაზრება ქართულის სემურობის რწმენაზეა მხოლოდ დამყარებული (იხ. იქვე გვ. 08).

ნ. მ ა რ რ ი **ცხრა**-ს **ცხ** და **რა**-საგან შემდგარად სვლიდა, რომელთაგან **ცხ** ძირად მიაჩნდა, **რა**-კი სუფიქსად (იხ. ძვ. ქართ. გრ. გვ. 74, § 94 f). **ცხ** ძირი **თსხ**, ანდა **თსყ**-საგან არის წარმომდგარიო. **თხ**-ს ც-დ შენაცვლებაზე იხილე ჩემი ფონეტიკაო (იქვე, გვ. 77 f). მაგრამ სწორედ ფონეტიკაში ავტორს თავისი ზემომოყვანილი ეტიმოლოგია უარყოფილი აქვს. აქ მ ა რ რ ი ამბობს: მეგონა, რომ **თხ** შერწყმისგანვე არის წარმომდგარი **ც** რიცხვითს სახელს **ცხრა**-ში (← თსხ-რა ← თსყ-რა), მაგრამ ამ ანალიზს, მხოლოდ იაფეტურ-სემურს შედარებითს გრამატიკაზე დამყარებულს, პალეონტოლოგია აბათილებსო (იქვე გვ. 016, შენ. 3). სამწუხაროდ, ავტორს აღნიშნული არა აქვს, თუ რომელი პალეონტოლოგიაა ამ შემთხვევაში ნაგულისხმევი, რომ მისი საბუთიანობის დამაჯერებლობა გამორკვეულიყო.

X. ზოგადს ქართულში თუ **ათი** გვაქვს, მეგრულად ამის შესატყვისად **ვითი**-ა, ჭანურად **ვით**, **ჳით** და **ვი**. მაგრამ საყურადღებოა, რომ 11—19-მდე და 19-შიც **ათის** სახელი ვიწურ-არქაბულში უკვე **ვიტ**-ად და **ვიტოჳ**-დ გვევლინება.

თუ ქართულ-მეგრულ-ჭანური სახელების მსგავსება დიდია, სვანური **ჲეშდ** ძალზე განსხვავდება. 13-ითგან მოყოლებული 20-ამდე **ათის** სახელს თავკიდური **ჲ** არა აქვს და მხოლოდ **ეშდ**-ად ითქმის. მაგრამ **ოცის** აწინდელი სახელიც **ჲäრუეშდ**, რომელიც **ორ ათსა** ნიშნავს და **ჲäრუ** და **ეშდ**-ისაგან შესდგება.

პროფ. ვ ა რ. თ ო ფ უ რ ი ა ამბობს: «„ათ“-ისა და სვან. „ჲ-ეშდ“-ის ფონეტიკური სატყვისი მეგრულში *„ოთი“ გახლავთ, საიდანაც ო ნის „ვ “ ჯგუფად დაშლით (როგორც „ხომა ‖ ხვიმა“, „ხოლარი ‖ ხვილარი“) დღევანდელი „ვითი“ უნდა იყოს წარმომდგარი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვინის დართვა „ვით“-ში გაუგებარი რჩება. სვანურ ჲერუეშ'დის უ ჲერუ'ს რედუქცია-ქმნილი უ'ა და არა ეშდ-ის კუთვნილება, ამას ლენტეხური ჲერბ-ეშტ ერთის მხრით და მეორე მხრით რიგითი რიცხვი „მერმე“ (<მე-ერუ-ე, „მეორე“) გვიმოწმებს-ო („ოცობითი თვლის სისტემისათვის ქართველურ ენებში“: ტფ. უნ. მოამბე VI, 295, შენ. 3).

ათის სახელები, ზოგადი ქართული **ათი**-ცა და მეგრულ-ჭანური **ვითი** და **ვით**, თუ **ვიტ** ისე არ მიაგავს რთული აგებულების რიცხვითს სახელებს, რომ ამ გზით მისი ეტიმოლოგიის გამორკვევა ვერას შეგვძენდა. სამაგიეროდ **ათი** ძალიან მიემსგავსება და მხოლოდ თავკიდური **თ**-ს უქონლობით განსხვავდება ხელის აღმნიშვნელი **თათი**-საგან. მაგრამ, თუ ამ ორი სიტყვის ბგერითი მსგავსების უარყოფა არ შეიძლება, მნიშვნელობის მხრით მათ შორის მაინც არსებითი განსხვავებაა, რათგან **თათს** მხოლოდ 5 თითი აბია და ცალი თათი 10-ის სახელად არ გამოდგებოდა. ამიტომ, ამ სიტყვასთან დაკავშირებული 10-ის აღმნიშვნელი სახელის წინ უნდა **ორი**-ც ყოფილიყო („ორი თათი“), ანდა **თათი** მრავლობითად ეხმარათ („თათები“). თავკიდური **თ**-ს დაკარგვის შემდგომ უკვე **ათები** იქნებოდა.

რაკი **ათს ორის** ოდინდელი წინმყოფობის არავითარი კვალი არ უჩანს, ამიტომ მეორე შესაძლებლობა, **თათის** მრავლობითად ხმარება, უფრო საფიქრებელიცა და დასაჯერებელიც. ბოლოში მოქცეული მრ. რ-ის ფორმანტის დროთა განმავლობაში ჩამოცლა **თათის** მხოლობითი რიცხვის ფორმასთან აღრევის მხრივაც საშიში აღარ იყო, რათგან თავკიდური **თ**-ს გაქრობა **თათს** უკვე **ათ**-ად აქცევდა.

თუ 10-ის ქართული სახელის ასე და ამ გზით გაჩენის დაჯერება ძნელი არ არის, როგორ უნდა ავხსნათ და საითგან უნდა იყოს მეგრულ-ჭანური **ვითი** და **ვით** გაჩენილი? ა-ხმოვანა **თათს** გარდა, რომელიც ზოგადს ქართულშია, მისი **ო**-ხმოვანა სახესხვაობაც რომ ძველადაც უნდა არსებულიყო, ამას თანამედროვე მეგრულში დაცული **თოჳთი**-ც ამჟღავნებს. ისევე, როგორც **თოლი** და **თვალი**,—**ყოილი** და **ყვავილი** გვაქვს, **თოთს** გარდა მეგრულად ამავე მნიშვნე-

ლობის მქონებელი **თვათვი**-ც არსებობს, რომელიც, უეჭველია, **თვათი**-საგან არის წარმომდგარი. ამაზე უფრო საგულისხმოა, რომ ხელს სვანურად ეწოდება **ტვიტ**, ე. ი. იმას გარდა, რომ ა უკვე ე-დ არის შენაცვლებული, თ-ს მაგიერაც ყრუ ტ გამოითქმის. შესაძლებელია კიდევაც, რომ მეგრულ-ჭანური **ვითი** და **ვიტ**-ი სწორედ თვეთი-საგან იყო თავკიდური თანხმოვნისა ჩამოცლითა და ე-ს ი-დ შენაცვლებით წარმომდგარი.

მას შემდგომ, რაც თათებ-ისგან წარმომდგარი **ათი** და თოთ-ებ-ისაგან **ვითი** უკვე მხოლოდ რიცხვის სახელად იქცნენ, მათაც, დანარჩენ რიცხვითს სახელების მსგავსად, საჭიროებისამებრ სათანადო, სქეს-კატეგორიის ჯერ თავსართოვანი, ხოლო შემდეგ ბოლოსართოვანი ნიშნები უნდა გასჩენოდათ. მეორე ამათგანი, **ვით**-ის თავკიდური ვ, რომელსაც თავდაპირველად სქეს კატეგორიასთან საერთო არა ჰქონდა რა, მამრობითი სქესის თავსართად იქჵნებოდა მიჩნეული და ამის გამო მოძრავ ბგერად იქცეოდა, რომელსაც საჭიროებისდა მიხედვით სხვა სქეს კატეგორიის ნიშნისათვის უნდა დაეთმო თავისი ადგილი. ერთი სიტყვით, აქ დაახლოვებით ისეთივე ცვლილება უნდა მომხდარიყო, როგორიც ლილღურსა და ლეგურ. ენათა სქეს-კატეგორიან ჯგუფში თვით უცხო ენითგან შეთვისებულს სიტყვასა და რიცხვითს სახელს ეხლაც-კი ემართება ხოლმე[1].

XX. რიცხვით სახელთა შორის შემდეგ 20-სა აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რათგან ქართული და კავკასიის დანარჩენი მონათესავე ენები, როგორც ცნობ-ლია, ათობით-ოცობითი თვლის სისტემას მისდევენ. საითგან და როგორ არის 20 სახელი წარმომდგარი?

ქართულ სამწერლობო ენას ამ რიცხვის აღსანიშნავად **ოცი** აქვს, მეგრულსა და ჭანურს—**ეჩი**. სვანურს ორნაწილედი სახელი ჲჰრვჲშთ-ი მოეპოვება, რომელიც ორათსა ნიშნავს.

ნ. მარრი ამტკიცებს, ვითომც თცის ქართული სახელი ათის სახელის ფონეტიკური სახესხვაობის მხოლოდ მრავლობითს რიცხვს წარმოადგენდეს. ოცი წარმომდგარია „აც-ვ“-ისაგან, რომელშიც აც იგივე ათი-ა, ე. ი. მისი ფონეტიკური სახესხვაობაა, ვ-კი მრავლობითი რიცხვის ხალხური ნიშნის სახესხვაობაო (ძვ. ქართ. გრ., გვ. 75).

ათის ფონეტიკური სახესხვაობის აც-ის ეს მრავლობითი რიცხვის ფორმა აცვ, ნ. მარრის თეორიით, ჯერ ავც-ად უნდა ყოფილიყო ქცეული, ხოლო შემდეგ უკვე ოც-ად გამხდარიყო (იქვე, გვ. 75).

ნ. მარრის მთელი ეს მსჯელობა და საბუთიანობა ქართულის სემურ·ე·ბის რწმენით არის ნაკარნახევი. თვით მასვე თავის დებულების საბუთად შემ-

---

[1]. ნ. მარრის აზრით ქართულში ათის, ოცისა და ასის სახელები მხოლოდ ერთი-და იმავე ფუძის სახესხვაობას წარმოადგენენ. სამივე ჰას-ისაგან არ.იან ნაწარმოებიო (ძვ. ქართ. გრ., გვ. 75), მაგრამ მისი სრული ქართული სახეობა არისო ჰასრ. ამ თეორიულად შექმნილს ძირს ნ. მარრი ათის აღმნიშვნელს არაბულს გაშარა-ს უკავშირებს (იქვე, გვ. 76). მაგრამ „მესამე ეთნიკ. ელემენტ“-ში ნ. მარრსაც, როგორც ვიცით, გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ ათი თავდაპირველად „თითების“ აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ამ, რუსულად გამოქვეყნებულს, მოხსენებაში აღნიშნული არ არის, თუ სახელდობრ რომელ სიტყვას, თითებს თუ სხვას, გულისხმობდა.

დეგი აქვს ნათქვამი: **ათის** აღმნიშვნელს ფუძეს რომ კიდევ ორი სხვა რიცხვის, **ოცისა** და **ასის**, მნიშვნელობაც მიენიჭა, ამის სრული მსგავსება სემურ ენებში მოგვეპოვება, სადაც, მაგ. არაბულად عشرون **ოცი** მხოლოდ იმავე **ათის** მრავლობითი რიცხვის ფორმას წარმოიდგენს.» (იქვე, გვ. 76).

საკმარისია ზემომოყვანილ ქართველურ რიცხვით სახელთაგან 20-ის სვანურს სახელს, მის აგებულებასა და თავდაპირველს მნიშვნელობას მივაქციოთ ყურადღება, რომ აკად. ნ. მ ა რ რ ი ს მსჯელობის მცდარობა ცხადი გახდეს. თუ ანალოგიაზე მიდგება საქმე, განა, არაბულთან შედარებას, უფრო ბუნებრივიცა და უფრო მართებული არ არის, რომ ქართული 20-ის თავდაპირველი აგებულების ძიების დროს უპირველესად სვანურის მსგავსი აღნაგობას მოველოდეთ? ეხლა, როდესაც სინდურ, ღილღურ და ლეგურ ენათა რიცხვითი სახელების განხილვამ დაგვარწმუნა, რომ **ოცის** სახელი ყველგან თავდაპირველად **ორი ათის** აღმნიშვნელი ყოფილა, და ერთს ქართველურთაგანს, სვანურს, **ოცის** სახელი სწორედ ასეთივე მოეპოვება, ჩვენი მხრით მიუტევებელი დანაშაულება იქმნებოდა, რომ **ႭႺႨსა** და **ႤႹႨႱ** სახელის აგებულების ძიების დროს უპირველესად ასეთი შესაძლებლობა არ გაგვეთვალისწინებინა.

რაკი საკითხი ასეა დაყენებული და **ႭႺႨႱ** აღნაგობაში **ორისა** და **ათის** სახელების კვალი გვაქვს აღმოსაჩენი, მაშინ შესაძლებელია ეს სიტყვა მართლაც **Ⴍ**-სა და **Ⴚ**-ისაგან იყოს შემდგარი. 2-ის სახესხვაობათა განხილვის დროს უკვე დავრწმუნდით, რომ **ႷႭႰ**-ისაგან წარმომდგარს **ორ**-ში რიცხვითი სახელის თვით ძირს მხოლოდ **Ⴍ**-ღა შეადგენს, **რ**-კი ოდინდელი სქეს-კატეგორიის ნაშთია. ამიტომაც სრულებით კანონიერი იქმნებოდა, რომ **ႭႺ**-შიც **Ⴍ**, რა თქმა უნდა, თავდაპირველ **Ⴗ.Ⴍ**-საგან, თავის ადგილას განმარტებული გზით, წარმომდგარად მიგვეჩნია და **ორის** გამომხატველად გვეგულისხმა. **ႭႺ**-ის მეორე ნაწილის, ანუ **ც** თანხმოვნის შესაძლებელი მნიშვნელობა უკვე თავისდა-თავად იქნებოდა გამორკვეული. რათგან 20-ში ორი მხოლოდ **ათი** შეიძლება იყოს, ამიტომაც **Ⴍ-ႺႨ**-ს **ც** **ႠႧႨႱ** **თ**-ს ფონეტიკურ სახესხვაობად არის საგულისხმებელი. მთლიანად მაშასადამე **ႭႺႨ** თავდაპირველად უნდა **ყოათი**-საგან ყოფილიყო შემდგარი. მერმე, პროგრესიული ასიმილაციის წყალობით, მას **ყოთი**-ს სახე უნდა მიეღო და ისევე, როგორც **ყვიႧა**-საგან **ყვი-Ⴚ-იანია** წარმომდგარი და **თიკანი**-ს შენაცვლებული **ციკანი**-ს სახესხვაობაც მოგვეპოვება, ამნაირადვე შესაძლებელია **ႷႭႧႨ**-საგანაც დროთა განმავლობაში ჯერ **ႷႭႺႨ**, ხოლო შემდეგ, თავკიდური **ყ**-ს გაქრობის გამო, **ႭႺႨ**-ც წარმომდგარიყო.

მეგრულ-ჭანური **ႤႹႨ** ან **ႭႺႨ**-სავე ფონეტიკურს სახესხვაობას უნდა წარმოადგენს[1], ანდა **თვეთი**-საგან **ეთი-ა** დარჩენილი და პირველადი **ყოეთი**-საგან იმავე ფონეტიკური გზით შესაძლებელია იყოს ჯერ **ყეცი**, შემდეგ **ყეჩი** და სულ ბოლოს **ႤႹႨ** გაჩენილი. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ ჭანურის ათინურს კილოში **ოცის** სახელს წინ **ჯ** აქვს და **ႿႤႹ**-ია. საფიქრებელია და შესაძლებელი, რომ აქ **ჯ** სწორედ პირველადი **ყ**-ს ანარეკლს წარმოადგენდეს.

---

[1]. ც-ს ჩ-დ შენაცვლება: ვაციკი—ვაჩილა და სხვ.

მესამე და დანარჩენი ათეულების სახელები ზოგადს ქართულსა და მეგრულ-ჭანურში ათობით-ოცობითი თვლის წესზეა დამყარებული და მხოლოდ სვანური თვლაა თავიდგან ბოლომდე ათობითს აღრიცხვაზე აგებული. ცხადია, რომ სვანურს ამ მხრივ ქართველური თვლის ძველი სისტემა დანარჩენებზე უკეთესად აქვს დაცული და წინათ ზოგადს ქართულშიც და მეგრულ-ჭანურშიც ათეულების ამნაირივე სახელები უნდა ყოფილიყო. მცხეთის საპატრიარქო წიგნთსაცავის დაბადების (საქ. მუზ. ხ. № A 51) შესწავლამ დამარწმუნა, რომ ათობითი თვლის წესზე აგებული ათეულების ზოგი სახელები ისტორიულ ხანაშიც გვქონია შერჩენილი. ამიტომაც უეჭველია, რომ, **ორმოცისა**, **თრმოცდაათისა**, **სამოცისა**, **სამოცდაათისა**, **ოთხმოცისა** და **ოთხმოცდაათის** მაგიერ, წინათ სხვა სახელები უნდა ყოფილიყო.

ოცობითს თვლის წესით აგებული **ორმოცი**, **სამოცი** და **ოთხმოცი**, როგორც ძეგლებითგან კარგად ცნობილია, **ႭႰႫႤႭႺႨႱႠ**, **ႱႠႫႤႭႺႨႱႠ** და **ႭႧႾႫႤႭႺႨႱႠႢႠႬ** არიან წარმომდგარნი. ჯერადობის ნიშნად ყველა ამ შემთხვევაში ძველ ქართულს **ႫႤ** აქვს. აკად. ნ. მარრს **ორ-მე-ოცი-ს** და დანარჩენთა **მე** „ხალხური" მრავლობითი რიცხვის სახესხვაობად აქვს მიჩნეული (იხ. ძვ. ქართ. გრ., გვ. 73, § 92).

პროფ. ვარ. თოფურიას-კი სრულებით სამართლიანად ჯერადობის ეს ფორმანტი ჩრდილო-კავკასიური ენების მსგავსსავე მოვლენასთან აქვს დაკავშირებული.

როგორც პროფ. ვარ. თოფურიას აქვს აღნიშნული, სვანურის ორს კილოს, ლაშხურსა და ბალსზემოურს ათობითი თვლის წესზე რიცხვითი სახელები აბადია, ორს სხვა კილოს, ბალსქვემოურსა და ლენტეხურს-კი **ოცხ** ვარდა, სხვაგან მხოლოდ ოცობითი თვლის წესი აქვს (იხ. „ოცობითი თვლის სისტემისათვის ქართველურ ენებში": ტფ. უნ. მოამბე VI, გვ. 295).

მე და მეგრ. **ონ**, ხოლო ჭან. **ენ** ელემენტის ბუნება პროფ. ვარ. თოფურიას სვანურის მოშველიებით აქვს გამორკვეული. ბალსქვემოურში 40-ს **ურინერჳეშდ** და 60-ს **სუმინერჳეშდ-ი** ეწოდება. ამათგან „პირველი **ურ**, **სუმ** მიღებულია **ჲ-ორ'ი** და **ხემ'ი**საგან („ორი", „სამი"). ერჳეშდ ჩვენთვის ნაცნობია, ხოლო მათ შორის ქართულ-მეგრულის მსგავსად ჩართულია— **ინ**, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ — **ნ** არ არის ისე გაქვავებულად წარმოდგენილი სვანურში, როგორც მისი მორფოლოგიური ექვივალენტები ქართულ-მეგრულში: იგი ცოცხალი და გარკვეული ელემენტია სვანურში: იხმარება რიცხვთან და რაოდენობითს ზმნისართებთან (როგორიცაა: („ბევრი, რამდენი") და ნიშნავს თანამედროვე ენით რომ ვთქვათ: „ჯერ, ხელ" („რომელ ერთხელ ციხედ მოვიდეს": გრიგოლ ხანძთ., ნე$_{70}$) და ძველი ქართ. „გზის" („სამგზის სანატრელი"), მაგ.: ეშხჳინ („ერთჯერ"), ჳოშელდინ („რამდენჯერ"), ხჳაინ || ხჳაჲდინ („მრავალჯერ"). მაშასადამე, ურინერჳეშდ = ურ (< ჲ-ორ „ორ") + ინ („ჯერ, ხელ, გზის") + ერჳ-ეშდ („ორი ათი"). ამგვარად ქართულ-მეგრულ-ჭანურისა და სვანურის თვლის თანაბარი სისტემა და მორფოლოგიური იდენტობა გვაფიქრებინებს, რომ ქართ.— **მე**'სა და მეგრულ-ჭანურ— **ონ**, ენ-ს ისეთივე ფუნქცია უნდა ჰქონდეთ დაკისრებული, როგორიც დღეს სვანურში ცოცხლად დარ–

ჩენილ—ინს-“აო. („ოცობითი თვლის სისტემისათვის“: ტფ. უნ. მოამბე VI, 295—296). „ზემორე გამოთქმულ ჩვენ მოსაზრებას მხარს უჭერს კავკასიური ენებიდან აბხაზური, წოვა-თუშური (ბაცბური) და ჩაჩნური (ქისტური), სადაც თვლის ტიპი იგივეა, რაც ქართველურ ენებში“-ო (იქვე, გვ. 296).

ასის სახელის წარმოშობა ნ. მ ა რ რ ს ასე ეხატება: 100-ის ცნების გამოხატვა ქართველებს **ათის** სახელის გამეორებით შეეძლოთ, მაგრამ შემდეგში, ასეთი რთული სიტყვის მაგიერ, 100-ის სახელად **ათ**-ის ფონეტიკური სახესხვაობა **ას**-ი გამოუყენებიათო. **ასი** ნ. მ ა რ რ ი ს აზრით **აც**-ისაგან არის წარმომდგარი (ძვ. ქართ. გრ., გვ. 76).

ქართული სამწერლობო ენის **ას**-ს შესატყვისად მეგრულ-ჭანურში გვაქვს **ოში**, ხოლო სვანურში **აშირ**. თუ თავისი თავკიდური **ა** ხმოვნებით ქართული და სვანური უდგება ერთმანერთს, სამაგიეროდ **შ** თანხმოვნით სვანური მეგრულ-ჭანურს უდგება და სამივე სამწერლობო ქართულისაგან განირჩევა.

აღსანიშნავია აგრეთვე სვანური **აშირ**-ის ბოლოკიდური **რ**, რომლითაც ქართულ-მეგრულ-ჭანურისაგან განსხვავდება.

ასი თავდაპირველად **ათ-ათი** უნდა ყოფილიყო, შემდეგ პირველი მარცვალი ჩამოკილებული ჩანს, ხოლო **თ** ჯერ **ც**-დ, შემდეგ-კი **ს**-დ შენაცვლებით **ასი** უნდა იყოს გაჩენილი.

როგორც თავ-თავის ადგილას დავრწმუნდით, 50-ისათვის უბიხურში **სาჾზაჾ-ჯჾ**-ს ხმარობენ, რომელიც **ასის ნახევარს** ნიშნავს და ადიღეურშიც ასეთივე აგებულების და მნიშვნელობის **სსგ-ნუყჾა** არის. დასასრულ, როგორც ცნობილია, **ერგასი**-ს სახით, ძველ ქართულშიც იყო. ამ შემთხვევაში ორი გარემოებაა საყურადღებო. ასე ნაწარმოები და ასეთი შინაარსის სახელი („ასის ნახევარი“) უკვე **ასობით აღრიცხვის ხანისა** უნდა იყოს, როდესაც, ჯერ ათისა და შემდეგ ოცის აღრიცხვის მსხვილ ერთეულებად მიჩნევის მსგავსად. ბოლოს ასეთ საფუძვლად **ასიც** იქცა ამასთანავე იმდენად, რომ ასზე ნაკლები რიცხვის აღსანიშნავადაც ნაწევრითი, ანუ წილადობის რიცხვითი სახელების მსგავსი წარმოებისათვისაც ყოფილა გამოყენებული. ამიტომ, ცხადია, რომ 50-ის ასეთი სახელი ათობითსა და თვით ოცობითს სისტემაზე უფრო მერმინდელი უნდა იყოს. მაგრამ ქართული **ერგასი**-ს დიდი ხნიერება (უკვე ოთხთავ—დაბადების თარგმანებში გვხვდება) იმდენად დიდია, რომ მერმინდელობა ამ შემთხვევაში სიახლედ არ უნდა მოეჩვენოს ადამიანს, რადგან ძველი ქართული **ერგასი** თანამედროვე უბიხურს **სาჾზაჾჯჾ**-სა და ადიღეურ **სსგ-ნუყჾა**-ზე უფრო მხცოვანია.

ამ სამი ენის 50-ის ზემომოყვანილს სახელებს შორის მაინც მცირეოდენი განსხვავებაა: ქართულს ამ რიცხვის გამოსახატავად **„ნახევარი ასი“** შეუქმნია, უბიხურსა და ადიღეურს-კი წინაუკმო **„ას (ის) ნახევარი“**. **სხვას ყველაფერსაც რომ თავი დავანებოთ, ისეც, თავისდა-თავადაც მეტად საგულისხმო გარემოებაა, რომ ძველ ქართულს, უბიხურსა და ადიღეურს 50-ისათვის, ოცობით-ათახობითს სისტემით შექმნილს სახელს გარდა, ერთნაირი, ასობითს თვლაზე დამყარებული რიცხვითი სახელიც შეუქმნიათ უეჭველია, შემთხვევითი მოვლენა არ შეიძლება იყოს ეს გარემოება.**

ქართული **ათასი**-ს შესატყვისად მსგავსი აგებულობის წარმოებაა მეგრული **ვითოში**. ჭანურს საკუთარი დაუკარგ ვს და უკვე ბერძნულითგან ნასესხები „**შილია**“ აქვს. სვანურად ქართ. ათას-ია, მოსალოდნელი **ეშდაშირ**-ის მაგიერ. **ათასი** იმავე ათობითი-ასობით სისტემის წარმოებაა და ეს გარემოება სრული უეჭველობით ცხად-ჰყოფს, რომ **ახი**-ც თავდაპირველად **ათი-ათი**-ს აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

ქართულ-სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანური რიცხვითი სახელების ზოგადი თვისებები და ძირების ნათესაობა

სინდურ-ღილღურ-ალბანურ-ქართული რიცხვითი სახელების ცალ-ცალკეულმა და ჯგუფობრივმა შესწავლამ ბევრი საყურადღებო საკითხების გათვალისწინება შეგვაძლებინა. კვლევა-ძიების წინასწარ დასახული გეგმაცა და მეთოდოლოგიური ღონეობაც მცდარი არ გამოდგა: ის მოლოდინიც, რომ უმწერლობო ენებში პირველი ათეულის რიცხვითი სახელების, ხშირი ხმარების გამო, გაცვეთილი და შეცვლილი ფორმების წინანდელი სახის აღდგენა მომდევნო ათეულოცეულების სახელებში ერთეულების დაცული ფორმებით შესაძლებელი გახდებოდა, სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანური ენების რიცხვითი სახელების ანალიზის დროს არა ერთხელ გაგვიმართლდა.

ამნაირადვე სრულებით სწორე აღმოჩნდა ვარაუდი, რომ რიცხვითი სახელების წინანდელი და უძველესი ფორმები მკვლევარმა პირველყოფილი მეურნეობის ტექნიკურ ტერმინებად ქცეულს ისეთს სიტყვებში უნდა ეძიოს, რომელნიც რაოდენობის მაუწყებელნი არიან. მკითხველი დარწმუნდებოდა, რომ სწორედ ამ ლექსიკური მასალის შესწავლამ **ერთის**, **ორის** და **სამის** ქართული სახელების უძველესი ფორმების გათვალისწინებამაც შეგვაძლებინა და მათი თავდაპირველი აგებულების გამორკვევის საშუალებაც მოგვცა.

ქართველურივით **სინდურ ენებსა**ც გრამ. სქეს-კატეგორიები, როგორც ვიცით, არც რიცხვითს სახელებში აქვთ შენარჩუნებული, მაგრამ რიცხვითი სახელების ანალიზმა მაინც დაგვარწმუნა, რომ აფხაზურში პირველი ათეულის ყველა სახელებს, ერთს გარდა, ბოლოსართად ბა მარცვალი აქვს, **ერთის** სახელს **ძალა**-ს-კი **ლა** ბოლოსართი მოეპოვება.

ამნაირადვე ყაბარდოულისა და ჩერქეზული რიცხვითი სახელების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ 1. **ზირე**, 2. **ტურე**, 3. **შირრე** და 10. **პშირრე** ყაბარდოულად და 10. **პშჯ'ე**, ანუ **პსერე** ჩერქეზულად **რე**-ბოლოსართიანია, ხოლო უბიხურზე მსჯელობამაც დაგვანახა, რომ 1. **ზალჲ**, 3. **სშალჲ**, 4. **ტხლთალჲ**, 5. **შხოლჲ** და 10. **ჟალჲ**, აბხაზური ზემოდასახელებული 1-ის სახელის მსგავსად, **ლჲ**-ბოლოსართიანია.

ლეგური ზოგიერთი ენების რიცხვითი სახელების განხილვის დროსაც არაერთი შემთხვევა გვქონდა, როდესაც პირველი ათეულის ერთეულის სახელებს ერთი-და-იგივე დაბოლოება მოეპოვებათ, მაგ.: ბოთლიხურის 2, 3, 4 და 5-ის სახელები **და**-ბოლოსართიანია, — ჰურქილის 1, 2, 3, 4, 5 და სხვა სახელებიც

დ-ბოლოკიდურიანია, წახურულ რიცხვითს სახელებს-კი ბოლოში **რა**, ანდა **ლა** მარცვალი ერთვის, — ხოლო ლეზგიურად 2, 3, 4, 5 და სხვა სახელებს **გო** ბოლოსართი ახლავთ,— აღულურად რიცხვითს სახელებს-კი უკანასკნელ მარცვლად **გუ** აქვთ, — ხინალუღურად 2 **ყონა** ისევე, როგორც 3, 5, 6 და სხვა სახელებიც **ნა**-ბოლოკიდურიანია, — ბუდუღურად 2 **ყანო**-ს, 3, 4, 5 და სხ. სახელებს-კი **ნო** ბოლოსართი აქვთ.

ყველა ეს და ასეთი ბოლოკიდური მარცვლები, თუ ბგერები, რიცხვითი სახელების ცალცალკეული ანალიზის დროს, გამოყოფილი გვქონდა, მაგრამ **მათი თავდაპირველი რაობისა და წარმოშობილობის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა** რიცხვითი სახელების აღნაგობის ზოგადი თვისებების განხილვამდე, მიზანშეწონილი არ იყო. ეხლა უკვე დროა, რომ ამ საკითხის გამორკვევაც ვცადოთ.

ზემოჩამოთვლილი ბოლოსართების თავდაპირველი რაობისა და წარმოშობილობის მისაგნებად უპირველესად უნდა გავითვალისწინოთ, **სქეს-კატეგორიების ბოლოსართების მქონებელ რიცხვითს სახელებში ხომ არ გვხვდება ასეთივე ბოლოკიდური მარცვლები, ან ბგერები?**

გამოსარკვევ ამოცანას რომ ამ თვალსაზრისით მივუდგეთ, დავრწმუნდებით, **რომ ასეთი ბოლოსართები იქ ჩვეულებრივია** და **ბა** ბოლოსართი ასეთს ენებში მესამე სქეს-კატეგორიის გამომხატველი ნიშანია, მაგ. ლაკურად **ცაბა** 1-ის, **კიბა** 2-ის, **შანბა** 3-ის, **მუყბა** 4-ის და სხ. მესამე სქეს-კატეგორიის ფორმებია. ბოთლიხურადაც **წებო**, ახვახურად-კი **ჩებე** აგრეთვე **ერთის** მესამე სქეს-კატეგ. ფორმაა, არჩულად **სეძბუ** 1-ის, **ყუებუ** 2-ის და სხვა რიცხვების ამ მარცვალ-ბოლოკიდურიანი ფორმებიც მესამე სქეს-კატეგორიის ფორმებია.

იგივე უნდა ითქვას **და** და **რა**, ან **ლა**-ზეც: როგორც თავ-თავის ადგილას დავრწმუნდით (იხ. გვ. 254—256) ოთხ-სქეს-კატეგორიანს ენებში **და**, ანდა მისი შენაცვლება **რა**, თუნდ **ლა**, მეოთხე სქეს-კატეგორიის ბოლოსართია, ნაკლები სქეს-კატეგორიების მქონებელს ენებში-კი თუმცა მათი დანიშნულება ნაირ-ნაირად შეცვლილი გვხვდება, მაგრამ მაინც **მათი რაობა იგივე რჩება, რადგან ყველგან ამ მარცვლებს ძმათუიმ, ან სქესისა, ანდა კატეგორიის გამომჟღავნება აქვს ენისაგან დაკისრებული.**

ეხლა **ნ**, **ნა**, ანდა **ნო** ბოლოკიდურის თავდაპირველი რაობის განხილვას შევუდგეთ.

ლეგურ ენათა ერთ ჯგუფს რიცხვითი სახელების დაბოლოებად **ნ** ბგერა აქვს, ან უხმოვნოდ, ანდა **ნა** და **ნო**-დ ახმოვნებული. ენათა ამ ჯგუფს ეკუთვნის ყაფუჩური თავისი **ნა** დაბოლოებით, — ხვარშული, რომელსაც ასეთივე დაბოლოება 2, 3, 5 და 20-ის სახელებში მოეპოვება, — ბუდუღური **ნო** დაბოლოებით და არჩულის ცხვრის ალთელისათვის განკუთვნილი **ნ**-ბოლოკიდურიანი რიცხვითი სახელები.

როგორც თვითოეული ამ ენათაგანის რიცხვითი სახელების ცალკეული განხილვის დროს აღნიშნული გვქონდა, უეჭველია, რომ, ლეგური ენების ასეთს შენაზრდ დაბოლოებათა მსგავსად, ამ **ნ** ბგერასაც თავდაპირველად თავისი, მკაფიოდ განსაზღვრული, დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

ცხვრის თვლისათვის განკუთვნილ არჭვლ რიცხვითს სახელებზე მსჯელობისას აღნიშნული გვქონდა, რომ **ნ ამ შემთხვევაში მდედრობითი სქეს-კატეგორიის ნიშანი უნდა იყოს** და ამ სქესის ნიშნის ცხვრის რაოდენობის გამომხატველ ფორმანტად ქცევა წმინდა ეკონომიური გარემოების შედეგი და მაუწყებელია, რათგან მეცხვარეობაში მამალს-კი არა, არამედ უმთავრესად დედალ ცხვარს ამრავლებდნენ და ამრავლებენ ეხლაც და მამალი ცხვარი დედალ ცხვართან შედარებით იმდენად მცირერიცხოვანს ოდენობას წარმოადგენდა, რომ მისი დათვლაც-კი საჭირო არ იყო: ყოველმა მეცხვარემ მათი რიცხვი ზეპირადაც კარგად იცოდა. პირიქით, მეწველი ცხვრის დიდი რაოდენობისა და სამეურნეო მნიშვნელობის გამო **მეცხვარეებს თვლის დროს ჩვეულებრივ რიცხვითი სახელების სწორედ მდედრობითი სქესის გამომხატველი ფორმების ხმარება უხდებოდათ და საფიქრებელია, ამ გარემოებამ ამ სქეს-კატეგორიის ბოლოსართების მქონებელი რიცხვითი სახელების ფორმები ცხვრის თვლის ზოგად ფორმებად აქცია.**

რაკი ნათესაობისა და სქესის აღმნიშვნელი და ზედსართავი სიტყვების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ მეტყველების ამ ნაწილებში გრამ. სქეს-კატეგორიები წინათ ისეთს ენებსაც ჰქონია, რომელთაც ამ ჟამად და ზოგს-კი, როგორც მაგ. ქართულს, ისტორიულს ხანითგანვე აღარა აქვთ, **ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ამჟამად უსქეს-კატეგორიო ენების რიცხვითი სახელების ბოლოკიდურს ნ, ნა, ნე,— ბა, ფა,— და, დ, რა, რე, რ და ლა მარცვლებსა და ბგერებს თავდაპირველად იხეთივე დანიშნულება ჰქონდათ მეტყველებაში დაკისრებული, რაც ამავე ნაწილაკებსა და ფორმანტებს სქეს-კატეგორიიანი ენების რიცხვითს სახელებში დღევანდლამდე შენარჩუნებული აქვთ, ე. ი.** ყველა **ეს ბოლოსართები** ამ ენებში **თავდაპირველად და წინათაც რიცხვითს სახელებშიც არსებული სქეს-კატეგორიების შეზრდილ-გადაგვარებული ნაშთებია.**

ძნელი გადასაწყვეტია ბოლოკიდური **გო** და **გუ**-ს თავდაპირველი რაობა, რათგან სქეს-კატეგორიის ასეთი ბოლოსართი არ არსებობს და არა ჩანს, **გო** და **გუ** მამრ. სქესის ნიშნის ვუ-ს გვუ-დ შენაცვლების გზით არის გაჩენილი, თუ ეგების იგი სულ სხვა წარმოშობილობის ნაწილაკი არის?

სინდური ენების რიცხვითი სახელების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ თვით ენათა ამ დასავლურ ჯგუფის წრეშიც-კი რიცხვ. სახელების ნათესაობის დამტკიცება სრულებით შეუძლებელია, თუ რომ წინასწარ კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება არ გვექნება გათვალისწინებული. მაგ., როგორ უნდა დავუკავშიროთ ერთმანერთს აბხაზური 2-ის სახელი, ძველი **ღუბა**, მით უმეტეს თანამედროვე **ჲ-ბა** და უბიხური **ტყო**, **ტყუა**, **ტყოე** ისევე, როგორც ჩერქეზული **ტყუ** და **ტყჷ**, თუ რომ არ წარმოვიდგენთ, რომ, როგორც აბხაზური **ორის ბა** მარცვალი ძირისეული არ არის, არამედ ფორმანტია, ამგვარადვე უბიხურ-ჩერქეზულის ამავე რიცხვის სახელის თავკიდური **ტ**-ც ძირეული არ არის და მისი ძირი **ყო**, ანუ **ყუ** მარცვალია. ამ არა-ძირისეული **ტ**-ს ჩამოცლის შემდგომ აბხაზური ორის **ღუ** და **ჲ**-ს და უბიხურ-ჩერქეზულის **ყუ** და **ყო**-ს იგივეობა თა-

ვისდათავად ცხადი გახდება. მეტის თქმაც შეიძლება: მაშინ უეჭველი შეიქმნება, რომ **ორის** სახელის ძირი საერთო ჰქონიათ მარტო სინდურს ენებს-კი არა, არამედ თვით ლეგურის გეოგრაფიულად ისეთს დაშორებულ ენებსაც-კი, როგორიც აბხაზურისა და უბიხურისათვის ღუმუქური, წახურული, დიდოური და უდური იყო და არის ეხლაც. **ორს** ხომ *ღუმუქურად* **კი-ვა, -რა, -ბა,** — *წახურულად* **ყო-ჲ-რა, ყო-ბ-ლა, ყო-დ-ლა,** — *დიდოურად* **ყა-ნო** და **ყუ** (20-ის სახელში) ეწოდება, *უდიურსაც*, როგორც 40, 60 და 80-ის სახელების ანალიზმა დაგვარწმუნა, **ორის** გამომხატველად ძველად **ყო** ჰქონია.

ამნაირადვე, ფონეტიკურად გადაულახავი დაბრკოლება გაჩნდება 5-ის არამც თუ *ღილღურის* **ფხიჲ** და **ფხეუ**-ს (50-ში), *აკუშურის* **ხუჲალ**-ის, *ხინალუღურის* **ფხუ**-ს, *აბხაზურ* **ხუბა**-სთან დაკავშირებისათვის, არამედ თვით ამ *აბხაზურის* ხუთის **ხუბა**-სა და *ყაბარდოულის* **ტხუ**-ს ნათესაობასაც ამ უკანასკნელის თავკიდური **ტ** და პირველის ბოლოკიდური **ბა** მარცვალი ეღობება წინ, თუ რომ აქაც ამ ორსავე ელემენტს არაძირეულად არ მივიჩნევთ.

ქართველურ-სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანური ენების რიცხვითი სახელების ცალცალკეულმა ანალიზმა და შედარებითმა შესწავლამ დაგვანახა, რომ სხვადასხვა რიცხვითს სახელებს თავში **ვ**, ან **უ**,- **ჲ**,- **ბ**, ანდა **ფ**, **პ**-**ც**-**კი**,- **დ**, **ტ** და **რ** ბგერები უძღვის ხოლმე. ყველა ეს თავკიდური ნაწილაკები თავთავის ადგილას გამოყოფილი გვქონდა, მაგრამ თავდაპირველი მათი რაობის საბოლოოდ გამორკვევაც აქამდე გვქონდა გადადებული და ეხლა უნდა ვცადოთ.

ამ ამოცანის გადასაწყვეტადაც იმავე გზას უნდა დავადგეთ, რომელმაც ბოლოსართების თავდაპირველი რაობის გამორკვევა გაგვიადვილა: უწინარესად უნდა გავიხსენოთ, რომ **რიცხვითს სახელებში სქეს-კატეგორიის მქონებელ ენებს თუ იგივე თავსართოვანი ნაწილაკები მოეპოვებათ, იქ რა დანიშნულება აქვთ მიკუთვნებული?**

რიცხვითი სახელების ცალკეული ანალიზის დროს დავრწმუნდით, რომ *ჩაჩნურად* **ოთხს** 4 სქეს-კატეგორიის ფორმა მოეპოვება და ოთხივე სწორედ თავსართების მქონებელია: **ვიჲ**, **ჲიჲ**, **ბიჲ** და **დიჲ**. ლეგურ ენათაგან *ანდიურსაც* სწორედ **ოთხისთვისვე** ოთხი სქეს-კატეგორიის თავსართოვანი ფორმანტების მქონებელი ფორმები აბადია: **ვოყოგუ**, **ჲოყოგუ**, **ბოყოგუ** და **როყოგუ**. აქ თავსართი **ვ** 1 სქეს-კატეგორიის, **ჲ** 2-ესი, **ბ** 3-ესი და **რ**, **დ** 4-ე სქეს-კატეგორიის ნიშანია.

რაკი სქეს-კატეგორიის ამჟამად არმქონე ენების რიცხვითი სახელების ამავე თავკიდურს ბგერებს ძირისეულად ვერ მივიჩნევთ, ბუნებრივია, რომ აქაც იმ თლინდელი ვითარების ნაშთი-ღა გვქონდეს შერჩენილი, როდესაც ამ ენების რიცხვითს სახელებსაც გრამ. სქეს-კატეგორიები ჰქონია სწორედ თავსართების სახით.

რაკი უკვე კარგად ვიცით, რომ უსქეს-კატეგორიო რიცხვითს სახელებსაც, ძირს გარდა, ზოგს სქეს-კატეგორიების თავსართები, ზოგს ბოლოსართები, ზოგს ორივე და ორმაგიც-კი ჰქონია შეზრდილი, და დავრწმუნდით, რომ რიცხვითი სახელების ძირეული ნაწილის გამორკვევა მხოლოდ ამ თავკიდურ-ბოლოკიდური შენაზრდების გამოყოფით შეიძლება, ეხლა უნდა ქართულ-

სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანური **ნაცვალსახელების ძირთა ნათესაობის საკითხის განხილვასაც მივყოთ ხელი.**

ქართულს ერთის აღსანიშნავად რამდენიმე სახელი ჰქონდა და აქვს ეხლაც. ამათგან შედარებითი თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო **ცალი** აღმოჩნდა.

სინდურ ენებშიც ერთს რამდენიმე სახელი მოეძებნება, მაგრამ აქაც ყველაზე საყურადღებო ახვახური **ძალა-ა**, რომლის ბგერითს შესატყვისობას ჭამა-ლური **ზალუ** და ანდიური **ზირე** წარმოადგენენ.

ღილღურ ენებს ერთის სახელად **ცაჲ**, **ცაგ** და **წაჲ** მოეპოვებათ. ხოლო ლეგურ-ალბანურ ენათაგან ერთ ჯგუფს ც-ძირიანი **ერთის** სახელი აქვს, მეორეს წ-ძირიანი და მესამე მრავალრიცხოვან ენათა ჯგუფს ხ-ძირიანი სახელი მოეპოვება. პირველი ჯგუფის მაგალითად შესაძლებელია ღუმურური **ცავა**, **ცარა** და **ცაბა** დავასახელოთ, მეორისა მოლასური **წევი**, **წეჲ** და **წები**, — ხოლო მესამე ჯგუფისა თუნდა ჭასურული **სარ**, **საბ**, **სად** და არჩული **სეჲუ**, **სეჲრუ**, **სეჲბუ** და **სეჲტუ**.

ლეგურ-ალბანური რიცხვითი სახელების ანალიზის დროს აღნიშნული გვქონდა, რომ **ერთის** სახელის **ამ სამი ბგერითი სახესხვაობისაგან ყველაზე ადრინდელი ძ-ძირიანია, წ და ს-ძირიანები-კი შედარებით უფრო მერმინდელია.** ამნაირად ქართულს **ცალს** ზედმიწევნით უდგება ლეგურ ენათა **ცავა**, **ცარა** და **ცაბა** და ღილღურის **ცაჲ**. ბევრი მტკიცება არ არის საჭირო იმის დასარწმუნებლად, რომ სინდურ ენათა ჯგუფის ახვახური **ერთის ძალა-ც** ამავე ძირის მხოლოდ ფონეტიკურს სახესხვაობას წარმოადგენს.

მაშასადამე, ირკვევა, რომ ერთის სახელისათვის ქართულ-სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანურ ენებს საერთო ძირი ჰქონიათ.

ორის სახელის დიდი ნაირნაირობაა ქართულსა და ქართველურებშიც-კი: **ორის** შესატყვისად მეგრულ-ჭანურში **ჟირი**, **ჟური** და **ჯჷირი-ც-კი** გვაქვს, სვანურს ხომ **ჲორი** მოეპოვება, ამას გარდა წყვილი ორგანოების სახელებისა და სამეურნეო წყვილობისავე გამომხატველი ტერმინების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ამ რიცხვის გამომხატველი სიტყვა წინათ სხვადასხვა სახით ყოფილა: **ყური** (თვალებისა და სასმენლების აღმნიშვნელი), **ყუერი** (წყვილი საკვერცხის), **ყევარი**, **ტყუბი**, **ტყუპი**, და სხვაც არაერთია **ორის** ოდინდელი შედგენილობისა და ბგერითს განსხვავებასთან ერთად მისი მნიშვნელობის ელფერის შეცვლის გამომჟღავნებელი.

ორის აღმნიშვნელი ყველა ლექსიკური მასალის გათვალისწინებამ, ანალიზმა და შედარებითმა შესწავლამ ცხად-ჰყო, **რომ მისი თავდაპირველი ძირი ყუ ყოფილა, რომელსაც საჭიროებისამებრ სათანადო სქეს-კატეგორიის ნიშანი ერთვოდა ხოლმე. ჯერ თავსართოვანი, შემდეგ ხანაში-კი ბოლოსართოვანი, ისეც-კი, რომ ზოგჯერ ამ რიცხვითს სახელს უკვე ჰქონდა შენახულად ქცეული სქეს-კატეგორიის თავსართი და მასთან ერთად ძირი უკვე მთლიანად ორის ცნების გამომხატველ ფუძედ იყო ქცეული.**

უძველესი ხანის **ორის** სქეს-კატეგორიის თავსართიან ფორმათაგან შერჩენილი გვაქვს **სი-ცყუ-ა**, ორისათვის განკუთვნილი საუბრის აღმნიშვნელი, და **ტ-ყუ-ბი** და **ტ-ყუ-პი** და **ტყუ-ელ-ვა**, რომელთაც 2. და 4. სქეს-კატეგორიების

ბოლოსართებიც ახლავთ. ხოლო ორის წმინდა ბოლოსართოვანი 4. სქეს-კატეგორიის წარმოების ნაშთია ყუ-რი, ყუე-რი და ყევა-რი.

სვანური **ჟორი**, ჭანური **ჟური** და მეგრული **ჟირი** და სხვა მათი ფონეტიკური სახესხვაობანი თავკიდური ძირეული ყ-ს ბგერითი შენაცვლებით არის **ყო** ძირისაგანვე წარმომდგარი, ხოლო სამწერლობო ქართული **ორის** ამ სახელს-კი ძირეული **ყ** სრულებით გაჰქრობია.

ხაწღჳრა **ენების** სახელების განხილვისას დავრწმუნდით, რომ **იქაც ამ რიცხვის თავდაპირველი ძირი ჳႭ, ანუ ჳႳ იყო.** იგი ჳჸასჳაჸ **ტ-ყო**-სა და **ტ-ყჳა**-ს ისევე, როგორც ჩჳაქჰზჳლჲ **ტ-ყუ**-სა და **ტ-ყგ**-ს ოდინდელი მეოთხე სქეს-კატეგორიის შეზრდილი თავსართის ყრუ სახენაცვალიანი ფორმით აქვს დაცული. ჩჳაქჰზჳლჲ **ყ** თანხმოვანი **გ**-დ შეუნაცვლებია (**ტგუ, ტგა**), ყაჱაჩღოჳლს-კი ჯერ **ჲ**-დ უქცევია, ხოლო შემდეგ სრულებითაც-კი გაჰქრობია (**ტჲუ, ტო, ტ**).

თუმცა ღიღღჳრ ენათა **ორი** XVIII ს. და თანამედროვე სახელი სინდური ენებისას სრულებით არ მიაგავს და **შიჲ, შილე** (22-ში), **შიგ** და **შაუ** არის, მაგრამ, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 297—299) **2 ათის** აღმნიშვნელი 20-ის **ტყა** სახელი ცხადად ამჟღავნებს, **რომ თავდაპირველად ღილღურ ენებსაც ჳ-ძირიანი ႭჁႨႱ სახელი ჰქონია,** რომლის მეოთხე სქეს-კატეგორიანს **ტ** (←დ) თავსართიანს ფორმას ეს **ტ-ყა** წარმოადგენს კიდეც.

ამნაირად **ორის** მერმინდელი და თანამედროვე ღიღღჳრი სახელის **შიჲ**-ს თავკიდური **შ** თავდაპირველი ყ-საგან ისევე უნდა იყოს შუალედი ი-ხმოვნის შენაცვლების გზით წარმომდგარი, როგორც ზოგადი ქართულ-ქართველური თავდაპირველი **ყორი**-საგან ჯერ სვანურში შერჩენილი **ჟორი** არის გაჩენილი ხოლო შემდეგ მეგრულ-ჭანურში გაბატონებული **ჟური** და **ჟირი**-ა უკვე წარმომდგარი: ჟ-ს შ-დ შენაცვლება ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა.

ღეგჳრ-აღბანჳრი **ენების** რიცხვითი სახელების ცალცალკეულმა ანალიზმაცა და შედარებითმა შესწავლამაც დაგვარწმუნა, რომ იქ **ორის** ყ-ძირიანი სახელიც მოგვეპოვება, პ, ლ და გ-ძირიანიც,- **კო, კკ, კხ,** თვით -- ჰ-ძირიანი სახელიც-კი არსებობს. ყ-ძირიანი **ორის** სახელის მაგალითად შესაძლებელია ჵახჳრჳლი **ყოჟრა, ყობლა** და **ყოდლა**, — ჲიჲოჳრი **ყაწო** და **ყუ** (20-ის სახელში), კ- ძირიანისა ღჳმჳქჳრი **კივა, კირა** და **კიბა** იქმნეს მოყვანილი.

ორის სახელების ძირის ზემოაღნიშნული ნაირნაირობისდა მიუხედავად, ლეგურ-ალბანური რიცხვითი სახელების შედარებითმა შესწავლამ დაგვარწმუნა (იხ. აქვე, გვ. 364—365), რომ **თავდაპირველად ცნათა ამ ალმოსავლურ ჯგუფსაც ႭჁႨႱ ჳ-ძირიანი სახელი ჰქონია.** ამას ის საგულისხმო გარემოებაც ამჟღავნებს, რომ ამჟამად **ორის** სახელად კ-ძირის მქონებელ ენებს, როგორც ოცეულების სახელებითგან ირკვევა, წინათ სწორედ ყ-ძირიანი სახელი ჰქონიათ. მაგალითად შესაძლებელია თუნდ ღჳნძჳრი **ორი** თანამედროვე **კიგო** იქმნეს მოყვანილი, რომლის მაგიერ წინათ, როგორც ეს 20-ისა და 81-ის სახელებით მტკიცდება, ლუნძურს ძველად **ყოგო** ჰქონია. ასეთივე ვითარებაა რჳთჳღჳრშიც, რომელსაც 2-ის სახელად ეხლა აქვს **კოუ დ, კოუერ, კსუებ,** წინათ-კი, როგორც ეს 20-ის ანალიზით მტკიცდება, **ყაბ, ყარ** და **ყად** ჰქონია. თანამედროვე ჳდჳრსაც

2-ის სახელად პგა აქვს, 20-სა და 21-ის სახელებში-კი 2-ის აღმნიშვნელი ყა, ხოლო 40-ისა, 60 და 80-ის სახელებში ყო-ა.

მაშასადამე, ირკვევა, რომ **ქართულ-ქართველურსა და სინდურ-ღილღურ-ლეკურ-ალბანურ ენებს ᲝᲠᲘᲡ ერთი-და-იგივე ძირის სახელი ჰქონიათ.**

ქართული რიცხვ. სახელების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ პირველი ათეულის ერთეულების რიცხვ. სახელები, სამითგან მოყოლებული, ორი რიცხვის შეკრებით ყოფილა აღნიშნული და მათი სახელებიც ამ ორ-ორ სახელის შერწყმითვე ყოფილა წარმომდგარი, ე. ი. 3 ორ-ერთ-ად, 4 ორ-ორ-ად, 5 სამ-ორ-ად, ანდა **ორ-სამ-ად, 6 ერთ-ხუთ-ად** ყოფილა აღნიშნული. ასეთი აგებულება კარგად არის დაცული ტერმინად ქცეულს **სამის** ოდენობის გამომხატველს ქართულს ყუნცულ-ში, რომელიც **ორის** აღმნიშვნელი ყუნ და ერთის სახელის ცალ-ის უ-ხმოვანა სახესხვაობის **ცულისაგან** შესდგება (აქვე გვ. 404).

ოთხის და **ხუთის** ანალიზის დროსაც გვქონდა აღნიშნული (იხ. აქვე, გვ. 407—408),რომ პირველი მათგანი (ყ)ო+თყი-სა, ე. ი. 2+2-ისა, ხოლო მეორე **ხუ** (3)+**თყი**(2)-საგან უნდა იყოს წარმომდგარი.

ლეკური რიცხვითი სახელების ანალიზმაც დაგვარწმუნა (იხ. აქვე, გვ. 321), რომ 4-ის თაბასარანული სახელები **ჲარყურ, ჲაბჲყურ** და სხ. ორი ნაწილისა **ჲარ+ყურ, ჲაბჲ+ყურ** არის შედგენილი და **ორ-ორ**-ს ნიშნავს, რადგან თაბასარანულს **ორის** ცალკეულ სახელად ეხლაც სწორედ **ყჵრ** და **ყჵბჲ** აქვს.

ლეკური რიცხვითი სახელების შედარებითმა შესწავლამ ცხად-ჰყო, რომ ასევე **ორ-ორის** გამომხატველია **ოთხის** წახურული, რუთულური და სხ. სახელებიც (იხ. აქვე, გვ. 368—369).

მომდევნო რიცხვითი სახელების 5, 6 და 7-ის სახელების აღნაგობაც ზოგს ლეკურ ენებში ასეთივე აღმოჩნდა და 2+3-ის, 1+5-ის და 2+5-ის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელების შერწყმული ფორმები გამოდგა (იხ. აქვე, გვ. 369—278).

სწორედ ამიტომვეა, რომ ხინდურ-ღილღურ-ლეკურს ენებში 2 ის, 3-ისა და 5-ის სახელებს მსგავსება ეტყობა, მაგ. აფხაზურად 3-ს **ხება** (XVIII ს.) და **ხფა** ეწოდება, 5-ს კი **ხუბა**, — ჩერქეზულად 2-ს **ტყუ** და **ტგუ**, — ყაბარდოულად **ტოუ**, ხოლო 5-საც ყაბარდ. **ტყუ** ჰქვიან. ღილღურადაც 3-ს **კოე, კოუ** და სხ. ეწოდება, 5-ს **ფხიჲ** და **ფხეუ** (50-ში). ლეკურს ზოგს ენასაც 3-საც **ხ**-ძირიანი სახელი აქვს, მაგ. ჭარული და აწუხური **ხაბ** (გვ. 342) და უდური **ხიბ** და 5-საც აკუშურსა, ყაიტაღურს, წახურულს, სინალუღურს და სხვ. ენებშიც **ხუ**-ძირიანი სახელივე მოეპოვება (იხ. აქვე, გვ. 365—366).

მეტის თქმაც შეიძლება: ვინც ქართულ-სინდურ-ღილღურ-ლეკურს **რიცხვით სახელებს** გულდასმით განიხილავს და ერთმანერთს შეადარებს, შესაძლებელია შეამჩნიოს, რომ **5-ის სახელს ამ ენებში ცხადი მსგავსება ეტყობა** და ქართულს **ხუ-თ**-ს მრავალრიცხოვან ბანს აძლევენ აფხაზური **ხუ-ბა** და ყაბარდოული **ტ-ხუ**, ღილღური **ფ-ხიჲ** და **ფ-ხეუ**, რუთულური **ხჳუდ**, ყაიტაღური **ხჳუ**, სინალუღური **ფ-ხუ**, აკუშური **ხუჲალ** (18 ს.), ღუმიქური **ხუ** (18 ს. 50-ში) და **ხხჵ-ვა, ხხჵ-რა, ხხჵ-ბა** და ბევრი სხვაც.

2, 3 და 5-ის, მეტადრე 5-ის, სახელების სხვადასხვა, გეოგრაფიულად დაშორებულს, ენებშიც-კი ესოდენი მსგავსება სწორედ 3-ისა და მომდევნო

რიცხვთა სახელების ერთნაირი აღნაგობით აიხსნება და უეჭველია ორ-ორი რიცხვის სახელების შეერთება-შერწყმის შედეგი უნდა იყოს.

რიცხვითი სახელების ასეთი რთული აგებულება, მეტადრე 5-ითგან მოყოლებული, თავდაპირველად უფრო უნდა გართულებული ყოფილიყო, რათგან **ხუთის** სახელს, რომელიც თითონაც ორი რიცხვის შერწყმით გამოიხატებოდა, უნდა კიდევ ერთი შესაფერი რიცხვითი სახელიც დართოდა. ამიტომაც **ხუთს-ზევითი რიცხვის სახელების შედგენილობა, ვითარცა უფრო გრძელი, დროთა განმავლობაში უფრო ადვილად უნდა დაზიანებულიყო და შეცვლილიყო. ამ გარემოებით უნდა აიხსნებოდეს, რომ მათი აღნაგობის ნაწილების გამოცნობაც უფრო** ძნელია და მსგავსებაც ისე ცხადად ვერა ჩანს. მაგრამ აღულური 9-აც-კი 7+2-ის აღმნიშვნელი გამოდგა (იხ. აქვე გვ. 373).

ზემოაღნიშნული გარემოებისდა მიუხედავად ქართულ-სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანური ხუთის-შემდგომი რიცხვითი სახელები რომ ასამდე მაინც ერთი-და-იმავე აგებულებისაა, ამ გარემოებასაც უცილობლად **ათისა** და **ასის** სახელები ამჟღავნებენ.

მართლაც, ქართულს თუ **ათი** და მეგრულს **ვითი** აქვთ, ჭანურს **ვით** და **ვიტ** მოეპოვება (11—19 ვიწ.-არქაბ), სვანურს-კი **ჲეშდ** და **ეშდ** (13—20), — ღილღურს ენებშიც **ათი** არის ცალკეულად **იტტ** (უსლარით),— **იტტე**, **ტე**, **ით**, **იტ**, **ითთე** (11 და 12-ში და რთულ რიცხვ. სახელებში), — **ით** და **ითა** (ჲანდაროვით, 10, 11—18). ლეკურ ენათაგან ქართულისა და ღილღურთაგან გეოგრაფიულად ისეთს დაშორებულშიც, როგორიც არჩიულია, 10-ს სახელად **ტ**-ძირიანივე **ტტურ**-ი გვხვდება 21, 31, 41, 51, 61, 71, 81 და 91-ში (იხ. აქვე, გვ. 348) ცალკეულად და სხვა რთულ რიცხვების სახელებში ამავე არჩიულში და დანარჩენს ლეგურ-ენებში-კი **ტ**-ს მაგიერ 10-ის ძირად, როგორც თავის ადგილას დავრწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 374), უკვე **ც** და **წ** გვაქვს ხოლმე. **ც**-ძირიანი 10-ის სახელი ჰქონდა მე-XVIII ს. ავარულს **ჲაცალ** და **უეც** (რთულ რიცხ.-ში), ანდიურს ამავე ხანაში აგრეთვე **ჲაცალ** ჰქონია, ლუმშქურად-კი 20-ს მაშინ **აც** და **ც** (რთულ რიცხ.-ში) სწოდებია, ხოლო უდურად ეხლაც 70-ისა და 90-ის სახელებში **ათის** გამომხატველი **ვიც**-ია.

თუ ქართული რიცხვითი სახელების ცალკეულს ანალიზს გადავეუურცლავთ, დავრწმუნდებით, რომ ლეკური ენების **ზემოყვანილს 10-ის სახელებში ძირეულს ბგერას იგივე ცვლილება დასტყობია, როგორიც ქართულში ႠႧ-ის Ⴇ-ს ႨႺ-ის სახელში ემჩნევა: აქაც ხომ Ⴇ უკვე Ⴚ-დ გვაქვს შენაცვლებული** (იხ. აქვე, გვ. 412).

ათის ძირეული ბგერის შენაცვლება ზემოაღნიშნულის შემდეგაც არ შეჩერებულა, არამედ თანამედროვე ლეგურ ენათა უმრავლესობას **ათის** სახელი **წ**-ძირიანი მოეპოვება, მაგ.: თაბასარ. **ჲიწურ** და **ჲიწუბ**, 50—90-ში კი **წურ**, — წახურს. **ვიწკდ** და **ჲიწკდ**, — ჰურკილურს **ჟიწალ** და **ვიწ** (რთ. რიცხვებში), — არჩიულს **ვიწაჟუ** და უდურს **ვიწ**.

ამგვარად ქართულ ქართველურსა და **ღილღურ-ლეგურ-ალბანურ ენებს ერთი-და-იმავე ძირის, ანუ საერთო ႠႧႨႱ სახელი ჰქონიათ.**

თითქოს სულ სხვანაირი ვითარება ჩანს კიურინურს ენებში: აზსაჭ. **ქუაზა** აქვს, მაგრამ 10-ს გამომხატველ ძირად, **ქუ**-სა და **ქ**-ს გარდა, **ზr**, **ზ** და **ზ-ც**-კი გვხვდება (იხ. აქვე, გვ. 286—289).

ინგუშურსაც ზჲალჵ-ცა და ჟჲალჵ-ც, ჟჟჵც-კი მოეპოვება, ე. ი. აქაც ძირის როგორც ჟ და ჟჲ, ისევე ზჲ სახესხვაობაც გვხვდება.

თუმცა ადიღეურს პსჸრჸ და პშჸრე (ჩერქ.) და პშირე და პსჵირე (ყაბარდ.) მოეპოვება ცალკეულად, მაგრამ ჩეჩნურს 20-ის სახელში **ათის** გამომხატველად უკვე **აჯ** და **იჩ** გვევლინება და ისევე **იჩ**-ად ითქმის იგივე რიცხვი **ექვსი ათის** გამომხატველის 60-ის სახელშიც.

ამნაირად სინდურს ენებში **ათის** სახელის ძირეულ ბგერებად **ჯ, ჟ, ზ,-ჩ, შ** და **ს გვხვდება.** ამ ბგერათაგან ქართულ-ღილღურ-ლეგურ-ალბანურთან ყველაზე ბუნებრივი დასაკავშირებელი **ჩ** არის: ც-ს ჩ-დ შენაცვლება ჩვეულებრივიც არის და თვით ქართველურის მაგალითითაც მტკიცდება, სადაც თავდაპირველად **ორი ათის** აღმნიშვნელის ქართულის **ოცის** შესატყვისად **ეჩი** გვაქვს, ე. ი. აქაც **ც ჩ**-დ არის შენაცვლებული.

მაშასადამე, ყველა ზემოაღნიშნულის ძალით, უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ᲐᲗᲘᲡ სახელს მარტო ქართველურსა და ღილღურ-ლეგურ-ალბანურს ენებში-კი არა, არამედ სინდურ ენებში ერთი-და-იგივე ძირი ჰქონია.

ქართული **ასი**-ს შესატყვისად მეგრულ-ჭანურში, როგორც დავრწმუნდით, **ოში**, სვანურში-კი **აშირ**-ი გვაქვს, ე. ი. ამ რიცხვითი სახელის თანხმოვანი ელემენტის **შ** და **ს** სახესხვაობაა.

სინდურ ენათაგან აფხაზურად **ასს** ეწოდება **შჲკჸ**, რომლის **შჲ** ძირია, **კჸ**-კი ცალობის გამომხატველი ნაწილაკია. ინგუშურად 100-ს **სჲჵ** და **სჲოე**, ე. ი. **სშოე** ჰრქმევია, მაგრამ **ასის ნახევრის**, ანუ, ძველი ქართ. სახელი რომ ვიხმაროთ, **ერგასის**, 50-ის, ინგუშურს სახელში, **სჲჵზჵჯჵ**-შიც, **ასის** გამომხატველად **სჲჵ** ჩნდება.

ჩეჩნურად 100-ს **სისე**, ე. ი. **სშსშე**, ანდა **სსე** ეწოდება, — ყაბარდოულსაც **სშსშე-ვე** აქვს ამ რიცხვის სახელად.

ამგვარად, სინდურს ენებს 100-ის **ძირად შ, ანუ სშ და ს მოეპოვებათ, იგივე ძირი, რომელიც 10-ს აღმნიშვნელია.**

ადიღეურში (ჩერქეზულსა და ყაბარდოულში) **ამ ბგერის ორმაგი ხმარება სშსშე, ანდა სსე**, როგორც უკვე თავის ადგილას ნათქვამი გვქონდა, **ამ რიცხვის სახელის თავდაპირველი აგებულებისა და ᲐᲗᲘ-ᲐᲗᲘᲡ აღმნიშვნელობის ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს.**

ღილღურ ენებს **ბგჵ, ბგე̄, ბჵ** აქვთ 100-ს სახელად, ლეკურ ენების ამ რიცხვის სახელს-კი, როგორც თავის ადგილას უკვე აღნიშნული გვქონდა (იხ. აქვე, გვ. 373—734), თუმცა დიდი ნაირნაირობა ემჩნევა, მაგრამ ასეთს შთაბეჭდილებას თავსართ-ბოლოსართოვანი ნაწილაკების (დ, ტ, — უ̂, ვ, — ბ, ფ, — ვა, ბა, და, ნ და გო) შეზრდილობა და ძირეული **შ** ბგერის ჟ-დ და შ-ს ჩ-დ შენაცვლება ჰქმნის.

მაშასადამე, **100 სახელის ძირიც ქართველურ-სინდურ-ლეგურ ენებს საერთო ჰქონიათ.** ეს გარემოება ფრიად საყურადღებოა, რათგან **ირკვევა, რომ 100 და 1000-მდეც-კი რიცხვითი სახელების, როგორც ძირები, ისევე სხვა შემადგენელი ნაწილები და თვით ბღნაგობა და წარმოება-აღმნიშვნელობის**

სისტემაც საერთო ჰქონიათ, რითაც მათი მეტყველების ამ ნაწილშიც სრული ნათესაობა ამიერითგან ვგონებ უცილობელად უნდა იქმნეს მიჩნეული.

თუ წინათ ფიქრობდნენ, რომ ქართული და ე. წ. კავკასიური ენების რიცხვითი სახელების ნიშანდობლივს თვისებას ოცობითი სისტემა შეადგენს, ეხლა უკვე გულდასმითი ანალიზი მკითხველს დაარწმუნებდა, რომ იგი ამ ენებისათვის მერმინდელი მოვლენა ყოფილა და წინათ ყველა რიცხვითი სახელები ათობითს სისტემაზე ჰქონიათ დამყარებული.

ქართული და ლეგური ზოგიერთი ენის რიცხვითი სახელების გაღრმავებულმა ანალიზმა ამაზე უფრო საყურადღებო გარემოებაც გამოგვიმჟღავნა: თურმე პირველი ათეულის ერთეულების სახელებიც ერთისა და ორის გარდა, მარტივი და მთლიანი-კი არა, არამედ რთული აგებულების სიტყვები ყოფილა, თითოეული მათგანი ორ-ორი რიცხვის სახელის შემცველი, შერწყმული ფორმები აღმოჩნდა. ეს სიტყვები მარტივ რიცხვით სახელებად მხოლოდ დროთა განმავლობაში, მათი შედგენილობის შეცვლისა და აღნაგობის შეგნების გაქრობის წყალობითაა ქცეული.

უნდა დასასრულ ისიც გავიხსენოთ, რომ ქართული ზოგი რიცხვითი სახელების, როგორც მაგ. ერთის, კენტისა, მხოლოს და ათის თავდაპირველი წარმოშობილობის საკითხის კვლევა-ძიებამ იმ საგულისხმო დასკვნამდის მიგვიყვანა, რომ თვითოეული მათგანი თავდაპირველად კონკრეტული საგნის სახელი ყოფილა და რიცხვის აღმნიშვნელ სიტყვად მარტო შემდეგში ქცეულა, რაც აზროვნების განვითარების თანდათანობის თვალსაზრისით მოსალოდნელიც იყო. კონკრეტულობის წიაღითგან რიცხვითი სახელების წარმოშობილობის გამომჟღავნება საფიქრებელია სინდურ-ღილღურ-ლეგური ენოვანი მასალითაც შესაძლებელი იქმნებოდა, ამისთვის სათანადო ლექსიკური მარაგი რომ შეგროვებული ყოფილიყო, და, იმედია, მომავალში კიდევ ბევრი საგულისხმო და მნიშვნელოვანი გარემოება გამოირკვევა, ისევე, როგორც ცალისა და ყურის თავდაპირველი კონკრეტული მნიშვნელობის მიგნებაც, უეჭველია, ოდესმე შესაძლებელი შეიქმნება.

კარი მეხუთე

ქართველურ-სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანური ნაცვალსახელები

ქართულ-სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანური ნაცვალსახელები

ქართული და ქართველური ნაცვალსახელების ანალიზი და ისტორიის საკითხები აკად. ნ. მ ა რ რ ს აქვს განხილული „ძველი ქართულის გრამატიკა“-ში (გვ. 83—117). ამავე ავტორს „იაფეტური“ ნაცვალსახელების მოკლე ზოგადი დახასიათება 1931 წ. ,,დიდს საბჭოთა ენციკლოპედია‘‘-ში მოთავსებულს წერილს ,,იაფეტურ ენებ‘‘-შია მოყვანილი და იქითგან მის რჩეული ნაშრომების I წიგნშია გადაბეჭდილი (იხ. გვ. 297). გაკვრით გამოთქმული ცალცალკე მოსაზრებანი მის სხვა ნაშრომებშიც ბევრგან მოიპოვება. ,,რჩეული ნაშრომები‘‘-ს ბოლოში დართული დაწვრილებითი საგნობრივი საძიებლის დახმარებით, მსურველი თითოეულს მათგანს ადვილად იპოვის. ამ ნაშრომთაგან ყველაზე ვრცელი და მთლიანი მოძღვრების შემცველი ,,ძვ. ქართ. გრამატიკა‘‘-ა.

პროფ. ა კ. შ ა ნ ი ძ ი ს ნაშრომთაგან მისი მონოგრაფია „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“, რომელიც 1920 წ. გამოქვეყნდა, სწორედ ნაცვალსახელოვან თავსართებს ეხება და ფრიად მნიშვნელოვანი გამოკვლევაა. სამწუხაროდ დანარჩენი ნაცვალსახელები ასევე მონოგრაფიულად მას თავის კვლევა-ძიების საგნად არ უქცევია, ისე-კი პროფ. აკ. შ ა ნ ი ძ ე ს თავისი მოსაზრებანი ნაცვალსახელების შესახებ ზოგადად გამოთქმული აქვს „ქართული გრამატიკის“ I წიგნში, რომელიც მორფოლოგიას ეხება (ტფილისს, 1930 წ.) და ძველი ქართულის ქრესტომათიის შესავალში (იხ. „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა‘‘, ტფილისი. 1934 წ.), ხოლო ცალკეული საკითხები სხვათა შორის გარჩეული აქვს ნაშრომში ,,უმლაუტი სვანურში‘‘ (იხ. კრებული ,,არილი‘‘).

მეგრული ნაცვალსახელები განხილულია პროფ. იოს. ყ ი ფ შ ი ძ ი ს ვრცელს „მეგრული ენის გრამატიკა“-ში, რომელიც ქრესტომათიითა და ლექსიკონითურთ 1914 წ. გამოიცა პეტერბურგში.

ჭანური ნაცვალსახელები პირველად აკად. მ ა რ რ ი ს 1910 წ. პეტერბურგში ქრესტომათიითა და ლექსიკონითურთ გამოსულს „ჭანური ენის გრამატიკა“-ში იყო შესწავლილი. ეხლა-კი იგივე ჭანური და სხვა ქართველური ნაცვალსახელები საკმაოდ ვრცლად არის განხილული პროფ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს გამოკვლევაში „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“ (1936 წ.), სადაც ჭანურის დახასიათებისა და მისი ზოგი სახელების კანკლედობის თავისებურებათა ცხად-

საყოფელად ჭანური, მეგრული და ზოგადი ქართული ნაცვალსახელების აღნაგობაც არის გაშუქებული (გვ. 74—85).

სვანურისათვის უნდა პროფ. ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს 1931 წ. გამოქვეყნებული „სვანური ენა“ იქმნეს დასახელებული, რომლის I-ს, ზმნისადმი მიძღვნილს ამ წიგნში, „პირთა ფორმანტები“-ს განხილვის დროს, რასაკვირველია, ქართულსა და ქართველურს ნაცვალსახელებზეც არის მსჯელობა და ავტორი იქ მათს გენეზისსაც ეხება (გვ. 1—34).

ამ ნაშრომთაგან მხოლოდ ნ. მარრისა და ნაწილობრივ ვ. თოფურიასი ითვალისწინებს ქართულ-ქართველური ნაცვალსახელების პრეისტორიასაც, დანარჩენნი-კი განსაკუთრებით ისტორიული ხანის ძეგლების ენას ემყარებიან. ამასთანავე მარტო ნ. მარრი ხელმძღვანელობდა ქართულის სემურ ენებთან ნათესაობის რწმენითაც და თავის მსჯელობას უმთავრესად ამას უფარდებდა, სხვები-კი ქართული ენების ნიადაგს არ გასცილებიან და მათი შედარებითი შესწავლაც ამ საზღვრებით იყო შემოზღუდული. ამიტომაც არავის ჩრდილო-კავკასიური ენების ნაცვალსახელების ანალიზისათვის არ მიუმართავს და იქაური მასალა ქართულ-ქართველური ნაცვალსახელების აღნაგობისა და წარმოშობილობის გამოსარკვევად არ გამოუყენებია. ე. წ. კავკასიური ენების ნაცვალსახელების მონოგრაფიულად შესწავლა ხომ არც ჩვენში, არც უცხოეთში არავის არც-კი უცდია.

ჩვენს ამოცანას სწორედ ნაცვალსახელების აგებულებისა, წარმოშობისა და ნათესაობის პრობლემის გამორკვევა შეადგენდა. ისევე, როგორც ამ ნაშრომის სხვა კარებშიც, აქაც მეტყველების ეს ნაწილი ჯერ ცალცალკეულად გვექმნება განხილული, ხოლო შემდეგ ზოგადი საკითხების გაშუქება-გადაჭრასაც შევეცდებით. ნაცვალსახელები ქვემოთ, ცალკეული განხილვის დროს, სამ მთავარ ჯგუფად არის გაყოფილი, რომელთაგან ერთ ჯგუფს ქართველური, მეორეს — სინდური, ხოლო მესამეს — ღილღურ-ლეგურ-ალბანური შეადგენს. ცალკეული განხილვა ყველგან ისეა დალაგებული, რომ ჯერ არსებული ცნობების მიხედვით საქმის ვითარებაა ხოლმე წარმოდგენილი, შემდეგ-კი ნაცვალსახელების ანალიზი მისდევს. ხოლო ამ კარის ბოლო ნაწილში ნაცვალსახელების აღნაგობის, წარმოშობილობისა და ნათესაობის ზოგადი საკითხებია განხილული.

თავი პირველი

ქართულ-ქართველური ნაცვალსახელები

რაც-კი ქართულ-ქართველურ ნაცვალსახელებზე დაწერილა, უკვე ჩამოთვლილი გვაქვს, ამიტომ აქ შესაძლებელია პირდაპირ საქმეს შევუდგეთ. ჯერ თვით ნაცვალსახელებს გადავავლოთ თვალი, ხოლო შემდეგ ისიც გავიხსენოთ, რა მოსაზრებანიც იყო მათ შესახებ გამოთქმული, რომ მერმე ქართულ-ქართველური ნაცვალსახელების ანალიზს მივყოთ ხელი.

§ 1. ქართული, მეგრული, ჭანური და სვანური ნაცვალსახელები

პირთა ნაცვალსახელები

ქართული	მეგრული	ჭანური	სვანური
1 პ. მე, მენა	მა	მა, მან	მი
2 პ. შენ	სი	სი, სინ	სი
3 პ. ის, იგი	მუ	მუქ	აჯა, ეჯა
	მრ. რ.		
1 პ. ჩუენ, ჩვენ	ჩქი, ჩქჷ	ჩქუ, ჩქუნ, ჩქინ, შქუ	ნა̈ჲ
2 პ. თქუენ, თქვენ	თქვა	თქვა, თქვან	სგა̈ჲ
3 პ. ისინი, იგინი	მუნეფი	მუთეფე	ეჯია̈რ

ნაცვალსახელოვანი ნიშნები ზმნაში.

სუბიექტური ნიშნები

ქართულში	მეგრულში	ჭანურში
1 პ. ვ	ვ-(ბ, პ, ფ)	ვ-(ბ, პ, ფ)
2 პ. ხ, ჰ, ს.	—	—
3 პ. —ნ,—ს,—ა.	—ნ,—ს,—უ	—ნ,—ს,—უ.

სუბიექტის მრავლობითობის ბოლოსართები

ქართულში	მეგრულში	ჭანურში
1 პ. —თ	—თ	—თ
2 პ. —თ	—თ	—თ
3 პ. —ენ,—ან,—ეს	—ან,—ეს	—ან,—ეს

სვანურში

მხ. რ.	მრ. რ.
1 პ. ხჷ —	ლ—დ (ინკლუზ.) ხჷ—დ (ექსკლუზ.)
2 პ. ხ —	ხ —დ
3 პ. ლ —, —	ლ — ,—ხ

ობიექტის ნიშნები მხოლობითში

ქართულში	მეგრულში	ჭანურში
1 პ. მ—	მ—(ბ—,პ—,ფ-)	მ—(ბ—,პ—,ფ—)
2 პ. გ—	გ—(‖ რ—)	გ—
3 პ. ხ—,ჰ—,ს,—	—	—

ობიექტის მრავლობითობის ნიშნები

	ქართულში	მეგრულში	ჭანურში
1 პ.	გვ—	—ან,—ეს,—თ	—ან,—ეს,—თ
2 პ.	—თ	—ან,—ეს,—თ	—ან,—ეს,—თ
3 პ.	—თ	—ან,—ეს.	—ან,—ეს.

ობიექტური ნიშნები სვანურში

	მხ. რ.	მრ. რ.
1 პ.	მ—, მჷ—	(ინკლ.) გუ̂—, გუ—
2 პ.	ჯ—, ჯჷ—	(ექსკლ.) ნ—, ნჷ—
3 პ.	—, ხ—	ჯ—ხ, ჯჷ—ხ
		—, ხ—, —ხ

კუთვნილებითი ნაცვალსახელები

ქართული	მეგრული	ჭანური	სვანური
	მხ. რ.		
1 პ. ჩემი	ჩქიმი	ჩქიმი, შქიმი	მიშგუ, მიშგუ̂ი
2 პ. შენი	სქანი	სკანი	ისგუ, ისგუ̂ი
3 პ. მისი	მუშ(ი)	მუშ(ი)	მიჩა
	მრ. რ.		
1 პ. ჩვენი	ჩქინი	ჩქუნი, ჩქინი, შქუნი	ნიშგუ̂ეჲ და გუ̂იშგუ̂ეჲ
2 პ. თქვენი	თქვანი	თქვანი	ისგუ̂ე
3 პ. მათი	მუნეფიში	მუთეფეში	მინეშ

ჩვენებითი ნაცვალსახელები

ქართული	მეგრული	ჭანური	სვანური
ესე, ეს	თენა, ენა, თე, ე	ჰაჲა, აჲა, ჰამ	ალა, ალე, ალი
ისი, ის	თინა, ინა, თი, ი	ჰეჵ, ია, ჰიმ	აჯა, ეჯა, ეჯი
ჰაგი, აგი			
(ჰ)იგი	მუ	მუქ	

უკუქცევითი ნაცვალსახელები

ძველ ქართულს რამდენიმე უკუქცევითი ნაცვალსახელი ჰქონდა: **თავი თჳსი, თჳთ, თავადი**, მერმინდელს ქართულში-კი **თითონ**. „იხილა **თავი თჳსი**", „ალიბექდნეს **თავნი თჳსნი** ძლიერებისა ბექდითა", „მერმე მივიქცე ზრუნვად **თავისა ჩემისა**" (იხ. ძვ. ქართ, გრ. 94). მე-V—VI და შემდეგი საუკუნეების ძეგლებში **თითონ**-ის გამოსახატავად მხოლოდ **თჳთ** და **თავადი** გვხვდება, რომელთაგან მეორე, რა თქმა უნდა, **თავისაგან** არის ნაწარმოები და იმასვე უდრის, რასაც ეხლა ეწოდება „**პირადად**". პირველიც ამავე სიტყვისაგან არის წარმომდგარი და **თავით**-ის შერწყმულს ფორმას წარმოადგენს.

მეგრულშიც **თითონ**-ის აღსანიშნავად **ДУДЦ** რომ იხმარება, ძველი ქართული **თავადი**-ს მსგავსად, აგრეთვე **თავის** სახელის, **ДУДИ**-ს, მიმართულებითი ბრუნვის ფორმაა (იხ. ი. ყიფშიძის მ. გ. 046).

ჭანურად **ДУДИ თხემსა**, ე. ი. თავის ზედა ნაწილსა და მწვერვალსაც ნიშნავს (ნ. მარრის ჭ. გ. 140) და **თავსაც** (არ. ჩიქობავას ჭან. გრ. ანალ., ჭან. ტექსტები, გვ. 102, 106 და სხვ.), მაგრამ **თითონ**-ის გამოსახატავად არ იხმარება. ამ სიტყვის მაგიერ, **თითონ**-ის აღსანიშნავად ჭანურს **ТИ** აქვს, რომელიც ამავე დროს **თავსაც** ნიშნავს (იქვე, გვ. 27, § 43).

სვანურად-კი **თითონ თხუმშუ** და **ჯა** არის. ცხადია, რომ პირველი ამათგანი **თავის** სახელ **ТХУМИЛД**-სა და **ТХВИМ**-თან არის დაკავშირებული, რომელიც ძველი ქართული **ТХЕМИ**-ს შესატყვისობაა.

კითხვითი ნაცვალსახელები

ქართული	მეგრული
ვინ (გონიერი არს.), **რა** (არაგონ. საგ.)	**მი** (გონ.), **მუ**, **მუჲ** (მრ. რ. **მინეფი**)
რომელი	**ნამუ** (მრ. რ. **ნამუნეფი**)
ჭანური	**სვანური**
მი(ნ) მუ, მუჲა	**ჲäრ, მäჲ**
ნამუ	**ხäდა, ჲäრ, მä**

§ 2. მკვლევართა მოსაზრებანი ნაცვალსახელების აგებულებასა და ძირებზე

ნ. მარრის სიტყვით, პირის ნაცვალსახელების ძირს თანხმოვანი შეადგენს, ხმოვანი-კი მაწარმოებელი ელემენტია (ძვ. ქართ. გრ., 82). მისი აზრით, 1 პირის ნაცვალსახელის ორი ფუძეა, რომელთაგან სახელობითსა და მიცემითს ბრუნვებს **მ** ძირიანი ფუძე, ხოლო ნათესაობითსა და მიმართულებითს ბრუნვებს **ჩ** ძირიანი ფუძე მოეპოვებათ. ნ. მარრი ამასთანავე ფიქრობს, რომ 1 და 2 პირის ფუძეები მრავლობითის ფორმით არის წარმოდგენილი, მრავლობითობის

ელემენტად ავტორს **ენ** [შ-ენ, მ-ე(ნ)] და **ემ** (ჩ-ემ) მიაჩნია, რომელთაგან უკანასკნელს ხალხური მრ. რიცხვის ნიშნად სთვლის (იქვე, 87).

ამნაირადვე მრ. რ. 1 და 2 პირის ნაცვალსახელებსაც ნ. მარრი ფსიქოლოგიურადაცა და მორფოლოგიურადაც ორმაგი მრავლობითი რიცხვის ფორმებად სთვლის. **ჩვენ, ჩვენ** და **თქვენ, თქვენ**, მისი აზრით, შესდგება **ჩ** და **თქ** ძირებისა,—**ვ**, ანუ ვ-საგან, რომელნიც ხალხური მრ. რ. ნიშნებად მიაჩნია, და ენ-ისაგან, რომელიც მრ. რ. არქაული ნიშანიაო. **ვე** შემდეგ უ-დ არის ქცეული და ამ გზით წარმომდგარ ა **ჩუენ** და **თქუენ** ფორმებიცაო (იქვე 87—88).

აკ. შანიძეს განმარტებით-კი პირთა ქართულ ნაცვალსახელებს არც რიცხვისა და არც ბრუნვათა გამომხატველი მორფოლოგიური ნიშნები არ აბადიათ. „მართალია, ბოლოში ორთავ **ნ** მოეპოვება (ჩვე-**ნ**, თქვე-**ნ**), მაგრამ იგი არ შეიძლება მრავლობითის ნიშნად გავიგოთ", როგორც ნ. მარრს მიაჩნდა, „თორემ მაშინ **შენ**-ც მრავლობითში გადავა (შე-**ნ**) და აგრეთვე დიალექტიკურად არსებული **მენ**-ც, რადგანაც ამათაც აქვთ ბოლოში **ნ**" (ქართ. გრ. I, 37 და 38). ხოლო, „თუ მაინც და მაინც დავიჟინებთ მათს რიცხვზე ლაპარაკს, უნდა ყველა მხოლობითად გამოვაცხადოთ და სახელთა იმ ჯგუფში შევიტანოთ, რომელთაც მრავლობითის წარმოება არ შეუძლია, როგორიცაა მაგალითად გარეცხა, გათბობა, გაშრობა და მისთ." (იქვე, გვ. 37 შენ.)

ამნაირად, თუ ნ. მარრს პირთა ყველა ნაცვალსახელები, მათ შორის მხ. რ.-ისაც, მრ. რ. ისეთ ფორმებად მიაჩნდა, რომელნიც მხ. რ.-ისთვისაც იხმარებოდნენ, აკ. შანიძეს პირიქით ისინი ყველა უფრო ისეთ სიტყვებად ეგულება, რომელთაც მარტო მხოლოობითი რ. გააჩნიათ, მრ. რ. ფორმები-კი არ მოეპოვებათ. თუმცა აკ. შანიძის პირთა ნაცვალსახელების აღნაგობის ასეთი გაგებისათვის გამოყენებული შედარება მარჯვე ვერ არის, რათგან შესადარებლად განსაზღვრული შინაარსის სახელზმნათა კატეგორიაა აღებული, მაგრამ მაინც პირთა და სხვაგვარი ნაცვალსახელების ბოლოკიდური **ნ**-სა და **მ**-ს მრ. რ. ნიშნად მიჩნევის ნ. მარრს დებულებისათვის არავითარი საფუძველი, **ნ** ბგერის მსგავსების გარდა, არ მოიპოვება. ბოლოკიდური **ნ**-ს საკითხი მარტო პირთა ნაცვალსახელების აღნაგობის საკითხი არ არის, არამედ სხვაგვარი ნაცვალსახელებისთვისაც აქვს მას მნიშვნელობა. სამწუხაროდ, თვით აკ. შანიძეს ბოლოკიდური **ნ**-ს ბუნებაზე არაფერი აქვს ნათქვამი.

1 და 2 პ. ნაცვალსახელების ფორმების განხილვის შემდგომ, აკ. შანიძეს დასკვნილი აქვს, რომ ისინი „რიცხვის მხრით მორფოლოგიის გარეშე მდგომი სახელებია" ისევე, როგორც „ბრუნების მხრითაც აღნიშნული სახელები მორფოლოგიის გარეშე დგანან"-ო (ქართ. გრ., გვ. 37 და 38). უფრო ზედმიწევნითი იქმნებოდა, რომ ნათქვამი ყოფილიყო, მორფოლოგიურად ჯერ განუმარტავი არიანო.

სხვანაირად აქვს პირის ქართველური ნაცვალსახელების აღნაგობა არ. ჩიქობავას წარმოდგენილი. წინასწარი ანალიზის შემდეგ, მისი რწმენით, „ჭანურსა და მეგრულში პირველისა და მეორე პირის სახელები უნდა ყოფილიყო ასეთი სახისა: **მა-ნ, სი-ნ, ჩქუ-ნ, თქვა-ნ**,—ქართულში-კი **მე-ნ(ა), შე-ნ(ა), ჩვე-ნა, თქვე-ნა**" (ჭან. გრ. ანალ., 73).

ყველა ამ ფორმებში ნ და ნა ძირეული არ არის, არამედ ამ მკვლევარის აზრით, უნდა „გამოიყოს სადეტერმინაციო - ნა ელემენტი" ძირისა, ანდა ფუძისაგან (იქვე, გვ. 72, § 19). სამწუხაროდ, არც აქ არის განმარტებული, თუ რის დეტერმინანტად და რა მნიშვნელობის მიმნიჭებელ ელემენტად უნდა იქმნეს ეს ნა ბოლოსართი მიჩნეული.

ნ. მარრი ამბობს, რომ ქართული ნაცვალსახელების ძირები სხვა-და-სხვა წარმოშობილობისაა მხ. და მრ. რიცხვებშიაც-კი, მაგრამ ეს სხვაობა ისტორიული თვისებისაა და ერთი-და-იმავე ძირეჰის ბგერითი სახესხვაობა, თვით ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული, თუ სხვა იაფეტურ ენათა გავლენით წარმოშობილი, სხვა-და-სხვა დანიშნულებისათვის არის გამოყენებულიო (ძვ. ქ. გრ., 84). ამ ძირების სადაურობის ზედმიწევნით და ამომწურავად გამორკვევა ჯერ კიდევ ნაადრევიაო, მაგრამ ეხლაც ყოველ ეჭვს გარეშეა, მე-2 პირის ნაცვალსახელის თქ ძირი, რომელიც მხოლოდ მრ. რიცხვში ჩნდება, რომ ნასესხებიაო (იქვე, 86).

1 პირის ნაცვალსახელის თავდაპირველ ძირად ნ. მარრს შვ მიაჩნდა. აქეთგან, მისი აზრით, ჩვ და ჩ წარმოდგა. შვ ძირის სისინა სახესხვაობის სვ-ს არსებობასაც ჰგულისხმობს, რომლის სპირანტულ ჰვ სახესხვაობისაგანაც, ჰ-ს გაქრობით, სწორედ ვ და მ ნაცვალსახელოვანი თავსართები და ელემენტები მიაჩნია წარმომდგარად. ამავე სპირანტული ჰვ სახესხვაობისავე ანარეკლად ეგულება ნ. მარრს სვანური ზმნის 1 პირის ნაცვალსახელოვანი თავსართები ხვ და ღვ, რომელნიც ქიზიყურ კილოშიც გვხვდებაო (ძვ. ქ. გრ. გვ. 84, ტაბ. V და გვ. 85, შენ. 1).

სვანურში მხ. რ. 1 პ. თავსართად ხჷ ღ -ჷ- იხმარება. რაკი ხ იქვე 2 პ. თავსართია, ამიტომ მკვლევართა წინაშე საკითხი დაიბადა ამ ხ ბგერის ბუნების შესახებ 1 პ.-ში. ნ. მარრი ფიქრობდა, რომ 1 პ. სვანური თავსართი თავდაპირველად ჰუ უნდა ყოფილიყო და მხოლოდ შემდეგში არის იგი ხუ-დ ქცეული (Опред. яз. второй кат. ахеменидских клинообр. надписей: ЗВО РАОб XXII, გვ. 22—23). ჰუგო შუხარდტს-კი ხ მე-3 პირის ობიექტურ პრეფიქსად მიაჩნდა (Über den passiven Character des transitivs in den kaukasischen Sprachen, 48), ხოლო აკ. შანიძის აზრით „მეორე პირის სუბ. პრეფიქსი პირველ სუბ. პირშია გადასული ანალოგიის წყალობით" („უმლაუტი სვანურში": არილი, 1925 წ. გვ. 182 შენ.). ვ. თოფურიასაც ნათქვამი აქვს „პირველი პირის *ჰჷ-, ხჷ- პრეფიქსებში, უკანასკნელი (ხჷ) თუნდაც *ჰჷ-საგან იყოს წარმომდგარი, ძირითად ელემენტად -ჷ- მიგვაჩნია, *ჰ-, ხ- კი სხვა წარმოშობისაა"-ო, მაგრამ პირადად მას ეს ბგერა სახელდობრ რის წარმოშობილობად მიაჩნია, ეს ავტორს აღნიშნული არა აქვს (სვ. ე. I, 7).

ზმნის უღვლილების 1 პ. მხ. რ. თავსართის ორ თანხმოვანთაგან რომელია თავდაპირველი, ვ თუ მ, ვ. თოფურიას მომავალში გადასაწყვეტ საკითხად მიაჩნია, მაგრამ მაინც ამბობს, რომ „შეიძლება მ-უძველესიც იყოს"-ო (სვ. ე. I, 8). ეს მოსაზრება შესაძლებელია იმ გარემოებაზე იყოს დამყარებული, რომ 1 პ. ნაცვალსახელი ქართველურს სწორედ მ ძირიანი აქვს.

ნ. მარრის აზრით 2 პ. ქართ. ნაცვალსახელები ორ ჯგუფად იყოფებიან, რომელთაგან მეორე ჯგუფი ნასესხებია. წმინდა, საკუთარ ქართ. 2 პ. ნაცვალსახელის ძირად შ მიაჩნია, რომელიც მრავლობითობის გამომხატველი ენ ნაწილაკის დართვამ შენ-ად აქცია (ძვ. ქ. გრ., გვ. 87, § 107, 2). ამ შ-ს ბგერითი სახესხვაობა ჰგონია ნ. მარრს ს და ჰ, რომელიც შემდეგ *ლ (ანდა გ)-დ ქცევის გზით, ხ-დაც ხდებაო (იქვე, გვ. 84, ტაბ. V).

2 პირის ნაცვალსახელის ქართულში შეთვისებულ ძირად-კი ნ. მარრი სგ-ს თვლის, რომელიც შუალედი ცგ-ს წყალობით შემდეგ თქ-ჳ-დ არის შენაცვლებულიო (იქვე გვ. 84, ტაბ. V). ამნაირად, 2 პ. ამ ქართულში შეთვისებულად აღიარებული ძირის პირველად სახედ მარრს სგ მიაჩნია. იგი შიშინა ჯგუფის იმ განსაკუთრებული დიალექტითგან არის ნასესხები, რომელშიც ქართულს შ-ს გაორებული სკ უდრიდაო. აქეთგან სგ (ზგ) და სქ არის წარმომდგარი, რომელთა განსახიერებაცაა მეგრ.-ჭანური სკ-ან-ი და ჭან. სქ-ან-ი, სვანური სგ-ჲა"-ო. შესაძლებელია აქ ზოგი სისინა ჯგუფითგანაც იყოსო, მაგრამ 2 პ. თქ ძირი, რომელიც ქართულში მხოლოდ მრ. რ. ცალკეულ ნაცვალსახელად გვევლინება, რომ ნასესხებია, ეს სრულებით უეჭველიაო (ძვ. ქ. გრ., 86, § 105).

ნ. მარრი ჩვენებითი ნაცვალსახელის იგი-ს ნათესაობითი და სხვა ბრუნვების მ(ჳ) აბხაზურითგან, ანდა მისი მსგავსი ენითგან შეთვისებულ 2 პ. ნაცვალსახელად სთვლის (იქვე გვ. 86 და 100 b).

აკ. შანიძეს სვანური 2 პ. სუბ. ნაცვალსახელოვან თავსართის, ისევე როგორც 3 პ. ობიექტ. თავსართის ძირითადი ფონეტიკური სახის გამორკვევა მჭიდროდ დაკავშირებულად მიაჩნია და მისი აზრით ამ პრეფიქსების "ძირითადი სახეა ჰ, რომელიც პირველი ჯგუფის დრო-კილოებში ხ-ანად არის ქცეული და მხოლოდ ხმოვნების წინ გვხვდება" („უმლ. სვანურში": არილი, გვ. 182).

აკ. შანიძის სიტყვით, ძველს ქართულშიც „ყველა ფორმაში, გარდა წართქმითი ბრძანებითისა (ე. ი. ისეთი ფორმისა, რომელიც აკრძალვას წარმოადგენს, ანუ რომელსაც ახლავს ნაწილაკი ნუ, ან არა) ნიშანი მეორე სუბ. პირისა არის წინსართი ჰ, ოღონდ ხანმეტ ძეგლებში ეს ჰ ხ-ანად არის შეცვლილი, ხოლო მე-9 საუკუნიდან მოყოლებული იგივე ჰ უცვლელად არის შემონახული (19 თანხმოვნის წინ, ესენია პ, ყ, ღ, ხ, კ, გ, ქ, პ, ბ, ფ, ვ, მ, ლ. რ, ნ, შ, ჟ, ს, ზ),... ხმოვნების წინ სულ დაკარგულია, ცხრა თანხმოვნის წინ ს-ანად არის ქცეული. ეს ცხრა თანხმოვანია: ტ, დ, თ, წ, ძ, ც; ჭ, ჯ, ჩ" (იხ. „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა", 1934 წ. გვ. 019, § 34).

2 პ. ნაცვალსახელის ძირზე არ. ჩიქობავა ამბობს: „გამოთქმული იყო აზრი, რომ სი სისინა წრის, ქართული ფენის, კუთვნილებას წარმოადგენს, შე-ნ პირუკუ შიშინა წრისას, ე. ი. ზანურისასაო. თუ ეს ასეა, უნდა აიხსნას, როგორ მოხდა, რომ მეგრულსა და ჭანურში კუთვნილებითი სიტყვა სქანი ‖ სკანი ქართული შენი-ს კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისს გვაწვდის. ვთქვათ, შენ ზანურიდან შევიდა ქართულში, სი კიდევ ქართულიდან ზანურში (და იქიდან სვანურში); მაშასადამე ქართულისა და ზანურის დიფერენციაცია უკვე მომხ-

დარი ფაქტი. როგორღა შეეძლო ასეთ პირობებში შენ-საგან ნაწარმოებ სახელს (შენი) მოეცა ზანურში სქანი || სკანი? ამ უკანასკნელის არსებობა ჭანურსა და მეგრულში იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ქართულისა და ჭანურის დიფერენციაციის პერიოდში შენ უკვე იყო ქართულში და მოგვცა სქანი || სკანი მეგრულსა და ჭანურში"-ო (ჭან. გრ., ანალ., გვ. 73).

ცნობილია, რომ 2 პირის სუბიექტური პრეფიქსი არც ჭანურსა და არც მეგრულს, არც ხმოვნებისა და არც თანხმოვნების წინ შერჩენილი არა აქვთ (ნ. მარრის ჭან. გრ., იოს. ყიფშიძის მეგრ. გრ. და არ. ჩიქობავას ჭან. გრ. ანალ. 89).

რაკი ქართულს 2 პ. სუბ. ნიშანი ხმოვნების წინ დაკარგული აქვს, თანხმოვნების წინ კი ჰ და ხ მოეპოება, „ამის მიხედვით ფიქრობენ"-ო, არ. ჩიქობავა ამბობს, „რომ ჭანურსა და მეგრულში ის მდგომარეობაა განზოგადოებული, რომელიც ქართულში ხმოვნების წინ გვაქვს"-ო. 2 პ. სუბ. თავსართი იგივეა, რაც 3 პ. ობიექტ. ნიშანია. მაგრამ ორივეს თვალსაჩინო ცვლილება ემჩნევა „მაშინ, როდესაც სხვა პირთა აფიქსები გამძლე აღმოჩნდა; ზოგიერთ სხვა ფაქტებთან შეპირისპირებით ყოველივე ამან შეიძლება ეჭვი აღძრას, ხომ არ ილუნება ქართულის ისტორია S_2 და O_3-ის საკითხში და ხომ არ უნდა აიხსნას ჭანურსა და მეგრულში S_2-ის უქონლობა ჰ-ს დაკარგვით-კი არა, არამედ სხვაგვარად. ამ რთულ საკითხს აქ ვერ განვიხილავთ"-ო, ნათქვამი აქვს სამწუხაროდ ავტორს (ჭან. გრ. ანალ., გვ. 100).

მე-2 პ. სუბ. ნაცვალსახელოვანი ნიშნის შესახებ ვ ა რ. თ ო ფ უ რ ი ა ამბობს: „მეორე პირის ხ-ნიშანი ცნობილია ხანმეტითა და ხანმეტობის ნიშნით ქართულში. მისი წარმოშობა ჰ-საგან, როგორც ეს ზოგს მკვლევარს უდაოდ მიაჩნია, იმდენს ეჭვს არ იწვევს, რამდენსაც სვანურში ხ-ს მიღება ჰ-საგან. და ეს იმიტომ, რომ ქართულსა და სვანურს შორის ამ მხრით განსხვავებული მდგომარეობაა: პირველადი ჰ- ქართულში ყველგან ხ-დ მოგვევლინა: ხმოვნის წინაც და თანხმოვნის წინაც, სვანურში-კი «დაიშალა»: ხმოვნის წინ ხ- მოგვცა და თანხმოვნის წინ დაიკარგა. სწორედ ამაშია ფონეტიკური ხასიათის დაბრკოლებები: ა. რატომ ჰ- თანხმოვნის წინაც არ იქცა ხ-დ, რამ შეუწყო ხელი მის უკვალოდ გაქრობას? ბ. თუ ჰ-ს შეეძლო ხმოვნების წინ «ფერისცვალება» და ხ-დ გადასვლა, რატომ ვერ მოხერხდა ეს ად- წინდებულთან, უკანასკნელს ხომ მოსდევს ჩვეულებრივ ფარული (ამოღებული) ან «ხილული» მაქცევრები -ა-, -ი- -ო-? ასეთი კითხვა დასვა ს ტ ე ფ. ჩ ხ ე ნ კ ე ლ მ ა"-ო (სვ. ე. I, 6). „ვიდრე ამ კითხვებზე გარკვეული პასუხი არ იქნება გაცემული"-ო, განაგრძობს ვ. თ ო ფ უ რ ი ა, „მანამდე ჰ-სა და ხ-ს საკითხი ღიად დარჩება. მეტსაც ვიტყვით: სვანურში არამცთუ ჰ-ს პრიმარობაა საძიებელი, არამედ პრეფიქსი რომ იყო ჰ-, ეს ჯერ კიდევ სვანური მასალებით არ არის დამტკიცებული"-ო (სვ. ე. I, 6).

თუ სვანურში ჰ-ს ხ-ზე უწინარესობა და შემდეგში ხ-დ შენაცვლება ვ. თ ო ფ უ რ ი ა ს ძნელ დასამტკიცებლად და დაუმტკიცებლადაც-კი მიაჩნია, სამაგიეროდ მას ამ მიზნის მიღწევა ქართულ-ქართველურის გზით სწადიან. „ქართველურ ენათა შედარება ჰ-ს სასარგებლოდ ლაპარაკობს: α. ხანმეტის ხ-

შეუძლებელი არ არის **ჰ**-საგან იყოს წარმომდგარი და β. მეგრულ-ჭანურში არსებული ნულპრეფიქსი (ე. ი. 2 პ. პრეფიქსის უქონლობა) უთუოდ შედეგია ოდესმე გამოყენებული ან თეორიულად მოსალოდნელი **ჰ**- თავსართისა, ამდენად შესაძლებლობა არის, რომ პრექართულში II პირის ნიშნად **ჰ**- გამოვაცხადოთ. და თუ ეს ასეა, მაშინ **ჰ**-ს არსებობის დაშვებას სვანურში რაღა ეღობება წინ? სვანური ხომ პრექართულის ნაყარია, მისი ერთ-ერთი შტოთაგანი! მასაც ხომ შეეძლო საერთო «ქონებიდან» წამოეღო **ჰ**- და დროთა ვითარებაში მიეცა ის სახეობანი, რომელთანაც ჩვენ ზემოთ საქმე გვქონდა!“ ამიტომ „დებულებას“, რომ 2 პ. ნიშნად ჯერ **ჰ** იყო, ხოლო შემდეგ **ხ**-დ იქცა, „ჩვენ ვიღებთ“-ო (სვ. ე. I, 6—7).

6. მარრი მესამე პირის თავდაპირველ ნაცვალსახელად **ხუ** და **ხი**-სა სთვლის, მაგრამ არც ამ უძველესი, არც მერმინდელი მისი სპირანტული სახესხვაობა **ჰუ**, ანდა **ჰი** იყო გამოყენებული, არამედ ამის მაგიერ ჩვენებითი ნაცვალსახელია **იგი** მხ. რ.-ისთვის და **იგინი** მრ. რ.-ისთვის. საშუალო საუკუნეების ძეგლებში, მაგ. შოთას ვეფხის-ტყაოსანში **ისი** და **ისინი**-ც გვხვდებაო. ამ მესამე პირის ნაცვალსახელის ნათ., მიც., მოთხ., მოქ. და მიმართ. ბრუნვებად-კი **მ**-ძირისაგან ნაწარმოები ფორმები არსებობს (მის, მას, მან, მით, მად,- მრ. რ. მათ და მათდა), რომლის არც ერთი რიცხვის სახელობითი ბრუნვის ფორმა არა ჩანსო (ძვ. ქ. გრ., გვ. 89).

ქართული ჩვენებითი ნაცვალსახელები მარტო პირისა თუ საგნის სიახლოვე-სიშორეს-კი არ გამოჰხატავენ ხოლმე, არამედ ერთ-ერთ პირთან დამოკიდებულების მაუწყებელნიც არიან ისევე, როგორც ძველ სომხურში, მაგ., **ესე** 1 პირის მახლობლად მყოფობის აღმნიშვნელია, **ეგე** მე-2 პირის მახლობლად მყოფობის გამომხატველია, ხოლო **იგი** მე-3 პირთან მახლობლობის მაუწყებელიაო (ძვ. ქ. გრ., გვ. 98).

თუმცა მესამე პირის ნაცვალსახელების მაგიერ ჩვენებითი სახელები გვხვდება, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, არ. ჩიქობავას სიტყვით „მესამე პირის ნაცვალსახელი მოიპოვება ჭანურშიაც და ქართულშიაც: ესაა ქართული **მან** და ჭანური **მუქ**. საკუთარი სახელობითი ბრუნვის უქონლობის გამო **მან** ჩვენებითს სახელს სესხულობს, და ამან გამოიწვია ჩვენებითი სახელისა და მესამე პირის სახელის აღრევა, მაგრამ ჭანურში **მუქ** სახელობითშიც იხმარება. და მაინც აქაც მესამე პირის ადგილას ჩვენებითს სახეს იყენებენ: ემუქუწუ იმან უთხრა და არა მუქ უწუ მან უთხრა“, უკანასკნელი „უფრო «თითონ უთხრა»-ს ნიშნავს“ო (ჭან. გრ. ანალ., გვ. 73—74).

მესამე პირისა და ჩვენებითი მეგრული სახელების შესახებ არ. ჩიქობავას აგრეთვე ნათქვამი აქვს: „მეგრულში მესამე პირის ნაცვალსახელია **მუ** მან. ჩვენებით ნაცვალსახელებად გვაქვს **ე-ნა**, **თ-ენა** ეს,— **ინა**, **თ-ინა** ის,— აგრეთვე **ათე-ნა** ეს, აი ეს,— **ეთინა** ის, აი ის. მსაზღვრელად ხმარებისას ჩვენებითს სახელს-**ნა** ეკვეცება: ე კოჩი, თე კოჩი, ათე კოჩი ეს კაცი, აი ეს კაცი, ი კოჩი, თი კოჩი, ეთი კოჩი ის კაცი, აი ეს კაცი“ (ჭან. გრ. ანალ. გვ. 74).

მეგრული ჩვენებითი სახელების ენა, თენა, ინა, თინა, ათენა და ეთინა-ს აღნაგობა არ. ჩიქობავას ისე აქვს წარმოდგენილი, რომ ყველა ამ ფორმებშინა მარცვალი გამოსაყოფია და აქ ყველგან „-ნა-ნაწილაკი ისეთივე სადეტერმინაციო ელემენტი ჩანს, რაც მენა, შენა, ჩვენა, თქვენა-ში გამოვყავით. თ-ელემენტი-კი ჯერ-ჯერობით განმარტოებით დგას ქართველური ენების სინამდვილეში: მას მეგრულსა და ჭანურში აქვს ადგილი... და უცხო გარემოდან შეთვისებულის შთაბეჭდილებას ტოვებს"-ო (ჭ. გრ. ანალ., გვ. 74).

ჭანურს ჩვენებით სახელებად ჰაჲა და ჰეა ვიწურ-არქაბულსა აქვს, აჲა, ია ხოფურს, ხოლო ჰამ და ჰიმ ათინურს. „ქართულში ამათი ბადალია ამჟამად: ეს(ე) და ის(ი), ისტორიულად და დიალექტურად—ჰაგი (შეად. ჰაგრე) და იგი (<—ჰიგი). ყველა ამ შემთხვევაში ჩვენებითობა დაკავშირებულია პირველ ნაწილთან: ჰა- და ჰე || ჰი", ხოლო „ამ სახელთა მეორე ნაწილი—ჲა || ა ვიწურ-არქაბულისა და ხოფურისა იმავე ღირებულებისა უნდა იყოს, როგორც სადეტერმინაციო -ნ || -ნა პირველი და მეორე პირისა და -ნა მეგრულისა: თე-ნა, თი-ნა, (ეს, ის)". დასასრულ, „ათინურის -მ (იგულისხმება ჰამ-სა და ჰიმ-ში), ისევე, როგორც ქართულის -ს || გ ელემენტი (იგულისხმება ესა-სა და ეგე და იგი-ში) ნაცვალსახელური ძირი ჩანს. მაინც და მაინც ათინური ჰამ || ჰიმ მა ფუძეს შეიცავს"-ო („შეად. ქართული ამავე საქმეს... იმავე დღეს") (არ. ჩიქობავა. ჭან. გრ. ანალ. 73).

ზმნის ფორმებში მესამე პირის აღნიშვნის წესი სვანურში დანარჩენი ქართველური ენებისაგან იმ მხრივ განსხვავდება, რომ სვანურს აქაც თავსართი აქვს, ქართულს, მეგრულსა და ჭანურს კი ბოლოსართი მოეპოვებათ. სვანური თავსართი ლ არის, ძველ ქართულს-კი ბოლოსართად ნ და ს, მეგრულსა და ჭანურსაც იგივე თანხმოვნები მოეპოვება. ყველა ამ გარემოების გათვალისწინებისას, ვ. თოფურიას სიტყვით „ცხადია, სვან. ლ-სა და ქართულ-მეგრ.-ჭანური -ნ' ს ექვივალენტობის საკითხი დაიბადებოდა. მართლაც, მორფოლოგიურად მათ შორის სრული იდენტობაა: „უჩვენებენ სუბ. III პირს, დროისა და რიცხვის გამოხატვა მათს ფუნქციას არ შეადგენს. გენეტურადაც ლ- და ნ- შორებელნი არ არიან: პირველის უკანასკნელისაგან მიღება თავისუფლად შეიძლება, და ჩვენც ასე ვვარაუდობთ: III პირის წინაქართულში უნდა ყოფილიყო ნ-, რომლის შეცვლილი სახე (ლ-) სვანურმა შემოგვინახა, ხოლო «შეურყვნელად» იგი დანარჩენებმა დაიცვეს. ლ-ს თავსართობა და -ნ' ს ბოლოსართობაკი ჩვენს დებულებას ვერ არყევს, რადგანაც შეუძლებელი არ არის *ნ ფორმანტი მოძრავი ყოფილიყო: იგი ხან პრეფიქსად მოგვევლინებოდა და ხან კიდევ სუფიქსად... დროთა სვლამ თავისი «დაღი დააჩნია»: თავსართად გახადა სვანურში, ბოლოსართობა დააკისრა დანარჩენ ენებში. ლ-პრეფიქსს ყველა ზმნაში III პ. ფორმა უნდა მოეცა, მაგრამ ხუთიოდე შემთხვევის გარდა ლ-ელემენტიანი ჩვენამდე არ მოწეულა"-ო (სვ. ე. I, 8—9).

ზმნის უღვლილების მრ. რ. თავსართთაგან ბუნებრივად 1 პირის ობიექტური ნიშნის თავისებურებამ მიიპყრო მკვლევართა ყურადღება, მეტადრე ძველ ქართულსა და სვანურში, სახელდობრ გვ-სა და გუ-ს შედგენილობისა და აღმნიშვნელობის საკითხი.

ვ. თოფურია ამბობს: „ გჳ-პრეფიქსით ნაგულისხმევია «მე» და «შენ || თქვენ», ორსავე პირს საკუთარი მ- და გ- ნიშანი გააჩნია. როგორც ამ ფორმანტთა მსგავსება, ისე გჳ-ს ფუნქცია გვაბედინებს დავუშვათ, რომ: გჳ- წარმომდგარია გ+მ-, ე. ი. გჳ შეიცავს II და I პირის ობიექტურ პრეფიქსებს. თუ ეს მოსაზრება მართალია, მაშინ სხვა საკითხიც ადვილად გადაიჭრება. სვანურს გჳ- ან პრექართულიდან შეეძლო წამოეღო, ან დამოუკიდებლივ «შეედგინა». დაბრკოლებად სვანურში მეორე პირის ობჲექტის ჯ-ს არსებობა ვერ ჩაითვლება, რათგანაც მისი პირვანდელი სახე გ- უნდა ყოფილიყო. 1. თუ გჳ წინაქართულისაა, გ- ელემენტი სვანურში ვერ გაპალატალდებოდა, რადგანაც მის უშუალო მეზობლად -უ გვევლინება და არა ხმოვანი, 2. თუ სვანურის ნიადაგზე «წარმოიშვა» გჳ-, მაშინ ეს გ-ს გაპალატალებამდე უნდა მომხდარიყო“-ო (სვ. ე., გვ. 26—27 α).

არ. ჩიქობავას ჩემი, შენი, ჩვენი და თქვენი, მეგრული ჩქიმი, სქანი, ჩქინი და თქვანი ისევე, როგორც ჭანური ჩქიმი, სკანი, ჩქუნი და თქვანი სრულებით სამართლიანად კუთვნილებით ნაცვალსახელებად მიაჩნია, მაგრამ პირთა ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმად ის ჩემ, შენ, ჩვენ, თქვენ,— ჩქიმ, სქან, ჩქინ, თქვან, ჩქიმ, სკან, ჩქუნ და თქვან-სა სთვლის, რომელნიც თუმცა „დამოუკიდებლივ აღარ იხმარება, მაგრამ დაცულია ნათესაობითისაგან ნაწარმოებს ბრუნვებში — მიმართულებითსა, დაშორებითსა და დანიშნულებითში (ჭან. გრ. ანალ., გვ. 76).

პირთა ნაცვალსახელების ხელოვნურად აღდგენილნი ზემომოყვანილი ფორმები მხოლოდ აღქმული და მიჩნეულია ნათ. ბრუნვის ფორმად, არსებითად და მორფოლოგიურად-კი მათ ნათ. ბრუნვის არავითარი ნიშანი არ უჩანთ. ისევე, როგორც ჭანური მუქ-ისა და მეგრული მუ-ს, თენა-სი და ათენა-ს ნათ. ბრუნვა მუშ(ი), თეში და ათეში არის, 1 და 2 პირის ნაცვალსახელების ნათ. ბრუნვის ფორმები, რომ გადარჩენილი და დაცული ყოფილიყო, ჩქიში, სქაში, სკაში, ჩქუში, შქუში და თქვაში იქმნებოდა.

ნ. მარრის თეორიით, კუთვნილებითი ნაცვალსახელები ჩემი, შენი, მისი, ჩუენი, თქუენი და მათი წარმოადგენენ მრავლობითი რიცხვის ნორმებს, მაგრამ პირთა ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმებად არიან მიჩნეულნი (ძვ. ქ. გრ., გვ. 97), ე. ი. მ, ნ, ს და თ მარრს აქ მრ. რ. ნიშნები ჰგონია.

სვანური კუთვნილებითი ნაცვალსახელების ფორმები მხ. რ. 1 პირის მიშგჳეჲ და მიშგჳი-ს ჩემი-სა და 1 პირის მრ. რ. გჳიშგე-სა ჩვენი-ს (ჩემი და შენი, ანდა ჩემი და თქვენი) და ნიშგჳეჲ-ს, ანდა ნიშგე-ს ჩვენი-ს (ჩემი და მისი, ან მათი), ვ. თოფურიას ანალიზით იმავე ნაცვალსახელოვან მ, გჳ და ნ-ს ელემენტებს შეიცავენ, რომელნიც ზმნაშიც გვხვდებიან. ამავე დროს მისი აზრით ჩვენი (ჩემი და შენი) გუშგჳეჲ და ნიშგჳეჲ (ჩემი და იმისი, ან იმათი, ამნაირად უნდა განაწილდეს,—გუ-შგჳ-ეჲ და ნი-შგჳ-ეჲ, რომელთა მეორე ნაწილი შგჳ იგივე ძირია, რომელიც გვხვდება მიშგჳი-ს, ჩემ-ში. ამ კუთვნილებითს ნაცვალსახელს ვ. თოფურია ასევე ჰყოფს: მი-შგჳ-ი და ფიქრობს, რომ აქაც სიტყვის მეორე ელემენტი შგჳ არის. ეს შგჳ ელემენტი „ექვივალენტია

ქართული ჩვ- (ჩუ-)“ ელემენტისაო (სვ. ე. I, 27 შენ. 1), რომელიც ჩვენ-ში გვაქვს დაცულიო.

ამ კუთვნილებით ნაცვალსახელების პირველი მარცვალი „გჳი (იგივე გუ-), ნი- და მი-“, ე. თოფურიას უფრო დაწვრილებითაც აქვს განხილული და მის ანალიზით იშლება გჳ-ი, ნ-ი, მ-ი ელემენტებად“, ხოლო მათი „-ი-კი ყოველმხრივ იგივე ი- უნდა იყოს, რაც ზემოსვანური ი-სგუ, ლაშხური ი-სგჳ-ი, ლენტეხური ი-სკჳ-ი «შენი» და ბალსზემოური ი-სგჳ-ეა, ბალსქვემოური ი-სგ-ე, ლაშხური ი-სგჳ-ე, ლენტეხური ი-სკჳ-ე-ში «თქვენი» არის (შეად. სი «შენ» ბ ლსზემოური სგჳა «თქვენ»). მაშასადამე, ადრინდელ ფორმად *ი-შგჳ-, *ი შგჳ-ეა გამოდის, მ-, გჳ-, ნ- კი შემდეგ დართვია. აკად. ნ. მარის მოსაზრება, რომ თითქოს სვანური „ნიშგვე... представляет от каждой из составных частей сложного ni-gu, т. е. соединения обоих основ и ni (P. niш-) и gu (P. gwe<* gw-eш из gu-eш: Ахем., § 22, გვ. 23, Срав. обз., გვ. 23, 8, 9. Swan. 40. Kartv. 149, შენ. 1) ჩვენთვის მიუღებელია, ხოლო მის გრამატიკაში (Грам. гр. яз. §§ 105, 107) მოცემული ნაცვალსახელების ანალიზი ყურადღებას იქცევს“-ო (სვ. ე. გვ. 27, შენ. 1).

§ 3. ქართველური ნაცვალსახელების ანალიზის ამოცანები და ნაცვალსახელების ბოლოკიდური ნაწილი

ქართული და ქართველური ნაცვალსახელების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათა მიმოხილვის შემდგომ, უნდა მათ განხილვას შევუდგეთ. მიზნად ამ შემთხვევაში ჯერ ორი ამოცანა გვექნება დასახული,- ერთი მხრით ნაცვალსახელების აღნ გობის, ძირებისა და ფორმანტების ისევე, როგორც ოდინდელი დანიშნულების გამორკვევა, მეორე მხრით-კი თვითოეული მათგანის წარმოშობილობისა და პირველადი მნიშვნელობის მიგნებაც. როდესაც ეს ორი ამოცანა შეძლებისამებრ გადაჭრილი გვექნება, უნდა იმ წესის გამორკვევაც ვცადოთ, როგორიც ნაცვალსახელების გამოსახატავად უძველეს ხანაში უნდა ყოფილიყო. მაგრამ უნდა ითქვას, რომ, თუ ზოგი ამ ამოცანათაგანის გადაჭრა მარტო ქართულ-ქართველური მასალებითაც არის შესაძლებელი, ზოგის მხოლოდ სინდურ-ღიღლურ-ლეგურ-ალბანური მასალების გათვალისწინებითა და გამოყენებით შეიძლება. ამიტომ ასეთი ამოცანების გადაჭრა შესაძლებელია მარტო მთელი ამ, ნაცვალსახელებისადმი მიძღვნილი, კარის ბოლოში ვცადოთ.

ბევრ ნაცვალსახელებს ქართულსა და ქართველურებში, როგორც ცნობილია, ბოლოში **ნ** ანდა **ნა** აქვს. უპირველესად უნდა ამ საერთო ნაწილის რაობა გადაწყდეს. უკვე ის გარემოება, რომ იგი ორივე პირისა და რიცხვის ისევე, როგორც ზოგიერთს სხვაგვარ ნაცვალსახელებსაც მოეპოვებათ, ამ **ნ** ბგერისა და **ნა** მარცვლის ბუნებას ამჟღავნებს: ძირეული მაინც ის არას გზით არ შეიძლება იყოს და ამიტომაც გამოსაყოფია. **მე-ს, მენა-ს** და **შენ, ჩუენ, თქუენ, ათენა, თენა, ენა, ათინა, თინა, ინა-ს** **ნ** ანდა **ნა** ელემენტის მრ. რიცხვის ნიშნად მიჩნევის თეორია ძნელი დასაჯერებელია, რათგან ამისთვის წინასწარ

უნდა შეუმცდარ დებულებად ვიცნათ, რომ ყველა ნაცვალსახელებს მხ. რიცხვშიც-კი მრ. რიცხვის ფორმები აქვთ. ამას არავითარი არც ლოგიკური საფუძველი უჩანს და ვერც ამ ფორმათა გააზრიანებისათვის გამოიყენებს ადამიანი.

დებულება, რომ **ნ** და **ნა** სადეტერმინაციო ელემენტია, მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდებოდა უცილებელი, თუ განმარტებული გვექმნებოდა, სახელდობრის განმსაზღვრელია ეს ნა და ნ და სახელდობრ რა წარმოშობილობისაა იგი.

არ. ჩიქობავას, მესამე პირის მეგრულ-ჭანური ნაცვალსახელის კანკლედობის თავისებურების აღნუსხვისას, აღნიშნული აქვს, რომ ჭანური „ნაცვალსახელი მუქ მხოლოობითში საერთო წესების თანახმად იბრუნვის“ იმ თვალსაჩინო განსხვავებით, რომ „სახელობითშიაც და მოთხრობითშიაც -ქ ერთვის, ე. ი. მოთხრობითის ნიშანი გადაჰყვება სახელობითშიაც ისევე, როგორც ქართულში ვი-ნ სახელს მოთხრობითის -ნ აქვს ორსავე ბრუნვაში“. ამ მხრივ მეგრული ჭანურისაგან განსხვავდება: „სახელობითში მეგრულს -ქ არა აქვს“. მაგრამ „აღსანიშნავია, რომ უ-ნ-არო სახელობითი ვი-ნ-საც აქვს: ვი-ღა (|| ვინ-ღა) დათვლის, ვი-ღა მოვა“-ო (ჭან. გრ. ანალ., გვ. 76).

უფრო საგულისხმოა ამ ნაცვალსახელის მრ. რ. ჭანური და მეგრული ფორმები. მისი ფუძე იცვლება: „ჭანურში -თ დაერთვის, მეგრულში -ნ“ და, თუ მხოლოობითში ის ჭანურად მუქ არის, მრავლობითში უკვე მუთ-ეფ-ე გვაქვს და მეგრულად მუ-ს მრავლობითში მუ-ნ-ეფე-ა (იქვე, გვ. 76—77).

გამოსარკვევია ამ დანართი **თ** და **ნ** ბგერათა რაობა და სადაურობა. არ. ჩიქობავა ფიქრობს, რომ „მრავლობითის ფუძეს დართული -თ ჭანურში და -ნ მეგრულში ერთი-და-იმავე ღირებულების მორფოლოგიური ოდენობა უნდა იყოს, ოღონდ სხვადასხვა ენობრივი ფენიდან. მათი მორფოლოგიური ფუნქცია და სადაურობა“-კი გამოსარკვევიაო (ჭან. გრ. ანალ., გვ. 77).

ამ საკითხის გადასაწყვეტად არ. ჩიქობავას ჩვენებითი ნაცვალსახელების აღნაგობის გათვალისწინებაც მიაჩნია საჭიროდ. ჭანური **ჰაჲა** და **ჰეა** (ვიწურ-არქაბული), **აჲა**, და **ია** (ხოფური) და **ჰამ**, **ჰიმ** (ათინური), რომელნიც ესესა და ის-ს, იგი-ს უდრიან, „მოთხრობითიდან დაწყებული ფუძეს იცვლიან და მესამე პირის -მუ ფუძეს დაერთვის ჩვენებითი ა-, ჰა-(ა-მუ ქ, ჰა-მუ-ქ)“ და მხოლოდ „ვიწური სახელობითში აღებულ ფუძეს უცვლელად ტოვებს“, მაგრამ არ. ჩიქობავას სიტყვით, „ეჭვს გარეშეა, რომ ეს მოვლენა მეორეულია“ (ჭან. გრ. ანალ., 81). ამ ჭანური ჩვენებითი ნაცვალსახელების მრ. რ. ფორმების ფუძე მხოლოობითისაგან იმით განსხვავდება, რომ „დაერთვის თ ელემენტი, ამას მოსდევს მრავლობითობის მაწარმოებელი ეფ- და სახელობითი ბრუნვის დაბოლოება ე.“ ამიტომაც მრ. რ. იქნება: ხოფურად **ანთეფე**, ვიწურ-არქაბულად **ჰამთეფე** და **ჰათეფე**. არ. ჩიქობავა ფიქრობს, რომ ამ ფორმებში „თ-ს წინ მ- || ნ- ფონეტიკურადაა განვითარებული“. ამას ის გარემოება აფიქრებინებს, რომ „აფხაზეთის არქაბელ ლაზებში ქალები ხმარობენ **ჰა-თ-ეფ-ე-ს**, რაც ამ ფორმის სიძველის მაჩვენებელი უნდა იყოს“-ო (ჭან. გრ. ანალ., გვ. 82).

მრ. რ. **ეფ** მაწარმოებელის ჩამოშორების შემდგომ, ზემომოყვანილი ჭანური ჩვენებითი ნაცვალსახელების მხოლოობითი რიცხვის ფუძედ დაგვრჩება **ჰათ**, **ათ**, **ჰეთ** და **ეთ**. „ეჭვს გარეშეა, რომ ეს იგივე მასალაა, რაც მეგრულს გააჩნია:

ა-თ-ე კოჩი, ე-თ-ი კოჩი: (აი) ეს კაცი, ის კაცი, მხოლობითში ეს თ-იანი ჩვენებითი სახელები ჭანურმა დაკარგა, მათი ადგილი დაიჭირა ჰა-ჯა, ა-ჯა, ჰე-ა, ი-ა-მ. მაგრამ მრავლობითში ჯერ კიდევ ცოცხლობს მხოლობითში დაკარგული თ. ამასთან დაკავშირებით დაისმის -ჯა || ა-ს სადაურობისა და რაობის საკითხი. ამ საკითხზე გარკვეული პასუხის მოცემა აჟამად ძნელია“-ო (ქ. გრ. ანალ. გვ. 82).

სამაგიეროდ ავტორს, არ. ჩიქობავას, გარკვეულად მიაჩნია მეგრულში მხ. რ. დაცული და ჭანურში მარტო მრ. რ. ფორმებში და შერჩენილი თ-ს რაობა: მისი სიტყვით ეს „ნაცვალსახელური ძირი -თ- ქართულში დაცულ -ს და გ-ს ბადალი“ არის „ფუნქციურად (შეად. ა-თ-ე, ე-ს-ე, ე-გ-ე,—ე-თ-ი, ი-ს-ი, ი-გ-ი), ე. ი. პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელურ ძირად არის მისაჩნევი (იქვე, გვ. 82).

ამ ნ, ნა და თ-ს ბუნების ყველა ზემომოყვანილი განმარტების სრული სისწორის დაჯერება შესაძლებელი იყო, თ და ნ ელემენტებს რომ მეგრულსა და ჭანურში სწორედ ისეთივე განსხვავებული აღმნიშვნელობა ჰქონოდათ, როგორიც ეს-სა და ეგე-ს ქართულში ძველადაც ჰქონდა და ეხლაც აქვს, ე. ი. ერთი მათგანი, თ ანდა ნ რომ პირველ პირთან, მეორე კიდევ მეორე პირთან მახლობელობის გამომხატველი ყოფილიყო. მაგრამ ნამდვილად მეგრულ-ჭანურ ჩვენებითს ნაცვალსახელებში მარტო მახლობელობა, თუ დაშორებულება გამოიხატება, ისიც მხოლოდ ა, ე, ი ხმოვნებით, პირთან დამოკიდებულება-კი არ აღინიშნება. ამას გარდა, ნ და ნა ელემენტი ბევრგან სხვაგანაც, მათ შორის პირის ნაცვალსახელების ბოლოსართადაც, გვხვდება, რომ მისი ნაცვალსახელური ძირობის აზრის გაზიარება შესაძლებელი იყოს.

მეგრული ჩვენებითი ნაცვალსახელების აღნაგობის სისწორით გამოსარკვევად წინასწარ უნდა გადაწყვეტილი გვქონდეს, თუ სახელდობრ რომელი მათგანი უნდა უძველესი და სრული ბგერითი შედგენილობის დამცველი იყოს: ენა, ინა, თუ თენა და თინა? საფიქრებელია, რომ ამ ოთხ ფორმათაგან უძველესი და უსრულესი ႧႨႬႠ-ა. ეს თინა თავდაპირველად ჩვენებითი ნაცვალსახელი-კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ უკუქცევითი ნაცვალსახელი იქმნებოდა. ამისგან ნაწარმოები ჩვენებითი ნაცვალსახელი-კი ႤႧႨႬႠ-ა.

თვით ႧႨႬႠ ორი ნაწილისაგან შესდგება, რომელთაგან პირველი ႧႨ-ა, მეორე-კი ნა. ႧႨ იგივეა, რაც ჭანურად თავსა და თითონ-ს ნიშნავს, ხოლო ნა ისეთივე ფორმანტია, როგორიც ႧႣႧႭႬ, ႧႨႧႭႬႠ-ს ႭႬ და ႭႬႠ-ა, ე. ი. ႧႨႬႠ უდრის თითონ-ს, ႤႧႨႬႠ-კი ნიშნავს „ეს თითონ“, „თითონ ეს“, ႧႤႬႠ ႧႨႬႠ-ს ფონეტიკური სახესხვაობა უნდა იყოს, ႨႬႠ და ႤႬႠ-კი მხოლოდ თ-ჩამოცლილი ფორმა ჩანს.

თ და ნ ელემენტების თავდაპირველი რაობის ძიების დროს, ის გარემოება განსაკუთრებული ყურადღების ღირსი, რომ „ის“, „იგი“ მუქ (ჭ.) და მუ (მ.) მრავლობითს რიცხვში ორი განსხვავებული ფუძით გვევლინებიან და ჭანურად მუთეფე გვაქვს, მეგრულად-კი მუნეფე. თუ იმ მჭიდრო ენობრივს კავშირს გავიხსენებთ, რომელიც მეგრულსა და ჭანურს შორის წინათაც არსებობდა და ეხლაც მკაფიოდ ჩანს, შესაძლებელია წამოიჭრას საკითხი, თ და ნ ხომ ერთი-და-

იმავე სიტყვის ანარეკლი არ არის, რომლის ერთი თანხმოვანი ბგერა თ ჭანურის მრ. რ. ფორმამ შეინარჩუნა, მეორე ბგერა-კი ნ მეგრულისამ დაიცვა. სახელდობრ, აქ ხომ ისეთივე წარმოების ანარეკლთან არა გვაქვს საქმე, როგორიც მეგრული ათენა და ათინა-ა, სადაც მეორე ნაწილი მთლიანი თენა და თინა არის, და წინათ ხომ მუთენა და მუთინა არ იყო, რომლისაგანაც შემდეგ მრ. რ. ფორმად მუთნეფე წარმოსდგა, და აქეთგან ჭანურს ნ დაეკარგა, მეგრულს-კი პირიქით თ და ამ დიფერენციაციით ერთი ფორმისაგან ორი განსხვავებული ფორმა გაჩნდა. ამ მოსაზრებას ისიც გვათქმევინებს, რომ ჭანურად ადა-ს მრ. რ. ფორმა მართლაც ამ ორსავე თანხმოვანს შეიცავს და ანთეფე-ა. საფიქრებელია, რომ ეს ფორმა უნდა უფრო ადრინდელი ათნეფე-საგან იყოს პირველი ორი თანხმოვნის ადგილმონაცვლებით წარმომდგარი. თავდაპირველად უეჭველია ამ ორ თანხმოვანს შუა ხმოვანიც ექმნებოდა. ყველა ეს მოსაზრება რომ მთლად უნიადაგო არ არის, ამას მეგრულიც ცხადჰყოფს, რომელსაც ისინი-სა და იგინი-ს გამომხატველად მართლაც სწორედ ასეთი ფორმა ႤႧႨႬႤႴႤ მოეპოვება.

არ. ჩიქობავა უეჭველია არ სცდება, როდესაც ამბობს, რომ ႤႧႨႬႤႴႤ-ს „ნ აქ მხოლოობითიდანაა გადმოყოლილი" მრ. რ. ფორმაში (ჭან. გრ. ანალ. გვ. 197), მაგრამ ასეთივე გარემოება უნდა ჭანურს ႠႬႧႤႴႤ-შიც ვიგულისხმოთ. **საერთოდ მეგრულსა და ჭანურში ეტყობა ႤႱ და ႤႫ თავდაპირველად ორნაწილედი სიტყვები ყოფილა, რომელთაც პირველ ნაწილად ჩვენებითი ნაცვალსახელი ჰა და ჰე, მეორე ნაწილად-კი ႧႨႬႠ ჰქონია; და რომელნიც მთლიანად „ႨႱ ႧႨႧႭႬ"-ისა და „ႤႱ ႧႨႧႭႬ"-ის აღმნიშვნელი ყოფილან.**

სვანური 3 პ. მხ. რ. ნაცვალსახელი ეჯა-ც, ეგე-ც უნდა ორი, ე და ჯა, ნაწილისგან იყოს შედგენილი. თუ გავიხსენებთ, რომ ჯა სვანურად ნიშნავს „თითონ"-ს და ე ადრინდელი ჰე-საგან წარმომდგარი მითითებითი ნაცვალსახელია, ცხადი გახდება, რომ ეჯა-ც თავდაპირველად „ეს თითონ"-ის, ანუ „თითონ ეს"-ის აღმნიშვნელი ყოფილა.

ამნაირად, მეგრული, ჭანური და სვანური ჩვენებითი და 3 პ. ნაცვალსახელების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ნაცვალსახელების აღნაგობის მისაგნებად დიდი მნიშვნელობა უკუქცევითი ნაცვალსახელების ცოდნას ჰქონია. სრულებით მოულოდნელად ზოგიერთი ნაცვალსახელების მეორე, ანდა ბოლოკიდური ნაწილი სწორედ ეს ელემენტი აღმოჩნდა.

ამის შემდგომ სრულებით ბუნებრივია, რომ უკუქცევითი ნაცვალსახელის ქართველურს ენებში გამოსახვის ამ წესს მივაქციოთ ყურადღება. ძველ ქართულში ამ ცნების გამოსახატავად, როგორც ვიცით, **თავადი**, **თავი თჳსი**, **თჳთ** და მარტივად **თჳსი** იყო. შემდეგში პირველს მათგანს ასეთი მნიშვნელობა აღარ უჩანს და სამაგიეროდ ჩნდება **თითონ**, **თჳთ**, რომელნიც იმავე წარმოშობილებისანი არიან.

მეგრულ ჭანური **თინა** და **თი**, მეგრული **დუდო**-ც ხომ ამნაირადვე თავის სახელთან არიან დაკავშირებული და სწორედ მისგანვე არიან ნაწარმოები.

საყურადღებოა, რომ სვანურიც უკუქცევითი **თითონ** ნაცვალსახელის გამოსახატავად **თხუიმ**-სა და **თხუმშუ**-ს ხმარობს, მაგ. „მე თითონ ვიზამ" იქნება „**მი თხუმშუ ხუიჩო**" (ფაფალა გარდაფხაძის ცნობა). **თხუმშუ** ორი ნაწილისა-

-ვან არის შედგენილი, თხუმ და შჟ-ისაგან. თხუმ იგივე თხუამ-ია, ე. ი. ძველი ქართული თხემი-ის შესატყვისობა, რომელიც თავს ნიშნავს. ხოლო შჟ ცალკეულად თანამედროვე სვანურში არ გვხვდება, მაგრამ ფორმანტად სხვაგანაც იხმარება და თავად ის აღმნიშვნელია ისეთს გამონათქვამებში, როგორიცაა მაგალითად მიშგჟუშჟ „ჩემ თავად", -ისგჟაუშჟ „შენით", „შენთავად". მაშასადამე თხუმშჟ არსებითად ორმაგს თითონ ნაცვალსახელს წარმოადგენს, ანდა მოქმედებითი ბრუნვის ფორმაა.

§ 4 ნაცვალსახელების ძირების საკითხი

ქართული და ქართველური ნაცვალსახელებისა და ნაცვალსახელოვანი ნაწილაკების ზოგადად განხილვის დროს, მკვლევარის ყურადღებას ის ძლიერეულობა იპყრობს, რომელიც მათ ძირებს და ფუძეებს ეტყობათ. ასევეა სხვა მოდგმის ენებშიც, მაგრამ ეს ნუგეშად ვერ გამოგვადგება. ეს გარემოება ნაცვალსახელების ძირების გამორკვევას უაღრესად აძნელებს.

A. 1 პ. მხ. რ ნაცვალსახელი

თუმცა მ-ს 1 პ. ნაცვალსახელის ნიშნად მიჩნევას კარგად უდგება ის გარემოება, რომ ცალკეულ ნაცვალსახელად ზოგადს ქართულსაც სწორედ მე აქვს და ყველა ქართველურებსაც ეს თანხმოვნიანი ძირივე მოეპოვება, მაგრამ ამ მოსაზრებას მაინც არა ერთი დამაბრკოლებელი გარემოება ელობება წინ.

მხ. რ. 1 პირის ქართ. ნაცვალსახელი ამავე პირის მრ. რიცხვისა და 2 პირის ორივე რიცხვის ფორმებისაგან იმით ჯანსხვავდება, რომ, თუ ამ უკანასკნელთ ყველა ბრუნვებში ერთი-და-იგივე ძირი აქვთ (შენ, შენი, შენით,- ჩვენ, ჩვენი, ჩვენით,- თქვენ, თქვენი, თქვენით), პირველს ასეთი მთლიანობა არ უჩანს და, თუ სახელობითი ბრუნვა მე არის, ნათესაობითი უკვე ჩემი-ა, მიცემითი ბრუნვა ისევ მე-ა, მოქმედებითი-კი კვლავ არის ჩემით. ამნაირად 1 პირის ნაცვალსახელს ნათესაობითსა და მოქმედებითს ბრუნვებში რატომღაც თავში ჩე მარცვალი უჩნდება.

რაკი ჩემი არსებითად ნათ. ბრუნვის ფორმა-კი არა, არამედ კუთვნილებითი ნაცვალსახელია, ამიტომ შესაძლებელია თავკიდური ჩე სწორედ კუთვნილებითობის გამომხატველ ნაწილაკად მიგვეჩნია. მაგრამ ასეთი მოსაზრება რომ სწორე არ იქნებოდა, ამას 1 პირის მრ. რ. ფორმა ჩუენ და ჩვენ ამტკიცებს, რომელიც სახ. ბრ. ფორმაა და რომელსაც ამიტომ კუთვნილებითი ნაწილაკი არც შეიძლება და არც უნდა ჰქონდეს.

ამ შემთხვევაში რომ ფრიად საყურადღებო და ზოგადი ხასიათის მოვლენასთან გვაქვს საქმე, ამას ის გარემოებაც ცხად-ჰყოფს, რომ ძირისა, თუ ფუძის ბგერითი ერთგვარობა მარტო სამწერლობო ქართულის 1 პირის ნაცვალსახელს-კი არა აქვს დარღვეული, არამედ მეგრულსა და ჭანურშიც (მეგ. და ჭან.: მა, ნათ. ჩქიმი, შქიმი), რომელთაც ამავე დროს, ქართულის მსგავსადვე, 1 პირის მრ. რ. და 2 პირის ორივე რიცხვის ყველა ბრუნვების ფორმებში ძირისა, თუ ფუძის სრული ბგერითი ერთგვარობა აქვთ დაცული. ამ მხრივ ერთნაირს გამო-

ნაკლისს მარტო სვანური წარმოადგენს, რომელშიც 1 პირის მხ. რ. ნათესაობითი ბრუნვის და იმავე დროს კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმას ძირის ბგერითი მთლიანობა დაცული აქვს და, თუ სახ. ბრ. მი არის, ნათ. ბრ. მიშ-გუეა. მაგრამ მისი ნათ. ბრ. ფორმას სამაგიეროდ მეორე ნაწილად, ამ პირის ნათ. ბრ. კანონიერი ფორმის შემდგომ, რატომღაც გამოურკვეველი წარმოშობილობის გუეჲ ერთვის.

1 პ. მხ. რ. ნაცვალსახელის მ-ს თავდაპირველს რაობას გაუგებრად მესამე პირის ჩვენებითი ნაცვალსახელიც ჰხდის. ცნობილია, რომ ესე, ანუ ეს პირველ პირთან ახლო მდგომის აღმნიშვნელია, —ეგე, ანუ ეგ მეორე პირთან მახლობელს ჰგულისხმობს,- ხოლო ის, ანუ იგი მესამე პირთან ყოფნის მაუწყებელია. ყველა ამ ჩვენებითს ნაცვალსახელებს-კი ორივე რიცხვის სახელობითი ბრუნვისათვის ზემომოყვანილი ფუძე აქვთ, ხოლო ორივე რიცხვის ყველა დანარჩენი ბრუნვებისათვის სრულებით სხვა, სახელდობრ მ-თანხმოვნიანი ფუძე მოეპოვებათ (ამის, ამას, ამან, ამათ, ამად, —მაგის, მაგას, მაგან, მაგით, მაგად, —მის, მას, მან, მით და იმის, იმას, იმან, იმით, იმად). ცხადია, რომ მ ყველა ამ შემთხვევებში არას გზით არ შეიძლება პირველი პირის ნაცვალსახელთან არც ობიექტურ ნიშანთან იყოს დაკავშირებული და არც მე ნაცვალსახელთან. ეს გარემოება მით უფრო საყურადღებო, რომ ამ ჩვენებითს ნაცვალსახელს მეგრულსა და ჭანურში ძირის მთლიანობა თავითგან ბოლომდე აქვს დაცული და იქ სახელობითი ბრუნვის ფორმაც მ-ბგერიანია: ჹუ (მეგრ.) და მუქ (ჭან.).

ჩვენებითს ნაცვალსახელებში 1 პირის გამომხატველი ბგერის ძიებას რომ შევდგომოდით, უფრო ბუნებრივი იყო 1 პ. ნიშნად ს (ესე, ეს), ხოლო 2 პირისად გ (ეგე, ეგ) მიგვეჩნია, რომელთაგან უკანასკნელი მართლაც ზმნეაში 2 პ. ობიექტური ნიშანია კიდევაც, მაგრამ ასეთი დასკვნაც-კი მცდარი იქმნებოდა, რადგან იგივე ს და გ თანხმოვნები ი ხმოვნითურთ (ის და იგი) უკვე 1 და 2 პირთან-კი არა, არამედ ორივე მარტო მესამე პირთან მახლობელობის გამომჟღავნებელია. რაკი ირკვევა, რომ ჩვენებითს ნაცვალსახელებში ენას პირის მაუწყებლად არც ს და გ მიუჩნევია, ისე გამოდის, თითქოს მესამე პირის, მდებარეობა-მყოფობისდა მიუხედავად, გამომხატველ ელემენტად ყველა ბრუნვებში, სახელობითს გარდა, მხოლოდ მ იყოს.

მაშასადამე, ბუნებრივად იბადება აზრი, თითქოს ქართველურს ენებს 1 და 3 პირის ნაცვალსახელებისათვის ერთი-და-იგივე მ ძირი ჰქონდეს. ნ. მარი, როგორც დავრწმუნდით, ამ მოვლენას დასაწყისითგან არსებული ვითარების ანარეკლად სთვლიდა და ფიქრობდა კიდევაც, რომ საერთოდ ქართველურს ენებს, თუ დიალექტებს, თავდაპირველად სხვა-და-სხვა პირისათვის ერთი-და-იგივე ძირები ჰქონდა და მხოლოდ დროთა განმავლობაში მომხდარი დიფერენციაციის გზით ენას თვითოეული პირისათვის განსხვავებული ბგერითი სახეობა მიუკუთნებია, ე. ი. განსხვავებულობა არსებითი-კი არ არის, არამედ ისტორიული პროცესის შედეგს წარმოადგენს (ძვ. ქ. გრ., გვ. 85).

მაგრამ სანამ გამორკვეული, ანდა მიგნებული მაინც არ არის იმ ძირის რაობა და მაშინდელი მნიშვნელობა, ასეთს დებულებას შეუძლებელია დამაჯერებელი ძალა ჰქონდეს, ცხადია, რომ იმ ძნელად გასაგებს გარემოებასაც ვერ აგვიხს-

ნის, თუ როგორ უნდა გაერჩიათ მაშინ საუბარში, პირველსა, თუ მესამე პირზე იყო მსჯელობა.

ცნობილია, რომ ქართულსა და ქართველურებს ისევე, როგორც სინდურ ენათა ჯგუფსაც, რაზედაც მომდევნო კარში გვექმნება საუბარი, პირთა ნაცვალსახელების ელემენტები ზმნის ფორმებშიც მოეპოვებათ. ამასთანავე სინდურს ენებში, როგორც დავრწმუნდებით, ზმნის ნაცვალსახელოვანი თავსართები პირთა ცალკეული ნაცვალსახელების სისწორით დაცულს ბგერითს ელემენტებს წარმოადგენენ. ამიტომაც პირთა ნაცვალსახელების წინანდელი ბგერითი სახის გამოსარკვევად და აღსადგენად ნაცვალსახელოვანი ელემენტების გათვალისწინებაც არის საჭირო და გამოყენებაცაა შესაძლებელი.

თუ 1 პ. მხ. რ. ნაცვალსახელის ძირის ძიების დროს საკითხს ამ მხრით მივუდგებით, ადვილად დავრწმუნდებით, რომ პირველი პირის მხ. რ. ნაცვალსახელს სხვა თავისებურებაც ახასიათებს: ამ ნაცვალსახელსა და მხ. რ. 1 პ. სუბიექტურ ნაცვალსახელოვან თავსართს შორის განსხვავებაა და ცალკეულ ნაცვალსახელად მე გვაქვს, რომელიც ხალხში მენა-და-ც გამოითქმის, 1 პ. სუბიექტურ ნაცვალსახელოვან ნიშნად კი ვ-ა, ხოლო მ ზმნაში მარტო ობიექტურ თავსართად გვევლინება. მართალია, სვანურის ლენტეხურს კილოში, როგორც ვარ. თოფურიას აქვს აღნიშნული, მ სუბიექტურ თავსართადაც „გვხვდება საარვისო ქცევის ფორმებში გ- ხმოვნით დაწყებულ ფუძეთა წინ, მაგ. მგრდი ვზრდი, მგთრე ვსთესამ, მგგემ ვაგებ, მგრხი ვქნი ლობიოს“ (სვ. ე. I, 7), მაგრამ ასეთი მოვლენა სვანურისთვისაც გამონაკლისს შეადგენს, რადგან მ იქაც ჩვეულებრივ ობიექტური თავსართია.

ვ და მ-ს იგივეობის აზრი ბუნებრივია, მაგრამ რომელი ამათგანია პირველადი და რომელი მერმინდელი შენაცვლებისა და დიფერენციის შედეგს წარმოადგენს, ეს საკითხი მკვლევართ, როგორც დავრწმუნდით (იხ. გვ. 433), სხვადასხვანაირად აქვთ გადაწყვეტილი.

ამ მოსაზრებათა განხილვასაც რომ აქ არ შევუდგეთ, მაინც უნდა ითქვას რომ, რაკი მე-ს ძირის მთლიანობაც დარღვეულია და მ ბგერაც ხან სუბიექტის (ცალკეულად) და ხან ობიექტის (ზმნის თავსართად) გამომხატველიც არის და 3 პ. თუ ჩვენებითი ნაცვალსახელის ძირიც ჩანს, შესაძლებელია გვეფიქრა, რომ აქ 1 პ. მხ. რ. ნაცვალსახელის პირველადი სახისა და ძირის ძებნა, მრავალგვარი მერმინდელი დამახინჯებულობის გამო, ამაო ცდა იქმნებოდა და ამიტომაც დაგვესკვნა, რომ ზმნის ნაცვალსახელოვან თავსართებშია უფრო მისი თავდაპირველი სახის დაცულობა მოსალოდნელი.

ზემოაღნიშნულისდა მიხედვით, უნდა დაგვესკვნა, რომ 1 პ. მხ. რ. ნაცვალსახელის თანხმოვანი ელემენტი მ- კი არა, არამედ სწორედ ვ ბგერა უნდა იქმნეს მიჩნეული. ეს ადვილი დასაჯერებელი იქნებოდა, რომ ვ-ს ძირობის საკითხთანაც სხვადასხვა დამაფიქრებელი გარემოება არ იყოს დაკავშირებული. ჯერ ერთი, რომ ისევე, როგორც მ ერთსა და იმავე დროს 1 პ. მხ. რ.—ისიცა და 3 პ. მხ. რ. ჩვენებითი ნაცვალსახელების ძირად მოჩანს, ვ-ც ხომ ერთი მხრით 1 პ. მხ. და მრ. რ. თავსართოვანი ნიშანია, მეორე მხრით-კი ვი კით-

ხვითი ნაცვალსახელის (ვინ?) ძირიც არის. ცხადია, რომ შეუძლებელია თავით-განვე ასე ყოფილიყო.

ზემოდასახელებულს მოსაზრებაზე მეტად უნდა შემდეგ გარემოებას გაეწიოს ანგარიში: **დებულებას, რომ ვ 1. პ. ნაცვალსახელოვანი პირველადი თავსართია ქართულსა და საერთოდ ქართველურ ენებში, მთლიანად ნიადაგს უცლის ჩვენ-თვის აწ უკვე კარგად ცნობილი გარემოება: ვ ხომ თავდაპირველად მამრობითი სქესის ნიშანი ყოფილა. რაკი 1 პირად ცხადია სხვა სქესისანიც იყვნენ, ამიტომ სრულებით შეუძლებელია, რომ იმ ხანაში ვ 1 პირის ნიშანი ყოფილიყო.** ასეთი რამის დაჯერება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქმნებოდა შესაძლებელი, თუ წარმოვიდგენდით, რომ თავდაპირველად ყოველ პირსა და სქეს-კატეგორიას თავ-თავისი განსხვავებული ნიშანი ჰქონდა. მაგრამ მაშინ უნდა გვეფიქრა, რომ მარტო მხ. რიცხვისათვის ქართულს სულ ცოტა 12 სხვადასხვა ნაცვალსახელი უნდა ჰქონოდა, რის მაგალითიც არსად მოგვეპოვება და რაც ამიტომ სრულე-ბით ფანტასტიკურ მოსაზრებადაც უნდა იქმნეს მიჩნეული.

რაკი მ 1 პირისაცა და 1 პ. ნაცვალსახელებისა, ხოლო ვ 1 პ. ნაცვალ-სახელოვან თავსართადაცა და კითხვითი ნაცვალსახელის ძირადაც მოჩანან, ამი-ტომ ცხადია, რომ თავდაპირველად მათ რაღაც ისეთი ზოგადი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდათ, რომ მათი ასე ფართოდ გამოყენება შესაძლებელი გამ-ხდარიყო.

ყოველივე ზემოაღნიშნული დაარწმუნებდა ადამიანს, **რომ არც მ და არც ვ თავდაპირველად 1 პ. ნაცვალსახელის ძირად არ შეიძლება ყოფილიყო. მაშასადამე, ამ დანიშნულების გამომხატველად მხოლოდ ის ჩ ბგერა-ღა გვრჩება, რომელიც მრ. რ. 1 პ. ნაცვალსახელს ჩუენ-სა და მხ. რ. კუთვნი-ლებითს ნაცვალსახელს ჩემ-ს აქვთ დაცული.**

შესაძლებელია 1 პ. ნიშნად კიდევ **ს** თანხმოვანიც მიგვეჩნია, რომელიც პირველ პირთან მახლობელობის გამომხატველს ჩვენებითს ნაცვალსახელს ესე-ში მოგვეპოვება, ამას რომ უკვე თავის ადგილას დასახელებული გარემოება, **ისი**-ს აღნიშნულობა, არ ასუსტებდეს და თითქმის სრულებით არ აქარწყლებდეს კი-დევაც.

B მხ. რ. 2 პ. ნაცვალსახელის ძირის საკითხი

2. პირის მხ. რ. ნაცვალსახელის ძირის შესახებაც, როგორც დავრწმუნდით, მკვლევართა შორის თანხმობა არა ჩანს. ქართ. **შენ**-ს მეგრ.-ჭან.-სვან. **სი** და **სინ** უდრის. მართალია, ამ ნაცვალსახელის ძირის მთლიანობა ყველა ბრუნვებში დაცული აქვს, მაგრამ სამაგიეროდ ზმნაში 2 პ. ნიშნად **შ**-ს მაგიერ **ხ** და **ჰ** გვაქვს. ზოგს მკვლევართაგანს ამ ორთაგან **ხ** მიაჩნია პირველადად, ზოგს **ჰ**, ზოგი-კი ფიქრობს, რომ ორივე იყო პარალელურად.

ვარ. თოფურიას ზემომოყვანილი მსჯავრი, რომ აკ. შანიძის დებუ-ლება სვანურში **ჰ**-ს პირველადობის შესახებ მხოლოდ ჰიპოთეზაა, შესაძლებე-ლია ქართულისათვისაც მარჯვე მსჯელობად იქმნეს მიჩნეული, რათგან აქაც დებულება, რომ ძველ ქართულში მეორე პ. სუბ. პრეფიქსად თავდაპირველად **ჰ**

იყო და მხოლოდ შემდეგ იქცა **ხ**-დ, მერმე-კი კვლავ **ჰ** გაჩნდა, აგრეთვე მარტო ჰიპოთეზად შეიძლება იქმნეს ცნობილი: უძველესი ძეგლებით მხოლოდ **ხ** არის 2 პ. თავსართად დადასტურებული და იმ აზრსაც, თითქოს **ხ**-ზე უწინარეს **ჰ** იყო, ქართულშიც ისევე სჭირდება ძეგლებით დამტკიცება, როგორც სვანურში.

ვ. თოფურიას საბუთიანობაც სვანურში **ჰ**-ს მე-2 პ. სუბ. თავსართობის **ხ**-ზე უწინარესობის დასამტკიცებლად არსებითად **ჰ**-ს ქართულში **ხ**-ზე უწინარესობის ჰიპოთეზაზეა დამყარებული. ასეთს მტკიცებას დამაჯერებლობა ვერ ექმნება.

მეგრულ-ჭანურში მეორე პირის სუბ. ნაცვალსახელოვანი თავსართის უქონლობის „ოდესმე გამოყენებული ან თეორიულად მოსალოდნელი **ჰ**- თავსართის“ იქ „უთუოდ“ არსებობის დებულებაც უფრო რწმენას მიაგავს, ვიდრე საბუთს. არაფრით ეს უთუობა დამტკიცებული არ არის, მაინცა და მაინც არაფრითგან არა ჩანს, რომ მეგრულ-ჭანურს **ხ** იმავე გზით არ შეეძლო მთლიანად დაეკარგა, როგორითაც ეს თავსართი ქართულში ხმოვნით დაწყებულს ზმნებს გაუქრათ..

ხოლო თუ სვანურს, ვითარცა პრექართულის „ნაყარსა“ და ერთ შტოთაგანს, „შეეძლო საერთო «ქონებიდან» წამოეღო **ჰ**-,“ რატომ არ შეეძლო მას ამავე უფლებით **ხ** დაემკვიდრებინა? მემკვიდრეობითი კუთვნილების თეორია არამც თუ **ჰ**-ს სვანურში უწინარესობის დასამტკიცებლად არ გამოდგება, არამედ სწორედ ეს მოსაზრებაა, რომ ამ დებულებას ყოველგვარ დამაჯერებელ ძალას უკარგავს. მართლადაც, ვთქვათ და წარმოვიდგინოთ, რომ სვანურმა მე-2 პ. სუბ. თავსართად სწორედ **ჰ** დაიმკვიდრა, როგორღა შეეძლო ეს ბგერა სვანურს შემდეგ **ხ**-დ ექცია, თუ-კი, თვით ვ. თოფურიასვე სამართლიანი განცხადებით, „სვანურში **ხ**-ს მიღება **ჰ**-საგან“ თურმე „იმდენ ეჭვს... იწვევს“, რომ **ჰ**-ს უწინარესობისა და მისგან **ხ** წარმოშობილობის დებულებისათვის „სწორედ ამაშია ფონეტიკური ხასიათის დაბრკოლებები“. ცხადია, რომ, რაკი მე-2 პ. სუბ. პრეფიქსად **ჰ**-ს ოდესმე არსებობა „ჯერ კიდევ სვანური მასალებით არ არის დამტკიცებული“ და იმავე დროს „სვანურში **ხ**-ს მიღება **ჰ**-საგან“ ძნელი დასაჯერებელია, მემკვიდრეობითი საკუთრების მოსაზრებას თუ დაემყარება მკვლევარი, ბუნებრივ დასკვნად შესაძლებელია მხოლოდ ამნაირი მიეღო: **ხ** მე-2 პ. სუბ. თავსართად პრექართულითგან უნდა ჰქონდეს შერჩენილი ისევე, როგორც ამავე თვისების მემკვიდრეობას უნდა წარმოადგენდეს **ხ** ძველ ქართულშიც, ანდა უნდა დაგვესკვნა, რომ სვანურს წინათ 2 პ. თავსართად რაღაც სხვა ბგერა ჰქონდა, **ხ**-კი მარტო ე. წ. ხანმეტობის ხანის შემდგომ გაუჩნდა ქართულის გავლენით.

დასასრულ, მხოლოდ ის საკითხი-ღა გვაქვს განსახილველი, თუ რამდენად სწორე დებულებაა, თითქოს ე. წ. „ხანმეტობა“ მარტო აღმ. საქართველოს მეტყველების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდეს და თითქოს დას. საქართველოში, მეგრულსა და ჭანურში ხანიანობის ოდესმე არსებობის არავითარი საბუთი და კვალიც-კი არ მოგვეპოვებოდეს.

სვ. ჯანაშიამ აღნიშნა, რომ თანამედროვე ქართულში საკუთარ სახელად შერჩენილია „**ხახარე**“. გუდამაყრულ ერთ ლექსში ერთი გმირის შესახებ ნათქვამია: „ხახარემ ნახა სიზმარი, სიზმარი იყო მკრიანი“-ო. ეს „**ხახარე**“ საკუთარ

სახელად თურმე ქართლში სოფ. ღვარებშიაც იხმარება. სვ. ჯანაშიას სამართლიანი აზრით, „**ხახარე** უნდა გავებულ იქნას, როგორც **ხარება** ზმნის მოთხრობითი ან ბრძანებითი კილოს ფორმა. პირველ შემთხვევაში **ხა**ნს ექნება როგორც მეორე პირის სუბიექტური, ისევე მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის მნიშვნელობა, მეორე შემთხვევაში-კი მხოლოდ მესამე პირის ობიექტურისა. ორსავე შემთხვევაში მისი პრეფიქსული ბუნება ნათელია" („კიდევ ერთი ნაშთი ხანმეტობისა თანამედროვე ქართულში", იხ. ქართ. საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული I—II წ., 1923—1924 წ.წ. გვ. 117—118). სვ. ჯანაშიას ეს საგულისხმო დაკვირვება ხანმეტობის არსებობის ნაშთის შესახებ აღმოსავლეთ საქართველოს ეხება, სადაც ხანმეტობის არსებობა ისედაც უცილობელ ფაქტად არის ცნობილი.

ამაზე უფრო მეტი მნიშვნელობა იმ ფაქტს აქვს, რომელიც საშვალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ, იყო, თუ არა, ხანმეტობა მართლაც მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს დამახასიათებელი ენობრივი მოვლენა, დასავლეთ საქართველოსათვის-კი, მაგ. იმერეთისა და სამეგრელოსათვის, სრულებით უცხო და უცნობი იყო. ამ საკითხის გადაწყვეტის საშუალებას ერთი მხრით სვანური გვაძლევს, რომელსაც **ხ**-ანიანობა საუცხოვოდ აქვს დაცული. უკვე ეს გარემოება იმ დებულებას, თითქოს **ხ**-ანიანობა მხოლოდ ლიხთამერეთისა და აღმ. საქართველოს თავისებურება ყოფილიყოს, არღვევს. მაგრამ მეგრულს რომ არ უჩანს, განა ამას-კი ანგარიში არ უნდა გაეწიოს?

უეჭველია, რომ ეს საკითხიც უნდა გაშუქებული იყოს. მართალია მეგრულს ეხლა არა აქვს, მაგრამ წინათ რომ მეგრულსაც ჰქონია, ამის გამორკვევის საშუალებას საცაიშლოს გამოსავლის დავთარი გვაძლევს, რომელიც მე-XVII ს. დამდეგს არის შედგენილი და სადაც გადასახადის გამომღებ მეკომურთა შორის დასახელებულნი არიან „**კუტუ ხახარია**" (გვ. 5) და **კუკურია ხახარია**" (გვ. 6).

„**ხანმეტობა**", ანუ **ხ**-ანიანობა რომ მეგრულსაც ჰქონია, ამას უქმე დღის მეგრული ტერმინი „**დღახუ**"-ც ცხადჰყოფს, რათგან ეს სიტყვა ეუჭველია ორი ნაწილისაგან შესდგება, რომლის პირველ ნაწილს **დღა**, დღე, წარმოადგენს, მეორეს-კი **ხუ**. ეს მეორე ნაწილი **ხუქვი**-ს, ანუ **ხუქმი**-ს, ე. ი. **უქმი**-ს ნაშთია. მთლიანად ეს სიტყვა იქნებოდა **დღახუქმი**, ე. ი. დღეუქმი და ისევეა ნაწარმოები, როგორც **დღესასწაული**. შემდეგში, დროთა განმავლობაში მას, პირველ მარცვალზე მყოფი მახვილის გავლენით, ბოლოკიდური მარცვალი ჩამოცლილი აქვს და ეს ტერმინი **დღახუ**-დ არის ქცეული.

რაკი 2 პირის ზმნის თავსართად **ჰ**-ს **ხ**-ზე უწინარესობა არც ძეგლებით არის დადასტურებული და სვანურში ასეთი (**ჰ**-ს **ხ**-დ) შენაცვლება არც ფონეტიკურად შეიძლება გამართლებული იყოს, ძველი ქართულისათვის ჯერ **ჰ**-ს არსებობის, შემდეგ მისი **ხ**-დ ქცევის და მერმე ამ უკანასკნელის კვლავ **ჰ**-დ შენაცვლების დებულება მეტად რთული და ხელოვნური თეორიაა, რომ მისი დაჯერება შეიძლებოდეს, აჭარულს კილოში, მეგრულშიც, როგორც დავრწმუნდით, ე. წ. ხანმეტობის ოდინდელი კვალი მაინც შერჩენილი გვქონია, ამიტომ **2 პ. ნაცვალსახელოვან პირვანდელ თავსართად ხ უნდა იქმნეს ცნობილი.**

მაგრამ 2 პ. ნაცვალსახელს რომ ძირად შ ბგერა აქვს, ზმნაში-კი ამავე პირის ნიშნად სუბიექტისათვის **ს** თავსართია, ობიექტისათვის-კი გ? ამიტომ ესლა უკვე გამოსარკვევი გვაქვს, თუ რომელი ამ ორ ს და შ თანხმოვანთაგანი უნდა ყოფილიყო თავდაპირველი და რომელი მერმინდელი შენაცვლების შედეგს უნდა წარმოადგენდეს. ეს საკითხი შესაძლებელია მხოლოდ ქართულ ნიადაგზეც იყოს განხილული და შედარებითი გზითაც. უკანასკნელს საშუალებაზე დამყარება ამჟამად, სანამ ჩრდილო-კავკასიის სინდურ-დილდურ ლეგური ენების ნაცვალსახელები მორფოგრაფიულად განხილული არა გვაქვს, მიზანშეწონილი არ იქნებოდა, ამიტომაც ამ საკითხის გადაწყვეტა აქ ჯერ მხოლოდ ქართულ-ქართველურის თვალსაზრისით უნდა ვცადოთ. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ფონეტიკას აქვს. **ქართულ-ქართველური ბგერათა შენაცვლების წესის მიხედვით-კი ს უნდა იქმნეს პირველადად მიჩნეული, შ-კი შესაძლებელია მისი მხოლოდ მერმინდელი შენაცვლების შედეგი იყოს.** ასეთი დასკვნა იმაზეა დამყარებული, რომ **ს**-ს შ-დ შენაცვლების მაგალითები-კი მოგვეპოვება (მაგ. **ფსოვი, ფსოელი** (ძველი) — **ფშავი, ფშაველი** (მერმინდ.),- **ოხენაფუ, ოხვენაფუ** (ჭან.) — **აშენება**,- **ხვარა** (მეგ.)— **შველა**,- **ხუალა** (მეგ.) — **მოშლა**,- **ხუალა, ხალა** (მეგ.) — **შობა** და სხვ.,) წინაუკმო შენაცვლების შემთხვევა კი არა გვაქვს.

მაშასადამე, ყოველგვარი მოსაზრებით მხ. რ. 2 პ. ნაცვალსახელის ძირად უნდა ს იქმნეს ცნობილი.

C. მხ. რ. 3 პირის ნაცვალსახელის საკითხი

დებულება, რომ მესამე პირის სუბ. ნიშანი ძველ ქართულშიცა და დანარჩენ ქართველურებშიც **ნ** იყო და ნაწილობრივ უკანასკნელებში ეხლაც შერჩენილი არის, სრულებით სამართლიანი და სწორეა. უეჭველია სვანური ლ მხოლოდ მისსავე შენაცვლებას წარმოადგენს. სათუო და ძნელი დასაჯერებელია მხოლოდ, რომ მესამე პირის სუბ. ეს **ნ** ნიშანი პრექართულსაც ამ სახითვე ამავე დანიშნულებისათვის ჰქონოდეს.

როგორც თავის ადგილას აღნიშნული იყო, მესამე პ. სუბ. ნიშანი მხოლოდ სვანურს-ღა, იმასაც მარტო ხუთიოდე შემთხვევაში, აქვს თავსართად შერჩენილი, ძვ. ქართულსა და მეგრულ-ჭანურში-კი **ნ** მხოლოდ ბოლოსართად გვხვდება. 1 და 2 პირის სუბ. ნიშნების მარტოდენ თავსართად ხმარების ურყევი წესი ქართულსა და ქართველურებში სრული სიცხადით ამტკიცებს, რომ სვანურს თავისი ლ თავსართის მესამე პირის სუბ. ნიშნად ხმარების წესი ქართულსა და მეგრულ-ჭანურზე უფრო უძველესი სახით უნდა ჰქონდეს დაცული. **წინათ ზოგადს ქართულსა და ქართველურებსაც 3 პირის ნ ნიშანი თავსართად ექმნებოდათ და მისი ბოლოსართობა საერთოდ ამ ენოვან ერთეულებში მხოლოდ მერმინდელს ხანაში შეჭრილი ცვლილების შედეგი და წარმოების წესის ანარეკლი უნდა იყოს.** მაგრამ **თავსართის სახითაც ნ შეუძლებელია თავდაპირველად ისევე ზოგადად მხოლოდ მესამე პირის სუბიექტისა და თანაც სწორედ ნაცვალსახელოვანი ნიშანი ყოფილიყო.** ამის დასარწმუნებლად საკმარისია

თუნდაც მარტო ის გარემოებაც გავიხსენოთ, რომელიც უკვე წინა კარში გვქონდა გამორკვეული, სახელდობრ, რომ **ნ** თავდაპირველად ქართულში მდედრობითი სქესის თავსართი იყო: ამავე დროს რომ **ნ** მესამე პირის სუბ. ნაცვალსახელოვანი ნიშანი და სწორედ თავსართივე ყოფილიყო, მაშინ ხომ სქესისა და პირის გარჩევა შეუძლებელი იქმნებოდა.

სვანურის მსგავსად, **აფხაზურსაც**, როგორც დავრწმუნდებით, მესამე პირის სუბ. ნაცვალსახელი ლ-ძირიანი **ლარა** აქვს, **მაგრამ საყურადღებოა**, რომ იქაც ეს სიტყვა მესამე პირის ზოგადი, სქესისდა განურჩევლად ყველასთვის განკუთვნილი, ნაცვალსახელი-კი არ არის, არამედ **მხოლოდ მდედრობით სქესზე ითქმის და მარტო მისი აღმნიშვნელია.**

ყველა ზემოაღნიშნული ცხად-ჰყოფს რომ **ნ თავდაპირველად მესამე პირის ნაცვალსახელი-კი არა, არამედ მხოლოდ მდედრ. სქესის ნიშანი უნდა ყოფილიყო** და რომ მარტო მას შემდგომ, როდესაც ქართულმა და ქართველურებმა გრამატიკული სქეს-კატეგორიები სრულებით დაკარგეს, ენის ახალი აღნაგობის პროცესის ხანაში მდედრ. სქესის **ნ** ნიშანი და თავსართი, მომავალში გამოსარკვევი მიზეზების გამო, მესამე პირის ზოგად სუბიექტურ ჯერ თავსართად, ხოლო შემდეგ ბოლოსართად ქცეულა.

Д. მრავლობითი რიცხვის

ნაცვალსახელების ძირების საკითხი

პირთა ნაცვალსახელების მრ. რ. ფორმები 1 და 2 პირისათვის-კი მხ. რ. ფორმებისაგან განსხვავებული **ჩვენ** და **თქუენ** ფორმები მოეპოვებათ, მაგრამ 3 პ. მრ. რ. ფორმა ისევე, როგორც ჩვენებითისა და ყველა დანარჩენი ნაცვალსახელების ასეთივე ფორმები მხ. რ. ფორმისაგან არის მრ. რ. **ნი** ბოლოსართით ნაწარმოები. რაკი გამოირკვა, რომ **ჩუენ**-ის **ჩ** ბგერა 1 პ. ნაცვალსახელის ოდინდელ ძირად არის მისაჩნევი, რომლის ანარეკლი 1 პ. მხ. რ. ნაცვალსახელის ნათ. და მოქმ. ბრუნვებშიც გვქონდა დაცული, ამიტომაც შესაძლებელია მრ. რ. ფორმაც **ჩუენ** მხ. რ. ფორმისა და მრ. რ. ნიშნისაგან ნაწარმოებად მიგვეჩნია. ეს მოსაზრება რომ მართალი გამომდგარიყო, მაშინ **ჩუენ**-ის გამოყენებაც შეიძლებოდა იმ მოსაზრების დასასაბუთებლად, რომ თავდაპირველად პირთა ნაც. მრ. რ. განსაკუთრებული ფორმები კი არ იყო, არამედ მხ. რ.-საგან მრავლობითობის ბოლოსართით ნაწარმოები ფორმები არსებობდა, მაგრამ **ენ**, როგორც ვიცით, მხ. რ. ნაცვალსახელებსაც მოეპოვებათ და **ნ**-ს იქ მრ. რ. ნიშნად მიჩნევისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს.

ამასვე მრ. რ. 2 პ. ნაცვალსახელი **თქუენ**-ც ამტკიცებს, რათგან **თქ** 2 პ. მხ. რ. ნაცვალსახელის ელემენტად არც ქართულსა და არც ქართველურებში არა ჩანს. მაშასადამე აქ მაინც შეუძლებელია **ენ** მრ. რ. ნიშანი იყოს.

თუ მრ. რ. 1 პ. სუბიექტური ნაცვალსახელი **ჩუენ** ძირეული ბგერით ამავე პირის მხ. რ. ნათ. ბრუნვის პირველ თანხმოვანს კარგად უდგება და უკავშირდება, პირიქით 2 პ. მრ. რ. ნაცვალსახელი, **თქუენ** სრულებით განმარტოვებულია და მას არავითარი ნაცვალსახელოვანი ბგერითი ელემენტი არ მოეპოვება.

პირთა ნაცვალსახელებისათვის ქართველურ ენებში მრ. რ. საგანგებო, ცალკეული ფორმები მოიპოვებოდა, თუ არა, და ამის მაგიერ მხ. რ. ფორმების მარტო მრ. რ. ფორმანტები ჰქონდა, თუ არა, დართული, ამ საკითხის გასაშუქებლად შესაძლებელია სუბიექტური ნაცვალსახელოვანი თავსართების ზმნაში ხმარების წესიც იქმნეს გამოყენებული. ცნობილია, რომ სუბ. თავსართები ქართ. ზმნას მარტო მხ. რიცხვისათვის მოეპოვება, მრ. რიცხვის გამოსახატავად-კი მხ. რ. ზმნის იმავე ფორმებს ბოლოში მრავლობითობის გამომხატველი ნიშანი ერთვის ხოლმე. ამ მხრით ერთად-ერთს გამონაკლისს ობიექტური თავსართთაგანაც მხოლოდ 1 პ. მრ. რ. ორი ობიექტური თავსართის ორი განსხვავებული ფორმის, **მ** და **გუ**-ს არსებობა წარმოადგენს. მაგრამ **მ** თავსართი თავისდა-თავად მხოლოდ იმ შემთხვევაშია ხოლმე მრავლობითობის გამომხატველი, თუ ზმნას მისიანს ფორმას წინ 1 პ. მრ. რ. ნაცვალსახელი **ჩვენ** მიუძღვის, **გუ** პრეფიქსი-კი თავისდა თავადაც უკვე ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელია, მაგრამ მხოლოდ მე და **შენს**, ანდა მე და **თქვენს** ჰგულისხმობს. 1 პ. ობიექტის მრავლობითობის გამოხატვის ასეთი ორმაგი წესი მარტო უძველეს ძეგლებში გვხვდება, შემდეგში-კი ნიშნად მხოლოდ **გვ**-ღა რჩება. მხ. რიცხვისაგან განსხვავებული ნიშნის არსებობის გამო, მრ. რ. 1 პ. ზმნის ობიექტურს ფორმას ბოლოში მრავლობითობის ნიშნის დართვა არ სჭირდება.

ზემომოყვანილი მიმოხილვა დაგვარწმუნებდა, რომ ზმნის მრ. რ. 1 პ. **გუ** ანდა **გვ** თავსართები ორი ელემენტისაგან (გ+უ) შედგენილად ითვლება, რომელთაგან **გ** 2 პ., ხოლო **უ**, ანდა **ვ** 1 პ. ნიშნად არის მიჩნეული. იქვე აღნიშნული იყო ის ფონეტიკური დაბრკოლება, რომელიც, ვ. თოფურიას სიტყვით, ამ მოსაზრებას სვანურში ეღობება წინ, მაგრამ რომლის გადალახვაც, ამავე მეცნიერის აზრით. მაინც შესაძლებელია. აქ უკვე დროა ამ საკითხის არსებითად განხილვას შევუდგეთ.

მთავარ სიძნელეს და გადაულახავ დაბრკოლებას მარტო **გ**-კი არ წარმოადგენს, არამედ **უ**, **ვ**, რომელიც ყველა ქართველურში ობიექტური-კი არა, არამედ სწორედ სუბიექტური ნიშანია. ისე გამოდის, თითქოს **გუ** მეორე პირის ობიექტური და პირველი პირის სუბიექტური ნიშნების კომპლექსი, შენაერთები გვქონდეს და, ამისდა მიუხედავად, ასეთი ნაკრები 1 პ. მრ. რ. ობიექტურ ნიშნად იყოს ქცეული. მართალია **გვ** ზოგადს ქართულში ასეთივე დანიშნულების მქონებელი თავსართია, მაგრამ ეს საკითხის სირთულეს არაფერს შველის. ცნობილია, რომ მრ. რ. 2 და 3 პირის ობიექტურს წყობას განსაკუთრებული თავსართები არ მოეპოვება, არამედ მხ. რ. თავსართებივე აქვს გამოყენებული და ზმნის ფორმის ბოლოში მიმატებული მრ. რ. ბოლოსართებით გამოიხატება ხოლმე. ასევეა მეგრულსა და ჭანურშიც. ამ მხრივ ერთად-ერთს გამონაკლისს ქართულის 1 პ. მრ. რ. ობიექტური ფორმა წარმოადგენს, რომელსაც ბოლოში დართული მრავლობითობის -თ ნიშნის მაგიერ, განსაკუთრებული, მხ. რ.-ისაგან სრულებით განსხვავებული აგებულების, **გვ** თავსართი აქვს, სადაც უცნაურად და შეუსაბამოდ 2 პირის ობიექტ. თავსართი **გ** 1 პ. სუბიექტურ თავსართ **ვ**-სთანაა შეერთებული იმ დროს, როდესაც 1 პირიც ამ შემთხვევაში სუბიექტი-კი არა, არამედ ობიექტია. მეგრულსა და ჭანურში მრ. რ. 1 პირსაც,

მეორე და მესამე პირების მსგავსად, იგივე თავსართი აქვს, რაც მხ. რ. და ბოლოშიც ამნაირადვე მრ. რ. ნიშანი ერთვის. ქართულს წარმოების პრინციპის ერთგვარობა დარღვეული აქვს.

ვ. თოფურიას გუ-ს ჟ პირველად მ-საგან წარმომდგარად მიაჩნია (სვ. ე. I, 26). სვანურში ამის დაჯერებისათვის ნაკლები საფუძველი არსებობს, რამდენადაც თვით ჩვენს მკვლევარს აქვს აღნიშნული, რომ სვანურში, კერძოდ ლენტეხურში, საარვისო ქცევის ფორმებში გ-ხმოვნით დაწყებულ ფუძეთა წინ 1 პ. მხ. რ. ჟ თავსართი მ-დ არის შენაცვლებული (სვ. ე. I, 7). მით უმეტეს ვ-ს 1 პ. ობიექტურ ნიშნად ქცევის მაგალითი ქართულს, მეგრულსა და ჭანურში წარმოუდგენელია. ამიტომაც გვ-ში ვ-ს ასეთი ბუნება დაუჯერებელია.

მაგრამ მეგრულსა და ჭანურს ხომ ობიექტურს წყობაში ნაცვალსახელოვანი თავსართების მხრივ სამივე პირისათვის მრ. რ.-ში წარმოების ერთი-და-იგივე წესი აქვს დაცული და მრ. რ. 1 პირის ობიექტურ თავსართად იგივე ბგერაა, რომელიც მხ. რ.-შია, ობიექტის მრავლობითობა-კი მხ. რ. ზმნის ფორმის ბოლოში დართული მრ. რ. ნიშნით გამოიხატება. ა რ. ჩიქობავას სამართლიანად აქვს აღნიშნული, რომ „ამ მხრივ ქართულში პირველი პირის წარმოება განმარტოებით დგას" (ჭან. გრ. ანალ., გვ. 102), მაგრამ სამაგიეროდ, მას ზურგს სვანური უმაგრებს.

ყველა ზემოდასახელებული გარემოება ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ პირთა ნაცვალსახელოვანი თავსართები ორივე რიცხვისათვის თითქოს საერთო უნდა ყოფილიყო და მრავლობითობა სათანადო საერთო ბოლოსართით ყოფილა გამოხატული.

ხოლო, რაკი პირველი პირის მრ. რ. ობიექტ. ინკლუზ. და ექსკლუზ. თავსართები არსებითად ობიექტთა ორ ჯგუფს ჰგულისხმობს, ამდენად ისინი უფრო წყვილობითი რიცხვის, ვიდრე მრ. რ-ს ნაშთს უნდა წარმოადგენდეს.

E. კუთვნილებითი ნაცვალსახელები

ეხლა რომ კუთვნილებითი სახელების განხილვაზე გადავიდეთ, ქართული, მეგრული და ჭანური 1 პირის მხ. რიცხვის ასეთი სახელები პირთა სახელებისაგან ფუძითაც განსხვავებულები არიან: **მე — ჩემი**, **მა — ჩქიმი**, **მა — ჩქიმი**, ანდა **შქიმი**. ყველა ამ ფორმებში სახელობითი ბრუნვის ძირეული **მ** ბგერის წინ **ჩ**, ანდა მისი მეგრ.-ჭანური ფონეტიკური შესატყვისობა ჩნდება. ცხადია, რომ ეს **ჩ** ისტორიულ ხანაში არას გზით ნათ. ბრუნვის ნიშნად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული, იმისდა მიუხედავად, რომ **ჩემი**, **ჩქიმი** და **შქიმი** მე და მა-ს ნათ. ბრუნვად არის აღქმული და ქცეული, რათგან ამ ბრუნვისათვის არც ასეთი ნიშანი მოგვეპოვება და არც თავში ისმის იგი, არამედ აქ **ჩ** სწორედ პირველი პირისადმი მიკუთვნილების ცნების გამომხატველ ელემენტად მოჩანს.

ქართულ-მეგრულ-ჭანური 1 პ. კუთვნილებითი ნაცვალსახელისაგან თვალსაჩინოდ განსხვავებული აგებულება აქვს ამავე და მეორე პირის სვანურს კუთვნილებითს ნაცვალსახელებს. უკვე ის გარემოებაა საყურადღებო, რომ 1 პ. ფორმას თავში იგივე **მ** ბგერა აქვს, რომელიც ამ პირის ცალკეულ ნაცვალსახელს **მი**-ს ძირად უჩანს.

მიმოხილვაში თავის ადგილას მოყვანილი გვქონდა ვ. თოფურიას ანალიზი სვანური კუთვნილებითი ნაცვალსახელების აღნაგობის გამოსარკვევად და მაშინ დავრწმუნდით, რომ ის ამ ფორმებს ასე ჰყოფს: ჩემი **მი-შგუ-ი**, ჩვენი —**გუ-შგუ-ეჲ** და **ნი-შგუ-ეჲ**. ამ ანალიზსა და განმარტებას არა ერთი დამაფიქრებელი მოსაზრება ელობება წინ. პირველი: თუ ყველა კუთვნილებითი ნაცვალსახელების ადრინდელ ფორმად ***ი შგუ**. ანდა **იშგუ-ი** არის მისაჩნევი, რა უნივერსალური, საერთო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მას? მეორე და ყველაზე უფრო დამაბრკოლებელი გარემოება ის გახლავთ, რომ მრ. რ. 1 პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის **მიშგუი**-სა და **ნიშგუეჲ**-ს აგებულების განმარტებაში შგუ-ზე ნათქვამია: იგივე ძირია, რომელიც გვხვდება **ჩემი**-ს გამომხატველ **მიშგუი**-ში, სახელდობრ, რომ ეს **შგუ** „ეკვივალენტია ქართული **ჩვ** (**ჩუ**)" ელემენტისაო. გაუგებარი ხდება, თუ როგორ უნდა იყოს ავტორის თვალსაზრისით **ჩემი**-ს, ე. ი. მხ. რ. 1 პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის **შგუ** ამავე პირის მრ. რ. ფორმის ქართულ **ჩვ** (**ჩუ**) ელემენტისა? ქართულ **ჩვ** პირის გამომხატველი ჩანს და თუ სვანური **შგუ** უდრის **ჩვ**-ს, ანდა **ჩუ**-ს, მაშინ ისიც, **შგუ**-ც პირის გამომხატველი ყოფილა. ამნაირად გამოდის, რომ, ან **შგუ**-ს ორი სხვა-და-სხვა მნიშვნელობა და დანიშნულება უნდა ჰქონოდა, როდესაც მეორე მნიშვნელობაცა და დანიშნულებაც გამოურკვეველია,—ანდა უნდა ვიფიქროთ, რომ სვანურს კუთვნილებითს ნაცვალსახელებს პირის ორმაგი გამომხატველი ჰქონდა, ერთი მხრით **მ**, **გუ** და **ნ**, მეორე მხრით-კი **შგუ**.

სვანური კუთვნილებითი სახელების აღნაგობის გამოსარკვევად ის გარემოებაა საყურადღებო, რომ, თუ **მე** სვანურად **მი**-ა, **ჩემი** იქნება **მიშგუ**, ანდა **მიშგუი** და ამნაირადვე **ჩვენ** არის **ნა** (**მე** და **ის**, ან **ისინი**), ხოლო **ჩვენი**—**ნიშგუეჲ**, ანდა **ნიშგუ**. ორსავე შემთხვევაში კუთვნილებითს ნაცვალსახელს თავში პირის ნაცვალსახელის ბგერა **მ** და **ნ** სრულად დაცული აქვს. მეორე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის ორივე რიცხვის ფორმა-კი ამ მხრივ განსხვავდება: **შენ** არის **სი**, ხოლო **შენი**—**ისგუი**, ანდა **ისგუ** და **თქვენ**-ც არის **სგაჲ**, ხოლო **თქვენი**—**ისგუე**, **ისგუეჲ**, **ისგე**-ც-კი. პირველი პირის ანალოგიით მოსალოდნელი იყო, რომ **შენი** სვანურად **სისგუი** და **თქვენი** **სგისგუეჲ** ყოფილიყო, მაგრამ არც ერთს მათგანს თავკიდური თანხმოვანი **ს** და **სგ** არა აქვს. საფიქრებელია, რომ ეს ამ თავკიდური ბგერების დროთა განმავლობაში ჩამოცილების შედეგი უნდა იყოს და აქაც თავდაპირველად სწორედ სრული ფორმები უნდა ყოფილიყო.

1 და 2 პირის კუთვნილებითს ნაცვალსახელებს საერთო კუთვნილებად მხოლოდ ბოლოკიდური მარცვალი **გუეჲ**, ანდა **გუ** აქვთ და სწორედ ის შეიძლება შეუმცდარად ცალკეულ ნაწილად იქმნეს გამოყოფილი. ამ ელემენტის გამოყოფის შემდგომ, **ჩემი**-საგან **მიშ**, ხოლო **ჩვენი**-საგან (მე და მისი, ან მათი) **ნიშ** ღა დაგვრჩება. თავისდა-თავად იბადება აზრი, რომ ორსავე შემთხვევაში, როგორც ნ. მარრიც ფიქრობდა, 1 პირის ნაცვალსახელის მხ. და მრ. რ. ფორმის ნათესაობითი ბრუნვა გვაქვს და ბოლოკიდური **შ** აქ სწორედ ამ ბრუნვის ნიშანია. ამნაირადვე 2 პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის **გუე**, ან **გუ**-ჩამოცლილი ნაწილი **ის** თავდაპირველად **სიშ** (მხ. რ.) და **სგიშ** (მრ. რ.

უნდა ყოფილიყო. შემდეგ-კი მეორე პირის ორივე რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის სრული ფორმები პროგრესიული ასიმილაციის გზით სის-ად და სგის-ად უნდა იყოს ქცეული, ხოლო სულ ბოლოს მათ თავკიდური თანხმოვნების ს და სგ უნდა ჰქონდეთ ჩამოცლილი.

სვანური კუთვნილებითი 1 და 2 პირის ორივე რიცხვის ნაცვალსახელების მეორე ნაწილი რომ შგუეჲ-კი არა, არამედ გუეჲ არის, ისევე, როგორც ის საყურადღებო გარემოება, რომ იგი სრულებით მხოლოდ კუთვნილებითს ნაცვალსახელებთან არ არის დაკავშირებული, ეს, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, შესაძლებელია შედარებითი გზით სრული სიცხადით დამტკიცდეს.

დასკვნა

ქართულ-ქართველური ნაცვალსახელების ანალიზმა მათი აღნაგობისა და შემადგენელი ნაწილების თითქმის სრული იგივეობა გამოამჟღავნა. ამასთანავე გამოირკვა, რომ ვ, მ და ნ ბგერები, რომელნიც ჩვენ წინათ ნაცვალსახელების ძირებად მიგვაჩნდა, არახგზით ასეთ ოდენობად მისაჩნევი არ არის, არამედ ისინი გრამატიკული სქეს-კატეგორიების ოდინდელი ნიშნების ნაშთს უნდა წარმოადგენდნენ. მაშასადამე, ქართულ-ქართველური ნაცვალსახელების მთელი მარაგი სხვა-და-სხვა თვისებისა და წარმოშობილობისა ყოფილა და, სწორედ ეს გარემოებაა, რომ ნაცვალსახელების ძირების ნაირნაირობის შთაბეჭდილებას ჰქმნის.

ნაცვალსახელების აგებულების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ცალკეული ნაცვალსახელების ბოლოკიდური არც ნ, ნა, ენ და არც მ მრ. რ. ნიშნებად მისაჩნევი არ ყოფილა. ხოლო 3 პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელის ანალიზმა ცხად-ჰყო, რომ ნაცვალსახელებში უკუქცევითი ნაცვალსახელების ელემენტებიც არის შერწყმული.

მაშასადამე, ნაცვალსახელების აღნაგობისა და შემადგენელი ნაწილების სირთულე და სხვადასხვაობა მკვლევარს კარგად უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული და ახსოვდეს, რომ შესაძლებელია იქ ყველაფერი ნაცვალსახელოვანი წარმოშობისა არ იყოს.

II. სინდური ენების ნაცვალსახელები

სინდური ენების ნაცვალსახელები შედარებითად დ ჰ მ ე ზ ი ლ ს აქვს შესწავლილი თავის გამოკვლევაში (Études comparatives etc. გვ. 105—121), ცალკეული ენათაგანისა-კი სათანადო გრამატიკებშია აღწერილი. ჩვეულებრივ აქ დასახული ამოცანა პრაქტიკულს მიზანს არ სცილდება და ნაცვალსახელების აღნაგობაზე მხოლოდ იმდენად არის ხოლმე საუბარი, რამდენადაც მათ გასაგებად ეს აუცილებლად საჭიროა.

თავი პირველი. აფხაზური ნაცვალსახელები

აფხაზური ორი დიალექტის ნაცვალსახელების მე-XVIII ს. ჩანაწერიც მოგვეპოება და მე-XIX—XX ს. ფორმებიც არის უ ს ლ ა რ ი ს, ნ. მ ა რ რ ი ს,

და დ. გ უ ლ ი ა ს ნაშრომებში აღბეჭდილი. არც ერთს ამ ავტორთაგანს გ ჱ ლ-დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ნაშრომში დაცული ცნობები არ გამოუყენებია, დ ჳ მ ე ზ ი ლ-ს ა ც მათთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. ჩვენ-კი ამ შემთხვევაშიც აუცილებლად საჭიროდ მიგვაჩნია, რომ, ამ ჩანაწერებში შეპარული ზოგიერთი შეცდომისდა მიუხედავად, მცდარი ადგილების შესწორების შემდგომ, მე-XVIII ს. ეს მასალები აბხაზური და სხვათა ნაცვალსახელების შესწავლისა და ანალიზის დროს ყოველმხრივ გამოყენებული იყოს. ამიტომაც ჯერ აბხაზურს ძველსა და თანამედროვე ნაცვალსახელებს გადავავლოთ თვალი.

§ 1. აბხაზური ნაცვალსახელები მე-XVIII ს. და ეხლა

ნაცვალსახელები სამხრეთ-დასავლურ (კუშ-ჰასიპ) აბსაზურად მე-XVIII ს.

Ich მე—სერა Sera
Mein ჩემი —სერა Sera
Du შენ—უარა Uara
Er ის[1]—ურუთუჰაშუ Urutuhashu
Wer ვინ—დასუდა Dasuda
Wessen ვისი—ისპუტა Jsputa

Wir ჩვენ—შერდა Scherda
Unser ჩვენი—ჰარეხთუ Harechtu
Ihr თქვენ—აენტ A'nt
Euer თქვენი—შიშტუ Schischtu

(I. A. Güldenstädt. Reisen II, 527—528)

ნაცვალსახელები ჩრდილო-აღმოსავლურ (ალთეკესეკ) აბხაზურად მე-XVIII ს.

Ich მე—სერა Sera
Mein ჩემი—სერისბუ Serisbu
Du შენ—უარა Uara
Er ის—აუჯაბ—Aujab
Sein მისი—სისტუ Sistu[2]
Wer ვინ—დასუდა Basuda
Wessen ვისი—ისდუდა Isduda

Wir ჩვენ—ჰარჰაბ Harhab
Unser ჩვენი—ჰარეხცუ Harechzu
Ihr თქვენ—აუათ Auat
Euer თქვენი—შიშცუ Schischzu

(I. A. Güldenstädt. Reisen II, 527—528).

სამხრეთ-დასავლური				ჩრდილო-აღმოსავლური	
Hieher	აქ. აქეთ:	Arech	არეხ	Arech	არეხ
Dorthin	იქ იქით:	Auech[3]	ანეხ	Auech[3]	ანეხ
Was	რა	Ischirpi	იშირპი	Esetzia	ეზეწია
Ja	ჰო	Osa	ოზა	Esetzia	ეზეწია

(I. A. Güldenstädt. Reisen II, 528)

[1] შეცდომაა: თითონ ისინი-ს აღმნიშვნელია.
[2] შეცდომაა: ჩემ საკუთარ-ს ნიშნავს (იხ. ქვემოთ).
[3] Auech კორექტ. შეცდომა უნდა იყოს Anech-ის მაგიერ.

თანამედროვე აბხაზური პირთა ნაცვალსახელები

1. მე სარა́	ჰარა́ ჩვენ
2. შენ—უარა́ (მამაკაცს), ბარა́ (დედაკაცს)	შ꙳არა́ თქვენ
3. ის—უი́ (სამივე სქესისათვის)	ურთ } ისინი
იგი—ლარა́ (მდედრ. სქ.)	დარა́ } ისინი
„ —ძარა́ (მამრ. სქ.)	

ნაცვალსახელოვანი ნიშნები

ჩემი მამა —სარა́ საბ, ან საბ
შენი „ —უარა́ უაბ, ან უაბ
შენი (ქალო)„—ბარა́ ბაბ, ან ბაბ
მისი „ —უი́ ძაბ, ან ძაბ
მისი (ქალის) მამა—ლარა́ ლაბ, ან ლაბ
ჩვენი მამა — ჰარა́ ჰაბ, ან ჰაბ
თქვენი მამა --შ꙳არა́ შ꙳აბ, ან შ꙳აბ
მათი მამა —ურთ რაბ, ან რაბ

ნაცვალსახელოვანი თავსართები

	მხ. რ.	მრ. რ.
1 პ.	ს	ჰ
2	უ̂, ბ	შ꙳
3 „	ძ, ლ	რ

(უ ს ლ ა რ ი ს აბ. ე., 16 § 60 და 61)

კუთვნილებითი ნაცვალსახელების მაგიერ თანამედროვე აუხაზურს, როგორც ეს ზემომოყვანილი მაგალითებიდგანაც ჩანს, პირთა ნაცვალსახელების ნიშნები აქვს თავსართებად გამოყენებული და ამას გარდა ცალკეული წარმოებაც მოეპოება. ეს ცალკეული კუთვნილებითი ნაცვალსახელები იმავე პირთა ნაცვალსახელოვანი თავსართებისა და ატიჯ-საგან არიან შედგენილი. ატიჯ საკუთრებას ნიშნავს. კუთვნილებითი ნაცვალსახელების შედგენისას ა ართრონი, რასაკვირველია, ქრება და ამნაირად ჩემი იქნება სტიჯ.

შენი — უტიჯ (მამრ. სქ.), ბტიჯ (მდედრ. სქ.)
მისი — იტიჯ (მამრ. სქ.) ლტიჯ (მდედრ. სქ.)
ატიჯ (მამრ. სქ.)
ჩვენი — ჰტიჯ
თქვენი — შ꙳ტიჯ
მათი — რტიჯ, ანდა ტიჯ

(უსლ. აბ. ე., § 62 და აბ. ე., 17—18).

უკუქცევითი ნაცვალსახელების გამოსახატავად აბხაზური პირთა ნაცვალსახელოვან თავსართებისა და თითონ-ის აღმნიშვნელი ხათა́-ს შერწყმულს

ფორმებს ხმარობს. იმიტომაც აბხაზური უკუქცევითი ნაცვალსახელების შემდეგი ფორმები არსებობს.:

მე თითონ —სკათá

შენ თითონ —უკათá (მამრ. სქ.), **ბკათá** (მდედრ. სქ.).

ის თითონ —იკათá (მამრ. სქ.), **ლკათá** (მდედრ. სქ.), **აკათá** (მამრ. სქ.)

ჩვენ თითონ—ჰკათá

თქვენ თითონ—შ₍₍კათá

ისინი თითონ —რკათá

მაგრამ შესაძლებელია ზემომოყვანილი ფორმები პირთა ნაცვალსახელების სრულ ფორმებთან ერთადაც იყოს ნახმარი და **მე თითონ** მაშინ იქნება **სარა სკათá**, **შენ თითონ უარა უკათá** და სხ.

(უსლ. აბ. ე., § 63).

აბხაზურს ჩვენებითი ნაცვალსახელები უხვადაც მოეპოვება და მათ ჩვეულებრივზე მეტი მნიშვნელობაც მიჰკუთნებიათ.

უ ს ლ ა რ ი ს ცნობით, ასეთ ჩვენებით ნაცვალსახელებად აბხაზურს აქვს: **არі** და **აბრі** 3 პ. **ყოველივე სქეს-კატეგორიის მოსაუბრის თვალებწინ მყოფი პირების** აღსანიშნავად, ხოლო **უბრі ცოტა უფრო მოშორებით** მყოფთა აღსანიშნავად (აბ. ე., § 59), **აბნі** და **ანі-კი შორეული** საგნების აღსანიშნავად იხმარება (იქვე).

მრ. რ. ჩვენებით ნაცვალსახელებად უ ს ლ ა რ ს მიაჩნია 1 პ. **ჰართ**, 2 პ. **შ₍₍ართ** და 3 პ. **ურთ** (ყველა ხილულ და უხილავ სქეს-კატეგორ.), **აბართ**, **აბანთ**. ამავე ავტორის განმარტებით მრ. რ. ამ ფორმებს მაშინ ხმარობენ, თუ რომ თავისთან ან ამ პირებთან ერთად სხვების განსაკუთრებული მონაწილეობის ხაზგასმით აღნიშვნა ჰსურთ (იქვე).

უ ს ლ ა რ ი ს ცნობით, თუმცა **აბრі** და **არі** არსებითად ჩვენებითი ნაცვალსახელებია, მაგრამ მათ 3 პირის ნაცვალსახელებადაც ხმარობენ ხოლმე (იქვე, § 59).

დ. გ უ ლ ი ა ს უსლარის გრამატიკულს ცნობებში შესწორება აქვს შეტანილი, რაზედაც ვრცლად შემდეგ გვექმნება საუბარი. ეხლა-კი აქ უნდა Труды Абник-ის ავტორის ამავე საგანზე მსჯელობას გავეცნოთ. მისი სიტყვით, იმას გარდა რომ აბხაზური ჩვენებითი ნაცვალსახელები პირისა თუ საგნის მოსაუბრესთან სიახლოვის, თუ სიშორის გამომხატველია, ორ ჯგუფადაც უნდა გაიყოს: ერთს ზოგადი ჩვენებითი სახელები, მეორე ჯგუფს კონკრეტული ჩვენებითი სახელები შეადგენენ.

ასეთს ზოგად ჩვენებით ნაცვალსახელთა ჯგუფს ეკუთვნიან: **არგí**—ეს, **ანგí**—ეგ და **უგí**, ანუ **აუგí**—ის (ამჟამად უხილავი, მაგრამ მოსაუბრისათვის ცნობილი).

კონკრეტულ ჩვენებით ნაცვალსახელთა ჯგუფს შეადგენენ **აბრგí**—ეს (მახლობელი), **აბნგí**—ეგ (დაშორებული, მაგრამ ხილული) და **უგბრგí**—ის (ამჟამად უხილავი, მაგრამ მოსაუბრეთათვის გარკვევით ცნობილი).

ა ვ ტ ო რ ი ფიქრობს, რომ ჩვენებით ნაცვალსახელთა მეორე ჯგუფს კონკრეტულობას **ბ** ანიჭებს, რომელიც ეტყობა „ხილვისა" და „თვალის" აღმნიშვნელი იყოო (აბ. ე., გვ. 10). ზემომოყვანილი ნაცვალსახელების მრ. რ. ფორმებს ისე

აწარმოებენ, რომ მხ. რ. ფორმას ბოლოკიდური ი, ანუ გი სცილდება და ამის მაგიერ მრ. რ. თ ნიშანი ერთვისო [1] (აბხ. ე, გვ. 9—10). ამავე წარმოშობილებიაა აბხაზური ჩვენებითი ზმნისსართები, რომელთა ბოლოსართი ხი ქართულ კენ-ს უდრის. აქაც ზოგადი და კონკრეტული არსებობს. 1. ზოგადია: არა—აქ, არახ(ი)—აქეთკენ, — ანა—იქ, ანახ(ი) — იქითკენ,— უა — იქ, უახ(ი)— იქითკენ (მოსაუბრეთათვის უხილავ ადგილას). 2. კონკრეტული: აბრა —აქ, აბრახ(ი)— აქეთკენ, — აბნა — იქ, აბნახ(ი) — იქითკენ, — უბრა — იქ, უბრახ(ი) — იქითკენ (აბ. ე., გვ. 11).

აბხაზურს ყოველგვარი ნაცვალსახელები და ზმნისსართი იმდენად მჭიდროდ აქვს პირის ცნებასთან დაკავშირებული, რომ კითხვითი სახელებიც-კი პირთა ნაცვალსახელოვან ელემენტებთან დაუკავშირებლივ ვერ წარმოუდგენია. ამიტომაც ერთი უპიროვნო ვინ? კითხვითი ნაცვალსახელის მაგიერ, ამ ცნების გამოსახატავად აბხაზურს 5 განსხვავებული ფორმა აქვს მხ. რიცხვში და 3 მრ. რიცხვში. ამის გამო ვინ? აბხაზურად იქმნება:

1. **სა́რბან ხარა́** მე — რომელი მე?
2. a. **უა́რბან უარა́** შენ — რომელი შენ? (მამრ. სქ.).
   в. **ბა́რბან ბარა́** შენ — რომელი შენ? (მდედრ. სქ.).
3. a. **და́რბან უი́** ის — (სულდგმული) რომელი ის?
   в. **ძა́რბან უი́** ის — (უსულ.) რომელი ის?

მრ. რ.

1. **ჰა́რბან ჰარა́** ჩვენ — რომელი ჩვენ?
2. **შუა́რბან შუარა́** თქვენ — რომელნი თქვენ?
3. **ძარბაქუან** ისინი — რომელი?

უ ს ლ ა რ ი, რომლის ნაშრომითგანაც არის ამ კითხვითი ნაცვალსახელების ფორმები ამოღებული, **სა́რბან სარა́**-ს რუსულად სთარგმნის „Кто я такой"? (აბ. ე., § 62) და, როგორც ეტყობა, თითოეული ამ ნაცვალსახელის პირველი ფორმა პ. ნაცვალსახელოვანი ნიშნისა (**ს, უ, ბ, დ** და სხ.) და **არბან**-ისაგან შედგენილად მიაჩნდა (იხ. იქვე: ლექს.). ა ვ ტ ო რ ს-კი **სარბან**-ი **ს** (მე)+**არ** (ეს)+**ბა** (ვინ? რა?)-+**ნ** (სად?)-ისაგან შედგენილად ეგულება (აბ. ე., გვ. 15), ე. ი. თავდაპირველად „მე ეს ვინ სად?"-ის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყოო. მაგრამ შესაძლებელია **სარ, უარ, ბარ, დარ, ძარ, ჰარ, შუარ** და **ძარ** ნაცვალსახელებისა+**ბან** (სადაურობის ოდინდელი გამომხატველი ფორმანტი)-ისაგან იყოს შედგენილი. მაინცა-და-მაინც საყურადღებოა, რომ „მე რომელი?" აბხაზურად გამოიხატება **სა́რბან სარა́** და ყოველ შემდეგ კითხვითს ნაცვალსახელს თავშიცა და ბოლოშიც უკვე სრული ფორმით აქვს პირის ნაცვალსახელი. ამიტომაც არის, რომ ჩვენ ეს ფორმები გადმოვთარგმნეთ: „მე რომელი მე?", „შენ რომელი შენ?" და სხ. აბხაზურის ასეთ წარმოებასთან დაკავშირებით იბადება საკითხი, ქართული **რომელიმე**-ს **მე**-ც ხომ თავდაპირველი მსგავსი წარმოებისა და აღნიშვნელობის ოდინდელი წესის ანარეკლი არ არის?

---

[1] დამახასიათებელია, რომ ავტორს ფრჩხილებში ნათქვამი აქვს: „შეად. ქართულს მრ. რ. თ—თქვენი"-სო (გვ. 10). შედარებაც ასეთი უნდა!

§ 2. მე-XVIII ს. ფორმების ანალიზი და განმარტება

რაკი ეხლა აბხაზური ნაცვალსახელების შესახებ ძველი და თანამედროვე ცნობები ხელთა გვაქვს, შესაძლებელია მათ განხილვასაც შევუდგეთ. ცხადია, რომ უპირველესად ძველი ჩანაწერის გაგება უნდა ვცადოთ, რათგან ბევრი რამ იქ თანამედროვესაგან განსხვავდება.

მე-XVIII ს. ჩრდილო-აღმოსავლური აბხაზური **ჩემი**-ს შესატყვისობა **ხერისბუ** თანამედროვე აბხაზურის საშუალებით, სადაც **ჩემი** არის **სტიგ**, აუხსნელი და გაუგებარია. ამიტომ შესაძლებელია იგი ან მცდარ ჩანაწერად, ანდა გაუგებრობის ნაყოფად მიგვეჩნია. მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ აქ ჩრდილო აღმოსავლური ენოვანი მასალა გვაქვს და ამ ფორმის გაგებას ვეცდებით, მაშინ შესაძლებელია **ხერისბუ**-ს აგებულებასაც განმარტება მოეძებნოს და მისი მაშინდელი აღმნიშვნელობაც გასაგები გახდეს.

ხერისბუ უნდა ორი მთავარი ნაწილისაგან იყოს შედგენილი: **ხერი** და **სბუ**-საგან. ამათგან პირველი **ხერი** ჩერქეზულში, დ უ მ ე ზ ი ლ ი ს ჩანაწერებითა და ცნობით (იხ. აქვე, გვ. 477), ეხლაც დაცული **მე** ნაცვალსახელია. თვით მეორე **სბუ** ნაწილიც რთული აგებულებისა ჩანს და **ს**+**ბუ**-საგან შერწყმული ფორმა უნდა იყოს. რაკი ზემოაღნიშნული სიტყვა **ხერისბუ** 1 პ. მხ. რ. კუთვნილებით ნაცვალსახელად არის ჩაწერილი, ბუნებრივია, რომ მის ამ მეორე **სბუ** ნაწილში სწორედ ასეთი თვისების ფორმას მოველოდდეთ. მართლაც მას თავკიდურ ბგერათ **ს** აქვს, რომელიც თანამედროვე აბხაზურშიც **ჟ** ნახევარხმოვნითურთ, თუ უამისოდაც 1 პ. მხ. რ. კუთვნილებით თავსართია და ადიღეურშიც **სჷ**-სა და **ს**, ან **ზ**-ს სახით ასეთივე დანიშნულების თავსართია (იხ. ნ. ჲაკოვლევისა და დ. აშხამაფ ის მოკლე ადიღ. გრ., 1930 წ. გვ. 59—60).

ეხლა მხოლოდ **ბუ**-ს რაობა-ღა დაგვრჩა გამოსარკვევი. **ბუ** ბოლოსართი არც აბხაზურსა და არც ადიღეურში არსადა ჩანს, მაგრამ **ბოუ** არსებობს და ყაბარდოულად **ბოხელს**, **თავლას**, **ფიცრულს**, ე. ი. **ნაშენობას** ნიშნავს (იხ. ლოპატ. რ.-ყ. ლ.: გვ. 63, I, 3,—148, II, 27,—178, I, 28). აბხაზურადაც **აბრა**, **აბრა** ბოსელსა ნიშნავს (რ.-აბ. ლ. 70 : хлев).

ისევე, როგორც კუთვნილების თანამედროვე **ტიგ** ბოლოსართი და **ატიგ** „საკუთრება“, როგორც ეტყობა, **ჯდომისა** და მკვიდრობის აღმნიშვნელ **ტიგ** ძირთან უნდა იყოს დაკავშირებული და თავდაპირველად **ტიგ** საფიქრებელია სამკვიდრებელის აღმნიშვნელი სიტყვა უნდა ყოფილიყო, ამნაირადვე **ბუ**, ანუ **ბოუ**-ც, ვითარცა ნაშენობის სახელი, როგორც ჩანს, საკუთრების ცნების გამომხატველ ბოლოსართადაც უხმარიათ. როცა მესაქონლეობა მეურნეობის ჯერ ერთ ერთს, ხოლო მერმე უმთავრეს დარგს შეადგენს, გასაკვირველი არ არის, რომ ბოსლის, ანდა ფარეხის სახელი საკუთრების სიმბოლოდაც მიეჩნიათ.

ჩრდილო-დასავლური აბხაზური ის მე-XVIII ს. ჩანაწერით **აუჲაბ** თანამედროვე აბხაზური უი საგან განსხვავდება, მაგრამ სამაგიეროდ მისი პირველი ნაწილი **აუჲ** აბხაზურს ამავე ჩვენებითს **აუგი** ს (იხ. აბ. ე., გვ. 9) კარგად უდგება. ამ ნაცვალსახელის მეორე **აბ** ნაწილი კონკრეტულობის ცნების მიმნიშნებელი იგივე **აბ** მარცვალი უნდა იყოს, რომელიც პირის, ან საგნის თვალ-

საჩინოობის მაუწყებელ ნაწილაკად თანამედროვე აბხაზურს ჩვენებითს ნა ვალსახელებს **აბრგí, აბნგí. უგბრგí,—აბა́რთ, აბა́ნთ** და **უგბა́რთ** შიც გვხვდება.

გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერში მ. **სი** („Sein") ჩრდილო-აღმოსავლურ აბხაზურად Sistu **სისტუ**-დ არის აღნიშნული. მაგრამ, უეჭველია, აქ ამ ნაცვალსახელის მნიშვნელობა შეცდომით არის განმარტებული. **მისი** ვერც აბხაზურად და ვერც სხვა რომელსამე სინდურს ენაზე ვერას გზით **სისტუ** ვერ იქმნებოდა, რათგან **ს**, როგორც ვიცით, მხ. რ. 1. პ. ნიშანია. **მისი** (მამრ. სქ.) აბხაზურად **იტიჳ** და **ატიჳ** იქმნება, მდედრ. სქ.-ისა-კი **ლტიჳ**.

სისტუ-ს უკვე თავკიდური **სი** მარცვალი ამჟღავნებს ამ ნაცვალსახელის სადაურობას. **სი** მხოლოდ თანამედროვე **ადიღეურს** აქვს და იქ მხ. რ. 1. პ. კუთვნილებითი ნაცვალსახელოვანი თავსართია, აბხაზურად კი **სგ**, ან **ს** არის, ეხლა მაინც. ამ სიტყვის მეორე ნაწილი **სტუ** რთული აგებულებისაა და **ს**+**ტუ**-საგან არის შედგენილი: **ს** მხ. რ. 1. პ. ნიშანია, **ტუ**-კი, უეჭველია, **საკუთრების** აღმნიშვნელსა და კუთვნილებითი ნაცვალსახელების მაწარმოებელს თანამედროვე აბხაზურს **ტიგ** ბოლოსართს უნდა უდრიდეს. ეხლა აბხაზურად **ჩემი**-ს აღსანიშნავად **სტიგ**-ს ხმარობენ, ადიღეურს-კი ამის მაგიერ აქვს **სესგჲ** (ჲაკ. და აშხ. ადიღ. გრ., გვ. 60), ე. ი. მეორე ნაწილად **სტიგ**-კი არა, არამედ **სგჲ** მოეპოვება.

ამნაირად **სისტუ** თავისი პირველი **სი** ნაწილითა და აგებულებით (**სი** + **ს**) ადიღეურს წარმოებას მიაგავს (**სე** + **სგჲ**) და აბხაზურისაგან, რომელსაც მხოლოდ **სტიგ** აქვს, განსხვავდება, მაგრამ სამაგიეროდ თავისი ბოლოკიდური ნაწილითა და **ტუ** ფორმანტით ადიღეურისაგან განსხვავდება და აბხაზურის მსგავსად არის შედგენილი. ცხადი ხდება, რომ **სისტუ** მაშინაც **მისი**-სა-კი არა, არამედ **ჩემი საკუთარი**-ს აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო და თვით ფორმაც ამჟღავნებს, რომ ადიღეურ-აბხაზური შერეული რომელიღაც კილოს კუთვნილებას უნდა წარმოადგენდეს.

ასეთივე აგებულებისაა ძველი ჩანაწერის **ჩვენი**—**ჰარეხთუ** (სამხ.-დასავლური) და **ჰარეხცუ** (ჩრდილო-აღმოსავლური), ისევე, როგორც **თქვენი**—**შიშტუ** (სამხ.-დას.) და **შიშცუ** (ჩრდ. აღმ.), მხოლოდ წინასწარ მათი ნამდვილი მართლწერა უნდა იქმნეს გამორკვეული.

თუ წარმოვიდგენთ, რომ აქ გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერში ch **ხ** ს უდრის, მაშინ ამ ფორმის გააზრიანება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქმნებოდა შესაძლებელი, თუ მომდევნო t-საც ქარ. **თ**-ს შესატყვისობად და chtu-ს **კათჺ** „თითონ"-ის ელემენტად ვიცნობდით, ე. ი. **ჰარა́ ჰაკათჺ**-ს შერწყმულ ფორმად წარმოვიდგენდით[1]. მაგრამ მაშინ გაუგებარი იქმნებოდა, თუ „მე თითონ" **ჩემი**-ს გამომხატველად როგორ უნდა ქცეულიყო. ამიტომ ამ ფორმას რაიმე სხვა განმარტება უნდა მოეძებნოს. **ტუ** შესაძლებელია საკუთრების აღმნიშვნელს აბხაზურს **ტიგ** ბოლოსართს დაუკავშირდეს და ჩანაწერი მართლაც მრ. რ. 1. პ. კუთვნილებით ნაცვალსახელად იქმნეს მიჩნეული.[2] მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ

[1] ასე მეგონა თავდაპირველად.

[2] ასეთი სამართლიანი მოსაზრება გამოსთქვა პროფ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა მ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუძღვნი.

ch აქ **ჭ**-ს შესატყვისობას წარმოადგენს, რის მაგალითიც სხვაგან გ ჳ ლ დ ე ნ-შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერში, თუ არ ვცდები, ან არ უნდა იყოს, ან ძალიან იშვიათია. ასეთი შესწორების შემდგომ Harechtu შესაძლებელია **ჰარეჭტიუ**-ს ტრანსკრიპციად მიგვეჩნია, რომელიც **ჰარე** (ჩვენ)+**ჭტიუ**, თანამედროვე **ჭტიგ**-ს წინამორბედი, **ჩვენი**-ს აღმნიშვნელი კუთვნილებითი ნაცვალსახელი იქმნებოდა. თანამედროვე აფხაზურს კუთვნ. ნაცვალსახელებს წინ პირის ნაცვალსახელის სრული ფორმა აღარ უჩანს, მაგრამ მე-XVIII ს.-ში ჰქონიათ.

მრ. რ. 2. პ. კუთვნილებითი ნაცვალსახელი **შიშტუ**-კი უნდა **შაი+შა+ +ტიგუ**-საგან შერწყმულ ფორმას წარმოადგენდეს, ე. ი. თქვენ+თქვენი (საკუთრების) აღმნიშვნელია.

თუ ზემოგამოთქმული მოსაზრებანი სწორეა, მაშინ ჩრდილო-აღმოსავლური Harechzu **ჰარეხცო**-სა და **შიშცუ**-ში **ც** კორექტურულ შეცდომად უნდა მივიჩნიოთ[1], **ტ**-ს მაგიერ.

ჩვენებითი **ის** (Er) ნაცვალსახელის შესატყვისობად სამხრეთ-დასავლურს აფხაზურს მე-XVIII ს. ჩანაწერში უცნაური **ურუთუხაჟუ**-ა აღნიშნული, რომელიც ამ ნაცვალსახელის სინდურს თანამედროვე ენებში არც ერთს ფორმას არ უდგება. მაგრამ აქ გერმან. მეცნიერს უეჭველია შეცდომა უნდა ჰქონოდეს შეპარული. საკმარისია იმ გარემოებასაც მივაქციოთ ყურადღება, რომ ამ ნაცვალსახელის პირველი ნაწილი **ურუთ**-ი **თ** ბგერით ბოლოვდება, რომელიც აფხაზურს ჩვენებითს ნაცვალსახელებს მრ. რ. ბოლოსართად აქვს, თანაც გავიხსენოთ, რომ თანამედროვე აფხაზურშიც **ურთ** სწორედ **ისინი**-ს აღმნიშვნელია და მაშინ, ვგონებ, უცილობელი გახდება, რომ **ურუთ** შესაძლებელია ამავე ნაცვალსახელის მხოლობითისა-კი არა, არამედ მხოლოდ **მრავლობითი რიცხვის** სრულხმოვნიანი ფორმა იყოს.

მეორე **უხაჟუ** ნაწილს, არსებული ლექსიკური აფხაზური მარაგით, ვერავითარ განმარტებას ვერ მოუძებნით, მაგრამ სამაგიეროდ აქაც **ადიღეურის კიახური** კილო გვშველის. კიახურად **ურ** (დამოუკიდებლივ) და **უ** (სართავად) თვალსაჩინო შორეული 3. პ. ჩვენებითი **ის** ნაცვალსახელია. საფიქრებელია, რომ იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს **უხაჟუ**-ს პირველს **უ** ხმოვანსაც.

მაგრამ რაკი **ურუთუხაჟუ**-ს პირველი ნაწილი მხ. რ.-ისა-კი არა, არამედ **ისინი**-ს აღმნიშვნელი აღმოჩნდა, ცხადია, რომ ამ სიტყვის მეორე ნაწილის **უხაჟუ**-ს ჩვენებითი ნაცვალსახელიც მრავლობითადვე უნდა ყოფილიყო ნახმარი. ეს მოლოდინი მართლდება კიდევაც: **უ**-ს ხომ **ხა** მარცვალი მისდევს და, თუმცა **ხ** მრ. რ. ნიშნად თანამედროვე აფხაზურს არ უჩანს, სამაგიეროდ **ხე** და **ხ** ადიღეურსა და კიახურში სწორედ მრ. რ. ფორმანტია (იხ. ჲაკოვლევისა და აშხამაფის ადიღ. გრ., გვ. 90). როგორც ჩანს, ძველად მრ. რ. ნიშანი **ხე**-კი არა, არამედ **ხა**, ანდა **ხე**-ს გარდა, **ხა**-ც ყოფილა. ამგვარად ირკვევა, რომ მეორე ნაწილის **უხა**-ც **ისინი**-სავე გამომხატველი ყოფილა.

ამის შემდგომ შესაძლებელია ადამიანს ეჩვენოს, თითქოს აქ ორი, ერთიდაიმავე მნიშვნელობის მქონებელი, მრ. რ. ჩვენებითი ნაცვალსახელის შემცველი

[1] როგორც პროფ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ფიქრობს.

უცნაური ფორმა იყოს. მაგრამ უხა-ს რომ ბოლოში ჟუ მარცვალი ახლავს? სანამ მისი მნიშვნელობა გამორკვეული არა გვაქვს, მეორე ნაწილის ნამდვილ რაობაზე მსჯელობა ნაადრევი იქნებოდა. თანამედროვე აფხაზურში, არსებული ცნობებით მაინც, ჟუ არა ჩანს, ადიღეურს და შაფსუღურს კილოს-კი ჟი (ად ღ.) და ზჟიც (შაფს.) ნაწილაკი შენარჩუნებული აქვს და იქ უკუქცევითი თითონ ნაცვალსახელია (იხ. დუმეზილის Études, გვ. 116 და СМОМПК, წიგნი XII, გვ. 78_{13}).

ადიღეურად ჲეჟი ნიშნავს „ის თითონ", ხოლო ამავე მნიშვნელობით ბზიეხის ომის ძველს თქმულებაში ნახმარია ჲეზჟიცრ (СМОМПК, XII, 78_{13}), რომელშიც ზჟიცრ გამოჰხატავს „თითონ"-ს.

ყველა ზემონათქვამის შემდგომ ცხადი გახდება, რომ უხაჟუ უკვე ჩვენებითი ნაცვალსახელი-კი აღარ გამოდის, არამედ უკუქცევითი ნაცვალსახელია. ხოლო, რაკი ადიღეურში უკუქცევითი ნაცვალსახელი ყოველთვის პირის ნაცვალსახელთან ერთად იხმარება და მას მისდევს ხოლმე, სწორედ ამიტომაც მე-XVIII ს. ჩანაწერის ურუთუხაჟუ უნდა ჩვენებითი სახელის მრ. რ. ფორმად-კი არა, არამედ „თითონ ისინი"-ს აღმნიშვნელ უკუქცევითი ნაცვალსახელად იქმნეს ცნობილი.

აფხაზური კითხვითი ნაცვალსახელი ვინ გულდენშტედტისათვის რომ ДАСУДА-დ დაუსახელებიათ, თანამედროვე აფხაზურისას სრულებით არ უდგება: ეხლა ხმარობენ და̈რბან-ს, როდესაც გონიერი არსება იგულისხმება, და ჲა̈რბან-ს, თუ არა-გონიერზეა საუბარი. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მაინც გერმ. მეცნიერის ჩანაწერში აქ არავითარი შეცდომა არ არის შეპარული. ვინ ДАСУДА ორი ნაწილისაგან შესდგება, რომელთაგან პირველი ДАСУ არის და თვითეულსა ნიშნავს, თანამედროვე აფხაზურში გამოითქმის დასუ̈ჴ (იხ. რ.— აბხ. ლ., გვ 24: каждый),—ხოლო მეორე ნაწილი ДА კითხვის ნაწილაკია, რომელსაც ზმნაში ეხლაც კითხვითი დანიშნულება აქვს შენარჩუნებული (იხ. იქვე გვ. 29: кто). მაშასადამე, თანამედროვე გაგებით, ДАСУДА ნიშნავს ვინ თვითეული?

გულდენშტედტის ნაშრომში აღბეჭდილი ვისი?-ს სამხრეთ-დასავლური აფხაზური შესატყვისობა ისპუტა ალბათ ბგერათა ადგილმონაცვლებით წარმომდგარი უნდა იყოს ისტუპა-საგან, რომელიც თავის მხრით უფრო ადრინდელი ისტიგუპბა-საგან გაჩენილ ფორმას უნდა შეადგენდეს. ისტიგუპბა-კი შერწყმული უნდა იყოს ი (ეს)+ს (ჩემი)+ტიგ (საკუთრება)+უპ (არის)+ბა (კითხვითი ნაწილაკია)-საგან.

ისტიგუპ ეხლაც ნიშნავს მაქვს. ვფლობ (უსლ. აბ. ე., ლექს.: ტიგ-ს ქვეშე). მაშასადამე, ისტიუპა თავდაპირველად და არსებითად ვისი?-ს აღ ნიშვნელი-კი არ იქნებოდა, არამედ „ეს ჩემი საკუთრებაა?", „ეს ჩემია?" და მხოლოდ შემდეგ უნდა იყოს ზოგადი მნიშვნელობის „ვისია?"-ს შესატყვისობად ქცეული.

ჩრდილო-აღმოსავლურ-აფხაზური ვისი?-ს ძველი ჩანაწერის აღნიშვნელი ისდუდა-ც ამავე ტიგ ძირისაგან არის ნაწარმოები და ი+სტიგ̌+და-საგან არის შედგენილი და ნიშნავს: „ეს ჩემი საკუთრება არის?" (და=ვინ?-ს) ანუ „ვისია"? თანამედროვე აფხაზურშიც იზტიგ̌და ნიშნავს ვისია-ს (იხ. უსლ. აბ. ე.

გრ. § 62). ძველი **რა?**-კი, **ეზეწია**, ვგონებ, ე (ეს)+ზე (რა)+წ ძირის ზმნისაგან ნაწარმოები ფორმა უნდა იყოს. **წ**, უ ს ლ ა რ ი ს აზრით, აბხაზურში მოძრაობის გამომხატველი უნდა იყოს (აბ. ე., ლექს.). თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ **ეზეწია** უნდა „ეს **რა** ჩოხდა?“-ს, ანუ, ქართული თანამედროვე გამონათქვამი რომ ვიხმაროთ, „ეს **რა ამბავია?**“-ს უდრიდეს.

მე-XVIII ს. **არეხ** „აქეთ“ უდრის თანამედროვე **არახ** (რ.—აბ. ლ. 64: сюда) და **არახი**-ს (Абх. яз. Труды АБНИКа II, 11). უ ს ლ ა რ ს **ხი**, ანუ **ხა** მიმართულების გამომხატველ **მი** თანდებულად მიაჩნდა (აბ. ე.: ლექს.), ნ. მ ა რ ს ს-კი ასეთ თანდებულად—**ახ** (რ.-აბ. ლ. 24: к, ко) მიაჩნია.

ამავე ხანის **ანეხ** „იქით“-კი თანამედროვე **აბნახი**-ს (იხ. Абх. яз. Труды АБНИКа II, 11) ანუ **აბნახ**-ს უნდა უდრიდეს.

§ 3. აბხაზური ნაცვალსახელების აგებულება და ძირები

უსლარითგან მოყოლებული მხ. რ. 1. პ. ნიშნად **ს**, 2. პ. **უ** და **ბ**, 3. პ. **ა**, **ლ** და **დ**, ხოლო მრ. რ. 1. პ. **ჰ** და 2. პ. **შ** არის მიჩნეული. მხოლოდ დ ჰ მ ე ზ ი ლ ს ჰგონია, როგორც შემდეგ დავრწმუნდებით, რომ მხ. რ. 1. პ. ძირად აბხაზურს **ა** ხმოვანი აქვს. ამ საკითხის განხილვაც ისტორიულადაა საჭიროა: ეხლა რომ მხ. რ. 2. პ. ნიშანი და ძირი **უ** (მამრ. სქ.) და **ბ** (მდედრ. სქ.) მოჩანს და ასეა აღქმული, მარტო ამის მიხედვით ისეთი პასუხსაგები ამოცანის, როგორიც ნაცვალსახელების ძირების საკითხია, გადაჭრა შეუძლებელია. რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ სქესისა და კატეგორიისდა მიხედვით განსხვავებული ნაცვალ. ფორმები თავდაპირველად მარტო მხ. რ. 2. და 3. პ. უნდა ჰქონოდა? ცხადია, რომ წინათ 1. პ.-ისაც უნდა ყოფილიყო. ხოლო რაკი აბხაზურს 2 სქესისა და 2 კატეგორიის გარჩევის კვალი ემჩნევა, მაშინ საფიქრებელია, რომ თითოეულ პირს ნაცვალსახელის ოთხი ფორმა უნდა ჰქონოდა. მარტო მხ. რ.-ისათვის ამნაირად 12 ნაცვალსახელის არსებობა უნდა გვეგულისხმა, მრ. რ.-ისათვის-კი ორივე სქესისათვის საერთო და ორივე კატეგორიისათვისაც ერთი ფორმაც რომ გვევარაუდნა, ამ შემთხვევაშიც მრ. რ.-ის ? ნაცვალ. ფორმა უნდა ყოფილიყო. მაშასადამე, სულ ორივე რიცხვისათვის 18 ნაცვალსახელის არსებობა და ცოდნა იქმნებოდა საჭირო. უკვე ეს გარემოებაც საკმარისია, რომ ასეთი მოსაზრება საეჭვოდ მივიჩნიოთ. ამიტომ მარტო თანამედროვე ვითარებაზე და აღქმაზე დაყრდნობა არ შეიძლება, არამედ უპირველესად უნდა გამოვარკვიოთ, წინათაც ასე ყოფილა, თუ ნაცვალსახელების თანამედროვე ფორმების ანალიზით მათი უფრო ადრინდელი აღნაგობისა და ხმარების წესის გათვალისწინებაა შესაძლებელი. ამისთვის-კი ნაცვალსახელების აგებულების ცოდნაა აუცილებელი.

ვინც აბხაზურს პირთა ნაცვალსახელებს ერთხელ მაინც გადაიკითხავს, დარწმუნდება, რომ თითქმის ყველა **რა**-თი ბოლოვდება. უკვე ეს გარემოება ამჟღავნებს, რომ ეს მარცვალი ძირეული ნაწილი არ შეიძლება იყოს, რაც ყველა მკვლევართა მიერ აღიარებულია კიდევაც. მაშასადამე **რა** ყველგან გამოსაყოფია. ეგების ესეც საკმარისი იყოს, რომ უკვე პ. ნაცვალსახელების ძირებს მივაგნოთ? ამ საკითხზე პასუხის გაცემამდე სჯობია, რომ წინასწარ სხვა მკვლე-

ვართაგან გამოთქმული მოსაზრებანი გავიხსენოთ: იქნებ იქ ამის პასუხი, თუ მთლიანად და საბოლოოდ არა, ნაწილობრივ მაინც აღმოჩნდეს. ესეც, რასაკვირველია, საქმეს გაგვიადვილებდა.

აბხაზურში პირთა ნაცვალსახელების ხმარების შესახებ დ. გულიას უსლარის ცნობებში შესწორება შეაქვს და ამბობს, რომ **უი** პირის ნაცვალსახელი-კი არ არის, არამედ ჩვენებითია და ნიშნავს **ის**, ან **იგი-ს**. ე. ი. დაშორებული პირისათვის სამივე სქეს-კატეგორიისათვის არის განკუთვნილი, ხოლო **ეს**-ის აღსანიშნავად, ე. ი. მახლობელი პირისათვის **აბრი** იხმარება, რომელიც სამივე სქეს-კატეგორიისათვის საერთოა. ამგვარად, აბხაზურში **უ** დაშორებულობისა და **ა** მახლობელობის აღმნიშვნელიაო (Материалы по абх. грам. Aqya. Сухум 1927 წ., გვ. 5).

ხოლო მესამე პირის ნამდვილი პიროვნული ნაცვალსახელი აბხაზურად არის ჲარა́ მამრ. სქ. და ლარა́ მდედრ. სქ., მაგრამ ჲარა́ სამივე სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელიც არისო (იქვე).

ამნაირადვე დ. გულიას მცდარად მიაჩნია უსლარის ცნობა, ვითომც მე-3 პირის მ.ო. რ. ნაცვალსახელად **ურთ** იყოს. ესეც ჩვენებითი ნაცვალსახელის მრ. რ. ფორმაა, პირის ნაცვალსახელის მრ. რ.-კი **დარა**-ა სამივე სქესკატეგორიისათვისაო (იქვე 5)[1]: ამიტომ მისი (მამაკაცის) მამა აბხაზურად იქმნება—**ჲარა́ ჲაბ**, მისი (ქალის) მამა—**ლარა́ ლაბ**, მისი (სქეს-კატეგორიის განურჩევლად) მამა—**ჲარა́ აბ**, ხოლო მათი მამა—**დარა რაბ** (იქვე).

ამნაირადვე გულია ფიქრობს, რომ უსლარს შეცდომით აქვს მრ. რ. მე-3 პირის მაჩვენებლად **რ** აღნიშნული, მისი სიტყვით უნდა **დ** (**დარა́**-ს მიხედვით) აღენიშნაო (იქვე, 6).

ამ შესწორებათა შემდგომ აბხაზური პირთა ნაცვალსახელები ასე წარმოგვიდგება:

1 პირი **სარა́** (სამივე სქეს-კატეგ.)
2 **უარა́** (მამრ. სქ.), **ბარა́** (მდედრ. სქ.)
3 **ჲარა́** (მამრ. სქ.), **ლარა́** (მდედრ. სქ.) და
ჲარა́ (სამივე სქესის არაგონიერთა კატეგორიის).

დ. გულია ამბობს: თუ უსლარს დავეთანხმეთ და **დარა́**-ს მაგიერ მრ. რ. მე 3 პირის ნაცვალსახელად **ურთ** მივიჩნიეთ, მაშინ ამნაირადვე ჩვენებითი ნაცვალსახელებისაგან პირთა ნაცვალსახელების შედგენა დანარჩენ პირებისათვისაც შეგვიძლიანო და პირთა ნაცვალსახელების შემდეგი სამი წყება გვექნება:

	მხ. რ.	მრ. რ.
	პირველი წყება:	
1 პირი	**აბრი́**	**აბა́რთ**
2 „	**აბნრი́**	**აბა́ნთ**
3 „	**უბრი́**	**უბა́რთ**

[1]. დ. გულიას ზემომოყვანილი მოსაზრებათა და შესწორებათა მიხედვით აქვს აღნიშნული აბხაზური პირთა ნაცვალსახელები Абхазский яз.-ის ავტორსაც [Материалы по абхаз. грамм] Труды Абнина, II. 8.

მეორე წყება:

1	პირი	არჷ	**ართ**
2	„	ანჷ	**ანთ**
3	„	უჷ	**ურთ**

მესამე წყება:

1	პირი		**მართ**
2		არა აქვს	**შვართ**
3			**ურთ**

ამის შემდგომ დ. გულიას ნათქვამი აქვს: ეს საერთოდ, პირისა და მანძილის (მახლობელობისა და დაშორებულობის) აღმნიშვნელი, პირთა ნაცვალსახელების, ჩვენებითი ნაცვალსახელებისა და კლასების პრეფიქსებისაგან ძირთან შეერთებულ წარმომდგარობას გვიჩვენებსო (Мат. абх. грам., 6—7).

სამწუხაროდ, ზემომოყვანილი დასკვნა მკაფიოდ ვერ არის გამოთქმული, რათგან საქმისა და აბხაზური ენის პრაქტიკულად უცოდინარისათვის გამოურკვეველი რჩება, დ. გულიასაგან მოყვანილი პირთა ნაცვალსახელების სამი წყება აბხაზურში მართლაც არსებობს, ანდა პირთა ნაცვალსახელებადაც მიჩნეულია, თუ თეორიულადაა შედგენილი, როგორც აბხაზური ენის კანონების თანახმად სწორედ ნაწარმოები ფორმები?

დ. გულიასაგან **ალბექდილი ნაცვალსახელთა სამი წყების ფორმები რომ მარტო თეორიული პრინციპების თანახმად შედგენილი მხოლოდ მისი საკუთარი ენობრივი შემოქმედების ნაყოფი არ უნდა იყოს, არამედ აბხაზური ენის საგანძურის კუთვნილებასაც უნდა შეადგენდეს,** ამას აკად. გულდენშტედტის **ჩანაწერიც** ამტკიცებს მას ალბექდილი აქვს, რომ მაშინ აბხაზურად **თქვენ** თურმე ყოფილა **აგნთ** (A'nt) ერთს დიალექტში, მეორეში-კი მრ. რ. მე-2 პირის ესევე ნაცვალსახელია **აჟათ** (Auat)-ად გამოითქმოდა.

ცხადია, რომ, რაკი **აგნთ** და **აჟათ** ერთი და იგივეა, ამ ფორმათაგან პირველს ამ ნაცვალსახელის მეორე ფორმაში დაცული **ჟ** ბგერა შენაცვლებით **გ** ბგერად აქვს ქცეული, მეორეს-კი **ნ** თანხმოვნიანი დაუკარგავს. ამნაირად **მათ წინამორბედად აჟანთ-ი არის საგულისხმებელი.** იგი დ. გულიას მიერ დასახელებულ ნაცვალსახელთა პირველ წყების მრ. რ. მე-2 პირის **ᲐᲑᲐᲜᲗ** ფორმის შესატყვისობას წარმოადგენს, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ გულდენშტედტის ჩანაწერში **ბ**-ს მაგიერ **ვ**-თანხმოვნიანი ფორმაა ალბექდილი. როგორც ქვევით აღნიშნული იქმნება, საფიქრებელია, რომ ამნაირი **ვ**-ბგერიანი ორივე რიცხვის ყველა პირის ფორმები და **ბ**-ბგერიანი ფორმები პარალელურად უნდა არსებულიყო და თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა.

ამნაირადვე, თავის ადგილას უკვე დავრწმუნდით, რომ **ის** მე-XVIII ს. ჩრდილო-აღმოსავლურ აბხაზურად **აუჲაბ** ყოფილა, **ისინი**-კი სამხრეთ-დასავლურ აბხაზურად **ᲣᲠᲣᲗᲣᲮᲐᲥᲣ**. იქვე გამორკვეული გვქონდა, რომ **ის**-ს არსებითად **ᲐᲣᲐᲓ**, ხოლო **ისინი**-ს **ᲣᲠᲣᲗ** გამოჰხატავს, ამათგან **აუაჲ** უდრის **აუგჷს**,

რომელიც აბაზთა ტომის კილოკავშია დაცული, ურუთ კი აბხაზური ურთ-ის, თუ ოდნავ მცდარი არა, სრულხმოვნიანი ფორმა უნდა იყოს.

2 პ მრ. რ.-სა და 3 პ. მხ. და მრ. რ. ნაცვალსახელების ზემომოყვანილი მაგალითებითგან ცხადი ხდება, რომ დ. გ უ ლ ი ა ს მიერ მოყვანილი ნაცვალსახელების ფორმები მე-XVIII ს.-ში მართლადაც პირთა ნაცვალსახელებად ყოფილა მიჩნეული და პირთა ნაცვალსახელებად უხმარიათ.

პირთა ნაცვალსახელებად მიჩნეული ზემომოყვანილი სამი წყება დ. გ უ ლ ი ა ს აზრით უნდა თითქოს იმაზე მიგვითითებდეს, რომ პ. ნაცვალსახელები საერთოდ ჩვენებითი ნაცვალსახელებისა და სქეს-კატეგორიების თავსართების ძირთან შეერთებით უნდა იყოს წარმომდგარი. რა აქვს ავტორს ძირად ნაგულისხმევი, არა ჩანს. მხოლოდ დ. გ უ ლ ი ა ფიქრობს, რომ ნაცვალსახელები თავდაპირველად პიროვნებისა და მანძილის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყვნენ. მანძილის აღმნიშვნელობა-კი რომ ყველა პირთა ნაცვალსახელების კუთვნილება ყოფილიყო, არამცთუ ძნელი დასაჯერებელი, სრულებით დაუჯერებელია. მახლობელობისა, თუ დაშორებულობის გარემოება მხოლოდ 3 პ. ჩვენებით ნაცვალსახელებში გხვდება და ეს გარემოება იმთავითვე მარტო იქ უნდა ყოფილიყო, რადგან 1 და 2 პირის სადმყოფობა მოსაუბრეთათვის ისედაც ყოველთვის ცხადია ხოლმე.

აბხაზური პირთა ნაცვალსახელების ჩვენებითი ნაცვალსახელებისაგან წარმოშობილობის მოსაზრება დ. გ უ ლ ი ა ს ზემომოყვანილი სამი წყების აღნაგობის ანალიზსა და შესწავლაზე არ არის დამყარებული. უამისოდ კი ნაცვალსახელების თავდაპირველი აგებულებისა და სახის გამორკვევა შეუძლებელია.

ეხლა რომ სწორედ ამ ამოცანის კვლევა-ძიებას მივყოთ ხელი, არსებობს, თუ არა, რაიმე საფუძველი, რომ ნაცვალსახელების პირველი და მეორე წყება პირთა გამომხატველადაც იყოს მიჩნეული?

თუ აბრი ან არი მხ. რ. 1 პირის აღმნიშვნელია, ხოლო აბართ, ან ართ მრ. რ. 1 პირისა, სად არის აქ ან 1 პირის ნაცვალსახელის თავსართი, რომელიც ს არის? ამგვარადვე, თუ აბნი, ანდა ანი მხ. რ. 2 პირის გამომხატველია, მრ. რ. 2 პირისა კი აბანთ, ანდა ანთ-ია, სად არის აქ მეორე პირის ნიშანი?

საკმარისია ადამიანმა ნაცვალსახელთა ამ სამ წყებითგან მესამე წყებას, რომელსაც მხოლოდ მრ. რ. აქვს, მიაქციოს ყურადღება და პირველ ორ წყების ფორმებს შეადაროს, რომ მისთვის მათ შორის არსებული დამოკიდებულება ცხადი შეიქმნეს.

პირველი ორი წყების ფორმებს პირის არავითარი გამომხატველი და განმასხვავებელი თავსართები არ აბადია და არის:

1 პირი აბრი, ან არი
2 „ აბნი, ან არი

მესამე წყების ფორმები-კი ერთიმეორისაგან თავსართებით განსხვავდებიან და ამიტომ არის

1 პირი ჰართ
2 „ შუართ'
3 „ ურთ, რომელიც, როგორც შემდეგ დავრწმუნდებით, უართ-ისაგან უნდა იყოს წარმომდგარი.

ეხლა რომ პირველი ორი წყების ნაცვალსახელების განხილვას შევუდგეთ და ჯერ მხოლოდ მხ. რ. ფორმებს შევეხოთ,—

1	პირი	აბრი́	არი́
2		აბნი́	ანი́
3		უბრი́	უი́

პირველი წყების ფორმები მეორე წყებისაგან მხოლოდ თავკიდური ხმოვნის შემდგომ ჩართული ბ ბგერით განსხვავდება. მეორე წყების მესამე პირის ფორმას-კი რ-ც დაკარგული აქვს. მარტო ის გარემოებაც, რომ ბ სამივე პირის ფორმაშია, ცხად-ჰყოფს, რომ ბ არ შეიძლება პირის მაჩვენებელი ნიშანი იყოს თუნდაც ისევე, როგორც ბარა-შია ამჟამად აღქმული.

მეორე მხრით „აბხაზ. ენის“ ავტორის დებულებაც თითქოს ამ ნაცვალსახელებში ბ მახლობელობისა და სახილავობის გამომხატველი ელემენტი იყოს, რომ სწორე არ არის, ამის ცხად-საყოფელად თუნდაც ისიც კმარა, რომ აბრა აქ, აბრახი-ც აქეთკენ და აბნა იქ, აბნახი-ც იქითკენ ისევე, როგორც უბრა იქ, უბრაში-ც იქითკენ, ყველა, მახლობელობისა და დაშორებულება-უხილაობისდა განურჩევლად, ბ ელემენტის მქონებელია.

ეხლა რომ ნაცვალსახელთა პირველი ორი წყების მხ. რ.-ისა და მრ. რ.-ის ფორმები ერთმანერთს შევადაროთ, ცხადი გახდება, რომ მეორე წყების ფორმათა მიხედვით

		მხ. რ	მრ. რ.
1	პირი	არი́	ართ
2		ანი́	ანთ
3		უი́	ურთ

მრ. რიცხვის 3-ივე პირის ფორმებს ბოლოში თ ახლავს, რომელიც მხ. რ.-ის ბოლოკიდური ი ბგერის ჩამოცლილ ფორმებს ემატება. როგორც ეტყობა, ეს ი ბგერა ნაცვალსახელის არსებითი ნაწილი არ არის. ამას გარდა, მხ. რ. მე-3 პირის ფორმის მიხედვით, საფიქრებელი ხდება, რომ მხ. რ.-ის მე-3 პირის ფორმაც წინათ ური უნდა ყოფილიყო, შემდეგში კი რ გაქრალა. ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ პირველი წყების მე-3 პირის ნაცვალსახელს უბრი́-საც რ შენარჩუნებული აქვს.

ის გარემოება, რომ ამ ნაცვალსახელების მრ. რ.-ის ფორმებს მხ. რ.-ის ფორმებისაგან მხოლოდ ბოლოში დართული თ ასხვავებს, ცხადჰყოფს, რომ თ მრავლობითი რიცხვის ნიშანია. ამ დასკვნის სიმართლეს ისიც ამტკიცებს, რომ პირველი და მესამე წყების მრ. რ.-ის სამივე პირის ფორმებსაც ყველას ბოლოში თ ახლავს. თ-ს მრავლობითობის აღმნიშვნელობა მით უფრო საყურადღებო გარემოებაა, რომ თანამედროვე აბხაზურს მრ. რ-ის ნიშნად ეს ბგერა უკვე აღარა აქვს.

ნაცვალსახელების ზემომოყვანილი მაგალითების მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ თ მრ. რ-ის ბოლოსართად, ქართულის მსგავსად, ოდესღაც აბხაზურსაც უნდა ჰქონოდა.

ნაცვალსახელთა პირველი წყების ფორმათა შესახებ გამოსარკვევია, რომელს ამ ორ რიცხვთაგანს, მხოლოობითსა, თუ მრავლობითს, აქვს უფრო უკეთესად პირვანდელი სახე დაცული, სახელდობრ, გამოსარკვევია, წარმოსდგა

1 პირის	აბრჲ	აბარი	-საგან
2 „	აბნჲ	აბანი	
3 „	უბრჲ	უბარი	

და ამნაირად მრ. რ.-ის ფორმები, მეორე წყების ნაცვალსახელების მსგავსად, ბოლოკიდური ი-ს მოცილებითა და მრ. რ.-ის თ ნიშნის ბოლოსართად დართვის საშუალებით არის ნაწარმოები, თუ წინაუკმო 1. ბარჲ 2. ბანჲ 3. ბურჲ-საგან.

პირველი აზრი ვგონებ უფრო სწორე უნდა იყოს, რათგან მეორე შემთხვევის დროს ძნელი ასახსნელი იქმნებოდა მხ. რ.-ის ბარჲ, ბანჲ და ბურჲ საგან როგორ უნდა წარმომდგარიყო მრ. რ.-ის ფორმები აბართ, აბანთ და უბართ, სახელდობრ, საითგან გაჩნდა შუა ა ბგერა, და მეტადრე, როგორ წარმოსდგა 3 პირის უბართ? სამაგიეროდ, პირველი შესაძლებლობის სამართლიანად მიჩნევის დროს, აბარი, აბანი და უბარი-საგან აბრჲ, აბნჲ და უბრჲ ფორმების წარმოშობა, ბოლოში მოქცეული მახვილის გავლენით გამოწვეული ა-შუა ხმოვნის გაქრობის წყალობით, ადვილად დასაჯერებელი განმარტება იქმნებოდა.

ეხლა აღსანიშნავია, რომ ნაცვალსახელთა პირველ წყებაში ორივე რიცხვის პირველისა და მესამე პირის ფორმებს უკანასკნელ თანხმოვნად რ აქვთ (1 პირის აბრჲ, აბართ,—3 პირის-უბრჲ, უბართ), ხოლო მეორე პირის ფორმას აქვე ნ აქვს (აბნჲ, აბანთ). ასეთივე სურათია ნაცვალსახელთა მეორე წყებაში (1 არჲ, ართ,—3 უ(რ)ი, ურთ, ხოლო მე-2 პირისას ანჲ, ანთ). ამ მხრივ ერთნაირობა მხოლოდ მესამე წყების ფორმებს აქვთ დაცული და იქ სამისავე პირის ფორმას (ჰართ, შჳართ და ურთ) რ აქვს.

მართალია, 1 პირის ფორმები აბრჲ, აბართ და არჲ, ართ მე-2 პირის ფორმებისაგან აბნჲ, აბანთ და ანჲ, ანთ მხოლოდ თავიანთი რ და ნ თანხმოვნებით განირჩევიან და ამიტომ შესაძლებელია ადამიანს ეფიქრა კიდეც, რომ სწორედ ეს ბგერები რ 1. პირის და ნ მე-2 პირის მაჩვენებელი არიან (ამჟამად აბხაზურში სწორედ ეს ბგერები ასხვავებენ და არჩევენ პირველი პირის ფორმისაგან მეორე პირისას), მაგრამ ასეთი დასკვნა რომ სრულებით მცდარი იქმნებოდა, ამას ის გარემოებაც ცხადჰყოფს, რომ ეს ვითომცდა 1. პირის მაჩვენებელი რ ბგერა ნაცვალსახელთა პირველისა და მეორე წყების მესამე პირის ფორმებსაც აქვთ (უბრჲ, უბართ, ურთ), ისევე, როგორც ეს რ ბგერა მესამე წყების სამივე პირის ფორმებსაც მოეპოვება. ამის შემდგომ ცხადია, რომ რ აქ არას გზით არ შეიძლება პირის მაჩვენებელი იყოს.

რაკი მესამე წყების ნაცვალსახელებს ერთგვარობა ეჩნევათ და პირველი და მეორე წყების მეორე პირის ფორმების მსგავსად, მესამე წყების მეორე პირის ფორმას ნ არა აქვს, თავისთავად იბადება საკითხი, რომელი ამ თანხმოვანთაგანი რ, თუ ნ უნდა იქმნეს პირველადად მიჩნეული?

მას შემდეგ, რაც ზემომოყვანილმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ პირველისა და მეორე წყების ნაცვალსახელთა არც **ბ** და არც **რ** ბგერები პირის მაჩვენებელი არ არის, გამოდის, რომ პირველი და მეორე წყების ორსავე რიცხვის 1 და 2 პირის ნაცვალსახელებს პირის მაჩვენებელი ბგერა არ ჰქონიათ. რაკი დაუჯერებელია, რომ ასეთი მდგომარეობა პირველადი იყოს, რათგან მაშინ გაუგებარი იქნებოდა, თუ რაზე უნდა დამყარებულიყო ამ ნაცვალსახელების სხვა-და-სხვა პირთა აღმნიშვნელობა, ან როგორ უნდა გაერჩია მსმენელს, რომელ, პირველსა, თუ მეორე პირს ჰგულისხმობდა მოსაუბრე, თუ მეტადრე იმ გარემოებასაც გავიხსენებთ, რომ თავდაპირველად ამ ნაცვალსახელების სამი პირის ფორმებს ან **რ** ანდა **ნ** უნდა ჰქონოდათ და ამიტომ 1 პირისა და მეორე პირის ფორმად უნდა **აბარ**, ანდა **აბან** ვიგულისხმოთ. ამ მოსაზრებათა გამო **საფიქრებელია, რომ პირველი და მეორე წყების ნაცვალსახელების 1 და 2 პირის ფორმებს ოდინდელი თავკიდური პირის მაჩვენებელი ბგერები დაკარგული უნდა ჰქონდეთ.** ამ დანაკლისის კომპენსაციასა და 1 და 2 პირის ფორმათა მნიშვნელობის გარჩევის შესაძლებლობას მეორე და პირველი პირის ფორმებში მომხდარი **რ** და **ნ** თანხმოვნის ფონეტიკური დიფერენციაცია ჰქმნიდა: ამით 1 და 2 პირის ფორმების ერთი მეორისაგან განრჩევა შესაძლებელი შეიქმნა და პირის მაჩვენებელი თავსართების გაქრობის ზიანიც ანაზღაურებულ იქმნა.

თუ ეს აზრი მცდარი არ არის, მაშინ უნდა გამოირკვეს, პირთა აღმნიშვნელი რომელი თავსართები უნდა ჰქონოდათ ორივე რიცხვის პირველი და მეორე პირის ორივე წყების ნაცვალსახელებს?

ამ საკითხის გამორკვევა ნაცვალსახელთა მესამე წყების ანალიზის საშუალებით შეიძლება, რომელსაც მხოლოდ მრ. რ. ფორმები აქვს. მე-3 წყების მრ. რ.

1 პირი **ჰართ**

2 „ **შჷართ**

3 „ **ურთ** არის, რომელიც უართ-ისაგან არის წარმომდგარი. ამ ფორმების ჯერ პირთა ერთი მეორესთან, შემდეგ-კი ნაწილობრივ პირველისა და მეტადრე მეორე წყების ნაცვალსახელებთანაც შედარება ცხადჰყოფს, რომ **პირველი პირის აღმნიშვნელ თავსართად აქ ჰ არის, მეორე პირისა—შჷ, მესამე პირისა კიდევ უ გამოდის.**

აღსანიშნავია, რომ საკუთრივ პირთა ნაცვალსახელების მრ. რ.-ის 1 პირსაც თავში **ჰ** ბგერა და 2. პირს **შჷ** აქვთ, ე. ი. იგივე, რაც მესამე წყების შესატყვის ფორმებს. მესამე პირის ფორმას-კი იქ მხოლოდ **დ** აქვს თავში (დარპ) **ურთ** (უართ)-ის მაგიერ.

ეხლა მხ. რ. პირთა აღმნიშვნელი ბგერების გამორკვევას რომ შევუდგეთ, ჯერ უნდა იმ გარემოებას მივაქციოთ ყურადღება, რომ სამივე წყების მრ. რ-ის სამივე პირის ფორმებს ბოლოში მრავლობითობის აღმნიშვნელი **თ** აქვს. სწორედ ეს ბოლოში დართული **თ** ბგერა მხ. რ.-ის ფორმას მრ. რ.-ის ფორმად ხდის. აღსანიშნავია ამასთანავე, რომ **თ მრავლობითი რიცხვის ბოლოსართი მესამე წყების ნაცვალსახელის სამივე პირის ფორმებსაც აქვს, რომელთაც პიროვნული თავსართებიც აბადიათ.** რაკი ენას ამ შემთხვევაშიაც მრ. რ.-ისათვის **თ** ბოლოსართის ხმარება დასჭირებია, ეს იმის ცხადი დამამტკიცებელი

უნდა იყოს, რომ თავისდათავად ჰ, შr და უ თავსართებს პიროვნების მრავლობითობის გამოხატვა, ანუ მრ. რ.-ის ნაცვალსახელის მოვალეობის ასრულება არ შეეძლოთ. ეს-კი იმ გარემოების გამომჟღავნებელია, რომ პირთა მაჩვენებელი თავსართები მხოლობითი და მრავლობითი რიცხვისათვის თავდაპირველად ერთი-და-იგივე ყოფილა, და მრ. რ.-ის ფორმების საწარმოებლად მხოლოდ Ѳ ბოლოსართის მიმატება-ღა იქმნებოდა საჭირო.

ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ თანამედროვე და უკვე მე-XVIII ს. ჩანაწერით ალბეჭდილი განსხვავებული მხ. რ.-ის 1 პირისათვის სარა-ს და მრ. რ.-ის იმავე პირისათვის ჰარა-ს, ე. ი. განსაკუთრებული ნაცვალსახელის არსებობა მერმინდელი ფონეტიკური დიფერენციაციით წარმოშობილი მოვლენა უნდა იყოს.

სამივე, მეტადრე-კი პირველი, წყების ნაცვალსახელთა ანალიზის დროს დავრწმუნდით, რომ ბ და რ-ს პირთა ნაცვალსახელოვან თავსართებად მიჩნევა არას გზით არ შეიძლება. ეს გარემოებავე გამომჟღავნდა ჟ ბგერიანი მე-2 და მე-3 პირის ნაცვალსახელთა განხილვის დროსაც.

ამის შემდეგ, თავისთავად იბადება აზრი, რომ მხ. რ.-ის მეორე პირის მამრობითი სქესის ნაცვალსახელებში ჟარა-სა და მდედრობითისა—ბარა-ს ჟ და ბ ბგერებისაც მე-2 პირის ნაცვალსახელოვან თვისებად მიჩნევა არ შეიძლება. ამ აზრის სიმართლის დამტკიცება იმითაც შეიძლება, რომ მე-2 პირის ნიშნად შr ბგერა არის, როგორც ნაცვალსახელთა მესამე წყების ფორმების ანალიზის დროს დავრწმუნდით. ხოლო რათგან ჟარა მეორე პირს, მაგრამ მ ა მ ა კ ა ც ს ნიშნავს, ბარა-ც მეორე პირს, მაგრამ მხოლოდ დ ე დ ა კ ა ც ს, ამისდა მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ აქ ჟ პირისა-კი არა, როგორც აქამდის ეგონათ, არამედ მამრობითობის აღმნიშვნელი ოდინდელი თავსართი უნდა იყოს, ბ-ც მდედრობითობის, ანუ უფრო სწორედ რომ ითქვას, უჰასაკოთა და არაგონიერ არსებათა აღმნიშვნელი თავსართია. აბხაზურსა და კავკასიის სხვა ენებში ამის მსგავსი არაერთი სხვა შემთხვევაც არის, სადაც დედაკაცი უჰასაკოთა და არაგონიერ არსებათა ჯგუფშია ხოლმე მოქცეული.

ბარა უნდა ნაცვალსახელთა 1 წყების მხ. რ.-ის მე-2 პირის აბანრ-ს მსგავსი და მონათესავე ფორმის აბარრ-საგან იყოს წმინდა პირთა ნაცვალსახელთა წყებაში შეხიზნული იმგვარადვე, როგორც ჟარა-ც, როგორც ეტყობა, აწ უკვე სრულებით დაკარგულისა, მაგრამ მე-XVIII ს. გ ჰ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერში ალბეჭდილი მრ. რ.-ის მე-2 პირის აჟანთ-ის შესატყვისი მხ. რ.-ის მე-2 პირის აჟანრ-ს მსგავსი და მონათესავე აჟარრ-ს ფორმისაგან უნდა იყოს შერჩენილი.

ამნაირადვე საფიქრებელია, რომ მხ. რ.-ის მე-3. პირის დედაკაცის აღმნიშვნელს ლარა ნაცვალსახელშიც ლ პირის ნაცვალსახელოვანი ელემენტი-კი არ არის, არამედ მდედრობითი სქესის ძველი, ბ-ზე უწინარესი, თავსართოვანი ნიშანია.

ყველა ზემოგანხილულისა და ანალიზით მოპოებულის შემდეგ, გვებადება აზრი, რომ აბხაზურში ოდესღაც ნაცვალსახელთა ორი ჯგუფი უნდა ყოფი-

ლიყო, რომელთაგან პირველი მხოლოდ წმინდა პირთა ნაცვალსახელების ფორმებს შეიცავდა, პირთა სქეს-კატეგორიის აღუნიშვნელად, მეორე ჯგუფის ფორმები-კი პირველ ჯგუფის ფორმებისაგან სწორედ იმით განსხვავდებოდნენ, რომ მათ, პირის აღმნიშვნელ ნიშნებს გარდა, პირის სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელი ფორმანტებიც ჰქონდათ.

ნაცვალსახელთა ამ მეორე ჯგუფს ფორმათა იმდენი წყება ექმნებოდა, რამდენი სქეს-კატეგორიაც აბხაზურში არსებობდა. **საფიქრებელია, რომ ეს მეორე წყება პირველზე ადრინდელია. დროთა განმავლობაში** აბხაზურში სქეს-კატეგორიის შეგნების შესუსტება-გაქრობასთან ერთად, **ნაცვალსახელთა ამ მეორე, სქეს-კატეგორიის გამომხატველი, ჯგუფის ფორმებს თანდათანობით თავში მყოფი პირის მაჩვენებელი ნიშნები ჩამოსცილებია.** ამ ფორმებში მომხდარი ფონეტიკური დიფერენციაციის წყალობით (ნ და რ-ს შენაცვლებით) ამ ფორმათა პირის მიხედვით განრჩევა პირის ფორმანტის დაკარგვის შემდეგაც შესაძლებელი იყო და ამიტომაც ამ ფორმების პირთა ნაცვალსახელების მნიშვნელობით წინანდებურად ხმარებაც შეიძლებოდა და თანაც სქეს-კატეგორიის განსხვავების აღმნიშვნელობაც მათ შერჩენილი ჰქონდათ. ამ თვისების წყალობით ამ მეორე ჯგუფის მეორე და ზოგი სხვა პირის ეს ნაცვალსახელები საკუთრივ პირთა ნაცვალსახელების ჯგუფში მოექცნენ.

აბხაზური ნაცვალსახელების აღნაგობისა და შემადგენელი ელემენტების შესწავლა მკვლევარს მართლაც საყურადღებო საკითხების გამორკვევის საშუალებას აძლევს და ასეთმა გულდასმითმა ანალიზმა, როგორც მათი აგებულების, ისევე პირთა და სქეს-კატეგორიების აღმნიშვნელი ნამდვილი ბგერების გამორკვევა შეგვაძლებინა. ამავე დროს დავრწმუნდით, რომ პირთა ნაცვალსახელების ანალიზისათვის უკუქცევითს ნაცვალსახელებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონია.

თავი მეორე

უბიხური ნაცვალსახელები

სინდურ ენათა შორის ნაცვალსახელების მხრით აბხაზურივით უბიხურია საყურადღებო. წინათ თუ უბიხური ნაცვალსახელების მხოლოდ ერთი, უსლარის წინასწარი ჩანაწერი გვქონდა, ეხლა უკვე მეტყველების ამ ნაწილზე ამას გარდა ორს მონოგრაფიულ შრომაში საკმაო ცნობები მოგვეპოვება. პირველი ცნობები პ. უსლარს აქვს აღბეჭდილი თავის პატარა წერილში „უბიხთა ენის შესახებ" („О языке убыхов"), რომელიც მისი ნაშრომის „აბხაზურ ენა"-ს დამატებად ახლავს კავკ. ოლქის გამოცემაში (გვ. 75—102). მონოგრაფიულად-კი ად. დირრს აქვს შესწავლილი 1927 და 1928 წ. გამოქვეყნებულს ნაშრომში „უბიხთა ენა" („Die Sprache der Ubychen", იხ. Caucasica IV, 65—144 და V, 11—54). დამატებითი ცნობები და შესწორებანი გ. დვმეზილის 1932 წ. ნაკვლევშია „უბიხთა ენა" („La langue des Oubykhs": Collection linguistique, publiée par la Societè de Linguistique de Paris, t. XXXV).

§ 1. პირთა ნაცვალსახელები

1. მე—სგლჶა (დ.), სგლოე (უ.), სგლოა́ (დირ.)[1].—ჩვენ—შგლუალჲა; შილოალჲა́ (დირ.)[2], შჷუღლოე (უსლ.)

2. შენ— (უ)ლჶა (დ.), ვუღლოე(უ.), უღლოა(დირ.).—თქვენ—სჷლჶალჲა, სჷილოალჲა́ (დირ.) სჲჷუღლოე (=სშჷუღლოე) (უსლ.)

3. ეს—ჲანა́, ლგლლა, ნგლლა (იშვიათად დ.).—ისინი—ჲალჲა̈(დ.), ჲილჲა, (დირ.) და ჲნჲა (უსლ.), ჲი (დირ.), ჶა̈ლჲა̈ (დ.) ოელჲა (უსლ.)

ის—ჶანა (დ.), ოენჲა (უსლ.), ჶა (დირ.), ჶალჲა (დირ).

„ის თითონ“—ალჶა.

(დ ვ მ ე ზ ი ლ ი ს Étud., გვ. 106 და 110,—უ ს ლ ა რ ი ს აბ. ჲ., გვ. 92—93 და დ ი რ რ ი ს Einführung, გვ. 44).

უბიხურს ნაცვალსახელოვან თავსართებად აქვს:

მხ. რ.

1 პ. ს(ი), ს(გ) [დ.],— ს (უსლ.),— ს, ს(გ) უსლ.).
2 პ. ჶუ, ჶუ, ჶ (დ.),— ვ, ან უ (უსლ.),— უ (დირ.).
3 პ. ლ (ა), ლგ (დ.),— ლლ (უსლ.).

მრ. რ.

1 პ. შ(ი), შგ(დ.), ში (უსლ.),— შ, ში (დირ.).
2 პ. სჷ(ვ) (დ.),—სჲ, სშ (უსლ.),— სჷ, სჷი (დირ.) (იქვე).

§ 2. კუთვნილებითი ნაცვალსახელები

კუთვნილებითი ნაცვალსახელების შესაქმნელად უბიხური პირის ნაცვალსახელს კუთვნილების გამომხატველს გჴ ფორმანტს უმატებს ხოლმე სათანადო ნაცვალსახელოვანი თავსართითურთ, მაგ. ჩემი იქმნება სგლჶა სგჴ, შენი კიდევ ულჶა უჴ, რომელიც შერწყმული სახითაც ულჶოჴ-ადაც ითქმის (დვმეზილის Études, გვ. 114).

§ 3. უკუქცევითი ნაცვალსახელები

უკუქცევითი ნაცვალსახელების მაწარმოებლად უბიხურს გა̈ ბოლოსართი აქვს და მე თითონ, ან მევე იქმნება სიგა̈, შენვე—(ჶ)უგა̈. დ ვ მ ე ზ ი ლ ი ს სიტყვით, ეს გა̈ ფორმანტი აბხაზურს გჷგ და ადიღეურს კჷ ბოლოსართებს უდრის (Études, გვ. 116).

---

[1]. დ ი რ რ ი ს განმარტებით, ლჶა ლოა = თითონ-ს (იქვე).

[2]. ლჲა, რასაკვირველია, ძველი მრავლობითი რიცხვის ბოლოსართია, დ ი რ რ ი ამბობს (იქვე).

§ 4. უბიხური ნაცვალსახელების აგებულება და შემადგენელი ელემენტები

უბიხური პირთა სამივე პირის ნაცვალსახელები დანარჩენი სინდური ენებისაგან საგრძნობლად განსხვავდებიან. სხვაობა უმთავრესად მეტყველების ამ ნაწილს მეორე მარცვალში ემჩნევა: აბხაზურს, ადიღეურს და ყაბარდოულს ახმოვნებული, ანდა უხმოვნო ŕ ბგერა აქვთ, უბიხურს-კი მეორე ნაწილად ლჾა (მხ. რ. 1, 2. პ. და ერთს ჩვენებითს ნ.), ლღა (ჩვენებ. ნ.) და ლჾახლჷ (მრ. რ. 1, 2 პ. და ერთს ჩვენ. ნ.) მოეპოვება.

უბიხური პირთა ნაცვალსახელების აგებულება შესდგება: 1. ნაცვალსახელოვანი ნიშნისა, 2. ლჾა მარცვლისაგან, რომელიც ლჾ-დაც გამოითქმის და მრ. რ. 3 პ. აგრეთვე ბოლოკიდური ლჷ ნაწილაკებისაგან. ისევე, როგორც ამ ნაცვალსახელების თავკიდურს მარცვალს პირის აღნიშვნა ეკისრება, დანარჩენ ნაწილებსაც, ცხადია, თავიანთი დანიშნულება უნდა ჰქონდეთ.

დ ჳ მ ე ზ ი ლ ი ფიქრობს, რომ უბიხ. მრ. რ. ნაცვალსახელების 1. პ. შგლჾალჷ-ს და 2. პ. სჳგლჾალჷ-ს (უსლ.: სშჾლღე) ბოლოკიდური მარცვალი ლჷ მრავლობითი რიცხვის ნიშანია (იხ. Études, გვ. 106, შენ. 10). მაგრამ მისივე სიტყვით ეს ნაწილაკი მრ. რ. ნიშნად მხოლოდ 1. და 2. პირის და ჩვენებითი ნაცვ. სახელების, აგრეთვე სახელზმნათა მრ. რ. ფორმებს უჩანთ (მისივე Uob., გვ. 35). ჩვეულებრივი უბიხური მრ. რ. ნიშანი-კი ხ არის. მართალია, თანამედროვე უბიხურში 1. და 2. პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების მრ. რ. ფორმებში ლჷ ნაწილაკი მრ. რ. ნიშნად აღქმული ჩანს, მაგრამ ზოგიერთი მოსაზრება გვაფიქრებინებს, რომ ეს მერმინდელი გააზრიანების შედეგი უნდა იყოს და თავდაპირველად ამ რთული აგებულების ნაწილაკს სხვა დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა.

მარტო ეს უბიხური ფორმები რომ ავიღოთ, ბოლოკიდური ლჷ მართლაც მრ. რ. ნიშნად მოგვეჩვენება, თუმცა მრ. რ. 1. და 2. პირის ფორმების ნაცვალსახელოვანი თავკიდური ელემენტი ამავე პირების მხ. რ. ასეთივე ელემენტებისაგან ისე განსხვავდება, რომ მათი მრავლობითობა ისედაც ჩანს და ამიტომაც მრ. რ. ბოლოსართი ზედმეტი უნდა ყოფილიყო. მაგრამ, ამ უკანასკნელ გარემოებასაც რომ ყურადღება არ მივაქციოთ, მოძმე ენებთან შედარებამაც შესაძლებელია ამ ლჷ ნაწილაკის თავდაპირველი ბუნება და დანიშნულება სულ სხვანაირად წარმოგვიდგინოს. მხოლოდ, სანამ შედარებითს შესწავლას შევუდგებოდეთ, ჯერ ამ ბოლოკიდური ლჷ მარცვლის ანალიზია საჭირო.

ამ მარცვლის თანხმოვანი ლატერალური, ანუ გვერდითი ლჾ არის, რომელიც, როგორც ვიცით, რთული ბგერაა და გვერდით გამოთქმულობასთან ერთად ხლ-ს შერწყმულობას მაინც და მაინც უცილობლად შეიცავს. თუ ამ გარემოებას გავიხსენებთ და წარმოვიდგენთ, რომ ამ ორი თანხმოვნის შერწყმულობა მერმინდელი მოვლენა უნდა იყოს, მაშინ ამ ლჾ-ს ხ და ლ თანხმოვნებად გაყოფა შეიძლება და მთელი ეს ბოლოკიდური ნაწილი ხლჷ-დ წარმოგვიდგება, რომელიც თვით ხ და ლჷ-საგან არის შემდგარი. ამათგან ხ უბიხურსა და ადიღეურში მართლაც სწორედ მრ. რ. ნიშანია. ამნაირად ლჷ მარ-

ცვალს მრავლობითობის აღმნიშვნელობას მხოლოდ მასში შემავალი ხ ანიჰებს, ლჵ-ს კი ამასთან არავითარი კავშირი არა აქვს, არამედ მისი დანიშნულება **ცალკე უნდა იყოს გამორკვეული**. თუ ამის შემდგომ ზემომოყვანილს 1. და 2. პირის მრ. რ. უბიხურს ფორმებს ასეთსავე ნაცვალსახელებს 1. პ. აბხაზურს **ჰარა** სა და ადიღეურს **ტერი**-ს, 2. პ. აბხ. **შჷარა**-სა და ადიღ. **სჷერი, ფერი**-ს შევადარებთ, იქაც მრ. რ. ამ ოთხსავე ფორმას ხომ **რა** და **რი** მარცვალი აქვს ბოლოში. რაკი იგი ძირეული არ არის, რასაკვირველია, რაღაც ფორმანტი უნდა იყოს. ხოლო, რათგან ოთხივე მრ. რ. ფორმაა, ამიტომ აქაც შესაძლებელია ადამიანს ეფიქრა, რომ **რა** და **რი** სწორედ მრ. რ. ნაწილაკებია, მით უმეტეს, რომ ასეთ პირობებში სრულებით ბუნებრივია აბხაზური **რა**-სა და უბიხური **ლჵ**-ს იგივეობა ვიცნათ. მაგრამ, რამდენადაც უკანასკნელი დასკვნის, **რა**-სა და **ლჵ**-ს იგივეობის, წინააღმდეგ არაფრის თქმა არ შეიძლება, იმდენადვე სრულებით მცდარი იქნებოდა აზრი, თითქოს **რა** და **რი** მრ. რ. ნაწილაკებია. ეს თუნდაც იქითგან ჩანს, რომ **რა** აბხაზურსა და ადიღეურში პირთა ნაცვალსახელების მხოლობითი რიცხვის სამივე პირის ფორმებსაც აქვთ. ცხადია, რომ **რა** და **ლჵ**-ს, **რ**-საც სინდური ენების ნაცვალსახელებში ისეთივე დანიშნულება უნდა ჰქონდეს, როგორიც ქართულსა და ქართველურებში მეტყველების ამავე ნაწილში **ნა** და **ნ**-სა აქვს. ამიტომაც საფიქრებელია, თავდაპირველად უბიხურ ნაცვალსახელების მხ. რ. ფორმებსაც, აბხაზურისა და ადიღეურ-ყაბარდოულის მსგავსად, ამავე ნაწილაკის ფონეტიკური სახესხვაობა **ლჵ** უნდა ჰქონოდათ ბოლოში და მხოლოდ შემდეგში, დროთა განმავლობაში, უნდა ჰქონდეს ეს ნაწილაკი მხ. რ. ფორმებს ჩამოცილებული.

ლჵ მარცვლის რაობის განხილვის შემდგომ, უნდა **ლჶა**-ს დანიშნულების გამორკვევაც ვცადოთ. დ ჰ მ ე ზ ი ლ ი ფიქრობს, რომ **ლჶა** იგივე მითითებითი ნაწილაკია, რომელიც აგრეთვე კიდევ შემდეგ გამონათქვამებში გვხვდება: **ალჶა** „ეს თითონ“, **და-ლჶა** „ამნაირად“, **ლგლჶა** „ქვევით“, **სჲგ-ლჶა** „ზევით“, **ზა-ლჶა**, ანდა **ზა-ლო** „ერთეული“, „ერთობლივ“, მაგ. **შა-ზჵლოჲილჵ** „სამი ძმა“, „სამივე ძმა“ (Dub., გვ. 17, § 33 და 15 § 31). ადამიანი რომ ჩაუკვირდეს, ზემომოყვანილს შემთხვევებში **ლჶა** ნაწილაკი ქართულს **ვე** ნაწილაკს უდრის, რათგან ეს გამონათქვამები ქართულად ასეც შესაძლებელია გამოიხატოს: თითონვე, ასევე, სამივე.

უბიხური პირთა ნაცვალსახელების აგებულების ზემომოყვანილი ანალიზის შემდგომ, ცხადია, რომ ამ ნაცვალსახელების მნიშვნელობა **მე, შენ, ის, ჩვენ, თქვენ** და **ისინი**-კი არ იქნება, არამედ, მათი შინაარსი რომ ზედმიწევნით გამოითქვას, უნდა გადმოგვეთარგმნა **მევე**, ანუ **მე თითონ**, **შენვე**, ანუ **შენ თითონ**, **ჩვენ თითონ**, **თქვენ თითონ** და **თითონ ისინი**. მაგრამ ამ ნაცვალსახელების აღმნიშვნელობის ასეთი გაგება მხოლოდ მათი აღნაგობის თანამედროვე ანალიზის შემდგომ წარმოუდგება მკვლევარს, თვით უბიხებს-კი ყველა ისინი პირთა მარტივ ნაცვალსახელებად ესმით. ისევე, როგორც მათი თანამედროვე ხალხური გაგება აგებულების ანალიზზე დამყარებულს გააზრიანებას არ უდგება, ვერც მათი ლინგვისტიკური განაწევრებით მოპოებული ზემოაღნიშნული განმარტება უნდა გამოჰხატავდეს ამ ნაცვალსახელების თავდაპირველს შინაარსს.

ამ უბიხური ნაცვალსახელების თავდაპირველი აღმნიშვნელობის მიგნება მათი აგებულებისა და ნაწილების ნამდვილი რაობის გაგებაზეა დამოკიდებული. ხოლო უბიხური ნაცვალსახელების აღნაგობა-აღმნიშვნელობის გამორკვევა ქართულ-ქართველური და კავკასიური ენების ნაცვალსახელების არა ერთი ძირითადი საკითხთაგანის გადაწყვეტასაც გაგვიადვილებს.

უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ პირთა უბიხური მრ. რ. 1. და 2. პირის ნაცვალსახელების ბოლოკიდური ლჾ მარცვალი მრ. რ. ფორმანტი-კი არა, არამედ სინდური ენების ნაცვალსახელების საერთო რა დაბოლოების ფონეტიკური სახესხვაობაა, და რომ წინათ, აბხაზურის, ადიღეურისა და ყაბარდოულის მსგავსად, უბიხური ნაცვალსახელების მხ. რ. ფორმებსაც ბოლოში ეს ლჾ მარცვალი უნდა ჰქონოდა და 1. პ. მე—სგლჶალჾ, 2. პ. შენ—(უ)ლჶალჾ ყოფილიყო. საკმარისია აბხაზური მხ. რ. 2. პ. ნაცვალსახელი ჶარჾ და ბარა ავიღოთ და ამავე პირის უბიხურს (უ)ლჶალჾ-ს[1] შევადაროთ, ისევე, როგორც მრ. რ. აბხაზური 2. პ. შჷარა უბიხურს სჸლჶალჸჾ-ს, რომ ჶარა-მ და ლჶალჾ-მ უნებლიეთ ჩვენი ყურადღება მიიპყროს. მრ. რ. 2. პ. აბხაზური შჷარა-ც თავისი აგებულებით მეტად საყურადღებოა: თუმცა შ-ს ლაბიალობა ზმნის ნაცვალსახელოვანს თავსართებშიც დაცულია, მაგრამ მაინც საფიქრებელია, რომ იგი თავდაპირველად ამ შემთხვევაში შ-ს მომდევნო ŭ-ს შერწყმის შედეგი უნდა იყოს და თვით ნაცვალსახელი შ, ან შუ და ŭარა-საგან უნდა იყოს წარმომდგარი, რომელთაგან პირველი 2. პირის ნიშანი იყო, მეორე ŭარა-კია იგივე, რაც თავდაპირველად მხ. რ. 2. პირის ჶარა იყო, ე. ი. მამრობითი სქესის გამომხატველი.

აბხაზურსა და უბიხურს შორის 2. პ. წარმოებაში ორი განსხვავებაა: პირველი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ აბხაზურს მამრ. და მდედრ. სქესისათვის ცალ-ცალკე ფორმები მოეპოვება, უბიხურს-კი, ჩერქეზულისა და ყაბარდოულის მსგავსად, გრამ. სქესის განრჩევა არა აქვს და მხოლოდ ერთი ფორმაღა შერჩენია, სახელდობრ ისეთივე, როგორიც მამრ. სქესის ცნობილი აბხაზური ფორმაა. მეორე განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ აბხაზური ჶარა-ს მაგიერ უბიხურს ლჶალა აქვს, რაც ჶ-ს ლჶ-დ შენაცვლების გზით უნდა იყოს გაჩენილი.

თუ ზემომოყვანილი მოსაზრება მცდარი არ არის და უბიხური ლჶალჾ მართლაც ჶარა-ს ფონეტიკურს შენაცვლებას წარმოადგენს, მაშინ უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ აწ არსებული უბიხური პირთა ნაცვალსახელების აგებულება პირის ნაცვალსახელოვანს ნიშანს, მამრ. სქესის ლჶა-დ შენაცვლებულს ŭ ნიშანსა და ნაცვალსახელების მაწარმოებელს ლჾ-დ შენაცვლებულსვე რა ბოლოსართს შეიცავს. მთლიანად თითქმის უცვლელად ასეთი აგებულება მრ. რ. 2. პ. აბხაზურ ნაცვალსახელს შჷარა-ს (=შჶარა-ს) აქვს დაცული, მხ. რ. ამავე პირის მამრ. სქესის ფორმას-კი თავში სწორედ პირის ნიშანი აქვს დაკარგული. დამახასიათებელია, რომ ამ პირის ნაცვალსახელოვანი თავსართი უბიხურსა და დანარჩენს ორ სინდურ ენასაც დაჰკარგვია.

---

[1]. (უ) სწრაფი საუბრის დროს დ ჯ მ ე ზ ი ლ ი ს ცნობით არ ისმის და 2. პ. ნაცვ.ლჶა-დ გამოითქმის.

მაგრამ აბხაზურში 2. პ. მხ. რ. ნაცვალსახელი მარტო მამრობითი სქესისა-თვის-კი არა, არამედ მდედრ. სქესისათვისაც, ზარა-ც არსებობს, ისევე როგორც მესამე პირსაც აბხაზურში მდედრ. სქესის აღსანიშნავადაც ცალკე ფორმა ლარა-ც გააჩნია. ეს ორი გარემოება, იმასთან ერთად, რომ უბიხურს ყველა ნაცვალსახელების მეორე ნაწილად მამრ. სქესის გამომხატველი ლჟა ახლავს, გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად სინდურს ენებში ნაცვალსახელების ფორმები მარტო პირისდა მიხედვით-კი არ განსხვავდებოდნენ, არამედ სქესისდა მიხედვითაც და შჟარა-ს გარდა, შზარა-ც იქმნებოდა, 1. პ. ფორმა მამრ. სქ. უნდა სჟარა, მდედრ. სქ. უფრო ადრინდელი ფორმა ლარა, ხოლო ზარა უპასაკოთა გამომხატველი ყოფილიყო, მერმე-კი უკანასკნელი მდედრ. სქ. აღმნიშვნელად ქცეულა. გრამ. სქეს-კატეგორიების უბიხურში გაქრობისთანავე მამრ სქესის გამომხატველს ლჟა ფორმანტს ზოგადად ჩვენებითი, ან უკუქცევითი ნაწილაკის დანიშნულება მიჰნიჭებია. ის გარემოება-კი, რომ უბიხურს პირის ნიშნებთან ერთად ასეთი ნაწილაკის დართვაც აუცილებლად საჭიროდ მიუჩნევია, წინათ არსებული სქესის ნიშნების ანარეკლსა და კომპენსატორულს წარმოებას უნდა შეადგენდეს.

დ ჷ მ ე ზ ი ლ ი უბიხური კუთვნილებითი ნაცვალსახელების გხ ფორმანტის არც ეტიმოლოგიასა და არც თავდაპირველ მნიშვნელობას არ ეხება. მე-კი მგონია, რომ გხ უნდა თავადისა და ბატონ-პატრონის აღმნიშვნელი უბიხური სიტყვის დგხგ-ს შუა ნაწილი იყოს და თავდაპირველად ხგლჟა სგხ—მე, მე-პატრონი-ს აღმნიშვნელი და ამნაირად ჩემი-ს გამომხატველი უნდა ყოფილიყო.

დ ჷ მ ე ზ ი ლ ი ამბობს: ერთად-ერთი სიტყვა, რომელსაც მხ. და მრ. რ. 3. პირის ნაცვალსახელებთან ამ პირის კუთვნილებითი თავსართი არ ერთვის ხოლმე, ბატონ-პატრონის აღმნიშვნელი დგხგ არის, მაგ. ამბობენ ძინა̈ დგხგ „ამის პატრონი“, —ალჟა დგხგ „მისი საკუთარი, პატრონი“, —ძიხაუსტა ა-დგხ-ნგ „ამ პირუტყვების პატრონები“. ყველა ამ შემთხვევებში ამ სიტყვებს უნდა შესაფერისი ნაცვალსახელოვანი კუთვნილებითი თავსართი ჰქონოდათ, მაგრამ არ იხმარებათ (Oub. გვ. 18, § 36). სწორედ იმიტომაც არა აქვს დგხგ-ს თავში ნაცვალსახელოვანი თავსართი, რომ იგი თვით გხ ფორმანტის სრული ფორმაა და წინამორბედ ნაცვალსახელთან ერთად კუთვნილების გამომხატველია.

პატრონის აღმნიშვნელი უბიხური სიტყვა დგხგ საყურადღებო სიტყვაა. ვითარცა კუთვნილების გამომხატველი, არსებითად იგი ძველი ქართული თავადისა და თავის შესატყვისობა უნდა იყოს მარტო გრამატიკულად-კი არა, არამედ ძირითაც. დგხგ ვგონებ უნდა ძველ ქართულს თხემსა და სვანურს თხვიმ-ს უდრიდეს. ისევე თავისაგან ნაწარმოები თავადი ძვ. ქართულში გამოჰხატავდა ხოლმე თჳთ-ს, სვანურადაც თხემისა და თავის აღმნიშვნელი თხვიმშუ-ც ხომ თითონ-ის აღმნიშვნელი არის.

აბხაზურში წინაუკმო მოვლენა გვაქვს: იქ თავს ჰქვიან ახჷ, რომელშიც ა ჩვეულებრივი აბხ. ართრონია, ·ხჷ-კი თავის გამომხატველია, ხოლო თვით-კი ჳათა არის.

თავი მესამე

ადიღეური, ანუ ჩერქეზული ნაცვალსახელები

ადიღეური ნაცვალსახელების ჩანაწერი ლ ვ ლ ჲ ე ს და დ ვ მ ე ზ ი ლ ი ს ნაშრომებსა და ჲ ა კ ო ვ ლ ე ვ - ა შ ხ ა მ ა ფ ი ს გრამატიკაში მოიპოვება, მათი ანალიზი-კი მხოლოდ დვმეზილსა და ჲაკოვლევ-აშხამაფისა აქვთ. ზემოაღნიშნული ავტორების ცნობები ერთმანერთს ხშირად არ უდგება და ამიტომაც სამივე აქვე მომყავს.

§ 1. მკვლევართა ცნობები ადიღეურ ნაცვალსახელებზე

A. ადიღეური (ჩერქეზული) პირთა ნაცვალსახელები

მხ. რ.

1. მე—სერჷ, სე(ლ.),— სერიჲ, სერი (დ.),— სერ, სე (ჲაკ.).
2. შენ—ვჳორე, ვჳო (ლ.),— ჳერი, ჳო, ჳე (დ.),—ჳერ, ჳე (ჲაკ.).
3. ეს—ი, იჷ, მჷრჷ, მჷ, არჷ (ლ.)— მირ(ი), მიშ(ი) (დ.),— მგრ, მგ (ჲაკ.). ის—არ(ი), აშ(ი), ჰარ, ჰაშ (დ.),— მორ, მო (ხილული), ჲრ, ა (უხილ.: ჲაკ.).

მრ. რ.

1. ჩვენ—ტერჷ, ტე (ლ.),— ტერი, ტერიხერ (დ.),— თერ, თე (ჲაკ).
2. თქვენ—სჳჷრჷ, სჳჷ (ლ.),— სჳერი, სჳერიხერ, ფერი (დ.),— შჳერ, შჳე (ჲაკ).
3. ესენი—ა, მა, არცხ, მჷრცხ (ლ.),— მიხე(რ), მიშე(რ) (დ), მგხერ (ჲაკ.).

(ლ ვ ლ ჲ ე, ჩ. ე., გვ. 7, 8—9,— დ ვ მ ე ზ ი ლ ი ს Études, გვ. 106 და 110,—ჲ ა კ ო ვ ლ ე ვ ი ს ა და ა შ ხ ა მ ა ფ ი ს ადიღ. გრ., გვ. 55-57).

როგორც ზემომოყვანილთაგან ჩანს, ადიღეურს 3. პ. ნაცვალსახელად ჩვენებითი ნაცვალსახელები აქვს გამოყენებული.

B. კუთვნილებითი ნაცვალსახელები

მხ. რ.

1. ჩემი—სესიჲ, სიჲ (ლ.),— სე სიჲ (დ.),— სესგჲ (ჲაკ.).
2. შენი—ვჳოვჳჲ, ვჳჲ (ლ.),— ჳე ჳიჲ (დ.),— ჳაუჲ (ჲაკ.).
3. მისი—იჲ, აშცჲ (ლ.),— იჲ || ჲგჲ (ჲაკ.).

მრ. რ.

1. ჩვენი—ტჷტიჲ, ტიჲ (ლ.),—თეთგჲ (ჲაკ.).
2. თქვენი—სჳჷსჳჲ, ხჳჲ (ლ.),— შჳაშუჲ (ჲაკ.).
3. იმათი—ჲაიჲ, ჲაშ(იჲ (ლ.),—ჲაჲ (ჲაკ.).

(ლ ვ ლ. გვ. 8, დ ვ მ ე ზ. 114, ჲ ა კ. და ა შ ხ. 60).

C. უკუქცევითი ნაცვალსახელები

ადიღეური უკუქცევითი ნაცვალსახელები ლ ჳ ლ ჲ ე ს ასე აქვს მოყვანილი: პირადად, უფრო ზედმიწევნით რომ გადმოვაქართულოთ, **თავად** იქმნება **სხაგე**, ხოლო **თითონ—სერჱ** და **სერსერო** (ლჳლ. რ.—ჩრ. ლ. გვ. 100: лично და გვ. 185: сам), დ ჳ მ ე ზ ი ლ ი თ-კი **სერი** ადიღეურად **მე**-საც ნიშნავს და **მე თითონ**-საც (იხ. Étud. გვ. 106 შენ. 7) და ეს ცნობა, რასაკვირველია, ლ ჳ ლ ჲ ე ს ა ზ ე უფრო სწორეა. **სერჱ** შესაძლებელია **თითონ**-ისა-კი არა, არამედ მხოლოდ **მე თითონ**-ის აღმნიშვნელი იყოს.

იმავე ლ ჳ ლ ჲ ე ს გრამატიკით, ადიღეურად ორივე რიცხვის სამივე პირის უკუქცევითი ნაცვალსახელი ასე გამოიხატება ხოლმე:

მხ. რ.		მრ. რ.	
1. მე ჩემთავს	—ზჱზჱ	ჩვენ ჩვენთავს	—ზჱტჱ
2. შენ შენთავს	—ზჱვჵო	თქვენ თქვენთავს	—ზჱსჳჱ
3. ის თავისთავს	—ზგი	ისინი თავიანთთავს	—ზგა.

(რ.—ჩრ. ლ. გვ. 8).

ზემომოყვანილითგან ჩანს, რომ **თავისთავის** და **თითონ**-ის გამომხატველი აქ ყველგან **ზე**, ანდა **ზ** თავსართია, რომელიც პირთა ნაცვალსახელების ბოლომოკვეთილ ფორმებს წინ ერთვის ხოლმე.

ხოლო დ ჳ მ ე ზ ი ლ ი თ **მე თითონ** ორნაირად გამოითქმის, ან **სერი**, ანდა **სერიკე**,— **შენ თითონ—ჳერიკე**,— **ის თითონ**-კი უკვე —**ჲეჟი** არის,— **თითონ ისინი—ჲეჟიხერ** (?), **ჲეზიხერ** (Études, გვ. 116).

ამნაირად, **1. და 2. პირებს უკუქცევითობას კე ბოლოსართი, 3. პირს-კი ჟი ფორმანტი ანიჭებს.** ამ უკანასკნელს დ ჳ მ ე ზ ი ლ ი უცნაურად და როგორღაც ფერების სახელებში მყოფს **ჟი** მარცვალს უკავშირებს (იქვე).

ჲ ა კ ო ვ ლ ე ვ ი ს ა და ა შ ხ ა მ ა ფ ი ს გრამატიკაში კი ადიღეურის უკუქცევითი ნაცვალსახელების წარმოების შემდეგი თავისებური წესია აღწერილი: პირის ნაცვალსახელის სრულ ფორმას მისდევს იგივე, მაგრამ უკვე ევ ბოლოსართიანი ნაცვალსახელი. ამ გზით **მე თითონ** იქმნება **სერ სერევ**, **შენ თითონ—ჵარ ჵარევ**, **ის თითონ—ურ ურევ ?,— ჩვენ თითონ—თერ თერევ, თქვენ თითონ—შჵარ შჵარევ** და **თითონ ისინი**—?(ჲაკ. და აშხ. ადიღ. გრ. 55).

ცხადია, რომ ლ ჳ ლ ჲ ე ს ლექსიკონის ვითომც **თითონ**-ის, ნამდვილად-კი **მე თითონ**-ის, ადიღეური შესატყვისობა **სერსერო** იგივეა, რაც ჲ ა კ ო ვ ლ ე ვ ი ს ა და ა შ ხ ა მ ა ფ ი ს გრამატიკის **სერ სერევ**.

თითოეული და **ყოველი** ადიღეურად იქმნება **სხაჯე** (ლჳლ. გვ. 8), რომელიც **თავის** აღმნიშვნელი **სხა**-სა და **ჯე**-საგან შესდგება.

D. ადიღეური კითხვითი ნაცვალსახელები

ვინ?—ხედჷ (ლ.),— **ხეტ(ი)**, **ხეტი**, **ხგტ** (დ.), **ხეთ** (ჲაკ.).

ვისი?—ხეტიჲ (ლ.),—**ხეთჲგჲ** (-ხეთ [ვინ]+ჲგჲ [მისი] ჲაკ.).

რა? — **ხედɩ** (ლ.), — **სჾიდე, სჾიდ** (დ.), — **სგდ** (ყაბ.).

რომელი? — **ტერარჸ** (ლ.), **ტარ** (დ.), — **თარარგ** (ყაბ. და აშხ.), რომელიც **თე** (სად + არგ (ისაა)-საგან არის შედგენილიო.

როგორი? — **ტერჸ** (ლ.), — **სჾიდო** (დ.), — **თარგ** (ყაბ.).

სად? — **ტე, ტჸდჸ** (ლ.), — **ტე, ტეკჾე, ტედე, ტედვკჾე** (დ.) — **თე, თგდე** (ყაბ.). (ლ ჰ ლ., გვ. 8, — დ ჯ მ ე ზ. 240-241, — ყ ა ბ. და ა შ ხ. 62).

§ 2. ადიღეური ნაცვალსახელების ანალიზი

ადიღეური პირთა ნაცვალსახელის ორივე რიცხვის სამივე პირის ფორმებს ყველას ბოლოკიდურ მარცვლად რე, ანდა რი აქვს, მაგრამ ხშირად მარტო რ თანხმოვანიც გვხვდება. ეს ბოლოსართია, რასაკვირველია, და აბხაზური ასეთივე ნაცვალსახელების **რა** მარცვალს კარგად უდგება ისევე, როგორც ყაბარდოულის ბოლოკიდურს რ-ს (იხილე მომდევნო თავი).

ბოლოკიდური მარცვლისა, თუ თანხმოვნის ჩამოცლის შემდგომ, პირთა ნაცვალსახელების ადიღეური ძირები, ანდა ზოგან ძირად მიჩნეული ნაწილი დაგვრჩება:

მხ. რ.

1 პ. — სე.
2 პ. — **ვჟო, ჟე**.
3 პ. — **მო, აშ, ა**.

მრ. რ.

1 პ. — **თე**.
2 პ. — **სჳჸ, სჷე, შჟე, ფე**.
3 პ. — **ა, მა, მი, მგ**.

შედარება დაარწმუნებს ადამიანს, რომ მხ. რ. სამივე პ. ძირები, ანდა ძირად მიჩნეული ელემენტები სინდური დანარჩენი ენებისას კარგად უდგება. სამაგიეროდ თვალსაჩინო განსხვავებაა მრ. რიცხვში, მეტადრე 1. პ. და ნაწილობრივ 2. პ. ნაცვალსახელისაში. თუ აბხაზურს 1. პ. **ჰა** აქვს, ადიღეურს **თე** მოეპოვება, რომელსაც მონათესავე, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, მხოლოდ ყაბარდოულის **დდე**-ში მოეძებნება.

ამნაირადვე მრ. რ. ორ ფორმათაგან, თუ პირველი **სჳჸ-რი** და **შჟერ** აპხაზურისა და უბიხურისას მთლიანად უდგება, მეორე ფორმა, **ფერი**, პირიქით სრულებით განსხვავებულია და ამ შემთხვევაშიც მას, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, მხოლოდ ყაბარდოული **ფფერ** უპერს მხარს.

რაკი მხ. რ. 1. პ. ადიღეური ძირი სინდური ენების საერთო წყაროთგან მომდინარეობს, ამიტომ აქ მხოლოდ დანარჩენი პირების ნაცვალსახელების ძირების საკითხი გვაქვს განსახილველი. **იმისდა მიუხედავად, რომ მხ. რ. 2. პ. ძირეულად მიჩნეული ჟ, ანუ გ ბგერაც სინდური ენების საერთო კუთვნი-**

ლებაა და ამ მხრივ სრული თანხმობა სუფევს, მაინც ამ თანხმოვნის 2. პ. ნ. თავდაპირველ ძირად მიჩნევა შეუძლებელია ყველა იმ მოსაზრებით, რომელიც აბხაზური ნაცვალსახელების ანალიზის დროს გვქონდა დასახელებული. ადიღეურშიც 2. პ. ნაცვალსახელის ძირი მრ. რ. ამავე ძირის პირველს ხჳ̆რი-სა და უფრო-კი შ̂ერ-ს აქვს დაცული. ეს შესაძლებელია პირთა ნაცვალსახელების მრ. რ. ფორმების ანალიზითაც დამტკიცდეს.

ადიღეურს 1. და 2. პ. მრ. რ. ორ-ორი ფორმა მოეპოვება: 1. პ. ტერი და ტერიხერ, 2. პ. სჳ̆რე, შ̂ერ და სɪერიხერ. მეორე ფორმებს მრავლობითობის ნიშანი აქვს და 3. პ. მრ. რ. ნაცვალსახელებსაც ხომ იგივე თვისება გააჩნია. ეს-კი იმ გარემოებას ამჟღავნებს, რომ ნაცვალსახელების მრ. რ. ფორმები თავდაპირველად მხ. რ. ფორმებისაგან ყოფილა მრავლობითობის ნიშნის დართვით ნაწარმოები. თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, მაშინ, ბოლოკიდური ხერ ნაწილის ჩამოშორების შემდგომ, 2. პ. ნ. მხ. რ. ფორმად უკვე სɪერი, ანუ შɪერი წარმოგვიდგება. ჭ̂ერი-სთან შედარებით, მას მხოლოდ წინ მეტი სɪ, ე. ი. სɪშɪ ბგერა მოეპოვება, რომელიც სწორედ 2. პ. ნამდვილი ნაცვალსახელოვანი ნიშანი და ძირი უნდა იყოს.

ადიღეურში მრ. რ. 2. პ. ნაცვალსახელს იგივე ემართება, რაც მხ. რ. ფორმას უკვე დაემართა და რამაც ამ პირის ძირი იქ უკვე იმსხვერპლა: მრ. რიცხვშიც ძირის თავკიდური ბგერა სɪ, ანუ შ ჩამოჰშორდა და დარჩენილს ჭ̂ერი-საც შ შ-დ შეენაცვლა. ამის წყალობით ძირეულ ბგერად ისეთი თანხმოვანი მოგვეჩვენა, რომელსაც ნაცვალსახელოვანი ძირისაგან სრულებით განსხვავებული, თავისი საკუთარი დანიშნულება ჰქონდა.

იმისდა მიუხედავად, რომ მრ. რ. 1. პ. ნაცვალსახელისთვისაც მეორე, მრ. რ. ხერ ფორმანტის შემცველი, პარალელური ფორმა მოგვეპოვება და მის ჩამოშორების შემდგომ მხ. რ. 1. პ. ფორმად ტერი გვრჩება, ᲢᲔᲠᲘ-ისა და მხ. რ. 1. პ. ნამდვილ ნაცვალსახელს სერე-ს შორის ისეთი განსხვავებაა, რომ მათ ერთმანერთს ვერასგზით ვერ დავუკავშირებთ. საფიქრებელია, რომ ᲢᲔᲠᲘ რაღაც სულ სხვა წარმოშობილობისა უნდა იყოს.

პირთა ნაცვალსახელების შემდგომ, ადიღეური უკუქცევითი ნაცვალსახელებია საყურადღებო. როგორც დავრწმუნდით, იქ თითონ-ის გამოხატვის ორი მთავარი წესი არსებობს: ერთი თავხართოვანი წარმოების პრინციპს ემყარება და ამის აღმნიშვნელად ზე, ანუ ზ არის გამოყენებული,— მეორე წესი ბოლოსართოვან წარმოებას მისდევს. თითონ-ის გამოსახატავად-კი ბოლოსართოვან წარმოებას ორნაირი საშუალება აქვს ნახმარი: ერთით 1. და 2. პირისათვის ქჷ ბოლოსართია გამოყენებული, 3. პირისთვის-კი ჟი ბოლოსართია. ამ ბოლოსართებითგან დ ჳ მ ე ზ ი ლ ს ქჷ აბხაზური -გჷგ-სა და უბიხური -გჷ̂ ბოლოსართების შესატყვისობად აქვს მიჩნეული, ჟი-ს რაობასა და მნიშვნელობაზე-კი გარკვეულს არაფერს ამბობს (Études, გვ. 116).

ზემომოყვანილი უკუქცევითი ნაცვალსახელების წარმოებაზე უფრო საინტერესოა, რომ ᲗᲘᲗᲝᲜ-ის ცნების გამომხატველი ᲔᲕ ბოლოსართი გამოდის. არც ადიღეურსა და არც რომელსამე სინდურს ენას ევ-ის მსგავსი რომელიმე სიტყვა რომ თითონ-ს ნიშნავდეს, არ მოეპოვება, ამიტომაც საფიქრებელია,

რომ აქ ცალკეული სიტყვის ნაწილი-კი არა, არამედ რაღაც ფორმანტი უნდა გვქონდეს, მისი რაობის გაგება მარტო სინდური მასალებით შეუძლებელია და ამიტომ ამაზე შემდეგში გვექნება საუბარი.

დასასრულ, საყურადღებოა თვითეულის აღმნიშვნელი ადიღეური **სხაჯე** ნაცვალსახელიც, რომლის პირველი ნაწილი **სხა** ხომ თავსა ნიშნავს, **ჯე**-ს რაობა და მნიშვნელობა-კი აგრეთვე გამოსარკვევია.

თავი მეოთხე

ყაბარდოული ნაცვალსახელები

ყაბარდოული ნაცვალსახელების მე-XVIII ს. ჩანაწერიც არსებობს გ ჰ ლ დ ე ნ-შ ტ ე დ ტ-ის წყალობით და მე-XIX ს. დამლევისა და მე-XX ს. ცნობებიც მოგვეპოვება ლ. ლ ო პ ა ტ ი ნ ს კ ი ს „ყაბარდოულის მოკლე გრამატიკა"-ში, დ ჰ მ ე-ზ ი ლ ი ს კავკასიური ენების ჩრდილო-დასავლური ჯგუფის შედარებითს გრამატიკაშიცა და ნ. ი ა კ ო ვ ლ ე ვ ი ს ა და დ. ა შ ხ ა მ ა ფ ი ს „ადიღეური (ქიახური) ენის მოკლე გრამატიკა"-შიც. ეს გარემოება მკვლევარს კარგად შეუწყობდა ხელს, რომ მე-XIX—XX ს. ავტორთა ცნობები ერთმანერთს უდგებოდეს. სამწუხაროდ, საქმეს და კვლევა-ძიებას ეს ართულებს, რათგან ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ძნელი გადასაწყვეტია, ცნობათა განსხვავება შეცდომის შედეგია, თუ იმით აიხსნება, რომ დამკვირვებელთ და მკვლევართ სხვა-და-სხვა დიალექტური მასალა აქვთ შესწავლილი. ასეთ პირობებში ცნობათა სისრულისათვის სჯობს, რომ მკითხველს თვალწინ ყველა ცნობები ჰქონდეს.

§ 1. ძველი და ახალი ცნობები ყაბარდოული ნაცვალსახელების შესახებ

რასაკვირველია, აქაც ჯერ მე-XVIII ს. მასალას უნდა გადავავლოთ თვალი, მაგრამ მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ გ ჰ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერის ეს ნაწილი სხვებივით სრული არ არის და შეცდომებიც არის შიგ შეპარული.

ყაბარდოული ნაცვალსახელები მე-XVIII ს.

Ich მე — **სას, სერ** Sas, Ser.
Mein **ჩემი — სესიე** Sesie.
Du **შენ — უორ** Uor

Er **ის — დერ** Der
Sein **მისი — არიეშ** Ariesch
Wer **ვინ — ხეტ** Chet
Wessen **ვისი — ხეტია** Chetia

Wir **ჩვენ ფერ**[1] Fer და Der **დერ**
Unser **ჩვენი — დედია** Dedia
Ihr **თქვენ — ახერ**[2] Acher
Euer **თქვენი ფეფია** Fefia

[1] შეცდომაა: თქვენ-ს ნიშნავს.
[2] შეცდომაა: ისინი-ს სახელია.

Was რა—Sit სიტ
Hieher აქ—Midda მიდდა
Dorthin იქ—Adda ადდა
(I. A. G ü l d e n s t ä d t, Reisen II, 527-528).

თანამედროვე ყაბარდოული ნაცვალსახელები

A. პირთა ნაცვალსახელები

მხ. რ.

1. **მე**—**სსე** (ლ.), **სერე** (ჲაკ.), **სე** (დ.).
2. **შენ**—**უ̈** (ლ.), **ჳარე** (ჲაკ), **ჳა̈რ** (დ.).
3. **ის**—**მორ**, **მოზც**, **აზც**, **ჰარ** (ლ.)—ჲ ა კ ო ვ ლ ე ვ - ა შ ხ ა მ ა ფ ი ს და დვმეზილის ცნობებით-კი ყაბარდოულში 3. პ. ნაცვალსახელის მაგიერ ჩვენებითს ნაცვალსახელებს ხმარობს, რომელთა ფორმები სათანადო ადგილას გვექმნება მოყვანილი.

მრ. რ.

1. **ჩვენ**—**დდე** (ლ.), **დერე** (ჲაკ.), **დდერ** (დ.).
2. **თქვენ**—**ფფე** (ლ.), **ფერე** (ჲაკ.), **ფფერ** (დ.).
3. **ისინი**—**მოხერ** (ლ.),—ჲ ა კ ო ვ ლ ე ვ - ა შ ხ ა მ ა ფ ი ს ა და დ ვ მ ე ზ ი ლ ი ს აზრით ყაბარდოულს მრ. რ. 3. პ. ნაცვალსახელადაც ჩვენებითი ნაცვალსახელი აქვს გამოყენებული (იხ. ლოპატ. ყ. გ., გვ. 11,— ჲაკ. და აშხ. ყ., გვ. 56 და დვმეზ. Études, გვ. 106).

B. ჩვენებითი ნაცვალსახელები

ეს—**მცრ** (მხოლოდ არსებით სახელთან ხმარობენ, რომელსაც სწორედ ამ ჩვენებითი ნაცვალსახელის ბოლოკიდური **რ** ბოლოში ერთვის ხოლმეო, მაგ.: „ეს კაცი“ **მც წცხუ-რ** (ლ.):,— **მგრ** (ცალკეულად), **მგ** (დამოკ.: ჲაკ.—აშხ.).

ეგ—(დაშორებული, მაგრამ ხილული), —**მორ** (ცალკე), **მო** (დამოკ.: ჲაკ).—**მორ**, **მობე-(ი)** (დ.).

ის (უხილავი) —**არ** (ცალკ.), **ა**—(დამოკ.: ჲაკ.),—(**ჰ**)**არ**, (**ჰ**)**აზ**(**ი**) (დ.).

ლ ო პ ა ტ ი ნ ს კ ი ს სიტყვით-კი, **ჰარ** და **მორ** ერთი მხრით **იგივე**-ს ყაბარდოული შესატყვისობაა, მეორე მხრით ხმარობენ, თუ საგანზე ცალკეულად და არსებითი სახელისაგან დამოუკიდებლივ ამბობენო **ეს**.

მრ. რ.: **ეხენი**—**მო** (ლ.), **ეგენი**—**ჰა** (ლ.),—**მგზერ** (ჲაკ.), **მოხერ**, **ჰახერ** (დ.) (იქვე).

C. კუთვნილებითი ნაცვალსახელები

ჩემი—**სესეჲ** (ცალ.), **სი**, **სიჲ** (თავსართად: ლ.),—**სი**(**ჲ**) (ჲაკ.).
შენი—**უ̈ჲ**, **უჲ** (ლ.),—(**ჰ**)**უ**(**ჲ**)—(დ.).
მისი—**ჲეჲ**, ანდა **ჲიჲ** (ლ.),—**ჲი**(**ჲ**),—**ჲეჲ**—(დ.).
ჩვენი—**დდეჲ**, **დდც**, **დდი** (ლ.),—**დდეჲ**,—**დდი**—(დ.),—**სერეჲხერ** (ჲაკ.).
თქვენი—**ფფეჲ**, **ფფი** (ლ.),—**ფფეჲ**,—**ფფი** (დ.).
იმათი—**ჲაჲ** (შესმენილის წინ ისმისო: ლ.)—**ჲა**(**ჲ**)—(დ.).

D. კითხვითი ნაცვალსახელები

ვინ?—**ხეტ** (ლ.), **ხეთ** (ჲაკ.),—**რა?**—**სჸტ** (ლ.),— **სჸდ** (ჲაკ.).

რანაირი?—**სჸტხოდე** (რანაირი ორთაგანი) და **ტარარ** (რანაირი ბევრთაგანი: ლ.), **ტარგ, თარგ** (ჲაკ.)—**რანაირი, თარარგ**—**რომელი** (ჲაკ.).

E. უკუქცევითი ნაცვალსახელები

თუ **თვით** ყაბარდოულად **ჲეზჸრ**-ად ითქმის, უკუქცევითი ნაცვალსახელები სულ სხვანაირად არის ნაწარმოები, სახელდობრ: ამისთვის საკმარისია, რომ პირის ნაცვალსახელის სრულ ფორმას **სე**, ე. ი. **სშჸ**, ბოლოსართი მიემატოს. ამიტომაც ყაბარდოულად **მე თითონ** იქმნება -- **ხერსე**, **შენ თითონ**—**უორხე**, **ის თითონ**—**ჲეზჸრსე**,— **ჩვენ თითონ**—**დდერსე**, **თქვენ თითონ**—**ფფერსე**, **თითონ ისინი**—**ჲეზჸხერსე** (იხ. რ.-ყაბ. ლ. 148: сам).

§ 2. ყაბარდოული ნაცვალსახელების ძველი ჩანაწერის ანალიზი და განმარტება

ყაბარდოული პირთა ნაცვალსახელების მე-XVIII ს. ჩანაწერით აღბეჭდილი ფორმე[1]ი საყურადღებოა იმითაც, რომ ზოგ რამეში თანამედროვე ფორმებისაგან განსხვავებულია და ამ მასალაზე დამყარებამდე, რასაკვირველია, წინასწარ თვით ამ გარემოების მიზეზის გამორკვევაა საჭირო.

მაგ. ძველად **მე** ყოფილა **სას** და **სერ**, თანამედროვე ყაბარდოულს-კი **ხსე** აქვს, ლოპატინსკის ცნობით, **სე**-კი ყაბარდოულსა და კიახურს ჲაკოვლევისა და აშხამაფის გრამატიკით. მაგრამ მხ. რ. 1. პ. სრული ფორმა ყაბარდოულში ამავე ავტორებისამებრ **სერე**-ა, ქვემო-ჩერქეზულში-კი **სერ**. ამნაირად ირკვევა, რომ მე-XVIII ს. ჩანაწერის მეორე ფორმა **სერ** კიახურ ფორმას უდგება. ხოლო კიახურში ასეთი **-რ** ბოლოკიდურიანს ფორმას განსაზღვრული, კონკრეტული მნიშვნელობა აქვს და უკუქცევითი ნაცვალსახელების პირველ შემადგენელ ნაწილად გვხვდება ხოლმე (**სერ** სერევ—მე თითონ).

უფრო განსხვავებული და ამიტომაც დამაფიქრებელია მე-ს პირველი **სას** ფორმა. აქ ორნაირი სიძნელეა: ჯერ ერთი, რომ **სა** მარცვალი მხ. რ. 1 პ. ნაცვალსახელს სინდურ ენათაგან ამ ჟამად არც ერთს, აბხაზურს გარდა, არა აქვს. გასაოცარი ის არის, რომ მე-XVIII ს. ჩანაწერში აბხაზური მე-ც-კი **სარა-დ**-კი არა, არამედ **სარა-დ** არის აღბეჭდილი. აქ-კი **სა** ყაბარდოული მე-ს სახელად გვევლინება.

მაგრამ ზემოაღნიშნული სხვაობა და დაბრკოლება იმდენად დიდი არ არის, როგორც მეორე: **სას** ბოლოკიდური **ს** რის მაქნისი და გამომხატველია? **მე**-ს ასეთი სახელი არცერთს თანამედროვე სინდურ ენათაგანს არ მოეპოვება. ამას ზედ ისიც ერთვის, რომ გჳლდენშტედტის ჩანაწერში **ჩემი** ყაბარდოულად მაშინ **სესიე** ყოფილა და ლოპატინსკით ეხლაც **სესეჲ** არის, როდესაც არსებითს სახელს მისდევს, და **სი**, ან **სიჲ**-ა, როდესაც მას მიუძღვის, ჲაკოვლევისა და აშხამაფის გრამატიკით-კი კიახურად **სესგჲ** იხმარება. ძველს ჩანა-

წერში ხომ შეცდომა არ არის შეპარული და გაუგებრობით კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმა ხომ პირის ნაცვალსახელად არ იყო მიჩნეული?

რა თქმა უნდა, ამ ფორმის შეცდომად გამოცხადება არავის გააკვირვებს, მაგრამ, რაკი მხ. რ. 1. პ. მეორე ფორმა და კუთვნილებითი ნაცვალსახელი სწორედ ჩაწერილი აღმოჩნდა, ამიტომ ამ ფორმის გაუგებრობის ნაყოფად აღიარების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში გვექმნებოდა, თუ მას ვერავითარი განმარტება ვერ მოეძებნებოდა.

ხახ-ის აგებულებისა და თავდაპირველი მნიშვნელობის გამორკვევას თუ შევუდგებით, **სა**, უეჭველია, თანამედროვე აბხაზურში დაცული მხ. რ. 1. პ. **სარა** ნაცვალსახელის ძირია. ძველი ჩანაწერი ცხად-ჰყოფს, რომ **წინათ ა-ხმოვანა ფორმა ყაბარდოულსაც, ან მის ერთ კილოთაგანსაც ჰქონია.** ბოლოკიდური **ს** შესაძლებელია 1. პ. ნაცვალსახელის ნიშანივე იყოს და აქ ნაცვალსახელის გაორმაგებით უკუქცევითი ნაცვალსახელის წარმოების წესის ისეთივე შემთხვევა გვქონდეს, როგორიც ღილღურში, მეტადრე-კი ლეგურთაგან ზედმიწევნით ამნაირივე წესი კვრულს აქვს (იხ. აქვე თავთავის ადგილას). მაშასადამე, **ხახ 1. პ. მხ. რ. მარტივი მე ნაცვალსახელი-კი არ ყოფილა, არამედ „მე თითონ“.** საგულისხმოა, რომ უკუქცევითი ნაცვალსახელების ასეთივე გაორმაგებული, მაგრამ სრული და ოდნავ განსხვავებული პირთა ნაცვალსახელების ფორმებითგან შედგენილი წარმოება, როგორც დავრწმუნდით, თანამედროვე ადიღეურმაც იცის.

მხ. რ. 2. პ. ძველ ფორმად ჩაწერილია **უორ**, თანამედ. ყაბარდოულად-კი **შენ** არის **უჰ** (ლოპ.), **ჟჰრ** (დ. მ.) და **ორე** (ჲაკ.-აშხ.), **ორ** (რთულ წარმოებაში) და **ო** (ცალკეულად), რაიმე დიდი ცვლილება დროთა განმავლობაში მას არ დასტყობია.

მხ. რ. 3. პ. ყაბარდოულ ძველ ნაცვალსახელად ჩანაწერში მოგვეპოვება **დერ**, თანამედროვე ყაბარდოულს აქვს მხოლოდ 3. პ. ჩვენებითი ნაცვალსახელები **მობჯ, აბჯ,—ჰარ, არ, აპ(ი)**. ზოგჯერ 3 პ. ნაცვალსახელად უკუქცევითს ნაცვალსახელს **თითონ**-ს. **ჲეზჯ** საც-კი ხმარობენ ხოლმე. **დერ**-კი არც ყაბარდოულსა და არც ადიღეურსა და უბიხურში არა ჩანს. მხოლოდ თანამედროვე აბხაზურსა აქვს **დარა** 3. პ. ნაცვალსახელად, მაგრამ მასაც მხოლოობითისა კი არა, არამედ მრავლობითი რიცხვისათვის იქნებ სწორედ აბხაზური 3. პ. მრ. რ. ნაცვალსახელის ეს ფორმა ძველს ჩანაწერში შეცდომით ყაბარდოულად არის გასაღებული? ამის დაჯერება შესაძლებელი იყო, აბხაზურ 3 პ. რომ ასეთი ფორმა ყოფილიყო იქ აღბეჭდილი, მაგრამ ამ პირის მრ. რ. ფორმები გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ნაშრომში სრულებით არ არის შეტანილი, მხ. რ. ფორმებად-კი სულ სხვა ფორმებია მოყვანილი.

საფიქრებელია, რომ მე-XVIII ს. დ-ბგერიანი 3. პ. ნაცვალსახელი, აბხაზურის მსგავსად, ყაბარდოულსაც ჰქონია. ამასთანავე მარტო მრ. რ-ისთვის-კი არა, არამედ მხოლოობითი რიცხვისთვისაც ლეგური ენების ნაცვალსახელებზე რომ გადავალთ, დავრწმუნდებით, რომ იქ დ-ბგერიანი 3. პ და ჩვენებითი ნაცვალსახელები ფართოდ იყო და არის ეხლაც გავრცელებული.

ძველი ჩანაწერის 3. პ. მხ. რ. ყაბარდოული კუთვნილებითი ნაცვალსახელი **არიეშ**, თუმცა ერთი შეხედვით უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ **ჩემი**-ს

ეს შესატყვისობა, უეჭველია, ორი ნაწილისაგან შესდგება: პირველია არი, რომელიც ეხლაც დაცულს იგივე-ს აღმნიშვნელს (იხ. ლოპ. ყ. გ., გვ. 12) ჟარ-ს უდრის. თანამედროვე ყაბარდოულშიაც ხმარობენ არ ფორმას (დუმეზ. Étud. 110). არი-ს ბოლოკიდური ი ამ შემთხვევაში იმავე თვისების ელემენტია, როგორიც აბხაზურს უბრი-სა, ჩერქეზულს მირი-სა და ყაბარდოულს მობ(ი) და ჟაბ(ი)-შია, თუ უფრო ნათ. ბრ. ნაშთად არის საგულისხმებელი, ცალკეა გამოსარკვევი.

ეხლა კი არიეშ-ის უკანასკნელი ეშ მარცვლის რაობა-მნიშვნელობა-ღაა გამოსარკვევი. თანამედროვე ყაბარდოულში მას განმარტება, არსებული ცნობებისდა მიხედვით მაინც, ვერ მოეძებნება, სამაგიეროდ ადიღეურს მოეპოვება ში, ან შ ბოლოსართით ნაწარმოები ჩვენებითი ნაცვალსახელები მიშ(ი) „ეს“ და აშ(ი) „ის“ (დუმეზ. Étud. გვ. 110). რაკი ორსავე შემთხვევაში ბოლოკიდური ნაწილი შ(ი) ერთი-და-იგივეა, ცხადი ხდება, რომ 3. პ. მახლობელობისა, თუ დაშორებულების ცნების გამომხატველად ეს ბოლოკიდური მარცვალი, თუ შ ბგერა მისაჩნევი არ არის, არამედ ი და ა ხმოვნები. მაშასადამე, ამ შ ელემენტს არამც თუ ამ ადიღეურს ჩვენებით ნაცვალსახელში განმარტება არ მოეძებნება, არამედ თითქოს ზედმეტიც-კი ჩანს, რათგან უმისოდაც ამ ნაცვალსახელის მნიშვნელობა ნათელია.

ამ ძველი ყაბარდოული ეშ-ისა და ადიღეური შ-ს ბუნების და მნიშვნელობის გამორკვევას ლილღური ენების ნაცვალსახელების აღნაგობის ცოდნა შეაძლებინებს ადამიანს. სათანადო ადგილას დავრწმუნდებით, რომ ეშ ბოლოსართი იქ პირთა ნაცვალსახელების ფორმას უკუქცევით ნაცვალსახელად ხდის და თითონ-ის აღმნიშვნელად აქცევს ხოლმე (იხ. აქვე გვ. 491). საფიქრებელია, რომ ძველი ყაბარდოული არიეშ-ის უკანასკნელი მარცვალიც ამავე თვისებისა და მნიშვნელობის ფორმანტი უნდა იყოს. მაშასადამე, არიეშ ნამდვილად მისი-ს აღმნიშვნელი-კი არ ყოფილა, არამედ „მისი თითონ“, ანუ „თითონ მისი“-ს გამომხატველად უნდა იქნეს ცნობილი.

პირთა ყაბარდოული ნაცვალსახელების მრ. რ. ფორმები მე-XVIII ს. ჩანაწერში, როგორც ეტყობა, გამოცემის დროს არეულია: ჩვენ ვითომც მაშინ იყო ფერ და დერ, თქვენ-კი ახერ. ნამდვილად კი ფფერ, ანუ ფფე არის თქვენ, ჩვენ-კი არის დდერ, ხოლო ახსერ, როგორც კ ლ ა პ რ ო თ ი ს თხზულებითგან ჩანს, ისინი-ს აღმნიშვნელი ყოფილა (Voyage II, 385). იმას გარდა, რომ მრ. რ. 1. და 2. პ. მაშინდელი ნამდვილი სახელები კ ლ ა პ რ ო თ ი ს ჩანაწერით უდავოდ ირკვევა, თვით გ უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ნაშრომითგან ჩანს, რომ იქ ცნობები არეულია: ჩვენ ორჯერ ჩაწერილი გამოდის, ისინი კი ერთხელაც არა ჩანს და ჩვენ ერთხელ თუ მცდარადაა აღნიშნული ფერ. მეორეჯერ სწორედაა დერ, თანაც ჩვენი-ს შესატყვისობად დედია არის მოყვანილი და მართლაც თანამედროვე ყაბარდოულსაც დედეჲ აქვს (რ. ყ. ლ. 82. I: наш), — ამნაირადვე, თუ თქვენ-ის სახელი ვითომც ახერ იყო, თქვენი-ს მაშინდელ შესატყვისობად სრულიად სამართლიანად Fefia: ფეფია არის დასახელებული. თანამედროვე ყაბარდოულად თქვენი-ს სახელი მართლაც ფეფეჲ არის.

ცხადი ხდება, რომ დერ გ უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერშიაც ჩვენ-ის ერთად-ერთი სახელი, ფერ-კი თქვენ-ის შესატყვისობა უნდა ყოფილიყო, ახერ-

კი ისინი-ს შესატყვისობად იქმნებოდა აღნიშნული. თუმცა ეხლა მრ. რ. 3 პ. ნაც. **მოხერ-ს** ხმარობენ, რომელიც **მორ** და **მო** ჩვენებითი ნაცვ.-ისაგან ნაწარმოები მრ. რ. ფორმაა, მაგრამ **ძველი ახერ-იც** 3. პ. **არ**, ანუ **ა** ჩვენებითი **ნაცვალსახელის ასეთივე სრულებით სწორე და კანონიერი მრ. რ. ფორმაა.**

ყველა ზემონათქვამის შემდგომ ცხადია, რომ ყაბარდოულად ძველად **ჩვენ** ყოფილა **დერ**, **თქვენ—ფერ**, **ისინი—ახერ**. კუთვნილებითი ნაცვალსახელები-კი: **ჩვენი—დედია**, **თქვენი—ფეფია**.

მე-XVIII ს. ყაბარდოული ნაცვალსახელები **ხეტ**—„ვინ?“ და **ხეტია** „ვისი?“ ადიღეურსა და ყაბარდოულში დღევანდლამდეა დაცული და ეხლაც **ხეტ** არის ვინ და **ხეტჲეჲ** (ყაბ.) და **ხეტიჲ** (ადიღ.) ვისია.

რა? ძველად ყოფილა **სიტ**, ეხლა-კი ადიღეურად არის **სჷდ**, ყაბარდოულად-კი **სჷტ**.

ყაბარდოული **როგორი?** კითხვითი ნაცვალსახელი **სჷტხოდე** შესდგება **სჷტ**-ისა, რომელიც, როგორც ვიცით, **რა**-ს ნიშნავს, და **მსგავსი**-ს აღმნიშვნელი **ხოდე**-საგან. ამიტომაც **სჷტხოდე** თავდაპირველად **„რის მსგავსი?“**-ს აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო და მხოლოდ შემდეგში უნდა იყოს „რომელი ერთის“, ანუ „რომელი ორთაგანი“-ს გამომხატველად ქცეული. **აქ**, თუ ყაბარდოულად ძველად **მიდდა** ყოფილა, ეხლა **მჷდდე** და **მის** არის. მაგრამ **იქ** მაშინ **ადდა** იყო, თანამედროვე ყაბარდოულს **ჰაბჷ** აქვს.

§ 3. ყაბარდოული ნაცვალსახელების აგებულება

უკვე ის გარემოებაც, რომ ყაბარდოულს ყველა პირთა ნაცვალსახელებს ბოლოკიდურ ბგერად **რ** აქვს, ამ თანხმოვნის ფორმანტობას ამჟღავნებს. აბხაზურში, როგორც ვიცით, **რა** ბოლოსართია, ადიღეურში-კი **რი**. ცხადია, რომ ყაბარდოული **რ**-ც ამავე თვისებისა და მნიშვნელობის ოდენობა უნდა იყოს.

ადიღეური და ყაბარდოული პირთა მხ. და მრ. რ. ნაცვალსახელების თანამედროვე ფორმების ერთმანერთთან შედარება ცხადჰყოფს, რომ მრ. რ. ნაცვალსახელები მხოლოობითისგან დამოუკიდებელია, მაგრამ ადიღეურს 1. და 2. პ. მრ. რ. ორ-ორი პარალელური ფორმა მოეპოვება: **ჩვენ—ტერი** და **ტერიხერ**, — **თქვენ—სშჷერი**, **შორგ**, **ფერი** და **სშჷერიხერ** (იხ. დვმეზ. Étud. გვ. 106 და იქვე შენ. 6 და ჲაკ.—აშხ. 56). **ტერიხერ** და **სშჷერიხერ**-ს ბოლოში **ხ-ე-რ** მრ. რ. ფორმანტი აქვთ და ეს გარემოება ამჟღავნებს, რომ ადიღეურს 1. და 2. პ. ეს ნაცვალსახელები ამავე პირების ნაცვალსახელების მრავლობითი რიცხვის ფორმებად აქვს აღქმული. ზემომოყვანილი ნაცვალსახელის აგებულების განხილვა დაარწმუნებს ადამიანს, რომ აქ მაინც წინანდელი კანონიერად ნაწარმოები ფორმების ანარეკლი უნდა გვქონდეს.

თუ მრ. რ. 1. პ. ნაცვალსახელების ადიღეურის **ტერი**-სა და ყაბარდოულის **დდერ**-ის მხ. რ. ამავე პირის ნაცვალსახელთან დაკავშირებას ვერავინ შესძლებს, სამაგიეროდ მრ. რ. 2. პ. ნაცვალსახელის ფორმები ფრიად საყურადღებოა. აბხაზური ნაცვალსახელების ანალიზის დროს უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ მხ. რ. 2. პ. **ჟარა** უფრო ადრინდელი, ამ ჟამად მრ. რ. ფორმად

აღქმული, წინათ-კი კანონიერი მხ. რ. ფორმის ზჶარა-საგან უნდა იყოს წარმომდგარი შ-ს გაქრობით, რომ წინათ 2. პ. ნაცვ. ნიშნად ყ და ბ-კი არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო, რათგან ეს ბგერები მაშინ სქეს-კატეგორიის ნიშნები იქ:ნებოდნენ, არამედ მხოლოდ შ. ამავე გარემოებას უბიხური და ადიღეური მრ. რ. 2. პ. ნაცვალსახელების ანალიზიც ამჟღავნებს.

დ ჸ მ ე ზ ი ლ ს მრ. რ. 2. პ. ადიღეური ნაცვალსახელის ორი ფორმა, **ხჷერი** და **ფერი**, აქვს მოყვანილი (Étud. გვ. 106), პარალელურ ფორმად **ხჷერიხერ**-იც არის დასახელებული. ჲ ა კ ო ვ ლ ე ვ ი ს ა და ა შ ხ ა მ ა ფ ი ს გრამატიკაში-კი **შო**, **შორ** და **შორგ** არის დაბეჭდილი (გვ. 55 და 56): თავკიდური ბგერა **შ** მკაფიოდ არის აღნიშნული. რაკი მრ. რ. 2. პ. აბხაზური ნაცვალსახელიც დ ჸ მ ე ზ ი ლ ს **სჷარა**-დ აქვს აღბეჭდილი (Étud. 106), უ ს ლ ა რ ს, გ უ ლ ი ა ს, ნ. მ ა რ რ ს და სხვებსაც ყველას-კი **შჷარა́** მოეპოვებათ, ამიტომ ვფიქრობ, რომ დ ჸ მ ე ზ ი ლ ი ს განაგონი ბგერა **სჷ**. ე. ი. ზუალედი **სშ** უნდა ყოფილიყო და ასევე მაქვს მისი ტრანსკრიფცია გადმოქართულებული.

ამნაირად, მრ. რ. 2. პ. ნაცვალსახელი **სშჷერი́**, **შორგ** ერთი მხრით და **ფერი** გვაქვს მეორე მხრით. მგონია, ბევრი მტკიცება არ უნდა იყოს საჭირო, რომ **ფერი** **შჷერი**-ს, ე. ი. **შვერი**-საგან არის თავკიდური შ-ს გაქრობითა და ვ-ს ფ-დ შენაცვლებით წარმომდგარი. **შჷერი**-ს და **შორგ**-ს თავკიდურს შ-ს ზჶ ჴგს აბხაზური **შჷარა́** და **შჷართ** უმაგრებენ. ისევე, როგორც აბხაზურში შ სწორედ 2. პ. ნაცვალსახელოვანი ნიშანია, ამნაირადვე ადიღეურშიც **სშჷერი**-სა და **შორგ**-ს თავკიდური **სშ**, ანუ შ-ც, უეჭველია, მეორე პირის ნიშანი უნდა იყოს.

აბხაზური **შჷართ**-ის ბოლოკიდურმა მრ. რ. **თ** ფორმანტმა, თავის ადგილას, საშუალება მოგვცა გამოგვერკვია, რომ მრ. რ. 2. პ. ეს ფორმა თავდაპირველად მხ. რ. 2. პ. ფორმითგან უნდა ყოფილიყო მრ. რ. **თ** ფორმანტის დართვით ნაწარმოები და რომ შ, მაშასადამე, **წინათ მხ. რ. 2. პ. ნიშ. ნი უნდა ყოფილიყო.** თუ ამის შემდგომ მრ. რ. 2. პ. პარალელურს ადიღეურს ფორმას **სშჷერიხერ**-ს დავაკვირდებით, აქაც აბხაზური **შჷართ**-ის მსგავსი აღნაგობა და ვითარება წარმოგვიდგება. მაშასადამე, უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ **ადიღეურსაც წინათ 2. პ. ნაცვალსახელის ნიშნად შ ჰქონია.**

ფრიად საგულისხმოა, რომ ყაბარდოულს უკვე მე-XVIII ს. 2. პ. მრ. რ. ნაცვალსახელის ჩვეულებრივ ფორმად **ფერ** და ამავე პირის კუთვნილებით ნაცვალსახელად **ფეფია** ჰქონია. აქ ის გარემოებაა საყურადღებო, რომ 2. პ. ნაცვალსახელის ნამდვილი ნიშანი გამქრალა და ამ პირის ნიშნად ამის გამო **ფ** და **ფ** ქცეულა, რომელთაც თავდაპირველად სულ სხვა დანიშნულება ჰქონდათ. თუ **ადიღეურს 2. პ. ნ. ნიშანი ასე თუ-ისე შეუნარჩუნებია, ყაბარდოულს შ უკვე უკვალოდ აქვს დაკარგული და ამიტომ 2. პ. ნიშნად უკვე ფ ხდება, რომელიც მხ. რ. ამავე პირის ჶ-ს შენაცვლებად ეჩვენება კიდეც ადამიანს და სწორედ ასეთი თვისებისაცაა. მაშასადამე, ის პროცესი, რომელმაც 2. პ. მხ. რ. ნაცვალსახელის ნაცვალსახელოვანი შ ნიშანი იმსხვერპლა, ნაწილობრივ ადიღეურისა და მთლიანად ყაბარდოულის 2. პ. მრ. რ. ნაცვალსახელის ფორმაშიც შეჭრილა. სწორედ ამ პროცესის ბრალია, რომ სინდური ენების 2. პ. ნიშნად შეცდომით ყველას ჶ, ვ მიაჩნდა.**

თავი მეხუთე

სინდური ენების ნაცვალსახელების ანალიზის შედეგი

ცალკეული ენების ნაცვალსახელების შესწავლამაც სინდურ ენათა ჯგუფის მეტყველების ამ ნაწილის მჭიდრო ნათესაობა გამოამჟღავნა. თუ აქამდის ადიღეურისა და ყაბარდოულის მრ. რ. 1. და 2. პ. ნაცვალსახელების აბხაზურისა და უბიხურთან დაკავშირება ძალდაუტანებლივ და ხელოვნურად შეთხზული მოსაზრების დაუხმარებლივ ძნელი იყო, ეხლა, ვგონებ, მათი წარმოშობა და სადაურობა უნდა უკვე გასაგები იყოს.

ზოგადად შესაძლებელია ითქვას, რომ, როგორც გამოირკვა, **პირთა ნაცვალსახელებს, დამოუკიდებელი ფორმები სინდურ ენებში მარტო მხ. რიცხვისათვის ჰქონია, მრ. რ. ფორმები-კი მხ. რ-ისაგან ყოფილა მრავლობითობის ფორმანტის საშუალებით ნაწარმოები. საფიქრებელია, რომ მხოლოდ მრ. რ. 1. პირსა ჰქონდა ამას გარდა** განსაკუთრებული **ორი** ფორმაც, რომელნიც **მე და** შენ-ისა და **მე და იმის** აღმნიშვნელნი უნდა ყოფილიყვნენ და ამის გამო **არსებითად მრ. რიცხვისა-კი არა, არამედ წყვილობითი რიცხვის ფორმებად არიან მისაჩნევნი.** ვითარცა მონაწილეთა წყვილობის მაუწყებელთ, ამ ფორმებს ორივე (1. და 2, ან 1. და 3) პირის ნაცვალსახელოვანი ელემენტები უნდა ჰქონოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში აბხაზურს 1. პ. მრ. რ. ნაცვალსახელს, რომელიც თავდაპირველად **მე და ის**-ის გამომხატველი უნდა ყოფილიყო, 1. პ. ნაცვალსახელოვანი ელემენტი, როგორც ეტყობა, დაუკარგავს და მხოლოდ-ღა 3. პ. შერჩენია.

სინდური ნაცვალსახელების აღნაგობა ისეთი **მარტივი** არ **აღმოჩნდა**, როგორც ეგონათ, და ამიტომაც გასაკვირველიც არაფერია, რომ წინანდელი მსჯელობა ნაცვალსახელების ძირებზეც სრულებით ველარ დაგვაკმაყოფილებს. ამ საკითხის უკანასკნელი მკვლევარის, დ ჳ მ ე ზ ი ლ ი ს, აზრით, მაგ., სინდური ენების ნაცვალსახელებს ვითომც შემდეგი ძირები აქვთ:

1. **ა** — ძირი, რომელიც აბხ. **ა-(ბ-)რი, ა-(ბ-)ნი-სა,** — უბიხ. **ა-ღჾა, *ა-ნჾ-სა,** — ადიღ. **ა-, ა-რი** და **ა-ში-ს,** — აგრეთვე ყაბ. **(ჰ)-ა-ბი-ს** დაუცავთო.

2. **უ**, ანდა **ჾ**+ხმოვანი, რომელიც აბხ. **უი, უ-რ-თ** და **უ-ბ-რი-ში,** — უბიხ. **ჾჾ-ნჾ** და **ჾჾ-ში,** ჩერქ. **უ-დე-ში** გვხვდებაო.

3. **Ⴃ**+ხმოვანი: აბხ. **Ⴃა-რა-ს,** — უბიხ. **Ⴃი-ნჾ** და **Ⴃი-ს,** — აბხ. და ჩერქ. მხ. და მრ. რ. 3. პირის კუთვნ. თავსართად და პირ. მაჩვენებლად აქვთ. ამნაირადვე კუთვნ. თავსართებად მოჩანან **ლ-** და **დ-**, აბხ. **ლა-რა-სა** და **და-რა-ში**ო (Études, გვ. 111).

გულდასმითი აწონდაწონის შემდგომ, თუ დ ჳ მ ე ზ ი ლ ი ამბობს, რომ საბოლოოდ საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ მაშინ მოხერხდება, როცა ჩრდილო-კავკასიური ენების აღმოს. ჯგუფის შედარებითი გრამატიკა შესწავლილი იქმება, მაგრამ მაინც ფიქრობს, რომ სჳეს-კატეგორიები აბხა ზური ენის ძველი კუთვნილება არ უნდა იყოს (Études. გვ. 117-118).

სინდური ენების ნაცვალსახელების ზემომოყვანილი ცალკეული ანალიზის შემდგომ, ვგონებ, ბევრი საუბარი არ უნდა იყოს საჭირო იმის დასარწმუნებ-

ლად, რომ ზემოდასახელებული პატივცემული მკვლევარის დებულებანი სწორე არ არის.

სინდურს ენებს 1. პ. ნ. ძირად ს, მეორისა-კი შჷ ჰქონია. 3. პ. ნაცვალსახელად მითითებითი ნაცვალსახელი ყოფილა, რომლის თანხმოვან ელემენტად ჰ არის მისაჩნევი.

ამას გარდა, **ძირთა ნაცვალსახელების სრული ფორმების** ანალიზის დროს გამოირკვა, რომ **სინდური ენების ასეთს ფორმებში მარტო პირის გამომხატველი ელემენტი-კი არა, არამედ სათანადო სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელიც ყოფილა** და, **მაშასადამე, თავდაპირველად, მხოლოდ პირისა-კი არა, არამედ სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელიც იქმნებოდა.** სწორედ ამ შერწყმული ფორმების პირის მაუწყებელი თავკიდური ელემენტის დროთა განმავლობაში ჩამოცლის გამოა, რომ თავდაპირველად მხოლოდ სქეს-კატეგორიის გამომხატველი ჟ, ლ, ბ და დ ბგერები მკვლევართ პირის აღმნიშვნელ ნაცვალსახელოვან ძირად, თუ ელემენტად მოეჩვენათ. **პ. ნაცვალსახელების შესწავლამ ამის გარდა გამოამჟღავნა, რომ მათი აგებულების შემადგენელ ელემენტად ზოგან უკუქცევითი ნაცვალსახელებიც ყოფილა.**

III. ღილღური ენების ნაცვალსახელები

ღილღურ ენათაგან ჩაჩნური, ქისტური და წოვური ნაცვალსახელების ძველი, მე-XVIII ს., ჩანაწერიც ხომ მოგვეპოვება, ჩაჩნური და წოვური-კი, როგორც ვიცით, მე-XIX ს. მონოგრაფიულადაც იყო შესწავლილი. დასასრულ ნახჭოური ენის 1933 წ. გამოსული ჲანდაროვის, მაციევისა და ავტორხანოვის გრამატიკაც არსებობს.

თავი პირველი

ცნობები ღილღურ ნაცვალსახელებზე

§ 1. ღილღური ნაცვალსახელები მე-XVIII ს.

პირთა ნაცვალსახელები ჩაჩნურად, ქისტურად და წოვურად მე-XVIII ს.

Ich მე — სო So	Wir ჩვენ — ტხენ Tchen
Mir მიც. ბრ. — სუანა Suana	
Mich შემას. ბრ. — სუან Suan	Uns ჩვენ — ტხონე Tchone
Mein ნათ. ბრ. — სენდა Senda	Unser ჩვენი — ჩენდე Tschende
წოვ. — Sen სენ	
Du შენ — ჰო Ho	Ihr თქვენ — ჩუნ Tschun
Dir მიც. ბრ. — ჰონე Hone	
Dich შემას. ბრ. — ჰო Ho	
Dein ნათ. ბრ. — ჰენდა Henda	Euer თქვენი — ჩუნე Tschune
წოვ. — ჰემ Hem	

Er ის — ჲერ Jer, წოვ. — ვოჲე Woje Sie ისინი — ჲერეშ Jeresch.
წოვ. — ვობეი Wobei

Sein მისი — ცუნდე Zunde, წოვ. Kortihada ქორტიჰადა.

(I. A. Güldenstädt. Reisen II, 504).

ჩაჩნურად			ქისტურად		წოვურად
Wer ვინ?	Hämilau	ჰäმილაუ	Jermelof — ჲერმელოფ		Menau მენაუ.
Was რა	Hundu	ჰუნდუ	Hunt	ჰუნტ	Uchta უხტა.
Wessen ვისი	Uhänim	უჰäნიმ	Hand	ჰანდ	Hanio ჰანიო.
Wem ვის	Hanne	ჰანნე	Hanne	ჰანნე	Hanne ჰანნე.
Wen ვინ (შემ. ბ.)	Ismalaf	იზმალაფ	Ismalaf	იზმალაფ	
Hieher აქეთ	—		Sawale	საუალე	Sehe
Dorthin იქით	Dahadi	დაჰადი	Dahazigge	დაჰაციგე,	Dahahe დაჰაჰე.

(I. A. Güldenstädt, Reisen II, 504—505).

§ 2. ჩაჩნური თანამედროვე პირთა ნაცვალსახელები

მე — სუო, შენ — ხ̣უო, ის — იზ, ჩვენ — ტხუო, ვაჲ, თქვენ — შუ, ისინი — იზუშ.

მხ. რ.	უსლ.	ქართ.	მრ. რ.	უსლ.	ქართ.
სახ.	სუო	მე სუო,		ტხუო	ჩვენ, თხუო (შენ და ის ან ისინი), ვაჲ — (მე და შენ, ან თქვენ)
ნათ.	სენი	ჩემი სანი,		ტხენი	ჩვენი, თხან, ვაჲნი, ვაჲნა
მიც.	ასუონა	მე სუვნა,		ტხუონა	ჩვენ, თხუვნა, ვაჲნა, ვაჲნი
მოქ.	ას	ჩემით ასა		ოხუ	ჩვენით, ოოხა, ვაჲ, ვაჲ
მიმართ.	სუეხ̣ა, სოხა,	ჩემდა სუეგეხ̣ა სოგა ხ̣აა		ტხუეხ̣ა	ჩვენდა, თხოხ̣ა, ვაჲხ̣ა

	მხ. რ. უსლ.	ქართ.		მრ. რ. უსლ.	ქართ.	
სახ.	ხ̣უო	შენ	ხ̣უო	შუ	თქვენ	შუ
ნათ.	ხ̣ენი	შენი	ხ̣ან	შუნი	თქვენი	შუნი
მიც.	ხ̣უონა	შენ	ხ̣უვნა	შუნა	თქვენ	შუნა
მოქ.	ახ̣	შენით	ახ̣ა	აშ	თქვენით	აშა
მიმართ.	ხ̣უეხ̣ა ხ̣ოხა,	ხ̣უეგეხ̣ა შენდა,	ხ̣ოგახ̣აა.	შუეხ̣ა	თქვენდა	შუხა

ის — იზ | ისინი — იზუშ

მხ. რ. უსლ.	ქართ.	მრ. რ. უსლ.	ქართ.
სახ. იზ	ის, ი(იზ)	იზუშ	ისინი, ჯაშ (ჯზუშ)
ნათ. ცუინინი	მისი, ცჳნინი	ცერინი	იმათი, ცეერინი

მიც.	ცუნნა მას, ცუნნა	ცა̆რნა იმათ, ცაარნა
მოქმ.	ცუ̄ მით, ცუო	ცა̆რა, ცა̆რ იმათით, ცაარა
მიმართ.	ცუენძგეხია მისდა ცვნგახიაა.	ცერგეხია იმათდა, ცა̆რგახაა.

(უსლ. ჩაჩ. ე., 45 და 48 და ჲანდ.- მაც.- ავტორხ. ნახჳ. გრ., გვ. 259—26)

ჩაჩნური კუთვნილებითი ნაცვალსახელები

კუთვნილებითი ნაცვალსახელების გამოსახატავად ჩაჩნური პირთა ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს ხმარობს, მაგ. ჩემი — **სენჷ**, შენი **ხიენჷ**, მისი **ცუინინჷ** (**ცუინი**), ჩვენი (მე და იმისი, ან იმათი) **ტხენ**, (მე და შენი, ან თქვენი) **ვაჲნჷ**, — თქვენი **შუნჷ**, იმათი **ცე̄რინჷ**, — თქვენი **შუნჷ**, იმათი **ცე̄რინჷ**. ჩაჩნურს კუთვნილებითს სახელებს არც კანკლედობა აქვს და არც სქეს-კატეგორიებისდა მიხედვით რაიმე ეცვლებათ (ჩაჩ. ე., გვ. 48—49).

უკუქცევითი ნაცვალსახელები

ჩაჩნურს რამდენიმე **უკუქცევითი ნაცვალსახელები** მოეპოვება ერთი მათგანის წარმოება იმ წესს ემყარება, რომ პირის ნაცვალსახელს იგივე ფორმა მისდევს, მაგრამ მისი უკანასკნელი ხმოვნის გაგრძელება „თითონ"-ის ცნების გამომხატველობას ანიჭებს. მაგ. მე **სუო**-ა, „მე თითონ"-კი **სუო სუ̄**-ა, — შენ **ხიუო**, შენ თითონ — **ხიუო ხიუ̄** (ჩაჩ. ე. 49—50 და ნახჳ. გრ. 265). მაგრამ ასე მარტო მხ. რ. 1. და 2. პ. უკუქცევითი ნაცვალსახელებია ნაწარმოები.

მხ. რ. 3. პ. და მრ. რ. სამივე პირის უკუქცევითი ნაცვალსახელების საწარმოებლად-კი პირთა ნაცვალსახელს „თითონ"-ის გამომხატველი ან ცალკეული სიტყვა **შა**, ანუ **შაა**, ანდა უკვე ფორმანტად ქცეული **ეშ**, **შ** ბოლოსართი ემატება პირის ნაცვალსახელის ნიშანს და ასე შერწყმული პირის ნაცვალსახელს ერთვის ხოლმე. მაგ. ის — **იზ**, ი, — ის თითონ — **იზ-შა იშაა** (ჲან.), — ჩვენ **ტხუო**, **თხუო**, ჩვენ (მე და ის, ან ისინი) **თითონ—ტხუო ტხეშ**, **თხუო თხაშ**, **ვაჲ** (მე და შენ, ან თქვენ) **ვეშ**, **ვაჲ ვა̆შ**. თქვენ—**შუ**, თქვენ თითონ — **შუ შეშ**, **შუ შა̆შ**, ისინი **იზუშ**, ისინი თითონ — **იზუშ შეშ**, **კჲშ - შა̆შ** (ჩაჩ. ე. 49—51 და ნახჳ. გრ. 265). ცხადია, რომ **ტხეშ**, **თხაშ**, — **ვეშ**, **ვა̆შ**, — **შეშ**, **შა̆შ** და **შეშ** ისინი თითონ) წარმომდგარია **ტხ**, **თხა̆**+**ეშ**, **ვ**+**ეშ**, **შ** (შუ-ს)+**ეშ**, **შ** (იზუშ-ის)+**ეშ**-ისაგან.

ზემომოყვანილი უკუქცევითი ნაცვალსახელების თავისებურებას ის შეადგენს, **რომ ასეთი წყვილედი ფორმები მხოლოდ სახ. ბრუნვას აქვს, დანარჩენი ბრუნვებისათვის უკვე მარტო თითო-თითო ფორმა-ღაა**, სახელდობრ:

ჩაჩნური უკუქცევითი ნაცვალსახელების კანკლედობა

1. „მე თითონ"	**სუო სუ́.**	2. „შენ თითონ"	**ხიუო ხიუ́**
ნათ. ბრ.	**საჲნჷ**		**ხიაჲნჷ**
მიც. ბრ.	**საჲნა**		**ხიაჲნა**
მოქმ. ბრ.	**აჲსა**		**აჲხია**
მიმართ. ბრ.	**საჲგეხია.**		**ხიაჲგეხია**

3. „ის თითონ“ იჰ შა̃
ნათ. ბრ. შიე̄ნი
მიც. ბრ. შიე̄ნა
მოქმ. ბრ. შა̃
მიმართ. ბრ. შიე̄გეხა

(ჩაჩ. ე., გვ. 49—50).

„ჩვენ (მე და ის, ისინი) თითონ“ ტყუო ტხეშ. ჩვენ (მე და შენ, ან თქვენ) ვაჲ ვეშ
ნათ. ბრ. ტხე̄შინი. ვე̄შინი
მიც. ბრ. ტხეშნა. ვეშნა
მოქმ. ბრ. ტხეშ. ვეშ
მიმართ. ბრ. ტხეშკეხა. ვეშკეხა.

„თქვენ თითონ“ — შუ შეშ
ნათ. ბრ. შე̄შინი, ანდა შაჲნი.
მიც. ბრ. შეშნა, ანდა შაჲნა.
მოქმ. ბრ. შეშ.
მიმართ. ბრ. შეშკეხა, ანდა შაჲგეხა.

(ჩაჩ. ე., გვ. 50—51).

ჲანდაროვისა და მისი თანამშრომლების გრამატიკით-კი ამ ჟამად ჩაჩნურს უკუქცევითს ნაცვალსახელებს, სახელობითი ბრუნვის მსგავსად, დანარჩენ ბრუნვებსაც ორ-ორი, მაგრამ მაინც პირის ნაცვალსახელისაგან განსხვავებული ფორმა აქვთ. სისრულისათვის უკუქც. ნაცვალსახელების თანამედროვე კანკლედობაც მოგვყავს:

მე თითონ — სუო-სუოო
ნათ. ბრ. სანი-საჲნი
მიც. ბრ. სუვნა-საჲნა
მოქმ. ბრ. ას-აჲსა

შენ თითონ — ხუო-ხუოო
ნათ. ბრ. ხან-ნაჲნი
მიც. ბრ. ხუვნა-ხუჲნა
მოქმ. ბრ. ახ-აჲხა

ის თითონ — ი-შაა
ნათ. ბრ. ცვნინო-შეენი
მიც. ბრ. ცუნნა-შიენნა
მოქმ. ბრ. ცუო-შაა

ჩვენ თითონ — თხუო-თხა̈შ
ნათ. ბრ. თხანი-თხაჲნი
მიც. ბრ. თხუვნა-თხა̈შნა.
მოქმ. ბრ. ოოხა-თხა̈შ.

ჩვენ თითონ — ვაჲ-ვა̈შ
ნათ. ბრ. ვაჲნი-ვეეშინი
მიც. ბრ. ვაჲნა-ვა̈შნა
მოქმ. ბრ. ვაჲ-ვა̈შ

თქვენ თითონ — შუ-შა̈შ
ნათ. ბრ. შუნი-შეშინი
მიც. ბრ. შუნა-შეა̈მნა
მოქმ. ბრ. აშა-შა̈შ

ისინი თითონ — ჳაშ-შა̈შ
ნათ. ბრ. ცეერინ-შეეშინი
მიც. ბრ. ცაარნა-შა̈შნა
მოქმ. ბრ. ცაარა-შა̈შ

(ჲანდ.-მაც.-ავტორ. ნახჩ. გრ., გვ. 265).

უკუქცევითი ნაცვალსახელების ნათ. ბრუნვის ფორმებიც კუთვნილებითი ნაცვალსახელების მნიშვნელობის მქონებელია და ამიტომ **საჲნჷ** თვით ჩემის, **ხჺაჲნჷ** თვით შენი-ს, **შიჸნჷ** თვით მისი-ს, **ტხაჲნჷ** და **ვეშინჷ** თვით ჩვენი-ს, **შაინჷ** თვით თქვენი-სა და **შაჲნჷ** თვით იმათ-ის აღმნიშვნელია. როდესაც ასეთი უკუქცევითი-კუთვნილებითი ნაცვალსახელები ცალკეულად, არსებითი სახელისაგან დამოუკიდებლივ არის ხოლმე ნახმარი, მაშინ ზემომოყვანილ ფორმებს **იგ** ბოლოსართი ემატება ხოლმე. ასეთ შემთხვევებში „თვით ჩემი“ იქნება **საიჲნიგ**, თვით შენი — **ხჺაჲნიგ**, თვით მისი — **ცაუინინიგ**, **ცჳნნიგ** (ჲან.), — თვით ჩვენი — **ტხაჲნიგ**, **თხაჲნიგ** (ჲან.), ანდა **ვაჲნიგ**, — თვით თქვენი — **შუინიგ**, **შჳნიგ**, — თვით იმათი **ცჸრინიგ** (ჩაჩ. ე., გვ. 51 და ჲანდ. ნახჲ. გრ., გვ. 261—262).

ამ უკუქცევით-კუთვნილების ნაცვალსახელების კანკლედობაც თავისებური აქვს. თავისებურებას ის შეადგენს, რომ სახელობითი ბრუნვის გარდა, **იგ** ბოლოსართი სხვა დანარჩენ ბრუნვებში აღარსად ჩანს, არამედ მის მაგიერ **ჩუ** ბოლოსართი ჩნდება და ბრუნვების ნიშნები სწორედ ამ **ჩუ**-ბოლოსართიან ფუძეს ერთვის ხოლმე. მაგ. „თვით ჩვენი“-ს კანკლედობა რომ მოვიყვანოთ:

	მხ. რ.	მრ. რ.
„თვით ჩვენი“	**საჲნიგ**	**საჲნიგიშ**
ნათ. ბრ.	**საჲნჷჩუნჷ**	**საჲნჷჩუჲნჷ**
მიც. ბრ.	**საჲნჷჩუნა**	**საჲნჷჩუშნა**
მოქმ. ბრ.	**საჲნჷჩუჾ**	**საჲნჷჩუშა** (ჩაჩ. ე., გვ. 52).

(ჲ ა ნ დ ა რ ო ვ ი ს ა და მისი თანამშრომლების გრამატიკაში ასეთივე ფორმებია მოყვანილი იმ განსხვავებით, რომ შუაში **ნჷ** არ არის, ე. ი. **საჲჩუნჷ**-ია და სხ. (ჲანდ. ნახჲ. გრ., გვ. 261—262).

უ ს ლ ა რ ს არც ამ **იგ**-ისა და არც **ჩუ** ბოლოსართების აღმნიშვნელობასა და სადაურობაზე არსად თავის ნაშრომში არაფერი აქვს ნათქვამი. ეს საკითხი ცალკეა განსახილველი.

ჩაჩნური ჩვენებითი ნაცვალსახელი

უ ს ლ ა რ ი ს სიტყვით, 2. პ. ნაცვალსახელის **იზ**-ისაგან არის წარმომდგარი და თანხმოვნის მოცილებით **ი**-დ არის ქცეული. **ი** ნიშნავს ეს-ს, მაგრამ მხ. რ. დანარჩენ ბრუნვებში ამ ხმოვნის მაგიერ **ოცუ** ჩნდება, მრ. რ. ბრუნვებში-კი უკვე **აცარ** და **აცერ** არის. ამიტომ მხ. რ. ნათ. ბრ. **ოცაუინინჷ**, მიც. ბრ. **ოცუნნა**, მოქმ. ბრ. **ოცუჾ**, — მრ. რ. სახ. ბრ. **იზუშ**, ნათ. ბრ. **აცჸრინჷ**, მიც. ბრ. **აცჵრნა**, მოქმ. ბრ. **აცჵრა**. მაგრამ **ეს** ჩვენებითი ნაცვალსახელი თუ არსებითს სახელს მიუძღვის, მაშინ ყველა ზემოდასახელებულს ბრუნვებში მხოლოდ **ოცუ** იხმარება (ჩაჩ. ე. 52).

ზემოაღნიშნულ ჩვენებითს ნაცვალსახელს გარდა, ჩაჩნურს აქვს **ჰარა**, რომელიც **ეს**-ს ნიშნავს, და **დგჵრინგ** — **ის**. ამ ორსავეს დანარჩენ ბრუნვებში ფუძე შემდეგნაირად ეცვლება:

	ეს — ჰარა	მრ. რ.	ძანდაროვის გრამატიკით: მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ჰარა	ჰორუშ.	ჰარა (ძარა).	ჰორუშ (ძორუშ)
ნათ.	ჰოკუინინი	ჰაკჼრინი.	ჰოკვნინი (ძოკვნინი).	ჰოკეერინი (ძოკჼრინი)
მიც.	ჰოკუნნა	ჰაკჼრნა.	ჰოკკფუნა (ძოკუნნა).	ჰოკაარნა (ძოკარნა)
მოქმ.	ჰოკუო̄	ჰაკჼრა.	ჰოკუო (ძოკუო).	ჰოკაარა (ძოკაარა).

(ნაჰ. გრ., გვ. 267).

მაგრამ ჰარა-ს ნათესაობითისა და ყველა სხვა ბრუნვების ორივე რიცხვის ფორმები უამ-ჰო (მხ. რ-ში) და ჰა (მრ. რ-ში) მარცვლოთაც იხმარება ხოლმე და მარტივად ამბობენ კუინინი, კუნნა, კუო̄, - კჼრინი, კჼრნა, კჼრა და სხ.

დგჼრინგ-ის (ის) კანკლედობაც თავისებურია იმ მხრივ, რომ ორივე რიცხვის ნათესაობითსა და დანარჩენს ბრუნვებში ამ ნაცვალსახელის ფუძეს ბოლოში ჩუ ერთვის და ამის გამო შემდეგი კანკლედობა აქვს:

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	დგჼრინიგ	დგჼრინიგიშ
ნათ.	დგჼრიჩუნი	დგჼრიჩუინი
მიც.	დგჼრიჩუნა	დგჼრიჩუშნა
მოქმ.	დგარიჩუო̄	დგჼრიჩუშა

(ჩაჩ. ე., გვ. 52—53).

ძანდაროვისა და სხვათა ნახჩოურს გრამატიკაში დგჼრინგ არ მოიპოვება.

ჩაჩნური კითხვითი ნაცვალსახელები

ვინ? მილა, წოვურად — მენა. ორივეს დანარჩენი ბრუნვები სხვა ძირისაგან აქვს ნაწარმოები, მაგ.

	ჩაჩნურად.		წოვურად
ვისი	— ხიენი (ნი),	ხიეკნინი (ძან.)	ხიანი, ხიან
ვის	— ხიანნა,	ხანნა (ძან.)	ხიანნა
ვისით	— ხიანი	ხია (ძან.: ნახჩ. გრ., გვ. 269).	ხიანგრედაჰ

მრ. რ.

ჩაჩნურად	წოვურად
ვინანი — მილუშ	მენუხ
ნათ. ბრ. მილხუჩუძი	მენუხუჩო
მიც. ბრ. მილხუჩუშნა	(შიფნ. წოვ. ე., გვ. 50).
(ჩაჩ. ე., გვ. 54).	

ჩაჩნურად	წოვურად
რა? ჰუნი	ჰუნ, უნე, ჰუნახ, ჰუხ, უხ, უ.

მაგრამ ამ რა-საც დანარჩენი ყველა ბრუნვების ფორმები სულ სხვა ძირისაგან აქვს ნაწარმოები და შემდეგი კანკლედობა აქვს:

	ჩაჩნურად	წოვურად
	რა	
სახ.	**ჰუნი**	**ვუნ**
ნათ.	**სტი̄ნი(ნი), სტიჲნინი (ჲან.)**	**სტენი, სტეინ**
მიც.	**სტიენნა**	**სტენნა**
მოქმ.	**სტიუნი, სტიე (ჲან., გვ. 269)**	**სტენგრედაჰɩ**
	(ჩაჩნ. ე., 55)	(წოვ. ე., 51)

წოვურს ზემომოყვანილს „რა?“ კითხვითი ნაცვალსახელის ფორმებს გარდა გაძლიერებული კითხვის გამომხატველი **უხჳა, უხდა** და **უზდალო**-ც აბადია (შიფნ. თუშ. ე., გვ. 51).

თავი მეორე

ღილღური ნაცვალსახელების ანალიზი

მე-XVIII ს. ჩანაწერსა და თანამედროვე ნაცვალსახელებს შორის დიდი განსხვავება არა ჩანს და ცვლილება მხოლოდ ზოგან დასტყობია. მაინც ძველ ცნობას, სანამ მის გამოყენებას შევუდგებოდეთ, განმარტება სჭირდება. იქ მე-ს ჩაჩნურ შესატყვისობად **სო** არის აღნიშნული, თანამედროვე ჩაჩნურს-კი **სუო** აქვს, ხოლო **სო** ქისტებსა და წოვებს მოეპოვებათ.

იგივე უნდა მხ. რ. 2. პ. ნაცვალსახელზეც ითქვას: მე-XVIII ს. ჩანაწერში „შენ“ **ჰო** Ho-დ არის აღბეჭდილი. თანამედროვე ჩაჩნურს აქაც **ხუო** აქვს, ინგუშურსა და წოვურს-კი სწორედ **ხო** აქვთ. ეტყობა, რომ გ ჰ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს **ხ** ბგერის პალატალობა. შერბილება კარგად შეუმჩნევია და ამიტომაც **ხ** გერმანული H ჰ ს გამოყენებით გამოუხატავს. ხმოვანთა მხრივ-კი ამ ძველს ჩანაწერშიც, მაშასადამე, ისეთსავე მოვლენასთან გვაქვს საქმე, როგორიც 1. პირისაში გვქონდა.

ამ განსხვავებას შესაძლებელია ორნაირი განმარტება მოეძებნოს: **ან ცნობების მიმწოდებელი ქისტი, თუ უფრო წოვა იყო**, რომელიც შესცდა და ამა და სხვა მსგავს შემთხვევაში თავისი დედაენის ფორმა გ ჰ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს ჩაჩნურადაც წარმოუდგინა, **ანდა უნდა ვიფიქროთ, რომ** მე-XVIII **ს. მხ.რ. 1. და 2. პ. ნაცვალსახელები ისეთივე იყო, როგორიც ქისტურსა და წოვურს ეხლაც აქვს.** თუმცა ამ საკითხის დანამდვილებით გადასაწყვეტად წინასწარ სხვადასხვა გარემოების გამორკვევა და გათვალისწინებაა საჭირო, მაგრამ, რაკი მხ. რ. 3. პ. ჩაჩნურ ნაცვალსახელად აღნიშნულია **ჲერ**, რომელიც ღილღურ თანამედროვე ენათგან მხოლოდ წოვურს მოეპოვება (იხ. შიფნ. წოვ. ე., გვ. 48), ეს გვაფიქრებინებს, რომ **ამ ორ** შესაძლებლობათაგან უფრო პირველი მოსაზრება უნდა იყოს სწორე.

საყურადღებოა, რომ **მე-XVIII ს. ჩანაწერში პირთა ნაცვალსახელების ნათ. ბრუნვისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელების ყველა ფორმებს ბო-**

ლოში, ნათ. ბრუნვის ნიშნის შემდგომ, და, ანდა დე მარცვალი ახლავს, მაგ.: Mein Senda ჩემი სენდა, Dein Henda შენი ჰენდა, Sein Zunde მისი ცუნდე, Unser Tschende ჩვენი (შეცდომაა, ნამდვილად თქვენი-ა) ჩენდე. ნათ. ბრ. ასეთი ფორმები არცერთს ღილღურს ენაში, ამ ჟამად არსებული ცნობების მიხედვით, არ მოიპოვება და ამ საკითხს ჯერ გამორკვევა სჭირდება.

მრ. რ. 1. და 2. პ. ნაცვალსახელების მე-XVIII ს. ჩანაწერში შეცდომებია შეპარული, სახელდობრ: 1. ჩვენ Wir აღნიშნულია Tchen ტხენ, რაც სახ. ბრუნვა-კი არა, არამედ ნათესაობითი ბრუნვაა, თანამედროვე გაგებით მაინც. ამიტომ უნდა გერ. Unser ჩვენი ყოფილიყო, მაგრამ თქვენ-ც რომ ჩუნ არის დაბეჭდილი და აქაც რომ ბოლოში ნ აქვს, ეგების მაშინ ჩაჩნურშიც 1. და 2. პ. მრ. რ. ფორმებს ბოლოში მართლაც ნ ჰქონდა და ეგების უ ს ლ ა რ ი ს მოსაზრება, რომ ჩაჩნური ნათ. ბრ. ნიშანი თავდაპირველი ნ არ იყო, რომ იგი მერმინდელი დანართია (ჩაჩ. ე. გვ. 24), მცდარი არ არის? ამ საკითხს ჯერ შესწავლა სჭირდება. —2. შემდეგ დაბეჭდილია „Unser Tschende“ ე. ი. „ჩვენი ჩენდე“. რაკი „ჩვენ“ ტხუო-ა და თქვენ მე-XVIII ს. ჩანაწერში Tschun ჩუნ-ად არის აღნიშნული, ცხადია, რომ ჩენდე უფრო თქვენი-ს შესატყვისობად არის მისაჩნევი, ვიდრე ჩვენი-ს და ნამდვილად სწორედ ასეც იქმნებოდა.

საგულისხმოა, რომ ჩვენ-ის ორ, ექსკლუზიური და ინკლუზიური ფორმითგან ტხუო და ვაჲ მე-XVIII ს. ჩანაწერში მხოლოდ პირველი, მე და ის, ან ისინი ს აღმნიშვნელი, ფორმა ტხენ და ტხონე (მიც. ბრ.) არის აღბეჭდილი.

ღილღურ პირთა ნაცვალსახელებითგან მრავლობითი რიცხვის 1. პ. ჩვენ-ის აღმნიშვნელი სახელია საყურადღებო. თანამ. ჩაჩნურსაცა და ქისტურ-წოვურსაც ამ პირისათვის ორ-ორი ფორმა მოეპოვება: ტხუო, ანუ თხუო და ვაჲ (ჩ.), ტხო და ვეჲ (ქ.), თპო და ვაი (წ.). ამ ორ წყვილ-წყვილ ფორმათაგან პირველი ტხუო, თხუო, ტხო და თპო შესაძლებელია რთული აგებულებისა და ორ ნაწილისაგან შემდგარად მიეჩნია ადამიანს მით უმეტეს, რომ მეორე პირს სამსავე ენაში ეხლაც ხიუო, ხიო და ხიო ეწოდება და, როგორც გ ვ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერითგან ჩანს, ასევე (ჰო) ეწოდებოდა მე-XVIII ს.-შიც. რაკი მეორე ნაწილი შენის აღმნიშვნელად წარმოგვიდგებოდა, მაშინ ტ, ანდა თ-ც შესაძლებელია 1. პ. ნიშნად მიეჩნია ადამიანს მით უმეტეს, რომ დ-ძირიანი 1 პ. მხ. რ. ნაცვალსახელი ლეგურ ენათა შორის ლუნძურს, ანწუხურს, ჭარულსა, აკუშურსა და დიდოურს მოეპოვება. მაგრამ ასეთი მოსაზრება სრულებით მცდარი იქმნებოდა.

საქმე ისაა, რომ ტხუო-სა, ანუ თხუო და ვაჲ-ს შორის ის განსხვავებაა, რომ პირველი მათგანი მხოლოდ მე და ის-ს, ანდა მე და ისინი-ს ნიშნავს, ე. ი. მეორე პირი ნაგულისხმევი არ არის, ვაჲ-კი წინაუკმო, სწორედ მე და შენ, ანდა მე და თქვენ-ს გულისხმობს. ცხადია, რომ მხ. რ. მეორე პირის ნიშნის ძებნა ტხუო-სა ანდა თხუო-ში, რაკი ის ფორმა სწორედ მეორე პირს არ გულისხმობს, სრულებით უმართებულო და ამაო ცდა უნდა იყოს.

თუ ამ მეორე პირის ნიშანი მრ. რ-ს 1. პ. ორ სახელთაგან სადმე საძებნელია, ცხადია, რომ ისევ მხოლოდ ვაჲ-შია. მაგრამ მასაც მეორე პირის ღილღური ნაცვალსახელის ბგერითი ელემენტის არავითარი კვალი არ უჩანს. ხოლო,

რაკი ამასთანავე მრ. რ. 1. პ. **ტხუო, თხუო**-სა (ჩ.) და **თკო**-ში (ქისტ., წოვ.) არც მესამე პირის ელემენტის ანარეკლზე შეიძლება იყოს საუბარი, რათგან **იხ** მე-XVIII ს. ჩანაწერში **ძერ**-ად, ხოლო ისინი **ძერეშ**-ად არის აღბეჭდილი, თანამედროვე ჩაჩნურს-კი **იზ** და **იზუშ-ი, შარა** და **დგჰრიჩინგ**, ქისტურს **იზ** და **უჟ**, **ძჰრ** და **ძარაჟ** და წოვურს **ო, ორ** და **ობი** (მრ. რ.) აქვს, ისე რომ ამ ნაცვალსახელის არც ერთი ბგერაც-კი **ტხუო**-სა და **თკო**-სას არ მიაგავს. ცხადი ხდება, **რომ მრ. რ. 1. პ. ღილღური ნაცვალსახელის აღნაგობა პირთა ნაცვალსახელებთან არ უნდა იყოს დაკავშირებული, არამედ მისი სადაურობა სხვაგან არის საძებნელი.**

მრ. რ 2 პ. **ფორმას თვალსაჩინო** განსხვავება ემჩნევა: თუ მე-XVIII ს. ჩანაწერში გვაქვს **ჩუნ** Tschun, თანამედროვე ჩაჩნურში უკვე **შუ** არის, **შუნა** ნათ. ბრ ფორმაა. ასევეა ქისტურსა და წოვურშიც: იქაც თქვენ არის **შუ**, ნათ. ბრუნვა-კი **თქვენი**, ქისტურში **შუმ** (დირრის შეს. 146), წოვურში **შუი** (შიფნ. წოვ. ე. 48). შეცდომაა მე-XVIII ს. ჩანაწერის ამ ცნობაში?

განსაკუთრებული ყურადღების ღირსი **ჩვენებითი ნაცვალსახელებია**, მაგ. **შარა**. მისი თავის ადგილას მოყვანილი (იხ. გვ. 494) ნათესაობითისა და დანარჩენი ფორმები ცხად ჰყოფენ, რომ **შარა** ორი ნაწილისაგან, **შა** და **რა**-საგან შესდგება. **დანარჩენი ბრუნვების ფორმებს** ამ ორითგან **მხოლოდ პირველი, შო**, აქვს შერჩენილი, მეორე, **რა**-კი ქრება. **სამაგიეროდ, ამ ნაცვალსახელის მეორე ნაწილად პუ, პუინ, პუნ** მარცვალი ჩნდება და იმ დროს, როდესაც **შო** ყველა ბრუნვებში უცვლელი რჩება, **პუ**-ს ანუ **პუინ**-ს ბრუნვების ნიშნები ერთვის.

არც უ ს ლ ა რ ს ა და არც შ ი ფ ნ ე რ ს ამ **პუ**, თუ **პუინ**-ის რაობაზე არაფერი აქვთ ნათქვამი.

საყურადღებოა აგრეთვე ჩაჩნური მხ. რ. 3. პ. უკუქცევითი ნაცვალსახელის საწარმოებლად გამოყენებული „თითონ" **შჵ**, რომლის ნათ. ბრ. **შიჵნა**, მიც. ბრ. **შიჵნა**, მოქმ. **შჵ** არის და რომელიც **იზ**-თან ერთად **იზშჵ**, ანუ **ი-შაა** (ძანდ.) „ის თითონ"-ის გამომხატველია, მაგრამ რომელიც ნათესაობითსა და დანარჩენს ბრუნვებში უკვე **უ-იზ-ოდ**, მარტო **თითონ** იხმარება. უ ს ლ ა რ ს არც ამ **შჵ**-ს ძირზე აქვს რაიმე ნათქვამი.

მე-XVIII ს. კითხვითი ნაცვალსახელები თანამედროვისგან ზოგი რამით განსხვავდება, მაგ. **ვინ** ჩაჩნ. ძველად **შჵმილაჟ**, ქისტურად **ძერმელოფ** და წოვურად **მენაჟ** ყოფილა. **ვინ** წოვურად ეხლაც ასევეა **მენა**.

ბოლოკიდური **უ** ჩაჩნურს **შჵმილაჟ**-საცა **და წოვურს მელაჟ**-შიც **აწმყო დროის მ[ა]შველი ზმნის ფორმაა** და **„არის" ნიშნავს.**

საკმარისია ამის შემდგომ **ვინ**-ის ჩაჩნურსა და ქისტურს ფორმებს **შჵმილაჟ**-სა და **ძერმელოფ**-ს დავაკვირდეთ და თანამედროვე ფორმა **მილა**-ც გავითვალისწინოთ, რომ **ძველი ჩანაწერის ფორმების რთული აგებულება სრულებით** ადვილი გასაგები გახდეს. მაგრამ, სანამ მათ ანალიზს შევუდგებოდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ წოვური ფორმის ბოლოკიდური **ფ**, უეჭველია, იგივე **უ** მეშველი ზმნა უნდა იყოს, ოღონდ ჯერ **ვ**-დ, ხოლო შემდეგ **ფ**-დ შენაცვლებული. ამნაირად, მე-XVIII ს. ჩანაწერში კითხვითი ნაცვალსახელის წმინდა ფორმები-კი არა გვქონია აღბეჭდილი, არამედ **„ვინ არის?"**.

ძველი და ახალი ფორმების შედარება დაარწმუნებს ადამიანს, რომ მე-XVIII ს. ცნობის **ჰა̈მილაუ** და **ძერმელოფ**-ის თვით **ვინ** კითხვითი ნაცვალსახელი **ჰა̈+მილა**-სა და **ძერ+მელო**-საგან შესდგება. ამათგან **მილა** და **მელო** რასაკვირველია სწორედ **ვინ** ნაცვალსახელია, ხოლო **ჰა̈** და **ძერ**-ს, ცხადია, რაღაც სხვა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. **ძერ**-ის რაობა, ზემომოყვანილი ცნობების შემდგომ, ძნელი მისახვედრი არ არის: **ძერ**, მე-XVIII ს. ჩანაწერის ცნობითაც და თანამედროვე ქისტური **ძარ** და **ძა̈რ** ისევე, როგორც წოვური **ერ**, ჩვენებითი **ეს** ნაცვალსახელია.

ამნაირადვე ჩაჩნური **ჰა̈მილაუ**-ს **ჰა̈** ამავე მნიშვნელობის ეს ჩვენებითი **ჰარა** ნაცვალსახელია, მაგრამ **რა**-ფორმანტ ჩამოცილებული. როგორც თავის ადგილას დავრწმუნდით, ამ ნაცვალსახელის ეს ორი ნაწილი საერთოდ მჭიდროდ დაკავშირებული არ ჩანს.

მაშასადამე, მე-XVIII ს. ზემოწოყვანილ ჩანაწერებითგან სიტყვა-სიტყვით ნათარგმნი **მხოლოდ წოვური მენაშ ნიშნავს „ვინ არის", ჩაჩნური ჰა̈მილაუ და ქისტური ძერმელოფ კი უკვე მთელი წინადადება ყოფილა „ეს ვინ არის?"** საგულისხმოა, რომ მე-XVIII ს. ჩანაწერის მიხედვით, **ვინ?** ნაცვალსახელის მაშინდელი კანკლედობის სამი ბრუნვის ფორმების გათვალისწინებაც შეგვიძლიან. მაგ. ნათ. **ვისი** ჩაჩნ. **უჰა̈ნიმ** თანამედროვე **ხ(ენი(ნ)**-ს უდრის, მიც. **ჰა̈ნნე=ხანნა**-ს. შემას. ბრ. (Wen) ჩაწერილია Ismajaf **იზმალაფ** რომელიც ვ. პ. ნაცვ. **იზ-ს+მალა+ფ**-ს შეიცავს, **მალა** უეჭველია იგივე **მილა**-ა, ე. ი. **ვინ**, რომლის პირველი **ა**, თუ კორექტ. შეცდომას არ წარმოადგენს, რეგრესიული ასიმილაციის გზით უნდა იყოს გაჩენილი. ამნაირად **იზმალაფ**, ანუ **იზმილაფ ნიშნავს „ეს ვინ არის"?-ო.**

მიცემითი ბრუნვის ძველი და ახალი ფორმები ერთმანერთს კარგად უდგება, თუ გავითვალისწინებთ, რომ გაპალატალებული **ხ(** გ ვ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს სხვა შემთხვევებშიც გერმ. H ასოთი აქვს გამოხატული.

ნათ. ბრ. ჩაჩნური ფორმა **უჰა̈ნიმ** „ვისი", თანამედროვე **ხ(ენი(ნ)**-თან შედარებით, ზედმეტს თავკიდურ **უ**-ს შეიცავს. რომლის რაობა გამოსარკვევია, და ამას გარდა მას ბოლოში **ნ**-ს მაგიერ **მ** უჩანს. უნდა ითქვას, რომ **უჰა̈ნიმ თავისი თავკიდური უ-თი უფრო ეს ნაცვალსახელის ჰა̈რა ს ნათ. ბრ. ფორმას ჰოკუინინ-ს მიაგავს, ამიტომაც საფიქრებელია, რომ ისევ, როგორც სახ. ბრუნვაში ჰა̈-მილა-უ-ში ეს ნაცვალსახელი ჰა̈ არის, ნათესაობითს ბრუნვასაც მაშინ მისი ელემენტი უ-ს სახით (ჰო-ს მაგიერ) შეუნარჩუნებია.**

წოვური „ვისი" **ჰანიო** თანამედროვე ნათ. ბრ. ფორმას, **ხ(ანი** და **უ** (არი)-ს უნდა უდრიდეს და ნიშნავს „ვისია?", ხოლო ქისტური **ვისი**-ს **ჰანდ**-ის ბოლოკიდური **დ** გაუგებარია, მაგრამ. გ ვ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერებში **დე**-ს სახით ბევრგან სხვაგანაც გვხვდება, ამიტომაც შემთხვევითი არ უნდა იყოს.

რა-ს ძველი ჩანაწერის ჩაჩნური **ჰუნდუ**, ცხადია, **ორ სიტყვას ჰუნ და დუ-ს შეიცავს და ნიშნავს „რა არის?** ქისტური **ჰუნტ**, რასაკვირველია, იგივე, მხოლოდ ხმოვან-ჩამოცილებული ფორმაა. **წოვური „რა" უხტა თანამედროვე წოვურის გაძლიერებული „რა"? კითხვითი ნაცვალსახელის უხუა, უხდა, უხდახო-ს მეორე ფორმას ზედმიწევნით უდგება.**

მე-XVIII ს. ჩანაწერის აქეთ, ქისტურად რომ საჟალე არის აღნიშნული, უნდა უდრიდეს ჩაჩნურის სხʻა ვუოლა-ს, რომელიც ნიშნავს „აქ მოდი“-ს (ჩაჩ. ე., 211), ე. ი. „აქ ჲუალე“-ს უდრის.

უსლარს განმარტებული არა აქვს, თუ რა აგებულობის სიტყვაა ჩაჩნური „აქ“ სხʻა (იხ. ჩაჩ. ე., გვ. 108 და 211). მე მგონია, რომ „აქ“ სხʻა ორი ნაწილისაგან შესდგება: ხʻა მიმართულებითი ბრუნვის ის ბოლოსართი უნდა იყოს, რომელიც არსებითი, ზედსართავი, სახელებისა და ნაცვალსახელების კანკლედობაშიც ამავე ბრუნვის მაწარმოებლად გვხვდება (იხ. ჩაჩ. ე., გვ. 25), ხოლო თავკიდური ს უნდა 1. პ. მხ. რ. ნაცვალსახელის სუო-ს ელემენტი იყოს. ამნაირად, სხʻა თავდაპირველად აღმნიშვნელი იქმნებოდა „ჩემ-თან“, „ჩემდამი“ და მხოლოდ შემდეგში, დროთა განმავლობაში, უნდა მიჰნიჭებოდეს მას ზოგადად „აქეთ“-ის მნიშვნელობა.

მე-XVIII ს. ჩაჩნური ჩანაწერის იქით-ის შესატყვისობა დაჰადი, წოვური დაჰაჰე და ქისტური დაჰციგგე უდრის: ჩაჩნური დაჰადი თანამედროვე დგӯ-სა, რომელიც იქ, იქით-ს ნიშნავს, და დი-ს. ამ უკანასკნელის რაობის გამოსარკვევად უნდა გავითვალისწინოთ დაჰადი-სა და დაჰარე-ს იგივეობის შესაძლებლობა, რათგან დ-სა და რ-ს შენაცვლება იშვიათი არ არის.

ამის შემდეგ რომ წოვური იქით-ის დაჰაჰკხ-ს ანალიზს შევუდგეთ, აქაც დაჰა უნდა დგӯ-ს შესატყვისობად გვეცნა, ხოლო ჰე რომელიღაც ფორმანტად მიგვეჩნია. მაგრამ ჩაჩნურად ჰარა ჩვენებითი ნაცვალსახელია და ეს-ს ნიშნავს, ამიტომ წოვური დაჰაჰე „იქით“ უნდა კორექტურული შეცდომა იყოს დაჰარე-ს მაგიერ და დგӯ-სა და ჰარა-საგან იყოს შერწყმით წარმომდგარი და, მაშასადამე, არსებითად მარტო იქით-ს-კი არ გამოჰხატავს, არამედ „იქით ეს“-ის, ანუ უფრო სწორედ რომ გამოითქვას, „იქითი“-ს აღმნიშვნელი ყოფილა.

ცხადია, რომ ზემონათქვამის შემდგომ ჩაჩნური დაჰადი-ც თავდაპირველად ასეთივე აგებულებისა და ცნების სიტყვა იქმნებოდა. ამიტომვეა, რომ ჰარა ჩაჩნურად ნიშნავს ეს-ს, დგӯრინიგ უკვე ის-ს გამოჰხატავს. დაშორების ცნებისელფერს ჰარა-ს, ეს-ს, სწორედ დგა, „იქ“ ანიჭებს.

დაჰაციგგე, ქისტური იქით, იმავე დაჰა-ს (ე. ი. დგӯ-ს) და ციგგე-ს შეიცავს, რომელსაც იგივე მნიშვნელობა აქვს და ჩაჩნურშიც არსებობს (ჩაჩ. ე. 226). ამნაირად ამ შემთხვევაში იგივე ცნება ქისტურს გაორმაგების გზით გამოუხატავს.

IV. ლეგურ-ალბანური ენების ნაცვალსახელები

ნაცვალსახელებში ლეგურ ენებსაც ნაირნაირობა ემჩნევა. ეს თუმცა საქმეს ართულებს, მაგრამ სამაგიეროდ მათი აღნაგობისა და შემადგენელი ნაწილების გამოსარკვევად მკვლევარს ხშირად სწორედ ეს ნაირნაირობა აწვდის ძვირფას მასალასაც და ბევრი რამის გაგების საშუალებასაც აძლევს. ცალკეული ენის ნაცვალსახელების განხილვის დროს, მრავალჯერ მკვლევარს თითქოს სრულებით

გარკვეული სურათი და აგებულება ეჩვენება ხოლმე, მაგრამ, როდესაც ამავე საკითხების განხილვისას ის სხვა ენების ნაცვალსახელების ფორმებსაც გაითვალისწინებს და გამოიყენებს, მაშინ უკვე ცალკეული ენის ნაცვალსახელების აღნაგობაცა და შემადგენელი ელემენტებიც სულ სხვანაირად წარმოუდგება ხოლმე. ამიტომაც აუცილებლად საჭიროა, რომ ამ ენების ნაცვალსახელები ცალკეულადაც და შედარებითადაც გვქონდეს განხილული: რის გამორკვევაც ცალკეული შესწავლით ხერხდება, ის ამ გზით მოგვარდეს, დანარჩენი საკითხები-კი შედარებითი მეთოდით გამოირკვევა.

თავი პირველი

ლუნძური, ანწუხური და ჭარული ნაცვალსახელები

ამ სამი დიალექტის ნაცვალსახელების მე-XVIII ს. ჩანაწერიც გვაქვს ხელთა და ლუნძურისათვის ცნობები უ ს ლ ა რ ი ს გრამატიკაშიც მოგვეპოვება. ლუნძურსა, ანწუხურს და ჭარულს ნაცვალსახელებს შორისაც იმდენად მჭიდრო კავშირია, რომ აქაც მათი ერთად განხილვა სჯობია. წინათვე მიღებული თანმიმდევნოების მიხედვით, აქაც ჯერ ლუნძური, ანწუხური და ჭარული ძველი ჩანაწერისა და თანამედროვე ლუნძური ნაცვალსახელ ები გვექნება წარმოდგენილი, ხოლო შემდეგ უკვე მათს ანალიზზე გადავალთ.

§ 1. ლუნძური, ანწუხური და ჭარული ნაცვალსახელები მე-XVIII ს.

ლუნძურად

Ich მე — დუნ Dun.
Mein ჩემი — დჳრბუგუ Dürbugu.
Du შენ — მუნ Mun.
Dein შენი — დურაბ Durab.
Er ის — ჰადაბ Hadab
Sein მისი — შენელაუ Schenelau
Wer ვინ Schumun შუმუნ
Wessen ვისი Kisamun ქისამუნ
Wem ვის Chibi ხიბი
Was რა Schiblu შიბლუ
Hieher აქეთ Ani ანი
Dorthin იქით Duwechun დუვეხუნ

Wir ჩვენ — ნიჟ Nish.
Unser ჩვენი — ნეჟერაუ Nesherau
Ihr თქვენ — მუჟ Mush
Euer თქვენი — მოჟორაბ Moshcrab
Sie ისინი — დალ Dal

(I. A. Güldenstädt, Reisen, II, 512).

ანწუხურად

Ich მე — დუნ Dun
Mein ჩემი — დჳრ Dür

Wir ჩვენ — ნიჟ Nish.
Unzer ჩვენი — ნეჟერ Nesher

Du	შენ — მუნ Mun	Ihr	თქვენ — მუჟ Mush
Dein	შენი — დურ Dur	Euch	თქვენ შემას. ბრ. — მუჟერ, Muscher
Er	ის — ჰადაბ Hadab	Sie	ისინი — ჰადალ Hadal
Sein	მისი ჲენელ Ienel	Sich	ისინი შემას. ბრ. — ჲენე Iene

Wer ვინ Schu შუ
Wessen ვისი Ch'il ხ'ილ, ანდა ხჳილ
Wem ვის Chil ხილ
Wen ვინ (შემას. ბრ.) Hauh'ili ჰაუჰ'ილი
Was რა Schib შიბ
Hieher აქეთ S'l'ab ს'ლ'აბ
Dorthin იქით Daba დაბა

(I. A. Güldenstädt, Reisen II, 512).

ქარულად

Ich	მე — დუნ Dun	Wir	ჩვენ — ნიჟ Nish
Mein	ჩემი დვრაბ Dürab	Unser	ჩვენი — ნეჟერაბ Nesherab
Du	შენ — მუნ Mun	Ihr	თქვენ — მუჟ Mush
Dein	შენი — დურაბ Durab	Euch	თქვენი (შემას. ბრ.) — მუჟერაბ Musherab.
Er	ის — ჰადაბ Hadab	Sie	ისინი — დალ Dal
Sein	მისი — ჟენელაბ Shenelab	Sich	ისინი — Shene ჟენე

Wer ვინ Schemun შემუნ
Wessen ვისი Chilabi, ხილაბი
Wem ვის Chibi ხიბი
Wen ვინ (შემ. ბრ.) Chisisst ხისისტ
Was რა Schibugu შიბუგუ
Hieher აქეთ Ani ანი
Dorthin იქით Dabai დაბაი

(I. A. Güldenstädt, Reisen II, 512).

§ 2. ლუნძური თანამედროვე ნაცვალსახელები

პირთა ნაცვალსახელები

მე — დუნ
შენ — მუნ

ჩვენ { (მე და ის, ისინი) — ნიტხლაჲ
(მე და შენ, თქვენ) — ნიჟ }

თქვენ — ნუჟ (ლუნ. ე. გვ., 92—93)

ის დრუ (მამრ.), დრჲ (მდედრ.), დობ (3. სქ.).
ისინი — დოლ (იქვე, გვ. 95).

პირთა ნაცვალსახელების ბრუნება

	მე	შენ	ის		
სახ.	**დუნ**	**მუნ**	**დოუ,**	**დოჲ,**	**დობ**
ნათ.	**დირ**	**დურ**	**დოსუ́ლ,**	**დოტყლʼუ́ლ,**	**დოტყლʼუ́ლ**
მიც.	**დი́ჲე**	**დუ́ჲე**	**დოსი́ჲე,**	**დოტყლʼი́ჲე,**	**დოტყლʼი́ჲე**
მოქმ.	**დი́ცა**	**დუ́ცა**	**დოს**	**დოტყლʼ**	**დოტყლʼ**

	ჩვენ (მე და ის)	ჩვენ (მე და შენ)	თქვენ	ისინი
სახ.	**ნიტყლʼ**	**ნიჟ**	**ნუჟ**	**დოლ**
ნათ.	**მატყლʼე́რ**	**ნეჟე́რ**	**ნოჟო́რ**	**დოზუ́ლ**
მიც.	**ნეტყლʼე́ჲე**	**ნეჟე́ჲე**	**ნოჟო́ჲე**	**დოზი́ჲე**
მოქმ.	**ნეტყლʼე́ცა**	**ნეჟე́ცა**	**ნოჟო́ცა**	**დოზ**

(ღუნ. ე., გვ. 92 და 95).

კუთვნილებითი ნაცვალსახელები

ჩემი — **დირ** (ყველა სქეს-კატ. და რიცხ.)
შენი — **დურ** „ „ „ „
მისი — **დოსუ́ლ** (მამრ), **დოტყლʼუ́ლ** (2 და 3 სქეს-კ.)
ჩვენი (ჩემი და იმისი) — **ნეტყლʼე́რ**, (ჩემი და შენი) — **ნეჟე́რ.**
თქვენი — **ნოჟო́რ,** — **იმათი** — **დოზუ́ლ** (ღუნძ. ე., გვ. 95).

კუთვნილებითი ნაცვალსახელები ზედსართავ სახელებად არის ღუნძურში მიჩნეული და შესაძლებელია სქეს-კატეგორიანი მითითებითი ნაცვალსახელებიც ბოლოსართებად დაერთოს, მაგ. ჩემი **დი́რაუ** (მამრ.), **დი́რაჲ** (მდედ.), **დი́რაბ** (3. სქ.), — ჩვენი — **ნეჟერაუ** (მამ.), **ნეჟერაჲ** და **ნეჟერაბ,** — **ჩვენნი** — **ნეჟე́რალ,** — თქვენი — **ნოჟო́რრაუ,** — **ჲ,** — ბ, — **თქვენნი** — **ნოჟო́რრალ,** — მისი — **დოსულაუ** და სხ. (იქვე გვ. 95).

როცა კუთვნილებითი ნაცვალსახელები არსებითი სახელებისაგან დამოუკიდებლივ და ცალკეულად არის სახმარებელი, მაშინ ასეთს ფორმებს ხმარობენ ხოლმე: **ჩემი** — **დი́რავაუ** (მამრ.), **დი́რაჲაჲ** (მდედ.), **დი́რაბაბ** (3. სქ. კ.) **დი́რალალ** (მრ. რ.), — **მისი** — **დოსუ́ლავაუ** (მამრ.), **დოსუ́ლაჲაჲ** (მდედრ.) **დოსუ́ლაბაბ** (3. სქ.-კ.), **დოსუ́ლალ** (მრ. რ) და ასევეა ხოლმე დანარჩენი პირების კუთვნილებითი ნაცვალსახელებიც ნაწარმოები (ღუნძ. ე., გვ. 96). **ვგონებ ძნელი შესამჩნევი არ უნდა იყოს, რომ ზემომოყვანილს ფორმებს სქეს-კატეგორიებიანი მითითებითი ნაცვალსახელების ორმაგი ბოლოსართები აქვთ.**

უკუქცევითი ნაცვალსახელები

უკუქცევითი ნაცვალსახელები ნაწარმოებია პირთა ნაცვალსახელებისაგან **გო** ბოლოსართის მიმატებით, და ამიტომ იქმნება:

ჩემ თავს — **დუ́ნგო,** შენ **თავს** — **მუ́ნგო,** — **ჩვენ თავს** — **ნი́ჟგო** და **ნიტყლʼგო,** — **თქვენ თავს** — **ნუ́ჟგო,** — **ის თითონ** — **დო́უგო** და **დო́უგოჲაუ** და სხ. (ღუნძ. ე., გვ. 97).

თითონ — ჟი́უ (მამრ.), ჟი́ჲ (მდედ.), ჟიბ (3. სქ.)
ნათ. ბრ. — ჟინდი́რ ჟინდი́რ ჟინდი́რ
მიც. ჟინდი́ჲე
მოქმ. ჟინცა́
მრ. რ. სახ. ბრ. — ჟალ, ნათ., — ჟოდრ́რ, მიც. — ჟოდრ́ჲე,
მოქმ. — ჟოდრ́ცა (იქვე, გვ. 98).

ჩვენებითი ნაცვალსახელები

ლუნძურს ჩვენებითი ნაცვალსახელები მარტივიცა და რთულიც მოეპოვება. მარტივი მითითებითი ნაცვალსახელები სქეს-კატეგორიან ბოლოსართების მქონებელს ფორმას წარმოადგენენ. აქვე მომყავს მათი სია და კანკლედობა.

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	აუ, აჲ, აბ	ალ
ნათ.	ასულ, ატხლიულ, ატხლიულ	აზულ
მიც.	ასი́ჲე, ატხლიი́ე, ატხლიი́ე	აზი́ჲე
მოქმ.	ას, ა́ტხლი, ა́ტხლი	აზ

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	ეუ, ეჲ, ებ	ელ
ნათ.	ესულ, ეტხლიულ, ეტხლიულ	ეზულ
მიც.	ესი́ჲე, ეტხლიი́ჲე, ეტხლიი́ჲე	ეზი́ჲე
მოქმ.	ეს, ეტხლი, ეტხლი	ეზ

(ლუნ. ე., გვ. 99).

ლუნძური რთული აგებულების ჩვენებითი ნაცვალსახელების პირველი ნაწილი ჰა მიუთითებს ნაცვალსახელს, ხოლო მეორე ნაწილი 3. პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელის ა ხმოვანა სახესხვაობას დაუ, დაჲ, დაბ-ს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ა-ხმოვნობა შესაძლებელია პროგრესიული ასიმილაციის შედეგადაც ყოფილიყო მიჩნეული. მას ასეთი კანკლედობა აქვს:

	მხ. რ.			მრ. რ.
სახ.	ჰა́დაუ (მამრ. სქ.)	ჰა́დაჲ (დედ. სქ.),	ჰა́დაბ (3 სქ.)	ჰა́დალ
ნათ.	ჰა́დასულ	ჰა́დატხლიულ,	ჰა́დატხლიულ.	ჰა́დაზულ
მიც.	ჰა́დასე	ჰა́დატხლიე	ჰა́დატხილე	ჰა́დაზე
მოქმ.	ჰა́დას	ჰა́დატხლი	ჰა́დატხლი	ჰა́დაზ

(ლუნ. ე. გვ. 99).

მკითხველი შეამჩნევს, რომ ძველს ჩანაწერში 3. პ. მხ. და მრ. რ. ფორმებად სწორედ ამ რთული ჩვენებითი ნაცვალსახელის 3. სქესკატეგორიის ფორმაა აღბეჭდილი.

§ 3. ლუნძური, ანწუხური და ჭარული ნაცვალსახელების ანალიზი.

ლუნძური, ანწუხური და ჭარული ნაცვალსახელების მე-XVIII ს. აღბეჭდილი ფორმებისა და თანამედროვე ლუნძურზე ცნობების გადაკითხვის შემდეგ, უნდა მათი აგებულებისა და თავდაპირველი მნიშვნელობის გამორკვევაც ვცადოთ

რაკი ლუნძურად, ანწუხურად და ჰარულად მე არის ღუნ, შენ-კი მუნ, ე. ი. ორივე პირის ნაცვალსახელს ბოლოკიდურ თანხმოვნად **ნ** აქვს, ცხადია, **რომ ეს ბგერა ძირეული არ უნდა იყოს**, არამედ რომელიღაც ზოგადი ცნების გამომხატველად არის საგულისხმებელი

ლუნძური, ანწუხური და ჰარული ნაცვალსახელების მხ. რ. 1. პ. და მრ. რ. 1 და 2 პ. ფორმებს ძირის მთლიანობა ემჩნევათ, მაგრამ, თუ მხ. რ. 2. პირს ნაცვალსახელის სახელობითი ბრუნვაა **მუნ**, ნათ. ბრუნვა უკვე არის **დურ**-მიცემითი **დიჲე** და, როგორც მე-XVIII ს. ჩანაწერითგან ჩანს, ნათ. ბრუნვა მაშინაც ასევე ყოფილა. აქ მარტო ის გარემოება-კი არ არის საყურადღებო, რომ **შენ ნაცვალსახელის ძირის მთლიანობაა დარღვეული**, არამედ უფრო მეტად ის უცნაურობა, რომ **2. პ. ნათესაობითი, მიცემითი და მოქმედებითი ბრუნვების ფორმების ძირად დ ჩნდება, ის თანხმოვანი, რომელიც ყველა ბრუნვებში გამოუკლებლივ მხ. რ. 1. პ. ნაცვალსახელის აღმნიშვნელია**. ამას ზედ კიდევ ის უცნაურობაც ერთვის, რომ იგივე **დ მესამე პირის ორივე რიცხვის ჲოჲ, დოდ, დობ და დოლ-ის ძირსვე წარმოადგენს**.

გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ს მრ. რ. 1. პ. ნაცვალსახელის მხოლოდ ერთი ფორმა ნიჟ აქვს ჩაწერილი, უ ს ლ ა რ ი ს ცნობით-კი ორი ფორმა არსებობს: ერთია **ნიტხლი**, რომელიც მე და შენ-ს, ანდა მე და **თქვენ**-ს გულისხმობს,—მეორე-კი **ნიჟ**, რომლითაც მე და **ის**, ანდა **ისინი** აღინიშნებიან ხოლმე (ავ. ე., გვ 93). სწორედ **ეს „მე და იმის“, ანდა „იმათის“ აღმნიშვნელი მრ. რ. 1. პ. ნაცვალსახელია** გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს **ზემომოყვანილს ჩანაწერში აღბეჭდილი**.

ამავე ხანის უსლარის ცნობით, **თქვენ** ლუნძურად არის **ნუჟ** (ავ. ე. გვ. 140), ე. ი. **ჩვენ**-ისაგან (**ნ-ჟ**) მხოლოდ ხმოვნით განსხვავებული ფორმაა, მაგრამ გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერითგან ჩანს, რომ 1. და 2. პირის ნაცვალსახელების თავკიდური თანხმოვნების ასეთი იგივეობა მერმინდელი და შედარებით ახალი მოვლენა ყოფილა. მე-XVIII ს. დამლევს **თქვენ** ყოფილა **მუჟ**. ეს ცნობა რომ სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს, იქითგანაც ჩანს, რომ **შენ** ლუნძურად იმ დროსაც იყო **მუნ** და ეხლაც ასევეა. ამნაირად, **2. პ. მრ. რ. ფორმასაც მხ. პ. ნაცვალსახელის მ თანხმოვანივე ჰქონია.**

უნდა ამასთანავე აღინიშნოს, რომ **თქვენ** მარტო ლუნძურად-კი არ ყოფილა მე-XVIII ს. დამლევს **მუჟ**, არამედ, როგორც გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ზემომოყვანილი ჩანაწერებითგან ჩანს, ანწუხურად და ჰარულადაც.

საყურადღებოა **ლუნძური, ანწუხური და ჰარული პირთა** ნაცვალსახელე**ბის მრ. რ. 1. და 2. პირის სახელობითი ბრუნვის ნიჟ და თანამედროვე ნუჟ-ის ისევე, როგორც ძველი მუჟ-ის ბოლოკიდური ჟ-ს რაობა**. რაკი **შენ** არის **მუნ**, **თქვენ**-კი **მუჟ**, შესაძლებელია ფიქრად მოსვლოდა ვისმე, რომ **ჟ** მრ. რ. ნიშანია. ამას თითქოს ის გარემოებაც უნდა ადასტურებდეს, რომ მრ. რ. 1. პ. ნაცვალსახელსაც, **ნიჟ**-საც, ეს თანხმოვანივე მოეპოვება. მაგრამ ლუნძურში **ჟ** მრ. რიცხვის ნიშნად სხვაგან არსადა ჩანს და ამიტომაც ასეთი მოსაზრება მცდარი იქმნებოდა.

თუმცა გამოირკვა, რომ **ჟ**-ს მრ. რ. ფორმანტად მიჩნევა შეუძლებელია, მაგრამ მრ. რ. 1. და 2. პირის ნაცვალსახელების ამ საერთო ბგერის რაობას

გამორკვევა მაინც საჭიროა, რათგან ეჭველია ეს თანხმოვანი ნაცვალსახელების ძირეული ნაწილი არ უნდა იყოს, არამედ ამ ჟ-ს რაღაც ზოგადი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

მე მგონია, რომ მრ. რ. 1 და 2. პ. ნაცვალსახელების ნიჟ და მუჟ (ძველის) ნუჟ-ის ჟ მთელი სიტყვის მხოლოდ პირველი შერჩენილი ბგერა-ღა უნდა იყოს. სრულად ეს სიტყვა ეხლაც არსებობს და სამი ფორმა ჟრუ (მამრ. სქ.), ჟრა (მდედ. ს.) და ჟიბ (მესამე სქ.) აბადია: სამივე ᲗᲘᲗᲝᲜ-ს ნიშნავს. თითონ-ის აღმნიშვნელს ამ ჟრუ ნაცვალსახელს, რომელიც ცალკეულად ამ ჟამად, უსლარის ცნობით, თითქოს მარტო მესამე პირის ნაცვალსახელის „ის თითონ“-ის გამოსახატავად იხმარება, დრუგო-ს მაგიერ (ავ. ე., გვ. 98), ბოლოში კიდევ გო ფორმანტი ერთვის ხოლმე და მასთან ერთად ცალკეულადაც ჟრუგო, ჟრაგო, ჟრბგო და ჟალგო-ს (მრ. რ.) სახით იხმარება ხოლმე. მაგ. ჟრუგო დუნ რნა ვუგო თეით მე მივალ, —ჟრუგო დუნ რნა ბრგო, თითონ (დედაკაცი) მე მივალ,— დრუ ჟრუგო ვაჭანა ის თითონ მოვიდა (ავ. ე., გვ. 99). მრ. რ. 1. და 2 პ. ნაცვალსახელების ᲩᲕᲔᲜ ნიჟ და ᲗᲥᲕᲔᲜ მუჟ (ძველი) ნუჟ ფორმები ცხად-ჰყოფენ, რომ წინათ თითონ ჟრუ, ჟრა, ჟიბ მარტო მხ. რ. მესამე პირის ნაცვალსახელის მაგიერ არ იხმარებოდა, არამედ მრ. რ. 1. და 2. პირის ნაცვალსახელებთანაც გარკვეულობის გამომხატველ ნაწილაკად უხმარიათ. მაშინ მრ. რ 1. პირის სრული ფორმა ნიჟრუ, ხოლო 2. პ. მუჟრუ უნდა ყოფილიყო და ᲩᲕᲔᲜ ᲗᲘᲗᲝᲜ-ისა და ᲗᲥᲕᲔᲜ ᲗᲘᲗᲝᲜ-ის აღმნიშვნელი იქმნებოდა. სწორედ ამის ბოლომოკვეცილი ფორმებია მრ. რ. 1. და 2. პირის ნაცვალსახელების უკვე მე XVIII ს. დამლევს ცნობილი და დღევანდლამდე შერჩენილი, თანაც ეხლა უკვე მარტივ ნაცვალსახელებად მიჩნეული ნიჟ და მუჟ (ძველი), ნუჟ ფორმები

ამის შემდგომ გასაგებია, თუ რატომ არის, რომ ნიჟ ჩვენ მონაწილედ მეორე პირსაც არ ჰგულისხმობს: ჩვენ თითონ-ის თითონ არის თითქოს ამის გამომხატველი.

რაკი გამოირკვა, რომ მრ. რ. 1. და 2. პ. ნაცვალსახელის ბოლოკიდური ჟ ამ სახელების ძირეული ნაწილი-კი არა. არამედ თითონ-ის აღმნიშვნელი ნაწილაკია და ამიტომაც არის, რომ 1. პ. ფორმას ექსკლუზიურს ელფერს ანიჭებს, თავისდა-თავად იბადება საკითხი 1. პ. მრ. რ. ინკლუზიური ფორმის ნიტხლჲ-ის ბოლოკიდური ტხლჲ-ს თავდაპირველი ბუნების შესახებაც. თითქოს ეს ბგერა ნაცვალსახელის ძირეული ნაწილი უნდა იყოს, ხოლო, იმ მოსაზრების გამო, რომ ამ ბგერიან ფორმის თავისებურებას მეორე პირის მონაწილეობის გამომხატველობა შეადგენს, საფიქრებელი იყო, რომ იგი თავდაპირველად სწორედ ამ დამატებითი გარემოების მაუწყებელი ნაწილაკი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ასეთი მოსაზრება რომ მცდარია, თუნდაც იქითგანაც ჩანს, რომ ღუნძურად მე არის დუნ, შენ-კი მუნ: არცერთი ამ ორ დ და მ ბგერათაგანი ნიტხლჲ-ში არ მოიპოვება. ამას გარდა ლეგურის სხვა ენებთან შედარებითი შესწავლა თავის ადგილას დაგვარწმუნებს, რომ საკითხი სრულებით იმდენად მარტივი არ არის, რომ მისი მარტო ღუნძური მასალით გამორკვევა შეიძლებოდეს.

მეტად საგულისხმოა აგრეთვე მე-XVIII ს. ჩანაწერის **ლუნძური კუთვნილებითი ნაცვალსახელების ფორმები:** მხ. რ. **ჩემი — დჳრბუგუ**, **შენი — დურაბ**, **მისი შენელაუ**, - მრ. რ. **ჩვენი — ნეჟერაუ**, **თქვენი — ნოჟორაბ**. ყველა ეს ფორმები პირთა ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვას **დჳრ** ჩემი + **ბუგუ**-ს, — **დურ** შენი + **აბ**, — **ნეჟერ** ჩვენი + **აუ**, - **მოჟორ** (ძველი) ანდა **ნოჟორ** (თანამედროვე) თქვენი + **აბ**.. ყველა ამ ფორმების მეორე ნაწილთაგან **აუ** და **აბ** ჩვენებითი **აი** ნაცვალსახელებია: **აუ** მამრ. სქესისა და **აბ** მესამე სქეს-კატეგორიისა.

ეს რომ სწორედ ასეა, ამ ნაცვალსახელების ანწუხური და ჰარული პარალელებითაც მტკიცდება. მაგ. **ჩემს** ანწუხურად მე-XVIII ს. **დჳრ** სწოდებია, ე. ი. აქ უკვე მხოლოდ ნათ. ბრუნვის (უ-ბუგუ) ფორმაა, რომელიც ამასთანავე კუთვნილებითი ნაცვალსახელია,- ჰარულად-კი ჰრქმევია **დჳრაბ**, მაშასადამე, **დჳრ**-ს **ბუგუ**-კი არა, არამედ **აბ** ჰქონია დართული. ანნაირადვე **ჩვენი** თუ **ნეჟერაუ** იყო, ანწუხურად **ნეჟერ**, ე. ი. ნათ. ბრუნვის წმინდა ფორმა ყოფილა, ჰარულს-კი აქაც **აბ** ბოლოსართიანი **ნეჟერაბ** ჰქონია.

ასევეა 2. პირის ორივე რიცხვის ფორმებიც. თუ ლუნძურს **შენს — დურაბ**-ს ჰარულშიც იგივე **დურაბ** უდრის, ანწუხურს უკვე ნათ. ბრუნვის წმინდა ფორმა **დურ** აქვს ლუნძური **თქვენ**-ის **მოჟორაბ**-ის შესატყვისად ანწუხურად **მუჟერ**, ე. ი. ნათ. ბრუნვის წმინდა ფორმაა, ჰარულში-კი **მუჟერაბ** ყოფილა. კუთვნილებითი ნაცვალსახელების ასეთი ფორმები ლუნძურს ხომ ეხლაც აქვს.

ზემომოყვანილი მაგალითებითგან ჩანს, რომ ბოლოკიდური **აუ** და **აბ** მარცვლები მართლაც კუთვნილებითი ნაცვალსახელების **ჩემი**, **ჩვენი**, **შენი** და **თქვენი**-ს განუყოფელი ნაწილი არ ყოფილა. საგულისხმოა, რომ მე-XVIII ს. **ლუნძურში ჩვენი-სა და მისი-ს ფორმებში ჩვენებითი ნაცვალსახელის ბოლოსართად მამრ. სქესის აუ ყოფილა ზოგადი მნიშვნელობის მქონებელ ფორმანტად მიჩნეული, ჰარულში-კი ისევე, როგორც ლუნძურს, ანწუხურსა და ჰარულს ამავე დანარჩენი და ნაცვალსახელისათვის ზოგადი მნიშვნელობის ბოლოსართად უკვე მესამე სქეს-კატეგორიის აბ ფორმანტია.** ფრიად დამახასიათებელია, რომ ასეთ, ზოგადი დანიშნულების, ფორმანტად ამ ჩვენებითი ნაცვალსახელის მდედრ. სქესის **აჲ** ფორმა არცერთხელ გამოყენებული არ ყოფილა. **ეტყობა, რომ სხვებზე მეტად ზოგადი მნიშვნელობა მესამე სქეს-კატეგორიის ფორმებს მიჰკუთნებია, შემდეგ-კი უფრო ნაკლებ მამრ. სქესისასაც.**

ზემონათქვამის შემდგომ ვგონებ ცხადი უნდა იყოს, რომ მე-XVIII ს. ჩანაწერის **მისი შენელაუ**-ც უნდა უფრო ადრინდელი შენერაუ-საგან იყოს წარმომდგარი, რომელიც აგრეთვე შენერ-ისა და **აუ**-ს შეიცავს. პირველი ამათგანი უეჭველია ნათ. ბრუნვის ფორმა უნდა იყოს, **აუ**-კი ჩვენთვის უკვე ცნობილი ჩვენებითი ნაცვალსახელის მამრ. სქესის ფორმაა. **შენერ ვ. პ. ნაცვალსახელის თითონ ის-ის, ჟიუ-ს, ნათესაობითი ბრუნვის ფორმა** ჩანს. ეხლა იგი **ჟინდირ**-ად ითქმის (ავ. ე., გვ. 98). გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერში Sch ამ შემთხვევაში, როგორც ზოგან სხვაგანაც აქვს, **ჟ**-ს შენაცვლება მაინც უნდა იყოს, ამის დასამტკიცებლად შესაძლებელია **მისი**-ს ჰარული შესატყვისობა იქმნეს დამოწმებული: მე-XVIII ს. ჩანაწერში სწორედ **ჟენელაბ**-ი არის ალბეჭდილი. ცხადია, რომ იგი **ჟენელ**-ისა და **აბ**-ისაგან შესდგება. ჰარულში, მაშა-

•

სადამე, ლუნძურის მამრობითი სქესის ჩვენებითი ნაცვალსახელის აუ-ს მაგიერ, მესამე სქეს-კატეგორიის აბ ფორმა გვაქვს. თვით 3. პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმად-კი ჭარულში ამნაირად აღბეჭდილია **შენელ**, ლუნძურის **შენელ**-ის მაგიერ. მაგრამ **ისი**-ს მე-XVIII ს. ფორმების თავკიდური თანხმოვანი თავდაპირველად რომელი უნდა ყოფილიყო, ამას განსაკუთრებით სჭირდება გამორკვევა, რადგან ანწუხურად მე-XVIII ს.-ში ყოფილა **ჟენელ**, ე. ი. **შ**-ს, ანდა **ჟ**-ს მაგიერ **ჟ** არის.

მე-XVIII ს. ლუნძური, ანწუხური და ჭარული ჩანაწერების ის ნაცვალსახელი **ჰადაბ** რთული აგებულებისაა და მითითებითი ნაცვალსახელის **დოუ**, **დოჲ**, **დობ**-ისაგან შესდგება. პროგრესიული ასიმილაციის გზით ამ მეორე ნაწილის **ო** ა-დ არის ქცეული. **ჰადაუ**, **ჰადაჲ**, **ჰადაბ** ეხლაც არსებობს, მხოლოდ უ ს ლ ა რ ს 3. პ. ნაცვალსახელად-კი არა, არამედ სამართლიანად ჩვენებით ნაცვალსახელად აქვს მიჩნეული (ავ. ე., გვ. 99). მაშასადამე, მე-XVIII ს ჩანაწერის **ის ჰადაბ ჩვენებითი ნაცვალსახელის მესამე სქეს-კატეგორიის ფორმას წარმოადგენს.**

ეხლა **ჩემი**-ს **დვრბუგუ**-ს მეორე ნაწილის **ბუგუ**-ს რაობა-ღა გვაქვს გამოსარკვევი. ცხადია, რომ იგი **დვრაბ** და **გუ**-საგან არის შემდგარი, რომელთაგან პირველი კუთვნილებითი ნაცვალსახელის **ჩემი**-ს 3. სქეს-კატეგორიის ფორმაა, მეორე, **გუ**-კი უკუქცევითი ნაცვალსახელების **გო** მაწარმოებელი ბოლოსართისუ-ხმოვანა სახეობაა. ამიტომ **დვრბუგუ** სიტყვა-სიტყვით, ან **თვით ჩემი**-ს აღმნიშვნელია, ანდა **დვრ** (ჩემი) + **ბუგო** (არის)-საგან შესდგება და **ჩემია**-ს უდრის.

ლუნძურში, ანწუხურსა და ჭარულში ძველი ჩანაწერით 3. პ. ნაცვალსახელად **ჰადაბ** ყოფილა მიჩნეული, თანამედროვე ლუნძურს-კი აქვს **დოუ** (მამ. სქ.), **დოჲ** (მდედ. სქ.) და **დობ** (3 სქ.) მხ. რ-ში და **დოლ** მრ. რ-ში. აი მისი კახკლედობაც:

	მხ. რ			მრ. რ
სახ.	**დოუ** (მამ. სქ.),	**დოჲ** (მდედ. სქ.),	**დობ** (საშ. სქ.),	**დოლ**
ნათ.	**დოსულ**,	**დოტხლოულ**,	**დოტხლოულ**	**დოზულ**
მიც.	**დოსიჲე**,	**დოტხლოიჲე**,	**დოტხლოიჲე**,	**დოზიჲე**
მოქმ.	**დოს**,	**დოტხლო**,	**დოტხლო**	**დოზ**

(ლუნძ. ე., გვ. 95).

ლუნძური და ჭარული 3. პ. ნაცვალსახელის მრ. რ. ფორმა **ისინი** მე-XVIII ს. ჩანაწერში არის **დალ**, უ ს ლ ა რ ი ს ცნობით-კი ეხლა **დოლ** ითქმის (ავ. ე., გვ. 95). საფიქრებელია, რომ ისევე, როგორც **ის** მაშინ იყო **ჰადაბ**, მრ. რ. **ისინი** ს ფორმაც ამავე ჰა მარცვლიანი **ჰადალ** იქმნებოდა. ჩვენებითი ნაცვალსახელის ასეთი მრ. რ. ფორმა ეხლაც არსებობს (იქვე, გვ. 99). პროგრესიული ასიმილაციით გაჩენილი **დალ**-ის სწორედ ეს ა, ო-ს მაგიერ ამჟღავნებს, რომ მე-XVIII ს. ფორმა **დალ** წინანდელი **ჰადალ** ის თავკიდური მარცვალ-ჩამოცლილი ფორმაა. ამ მოსაზრების სისწორის დამადასტურებლად შესაძლებელია ანწუხურის **ისინი**-ც იყოს დამოწმებული: მე-XVIII ს. ჩანაწერში მართლაც აღბეჭდილია **ჰადალ**, მაშასადამე, **დალ** ნიშნავს **აი ისინი**.

ვინ? ლუნძური შუმუნ, ჭარული შემუნ და ანწუხური შუ უდრის თანამედროვე ლუნძურს შიუ-ს (მამრ. სქ.) და შიჲ-ს (მდედრ. სქ.). ლუნძურისა და ჭარულის მეორე ნაწილში მუნ უკვე მხ. რ. 2. პ. ნაცვალსახელია და, მაშასადამე, შუმუნ და შემუნ ნამდვილად ნიშნავს „ვინ შენ?".

ვისი? ლუნძური ქისამუნ მართლაც ზემომოყვანილი კითხვითი ნაცვალსახელის ნათ. ბრ. ფორმა-კი არ არის, არამედ შესაძლებელია რომელი?-ს აღმნიშვნელი ქჲნაუ-ს ნათ. ბრ. ქჲნასულ-ის შესატყვის დამახინჯებულ ფორმად მოგვეჩნია, მაგრამ ნამდვილად იგიც უნდა ორი ნაწილისაგან იყოს შედგენილი: პირველი ნაწილია ქისა, რომელიც ლუნძურად ნიშნავს საითგან?, ხოლო მეორე ნაწილი აქაც არის მუნ, ე. ი. შენ, მაშასადამე, ქისამუნ სიტყვა-სიტყვით გადმოქართულებული იქმნება საითგან შენ?

ვისი? ანწუხური ხჲილ და ჭარული ხილაბი-კი რომ განვიხილოთ, ანწუხური Ch'il, უეჭველია, ლუნძური ვისი-ს ტყლჲილ-ის შესატყვისობაა და Ch' აქ ლატერალური ბგერის გამომხატველია. ჭარული ხილაბი-კი უკვე ორი ნაწილისაგან შესდგება, რომელთაგან პირველი იმავე ტყლჲილ-ის ტრანსკრიფციაა, ხოლო აბი მითითებითს ნაცვალსახელს ჰაბ-ს უდრის. ამნაირად ხილაბი ნამდვილად ნიშნავს „ვისია ეს?".

ამნაირადვე ვის? ლუნძური და ჭარული ხიბი ვგონებ უნდა მიც. ბრ-ის თანამედროვე ფორმის ეტყლჲიჲვ და მითითებითის ჰებ ნაცვალსახელის შერწყმულს ფორმას წარმოადგენდეს და, მაშასადამე, უდრის ქართულს „ვის ეგ?" ანწუხური ხილ-კი უნდა შეცდომით იყოს მიც. ბრ. ფორმად მიჩნეული, ნათ. ბრ.-ის მაგიერ.

ვინ? შემასმენელობითი ბრუნვის (Wen) ანწუხურ შესატყვისობად აღბეჭდილი ჰაუჰჲლ (Hauh'il) საფიქრებელია ჰაუ-სა, ჩვენებითი ეს ნაცვალსახელისა, და ვინ ნაცვალსახელის ნათ. ბრ. ატყლჲულ-ის შერწყმული ფორმა უნდა იყოს, ამიტომ არსებით ნიშნავს „ეს ვინ?" ხოლო ამავე შემასმ. ბრ.-ის ჭარულ ფორმად დასახელებული ძველი ხისისსტ, ვგონებ, კითხვითი ნაცვალსახელის მოქმ. ბრ. ტყლჲიცა-სი და დოვა, დოჲა, დობა, დორა-ს, რომელიც ქართ. აქა-ს უდრის, ბოლომოკვეცილი შერწყმული ფორმა უნდა იყოს და, მაშასადამე, თითქოს ტყლჲიცად-ის ანარეკლსა და „ვისით აქა?"-ს აღმნიშვნელს უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ გაუგებარია, თუ ბოლოკიდური ტ-ს, თუ თ-ს წინ მდგომს სს-ს ამ ფორმაში რა ფუნქცია უნდა ჰქონოდა.

რა? კითხვითი ნაცვალსახელი ორი სახით არის მე-XVIII ს. აღბეჭდილი: ანწუხურად შიბ, ხოლო ლუნძურად და ჭარულად-კი შიბლუ. მაგრამ თანამედროვე ლუნძურს შიბლუ-კი არა აქვს, არამედ მხოლოდ შიბ. შიბლუ-კი უნდა შიბ და ლუ-საგან იყოს შემდგარი. ლუ თითქოს კითხვითი ბოლოსართი ჩანს, თუმცა თანამედროვე ლუნძურს ასეთ ბოლოსართად ლი, ანდა ალი აქვს (ლუნ. ე., გვ. 31).

აქ, აქეთ მე-XVIII ს. ჩანაწერით ლუნძურად და ჭარულად ანი ყოფილა, რომელიც თანამედროვე ლუნძურში არსებული ჰანიუ, ჰანიჲ, ჰანიბ და ჰანირ-ის (იხ. ლუნძ. ე., გვ. 238) მეორე სქეს-კატეგორიის ფორმა ჩანს. ვერ მიმიგნია რა ანწუხური აქ, აქეთ-ის ს'ლ'აბ-ის აგებულებისათვის: ეგების ამ სიტყვის მეორე

ნაწილი ლ'აბ უდრის ტხლთობ-ს, ე. ი. ჩვენებითი ნაცვალსახელის 3. სქეს-კატეგორიის ფორმაა და ეს-სა ნიშნავს? მაგრამ ს' რაღა უნდა იყოს?

იქით ანწუხური დაბა და ჭარული დაბაი თანამედროვე ღუნძურშიც დაცული დოვა, დოდა დობა და დორა-ს 3. სქეს-კატეგორიის ფორმა ჩანს. ხოლო ღუნძური დუვეხუნ, უეჭველია, აქეთ, აქეთკენ-ის გამომხატველია და თანამედროვე ღუნძურის დოვეხთუნ, დოდეხთუნ, დობეხთუნ და დორეხთუნ-ის 1. სქეს-კატეგორიის ფორმაა.

ღუნძური, ანწუხური და ჭარული ნაცვალსახელების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ნაცვალსახელების მარტივ ფორმებად ხშირად ნამდვილათ რთული და შერწყმული ფორმები ყოფილა მიჩნეული. ეს გარემოება მკვლევარს უნდა ყოველთვის გათვალისწინებული ჰქონდეს.

თავი მეორე

ანდიური და მონათესავე ტინდალური, ბოთლიხური, ღოდობერული, კარატული, ახვახური, ბაგულალური და ჭამალალური ნაცვალსახელები

ანდიური ნაცვალსახელების შესასწავლადაც მე-XVIII ს. ჩანაწერიც და თანამედროვე ცნობებიც მოგვეპოვება. მაგრამ ძველი ცნობა ნაკლულოვანია! პირთა სახელების ნათ. მრ. არცერთი ფორმა ჩაწერილა არ არის. ამაზე უფრო უარესია, რომ მრ. რ. 2. და 3. პირის ნაცვალსახელები სრულებით გამოტოვებულია. რასაკვირველია, ეს ორი ნაკლი აძნელებს საქმეს, მაგრამ ისიც, რაც ძველს ჩანაწერშია აღბეჭდილი, მაინც არა ერთი საყურადღებო გარემოების გამორკვევის საშუალებას გვაძლევს.

იმ მჭიდრო ნათესაობის გამო, რომელიც ანდიურთან ტინდალურს, ბოთლიხურს, ღოდობერულს, კარატულს, ახვახურს, ბაგულალურსა და ჭამალალურს ნაცვალსახელებს ემჩნევა, სჯობია, რომ მათი თვისებების ზოგადი დახასიათება ანდიური ნაცვალსახელების ანალიზს მივაყოლოთ: მაშინ ყველაფერი იმდენად ცხადი იქმნება, რომ საქმის უზიანოდ სიტყვა მოკლედ მოჭრაც შესაძლებელი გახდება.

§ 1. ძველი და ახალი ანდიური ნაცვალსახელები

A. ძველი (მე-XVIII ს.) ანდიური ნაცვალსახელები

Ich მე — დენ Den
Du შენ — მენ Men
Er ის — ჰეგებ Hegeb
Wer ვინ Inego ინეგო
Was რა Iwgo იუგო
Hieher აქეთ Hotlu ჰოტლუ
Dorthin იქით Hinidil ჰინიდილ
(I. A. Güldenstädt, Reisen II, 520).

Wir ჩვენ — იშიბ Ischib

B. თანამედროვე ანდიური ნაცვალსახელები

1. მე **დინ** (მამრ. სქ.), **დინ** (მხოლოდ მდედრ. სქ.), მაგრამ ღალათლის კილოკავს მხოლოდ ერთი **დენ** ფორმა აქვს.

2. შენ **მინ**, **მენ** (მარტო მდედ. სქ.),—ღალათლურში საერთო ფორმა **მენ** იხმარება.

3. ის **ჰეჵ** (მამრ.), **ჰეჲ** (მდედ.), **ჰებ** (პირუტყ.), **ჰერ** (4 სქეს-კ.)

ჰედეჵ,	— ჲ,		— რ
ჰეგეჵ,	**ჰეგეჲ**,	**ჰეგებ**,	**ჰეგერ**
ჰენჲჵ,	— ჲ,	— ბ,	— რ
ჰიდიჵ,	— ჲ,	— ბ,	— რ
ჰიგიჵ,	— ჲ,	— ბ,	— რ.

(ანდ. ე. 32-33).

მრ. რ.

1. ჩვენ **იტხლიილ** (მე და შენ, ან თქვენ) და **იშიილ** (მე და ის, ანდა ისინი).
2. თქვენ **ბისსილ**
3. ისინი **ჰევულ**, **ჰეჲილ**, **ჰერულ**
   ჰედევულ, **ჰედეჲილ**, **ჰედერულ**
   ჰეგევულ, **ჰეგეჲილ**, **ჰეგერულ**
   ჰენევულ, **ჰენეჲილ**, **ჰენერულ**
   ჰიდივულ, **ჰიდიჲილ**, **ჰიდირულ**
   ჰიგივულ, **ჰიგიჲილ**, **ჰიგირულ**

(ანდ. ე. 33).

დამახასიათებელია, რომ მრ. რ. 3. პ. მამრ. სქესის ფორმას ხშირად არ ხმარობენ და მის მაგიერ მდედრ. სქ. ფორმაა გავრცელებული (იქვე გვ. 33, შენ. 2).

ანდიური პირთა ნაცვალსახელების თანამედროვე კანკლედობა

	მრ. რ. 1. პ.	2. პ.	მრ. რ. 1. პ.		2. პ.
სახ. ბრ.	**დინ** (დენ)	**მინ** (მენ)	**იტხლიილ**	**იშიგლ**	**ბისსილ**
ნათ. ბრ.	**დიჵ**[1], **დიჲ** —ბ —რ,	**დუჵ**, **დუჲ** —ბ, —რ,	**იტხლიიჵ**,-ჲ,	**იშიიჵ**,-ჲ. —ბ, —რ	**ბისსიჵ**,-ჲ
მიც. ბრ.	**დივო**	**დივო**	**იტხტიივო**,	**იშიივო**,	**ბისსივო**
მოქ.	**დინ** (დენ)	**მენ** (მინ)	**იტხლიიდი**,	**იშიიდი**,	**ბისსიდი**

(ანდ. ე. 32).

§ 2. ანდიური ნაცვალსახელების ანალიზი

თანამედროვე ანდიური პირთა ნაცვალსახელების საყურადღებო თვისებას ის წარმოადგენს, რომ მას **მხ. რ. 1. და 2. პირისათვის სახელობითი ბრუნვის** **ორ-ორი ფორმი აბადია: ერთი მამრ. სქესისათვის, მეორე კიდევ მდედრო-**

[1] ჵ, ჲ, ბ და რ ბგერები აქ ყველგან სქ.-კატ. ნიშნებია.

ბითისათვის. ეს გარემოება ისე გასაკვირველი არ იქმნებოდა, რომ სქეს-კატეგორიებისდა მიხედვით განსხვავებული ფორმები ნათესაობითი ბრუნვისათვის ჰქონდა, რათგან ამ ბრუნვის ფორმებს იმავე დროს კუთვნილებითი ნაცვალსახელების დანიშნულებაც აქვთ ხოლმე და მათ, ზედსართავ სახელებივით, ასეთი სქეს-კატეგორიებისდა გვარად განსხვავებული ფორმები შეჰშვენის კიდევაც. ლეგურ ენათა შორის პირთა ნაცვალსახელეპის ნათ. ბრუნვის ასეთვე თვისების მქონებელი ფორმები, ანდიურს გარდა, სხვებსაც მოეპოვებათ. თუმცა 3. პ. ნაცვალსახელს ის-ს ანდიურად 4 სქეს-კატეგორიის ფორმაც-კი მოეპოვება,— ჰეჸ, ჰეჲ, ჰებ და ჰერ, — მაგრამ 3. პ. ნაცვალსახელი ხშირად ჩვენებითი ნაცვალსახელია ხოლმე, რომელსაც ასეთივე თვისება სხვა ენებშიც აქვს. განსაკუთრებული ყურადღების ღირსი სწორედ ის გარემოებაა, რომ მამრ. და მდედრ. სქესისათვის ცალკე ფორმა ანდიურს 1. და 2. პირისა და სწორედ სახელობითი და მიცემითი ბრუნვისათვისაც-კი აბადია. საყურადღებო გარემოებაა, რომ ანდიურის მე-XVIII ს. ჩანაწერში მხ. რ. 1. პ. ᲓᲔᲜ, 2. პ. ᲛᲔᲜ ნაცვალსახელებად აღბეჭდილი მდედრობითი სქესის ფორმებია. თანამედროვე ანდიურს მამრ. სქესისათვისაც აქვს დინ და მინ, მაგრამ ეხლაც ღაღატხლში, რომელშიც ნაცვალსახელების სქეს-კატეგორიებისდა მიხედვით განსხვავებული ფორმები არ არსებობს, სწორედ ეს ფორმებივეა ზოგად ნაცვალსახელებად ქცეული.

3. პ. ნაცვალსახელი ჰᲔᲑᲔᲑ-კი, ცხადია, ჩვენებითი ნაცვალსახელი ჰეგჸ, ჰეგეჲ, ჰეგებ და ჰეგერ-ის მესამე სქეს-კატეგორიის ფორმაა. აქ, მაშასადამე, ზოგადი მნიშვნელობა უკვე ამ მესამე სქეს-კატეგორიას მიჰკუთვნებია.

ამგვარადვე საგულისხმოა, რომ ანდიური ენოვანი მასალის გკლდენშტედტისათვის მიმწოდებელს მრ. რ. 1. პ. ორ ფორმათაგან ზოგად ფორმად ექსკლუზივი, ᲛᲔ ᲓᲐ ᲘᲡ, ანდა ᲛᲔ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲜᲘ-ს აღმნიშვნელი, ფორმა დაუსახელებია. ამასთანავე ფრიად საყურადღებოა, რომ ამ ჟამად გავრცელებული იშილ-ის მაგიერ მე-XVIII ს. ჩანაწერში აღბეჭდილია ᲘᲨᲘᲑ, რომელსაც ბოლოში მესამე სქეს-კატეგორიის ბ ნიშანი აქვს. თანამედროვე ანდიურში ჸ და ჲ, ბ და რ სქეს-კატეგორიის ნიშნები ნათ. და მიცემითს ბრუნვებს აქვს, მაგრამ, როგორც ჩანს, მე-XVIII ს. სქეს-კატეგორიის ნიშნები სახელობითს ბრუნვის ფორმებსაც ჰქონია, მესამისაც-კი და ეს მესამე სქეს-კატეგორიის ფორმა, ამ ჟამად ნათ. ბრ. და კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმად მიჩნეული, ზოგადი მნიშვნელობის მქონებელად ყოფილა აღქმული.

1. და 2. პ. ანდიურს ნაცვალსახელებს (დინ, დენ, მინ, მენ) ბოლოში ნ აქვს, რომელიც, რასაკვირველია, ძირეული არ არის. ამიტომ ამ ბოლოკიდური ნ-ს თავდაპირველი ბუნება და დანიშნულება ცალკეა გამოსარკვევი.

პირთა ანდიური ნაცვალსახელების კანკლედობის გადათვალიერება ყველას დაარწმუნებს, რომ 1. და 3. პ. მხ. რ. და 1, 2 და 3. პ. მრ. რ. ნაცვალსახელების ძირი ყველა ბრუნვებში ერთი-და-იგივეა. სამაგიეროდ ამ მხრივ გამონაკლისს 2. პ. მხ. რიცხვი წარმოადგენს: თუ შენ (სახ. ბრ.) არის მინ და მენ, და ასევეა მოქმედებითი ბრუნვა, ნათ. ბრუნვა უკვე დუჸ, დუჲ,- პირველი მიც. ბრ. დუვო. მეორე მიც. ბრ. დუჲ,- ლა-თანდებულიანი ბრუნვა დულა, ხა-თანდებულიანი ბრუნვა დუხა, ხო-თანდებულიანი ბრუნვა დუხო და ჰუ-თან-

დებულიანი ბრუნვა დუჰუ-ა, ამნაირად, 2. პ. მხ. რ. მარტო ორ ბრუნვას აქვს შენ-ის მ ძირი, შვიდს დანარჩენს-კი დ ძირი მოეპოვება, ე. ი. სწორედ ის ბგერა, რომელიც თავითგან ბოლომდის 1. პ. მხ. რ. მე ნაცვალსახელის ყველა ბრუნვების ძირს წარმოადგენს.

პირთა ნაცვალსახელების მრ. რ. 1. და 2. პ. ფორმების აღნაგობის გამორკვევისას, უპირველესად მათი ბოლოკიდური მარცვლის რაობას უნდა შევეხოთ. სამივეს, 1. პ. იტხლთილ და იშთილ-ს და 2. პ. ბისსილ-ს, ბოლოს ილ მარცვალი აქვს. რაკი სამივე მრ. რ. ფორმაა და ანდიურს მრ. რ. ნიშნად ლ თანხმოვანი, ანდა წინმდგომი ხმოვნებითურთ ილ, ოლ, ულ აქვს (იხ. ანდ. ე. გვ. 20), ამიტომ საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაშიც ზემომოყვანილი ნაცვალსახელების ბოლოკიდური ილ მარცვალიც მრავლობითობის ფორმანტი უნდა იყოს. მაგრამ, რაკი 1. და 2. პ. მხ. რ. და მრ. რ. ნაცვალსახელების ბგერითი შედგენილობა უამ-ილ-ოდაც სრულებით განსხვავდება ერთმანერთისაგან, ამიტომ მრ. რ. ნიშანი არც იყო საჭირო.

ამ ილ ბოლოსართის ჩამოშორების შემდგომ, 1. პ. ფუძედ იტხლთ და იშთ (ექსკლ.) დაგვრჩება, 2. პირისა-კი ბისს. მაგრამ, საკმარისია გავიხსენოთ, რომ ლუნძურად 1. პ. მრ. რ. ნაცვალსახელი არის ნიტხლთ და ნიჟ (ექსკლ.), და ამ ფორმებს ზემომოყვანილი ანდიური ფორმები შევადაროთ, რომ მათი მსგავსება უეჭველი გახდეს. ანდიურ ნაცვალსახელებს მხოლოდ ნ არა აქვს თავში და ექსკლუზივის ფორმასაც ჟ-ს მაგიერ შთ მოეპოვება. ამის შემდგომ ცხადი გახდება, რომ ეს ანდიური ნაცვალსახელები ლუნძურთან ერთად უნდა ჰქონდეს მკვლევარს განხილული.

2. პ. მრ. რ. ანდიური ნაცვალსახელი, მრ. რ. ილ ფორმანტ-ჩამოცლილი, ბისს, პირიქით სრულებით განსხვავდება ამავე პირის ლუნძურ-ანწუხურ-ჭარული ნაცვალსახელის მუჟ (მე-XVIII ს.) და ნუჟ (თანამედროვე)-საგან, სამაგიეროდ, როგორც შემდეგშიც დავრწმუნდებით 2. პ. მრ. რ. ლუმუქურს ნაცვალსახელს მიაგავს, მეტადრე გ ვ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს მე-XVIII ს. ჩანაწერში აღბეჭდილს ზსუ-ს და ნაწილობრივ თანამედროვე ზუ-საც, რამდენადაც ანდიურის მეორე თანხმოვანი ს-ს მონათესავე ზ ბგერავეა დაცული.

უკუქცევითი ნაცვალსახელის თითონ-ის გამოსახატავად 1. და 2. პირისათვის პირთა ნაცვალსახელის სათანადო ბრუნვის ფორმას გუ ბოლოსართი ემატება, მაგ. „მე“ თუ არის დინ, „ჩემ თავს“ იქმნება დიჰუგუ, — „შენ მინ, „შენ თავს“ — დუჰუგუ, 3. პირის ასეთსავე ნაცვალსახელს ენ ძირი აქვს და გუ ბოლოსართი, ე. ი. ენშუ-ჲ, ენშუ-დ, ენშუ-ბ და ენშუ-რ, რომლის მრ. რიცხვია ენშუვულგუ, ენშუდილგუ, ენშურილგუ (ანდ. ე. 41).

თვით ანდიურად არის ჟიჲ, ჟიდ, ჟიბ, ჟირ, რომელთაც აგრეთვე თითქმის ყოველთვის გუ ბოლოსართიც ახლავთ, მაგ. ჟიჲგუ. მათი დანარჩენი ბრუნვებიც ენ ძირისაგან არის ნაწარმოები, მაგ. მიც. ენშუდგუ, მოქ. ენშტიგუ ენშჰუგუ და სხ. მრ. რ. ფორმებია ჟივოლგუ, ჟიდოლგუ, (ჟიბოლგუ), ჟიროლგუ (ანდ. ე. 41).

გუ ბოლოსართის რაობა-სადაურობა ა დ. დ ი რ რ ს გამორკვეული არა აქვს. აღნიშნული აქვს მხოლოდ, რომ ეს ნაწილაკი ბოლოსართად ნაცვალსახე—

ლებსა, რიცხვით სახელებში და ზმნის-ზედაშიც ხშირად გვხვდება, მაგ. პევრი **ჲოჰოლ**-ადაც ითქმის და **ჲოჰოლგუ**-დაც, დიდი ხანია—**ჰუნკლთალგუ**-ა (ანდ. ე. 77). თუ სახელდობრ რა ელფერს ანიჭებს ეს **გუ** ბოლოსართი, ამაზე დ ი რ რ ი არაფერს ამბობს.

§ 3. ტინდალური ნაცვალსახელები

პირთა ნაცვალსახელები

მხ. რ.

1. მე — **დე**
2. შენ—**მე**
3. ის — (**ო**)**დოუ**, (**ო**)**დოჲ**, (**ო**)**დობ**

მრ. რ.

1. ჩვენ— **იშაა**, **იტხლაა**
2. თქვენ—**ბისსა**
3. ისინი— **ოდაბი** (1 და 2), **ოდარ** (3)

(ანდ.—დიდ. მას. 58).

ტინდალური კუთვნილებითი ნაცვალსახელები

1. ჩემი—**დიუ**, **დიჲ**; **დიბ**,— მრ. რ. **დიბ** (1 და 2), **დირ** (?)
2. შენი—**დუ**(**უ**), **დუჲ**, **დებ**,— მრ. რ. **დუბ** (1 და 2), **დურ** (3)
3. მისი—(1 სქ.)—**ოდოშიუუ**, **ოდოშიუჲ**, **ოდოშიუბ**,- მრ. რ. **ოდოშიუბ** (1 და 2), **ოდოშიურ**.

მრ. რ.

1. ჩვენი — **იშიიუ**, **იშიიჲ**, **იშიიბ**, — მრ. რ. **იშიიბ** (1 და 2) **იშიირ** (3)
2. თქვენი—**ბისსიუ**, **ბისსიჲ**, **ბისსიბ**,— მრ. რ. **ბისსიბ** (1 და 2), **ბისსირ** (3)
3. იმათი — **ოდადუუ**, **ოდადუჲ**, **ოდადუბ**,— მრ. რ. **ოდადუბ** (1 და 2), **ოდადურ** (3).

(ანდ.—დიდ. მას. 58).

§ 4. ბოთლიხური, ანუ ბუჲხატხლური ნაცვალსახელები

პირთა ნაცვალსახელები

მხ. რ.

1. მე— **დინ** (მამრ. სქ.), **დენ** (მდედრ.)
2. შენ— **მინ**
3. ის— **გოუ** (მამრ.), **გოჲ** (მდედრ.), **გობ** (საშ.).
   დოუ (მამრ.), **დოჲ** (მდედ.), **დობ** (საშ.).

მრ. რ.

1. ჩვენ **იშიი**.
2. თქვენ **ბიშტი**.
3. ისინი **დოლი**

(ანდ.—დიდ. მას. 3).

კუთვნილებითი ნაცვალსახელები

ჩემი— დიუ (მამრ.), დია (მდედ.), დიბ (საშ.)
შენი—დოუ, დოა, დობ,— დულ (მრ. რ.)
მისი—დოშუუ, დოშუა, დოშუბ,—დოშულ (მრ. რ.)
დოტხლიიტხლიი (მდედ.)
ჩვენი— იშაუ, იშიი, იშიბ, — მრ. რ. იშილ
თქვენი—ბიშტიუ, ბიშტია, ბიშტიბ, — მრ. რ. ბიშტილ
იმათი— დოლუუ, დოლუა, დოლუბ,—მრ. რ. დოლულ
(ანდ.—დიდ. მას. 4).

ჩვენებითი ნაცვალსახელები

ეს—ჰაუ (მამრ.), ჰაა (მდედ.), ჰაბ (საშ.)
ესენი—ჰალ.
ის—ჰუ, ჰუა, ჰუბ,- დოუ, დოა, დობ,- გოუ, გოა, გობ.
ისინი—ჰალ,- დოლ(ი),- გოლ.
(ანდ.—დიდ. მას. 3).

კითხვითი ნაცვალსახელები

ვინ—ეუ, ენტხლიილა,—
მრ. რ. ეგოიტხლიილა
რა—ებხულა, ებლა.
(ანდ.—დიდ. მას. 4).

§ 5. კარატული ნაცვალსახელები

პირთა ნაცვალსახელები

მხ. რ.	მრ. რ.
1. მე—დენ	ჩვენ—იში
2. შენ—მენ	თქვენ—ბიშტი
3. ის—ჰუდუუ, ჰუდუა, ჰუდუბ.	ისინი—ჰადიბეა (1 და 2 სქ.)
ისინი—ჰუდუბეი(1 და 2 სქ.), ჰუდურეა (3 სქ.)	ჰადირეა (3 სქ.)
ეს—ჰადიუ, ჰადია, ჰადიბ.	

(ანდ.—დიდ. მას. 24).

კარატული კუთვნილებითი ნაცვალსახელები

ჩემი —დიუ, დია, დიბ,- მრ. რ. დიბეა (1 და 2 სქ.), დირეა (3 სქ.)
შენი—დუუ, დუა, დუბ,- მრ. რ. დუბეა (1 და 2 სქ.), (დურეა (3)
მისი—ჰუდუშუ, ჰუდუშუა, ჰუდუშუბ,- მრ. რ. ჰუდშუბეა (1 და 2 სქ.)
ჰუდუშურეა (3).
თვისი—ინშუდა (1 სქ.), ინშუადა (2), ინშუბდა (3).
მისი — (მდედ. სქ.)—ჰუდიტხლიტხლი,—მრ. რ. ჰუდიტხლიტხლიეია.
ჩვენი—იშიუ, იშია, იშიბ,—მრ. რ. იშიბეა (1 და 2), იშირეა
თქვენი—ბიშტიუ, ბიშტია, ბიშტიბ, მრ. რ. ბიშტიბეა (1 და 2), ბიშ-
ტირეა (3).

მათი—**ჰუდუდოუ, ჰუდუდოჲ, ჰუდუდობ,**—მრ. რ. **ჰუდიდობეჲ** (1 და 2), **ჰუდიდორეჲ** (3).

კითხვითი ნაცვალსახელი: რა? **ჰედულ.**
(ანდ.-დიდ. მას. 25).

§ 6. ბაგულალური, ანუ ყუანადური ნაცვალსახელები

პირთა ნაცვალსახელები

მხ. რ.

1. მე —**დე** (მოქმ. ბრ. **დენ**, 2 მიც. ბრ. **დიბა**).
2. შენ—**მე** (მოქმ. **მენ**, 1 მიც. **დუჰა**, 2 მიც. **დუბა**).
3. ის —**უ, უჰუ** (მოქმ. ბრ. **ოშიურ, უჰუშიურ**).
   ოჲ, უჰუჲ (მოქმ. **ოტხლაირ, უჰუტხლაირ**)

მრ. რ.

1. ჩვენ —**იში** (მოქმ. **იშიირ**).
2. თქვენ—**ბიშტი** (მოქმ. **ბიშტირ**).
3. ისინი —**ობა** (1 და 2 სქ.), **უჰუბა** (1 და 2),— **ორ, უჰურ** (3 სქ.)

(ანდ.-დიდ. მას. 44—45).

ბაგულალური კუთვნილებითი ნაცვალსახელები

1. ჩემი—**დიუ, დიჲ, დიბ,** მრ. რ. **დიბა** (1 და 2), **დირ** (3).
2. შენი—**დუ, დუჲ, დუბ,** მრ. რ. **დუბა** (1 და 2), **დურ** (3).
3. მისი— (1 სქ.)—**ჰუდუშუ** (1), **ჰუდუშუჲ** (2), **ჰუდუშუბ** (3), მრ. რ. **ჰუდუშიუბა** (1 და 2), **ჰუდუშიურა** (3).

მრ. რ.

1. ჩვენი —**იშიიუ, იშიიჲ, იშიიბ.** მრ. რ.: **იშიიბა** (1 და 2), **იშიირა** (3).
2. თქვენი—**ბიშტიუ, ბიშტიჲ, ბიშტიბ.** მრ. რ.: **ბიშტიბა** (1 და 2), **ბიშტირა** (3).
3. იმათი—**უჰურუ, უჰურუჲ, უჰურუბ.** მრ. რ. **უჰურუბა** (1 და 2), **უჰურურა** (3)

(ანდ.-დიდ. მას. 45).

§ 7. ღოდობერული ნაცვალსახელები

პირთა ნაცვალსახელები

მხ. რ.	**მრ. რ.**
1. მე —**დენ** (1 სქ.), **დინ** (2 სქ.)	ჩვენ —**იშჩი**
2. შენ—**მენ** (1 სქ.), **მინ** (2 სქ.)	თქვენ—**ბიტტე**
3. ის —**ჰუდოუ** (1 სქ.), **ჰუდეჲ** (2 სქ.), **ჰუდაბ** (3 სქ.)	ისინი—**ჰუდაბე** (1 და 2 სქ.), **ჰუდარე** (3 სქ.)

ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲜᲐᲪᲕᲐᲚᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ

მხ. რ. — **მრ. რ.**

1. ჩემი—**დიუ, დიჲ, დიბ.** — **დიუ** (1 სქ.), **დიჲ** (2 სქ.)
2. შენი—**დუუ, დუჲ, დუბ.** — **დუუ** (1), **დუჲ** (2), **დურ** (3)
3. მისი—**ჰუდოშუ, ჰუდოშუჲ, ჰუდოშუბ**
   ჰუდოტხლოიტხლოი (მდედ. სქ.)

1. ჩვენი —**იშიუ, იშიჲ, იშიბ,**— მრ. რ. **იშიუ, იშიჲ, იშირ.**
2. თქვენი—**ბიტტიუ, ბიტტიჲ, ბიტტიბ,**— მრ. რ. **ბიტტიუ,—ჲ,— რ.**
3. მათი —**ჰუნდორდუუ, ჰუნდორდუჲ, ჰუნდორდუბ.**

ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲜᲐᲪᲕᲐᲚᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ

1. ეს—**ჰაუ, ჰაჲ, ჰაბ,**— მრ. რ. **ჰაუ, ჰაჲ, ჰარ.**
2. ის—**ჰუდოუ, ჰუდეჲ, ჰუდობ,**— მრ. რ. **ჰუდოუ, ჰუდეჲ, ჰუდერ.**

ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗᲘ: რა—**ებუ, ებოდა**
(ანდ.-დიდ. მას. 14-15).

§ 8. ახვახური ნაცვალსახელები

ᲞᲘᲠᲗᲐ ᲜᲐᲪᲕᲐᲚᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ

მხ. რ. — **მრ. რ.**

1. მე —**დენე** — ჩვენ —**ისსი**
2. შენ—**მენე** — თქვენ—**უშტი**
3. ის —**ჰუდუვე, ჰუდუჲე, ჰუდუბე.** — ისინი—**ჰუდუჲი**

ᲙᲣᲗᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘᲗᲘ ᲜᲐᲪᲕᲐᲚᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ

ჩემი — **დი**, შენი—**დუ**, მისი—**ჰუდუსსუ** (მამრ. სქ.),
ჰუდუტხლიტხლი (მდედრ. სქ.), თვისი—**ინსსუდა**
ჩვენი—**ესსე**, თქვენი—**უშტე**
(ანდ.-დიდ. მას. 35).

ᲐᲮᲕᲐᲮᲣᲠᲘ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲜᲐᲪᲕᲐᲚᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ

ეს—**ჰა, ჰუდუ** (იგივე ფორმებია მრ. რიცხვისათვისაც).
ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲗᲘ: რა? **ჩუჲ.**
(ანდ.-დიდ. მას. 35-36).

§ 9. **ჭამალალური ანუ ჰიჰატლური ნაცვალსახელები**

ᲞᲘᲠᲗᲐ ᲜᲐᲪᲕᲐᲚᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘ

1. მე —**დიი** (მოქმ. ბრ. დე).
2. შენ—**მი** (მოქმ. ბრ. **მინნი**, მიც. **დუვო, დუჲო, დუბო**).
3. ის —**უდოსსეუ.**

მრ. რ.

1. ჩვენ —**იხხი**
2. თქვენ—**ხითი**
3. ისინი —**ობი**

(ანდ.-დიდ. მას. 53).

ჯამალალური ანუ ჰიჰატლური კუთვნილებითი ნაცვალსახელები

მხ. რ.

1. ჩემი—**დოუვ, დიდ, დიბ**
2. შენი—**დუუ, დუდ, დუბ**
3. მისი—**ოსსუ, ოსუდ, ოსხუბ**

მრ. რ.

1. ჩვენი —**იხხიუ, იხსიდ, იხსიბ**
2. თქვენი—**ბითიუ, ბითიდ, ხითიბ**
3. იმათი —**ოდუ (უ), ოდუდ, ოდუბ**

(ანდ.-დიდ. მას. 54).

ჯამალალური ანუ ჰიჰატ. ჩვენებითი ნაცვალსახელები

ეს—**აუ, ად, აბ,**— მრ. რ. **აბი** (1 და 2), **ად** (3).
ის—**ოუ, ოდ, ობ,**— მრ. რ. **ობი** (1 და 2), **ოდ** (3).

კითხვითი ნაცვალსახელები

ვინ? **იმკალე**, მრ. რ. **ეხკალე**,— **იმდუ, ებიდუ.**
რა? **ეკალე** (იხ. გვ. 55 [11]), **ედუ.**
(ანდ.-დიდ. მას. 54).

§ 10. ტინდალური, ბოთლიხური, კარატული, ბაგულალური, ღოდობერული, ახვახური და ჭამალალური ნაცვალსახელების შედარებითი დახასიათება.

თუმცა ამ §-ის სათაურში ჩამოთვლილი ენოვანი ერთეულების ნაცვალსახელები ანდიურისაგან მხოლოდ მცირეოდნად განსხვავდება, სხვაობაც უმთავრესად ბგერის შენაცვლებას წარმოადგენს, რომელიც ენათმეცნიერებაში ჩახედული მკითხველისათვის ადვილი გასაგებია, ამასთანავე თვით მათი ნაცვალსახელების აღნაგობაზეც იგივე ითქმის, რაც ანდიურისაზე გვქონდა უკვე ნათქვამი, ამიტომაც შესაძლებელი იყო ამ ნაცვალსახელების მარტო ფორმების მოყვანითაც დავკმაყოფილებულიყავით, მაგრამ მაინც მათი ზოგადი შედარებითი დახასიათება საჯობია.

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ, ანდიურის მსგავსად, ბოთლიხურს, კარატულს და ღოდობერულს მხ. რ. 1. და 2. პ. ნაცვალსახელების ბოლოში **ნ** აქვს, ახვახურს-კი, ქართული **მენა** და **შენა**-ს მსგავსად, **ნე** მარცვალიც-კი

მოეპოვება. ამ ბგერის რაობაზე იმდენჯერ გვქონდა აქამდე უკვე საუბარი, რომ აქ უკვე აღარაფერია სათქმელი. სამ დიალექტს, ტინდალურს, ბაგულალურსა და ჭამალალურს ეს ბოლოკიდური ნ ჩამოსცილებია და მისი ოდინდელი არსებობის კვალი ჭამალალურის მხ. რ. 1. პ. ნაცვ. დიი-ის ნაზალიზაციით (ი-თ)-ღა შეღავნდება.

შემდეგ აღსანიშნავია, რომ, ანდიურის მსგავსადვე, ბოთლიხურსა და ღოდობერულს მხ. რ. 1. და 2. პ. ნაცვალსახელების წყვილ-წყვილი ფორმა აქვთ: ერთი მათგანი ი-ნიანი (დინ, მინ), მეორე ე-ნიანი (დენ, მენ), ერთი მამრ. სქეს-კატეგორიისათვის არის განკუთვნილი, მეორე კიდევ მდედრ. სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელია. ამ გარემოებას ჩვენთვის იმ მხრით აქვს მნიშვნელობა, რომ აქ მხ. რ. 1. და 2. პ. ნაცვალსახელების სქესისდა მიხედვით განსხვავებული ფორმების არსებობაა ალბეჭდილი. მაგრამ ეს მოვლენა რომ ამ ენების ნაცვალსახელების თავდაპირველს სახეს-კი არა, არამედ წინანდელ წარმოების წესის სამაგიეროდ გაჩენილს მხოლოდ მერმინდელსა და თანაც არსებითად შეცვლილს წარმოებას უნდა შეადგენდეს, ამას ერთი მხრით ისიც ცხადჰყოფს, რომ სქეს-კატეგორიის განსხვავების გამომხატველად ი და ე ხმოვნები გამოდის, რაც სქეს-კატეგორიების აღნიშვნის ჩვეულებრივს წესს სრულებით არ უდგება. მეორე მხრით-კი ის აღრეულობაც ამჟღავნებს, რომელიც აქ სუფევს: ანდიურსა და ბოთლიხურში თუ დინ 1. პ. მამრ. სქესის აღმნიშვნელია, ხოლო დენ ამავე პირის მდედრ. სქესისაა, ღოდობერულში წინააღმდეგ დენ 1. სქ., დინ-კი 2. სქესისაა. ასევეა ამ ენებში 2. პ. მხ. რ. ნაცვალსახელების სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელობაც არეული. ცხადია, რომ აქ მერმინდელი საკომპენსაციო, თანაც აღრევით გართულებული მოვლენაა.

ანდიურის მსგავსად, ყველა დანარჩენ ენებსაც მხ. და მრ. 3. პ. ნაცვალსახელად ჩვენებითი ნაცვალსახელების ფორმები აქვთ გამოყენებული. ამიტომ მათი ერთად განხილვა უფრო მიზანშეწონილი იქმნება.

ჩვენებითი ნაცვალსახელები ამ ენებს მარტივი და რთული აგებულებისა მოეპოვებათ. მაგ. ის ანდიური: ჳეუ (1. სქ.), ჳეჲ (2. სქ.), ჳებ (3 სქ.) და ჳერ (4. სქ.),-ცინდალური ჳუ, ჳუჲ და ჳუბ,- ჭამალალური ოუ, ოჲ და ობ.- ეს ღოდობერული:—ჳაუ, ჳაჲ და ჳაბ, ჭამალალური აუ, აჲ და აბ.

ცხადია, რომ ყველა ეს ჩვენებითი ნაცვალსახელები სხვადასხვანაირად ახმოვნებულს ჳ მითითებითს ნაცვალსახელს (ჳა, ჳე, ჳუ) წარმოადგენენ სათანადო სქეს-კატეგორიის ბოლოსართებითურთ (უ, ჲ, ბ, რ). ხოლო ამ ენათაგან ჭამალალურს თავკიდური ჳ ბგერა გაჰქრობია და მხოლოდ სქეს-კატეგორიის ნიშნები-ღა შეჰრჩენია.

მაგრამ ბოთლიხურს ის ჩვენებითი ნაცვალსახელის გამოსახატავად კიდევ ორი სიტყვა მოეპოვება: დოუ (1. სქ.), დოჲ (2 სქ.) და დობ (3 სქ.) ისევე, როგორც გოუ (1. სქ.), გოჲ (2. სქ.) და გობ (3 სქ.). რასაკვირველია, აქაც დო და გო მარცვლები არსებითად ახმოვნებული დ და გ ძირებია, სათანადო სქეს-კატეგორიების ბოლოსართებითურთ.

დანარჩენი ყველა 3. პ. და ჩვენებითი ნაცვალსახელები ამ ახმოვნებული ჳ მითითებითი ნაცვალსახელისა, დ და გ ძირების შერწყმულსა და სათანადო სქეს-

კატეგორიანს ფორმებს წარმოადგენენ. სწორედ ამ თვისებისაა ანდიური ჰედეუ,— ჲ—ბ,—რ და ჰეზუუ,—ჲ,—ბ,—რ,-კარატული ეს—ჰადიუ,—ჲ, ბ და ის— ჰუდუუ,—ჲ,—ბ,— ღოდობერული ის— ჰუდოუ, ჰუდეჲ, ჰუდაბ და ჰუდობ,— ახვახური ის—ჰუდუვე,—ჲე, ბე.

რა თქმა უნდა, ასეთივეა ცინდალური ის (ო)დოუ, (ო)დოჲ და (ო)დობ და ჭამალალური ის უდოსსეუ-ც, ოღონდ ჰ-ა გამქრალი, ტინდალურში-კი მომდევნო ო-ც გაქრობაზეა მიმდგარი. ასეთი პროცესის უკანასკნელ შედეგს უნდა წარმოადგენდეს ბოთლიხური დოუ და გოუ, რომელთაც მითითებითი ნაცვალსახელების სხვაობა ფონეტიკურ საზღვრებს არ სცილდება და ამიტომაც მათზე სიტყვის გაგრძელება არ ღირს.

თავი მესამე

დიდოური, ხვარშული, ინხოკარული და ყაფუჩური ნაცვალსახელები

დიდოური, ხვარშული, ინხოკარული და ყაფუჩური ნაცვალსახელები ისე მიაგვანან ერთმანერთს, რომ მათი ერთად განხილვა უკეთესია. დიდოურის მე-XVIII ს. ჩანაწერი ფორმები, სამწუხაროდ, სრული არ არის: მხ. რ. 3. პირისა და მრ. რ. სამივე პირის ნათ. ბრუნვის ფორმები გვაკლია. განხილვას აქაც წინ თვით ამ კილოკავების ნაცვალსახელების ფორმები წაუძღვება.

§ 1. დიდოური, ხვარშული, ინხოკარული და ყაფუჩური ნაცვალსახელები

A. ნაცვალსახელები დიდოურად მე-XVIII ს.

Ich მე—დი Di.
Mein ჩემი—დაე Dae.

Wir ჩვენ—ელი Eli.

—

Du შენ—მი Mi.
Dein შენი—დäბი Däbi.

Ihr თქვენ—მეში Meschi.

—

Er ის—ჯო Dscho

Sie ისინი—ჟედუი Shedwi.

Wer ვინ Schebiol შებიოლ.
Wessen ვისი Tl'hus ტლოუს.
Was რა Schebiol შებიოლ.
Hieher აქეთ To ტო.
Dorthin იქით Elagor ელაგორ.
(I. A. Güldenstädt, Reisen II, 512).

B. თანამედროვე დიდოური პირთა ნაცვალსახელები

1. მე—დი(ჲ), (დეჲ), ამავე ძირისაა დანარჩენი ბრუნვებიც:
   ნათ. ბრ. დეჲ, მიც. ბრ. დäრ, მოქმ. დი.
2. შენ—მი (ნათ. დები, მიც. დებერ, მოქ. მი).

3. ის—ჟე, ჟო (ნათ: ნესის, მიც. ნესერ, მოქ. ნესა).

მრ. რ.

1. ჩვენ—ელი (ამავე ძირისაა დანარჩენიც: ნათ. ელუს, მიც. ელურ, მოქ. ელა).
2. თქვენ—მეჟი (ნათ. მეჟუს, მიც. მეჟურ, მოქმ. მეჟა).
3. ისინი—ჟედუ (ნათ. ჟედუს, მიც. ჟედურ, მოქმ. ჟედა)

(ანდ.-დიდ. მას. 70 და 71).

ხვარშულ-ინხოკარული პირთა ნაცვალსახელები

ინხ. ხვარ.

1. მე —დო, და (მოქმ. დე, მიც. დილ).
2. შენ—მო, მა (მოქმ. მე, მიც. დუბულ).
3. ის —ჲუ, ჟუ (მოქმ. ისსე, მიც. ისულ (1. სქ.), იტხლელ (სქ.).

მრ. რ.

1. ჩვენ —ილო, ილა (მოქმ. ილე, მიც. ილულ).
2. თქვენ—მიჟო, მიჟა (მოქმ. მიჟე, მიც. მიჟულ).
3. ისინი—ჟიდუ, ჟიდუ (მოქმ. ჟიდე, ჟიდულ)

(ანდ.-დიდ. მას. 63).

ყაფუჩური ანუ ბექიტლური პირთა ნაცვალსახელები

1. მე—დო (ამავე ძირისაა დანარჩენი ბრუნვებიც).
2. შენ—მი, ნათ. დიბო, მიც. დულ, მოქმ. მიი.
3. ის—ტაჰარი, ჰუგი (მამრ. სქ.),—ჰოგო (მდედ. სქ.)

მრ. რ.

1. ჩვენ—ილე.
2. თქვენ—მიჟე.
3. ისინი—გაჰაგოლ

(ანდ.-დიდ. მას. 81).

C. დიდოური კუთვნილებითი ნაცვალსახელები

მხ. რ.	მრ. რ.	
1. ჩემი—დეჲ.	ჩვენი—ელუს	ყველა სქეს-კატეგორიისა და რიცხვისათვის.
2. შენი—დეხი.	თქვენი—მეჟუს	
3. მისი—ნესის.	იმათი—ჟედუს	

თვისი-ს გამოსახატავად თებ ბოლოსართი უნდა იხმარებოდეს, ხოლო თვით-ისათვის ჲოტხლო ბოლოსართი, რომელიც პირთა ნაცვალსახელს ემატება.

ხვარშულ-ინხოკარული კუთვნილებითი ნაცვალსახელები

1. ჩემი—დიო, დიჲო,—ხვარ.: დია (სქეს-კატეგორიისა და რიცხვისდა განურჩევლად).
2. შენი—დუბო, ხვარ.: დება.

3. მისი—**ისɩო**, ხვარ.: **ისხა**,—მდედ. სქ. **იტხლიეს**, ხვ.: **იტხლიისხ**.
1. ჩვენი—**ილო**, ხვარ.: **ილა**.
2. თქვენი—**მიჟო**, ხვარ.: **მიჟა**.
3. მათი—**ჟიდო**, ხვარ.: **ჟიდა**.
(ანდ.-დიდ. მას. 63-64).

ყაფუჩური კუთვნილებითი ნაცვალსახელები

1. ჩემი—**დიძე** 2. შენი—**დიბო** 3. მისი—**ჟაგცოს**, **ჰოგცოს** მრ. რ. 1. ჩვენი—**ილოს** 2. თქვენი—**მიზოს** 3. მათი—**ჟაჰაგალოს**	ყველა სქეს-კატეგორიისა და რიცხვისათვის.

D. დიდოური ჩვენებითი ნაცვალსახელები

ეს—**ძადა** (1. სქ.), **ძოდუ** (2. 3 და 4 სქ.),— მრ. რ. **ძოდუ** (1— სქ).
ის—**ჟე** (**ჟო**) (1 სქ.), **ჰოუჟე** (**ჟო**: 2, 3 და 4 სქ.),— მრ. რ. **ჰოუჟე** (1—4 სქ.).
დიდოური კითხვითი სახელები: **ვან? რა?—შიებ(ი)**
(ანდ.-დიდ. მას. 71).

ინხოყვარულ-ხვარშული ჩვენებითი ნაცვალსახელები

ეს—ინხ.: **აჟედუ** (1. სქ.), **აძედუ** (2. სქ.), **აბედუ** (3. სქ.), **არედუ** (4. სქ.)
ხვარ.: **იდუ** (საერთო ფორმაა ყველა სქეს-კატ.)
ის—ინხ.: **ჰობონუ** („ „ „ „)
ხვარ.: **ოუჟუ** (1 სქ.), **ოძუჟუ** (2 სქ.), **ოზჟუ** (3 სქ.), **ორჟუ** (4 სქ.)
მრ. რ.
ესენი—ინხ.: **აბედუ** (1 და 2 სქ.), **არედუ** (3 და 4 სქ.).
ისინი—ხვარ.: **ოუბჟუ** (? თუ **ოზუჟუ**?: 1 და 2 სქ.) **ორჟუ** (3 და 4)
(ანდ.-დიდ. მას. 64).

ყაფუჩური ჩვენებითი ნაცვალსახელები

ეს—**ჟაჰადი** (1 სქ.), **ჟაჰადო** (2), **ჟაჰადჲ** (3), მრ. რ. **ჟაჰადოლ**.
ის—**ჟაჰგი** (1), **ჟაჰაგო** (2), **ჟაჰაგი** (3),—მრ. რ. **ჟაჰაგოლ**.
კითხვითი: რა, ვინ? **სუდ**, —ვინ? **სუკოდ**
(ანდ.-დიდ. მას. 81-82).

§ 2. დიდოურ-ხვარშულ-ინხოყვარულ-ყაფუჩური ნაცვალსახელების ანალიზი

ერთი გადაკითხვითა და გადათვალიერებითაც მკითხველი დარწმუნდება, რომ დიდოურს, ხვარშულს, ინხოყვარულსა და ყაფუჩურს ნაცვალსახელებს შორის მხოლოდ ოდნავი ბგერითი განსხვავებაა. ეს სხვაობაც მარტო ხმოვნებს ეტყობა,

სხვაფრივ-კი არსებითად ამ ოთხსავე ენოვან ერთეულს ერთნაირი ნაცვალსახელები აქვს. ამიტომაც, რაც დიდოურზე გვაქვს ნათქვამი, დანარჩენებზეც იგივე ითქმის.

დიდოურს პირთა ნაცვალსახელებს დროთა განმავლობაში, მე-XVIII ს. დამლევის შემდგომ დღევანდლამდე, დიდი ცვლილება არ დასტყობია. მე ძველად დი ყოფილა და ასევეა ეხლაც. ჩემი მაშინ—და , ეხლა-კი დეჲ-ა. შენ სრულებით უცვლელად არის დაცული და მი არის. შენი მაშინაც დჰბი ყოფილა და ეხლაც დები-ა. 3. პ. ის ნაცვალსახელის ძველი ჯო-ს მაგიერ თანამედროვე დიდოურში ჟო და ჟე არის. მაგრამ საყურადღებოა, რომ 3. პ. მრ. რ. ისინი მე-XVIII ს შიც ჟედჟი ყოფილა, ე. ი. ისევე, როგორც ეხლაა (ჟედუჲ). ამას გარდა ცხადად ჩანს, რომ მრ. რ. ამ ფორმას ძირად იგივე ჟე აქვს, რომელიც ეხლა მხ. რ-შია, ისე რომ ჟ ძირიანი ფორმის მე-XVIII ს-შიც არსებობაც ამის წყალობით სრულებით უცილობელი ხდება.

ის არის ჟე და ჟო (მე-XVIII ს. ჩანაწერით ჯო). ხოლო ისინი იქმნება ჟედუჲ. ამნაირად ისე გამოდის, რომ მრ. რ. ფორმა ამავე ნაცვალსახელის მხ. რ. ჟე სახელს+დუჲ-ს შეიცავს. ქართული ის და ისინი-ს მსგავსად, შესაძლებელია გვეფიქრა, რომ დუჲ მრ. რ. ფორმანტია, მაგრამ დიდოურს მრ. რ. ნიშნად აქვს აბი, ანდა უფრო ხშირად მხოლოდ ბი (ანდ.-დიდ. მას., გვ. 68). ანდი-დიდოურ ენათა ჯგუფის ზოგს წარმომადგენელს მრ. რ. ნიშნად დი და და ფორმანტი-კი მოეპოვება, მაგრამ დუჲ, ან დუ არსადა ჩანს. მით უფრო საინტერესო ხდება და საჭიროა ამ დუჲ-ს რაობისა და თავდაპირველი მნიშვნელობის გამორკვევა.

3. პ. მხ. და მრ. რ. ნაცვალსახელისათვის მხოლოდ ყაფუჩურს აქვს სრულებით განსხვავებული ფორმები: ჟაჰარი და ჰუგი (მამრ. სქ.), ჰოგო (მდედრ. სქ.)— ის და ვაჰაგოლ—ისინი. დიდოურისა, ხვარშული და ინხოკარული 3. პ. ნაცვალსახელისაგან სრულებით განსხვავებული ეს ყაფუჩური ნაცვალსახელები ნამდვილად 3 პირის ნაცვალსახელი-კი არა, არამედ ჩვენებითი ნაცვალსახელის, ოღონდ ოდნავ ფონეტიკურად განსხვავებული, ფორმებია. მართლაც, 3. პ. მხ. რ. ნაცვალსახელი თუ ჟაჰარი და ჰუგი-ა მამრ. სქ-სთვის, 1. სქ.-ს ფორმა, რომელიც ეს-ს გამოხატავს, ჟაჰადი-ა და ჟაჰაგი კიდევ ის-ს ნიშნავს. ცხადია, რომ პირველი ფორმების სხვაობა დ და რ-ს შენაცვლებას არ სცილდება, მეორე ფორმებისა-კი არსებითად თავკიდური ჟა მარცვლის ჩამოცლით არის გამოწვეული, მაგრამ წინათ რომ 3. პ მხ. რ. ყაფუჩურს ის-საც თავში ჟა მარცვალი უნდა ჰქონოდა და ჰქონია კიდევაც, ამას 3. პ. ნ მრ. რ. ისინი-ს ფორმა ვაჰაგოლ ამჟღავნებს, რომელიც ყაფუჩური ჩვენებითი ნაცვალსახელის მრ რ. ფორმისაგან არაფრით განსხვავდება, მაგრამ რომელსაც ყაფუჩური 3 პ. მხ. რ. ნაცვალსახელთან შედარებით, მრ. რ. ბოლოსართს გარდა, თავში სწორედ ვა მარცვალი უჩანს. ცხადია, რომ იგი მხ. რ. წინანდელ ფორმითგან უნდა იყოს მრ. რ. ფორმაში შერჩენილი.

დიდოურს, ხვარშულს, ინხოკარულსა და ყაფუჩურს პირთა ნაცვალსახელებს მხ. რ. მარტო 1. პირისას აქვს ყველა ბრუნვებში ერთი და იგივე ძირი, მრ. რ სამივე პირის ნაცვალსახელს-კი ამ მხრით სრული მთლიანობა აქვს დაცული.

სამაგიეროდ მხ. რ. 2. პ. ნაცვალსახელის სახ. ბრ. თუ **მი**, **მო** და **მა** არის, ნათ. და მიც. ბრუნვები უკვე ახმოვნებული **დ** მარცვლითგანაა ნაწარმოები, ე. ი. იმითგანვე, რომელიც 1. პ. მხ. რ. ნაცვალსახელის ძირს შეადგენს და ყველა ბრუნვებშია დაცული.

ამნაირივე მოვლენაა 3. პ. მხ. რ. ნაცვალსახელშიც: თუ **ის** დიდოურად არის **ჟე** და **ჟო**, ნათ. უკვე **ნესის**, მიც. **ნესერ** და მოქმ. **ნესა** გვაქვს. ამნაირადვე, თუ ხვარშულად **ის** იქმნება **ჟუ**, მიცემ. ბრ. **ისულ**, მოქმ. **ისსე**-ა. მაშასადამე, **ჟ** ძირი სახ. ბრუნვას არ სცილდება და ნათესაობითი ბრუნვითგან მოყოლებული უკვე ამ ნაცვალსახელის ძირად **ნე** მარცვალი გვევლინება, რომელსაც ხვარშულში თავკიდური **ნ** ეკარგება. ეს გარემოება მით უფრო საყურადღებო, რომ 3. პ. მრ. რიცხვს თავითგან ბოლომდის ყველგან სწორედ **ჟ** ძირი აქვს.

ზემოაღნიშნულს უნდა ისიც დაერთოს, რომ 2. პ. მრ. რ. ყველა ბრუნვებში ძირად **მეჟ** და **მიჟ**-ი ჩანს, რომელიც თითქოს მხ. რ. 2. პ. **მი**-სა და 3. პ. **ჟ** ძირისაგან იყოს შედგენილი.

მრ. რ. 1. პ. **ჩვენ** ნაცვალსახელი დიდოური ელი, ხვარშული **ილა**, ინხოკარული **ილო** და ყაფუჩური **ილე** ერთმანერთისაგან მხოლოდ ახმოვნებით განსხვავდებიან.

დიდოური, ხვარშული, ინხოკარული და ყაფუჩური კუთვნილებითი ნაცვალსახელებიც ჩვეულებრივი წესით პირთა ნაცვალსახელების ნათ. ბრ. ფორმებს წარმოადგენენ.

უკუქცევითი ნაცვალსახელი **თითონ** დიდოურად **ჲოტხლო** ბოლოსართით გამოიხატება. იგი პ. ნაცვალსახელს ერთვის და მასთან შერწყმული სათანადო პ. ნაცვალსახელის სრულს ფორმას მისდევს ხოლმე. ამნაირად დიდოურად

„**მე თითონ**“ იქმნება	**დიჲ დიჲოტხლო**
შენ თითონ	**მი მიოტხლო**
ის თითონ	**ჟე ჟეჲოტხლო**
ჩვენ თითონ	**ელი ელიოტხლო**
თქვენ თითონ	**მეჟი მეჟიოტხლო**
ისინი თითონ	**ჟედუ ჟედუჲოტხლო**

(ანდ.-დიდ. მას. გვ. 71).

ზემომოყვანილთაგან შესაძლებელია ვისმე ისე მოეჩვენოს, თითქოს უკუქცევითი ნაცვალსახელის **თითონ**-ის დიდოური გამომხატველი **ჲოტხლო**-ი იყოს, მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ **ჲადა** დიდოურად ჩვენებითი ეს ნაცვალსახელის მხ. რ. 1. სქეს-კატეგორიისა, ხოლო **ჲოდუ** 2, 3 და 4 სქეს-კატეგორიის მხ. რ.-ისა და მრ. რ. ოთხივე სქეს-კატეგორიის ფორმებია, **ჲოტხლო**-ისა და **ჲოდუ**-ს თავკიდური მარცვლის **ჲო**-ს იგივეობა ძნელი მისახვედრი არ არის. მაშასადამე, **თითონ**-ის დიდოურ გამომხატველად შესაძლებელია მხოლოდ **ტხლო** იქმნეს მიჩნეული. ცხადია, რომ იგი ოდესღაც ხმოვნიანი ფორმის დროთა განმავლობაში ხშირი და შეკავშირებული ხმარების გამო უკვე უაღრესად შერწყმული ფორმა უნდა იყოს.

დიდოურ-ხვარშულ-ინხოკარულ ნაცვალსახელთაგან ყველაზე უფრო განსხვავებული კითხვითი ნაცვალსახელებია, მაგრამ მაინც საერთო თვისებები მათაც აქვთ. მაგ.: ეს თუ დიდოურად **ჰადა** (1 სქ.), **ჰოდუ** (2, 3 და 4 სქ.) არის, ხვარშულად იდუ-ა (ყველა სქეს-კ.), ინხოკარულად-კი **აჟედუ** (1 სქ.), **აჰედუ** (2 სქ.), **აბედუ** (3 სქ.) და **არედუ** (4 სქ.) გვაქვს, ხოლო ყაფუჩურად **ჟაჰადი** (1 და 3 სქ.) და **ჟაჰადო-ა** (2 სქ.). ცხადია, რომ ყველა ამ ფორმების ბოლოკიდური მარცვალი **და**, **დო** და **დი** ერთსა-და-იმავე ოდენობასა და ელემენტს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც ცალკეა გამოსაყოფიცა და განსახილველიც.

თუ ამის შემდეგ ინხოკარული ჩვენებ. ნაც-ის განხილვას შევუდგებით, მათი ფორმების პირველ ნაწილად **აჟე** (1 სქ.), **აჰე** (2 სქ.), **აბე** (3 სქკ.) და **არე** (4 სქკ.) დაგვრჩება. ცხადია, რომ ყველა ეს ფორმებიც ორ ნაწილს შეიცავს: პირველი ნაწილი ოთხივეს საერთო აქვს და **ა** ხმოვანია, თვითოეული მათგანის მეორე განსხვავებული, **ჟე**, **ჰე**, **ბე** და **რე** -ნაწილი-კი, რა თქმა უნდა, სქეს-კატეგორიის მარცვლებია, რომლებშიც **ჟ**, **ჰ**, **ბ** და **რ** სქეს-კატეგორიის ნიშნებია, **ე** კი მათ ახმოვნებისათვის არის გამოყენებული. ამ ყველა ფორმების პირველი, **ა** ხმოვანი, რასაკვირველია, მითითებითი ნაცვალსახელია. მაშასადამე, არსებითად ინხოკარული ეს ნაცვალსახელის ოთხივე ფორმის პირველი ნაწილი იგივეა, რაც ჭამალალური ეს ნაცვალსახელის **აჟ**, **აჰ** და **აბ** ფორმებია. საფიქრებელია, რომ თავდაპირველად მითითებით ნაცვალსახელად ა-ს მაგიერ **ჰა** იყო.

ცხადია, რომ დიდოური **ჰა**-და (1 სქ.) და **ჰოდუ** (2, 3 და 4 სქ.)-ს **ჰა** და **ჰო**-ც მითითებითი ნაცვალსახელების შეცვლილ-დამახინჯებულს ანარეკლს უნდა წარმოადგენდნენ.

ასეთივე რთული აგებულება აქვს ხვარშული ჩვენებითი **ის** ნაცვალსახელის ოთხს ფორმას **ოჟეჟუ** (1 სქ.), **ოჰუჟუ** (2 სქ.), **ობჟუ** (3 სქ.) და **ორჟუ** (4 სქ.)-საც. მათაც მეორე, **ჟუ**, ნაწილი საერთო აქვთ, პირველი, განსხვავებული **ოჟ**, **ოჰუ**, **ობ** და **ორ** ნაწილი-კი აქაც მითითებითი **ის** ნაცვალსახელის ოთხი სქეს-კატეგორიის ისეთივე ფორმებია, როგორიც ჭამალალურის **ის** ნაცვალსახელის **ოჟ**, **ოჰ** და **ობ** ფორმებია. მხოლოდ თავდაპირველად **ის** ნაცვალსახელის გამომხატველი **ო**-კი არა, არამედ **ჰო** უნდა ყოფილიყო. ამ მოსაზრების სისწორის დამტკიცება დიდოური მითითებითი **ის** ნაცვალსახელის 2, 3 და 4 სქესკ. **ჰოჟუე** ფორმითაც შეიძლება, რომელსაც მართლაც **ჰო** აქვს.

ყაფუჩური ეს ნაცვალსახელის ფორმები **ჟაჰადი** (1. და 3 სქ.) და **ჟაჰადო** (2. სქ.) იმგვარადვე, როგორც **ის** ნაცვალსახელის ფორმები **ჟაჰაგი** (1. და 3. სქ.) და **ჟაჰაგო**-ც (2 სქ.) ასევე ორ-ორი ნაწილისაგან შესდგება **ჟაჰა** და **დი**, ან **დო**-სა და **ჟაჰა** და **გი**, ან **გო**-საგან. **დი**, **დო** და **გი**, **გო** ისეთივე თვისების ნაწილებია, როგორიც **დე**, **და** და **ჟე**, ან **ჟე**-ა. ზემომოყვანილი ფორმების საერთო პირველი ნაწილი **ჟაჰა**-კი საფიქრებელია, მითითებითს **ჰა** ნაცვალსახელს წარმოადგენს, რომელსაც თავში მამრ. სქესის **ჟა** ნიშანი აქვს შეზრდილი. რაკი ამ თავსართს პირვანდელი მამრ. სქესის აღმნიშვნელობაცა და დანიშნულებაც დაუკარგავს და ნაცვალსახელს ისე შეზრდია, რომ მის განუყოფელ ნაწილად ქცეულა, ამიტომაც სქეს-კატეგორიის განსხვავების გამოსამჟღავნებლად ენას ბოლოკიდური მარცვალი გამოუყენებია და **დი** და **გი** 1. და 3. სქეს-კატეგორიისა, **დო**

და გო-კი 2. სქეს-კატეგორიის გამომხატველად უქცევია, ე. ი., უფრო ზედმიწევნით რომ გამოითქვას, სქეს-კატეგორიის განმამსხვავებლობა ი და ო ხმოვნებს დაჰკისრებია. ცხადია, რომ აქ მერმინდელს საკომპენსაციო მოვლენასთან გვაქვს საქმე. გ ჳ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერში ვინ? და რა? დიდოურად შეპიოლ ად არის აღნიშნული, თანამედროვე დიდოურში-კი შიები და შიებ იხმარება. XVIII ს. შებიოლ უნდა ორ სიტყვას შეიცავდეს: შები-სა და ოლ-ს. პირველის მნიშვნელობა უკვე ვიცით, მეორე ოლ-კი უნდა ელო-ს უდრიდეს, რომელიც, როგორც დიდოური საუბრის ად. დ ი რ რ ი ს მიერ შეგროვებულ-გამოქვეყნებული მაგალითებითგან ჩანს (იხ. ანდ.-დიდ. მას. გვ. 76, № 41), „იქ"-სა ნიშნავს. მაშასადამე შებიოლ მარტო კითხვითს ნაცვალსახელს-კი არ შეიცავს და გამოჰხატავს, არამედ „ვინაა იქ?".

ვისი-ს დიდოურ შესატყვისობად მე-XVIII ს. ჩანაწერში აღნიშნულია ტლიუს და მართლაც დ ი რ რ ი ს ცნობითაც შები-ს ნათ. ბრ. ვისი-ს ფორმაა ტხლიუს (ანდ.-დიდ. მას. გვ. 71 და გვ. 78, № 66). ამ ფორმის ბოლოკიდური ს ნათ. ბრ. ნიშანია და ვინ ნაცვალსახელის გამომხატველი აქ უკვე ტხლი ჩანს.

აქეთ დიდოური ტო სრულებით არ შეცვლილა: როგორც დ ი რ რ ი ს სასაუბრო მაგალითებითგან ჩანს (ანდ.-დიდ. მას. გვ. 76 № 43), ეხლაც ტიო-აიქით-კი ელაგორ თანამედროვე ელაურ-ს, ანდა ელაორ-ს უდრის (იხ. იქვე გვ. 77, § 46). მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ ელი (ძველად) და ელა (ეხლა) მრ. რ. 1. პ. ჩვენ ნაცვალსახელის აღმნიშვნელია, შესაძლებელია ადამიანს ამასთან დაეკავშირებინა, მაგრამ მაშინ ელაგორ-ის დაშორების ცნების აღმნიშვნელობა გაუგებარი იქმნებოდა. უფრო საფიქრებელია, რომ ელაგორ ჩვენებითი ნაცვალ სახელის მე-სა და თან თანდებულის ლოგუ-ს (იხ. ანდ. ე. გვ. 75) შეიცავს და სიტყვა-სიტყვით უნდა ნიშნავდეს „ამასთან", თუ „იმასთან".

თავი მეოთხე

ლუმუქური ნაცვალსახელები

§ 1. ლუმუქური ნაცვალსახელები მე-XVIII ს. და ეხლა

მე-XVIII ს. ლუმუქური ნაცვალსახელების ჩანაწერი შესაძლებელია მკვლევარს ზოგი საკითხის გამოსარკვევად გამოადგეს. უნდა გათვალისწინებული გვქონდეს, რომ ამ ტრანსკრიფციაში გერმ. T შესაძლებელია მაშინაც თ-ს უდრიდა.

A. ნაცვალსახელები ლუმუქურად მე-XVIII ს.

Ich მე—ნა Na	Wir ჩვენ—ნჱჰ Näh.
Mein ჩემი—ტულ Tul	Unser ჩვენი—ჟულ Shul.
Du შენ—ინა Ina	Ihr თქვენ—ბსუ Bsu.
Dein შენი—ჳილ Wil	Euer თქვენი—უსულ Usul.
Er ის—ტჱჰ Täh	Sie ისინი—ტი Ti.

Wer ვინ—ცუ Zu.
Wessen ვისი—გილდი Gildi.
Wem ვის—ხინ Chin.
Wen ვინ (შემ. ბრ.) ცუ Zu.
Was რა Ziri ცირი.
Hieher აქეთ Tschikun ჩიკუნ.
Dorthin იქით Mikun მიკუნ.
(I. A. Güldenstädt, Reisen II, 520).

B. ლუმუქური ნაცვალსახელები. პირთა ნაცვალსახელები

მე — ნა, შენ — ინა, ის — თა̄.

მხ. რ.	მრ. რ.
სახ. ნა (სამივე სქ.)	ჟუ (სამივე სქ.)
ნათ. ტიულ	ჟულ
მიც. ტიუნ	ჟუნ
დათმობითი ტიუძარ (ნანიძარ)	ჟუძარ (ჟუნიძარ).

მხ. რ.	მრ. რ.
სახ. ინა (სამივე სქ.)	ზუ (სამივე სქ.)
ნათ. ვილ	ზულ
მიც. ვინ	ზუნ
დათმობ. ვიძარ (ინანიძარ).	ზუძარ (ზუნიძარ).

მხ. რ.

სახ. თა̄ (გონიერ. სქ. და არაგონ.)
ნათ. თანალ (გონ. სქ.), თანილ (არაგონ. სქ.)
მიც. თანან (გ.), თანინ (არაგონ.)
დათმობ. თანაძარ (გ.), თანიძარ (არაგონ.)

მრ. რ.

თაძ, ითქმის თაძ (გონ. და არაგონ. სამივე სქ.)
თაძნდალ, თაძნდულ
თაძნდან, თაძნდუნ
თაძნდაძარ, თაძნდუძარ
(უსლარის Лакский язык 55, 58).

§ 2 ლუმუქური ნაცვალსახელების ნალიზი

ლუმუქური ნაცვალსახელების მე-XVIII ს. ჩანაწერი თანამედროვე ფორმებისაგან მხოლოდ ორგან განსხვავდება: თუ მხ. რ. 1. პ. ნა დროთა განმავლობაში უცვლელი დარჩენილა, მრ. რ. 1. პ. ძველად ნაჲ ყოფილა, მე-XX ს. და ეხლა-კი ჟუ არის. ჟ-ბგერიანი მრ. რ. ამ პირის ფორმა ძველადაც ყოფილა, მაგრამ, როგორც ჩანს, მხოლოდ ნათ. ბრუნვითგან მოყოლებული: ჩვენი-ს მაშინდელ ლუმუქურ შესატყვისობად მე-XVIII ს. ჩანაწერში აღბექდილია ჟულ.

ზემოაღნიშნული ორი გარემოება იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ ზოგიერთი საგულისხმო დასკვნის გამოყვანის საშუალებას აძლევს მკვლევარს.

ირკვევა, რომ მე-XVIII ს. ღუმუქურს 1. პ. ნაცვალსახელად ორისავე რიცხვისათვის ერთი-და-იგივე ნა ჰქონია, და მრ. რ. ფორმა მხ. რ-ის ფორმისაგან მხოლოდ ბოლოკიდური ჰ ბგერით განსხვავდებოდა,—ეს ერთი.

მეორე გარემოება **1. პ. ნაცვალსახელის ორივე რიცხვის ფორმების მთლიანობის საკითხს ეხება.**

მე მე-XVIII ს. **ნა** იყო, **ჩემი-კი** ყოფილა **ტულ**. მე-XIX ს. და ეხლაც **ასევეა** და ნათ. ბრ. არის **ტულ**, მიც. **ტუნ**. მაშასადამე, **მხ. რ. 1 პ. ნაცვალსახელს მთლიანობა მარტო ეხლა-კი არა აქვს დარღვეული, არამედ მთლიანობა არც მე-XVIII ს-ში ლა ჰ**ქონია.

პირიქით, **ჩვენ** ღუმუქურად ეხლა **ჟუ** არის, ნათ. ბრ. **ჟულ**, მიც. **ჟუნ**. ერთი სიტყვით, **მრ. რ. 1. პ. ნაცვალსახელს მე-XIX ს. და ეხლა ძირისა, თუ ძირად მიჩნეული ელემენტის სრული მთლიანობა უჩანს.** მაგრამ სულ სხვანაირი ვითარება ყოფილა წინათ, რათგან მე-XVIII ს. **ჩვენ** ყოფილა **ნაჰ**, ნათ. ბრ. **ჩვენი-კი**, ისევე, როგორც ეხლაცაა, **ჟულ**. მაშასადამე, ძირის მთლიანობა ძველად არც **მრ. რ. 1. პ. ნაცვალსახელს ჰქონია. ამ გვარად ეს მთლიანობა მერმინდელი**, ამასთანავე შედარებით ახალი, **მოვლენა ყოფილა.**

მხ. რ. 2. პ. ნაცვალსახელი ინა-ც მე XVIII ს. შემდგომ აგრეთვე **არ შეცვლილა.** მისი ნათ. ბრ. ფორმაც თითქმის იგივე დარჩენილა და, თუ ძველად **შენი** ყოფილა **ჟილ**, ეხლაცაა **ვილ**. აქაც 2. პ. **ძირის მთლიანობა არა ჩანს** და თვით ნათ. ბრ. ფორმის თავკიდური **ჟ** და **ვ**-ს ბუნება და რაობა ცალკეა, სხვა ენების მსგავს საკითხებთან ერთად, განსახილველი.

მე-XVIII ს. ჩანაწერში გჰლდენშტედტს **თქვენ** ღუმუქურად Bsu **ზსუ** აქვს **აღნიშნული**, თანამედროვე ღუმუქურად-კი „**თქვენ**" **ზუ** არის. ეგების გერმანელ მეცნიერს აქ შეცდომა შეეპარა და **ზ**-ს მაგიერ **ს** მოესმა და თავკიდური **ბ**-ც რაიმე მისივე გაუგებრობის შედეგია? არა, აქ არავითარი შეცდომა არ უნდა იყოს, არამედ **თქვენ-ის მაშინდელი ღუმუქური სახელი სისწორით ჩაწერილი ჩანს.** შესაძლებელია მხოლოდ ორ თანხმოვანს შუა ნახევარ-თანხმოვანი იყოს აღუბეჭდველი. **თქვენ**-ს რომ მე-XVIII ს. შესაძლებელია სწორედ ამ **ბს** თანხმოვნების შემცველი სახელი ჰქონოდა ღუმუქურად, ამის დასარწმუნებლად შესაძლებელია ანდიური და ტინდალური **თქვენ** და **თქვენი ბისსა** და **ბისსიჟ ბისსიჲ** და **ბისსიბ** იქმნეს დამოწმებული (იხ. აქვე, გვ. 511). ორსავე ენას, როგორც ვხედავთ, მართლაც თავკიდურ თანხმოვნად **ბ**, ხოლო მეორე თანხმოვნად **ს** აქვს. ამის შემდგომ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ღუმუქურს მე-XVIII ს.-ში ასეთივე **თქვენ** ვერ ექმნებოდა.

მხ. რ. 2. პ. **ინა** და მრ. რ. 2. **ბსუ** (XVIII ს.) და **ზუ** (თანამ.) სრულებით სხვა-და-სხვა ძირის სიტყვებია და ამ მხრივ 1. პ. ნაცვალსახელთან შედარებით არსებითი განსხვავებაა, რათგან მე-XVIII ს-ში ორივე რიცხვის ძირი **1 პ. ნა** ყოფილა.

საყურადღებოა, რომ **მე** ღუმუქურად **ნა** არის, **შენ-კი ინა**. ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ამ ნაცვალსახელებს ერთი ძირი ჰქონდეს.

2. პ. მრ. რ. ნაცვალსახელის ნათ. ბრ. ძველი ფორმაც უსულ, ანდა უზულ არის საგულისხმო, მეტადრე იმიტომ, რომ ის თანამედროვე ნათ. ბრ. ზულ-ისაგან თავისი თავკიდური უ ხმოვნით განირჩევა. რაკი უსულ-ის ბოლოკიდური ლ ლუმუქური ენის ნათ. ბრ. ჩვეულებრივი ნიშანია, ამიტომ უსუ გვრჩება. სახ. ბრ. ბსუ-სთან შედარებით ნათ. ბრ. ბ-ს მაგიერ უ აქვს, რომელიც, ცხადია, ძირეული არ უნდა იყოს. ამიტომაც ამ თავკიდური უ-ს ბუნება და რაობაც ცალკე უნდა იქმნეს გამორკვეული.

3. პ. მხ. და მრ. რ. ნაცვალსახელის ფორმებს დიდი ცვლილება არ დასტყობია და, თუ მე-XVIII ს. ჩანაწერში „ის" არის ტჰჱ, ეხლა თჰ-ა, „ისინი"-ც ძველად თითქოს ტი ყოფილა, თანამედროვე ლუმუქურს-კი თაძ აქვს. ამნაირად, 3. პ. ნაცვალსახელს ორსავე რიცხვში ერთი-და-იგივე ძირი აქვს, რომლის მთლიანობაც ყველა ბრუნვებშია დაცული.

პირთა ნაცვალსახელების ნათეს. ბრუნვის ფორმები იმავე დროს კუთვნილებითი ნაცვალსახელების მაგიერია (იქვე, გვ. 59).

უკუქცევითი ნაცვალსახელების გამოსახატავად ლუმუქურს პირთა ნაცვალსახელებივე აქვს გამოყენებული იმ განსხვავებით, რომ ბოლოსართად სათანადო სქეს-კატეგორიის ვა (მამრ. სქ. გონ.), ან რა (მდედ. სქ. გონ.), ანდა ბა (უსქეს.) მარცვლები ემატება. მაგრამ თანხმოვნის შემდგომ ამ ბოლოსართის ვ ჩვეულებრივ ქრება, და ბოლოსართის მაგიერ-კი რა ჩნდება, თუ რომ წინ ხმოვანი, ხ, ანდა ხახა უზის, მაგ.:

მე თითონ—ნავა (მამრ. სქ. გონ.), ნარა (მდედრ. სქ. გონ.), ნაბა (უსქ.)

ჩემი თითონ—ტიულვა (ტიულა), ტიულდა, ტიულბა.

შენ თითონ—ინავა, ინარა, ინაბა.

ის თითონ—თჰვა, თჰრა, თჰბა.

ჩვენ თითონ—ჟუვა, ჟურა, ჟუბა.

თქვენ თითონ—ზუვა, ზურა, ზუბა.

ისინი თითონ—თაძბა, თაძრა.

უფრო მეტი გარკვეულობის გამოსახატავად ზემოაღნიშნულ უკუქცევით ნაცვალსახელებს მეორე ჯერაც უმატებენ ხოლმე ვა, რა, და, ბა და სხ. ბოლოსართებს და ხმარობენ ნავაგა, ნარარა, ნაბაბა (იქვე, გვ. 66).

ლუმუქურში 3. პ. უკუქცევით ნაცვალსახელად ცჷ იხმარება მამრ. გონიერი არსებისათვის ისევე, როგორც ყველა დანარჩენ სქეს-კატეგორიებისათვისაც. ცჷ, მაშასადამე, თითონ ის-ს, ან ეს-სა ნიშნავს. მაგრამ მამრ. სქესისა და დანარჩენი სქეს-კატეგორიებისათვის განკუთვნილი ფორმები ამ ნაცვალსახელის კანკლედობას განსხვავებული აქვს. განსხვავების თვისების წარმოსადგენად აქვე მომყავს ნათ. და მიც. ბრ. ფორმები:

სახ. ცჷ (მამრ. გონ.),	- ცჷ (დანარ. სქ.),	-ცჲ (მრ. რ. საერთო).
ნათ. ცალ	ცილ	ცალ
მიც. ცან	ცინ	ცან

ცჷ გულისხმობს ზემოხსენებულს, უკვე აღნიშნულს თითონ 3. პ. (ლუმ. ენა, გვ. 62-63). ამ თითონ-ის ცჷ-ს, პირთა ნაცვალსახელების მსგავსად, სქეს-კა-

ტეგორიის ვა, რდა და ბბა ნიშნები-ც ერთვის ხოლმე და ამიტომაც ასეთი ფორმებიც არსებობს: **ცუვა̄, ცურდა, ცუბბა**,- მრ. რ. **ცი̄ბა** (**ცი̄ბბა**), **ცი̄რდა**,- ნათ. **ცალვა** (**ცალა**), **ცალდა, ცალბა**,- **ცილვა**. **ცილდა** და **ცილბა** (იქვე გვ. 63).

რაკი ლუმუქურს 3. პ. ნაცვალსახელად **თაჲ** აქვს, ცხადი ხდება, რომ **ცუ**, რომელსაც ეს **თაჲ** არ ახლავს, ნამდვილად **ის თითონ**-ისა-კი არა, არამედ მხოლოდ **თითონ**-ის აღმნიშვნელია.

ამაზე გაცილებით უფრო საყურადღებოა ზემოხსენებული ლუმუქური უკუქცევითი ნაცვალსახელების წარმოების სხვა წესი. უ ს ლ ა რ ი ს სიტყვით, უკუქცევითი ნაცვალსახელის მაგიერ პირთა ნაცვალსახელებს ბოლოსართად ერთვის სქეს-კატეგორიების გამომხატველი ვა,- **და**, ანდა **რა**, როდესაც წინ ხმოვანია, ანდა **ხ**. თუ **ხ**ıხı,- და **ბა** (ლუმ. ე. გვ. 60). მაგ.: მე მოვედი—**ნა ჟ̄კრე**,- მე თვით (მთქმელად მამაკაცი იგულისხმება) მოვედი—**ნა ნავა ჟ̄კრა**, ანდა მარტივად **ნავა ჟ̄კრა**. მაგრამ, როდესაც **დედაკაცი** ამბობს, მე მოვედი—**ნა დურკრა**-ს იტყვის, ხოლო მე თვით (დედაკაცი) მოვედი—**ნა ნარა დურკრა**, ან მარტივად **ნარა დურკრა**.

შენ მოხვედი—**ინა ჟ̄კრა**.

შენ თითონ (მამაკაცი) მოხვედი—**ინა ინავა უკრა**, ან მარტივად **ინავა უკრა**.

შენ (დედაკაცო) მოხვედი—**ინა დურკრა**.

შენ თითონ (დედაკაცო) მოხვედი—**ინა ინარა დურკრა**, ანუ მარტივად **ინარა დურკრა**.

ის (მამაკაცი) მოვიდა — **თა̄**, ანდა **ცუ̄ ჟ̄კრი**,— ის თითონ (მამაკ.) მოვიდა—**თა̄ ცუ̄ვა ჟ̄კრი**, ანუ მარტივად **ცუ̄ვა ჟ̄კრი**.

ხოლო: ის (დედაკ.) მოვიდა—**თა̄ დურკრი, ცუ̄ დურკრი**,— ის თითონ (დედაკაცი) მოვიდა—**თა̄ ცურდა დურკრი**, ანუ მარტივად **ცურდა დურკრი**.

ის თითონ (ქალიშვილი) მოვიდა—**თა̄ ცუბბა ბჟ̄კრი**, ანუ მარტივად **ცუბბა ბჟ̄კრი**.

ჩვენ (სულერთია მამაკაცი თუ დედაკ.) მოვედით—**ჟუ ბჟ̄კრუ**, ჩვენ თითონ მოვედით—**ჟუ ჟუბა ბჟ̄კრუ**, ანუ მარტივად **ჟუბა ბჟ̄კრუ**.

თქვენ (სქესთა განურჩევლად) მოხვედით—**ზუ ბჟ̄კრუ**, თქვენ თითონ მოხვედით—**ზუ ზუბა ბჟ̄კრუ**, ანუ მარტივად **ზუბა ბჟ̄კრუ**.

ისინი (სქესისდა მიუხედავად) მოვიდნენ—**თაჲ**, ანდა **ცი̄ ბჟ̄კრი**,— ისინი თითონ მოვიდნენ— **თაჲ ცი̄ბა ბჟ̄კრი**, ანუ მარტივად **ცი̄ბა ბჟ̄კრი** (ლ. ე. გვ. 63-64).

ზემომოყვანილი ლუმუქური ნაცვალსახელები იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ პირთა ნაცვალსახელის გარკვეულობის, ᲗᲘᲗᲝᲜ-ის ცნების, გამოსახატავად ენას აუცილებლად საჭიროდ სქეს-კატეგორიების აღნიშვნა მიუჩნევია, იმისდა მიუხედავად, რომ 1. და 2. პირის ორივე რიცხვის ნაცვალსახელებისათვის ყველა სქეს-კატეგორიისათვის განურჩევლად საერთო ფორმა არსებობს და მხოლოდ მესამე პირისათვის, რომელიც ჩვენებითი ნაცვალსახელია, სქეს-კატეგორიებისდა მიხედვით განსხვავებული ფორმები მოეპოვება **ნათ. ბრ.**-ში.

მე-XVIII ს. ჩანაწერის **რა? ცირი**, ცხადია, ლუმუქურს კითხვითს **რა** ნაცვალსახელს, **ცი**-სა და **რი**-ს შეიცავს. **რი**-კი „არსება“ ზმნის აწმყო დროის 3. პ. მხ. რ. სრული ფორმების **ური** (1 სქ.), **დური** (2 და 4 სქ.) და **ბური** (3 სქ.)-ს

შეკვეცილი ფორმაა ისევე, როგორც ეხლაც ლუმუქურში ურა, დურა, ბურა-სა, ური-სა და დანარჩენი სქეს-კატეგორიის ფორმების, აგრეთვე ბურუ-სა და დურუ-ს მაგიერ შესაძლებელია მოსაუბრემ რა, რი, რუ იხმაროს (ლუმ. ე. გვ. 82). **მაშასადამე, ცირი ნამდვილად რა?-ს-კი არ ნიშნავს, არამედ „რა არის?“**

მე-XVIII ს. ჩანაწერის ლუმუქური ჩიკუნ, რომელიც აქეთკენ-სა ნიშნავსო, თანამედროვე შიკკუნ-ს უდრის, ხოლო მიკუნ—„იქითკენ“, ეხლაც ისევეა დაცული, როგორც ამ საუკუნე-ნახევრის წინათ ყოფილა, ოღონდ მიკკუნ-ად გამოითქმის. ცხადია, ორსავე შემთხვევაში კუნ ქართულს კენ-ს უდრის, ჩი და შიკი „აქ“, ხოლო მი „იქ“-ის აღმნიშვნელია.

შ ზემომოყვანილს ში-ში, როგორც უ ს ლ ა რ ი ს ნაშრომითგან ირკვევა, მოსაუბრესთან მახლობელობის გამომხატველია, მ-კი მი-ში მეორე პირთან მახლობელობის მაუწყებელია (ლუმ. ე. გვ. 196). მაშასადამე, **შ 1. პ. ელემენტი, მ 2. პირისა გამოდის. საგულისხმოა, რომ მე-XVIII ს. ჩანაწერით 1. პირის ელემენტად ჩ ჩანს.**

თავი მეხუთე

არჭული ნაცვალსახელები

არჭული ნაცვალსახელების აგებულება ფრიად საყურადღებოა. სამწუხაროა მხოლოდ, რომ მათი ანალიზისათვის მე-XVIII ს. ჩანაწერიც არ გვაქვს ხელთ. მაგრამ ჯუამისოდაც, თანამედროვე არჭულის წყალობითაც, არა ერთი საგულისხმო გარემოება ირკვევა.

§ 1. არჭული პირთა ნაცვალსახელები

მე—ზონ	ჩვენ—ნენ
სახ. ბრ. ზონ	ნენ
ნათ. ტის, დის, ბის, ის	ულუ, დოლო, ბოლო, ოლო.
მიც. 1. ტეზ, დეზ, ბეზ, ეზ	ტელ, დელ, ბელ, ელ.
მიც. 2 ზარში	ლარში
მოქმ. ზარი	ნენ
მიმართ. ზათ	ლათ
შენ—უნ	თქვენ—ჟუენ
სახ. ბრ. უნ	ჟუენ
ნათ. ტით	ტიშ
მიც. 1 ტას	ტეჟ
მიც. 2 ტარში	ჟტარში
მოქ. უნ	ჟუენ
მიმართ. ტათ	ჟტათ

ეს—ჲაუ, ჲარ, ჲაბ, ჲათ,— მრ. რ. ესენი—ჲებ.
ის—თოუ, თორ, თობ, თოთ,— მრ. რ. ისინი—თებ.
(არჭ. ე. გვ. 27, 29).

ორივე პირისა და ორივე რიცხვის პ. ნაცვალსახელებს ბოლოკიდურ ბგერად ნ აქვთ, რომლის არაძირეულებითი ბუნება ცხადია. ძირის მთლიანობა ამ ნაცვალსახელთაგან მხოლოდ 2. პირისას აქვს თავითგან ბოლომდე დაცული, 1. პ. ორივე რიცხვისა და 2. პ. მრ. რ. ნაცვალსახელების ძირის მთლიანობა ერთი შეხედვით თითქოს დარღვეული ჩანს, მაგრამ გულდასმითი დაკვირვება სხვანაირ დასკვნამდე მიიყვანს ადამიანს. 1. პ. ნ. არის **ზონ**, რომლის **ზ** ძირეულია, ნათ. ბრ.-კი არის **ჟის** (1 სქკ.), **დის** (2 სქკ.), **ბის** (3 სქკ.) და **ის** (4 სქკ.),—მიც. 1. ბრ.—**ჟეზ** (1.), **დეზ** (2.), **ბეზ** (3.) და **ეზ** (4.),—ხოლო მიც. 2. ბრ. უკვე **ზარში**, მოქმ. ბრ. **ზარი** და მიმართ. ბრ. **ზათ**, ე. ი. ისევ **ზ** ძირისაგან არის ნაწარმოები. ამნაირად ძირის მთლიანობას გარეგნულად მხოლოდ ნათ. და მიც. 1. ბრუნვების ფორმები არღვევენ. მაგრამ ნამდვილად აქაც, ამ ბრუნვების ფორმებსაც, ძირად იგივე **ზ** აქვს. ეს ცხადად ჩანს მიცემითს ბრუნვაში, რომელსაც ამ ძირის წინ მხოლოდ სათანადო სქეს-კატეგორიის ე-დ ახმოვნებული ფორმანტი **ჟე, დე** და **ბე** აქვს. 4 სქკ.-ისას-კი ფორმანტი დაჰკარგვია. ასეთივე მოვლენაა ნათესაობითს ბრუნვაშიც იმ განსხვავებით, რომ ძირის **ზ** ბგერა ს-დ აქვს შენაცვლებული და სქეს-კატეგორიის თავსართებიც ი-ხმოვნიანია. რაკი **ჟ, დ** და **ბ** სქეს-კატეგორიის ნიშნებია (მეოთხეს არც ნათ. და არც მიც. ბრ. ფორმაში აქვს კატეგორიის თავსართი შერჩენილი) და ბოლოკიდური **ს** და **ზ** ძირია, **ისე გამოდის, რომ ნათ. ბრუნვის გამომხატველი აქ ი ხმოვანია, მიცემითისა-კი ე ხმოვანი.**

არჩული 1. პ. მხ. რ. ნაცვალსახელის კანკლედობაში ორი გარემოებაა უაღრესად საყურადღებო: ჯერ ერთი, რომ ნათ. და მიც. ბრ-ბს ოთხი ფორმა აქვს ოთხივე სქეს-კატეგორიისათვის, მეორეც ის, რომ სქეს-კატეგორიის ნიშნები აქ თავსართად არის იმ დროს, როდესაც 3. პ-ისა და ჩვენებითს ეს და ის ნაცვალსახელებს სქეს-კატეგორიის ნიშნები ბოლოსართებად აქვთ. თუ ნათ. ბრ. ფორმა იმავე დროს ჩვეულებრივ კუთვნილებითი ნაცვალსახელიც არის ხოლმე და ამიტომაც მას, ზედსართავ სახელსავით, სქეს-კატეგორიის ნიშნები შესაძლებელია და არჩულში, ვითარცა სქეს-კატეგორიან ენას, უნდა უეჭველად ჰქონდეს კიდევაც, მიცემითი ბრუნვის 4 სქეს-კატეგორიისათვის განკუთვნილი ფორმების შესახებ ასეთი განმარტების წამოყენება შეუძლებელია. სწორედ ამიტომაც ეს მოვლენა სხვა მიზეზის შედეგი და შაუწყვებელი უნდა იყოს.

ასეთივე გარემოებაა 1. პ. მრ. რ. ნაცვალსახელის კანკლედობაშიც, სადაც სახ. ბრ. **ნენ**-ს, ნათ. ბრ-ის 4 ფორმა—**ულუ, დოლო, ბოლო, ოლო** და მიც. ბრ-ის ამდენივე ფორმა—**ჟელ, დელ, ბელ** და **ელ** მისდევს. აქაც **ჟ** (ნათ. ბრ. ფორმას ჩამოცილებული აქვს), **დ** და **ბ** სქეს-კატეგორიის თავსართებია. ცხადია, რომ ყველაფერი, რაც მხ. რ. 1. პ. ნაცვალსახელზე უკვე გვქონდა ნათქვამი, აქაც იგივე უნდა ითქვას.

საგულისხმოა, რომ **2. პ. მხ. და მრ. რ. ნაცვალსახელების ნათ. და მიც. ბრ.-ებისთვის არჩულს ამ ჟამად მხოლოდ თითო ფორმა გააჩნია, მაგრამ ამ** პირის მრ. რ. ფორმების გულდასმითი განხილვა დაარწმუნებს კაცს, რომ წინათ **ამ პირსაც ჰქონია სქეს-კატეგორიისდა მიხედვით განსხვავებული ფორმები,** მართლაც და, თუ თქვენ არის **ჟუენ** და ასევეა მოქმ. ბრ., მიც. ბრუნვაც **ჟუარში**-ა და მიმართ. ბრ.-აც **ჟუათ**, ე. ი. ყველგან ძირად ფუძედ **ჟუ** მოჩანს, ნათ.

ბრუნვაა ჟიშ და მიც. ბრ. ჟეჟ. საკმარისია გავიხსენოთ მხ. რ. 1. პ. ნათ. და მიც. ბრუნვების ფორმები ჟის (ნათ.) და ჟეზ (მიც.) და თქვენი-ს ნათ. და მიც. ბრ. ფორმებს ჟიშ-სა (ნათ.) და ჟეჟ-ს (მიც. 1) შევადაროთ, რომ მათი სრული ანალოგია უცილებელი შეიქმნეს: ისევე, როგორც მხ. რ. 1. პ. ნაცვალსახელის ძირეული მჟღერი ზ ნათ. ბრ-ში ყრუ ს-დ არის შენაცვლებული, ასევე მრ. რ. 2. პ. ნ. ძირისეული მჟღერი ჟ ბგერაც ნათ. ბრ-ში ყრუ შ-დ არის შეცვლილი. ორსავე შემთხვევაში Ⴈ ნათ. ბრ.-ისა და Ⴄ მიც. 1. ბრ -ის ნიშანი ჩანს.

ზემომოყვანილი ორი დაკვირვების შემდგომ ცხადი გახდება, რომ ამ ფორმებს შორის მესამე მხრითაც სრული ანალოგიაა და ისევე, როგორც 1. პ. მხ. რ. ნაცვალსახელის ჟის და ჟეზ-ის თავკიდური ჟ მამრ. სქესის თავსართია, უეჭველია, მრ. რ. 2. პ. ნაცვალსახელის ნათ. ბრ. ჟიშ და მიც. 1 ბრ. ჟეჟ-ის თავკიდური ჟ-ც თავდაპირველად მხოლოდ მამრ. სქესის თავსართივე უნდა ყოფილიყო და მარტო შემდეგში, როდესაც ამ პირს დანარჩენი სქეს-კატეგორიების ფორმები დაჰკარგვია, ეს ჟ ამ ფორმის უკვე შეზრდილ და განუყოფელ ნაწილად ქცეულა. მაშასადამე, ოთხივე სქეს-კატეგორიისათვის ცალ-ცალკეული ფორმა არჭულში მარტო 1. პ. მხ. და მრ. რ. ნაცვალსახელებს-კი არა, არამედ უცილობლად 2. პ. მრ. რ-ისა და, საფიქრებელია, მხ. რ. ნაცვალსახელებსაც ჰქონია.

ერთი შეხედვითაც ყველასთვის ცხადი გახდება, რომ 1. პ. მრ. რ. ნაცვალსახელი არც ამავე პირისა და არც 2. პ. მხ. რ. ფორმებთან დაკავშირებული არ არის. იგივე შესაძლებელია ითქვას 2. პ. მრ. რ. ნაცვალსახელზეც, რომლის ჟ-ს მხ. რ. ფორმაში ვერავინ ალმოაჩენს. მაშასადამე, 1. და 2. პ. მხ. და მრ. რ. ფორმები სხვადასხვა წარმოშობილობისა ყოფილა.

3. პ. ორივე რიცხვის ნაცვალსახელებად არჭულში ჩვენებითი ეს და ის ნაცვალსახელებია გამოყენებული. ორივეს 4 სქეს-კატეგორიის ფორმა გააჩნია, მაგრამ აქ ორი საგულისხმო გარემოებაა ალსანიშნავი: 1. სქეს-კატეგორიის ნიშნები ბოლოსართებად არის გამოყენებული და 2. თუ 1. პ. ორივე რიცხვის ნაცვალსახელების ნათ. და მიც. 1. პ. ბრუნვების ფორმებში მდედრ. სქესის თავსართოვან ნიშნად დ თანხმოვანია, აქ, 3. პ. და ჩვენებითი ორივე (Ⴄს და Ⴈს) ნაცვალსახელის ფორმებს მდედრ. სქესის ნიშნად რ ბგერა აქვს, ე. ი. ისევე, როგორც არჭული ამნაირად მაშინ იქცევა ხოლმე, თუ რომ სქეს-კატეგორიის ორმაგი ნიშნებია, თავსართისაცა (დ) და ბოლოსართის (რ) სახითაც.

ჩვენებითი Ⴄს ნაცვალსახელის გამოსახატავად არჭულს Ⴀ მარცვალი აქვს, რომელსაც სათანადო სქეს-კატეგორიის ბოლოსართი ახლავს, ხოლო Ⴈს ნაცვალსახელისათვის-კი ႧႭ მარცვალია ამავე წესით გამოყენებული. თუ აქ პირველის ა ხმოვანს, როგორც სხვა ენებშიც არის, მახლობელობის მაუწყებლად მივიჩნევთ, მეორის ო ხმოვანს-კი დაშორებულობისას, მაშინ პირველის ძირად Ⴃ, მეორისა-კი Ⴇ დაგვრჩება.

§ 2. კუთვნილებითი ნაცვალსახელები

კუთვნ. ნაცვალსახელებად პირთა ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმები იხმარება: ჩემი—ჟის, დის, ბის, ის,— ჩეჵნი—1 და 2 სქეს-კატ. ბის, 3 და 4 სქეს-კატ. ის.

შენი—ფით, შენები—ფით. ჩვენი—ულუ, დოლო, ბოლო, ოლო.
ჩვენები—ბოლო, ოლო.
თქვენი—ფიშ.
თქვენები—ფიშ.

(არჭ. ე., გვ. 34).

მაგრამ, როდესაც კუთვნილებითი ნაცვალსახელები ცალკე და დამოუკიდებლივ იხმარება, მაშინ მათ ამნაირი სახე აქვთ ხოლმე:

მხ. რ.				მრ. რ.	
ჩემი	1	სქესკ.	**უსსუფ**	**ჩემები:**	**ბისსიბ** (1, 2)
	2	„	**დოსსორ**		
	3	„	**ბოსსობ**		**ისსიბ** (3, 4)
	4	„	**ოსსოთ**		
შენი	1	სქესკ.	**უტტუფ**	**შენები:**	**უტტიბ**
	2	„	**უტტორ**		
	3	„	**უტტობ**		
	4	„	**უტტოთ**		
მისი	1	სქესკ.	**თოფმუნნუფ**	**მრ. რ. მისნი**	**თოფმუნ(ნ)იბ**
	2	„	**თოფმუნნურ**		
	3	„	**თოფმუნნუბ**		
	4	„	**თოფმუნნუთ**		

მისები—ოთხივე სქეს-კატეგორიისათვის—თოთმინნიბ (არჭ. ე., გვ. 36-37).

§ 3. არჭული უკუქცევითი ნაცვალსახელები

მესამე პირის უკუქც. ნაცვალსახელის 5 განსხვავებული სახესხვაობა არსებობს. ყველა მათ საერთო ნაწილად მხოლოდ **ჟუ** მარცვალი აქვთ, განმასხვავებელი ნაწილი-კი ბოლოშია. მაგრამ სჯობია ჯერ თვით ეს ნაცვალსახელები გადავათვალიეროთ.

თავისთვის—ჟუსატია(ფუ), ჟუსარა(ფუ).
თავისთავს—ჟუსაფუ, ჟუსაბუ, ჟუსარუ, ჟუსატუ.
ჟურშეჲფუ, ჟურშეჲრუ, ჟურშეჲბუ, ჟურშეჲტუ.
თავისთან (მამაკაცზე) **ჟუტხლიეჲფუ, ჟუტხლიეჲრუ, ჟუტხლიეჲბუ.**
„ (დედაკაცზე) **ჟეტხლიეჲფუ, ჟეტხლიეჲრუ, ჟეტხლეჲბუ.**

(არჭ. ე. გვ. 89).

ცხადია, რომ ეს ნაცვალსახელები **ჟ** ძირისაგან არის ნაწარმოები, ხოლო, როგორც ორი უკანასკნელი სახესხვაობითგან ჩანს, **ჟუ**-ში **უ** მამრ. სქესის, ხოლო **ჟე**-ში **ე** დედრობ. სქ. გამომხატველია.

ამ ნაცვალსახელოვანს ძირს, თუ ძირად ქცეულს ბგერას, ან **სა**, ან **რშეჲ**, ანდა **ტხლიეჲ** ერთვის. ვითარცა ბრუნვის ნიშნები, საჭიროებისდა გვარად სათანადო სქეს-კატეგორიის (**ფუ, რუ, ბუ, ტუ**) ბოლოსართითურთ და ამ გზით ზემოდასახელებული ძირისაგან უკუქცევითი ნაცვალსახელის სამი სახესხვაობის უკვე მოყვანილი ფორმებია ნაწარმოები.

მე თვით, შენ თვით, ის თვით და მრ. რ. ფორმები-კი არჭულად სხვანაირად გამოიხატება ხოლმე, სახელდობრ:

მე თითონ: 1 სქ. ზონაჟუ. შენ თითონ: 1. სქ. უნავუ
2 სქ. ზონარუ — 2 სქ. უნარუ
3 სქ. ზონაბუ — 3 სქ. უნაპუ
4 სქ. ზონდოუ — 4 სქ. უნ(ა)ტოუ.

ის თითონ: 1 სქ. ჲაჟ (ანდა თოჟ) ინჟაჟუ, ან ინჟუ, ზოგჯერ ჟაჟუ-ც:
2 სქ. ჲარ (თორ) ინჟარუ
3 სქ. ჲაბ (თოპ) ინჟაბუ
4 სქ. ჲათ (თოთ) ინჟატოუ.

მრ. რ.

ჩვენ თითონ: ნენტოუ. თქვენ თითონ: ჟჟენტოუ.

ისინი თითონ: ჲებ (თებ) ჟაპპუ (ჟაბბუ).

დანარჩენი ბრუნვების ფორმებში-კი პირ. ნაცვალსახელის სათანადო ბრუნვის ფორმას მხ. რ. 1. და 2. პირისათვის შეჲტუ არის თითონ-ის გამომხატველი, 3. პ. ჟუტოეჲტოუ (მამრ. სქ.) და ჟეტეჲტოუ (მდედ. სქ.), ხოლო მრ. რ. 1, 2. და 3. პ-თვის ტოეჲტოუ (არჭ. ე. გვ. 41-42).

ზემომოყვანილი უკუქცევითი ნაცვალსახელების ფორმებში პირთა ნაცვალსახელებთან შედარება დაარწმუნებს ადამიანს, რომ აქ პირის ნაცვალსახელს სათანადო სქეს-კატეგორიის ბოლოსართი ახლავს მხოლოდ. ამასთანავე საგულისხმოა, რომ 1. და 2. პ. ნაცვალსახელის ფორმები ჩვეულებრივისაგან ა—ბოლოკიდურიანობით განსხვავდება და ზონა და უნა არის ნახმარი, აწ გავრცელებული ზონ და უნ-ის მაგიერ. ყველაზე საყურადღებო-კი აქ ის გარემოებაა, რომ „თვით" ცნების გამომხატველად არჭულს სქეს-კატეგორიის მაწყებელი ფორმანტები აქვს გამოყენებული.

§ 4. არჭული უკუქცევით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები

თითონ ჩემი	1 სქ. ჟასსაჟუ	მრ. რ.	პასსაპუ	
	2 სქ. დასსარუ			
	3 სქ. ბასსაბუ		ასსატოუ	
	4 სქ. ასსატოუ			
თითონ შენი	1 სქ. უტტაჟუ		უტტაბუ	
	2 სქ. უტტარუ			
	3 სქ. უტტაბუ		უტტატოუ	
	4 სქ. უტტატოუ			
თითონ მისი	1 სქ. ჟუნაჟუ	ჟუნაბუ		როცა 1 სქ. მფლობელია.
	2 სქ. ჟუნარუ			
	3 სქ. ჟუნაბუ	ჟუნტოუ		
	4 სქ. ჟუნტოუ			

1 სქ. ჟენაჟუ
2 სქ. ჟენარუ } → ჟენაბუ
3 სქ. ჟენაბუ
4 სქ. ჟენტჲუ } → ჟენტჲუ

} როდესაც 2., 3. და 4. სქ. მფლობელია.

თითონ ჩვენი 1 სქ. ულუჲჟუ
2 სქ. დოლოჲრუ } → ბოლოჲბუ
3 სქ. დოლოჲბუ
4 სქ. ოლოჲტჲუ } → ოლოჲტჲუ

თითონ თქვენი 1 სქ. უშჲაჟუ
2 სქ. უშჲარუ } → უშჲაბუ
3 სქ. უშჲაბუ
4 სქ. უშჲატჲუ } → უშჲატჲუ

თითონ იმათი 1 სქ. ჟანაჟუ
2 სქ. ჟანარუ } → ჟანაბუ
3 სქ. ჟანაბუ
4 სქ. ჟანტჲუ } → ჟანტჲუ

} საერთოა ყველა სქეს-კატეგორიის მფლობელთათვის.

(არჱ. ე. 39-40).

§ 5. კითხვითი ნაცვალსახელები

ვინ?—ქჟირი, მრ. რ. ქჟიბ.
რა?—ჰახ, ჰანი.
რომელი?—ჰანნუჟ, ჰანნურ, ჰანნუბ, ჰანნუთ,— მრ. რ. ჰანნიბ.
რაგვარი? რანაირი?—ჰანჟუტტუჟ, ჰანჟუტტურ, ჰანჟუტუბ, ჰანჟუტ-ტუთ,— მრ. რ. ჰანჟუტიბ.

ბ ა ნ კ ლ ე დ ო ბ ა

სახ. ბრ. ქჟირი,— ჰან(ი) მრ. ქჟიბ
მიც. 1. ტჴლჲას,— ჰინის
მიც. ბრ. 2. ტხლჲარში,— ჰინირში
მოქმ.. ბრ. ტხლჲილი,— ჰინი.
სახ. ბრ. ჰანნუჟ,— ჰანნურ,— ჰანნუბ.
მიც. 1. ჰანნუმუს,— ჰანნუმურმის,— ჰანნუმის.
მიც. 2. ჰანნუმურში,— ჰანნურმირში,— ჰანნუმმირში.
მოქმ. ჰანნუმუ,— ჰანნურმი,— ჰანნუმი.

		მრ. რ.
სახ.	ჰანნუთ.	ჰანნიბ
მიც. 1.	ჰანნუთმის.	ჰანნიმმეს
მიც. 2.	ჰანნუთმირში.	ჰანნიმმერში.
მოქმ.	ჰანნუთმი.	

(არჱ. ე. გვ. 37-38).,

თავი მეექვსე

აღულური ნაცვალსახელები

§ 1. პირთა ნაცვალსახელები

მხ. რ.	მრ. რ.
1. **მე—ზუნ**	**ჩვენ—ჰჷინ** (მე და შენ, ან თქვენ), **ჩინ**
2. **შენ—ჳუნ**	**თქვენ—ჩუნ** (მე და ის, ისინი)
3. **ის—მე**	**ისინი—მურ.**

პ. ნაცვალ. კანკლედობა

	მე	შენ	ის	ჩვენ	თქვენ	ისინი
სახ.	**ზუნ**	**ჳუნ**	**მე**	**ჰჷინ, ჩინ**	**ჩუნ**	**მურ**
ნათ.	**ზე**	**ჳე**	**მინ**	**ჰჷე, ჩე**	**ჩჳე**	**მურინ**
მიც. 1.	**ზაჳ**	**ჳაჳ**	**მიჳ**	**ჰჷეჳ, ჩაჳ**	**ჩჳაჳ**	**მურიჳ**
მიც. 2.	**ზის**	**ჳას**	**მის**	**ჰჷეს, ჩას**	**ჩჳას**	**მურის**
მოქმ.	**ზუნ**	**ჳუნ**	**მი**	**ჰჷინ, ჩინ**	**ჩუნ**	**მური**

(აღულ. ე. გვ. 19, 21).

§ 2. კუთვნილებითი ნაცვალსახელები

აღულურსაც კუთვნილებითი ნაცვალსახელებად პირთა და ჩვენებითი ნაცვალსახელების ნათ. ბრ. ფორმები აქვს გამოყენებული. ამიტომ **ჩემი** იქმნება **ზე, შენი—ჳე,—მისი—მინ, თინ, გინ, ლინ,—ჩვენი—ჰჷე** და **ჩე;—თქვენი—ჩჳე** და **იმათი—მურინ, თურინ, გურინ, ლურინ.** არსებითი სახელების წინ ყველა ზემოაღნიშნული კუთვნ. ნაცვალსახელები უცვლელია, ხოლო, თუ ცალკეულადაა ერთ-ერთი მათგანი ნახმარი, მაშინ ზედსართავ სახელებსავით მხ. რ-ში **ჶ**, მრ. რ-ში-კი **ტტარ** ბოლოსართი ემატება ხოლმე და ასეთ შემთხვევაში მას ზედსართავის მსგავსი კანკლედობა აქვს (აღულ. ე. გვ. 23).

§ 3. ჩვენებითი ნაცვალსახელები

აღულურს, სხვა ლეგურ ენებსავით საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჩვენებითი ნაცვალსახელები მოეპოვება, რომელთაგან ზოგი ადგილმდებარეობის გამომჟღავნებელი არის. აი აღულური ჩვენებითი ნაცვალსახელებიც:

ეს—მე, მრ. რ. **მურ,—ის—თე**, მრ. რ. **თურ—**

ის—გე, მრ. რ. **გურ,—ლე**, მრ. რ. **ლურ.** საგულისხმოა, რომ **გე** ამასთანავე ძირს-მყოფობასა, **ლე**-კი ზევით-მყოფობასაც **გამოხატავს ხოლმე, მაგრამ ყოველთვის არა** (აღულ. ე. გვ. 21).

ყველა ეს ნაცვალსახელები მითითებითი **ჰა** ნაწილაკთან ერთადაც იხმარება: **ჰამე, ჰათე, ჰაგე** და **ჰალე**-ს სახით (იქვე, გვ. 22). **ყველა ჩვენებითს**

ნაცვალსახელებს ვ. პ. ნაცვალსახელადაც ხმარობენ ხოლმე. როდესაც ეს ნაცვალსახელები არსებითს სახელებს მიუძღვიან ხოლმე, მაშინ მათი ფორმა სრულებით უცვლელი რჩება, მაგრამ, თუ ცალკეულად არის რომელიმე მათგანი ნახმარი, მაშინ მათ სათანადო ბრუნვები აქვთ ხოლმე (ალულ. ე. გვ. 21).

ჩვენებითი ნაცვალსახელების კანკლედობა

	მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.	
	ეს—მე	**მურ**	**ის — თე. თურ:**	**ის--გე**	**გურ**
ნათ.	**მინ**	**მურინ**	**თინ. თურინ.**	**გინ**	**გურინ**
მიც. 1.	**მიჟ**	**მურიჟ**	**თიჟ. თურიჟ.**	**გიჟ**	**გურიჟ**
მიც. 2.	**მის**	**მურის**	**თის. თურის.**	**გის**	**გურის**
მოქმ.	**მი**	**მური**	**თი.. თური.**	**გი**	**გური**

	მრ. რ.	
	ის—ლე	**ლურ**
ნათ.	**ლინ**	**ლურინ**
მიც. 1.	**ლურიჟ**	**ლურიჟ**
მიც. 2.	**ლის**	**ლურის**
მოქმ.	**ლი**	**ლური.**

(ალულ. ე. გვ. 21).

ყოველი, თითოეული ალულურად არის **ჰარ**,—„**ვინმე**"-ს მნიშვნელობით-კი **ერთი, სა,** იხმარება. **სხვას სა(ს)რა,** მრ. რ. **სა(ს)დაჟურ** ეწოდება. **სურსურის** ნიშნავს „ერთმანერთს", **სასაიკ**-კი „ერთიერთმანერთზე"-ს.

(ალულ. ე. გვ. 25).

§ 4. უკუქცევითი ნაცვალსახელი

თითონ, თვით ნაცვალსახელის გამოსახატავად ალულურს აქვს **უჩ,** რომლის ნათ. ბრ. არის **უჩინ,** მიც. — **უჩიჟ.** ამ ნაცვალსახელის უკვე მოყვანილი ნათ. ბრ. **უჩინ** კუთვნილებითი ნაცვალსახელის **თვისი**-ს მაგიერადაც იხმარება (ალულ. ე. გვ. 25).

§ 5. კითხვითი ნაცვალსახელი

ვინ? ალულურად არის **ჶიშ,** მრ. რ. **ჶიშარ,** — ხოლო **რა?** — **ჶი.** აღსანიშნავია, რომ **ჶიშ**-ის ნათ. და ყველა დანარჩენი ბრუნვის ფორმები **ჰანა**-საგან არის ნაწარმოები და მას შემდეგი კანკლედობა აქვს:

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	**ჶიშ**	**ჶიშარ**
ნათ.	**ჰანან**	**ჰანარინ**
მიც. 1.	**ჰანაჟ**	**ჰანარიჟ**
მიც. 2.	**ჰანას**	**ჰანარის**
მოქმ.	**ჰანა**	**ჰანარი**

ნათ. ბრ. ზემომოყვანილი ორივე რიცხვის ფორმები ჶ-ბოლოსართიანად, **ჭიანანჶ** და **ჭიანარინჶ** კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელი **ვისი?**-ს გამომხატველია (ალულ. ე. გვ. 24).

§ 6. ალულური ნაცვალსახელების ანალიზი

ალულური პ. ნაცვალსახელების ორივე რიცხვის 1. და 2. პ. ყველა სახელებს **ზუნ, ჟუნ, ჰჷინ, ჩინ** და **ჩუნ**-ს ის საერთო თვისება აქვს, რომ **ბოლოკიდურ ბგერად ნ მოეპოვება**. უკვე ეს გარემოება ამ თანხმოვნის ბუნებას, არძირეულობასა და **ფორმანტობას ამჟღავნებს**. მაშასადამე, მათი ეტიმოლოგიის ძიების დროს **ნ**, ვითარცა ბოლოსართი, ძირისათვის ანგარიშ-გასაწევი არ არის.

ალულური პ. ნაცვალსახელების **მრ. რ. 1. და 2. პ. ფორმები მხ. რ. ფორმებისაგან სრულებით დამოუკიდებლივ ნაწარმოები ჩანს**. თუ მათ **ნ** დაბოლოებას, ვითარცა არა-ძირეულს ბგერას, ჩამოვაცლით, 1. პ. **ჰჷი** და **ჩი** დაგვრჩება, 2. პ. **ჩუ**. როგორც უკვე ვიცით, **ჰჷი** მხოლოდ „მე და შენ", ან „თქვენ"-ის გამომხატველია, **ჩი**-კი „**მე და ის**", ან „**ისინი**"-საა. არც **ჰჷი**-სა და არც **ჩი**-ს **მხ. რ.-ის არცერთი პირის ნიშნის (ზ, ჟ, მ) არავითარი კვალი არ ეტყობა და** ეს გარემოება **მათი წარმოშობილობის სხვაგნებურობას ამჟღავნებს**.

გასაოცარია, რომ **მრ. რ. 1. პ. ექსკლუზივს ფორმას ჩინ-სა და 2. პ-ის ჩუნ-ს ძირად ერთი-და-იგივე ჩ ბგერა აქვს** და მათ შორის განსხვავებას მხოლოდ **ი** და **უ** ხმოვანი შეადგენს. **თანხმოვანი ელემენტის იგივეობა** ამ **ორი პირის სახელში** მით უფრო **მოულოდნელი იყო და გაუგებარიც არის**, რომ **ჩინ** სწორედ „**მე და ის**"-ს, ანდა „**ისინი**"-ს აღმნიშვნელია და ამიტომაც **მეორე პირის იქ არავითარი კვალი** არც შეიძლება და **არც უნდა იყოს. ესეც უფრო მეტს საბუთს გვაძლევს დავასკვნათ, რომ** მრ. რ. 1. და 2. **პირის ამ ალულურს ნაცვალსახელებს ძირეულად პირთა ნაცვალსახელებთან არ უნდა ჰქონდეს კავშირი.**

თავი მეშვიდე

წახურული ნაცვალსახელები

წახურული ნაცვალსახელები არჩულისა და ალულურისას კარგად უდგება, მაგრამ ზოგ რამეში მაინც განსხვავებულია. ამიტომაც მათი ცალკე განხილვა ვამჯობინე.

§ 1. წახურული პირთა ნაცვალსახელები

	მე—ზგ	**ჩვენ—შში**
ნათ.	**ჲიზდა, ჲიზჷნ.**	**ჲიშ̣შდა**
მიც.	**ზას**	**შშას**
მოქ.	**ზგ**	**შშე, შშჷ**

	შენ—ღუ	თქვენ—შუ
ნათ.	**ჲიღნა, ჲიცნ.**	**ჟუშდა**
მიც.	**ჟას**	**შუას**
მოქ.	**ღუ**	**შუ**

ის—**მანა** (მამრ., მდედრ. და პირუტყ.), **მან** (უსულო საგ.)

ისინი — **მანზგ** (4-ივე სქეს-კატ), მიც. **მანღუს**, მრ. რ. **მანბიშის.**

„**სწორედ ეს**" — **ენა** (1, 2. და 3. სქ.), **ინ** (4-სქ.),- **ჰანა, ჰაჲნა** (1, 2. და 3 სქ.), **ჰაჲნ** (4.), **ჰამანა.**

„**იგივე**" — **ჰინა** (1, 2. და 3. სქ.), **ჰინ** (4. სქ.),— „**ის**" — შენა (1, 2. და 3. სქ.), შენ, შენასა, შენსა (4. სქ),— (დირრის წახ. ე. გვ. 32, 35, 36) (4. სქ.), — ორივე შენ+სა-საგან არის შემდგარი და „**ის ერთი**"-ს აღმნიშვნელია.

იგივე წახურულად იქმნება **ჰამანჯად** (იქვე, გვ. 38), რომელიც „**სწორედ ეს**"-ის აღმნიშვნელია და **ჰამან**-ისა და **ჯად**-ისაგან შესდგება. უკანასკნელი **თითონ**-ს გამოჰხატავს, ამნაირად **ჰამანჯად** რომ სიტყვა-სიტყვით გადმოვაქართულოთ, „სწორედ ეს თითონ"-ს უდრის.

წახურული პ. ნაცვალსახელების 1. და 2. პ. ნათ. ბრ. **ფორმებია ფრიად საყურადღებო**: 1. პ. ორივე რიცხვისას და 2. პ. მრ. რ. ფორმებს რომ თავში **ჲი**, ხოლო 2. პ. მრ. რ. ფორმას **ჟუ** აქვს თავშივე **ამ უკანასკნელის ანალოგია მხოლოდ არჩული** 2. პ. მრ. რ. ნ. ნათ. ბრ. **ჟიშ-სა და მიც. ბრ. ჟეჟ-ში მოგვეპოვება**. ისევე, **როგორც ეს ფორმები** 1. **სქეს-კატ. თავსართოვანს ფორმებს წარმოადგენს, წახურული ჟუშდა-ს ჟუ-ც ამავე თვისების თავსართი უნდა იყოს.**

ამის შემდეგ **თავისდა-თავად დაიბადება აზრი წახურული** 1. პ. **მრ. და მხ. რ. და** 2. პ. **მხ. რ. ნათ. ბრ. თავკიდური ჲი-ს ასეთივე წარმოშობილების შესახებ.** თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ **აქ უნდა წახურულში ოდესლაც არსებული მდედრ. სქ. ჲ ნიშანი გვქონდეს დაცული.** ცხადია, რომ წახურულს, წინათ 1. და 2. სქეს-კატეგორიებს გარდა დანარჩენიც ექმნებოდა.

ასეთი წახურულად იქმნება **მახურნა**, ანდა **მახორნა** (1. სქ.), — **მახერნა** (2. სქ.), — **მახუბნა**, ანდა **მახობნა**, (3. სქ.), — **მახღვნ** (4. სქ.). — მრ. რ. **მახბუნ**, ან **მახბგნ** (1 და 2 სქ.) და **მახღუნ**, **მახღგნ** (3 და 4 სქ.).

ად. დ ი რ რ ი ს სიტყვით, ზემომოყვანილი ფორმები შესდგება ჩვენებითი ნაწილაკი **მა**-ს და **ხ** ძირისაგან, რომელსაც გვარის, ანდა ხარისხის მსგავსი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ამ ორ ნაწილს სათანადო სქეს-კატეგორიის ნიშანი და დაბოლოება (**ნა, ნ**) ერთვის (წახ. ე., 38).

§ 2. კუთვნილებითი ნაცვალსახელები

ჩემი — **ჲიზდა** (1, 2 და 3. სქ.), — **ჲიზინ**, ან **ჲიზგნ** (4 სქ.), — მრ. რ. **ჲიზგნ** (1 და 2 სქ), **ჲიზდი** (3 და 4 სქ).

შენი — **ჲიღნა** (1, 2, 3), — **ჲიღგნ**, (4),— მრ. რ. **ჲიღენ** (1 და 2), — **ჲიღნი** (3 და 4).

ჩვენი — **ჲიშდა** (1, 2, 3), — **ჲიშინ** (4), ანდა **ჲიშგნ**,- მრ. რ. **ჲიშგნ** (1 და 2), **ჲიშდი** (3 და 4).

თქვენი — ფუშდა (1, 2, 3), - ფუშგნ (4), - მრ. რ. ფუშგნ (1 და 2), ფუშდი (3 და 4).

მისი (1 სქ.) — მანლუნა (1, 2, 3), - მანლუნ (4), - მრ. რ. მანლუნ (1 და 2), მანლუნი (3 და 4).

მისი (2 სქ. — მანლენა (1, 2, 3), — მანლენ (4), — მრ. რ. მანლენ (1 და 2), მანლენი (3 და 4).

მისი (3 და 4 სქ.) — მანჩინა (1, 2, 3), — მანჩინ (4) — მრ. რ. მაჩინ (1 და 2), მანჩინი (3 და 4).

მათი (1, 2, 3 და 4 სქ.)—მანბიშდა (1, 2, 3), — მრ. რ. მანბიშგნ (1 და 2), მანბიშდი (3, 4).

იმისი (1 სქ.) — შენლუნა (1, 2, 3), — შენლუნ (4), — მრ. რ. შენლუნ (1 და 2), შენლუნი (3, 4).

იმისი (2 სქ.) — შენლენა (1, 2, 3), — შენლენ (4) -- მრ.რ. შენლენ (1 და 2) შენლენი (3 და 4).

იმისი (3 და 4 სქ.) — შენჩინა (1, 2 და 3), — შენჩინ (4), — მრ. რ. შენჩინ (1 და 2), შენჩინი (3 და 4)

იმათი (1, 2, 3 და 4 სქ.) — შენბიშდა (1, 2, 3), — შენბიშინ (4),—მრ. რ. შენბიშინ (1 და 2), შენბიშდი (3, 4).

თვისი (1. სქ.) — ჯუნა (1, 2, ,3) — ჯუნ (4). — მრ. რ. ჯუნ (1 და 2), — ჯუნი (3 და 4).

თვისი (2 სქ.) — ჯენა (1, 2, 3), — ჯენ (4), — მრ. რ. ჯენ (1 და 2), — ჯენი (3 და 4).

თვით მათი (4 სქ.) — ჯჵანა (1, 2, 3), — ჯჵან (4), — მრ. რ. ჯჵან (1 და 2), — ჯჵანი (3 და 4).

ამ კუთვნილებითი ნაცვალსახელების კანკლედობას ის თავისებურობა ემჩნევა, რომ ნათ. და დანარჩენ ბრუნვებში ფუძედ სახ. ბრუნვის მეოთხე სქეს-კატეგორიის ფორმაა მიჩნეული, მას ჯერ ლუ (1 სქ.), ან ლე (2 სქ.), ანდა ჩი ერთვის (3 და 4 სქ.), ხოლო შემდეგ სათანადო ბრუნვის ნიშანი, მაგ. ჩემისა (1 სქ.) დიზგნლუნ, მიც. ჩემსას დიზგნლუს, ჩემისა (2 სქ.) დიზგნლენ, მიც. დიზგნლეს და სხ. (წახ. ე. გვ. 44—47).

§ 3. უკუქცევითი ნაცვალსახელები

ᲗᲘᲗᲝᲜ-ის ცნების გამომხატველი წახურულში Ჯ ბგერაა, რომელსაც სათანადო სქეს-კატეგორიის თავსართოვანი ნიშანი ერთვის. ამიტომაც 1. სქ. თითონ იხმარება ფუჯ, 2 სქ.—დიჯ, 3 სქ.—ვუჯ. ამ ფორმებს მაშინ ხმარობენ, როცა ეს ნაცვალსახელი ცალკეულადაა, მაგრამ წახურულს ამავე ცნების გამოსარკვევად Ჯ ძირისაგან ნაწარმოები ბოლოსართებიც მოეპოვება. დამახა-სიათებელია, რომ ამ ბოლოსართებსაც ახლავს სათანადო სქეს-კატეგორიის გამომხატველი ელემენტი, მაგრამ წინანდებურად თავსართისა-კი არა, არამედ უკვე ბოლოსართების სახით. ასე ნაწარმოები ᲗᲘᲗᲝᲜ-ის აღმნიშვნელი ფორ-მანტი, ან პირთა ნაცვალსახელებს, ანდა თვით ᲤᲣᲯ, ᲓᲘᲯ, ᲕᲣᲯ-ს, ე. ი. თი-

თონ-ს ერთვის ბოლოსართად. ასეთ ბოლოსართად 1. სქ.-ისთვის არის — ჯარ, 2 სქ. — -ჯერ, ანდა -ჯӓრ, 3 სქ. — -ჯაბ და 4 სქ. — -ჯად. მრ. რ. -ჯაბ (1 და 2 სქ.) და -ჯად (3 და 4 სქ.). ამნაირად მე თითონ იქმნება ზგ ჟუჯ-ჯარ (1 სქ.), ზგ ძიჯჯӓრ (2 სქ.), ჟუჯჯაბ (3 სქ.).

ცალკეული თითონ-ის კანკლედობა:

1 სქ.	ჟუჯ	2 სქ.	ძიჯ	3 სქ.	ვუჯ.
მიც.	ჯოას, ჯუას, ჯუს.		ჯეს		
მოქმ.	ჟუჯӓ		ძიჯӓ.		

(წახ. ე. გვ. 40-41).

უკუქცევითი თითონ ნაცვალსახელის ორი ზემომოყვანილი სახესხვაობა ორი თვალსაზრისითაა საყურადღებო: ჯერ ერთი იმიტომ, რომ თითონ-ის ცნების გამომხატველად მთლიანი სიტყვის მაგიერ მხოლოდ ერთი ჯ ბგერა ლაა შერჩენილი, და ამას გარდა იმ თვალსაზრისითაც, რომ ცალკეული თითონ ნაცვალსახელის ჟუჯ, ძიჯ, ვუჯ ფორმებს სქეს-კატეგორიის ნიშნებად 1. სქეს-კატეგორიისათვის ჟუ თავსართი აქვს, 2 სქეს-კატეგორიისათვის-კი ძი. თანამედროვე წახურულს თავსართოვანი სქეს--კატეგორიის ნიშნები მხოლოდ ზმნის ფორმებში-ღა აქვს შერჩენილი, არსებითსა და ზედსართავს სახელებსა და რიცხვითს სახელებში, ზმნისზედასა და თანდებულებში-კი ბოლოსართოვანი წარმოებაა გაბატონებული. ამაზე უფრო საყურადღებოა, რომ მეტყველების ყველა ამ ნაწილებში 1. და 2 სქეს-კატეგორიების ნიშნად რ ბოლოსართია, 3-ისა ბ და 4-ისა დ. თითონ-ის ცალკეულს ფორმებს-კი, როგორც დავრწმუნდით, 1 სქეს-ისათვის ჟუ თავსართი, 2 სქ-თვის-კი ძი თავსართი აქვს. ცხადია, რომ ამ ცალკეულს ნაცვალსახელს სქეს-კატეგორიების ნიშნებიც უფრო ძველი აქვს დაცული და წარმოების წესიც უფრო აღრინდელი შეუნარჩუნებია, ვიდრე ბოლოსართ ფორმანტებს ჯარ-სა და დანარჩენ სქეს-კატეგორიებს.

§ 4. კითხვითი ნაცვალსახელები

ვინ? — ჰაშშუნა, ჰაშშუნӓ, მრ. რ. ჰაშშბუნა, რომლის მიც. ბრ. შაჟუს(დӓ) არის და დანარჩენს ბრუნვებსაც შაჟუ ძირი აქვს.

რა? — (ჰუ)ჯონӓ, (აუ)ქონӓ, (უ)ქონӓ, უქონ (4 სქ.), რომლის მიც. ბრ. ნიშისგნӓ არის და დანარჩენი ბრუნვებიც ნიში-საგანაა ნაწარმოები.

რანაირი? — ნӓხურნა (1 სქ.), — ნӓხერნა, ანდა ნӓხგრნა, — ნӓხობნა, ანდა ნӓხგბნა (3 სქ.) და ნӓხდინ (4 სქ.), — მრ. რ. ნӓხბგნ (1 და 2 სქ.) და ნӓხდინ (4 სქ.). დანარჩენი ბრუნვები ამ ნაცვალსახელს ნენანӓ (1, 2 და 3 სქ.) და ნენ (4 სქ.) ნაცვალსახელისაგან აქვს, რომელიც რანაირი?-ს, როგორი?-ს, რომელი?-ს აღმნიშვნელია (წახ. ე. გვ. 39). ამ ნაცვალსახელის კანკლედობის თავისებურობას-კი ის შეადგენს, რომ ნენ ფუძესა და ნა-დაბოლოებას შორის 1. სქ. ლუ, 2. სქ ლე, ხოლო 3. და 4. სქ. ჩი მარცვლები ჩნდება.

ად. დირრი ამბობს, რომ ზემომოყვანილი ნაცვალსახელების ნӓ კითხვითი ნაწილაკია, ხურნა-კი იმავე ელემენტებისაგან შესდგება, რაც მახურნა-შია, მაგრამ ლ-სა და ჩი-ს რაობა განმარტებული არა აქვს (იქვე, გვ. 39).

ნაცვალსახელებზე მსჯელობის დამთავრებისას, ად. დირრს შემდეგი შენიშვნა მოეპოვება: აქამდის კიდევ ერთი ნაცვალსახელის შესახებ და არ გვქონია საუბარი, რომელიც თითქოს ჩ-ფუძისაგან უნდა იყოს წარმომდგარი. მე მხოლოდ შემდეგი მისი ფორმები ვიცი: **ჩის, ჩისსჾ, ჩილჾ, ჩილ, ჩინა, ჩინ, ჩინი**. მაგრამ ისინი მე მხოლოდ **მანჩინა, მანჩინ** და სხ. ნაცვალსახელის შემოკლებულ ფორმებად მიმაჩნია ისევე, როგორც ქართულად ხალხი „მოდი“-ს მაგიერ „მო“-ს ხმარობს ხოლმე, მაგრამ ეგების ეს ჩემი მოსაზრება სრულიად უსაფუძლოაო (წახ. ე. გვ. 50). დირრს აქ განმარტებული არა აქვს ამ **ჩის** „ნაცვალსახელის“ მნიშვნელობა, თავის ლექსიკონში-კი „**ჩის**“ შეტანილი არა აქვს, არამედ „**ჩისსა**“, **ჩისსჾ, ჩილ**“ და მის მნიშვნელობად დასახელებულია „ამიტომ“ („поэтому“) და აქვე მითითებული აქვს: შეადარე კუთვნილებითი ნაცვალსახ. ბოლოო (წახ. ე. გვ. 214), სადაც როგორც მკითხველი დარწმუნდებოდა, ადამიანი ვერავითარ განმარტებას ვერ იპოვის.

ად. დირრის **ზემომოყვანილი მოსაზრება**, რომ **მართლაც მცდარია**, შესაძლებელია თვით დირრის ჩანაწერებითაც დამტკიცდეს. მას რომ თავისივე მასალები გადაეკითხა, დარწმუნდებოდა, რომ **ჩ**- ფუძე მარტო **მანჩინა**-ში („მისი“)-კი არა გვხვდება, არამედ ბევრგან სხვაგანაც, მაგ. **შენჩინა**-სა, **ნენჩინნა**-სა, **სარენჩის**-სა და საერთოდ-კი ყველგან 3 და 4 სქეს-კატეგორიების ნათ. და სხ. ბრუნვების ფორმებში. თუნდაც ამ გარემოებითგანაც ჩანს, რომ აქ მარტივ მოვლენასთან-კი არა, არამედ საყურადღებო საკითხთანა გვაქვს საქმე.

წახურული ნაცვალსახელი **სანახანლურ**, რომელიც ურთიერთ-ს, ანუ **ერთმანერთსა** ნიშნავს, **ერთის** სახელის სა-საგან არის ნაწარმოები (წახ. ე. გვ. 44). მაგრამ იგი იმ მხრივაა საყურადღებო, რომ მისს ორნაწილედს აგებულებას **სანა**-სა და **სანლუნ**-ს, **წახურული ერთი-ს სხვაგან უცნობი ფორმა აქვს დაცული**. მართლაც, ამ ნაცვალსახელის მეორე ნაწილი **სანლუნ** 1-ის ნათ. ბრ. ფორმაა, **სანა**-კი, ცხადია, სახ. ბრუნვა უნდა იყოს და მთლიანად **სანასანლუნ** თავდაპირველად **„ერთ-ერთის“**, ანუ **„ურთიერთის“** აღმნიშვნელი ყოფილა. **თანამედროვე წახურულს ერთის სახელად, ან სა აქვს, ანდა საგნების დაუსახელებლივ თვლის დროს, ორი ფორმა საბ და სად არის ხოლმე მიღებული (წახ. ე. გვ. 51 და 52). ამ ურთიერთის წახურულს სახელში-კი ერთის სულ სხვა სქეს-კატეგორიის სანა ფორმა გვაქვს დაცული. ეს იმიტომაც არის საგულისხმო, რომ 6 სქეს-კატეგორიის ნიშნად თანამედროვე წახურულს არსადლა უჩანს.**

თავი მერვე

რუთულური ნაცვალსახელები

რუთულურში, საკუთრივსა და ადგილობრივს გარდა, **შინაზური** კილოც არსებობს, რომელიც ზოგი რამით განსხვავდება. ქვემომოყვანილს ცნობებში (შ.)-ით აღნიშნული ფორმა სწორედ შინაზურს კილოსას გულისხმობს.

§ 1. პირთა ნაცვალსახელები

1. „მე" — ზჷ, ზუ, — ზჷ (შ.)
   ნათ. (ჲ)იზდჷ, — იზდჷ (შ)
   მიც. ზას, — ზას (შ)
   მოქმ. ზა(დ), — ზჷჲ (შ.)

2. შენ — ჳჷ, ჳუ, უ, — ღუ (შ).
   ნათ. უდჷ, — ჳუდჷ (შ.).
   მიც. ჳას, — ჳას (შ.).
   მოქმ. ჳა(დ), — ღუჲ (შ.)

3. ის — ჰა (დ) 1 და 2 სქ.
   ნათ. ჰა̂ნიდჷ " ", — ჰა̂დიდ (3 და 4 სქ.).
   მიც. ჰა̂ნიის " ", — ჰა̂დის " "
   მოქმ. ჰა̂ნია " ", — ჰა̂დირა̈.

მრ. რ.

1. ჩვენ — ჲა̈, — ჟი (შ.)
   ნათ. — ჲიხტჷ, ჲიჰ‘დჷ, — იშდჷ (შ.).
   მიც. — ჲა̈ს, — ჟეს (შ.).
   მოქმ. — ჲა̈(დ), — ჟიი (შ.).

2. თქვენ — ვა̈, — ჟუ (შ.).
   ნათ. — ჳუხტჷ, — უშდუ (შ.).
   მიც. — ვა̈ს, — ჟჳეს (შ.).
   მოქმ. — ვა̈(დ), — ჟუჲ (შ.).

3. ისინი — ჰა̂ბურ (1 და 2 სქ.).
   ნათ. — ჰა̂ბიშტჷ " ", — ჰა̂მჷდ (3 და 4 სქ.).
   მიც. — ჰა̂ბიშჷს " ", — ჰა̂მჷს " "
   მოქმ. — ჰა̂ბიშა̈ " ", — ჰა̂მჷრა, — ჰა̂მრა (შ.).

(რუთ. ე., გვ. 35-36 და 37).

რუთულური პ. ნაცვალსახელების კანკლედობის განხილვისას უნდა გვახსოვდეს, რომ ნათ. ბრ. თავისებურება აქვს იმ მხრივ, რომ მას **ნათ. ბრ. ნიშნად დჷ (ტჷ) და დ ბოლოსართი მოეპოვება,** დანარჩენ კვრულ ენათა **ნ** ფორმანტის მაგიერ, მაგ. **მამა** რუთულურადაა **დიდ**, მამის—**დიდტჷ**, **დედა** — **ნინ**, დედის — **ნინდჷ**, (რუთ. ე. გვ. 6-7). ად. დ ი რ რ ს აღნიშნული აქვს, რომ რუთულურში **დჷ** (**ტჷ**) ზედსართავი სახელების ფორმანტიც არის და ამიტომაც ფიქრობდა, რომ ნათ. ბრ. ფორმა არსებითად ზედსართავიაო (იქვე).

§ 2. რუთულური კუთვნილებითი სახელები

ჩემი — (ჲ)იზდჷ, — იზდჷ (შ.). **ჩვენი** — ჲიჰ‘დჷ, ჲიხტჷ, — იშდჷ (შ.).
შენი — ვუდჷ, — ჳუდჷ (შ.) **თქვენი** — ჳუხტჷ, — უშდუ (შ.).
მისი — ჰა̂დიდჷ (1 და 2 სქ.), ჰადიდ (3 და 4 სქ). **იმათი** — აბიშტჷ (1 და 2 სქ.) ჰა̂მჷდ (3 და 4 სქ).

(რუთ. ე. გვ. 46).

§ 3. რუთულური ჩვენებითი ნაცვალსახელები

3. პ. ნაცვალსახელად მიჩნეულს ჰა-ს გარდა, რუთულურს ჩვენებითი ნაცვალსახელებად კიდევ მი და თი-ც აქვს. ამათგან მი ნიშნავს „ეს“-ს, თი-კი „ის“-ს. ორივე ჰე-სთან შერწყმითაცა და ცალკეულადაც იხმარება.

ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲗᲘ ᲜᲐᲪᲕᲐᲚᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲙᲚᲔᲓᲝᲑᲐ.

1 და 2 სქ.	3 და 4 სქ.	1 და 2 სქ.	3 და 4 სქ.
„ეს“ — (ჰე)მი(დ)		„ესენი“ — (ჰე)მიბურ	
ნათ. — (ჰე)მირ́ნიდგ	(ჰე)მირ́დიდ.	(ჰე)მირ́პიშტგ,	(ჰე)მირ́მგდ
მიც. — (ჰე)მირ́ნიის	(ჰე)მირ́დის.	(ჰე)მირ́პიშის,	(ჰე)მირ́მგს
მოქმ.— (ჰე)მირ́ნიჲ̆	(ჰე)მირ́დირჲ̆.	(ჰე)მირ́ბიშჲ̆,	(ჰე)მირ́მგრა.

1 და 2 სქ.	3 და 4 სქ.	1 და 2 სქ.	3 და 4 სქ.
„ის“ — (ჰე)თიდ		„ისინი“ — ჰეთიმპურ	
ნათ. — (ჰე)თირ́ნიდგ	ჰეთირ́ნდნდიდ,	ჰეთირ́ნპიშტგ,	ჰეთინმგდ
მიც. — ჰეთირ́ნიის	ჰეთირ́ნდის	ჰეთირ́ნპიშის,	ჰეთინმგ
მოქ. — ჰეთირ́ნიჲ̆	ჰეთირ́ნირჲ̆,	ჰეთირ́ნბიშჲ̆,	ჰეთინმგრჲ̆

(რუთ. ე. გვ. 38-39).

ის ნაცვალსახელი ჰა და მასთან ერთად შერწყმული „ერთის“ აღმნიშვნელი სა(დ), ჰასა(დ), ისევე როგორც ჰასა(დ)ბურ „ესეთი“-ს გამომხატველია (იქვე გვ. 39).

§ 4. უკუქცევითი ნაცვალსახელები

უკუქცევითი ნაცვალსახელი ᲗᲘᲗᲝᲜ რუთულურად ჯ ბგერით გამოიხატება. მას მხოლოდ სათანადო სქეს-კატეგორიის თავსართოვანი ნიშანი ახლავს ხოლმე და ამიტომაც თითონ 1. მამრ. სქესის გონიერი არსების აღმნიშვნელი იქმნება ჟუჯ, - 2. დედრ. სქ. გონიერი არსების აღმნიშვნელი რგჯ,— რიჯ (შ), - 3. პირუტყ. სქ. — ჟგჯ(?), (შ). და 4 სქ.-ქ. — ძიჯ (შ.). საყურადღებოა, რომ კანკლედობაში ეს სქეს-კატეგორიის თავსართები ქრება და მხოლოდ ძირი-ღა რჩება, სახელდობრ:

სახ. ჟუჯ, — ნათ. ჯუდუ, ანდა ჯუჰძლუ, — მიც. ჯუს,, ანდა ჯუჟუს, — მოქმ. ჯუ, ანდა რიჯ, მიც. ჯის, მოქმ. ჯის, — მრ. რ. სახ. ჯუერ, მიც. ჯუს და მოქმ. ჯუ̄ (რუთ. ე. გვ. 44).

ᲗᲘᲗᲝᲜ ნაცვალსახელის სქეს-კატეგორიების ფორმები ფრიად საყურადღებოა იმიტომ, რათგან თანამედროვე რუთულურს 1 სქეს-კატეგორიისათვის ნიშნად ჟ ბგერა-კი არა აქვს, არამედ რ. მესამე კარის შემდგომ უკვე ვიცით, რომ მამრ. სქესის ძირითადი და თავდაპირველი ნიშანი სწორედ ჟ არის და ამიტომაც ცხადი ხდება, რომ რუთულურს ᲗᲘᲗᲝᲜ-ს სქეს-კატეგორიების ძველი ნიშანი კარგად ჰქონია დაცული.

§ 5. კითხვითი ნაცვალსახელები

„ვინ?“ — ჶუშ, უშ(ი), — „რა?“ — შიჶ, შივ.
„რომელი“ — შუდგ, — „რანაირი?“ — ჰილდგ.

„ვინ?“ ნაცვალსახელის ნათ. და დანარჩენი ბრუნვების ძირი ჶუშ-ისგან სრულებით განსხვავებული ჰალ-ია. ხოლო „რა?“-სი, შიჶ და შივ-ისაც — ჰი. ამიტომაც ვისი იქნება ჰალდგ, ვის — ჰალგს, ვისით — ჰალ. ამნაირადვე, რით ჰიდძრა (რუთ. ე. გვ. 41).

თავი მეცხრე

კვრული ნაცვალსახელები

§ 1. პირთა ნაცვალსახელები

კვრულს პირთა შემდეგი ნაცვალსახელები აბადია:

მხ. რ.	მრ. რ.
მე — ზუნ	ჩვენ — ჩუნ
შენ — ჶუნ	თქვენ — ქხჷვნ.
ის — ამ, ამა.	ისინი — აბურ.

(უსლ. კვრ. ე. 59).

კვრული ნაცვალსახელების ბრუნება

	მე	ჩვენ
სახ.	ზუნ	ჩუნ
ნათ.	ზინ, ზი	ჩინ, ჩი
მიც.	ზაზ	ჩაზ
მოქმ.	ზა	ჩინჰ
	შენ	**თქვენ**
სახ.	ჶუნ	ქხჷვნ
ნათ.	ჶინ, ჶი	ქსჷვნ, ქხჷვ.
მიც.	ჶაზ	ქხჷუეზ.
მოქმ.	ჶუნა, ნა	ქხჷვნე
	ის	**ისინი**
სახ.	ჰმა, ამ	ჰბურ
ნათ.	ჰდან, ჰდა	ჰბურუნ, ჰბურუ
მიც.	ჰდაზ	ჰბურუზ
მოქმ.	ჰდა	ჰბურუ

(კვრ. ე. 59).

ზემომოყვანილითგან ჩანს, რომ კრულს პირთა ნაცვალსახელებს ყველა ბრუნვებში ძირისა, თუ ძირად მიჩნეული ელემენტის მთლიანობა მკაცრად აქვს დაცული.

მხ. და მრ. რ. 1 და 2 პ. ნაცვალსახელებს კრულშიც ყველას ბოლოკიდურ ბგერად ნ აქვს (ზუნ, ჟუნ, ჩუნ და ქხივნ) და იმავე დროს მხ. რ. და მრ. რ. ნაცვალსახელები ბგერითი შედგენილობით ერთიმეორისაგან განირჩევიან. თანხმოვნები სხვა და სხვაა და მხოლოდ მომდევნო ხმოვანი უ აქვთ მათ საერთო. ამიტომაც 1. და 2. პ. მხ. და მრ. რიცხვების ფორმები სხვა და სხვა ძირის სიტყვებად მოჩანს და ბოლოკიდური ნ-ც, ცხადია, ძირეული-კი არა, არამედ მაწარმოებელი ელემენტია.

§ 2. ჩვენებითი ნაცვალსახელები

კრულს ჩვენებითი ნაცვალსახელები ბლომად მოეპოვება, რათგან ზოგი მათგანი ადგილმდებარეობის მაუწყებელიც არის. ი, ა, ათა, ჟანი, ალა და ჰა იხმარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენებითი ნაცვალსახელი არსებითს სახელს მიუძღვის ხოლმე წინ. ცალკეულად შემდეგს ხმარობენ: ი́მი — ეს, — ა́მა — ის, — ათა́მა — ის შორეული, — ჟანი́მა — ის ზევითი, — ალა́მა და აჰა́მა — ეს ქვეითი (კვრ. ე., გვ. 69).

როდესაც ჩვენებითი ნაცვალსახელი არსებითს სახელს მიუძღვის წინ, მაშინ იგი უცვლელი რჩება, ცალკეულად ნახმარს-კი შემდეგი ბრუნვებიანი კანკლედობა აქვს:

მხ. რ.

სახ.	ი́მი	ა́მა	ათა́მა	ჟანი́მა	ალა́მა	ჰა́მა
ნათ.	ი́და(ნ)	ა́და(ნ)	ათა́და(ნ)	ჟანიდა(ნ)	ალა́და(ნ)	ჰადა(ნ)
მიც.	ი́დაზ	ა́დაზ	ათა́დაზ	ჟანიდაზ	ალა́დაზ	ჰა́დაზ
მოქმ.	ი́და	ა́და	ათა́და	ჟანი́და	ალა́და	ჰა́და

მრ. რ.

სახ.	ი́ბურ	ა́ბურ	ათა́ბურ	ჟანი́ბურ	ალა́ბურ	ჰა́ბურ
ნათ.	ი́ბურუნ	ა́ბურუნ	ათა́ბურუნ	ჟანი́ბურუნ	ალა́ბურუნ	ჰა́ბურუნ
მიც.	ი́ბურუზ	ა́ბურ	ათა́ბურუზ	ჟანი́ბურუზ	ალა́ბურუზ	ჰა́ბურუზ
მოქმ.	ი́ბურუ	ა́ბურუნ	ათა́ბურუ	ჟანი́ბურუ	ალა́ბურუ	ჰა́ბურუ

(კვრ. ე., გვ. 69).

ზემომოყვანილი კანკლედობითგან ცხადი გახდება ყველასთვის, ვინც იქ მოყვანილს ფორმებს ჩაუკვირდება, რომ მი და მა ნაწილაკი მხ. რ. სახ. ბრუნვის გარდა არც ერთს სხვა ბრუნვაში აღარა ჩანს, მრ. რიცხვში, არამცთუ დანარჩენ ბრუნვებს, სახ. ბრუნვასაც კი არა აქვს. მათ მაგიერ ყველგან მხ. რიცხვში და ძირი ჩნდება, მრავლობითში-კი ბუ ძირია. არც ერთი ამათგანი ცალკეულად კვრულში, უსლარის ცნობებით მაინც, არ ჩანს და მათი რაობა გამოურკვეველია.

იმი, **ამა**, **ათამა** და **ჰამა** ფორმებს უმთავრესად მაშინ ხმარობენ, თუ რომ ცალკეულადაა, ანდა წინადადების ბოლოშია მოქცეული, ჩვეულებრივ-კი უფრო უბოლოკიდურო-ხმოვნოდ იხმარება **იმ**, **ამ**, **ათამ** და **ჰამ**-ის სახით (კვრ. ე. გვ. 70).

ჰა ნაწილაკი ზემოხსენებულს, ზემოაღნიშნულს, ნაჩვენებს გამოხატავს ხოლმე (იქვე, გვ. 72).

§ 3. უკუქცევითი ნაცვალსახელები

უკუქცევითი ნაცვალსახელი 1. და 2. პირისა ორივე რიცხვისათვის **ჟუჟ**-ია, რომელსაც ნათ. ბრ. აქვს **ჟუჟ-ან**, მიც. **ჟუჟაზ** და მოქ. **ჟუჟა**. მაგრამ ამ უკუქცევითი ნაცვალსახელის მაგიერ შესაძლებელია პირთა ნაცვალსახელების **ზუ**, **ფუ** **ჩუ**, **კჲუ**-ს სათანადო ფორმაც იყოს გამეორებული, მაგ. „მე თვით ჩემი და მიყვარს“ კვრულად შესაძლებელია ასეც ითქვას: „**ზაზ ჟუჟან ფახ ქანდა**“ და ასეც „**ზაზ ზი ფახ ქანდა**“ (კვრ. ე. გვ. 65), ე. ი. მეორე შემთხვევაში „მე თითონ“-ის („**ზაზ ჟუჟან**“) მაგიერ უკვე 1. პ. ნაცვალსახელის ორმაგი ფორმა („**ზაზ ზი**“) „**მე ჩემი**“-ა ნახმარი და უკვე 1. პ. კუთვნილებითს ნაცვალსახელადაა გამოყენებული.

უკუქცევითი ნაცვალსახელი 3 პირის **თითონ**, **თვით**-კი კვრულად არის **ფუჩ**, რომლის ნათ. ბრ. **ფიჩინ**, მიც. **ფიჩიზ**, მოქმ. **ფიჩი**, ხოლო მრ. რიცხვის ფორმად-კი უკვე არის **ჩებ**, ნათ. **ჩიპჲინ**, მიც. **ჩიპჲიზ**, მოქმ. **ჩიპჲი** (კვრ. ე. გვ. 68-69).

§ 4. კითხვითი ნაცვალსახელები

ვინ?—**ფუჟ**, რომლის ნათ. **ნინ**, მიც. **ნიზ**, მოქმ. **ნი**, მრ. რ. **ფუჟარ** ძალიან იშვიათად იხმარება, — **რა?** — **ფუჩ**, რომლის ნათ. **კჲუნ**, მიც. **კჲუზ**, მოქმ. **კჲუ** არის. **რომელი?**—**ჰი**, მრ. რ. **ჰიბურ**. ცალკეულად ხმარებისას **ჰიმი**-ა მიღებული (იქვე, გვ. 75 და 77).

თავი მეათე

თაბასარანული ნაცვალსახელები

თაბასარანული ნაცვალსახელები აქამდე განხილულს კვრულს, აღულურს, რუთულურსა და სხ. უმჭიდროესად ენათესავება, მაგრამ ზოგი საყურადღებო თავისებურებაც აქვს, რომელიც ცალკეულად განხილვას უფრო მიზანშეწონილად ხდის.

§ 1. თაბასარანული პირთა ნაცვალსახელები

მე — **იზუ**	**ჩვენ** — **იჰჲუ** (მე და ის), **იჩუ** (მე და შენ.
შენ — **ივუ**	**თქვენ** — **იჩჲუ**
ის — **დუმუ**	**ისინი** — **დუყრე**

პ. ნ. კანკლედობა

	მე	შენ	ის
სახ.	იზუ	ივუ	დუმუ
ნათ.	ჲაზ	ჲავ	დოღან
მიც.	იზუზ	ივუზ	დოღაზ
მოქმ.	იზუ	ივუ	დოღუ(ო)

	ჩვენ		თქვენ
სახ.	იჰɪუ (მე და ის, ისინი)	იჩუ (მე და შენ, თქვენ)	იჩɪუ
ნათ.	იჰɪ	იჩ	იჩɪ
მიც.	იჰɪუზ	იჩუზ	იჩɪუზ
მოქმ.	იჰɪუ	იჩუ	იჩɪუ

	ისინი
სახ.	დუყრე
ნათ.	დუყáრინ
მიც.	დუყáრიზ
მოქმ.	დუყáრი

(თაბ. ე., გვ. 33).

თაბას. ზემომოყვანილი პ. ნაცვალსახელების განსხვავებულ თვისებას ერთი მხრით ის შეადგენს, რომ არც ერთს მათგანს ბოლოში ნ არა აქვს. ამით ისინი კვრულისა, აღულური, ჯეკური, ბუდუხური, არჩული და უდური (მე-ს გარდა) პ. ნაცვალსახელებისაგან განირჩევიან და სამაგიეროდ რუთულურსა და წახურულს მიაგვანან. მაგრამ ეს განსხვავება სხვა ენებისაშიც გვხვდება და იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, როგორც მეორეა.

თაბასარანული ნ. მეორე და საყურადღებო თავისებურობას ის გარემოება წარმოადგენს, რომ 1. და 2. პ. მხ. და მრ. რ. პ. ნაცვალსახელები ყველა 0 ხმოვნით იწყება. არაფერი ამის მსგავსი არამც თუ სინდურ-ღილღურს ენეპში, არამედ თვით ლეგურ ენათა ლუნძურ-ანდი-დიდოურსა და ლუმუქურს შტოებშიც არა გაქვს. მეტის თქმაც შეიძლება: ბუდუხური, ხინალუღური და უდურის მრ. რ. 1. პ. გარდა, 0-თავკიდურიანი პ. ნაცვალსახელები არც ენათა კვრულ შტოს მოეპოვება. ეს გარემოება თაბასარანული ნაცვალსახელების ამ თავისებურებას მით უფრო საყურადღებოდ ხდის. რაკი თავკიდური ი ორივე რიცხვის ორივე პირის ფორმებს აქვს, ცხადია, რომ შეუძლებელია ეს მოვლენა შემთხვევითი იყოს, მაგრამ მარტო თაბას. მასალებით ამ თავკიდური ი-ს რაობას ვერ გამოვარკვევთ და ამიტომაც ამ საკითხის განხილვა უნდა შემდეგისათვის გადავდოთ.

თაბას. პ. ნაცვალსახელებს კანკლედობაში ძირის მთლიანობა აქვთ დაცული. ამას გარდა აღსანიშნავია, რომ 3. პ. ნაცვალსახელს გარდა, 1. და 2. პ. მხ. და მრ. რ. ნაცვალსახელების ფორმებს საერთო არა უჩანთ რა. სამაგიეროდ მრ. რ. 1. პ. მე და შენის, ანდა თქვენის აღმნიშვნელი ფორმა იჩუ ამავე რიცხვის 2. პ. იჩɪუ-ს გასაოცრად მიაგავს, რათგან ერთად-ერთს მათ განმასხვავე-

შელს მარტო **თქვენ**-ის **ჩ**-ს ლაბიალობა შეადგენს. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს მსგავსება შემთხვევითი იყოს და ამიტომაც ამის გამორკვევაც საჭიროა, მაგრამ ესეც სხვა ენოვანი მასალების გამოუყენებლივ შეუძლებელია.

§ 2. კუთვნილებითი ნაცვალსახელები

თაბასარანული კუთვნილებითი ნაცვალსახელებიც პ. ნ. ნათ. ბრ. ფორმებს წარმოადგენენ, მაგ. **ჩემი** არის **ჲაზ**, შენი — **ჲავ**, **მისი** — **დღან**, **ჩვენი** — **იჰ** (ჩემი და მისი, მათი) და **იჩ** (ჩემი და შენი, თქვენი), **თქვენი** — **იჩ**, **იმათი** — **დუყარინ**. (თაბ. ე., გვ. 35—36).

§ 3. თაბასარანული ჩვენებითი ნაცვალსახელები

თაბასარანულს ბევრი ჩვენებ. ნაცვალსახელები აბადია, მაგრამ ყველა მათგანის ძირითადს, საერთო ნაწილს **მუ** მარცვალი შეადგენს. ამ ნაწილაკს, ან ბოლოში, ანდა თავში კიდევ ერთვის ხოლმე მარცვალი, რომელიც მნიშვნელობას განსხვავებულ ელფერს ანიჭებს ხოლმე. ამნაირად აქვს თაბასარანულს ჩვენებითი ნაცვალსახელების უხვი მარაგი შექმნილი.

ზოგადად, ადგილმდებარეობის განუსაზღვრელად, 3. პ. მაჩვენებელ ნაცვალსახელად თაბასარანულს **დუ** აქვს, რომელიც განურჩეველად ესე-საცა და **ისი**-ს აღმნიშვნელიც არის. როცა ძლიერი მახვილით ითქმის ხოლმე, მაშინ **დუ**-ს მაგიერ **თუ** ისმის.

მუ-კი ახლობელობის გამომხატველია, ესე-ს უდრის. მრ. რ. **მუყიე**-ა, **მუმუ**, ე. ი. გაორმაგებული **ეს-ეს** აქ-მყოფელობის გამომხატველია, ე. ი. **ეს**—**აქაური**-ა. პირიქით **კხუმუ** უკვე **ეს ზევითი**-ა, მაგრამ საგულისხმოა, რომ მხ. რ. იქმნება **კხუყრე**, ე. ი. მეორე მარცვალი **მუ** ქრება.

დუმუ ნიშნავს შორეულს, **ის**-ს. მაგრამ მისი მრ. რ. ფორმაც **დუყრე**-ა, ე. ი. აქაც მეორე მარცვალი **მუ** ქრება.

ჩუმუ შორეულის ძირს-მყოფელობის აღმნიშვნელია, **ის ქვეითი**-ს გამომხატველია. მრ. რ.-ში აქაც **მუ** მარცვალი აღარ ისმის და **ჩუყრე**-ა.

თაბასარანულს ამასთანავე მითითებითი **ჰა** ნაცვალსახელიც აბადია, რომელსაც ყველა ზემოჩამოთვლილი ჩვენებითი ნაცვალსახელები ერთვიან ხოლმე და ამნაირად წარმომდგარია მითითებით-ჩვენებითი ნაცვალსახელების შემდეგი მწკრივიც: **ჰამუ**, ანუ **ჰამმუ**, მრ. რ. **ჰამუყრე**, — **ჰადუმუ**. მრ. რ. **ჰადუყრე**, — **ჰაჩუმუ**, მრ. რ. **ჰაჩუყრე**, — **ჰაკხუმუ**, მრ. რ. **ჰაკხუყრე**. აგრეთვე **ჰალმუ** და **ჰრლმუ**-ც არსებობს, რომელიც **ეს ზევითი**-ს **ალმა**-ს, აღმნიშვნელია, და **დამ(უ)ჰა**, რომელიც **იქითი**-ს გამომხატველია (თაბ. ე. გვ. 37—38).

„**ეს ზევითი**“-ს, **ალმას** თაბას. სახელი **ჰალმუ** და **ჰრლმე**, რასაკვირველია, **ჰა** და **კხუმუ**-საგან არის წარმომდგარი, მხოლოდ **კხ** შენაცვლებულია ლ-დ, თანაც, მითითებითი და ჩვენებითი ნაცვალსახელების შერწყმის დროს, შუა **უ** ხმოვანიც არის გამქრალი.

ცალკეულად ნახმარს ჩვენებითს ნაცვალსახელებს ჩვეულებრივი კანკლედობა აქვთ, ხოლო შესიტყვებაში ნახმარი, უცვლელია ხოლმე. ამასთანავე ხშირად ჩვენებითი ნაცვალსახელი განმსაზღვრელი ართრონის მაგიერადაც გვევლინება (თაბ. ე. გვ. 38).

§ 4. თაბასარანული უკუქცევითი ნაცვალსახელები

თითონ, თვით ნაცვალსახელის გამოსახატავად თაბასარანულს ორი სიტყვა, **ჩან** და **უჩ**, აბადია. **ჩან**-ს ორი კატეგორიის ფორმა აქვს. **ჩან** გონიერ არსებათა აღსანიშნავად არის განკუთვნილი, უკეთუ არაგონიერზეა საუბარი, მაშინ-კი ამის მაგიერ **ჩაბჾ**-ს ხმარობენ ხოლმე. მაგ. **თავის** სახლში — **ჩ ა ნ ხოლაზ, თავისი** დეიდა — **ჩ ა ნ ხალაძ, თვით** ბოქლომი-**ჩ ა ბ ჾ - რა ჯკნკრგ** (თაბ. ე. გვ. 40 — 41).

ამ **ჩან**-ის სათ. ბრ. იქმნება **ჩაზ**, ხოლო მრ. რ. **ჩი(ვი)ნ** (იქვე გვ. 40).

რაკი გონიერთა სქეს-კატეგორიის ფორმა არის **ჩან**, არა-გონიერთა-კი **ჩაბჾ**, ცხადი ხდება, რომ **ისევე, როგორც ბოლოკიდური ბჾ უკანასკნელ ფორმაში არა-გონიერთა სქეს-კატეგორიის ფორმანტი და ნიშანია, ამგვარადვე პირველი ფორმის ბოლოკიდური ნ-ც გონიერთა სქეს-კატეგორიის ბოლოსართი** უნდა იყოს. ამნაირად, **ძირი ჩა ყოფილა.** ეს გარემოება იმ მხრით არის საყურადღებო, **რომ თანამედროვე თაბასარანულს გონიერთა სქეს-კატეგორიის ნიშნად ნ ბოლოსართი არა აქვს, არამედ რ,** ამიტომ გამოსარკვევია, ეს **ნ** ბოლოსართი ამ უკუქცევითს ნაცვალსახელში რ-ს შენაცვლებაა, თუ წინათ არსებული სქეს-კატეგორიათა ნიშნის ერთ ნაშთაგანს წარმოადგენს.

თუ **ჩან** და **ჩაბჾ** უფრო **თვისი**-ს გამომხატველია და ამიტომაც უკუქცევით-კუთვნილებით ნაცვალსახელად არის მისაჩნევი, **უჩ** მხოლოდ **თითონ**-ს ნიშნავს. მაგ. „**თითონ** რუსტამზალის პაპასთან" — **უ ჩ ı** რუსთამზალდინ ავჰჲიჰნა" (თაბ. ე., გვ. 41).

§. 5. თაბასარანული კითხვითი ნაცვალსახელები

ვინ? — ფუვ. რა? რანაირი? — ფი
როგორი, რა ჯურისა? — ფიჯურ
რანაირი? — ფიჯე
ხადაური? რა? — ნაგაშıრი (ნაგ+შı+რი), მრ. რ.
ნაგაშırარ (თაბ. ე., გვ. 56).

თავი მეთერთმეტე

უდური ნაცვალსახელები

უდური ნაცვალსახელები კვრული ჯგუფისას მიაგავს და განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, ვითარცა ალბანურ ენათა ნაშთი. საგულისხმოა ის მჭიდრო კავშირი, რომელიც მას მეტყველების ამ ნაწილშიც დაღისტნის ლეგურ ენებთან ემჩნევა.

§ 1. უდური პირთა ნაცვალსახელები

	მე — **ზუ**	ჩვენ — **ჲან**
სათ.	— **ბეზი**	**ბესშıი**
მიც.	— **ზა**	**ჲა**

შემას. — ზახ. ჷახ
მოქმ. — ზახო ჷახო

შენ — უნ თქვენ — ჟ̈ან

ნათ. ვი ეჶი, ეჶან
მიც. ვა ჟ̈ა
შემას. ვახ ჟ̈ახ
მოქმ. ვახო ჟ̈ახო

ის — შენო, შონო

ნათ. შეტაი, შეტუი, შჷტაი
მიც. შეტუ
შემას. შეტუხ
მოქმ. შეტუხო

ისინი — შონორ, შენორ, შჷნორ

ნათ. შეტოლოი, შჷტლოი
მიც. შეტოლო
შემას. შეტოლოხ
მოქ. შეტოლოხო

(უდ. ე., გვ. 31 და შეს. იხ. 336)

მხ. რ. 1. პ. ნაცვალსახელს გარდა, უდურს ყველა ნაცვალსახელებს ბოლოკიდურ ბგერად ნ. აქვს. 1. პირსაც წინათ ექმნებოდა, თუმცა უდურში ეს თანხმოვანი ყველგან ძირისეული არ არის.

უდური ნაცვალსახელების კანკლედობის მთლიანობას მხოლოდ მხ. რ. 1. და 2. პ. ნაცვალსახელების ნათ. ბრ. ფორმა არღვევს: მე თუ ზუ არის, ჩემი უკვე ბეზი-ა და, ჩვენ თუ — ჷან, ჩვენი — ბესშჷი-ა.

რაკი უდური 1. პ. ნ. ძირი ყველა ბრუნვებში ზ არის და არც ერთ სხვა ბრუნვაში ბე მარცვალი არც 1. პ-ისა და არც 2. პ. ორივე რიცხვის ნაცვალსახელებს არ უჩანს, ამიტომ ცხადია, რომ ეს ბე არც 1. პ. ნ. ძირთან შეიძლება იყოს დაკავშირებული და არც რომელიმე ბრუნვის ნიშნად არის მისაჩნევი. ამისდა მიუხედავად, ეს ბე მარცვალი რომ შეუძლებელია მაინც შემთხვევითი შენაზრდი იყოს, ამას თუნდაც ისიც ცხად ჰყოფს, რომ მრ. რ. 1. პ. ჩვენ-ის ნათ. ბრ.-საც თავკიდურ მარცვლად ბე აქვს.

უდური 1. პ. ორივე რიცხვის ნაცვალსახელის ნათ. ბრ. ამ ფორმების ზემოაღნიშნული თავკიდური ბე მარცვლის რაობის მისაგნებად მხოლოდ არჭული ენის 1. პ. ორივე რ. ნაცვალსახელის ნათ. და მიც. ბრ.-ისავე ოთხი ფორმის, **ჟის, დის, ბის, ის, — ჟეზ, დეზ, ბეზ, ეზ** და **ულუ, დოლო, ბოლო, ოლო, — ჟელ, დელ, ბელ, ელ**-ის გახსენებაა საჭირო. უკვე ვიცით ხომ, რომ **ბი** და **ბე** ამ ფორმებში 3. **სქეს-კატეგორიის თავსართოვანი ნიშანია. უეჭველია, ამავე თვისების თავსართის შეზრდილი ნაშთი უნდა იყოს უდური 1. პ. მხ. და მრ. რ. ნაცვალსახელის ნათ. ბრ. თავკიდური ბე-ც.** რაკი უდურს 3. სქესკ. ფორმა

შეჰრჩენია, ცხადია, რომ წინათ მასაც, არჭულის მსგავსად, ოთხივე სქსკ. ფორმა ექმნებოდა.

მრ. რ. 1. პ. ნ. უდური **ჲან**-ის მსგავსი მხოლოდ ბუდუხური **ჲინ** და ნაწილობრივ ხინალუღური **ჲირ**-ც არის. **ჲა** მარცვალი უდურს **ჩვენ** ნაცვალსახელს მიც., შემასმ. და მოქმ. ბრუნვებშიც აქვს შენარჩუნებული. მაგრამ ნათ. ბრ. **ბესშჲი** არის, რომელსაც, **ბე** სქეს-კატეგორიის შენაზრდი თავსართის ჩამოცილების შემდგომ, ძირად **სშჲი** უჩანს, **ჲა**-ს მაგიერ. ეს **სშჲი**-კი იგივეა, რაც წახურული „ჩვენ" **ში**, რუთულური **ჟი** და, უეჭველია, ჯეკური **ჟინ**-იც არის. ამის შემდგომ ბუნებრივად იბადება **ჲ**-სა და **ჟ**-ს პირველადობის საკითხი, რომელზედაც ამ ნაცვალსახელის ძირის მთლიანობის საკითხიც არის დამოკიდებული.

შენ უდური **უნ** კარგად უდგება არჭულს, რომელსაც 2. პ. მხ. რ. ასეთივე ნაცვალსახელი აქვს, და კვრულის, ადუღური, ჯეკური და ბუდუხურის **ჶუნ**-ს (იხ. ალულ. ე. 158: და აქვე სათანადო ადგილას). მრ. რ. 2. პ. უდურს ნაცვალსახელს **ჶან**-ს-კი მხოლოდ ჯეკური **ჶინ** და ბუდუხური **ვინ** უჭერს მხარს.

3. პ. მხ. და მრ. რ. ნაცვალსახელს **შენო**, **შონო** და **შენორ**, **შონორ**, **შჷნორ**-ს ერთი ძირი აქვს და მრ. რ. მხოლოდ მრ. რ. ფორმანტით განსხვავდება მხ. რ. ფორმისაგან. ძირად **შე**, ანუ **შო** ჩანს, რომელიც პირთა ნაცვალსახელების წარმოშობილობისა არ არის.

აღსანიშნავია, რომ მხ. და მრ. რ. დანარჩენ ყველა ბრუნვებში ამ **შე** ძირს ერთვის **ტაი**, **ტუი**, **ტუ** (მხ. რ.-ში) და **ტო** (მრ. რ.-ში), რომლის შემდგომ უკვე ბრუნვის ნიშანი მისდევს. მისი რაობა ცალკეა გამოსარკვევი.

§ 2. უდური კუთვნილებითი ნაცვალსახელები

უდურშიც კუთვნ. ნაცვალსახელებად პირთა ნაცვალსახელების ნათ. ბრ. ფორმებია და ამიტომ **ჩემი** იქნება **ბეზი**, ანდა **ბეზ**, — **შენი** - **ვი**, — **მისი** — **შეტაჲ**, ანდა **შეტა**,— **ჩვენი** - **ბესშჲი**, ანდა **ბესშჲ**,— **თქვენი** — **ეჶი**, ანდა **ეჶ**,— **მათი**— **შეტოღო**, ანდა **შეტ(უ)ღო**. კუთვნილებითი ნაცვალსახელების მრ. რ. ფორმები არ არის. როდესაც კუთვნილებითი ნაცვალსახელები ცალკეულადაა ნახმარი, მაშინ კანკლედობა მათ ზედსართავი სახელების მსგავსად აქვთ, მაგ. **ჩემი** — **ბეზი**, **ჩემისა** — **ბეზიტაი** და სხ., ხოლო როდესაც კუთვნ. ნაც. სხვა სიტყვასთან ერთად არის ნახმარი, მაშინ უცვლელი რჩება. უდურს უკუქცევითი კუთვნილებითი ნაცვალსახელი **თვისი**-ც აქვს, **იჩიტაი**, ანდა **იჩუღო(ნ)**, მარტივად მხოლოდ **იჩ**-იც-კი (უდ. ე., გვ. 32).

§ 3. უკუქცევითი ნაცვალსახელები

თითონ უდურადაა **იჩ**, რომლის ნათ. ბრ. **იჩა**, მიც. **იჩუ**, შემასმ. — **იჩუხ**, მოქმ. **იჩეხო** არის (უ. ე. გვ. 33).

§ 4. უდური ჩვენებითი ნაცვალსახელები.

ეს — **ქა** **ესენი** — **ქანორ**

არსებითს სახელთან უცვლელნია, ცალკეულად-კი შემდეგი კანკლედობა აქვთ:

ნათ.˙ ქატაი
მიც. ქატუ
შემას. ქატუხ
მოქმ. ქატუხო

ცალკეულად თუ არის, ეს იქმნება ქანო.

	ის — მე	ისინი — მონორ, მცნორ.
ნათ.	მეტაი	მეტოლოი, მეტ(უ)ლოი
მიც.	მეტა	მეტოლო, მეტ(უ)ლო
შემას.	მეტუხ	მეტულოხ
მოქმ.	მეტუხო	მეტულოხო

ცალკეულად ნახმარი მონო, ანდა მცნო-ა

ის — ტე, შამე, — ამდენი — ტეშა, მეშა.

(უდ. ე., გვ. 31, 34—35).

§ 5. უდური კითხვითი ნაცვალსახელები

1. ვინ? — ხშჾუ (ნათ. ბრ. ხშჾი, მიც. ხშჾუ, შემას. ხშჾუხ, მოქმ. ხშჾუხო).
2. რა? — ეკა, რომლის ბოლოკიდური ა კითხვითი ბოლოსართია. მისი ნათ. ბრ. ეტაი, მიც. — ეტუ, შემას.—ეტუხ, მოქმ. — ეტუხო.
3. რომელი? — მანო (ნათ. ბრ. მატაი, მიც. მატუ, შემას. მატუხ, მოქმ. მატუხო), მრ. რ. რომელნი? — მანორ (ნათ. მატულოი, მიც. მატულო, შემას. მატულოხ, მოქმ. მატულოხო).

კითხვითს ნაცვალსახელებს თითქმის ყველას კითხვითი ა ბოლოსართი ერთვის ხოლმე (უდ. ე., გვ. 33—34).

თავი მეთორმეტე

აკუშური და ჰურკილური ნაცვალსახელები

ისევე, როგორც რიცხვითი სახელების განხილვის დროს დავრწმუნდით, ნაცვალსახელების მხრივაც აკუშურს ჰურკილურთან აქვს მჭიდრო კავშირი. ამიტომ მათი ნაცვალსახელების ერთად განხილვა უფრო მართებულიცა და უფრო მიზანშეწონილიც არის.

§ 1. მე-XVIII ს. აკუშური ნაცვალსახელები

Ich	მე — დუ Du	Wir	ჩვენ — ნუხჳა Nuchwa
Mein	ჩემი — დილა Dila	Unser	ჩვენი — დიგხელჲა Dichchelja.
Du	შენ — უგ Ug	Ihr	თქვენ — უშშა Ueschscha
Dein	შენი — ელჲა Elja	Euer	თქვენი — უშხელჲა Uschselja
Er	ის — ჰეჲხ	Sie	ისინი — ჰაიტტჲ Haitty
Wer	ვინ — ჩახაჲა Tschasaja		

Wessen	ვისი —	ილასაჳიჲა	Ilasawija
Wem	ვის —	ჰისაჳიჲა	Hisawija
Was	რა—	Sesabia	სესაბია
Hieher	აქ—	Hadsheb	ჰაჯებ
Dorthin	იქ—	Aiteb,	აჲტებ ანდა აჲთებ

(I. A. Güldenstädt. Reisen II, 520).

§ 2. ჰკრკილური თანამედროვე პირთა ნაცვალსახელები

	1. მე	2. შენ	3. ის
სახ.	ნუ	ჰუ	ჰიტ
ნათ.	დილა	ჰულა	ჰიტილა
მიც.	ნამ	ჰუდ	ჰიტის
მოქმ.	ნუნი	ჰუნი	ჰიტიინ

მრ. რ.

	1. ჩვენ	2. თქვენ	3. ისინი
სახ.	ნუშა	ჰუშა	ჰიტტი
ნათ.	ნუშილა	ჰუშილა	ჰიტჳლა
მიც.	ნუშიმ	ჰუშიმ	ჰიტტილის
მოქმ.	ნუშაან	ჰუშაან	ჰიტტილი

(ჰკრკ. ე. გვ. 52).

§ 3. აკუშურ-ჰკრკილური ნაცვალსახელების ანალიზი

ჰკრკილურს პირთა ნაცვალსახელების ყველა სქეს-კატეგორიისათვის საერთო სახელები მოეპოვება. ამგვარადვე **არც კუთვნილებითს ნაცვალსახელებს აქვთ სქეს-კატეგორიებისდა მიხედვით განსხვავებული ფორმები.** მხოლოდ უკუქცევითი **ნაცვალსახელის თითონ-ის სამი,** — მამრ., მდედრ. და საერთო **სქეს-კატეგორიისათვის განკუთვნილი ფორმა არსებობს.**

საკმარისია მხ. რ. 1. და 2. პ. ნაცვალსახელები **ნუ** და **ჰუ** მრ. რ. ამავე პირების **ნუშა**-სა და **ჰუშა**-ს შეადაროთ, რომ უმალ აზრი დაგებადოთ, რომ **შა** მრავლობითი რიცხვის ნიშანია. მაგრამ ჰკრკილურს მრ. რ. ნიშნები ბლომად აქვს, ყველას ბოლოში **ი** ხმოვანი უზის, თანხმოვან ელემენტად-კი ზოგს სიტყვებს **ნ**, ზოგს **ვ**, ან **მ**, ზოგს **რ** და ზოგს კიდევ **ტ** აქვს (ჰკრ. ე., გვ. 24). არსად ჰკრკილურში **შ** მრ. რ. ფორმანტად არ გვხვდება და ამიტომაც **მრ. რ. 1. და 2. პ. ფორმების შა-ს მრ. რიცხვის ნიშანთან საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს.** ეს დასკვნა რომ მცდარი არ არის, ამას მესამე პირის მხ. და მრ. რიცხვის ფორმების ერთმანერთთან შედარებაც ამტკიცებს: **ის** არის **ჰიტ**, მრ. რ. კი, **ისინი ჰიტტი**-ა. აქ, ისევე, როგორც ბევრგან სხვაგანაც, **ტი** მართლაც მრავლობის ფორმანტია. **შა**-კი აქ არ არის, მრ. რ. ნიშანი-კი რომ ყოფილიყო, აქაც იქმნებოდა.

მე-XVIII ს. ჩანაწერითგან ჩანს, რომ მაშინ **ჩვენ ნუშა**-კი არ **ყოფილა,** როგორც ეხლაა, არამედ **ნუხჭა, ხოლო თქვენ — კშა.**

ნუხუა ჩვენ, უეჭველია, 1. პ. მხ. რ. **მე** ნაცვალსახელს **ნუ**-სა და **ხუა**-ს შეიცავს. საფიქრებელია, რომ **ხუა** ბოლომოკვეცილი **ხუალა** უნდა იყოს. თანამედროვე ჰურკილურში ეს სიტყვა, უ ს ლ ა რ ი ს ცნობით, **დიდსა** და მაღალს ნიშნავს (ჰურკ. ე. 451), მაგრამ წინათ, როგორც ჩანს, **ბევრის** აღმნიშვნელიც უნდა ყოფილიყო. თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ **ჩვენ** ჰურკილურად თავდაპირველად „**მე ბევრი**-ს. ანუ „**ბევრი მე**“-ს აღმნიშვნელი ყოფილა.

თუ მე-XVIII ს. **თქვენ**-ის ფორმას **კუშა**-ს ჩავუკვირდებით და თანამედროვე **ჰოუშა**-ს შევადარებთ, ცხადი გახდება, რომ **შა** მარცვალი 2. პ. მრ. რ. ნაცვალსახელს მაშინაც ჰქონია. 1. პ. მრ. რ. თანამედროვე **ნუშა** ამ მეორე პირის ანალოგიით არის წარმომდგარი **ნუხუა**-საგან, თუ დამოუკიდებელი **ჰოუშა**-ს მსგავსი წარმოებაა, ამას ჯერ გამორკვევა სჭირდება. მაგრამ მთავარი საკითხი **შა**-ს რაობის გამორკვევაა.

ჰურკილურ პირთა ნაცვალსახელებს ძირების მთლიანობა ბრუნვებში მთლიანად დაცული აქვთ, 1. პ. მხ. რ. **ნუ**-ს გარდა, რომელსაც ერთად-ერთი გამონაკლისად ნათ. ბრ. ფორმა **დილა** მოეპოვება. მარტო თანამედროვე ჰურკილურს ენოვან მასალას რომ დაემყაროს მკვლევარი, ამ ფორმის სადაურობაცა და აგებულობაც სრულებით გაუგებარი იქმნებოდა, მაგრამ, თუ ის მე-XVIII ს. აკუშურის ჩანაწერში ჩაიხედავს, დარწმუნდება, რომ მაშინ **მე**-ს აკუშურად **დუ ჰრქმევია**. მაშასადამე, ნათ. ბრ. **დილა** მაშინ არამც თუ გამონაკლისს არ წარმოადგენდა, არამედ **სრულებით კანონიერი და ამ ნაცვალსახელის ძირის მთლიანობის დამცველი ფორმა ყოფილა**.

მე-XVIII ს. ჩანაწერის აკუშურის **ვინ** — **ჩასადა** ორნაწილედი სიტყვაა: მისი პირველი ნაწილი **ჩა** არის, რომელიც სწორედ **ვინ**-ს გამოხატავს, ხოლო მეორეა **სადა**, რომელიც **სადალ**-ის უბოლოკიდურ თანხმოვნო ფორმას წარმოადგენს. **სადალ** ცალკეულად „**ის თითონ**“-ს ნიშნავს (ჰურკ. ე., გვ. 56).

მაშასადამე, ვინც აკუშური კითხვითი **ვინ** ნაცვალსახელის ასეთ აღნაგობას გაითვალისწინებს, დარწმუნდება, რომ **ჩასადა** არსებითად „**ვინ ის თითონ**“-სა ნიშნავს.

ამავე კითხვითი ნაცვალსახელის ნათ. ბრ. „**ვისი**“ ფორმა **ილასავიდა**-ცა და მიც. ბრ. ფორმა „**ვის**“ **ჰისავიდა**-ც ამნაირადვე **ორნაწილედი სიტყვებია**. მათ მეორე ნაწილად, ცხადია, **სავიდა** აქვთ. **სავიდა** უნდა წარმომდგარი იყოს უფრო სრული **სავიდლა** ფორმისაგან, რომლის **ბოლოკიდური ა** ხმოვანი **ჰურკილურშიც დაცული კითხვითი ა ფორმანტი** (იხ. ჰურკ. ე. გვ. 786) **უნდა იყოს. სავიდლა-კი უკუქცევითი ნაცვალსახელის თითონ-ის სად** (**მამრ. სქ.**), **სარი (მდედრ. სქ.), სავი-ს** (საშ. სქ.), სახელდობრ **საშუალო სქეს-კატეგორიის, ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა. ხოლო ვისი-ს ილასავიდა-ს** პირველი ნაწილი **ილა-კი უნდა კითხვითი ვინ ნაცვალსახელის ჰურკილურშიც დაცული ჩა-ს ნათ. ბრუნვის შილა-ს** (იხ. ჰურკ. ე. გვ. 59) **უთავკიდურო-ბგერიანი ფორმა იყოს.**

ამნაირადვე **ვის**, მიც. ბრ. **ჰისავიდა**-ს **ჰი**-ს სრული ფორმის **ჰის**-ის ბოლოკიდური **ს** მომდევნო **სავიდა**-ს თან აქვს შერწყმული. თვით **ჰის** ბგერითი შენაცვლებით წარმომდგარი უნდა იყოს იმავე კითხვითი **ჩა** ნაცვალსახელის მიც.

ბრუნვის შიხ-ისაგან. მაშასადამე, **ილასავიჲა** — **ვისი თავდაპირველად აღმნიშვნელი ყოფილა „ვისი თითონ?“, ჰისავიჲა-კი „ვის თითონ?“**. მე-XVIII ს. ჩანაწერის აკუშური **რა-ც**, **სესაბია-ც** **სამი ნაწილისაგან არის** შემდგარი: პირველი **სე** ა. მეორე — **საბი**, მესამე-კი **ა** არის. ამათგან **ა** როგორც უკვე დავრწმუნდით, კითხვითი ბოლოსართია, **სე** არის სწორედ **რა**. თანამედროვე ჰვრკილურში **რას** ეწოდება **სი**. **სესაბია**-ს შუა ნაწილი **საბი**-ც, უეჭველია, უკუქცევითი ნაცვალსახელის **თითონ**-ის საშუალო სქეს-კატეგორიის ფორმა უნდა იყოს. თანამედროვე ჰვრკილურში იგი **სავი**-ს სახით იხმარება, მაგრამ მესამე სქეს-კატეგორიის თავდაპირველი ნიშანი **ბ** იყო და სწორედ იმიტომაც არის, რომ მე XVIII ს. ჩანაწერში **საბი**-ა ალბექდილი. მაშასადამე, **აკუშური რა**, **სესაბია**, **სიტყვა-სიტყვით რომ გადმოვაქართულოთ „სახელდობრ რა?-სა ნიშნავს.**

თავი მეცამეტე

ლეგურ-ალბანური ნაცვალსახელების ზოგადი მიმოხილვა

ცალკეულ ლეგურ-ალბანური ენების პ. ნაცვალსახელების განხილვის დროს არაერთი საკითხი დაგვრჩა, რომლის გადაწყვეტისათვის სხვა-და-სხვა ენების მასალის გამოყენებაა საჭირო, რაც მხოლოდ ზოგადს მიმოხილვაშია შესაძლებელი. ამას გარდა, ყველა აქამდე გამორკვეულ ცალკეულ გარემოებათა და თვისებების კვლავ გადაშინჯვა და გადათვალიერება ამ გზითაც ზოგად მოვლენათა აღნუსხვისა და ჯეროვნად გამოყენების საშუალებას მოგვცემს, ამიტომაც ამ თავში სწორედ ეს ამოცანა გვაქვს მიზნად დასახული.

ცალცალკეულს ანალიზებში თუმცა თითქმის ყოველგვარი ნაცვალსახელების აგებულება და პირველადი მნიშვნელობა გვქონდა განხილული, მაგრამ მაინც ამ ზოგადს მიმოხილვაში მხოლოდ, ანდა უმთავრესად პირთა, უკუქცევითსა და ჩვენებითს ნაცვალსახელებზე გვექნება მსჯელობა.

პ. ნაცვალსახელებითგან 1. და 2. პირისა უფრო რთული აგებულებისაა, 3. პ. ნ-ების ორივე რიცხვის ფორმები, თუ მთლად არა, მომეტებულად მაინც ჩვენებითს ნაცვალსახელებთან არიან დაკავშირებული და მათი აღნაგობაც შედარებით ადვილი გამოსარკვევია.

ლეგურ-ალბანურს პ. ნაცვალსახელებსაც დიდი ნაირნაირობა ეტყობა, მაგრამ მაინც მათი რამდენიმე ჯგუფად გაყოფა შეიძლება. აგებულებით მრ. რ. ნ-ები, მეტადრე 1. და 2. პირისა, მხ. რ. ნ-ებზე უფრო რთულია. ამას გარდა ლეგურ-ალბანური ენების პ. ნაცვალსახელების ცალკეულმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ, ერთ-ორ გამონაკლისს გარდა, მრ. რ. ნაცვალსახელები თავიანთი ბგერითი შედგენილობით მხ. რ. ნაცვალსახელებთან-კი არ არიან დაკავშირებული, არამედ მომეტებულად სხვა წარმოშობილობისა და აღნაგობისანი ყოფილან.

ლეგური ენების ნაცვალსახელების ცალცალკეული ანალიზის დროს სრული სიცხადით გამოირკვა, რომ პირთა ნაცვალსახელების აგებულების ნაწილების გასაგებად უკუქცევითი ნაცვალსახელების ცოდნას უაღრესი მნიშვნელობა ჰქონია:

ზევრგან, სადაც სათანადო პირის ნაცვალსახელოვანი ელემენტი იყო მოსალოდნელი, ნამდვილად უკუქცევითი ნაცვალსახელის ელემენტი, ან მისი ანარეკლი, ყოფილა. ამიტომაც პირველად სწორედ ამ საკითხის განხილვას შევუდგებით.

§ 1. უკუქცევითი ნაცვალსახელები

უკუქცევითი ნაცვალსახელების გამოსახატავად ღილღურსა და ლეგურს ენებში, როგორც ზემომოყვანილითგან ცხადი გახდებოდა, სამ გვარი წესი არსებობს: ზოგი ენა ამისთვის პირის ნაცვალსახელის გაორმაგებასაც სრულებით საკმარისად სცნობს. ასე იქცევა მაგ. ჩაჩნური, სადაც სუო „მე“-ს ნიშნავს, მაგრამ სუო სუო́-კი უკვე „მე თითონ“-ს გამოხატავს, — ხ‘უო არის შენ, ხ‘უო ხ‘უო́-კი უკვე შენ თითონ.

უკუქცევითი ნაცვალსახელის გამოხატვის ასეთივე წესი ქვრულსაც მოეპოვება, რომელშიაც „თითონ მე“ შენ, ის და სხვა, ან „თითონ ჩემი“, შენი და სხვ. პირთა სათანადო ნაცვალსახელის მხოლოდ შესაფერისი ბრუნვით ნახმარი ამავე ნაცვალსახელის გამეორებითაც აღინიშნება ხოლმე (იხ. აქვე, გვ. 547). უნდა ითქვას, რომ უკუქცევმითი ნაცვალსახელის აღნიშვნის ასეთი წესი მაინც იშვიათია.

უკუქცევითი ნაცვალსახელის აღნიშვნის მეორე წესი ღუმუქურსა და არჭულში გვხვდება. ღუმუქურს, როგორც დავრწმუნდით, ამისთვის სათანადო პირის ნაცვალსახელისათვის ვა (მამრ. გონ. არს.), და, ანდა რა (მდედრ. გონ. არს) და ბა (უსქ.) ბოლოსართები აქვს გამოყენებული და, თუ ნა ნიშნავს მე-ს, ნავა, ნარა და ნაბა უკვე იქმნება მე თითონ, — ინა არის შენ, ინავა, ინარა და ინაბა-კი შენ თითონ, — თა̄ არის ის, თავა, თარა და თაბა-კი ის თითონ, — ჟუ არის ჩვენ, ჟუვა, ჟურა და ჟუბა-კი ჩვენ თითონ და სხვაც ამგვარადვეა. ამნაირად პირთა ნაცვალსახელებს უკუქცევითი ნაცვალსახელის მნიშვნელობას სქესკატეგორიის ბოლოსართი ანიჭებს, რომელიც თითონ-ის ცნების გამომხატველი გამოდის.

არჭული ნაცვალსახელების ცალკეულად განხილვის დროსაც ხომ უკვე დავრწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 533—534), რომ „მე თითონ“, „შენ თითონ“ და ․ის თითონ-ისა, იმგვარადვე, როგორც მრ. რ. ფორმების გამოსახატავად, არჭულშიც პირთა ნაცვალსახელების ფორმები და სათანადო სქეს-კატეგორიის ბოლოსართებია გამოყენებული. ამ გარემოებას უაღრესი მნიშვნელობა იმ მხრივ აქვს, რომ აქაც თითონ-ის ცნების გამომხატველად, ამის აღმნიშვნელი სიტყვის მაგიერ, სქესკატეგორიის ნიშანია მიჩნეული და მე თითონ არის ზონაჶუ (ზონა + ჶუ), ზონარუ (ზონა + რუ), ზონაბუ (ზონა + ბუ) და ზონტიუ (ზონ + ტიუ). ასევეა შენ თითონ უნავუ და სხ.

უეჭველია, აქ წარმოების ძველი წესის ანარეკლი გვაქვს დაცული. ცხადია, რომ ეს „თითონ“ პ. ნაცვალსახელს მხოლოდ მეტს გარკვეულობას, კონკრეტულობის მნიშვნელობას ანიჭებს: გვაუწყებს, რომ სწორედ პირადად ის არის, ანდა ის იგულისხმება.

დამახასიათებელია, რომ ასეთი გარკვეულობისა და კონკრეტულობის გამოსახატავად ხალხი მარტო პ. ნაცვალსახელების ხმარებას საკმარისად არ-

სთვლიდა, არამედ აუცილებლად საჭიროდ მიაჩნდა, რომ პ. ნაცვალსახელი-სათვის თითონ-იც დაერთო.

უკუქცევითი ნაცვალსახელების წარმოების ამავე წესის შერმინდელს ანარეკლსა და ნაშთს უნდა წარმოადგენდეს დარგუული უკუქცევითი ნაცვალსახელების ის წყებაც, რომელიც პირთა ნაცვალსახელებისადმი მიმატებული **გო** ბოლოსართით შედგენილს სახელებს შეიცავს. **დუნ** ხომ დარგუულად მე-ა, **დუნგო**-კი უკვე უკუქც. ნაცვალსახელია,— **მუნ** — შენ, უკ. ნაცვ. — **მუნგო**,— მხ. რ. 3 პ. უკუქც. ნაც. — **დოუგო**,— მრ. რ.: 1. პ. **ნიჟვო** და **ნიტსლიგო**, 2. პ. **ნუჟვო** და 3. პ. **დოლგო**

უკუქცევითი ნაცვალსახელების აღნიშვნის მესამე წესი თითონ-ისათვის განკუთვნილი **ცალკეული, ან ერთი, ან რამდენიმე სიტყვის ხმარებაზეა დამყარებული.**

ასეთი ცალკეულად არსებული უკუქცევითი ნაცვალსახელი პირთა ნაცვალსახელთან ბოლოსართის სახით შერწყმულიც გვხვდება. მაგ. დარგუულს **თითონ** უკუქც. ნაცვალსახელად მხ. რ. **ჟიუ, ჟიჲ, ჟიბ** აქვს, მრ. რ. **ჟალ**. 3. პ. ამ **ჟიუ** უკუქცევითს ნაცვალსახელსაც ბოლოში **გო** ერთვის და ასე ხმარობენ ხოლმე; მხ. რ. **ჟიუგო, ჟიჲგო, ჟიბგო** და მრ. რ. **ჟალგო.**

ანდიურსაც უკუქც. ნაცვალსახელების ასეთივე წესი აქვს: იქაც **თითონ**-ს **ჟიუ, ჟიჲ, ჟიბ** და **ჟირ** გამოჰხატავს, რომელსაც უფრო ხშირად **გუ** ბოლოსართით ხმარობენ, მრ. რ. ფორმებად-კი **ჟივოლგუ, ჟიჲოლგუ, ჟიროლგუ** არის. **ჟიუ**, ან **ჟივუგუ** 1. და 2. პ. ნაცვალსახელებს ერთვის, 3. პირისას-კი ენ ძირისა+**გუ** ბოლოსართისაგან ნაწარმოები უკუქც. ნაცვალსახელი ემატება ხოლმე.

არჩილსაც მოეპოვება ჟ-ბგერიანი მარცვალი **თითონ**-ის გამომხატველი ნაცვალსახელის შესადგენად, მაგრამ იგი უ-ხმოვანაა და ეს **ჟუ** მარცვალი ცალკეულად-კი არ იხმარება, არამედ სამი განსხვავებული ბოლოსართიანურთ.

უკუქცევითი ნაცვალსახელის იგივე ძირია კურინულშიც, სადაც ორივე რიცხვის 1. და 2. პ. უკუქცევითი ნაცვალსახელის გამომხატველი არის **ჟუჟ**. ამ **თითონ**-ის ნათ. ბრუნვა არის **ჟუჟან**, მიც. **ჟუჟაზ**, მოქმ. **ჟუჟა**. 3. პ. მხ. რ. **უკუქცევით ნაცვალსახელად-კი უკვე ჩ-ბგერიანია და ჟუჩ იხმარება. „ის თითონ“**-ის გამომხატველი ამ ნაცვალსახელის კანკლედობაც ამავე ბგერითი შედგენილობისაა: ნათ. ბრ. **ჟიჩინ**, მიც. **ჟიჩიზ**, მოქმ. **ჟიჩი**-ა.

ასეთივე **ჩ**-ბგერიანი **თითონ** უკუქცევითი ნაცვალსახელი უდიურსაც აბადია, სადაც **თვით** ცნების გამომხატველი არის **იჩ**, რომლის ნათ. ბრ. **იჩა**, ხოლო მიც. **იჩუ**-ა.

წახურულსა და რუთულურს უკუქცევითი **თითონ** ნაცვალსახელის გამოსახატავად **ჯ** ბგერა აქვთ გამოყენებული და ორსავე ამ ენას მისი სქეს-კატეგორიებისდა მიხედვით განსხვავებული ფორმები მოეპოვება. ამიტომაც ცალკეულად ნახმარი 1. სქესკ. **თითონ** იქმნება **ჟუჯ**, 2. სქესკ. — **ჲიჯ**, 3 სქესკ. — **ვუჯ**,- ხოლო როდესაც პირთა ნაცვალსახელებთან ერთად ხმარობენ ხოლმე, ცალკეულს ზემომოყვანილს ფორმებს ბოლოში 1. სქესკ. **ჯარ** ერთვის,— 2. სქესკ. **ჯარ**, ანუ **ჯერ**, 3. სქესკ. **ჯაბ** და 4 სქესკ. **ჯად**,— მრ. რ. 1. და 2. სქესკ. **ჯაბ** და 3. და 4. სქესკ. **ჯად**.

რუთულურად **თითონ** ნაც. ოთხი სქეს-კატეგორიის ფორმა **ჵუჯ**, **რგჯ**, **ვიჯ** და **დიჯ** აბადია.

ერთი თვალის გადავლებით შესაძლებელია **თითონ ნაცვალსახელის ნაირნაირობა** ადამიანს ეუცხოვოს და სხვადასხვა წარმოშობილობისადაც-კი ეჩვენოს. კავკასიის ენათა შემსწავლელთა შორის, თუ არ ვცდები, **მათი ნათესაობისა** და მით უმეტეს **იგივეობის** შესახებ არავის უთქვამს რა, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ეს **საკითხი უეჭველად განხილული და გადაწყვეტილი უნდა იყოს.**

თითონ-ის სამი მთავარი სახესხვაობა გვაქვს, **ჟიუ** და **ჟუუ** ერთი მხრით, **ჵუჯ** და **ჯარ** მეორე მხრით, **ჵუჩ** და **იჩ** მესამე მხრით. თითქოს უკეთესი უნდა ყოფილიყო, რომ პირველი სახესხვაობის განხილვით დაგვეწყო, რათგან მეორე და მესამე სახესხვაობათა აგებულებას უფრო მეტი ცვალებადობა ეტყობა და ამიტომ უფრო რთული განსამარტავიცა ჩანს, მაგრამ მაინც უფრო მიზანშეწონილი იქმნებოდა, რომ ჯერ მეორე სახესხვაობა განგვეხილა.

წახურულად 1. სქესკ. **თითონ**-ისათვის რომ **ჵუჯ**, 2. სქესკ. **დიჯ** და 3 სქესკ. **ვუჯ** აქვს ცალკეულად, **ამავე ძირის ბოლოსართად ნახჭარი 3. სქესკ. ფორმა ჯაბ ცხად-ჰყოფს, რომ წინათ წახურულს ამ 3. სქეს-კატეგორიის ნიშნად ბ ჰქონია და ამიტომაც აწინდელი ვუჯ უნდა ანდრინდელი ბუჯ, ანდა ბიუჯ-ისაგან იყოს წარმომდგარი. ჵ, დ და ბი სქეს-კატეგორიების თავსართებია, ძირად-კი ჯ ბგერა გვრჩება.**

მაგრამ, თუ **ამავე ძირის ბოლოსართებად** ქცეულს **ჯარ**, **ჯჳრ**, **ჯაბ** და **ჯად**-ს **ჩავუკვირდებით** და გავითვალისწინებთ, რომ აქაც **რ**, **ბ** და **დ** ბოლოსართებია, მაშინ, მათი ჩამოცილების შემდგომ, ᲗᲘᲗᲝᲜ-ის **ცნების გამომხატველად უკვე ჯა მარცვალი დაგვრჩება.**

ზემონათქვამის შემდგომ საკმარისია გავიხსენოთ, რომ კვრულად მხ. რ. 3. პ. უკუქცევითი ნაცვალსახელი არის **ჵუჩ**, რომელსაც დანარჩენს ბრუნვებში უკვე **უიჩ** ფუძე უჩანს და მაშინ ამ **ჵუჩ**-ის ნამდვილი რაობისა და თავდაპირველი აგებულების მიგნება ძალზე გაგვიადვილდება. **იმისდა მიუხედავად, რომ კვრულს უკვე** მე-19 **ს. გრამატიკული სქეს-კატეგორიები ხრულებით არ ჰქონდა, მაინც უეჭველია, რომ ჵუჩ წახურული და რუთულური ჵუჯ-ის მსგავსი ფორმის მხოლოდ ფონეტიკურს სახესხვაობას წარმოადგენს: ჯ მარტო ჩ**-დ არის შენაცვლებული. ცხადია, რომ **წინათ** კვირულს **ჵუჩ**, ეხლანდელის მსგავსად, **თითონ**-ის ერთად-ერთ ფორმად-კი არა, არამედ **მხოლოდ 1. სქეს-კატეგორიისთვის** ექმნებოდა, რათგან ისევე, როგორც წახურულსა და რუთულურში **ჵუჯ**-ის თავკიდური **ჵ** 1. სქეს-კატეგორიის ნიშანია, **კვრული ჵუჩ**-ის **ჵ**-ც **თავდაპირველად უეჭველია ამავე თვისებისა** იქმნებოდა **და** ეს **გარემოება კვრულში გრამატ. სქეს-კატეგორიების წარსულში არსებობის გამომჟღავნებულია.**

ამნაირადვე, ეხლა, უკვე ვგონებ ალარავითარი დასაბუთება საჭირო არ უნდა იყოს იმაში დასარწმუნებლად, რომ უდური **თითონ იჩ**-იც **ან იმავე სქეს-კატეგორიის ჵ**-თავსართჩამოცლილი, **ანდა 2 სქეს-კატეგორიის, წახურული დიჯ**-ის მსგავსი **ფორმის ფონეტიკურს სახესხვაობას წარმოადგენს.**

ფრიად საყურადღებო გარემოებაა, რომ, თუმცა კვრულს **ჵუჯ**-ის სახესხვაობა **ჵუჩ** მხ. რ. 3. პ. უკუქცევით **თითონ** ნაცვალსახელად აქვს, მაგრამ აპას-

თანავე ორივე რიცხვის 1. და 2. პირის უკუქცევით ნაცვალსახელად უკვე ჟუჟ-ია.. ერთი შეხედვით ჟუჩ და ჟუჟ შესაძლებელია ადამიანს სრულებით სხვადასხვა წარმოშობის სიტყვებადაც-კი ეჩვენოს, მაგრამ **არსებითად მათ მხოლოდ** **სქეს-კატეგორიის ხმარების წესი და ჯ თანხმოვნის ჟ-დ შენაცვლება ასხვავებს:** ჟუჯ-სა და ჟუჩ-ს თავსართოვანი წარმოება აქვთ, ჟუჟ-ს-კი იგივე ჟ ბოლოსართად მოქცევია. **3. პ. უკუქც. ნაცვალსახელი წარმოების უფრო ძველს ხანას ეკუთვნის, 1. და 2. პირისა-კი უფრო მერმინდელია.**

ლეკური ჟიუ, ჟიდ, ჟიბ და ჟალ-ის, ისევე როგორც ანდიური ჟიჟ, ჟიდ, ჟიბ და ჟირ-ის ერთი მხრით და კვრულის ჟუჟ-ის მეორე მხრით სრული იგივეობა იმდენად ცხადია, რომ ამაზე სათქმელი არაფერია. ცხადია, რომ კვრულს **ამ ნაცვალსახელის მამრ. სქესის ფორმა უქცევია ႧႨႧႭႬ-ის ზოგად სახელად.**

კვრულის მსგავსად უ ხმოვანა ფორმა აქვს არჭილს ჟუ მარცვალსაც, რომელსაც ან **სა**, ან **შედ**, ანდა **ტხლიედ**, ხოლო შემდეგ სათანადო სქეს-კატეგორიის ბოლოსართები ემატება. მაგრამ არჭილში, როგორც დავრწმუნდით, **ის თითონ** გამოიხატება:

1. სქესკ. **დაუ** (ან **თოუ**) **ინჟაჟუ**
2. სქესკ. **დარ** (**თორ**) **ინჟარუ**
3. სქესკ. **დაბ** (**თობ**) **ინჟაბუ**
4. სქესკ. **დათ** (**თოთ**) **ინჟატიუ**

ისინი თითონ — დეპ (თეპ) ჟაბბუ, ანუ **ჟაპპუ.** დანარჩენს ბრუნვებში-კი **თითონ**-ის გამომხატველი **შედტიუ** არის. **ინ** მარცვალს რომ ამ ჟამად არ შევეხოთ, ცხადია, რომ ყველა ზემომოყვანილს ფორმებში **თითონ-ის** **აღმნიშვნელი** **უკვე ჟა არის, ე. ი. ჟ-ს ა-ხმოვანა სახესხვაობა.** მრ. რ. დანარჩენს ბრუნვებში-კი ამავე ცნების გამომხატველი თითქოს უკვე **შედ** ჩანს, მაგრამ იგი **ჟარშედ**-ს, ე. ი. ჟა-ს ნათ. ბრუნვის მხოლოდ ძირჩამოცილებულს ფორმასა და მარტო ბრუნვის ნიშანს-ღა წარმოადგენს, იმასაც მთლიანად-კი არა, არამედ **რ**-ს გაქრობით.

დიდოურს-კი **თვით** და **თითონ** უკუქცევითი ნაცვალსახელის **აღსანიშნავად**, როგორც დავრწმუნდით, სხვათა შორის **ტსლი** აქვს, **რომელიც** **პირთა ნაცვალსახელებს ბოლოსართად ემატება ხოლმე** და ამ გზით **მე თითონ** იქმნება **დიდ დიდოტხლი**, — **შენ თითონ — მი მიოტხლი**, — **ის თითონ — ჟე ჟედოტხლი**, **ხოლო თვით ეს — დოტხლ** (← **დოდ(უ)+ტხლი**), — **ჩვენ თითონ — ელი ელიოტხლი**,— **თქვენ თითონ — მეჟი მეჟიოტხლი** და **თითონ ისინი ჟედუ ჟედუდოტხლი.**

§ 2. ჩვენებითი ნაცვალსახელების სახესხვაობანი, აღნაგობა და სადაურობა

ლეგურს ენებში დ და მისი გაასპირატებული სახესხვაობა თ, ა-ხმოვანა, **ო**-ხმოვანა და უ-ხმოვანა ფორმით, **ჩვენებითი ნაცვალსახელია. ჩვეულებრივ** ის **ჰა, ჰე, ჰუ** მითითებითს **ნაცვალსახელებთან** **ერთად გვხვდება და მათ ერთვის** ხოლმე **ბოლოში,** მაგ.: ღუნძურაჲ 18 ს. ჩანაწერში აღბექდილია 3. სქესკ.

ჰადაზ და თანამედროვე ლოდობერულსაც, თუ 1. სქესკ. რ-ხმოვანა პუ-დოუ აქვს, 2. სქესკ. ჰუდეჲ და 3 სქესკ. მასაც ა-ხმოვანა ჰუდაზ მოეპოვება. მაინც ო და უ-ხმოვანა სახესხვაობა სჭარბობს და ბოთლიხურს, თანამედროვე ღუნძურსა და ტინდალურს აქვს დოუ, დოჲ, დოზ, — კარატულს ჰუდუუ, ჰუდუჲ, ჰუდუზ და ახვახურს ჰუდუვე, ჰუდუჲე, ჰუდუზე მოეპოვება.

თ-თანხმოვნიანი 3. პ. ჩვენებითი ნაცვალსახელი თöჰ (18 ს.) და თä (მრ. რ. თაჲ) თანამედროვე ლეკურს მოეპოვება, ხოლო არჩულს მისი ო-ხმოვანა სახესხვაობის ოთხივე სქეს-კატეგორიის ფორმა აბადია: თოუ, თორ, თობ, თოთ მხ. რ. და თებ მრ. რ., ისინი-ს გამომხატველი.

ამ ძირის აღმნიშვნელობის ასეთი სიმტკიცისა და ფართოდ გავრცელებულობისდა მიუხედავად, მაინც ᲓᲐᲣ და ᲓᲝᲣ, ᲗᲐ და ᲗᲝᲣ ყველა სქეს-კატეგორიის ფორმებითურთ, როგორც ეტყობა, წინათ და მაინც-და-მაინც თავდაპირველად ჩვენებითი ნაცვალსახელი არ უნდა ყოფილიყო, არამედ ამ დანიშნულებისათვის მხოლოდ შემდეგში ჩანს გამოყენებული.

ამ ძირის თავდაპირველი რაობაცა და მნიშვნელობა ლაკურს აქვს დაცული, რომელშიც ᲗᲔᲑ, ე ი. ასეთივე ფორმა თანამედროვე არჩულს რომ ჩვენებითი ნაცვალსახელის მრ. რ.-ისად მიუჩნევია, უკუქცევითი ნაცვალსახელის ᲗᲕᲘᲡᲘ-ს გამომხატველია.

მაშასადამე, უკუქცევითი ნაცვალსახელი ზოგიერთი ჩვენებითი და მესამე პირის ნაცვალსახელების ერთი შემადგენელი ნაწილთაგანი ყოფილა. ეს გარემოება მკვლევარს პ. ნ-ების ანალიზის დროს უნდა კარგად ახსოვდეს.

§ 3. პირთა ზოგადად, მეტადრე-კი მხოლოობითი რიცხვის ნაცვალსახელების აგებულება

ლეკურ ენათა პ. ნაცვალსახელები ზოგადი აღნაგობის თვალსაზრისით შესაძლებელია ორ მთავარ ნაწილად გაიყოს. ენათა ერთ ჯგუფს ნ-ბოლოკიდურიანი ნაცვალსახელები აბადია, მეორესას-კი ნ არა აქვს. ნ-ბოლოკიდურიანი 1. და 2. პ. ნაცვალსახელები ღუნძურს, ანწუხურს, ქარულს, ანდიურს, კარატულს, ბოთლიხურს, ლოდობერულს, აღულურს, კურულს, ჯეკურს, ბუდუხურს, უდურს (ნაწილობრივ), არჩულსა და ახვახურს აქვს. ამ ორ უკანასკნელს ნა (არჩ.) და ნე (ახვახ.) მარცვლებიც-კი აქვს ბოლოკიდურებად.

უ-ნ-ბოლოკიდურო ენათა ჯგუფის ტინდალური, ბაგულალური, ჭამალალური, დიდოური, ყაფუჩური, ინხოკარული, ხუარშული, ლუმეკური, თაბასარანული, რუთულური, წახურული, ხინალუღური და აკუშური ეკუთვნის. ამ ჯგუფის პ. ნაცვალსახელებსაც წინათ რომ ბოლოკიდურ ბგერად ნ ჰქონია, ამას ჭამალალური ამჟღავნებს, რომელსაც მისი ოდინდელი არსებობის ანარეკლი მხ. რ. 1. პ. დის-ში ი-ხმოვნის ნაზალიზაციის სახით-ღა აქვს შერჩენილი.

თავ-თავის ადგილას გვქონდა უკვე აღნიშნული, რომ პ. ნაცვალსახელების ბოლოკიდური ნ ძირეული ბგერა არ არის, ამიტომაც ძირების საკითხის განხილვის დროს ამ თანხმოვნის გამოყოფაა საჭირო.

მეტად დახლართული საკითხია ლეგურ-ალბანური პ. ნაცვალსახელების ძირისეული ნაწილისა და თავდაპირველი ბგერითი შედგენილობის ამოცანა. ენათა ერთ ჯგუფს მხ. რ. 1. პირისათვის ზ-ბგერიანი ნაცვალსახელი აპადია. ამ ჯგუფს კვრული, თაბასარანული, აღულური, რუთულური, წახურული, ჯეკური, ბუდუხური, არჩული და უდური ეკუთვნის.

ენათა მეორე ჯგუფს-კი მხ. რ. 1. პ. დ-ძირიანი ნაცვალსახელი (დუნ, დენ, დინ, დი) აქვს. ამ ჯგუფს ღუნძური, ანწუხური, ჭარული, ანდიური, ბოთლიხური, კარატული, ღოდობერული, ახვახური, ტინდალური, ბაგულალური, ქამალალური, დიდოური, ყაფუჩური, ინხოკარული და ხუარშული შეადგენს.

ენათა ამ მეორე ჯგუფის დამახასიათებელ თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ ჯერ ერთი ყველა მათ მხ. რ. 2. პ. მ-ძირიანი ნაცვალსახელი აქვთ: მუნ, მენ, მინ, მო, მა, მი, — და თანაც ის გარემოებაც ერთვის, რომ ამ მ-ძირიანს 2. პ. ნაცვალსახელს ნათ., მიც. და მოქმ. ბრუნვების ფორმები ზოგს ამ ენათაგანში იმავე მ-ძირისაგან-კი არა აქვს ნაწარმოები, არამედ სრულებით მოულოდნელად დ ძირისაგან, რომელიც, როგორც დავრწმუნდით, მხ. რ. 1. პ. ნაცვალსახელს აქვს ძირად. მაგალითად შესაძლებელია გავისსენოთ ღუნძური შენ მუნ, რომლის ნათ. ბრ. დურ, მიც. დუჲე და მოქმ. ბრ. დუცა არის, ანდა ანდიური მინ (მამრ. სქ.), რომლის ნათ. ბრ. დუჲ, მიც. დუვო-ა, ან დიდოური მი, რომლის ნათ. ბრ. დები და მიც. დებერ-ია.

მაგრამ მხ. რ. 1. პ. ნაცვალსახელის დ-ძირის ამავე რიცხვის 2. პ. ნაცვალსახელის ნათ. და მიც. ბრუნვებისათვის ძირად მოვლენის უცნაურობა მარტო ზემოაღნიშნულით არ ამოიწურება, არამედ ზედ ისიც ერთვის, რომ ზოგს ამ ენათაგანს დ-ბგერა მხ. რ. 3. პ. ნაცვალსახელის ძირადაც უჩანს. მაგ. შესაძლებელია ღუნძურის დოუ, დოჲ და დობ ისევე, როგორც ბოთლიხურის დოუ, დოჲ და დოა-ვე იქმნეს მოყვანილი.

ძირისეული, თუ ძირად მიჩნეული ამ დ-ბგერის დანიშნულებისა და აღნიშვნელობის ასეთს სხვადასხვაობას და პ. ნ. კანკლედობაში ძირების ასეთს აღრევას უეჭველია რაიმე საფუძველი უნდა ჰქონდეს და ჩვენს ამოცანასაც სწორედ ის შეადგენს, რომ ასეთი მოვლენის საფუძველს და მიზეზს მივაგნოთ. ვიდრე ამ საკითხის საბოლოოდ განხილვას შევუდგებოდეთ, შესაძლებელია ეხლავე ის მაინც ითქვას, რომ ამ დ-ძირს თავდაპირველად უეჭველია რაღაც სხვა, ზოგადი ფუნქცია უნდა ჰქონოდა.

თვით ამ საკითხის არსებითად განხილვა და საბოლოოდ გადაწყვეტა უნდა ქართულ-სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანური ნაცვალსახელების შედარებითი შესწავლის შემცველი თავისათვის გადავდოთ, რათგან ენათა ამ ჯგუფის მასალის გამოუყენებლივ მისი გადაჭრა შეუძლებელია.

§ 4. მრავლობითი რიცხვის პირთა ნაცვალსახელების აგებულება და ნაწილები

მხ. რ. 1., 2. და 3. პ. ნაცვალსახელების ძირისეული ბგერის გამორკვევამდე, უნდა მრ. რ. 1. და 2. პ. ნაცვალსახელების თავდაპირველი აღნაგობა და შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობა ვიცოდეთ. მაშინ პ. ნაცვალსახელების მხ. რ. ფორმების გაგებაც გაგვიადვილდება.

ლეგური პ. ნაცვალსახელების მრ. რ. ფორმების აგებულებისა და პირველადი მნიშვნელობის შეძლებისდა გვარად შეუმცდარად გამოსარკვევად უპირველესად მათი ერთმანერთთან შედარება არის აუცილებელი: ეს მკვლევარს საშუალებას აძლევს დარწმუნდეს, რომ ზოგი ამ ფორმათაგანი უფრო სრულად არის დაცული, ზოგი-კი ძალზე გაცვეთილი ჩანს.

ლეგურ-ალბანური ენების მრ. რ. 1. და 2. პ. **ნაცვალსახელები ბგერითი შედგენილობისდა მიხედვით შესაძლებელია რამდენიმე ჯგუფად გაიყოს.** რაკი 1. პ. მრ. რ. ნაცვალსახელის ზოგს ენათაგანს ორ-ორი, **ექსკლუზივი, მე და ის, ანდა ისინი-ს** გამომხატველი, და **ინკლუზივი, ანუ მე და შენ, ანდა თქვენ-ის** მაუწყებელი, ფორმა აქვს, ამიტომ თითოეული ამ ფორმათაგანი ცალცალკე უნდა განვიხილოთ.

ენათა **ერთ ჯგუფს** მრ. რ. მე და შენ-ისა, ანდა **თქვენ-ის** აღმნიშვნელ **ნაცვალსახელად ლატერალურ-ბგერიანი სახელი მოეპოვება.** ენათა ასეთ ჯგუფს ღუნძური, ანდიური და ტინდალური ეკუთვნის.

მრ. რ. 1 პ. ნაცვალსახელად **ნიტხლთ** ღუნძურს, ხოლო **იტხლთილ** ანდიურსა და **იტხლთა** ტინდალურსა აქვს.

მაგრამ ასეთივე ფორმისაგან წარმომდგარი ჩვენ ნაცვალსახელი არა ერთს კიდევ სხვა ლეგურს ენებშიც გვხვდება. ამიტომ ზემომოყვანილი ფორმების აგებულებისა და თავდაპირველი მნიშვნელობის გამორკვევა და გაგება ბევრი რამის განჭვრეტის საშუალებასაც მოგვცემს და ბევრ რამესაც მიგვახვედრებს.

ენათა მეორე ჯგუფს მრ. რ. 1. პ. ნაცვალსახელის ძირად **ილ** მარცვალი უჩანს. ამ ჯგუფს სჳარშული **ილო** და **ილა** და ყაფუჩური **ილე** ეკუთვნის

ამავე ჯგუფისავე უნდა იყოს ვგონებ დიდოური ელი-ც და არჭული **ჩვენ-ის** **ნენ-ის**, ნათ. ბრ. **ულუ, დოლო, ბოლო, ოლო**-სი და მიც. ბრ. **უელ, დელ, ბელ** და ელ-ის **ოლ** და ელ-მარცვლებიც.

საკმარისია იმ გარემოებას მივაქციოთ ყურადღება, რომ ღუნძურს ჩვენ-ის სახელად აქვს **ნიტხლთ**, ანდიურს-კი **იტხლთილ**, ხოლო ტინდალურს **იტხლთა**, რომ **ამ სახელების ერთიდაიგივეობა** უცილობელი შეიქმნეს: **ტინდალურსა და ანდიურს სახელებს მხოლოდ თავკიდური ნ** აკლიათ, სამაგიეროდ **ანდიურს, ღუნძურთან შედ რებით, მეტი ბოლოკიდური ილ მარცვალი აქვს.**

თუ ამის შემდეგ სჳარშულის, ყაფუჩურისა, დიდოურის და არჭულის **ილ, ელ** და **ოლ**-მარცვლიანს 1. პ. მრ. რ. სახელებს თვალს გადავავლებთ და ანდიურს **იტხლთილ**-ს და ტინდალურს **იტხლთა**-ს შევადარებთ, დავრწმუნდებით, რომ **სჳარშულ-ყაფუჩურ-არჭულს ნაცვალსახ ლის მთელი წინა ნ წილი იტხლთ აკლია და, მაშასადამე, დროთა განმავლობაში უნდა ჰქონდეს ჩამოცლილი.**

ზემოაღნიშნული დაკვირვება და დასკვნა 1. პ. მრ. რ. **ნაცვალსახელის ამ ჯგუფების ანალიზს** გვიადვილებს, რათგან საკითხი, რა თქმა უნდა, **ს ულთ ფორმის განხილვამ უნდა გადასწყვიტოს**: მოპოებულს შედეგს ნაკლული ფორმებისთვისაც თავისდა-თავად გადამწყვეტი მნიშვნელობა ექმნება.

ღუნძური ნაცვალსახელების განხილვის დროს უკვე აღნიშნული გვქონდა, **რომ ნიტხლთთ-ის** არც **ნი** და არც **ტხლთ** **არ შეიძლება პირთა ნაცვალსახელების ელემენტები ყოფილიყო,** რათგან ღუნძურს არც 1. და არც 2. პირისათ-

ვის ძირად ასეთი ბგერების შემცველი ნაცვალსახელები არ აბადია. იქ ამ საკითხზე მეტის თქმა შეუძლებელი იყო, რათგან ამისთვის სხვა ენოვანი მასალის გამოყენებაა საჭირო და ეხლა ამის განხილვას აქ უნდა შევუდგეთ.

ზემოაღნიშნული **მოსაზრება რომ მცდარი არ უნდა იყოს**, ამას შემდეგი გარემოებაც **ამტკიცებს**: ახმოვნებული **ტხლი** ბგერათა კომპლექსი **მარტო** მრ. რ. 1. პ. **ნაცვალსახელში-კი არ გვხვდება, არამედ არაერთს სხვა პირისა და დანიშნულების ნაცვალსახელშიც**, მაგ.: მესამე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი **მისი** იჩსოჯართლად მამრ. სქ. **ისიო**, სჯართლად-კი **ისსა** არის, ხოლო მდედრ. სქ. იჩსოჯართლად არის **იტხლიეს** და სჯართლად **იტხლიის** (იხ. აქვე, 519 გვ).

ამნაირადვე შთალასურად **მისი** კუთვნილებითი ნაცვალსახელის **მამრ. სქესის** მრ. რ. ფორმაა **დოშულ**, რომელიც **დო**(ის)+**შუ**+**ლ**(მრ. რ. ნიშანი)-ისაგან შესდგება, **მდედრ. სქესის** მრ. რ. ფორმა-კი **დოტხლიიტხლიი**-ია, რომელიც აგრეთვე **დო** და **ტხლიი**+**ტხლიი**-საგან შესდგება.

ამაზე უფრო საგულისხმოა, რომ შთალისურად **ვინ?** კითხვითი ნაცვალსახელი მ ხ ო ლ ო ო ბ ი თ ა დ არის **ენტხლიილა**, მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ა დ-კი **ევონეხლიილა** (იხ. აქვე, გვ. 514). ცხადია, რომ აქაც, ამ **ორივე** ნაცვალსახელის **მეორე ნაწილიც ტხლიილა არის.** დასასრულ, ღუნზარა **ვინ?** კითხვითს ნაცვალსახელის **შიუ**-ს (მამრ. სქ.) და **შიჲ**-ს (მდედრ. სქ.) სახელობითს ბრუნვასაც **ნათ. ბრუნვად** აქვს **ტხლიიილ** (ორივე სქ.), მიც. ბრ. **ტხლიიიჲე** (ორივე სქ.) და მოქმ. ბრ. **ტხლიიიცა** და ასევეა მრ. **რიცხვშიც** (იხ. აქვე, გვ. 508).

როგორც ზემომოყვანილი მაგალითებითგან ჩანს, **ტხლი** გამოყენებულია **მარტო მრავლობითს რიცხვში-კი არა, არამედ მხოლოობითშიც, მარტო 1. პირისაში-კი არა, არამედ მესამე პირის ნაცვალსახელებშიც და თანაც, რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა, ისეთს უპიროვნო ნაცვალსახელში-კი გვხვდება, როგორიცაა კითხვითი ვინ?** ცხადია, რომ **ტხლიი**, მაინცა-და-მაინც **თავდაპირველად, რიცხვისა და პირისა-კი არა, არამედ რაღაც სხვა ცნების გამომხატველი უნდა ყოფილიყო. ეს ცნება იმდენად ზოგადი ყოფილა, რომ მოსაზრეს ამ ტხლიი-ს გამოყენება პირისა და რიცხვისა, ნაცვალსახელის გვარობისდა მიუხედავადაც-კი შესძლებია.**

თავის ადგილას უკვე მოყვანილი დიდოურად **ნაცვალსახელების ანალიზის** შემდეგ, მრ. რ. 1. პ. და ზოგიერთი სხვა ნაცვალსახელის ამ უცნაური **ტხლი ელემენტის თავდაპირველი რაობისა და მნიშვნელობის სისწორით გამორკვევაც არის შესაძლებელი.** იქ ხომ დავრწმუნდით (იხ. გვ. 523), რომ **ტხლი** დიდოურად არის **უკუქცევითი ნაცვალსახელი თითონ**, რომ იგი **ჲო**-სთან ერთად **პირთა** ნაცვალსახელებს ერთვის ხოლმე და მათ. სრულ ფორმასთან შეკავშირებით უკუქცევითი ნაცვალსახელის ფორმებს შეადგენს ხოლმე. უეჭველია **ნიტხლი**-იც, რომელიც **ნი**+**ტხლი** ელემენტებისაგან შესდგება, ასეთივე **აგებულების სიტყვაა.** პირველი მისი **ნი** ნაწილი შესაძლებელია ჭკაკილურაშიც **დაცული** 1. **პ. ნაცვალსახელთან იქმნეს დაკავშირებული, ტხლი-კი** აქაც თავდაპირველად **თითონ**-ის **აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.**

მაშასადამე გამოირკვა, რომ **მე და შენ**, ანუ თქვენ-ის **აღმნიშვნელი მრ. რ. 1. პ. ლატერალურ-ბგერიანი ნაცვალსახელის მეორე ნაწილი უკუქცევითი**

ნაცვალსახელი ყოფილა, რომ თავდაპირველად იგი მთლიანად „ჩვენ თითონ“-ის გამომხატველი ყოფილა და რომ მხოლოდ შემდეგში, შერწყმისა და მეტადრე ფონეტიკური ცვლილების წყალობით, პ. მარტივ ნაცვალსახელად ქცეულა.

მრ. რ. 1. პ. ნაცვალსახელთა მეორე, მე და ის, ანდა ისინი-ს აღმნიშვნელი წყება შესაძლებელია აგრეთვე რამდენიმე ჯგუფად გაიყოს.

ერთი ჯგუფის ნიშანდობლივს თავისებურებას ჟ-ბგერიანობა წარმოადგენს. ამ ჯგუფს ეკუთვნის: ლეზგური, ახტისური და ჭაჰური ნიჟ, ჯეკური ჟინ, რუთულური ჟი, ლუმუქური ჟუ.

მეორე ჯგუფს შ-ბგერიანობა აქვს. მრ. რ. 1. პ. ნაცვალსახელების ამ ჯგუფს ეკუთვნის: ანდიური იშილ, ბოთლისური იში, ცინდალური იშა, ბაგულალური იში, ღოდობერული იშჩი (ჩვენი — იშიჟ!), კარატული იში (ჩვენი — იშიჟ) და წასურული ში.

მესამე ჯგუფის მრ. რ. 1. პ. ნ. ჩ-ბგერიანობა აქვს. ამ ჯგუფს ეკუთვნის: კურული ჩუნ, აღულური ჩინ, თაბასარანული იჩუ და ღოდობერული იშჩი.

მეოთხე ჯგუფისათვის-კი სს-ბგერიანობაა დამახასიათებელი. ამ ჯგუფს ეკუთვნის: ახვახური ისსი და ჭამალალური ისსი.

ისეთი ჯგუფიც არსებობს, რომელსაც მრ. რ. 1. პ. სახელს ძ-ბგერიანობა მოეპოვება. ენათა ამ ჯგუფს ბუდუხური ძინ, უდური ძან და საწალური ძირ ეკუთვნის.

ჟ-ბგერიანობა, შ-ბგერიანობა და სს-ბგერიანობა შესაძლებელია ადვილად დაკავშირდეს ერთმანერთთან, რათგან ამ ბგერათა ასეთი შენაცვლება ჩვეულებრივი მოვლენაა.

თქვენ-ის ლეკური სახელებიც შესაძლებელია ბგერითი შედგენილობისდა მიხედვით ჯგუფებად დავალაგოთ.

ერთ ჯგუფს ჟ-ბგერიანნი ეკუთვნიან, სახელდობრ ლეზგური, ჭაჰური და ახტისური მუჟ,— სუარაშული მიჟო და მიჟა,— ყაიტაგური მიჟე,— დიდოური მეჟი,— არჩული ჟუჟენ და რუთულური ჟუ.

მეორე ჯგუფად შესაძლებელია შ-ბგერიანი გამოიყოს. ამ ჯგუფისაა: წასურული შუ, თაბასარანული იჩუ, ბოთლისური ბიშტი, კარატული ბიშტი, ბაგულალური ბიშტი, ახვახური უშტი, ღოდობერული ბიტტე და ჭამალალური ბითი. ცხადია, რომ ორს უკანასკნელს შ აქვს დაკარგული.

მესამე ჯგუფი ს და ზ ბგერიანია. ამ ჯგუფს ანდიური ბისსილ, ლუმუქური ბსუ (18 ს.) და ზულ (თანამ.), სირალური ზურ და ყაიტაგური მიზოს შეადგენენ,

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ აქაც ჟ, შ და ს, ზ-ს შენაცვლებული ფორმები გვაქვს.

მაგრამ ამას გარდა, ამ სამივე ჯგუფის ფორმები აგებულების მხრითაც შესაძლებელია სამ ჯგუფად გაიყოს. ერთ ჯგუფს თავკიდურ მარცვლად მუ, მე, მი აქვს, მეორეს ბი, მესამე ჯგუფს-კი თავკიდური ასეთი მარცვალი არა აქვს, დაკარგული უჩანს.

ლეზგური, ახტისური და ჭაჰური მრ. რ. 1. პ. ნაცვალსახელების ნიჟ-ისა და 2. პ. მუჟ-ის (ძველისა), მერმინდელი და თანამედროვე ნუჟ-ის გენხილვისას (იხ. აქვე, გვ. 504—505) უკვე გამორკვეული გვქონდა, რომ ამ ნ-ების ბოლოკიდური

ჟ არ შეიძლება არც ძირისეული, არც პირის გამომხატველი ბგერა იყოს, არამედ მისი ასეთი მნიშვნელობა ზოგადი ცნების სფეროშია საძებნელი, რომელიც მრ. რ. პირველისაცა და მეორე პ. რის ნაცვალსახელებისათვისაც იყო გამოსადეგი. იქვე გამოთქმული გვქონდა მოსაზრება, რომ მრ. რ. ორივე პირის ნაცვალსახელის ეს ბოლოკიდური ჟ უკუქცევითი თითონ ნაცვალსახელის ჟიუ-ს პირველი შერჩენილი ბგერა უნდა იყოს და, მაშასადამე, ნიჟ და მუჟ, თანამედროვე ნუჟ-იც თავდაპირველად მხოლოდ ჩვენ და თქვენ-ისა-კი არა, არამედ „ჩვენ თითონ"-ისა და „თქვენ თითონ"-ის (იხ. აქვე, გვ. 505) აღმნიშვნელი იქმნებოდა, მარტივ პ. ნაცვალსახელად-კი შემდეგში ქცეულა.

უკუქცევითი ნაცვალსახელების ლეგურში გამოხატვის სხვა-და-სხვა წესისა და სახესხვაობათა განხილვამ დაგვარწმუნა, რომ ჟ-ძირიანი ასეთი ნაცვალსახელი ი-ხმოვანაც, ა-ც(ჟალ-ში) და უ-ხმოვანაც არსებობს (იხ. აქვე, გვ. 558) და მართლაც მრ. რ. 1. პ. ნაცვალსახელად ხომ ჯეკურს ჟინ, რუთულურს ჟი და ბუდუხურს ჟუ აქვთ, — ხოლო მრ. რ. 2. პ. ნაცვალსახელად ხვარშულს მიჟო და მიჟა, ყაფუჩურს მიჟე, დიდოურს მეჟი და რუთულურს ჟუ აქვს.

ცხადია, რომ წინათ რუთულურსაც მრ. რ. 2 პ. ნ., ყველა სხვების მსგავსად, მიჟუ ექმნებოდა და პირველი მი მარცვალი მას მხოლოდ შემდეგში უნდა ჰქონდეს დაკარგული. ამნაირად მრ. რ. 2. პ. ნ. ყველა ამ ენებში მი და ჟი, ან ჟუ, ჟა, ანდა ჟო მარცვლებისაგან არის შემდგარი, ე. ი. უკუქცევითი ნაცვალსახელის ჟიუ-სა და ჟუჟ-ს სრული, ოღონდ უსქეს-კატეგორიო ფორმისაგან.

იგივე უნდა ითქვას მრ. რ. 1. პ. ნ. ჯეკური ჟინ, რუთულური ჟი და ბუდუხური ჟუ-ს შესახებაც. უეჭველია, რომ მათაც, ლუნძურისა, ანწუხურის და ჭარულის მსგავსად, წინათ თავში ნი მარცვალი უნდა ჰქონოდათ, რომელიც შემდეგში დაჰკარგვიათ, ამ ნაცვალსახელის მეორე ნაწილი-კი ჟი და ჟუ სრულად დაუცავთ.

ყველა ზემონათქვამის შემდეგ, ვგონებ, უფლება უნდა გვქონდეს საბოლოოდ დავასკვნათ, რომ ის, რაც ლეგურს ენებში პირველი პირის ინკლუზიურ და ექსკლუზიურ და მეორე პირის ნაცვალსახელების წმინდა და ხალხის შეგნებაში მარტივ ფორმებად არის აღქმული და მეცნიერთაგანაც ისევე იყო მიჩნეული, ნამდვილად რთული აგებულებისაც ყოფილა და თავდაპირველად მხოლოდ ჩვენ და თქვენ-ის აღმნიშვნელი-კი არ იქმნებოდა, არამედ „ჩვენ თითონ" და „თქვენ თითონ"-ისა.

ზემომოყვანილს დაკვირვებასა და დასკვნას დანარჩენ პირთა ნაცვალსახელების აგებულება-წარმოშობილების გამოსარკვევადაც უაღრესი მნიშვნელობა აქვს, რათგან ასეთი შესაძლებლობა იქაც ყოველთვის უნდა ჰქონდეს მკვლევარს გათვალისწინებული.

ლეგურ ენათა ერთ ჯგუფს, როგორც დავრწმუნდით, მრ რ. 1. და 2. პ. ნაცვალსახელები ჩ-ძირიანი აქვს, სახელდობრ: ჩვენ კიურულად ჩუნ, აღულ. ჩინ და თაბასარ. იჩუ-ა, — ხოლო თქვენ აღულ. ჩუნ, თაბასარანულად-კი იჩუ იქმნება. მრ. რ. 1. და 2. პ. ამ ნაცვალსახელების გასაოცარი მსგავსება უნებლიეთ იპყრობს ყურადღებას: თუ კიურულად ჩუნ 1. პ. ნაცვალსახელია, იგივე ჩუნ აღულურად 2. პ. ნაცვალსახელია! თაბასარანულშიც ხომ მრ. რ. 1. პ. ნ. იჩუ-სა და

2 პ. ნ. იჩუ-ს შორის თითქმის არავითარი განსხვავება არ არის. ყველა ეს გვაფიქრებინებს, რომ ჩ ძირი ამ შემთხვევაშიც თავდაპირველად პირისა-კი არა არამედ აგრეთვე ზოგადი ცნების გამომხატველი უნდა ყოფილიყო. ზემომოყვანილი მაგალითის შემდგომ ბუნებრივია, რომ აქაც უკუქცევითი ნაცვალსახელის ანარეკლი ვეძიოთ და მართლაც. უკუქცევითი ნაცვალსახელი თითონ უდიურად ხომ სწორედ იჩ არის, რომლის ნათ. ბრ. იჩა და მიც. იჩუ-ა, თაბასარანულად უკუქც. ნ. ჩან, ჩაბ და უჩ არის. მაშასადამე, ლეგური ენების ჩ-ძირიანი 1. და 2. პ. მრ. რ. ნაცვალსახელებიც თავდაპირველად „ჩვენ თითონ"-ისა და „თქვენ თითონ"-ის აღმნიშვნელი ყოფილა.

§ 5. პირთა ნაცვალსახელების გრამ. სქეს-კატეგორიების საკითხი

ლეგურ-ალბანურ ენათა უდიდეს ნაწილს პ. ნაცვალსახელებში გრამატიკ. სქეს-კატეგორიები არ მოეპოვება და მხოლოდ ზოგიერთს მათგანს აბადია, მაგრამ მათ შორისაც თვალსაჩინო განსხვავება და ნაირ-ნაირობაა. მაინც ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ აქ უნდა ყველა იმასაც, რაც ცალკეული განხილვის დროს გამოირკვა, თავი მოუყაროთ და ამასთან დაკავშირებულს ზოგად საკითხებსაც უნდა შევეხოთ.

არჭილი პ. ნაცვალსახელების შესწავლის დროს დავრწმუნდით, რომ, თუმცა მას პ. ნაცვალსახელების თითო და ყველა სქეს-კატეგორიისათვის საერთო ფორმები მოეპოვება, მაგრამ მხოლოდ სახ. ბრუნვაში, ნათ. და მიც. ბრუნვისათვის-კი მხ. და მრ. რ. 1. პ. ნაცვალსახელს ოთხ-ოთხი, ოთხივე სქეს-კატეგორიისათვის ცალცალკე, ფორმა აბადია: ფის, დის, ბის, ის 1. პ. მხ. რ. და ფეჟ, დეჟ, ბეჟ და ეჟ მიც. ბრ., ხოლო მრ. რ. 1. პ. ნ. ნათ. ბრ. ულუ, დოლო, ბოლო, ოლო და მიც. ბრ. ფელ, დელ, ბელ და ელ არის. ყველა ამ ფორმების ფ, დ და ბ სქეს-კატეგორიის თავსართებია, რომელნიც პ. ნაცვალსახელის ძირს, თუ ძირად მიჩნეულს ბგერას ემატება.

თუმცა 2. პ. მხ. და მრ. რ. ნაცვალსახელებს ამჟამად ყველა ბრუნვებში თითო ფორმა-ღა გააჩნია, მაგრამ 2. პ. მრ. რ. ნ. ნათ. ბრ. ფიშ-ისა და მიც. ბრ. ფეჟ ფორმების ანალიზმა უფლება მოგვცა დაგვესკვნა, რომ აქაც თავკიდური ფ უეჭველია ოდინდელი სქეს-კატეგორიის უკვე შეზრდილი ნიშანი უნდა იყოს და რომ, მაშასადამე, წინათ 2. პ. ნაცვალსახელსაც ნათ. და მიც. ბრუნვებში აგრეთვე ოთხი სქეს-კატეგორიისათვის ცალცალკე ფორმები ჰქონია.

ჭახურულის პ. ნ. შესწავლამაც ხომ დაგვარწმუნა, რომ 1. პ. ორივე რიცხვისა და 2. პ. მრ. რ. ნაცვალსახელების ნათ. ბრ. ფორმებია ამავე თვალსაზრისით საყურადღებო. იქაც თუ მე არის ზგ, ნათ. ბრ. ღიზდა-ა და შენ არის ში, ნათ. ბრ.-კი ღიშდა, — ამნაირადვე თქვენ არის შუ, ნათ. ბრ.-კი ფუშდა. ამ სამსავე ფორმას ნათ. ბრ.-ში ძირისა, თუ ძირად მიჩნეული ბგერის წინ 1. პ. ნ.-ს ღი, ხოლო 2. პირისას ფუ აქვს. არჭულის მსგავსად, ყველა ამ შემთხვევებშიც როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა (იხ. აქვე,), ოდინდელი სქეს-კატეგორიის თავსართების შენაზრდიანი ფორმები გვაქვს დაცული.

რასაკვირველია, არჭილისა და ჭახურული ნ-ის ნათ. და მიც. ბრ. ფორმები ფრიად საყურადღებოა, ვითარცა გრამ. სქეს-კატეგორიების ლეგურ ენებში წი-

ნანდელი არსებობის მაუწყებელი გარემოება, მაგრამ მარტო ამით მაინც ვერ დამტკიცდება ის მოსაზრება, რომ გრამ. სქეს-კატეგორიებს განრჩევა პ. ნ-ებს თავდაპირველად სახელობითს ბრუნვაშიც ჰქონდათ. საბედნიეროდ ამ საკითხის გამოსარკვევადაც ლეგურ ენებში შესაფერისი მასალა მოგვეპოვება. ანდიური, ბოთლიხური და ღოდობერიული ნაცვალსახელების განხილვისას ხომ დავრწმუნდით, რომ მათ 1. და 2. პ. მხ. რ ნაცვალსახელების წყვილ-წყვილი ფორმები აბადიათ: ერთი დინ და მინ მამრ. სქეს-კატეგორიისა და მეორეც დენ და მენ მდედრობითისათვის. ამის შემდეგ თითქოს შესაძლებელი იყო, რომ პ. ნაცვალსახელების გრამ. სქეს-კატეგორიების ლეგურ ენებში არსებობის საკითხი საბოლოოდ გამორკვეულად მიგვეჩნია, მაგრამ თავის ადგილას (იხ. აქვე, გვ. 516) უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ზემოაღნიშნული ენების 1. და 2. პ. ნ. ამ წყვილ-წყვილ ფორმებს თავდაპირველი წესისდა მიხედვით ნაწარმოები ნაცვალსახელების სქეს-კატეგორიებად ვერ მივიჩნევთ, რათგან აქ სქესის გამომჟღავნებელად მხოლოდ შუაში მოქცეული ხმოვანი ი და ე, ან წინაუკმო ე და ი ჩანს, რაც ამ დანიშნულებისათვის ლეგურს ენებში ვ, ჲ, ბ, დ, ან რ-ს თავსართ-ბოლოსართებად ხმარების საყოველთაოდ გაბატონებულს წესს სრულებით არ უდგება. ამასთანავე ამ ხმოვნების დანიშნულებაც არეულია და რაც ერთ ჯგუფს მამრ. სქეს-კატეგორიის გამომხატველად აქვს, მეორეს მდედრობითისათვის გამოუყენებია. ამ ორმა გარემოებამ გვაფიქრებინა, რომ ეს წესი პ. ნ. სახ. ბრუნვაში თავდაპირველად არსებული, სქეს-კატეგორიებისდა მიხედვით განსხვავებული, მაგრამ შემდეგ მოსპობილი ფორმების მერმინდელი საკომპენსაციო წარმოების წესია.

მხოლოდ თაბასარანულს, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 548), მოეპოვება 1. და 2. პ. ნ. ისეთი ფორმები, რომელთა მსგავსი არც ერთს სხვა ლეგურ ალბანურ ენას არა აქვს რა და რომელნიც სწორედ ამის გამო და დასახული ამოცანის გადასაწყვეტად განსაკუთრებული ყურადღების ღირსად უნდა იქმნენ მიჩნეულნი.

უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ 1. და 2. პ. მხ. და მრ. რ. ნ-ების ʼ-თავკიდურიანობა შეუძლებელია შემთხვევითი მოვლენა იყოს. მხ. რ 1. პ ნ. ლეზგურს და აღულურს ზუნ, არჩიულს ზონ, უდიურს ზუ, ჯეკურს ზინ, ბუდუხურს ზგნ, ხოლო რუთულურს ზჯნ და წახურულს ზჯ აქვს, ე. ი. ყველას ძირად ზ აქვს და არც ერთს მათგანს ამ ბგერის წინ არა უძლვის რა, ამიტომ თაბასარანული იზუ-ს თავკიდური ʼ-ს ძირეულ ნაწილად მიჩნევისათვის არავითარი საბუთი არ მოიპოვება. ივივე უნდა ითქვას მხ. რ. 2. პირისა და მრ რ. 1. და 2. პ. ნაცვალსახელების თავკიდური ʼ-ს შესახებაც. ხოლო, რაკი ეს ხმოვანი ძირეული არ ჩანს, ამიტომ ბუნებრივად იბადება აზრი, რომ იგი იმავე წარმოშობილობისა უნდა იყოს, რანაირისაც არჩიულის 1. და 2. პ. ორივე რიცხვის ნათ. და მიც. ბრუნვებისა და წასურული, რუთულური და თაბასარანულის ზემოგანხილული მსგავსივე ფორმების თავკიდური ელემენტებია: სახელდობრ, სწორედ აქ უნდა გვქონდეს შენაზრდის სახით დაცული პ. ნაცვალსახელების თავსართოვანი სქეს-კატეგორიის ფორმების ერთად-ერთი ნაშთი, რომელთა არსებობაც ზემო-

მოყვანილ მოსაზრებათა გამო, თავდაპირველად ლეგურს ყველა ენებში იყო საგულისხმებელი.

ლეგურ-ალბანური ნაცვალსახელების ზოგადი მიმოხილვა ადამიანს დაარწმუნებს, რომ ამ ენების ნ-ების შესწავლამა და ანალიზმა ბევრი საყურადღებო გარემოება გაგვაგებინა. **გამოირკვა, რომ წინათ ნაცვალსახელებსაც სქეს-კატეგორიები ჰქონია** თავსართისა და შემდეგ ბოლოსართის სახითაც, **რომ ზოგი სქეს-კატეგორიის ნიშანი წინათ სხვა ყოფილა, რომ პ. ნ-ების აღნაგობა რთული ყოფილა** და იქ მხოლოდ **პ. ნ. ელემენტების ძებნა ხშირად,** მეტადრე-კი მრ. რ. ფორმებში, სრულებით **უსაფუძვლოა და თანაც ამაოა ცდა არის, რომ პ. ნ-ების შექმნა-ჩამონაკვთაში უდიდესი მნიშვნელობა უკუქცევითი ნაცვალსახელის სხვა-და-სხვა სახეობას ჰქონია.** ყველა ამ დებულებათა სისწორე უფრო ცხადი შეიქმნება, როდესაც ქართველურ-სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანური ნაცვალსახელების ზოგადი თვისებებისა და ნათესაობის პრობლემის განხილვას შევუდგებით.

V. ქართულ-ღილღურ-სინდურ-ლეგურ-ალბანურ ნაცვალსახელების ნათესაობა

ქართველური და სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანური ნაცვალსახელების გულდასმითი ჯერ ცალცალკეული, ხოლო მერმე ჯგუფობრივი შესწავლა-ანალიზის შემდეგ, დროა მოპოვებულის შეჯამებასა და ზოგადი დასკვნის შედგენასაც მივყოთ ხელი.

მთელი ზემომოყვანილი მასალა და მსჯელობა მკითხველს დაარწმუნებდა, რომ ნაცვალსახელების მრავალგვარი ნაირნაირობისდა მიუხედავად, ამ ენებს არა ერთი ზოგადი თვისებაც უჩანთ. მაგრამ ნაცვალსახელების ძირეული ბგერის თვალსაზრისით მათ შორის არსებითი განსხვავება რომ მაინც არის, ეს უცილობელი გარემოებაა. ამიტომ, **სანამ ამ განსხვავების ბუნება და დამაშორებელი ნაირნაირობის მიზეზი გამორკვეული და დამაჯერებელი საბუთიანობით განმარტებული არ იქმნება, ქართველურ-კავკასიური ნაცვალსახელების ნათესაობას დამტკიცებულ დებულებად ვერ მივიჩნევთ.**

პირთა **ნაცვალსახელების ძირისეული, ანდა ძირისეულად მიჩნეული ბგერებისდა მიხედვით** ქართველურ-სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანური **ენები რამდენიმე მთავარ ჯგუფად იყოფება.**

ერთ ჯგუფს მხ. რ. 1. პ. ნ. ძირისეულ ბგერად **ს** აქვს. ამ ჯგუფს აბხაზური, უბიხური, ჩერქეზული, ყაბარდოული, ჩაჩნური, ქისტური და წოვური ეკუთვნიან, ე. ი. სინდურ-ღილღური ენები მთლიანად.

ენათა **მეორე ჯგუფს** ძირად **ზ** აქვს. ამ ჯგუფს ლეგურ ენათაგან არჩული, კურული, რუთულური, წახურული, თაბასარანული, ჯეკური, ბუდუხური და ალბანურის უდური შეადგენენ.

დასასრულ სასა-ენისმიერ ბგერის მქონებელნია ქართველურთა. 1. პ. ნ. ნათ. ბრ. ფორმის **ჩემი**-სა და **ჩქიმი**-ს თავკიდური **ჩ**-ც.

ენათა **მესამე ჯგუფს** 1. პ. ნ. ძირად **დ** უჩანს. ასეთი ნაცვალსახელი მხოლოდ ლეგურ ენათა შორის გვხვდება და სახელდობრ ლუნძურს, ანწუხურს,

ჭარულს, ანდიურს, ბოთლიხურს, კარატულს, ღოდობერულს, ახვახურს, ტინდალურს, ბაგულალურს, ჭამალალურს, ხვარშულს, ყაფუჩურს, ყუბაჩურს, დიდოურს და აკუშურს აქვს.

დასასრულ ორ ენას, ლუმუქურს მხ. რ. 1. პ. ნაცვალსახელად ნა, ჰჳრკილურს-კი ნუ აქვს.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ქართულს, მეგრულს, ჭანურსა და სვანურს მხ. რ. 1. პ. ნაცვალსახელის სახ. ბრ მართალია მ-ძირიანი აქვს (მე, მა, მი), მაგრამ ზმნაში ამავე პირის სუბიექტის გამომხატველი ვ არის, რომელიც მეგრულ-ჭანურში ზოგან ბ და პ-დაც-კია შენაცვლებული, ხოლო ობიექტისა მ-ა..

ეს ნიშნები ქართულში ისტორიულ ხანითგან ცნობილ ძეგლებში გვხედება. ამიტომ, ვ და მ-ბგერიანი მხ. რ. 1. პ. ნაცვალსახელები და ელემენტები, ნ-ბგერიანს ჯგუფს თუ არ მივათვლით, ცალკე მეხუთე ჯგუფად უნდა გამოვყოთ, რომელშიც მარტო ქართველური ენები გვექმნება.

მაგრამ ცხადია, რომ არსებითად ენათა პირველი ორი, ს და ზ-ძირიანი, ჯგუფი ცალ-ცალკეულად-კი არა, არამედ ერთ ჯგუფად არის მისაჩნევი და, მაშასადამე, სულ 4 ჯგუფია.

თუ ს და ზ-ძირიანისა და დ-ძირიანი 1. პ. მხ. რ. ნ. მქონებელი ენების გეოგრაფიული გავრცელების საზღვრებსა და არეს დავაკვირდებით, ცხადი გახდება: ს—ზ-ძირიანი ენათა ჯგუფი შავი ზღვითგან იწყება და ლილღური ენების გავრცელების აღმ. საზღვრამდე გვხვდება, შემდეგ ანდისა და ყარა-კოჲსუს შუა მდებარე მიწაწყალი 1. პ. დ-ძირიანი ნ. მქონებელი ანდი-დიდოური და ლუნძური ენების ჯგუფის ასპარეზს წარმოადგენს, ხოლო აღმოსავლეთ-სამხრეთით უკვე კვლავ ზ-ძირიან ენათა ჯგუფის ტერიტორიაა, რომლის საზღვარი ამიერ-კავკასიაშიც-კი გადმოდის, რათგან უდურიც ხომ ზ-ძირიანი 1. პ. ნ. მქონებელი ენაა. ამგვარად, ს—ზ-ძირიან ენათა გავრცელების ფართობი შავი ზღვითგან კასპის ზღვამდე იქმნებოდა გადაჭიმული, ანდი-დიდოური და ლუნძური დ-ძირიანი ენებისაგან დაკავებული, შედარებით ვიწრო ზოლის მსგავსად შეჭრილი, მიწაწყალი რომ ამ დიდ ტერიტორიას ორ ნაწილად არ ჰყოფდეს.

მხ. რ. 2. პ. ნაცვალსახელები ძირისეული ბგერისდა გვარად შესაძლებელია აგრედვე ჯგუფებად გავყოთ.

ერთს ჯგუფს ძირის თანხმოვნად ჟ, ვ და ბ ბგერაც-კი უჩანს. 2. პ. ასეთი ნაცვალსახელი აბხაზურს (რომელსაც ბ-ც მოეპოვება), უბიხურს, ჩერქეზულს და ყაბარდოულს, ე. ი. ყველა სინდურ ენებსა აქვთ. შემდეგ-კი ამ ბგერიანი 2. პ. ნაცვალსახელის გავრცელებულობის ასპარეზი თავდება, მაგრამ საკმაოდ მოზრდილ ხარვეზს იქით კვლავ ჟ და ვ-ბგერიანი ნაცვალსახელი ჩნდება. ხარვეზი ლილღური ენების და ანდი-დიდოურის, ისევე, როგორც ლუნძური ენების ჯგუფის გავრცელების ფართობისგან შესდგება. მათი მიწაწყლის აღმოსავლეთითა და სამხრეთით-კი ჟ, ანდა ვ-ს მქონებელი აღულური, თაბასარანული, კჳრული, ჯეკური, ბუდუხური, ხინალუღური, არჩული და უდური ენების ფართობია, ანუ ლეგურ ენათა იმავე ჯგუფისა, რომელსაც 1. პ. ნ. ზ-ძირიანი აქვს.

ენათა **მეორე ჯგუფის** მხ. რ. 2. პ. ნ-ები მ-ბგერიანია. ამ ჯგუფს ანდიური, დიდოური, ბოთლიხური, კარატული, ღოდობერული, ყუანადური, ტინდალური, ბაგულალური, ჭამალალური, ახვახური, ხვარშული, ყაფუჩური, ღუნძური, ანწუხური და ჭარული ეკუთვნის.

ენათა **მესამე ჯგუფს** მხ. რ. 2. პ. ნაცვალსახელის ძირად, ან ველარი **ხ**, ანდა ხორხისმიერი **ჰ** ბგერა აქვს.

ხ-ბგერიანი მხ. რ. 2. პ. ნაცვალსახელი, როგორც უკვე ვიცით, მარტო ღილღუს სამსავე ენას აქვს **ხ**ႊ-ს სახით, ჩაჩნურს **ხ**ႊ**უო**, ქისტურსა და წოვურს-კი **ხ**ႊ**ო**, — ლეგურ ენათაგან — ჰურკილურს **ჰ**ႊ-ბგერიანი **ჰ**ႊ**უ შენ** და ლ-ბგერიანი **ლუ** კიდევ რუთულურსა და წახურულს მოეპოვება. დასასრულ, როგორც ცნობილია, მეორე პირის ნაცვალსახელოვან ნიშნად **ხ** ძველ ქართულსაც ჰქონდა, ხოლო ქართველურთაგან სვანურს ეხლაც შერჩენილი აქვს. აბხაზურსა და უბიხურს 2. პ. ნ. **შ**, **შ**ს მოეპოვება.

ლეგური ენების ცალცალკეული განხილვისა და ზოგადი დახასიათების დროსაც აღნიშნული გვქონდა ის თავისებური გარემოება, რომ მხ. რ. 2. პ. აჩ **მ**-ძირიანს ნაცვალსახელს არაერთს ენაში, მაგ. ღუნძურ-დიდოური ჯგუფისაში. ნათ., მიც. და ზოგან მოქმედ. ბრ. ფორმები ამავე ძირისაგან-კი არა, არამედ **დ**-ძირისა აქვთ, რომელიც ამავე ენებს მხ. რ. 1. პ. და 3. პ. ნაცვალსახელების ძირად უჩანთ.

ძირისეული ბგერისდა გვარად პ. ნაცვალსახელების ზემომოყვანილი განჯგუფების ვითარება დაანახვებს ყველას **იმ სირთულეს, რომელიც ქართულ-სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანური ენების ნაცვალსახელების ურთიერთშორისი ნათესაობის დებულებას ეღობება წინ: რაც ენათა ერთ ჯგუფს 1. პ. ნ. ძირად აქვს, ის მეორე ჯგუფს 2. პირისად მოეპოვება** და ვ და მ ბგერები თუ ქართველურს ენებში 1. პ. ნაცვალსახელის ძირია და ნაცვალსახელოვანი თავსართია, იგივე **უ** და **ვ** გამოუკლებლივ ყველა სინდურ ენებსა და ლეგურ-ალბანური 8 ენოვანი ერთეულის შემცველს სამხრეთ-აღმოსავლურს ჯგუფს მხ. რ. 2. პ. ნაცვალსახელის ძირად და ნიშნად აქვს, ისევე, როგორც ანდი-დიდოური და ღუნძური ენების ჯგუფებს მ-ბგერაც აგრეთვე მრ. რ. 2. პ. ნაცვალსახელად მოეპოვება.

ასეთივე და უფრო მეტი წინააღმდეგობაც სუფევს **დ — ძირის დანიშნულების სფეროშიც: თუ ანდი-დიდოურ და ღუნძურ ენათა ჯგუფებს იგი მხ. რ. 1. პ. ნაცვალსახელად აქვთ, მათვე 2. პ. ნაცვალსახელის ნათ. და მიც. ბრ. ძირადაც გამოუყენებიათ, ენათა დიდს უმრავლესობას დ** და **თ** სწორედ **მხ. რ. 3. პირის, ჩვენებითი და უკუქცევითი ნაცვალსახელების ძირად მოეპოვებათ.**

სანამ **ამ უცნაური მოვლენისა და აუხსნელი აღრეულობის მიზეზი** გამორკვეული არ იქმნება, სანამ არ გავიგებთ, თავითგანვე ასეთი მდგომარეობა იყო, თუ არა, ვიდრე სრული დამაჯერებლობით განმარტებული არ გვექმნება, თუ **როგორ გაჩნდა მეტყველების ამ ნაწილში ასეთი აღრეულობა**, განა შესაძლებელია და უფლება გვაქვს ქართველურ-სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანური ენების ნაცვალსახელების ნათესაობა ჭეშმარიტ დებულებად მივიჩნიოთ?

ქართველურისა და სინდურ-ღილღურ-ლეგური ენების ცალკეულმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ პ. ნ-ების მრ. რ. ფორმები წინათ მხ. რ. ფორმებისაგან მარტო მრ. რ. ბოლოსართით განსხვავდებოდა, რომ მათ პირის ნიშნები იგივე ჰქონიათ, რაც მხ. რ. ნაცვალსახელებს ებადათ. ამის ცოდნა, სადაც მრ. რ. ნ-ების ამნაირი ფორმები გვაქვს გადარჩენილი, მხ. რ. ნ-ების ფორმები-კი უკვე ცხადად გაცვეთილი, ანდა ფონეტიკურად შეცვლილი ჩანს, და მრ. რ. ფორმების გამოყენება მხ. რ. ნ-ების წინანდელი ბგერითი შედგენილობის აღდგენას შეგვაძლებინებს.

რაკი პ. ნ-ების ძირისეულად მიჩნეული ბგერების ყველა ზემომოყვანილ ნაირნაირობას დახელოვნებული ფონეტიკური მომგონებლობითაც-კი ერთმანერთს ვერას გზით ვერ დაუკავშირებთ და ერთიმეორისაგან ვერ გამოვიყვანთ, ამიტომ, მათი თავდაპირველი წარმოშობილება-რაობის გამორკვევის გარეშე, ამ უაღრესად დახლართულს საკითხს ვერა ეშველება რა.

შესაძლებელია, ისტორიული ხნიერების მოსაზრებაზე დამყარებით, გადავეწყვიტა, რომ ამ ენათაგან ყველაზე ძველი ცნობები პ. ნ-ების ძირეული ბგერის გამოსარკვევად ქართულში მოგვეპოვება, სადაც წერილობითი ძეგლებით დადასტურებული ფაქტები გვაქვს ხელთ და ამ საფუძველით 1. პ. ნ. ძირეულ ბგერად სწორედ ვ მიგვეჩნია, მ-ს გაჩენა-კი ფონეტიკური შენაცვლებით აგვეხსნა. მაგრამ თვით ქართულშიც-კი რომ ამ დებულების სისწორეს არაერთი გარემოება არღვევს? ამას ისიც ერთვის ზედ, რომ, თუნდაც ყველა ამ დამაბრკოლებელ გარემოებასაც ყურადღება არ მივაქციოთ, მაინც როგორ და რით ავხსნათ, რომ იგივე ვ და მ, რომელნიც ქართულს მხ. რ. 1. პ. ნაცვალსახელის ძირად აქვს, სინდურს ყველას და ლეგური ენების საკმაოდ მრავალრიცხოვან ჯგუფსაც მხ. რ. 2. პ. ნაცვალსახელისათვის განუკუთვნებია? ამიტომაც ამ რთული ამოცანის გადასაწყვეტად ისტორიულ ხნიერებაზე დაყრდნობა ვერც გამოგვადგება და ვერც შეგვძენს რამეს, არამედ ამ საკითხს სხვა გზით უნდა მივუდგეთ.

ვ, უ და მ-ს ენათა ერთს, ქართველურს, ჯგუფში მხ. რ. 1. პ. ნაცვალსახელად, ხოლო ენათა მეორეს, სინდურსა და ლეგურს, ჯგუფში მხ. რ. 2. პ. ნაცვალსახელად გამოყენებისდა მიუხედავად, მათ შორის ნათესაობის აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი კიდევ დაიჯეროს ადამიანმა, თუ წარმოვიდგენთ, რომ ამ ვ-ს წინათ რაღაც ისეთი ცნების გამომხატველობის ფუნქცია ჰქონდა ენისაგან დაკისრებული, რომელიც პირველსაცა და მეორე პირსაც ჰქონდა და ამიტომაც პირველისთვისაც და მეორე პირისთვისაც იყო გამოსაყენებელი.

ვერც ქართველურისა და ვერც მარტო ლეგურ-ალბანური ენოვანი მასალით ამ ამოცანის გადაწყვეტა ვერ ხერხდება, რათგან ამ ენებში ვ, უ და მ-ს პირთა ნაცვალსახელების სახ. ბრუნვის ფორმებში პირის აღმნიშვნელობის ფუნქციის გარდა სხვა არაფერი აქვს დაკისრებული, ეს დანიშნულება-კი. როგორც დავრწმუნდით, ქართველურსა და ლეგურ-ალბანურ ენებს ერთმანერთისაგან ძირიანად განსხვავებულად აქვთ განაწილებული. ამ პრობლემის გადაჭრას მკვლევარი მხოლოდ სინდური ენების საშუალებით შესძლებს.

აფხაზურ 3. ნაცვალსახელებს, როგორც ცნობილია, სინდურ ენათაგან ერთად-ერთს მხ. რ. 2. და 3. პირისათვის სქეს-კატეგორიისდა მიხედვით განსხვავებული ფორმები აბადია. გეოგრაფიულადაც და აგებულებითაც აბხაზურზე ისეთს დაშორებულს ენას, როგორიც ანდიურია, მხ. რ. 1. და 2. პირისათვის, როგორც დავრწმუნდით, მამრობითი და მდედრობითი სქესისათვის განსხვავებული სახეობის ნაცვალსახელები აქვს და, როდესაც მამაკაცი თავის თავზე ამბობს **მეო**, უეჭველად უნდა **დინ** იხმაროს, ხოლო თუ ამასვე ქალი იტყვის, ის უსათუოდ **დენ**-ს იხმარებს. ამნაირადვე, თუ მამაკაცს მიჰმართავენ და იტყვიან **შენო**, მაშინ **მინ** უნდა იყოს ნახმარი, ქალისადმი მიმართვისას-კი **მენ**.

თუ სინდურ ენათაგან აბხაზურს მხ. რ. მარტო 2. და 3. პირის ნაცვალსახელებისათვის სქეს-კატეგორიისდა მიხედვით განსხვავებული ფორმები აქვს, ლეგურ ენათაგან ანდიურს მხ. რ. 1. და 2. პირის მამრობითი და მდედრობითი სქესებისათვის განსხვავებული ნაცვალსახელები მოეპოვება. 3. პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელებისათვის ხომ ღილღურს ყველა ენას და ლეგურ ენათაგან თითქმის ყველა სქეს-კატეგორიანებს გრამ. სქესისა და კატეგორიებისდა მიხედვით განსხვავებული ფორმები მოეპოვებათ.

არჭულს, თუმცა 1. პ. მხ. რ. ნაცვალსახელის მხოლოდ ერთი ფორმა **ზონ** აქვს, მაგრამ მისი ნათ. ბრუნვაც ასევე ერთი ფორმის მქონებელი-კი არ არის, არამედ ოთხივე სქეს-კატეგორიისათვის, როგორც ვიცით, ცალკეული **ჟის**, **დის**, **ბის** ფორმებია. თუ ნათ. ბრუნვის ფორმაზე შესაძლებელია ითქვას, რომ აქ ნამდვილად 1. პ. ნ. კანკლედობა-კი არა, არამედ კუთვნილებითი ნაცვალსახელია, რომელსაც ბევრს სხვა ენაშიც, სადაც ნაცვალსახელების სახელობითშა ბრუნვამ გრამატ. სქესის განრჩევა არ იცის, ასეთივე თვისება აქვს, მიცემითი ბრუნვის ფორმები ხომ კუთვნილებითი ნაცვალსახელები არ არის, არჭულს-კი ორივე რიცხვის 1. პ. ნაცვალსახელის ნათ. და მიც. ბრუნვებში ოთხივე სქეს-კატეგორიისათვის ცალ-ცალკე ფორმა მოეპოვება, სახელდობრ: მხ. რ. 1. პ. მიც. ბრ.—**ჟეზ**, **დეზ**, **ბეზ**, **ეზ**,— მრ. რ. 1. პ. ჩვენ **ნენ**-ის ნათ. ბრ. **ულუ**, **დოლო**, **ბოლო**, **ოლო**,— ხოლო მიც. ბრ. **ჟელ**, **დელ**, **ბელ** და **ელ**.

თუ გავიხსენებთ, რომ 1. პ. მხ. რ. ნაცვალსახელის ძირი **ზ** არის, მრ. რ. 1. პირისა-კი **ნ**, ცხადი გახდება, რომ სქეს-კატეგორიების ნიშნები **ჟ**, **დ** და **ბ** ამ ძირს თავსართის სახით ემატება. აბხაზურშიც ნაცვალსახელის მხოლოდ თავკიდური ბგერაა სქეს-კატეგორიის განმასხვავებელი. 3. პ. და ჩვენებითს ნაცვალსახელებს ზოგს ენაში, როგორც დავრწმუნდით, სქეს-კატეგორიის ნიშნები თავსართად, მაგრამ უმეტესობას ბოლოსართად აქვს.

სათანადო ადგილას აღნიშნული გვქონდა, რომ თუმცა ანდი-დიდოური ენების 1. და 2. პ. ნ. წყვილ-წყვილი, მამრ. და მდედრ. სქესისათვის განსხვავებული ფორმები საყურადღებოა, მაგრამ თვით ამ ფორმების წარმოების წესი ძველი არ შეიძლება იყოს, არჭული პ. ნ. ნათ. და მიც. ბრ. 4 სქეს-კატეგორიის განსხვავებული ფორმებიც საყურადღებოა ისევე, როგორც თაბასარანულის ი-თავკიდურიანი ნაცვალსახელებიც, მხოლოდ **მარტო ამით ამ საკითხის გამორკვევა შეუძლებელია.**

ყველა სინდურ ენებს გამოუკლებლივ, როგორც ვიცით, ჶ მხ. რ. 2. პ. ნაცვალსახელის ნიშნად აქვს, მაგრამ იმ უაღრესად საყურადღებო განსხვავებით, რომ, თუ უბიხურს, ჩერქეზულსა და ყაბარდოულში ეს ჶ მხოლოდ და მხოლოდ 2. პირის გამომხატველია, საერთოდ და სქეს-კატეგორიისდა მიუხედავად, რათგან ამ ენებმა გრამ. სქეს-კატეგორიების გარჩევა აღარ იცის, **აბხაზურში იგივე ჶ უკვე ზოგადად მხ. რ. 2. პ. ნაცვალსახელის ნიშანი-კი არ არის, არამედ მარტო მამრობითი სქესის 2. პ. გამომხატველია, ე. ი. ამ ჶ ბგერის ფუნქციური დანიშნულება მკაფიოდ გარკვეულ სქესთან არის დაკავშირებული,** რათგან სხვა სქესის, მაგ. მდედრ. სქესის, 2. პირისათვის, როგორც ვიცით, **ბირჵ** იხმარება.

ვ-ს რომელი ამ ორი დანიშნულებათაგან, — 2. პირისა, თუ 1. სქეს-კატეგორიის 2. პირისა, ან იქნებ მხოლოდ 1. მამრ. სქეს-კატეგორიის, პირისდა მიუხედავად აღმნიშვნელობა, — **შეადგენდა თავდაპირველს ფუნქციას.** ამის გამორკვევას ერთი მხრით აბხაზური ენის 2. პ. მრ. რ. ნაცვალსახელი **შ̂არა** ცა მეტადრე **შ̂ართ** გვშველის, მეორე მხრით-კი უბიხური პ. ნაცვალსახელების მთელი წყების აღნაგობის ცოდნა.

აბხაზური ნ-ების ანალიზის დროს უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ მრ. რ. 2. პ. ნ. **შ̂ართ**, ვითარცა მრ. რ. თ ბოლოსართის შემცველი, უნდა სწორედ 2. პ. მხ. რ. ფორმისაგან იყოს ამ ფორმანტის საშუალებით ნაწარმოები. აქეთგან ცხადი ხდება, რომ **წინათ მხ. რ. 2. პ. ნ. ჶარა-კი არ ყოფილა, არამედ შ̂არა, რომელშიც შ-ს ლაბიალობა ̂ ფონეტიკურად გაჩენილი მოვლენა-კი არ არის, არამედ მორფოლოგიური მოვლენაა** და ჶ-ს შერწყმულობის ნაშთს წარმოადგენს. უბიხურშიც, როგორც ვიცით, თავკიდურ ბგერად მრ. რ. 2. პ. ნ-ს **შ̂** აქვს. რაკი შ არც ერთს ე. წ. კავკასიურს ენას სქეს-კატეგორიის ნიშნად არ მოეპოვება, 2. პ. ნ. ნიშნად-კი, აბხაზურსა და უბიხურს გარდა, ქართულსაც და ზოგს ლეკურ ენათაგანსაც აქვს, ამიტომ ცხადია, რომ შ აბხაზურს **შ̂არა**-შიც **სწორედ 2. პ. ნაცვალსახელის ნიშანია**, ̂, ანუ მისი წინამორბედი **ჶ-კი სქეს-კატეგორიის ნიშნის ნაშთია.** ყველა ამ მოსაზრებისა და უბიხური პ. ნაცვალსახელების აღნაგობის ანალიზის ძალით (**ღჶა** და **ღჶახლჲ** საშივე პირის ნ-ის ბოლოსართები რომ **ჶარა**-საგან არის წარმომდგარი), უნდა დავასკვნათ, რომ **წინათ 1. და 2. პ. ნაცვალსახელების ფორმები მარტო პირისა-კი არა, არამედ საპიროებისამებრ სათანადო სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელიც იყო** და ისევე, როგორც 2. პ. მამრობითი სქესის გამოსახატავად **ხჶარა** ყოფილა, რომლის ნაშთსაც თანამედროვე აბხაზური **ჶარა**-ღა წარმოადგენს, ამნაირადვე სხვა სქეს-კატეგორიის მაუწყებელი ფორმებიც ყოფილა, მაგ. **შბარა**-ც იქმნებოდა, რომლის ნაშთიც თანამედროვე აბხაზურში 2. პ. მდედრ. აქეს-კატეგორიის ფორმად არის ქცეული.

ცხადია, რომ სქეს-კატეგორიების განრჩევა მარტო 2. პ. ნ-ებს-კი არ ექმნებოდა, არამედ პირველი პირისახაც და, რაკი ნ-ის ფორმას პირის თავკიდური ნიშანი დროთა განმავლობაში დაჰკარგვია, **ისევე, როგორც აბხაზურსა და ყველა სინდურ ენებში და ლეგურ ენების გარკვეულ ჯგუფშიც** მხ. რ. 2. პ **ნაცვალსახელს პირის ფორმანტი დაუკარგავს, სქესის მომდევნო 1. სქესის ნიშანი-კი**

2 პ. ნაცვალსახელის ნიშნად ჰქცევია, ახევე, ეტყობა, დამართვნია ქართულსა და ქართველურ ენებსაც, მაგრამ 2. პ. ნაცვალსახელებში-კი არა, არამედ 1. პ. ნაცვალსახელის ფორმაში.

მაშასადამე, ჟ, ვ (და მ, ვითარცა მისი შენაცვლება) თავდაპირველად პ. ყველა ნაცვალსახელებშიც მხოლოდ 1. სქეს-კატეგორიის ნიშანი ყოფილა და ამ ბგერის ასეთი ზოგადი მნიშვნელობისა და პ. ნ-ების თავკიდური, სწორედ პირის გამომხატველი, ფორმანტების გაქრობის გზით, ვ ქართველურ ენებში 1. პ. ნ-ისა, ხოლო სინდურსა და ლეკურ ენათა გარკვეულს ჯგუფში ჟ, ვ და მ 2. პ. ნაცვალსახელის ძირეულ ბგერად არის ქცეული.

ქართველურს ენებსაც, აბხაზურ-უბიხურის მსგავსად, რომ ოდესღაც პ. ფორმანტს სქეს-კატეგორიის ნიშნებიც ერთოდა, ამის გამომჟღავნებელი კვალი სვანურში გვაქვს შერჩენილი, რომელსაც 1. და 2. პ. ნაცვალსახელების ნათ. ბრ. ფორმას გჟა და გჟე ბოლოსართი მოეპოვება. უექველია, გჟა და გჟე უბიხურის ღჟა-სა და ღჟალჰ-ს უდრის, რომელიც თითონ ჟარა-საგან არის წარმომდგარი და მამრ. სქესის გამომხატველი იქმნებოდა თავდაპირველად.

მაშასადამე, ცხადი ხდება, რომ სინდურ-ღილღურ-ლეგური ენების ნაცვალსახელები ოდესღაც მარტო პირისა-კი არა. არამედ სქესისა, ანდა კატეგორიის აღმნიშვნელი ყოფილა. ასეთი ორი ცნების გამოხატვა პირისა და სქეს-კატეგორიის ნიშნების ერთად ხმარებით სცოდნიათ. ამგვარად შედგენილი ნაცვალსახელი ერთსა-და-იმავე დროს პირსაც და სქეს-კატეგორიასაც გამოჰხატავდა ხოლმე და მოსაუბრეს ამ მხრივ ვინაობასაც უფრო კონკრეტულად უმჟღავნებდა ხოლმე: მე მამაკაცი, მე დედაკაცი, მე ბაშვი,— შენ მამაკაცო, შენ დედაკაცო, შენ ბაშვო, შენ საგანო,— ის მამაკაცი, ის დედაკაცი, ის ბაშვი, ის საგანი—ზოგადად ასეთი შინაარსი ჰქონდა ამ სქეს-კატეგორიან ნაცვალსახელებს როგორც მხ., ისევე მრ. რიცხვშიც.

მეტყველების სხვა ნაწილების მსგავსად, ნაცვალსახელებსაც სქეს-კატეგორიის ნიშნები თავსართისა და ბოლოსართის სახითაც ჰქონიათ და ნაწილობრივ, როგორც დავრწმუნდით, ზოგს ენას ეხლაც აქვს, მაგრამ ისევე. როგორც ზედსართავსა, მიმღეობასა და რიცხვითს სახელებში სქეს-კატეგორიების თავსართიანი წარმოება უფრო ძველ საფეხურად მოჩანს, ბოლოსართოვანი წარმოება-კი მეორე საფეხური უნდა იყოს, ნაცვალსახელებშიც თავსართოვან-ბოლოსართოვანი წარმოების წესი ამნაირადვე ქრონოლოგიურად სხვა-და-სხვა ხანისად არის საგულისხმებელი.

დროთა განმავლობაში, ნაცვალსახელების საუბარში ხშირი ხმარების გამო, მეტადრე სქეს-კატეგორიების შეგნებისა და გრძნობის თანდათანი შესუსტებისა და შემდეგ სრულიადი გაქრობის წყალობით სქეს-კატეგორიან ძველ ნაცვალსახელებს ზოგს ენაში თავკიდური, ზოგში ბოლოკიდური ნაწილი ჩამოშორდა იმისდა მიხედვით, თუ რა ხანაში იყო ასეთი ცვლილება მომხდარი, ზოგს ენას ზოგი ნაცვალსახელის პირის მაუწყებელი ბგერა დაეკარგა, სქესისა-კი პირის ნიშნად იქცა, ზოგს ენასა და ნაცვალსახელს-კი პირიქით სქეს-კატეგორიის ნიშანი გაუქრა და პირის აღმნიშვნელი ბგერა დაცული აქვს.

კულტურულმა წარმატებამა და სწრაფი საუბრის საჭიროებამ პირთა ნაცვალსახელების სქეს-კატეგორიათა მიხედვით განსხვავებულს ფორმებს, ვითარცა შემაფერხებელ გარემოებას, ბოლო მოუღო და მოსპო. არც ერთი ე. წ. კავკასიური ენა არ არსებობს, რომელსაც პ. ნაცვალსახელების სქეს-კატეგორიების მიხედვით განსხვავებული ფორმები შენარჩუნებული ჰქონდეს, პირვანდელი სახით მაინც, რადგან ანდი-დიდოური ენების პ. ნ-ების წყვილ-წყვილი ფორმები, როგორც ვიცით, მხოლოდ და მხოლოდ მერმინდელი საკომპენსაციო მოვლენაა. ცალკეულს ენასა და ენათა ზოგს ჯგუფს. როგორც მაგ. ქართულსა და ყველა ქართველურებს ზრამ. სქეს-კატეგორიების განრჩევა ნაცვალსახელებში უხსოვარი დროითგანვე დაუკარგავს. სქეს-კატეგორიების თანდათანი დაკარგვის პროცესის დროს რომ ზოგი ამ წარმოშობილობის ელემენტთაგანი ენას ამა თუ იმ პირის მაჩვენებლად უქცევია, სქეს-კატეგორიების ნაწილაკების გაქრობისა და ნაცვალსახელებში უხმარებლობის გამო, პ. ნაცვალსახელებს მოსაუბრეთა შეგნებით პირის კონკრეტულობის გამოხატვის სწორედ ის უნარი წართმევია, რომელსაც პირის აღმნიშვნელს ძირს სათანადო სქეს-კატეგორიის მაუწყებელი ნიშნისა, ანდა მარცვლის დართვა ანიჭებდა. ენას აზრის მკაფიობისათვის ამ მეტად საგრძნობი დანაკლისის შევსება აქაც საკომპენსაციო წარმოებით უცდია, და ამ მიზნისათვის უკუქცევითი ნაცვალსახელი თითონ გამოუყენებია. სქეს-კატეგორიის ნიშნის მაგიერ ამ ნაცვალსახელის დართვა პირის ნაცვალსახელს უფრო მეტს კონკრეტულობას ანიჭებდა, ვიდრე უსქეს-კატეგორიო ფორმებს ჰქონდათ, თითონ ნაცვალსახელის ბოლოსართად ხმარებას ის დიდი უპირატესობაც ჰქონდა, რომ იგი სამი პირისათვისაც და ყველა სქეს-კატეგორიისათვისაც იყო გამოსადეგი.

სწრაფს საუბარს დროთა განმავლობაში ბოლოსართად ქცეული უკუქცევითი ნაცვალსახელების სხვა-და-სხვა ფონეტიკური სახესხვაობაც პ. ნაცვალსახელების ჯერ შერწყმულ ფორმებად უქცევია, ხოლო შემდეგ მომხდარი ბგერითი ცვლილების წყალობით განუყოფელ ნაწილადაც-კი გაუხდია. ამის გამო პ. ნაცვალსახელის ამ სრულებით სხვაგვარი წარმოშობილობის ნაწილს ბევრგან, როგორც დავრწმუნდით, და მეტადრე მრ. რ. ფორმებში, პირის აღმნიშვნელობაც-კი დაუკისრებია. ამ გარემოების ცოდნა და გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს მივაგნოთ იმ მეორე დიდ შემადგენელ ნაწილსაც, რომლისაგანაც დროთა განმავლობაში შერთულობის წყალობით აგრეთვე ე. წ. კავკასიური და ქართველური პ. ნაცვალსახელების ნაირნაირობაა წარმომდგარი.

ეხლა დ-ძირიანი ნაცვალსახელების თავდაპირველი რაობის განხილვას რომ შევუდგეთ; აქაც უპირველესად ყურადღებას ის გარემოება იპყრობს, რომ ეს ბგერა ლეგურ ენათა გარკვეულს ჯგუფს ერთი მხრით 1. პ. ნაცვალსახელის ძირად უჩანს, მეორე მხრით იგივე ზოგს ანდი-დიდოურ ენათაგანს მხ. რ. 2. პ. ნ-ის ნათ., მიც. და მოქმ. ბრუნვების ძირადაც-კი აქვს. დასასრულ, მრავალ ენაში იგივე დ 3. პ-ისა და ჩვენებითი ნაცვალსახელის ძირია.

ასეთი საშვარი დანიშნულებაც ამჟღავნებს, რომ ამ ბგერასაც წინათ რაღაც ისეთი ზოგადი ფუნქცია უნდა ჰქონოდა, რომ სამივე პირისათვის მისი გამოყენება შესაძლებელი ყოფილიყო.

კავკ. ენებში ყველაზე მეტად ამ დ-სა და თ ბგერას 3. პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქცია აქვს დაკისრებული. მაგ. შესაძლებელია დავასახელოთ ლუმუქ. თჵ, ლუნძური, ბოთლიხური, ტინდალური და ლოდობერული დოუ, დოჲ, დობ, არჩული თოჶ, თორ, თობ, თოთ და მრავალი სხვაც, მითითებით ჰა, ჰე, ჰუ ნაწილაკებთან ერთად შერწყმით ნახმარი, ფორმები. ლეგური ენების ცალ-ცალკეული და ზოგადი განხილვის დროს დავრწმუნდით, რომ წინათ ამ დ ძირის ა-ხმოვანა ფორმა დაჶ, დაჲ, დაბ და თაუ და სხვაც ყოფილა.

დ ბგერა რომ ერთ-ერთი, 1., 2., ანდა 3. პ. ნ-ის ძირად მიგვეჩნია, სრულებით გაუგებარი იქმნებოდა ის სხვა-და-სხვანაირი მნიშვნელობა, რომელიც მას ლეგურ ენებში აქვს მიკუთვნებული. ამიტომაც ვფიქრობ, რომ დ და თ ბგერის თავდაპირველი დანიშნულება უკუქცევითი ნაცვალსახელის ფუნქცია უნდა ყოფილიყო ყველგან, ისევე, როგორც თოჶ (1 სქესკ.), თორ (2) და თობ (3) არჩულში ის თითონ-ის აღმნიშვნელია, ხოლო დიდოურად თვის-ს ეწოდება თებ.

ქართველურ-სინდურ-ღილღურ-ლეგური ნაცვალსახელების ანალიზის დროს ხომ არაერთხელ გვქონდა შემთხვევა დავრწმუნებულიყავით, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონია უკუქცევითი ნაცვალსახელების ცოდნას პ. ნ-ების ალნაგობის გასაგნებად. ამიტომ, რაც ცალკეულად ამის შესახებ გამოირკვა, აქ იმის გახსენებაც არის საჭირო და მათი ერთად თავმოყრაც ბევრ რამეს გაგვაგებინებს. სახელდობრ ქართველურ-სინდურ-ღილღურ-ლეგური და ალბანური პ. ნაცვალსახელებისა და მათი შემადგენელი ნაწილების წარმოშობილობისა და თავდაპირველი რაობის გამოსარკვევად და გასაგებად შემდეგ გარემოებასაც აქვს მნიშვნელობა.

ჩაჩნურად „ის“ არის იჱ, ხოლო ის თითონ — იჱ შჵ. ამ ნაცვალსახელის ნათ. ბრ.-კი „თითონ მისი“, როგორც დავრწმუნდით, იქმნება შიჟნი, მიც. — შიჟნა და მოქმ. შჵ მაშასადამე, 3. პ. მხ. რ. იჱ ნაცვალსახელი თითონ-ის გამომხატველ შჵ-სთან ერთად მარტო სახ. ბრუნვაში გვხვდება, შემდეგ ბრუნვებში-კი ეს 3. პირის ნაცვალსახელი სრულებით უკვალოდ ქრება და მხოლოდ უკუქცევითი ნაცვალსახელი თითონ-ლა შჵ იკანკლედება.

ღილღური ნაცვალსახელების განხილვისას გავიგეთ, რომ მხ. რ. 3. პ. ის თითონ-ის შჵ გამოჰხატავს თითონ-ის ცნებას, მრ. რ. სამივე პირის თითონ-ის მაუწყებლად-კი უკვე ამავე ძირისაგან ნაწარმოები ეშ ბოლოსართია, რომელიც პირთა ნაცვალსახელებს ერთვის და ამნაირად გამოიხატება ხოლმე: ჩვენ თითონ — თხუო თხეშ და ვაჲ ვეშ, — თქვენ თითონ — შუ შეშ, — ხოლო იხინი თითონ — იჱუშ-შეშ.

ზემოდასახელებული თვალსაზრისით საყურადღებოა ჩვენ თითონ და თქვენ თითონ-ის ჩაჩნური ამ ნაცვალსახელების და მათი კანკლედობის წესიც. როგორც უკვე ვიცით, ჩვენ (მე და ის, ან ისინი) იქმნება ტხუო ანუ თხუო, „ჩვენ თითონ“-კი ტხუო ტხეშ, — ჩვენ' (მე და შენ, ან თქვენ) არის ვაჲ, „ჩვენ თითონ“ — ვაჲ ვეშ და თქვენ ხომ შუ არის, თქვენ თითონ — შუ შეშ.

ყველა ამ შემთხვევაში პ. ნაცვალსახელს მარტო უკუქცევითი ნაცვალსახელის ფორმა-კი არ მისდევს, როგორც 3. პ. მხ. რ.-შია, არამედ პირის ნაც. ნიშანთან შერწყმული ფორმა: თხ + ეშ, ვ + ეშ, შ + ეშ, ე. ი. ისევე

ქართულში რომ „ჩვენ თითონ“-ის მაგიერ „ჩვთითონ“ და „თქვენ თითონ“-ის მაგიერ „თქთითონ“ გვეხმარა. საგულისხმოა, რომ ყველა ამ შემთხვევაშიც ნათ., მიც., მოქმ. და სხვ. ბრუნვებში პ. ნაცვალსახელის პირველი ცალკეული ფორმა ქრება და მხოლოდ უკუქცევითი ნაცვალსახელების ზემოაღნიშნული შერწყმული ფორმების კანკლედობა-ღაა, პ. ნაც. ნიშნები-კი უცვლელი რჩება. მეტის თქმაც შეიძლება: „თქვენ თითონ“-ის ნათ. და მიც. ბრ. მარტო შერწყმული-კი არა, არამედ პ. ნაცვალსახელოვან-ნიშნებ-ჩამოცლილ ფორმებსაც ხმარობენ ხოლმე (იხ. აქვე, გვ. 492), ე. ი. აქაც მხოლოდ უკუქცევითი ნაცვალსახელის კანკლედობა-ღაა დარჩენილი, პირის ნაცვალსახელის ყოველივე კვალი კი უკვე სრულებით გამქრალია.

ამაზე არანაკლებ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ჩაჩნური 3. პ. მხ. რ. ნაცვალსახელს იზ-სა და ამავე პირის მრ. რ. იზუშ-საც, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 490—1), სრულებით მოულოდნელად ც ძირისაგან ნაწარმოები ფორმები აქვთ ყველა (სახელობითის გარდა) ბრუნვებისათვის ისე, რომ ნათ. ბრ. მისი არის ცუინინძ, მიც. ბრ. ცუნნა, მოქმ. ცუღ, — მრ. რ. ნათ. ცჷრინძ, მიც. ცჷრნა და მოქმ. ცჷრა, იზ-კი უკვალოდ ქრება.

ზემოაღნიშნულს უცნაურობას ზედ ის გარემოებაც ერთვის, რომ ჩაჩნურად ამ ცუ, ცა და ცე ძირს არავითარი განმარტება არ მოეპოვება და სრულებით გაუგებარია, უ ს ლ ა რ ი ს ლექსიკური მასალებით მაინც, რათგან თანამედროვე ჩაჩნურს ც უკუთქმითი მნიშვნელობის თავსართად, ანდა ბოლოსართად აქვს, ცუ-კი დახლილი სიმინდის, ანდა გამხმარი მსხლის ფქვილს ნიშნავს (ჩაჩ. ე., გვ. 225—226), ერთი სიტყვით 3. პ. ნაცვალსახელთან საერთო არა უჩანს რა.

ზემოაღნიშნული გარემოება ჩაჩნური 3. პ. ნაცვალსახელის საკანკლედო ფორმების ძირს მით უფრო საინტერესოდ ხდის. თუ მკვლევარი მას ჩაჩნურში განმარტებას ვერ მოუძებნის, სამაგიეროდ საკმარისია ადამიანმა წინამდებარე წიგნის ის გვერდები გადაიკითხოს, სადაც ღუმუძური ნაცვალსახელები გვაქვს განხილული (იხ. გვ. 526), რომ ცუ-სა და ცა-ს რაობა გამოირკვეს. ღუმუძურში ხომ ცუ და მისი ა და ი-ხმოვანა ფორმები სწორედ 3. პ. უკუქცევითი ნაცვალსახელია. უეჭველია ჩაჩნური 3. პ. ნაცვალსახელის საკანკლედო ფორმებიც ამავე წარმოშობილობისა და თავდაპირველად ამავე დანიშნულების ნაცვალსახელი უნდა ყოფილიყო.

ზემოდასახელებული გარემოება ამჟღავნებს, რომ როგორც თანამედროვე ჩაჩნურს იზ შჵ აქვს „ის თითონ“-ის გამოსახატავად, ისევე ძველად ამავე ცნების წარმოსათქმელად იზ-ცუ-ც ჰქონია და როგორც იზ შჵ-ს ნათ., მიც. და სხ. ბრ. ფორმებში პირის ნაცვალსახელი იზ ჩამოსცილებია, უკვალოდ გამქრალა და მხოლოდ თითონ-ის აღმნიშვნელი შჵ-ს ფორმები-ღაა შერჩენილი, ცხადია, ასეთივე პროცესის შედეგს უნდა წარმოადგენდეს 3. პ. ნაცვალსახელის კანკლედობის ფორმებიც: აქაც 3. პ. ნაცვალსახელი ჩამოცილებული უნდა იყოს და თითონ-ის აღმნიშვნელი უკუქცევითი ცუ ნაცვალსახელის კანკლედობის შერჩენილი ფორმები-კი მესამე პირის ნაცვალსახელის კანკლედობად არის ქცეული. ამნაირად, თუმცა ამ ფორმებს შენარჩუნებული აქვს მნიშვნელობა,

„თითონ მისი", „თითონ მას", „თითონ მისით", მაგრამ არსებითად ზემომოყვანილი ფორმები მარტო თვისი, თვისს და თვისით-ს ნიშნავენ.

ღუნძურისა, ანწჳსურისა და ჭარუღი ნაცვალსახელების განხილვის დროსაც ხომ დავრწმუნდით, რომ მრ. რ. პირთა ნაცვალსახელები მარტო-კი არ უხმარიათ, არამედ უკუთქმითი ნაცვალსახელის თითონ-თან ერთად და საუბრის დროს მარტო ჩვენ და თქვენ-ს-კი არ ხმარობდნენ ხოლმე, არამედ თურმე ამბობდნენ „ჩვენ თითონ" და „თქვენ თითონ", ამასთანავე თითონ-ის გამომხატველი ელემენტი ბოლოსართის მსგავსად შერწყმით ერთვოდა ნაცვალსახელს, ანდა ასეთად მიჩნეულს ფორმას.

არაერთი ენის 3. პ., როგორც მხ., ისევე მრ. რ. ნაცვალსახელების განხილვისასაც ბევრჯერ შეგვეძლო დავრწმუნებულიყავით, რომ ეს ნაცვალსახელებიც ჩვეულებრივ მითითებითი ნაცვალსახელებისა და უკუქცევითი ნაცვალსახელის შეერთებით, ანდა შერწყმითაც-კი ყოფილა შედგენილი. აქაც კანკლედობის დროს უფრო ხშირად 3. პ. ნაცვალსახელი ქრება და მხოლოდ-ღა უკუქცევითი ნაცვალსახელის ფორმები რჩება, რომელთაც ამისდა მიუხედავად 3. პირისადმი მიკუთვნილობის მნიშვნელობა მაინც შენარჩუნებული აქვთ.

მე-XVIII ს. ჩანაწერებითგან ჩანს, რომ ასეთი მოვლენა უკვე იმ დროსაც ყოფილა კუთვნილებითს ნაცვალსახელებშიც. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ ჩვენი მე-XVIII ს. ღუნძურაჲ ნეჟერაუ ყოფილა, ეხლა ნეჟერ-ს ხმარობენ, ანწჳსურაჲ ძველად ნეჟერ, ხოლო ჭარუღაჲ ნეჟერაბ უხმარიათ, — თქვენი-ც ღუნპურაჲ ძველად იყო მოჟორაბ, ეხლაა ნოჟორ, — წინათვე ანწჳსურაჲ მუჟერ, ჭარუღაჲ-კი მუჟერაბ ყოფილა. ყველა ამ ფორმებს, როგორც დავრწმუნდით, უკუქცევითი ნაცვალსახელის ჟ(შ) ძირისაგან ნაწარმოები, ან მხოლოდ ნათ. ბრ. ფორმა, ან ამასთანავე ამა-თუ-იმ ბოლოსართის შემცველი (ჟერაუ, ჟერაბ, ჟორაბ, ჟერ, ჟორ) სქეს-კატეგორიის ნიშანი ახლავს.

მაგრამ აქაც 3. პ. კუთვნილებითი ნაცვალსახელის ის ფორმაა საგულისხმო, რომელიც მე-XVIII ს. ჩანაწერშია აღბეჭდილი. მისი მაშინ ღუნპურაჲ ყოფილა შენელაუ, ჭარუღაჲ ჟენელაბ, ხოლო ანწჳსურაჲ ჟენელ. რაკი ამ ფორმებს 3. პ. ღუნპური ნაცვალსახელის დოუ-ს ნათ. ბრ. დოსულ-ის არავითარი კვალიც-კი არ ეტყობა, ცხადი ხდება, რომ აქაც პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის ჩემი-ს გამომხატველი წინა ნაწილი სრულებით გამქრალია და მხოლოდ თვისი-ს გამომხატველი უკუქცევითი ნაცვალსახელი-ღა ყოფილა.

ყველა ზემოაღნიშნულისა და ზემონათქვამის შემდგომ, ადვილი გასაგები იქმნება, თუ რატომ და რა გზით არის ქცეული დ-ძირი ზოგს ენათა ჯგუფში 1. პ. ნაცვალსახელად და იმავე დროს 2. პ. ნ-ის ნათ., მიც. და მოქმ. ბრ. ფორმებად, ხოლო ენათა დიდ უმრავლესობას 3. პ. და ჩვენებითი ნაცვალსახელებად აქვს: ბოლოსართად ქცეული უკუქცევითი ნაცვალსახელის დაუ, ანუ თაუ, დოუ ან თოუ და მათ სხვადასხვა ფონეტიკურ სახესხვაობათა პ. ნაცვალსახელებთან ერთად შერწყმული ხმარებისა და დროთა განმავლობაში პ. ნაცვალსახელების ძირისეული, ანდა ძირეულად მიჩნეული ნაწილის გაქრობის გამო და გაქრობასთან ერთად მათზე პ. ნ.-ების გადმოტანის გზით.

მაშასადამე, ნაცვალსახელების ძირებად მიჩნეული ბგერების კარგად ცნობილი სიმრავლე და აღრეულობა მართლაც ასეთი ძირების სიმრავლის შედეგი-კი არ ყოფილა, არამედ იმ რთული პროცესისა, რომელსაც ნაცვალსახელები შეუქმნია: აქ, როგორც გამოირკვა, პ. ნ-ების თავდაპირველ ძირებს გარდა, ოდინდელი სქეს-კატეგორიების ნიშნებიცა და უკუქცევითი ნაცვალსახელები, ზოგან მთლიანად, უფრო ხშირად-კი მხოლოდ მათი ნაწილებიც ყოფილა შერთულ-შეთვისებული.

ეხლა მხოლოდ-ღა პ. ნაცვალსახელების თავდაპირველ ძირებზე დაგვრჩა ორიოდე სიტყვა სათქმელი. 1. პ. ნ. ძირად ს, ანდა ზ არის მისაჩნევი, რომლის გავრცელების არე, როგორც დავრწმუნდით, წინათ შავი ზღვითგან მოყოლებული კასპიის ზღვამდე ყოფილა გადაჭიმული. ქართველურისა და ანდი-დიდოურ-ლუნძური ენათა ჯგუფის 1. პ. ნაცვალსახელი-კი სქეს-კატეგორიისა და უკუქცევითი ნაცვალსახელის სამყაროთგან არის შეჭრილი. საფიქრებელია, რომ ჩემი-ს პირველი მარცვალი 1. პ. ნ. ამავე ბგერის ფონეტიკური სახენაცვალი იყოს, მი-კი ოდინდელი სქეს-კატეგორიის ვი მარცვლის სახესხვაობა, თუ რომ ქართველურშიც ჩ, ლეგურ ენათა მსგავსად, სხვაგნებური, სახელდობრ, უკუქცევითი ნაცვალსახელის ანარეკლს არ წარმოადგენს.

2. პ. ნ-ის პირველად ძირად ხ არის მისაჩნევი, რომელიც სინდურს ენებში (აბხაზ. და უბიხ.) და ქართულში (ცალკეულად) შ-დ არის შენაცვლებული, ხოლო ჟ, მ და დ (ნათ., მიც. და მოქმ. ბრ-ში) სინდურსა და ლეგურ ენათა გარკვეულ ჯგუფში, როგორც უკვე ვიცით, სქეს-კატეგორიებისა და უკუქცევითი ნაცვალსახელის არითგანვეა შეჭრილი.

3. პ. ნ-ის ძირად ნ-ს მიჩნევა, ქართულით ძველთაგანვე დამოწმებისდა მიუხედავად, არ შეიძლება, რათგან, როგორც დავრწმუნდით, ერთი მხრით აბხაზური ლარა, რომელიც 3. პ., მაგრამ მხოლოდ მდედრ. სქესის აღმნიშვნელია, მეორე მხრით-კი ის გარემოებაც, რომ ქართულში ნ თავდაპირველად მდედრ. სქეს-კატეგორიის ნიშანი ყოფილა, იგი, უეჭველია, სქეს-კატეგორიათა არითგან შეჭრილი ელემენტია. დ ბგერაც, როგორც გამოირკვა, უკუქცევითი ნაცვალსახელის ოდინდელს კუთვნილებასა და წილს წარმოადგენს.

ყველა ამ მოსაზრებათა გამო, 3. პ. ნაცვალსახელი, როგორც ეტყობა, ჰა, ჰე, ჰუ მითითებითი ნაწილაკით გამოიხატებოდა, რომელსაც ჯერ სათანადო სქეს-კატეგორიის ნიშანი, ხოლო შემდეგ უკუქცევითი ნაცვალსახელი ერთვოდა.

ნაცვალსახელების ძირების ნათესაობა და იგივეობაც-კი ქართველურ-სინდურ-დიდოურ-ალბანურ ენებში, მაშასადამე, შესაძლებელია უცილობელ ჭეშმარიტებად იქმნეს მიჩნეული. განა შესაძლებელია შემთხვევითი მოვლენა იყოს, რომ ქართულსა და ქართველურსაც უკუქცევით ნაცვალსახელებად თავი, თვით, თი. დუდო და თხუმ აქვს და დიდოურ-ლეგურ ენებშიც დაუ, თაუ და მათი სხვადასხვა ფონეტიკური სახესხვაობა უკუქცევითი ნაცვალსახელივეა? ან კიდევ, განა საგულისხმო არ არის, რომ სვანურსაც უკუქცევით ნაცვალსახელად ჯა და 3. პ. ნ-ად ეჯა (< ჰე + ჯა) აქვს და მისგან გეოგრაფიულად ისეთ დაშორებულ ენასაც-კი, როგორიც დიდოურია, 3. პ. ნ-ად მე-XVIII ს. ჯო-ვე ჰქონია, რომელიც ეხლა უკვე ჟო-დ არის შენაცვლებული.

მომავალში შესაძლებელია დამტკიცდეს, რომ უკუქცევითი ნაცვალსახელების თ, დ, ჯ, ჟ, შ და ჩ, ც ძირები ყველა ერთი-და-იმავე ბგერის ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს.

ქართული ნ-ების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ მრ. რ. 2. პ. ნ. თქუენ პ. ნ-ის არავითარ ელემენტს არ უნდა შეიცავდეს, არამედ იგი რაღაც სხვაგვარი წარმოშობილობისა უნდა იყოს. ამნაირადვე ღილღური პ. ნ-ების განხილვისას გამოირკვა, რომ მრ. რ. 1. პ. ნ. ტხენ და ტხუ-სა ანუ თხენ და თხუ-ში არც 1. და არც 2. პ. ნ-ების არავითარი ელემენტი არ მოიპოვება, არამედ ისიც წინათ რაღაც სხვა არეს კუთვნილება უნდა ყოფილიყო. ქართული თქუენ, ანუ თქვენ-ისა და ღილღური თხენ და თხუ-ს ბგერითი მსგავსების უარყოფა ხომ შეუძლებელია. ამ ორი ნ-ის ასეთი ბგერითი მსგავსება შემთხვევითია? და, თუ შემთხვევითი არ არის, რა მიზეზი შეიძლება იყოს, რომ ქართულს ბგერათა ეს კომპლექსი მრ. რ. 2. პ. ნაცვალსახელად აქვს, ღილღურს-კი მრ. რ. 1. პირისად?

მას შემდგომ, რაც ჩვენ მრავალი მაგალითი გვინახავს, როცა უკუქცევითი ნაცვალსახელი, ანდა მისი ელემენტი, პ. ნ-ად ქცეულა, ვგონებ, აღარ უნდა გვეუცხოვოს აზრი, რომ მრ. რ. 2. პ. ქართული ნაცვალსახელიც შესაძლებელია ამავე წარმოშობილობისა იყოს. ეგების იგი ძველ ქართულში კარგად ცნობილს, თავის აღმნიშვნელ სიტყვა თხემ-თან იყოს დაკავშირებული, რომლის ფონეტიკური სახესხვაობა თხუმ, როგორც ვიცით, ჭანურს სწორედ უკუქცევით ნაცვალსახელად აქვს.

ეს მოსაზრება რომ მართალი გამომდგარიყო, მაშინ ადვილი გასაგები გახდებოდა, თუ როგორ იყო შესაძლებელი, რომ ეს სიტყვავე ღილღურში მრ. რ. უკვე 2. პ. ნ-ად ქცეულიყო. მართალია, არსებული მასალებითგან არ ჩანს, რომ ამნაირი სიტყვა ჩაჩნურში უკუქცევითი ნაცვალსახელი იყოს, მაგრამ მაინც საყურადღებოა, რომ ჩაჩნურადვე თხაუვ სახლის თავს, სახურავს, ანუ თხემსვე ნიშნავს (იხ. ჩაჩნ. ე., გვ. 214).

დასასრულ, ნაცვალსახელების ბოლოკიდური ნაწილის შესახებაც. უკვე კარგად ვიცით, რომ ქართულსა და ქართველურსაც ნა და ნ ბოლოსართი აქვთ და ლეგურ ენათა უმრავლესობასაც ამავე დანიშნულების ელემენტად იგივე ნ და ნე-ც მოეპოვებათ. განა შესაძლებელია ასეთი რამე შემთხვევითი მოვლენა იყოს? სინდურ ენებსაც ხომ რე, რი და რ ფორმანტი აქვთ. რ-სა და ნ შენაცვლება იმდენად ხშირია, რომ ამ ორი ფორმანტის იგივეობაზე ბევრი საუბარი საჭირო არ უნდა იყოს. ცხადია, რომ რ და ნ ერთ-ერთი ოდინდელი სქეს-კატეგორიის შეზრდილ-გადაგვარებული ნაშთია.

ეხლა-კი, ვგონებ, სრული უფლება უნდა გვქონდეს დავასკვნათ, რომ ქართველურ-სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანურ ნაცვალსახელებს, როგორც ძირები, ისევე აღნაგობა და ამ ცნების გამოხატვის წესიც ერთი-და-იგივე ჰქონია და, მაშასადამე, მათი ნათესაობა ამ მხრივაც უცილობელ დებულებად უნდა იყოს ცნობილი.

კ ა რ ი   მ ე ე ქ ვ ს ე

ზმნა. სიტყვათა ძირების ნათესაობა. დასკვნა.

ზ მ ნ ა

დასახული ამოცანა და ფარგლები

ნ. მარრის, მეტადრე კი აკ. შანიძისა, იოს. ყიფშიძის, ვარდ. თოფურიასი და არნ. ჩიქობავას გამოკვლევების წყალობით ქართული და ქართველური ზმნის აგებულება უკვე საკმაოდ საფუძვლიანად არის შესწავლილი. სამწუხაროდ, ამ მხრით ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა გაკეთებული სინდური ენების ზმნის აგებულების შესასწავლად. მართალია, წინანდელთან შედარებით, იქაც საქმეს ოდნავ გაუმჯობესება დაეტყო ისე, რომ უბიხურისათვისაც და ადიღეურის, ქიახურისათვისაც მონოგრაფიული გამოკვლევები და უკანასკნელისათვის, როგორც ვიცით, გრამატიკაც-კია გამოქვეყნებული (იაკოვლევისა და აშხამაფის), მაგრამ ზმნის აღნაგობის სირთულე იქ მაინც დაძლეული არ არის. უნდა აღინიშნოს, რომ დჳ̈მეზილმა თავისს შედარებითს გამოკვლევაში სინდური ენების ზმნის ზოგადი თვისებების გამორკვევაც სცადა და არაერთი სამართლიანი დაკვირვებაც მოეპოვება, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა გასაკეთებელი, სანამ სინდური ენების ზმნის აღნაგობის ჩვენი ცოდნა იმ დონეს მაინც მიაღწევდეს, რა დონეზედაც ამჟამად ქართულისა და ქართველური ენების ზმნის აღნაგობა ვიცით.

სრულებით უმწეო მდგომარეობა იყო ბოლო დრომდე ღილღურ-ლეგურ-ალბანური ენების გრამატიკის ამ დარგში. ზმნის აღნაგობის შესასწავლად თითქმის არაფერი იყო გაკეთებული და საქმე უღვლილების ფორმების აღნუსხვას მხოლოდ ოდნავ სცილდებოდა. მარტო ამ ბოლო დროს დაიწყო ზოგიერთი ლეგური ენების გაღრმავებული შესწავლა, მაგრამ მისი შედეგი ჯერ გამოქვეყნებული არ არის. ამის გამო ღილღურ-ლეგური ენების ზმნის ზოგადს თვისებებზე იმ მცირეოდენს გარდა, რაც ად. დირრ-ს აქვს თავის „შესავალ“-ში და ლ. ჟირკოვს პატარა, ექვს-გვერდიანს მოხსენებაში **„დაღესტნის იაფეტურ ენების ზმნის აგებულებაზე“** (О строе глагола в яфетических языках Дагестана: Доклады Акад. Наук СССР. 1930 წ. № 5, გვ. 79—84), თითქმის არა მოგვეპოვება რა.

ზემოაღნიშნულ პირობებში ცხადია, რომ ქართველური, სინდური, ღილღური და ლეგურ-ალბანური ენების ზმნისა და უღვლილების შედარებითი შესწავლა არც მართებული და არც მიზანშეწონილი იქნებოდა. ამისთვის წინასწარ სინდურ-ღილღურ-ლეგური ენების ისევე მაინც მონოგრაფიულად განხილვა იქმნებოდა საჭირო, როგორც სქეს-კატეგორიები, რიცხვითი და ნაცვალსახელები

გვქონდა განხილული. მაგრამ, თუ მორფოლოგიის ზემოაღნიშნული საკითხების გამოსარკვევად აწ-არსებული მასალა ცოტად-თუ-ბევრად საკმარისი იყო, ზმნის რთული აგებულების, მეტადრე-კი მისი გენეზისის, გაშუქება ასეთი მცირეს, ცუდად გაგებულ-განმარტებულსა და შეუმოწმებელს მასალაზე დაყრდნობით შეუძლებელია: მკვლევარს იგი საფუძვლიანი დასკვნის გამოყვანის საშუალებას ვერ მისცემს. ვფიქრობ, რომ ეხლანდელ ვითარებაში შესაძლებელია ამ ენათა ჯგუფების **ზმნის აგებულების მხოლოდ ზოგადს პრინციპზე ვიქონიოთ მსჯელობა და ამიტომ აქაც სწორედ ამით უნდა დავკმაყოფილდეთ.**

1. ქართულ-ქართველური ზმნა

ზოგადი ქართულისა და ქართველური ენების მორფოლოგიის თავისებურება, როგორც ცნობილია, **ზმნის აგებულებაშიც** მკაფიოდ გამოიხატება: აქაც **ხომ თავსართოვანი წარმოებაა გაბატონებული და ბოლოსართოვანს ძალზე სჭარბობს.** ამ თავისი თვისებით ზმნის ქართველური უღვლილება ინდო-ევროპულისაგანაც ძირიანად განსხვავდება და სემურთან შედარებითაც, რომელსაც ნაწილობრივ თავსართოვანი წარმოებაც მოეპოვება, თავსართოვანი წარმოების პრინციპი თითქმის ურყევად აქვს დაცული.

ქართულსა და ქართველურებს **თავსართოვანი წარმოება პირთა** (სუბიექტობიექტის) **აღსანიშნავად აქვს გამოყენებული ორივე რიცხვის პირველი და მეორე პირისათვის.** ამ **ზოგად წესისაგან გამონაკლისს მხოლოდ მესამე პირის ფორმა წარმოადგენს,** რომელშიც პირი ბოლოსართით, სუფიქსით აღინიშნება. **ასევეა ძველ ქართულშიც,** რამდენადაც ისტორიული ხანის ძეგლების ენით ამის გამორკვევაა შესაძლებელი. **მაგრამ სვანურს,** როგორც ნაცვალსახელებზე მსჯელობის დროს დავრწმუნდით (იხ. აქვე) **მესამე პირისათვის თავსართოვანი წარმოება ეხლაც ნაწილობრივ შენარჩუნებული** აქვს და, მაშასადამე, **თავსართოვანი წარმოების პრინციპის მთლიანობა იქ ამ მხრივაც დაცულია.**

თავის ალაგას გამოთქმული გვქონდა მოსაზრება, რომ **თავდაპირველად ეს ზოგადი მოვლენა უნდა ყოფილიყო და 3. პ. ნ. თავსართოვანი წარმოება ოდესღაც ქართულსაც ექნებოდა.**

ცნობილია აგრეთვე, რომ ქართულიცა და ყველა ქართველური ენების **ზმნაც ერთპირიანიც, ორპირიანიცა და სამპირიანიც არსებობს.** ერთპირიანი ზმნა ისეთ ზმნას ეწოდება, რომელიც მხოლოდ სუბიექტის აღმნიშვნელია, **ორპირიანი ზმნა-კი სუბიექტისაცა და ობიექტისაც,** თუ ყოველთვის ბგერითი ნიშნით არა, გულისხმობით მაინც გამომხატველია. **სამპირიანი ერთი—სუბიექტისა და ორი ობიექტის აღმნიშვნელია** აზრიანობით, მაგრამ თვით **სამპირიანი—ზმნის ფორმებს მარტო** ორი პირის, **სუბიექტისა და ერთი ობიექტის, გამომხატველი ნიშნები მოეპოვება, მეორე ობიექტი-კი** ცალკეული ბგერით არ აღინიშნება, **არამედ მხოლოდ იგულისხმება** ხოლმე.

თუმცა **ქართულს პირის სუბიექტურიცა და ობიექტური** ნიშნებიც, მესამე პირის გარდა, თავსართებად **აქვს, მაგრამ ორივე ნიშანი დაცულია** ხოლმე იმ შემთხვევაში, **როცა სუბიექტად პირველი პირია, ხოლო ობიექტად მესამე**

პირია და პირის ნიშნის შემდგომ ზმნა თანხმოვნით იწყება. ასეთს შემთხვევებში ჯერ სუბიექტის ნიშანია ხოლმე, მერმე-კი, ობიექტის ნიშანი მისდევს, მაგ.: მჰკითხე, მსთხოვე და სხ. დანარჩენ შემთხვევებში-კი ერთი მათგანი იკარგება, ზოგჯერ ორივე ქრება, სახელდობრ:

1. როდესაც სუბიექტი პირველი პირია, ობიექტი-კი მესამე პირი არის და ობიექტის ნიშანს ზმნის პირველ ბგერად ა, ან უ, ან და ე ხმოვანი ხვდება, მაშინ მხოლოდ სუბიექტური ნიშანი რჩება, ობიექტის ნიშანი-კი ამ ხმოვნების წინ ქრება, მაგ. ვჰათხოვე-ს მაგიერ ვათხოვე ითქმის.

2. როცა სუბიექტი პირველი პირია, ობიექტი-კი მეორე, ანდა წინაუკმო სუბიექტი მეორე პირია, ხოლო ობიექტი პირველი პირი არის, მაშინ რჩება მხოლოდ ობიექტური ნიშანი, სუბიექტური-კი უჩინარია, მაგ. გწერ, მწერ და სხ.

3. როცა სუბიექტი მეორე პირია, ობიექტი-კი მესამე, რაკი მათ ნიშნად ერთი-და-იგივე თანხმოვანი აქვთ, ორი ერთ-და-იმავე ბგერის შეყრისას-კი, მარტო ერთი-და რჩება ხოლმე, ამიტომაც, თუ ამ ერთს დარჩენილს ნიშანს შემდეგ ზმნის ხმოვანი მიჰყვა, მაშინ ეს მეორე ნიშანიც ქრება ხოლმე, მაგ. გაატან, შეუთვალო.

დასასრულ, როდესაც სუბიექტად მესამე პირია, ობიექტად-კი ერთი სამ პირთაგანი, რაკი მესამე პირის ნიშანი ქართულში ბოლოსართით, ობიექტი-კი თავსართით გამოიხატება, ამიტომ მათი შეხვედრა შეუძლებელია და ასეთ შემთხვევებში ორპირიან ზმნას ორივე ნიშანი აქვს ხოლმე შერჩენილი, მაგ. მნახავს, გნახავს, ხცემს და სხ.

სუბიექტი სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვით გამოიხატება, ობიექტი-კი მიცემითი და სახელობითი ბრუნვითაც.

რაკი ქართულისა და ქართველური ენების ზმნის თავისებურებას, ერთპირიანობის გარდა, ორ და სამპირიანობა შეადგენს, ცხადია, რომ ამ ორ-სამ პირიანი ზმნების უღვლილებაც სუბიექტისა და ობიექტისა, ანდა ობიექტებს შორისი დამოკიდებულების გამომხატველიც უნდა იყოს და არის კიდევაც. სუბიექტ-ობიექტთა დამოკიდებულების ზმნის ფორმებით გამოხატვას ზმნის ქცევა ეწოდება.

ზმნის სულ სამი ქცევა არსებობს: ერთს მათგანს, სუბიექტის კუთვნილების, ანდა მისთვის განკუთვნილობის გამომხატველს, სათავისო, ანუ სასუბიექტო ქცევა ეწოდება (მაგ. ვიწერ, ვიკეთებ),— მეორეს, სხვის კუთვნილების, ანდა სხვისთვის განკუთვნილობის მაუწყებელს სასხვისო, ანუ საობიექტო ქცევა ჰქვიან (მაგ. ვუწერ, ვუკეთებ). ხოლო მესამეს, რომელიც ობიექტის არც კუთვნილებისა და არც განკუთვნილობის გამომჟღავნებელი არ არის, საარვისო, ანუ ნეიტრალური ქცევა ეწოდება (მაგ. სწერს, აკეთებს, ხატავს).

ისევე, როგორც პირის ნიშნებია, ზმნის ქცევის ნიშნებიც თავსართოვანი წარმოების წესით გამოიხატება და ზმნის წინა ნაწილშია მოთავსებული.

ბოლოხართოვანი წარმოება-კი ზოგადს ქართულსაცა და ყველა ქართველურებსაც სუბიექტ-ობიექტის პირთა მრავლობითობის გამოსახატავად და დროთა მაწარმოებელ ფორმანტებად აქვს გამოყენებული (ვწერთ, სწერთ, სწერენ, სწერს, — ვწერდი, სწერდა, სწერდენ, ვწერე, ვწერეთ და სხ.).

ქართველურ ენებს დროთა ფორმები უხვად მოეპოვება, მაგრამ წარმოშობილობისდა მიხედვით ყველა მათ ორ-სამ მთავარ ჯგუფად გაყოფა შეიძლება; ერთ ჯგუფს ძირითადი, მეორესა და მესამეს-კი მათგან ნაწარმოები დროები შეადგენენ. პირველ ჯგუფს აწმყო დრო და აორისტი ანუ ნამყო ძირითადი ეკუთვნის. აწმყო დროს ფუძის მაწარმოებელი სუფიქსები მოეპოვება (ქართულში -ავ, -ამ, -ებ [სხვებზე მეტად გავრცელებული], -ოპ, -ოფ, -ი, — მეგრულში -ან, -ენ, -ინ, -უნ [ყველაზე გავრცელებული] და -ქ,— ჭანურში -ამ, -აფ, -უმ [ყველაზე მეტად გავრცელებული], -უფ, - იფ და სვანურში -ემ,- ერ,- ენ [ხშირია], - ინ [ხშირია], - ელ, - ესგ და - ეშგ).

ნამყო უსრულის ნიშნად ზოგადს ქართულსაც და ყველა ქართველურ ენებსაც დ ბოლოსართი აქვთ, რომელიც აწმყო დროს ფორმას ერთვის. ჭანურს ნამყო უსრულის ნიშნად ამჟამად მისი ყრუ შესატყვისობა ტ გაუხდია, მაგრამ ათინურს კილოში დ-ც გვხვდება ისევე, როგორც მისი გაასპირატებული თ შესატყვისობაც.

ზემოდასახელებულ მეცნიერთა ნაშრომებში გამორკვეულია, რომ მეგრულს, ჭანურსა და სვანურს ზმნას მარტო აგებულება-კი არა აქვს იგივე, რაც ქართულშია, არამედ თვით აღნაგობის ელემენტებადაც იგივე ფორმანტებია გამოყენებული (იხ. მეგრულ-ჭანურისათვის არნ. ჩიქობავას ჭანურის გრამ. ანალიზი, გვ. 86—87, 99 — 100, 110, 117, 136, 138, 155, 177, 199—200.— სვანურისათვის ვარ. თოფურიას სვანური ენა I, ზმნა, გვ. 25, 34, 43, 45, 48, 50, 106 — 107, 112, 127, 142 — 143, 168, 182, 184, 209).

2. სინდური ენების ზმნა

სინდურ ენათაგან ყველაზე საინტერესო აღნაგობის თვალსაზრისითაც და და ძველი თვისებების დაცვითაც აფხაზური ზმნაა. სამწუხაროდ მონოგრაფიულად იგი ჯერ არავის შეუსწავლია, უსლარისა, დ. გულიისა და G. Deeters-ის პატარა, მაგრამ საყურადღებო, წერილის „Der abchasische Sprachbau (Nachrichten v. d. Gesel. d. Wissen. zu Göttingen 1931) გარდა სხვა არაფერია გამოქვეყნებული.

სამწუხაროა, რომ პროფ. ს. ჯანაშიას კვლევა-ძიება აბხაზური გრამატიკისა და კერძოდ ზმნის სფეროში დაბეჭდილი არ არის. ხელთა მაქვს მხოლოდ მისგან გადმოცემული ზოგიერთი წერილობითი ცნობები, რომლებითაც ვსარგებლობ და რომლისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

ქართველური ენების მსგავსად, სინდურს ენებსაც ერთპირიანი ზმნებიც აბადია, ორპირიანიცა და სამპირიანიც (ს. ჯანაშიას წერ. ცნობა და დუმეზ. Études, გვ. 156). ზმნის აგებულებაში აგრეთვე თავსართოვანი წარმოებაა გაბატონებული: სუბიექტისა და ობიექტის, ან ობიექტების მაუწყებელი ნიშნები ისევე, როგორც აბხაზურში მათი გრამატ. სქესი და კატეგორიაც მხოლოდ თავსართების სახით გამოიხატება. ბოლოსართებად-კი ყველა სინდურში მხოლოდ დროისა და კილოს ნიშნებია. მრ. რ. ნიშანი ადიღეურს 3. პირისათვის მოეპოვება და აქაც, ქართველურის მსგავსად, ბოლოსართით გამოიხატება.

სინდურ ენებსაც ორგვარი უღვლილება აქვთ: სუბიექტური და ობიექტური. ორპირიანს ზმნებში სუბიექტი და ობიექტი, სამპირიანებში-კი—სუბიექტი და ორი ობიექტი აღინიშნება ხოლმე. გარდამავალ ზმნებში ობიექტის (პირდ, დამატება) ნიშანი პირველ ადგილზეა, სუბიექტისა-კი მეორეზე, ხოლო გარდაუვალში სუბიექტის ნიშანი პირველ ადგილზეა, ობიექტისა (ირიბი ობიექტი) —მეორეზე. (ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს და ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ი ს ცნობა და დ ჳ მ ე ზ. Études, გვ. 157, 160, 162, 166, 167, 168, 169).

სინდურ ენებსაც მოეპოვებათ ზმნის მაწარმოებელი ბოლოსართები, მაგ. აბხაზურს აქვს — უპ და **ოდტ**, რომელთაგან პირველის ბუნება ქართულს ობ-ს მიაგავს, ხოლო მეორეს შესაძლებელია ქართულს ეტ ფორმანტს (ხვრეტა, ჩვრეტა, ჭვრეტა, ჩხვლეტა და სხ.), რომლის თავდაპირველი რაობა გამოსარკვევია, ენათესავებოდეს.

პირთა (სუბიექტ-ობიექტის) **ზმნაში ნაცვალსახელოვანი თავსართებით გამოხატვის წესის ქართველურსა და სინდურს ენებში მსგავსებას გარდა,** შესაძლებელია კიდევ **აწმყო დროისაგან ნაწარმოები ნამყო უსრულის წარმოების წესის მსგავსებაც იქმნეს აღნიშნული.** ქართველურს ენებს ამის მაწარმოებლად, როგორც ვიცით, ბოლოსართოვან ნიშნად დ, ანდა მისი ერთერთი ფონეტიკური სახესხვაობათაგანი აქვთ. **სინდურ ენებსაც მოეპოვებათ** ნამყოს, სწორედ **ნამყო უსრულის, -ტ ბოლოსართით წარმოების წესი.** ეს მეტადრე უბიხურს, ჩერქეზულსა და ყაბარდოულს აქვთ კარგად დაცული. უბიხურში ნამყო უსრულს -ეტ (-ედტ, -დეტ) ბოლოსართით აწარმოებენ, რომელიც უშუალოდ აწმყო დროის -(გ)ნ-ბოლოსართიან ფორმას ემატება (დ ჳ მ ე ზ. Études, გვ. 174).

ჩერქეზულსაც აბადია -(გ)ტ-ბოლოსართიანი ნამყო უსრული (იქვე, გვ. 174), ისევე როგორც ყაბარდოულსაც ამავე დროის მაწარმოებლად -ტ სუფიქსი აქვს, რომელიც აწმყო დროის ფორმას ერთვის (ყაბ. გრ. გვ. 22 და დჳმეზ. Études გვ. 174 — 175).

სინდური ზმნის უღვლილების აღნაგობის ზოგადად გასათვალისწინებლად მაგალითად **აბხაზური** უღვლილების მოყვანა სჯობია, რადგან იგი სინდური ზმნის უღვლილების აღნაგობის ოდინდელ სირთულეს უფრო მკაფიოდ წარმოუდგენს მკითხველს. მოყვანილი ფორმების ცალკეული ნაწილის დანიშნულების გაგების გასაადვილებლად, უნდა ჯერ **აბხაზური ნაცვალსახელოვანი თავსართები** გავიხსენოთ.

ერთპირიან ზმნების პ. თავსართები.

მხ. რ.	**მრ. რ.**
1. პ. ს	**ჰ**
2. პ. მამრ. სქ. უ, მდედრ. სქ. ბ	**შ**
3. პ. გონ. არს. დ, არაგონ. არს. ი	**ი**

მაგალითად:

მივდივარ 1. ხცოჲტ (ხ-ც-ოჲტ)
მიდიხარ 2. უცოჲტ (მ), ბცოჲტ (მდ.)
მიდის 3. დცოჲტ (გონ.), იცოჲტ (არაგონ).

მრ. რ.

1. მივდივართ — ჰცოჲტ
2. მიდიხართ — შʼცოჲტ
3. მიდიან — იცოჲტ

ნამყო უსრული

	მხ. რ.	მრ. რ.
მივდიოდი	1. ხცო̄ნ (ხ—ცო̄ნ)	ჰცო̄ნ
	2. უცო̄ნ (მ.), ბცონ (მდ.)	შʼცო̄ნ
	3. დცო̄ნ (გონ.), იცონ (არაგონ.)	იცო̄ნ

ნამყო სრული

	მხ. რ.	მრ. რ.
წავედი	1. ხცეჲტ (ხ — ცეჲტ)	ჰცეჲტ
	2. უცეჲტ (მ.), ბცეჲტ (მდ.)	შʼცეჲტ
	3. დცეჲტ (გონ.), იცეჲტ (არაგონ.)	იცეჲტ

მდგომარეობის გამომხატველი ზმნების უღვლილების მაგალითი:

აწმყო დრო

მრ. რ.	მრ. რ.
1. ვარ — ხგ́ყოუპ (ხგ — ყა — უპ)	ჰა́ყოუპ
2. ხარ — უყოუპ (მ.), ბგ́ყოუპ	შʼგ́ყოუპ
3. არის — ჲარა́ დგ́ყოუპ (მ.), ლარა́ დგ́ყოუპ (მდ.) უ́ი ყრ́უპ (გონ.)	უ́რთ ყრ́უპ

ნამყო უსრული

სგყანა და სხ.

ორ და სამ-პირიანი ზმნების თავსართები:

I ქვემდებარისათვის

მხ. რ.	მრ. რ.
1. ს	ჰ
2. უ (მ.), ბ (მდ.)	შʼ
3. ი, ან ჲ (მ.), ლ (მდ.) ა, ნა (არაგონ.)	რ.

II. ა. პირველი დამატებისათვის

მხ. რ.	მრ. რ.
დ ან და, დგ (გონ.) ი, ან ჲ (არაგონ.)	რ, ან რა, რგ

b. მეორე დამატებისათვის

მხ. რ.	მრ. რ.
1. სა, სგ, ს	ჰა
2. უა, უ (მ.), — ბა, ბგ, ბ (მდ.)	შrა, შrგ, შr
3. ძა, ი (მ.), — ლა, ლგ, ლ (მდ.) ა (არაგონ.)	რა, რგ, რ

ორპირიანი ზმნის უღვლილების მაგალითი:

უბნობა (აბხ. ჰr ძირი აქვს)

ი სა უ ჰr ოძტ (ისძუჰrოძტ) რამეს მე შენ(მ.) უბნ ები	შენ მამაკაცი მეუბნები
ი სა ბ ჰr ოძტ რამეს მე შენ(მდ.) უბნ ები.	შენ დედაკაცი მეუბნები
ი სა ძ ჰr ოძტ (ისეძჰrოძტ) რამეს მე ის(მ.) უბნ ება	მეუბნება მამაკაცი
ი სა ლ ჰr ოძტ რამეს მე ის(მდ.) უბნ ება	მეუბნება ქალი
ი სა ნა ჰr ოძტ რამეს მე რაღაც უბნ ება	მეუბნება რაღაც
ი სა შr ჰr ოძტ რამეს მე თქვენ უბნ ებით	მეუბნებით თქვენ
ი სა რ ჰr ოძტ რამეს მე ისინი უბნ ებიან	მეუბნებიან ისინი

და სხვაც ამის მსგავსადვე.

სინდური ენების ზმნის აგებულება თავისი ზოგადი თვისებებით ქართველურის მსგავსია. უღვლილების ეს მსგავსება თითქმის სრულ იგივეობად იქცეოდა, სინდური ენების პ. ნაცვალსახელები და მათი თავსართოვანი ნიშნები რომ, ჩვენთვის უკვე ცნობილი მიზეზების გამო, საუკუნეთა განმავლობაში ქართველური ნაცვალსახელებისაგან არ განსხვავებულიყო და მეორე დამატების, ანუ ობიექტის გამომხატველი ნიშანიც რომ გამქრალი არ იყოს. ნამყო უსრულის დ ანდა ტ ბოლოსართით აწმყოსაგან წარმოების წესიც ცხად-ჰყოფს, რომ **სინდური ენების უღვლილება მარტო პირისა და რიცხვის აღნიშვნის წესით-კი არ ენათესავებოდა ქართველურისას, არამედ დროთა წარმოების წესითა და ნიშნებითაც**, რა თქმა უნდა, მხოლოდ თავდაპირველად და შემდეგ მარტო გარკვეულ ხანამდე.

3. ლილღურ-ლეგურ-ალბანური ზმნა

სულ სხვა ვითარება წარმოუდგება ადამიანს ლილღურ-ლეგური ენების ზმნაში, რათგან ძირითადი განსხვავებაა ამ ენების უღვლილების წესებსა და ქართველურს წესებს შორის.

მაგალითად, რომ ჯერ ღილღურ ენათაგან ჩაჩნური ზმნა ავიღოთ, ჩაჩნური ულვლილებია წესით ერთი-და-იმავე დროის მხოლოობითისა და მრავლობითი რიცხვის პირველი, მეორე და მესამე პირის ზმნის ფორმები სრულებით უცვლელი რჩება, თუ რომ მოსაუბრე, ანდა ვიზეც საუბარია ერთსა-და-იმავე სქეს-კატეგორიას ეკუთვნის. მაგ. როცა მამაკაცი ამბობს, ანდა მამაკაცზე ამბობენ მე ვარ, მაშინ ჩაჩნურად ითქმის სუო ვუ, შენ ხარ — ხუო ვუ, ის არის — იზ ვუ, - მრ. რ. ჩვენ ვართ — თხუო დუ, თქვენ ხართ — შუ დუ და ისინი არიან — იზუშ ბუ.

მაშასადამე, ქართული ვარ, ხარ, არის, ვართ, ხართ, არიან-ის მაგიერ, ჩაჩნურს, სამივე პირისათვის მხ. რ.-ში ერთი-და-იგივე ფორმა ვუ აქვს, მრ. რ.-შიც 1. და 2 პირისათვის ერთი-და-იგივე დუ მოეპოვება. პირის განსხვავების გამოხატვა ჩაჩნურს ულვლილებას მარტო ზმნის ფორმის წინ დასმული ცალკეული, სრული ნაცვალსახელით შეუძლიან და ამას გარდა მას და დანარჩენ ლილღურ ენებსაც, წოვურს გარდა, ისიც ნაწილობრივ, სხვა არავითარი საშუალება არ მოეპოვება, რათგან პირის ფორმანტები არც თავსართისა და არც ბოლოსართის სახით არა აქვს.

მაგრამ ვარ, ხარ და არის ჩაჩნურად ვუ-დ ითქმის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსაუბრე მამრობითი სქესის პირია, ანდა მამრობითს სქესზეა საუბარი. ხოლო, თუ მოსაუბრე მდედრ. სქესის არსებაა, ანდა საუბარი მდედრ. სქესზეა, მაშინ უკვე ვუ-ს ხმარება აღარ შეიძლება, არამედ ჲუ უნდა იყოს ნახმარი. ამიტომაც დედა არის ჩაჩნურად ითქმის ნანა ჲუ, — და არის — ჲიშა ჲუ, — ქვრივი დედაკაცი არის ჯიჵრუო ჲუ და თუ ქალი ამბობს

მე ვარ, ის იტყვის სუო ჲუ
შენ ხარ „ ხუო ჲუ
ის არის „ იზ ჲუ

და სხვაც ამნაირადვეა.

ისევე, როგორც ზემომოყვანილს მაგალითებში ზმნის ფორმების თავკიდური ვ და ჲ პირისა-კი არა, არამედ მხოლოდ სქეს-კატეგორიის მაუწყებელია, ამნაირადვე ულვლილებაში საკუთრივ ზმნის ფორმის თავკიდური ნაწილი მარტო იმ შემთხვევაში იცვლება, როდესაც სუბიექტის, ანდა ობიექტის სქეს-კატეგორია იცვლება ხოლმე.

ზემონათქვამითგან ცხადი გახდება, რომ, თუმცა ლილღური ენების ულვლილებაც უმთავრესად თავსართოვან წარმოების წესს მისდევს, მაგრამ სუბიექტ-ობიექტის პირის აღსანიშნავად-კი არა, არამედ მხოლოდ მათი სქეს-კატეგორიის გამოსახატავად.

დროთა ფორმების შესაქმნელად ღილღურსა და ლეკურ ენებსაც ბოლოსართოვანი წარმოება აქვთ გამოყენებული.

ჩაჩნური ზმნის ულვლილების თავისებურებას უკვე უსლარმა მიაქცია ყურადღება და აღნიშნული აქვს, რომ თუ რუსულად და სხვა ინდო-ევროპულ ენებში ვამბობთ „я люблю брата“, „отец любит сына“, ჩაჩნურად ამ ორი წინადადების ასე გამოთქმა შეუძლებელია, არამედ დაახლოვებით, ქართულის მსგავსად, ასე გამოითქმის: „მე ძმა მიყვარს“, „მამას შვილი უყვარს“, სხვანაირად ამ აზრის გამოთქმა შეუძლებელიაო (ჩაჩ. ე., 64).

ჩაჩნური უღვლილების ზემოაღნიშნული მოვლენა რომ ქართული გრამატ. ტერმინოლოგიით დახასიათდეს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩაჩნურს მხოლოდ ზმნის ობიექტური უღვლილება მოეპოვება, სუბიექტური უღვლილება-კი არ აბადიაო.

ამ დებულების ცხადსაყოფელად უ ს ლ ა რ ს ვიჯ̄ზა „მიყვარს“ ზმნის მაგალითი აქვს მოყვანილი:

ჩემ მამას მე ვუყვარვარ — სენ დჯ̄ნა სუო მიჯ̄ზა, მე ჩემი მამა მიყვარს — სჯ̄ონა საჲნ დჲ მიჯ̄ზა, ძმას და უყვარს — ვეშ̄ნა ჲიშა ჲიჯ̄ზა.

ხოლო, თუ ქალი ამბობს, — ჩემ მამას ვუყვარვარ, ასე ითქმის: ხენ დჯ̄ნა სუო ჟიჯ̄ზა, ჩემ (ვაჟის) დედას მე ვუყვარვარ — სენ ნა̄ნნა სუო მიჯ̄ზა, ჩემ (ქალის) დედას მე ვუყვარვარ — სენ ნა̄ნნა სუო ჟიჯ̄ზა, მე (სულ ერთია ქალია, თუ ვაჟი) მიყვარს ჩემი დედა — სუონა ჟიჯ̄ზა საჲნ ნა̄ნა, მე მიყვარს ჩემი ძმები — სუონა ბიჯ̄ზა საჲნ ვეჟირიჲ, მე მიყვარს ჩემი დები — სუონა ბიჯ̄ზა საჲნ ჲიჟირიჲ (ჩაჩ. გ. § 50).

ამ მაგალითებითგანა ჩანს, რომ ვ, ჲ, ბ თავსართები მხოლოდ ობიექტის სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელებია, სუბიექტის სქეს-კატეგორია-კი ზმნის ფორმაში არ აღინიშნება არც თავსართისა და არც ბოლოსართის სახით, არამედ სუბიექტის პიროვნება სრულ ნაცვალსახელით გამოითქმის.

ამ მაგალითებისდა მიუხედავად, მაინც უ ს ლ ა რ ი ს დებულება, ვითომც ჩაჩნურს ზმნას მხოლოდ ობიექტური უღვლილება ებადოს, მცდარია. თვით მისივე გრამატიკითგანა ჩანს, რომ ჩაჩნურს სუბიექტური უღვლილებაც აქვს, მაგ.:

მე (ვაჟი)	ვარ — სუო ვუ,		მე (ქალი)	ვარ — სუო ჲუ,
შენ „	ხარ — პუო ვუ		შენ „	ხარ — პუო ჲუ
ის „	არის — იზ ვუ,		ის „	არის — იზ ჲუ.

ცხადია, რომ ამ და მსგავს შემთხვევებში ვ და ჲ, ბ და დ თავსართები ობიექტისა-კი არა, არამედ სუბიექტის სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელი თავსართებია. მაშასადამე, ჩაჩნურს როგორც სუბიექტური, ისევე ობიექტური უღვლილება აბადია, მაგრამ ობიექტური მაინც სჭარბობს.

ჩაჩნური უღვლილების ნამდვილ დამახასიათებელ თვისებად ის გარემოება უნდა ჩაითვალოს, რომ ვ, ჲ, ბ და დ სუბიექტისა და ობიექტის მხოლოდ სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელი არის. მაგრამ ეს სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელი თავსართებიც ყველა ჩაჩნურ ზმნებს არ აბადიათ (ჩაჩ. გ. § 49, გვ. 65). მთავარს დამახასიათებელ თავისებურებას სწორედ ის შეადგენს, რომ ჩაჩნურს უღვლილებას არც სუბიექტისა და არც ობიექტის პირის აღმნიშვნელი არ აბადია, არც თავსართისა და არც ბოლოსართის სახით. ამიტომ ზმნის პირველი, მეორე და მესამე პირის ორთავე რიცხვის ფორმები, სქეს-კატეგორიის თავსართთა გარდა, ერთი-და-იგივეა. ამგვარად, შესაძლებელია ითქვას, რომ ჩაჩნურ ზმნას უღვლილების ორგანული ფორმები აღარ მოეპოვება და ორგანული წარმოების ერთად-ერთ ნიშანწყლად უნდა დროების აღმნიშვნელი ბოლოსართები-ღა იქმნას მიჩნეული.

ჩაჩნურმა ზმნის უღვლილებამ დროთა ორგვარი წარმოება იცის: მარტივი და რთული, მიმღეობითა და მეშველი ზმნით ნაწარმოები. არსებითი მნიშვნელობა მარტივ წარმოებასა აქვს.

ლეგური ენების ზმნის აგებულებაც ლილლური ენებისას მიაგავს. მაგალითად, შესაძლებელია თუნდაც ლუნძური ზმნის უღვლილება ავიღოთ. როგორც უკვე კარგად ვიცით, სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელ ნიშნებად ლუნძურში ვ, ჲ, ბ და რ იხმარება. ვ — მამრობითი სქესის აღმნიშვნელია, ჲ — მდედრობითისა, ბ — საშუალო სქეს-კატეგორიისა და რ — სამივე სქეს-კატეგორიის განურჩევლად მრავლობითად გამომხატველია. ზმნის ფორმებს ეს ნიშნები თავსართების სახით ერთვის და მხოლოდ მიმღეობას, ამგვარ თავსართებს გარდა, ნიშნები ბოლოშიაც ემატება. მაგ. თუ მამაკაცი ამბობს, მაშინ იქმნება:

მე ვარ — დუნ ვუგო
მე ვარ ხოლმე — დუნ ვუკუნა
მე ვიყავი — დუნ ვუკანა

ხოლო, თუ დედაკაცი ამბობს, მაშინ იქნება:

მე ვარ — დუნ ჲიგო
მე ვარ ხოლმე — დუნ ჲიკუნა (← ჲუკუნა-საგან)
მე ვიყავი — დუნ ჲიკანა

თუ ბაშვი ამბობს, მაშინ იქმნება:

მე ვარ — დუნ ბუგო
მე ვარ ხოლმე — დუნ ბუკუნა
მე ვიყავი — დუნ ბუკანა

მრავლობითად-კი სამივე სქეს-კატეგორიისათვის იქმნება:

ჩვენ ვართ — ნიჟ რუგო
ჩვენ ვართ ხოლმე — ნიჟ რუკუნა
ჩვენ ვიყავით — ნიჟ რუკანა

(ლუნძ. ე. § 118, გვ. 118).

უსლარის სიტყვით, ზოგს ლუნძურ ზმნას სქეს-კატეგორიის ნიშნები შესაძლებელია შუაშიც ჰქონდეს (ლუნძ. ე. § 118), მაგრამ ამას ჯერ შემოწმება სჭირდება: ასეთი შემთხვევები ხომ ბგერათა ადგილმონაცვლების შედეგი არ არის, ან წინანდელი ორნაწილედი ზმნების უღვლილებასთან ხომ არა გვაქვს საქმე?

სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელი ეს ბგერები მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის მეორე და მესამე პირის ფორმებისათვისაც იმგვარადვე იხმარება, როგორც პირველი პირისათვის, ამიტომაც მათ ნაცვალსახელოვანი თავსართის მნიშვნელობა-კი არა აქვთ, არამედ ისინი მხოლოდ და მხოლოდ სქეს-კატეგორიის გამომხატველი არიან.

უნდა ითქვას, რომ ყველა ზემომოყვანილ მაგალითებში ვ, ჲ, ბ და რ სუბიექტის სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელია, ხოლო ლუნძური ზმნის ობიექტურ უღვლილებაში იგივე სქეს-კატეგორიის თავსართები უკვე ობიექტის სქესისა, ანდა კატეგორიის აღმნიშვნელია.

არც სუბიექტისა და არც ობიექტის პირის მაუწყებელი ნაცვალსახელოვანი ნაწილაკები არც თავსართისა და არც ბოლოსართის სახით ლუნძური ზმნის უღვლილების ფორმებს არ მოეპოვება.

ამგვარად ცხადი ხდება, რომ ლუნძურსაც, ჩაჩნურის მსგავსად, როგორც საშუალო, ისევე ენებითი ზმნის უღვლილებას არც სუბიექტური და არც ობიექტური სახეობის ორგანული წარმოება არა აქვს, არამედ[მარტო სუბიექტისა, თუ ობიექტის სქეს-კატეგორიის გამოხატვა შეუძლიან თავსართების საშუალებით.

ასეთივე აგებულებისაა ლეგური ენების უმრავლესი ნაწილის ზმნის უღვლილებაც და ლუნძურსა და დანარჩენ ლეგურ ენებსაც, სამიოდეს გარდა, პირთა ნაცვალსახელოვანი ნიშნები ზმნის ფორმებისათვის არ მოეპოვება. წყობა-კი იმათაც ორნაირი აქვთ. მაგ. ორგანოვანი წარმოების უღვლილების უქონლობისდა მიუხედავად, ყუმუხურ ზმნასაც, ქართულის მსგავსად, სუბიექტურიცა და ობიექტური უღვლილებაც აბადია.

უკვე პ. უ ს ლ ა რ ს ჰქონდა აღნიშნული, რომ საშუალო გვარის ზმნების როგორც სქეს-კატეგორიის თავსართებისა, ისევე ზმნის ფორმების დაბოლოებათა ცვლილება, ყოველთვის ქვემდებარეზეა დამოკიდებული, ხოლო მოქმედებითი გვარის ზმნებში პირიქით სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელი თავსართები ქვემდებარეს, ანუ მოქმედების სუბიექტს-კი არ ეთანხმება ხოლმე, არამედ მოქმედების ობიექტს. უღვლილების ფორმათა დაბოლოება-კი მოქმედებითი გვარის ზმნებში ქვემდებარეს, ანუ მოქმედების სუბიექტს ეთანხმება, როდესაც მოქმედების სუბიექტად (გარკვეულს შემთხვევებში) პირველი, ან (ზოგჯერ) მეორე პირია, და მოქმედების ობიექტს, როდესაც ამნაირ ობიექტად მესამე პირი არის ხოლმე (ლაკ. ე., 140 — 141 და 144).

რაკი ყუმუხურში პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებს არც შემასმენლობითი და არც მოქმედებითი ბრუნვა არ აბადიათ, ამიტომ მას არ შეუძლიან, ჩაჩნურისა და ლუნძურის მსგავსად, მოქმედებითი გვარის ზმნებში მოქმედების სუბიექტი მოქმედებითი ბრუნვით, ხოლო მოქმედების ობიექტი სახელობითი ბრუნვით გამოჰხატოს. ამის მაგიერ, აბხაზურის მსგავსად, როდესაც 1. და 2. პირი მოქმედობს, ყუმუხური სუბიექტს ობიექტისაგან ბრუნვით-კი არ ასხვავებს, არამედ ორივე იქ სახელობითი ბრუნვით გამოითქმის, ხოლო სუბიექტი ობიექტისაგან მარტო თავისი მდებარეობით განირჩევა: სუბიექტს პირველი ადგილი უკავია, ობიექტს-კი მეორე. ობიექტის აღმნიშვნელი ნაცვალსახელი უეჭველად უშუალოდ სუბიექტს-კი არ უნდა მისდევდეს, არამედ შესაძლებელია ზმნის შემდგომაც დაისვას. მაგრამ, როდესაც მოქმედების სუბიექტი მესამე პირია, მაშინ სუბიექტი ნათესაობითი ბრუნვით გამოიხატება ხოლმე, ობიექტი-კი ისევ სახელობითი ბრუნვით (ლაკ. ე., 141, 142).

იმ სამიოდე ლილღურ-ლეგურ-ალბანურ ენათაგან, რომელთაც მათთვის დამახასიათებელის, ზემოაღწერილი აგებულებისაგან განსხვავებული უღვლილება მოეპოებათ, პირველად ლეგურ ენათა ჯგუფის ენას, თაბასარანულს, უნდა შევეხოთ.

თაბასარანულ ზმნას, მეტყველების სხვა ნაწილებთან შედარებით, ბევრი ფორმები აბადია. თვით უღვლილების წარმოება ორგვარი თვისებისაა: ან მარტივი, ორგანული წარმოებაა ხოლმე, ან რთული, ორნაწილედი წარმოება, რო-

დესაც პირველ ნაწილად მეტყველების რომელიმე ნაწილია გამოყენებული, მეორე ნაწილად-კი მარტივი, მეშველი ზმნის ფორმაა ხოლმე მოთავსებული.

თაბასარანული სახელზმნის მაწარმოებელს ოზ, ო̈ზ, უზ, კზ შეადგენს, მაგ. ფ-უზ თქმა, ალ-ო̈ზ სვლა, კფ-კზ ქამა. მაგრამ სახელზმნა, ზემომოყვანილ დაბოლოებას გარდა, ობ, უბ დაბოლოებითაც გვხვდება, მაგ. ფ-უბ (თაბას. ე. 46).

ა. დ ი რ რ ი ს სიტყვით, თაბასარანულ ზმნასაც მოქმედი პირი ნაცვალსახელოვანი სუფიქსების საშუალებით აქვს გამოხატული, რომელთაც ზმნის წართქმითს ფორმებში ყოველთვის უკანასკნელი ადგილი უკავიათ, ე. ი. უღვლილება პირთა ნაცვალსახელოვან ბოლოსართების საშუალებით სწარმოებსო. მხოლოდ ორივე რიცხვის მესამე პირს ამგვარი სუფიქსი არა აქვს, არამედ ამის მაგიერ იქ ნახმარია ელემენტი, რომელიც, დროისდა მიხედვით, ან არის-ს, ან იყო-ს ნიშნავსო.

ამასთანავე თაბასარანულ ზმნაში ორგვარი ნაცვალსახელოვანი სუფიქსებია. სუფიქსთა ერთი გვარი იხმარება, როდესაც ქვემდებარე სახელობითი ბრუნვით არის ხოლმე წარმოდგენილი, ხოლო სუფიქსთა მეორე გვარი-კი, როცა ქვემდებარე მიცემითი ბრუნვით არის გამოთქმულიო.

	სუფიქსთა 1-ი გვარი (სახელ. ბრ.)	მე-2 გვარი (მიც. ბრ.)
	მხ. რ.	
1.	პირი — ზა	ეზ, ჲაზ
2.	„ — ვა	ვუზ, უზ
	მრ. რ.	
1.	„ (მე და შენ) მჷა	მჷუზ
1.	„ (მე და ის) ჩა	ჩუზ
2.	„ ჩჷა	ჩჷუზ

თაბასარანულ ზმნას პირველ და მეორე პირში სუფიქსების საშუალებით დამატების გამოხატვაც შეუძლიან, მაგრამ ამავე დროს დამატება ზმნის წინმავალი სრული ნაცვალსახელითაც გამოითქმის ხოლმე, ოღონდ ზმნის პირის აღმნიშვნელი ნაცვალსახელოვანი სუფიქსები იმგვარადვე, როგორც სრული ნაცვალსახელით გამოხატული დამატებაც, ხშირად ქრება ხოლმე, მეორე პირის ნაცვალსახელოვანი სუფიქსის ვ-ც მომეტებულ ნაწილად ქრება, ანდა წინამავალ ნ, ლ და რ ბგერათა ასიმილაციის გავლენა დაეტყობა ხოლმეო.

თაბასარან. დამატების სუფიქსები.

შემასმენ. ბრუნვის	მიცემითი ბრუნვის
მხ. რ.	
ზა	ეზ
ვუ, ან უ, ვა, ან ა	ვუზ, ან უზ
მრ. რ.	
მჷა, ჩა	მჷუზ, ჩუზ
ჩჷა	ჩჷზ

(თაბას. გრ. 52 — 53).

თაბასარანული ზმნის უღვლილების მაგალითები:

1. ალდაქუზ—დაცემა

აწმყო დრო

მხ. რ.

მე ვეცემი იზუ ილდიქუდუზა
შენ ეცემი ივუ ილდიქუდუვა
ის ეცემა დუმუ ილდიქუდურ

მრ. რ.

ჩვენ (მე და შენ) ვეცემით იჰʻუ ილდიქუდუჰʻა
ჩვენ (მე და ის) ვეცემით იჩუ ილდიქუდუჩა
თქვენ ეცემით იჩʻუ ილდიქუდუჩʻა
ისინი ეცემიან დუყრე ილდიქუდურ

ა. დ ი რ რ ს აღნიშნული აქვს, რომ ორივე რიცხვის მესამე პირის ფორმა ერთნაირია და რომ ეს წესი მთელს თაბასარანულ უღვლილებაშია დაცული, თანაც ამტკიცებს, რომ ამ შემთხვევაში ურ დაბოლოება ‘ნაცვალსახელოვანი სუფიქსი-კი არაა, არამედ მეშველი ზმნის 3. პ. ფორმაა, ე. ი. არის (გვ. 68).

ა. დ ი რ რ ს მიცემით ბრუნვიანი ქვემდებარის მქონებელი ზმნის უღვლილების შემდეგი ნიმუში აქვს მოყვანილი, რომელიც ყველა დანარჩენ ამგვარ ზმნებისათვის სამაგალითოდ შეიძლება მიჩნეული იქმნესო (გვ. 98 — 100).

ევქუზ — სმენა

აწმყო დრო

მხ. რ.

იზუზ რექუდეზ მე მესმის
ივუზ რექუდუვუზ შენ გესმის
დოლაზ რექუდურ იმას ესმის

მრ. რ.

იჰʻუზ რექუდუჰʻუზ ჩვენ (მე და შენ) გვესმის
იჩუზ რექუდუჩუზ ჩვენ (მე და იმას) გვესმის
იჩʻუზ რექუდუჩʻუზ თქვენ გესმით
დუყარიზ რექუდურ იმათ ესმით

ნამყო უსრული

მხ. რ.	მრ. რ.
1. იზუზ რექუდიაზ	1. იჰʻუზ რექუდიჰʻუზ / იჩუზ რექუდიჩუზ
2. ივუზ რექუდივუზ	2. იჩʻუზ რექუდიჩʻუზ
3. დოლაზ რექუდი	3. დუყარიზ რექუდი

ზემომოყვანილი ყველა მაგალითებითგან ჩანს, რომ თამასარანულს, ქართველური, სინდური და ლეგური უკვე განხილული ენების მსგავსად, **სუბიექტურიცა და ობიექტური ცვლილებაც ჰქონია.**

თაბასარანულს აქვს სამი-ოთხი მეშველი ზმნა, რომელთაც თავიანთი ცვლილება სრულად დაცული არა აქვთ. პირველი მეშველი ზმნის ფესვი, ა. დ ი რ რ ი ს სიტყვით, უნდა აგ იყოს, მეორესი ჰɩუ (ვუ), მესამესი შულ, ან შალ. **აგ** ნიშნავს **არსებას, ჰɩუ** და **შულ-კი ყოფნას, რაიმე ქცევას, ქონებას, მილებას.** ამათგან განუსაზღვრელი ზმნის კილო მარტო მეორეს, **ყოფნას, რაიმე გახდომას, ქცევას** აქვს: **ჰɩუზ.**

ა. დ ი რ რ ს **არსება,** ე. ი. აგ ზმნის **აწმყო დროის** ცვლილება აქვს მოყვანილი.

მხ. რ.

მე ვარ — **ვუზა,** ანდა **ზა**
შენ ხარ — **ვუვა,** ანდა **ვა**
ის არის — **ურ, ვუგ, ჲურ, ვურ**

მრ. რ.

ჩვენ (მე და შენ) ვართ — **ვუɩჰა,** ანდა **ჰɩა**
ჩვენ (მე და ის) — **ვუჩა,** ანდა **ჩა**
თქვენ ხართ — **ვუჩɩა,** ანდა **ჩɩა**
ისინი არიან — **ურ, ვუგ**

ნამყო უსრული

მხ. რ.

1. **ვუჲიზა,** ანდა **ჲიზა**
2. **ვუჲივა,** ანდა **ჲივა**
3. **ვუჲი** ანდა **ჲი, უდი**

მრ. რ

1. (მე და შენ) **ვუჲიჰɩა,** ანდა **ჲიჰɩა**
1. (მე და ის) **ვუჲიჩა,** ანდა **ჲიჩა**
2. **ვუჲიჩɩა,** ანდა **ჲიჩɩა**
3. **ვუჲი,** ანდა **ჲი, უდი**

დანარჩენი დროთა ფორმები-კი, ამ **აგ** ზმნას, დ ი რ რ ი ს სიტყვით, **ჰɩუზ** ზმნისაგან აქვს ნაწარმოები.

ნამყო სრულის 1-ი **ჰɩუნუზა**
„ „ მე-2-ე **ჰɩუნიზა**
„ „ მე-3-ე **კაჰɩუზა**

აორისტი **ჰɩარზა**
მყობადი **ჰɩადიზა**
თუობითი **კაჰɩიშ, კაჰɩნიშ**

ნატვრითი	**იდჰɩიზა, დიჰɩრი**
ბრძანებითი	**დიჰɩ, დიჰɩად**

მიმღეობა: **ჰɩი, ჰɩურ, ჰɩუბ, — ვუდი, ვუდურ, ვუდუბ,** — მაგრამ არსებობს ფორმები **ადი, ადურ, ადუბ, ალურ, ალუბ**-იც.

ამას გარდა **ნამყო სრულის** ფორმაც არის **ადი** და **ალდი.**

შენიშვნაში ა. დ ი რ რ ს ნათქვამი აქვს, რომ მოპეტებულ შემთხვევაში **ზა, ვა, ჰɩა** და სხვ. შეკვეცილ ფორმებს ხმარობენ, რომელნიც, კაცმა რომ სთქვას, მხოლოდ ბოლოსართებიაო (თაბას. გრ. 100 — 101).

ა. დ ი რ რ ი ს ზემომოყვანილი მაგალითებითგანაცა და მეშველი ზმნის შესახები მისი მსჯელობითგანაც ჩანს, რომ **ზა, ვა, ჰɩა, ჩა** და **ჩɩა** მას მეშველი ზმნის სრული ფორმების **ვუზა, ვუვა, ვუჰɩა, ვუჩა** და **ვუჩɩა**-ს შეკვეცილ სახედ მიაჩნდა და თანაც ფიქრობდა, რომ ეს **ზა, ვა, ჰɩა, ჩა** და **ჩɩა** ნაცვალსახელოვანი ბოლოსართებია. ამიტომაც ის **ამტკიცებდა** კიდეც, **რომ თაბასარანული ზმნის უღვლილება ბოლოსართების საშუალებით სწარმოებს.**

საკმარისია ადამიანმა გაიხსენოს, რომ ორი მეშველი ზმნის ძირი არსებობს, **აგ** და **უ** ან **ვუ**, რომ ცხადი გახდეს, თუ რამდენად სინამდვილესთან შეუსაბამოა დ ი რ რ ი ს დებულება, ვითომც **ვუზა** და **ზა, ვუვა** და **ვა** ერთიდა-იმავე მეშველი ზმნის მხოლოდ სრული და შეკვეცილი ფორმები იყოს. როგორ და საითგან გაუჩნდებოდა **აგ** ძირს **ვუ**? ცხადია, რომ აქ ორი სხვა-დასხვა მეშველი ზმნის უღვლილების ფორმებია: **ზა** და **ვა** და სხვა ფორმები **აგ,** არსება, მეშველი ზმნის უღვლილებაა, **ვუზა, ვუვა** და სხვა ფორმები-კი კიდევ **(ჰɩ)უ** მეშველი ზმნის უღვლილების ფორმებია.

ამგვარადვე მცდარია მისი დებულება, თითქოს **ზა, ვა, ჰɩა, ჩɩა** და სხვა მხოლოდ ნაცვალსახელოვანი ბოლოსართები იყოს. **მარტო ის გარემოებაც, რომ მესამე პირის ფორმა ARIS-ს ნიშნავს,** როგორც **ეს თითონ მასაც რამდენჯერმე აქვს მოხსენებული, საკმარისია, რომ მისი დებულება, ვითომც ზა და ვა ნაცვალსახელოვანი ბოლოსართები იყოს და ვითომც თაბასარანული ზმნის უღვლილება ნაცვალსახელოვანი ბოლოსართების საშუალებით სწარმოებდეს, შერყეულად ჩაითვალოს. თუ უღვლილებაში მესამე პირს ბოლოში მეშველი ზმნა ერთვის, რა საბუთი და უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ პირველი და მეორე პირის ზა და ვა, ჰɩა, ჩა და ჩɩა ნაცვალსახელოვანი ბოლოსართებია და არა იმავე მეშველი ზმნის პირველი და მეორე პირის ფორმების ნაშთი? უფრო** ბუნებრივიცა და ლოგიკურადაც სწორე იქნებოდა დაგვესკვნა, რომ **ზა, ვა** და სხვა ფორმები მეშველი **ვარ** ზმნის **აგ** ძირის ფორმებია.

შესაძლებელია ნამყო უსრულის ფორმა **ალდი** და მიმღეობის **ალი** და **ალურ** ამ ზმნის **ალ** ფესვის სრული სახის დამცველი იყოს. თუ ამასთანავე გავიხსენებთ, რომ მესამე პირის ფორმა **არის** თაბასარანულად **ვურ, დურ,** ან **ურ** იქმნება, რომელთა თავკიდური **ვ** და **დ** ძირისეული არ შეიძლება იყოს, რომ აქ **ბოლოკიდურ ბგერად** უკვე **რ ჩნდება,** მაშინ ბუნებრივად დაგვებადება აზრი, რომ **ალდი**-ს, **ალი**-სა და სხვა ფორმების **ლ** შემთხვევითი მოვლენა არ არის, არამედ რომ იგი ალბათ **ალ,** ან **არ** ფესვის კუთვნილებაა. ასეთ პირობებში

ა. დ ი რ რ ი ს დებულებაც, თითქოს ამ ზმნის ძირი აგ იყოს, შესაძლებელია საეჭვოდ გვეჩვენოს. ვგონებ, უფრო სწორე იქნება, თუ მის ძირად რ-ს მივიჩნევთ. საყურადღებოა, რომ მხ. რ. მესამე პირის ფორმაც ხომ ორი პარალელური ვურ და ვუგ არსებობს. გ ბგერა აქ რ-ს შენაცვლებად მოჩანს.

ეხლა თუ მეშველი ზმნის აწმყო დროის ფორმებს დავაკვირდებით, ცხადი გახდება, რომ ზა, ვა, ურ, ვურ, ვუგ-, ჰIა, ჩა, ჩIა, ურ, ვუგ-ის ფორმების ზ, ვ, უ, ჰI, ჩ, ჩI თავსართებისა და ა ანუ აგ ძირისაგან შესდგება, რომელიც მესამე პირში ურ და უგ-ის სახითაც გვევლინება.

ზ, ვ, უ, ჰI, ჩ, ჩI უეჭველია იზუ, ივუ, დუმუ, იჰIუ, იჩუ, იჩIუ ნაცვალსახელების ძირითადი თანხმოვანი ელემენტების ნიშნებია. ამგვარად, **თაბასარანული მეშველი ზმნის უღვლილება მართლაც ნაცვალსახელოვანი ელემენტების, ანუ ნიშნების საშუალებით არის ნაწარმოები, მაგრამ ბოლოსართებით-კი არა, არამედ თავსართებით. ბოლოკიდურ რ, ლ-სა და გ ბგერათა დაქრობამ ამ მეშველი ზმნის გარეგანი სახე ნაცვალსახელებს ძალიან მიუმსგავსა, მაგრამ ეს გარემოება მათ მაინც ზმნის თვისებას არ უკარგავს და ნაცვალსახელებად არ ხდის, რასაც მესამე პირის ფორმაც ცხადჰყოფს.**

ყველა ზემონათქვამის შემდეგ, თაბასარანული **ზმნის** მთელი **უღვლილებაც** სულ სხვანაირად წარმოგვიდგება, ვიდრე ეს ა. დ ი რ რ ს ეხატებოდა და განმარტებული აქვს. თუ მას თაბასარანული ზმნის უღვლილება ნაცვალსახელოვანი სუფიქსების საშუალებით ნაწარმოებად მიაჩნდა, **ნამდვილად თაბასარანული უღვლილება ბოლოში მოქცეული მეშველი ზმნის საშუალებით სწარმოებს.**

რაკი ეხლა გამორკვეულია, რომ უღვლილების ბოლოს მეშველი ზმნა წარმოადგენს, **პირველი ნაწილი, ან მარტივს ან რთულ მიმღეობას უნდა წარმოადგენდეს**, ე. ი. წარმოების პროცესი დ ი რ რ ი ს დებულების წინაუკმო უნდა წარმოვიდგინოთ: მიმღეობა-კი არ უნდა იყოს აწმყო დროის ფორმათაგან ნაწარმოები, არამედ პირიქით **აწმყო დროის ფორმაა წარმომდგარი სათანადო მიმღეობისა და მეშველი ზმნისაგან.** თუ ზმნის ეს ნაწილი აწინდელ მიმღეობას მთლად არ მიაგავს, ეს ამ დებულების დამაბრკოლებელ გარემოებად ვერ ჩაითვლება.

მაშასადამე, ირკვევა, რომ **თაბასარანულ ზმნას ორგანული უღვლილება მარტო მეშველი ზმნისათვის დაუცავს, დანარჩენ ყველას-კი მხოლოდ არაორგანული, ანუ უფრო სწორედ რომ ითქვას, მეშველ-ზმნიანი წარმოება მოეპოვება.** თვით მეშველ ზმნათა შორისაც-კი ორგანული წარმოება ყველას არა აქვს შენარჩუნებული. მაშასადამე, შესაძლებელია ითქვას, რომ **თაბასარანულში ორგანული უღვლილება მხოლოდ ერთად-ერთ მეშველ ზმნას აქვს შენარჩუნებული, დანარჩენ ყველა ზმნებს-კი რთული, მეშველ-ზმნიანი წარმოება აბადიათ.**

საინტერესოა უდური **ზმნის უღვლილებაც**, რომელიც ამ ენის გრამატიკის მკვლევარის, ა. დ ი რ რ ი ს, სიტყვით, თითქოს პირის აღმნიშვნელი ნაცვალსახელოვანი ჩანართებისა, ანუ ინფიქსებისა და დროის აღმნიშვნელი ბოლოსართების, ანუ სუფიქსების საშუალებით სწარმოებს. ამასთანავე პირთა ნაცვალსახელოვანი ელემენტები შესაძლებელია სხვა-და-სხვა ადგილას იყოს მოთავსებული,

დროის აღმნიშვნელი ნაწილაკები-კი ყოველთვის ზმნის ფესვის ბოლოშია ხოლმე (**Грам. удинск. яз. 38**).

უდური ყველა, მარტივი, თუ რთული, ზმნების სახელზმნას ბოლოში აქვს **სუნ**, მაგ. **აყსუნ** აღება, **ბუყსუნ** ნდომა, **ბაქსუნ** ყოფნა, **უქსუნ** ჭამა, **გულსუნ** სმა, **ბელსუნ** ხედვა, **ბოსსუნ** ტყორცნა, **ეფსუნ** ჭერა და სხვა ამგვარივე მარტივად მიჩნეული ზმნები (უდ. გრ. 39).

რთულ ზმნებად დ ი რ რ ს მხოლოდ ისეთები მიაჩნია, რომელთაც მეორე ნაწილად აქვს **ესუნ** სვლა, **ბესუნ** ქმნა (იგი **ბსუნ**-ის სახითაც იხმარება),— **ფესუნ**, ანდა **ფსუნ** უბნობა, მეტყველება, **პესუნ** ანდა **პსუნ**, **ტესუნ**, **თესუნ**, **დესუნ**, **ხესუნ**, **ქესუნ** **ბაფსუნ** ჩასხმა, **ლაფსუნ** ჩაცმა, **ლაისუნ** (**ლაესუნ**-ის მაგიერ) ადგომა, **თაისუნ** (←თაესუნ) წასვლა, **თასტუნ** (←თადესუნ) მიცემა.

ამავე მეშველი ზმნების საშუალებით შეიძლება თითქმის ყოველგვარი არსებითი და ზედსართავი სახელისა, ზმნისზედას, შორისდებულისა და უცხო ენებითგან ნასესხები ზმნებისაგანაც ზმნების წარმოება.

უდური ზმნის უღლილებას **ორნაირი პ. ნაცვალსახელოვანი ელემენტები** აბადია. **ერთი**, ა. დ ი რ რ ი ს სიტყვით იხმარება, **როდესაც** ზმნის ქვემდებარე **მიცემითი ბრუნვით გამოითქმის** (უდ. გრ. 48), ანუ, ქართული ენის ნორმების მიხედვით, **როდესაც ობიექტურ ნაცვალსახელს წარმოადგენს**, მეორე კიდევ ზმნათა მომეტებულ ნაწილსა აქვსო. საფიქრებელია და, რამდენადაც უღლილების მოყვანილ ნიმუშებითგანაც ჩანს, იგი **სუბიექტური ნაცვალსახელოვანი ელემენტებია**. ამგვარად ηϱηრი **ნაცვალსახელოვანი ნიშნები** იქმნება:

	სუბიექტური	ობიექტური
	მხ. რ.	
1. პირის	ზუ, ანდა ზ	**ზა**
2.	ნუ, ანდა ნ	**ვა**
3.	ნე	**ტუ**
	მრ. რ.	
1.	**ჟან**	**ჟან, ან ჟა**
2.	**ნან**	**ვან, ან ვა**
3.	**ყუნ**	**ყო**

(უდ. გრ. 49).

არსება მეშველი ზმნის უღლილება ηϱηრაϱ იქმნება:

მე ვარ	**ზუ ზუ**
შენ ხარ	**უნ ნუ**
ის არის	**შენო ნე**
ჩვენ ვართ	**ჟან ჟან**
თქვენ ხართ	**ვან ნან**
ისინი არიან	**შონორ** } **ყუნ**
	შენორ }
	შჷნორ }

(უდ. გრ. 48—49)

სუბიექტური უღვლილების მაგალითები:

ცამფესუნ — წერა

აწმყო დრო

მხ. რ.

ცა́მ-ზუ-ეხა	ვწერ, ანდა	**ცა́მ-ზ-ეხა,**	**ცამ-ზუ-ხა**
ცა́მ-ნუ-ეხა	სწერ, ანდა	**ცა́მ-ნ-ეხა,**	**ცა́მ-ნუ-ხა**
ცა́მ-ნე-ეხა	სწერს, ანდა	**ცა́მ-ნ-ეხა,**	**ცა́მ-ნე-ხა**

მრ. რ.

ცა́მ-ჲან-ეხა	ვწერთ
ცა́მ-ნან-ეხა	სწერთ
ცა́მ-ყუნ-ეხა	წერენ

(უდ. გრ. 49).

თაისუნ — წასვლა

აწმყო დრო

მხ. რ.	**მრ. რ.**
1. **თა-ზ-სა**	**თა-ჲან-ხა**
2. **თა-ნ-ხა**	**თა-ნან-ხა**
3. **თა-ნე-სა**	**თა-ყუნ-ხა**

უღსუნ — სმა

მრ. რ.	**მრ. რ.**
1. **უ̂-ზ-ღესა**	**უ̂-ჲან-ღესა**
2. **უ̂-ნ-ღესა**	**უ̂-ნან-ღესა**
3. **უ̂-ნე-ღსა**	**უ̂-ყუნ-ღესა**

(უდ. გრ. 49 — 50).

ობიექტური უღვლილების ნიმუშები:

აკსუნ — ხედვა

მხ. რ.

1. **ზა**		**ა-ზა-კსუნ**	მხედავ
2. **უნ**	(ანუ უკეთ **ვა**)	**ა-ვა-კსა**	გხედავ
3. **შეტინ**	(„ „ **შეტუ**)	**ა-ტუ-კსა**	ჰხედავს

მრ. რ.

1. **ჲან**	(ანუ უკეთ **ჲა**)	**ა-ჲა-კსა**	გვხედავთ
2. **ვა́ნ**	(„ „ **ვა̃**)	**ა-ვა́-კსა**	გხედავთ
3. **შეტოღონ**	(„ „ **შეტოღო**)	**ა-ყო-კსა**	ჰხედავენ

(უდ. გრ. 53).

იბაქსუნ — სმენა

აწმყო დრო

მხ. რ.

1. **ზა ი-ზა-ბაქსა** მესმის
2. **უნ ი-ვა-ბაქსა** გესმის
3. **შეტინ ი-ტუ-ბაქსა** ესმის

მრ. რ.

1. **ჲან ი-ჲა-ბაქსა** გვესმის
2. **ვა̀ნ ი-ვა̀-ბაქსა** გესმით
3. **შეტოღონ ი-ყო-ბაქსა** ესმით

(უდ. გრ. 53).

დირრს აღნიშნული აქვს, რომ, პირველი პირის ნაცვალსახელის **ზა**-ს-გარდა, რომელიც მიცემითი ბრუნვით არის წარმოდგენილი, დანარჩენი პირების ნაცვალსახელები სახელობითი ბრუნვით არიან ნახმარი, თუმცა ამ შემთხვევაშიც წესიერი მეტყველების დროს უნდა მეორე პირშიც **ვა** იყოს და მესამეში **შეტუ** ნათქვამი, მაგრამ საუბარში ჩვეულებრივ ეს ხშირად ირღვევა და **უნ**-სა და **შეტინ**-ს ხმარობენ ხოლმე. დირრს ჰგონია, რომ ასეთ შემთხვევებში, მიცემითი ბრუნვის მაგიერ, ნათესაობითი ბრუნვა იხმარება, მაგრამ უფრო საფიქრებელია აქ იმგვარსავე მოვლენასთან გვქონდეს საქმე, როგორიც ქართულშიც გვხვდება: ქართულის მსგავსად, უდურშიც ნაცვალსახელის მიცემითი ბრუნვის ფორმა გარეგნულად იმნაირივე ხდება, როგორიც სახელობითი **მე** (სახ. და მიც.), **შენ** (სახ. და მიც.). გარეგნული, ბგერითი, იგივეობისდა მიუხედავად, სემასიურად, რასაკვირველია, აქ სახელობითი-კი არა, მიცემითი ბრუნვაა.

დირრს ზემომოყვანილი ზმნების ულვლილების მნიშვნელობა არც გადმოთარგმნილი და არც განმარტებული არა აქვს.

პესუნ, ბესუნ, ტესუნ, კესუნ, ხესუნ, ყესუნ, ესუნ და **ისუნ**-ბოლოკიდურიან ზმნებს აწმყო დროის საწარმოებლად, ა. დირრის სიტყვით, **უნ** უნდა ჩამოეცალოს და ამის მაგიერ **ა** დაერთოს. ამგვარად აწმყოში ზემოაღნიშნულ ზმნებს აქვთ **პესა, ბესა, ტესა, კესა, ხესა, ყესა, ესა** და **ისა**. აღსანიშნავია, რომ **ფესუნ**-ბოლოკიდურიან ზმნებს აწმყოში და ნამყო უსრულში **ეხა** აქვთ (უდ. გრ. 52).

თუ გავიხსენებთ, რომ **უნ** სახელზმნის უღური ნამდვილი დაბოლოება-ნიშანია, მაშინ ზემოაღწერილი მოვლენის გრამატიკულად დახასიათება ამნაირად შეიძლება: აწმყო დროის საწარმოებლად სახელზმნას უნდა მისი **უნ** ნიშანი ჩამოეცალოს და მის მაგიერ აწმყო დროის ნიშანი **ა** დაისვას. ამასთანავე **ფესუნ**-ბოლოკიდურიან ზმნებს აწმყო დროში **ხესუნ**, ან, უკეთ რომ ითქვას, **ეხუნ**-ბოლოკიდურიანობის მსგავსად აქვთ წარმოება.

ამისდა გვარად ქვემომოყვანილ ზმნებითგან აწმყო დრო ასე გვექმნება:

ურტესუნ (<ურ-ტესუნ) რთვა

ურ-ზუ-ტესა	ვართავ
ურ-რუ-ტესა	ართავ
ურ-რე-ტესა	ართავს

მანდესუნ (<მან-დესუნ) დარჩომა

მან-ზუ-დესა,	ან **მანზუსტა**	ვრჩები
მან-ნუ-დესა,	„ **მანნუსტა**	რჩები
მან-ნე-დესა		რჩება

რაკი უდურად **ესუნ** სვლას, **ბესუნ** ქმნას და **ფესუნ** უბნობასა ნიშნავს და **ესუნ, ბესუნ** და **ფესუნ**-ბოლოკიდურიან ზმნებს პირთა ნაცვალსახელოვანი ნიშნები ორნაწილედს ზმნას თავში-კი არ ემატება, არამედ სწორედ ამათ უძღვის ხოლმე წინ, ამიტომ ცხადი ხდება, რომ აქ ჩვენ თვალწინ **მეშველი ზმნები და რთული წარმოება გვაქვს, რომელშიც ორნაწილედი ზმნის პირველი ნაწილი, ან წინდებულია, ან არსებითი, გინდ ზედსართავი სახელი, ან მიმღეობაა, ხოლო მეორე ნაწილი მეშველი ზმნაა ყველა თავისი თვისებებითურთ,** ე. ი. პირთა ნაცვალსახელოვანი ნიშნებით შემკული. ამის მსგავსი მოვლენა ქართულშიც მოგვეპოვება, მაგ. **დგა-ხარ, ვზი-ვარ, ზი-ხარ,** ვწე-ვარ, **წევ-ხარ, ყოფილ-ვარ, ყოფილ-ხარ** და სხვა.

მართალია, **ტესუნ, თესუნ, დესუნ, ხესუნ, ქესუნ**-ის მნიშვნელობა გამოურკვეველია, მაგრამ ეს მაინც ცხადია, რომ **უდური მათ მეშველი ზმნების მსგავსად ხმარობს.** საფიქრებელია, რომ ისინი სამიოდე ძირითადი მეშველი ზმნის მერმინდელი ფონეტიკური სახესხვაობაა. ეს უკანასკნელი გარემოება ფიქრად დ ი რ რ ს ა ც მოსდიოდა (იხ. უდ. გრ. 40; შენ. ******).

ზემონათქვამის შემდეგ, დ ი რ რ ი ს აზრი და დებულება, ვითომც უდური ზმნის უღვლილება პირთა ნაცვალსახელოვანი ინფიქსების საშუალებით სწარმოებდეს, მცდარად უნდა იქმნეს მიჩნეული ისევე, როგორც მცდარი და შეუწყნარებელი იქმნებოდა, ვისმეს რომ **ზიხარ,** დგახარ, დავწერე, დასწერე, დამჭერ, დაგჭერ და ამისი მსგავსი ფორმები ინფიქსების საშუალებით ნაწარმოებად გამოეცხადებინა.

უდურშიც იქ, სადაც ჩვენ ზმნის პირველ ნაწილად წინდებულს ვერ ვიცნობთ, ან ნასახელარ ზმნასთან არა გვაქვს საქმე, უნდა ქართული **ყოფილვარ ყოფილხარ, ყოფილა[რს], ყოფილვიყავ, ყოფილიყავ, ყოფილიყო**-ს ფორმების მსგავსი **მიმღეობიან-მეშველ-ზმნიანი წარმოება ვიგულისხმოთ,** თუნდაც ასეთი ზმნის უღვლილების პირველი ნაწილი თავისი გარეგანი აგებულებით აწინდელ უდურ მიმღეობას არ უდგებოდეს, რათგან უდურს საერთოდ თავისი პირვანდელი მორფოლოგიური სახე, დიდი შემოცვეთილობის გამო, ძალიან დაზიანებული უჩანს.

იმ ცნობების მიხედვით, რომელიც დ ი რ რ ს ა აქვს გამოქვეყნებული, ის გამოდის, რომ **თანამედროვე უდურს მეშველ ზმნებს გარდა, ორგანულ**

ცვლილება აღარ აბადია და ეს გარემოება ამ ენის პირვანდელი სახის შეც-ლილობის ცხადი გამომჟღავნებელია.

საგულისხმოა, რომ პირთა ნაცვალსახელოვანი ფორმანტებით წარმოებაზე დამყარებული ცვლილება, შ ი ფ ნ ე რ ი ს ცნობით, წოჲჸრსაც ჰქონია, რომელიც მორფოლოგიის ამ თავისი კუთვნილებით დანარჩენი ღილღჸრი ენებისა, ჩაჩ-ჲჸრისა და ძისცჸრისაგან განირჩევა. შ ი ფ ნ ე რ ი ს სიტყვით, წოჲჸრს **ისეთი ცვლილებაც აბადია, რომელშიც 1. და 2. პირის ნაცვალსახელები ზმნას მისდევს და მასთან შერწყმულია.** ამასთანავე, თუ ზმნის ძირი, ან ფუძე ხმოვან-ბოლოკიდურიანია, მაშინ პ. ნაცვალსახელებს ხმოვანი უქრება, ხოლო, როცა თანხმოვან-ბოლოკიდურიანია, ნაცვალსახელიც მთლიანად ერთვის და ძირსა, ან ფუძესაც შემაერთებელი ა ხმოვანი უჩნდება (იხ. შიფნერის Versuch, § 177). მაგ. წოჲჸრი მხ. რ. 1. პ. ნაცვალსახელი, როგორც ვიცით, **სო** და 2. პ. ნ. **ჰმო**, მრ. რ. 1. პირისა-კი **ჟაჲ** და **თხო**, 2. პ.—**შუ** არის. **ვარ** იქმნება **ჟას** (**ჟა**+ +**სო**-ს მაგიერ), **ხარ—ჟაჰმ** (**ჟა**+**ჰმო**-ს მაგიერ), მაგრამ **ვიყავი—ჟარასო** (**ჟარ** + **ა** + **სო**). ამნაირად აქ თითქოს ბოლოსართოვანი წარმოება უნდა გვქონდეს, მაგრამ საფიქრებელია, რომ აქაც მეშველზმნიანი წარმოების ძირ-ბოლომოკვეცილი ფორმები-ღაა შერჩენილი. სამწუხაროდ შიფნერს ძალიან ცოტა ცნობები მოეპოვება, რომ ამ საყურადღებო საკითხის გულდასმით განხილვა შესაძლებელი იყოს.

ღიგჸრ იმ მცირერიცხოვან ენათა ჯგუფს, რომელთაც **ზმნის ფორმები პირისდა მიხედვით ეცვლებათ**, უ ს ლ ა რ ი ს სახელდებით ჰჳრჲილჸრიც, ანუ, როგორც მას ლ. ჟ ი რ კ ო ვ ი უწოდებს, დარგუაჸლიც (даргинск., la langue dargwa) **ეკუთვნის.** მაგალითად შესაძლებელია მოყვანილი იქმნეს **ვარ, ხარ, არის** მეშველი ზმნის აწმყო დროის ფორმები:

მხ. რ.

მე	(მამრ. სქ.)	ვარ — **ნუ**	**საჲრა**
შენ	„	ხარ — **ჰიუ**	**საჲრი**
ის	„ „	არის — **ჰით**	**საჲ**
მე	(მდედრ. სქ.)	ვარ — **ნუ**	**სარრა**
შენ	„ „	ხარ — **ჰიუ**	**სარრი**
ის	„ „	არის — **ჰით**	**სარი**
მე	(3. სქეს-კატ.)	ვარ — **ნუ**	**საჳრა**
შენ	„	ხარ — **ჰიუ**	**საჳრი**
ის	„	არის — **ჰით**	**საჳი**

მრ. რ.

ჩვენ ვართ — **ნუშა სარრა**
თქვენ ხართ — **ჰიუშა სარრა**
ისინი არიან — **ჰითთი საჳი** (1. და 2. სქ.-კ.) და **სარი** (3. სქ.-კ.).
(უ ს ლ ა რ ი ს ჰჳრკ. ე., გვ. 71).

უ ს ლ ა რ ს აღნიშნული აქვს, რომ, ზემომოყვანილი სრული **საჲრა**-სა და დანარჩენი ფორმების მაგიერ, 1. პ. მარტო **რა**-ს, ხოლო 2. პ. **რი**-სა ხმარობენ,

რომელიც არსება მეშველი ზმნის უმარტივეს ფორმებად უნდა მივიჩნიოთო. ამასთანავე შესადარებლად თავისი ლუბუქურო (Лакск.) გრამატიკის § 81 აქვს დასახელებული (ჰკრკ. ე., გვ. 71).

უ ს ლ ა რ ს ამ **საჲრა** მეშველი **ზმნის ანალიზიც მოეპოვება**: „**საჲრა** უკუქცევითი **საჲ** ნაცვალსახელისა (§ 46) და **რა**-საგან ჩანს შედგენილი"-ო და **ნუ ჵჰინა საჲრა**—„მე თითონ თავად კარგი"-ს აღმნიშვნელიაო. მაგრამ **ნუ ჵჰინა საჲრა**-ს და სხვა ფორმების მაგიერ ჩვეულებრივ ამბობენო:

მხ. რ.		**მრ. რ.**
1. **ნუ ჵჰინარა**		**ნუშა ჵჰითირა**
2. **ჰიუ ჵჰინარი**		**ჰიუშა ჵჰითირა**
3. **ჰით ჵჰინა**	**საჲ** (მ.)	**ჰითთი ჵჰათი სავი** (1. და 2.).
„ „	**სარი** (მდ.)	„ „ **სარი** (3. სქ.-კ.).
„	**სავი** (3. სქ.-კ.).	

(ჰკრკ. ე. გვ. 71).

არსება მეშველი ზმნის **ზემომოყვანილ ფორმების გარდა**, უ ს ლ ა რ ი ს ა ვ ე ცნობით, **შემდეგი ფორმებიც** გვხვდება:

მხ. რ.	**მრ. რ.**
ვარ — **ნურა**	ვართ — **ნუშარა**
ხარ — **ჰიური**	ხართ — **ჰიუშარა**

(იქვე, გვ. 72).

ნამყო დრო

მხ. რ.

მამრ. სქ.	**მდედრ. სქ.**	**3 სქეს-კატ.**
1. **ნუ საჲრი**	**ნუ სარრი**	**ნუ სავრი**
2. **ჰიუ საჲრი**	**ჰიუ ხარრი**	**ჰიუ სავრი**
3. **ჰით საჲრი**	**ჰით სარრი**	**ჰით სავრი**

მრ. რ.

1. **ნუშა სარრი**
2. **ჰიუშა სარრი**

3. **ჰითთი სავრი** (1. და 2.),—(**სარრი**). მაგრამ, ზემომოყვანილი ფორმების მაგიერაც, მარტო **რი**-საც ხმარობენ ხოლმეო (იქვე, გვ. 72). უ ს ლ ა რ ს მოყვანილი აქვს მაგ. წინადადება, რომელშიც ნამყო დროს მხ. რ. 3. პ. ფორმად **ჰითრი** არის ნახმარი (იქვე, გვ. 73). „ის იყო"-ს აღმნიშვნელი ეს ფორმა 3. პ. ნაცვალსახელის **ჰით**-ისა და **არსება ზმნის რი** მარცვლის **უშუალო** შერწყმით **არის ნაწარმოები**.

ამავე ზმნის **მიმღეობა** იქმნება:

საჲილ (მ.), **სარილ** (მდ.) და **სავილ** (3. სქესკ.), ხოლო მრ. რ. **სავთი** (1. და 2. სქ.) და **ხართი** (3. სქ.-კ.). ყველა ამ ფორმებს, როგორც აწმყო დროის, ისევე ნამყოს მიმღეობის მნიშვნელობა აქვს.

ამავე ზმნის აწმყო დროის **ზმნისზედა** არის **საჲლი** (მ.), **სალლი** (მდ.) და **სავლი** (3. სქესკ.), ხოლო მრ. . რ. **სალლი** (1. და 2. სქ.) და **სავლი** (3. სქ.-კ.). ამას გარდა სხვა ფორმებიც არსებობს, მაგ. **საჲჰიილი** (მ.) და სხ., რომელნიც ზემომოყვანილ ფორმებისაგან მხოლოდ **სა-ჲ**-სა და **ლი**-ს შუა მყოფი **ჰიი** მარცვლით განსხვავდებიან. ამ ფორმებს ერთვის მნიშვნელობა „იმ დროს როცა"... (ჰვრკ. ე., გვ. 73—74).

ლ. ჟ ი რ კ ო ვ ი ჰკრჰილუჩი, ანუ როგორც იგი უწოდებს, დარგუალი **ენის** თავისს გრამატიკაში ამტკიცებს, რომ უ ს ლ ა რ მ ა ამ ენის ზმნის უღვლილების აგებულება ვერ გაიგო: 3. პ. მხ. რ. ზმნის **არის** ფორმა **საჲ** უ ს ლ ა რ ს ყველგან 3. პ. ზმნის ფორმაში აქვს მოყვანილი და ერთი შეხედვით **მაერთად** მოჩანსო. მაგრამ ეს მხოლოდ ოპტიკური შეცდომაა. **საჲ** ელემენტს **არსება** ზმნის მნიშვნელობა არ ახლავს. 1. და 2. პ. ფორმები უფრო მოკლე **რა** და **რი**-ს სახითაც გვევლინება, რომელნიც აწმყო დროის ზმნის მხ. რ. სწორედ 1. და 2. ირების დაბოლოებანია. ეს ელემენტები (**რა**, **რი**) მართლაც სრულებით გარკვეული მაერთია 1-სა და 2. პირში. **საჲ** ელემენტი-კი, რომელიც 3. პირში მხოლოდ-ღა რჩება, ნაცვალსახელია **თითონ** (ლუნძურს ჟივ-ს უდრის), რომელიც სწორედ ამავე სქეს-კატეგორიების ნიშნებითურთ პ. კ. უ ს ლ ა რ ს თავის გრამატიკის იმ ნაწილში აქვს მოყვანილი, სადაც ნაცვალსახელებზეა საუბარიო Грам. даргинск. яз. 26—27 [1]).

ვინც მხოლოდ ლ. ჟ ი რ კ ო ვ ი ს ზემომოყვანილ მსჯელობას წაიკითხავს, იფიქრებს, რომ ამ მეშველი ზმნის შემადგენელი **საჲ** ნაწილის რაობა პირველად მართლაც ჟ ი რ კ ო ვ ი ს გამორკვეულია. მაგრამ ამ ჩვენს წიგნში თვით უ ს ლ ა-

---

[1]. „Имеется глагол со значением быть: sayra—я есмь, sayri—ты еси, say—он есть (приводим пока только с родов. призн. муж. рода < sawra...). Это say неизменно выставляется П. К. Усларом при каждом 3-ем лице глагола и кажется на первый взгляд самой определенной связкой. Однако это ничто иное, как оптический обман. Глагольное значение быть с этим элементом say не связано. 1-ое и 2-ое лица факультативно являются в более коротких формах ra и ri, которые служат, между прочим, как раз окончаниями 1-го и 2-го лица един ч. в настоящем времени глагола. Эти элементы (ra, ri) есть действительно вполне определенная связка в 1-ом и 2-ом лице. Что-же касается элемента say, который остается единственным в 3-ем лице, то это есть местоимение со значением сам (соответствует аварск.živ), с точно такими-же родовыми изменениями, приводимое П. К. Усларом в отделе местоимений его грамматики. Получается картина не совсем аналогичная пропуску связки в русском языке в предложениях типа: он (есть) добрый. В даргинском языке такое предложение строится по типу: он сам добрый,—без малейшего следа какого бы то ни было глагольного элемента. Подчеркиваем, что сказанное касается именно только форм 3-го лица" (Л. Ж и р к о в. Грам. даргинск. яз. გვ. 26—27).

„Как видно из рассмотрения приведенных вариантов личных окончаний, мы стоим здесь перед чрезвычайно любопытной картиной. Окончания—ra,-ri и являются как раз теми единственными чисто глагольными элементами, которые мы выделили, как глагол со значением быть. Эти-же глагольные элементы образуют личные формы всех даргинских глаголов. Образуют они их, присоединяясь к деепричастной форме". (Грам. даргинск. яз. 29—30).

რის ნაშრომითგან ზემოთ მოყვანილი ცნობები მკითხველს დაარწმუნებდნენ, რომ უსლარს მარტო ნაცვალსახელების ნაწილში-კი არა აქვს **საჲ**-ს ფორმები მოყვანილი, არამედ სწორედ ამავე **საჲრა** ზმნის უღვლილების განხილვის დროს ჰქონდა უკვე მისი აგებულების ანალიზიც მოყვანილი და აღნიშნულიც აქვს, რომ იგი **საჲ** უკუქცევითი ნაცვალსახელისა და **რა**-საგან ჩანს შედგენილი (იხ. აქვე, გვ. 606). მაშასადამე, აქ ჟირკოვი მხოლოდ უსლარისავე განმარტებას იმეორებს და ახალი **საჲრა**-ს **საჲ**-ს პირვანდელს ბუნებასა და რაობაზე არა უთქვამს რა.

თვით ჟირკოვს მხოლოდ ის დებულება ეკუთვნის, რომ 1. პ. **საჲრა**-სა **რა** სწორედ პირველი პირისა, ხოლო 2. პ. **საჲრი**-ს **რი**-კი მეორე პირის დაბოლოებაა. მაგრამ ეს **დებულება სრულებით მცდარია**: ცხადია, რომ **რ** არასგზით **არ შეიძლება დაბოლოებას მიეკუთვნოს, არამედ ის უცილობლად ძირის ბგერაა.** ამ საკითხისადმი ფორმალური მიდგომის დროს, შესაძლებელია კიდევ ვისმე ეთქვა, რომ **რა**-ში **ა** 1. პირის დაბოლოებაა, **რი**-ში-კი **ი** 2. პირის დაბოლოებააო, მაგრამ არც ასეთი დასკვნა იქმნებოდა სწორე. თვით **რი**-ცა და **რი**-ში **ი** ხმოვანიც რომ შეუძლებელია 2. პირის ნიშნად, ანდა დაბოლოებად იქმნეს მიჩნეული, ეს თუნდაც იქითგანაც ჩანს, რომ **რი** მარცვალი **ნამყო დროის ორივე რიცხვის სამივე პირის ფორმების დაბოლოებაა.** ცხადია, რომ **ი** არც ერთ **პირთან დაკავშირებული არ უნდა იყოს.**

მაშასადამე, ჟირკოვის დებულება, თითქოს **რა** და **რი** 1. და 2. პ. დაბოლოება იყოს, მცდარია: **რ** ძირის ბგერაა, ხოლო **ა** და **ი** ხმოვნები მაინც და მაინც პირის გამომხატველი ელემენტები არ არის. ამნაირად ირკვევა, რომ **ჰურკილური, ანუ დარგუაული ენის ზმნის უღვლილებაში პირი ბოლოსართების საშუალებით არ ყოფილა გამოხატული.**

ჰურკილური **უღვლილების აღნაგობა**, მაშასადამე, **ისევ ისე გამოსარკვევი ყოფილა**. რაკი დავრწმუნდით, რომ პირი იქ ბოლოსართებით არ არის აღნიშნული, შესაძლებელია დაგვესკვნა, რომ ჰურკილურიც, ღუნძურ-ანდი-დიდოურ ენათა ჯგუფივით, ენათა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელსაც პირის გამომხატველი ნაცვალსახელოვანი ელემენტები საკუთრივ ზმნის ფორმაში არ მოეპოვება, მაგრამ ასეთი დასკვნა აჩქარებული მსჯელობის ნაყოფი იქმნებოდა.

ჰურკილური **მეშველი ზმნის უღვლილება ფრიად საყურადღებოა**. როგორც მკითხველი ზემომოყვანილი მაგალითებითგან დარწმუნდებოდა, ამ მეშველი **ზმნის აწმყო დროის ორგვარი ფორმები არსებობს**: მაგ. ვარ ჰურკილურად იქმნება **ნუ საჲრა**-ც და **ნურა**-ც,- **ხარ** — **ჰიუ საჲრი**-ცა და **ჰიური**-ც,- ამნაირადვე **ვართ** — **ნუშა სარრა**-ცა და **ნუშარა**-ც ისევე, როგორც **ხართ** — **ჰიუშა სარრა**-ცა და **ჰიუშარა**-ც.

ზემომოყვანილ პარალელურ ფორმათაგან **მეორე წყების ფორმები** სათანადო **პირისა** და **რიცხვის ნაცვალსახელისა (ნუ, ჰიუ. ნუშა, ჰიუშა) + რ — ძირისა და ხმოვნისაგან (ა, ი) შესდგება**. ცხადია, რომ აქ **ზმნის უღვლილების ნაცვალსახელოვანი თავსართოვანი წარმოება გვაქვს**, თანაც **ორგანული წარმოების ფორმებია.**

უღვლილების პარალელურ ფორმათა პირველი წყება უფრო რთული აგებულებისაა: თავითგანვე თვალსაჩინო განსხვავებას შეამჩნევს ადამიანი იმ მხრით, რომ პირთა ნაცვალსახელები ზმნის ფორმასთან შერწყმული-კი არ არის, არამედ განცალკევებით დგას, უ ს ლ ა რ ი ს ჩანაწერით მაინც. მეორესა და უკვე არსებითს განსხვავებას ის შეადგენს, რომ ზმნის ახმოვნებულს რ-ძირს წინ, ან სად, ან სარ, ანდა სავ უძღვის, რომელთანაც იგი შერწყმულია. ამნაირად, თუმცა აქ ზმნის შერწყმული ფორმები გვაქვს, მაგრამ პირის ნაცვალსახელოვანი, არც თავსართოვანი და არც ბოლოსართოვანი ნიშანი ამ ფორმებს არ მოეპოვებათ. ამისდა მიუხედავად, მაინც უფლება არა გვაქვს ვთქვათ, რომ ამ პირველი წყების ფორმებში ნაცვალსახელოვანი წარმოების არავითარი კვალი არ გვქონდეს. უკვე ის გარემოება, რომ 1. და 2. პირის ორივე რიცხვის ფორმებს თავში უკუქცევითი ნაცვალსახელი უზის, მათ ნაცვალსახელოვან წარმოებად ხდის.

მას შემდეგ, რაც ჩვენ პირთა ნაცვალსახელების აღნაგობა და შემადგენელი ნაწილები დაწვრილებით შესწავლილი გვაქვს, ბრჳილურო უღვლილების ამ თავისებურების გაგებაც გაგვიადვილდება.

მეხუთე კარში სხვა-და-სხვა ენის ნაცვალსახელების განხილვამ მრავალჯერ დაგვარწმუნა, რომ პირთა ნაცვალსახელები უმჭიდროესად ყოფილან უკუქცევითს ნაცვალსახელებთან დაკავშირებული ისე, რომ ბევრჯერ ორივეს განუყრელად შერწყმული ფორმებიც-კი მოგვეპოვება, ენათა ზოგს ჯგუფში-კი ამ შერწყმულ ფორმათა პირის გამომხატველი ნაცვალსახელოვანი ელემენტი გამქრალიც-კია, ხოლო უკუქცევითი ნაცვალსახელის ელემენტი პ. ნაცვალსახელად არის ქცეული.

იქვე აღნიშნული გვქონდა, რომ პ. ნაცვალსახელთა ორი წყება ყოფილა, რომელთაგან ერთი წყება მხოლოდ პირის მაუწყებელი იყო, მეორე წყებას-კი ამას გარდა სქეს-კატეგორიაც უნდა გამოემჟღავნებინა.

სქეს-კატეგორიები თავდაპირველად სათანადო ნიშნების დართვით გამოიხატებოდა, შემდეგ-კი მათ მაგიერ ამავე დანიშნულებით უკუქცევითი ნაცვალსახელი ჩნდება (იხ. აქვე).

ყველა ზემოაღნიშნულის გახსენების შემდეგ, საკმარისია იმასაც დავაკვირდეთ, თუ რა განსხვავებაა მეშველი ზმნის უღვლილების პარალელური ფორმების ორ წყებას შორის, რომ მეშველი ზმნის -რ- ძირის წინ მოქცეული უკუქცევითი ნაცვალსახელის ნამდვილი რაობა და თავდაპირველი დანიშნულება სრულებით ცხადი შეიქმნეს. უღვლილების პარალელურ ფორმათა შორის აღმნიშვნელობით მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ უკუქცევითი ნაცვალსახელიანი უღვლილება მარტო პირისა-კი არა, არამედ სქეს-კატეგორიის გამომხატველიც არის, უიმისო უღვლილება-კი ზმნის მხოლოდ პირის გამომჟღავნებელია. რაკი, როგორც ვიცით, უკუქცევითი ნაცვალსახელი ამ დანიშნულების გამოსახატავად წინათ პირთა ნაცვალსახელებთან ერთად იხმარებოდა (იხ. აქვე),ამიტომაც საფიქრებელია, რომ უ ს ლ ა რ ი ს მიერ პირთა და უკუქცევითი ნაცვალსახელების ძირ-შერწყმული ფორმების განცალკევებულად აღქმა და დაწერილობა (ნუ სადრა, ნუ სარრა, ნუ სავრა და სხ.) მცდარი უნდა იყოს

და ნამდვილად და თავდაპირველად მაინც ერთი მთლიანი შერწყმული ზმნის ფორმები ნუსაძრა, ჰიუსაძრა და სხ. უნდა ყოფილიყო.

მაშასადამე, ჰურკილურის მეშველ ზმნას ბოლოსართოვანი-კი არა, არამედ ნაცვალსახელოვან-თავსართოვანი ორგანული წარმოების ორი წყება ჰქონია, რომელთაგან ერთი ზმნის მხოლოდ პირის გამომხატველია, მეორე წყება-კი ამას გარდა სქეს-კატეგორიისაც.

ღილღურ-ლეგურ-ალბანური ენების ზმნისა და უღვლილების აღნაგობის გენეზისი რომ გასაგები გახდეს, ჯერ მასალებიც-კია შესაგროვებელი, შემდეგ-კი საფუძვლიანი მონოგრაფიული შესწავლაც არის საჭირო. იგივე უნდა ითქვას სინდურ ენების ზმნაზეც. ქართულ-ქართველური ზმნა ისტორიულ ხანაში კარგად არის შესწავლილი, მაგრამ მისი პრეისტორიაც და ფორმათა გენეზისიც აგრეთვე ჯერ კიდევ შესასწავლია. აქ ფართო და ფრიად საყურადღებო პერსპექტივებიც იშლება და შესაძლებლობაც არსებობს. ამიტომ, კაცმა რომ სთქვას, ზემომოყვანილი მსჯელობა ჯერ ნაადრევი იყო. თუ, ამისდა მიუხედავად, აქ ამაზე მაინც საუბარი გვქონდა, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ენათა ნათესაობის საკითხის განხილვა ზმნის უღვლილების ზოგადი თვისების გაუთვალისწინებლივ შეუძლებელია და აქაც ამიტომ ამაზე რამე უნდა ყოფილიყო ნათქვამი.

ვიმედოვნებ, რომ ის მცირეოდენიც, რაც ზმნის აგებულებაზე ითქვა, მაინც საკმარისი უნდა იყოს იმის დასარწმუნებლად, რომ ქართველური და სინდური უღვლილება უცილობლად ერთხა-და-იმავე პრინციპზეა აგებული. სიძნელეს ღილღურ-ლეგურ-ალბანური ზმნის თავისებურება გვიქმნის. მაგრამ პ. ნაცვალსახელოვანი ელემენტების უქონლობა ზმნის ფორმებში და სამაგიეროდ სუბიექტის, ანდა ობიექტის მხოლოდ სქეს-კატეგორიების აღნიშვნის წესი ამ ენათა ჯგუფისათვისაც გამოუკლებლივ საერთო არ ყოფილა, არამედ ღილღურს, ლეკურსა და ალბანურ ჯგუფებშიც რამდენიმე ენა მოგვეპოვება, რომელთაც ეს ნაცვალსახელოვანი წარმოება შეუნარჩუნებიათ. ამათგან ყველაზე საყურადღებო, როგორც დავრწმუნდით, ჰურკილურია, რომელსაც თავსართოვან-ნაცვალსახელოვანი წარმოების პრინციპიცა და პირთა სქეს-კატეგორიის აღნიშვნის ოდინდელი წესიც მეშველი ზმნის უღლილებაში კარგად დაუცავს. ეს გარემოება ამჟღავნებს, რომ ღილღურ-ლეგურ-ალბანურ ენათათვისაც ნაცვალსახელოვანი თავსართოვანი უღვლილება წარმოების პრინციპი უცხო წესი არ ყოფილა, არამედ ოდესღაც მათაც ჰქონიათ. მაშასადამე, მათი ნათესაობა ქართველურ-სინდურ ენებთან ამ მხრივაც მტკიცდება.

ლ. ჟირკოვმა 1930 წ. გამოქვეყნებულს პატარა ზოგადს მოხსენებაში „დაღისტნის იაფეტური ენების ზმნის აგებულებაზე“ („О строе глагола в яфетических языках Дагестана“), წამოაყენა დებულება, თითქოს დაღისტნის ენებში ამჟამად დაცული ზმნის წარმოების წესი იმდროინდელი ხანისა და ვითარების ნაშთი იყოს, როდესაც ზმნა მხოლოდ ჩნდებოდა (იხ. Доклады Акад. Наук СССР, 1930 წ., В., № 5, გვ. 84)[1]. ზემომო-

[1]. „Все эти факты взаимоотношений между семантиками «итти», «сказать», «делать(ся)» говорит о том, что мы имеем в этих языках пережиточно следы того положения, когда глагол только что начал возникать“.

ყვანილი ფაქტები და მოსაზრებანი-კი პირიქით ამჟღავნებენ, რომ წინათ იქაც ზმნის ორგანული წარმოება ყოფილა და ის, რაც ამ ჟამად დაღისტნის ენათა უმრავლესობის ულვლილებაშია, არამც თუ პირვანდელი ვითარების ნაშთად არ შეიძლება მიჩნეულ იქმნეს, არამედ წინანდელი აგებულების დაშლის შედეგს წარმოადგენს. არაორგანული, მხოლოდ სქეს-კატეგორიების თავსართებიანი ზმნის ულვლილების წარმოშობა უნდა ორგანული წარმოების დაშლის უკანასკნელი საფეხური იყოს. უეჭველია, იქ ამ უკანასკნელ საფეხურს წინ მიუძღოდა ზმნის წარმოების ისეთი საფეხური, როდესაც ზმნის ულვლილება წინამავალ მიმღეობისა და მიმდევნო მეშველი ზმნის ფორმების შენაერთებს წარმოადგენდა. ზმნის ულვლილების წარმოების ამგვარი წესი ნაწილობრივ ბევრს, ორგანული წარმოების მქონებელს, თვით სხვა-და-სხვა მოდგმის ენებსაც-კი მოეპოვება და ქართულსაც და აბხაზურსაც ხომ აქვს, დაღისტნისა და ყოფილი ალბანეთის ენათაგან-კი, როგორც დავრწმუნდით, თამასარანულს, ჰურკილურსა და უდურს ენებშია გაბატონებული.

იმ ენებს, რომელთაც სქეს-კატეგორიის განრჩევა შენარჩუნებული ჰქონდათ, ამ მიმღეობა-მეშველზმნიანი ულვლილების ხანაში ზმნის ფორმის წინა, მიმღეობის შემცველს, ნაწილს სქეს-კატეგორიის გამომხატველი თავსართები ექმნებოდა. როდესაც დროთა განმავლობაში ზმნის ორგანული წარმოების ეს უკანასკნელი საფეხური ბოლოკიდური მეშველი ზმნის ჩამოცილებით სამუდამოდ მოისპო, ზმნის ულვლილებამ წინა საფეხურის ნაშთად სქეს-კატეგორიის თავსართები შეინარჩუნა იმისდა მიუხედავად, რომ ამ ხანაში ამ ფორმის ოდინდელი მიმღეობობის შეგნება და გრძნობა უკვე წარხოცილი იყო და ეხლაც აღარ არის.

ქართველურ-სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანური ენების სიტყვათა ძირების ნათესაობა

ამ გამოკვლევისათვის დასახული მორფოლოგიური ამოცანები,—გრამატიკული სქეს-კატეგორიების საკითხი, რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები და ზმნის აგებულების მთავარი პრინციპი,— ავად, თუ კარგად უკვე განხილული გვაქვს. ეხლა მხოლოდ სიტყვათა საგანძურის ძირთა ნათესაობის საკითხი-ღა დაგვრჩა განსახილველი, რომ ქართულ-ქართველური და სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანური ენათა ჯგუფების თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის პრობლემებზე მსჯელობა დამთავრებულად მივიჩნიოთ და საბოლოო დასკვნას დაჳადგეთ.

ლექსიკური მარაგის ძირთა ნათესაობის საკითხი იმდენად დიდსა და ფართო ამოცანას წარმოადგენს, რომ მისი განხილვისათვის ცალკეული მონოგრაფიებიც-კია საჭირო. მაგრამ, ცხადია, რომ ასე ფართოდ აქ საზღვრების გაშლა არც შესაძლებელია და არც მიზანშეწონილი იქმნებოდა, რათგან სიტყვათა მარაგის ძირებზე მსჯელობა ცალკეულს, მეხამე წიგნში, გვექმნება, რომელშიც ქართველ-შარომატთა უძველესი კულტურის ისტორიის საკითხები სწორედ ენის

ლექსიკური მასალისა და ნივთიერი ნაშთების მიხედვით გვაქვს განხილული. ეს გარემოება უფლებას გვაძლევს **ძირთა ნათესაობის საკითხისათვის საზღვრები აქ ვიწროთ შემოვზღუდოთ.**

მორფოლოგიური პრობლემების გარჩევის დროს **დაწვრილებით გვქონდა უკვე განხილული რიცხვითი და ნაცვალსახელები და მაშინ** ხომ, მათი აღნაგობის მსგავსებასთან ერთად, **მათ ძირთა ნათესაობაც ცხადი** შეიქმნა. ამიტომაც ვგონებ აქ ამაზეც უკვე ალარავითარი საუბარი საჭირო არ უნდა იყოს.

გრამატიკული სქეს-კატეგორ-ების საკითხის გარჩევის დროსაც ბევრი სიტყვის აგებულების გამორკვევა მოგვიხდა და მაშინ **მათი ძირების, მეტადრე სქესისა და ნათესაობის აღმნიშვნელს სიტყვებსა და ცხოველთა სახელებში, იგივეობა-ნათესაობაც მრავალჯერ გამომჟღავნდა.** ცხადი შეიქმნა, რომ ამ სახელებს შორის მჭიდრო კავშირი ყოფილა და, **რაც ენათა ერთ ჯგუფში სქესის გამოსახატავად არის გამოყენებული, ის ზოგჯერ მეორეში ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინად ქცეულა.** მაგალითად, თუ ქართულად **ვაცი** ადამიანისა და ცხოველის მამრ. სქესის აღმნიშვნელი სახელია, ლეგურ ენებში, ხუნძურად და ჭამალალურად, **ვაც** უკვე **ძმას** ნიშნავს (იხ. აქვე, გვ. 157 და 163),- ბოთლიხურად, ღოდობერულად, კარატულად და ახვახურადაც **ვაცსი** ძმის სახელია,- **ძმას** ცინდალურადაც **ჟაცხი,** ანდიურად **ვოცხი,** ყუანადურად **ვასხ** ეწოდება (აქვე, გვ. 163).

ამნაირადვე **ვირი,** თუ ქართულად **ცხოველის სახელად** არის ქცეული, ძველად-კი **მამრ. სქესის აღმნიშვნელი** იყო, ღუმძიქურად ადამიანის, **მამაკაცის,** სახელია (აქვე, გვ. 157).

ქართულში სქეს-კატეგორიების არსებობის საკითხის განხილვის დროს ხომ დავრწმუნდით, რომ **ვაჟი, ვოჟი, ვეჟი, ბაშვი, ბუში,** ერთი-და-იმავე ძირის სიტყვებია (აქვე, გვ. 184 და 194), ამავე პრობლემის შესწავლისას აღნიშნული გვქონდა, რომ **ვაჟიშვილს** ხუნძურადაც **ვასხ,**— ბოთლიხურად, ღოდობერულად, კარატულად, ახვახურად და ყუანადურად **ვაშა,**- ანდიურად **ვოშო,**- ცეზურად **ოჟო,** —ხვარშულად **უჟე** და დიდოურად **უჟი** ჰქვიან (იხ. აქვე, გვ. 163).

ასევე ნათესაობა ემჩნევა **დედის** სახელსაც: თუ ქართულად **დედა, დია** და **ნენა** გვაქვს, ლეგურ-ალბანურ ენებშიც იგივე ძირია და ხინალუღურად და აღულურად **დედჳ**, კრიზულად **დედე**, ბუდუხურად **დიდჳ** და ჯეკურად **დაჲ** ჰქვიან (იხ. აქვე, გვ., 160), ხოლო უდიურად **ნანა**, ღუმძიქურად **ნინუ**, რუთულურად **ნინ** ეწოდება (იქვე, გვ. 159).

შინაურ და გარეულ ცხოველთა ბევრ სახელებსაც ერთი-და-იგივე ძირი აქვს. მაგ. **ნეზვისა და მოზვერის** ქანური ბგერითი შესატყვისობის **მოზარის, მუზარისა და ზურა-ს** ეტიმოლოგიის გამორკვევის დროს აღნიშნული გვქონდა, რომ მდედრობითობის გამომხატველი ამ სიტყვების ძირი **ზუება** ზმნას აქვს დაცული (იხ. აქვე, გვ. 193—194). ცხადია, რომ **ფურის** აღმნიშვნელი ლეგური სახელებიც: ანდიური **ზავუ,** ახვახური **ზივუს,**- ბოთლიხური, კარატული, ჭამალალური და ცინდალური **ზინ,**— ყვანადური **ზინი** და დიდოური **ჭია,** — ბეჟიტური **ზარ,** — რუთულური და წახური **ზერ** და ჯეკური **ძარ-იც** (იხ. აქვე, გვ. 159) ამავე ძირის სიტყვები უნდა იყოს.

განა ბუნებრივი არ არის, რომ ქართული სახელი **თხა** და ამავე ცხოველის ლეგური ენების სახელებიც,— ბოთლიხური, კარატული და ახვახური **ტუქა**, ანდიური **ტუკა** (18 ს.), ღოდობერული **ტუქჾ**, ტინდალური **ტუქჲა**, დიდოური **ტექა** და ყაფუჩური **ტიიგა**-ც (იხ. აქვე, გვ. 160) ამავე ძირისად მივიჩნიოთ?

ვაციკისა, ვაცისა, ბატკნისა, ტიკანისა, თიკანისა და ციკანის ეტიმოლოგიის გამორკვევის დროს დავრწმუნდით, რომ ამ სიტყვების **ტიკ** ძირს და მის სხვადა-სხვა ფონეტიკურ სახესხვაობას სქეს-კატეგორიის ფორმანტის შეცვლისთანავე მნიშვნელობაც ეცვლება და, როგორც ადამიანისა, ისევე პირუტყვის, როგორც მამრობითი, ისევე სხვა სქეს-კატეგორიის გამოსახატავად არის გამოყენებული (იხ. აქვე, გვ. 176—177 და 190—192). სინდურ-ღილღურ-ლეგურ ენებში გრამატ. სქეს-კატეგორიების პირველადობის საკითხის განხილვისას დავრწმუნდით, რომ ჩერქეზულსაც მოეპოვება მამალი **თხის** აღმნიშვნელს **ტეკიოხო**-ში **ტეკი** ძირი. ღილღურ ენებსაც ჰქონდათ **მამის** აღმნიშვნელი ამავე ძირის **ატტიგ**, ყაბარდოულშიც აბადიათ ამავე მნიშვნელობის მქონებელი **ჲადეჟ** (←**ჲადეგ**-ისაგან), ჩერქეზებსაც ამავე ძირის **მამის** სახელი **ჲატე** აქვთ, ხოლო ჩაჩნურში **ჲეტტ** ფურის აღმნიშვნელია (იხ. აქვე, გვ. 242—246).

მე მგონია, რომ ბევრი დასაბუთება არ უნდა იყოს საჭირო, რომ ეს ქართული და სინდურ-ღილღური სიტყვები ერთი-და-იმავე ძირისად ვიცნათ.

რაკი ამ გამოკვლევის მორფოლოგიურს ნაწილშიც და აქაც უკვე საკმაო შემთხვევა გვქონდა დავრწმუნებულიყავით, რომ **ნათესაობისა და სქესის აღმნიშვნელს სიტყვებსა და შინაური ცხოველების სახელებსაც ქართველურ-სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანურს ენებში ძირებიც ერთი-და-იგივე ჰქონია, შესაძლებელია აქ კიდევ შინაური ფრინველისა და კულტურული ხეხილის დარგებითგანაც ორიოდე მაგალითი მოვიყვანოთ, რომ მკითხველი დარწმუნდეს, თუ რამდენად ფართოა ცნებათა ის ასპარეზი, რომელშიც ამ ენათა ჯგუფების სიტყვათა საგანძურს ნათესაობა ემჩნევა.**

მეურნეობის ისტორიის მცოდნეს კარგად მოეხსენება შინაურ ფრინველთაგან ყველაზე გავრცელებულის ქათმის მნიშვნელობა.

ეს სიტყვა ქათამი დიდ მანძილზეა გავრცელებული. ცნობილია, რომ **მისი სახელი ყველა ქართველურ ენებში მოიპოვება**, მაგრამ არავის მიუქცევია იმ გარემოებისათვის ყურადღება, რომ ეს **სიტყვა და სახელი** არამცთუ **მთელს ჩრდილოეთ კავკასიაშიც გავრცელებული არის**, არამედ, ქართულის მსგავსად, **სხვაგვარ მფრინველთა, მათ შორის გარეულთა სახელებისათვისაც ძირითად ნაწილად არის გამოყენებული.**

მაგ. აფხაზურად ქათამს ეწოდება ა-კუტჷ (უსლ.), ანუ ა-კჷუტჷ (დონდ.),— **კაკაბს-კი აბნაკჷტჷ**, ე. ი. „**ტყის** (აბნა) **ქათამი**“ ჰქვიან, ხოლო **გარეულ იხვს** აფხაზურადვე სახელად აქვს აძჷკჷტჷ, რომელიც „**წყლის** (აძჷ) **ქათამს**“ ნიშნავს.

ჩერქეზულადაც ქათამს **კეტჾ** ეწოდება (ლვლ.),— **იხვს-კი** აქაც **პსეკ'ტე** (იქვე), ე. ი. „**წყლის** (პსე) **ქათამი**“ ჰქვიან. **ხოხობის** სახელად ჩერქეზებს **მეზეკეტე** (იქვე) ანუ „**ტყის** (მეზე) **ქათამი**“ აქვთ. **ინდოურის** სახელი **ტაკეტე** (იქვე) და **კოლინზურის**, ანუ **თავწითელასიც** (რუს. щеглепок, ლათ. Frigiela car-

duelis L.) **კეტენიკებზუ-ც** (იქვე) ხომ აგრეთვე **კეტე**-ს, ე. ი. ქათმის სახელზევეა დამყარებული.

ყაბარდოულში **ქათმის** აღსანიშნავად ამავე ძირის სიტყვა აქვთ, **გედ**, ე. ი. ამ სახელის პირველი ორი თანხმოვანი გამჟღერებულია. ყართჷლსაც ხომ მოეპოვება ასეთი გამჟღერებული ფორმა **გედი** Cygnus-ის (лебедь) სახელად. **კაკაბისა** და **ხოხობის** ყაბარდოული სახელებიც **შცლლეგედ**-ისა და **მეზგედ**-ის მეორე ნაწილსაც ხომ იგივე **ქათმის** სახელი **გედ** შეადგენს და **შცლლეგედ**, ანუ **კაკაბი** ნიშნავს **„აბრეშუმა ქათამს“, ხოხობი-კი, მეზგედ, „ტყის ქათამს“.**

ღილღურ ენებსაც **ქათმისთვის** იგივე სახელი აქვთ: ჩაჩნურად **კუჩ̄ტამ** ანუ **ქუჩ̄თამ** (ჩაჩ. ე.) ეწოდება.

ეს ძირი ლეკურ ენებშიც მოიპოვება, მაგ. **ქათამს** რუთულურად **კა̈ტ**, ხოლო წახურულად **კატა̈** (იხ. ალულ. ე. 165), ყაღჷჩჷრად-კი **გჳდა** (იხ. ანდ.-დიდ. მას. 98) ეწოდება.

ბუნებრივად იბადება საკითხი: **სადაურია შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის სანაპიროთგან მოყოლებული** ჩრდილოეთამდე, მთელ იმიერ-კავკასიისა და **ამიერ-იმიერ კავკასიაში ესოდენ გავრცელებული ეს სიტყვა, რა ძირისაა** იგი და **სახელდობრ რის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო თავდაპირველად?**

ქათამის შესატყვისად მეგრულად **ქოთომი** გვაქვს, ჭანურად-კი **ქოთუმე** არის. ამ ჩვეულებრივს ფორმას გარდა, **ქორმე**-ც არსებობს (ნ. მარრის ჭ. გ.). საგულისხმოა, რომ **საქათმეს** ჭანურად **ოქოთუმალე** ეწოდება (იქვე). სვანურს **ქათმის** სახელად აქვს **ქათალ.**

ქათამი ქართულშიც ზოგადი მნიშვნელობის სიტყვად მოჩანს (შეად. **ტყის ქათამს**) და **კავკასიურს** ენებშიც ამავე ძირის სიტყვას ფართო ასპარეზი უკავია. **ამ სიტყვის ზოგადი მნიშვნელობა** ამით უფრო ცხადად მჟღავნდება. ამიტომაც მისი პირვანდელი აგებულების გამორკვევა უფრო საინტერესო ხდება. საფიქრებელია, რომ **მისი თავდაპირველი მნიშვნელობა ერთ-ერთი ზოგადი თვისების გამომხატველი** უნდა ყოფილიყო.

ამნაირად **ქათამის** სახელის შემდეგი ბგერითი სახესხვაობა მოგვეპოვება: **ა**-ხმოვანა ზოგადი ქართ. **ქათამი** და სვანური **ქათალ** და 2. **ო**-ხმოვანა მეგრ. **ქოთომი** და ჭანური **ქოთუმე**. **საქათმის** სახელში ამაზე უფრო სრული ფორმაა **ქოთუმალე** და პირიქით შერწყმული ფორმა **ქორმე**. უკანასკნელი იმითაა საყურადღებო, რომ შუაში **რ** აქვს, რაც არც ერთს სხვა ფორმას არ მოეპოვება. იბადება ამ ბგერის სადაურობის საკითხი: შემთხვევითი ჩანართია იგი, თუ ამ სიტყვის ოდინდელი ძირეული წევრი, რომელიც მხოლოდ ამ ფორმას-ღა შერჩა? მეორე მოსაზრება რომ სწორე გამომდგარიყო, მაშინ **ქორმე** უნდა წინამორბედი **ქორთუმე**, ანდა **ქართუმალე**-საგანაც-კი გვეგულისხმა წარმომდგარად.

რაკი **ქათამი**, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, თავდაპირველად ფრინველის ერთ-ერთი ზოგადი თვისებათაგანის გამომხატველ სიტყვად არის საგულვებელი, ამიტომაც უფრო მოსალოდნელია, რომ იგი, ან ფრენის თვისებისავე მქონებლობის მაუწყებელი უნდა ყოფილიყო, როგორც მაგ. **ფრინველი-ა**, ანდა თავისი შემოსილობის აღმნიშვნელად არის საგულისხმებელი.

რაკი არც ქათამს და არც ქოთომს, გინდ ქოთუმეს ფრინველთან საერთო არა უჩანს რა, ამიტომ მხოლოდ მეორე შესაძლებლობის გამორკვევის ცდა იქმნებოდა მიზანშეწონილიცა და დამაიმედებელიც. მართლაც, თუ ადამიანი ქათამისა, ქოთომისა და ქოთუმეს სახელს დაუკვირდება და იქ შემოსილობის გამომხატველი სიტყვის კვალის ძებნას დაიწყებს, შესაძლებელია შეამჩნიოს, რომ ამ სიტყვის ორი უკანასკნელი ფორმის მეორე და მესამე მარცვლების კომპლექსი თომი და თუმე, როგორც მეგრულსა და ჭანურში გავრცელებულის თმის სახელისა, ისევე ძველსა და თანამედროვე ქართულში ცნობილის ბალახის, ანდა თივის სახელის თომი-ს ზედმიწევნითი შესატყვისობაა. ეს გარემოება ავალებს მეცნიერს ამ მიმართულებით კვლევა-ძიების საშუალებით ამ სიტყვის აგებულებაცა და მის შემადგენელი ნაწილების პირველადი მნიშვნელობის გამორკვევა სცადოს.

თმას მეგრულად თომა და თუმა (ზუგდ.—სამურზ.) ჰქვიან. ჭანურადაც თომა-ს ხმარობენ. თმიანს, ბალნიანს თომალიერი, ანდა თომოლიერი (ვიწ.), უფრო იშვიათად თომონი ჰქვიან, ბელოტს, უთმოს-კი უთომოლიერი (ხოფ.) ეწოდება (პ. გ.). სვანურად-კი თმას ფჸთჷ-ს უწოდებენ.

სხვა მსგავსი მაგალითებისამებრ (ტბა—ტაბა—ტობა), საპწერლობო ქართულა თმა-ს წინანდელ ფორმად სრულხმოვანა თამა ანდა თამი უნდა ვიგულისხმოთ. ამაზე უფრო საყურადღებოა, რომ ამ სიტყვის ო-ხმოვანა თომი ფორმა ძველ ქართულშიც იყო და მთიანეთში დღევანდლამდისაცაა დაცული. ს. ორბელიანის განმარტებით, „თ ო მ ი საბანდული თივა“-ა (ლექსიკ.).

ზემომოყვანილი მკითხველს დაარწმუნებს, რომ თ მ ა და მისი ო-ხმოვანა სახესხვაობანი, როგორც ცხოველის ბ ა ლ ნ ი ს, ისევე მიწის მცენარის, ბ ა ლ ა ხ ი ს აღსანიშნავად ყოფილა გამოყენებული.

ამჟამად ჩვენთვის ამაზე უფრო საგულისხმოა, რომ ჩიტის ფრთებსაც ჭანურად კვინჩხიშ თომა (ხოფ.), კინჩხიშთომა (ვიწ.) და კინჩხითომა (ათინ.) ეწოდება. მაშასადამე, თ მ ა, თ ო მ ა, მარტო ადამიანის ბალნის-კი არა, არამედ ფ რ ი ნ ვ ე ლ ი ს შ ე მ ო ს ი ლ ო ბ ი ს გამომხატველიც ყოფილა, ამასთანავე, უეჭველია, მარტო ფრთებისა-კი არა, არამედ ბ უ მ ბ უ ლ ი ს ა ც.

ზემოაღნიშნული უკანასკნელი გარემოება უკვე უფლებას გვაძლევს გაბედულად ვიმსჯელოთ, რათგან აღარავითარი დაბრკოლება არ არსებობს, რომ ქ ო თ ო მ ი ს ორი უკანასკნელი მარცვალი სწორედ ფრინველის შემოსილობის აღმნიშვნელ სიტყვად და ნაწილად იქმნეს აღიარებული და ამ სიტყვის მხოლოდ პირველი ნაწილის მნიშვნელობა-ღა დაგვრჩეს გამოსარკვევი.

მოსვის, შემოსვისა და ჩაცმის ცნების გამოსახატავად ჭანურსა და მეგრულს ქუნ კომპლექსი აქვსთ, რომელიც მეგრულად ქვენ-ადაც გვხვდება. დოლოქუნუ ჭანურად შე-მოსვასა (ხოფ.) და სამოსელსა ნიშნავს (ათინ.). ქუნა მეგრულად დაფარებას, დარქმას ნიშნავს, მიკო-ქუნა (სენ.), ანდა მუკო-ქუნა-კი (ზუგდ.-სამურ.) ჩაცმას და შემოსვას ეწოდება (მ. გ.), ხოლო მიკაქუნალი, მიკო-ქვენჯი, მუკო-ქვენჯი-ც სამოსელს ნიშნავს,—გინოქვენჯი ზევითს სამოსელს, წამოსასხამს და მუკო-ქუნელი ჩაცმულისა და შემოსილის აღმნიშვნელია.

სვანურად **სამოსელს** და **ტანისამოსს** ჰქვიან **ლე-რექვ** და **ლე-რქვäრ**, **წამოსასხამს**-კი ეწოდება **ლე-ქვემ**.

უეჭველია, ამავე **ქ უ ნ** და **ქ ვ ე ნ ძირის სიტყვა უნდა იყოს** ქართლი **ქონი-ც**, რომლის მნიშვნელობაც ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს, იობის 15_{27}-ს დამოწმებით, **„პორცის სიპოხე“**-დ აქვს განმარტებული (ლექსიკ.). თანამედროვე ქართულშიც ასეთივე მნიშვნელობა აქვს და მას **ცხოველის სიმსუქნის** სახელად ვხმარობთ.

მაგრამ თავდაპირველად **ქონი ზემოდასახელებული** ძირისაგან ნაწარმოები მიმღეობა უნდა ყოფილიყო და არსებითად **სიმსუქნისა**-კი არა, არამედ **მმოსავის, საფარის** მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ეს ტერმინი **ძველის-ძველი სიტყვა ყოფილა**, თავდაპირველად მას მიმღეობის სათანადო თავსართიც ექმნებოდა, რომელიც დროთა განმავლობაში უნდა ჰქონდეს ჩამოცლილი. მაგრამ **ერთი ტერმინი** მაინც შერჩენილი გვაქვს, **რომელიც ამავე ძირისაგან არის ნაწარმოები** და რომელსაც მიმღეობის ეს ძველის-ძველი ფორმანტი დაცული აქვს. სწორედ **ასეთი სიტყვაა ძველი ქართული ტერმინი ბოქვენი**, რომელიც **მუცლის**, ს ა ბ ა ს განმარტებით, **„მუცლის ქვევით სასირცხომდე“** ნაწილის, აღმნიშვნელია (ლექსიკ.), მაგრამ რომელსაც თავდაპირველად **მმოსველის, მომცველის** მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა და მხოლოდ შემდეგში უნდა იყოს სპეციალურ ტერმინად ქცეული.

იგივე სიტყვა მეგრულსა და ჭანურსაც მოეპოვებათ, მაგრამ ფონეტიკურად იმდენად განსხვავებულია, რომ მათი იგივეობის, ანდა ნათესაობის მიხვედრა ისე ადვილი არ არის. სახელდობრ **მუცელს** მეგრულად **ქვარა** (ზუგდ.-სამურ.) და **ქორა** (სენ.) ეწოდება, ჭანურად-კი **ქორბა** ეწოდება. თუ **ქვარა**-ს **ბოქვენ**-ს შევადარებთ, მათ შორის უმთავრესად მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ მეგრულში **ბო** ფორმანტია ჩამოცილებული და **ნ**-ს მაგიერ **რ** არის.

რაკი ჩვეულებრივ ქართულ-ქართველურში უფრო ხშირად **რ**-ს **ნ**-დ შენაცვლება გვაქვს ხოლმე, ამიტომ საფიქრებელია, რომ **ქორა** და **ქვარა** უნდა **ქონა**-სა და **ქვენ**-ზე უფრო ადრინდელი ფორმები იყოს.

ყველა ზემონათქვამის შემდგომ რომ **ქათამი**-სა და **ქოთომი**-ს **საბოლოო ანალიზსა და პირველადი მნიშვნელობის გამორკვევას შევუდგეთ**, შესაძლებელია შემდეგი ითქვას: რაკი ამ სახელის მეორე ნაწილი **თომი** და **თამი**, როგორც დავრწმუნდით, **თმის**, ზოგადად ბალნის, **ბუმბულ**-ფრთებისა და თვით **ბალახისაც-კია** აღმნიშვნელი, ამ სიტყვისავე პირველი ნაწილი თავდაპირველად, ცხადია, **შემოსილობის** გამომხატველი უნდა ყოფილიყო. ხოლო **ქათმის** ფონეტიკურ სახესხვაობათა განხილვისას, აღნიშნული გვქონდა, რომ ჭანური **ქოთუმე**-ს პარალელური ფორმის **ქორმე**-ს არსებობა წინათ აგრეთვე **ქორთუმე**-ს და **ქორთომე**-ს არსებობასაც გვაფიქრებინებს. ეს მოსაზრება რომ მცდარი არ უნდა იყოს, ამას ის გარემოებაც ამჟღავნებს, რომ **ქორა** მართლაც ცალკეულადაც არსებობს და, თუმცა ამჟამად მას მეგრულში მხოლოდ-ღა **მუცლის** მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, **ბოქვენის** მსგავსად, და **ქუნ** და **ქვენ** ძირების **შემოსვის** აღმნიშვნელობის გამო, **ქორ**-იც თავდაპირველად ამავე ცნების გამომხატველი მიმღეობა უნდა ყოფილიყო. მაშასადამე, **ქორთომი** და **ქოთომი** თავდაპირველად **ბუმბულფრთებ-შემოსილის**, ანუ **ფრთოსნობის** აღმნიშვნელი ყოფილა.

საყურადღებოა და განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ჩერქეზულად **ტამჷ**, ანუ **თამჷ ფრინველის ფრთის** სახელია (იხ. ლ ო პ ა ტ ი ნ ს კ ი ს ყ.-ჩ. ლ. გვ. 95: крыло). ამ სიტყვისა და ქართული **თომა**-ს, მით უმეტეს **ქათამი**-ს **თამა**-ს, სრული იგივეობა თავისდა-თავად ცხადია.

რაკი **ქათამი** და **ქოთომი** თვისების დამახასიათებელი ზედსართავი გამოდგა, უეჭველია, თავდაპირველად იგი არსებითს სახელთან იქმნებოდა დაკავშირებული, რომელიც მხოლოდ შემდეგში ჩამოჰშორებია.

ხეხილის ქართულ სახელთა შორის **ატამი** არის საყურადღებო. მეგრულად **ატამა** ეწოდება, ჭანურად-კი **ანტამა**-ს ეძახიან ხოფურსა და ვიწურში, **ატამბა**-ს-კი ათინურში (ქ. გ.), სვანურადაც ჰქვიან **ატამ**. საფიქრებელია, რომ **ატამი** იმავე სიტყვის, **ქათამი**-საგან არის თავკიდური ქ-ს გაქრობითა და თ-ს გამკვეთრებით წარმომდგარი. მაშასადამე, **თავდაპირველად ეს სახელიც ამ ხილის ბ უ ს უ ს ი ა ნ ო ბ ი ს დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო და ბუსუსიანი ხილის** აღმნიშვნელი იქმნებოდა, მაგრამ ამ სიტყვის პირველი და მეორე თანხმოვნების ფონეტიკურმა ცვლილებამ ისე დააშორა ბუსუსიანის გამომხატველ ბგერათა კომპლექსს, რომ მისი ამ ხილის სპეციალურ სახელად გამოყენებაც შესაძლებელი გახადა.

ხილეულის ქართულ და ქართველურ სახელებითგან **ზღმარტლი**-ს, ანუ **ზმარტლი**-ს სახელიც არის საყურადღებო. ამ სიტყვის სათანადო სახესხვაობანი მთელს საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული, მაგ. **ზღმარტლის** შესატყვისად მეგრულად **ცქუმუნტური**, **ცქუმუტური**, **ცხუმუტური** და **ცქიმუნტური** გვაქვს (მ. გ.), სვანურში ამავე ხილის სახელად **ბაცუ** არის გავრცელებული (იქვე).

ჭანურად **ცქირმუნტური** (რიზ.-ხოფ.), **ცქიმუტი** (ვიწ.), **სხიმუნტური** (ხოფ.), **სკირმუტი** და **სკილიმუნტრი** (ათინ.) ჰქვიან (ქ. გ.).

დასასრულ სვანურად ეწოდება **სხმäრტლ** (რ.-ს. ლ.: Мушмула).

ამ ხილეულის სახელის ზემომოყვანილ ფონეტიკურ სახესხვაობათაგან საყურადღებოა, რომ მეგრულისა და ჭანური სახელების რამდენიმე პარალელური ფორმა გვაქვს: **ცქიმუნტური** და **ცქუმუნტური** მეგრულად და ჭანურად **სხიმუნტური**, **ცქირმუნტური** და **სკილიმუნტრი** ერთი მხრით, მეორე მხრით-კი მეგრულადაც **ცხუმუტური** და **ცქუმუტური** და ჭანურადვე **ცქიმუტი** და **სკირმუტი**-ა.

ცხადად ეტყობა, რომ ეს **სიტყვა ორი ნაწილისაგან უნდა იყოს შემდგარი**, რომელთაგან **მეორე ნაწილის ორი ფონეტიკური სახესხვაობა**,— **მუნტური** და **მუტური**,— **გვაქვს**, პირველი ნაწილი-კი უფრო მრავალნაირადაა დაცული: მეგრულად **ცხუ**, **ცქუ** და **ცქი** მოგვეპოვება, ხოლო ჭანურად ერთი მხრით **ცქირ**, **სკირ** და **სკილი**-ც გვაქვს, მეორე მხრით-კი **სხი** და **ცქი**-ც არის.

ზოგადი ქართული სახელის ორნაწილედი აგებულება ასევე ნათლად არა ჩანს, მაგრამ, მეგრულ-ჭანურის მსგავსად რომ დავანაწილოთ, გვექმნება პირველ ნაწილად **ზღ**, ხოლო მეორედ **მარტლი**. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ლექსიკონში აღბეჭდილს **ზმარტლ**-ში პირველი ნაწილი მხოლოდ **ზ** თანხმოვნითაც-კია წარმოდგენილი.

ამ უცნაური სიტყვის მეორე ნაწილი შედარებით უფრო ადვილი მისაგნებია და ამიტომ პირველად მის განხილვას შევუდგებით. როგორც დავრწმუნდით, მისი სამი სახესხვაობა მოგვეპოვება: მარტლი, მუნტური და მუტური. ცხადია, რომ უკანასკნელს ამათგანს პირველი მარცვლის შემდეგ რ, ანდა ნ თანხმოვანი აკლია. მეგრულ-ჭანურ ფორმას ქართულთან შედარებით ტ-სა და მომდევნო თანხმოვანს რ-ს შუა უ-ხმოვანი აქვს, ქართული-კი უხმოვნოა. მარტლ-ისა და მუნტურ-ის შუა თანხმოვნების რ და ნ-ს სხვაობა, ცხადია, ქართველურში ჩვეულებრივი ფონეტიკური შენაცვლების შედეგი უნდა იყოს.

ამ სიტყვის თავდაპირველი სახისა და მნიშვნელობის ძიების დროს რომ მეგრ.-ჭან. მუნტური-ს ბგერათა მსგავსი კომპლექსების გახსენება დავიწყოთ, უპირველესად ჩვენს ყურადღებას მეგრ. მონტყორი მიიპყრობს, რომელიც მატყლის ზედმიწევნით ფონეტიკურს შესატყვისობას წარმოადგენს. მუნტური და მონტყორი ხომ არსებითად მხოლოდ იმით განსხვავდება ერთმანერთისაგან, რომ პირველს მათგანს ყ აქვს ტ-ს შემდეგ გამქრალი. ასეთი პროცესი ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა ჭანურში (იხ. არ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს ჭან. გრ. ანალ., გვ. 17) და დანარჩენ ქართველურებისთვის უცხო არ არის. მაშასადამე, ფონეტიკურად არავითარი დაბრკოლება არ არსებობს, რომ მუნტური მატყლის აღმნიშვნელი მონტყორის ბგერით სახესხვაობად და მისგან წარმომდგარად ვიცნათ. თუ ჩვენი მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ ზღმარტლის მეორე ნაწილი მარტლი-ც უნდა იმავე ფონეტიკური გზით ოდინდელი მარტყლი-საგან იყოს წარმომდგარი. ჩვეულებრივ-კი ამ ცნების გამოსახატავად ძველ ქართულსაც მატყლი აქვს, ე. ი. უ-რ ფორმა. მეგრულ-ჭანურშიც ხომ მუნტურის გარდა მუტურიც არსებობს, რომელშიც ტ-ს წინ მყოფი ნ-ც, რ-საგანვე შენაცვლებით წარმომდგარი, აგრეთვე გამქრალია.

ამნაირად ირკვევა, რომ ზღმარტლისა და ცქიმუნტურის, ანუ ცხუმუტურის სახელის მეორე შემადგენელი ნაწილი თავდაპირველად მატყლის აღმნიშვნელი ყოფილა. მაგრამ თითონ მატყლი და მონტყორი რა აგებულების და ძირის სიტყვაა და რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა თავდაპირველად?

მატყლის ეტიმოლოგიის ძიებისას უნდა გავიხსენოთ, რომ ბურტყლი-ც არსებობს. მართალია, ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს განმარტებული აქვს, რომ „ბურტყლი ხნვლი ბუმბული"-ა (ლექსიკ.), მაგრამ ბეწვიანი ცხოველის, მაგ. კურდღლის, ნაზი ბალნის აღსანიშნავადაც ხმარობენ. ხოლო ბურტყლის მეგრული ბგერითი შესატყვისობა ბურდღა ხომ ბუმბულს ნიშნავს, ე. ი. მფრინველის ნაზი შემოხილობის სახელადაც-კია გამოყენებული.

მა რომ ქართულში ფორმანტია, ყველამ იცის, ხოლო, რომ ბუ-ც, უძველეს ხანაში ფორმანტი ყოფილა, ამის უკვე ბევრი მაგალითი გვქონდა.

ამის გახსენების შემდგომ, ბურტყლი-სა და მატყლი-ს ერთმანერთთან შედარება ადამიანს დაანახვებს, რომ პირველი მარცვალი მა და ბუ მათ განსხვავებული, მეორე ნაწილი ტყლი-კი საერთო აქვთ. პირველს ამ სიტყვათაგანს მხოლოდ ეს ძირად მისაჩნევი საერთო ნაწილი რ-თავკიდურიანი უჩანს (თუ მას, რასაკვირველია, პირველი მარცვლის ბუ-ს კუთვნილებად არ ვცნობთ). ამის გამო შესაძლებელია გვეფიქრა, რომ ზემომოყვანილი ორი სიტყვა ბუ ფორმან-

ტისა და რტყლი-საგან, მა თორმანტისა და ტყლი-საგან შესდგება. მაგრამ ამის დასაჯერებლად ამ ძირის მნიშვნელობის ცოდნა და თვით წარმოების გამორკვევაც არის საჭირო.

ქართულში რტყ ძირი ხომ არსებობს, რომლისგანაც არა-ერთი სიტყვაა ნაწარმოები, როგორც მაგ. სარტყელი, შემორტყმა და სხვაც ბევრი და რომელიც შემოვლებას ნიშნავს. ამიტომ რ ძირითად ბგერად უნდა იქმნეს მიჩნეული. ბურტყლ-ში ამნაირად ბუ ფორმანტად, რტყ ძირად, ლ-ი-კი ბოლოსართად უნდა ვცნოთ. მთლიანად-კი ეს სიტყვა თავდაპირველად შემოვლებულის, გარემორტყმულის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. მატყლი-ც ამავე ძირის სიტყვაა, მაგრამ, ან მისი ფორმანტი დროთა განმავლობაში შეცვლილი უნდა იყოს, ანდა იგი პირველთან შედარებით მერმინდელ ნაწარმოებად უნდა ვიგულისხმოთ.

რაკი ზღმარტლის ქართულ-მეგრულ-ჭანური სახელების მეორე ნაწილის პირვანდელი მნიშვნელობა ვიცით, ეხლა მხოლოდ ამ სიტყვის პირველი ნაწილის რაობა-ღა გვაქვს გამოსარკვევი. მისი სახესხვაობანი ზღ, - ცხუ (მ.) და სხი (ჭ.),— სკილი, სკირ და ცქირ (ჭ.),— ცქუ (მ.) და ცქი (მ. და ჭ.) ერთმანერთისაგან ფუძისა და ძირის ბგერითი შედგენილობის დაცულობითაცა და თვით ბგერათა შენაცვლებითაც განირჩევიან. ყველაზე სრულად ჭანურს დაუცავს, რომელსაც სკილი, სკირ და ცქირ აქვს. ამათგან პირველი ორი მხოლოდ ლ-სა და რ-ს ჩვეულებრივი შენაცვლებით განსხვავდება. მესამეს-კი ორივე თავკიდური თანხმოვანი აქვს შენაცვლებული.

ამ სიტყვის სახესხვაობათა მეორე ჯგუფს ბოლოკიდური მარცვალი რი, ანუ ლი-ც აქვს ჩამოცილებული და მეორე თანხმოვანიც მეგრულსა და ჭანურში განსხვავებული აქვს, თანაც, ი-ხმოვანობის მაგიერ, უ-ხმოვანა სახესხვაობას წარმოადგენს. ამ ჯგუფს ეკუთვნის ცქი (მ. და ჭ.), რომელსაც მხოლოდ ბოლოკიდური მარცვალი აკლია, — უ-ხმოვანა ცქუ (მ.) და ცხუ (მ.), — აგრეთვე ი-ხმოვანა სხი-ც (ჭ.). ყველაზე მეტად ქართული სახესხვაობაა შეცვლილი, რომელსაც ორივე თავკიდური თანხმოვანიც გამჟღერებული აქვს, ხმოვანიც ჩამოსცილებია და მხოლოდ ზღ გააჩნია.

უ-ხმოვანობასა და ი-ხმოვანობას გარდა, ზემომოყვანილ ჯგუფებში პირველი და მეორე თანხმოვნების შემდეგი მწკრივი გვაქვს: 1. თანხმოვნის: ზ, ს და ც, — 2. თანხმოვნის: ღ. ხ, ქ და კ, ე. ი. აქ ბგერათა წარმოების ორი ჯგუფის თანხმოვანთა შენაცვლებათა ისეთი ორი მწკრივი გვაქვს, რომელიც არაფერს არაჩვეულებრივს არ შეიცავს, მით უმეტეს, რომ ზოგი მათგანი ერთსა-და-იმავე ენაშიც-კი მოგვეპოვება, მაგ. სხ, სკ, ცქ ჭანურში და ცხ და ცქ მეგრულში. ი-ხმოვანობა, უეჭველია, უ-ხმოვანობისაგან არის წარმომდგარი, ამნაირადვე, ხ, ქ და კ ბგერათაგან ხ უნდა ძირითადი იყოს მით უმეტეს, რომ მეგრულსაცა და ჭანურსაც მოეპოვება და ქართულის ღ-ც შესაძლებელია მხოლოდ ხ-სთან იქმნეს დაკავშირებული, ქ და კ-კი შენაცვლების გზით იქმნება გაჩენილი.

ყველა ზემომოყვანილ მოსაზრებათა გამო ზღმარტლის სახელის პირველი ნაწილის სახესხვაობათაგან დანარჩენებზე ადრინდელად და სრულად უნდა ხ ხ უ ლ ი და ც ხ უ ლ ი იქმნეს მიჩნეული. ხ ხ უ ლ ი და ც ხ უ ლ ი-კი მეგ-

მეგრულად და ჭანურად **მსხალსა** ნიშნავს. ქართულს ამ ხილეულის ა-ხმოვანა სახელი აქვს, მეგრულ-ჭანურს-კი, როგორც ხშირად არის, უ-ხმოვანა სახე-სხვაობა მოეპოვება.

მაშასადამე, ირკვევა, რომ **ზღმარტლის** სახელი და მისი მეგრულ-ჭანური შესატყვისობანი თავდაპირველად **მსხალ-მატყლას**, ე. ი. მატყლიანი, ანუ **ბუსუსიანი მსხლის** აღმნიშვნელი ყოფილა. ეს გარემოება ამჟღავნებს, რომ, **როდესაც ქართველებს მათთვის მანამდე უცნობისა და ახალი ხეხილისა და მისი ნაყოფისათვის პირველად მიუგნიათ, ეს ხილი ფერით მსხლისათვის დაუმსგავსებიათ, მისი ბუსუსიანობა-კი მსხლისაგან განმასხვავებელ თვისებად მიუჩნევიათ და მისთვის სწორედ ასეთი სახელიც დაურქმევიათ.**

ატამისა და **ზღმარტლის** აგებულებისა და პირველადი მნიშვნელობის ჩვენი ზემომოყვანილი განმარტების სისწორის დასამტკიცებლად რამდენიმე ამის მსგავსივე მაგალითის მოყვანა ჩერქეზული ენის სიტყვათა საგანძურითგანაც შეიძლება.

ატამს ჩერქეზულად **პკაცე** (ლპლ.) ეწოდება, **გარგარს**-კი **პხაცე** (იქვე), ხოლო **ზღმარტლს** იქაურად **ნაპცე** ჰქვიან (ლპლ. გვ. 2: аронье და გვ. 110 мушмала). თუ ადამიანი დააკვირდება, შეამჩნევს, რომ **სამსავე სიტყვას ბოლოკიდურ მარცვლად ერთი-და-იგივე ცე აქვს**. ჩერქეზულად ეს სიტყვა **ბუმბულსაცა** და **მატყლსაც** ნიშნავს. ყაბარდოულს იგივე სიტყვა აქვს, ოღონდ ოდნავ შეცვლილი **ცჲ**.

ეხლა **ატმის** და **გარგარის** სახელების პირველი **პკა** და **პხა** ნაწილის **რაობა**-ღა გვაქვს გამოსარკვევი. საფიქრებელია, რომ მეორე ამათგანი პირველის მხოლოდ ფონეტიკური სახესხვაობაა. **პკა**-კი უნდა იგივე **პკო** იყოს, რომელიც ლპლ-ეს ცნობით, ხილის **ნაჭუჭს** (скорлупа) ნიშნავს, მაგრამ წინათ ალბათ **კანის** აღმნიშვნელიც უნდა ყოფილიყო. იგი, უეჭველია, **იმავე ძირის სიტყვა იქმნება, რომლისაც** ქართული **აპკა არის**. ამნაირად ქართული **ატამის** მსგავსად, ჩერქეზული **პკაცე**-ც თავდაპირველად **აპკა**, ანუ **კან-ბუსუსიანი**-ს აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო ისევე, როგორც **გარგარის** სახელი **პხაცე**-ც.

ზღმარტლის ჩერქეზული სახელის **ნაპცე**-ს პირველი ნაწილი **ნაპ**-კი უნდა იგივე **ნაპჲ** იყოს, რომელიც ჩერქეზულად **სახეს** ნიშნავს. ამგვარად **ამ ხილის სახელის თავდაპირველი მნიშვნელობაც „სახე-ბუსუსიანი" ყოფილა.**

ქართული და სინდური ენების ზემოგანხილული სიტყვების აგებულებისა და პირველადი მნიშვნელობის სრული სისწორის დამამტკიცებელი საუცხოო **პარალელების მოყვანა** ლეკური **ენების საგანძურითგანაც** შეიძლება. ამაზე **დაწვრილებითა და მრავალი მასალის გამოყენებით მესამე წიგნში გვექმნება საუბარი, აქ-კი ორიოდე** მკაფიო **მაგალითით** დაკმაყოფილება მოგვიხდება.

ღუნძურად **მერცხალს** ეწოდება **მიტხლძირშო**, ხოლო **ატამს** ეძახიან **მიტკლძირ**, რომლის მოქმ. ბრ. **მოტკლძირრცა**-ა (ღუნ. ე. გვ. 133 და 134). თუ ადამიანი ამ ორ სიტყვის ბგერითს შედგენილობას ჩაუკვირდა, შეამჩნევს, რომ **მერცხლისა და ატმის** ღუნძური **სახელებსაც**, ქართული **ქათამისა და ატამის** სახელების მსგავსად, **ნათესაობა ემჩნევა: მიტხლძირ-ისა და მიტკლძირ-ის** ცხადი მსგავსების უარყოფა **ხომ** შეუძლებელია უნდა გაუთვალისწინებული გვქონდეს, **რომ ატმის** ღუნძური სახელის მოქმ. ბრ. ფორმა ო-ხმოვანაა, რაც იმის მო-

შასწავებელია, რომ **ატმის** სახელი ო-ხმოვანა, **მოტკლæორ**-ის **სახითაც უნდა ყოფილიყო.**

თუ ამის შემდეგ **მერცხლის** ღუნძ. სახელის აგებულებისა და თავდაპირველი მნიშვნელობის გამორკვევას შევუდგებით, მაშინ ჩვენთვის **ამ ორი ხულ ხხვა-და-სხვა სამყაროს სიტყვის უცნაური მსგავსებაც სრულებით გასაგები გახდება.** ღუნძურად ცალკეული სიტყვა არსებობს **მიტხლæირ,** რომელიც ფრინველის **ფრთასა** და **ბუმბულს** ნიშნავს. **მიტხლæირ ჰუულიზე-კი ფრინველის გაბდღვნას** ეწოდება (ლუნ. ე. გვ. 133). ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ მერცხლის სახელი **მიტხლæირშო-ც ამავე სიტყვასა და ცნებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. გამოსარკვევი-ლა გვაქვს** ამ სიტყვაში **შო** მარცვლის **მნიშვნელობა. იგი მოყრის, მოფენის** ალმნიშვნელს **შოაზე**-სა და **განრთხმის** და **გაპიმულის** გამომხატველი ზმნის **შოაკიზე**-ს (იხ. ლუნძ. ე. გვ. 227) გერუნდივის **შოან**-ის ბოლომოკვეცილი ფორმა უნდა იყოს. მაშასადამე, **მერცხლის** ღუნძ. სახელი **მიტხლæირშო** თავდაპირველად **„ფრთა - ბუმბულ მორთხმული“**-ს **ალმნიშვნელი ყოფილა** და ამიტომაც **საფიქრებელია,** ვითარცა საერთო თვისების გამომხატველი სიტყვა, **წინათ ზოგადად მფრინველის სახელი** იქმნებოდა და **მხოლოდ შემდეგში უნდა იყოს საკუთრივ მერცხლის ალმნიშვნელ ტერმინად ქცეული.**

ფრთა-ბუმბულის ღუნძური სახელის **მიტხლæირ**-ის ფონეტიკურს სახესხვაობასვე უნდა წარმოადგენდეს **ატმის** ღუნძური სახელიც **მიტკლæირ,** რომელსაც მახვილიც-კი ამნაირივე შეუნარჩუნებია და რომელსაც მხოლოდ თავისი ოდინდელი სრული ბგერითი შედგენილობის ერთი ნაწილი დაუკარგავს. **თავდაპირველად იგიც,** ქართული **ატამის** მსგავსად, ბუმბულიანის, ანუ **ბუსუსიანის გამომხატველი უნდა ყოფილიყო.**

დასასრულ, ყველა ზემონათქვამის შემდგომ, ვგონებ, ძნელი დასაჯერებელი არ უნდა იყოს აზრი, რომ ღუნძური **ფრთა-ბუმბულის** სახელი **მიტხლæირ** იმავე ძირის სიტყვა უნდა იყოს, რა ძირისაც ქართ. **მატყლი ბურტყლი**-ა.

ვფიქრობ, რომ **ყველა მოყვანილი მაგალითებითგან ირკვევა, რომ ქართველურს, სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანურ ენებს არამცთუ სიტყვათა ძირებისა, არამედ მოვლენათა აღქმისა და ცნებათა გამოხატვის წესის ნათესაობა და იგივეობაც-კი ეტყობა.** მესამე **წიგნში მოყვანილი ამის დამამტკიცებელი მრავალი მაგალითი იმედია იმათაც დაარწმუნებს, რომელთაც ეგების აქ დასახელებული საკმარისად არ ეჩვენოს.**

დ ა ს კ ვ ნ ა

ქართველური და სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანური ენების თავდაპირველი აგებულების ყველა წინასწარ დასახული ძირითადი საკითხები საკმაო რაოდენობით გამოყენებული მასალით უკვე განხილული გვაქვს. მართალია, კანკლედობაზე სრულებით არაფერი იყო ნათქვამი, სიტყვათა წარმოებაც, სქეს-კატეგორიების ფორმანტებს გარდა, არსებითად განხილული არ გვქონია, ზმნის ნა-

წილშიც მხოლოდ ცვლილების ზოგადს პრინციპზე იყო მსჯელობა, მაგრამ მაინც ყველა ის მთავარი საკითხები, რომელნიც ენათა აღნაგობის პრობლემის გადაწყვეტის დროს მკვლევარს აუცილებლად უნდა გათვალისწინებული ჰქონდეს, წინამავალ კარებში შესაძლებელი სივრცითა და ხელმისაწდომობისდაგვარად უხვი მასალის გამოყენებით მაინც გამორკვეულია.

გულდასმითმა განხილვამ გამოგვიმჟღავნა, რომ 1. ქართულ-ქართველურისაცა და სინდური ენებისაც ისევე, როგორც ღილღურ-ლეგურ-ალბანური ენების თავდაპირველი აგებულება დროთა განმავლობაში ძალზე შეცვლილა. მაგრამ მეტყველების მთავარი ნაწილების გაღრმავებულმა შესწავლამ და კვლევა-ძიებამ მაინც ამ ენების თავდაპირველი აგებულებისაცა და სიტყვათა საგანძურის უძველესი მარაგის ძირთა ნათესაობაც ცხად-ჰყო.

2. საუკუნეთა განმავლობაში მომხდარი ცვლილება იმდენად არსებითი, დიდი და ფართო ყოფილა, რომ თავდაპირველი ნათესაობისდა მიუხედავად ამ პროცესს ეს მონათესავე ენები ერთმანერთისაგან ისე დაუშორებია, რომ ენათა დამოუკიდებელ, გარეგნულად უცხო ჯგუფებადაც-კი უქცევია.

3. აქამდე გაწეული შრომა, დაკვირვება და ანალიზი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართველთა, სინდ-ღილღვ-ლეგ-ალბანელების შორეული წინაპრები ღვიძლი მოძმე ტომები ყოფილან, რომელთაც მონათესავე და თავდაპირველად ერთი ენაც-კი უნდა ჰქონოდათ. მესამე წიგნში, რომელიც უძველეს კულტურას ეხება, მოყვანილი მრავალი ფაქტები თავის დროზე, იმედია, ყველას დაარწმუნებს, რომ ჯერ საერთო და შემდეგ მონათესავე ენას გარდა, მათ გარკვეულ ხანამდე კულტურაც საერთო ჰქონიათ.

ქართველ-სინდ-ღლიღვ-ლეგ-ალბანელთა თავდაპირველი ნათესაობა მარტო ლინგვისტიკური ანალიზით-კი არ მტკიცდება, არამედ უძველესი ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოლოგიური ცნობებითაც, რაზედაც საუბარი პირველ წიგნში გვაქვს, „საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის მთავარი ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოლოგიური პრობლემები“ რომ ეწოდება. იქ ამ ერთა და ტომების ნათესაობა მათი სახელებისა და სხვა ყველა ცნობების ანალიზითაცა და თვით ძველი ავტორების მოწმობითაც დასტურდება.

მრავალგვარმა სხვა-და-სხვა გარემოებამ ეს მოძმე ერები და ტომები რომ ერთმანერთს დააშორა, ეკონომიურმა, პოლიტიკურმა და კულტურულმა ფაქტორებმა ისინი ხუთ დიდ ერთეულად აქცია. ენის საერთო თვისებათა მიხედვით, ამათგან ყველაზე მკაფიოდ ქართველთა ერთეულია გამოყოფილი, რომელშიც საკუთრივ ქართულს გარდა, მეგრულ-ჭანურ-სვანურიც შედის. ის გარემოება, რომ მათ ყველას სქეს-კატეგორიებიც თანაბრად აქვთ დაკარგული, ენის აგებულებაცა და მორფოლოგიური ელემენტებიც ერთი-და-იგივე მოეპოვებათ, გვაფიქრებინებს, რომ ზემოაღნიშნული ძირითადი ცვლილება, რომელმაც მათ ესოდენ დამახასიათებელ-განმასხვავებელი თვისება, გრამატიკული სქეს-კატეგორიები დაავიწყა, ერთად და დაახლოვებით ერთსა-და-იმავე ხანაში უნდა ჰქონდეთ გამოვლილი. ამას გარდა, მომხდარი ცვლილების ერთგვარობა და ენის ახალი სახის ჩამონაქვთილობის მთელი მსგავსებაც გაუგებარი და აუხსნელი

იქმნებოდა, თუ საერთო ფაქტორთა შორის ცოტად-თუ-ბევრად მჭიდრო პოლიტიკური კავშირისა და მთლიანობის არსებობასაც არ ვიგულისხმებდით.

რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ბევრი კვლევა-ძიებაა საჭირო, სანამ ამ ღრმა და უაღრესად მნიშვნელოვანი ცვლილების ხანის სრული დამაჯერებლობით განსაზღვრას შევძლებდით, მაგრამ თუ ლოგიკურ მოსაზრებათა დახმარებით წინასწარი ჰიპოთეზის წამოსაყენებლად ამაზე მსჯელობა მიზანშეწონილი იქნებოდა, შესაძლებელია მაინც ითქვას, რომ ეს ცვლილება უხსოვარ დროს უნდა იყოს მომხდარი, თითქმის ჯერ კიდევ იმ ხანამდე, სანამ ქართველური ტომების უკანასკნელი ტალღა ამიერკავკასიაში საბოლოოდ დამკვიდრდებოდა. ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ გრამატ. სქეს-კატეგორიები ერთნაირად დაკარგულ-შეცვლილია ქართველთა მოსახლეობის ისეთ ორს უკიდურეს სანაპიროზე, როგორიც წინათ ქედს იქითაც-კი გადაჭიმული სვანეთია და სამხრეთ-დასავლეთით ჭანეთი, რომელიც ისტორიულ ხანაში პოლიტიკურად ძალიან გვიან, თანაც მცირე დროის განმავლობაში იყო საქართველოსთან დაკავშირებული. რაკი ამ დროს ასეთი ცვლილება ვერ მოხდებოდა, ამიტომაც იგი იმ ხანაში უნდა იყოს მომხდარი, როდესაც ქართველურ ტომთა შორის მჭიდრო კავშირი იყო შესაძლებელი.

ჩემი წინამდებარე წიგნის ერთ ამოცანათაგანს შეადგენდა, ცხად-მეყო, რომ ქართულ-ქართველური ენების განვითარების ისტორიაში ორი დიდი ხანის არსებობა უნდა გვქონდეს გათვალისწინებული: პირველი და უძველეხი ის ხანაა, როდესაც გრამატ. სქეს-კატეგორიები ამ ენათა ძირითადს დამახასიათებელ თვისებას შეადგენდა, მეორე, მომდევნო ხანა-კი იმ დროითგან იწყება, როდესაც გრამატ. სქეს-კატეგორიები გაქრა და, ღრმა ცვლილებასთან დაკავშირებით, ქართულ-ქართველურის ახალი სახე ჩამოინაქვთა.

როდესაც მომავალში ამ ცვლილების ხანის ქრონოლოგიურად განსაზღვრას შევძლებთ, მაშინ, გრამატ. სქეს-კატეგორიების ფორმანტიანობისა, თუ უამისობისდა მიხედვით, ამა-თუ-იმ სიტყვისა და ტერმინის გაჩენის ხანის დაახლოვებით განსაზღვრაც მოხერხდება, რასაც კულტურის ისტორიისათვის, რასაკვირველია, უაღრესი მნიშვნელობა ექმნება.

ისევე, როგორც ენის აღნაგობაში მომხდარმა ღრმა ცვლილებამა და სხვა ფაქტორებმა ქართულ-ქართველური გამოჰყო, ამავე მიზეზითა და გზით სინდური, ლილლური, ლეგური და ალბანური ენოვანი ერთეულებიც ჩამოინაქვთა. თვითეული მათგანისათვის საერთო სახელი უკვე მოგვეპოვება. მაგრამ მორფოლოგიური საკითხების განხილვა მკითხველს დაარწმუნებდა, რომ სინდურ, ლილლურ, ლეგურ და ალბანურ ენებს, განმასხვავებელ თავისებურებას გარდა, საერთო თვისებებიც მოეპოვებათ, რომლებითაც ქართველურ ჯგუფს უპირისპირდებიან. ამიტომ სინდ-ლილლ-ლეგ-ალბანელებისათვის საერთო სახელი ეხლაც გვჭირდება და უფრო მეტად დაგვჭირდება მომავალში, როდესაც ამ დარგში კვლევა-ძიება გაცხოველდება. ასეთი საერთო სახელი ძველადაც ყოფილა, ამიტომ ხელოვნურად შეთხზული ახალი სახელის მაგიერ, ძველი სახელის განახლების გარდა არაფერია საჭირო.

პირველ წიგნში, რომელსაც „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის მთავარი ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოლოგიური პრობლემები" ეწოდება, ეს საკითხი დაწვრილებით განხილულ-დასაბუთებულია, ამიტომ აქ იმ ნაშრომში მოპოვებული შედეგის მხოლოდ მოკლედ მოყვანით დავკმაყოფილდებით.

პროფ. კ. პატკანიანმა თავის დროზე მიაქცია იმ გარემოებას ყურადღება, რომ სომხ. უსახელო გეოგრაფიაში პტოლემაიოსის გეოგრაფიის ჲაქსამატების ტომის სახელი სომეხ მთარგმნელს ნახჭ-მატიანქ-ად გადმოუთარგმნია. ამავე მეცნიერის სამართლიანი განმარტებით, ამ სახელის პირველი, ნახჭა, ნაწილი ჩაჩნების ეროვნული სახელი ნახჩო-ა, მაშასადამე, ცხადია, რომ ჲაქსამატები ჩაჩნების სახელი ყოფილა. ამაზე შორს პატკანიანი არ წასულა.

1922 წ. აკად. ნ. მარრმა ჲაქსამატების სახელის მეორე, მატ, ნაწილის რაობასა და მნიშვნელობასაც მიაგნო. პატკანიანზე დაყრდნობით, მან გამოსთქვა მოსაზრება, რომ ისევე, როგორც ჲაქსა ჩაჩნების ნახჩო სახელია, მატ-იც ჩაჩნურივე სიტყვაა, რომელიც ენას და ტომს ნიშნავს. ნ. მარრიც მხოლოდ ამით დაკმაყოფილდა და ამაზე შორს არ წასულა.

საქმე ის არის, რომ, სტრაბონის და სხვ. ბერძენ ავტორების ცნობით, ჩრდილოეთ-კავკასიის სინდურ-ღილღურ-ლეგურ ტომებს საერთო სახელად სარმატები, ანდა უფრო ძველად საურომატები და სჳრმატები ეწოდებოდა. მაშასადამე, დაცული გვქონია ის ძველი ადგილობრივი სახელი, რომელიც ყველა ამ ტომებს სწოდებია და რომელიც ჩვენც გვპირდება ეხლა. თუ წინათ ამ სახელის აგებულებაცა და თავდაპირველი მნიშვნელობაც გაუგებარი იყო, ამჟამად შესაძლებელია ითქვას, რომ იგი საურო-სა და მატ-ისაგან შესდგება. რაკი მატ-ი აქაც, უეჭველია, ენას, ანუ ტომს უნდა ნიშნავდეს, მხოლოდ საურო-ს, ანუ სარ, ანდა სჳრ-ის რაობა და მნიშვნელობა-ღა გვაქვს გამოსარკვევი. ჩვენს ზემოდასახელებულ წიგნში მოყვანილი საბუთებითგან ჩანს, რომ ჩრდილ. კავკასიაში იყო თემი და სახელმწიფო, რომელსაც ქართველი ისტორიკოსი შარო-ს უწოდებს, ბერძენ-რომაელების ძველი გეოგრაფებიც აქვე სერრ-ების ტომებს ასახელებენ. სერირ-ის სახით არაბთა გეოგრაფებს დაღისტანშიც ჰყავთ აღნიშნულნი, ხოლო ძველ სომხურ ისტორიულ თხზულებებში შარურ გეოგრაფიულ სახელად გვხვდება, რომელიც დღევანდლამდეც არის შერჩენილი. ყველა ეს ორ გარემოებას ამჟღავნებს: 1. შარო-ს სახელი ყველგან ფართო ტერიტორიაზე გვხვდება იქ, სადაც სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანური ტომები ბინადრობდნენ, და 2. ეს სახელი რაღაც ზოგადი თვისების მქონებელია.

ამნაირად საურომატების, ანუ სარმატებისა და სჳრმატების სახელი ადგილობრივი სახელი ყოფილა და შაროელთა ენის აღმნიშვნელია.

ყველა ამ მოსაზრებათა გამო, უფლებაცა გვაქვს და უფრო მიზანშეწონილიც იქმნება, რომ სინდურ-ღილღურ-ლეგურ-ალბანურ ენათა საერთო სახელად ისევ ძველივე ზოგადი შარომატების, ანუ საურომატების სახელი შემოვიღოთ და ამიერითგან ეს სახელი ვიხმაროთ ხოლმე. ცალკეულს სინდურს, ღილღურს, ლეგურს და ალბანურ ენათმეცნიერებას გარდა, ზოგადი

შარომატული ენათმეცნიერებაცა და შედარებითი ქართულ-შარომატული ენათმეცნიერებაც უნდა შეიქმნას. რაკი ლილლურ-ლეგურ-ალბანურ ენებსაც მრავალი საერთო თვისებები აქვთ, ამიტომ მათთვისაც საერთო სახელია ჯერ კიდევ მოსაძებნი.

წინამდებარე წიგნის ავტორმა კარგად იცის, რომ არაერთი ცალკეული ეტიმოლოგიისა და მოვლენის განმარტება სხვანაირადაც შეიძლება, თვით მასაც, ამ ნაშრომში შეტანილს გარდა, აზრად სხვაც მოსვლია. მომავალში, რასაკვირველია, შესაძლებელია ბევრი რამეც-კი შეიცვალოს, მაგრამ მას მაინც ჰგონია, რომ მხოლოდ ამ მიმართულებით, ამ მეთოდებითა და ამნაირი მასალის გამოყენებით მოხერხდება იმ გზის გაკაფვა, რომელიც აწინდელი გარშემოზღუდვილობისაგან ფართო ასპარეზზე გაგვიყვანს და ყოველმხრივ საინტერესო და უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას შეგვაძლებინებს.

ს ა ძ ი ე ბ ლ ე ბ ი

პირთა სახელების საძიებელი

აბიათარი 167
აბულაძე იუსტინე 177, 213
ავორხანოვი ა. 85, 489
ალბოროვი პროფ. 180
ანტონ კათალიკოზი 3, 4, 5, 113, 114, 115, 165, 167—9
არსენი იყალთოელი 4
ალბულა ათაბაგი 175, 185
აშხამაფი დ. 82, 459, 460, 461, 477,—9, 481, 482, 483, 487, 585
ახალაძე ბუჭულა 188
ახვლედიანი გიორგი პროფ. 78, 79, 81, 112, 118—9, 393

ბარტჰოლდი ვ. პროფ. 7.
ბასილი ეპისკოპოსი, კესარიელი 10
ბასილი ზარზმელი 228
ბაქარი 166, 175, 177, 181, 199, 390, 391
ბენფეჲ 5
ბერიძე ვუკოლ 12, 178, 186, 217, 231
ბერა 209
ბერზევი (უბიხი) 35
ბერი 209
ბერო 209
ბერჟე ადოლფ 32
ბექა ათაბაგი 185, 227
ბიძინაშვილი ეკატერინე 179
ბიჭიკაშვილი 186
ბლაჲხშტაჲნერი რობერტ 87
ბოპპი ფრანც 5
ბროსსე მარი აკად. 5, 6, 7, 9, 10, 32, 33, 77
ბრიერი 88
ბუჩუკური 176

გაბუური ბესარიონ 103, 177
გარდაფხაძე ფაფალა 442
გეგებერია 209
გეგიძე 209
გენკო ა. 83, 86
გერბერი 21
გეტტინკაუ (უბიხი მოწაფე) 35
გიგას ძე 176
გიგაური 176
გინდაბერი 209
გიორგი მე-II იმერეთის მეფე 183
გიორგი გურიელი 183
გიორგი მერჩული 11, 224
გიორგი მთაწმინდელი 3, 4
გოგიას ძე 176
გოგიაური 176
გოლოშვილი სანდრო 179, 180
გრენი პროფ. 82
გრიგოლ ხანძთელი 224
გუბაძე 209
გუდაევი (სტუდ. ფერშალი, რუთულური ენის მასალების მიმწოდებელი დირისათვის) 47
გულბანი 35
გულია დიმ. 82, 455, 457, 464—6, 487, 588
გჳლდენშტედტი იოჰან ანტონ აკად. 5, 13—18, 20—31, 33, 38, 41, 42, 104, 105, 138, 158—160, 163, 164, 235—250, 262—274, 280, 281, 283, 288—290, 297, 299, 300, 301, 304—8, 310—315, 341—4, 350, 351, 353, 354, 356, 381, 455, 460—2, 465, 470, 483—5, 495, 496, 498, 504, 506, 511, 512, 525, 527

დავითას შვილი 176
დავითაური 176
დავით ალმაშენებელი 198, 199
დავით გარეჯელი 183
დავითური 176
დალბაშიანი 213
დეეტერსი გერჰარდ პროფ. 87, 88
დირრი ადოლფ 44—8, 91, 111, 117—9, 127—9, 140, 143, 144, 147—9, 151-160, 163, 250, 257, 261, 269, 273, 275—7, 279, 283, 286, 304, 311, 321—6, 329, 331—3, 343, 348, 353, 355, 368, 471, 472, 497, 512, 513, 525, 539, 541—3, 585, 596-604
დონაური 176
დონდუა კარპეზ პროფ. 82, 136, 172
დოსოვი კედი 26
დვმეზილი 111, 131, 273, 275, 277—281, 283, 292, 294, 355, 454, 455, 459, 462, 463, 471—81, 482, 487, 488, 585, 589

ეგნატაშვილი ბერი 177, 178
ევაზჭიანი 213
ეზეკიელი 182
ეკლესიასტე 199
ელასიპე 10
ელია 179, 180
ერისთავი რაფიელ პოეტი 4, 115, 168
ერკერტი 44, 46, 47
ესავი 176, 178, 218
ეფთვიმე მთაწმიდელი 3, 4, 217.
ეფრემ მცირე 3, 4

ვაზქენ იხ. ვარსქენ
ვაჟა ფშაველა 183
ვაჩე 210
ვაჩეიშვილი 210
ვაჩინაძე 179
ვაჩნაძე 210
ვარსქენ ქართლისა პიტიახში 173, 224
ვახტანგ VI, მეფე ქართველთა 184, 227
ვახუშტი ბატონიშვილი 3, 180, 183, 219

ზაგურსკი ლ. 34
ზავადსკი მ. 110, 119
ზაძლირი 39
ზარიძე 209
ზარუბინი ი. 87
ზელმერი ერნსტ უ. 88

თამარ მეფე 187
თამარ დავით აღმაშენებლის ასული 199
თამნას 229
თაყაიშვილი ექვთიმე 213
თოფურია ვარლამ პროფ. 79—81, 111, 112, 175, 182, 187, 193, 196, 197, 203, 207, 210, 213, 216, 219, 226, 385, 410, 413, 428, 433, 435, 437—9, 445—7, 451—3, 585, 588

იაბერი 209
იაილ 166
იაკობ (ბიბლიური) 176, 178, 198, 218
იაკობ ხუცესი 173, 174, 224
იანოვსკი კ. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი 8, 110
იაკოვლევი იხ. ძაკოვლევი
იასაშვილი 209
იესო 178
ინგოროყვა პავლე 80
იოანე მთაწმიდელი 65
იოანე პეტრიწი ფილოსოფოსი 3, 4, 166
იობი 179, 233
იობ ფანასკერტელი 219
იოსებ არიმათიელი 10
იოსებ ვლადიკავკაველი ეპისკოპოსი 180
იპოლიტეძ 10, 395

კარსტი იოსებ პროფ. 90
კასტრენი 108
კახაბერი 209
კახასშვილი 209
კენჩხაშვილი დათა 179
კლაპროთი ჰაძნრიხ ჟულ. ადძუნქტი 5, 25—31, 33, 38, 41, 42, 46, 65, 105, 138, 235—7, 243, 246—8, 250, 262, 485
კონსტანტინე კეისარი, პორფიროგენეტი 16
კრიძანოვსკი გ. 83

ლვრძე 617
ლაძბნიცი ფილოსოფოსი 5
ლაფონ რენე 88
ლაჩინილაუ, შამილის მასწავლებელი 33
ლეონტი მროველი 103
ლეფსიუსი 5
ლომოური თამარ 186, 216
ლოპატინსკი ლევ 43, 44, 110, 119, 126, 155, 247, 281, 283, 286, 290, 388, 459, 481—3
ლულიე იხ. ლვლძე
ლვლძე ლეონტი 15, 30, 31, 33, 108, 117, 247, 281, 285, 286, 343, 477—9, 620
ლვრძე 617

მათე 178, 219
მაკალათია სერგი 228
მალსაგა ზ. 84, 85
მარრი ნიკო აკად. 9—13, 49—78, 82, 87, 88, 96, 111, 113, 119, 169—71, 200, 209, 230, 232, 234, 269, 270, 273, 274, 280, 377—82, 384, 386—8, 393, 409, 411—4, 427, 428, 431—9, 444, 453, 454, 463, 487, 585, 624
მარტიროსიანი გ. დოც. 18, 20
მარუშის ძე 176
მარუშული 176
მაციევი ა. გ. 85, 489
მაჯიო მარია 5
მაჰომედხანოვი იხ. მოჰამმედ მოჰამმედლინ ლო
მეკელაძნი რიჰარდ პროფ. 87
მელასიპე 10
მელიქიშვილი ლ. 36
მენთეშაშვილი სტეფანე 179, 182, 186, 206, 210
მეშჩანინოვი ივანე აკად. 67, 71, 75
მილლერი ვს. პროფ. 110, 180
მნაცაკანიანცი, დღრისთვის უდური ენის მასწავლებელი 47
მოჰამმედ მოჰამმედინ ლო, ანუ მაჰომედხანოვი, დირრისათვის არჩული, ალულური და ანდი-დიდოური ენების მასწავლებელი 47, 48

მჳლლერი მაქს 5
მჳლლერი ფრიდრიხ 5, 47

ნემიროვსკი მ. პროფ. 48, 74, 83, 84
ნინიშაური 176
ნინო წ˝ა ქართველთა განმანათლებელი 167, 194
ნიჟარაძე ივანე 221, 233
ნორაჲრი 213

ჲაკოვლევი ნ. პროფ. 82, 83, 459, 460, 461, 477—9, 481, 487, 585
ჲანგუბაჲ მოლა 36
ჲანდაროვი ხ. 85, 422, 489, 493, 494

ონიკას შვილი 176
ორბელიანი საბა-სულხან 3, 10, 12, 112, 114, 165—8, 175—8, 181—8, 191, 193, 194, 199, 206, 208, 211—4, 216, 217, 221, 223, 229, 230, 231, 385, 388, 390, 391, 393—8, 401, 405, 615—618
ოგსა 198
ოძელაშვილი ვანო 188

პავლეური 176
პალლასი 26, 28, 31
პატკანიანი კ. პროფ. 624
პეეტერსი პოლ, 87
პეტრე 219
პოტოცკი 28, 31
პოტტი 5
პტოლომაჲოსი 624

ჟვანია 393
ჟირკოვი ლ. პროფ. 74, 75, 86, 585, 605, 607, 608, 610
ჟორდანია თ. 393
ჟლენტი ს. 385

რამაზან-ოღლი ალი მოლა, დირრისათვის წახურული ენის მასალების მიმწოდებელი 47
რაჲნეგგსი 26
რებეკა 229
როზენი გეორგ 35, 41, 109
საბას ძე 176
საბაური 176
სემენოვი ლეონიდ 83
სიდონ 198
სიდონია 167
სოლმსენი 67
სონღულაშვილი ივანე 179
სონღულაშვილი იროდიონ 179
სოლომონიანცი, დირრის უდური ენის მასწავლებელი 47
სპევსიპე 10
სტრაბონი 624
სტრატიკი მონაზონი 10
ტრუბეცკოჲ ნ. პროფ. 89, 91, 118, 355, 363

უმიკაშვილი პეტრე 35
უქაკ მ. გ. 85
უსლარი პეტრე კარლოს ძე 33—43, 46, 63, 82, 86, 98, 108--110, 117—9, 136—9, 142, 143, 147, 155—7, 163, 236—9, 244, 246—8, 263, 268, 269. 270, 273, 275, 277—280. 295, 297, 299, 300, 305—8, 310, 311, 315, 329, 331, 339, 341—4, 355, 356, 422, 454, 456—8, 362—4, 471, 472, 487, 493, 496, 497, 499, 500, 504, 507, 526, 529, 530 546, 555, 578, 588, 592—5, 605—9
კონიანი არსენა 12

ფოქტი ჰანსი 88
ფრეიმანი 180

ქაევბი 166
ქავთარას ძე 176
ქავთარაული 176
ქანან 198

ყანდურალი 219
ყაზიზბეგოვი აბასბეგ, რუთულური ენის ცნობების მიმცემი დირრისთვის 47
ყიფიანი დ. 35
ყიფშიძე იოსებ პროფ. 12, 78, 88, 171, 186, 195, 200, 201, 202, 206, 226, 230, 386, 397, 427, 428, 431, 435, 585

შამილი 33
შანიძე აკაკი პროფ. 12, 78—80, 103, 112—6, 427, 432—4, 446, 585
შანშოვანი ზურაბ 4, 112—4, 167
შევტელოგიცი 200
შიფნერი ა. აკად. 32—4, 36—8, 40, 41, 43, 46, 47, 108, 109, 119, 138, 139, 147, 148, 236, 237, 295, 497, 605
შჲოგრენი იხ. შო̈გრენი
შო̈გრენი აკად. 30, 33, 109
შოთა რუსთაველი 11, 177, 181, 436
შორი რ. 86
შპიგელი 5
შუშანიკი 173, 174, 224
შუხარდტი ჰუგო პროფ. 8, 9, 87, 433

ჩემაზოკოვი ბეტალ, ყაბარდოელი ასპირანტი 83
ჩიტაური 176
ჩიქობავა არნოლდ პროფ. 8, 79—81, 111, 112, 384, 390, 396, 427, 431, 432, 434—8, 440—2, 452, 585, 588, 618
ჩიქობავა ბენედიქტე იხ. ჩიქობავა არნოლდ
ჩუბინაშვილი დავით პროფ. 7, 9, 10, 12, 390 401
ჩხენკელი სტეფანე 435

ცაგარელი ალექსანდრე პროფ. 4–8, 112, 114, 167
ცისკარიშვილი გ. 32
ცისკარიშვილი იოსებ 32, 109
ცორელლი ფრანც 87

ძობერი 209

ჭავჭავაძე ილია 175
ჭარაია პეტრე 8, 12
ჭიაბერი 209
ჭიასშვილი 209
ჭიჭინაძე ზაქარია 401
ჭყონია ილია 12, 187
ჭუკია 212

ხაჭუბერი 209
ხუბური 176

ჯანაშვილი მოსე პროფ. 177, 193, 196
ჯანაშია სიმონ პროფ. 24, 79, 81, 111, 112, 263, 269, 270, 274, 447, 448, 460, 588, 589
ჯიროსანა, იობ ფანასკერტელის ძმა 219
ჯუმაური 176

ჰერაკლე კეისარი 216, 217
ჰჳბშმანი 204
ჰჳსინგი გ. 45

Achvlediani Georg prof. 81
Bleichsteiner Robert 87
Boisacq 204
Deeters Gerhard 87
Dumézil G. 89, 267, 272, 363
Eleusippi 10
Gerber 21
Güldenstädt Johan Anton D-r 13, 264, 265, 283, 296, 305, 310, 339, 340, 341, 350, 352, 355, 482, 490, 500, 501, 509, 519, 526, 554
Hüsing G. 46
Lafon René 88
Marr N. acad. 10
Meleusippi 10
Meckelein Richard 87
Peterson 200
Rosen Georg D-r 6
Schiefner A. acad. 32, 41
Schuchardt Hugo prof. 8
Solmsen Felix 67
Speusippi 10
Vogt Hans 88

Алборов Б. А. 180
Антиох Стратит 10—11
Георгий Мерчули 11
Давид Строитель Грузинский царь 10
Дирр Адольф 320, 335—7, 350, 353, 357—9
Иосиф Аримафийский 10
Ипполит 10
Кипшидзе Иосиф проф. 12
Люлье Л. Я. 32, 138
Марр Н. Я акад 10, 11
Тамара царица Грузий 10
Шота Руставели 11
Физиолог 10

გეოგრაფიული სახელების საძიებელი

აბაზეხ 16
აბშის, სოფ. ლეკეთს 72
აბხაზეთი 12, 13, 15, 82
აგულისი 200
ადილე 16
ავსტრია 87
აზერბაიჯანი 78
აზია 3, 65, 67, 68, 71
ათონი 62, 65
აიბგა 15.
აიპგა თემი აფხაზეთში 15
აკაძიკი სოფ. ლეკეთს 22
აკულისი 205
აკუშა 22
ალაზანი 21
ალბანეთი 161, 257
ალთეკესეკ 16
ამეკინ სოფ. ლეკეთს 22
ამერიკა, 87
ამიერ-კავკასია 570
ამეშა, სოფ. ლეკეთს. 22
ანგუშტ, სანახ. 19.

ანდერია, ანუ ენდერია, მდ. 28
ანდი, სოფ. დაღისტ. 45, 570
ანდის თემი, ლეკეთს 22
ანდის ქედი 45
ანსაკულ, იხ. ონსეკულე 22
ანწუხი, 21
ანწუხი, თემი ლეკეთს 22
აპაჲ, მდ. საჩაჩ. 18
აპახი, მდ. 16
არაგვი, შეადარე თერგს, 103
არაკან, თემი ლეკეთს 22
არაკუნე, სოფ. ლეკეთს 22
არანისი, 179.
არარატი, მთა 68
არგა, მდ. 16.
არგუდან მდ. 16
არდახლი, სანახ. საჩაჩ. 18
არიშ ტოჲაჲ, იხ. არშტეა. 19.
არქაბე, 183.
არქი, სოფ. ლაზიღუმექის ოლქში 46
არღუნის ხეობა, 19
არშტე, სანახ. იხ. ყარაბულახიი 19
არშტელანი, იხ. ყარაბულახელნი 20
ასაჲ-ს, მდ. ხეობა 19
ასსაჲ, მდ. საჩაჩ. 20
ასსაჲ, მდ. იხ. შალგირეა 27
ატაგა, სოფ. ინგუშ. 19
ატახი, სანახ. 19
აუარი, იხ. ხუნზახი 21
აფრიკა 3, 7, 66, 68, 71
აქსა, სანახ. საჩაჩ. 18, 20
აქსაჲ, მდ. ლეკეთს 21, 28
აღმოსავლეთ საქართველო (იხ. საქართველო)
აღტაში, მდ. 38
აშგანის ხეობა, მიზჯეგში. 27
აშილა, სოფ. ლეკეთს 21
აშოლალ, (რუს. აშალი) სოფ. დაღისტ. 45
აშღან, მდ. 19
ახალ ზაქათალა, იხ. ზაქათალა.
ახალციხე 200, 205
ახე 15
ახვინგუსტი, სანახ. საჩაჩ. 18
ახტა, სოფ. დაღისტ. 34
ახტი, თემი ლეკეთს 22
ახტი, იხ. ახცაჰარი, ასე ეძახიან თურქები და რუსები 39
ახცაჰარი, ს. ჯარულ ენაზე ყველაზე უკეთესად მოლაპარაკენი 39

ბათუმი 12
ბალსუ, იხ. არშტეა
ბანძა 200
ბარაგუნის პეტრეს აბანო 18
ბარაყაი, იხ. ბაროყაჲ. 15
ბაროყაჲ 15
ბაქო 78, 86
ბაღ 15
ბაშოლბაჲ 15
ბელოგიაკ 16
ბერლინი 41, 87
ბესლენ 16
ბესლენი 15
ბოდუხ, სოფ. ლეკეთს 22
ბოროსოალ, სოფ. ლეკეთს 22
ბოტლიკისი, სოფ. ლეკეთს 21
ბოღოზის ქედი 45
ბჟაბა 15
ბჟედუხ 16
ბრუსელი 87
ბუ, მ.ა. ებიხენი 37
ბუამო, მდ. დაღისტ 29
ბურტუმა, თემი ლეკეთს 22
ბუტი, სოფ. დაღისტ. 38
ბშანერ 16

გაგატილ, იხ. ღაღატირალ 45
გაგრა 15
გალაშკა, სანახ. საჩაჩ. 20
გამიში 38
განჯის უ. გებლალ 46
გენო, სოფ. ლეკეთს 22
გერმანეთი, 54.
გერმანია, 25, 87.
გოგელტ, სოფ. ლეკეთს 22
გორრი 200
გრაცი 87
გრემისხევი, სოფ. 17ᴼ
გროზნო 5, 36, 83.
გუდამაყარი 234
გუდამაყრის ხეობა 194
გუმბელ, თემი ლეკეთს 22
გურგანის ზღვა 145
გურია. 66, 103, 187
გურიელი 29

დალის ველი 15
დარგოს ოლქი 39
დარუბანდი 45.
დასავლეთ საქართველო, (იხ. საქართველო.)
დაღესტანი 13
დაღისტანი, (იხ. ლეკეთიც) 20, 21, 23, 28, 29, 34 38, 39, 63, 85, 86, 173

დაღისტანი, სამხრეთ დაღისტანი 29
დაღისტანი, ჩრდილო დაღისტანი 29
დაშალულარი, სოფ. ნუხის თემში. 39
დგანტი, სანახ. (იხ. კულგაც) 19
დიდი ლაბა, იხ. ლაბა
დიდო 22
დიდოეთი 22
დილომი 179
დოგან, სოფ. ინგუშ. 19
დუბან, სანახ. საჩაჩ. 20
დურძუკეთი 27

ევროპა 2, 3, 5, 6, 65, 67, 68, 71
ევროპა, დასავლ. ევროპა 87
ელამი 56
ენგური, მდ. 15
ენდრე, მდ. საჩაჩნ. 18
ენდერია, ანუ ანდერია, მდ. 28
ერგი, მდ. დაღისტანს. 38
ერევანი 78, 200
ესპანია 65

ვალარეკ, საძოვარი საჩაჩნ. 20
ვალაშკერტი 200, 205.
ვართაშენი, ანუ ორთაშენი 46, 39
ვაბი სანახ. საჩაჩნ. 18
ვენა 8, 47, 87, 89, 90
ვერძის ტყის გორა, ხევსურეთს 7, 176
ვიწე, 179, 183
ვოლგა, მდ. იხ. რჰა. 68
ვორდანე, თემი უბიხ. 38
ვორონეჟი 32
ვოლმო 200

ზამბალი 15
ზაქათალა, ახალი ზაქათალა. 38
ზახი, მდ. 15
ზემო იმერეთი, იხ. იმერეთი
ზემო სვანეთი, იხ. სვანეთი.
ზილო, იხ. ზილედირალ. 45
ზილედირალ, (რუს. ზილო) სოფ. დაღისტ. 45
ზინობიანი, სოფ. 46

თაბასარან, თემი ლეკეთს. 23, 29, 39, 45
თბილისი 77.
თემირ-ხან-შურა 47
თერგი, მდ. 15, 16, 18, 103
თიანეთი 32
თლისერალი, სოფ. ლეკეთს. 21
თუშეთი 19, 22, 182

იერუსალიმი 10
